

# პალერიან ელანიკე

## კახეთის ისტორიის პრობლემური

### საკითხები

ციფერობრიდან სიმღერით  
სიცოცხლის გადასახედი.  
მოსმანს იისუერ ნისლებში  
ყახეთი. ჩეში ყახეთი.

*იოსებ ნონეშვილი*

წინამდებარე მონოგრაფიის ავტორი მკითხველ საზოგადოებას სთავაზობს კახეთის ბარისა და კახეთის მთიანეთის (თუშ-ფშავე-ხევსურეთის) მრავალ-საუკუნოვანი ისტორიიდან ისეთი საკვანძო-პრობლემური საკითხების განხილვას, რომლებიც დღემდე ან სათანადოდ არაა შესწავლია, ანდა ქართულ ისტორიოგრაფიაში ბევრი მათგანი არასრულყოფილად და, ზოგ შემთხვევაში, დამახინჯებულადაც კია განხილული. მაგალითად, ერეკლე პირველისა და ერეკლე მეორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი ეპიზოდი, თელავის ქალაქად წარმოქმნა-ჩამოყალიბების ისტორია, კახეთის ბაგრატიონთა ლეგიტიმურობის საკითხისათვის, წანარების ვინაობისა და კახეთის ისტორიაში მათი როლის შესახებ, კახეთის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრის საკითხისათვის, აღმოსავლეთ კახეთის (ამჟამინდელი ბელაქანის, კახის და ზაქათალის რაიონების) დედა-სამშობლოდან ჩამოცილება-დაკარგვის მიზეზთა ისტორიისათვის და სხვ.

კახეთის ისტორიიდან ამა თუ იმ პრობლემური საკითხის ირგვლივ, მკითხველისათვის ნაკლებად დამაჯერებელ განხილვა-მსჯელობათა სამხილებლად გაცემულია სათანადო პასუხი, რაც კახეთის ისტორიის სრულყოფას და ობიექტურ შესწავლა-წარმოჩენას ითვალისწინებს.

გამოკვლევა გათვალისწინებულია საქართველოს საშუალო სკოლების მოსწავლეებისა და სტუდენტის ახალგაზრდობისათვის, ასევე კახეთის ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
*პროფესორი გიორგი გოცირიძე*

რეცენზენტები:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
*პროფესორი ელგუჯა მამუკელაშვილი;*  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
*პროფესორი თეიმურაზ ვახტანგიშვილი;*  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
*პროფესორი არჩილ სპარსიაშვილი.*



„საქართველოს ვეირვეინი ყახეთია, რომელიც არაოუ მოვზაურებს,  
თიით შევიდრ ქართველებსაც აჯადოებს“  
გერმანელი - არცურ ლაისცი

გამოკვლევა ეძღვნება ჩვენი ერის ღვაწლმოსილი წინაპრების ნათელ  
ხსოვნას, რომლებსაც გამორჩეული ადგილი უკავიათ კახეთ-ჰერეთისა და  
კახეთის სამეფოთა სატახტო ქალაქად ქ. თელავის შერჩევასა და ისტორიული  
კახეთის აღმშენებლობა-აღმავლობა-განდიდების მრავალსაუკუნოვან ისტო-  
რიაში. კახეთის სახელოვან ერისკაცთა დიდებით მოსილ ეპოპეაში განსაკუთ-  
რებულ პატივისცემას, ყურადღებასა და ქებათა-ქებას იმსახურებენ:

კვირიკე დიდი, ვინც პირველმა აღიარა ქ. თელავი კახეთის სამეფოს  
დედაქალაქად და კახეთის სახელმწიფოს საერთაშორისო აღიარება მოუპოვა;  
ალექსანდრე მეორე დიდად წოდებული, რომლის დროსაც კახეთის  
სამეფომ როგორც საქართველოში, ისე კავკასიაში სამართლიანად დაიმკვიდრა  
პირველი ადგილი;

არწილ მეორე ბაგრატიონი, გამორჩეული მეფე-პოეტი, ვისი  
ინიციატივითა და ხელმძღვანელობითაც აშენდა ქ. თელავში სამეფო სასახლე-  
რეზიდენცია, რომელიც ერთად-ერთიდაა შემორჩენილი საქართველოში;

ერეკლე მეორე - „პატარა კახი“, რომელმაც არაერთი სიკეთე და  
ბრწყინვალეობა შესძინა, სრულყო და მრავალმხრივ განადიდა ქ. თელავი,  
როგორც კახეთის სახელმწიფოსა და 1762 წლიდან ქ. თბილისთან ერთად,  
ქართლ-კახეთის სამეფოს ერთ-ერთ საიმედო და საყოველთაოდ განმაურებულ-  
პოლიტიკურ ცენტრად და სამეფო ქალაქ-რეზიდენციად. ერეკლე მეორემ  
ქართლ-კახეთის სამეფოს საერთაშორისო ავტორიტეტი მოუპოვა და  
ანგარიშგასაწევ სახელმწიფოდ ჩამოაყალიბა.

ნათელში ამყოფოს მათი სპეტაკი სული და მათივე მოთავეობით  
სამშობლოსა და ქართველი ერის წინაშე პირნათლად ვალმოხდილი ყველა  
კახელი მამულიშვილისა, რომელთა დიდი ქართველობაც აღაფრთოვანებს  
და მოძღვრავს შთამომავლობას თავისი ქვეყნის მუხლჩაუყრელი  
სამსახურისათვის.

პიმნი კახეთს!

„როდის იქნება მშვენიერო, ჩიქო ყახეთო.

შნებათ მოსილის გომპროის შიით ყელაე გადმოვხედო“...

*ფახტანგ ორბელიანი*

გმირო, ხმალჩაუგებელო,  
ჯაჭვგაუხდელო, კახეთო,  
ღმერთმა გვიბოძა სამოთხე,  
მაგრამ რა ჯვარცმა ვნახეთო.  
დასაბამიდან მოვდივართ,  
გოლგოთის მთები ვლახეთო,  
აქ, ფესვი სისხლით ნარწყავი  
ამურმა ზარდა სხვა ხედო.  
უკეთეს წალკოტს სად ნახეთ, –  
სხვა ჭალას, სხვა ველს, სხვა ხევთო,  
ზღაპრულო, ნატურის ხალიჩავ,  
რა ცავ, რა მიწავ, რა ხედო!..  
იტყვი მზის ტახტი აქ არის,  
ცივის მთიდან რომ დახედო, –  
ვაზით ნაქარგი გულ-მკერდი,  
ყინწვისის ხატი – სახედო.  
ვინც დაგინახავს, გულიდან –  
ნისლი, წკვარამი ახვეტოს,  
მოყვრისთვის – ღვინის ფიალავ,  
მტრისთვის – შხამო და წმახეთო.  
ალალი თვალი – ახარო,  
ბოროტი – შურით გახეთქო.  
სტუმარს, ვით კეთილ ანგელოზს,  
სულ სიყვარულში ვახვევთო.  
მაშინვე სუფრას გაუშლით  
აროდეს ვხვდებით მკვახედო,  
რამდენმა ჩვენი სიკეთე  
ჩვენვე დაგვიგო მახედო.  
შენთვის ავანთე სანთელი,  
მეფერო, გრძნობით ნახედო,  
სიმღერავ, უკვდავებისა, –  
უფლის ბაღნარო, კახეთო“!..

*ჟანსაოზ რაინაული*

## შესავალი

„კახეთი ყაყასისი ბაღი, საქართველოს ენახი,  
რომლის ვახითაც აყენებენ ღვინოს, ცოლს რომ  
არ დაუღებენ ურანგულს“

ფრანგი - აჟად. ადოლფ ბერჟე

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ტერიტორიულად საკმაოდ პატარა ქვეყანაა და დღეისათვის მისი ტერიტორია მოიცავს დაახლოებით 70000 კვ. კილომეტრს, ტერიტორიულ-გეოგრაფიული და გეომორფოლოგიური სხვადასხვაობის გამო საქართველო გაყოფილია დასავლეთად და აღმოსავლეთად, ხოლო თითოეული მათგანი კი იყოფა მხარეებად, მრავალ სხვადასხვა დასახელების მთიანეთად და სხვ. კახეთი აღმოსავლეთ საქართველოში შემავალი ერთ-ერთი უღამაზესი და უმდიდრესი მხარეა, რომელიც განიყოფება ორ ნაწილად: კახეთის ბარად და კახეთის მთიანეთად. საქართველოზე შეყვარებული არტურ ლაისტის შეფასებით რომ აღვნიშნოთ, „კახეთი საქართველოს გვირგვინია“, რაც ნიშნავს იმას, რომ მას ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში გამორჩეული ადგილი უკავია. სწორედ აღნიშნული ღირებულებებით იყო გამოწვეული, რომ კახეთი მრავალგზის განიცდიდა შემოსევებს, მაგრამ მტერმორეული ის არასდროს ყოფილა. ისტორიული კახეთ-კუხეთის ტერიტორიაზე, სხვადასხვა დროს, ფუქქციო-ნირებდა ამა თუ იმ დასახელების ადმინისტრაციულ-პოლიტიკური წარმონაქმნები: საერისთავო, სამთავრო, სამეფო, რომლებიც ყოველთვის, ძირითადად, საერთო ქართულ ნიადაგზე იდგნენ და ანხორციელებდნენ ზოგადქართულ ეროვნულ-პატრიოტულ საქმიანობას. საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში კახეთის სამხედრო-პოლიტიკური თუ ეკონომიკურ-კულტურული დონის თავისთავადობა და მისი გეოპოლიტიკური ღირებულება ყოველთვის იწვევდა უცხოელთა და შინაურთა განსაკუთრებულ ინტერესს, ამიტომ იყო, რომ კახეთი უცხოურ თუ ეროვნულ ისტორიოგრაფიაში ყოველთვის საინტერესო ადგილს იკავებდა და საყურადღებო წერილობითი მემკვიდრეობა იქმნებოდა მის შესახებ. ბერძნულ-რომაული (სტრაბონი, კლავდიოს პტოლემეაიოსი...) და დასავლურ-აღმოსავლური ქვეყნების მრავალ გამოჩენილ მოღვაწეთა მიერ დანატოვარი წერილობითი მასალა დიდად გვეხმარება კახეთის ისტორიის წარსული საუკუნეების ფართო მასშტაბით შესწავლის საქმეში. აღნიშნულთან ერთად, საისტორიო მწერლობის ისეთი წყაროები, როგორცაა „მოქცევაჲ ქართლისაის“ ქრონიკა, „ქართლის ცხოვრება“ და სახელოვანი ისტორიკოსების: ვახუშტი ბაგრატიონის, პაპუნა ორბელიანის, მღვიანბე ომან ზერხუელიძის, სეხნია ჩხეიძის, კახეთის ბაგრატიონთა უნიჭიერესი წარმომადგენლების: იოანე, დავით და თეიმურაზ ბაგრატიონების, დიმიტრი ბაქრაძის, პლატონ

ოსელოანის, მარი ბროსესა და სხვა გამოჩენილ ქართველ მემკვიდრე-ისტორიკოსთა გამოკვლევები, შრომები და წერილები საპატიო ადგილს იკავებენ კახეთის ისტორიის შესწავლის საქმეში.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში შექმნილმა ხელსაყრელმა პირობებმა გრანდიოზული წარმატებები გამოიწვია საქართველოს ყოფა-ცხოვრების ყველა სფეროში. მოცემულ პერიოდში, ჩვენი ქვეყნის მატერიალურმა და სულიერმა კულტურამ არაჩვეულებრივ წარმატებებს მიაღწია. დაჩქარებული და დაუოკებელი სულისკვეთებით დაიწყო საქართველოს ისტორიის სრულყოფილი შესწავლა, რამაც გამოიწვია საინტერესო მონოგრაფიების, გამოკვლევების, ნარკვევებისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის წერილების გამოქვეყნება. აკად. ივ. ჯავახიშვილის პირადმა მაგალითმა და მისმა განსაცვიფრებლად ნაყოფიერმა მუშაობამ განუსაზღვრელი შედეგი გამოიღო საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, პალეოგრაფიის და მეცნიერებათა სხვა მრავალი დარგის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. ბატონი ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ ტომებში საპატიო ადგილი დაეთმო კახეთის ისტორიიდან მთელი რიგი საინტერესო საკითხების გაშუქებას. განსვენებული მეცნიერის ინიციატივით, ხელშეწყობითა და მის მიერვე შედგენილ-განსაზღვრული გეგმა-პროგრამებით, XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისიდან, კახეთის მთიანეთს (თუშ-ფშავ-ხევსურეთს), თითო თვით მოეკლინა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სამეცნიერო ექსპედიცია, სრულიად ახალგაზრდა, აწ განსვენებული პროფ. ს. მაკალათიას ხელმძღვანელობით, რასაც ზედვე მოყვა ყოვლად საინტერესო მონოგრაფიები ს. მაკალათიას ავტორობით: „თუშეთი“ (1933 წ.); „ფშავი“ (1934 წ.); „ხევსურეთი“ (1935 წ.); აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი პროგრამითვე 1935 წლის ზაფხულში, თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის მიზნით, მივლინებულ იქნა ახალგაზრდა მკვლევარი-ისტორიკოსი გიორგი ბოჭორიძე, რომელმაც უდიდესი და საინტერესო მასალა მოიძია, მაგრამ მან, სხვადასხვა მიზეზთა გამო, დაწყებული შრომა ვერ დაამთავრა, რაც ისტორიკოს-ეთნოგრაფმა ქალბატონმა ნანული აზიკურმა დაასრულა და 1993 წელს გამოსცა მონოგრაფია — „თუშეთი“. 1931 წელს გიორგი თედორაძემ გამოსცა ფრიად საინტერესო მონოგრაფია „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“. 1967 წელს გ. ჯალაბაძის რედაქტორობით გამოვიდა წიგნი — „თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“; XX ს-ის 80-იან წლებში გამოვიდა სახელოვანი ქართველი ეთნოგრაფის პროფ. ვერა ბარდაველიძის კაპიტალური გამოკვლევები თუშეთზე, ფშავზე, ხევსურეთზე, რომელსაც განსვენებულმა დაარქვა „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები“. აქ დასახელებული შრომები, რა თქმა უნდა, სრულად ვერ მოიცავს იმ უდიდეს შრომა-საქმიანობას, რაც მიმდევნა თუშ-ფშავ-ხევსურეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შესწავლას,

მაგრამ რაც მოვიხსენიეთ, ჩვენი აზრით, სრულიად საკმარისია იმის წარმოსადგენად თუ კახეთის მთიანეთი (თუშ-ფსავ-ხევსურეთი) რა დიდ ინტერესს იწვევდა მკვლევართა შორის.

თუშ-ფსავ-ხევსურეთისა და კახეთის ბარის ისტორიის შესწავლის მიზნით დაცულია საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, გამოცემულია საინტერესო მონოგრაფიები, გამოკვლევები, როგორცაა: თ. პაუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, 1982; მისივე, ჭარ-ბელაქანი, 1972; მისივე, ჭრეთის ისტორიის საკითხები, 1970; ლ. ჭილაშვილი, კახეთის ქალაქები, 1980; ა. შახელიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, 1977; მისივე, თუშეთი, 1987; მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, 1953; ნ. ბერძენიშვილი, კახეთი XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში; მისივე, ირან-ოსმალეთ-რუსეთის ომი და საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში; მისივე, ლეკიანობა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში; მისივე, ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება; მისივე, ბრძოლა სათავადოების წინააღმდეგ; მისივე, ქართლ-კახეთის სამეფო სამოცდაათიან წლებში; მისივე, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან (იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, 1965წ. და ტ. III, 1966წ.); მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, 1963; დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, 1966; გ. ჩანგაშვილი, საინგილო, 1970; ვ. ელანიძე, თუშეთის ისტორიის საკითხები, 1988; მისივე, წოვა-თუშების ვინაობის საკითხისათვის, 1990; მისივე, ზეზვა გაფრინდაული, 1997; მისივე, ვინამ თქვა თუშთა დალევა?!, 2001; პროფ. კ. ფიცხელაურის ხელმძღვანელობით აქტიურად მიმდინარეობს კახეთის არქეოლოგიური თვალსაზრისით შესწავლა და უნდა ითქვას, რომ უკვე სასწაული აღმოჩენებია გამოვლენილი. კახეთის ისტორიის შესწავლა-წარმოჩენას დიდი ადგილი აქვს დათმობილი „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვა ტომულში (1970-1980წწ.).

1990 წლიდან დღემდე, საქართველოს დამოუკიდებლობა-თავისუფლების თხუთმეტწლიან პერიოდში, კახეთის ისტორიის შესწავლისა და პოპულარიზაციის თვალსაზრისით განხორციელდა ბევრი საინტერესო ღონისძიება. კახეთის სამხარეო ხელისუფლების ინიციატივითა და დაფინანსებით 2002 და 2005 წლებში გამოვიდა მრავალენოვანი, ილუსტრირებული და მაღალპოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული „კახეთი“, რომელიც გზამკვლევის ფუნქციასაც ასრულებს და შინაურს თუ უცხოელს კახეთის ისტორიიდან ბევრ საინტერესო და ყურადსაღებ ეპიზოდს სთავაზობს.

ჩვენ არაერთგზის აღვნიშნეთ, რომ კახეთის ისტორიის შესწავლისა და წარმოჩენის მიზნით შექმნილი უმდიდრესი მემკვიდრეობიდან მკითხველს მხოლოდ ნაწილი შეეთავაზეთ, რადგან, ჯერ ერთი, რომ მის სრულყოფილ დასახელებას ნაშრომის შესავალი საეაღმდებულოდ არ მიიჩნევს, მეორეც, რაც მოვიხსენიეთ, სრულიად საკმარისად მიგვაჩნია იმის ნათელსაყოფად თუ

როგორი ყურადღება ექცეოდა და ექცევა კახეთის ისტორიის შესწავლა-პოპულარიზაციას. მაგრამ, ალბათ, არც ის იქნება უადგილო და ზედმეტი, თუ ვიტყვით, რომ ყველა ერის ისტორიაში და მათ შორის ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაშიც, არ შეიძლება ყველაფერი ისე იყოს შესწავლილი და გამოკვლეული, რომ სადავო და აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობდეს ამა თუ იმ საკითხზე და პრობლემაზე. ხშირად ისეც ხდება, რომ მკვლევარებს შესასწავლი რჩებათ ისეთი საკითხები, რომლებიც მათ არ მიაჩნიათ შესწავლის ღირსად, ანდა ესა თუ ის საკითხი სპეციფიკურ ცოდნას, განათლებას და მიდგომას მოითხოვს მაძიებლისაგან, ყოველ შემთხვევაში, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ერის ისტორიაში საუკუნეთა მანძილზე თავს იყრის ე.წ. საკვანძო-პრობლემური საკითხები, რომლებიც სპეციალურ შესწავლა-გამოკვლევას მოითხოვენ. აღნიშნულ მიზეზთა გამო, გადავწყვიტეთ, რომ კახეთის მხარის მთისა და ბარის ისტორიიდან მკითხველს შეეთავაზოთ ჩვენ მიერ მრავალი წლის განმავლობაში ნაფიქრალ-ნამოღვაწარი და მრავალგზის აწონ-დაწონილ საკვანძო-პრობლემურ საკითხებზე დაწერილი მონოგრაფია, რომელიც ითვალისწინებს კახეთის მთისა და ბარის ისტორიის უფრო სრულყოფას, შევსებას და გამდიდრებას.

წინამდებარე გამოკვლევაში განსახილველ საკვანძო-პრობლემურ საკითხთა დასახელებაზე და მათ თავისებურება-სპეციფიკურობაზე არაფერს ვამბობთ, რადგან დაინტერესებული მკითხველი წინამდებარე მონოგრაფიის გულდასმით წაკითხვა-დამუშავებით თვითონ გაეცნობა და შეფასებაც, რა თქმა უნდა, მკითხველისათვის მიეკინდვია. ჩვენ მხოლოდ მკითხველს ვთხოვთ გულისხმიერ, ობიექტურ და საქმიან გამომხაურებას, რაც ისევ და ისევ იმ მიზანს უნდა ემსახურებოდეს, რომ ჩვენს მომავალ თაობებს გადაეცეთ, რაც შეიძლება სრულყოფილი, ამომწურავი და ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით დაწერილი ისტორია. რაც ამჟამად ჩვენ შეგვიძლია, ის ჩვენ უნდა გავაკეთოთ, ხოლო მომავალმა თაობებმა უნდა აკეთონ ის, რაც იმდროინდელ საქართველოს და ქართველ ერს დასჭირდება არსებობისა და დღევანდელი ბისათვის.

ქახეთის ისტორიის ზოგიერთ საკვანძო პირობებში  
საერთოთა გაგებისათვის

1.1 თელავის ქალაქად წარმოქმნის ისტორიისათვის

„ვისაც უნდა სხსნაული იხილოს, მან საყვ მთიანის  
ღაშეში თელავიდან აღმოსაღლეთით აღახნის ველს უნდა  
უყუროს. ყველუსო ყახეთო! ოქროსუერი ღვინის,  
სიხარულისა და სიამის ქვეყანაჲ!“

გერმანელი - არტურ ლაისცი

თელავის როგორც დასახლებული პუნქტისა და ქალაქის ირგვლივ დღემდე გამოქვეყნებულია სხვადასხვა ღირებულებისა და მოცულობის გამოკვლევები და წერილები. მათში უმთავრესად საუბარია იმის შესახებ, თუ თელავის ტერიტორია როდის დასტურდება როგორც სამოსახლო მიწა-წყლად და ან რომელი საუკუნიდან იწოდება ის ქალაქად. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს განსვენებული და ღვაწლმოსილი მეცნიერის პროფ. ლევან რჩეულიშვილის „თელავი“ (1963) და გამოჩენილი არქეოლოგის ქალბატონ ცისანა ჩიკოიძის „ქალაქი თელავი“ (1979). მკითხველს უნდა მოვახსენოთ, რომ ორივე მკვლევარი-მეცნიერი თელაველია და მათი აღნიშნული მონოგრაფიები საკვლევე პრობლემისადმი განსაკუთრებული სიყვარულით არის შესრულებული.

ხსენებული შრომებიდან ჩვენთვის, ამჯერად, საინტერესო და ყურადსაღებია ის განხილვა, რომ მეცნიერები თელავის ქალაქის ისტორიას იწყებენ ახ. წ. II საუკუნიდან და მათთვის სახელმძღვანელო წყაროს წარმოადგენს ახალი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნის ბერძენი გეოგრაფისა და ასტრონომის კლავდიოს პტოლემეისის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“ და უცხოელ გეოგრაფთა რუკებზე დაფიქსირებული თელავა-თელავი-თელადა, როგორც ქალაქი და როგორც ქარავანთა გასაჩერებელი დიდი სადგური.

პროფ. ლ. რჩეულიშვილთან ვკითხულობთ: – „თელავი საქართველოს სხვა ქალაქთა შორის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. თუ როდის დაარსდა იგი, ამის შესახებ ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ ისტორიულ წყაროებში ახალი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნიდან ის უკვე ქალაქად იხსენიება. უცხოელ გეოგრაფთა რუკებზე თელავა-თელავი-თელავზე ახლო აღმოსავლეთსა და ევროპას შორის სავაჭრო გზა არის დატანილი და ქარავანთა გასაჩერებელ დიდ სადგურად აღინიშნება“ /თელავი, 1963, გვ.5/.

ქალბატონი ც. ჩიკოიძე აღნიშნავს, რომ „თელავის ძველი სამოსახლოები როდის განვითარდა ქალაქური ტიპის დასახლებად, ამის შესახებ პირდაპირი მონაცემები არ გავაჩნია“, მაგრამ იქვე იმასაც დასძენს, რომ: „ერთ-ერთი უძველესი ცნობა თელავის შესახებ დაცულია ახ.წ. II ს-ის ბერძენი გეოგრაფის კლავდიოს პტოლემეაიოსის „გეოგრაფიაში“. იგი ალბანეთის აღწერის დროს ასახელებს ქალაქ თელავი-თელედას, რომელსაც ძველის კომენტატორები თელავთან აიგივებენ“ /იქვე, გვ.10/ და სქოლიოში მიუთითებს მათ შესახებ: /3 21, V, II, 1948, №1/. შენიშვნა 10. ამავე აზრს იზიარებენ: ს. ყაუხჩიშვილი, რას გვიაზობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ. 1964, გვ.73; ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემეაიოსის, გეოგრაფიული სახელმძღვანელო, ცნობები საქართველოს შესახებ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32; დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა, თბ. 1966, გვ. 36; ლ. რჩელიშვილი, თელავი, 1963, გვ. 5/.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ ქალბატონი ც. ჩიკოიძე დასძენს: „პტოლემეაიოსის თელედას თელავთან გაიგივება სარწმუნოდ გვეჩვენება, რადგან იგი თელედას მაინცდამაინც ალბანეთში /ე.ი. პერეთში/ გვისახელებს“ /იქვე/. ხოლო როდესაც ც. ჩიკოიძე ეხება „აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმავალ უძველეს მსოფლიო სავაჭრო გზას, და ღრმად სწამს, რომ ამ გზაზე იმთავითვე თელავი ერთ-ერთი თვალსაჩინო და ანგარიშგასაწევი ქალაქი-სადგური იქნებოდა, ასკენის შემდეგ: „როგორც ჩანს თელავი ამ მაგისტრალურ სავაჭრო გზასთან დაკავშირებული პუნქტია და ამდენად, სარწმუნოდ გვეჩვენება მისი ტელედასთან გაიგივება“ /იქვე, გვ. 11/.

თელავზე არის კიდევ ერთი სხვა გამოკვლევა, რომელიც მართალია, გზამკვლევის მოთხოვნილებათა პოზიციიდან არის შესრულებული, მაგრამ იქ მოხმობილი ისტორიული მასალა თუ მსჯელობა და დასკვნები ყურადსაღებია და, უმეტესწილად, დამაჯერებელი. შრომის ავტორი ბატონი ჯ. ხარიტონაშვილი ქ. თელავის ისტორიის ათვლას იწყებს ახ.წ. II საუკუნიდან და წყაროდ იყენებს აღნიშნულ საუკუნეში მცხოვრები ბერძენი გეოგრაფისა და ასტრონომის კლავდიოს პტოლემეაიოსის „გეოგრაფიის სახელმძღვანელოში“ მოხსენიებულ ქ. „ტელადა“-ს. იგი წერს: „თელავი პირველად მოიხსენიება ბერძენი გეოგრაფის პტოლემე კლავდიოსის /II ს/ „გეოგრაფიაში“ – „Telada“ /ჯ. ხარიტონაშვილი, თელავი, 1990, გვ.6/. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოკვლევის ავტორი სხვაგანაც დაბეჯითებით დასძენს ქ. თელავის სიძველის თაობაზე და დაუეჭვებლად აცხადებს: „კახეთის ქალაქებს შორის ერთ-ერთი უძველესია თელავი“ /იქვე, გვ.4/

ახ. წ. მეორე საუკუნიდან თელავის ქალაქად ყოფნის ჭეშმარიტებაზე მიუთითებს აკად. სიმონ ყაუხჩიშვილის შემდეგი განმარტება: „როგორც ჩანს, კლავდი პტოლემე იცნობს აგრეთვე ქალაქ თელავს“ /რას გვიაზობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, 1964, გვ.73/.



თელავი რომ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია და მისი ისტორია ახ.წ. II საუკუნიდან კი არა, ამაზე ადრინდელი საუკუნეებიდან უნდა მომდინარეობდეს – ადრე გამოთქვი ჩემი საკუთარი მოსაზრება /გაზ. „ალაზნის განთიადი“, 1978, №22,23/ და აქაც, ამ წერილში (თელავის ქალაქად წარმოქმნის ისტორიისათვის, გაზ. „თელავის მოამბე“, №16, 17, 2000/, მე კვლავ ძველ პოზიციას ვდგევარ, რადგან დროთა ვითარებაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უფრო მეტი დამაჯერებლობა ჩამომიყალიბდა, რასაც მკითხველი აქვე გაეცნობა და თვითონ ექნება შესაძლებლობა თუ რომელ პოზიციას უნდა დაუჭიროს მხარი.

თელავის ქალაქად წარმოქმნის საკითხთან დაკავშირებით ჩემ მიერ პირველი წერილის დაწერა განაპირობა გაზ. „ალაზნის განთიადის“ მაშინდელი რედაქტორის ოთარ ხუციშვილის თხოვნამ, რადგან ხსენებული გაზეთის ყოფილ რედაქტორ შ. როსტომაშვილსა და გეოგრაფიის მასწავლებელ იაშა გურგენოვს შორის მიმდინარეობდა დაუსრულებელი და უკვე მოსაბეზრებელი პაექრობა თელავის ქალაქად წარმოქმნის თაობაზე.

განმეორებით ამავე საკითხის შესახებ ჩემ მიერ ახალი სტატიის დაწერა გამოიწვია კახეთის სამხარეო და რაიონული ხელმძღვანელების მიერ 2000 წლის შემდგომზე თელავში სრულიად საქართველოს მასშტაბით დიდი სახალხო ზეიმის ჩატარებისათვის მზადებამ, რაც გათვალისწინებული იყო სახელოვანი მეფე-სარდლის ერეკლე მეორის დაბადებიდან 280 წლისთავისა და ქ. თელავის 800 წლის ისტორიის აღსანიშნავად. ჩემი ყურადღება საიუბილეო მზადების პერიოდში მიიქცია ქ. თელავის ისტორიის 800 წლით განსაზღვრამ, რის გამოც ვალდებული ვაგხდი საქმეში ჩაერეულიყავი და მეთქვა, რომ ჩვენ სრული უფლება გვაქვს ქ. თელავს გადაუხადოთ 1800 წლის იუბილე და არა 800 წლისთავი-მეთქი. აღნიშნულიდან გამომდინარე, დამეველა წერილობით დამესაბუთებინა ჩემი პოზიცია და ჩემს თავზე ამელო პასუხისმგებლობა. მე, რა თქმა უნდა, ეს საპატიო თხოვნა შეევასრულე და სრულიად საქართველომ 2000 წლის 7 ნოემბერს ქ. თელავში იდღესასწაულა და საკადრისი პატივი მიაგო ორივე საიუბილეო თარიღს.

თელავის ქალაქად წარმოქმნის თაობაზე კამათს და აზრთა სხვადასხვაობას ყოველთვის იწვევს მთელი რიგი ფაქტორები, რომელთაგანაც უმთავრესია: 1. ქართულ წერილობით ძეგლებში, როგორცაა „მოქცევაი ქართლისაი“, „მეფეთა ცხოვრება“ და სხვა, სადაც საუბარია საქართველოში უძველესი ქალაქების და ციხე-ქალაქების მშენებლობა-დაფუძნების შესახებ, თელავზე არაფერია ნათქვამი; 2. ზოგიერთი მკვლევარი სწორად ვერ კითხულობს ვახუშტი ბაგრატიონს იმასთან დაკავშირებით, როცა იგი განმარტავს თელავის კახეთ-ჰერეთის სამეფოს დედაქალაქად შერჩევის თაობაზე და უშვებენ სერიოზულ შეცდომებს; 3. ახ.წ. II საუკუნის ბერძენი გეოგრაფ-ასტრონომის კლავდიოს პტოლემეაიოსის მიერ ალბანეთის სამეფოს

ქალაქების ჩამოთვლისას მოხსენიებულ ქ. ტელაიბას /ტელედას/ ზოგი ქ. თელავთან აიგივებს, ხოლო არიან ისეთებიც, რომელთაც არ სჯერათ, რომ ქ. ტელაიბა /ტელედა/ და ქ. თელავი ერთი და იგივეა.

ჩვენი კვლევა-ძიება თელავის ქალაქად დაფუძნების თაობაზე ითვალისწინებს აღნიშნულ ურთიერთგამორიცხავ წინააღმდეგობათა არსში გარკვევას და ყველა სხვა დანარჩენ შესაძლებლობათა გათვალისწინებით საქართველოს ისტორიის, მართლაცდა, ამ ერთ-ერთი ურთულესი საკითხის მკითხველთა ფართო წრეებისათვის რამდენადმე გასაგებად და დამაჯერებლად გაშუქებას.

ვახუშტი ბაგრატიონს არსად არ აქვს ნათქვამი იმის შესახებ, თუ თელავი, როგორც დასახლებული პუნქტი ან ქალაქი, როდიდან არსებობს. ვახუშტი ამ საკითხით არ დაინტერესებულა. ზოგიერთი მკვლევარის შეცდომა ც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი სწორად ვერ უგებენ სახელოვან მეცნიერს. გულდასმით მოვეუსმინოთ ვახუშტი ბატონიშვილს, დაუუკვირდეთ მის მსჯელობას და ყველაფერი ნათელი იქნება: „ხოლო გულგულას ქუეით, თურღოს ზევის სამხრით არს თელავი, რომელი ჰყო კვირიკემ, პირველ გამეფებულმან კახეთს და ჰერეთს სასახლე დიდი, ვითარცა ქალაქი“ /ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 548/.

ვახუშტიდან მოტანილი ამონაწერის შინაარსი არავითარ შემთხვევაში არ გვაძლევს უფლებას სხვაგვარად ვიმსჯელოთ, თუ არა ისე, როგორც ეს დიდ მემკვიდრესთან არის. ვახუშტი არ ახსენებს კვირიკე პირველს. აბა, დაუუკვირდეთ ტექსტს, მეცნიერი სიტყვა „პირველს“ კვირიკესთან ერთად კი არ ხმარობს, არამედ ეს სიტყვა ეკუთვნის იმას, ვინც პირველმა გააერთიანა კახეთ-ჰერეთი, შეიქმნა ერთიანი სახელმწიფო ცენტრით თელავით და იყო მისი პირველი მეფე. აღნიშნულთან ერთად ისიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ ჩვენთვის საინტერესო ორი ფრაზა – „რომელ ჰყო კვირიკემ“ და „პირველ გამეფებულმან კახეთს და ჰერეთს“, სასვენი ნიშნითაა გამოყოფილი. აღნიშნული ამონაწერის სასვენი ნიშნის გარეშე წაკითხვამ და გამოყენებამ ბევრს მიაყენა უსიამოვნება.

ვახუშტი ბაგრატიონი რომ კვირიკე მესამეზე (დიდზე) ლაპარაკობს და არა კვირიკე პირველზე, ეს მასთან სხვაგან უფრო ნათლად ჩანს: „ხოლო შემდგომად ბაგრატ მეფის სიკვდილისა /საუბარია ბაგრატ III-ზე, რომელიც 1014 წელს გარდაიცვალა, ვ.ე/ ამან კვირიკემ დაიპყრა კახეთი და ჰერეთიცა და იწოდა მეფედ კახთა... ამანვე შეაერთა კახეთი და ჰერეთი. კუალად ამანვე ჰყო სასახლე თიანეთს სახელოვანი, ამანვე ჰყო თელავი სასახლედ და ტახტად კახეთისა და ჰერეთისა“ /იქვე, გვ. 561/.

კვირიკე პირველი, რომელიც კახეთის მთავარი იყო ვახუშტის მიხედვით, 891-918 წლებში, კახეთ-ჰერეთის მეფე ვერ იქნებოდა, რადგან ჰერეთის სამთავრო მის დროს დამოუკიდებლად არსებობდა. მართალია, მას სურდა ჰერეთის დაპყრობა, ბევრსაც ეცადა, აფხაზთა მეფე კონსტანტინეც კი მოუწვევია

დასახმარებლად, მაგრამ ვერაფერს გამხდარა და ბოლოს მათ შორის ზავი გაფორმებულია: „მერმე დაზავდნენ ვეჯინს, – შენიშნავს ვახუშტი, – დაშთა ჰერეთი ადარნასე პატრიკს, ხოლო კახეთი – კვირიკეს“ /იქვე, გვ.559/.

ჰერეთი, როგორც ვახუშტი გადმოგვცემს, კვირიკე III-მ /1010-1039წ.წ./ დაიპყრო, კახეთ-ჰერეთი გააერთიანა და შექმნა ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც საკადრისი სატახტო ქალაქიც გაუჩინა – იმ დროისათვის უკვე სახელმძღვანელო თელავის სახით.

საკითხი გარკვეულია. ვახუშტის მიხედვით ვიგებთ, რომ თელავი XI საუკუნის 10-იანი წლებიდან, კერძოდ 1014 წლიდან, როცა გარდაიცვალა ბაგრატ III, ჯერ კახეთის, ხოლო შემდგომ წლებში იმავე კვირიკე III დროს /1010-1039წ.წ./ კახეთ-ჰერეთის სატახტო ქალაქად გამოცხადდა. ყოველივე ეს კი იმას ნიშნავს, რომ თელავი კვირიკე III-მე კი არ დააარსა, არამედ მან უკვე არსებული ქალაქი ახლად შექმნილი სამეფოს რეზიდენციად აირჩია და დიდებული სასახლე აიშენა.

XI საუკუნის პირველ მეოთხედში კახეთ-ჰერეთის ერთიანი სახელმწიფოს პოლიტიკურ ცენტრად თელავის გამოცხადების ფაქტი უფლებას გვაძლევს, რომ თელავის ქალაქად წარმოქმნა-ჩამოყალიბების ისტორია XI საუკუნემდელ წარსულში ვეძებთ. ამ საქმეში ვახუშტიცა და საერთოდ, ქართული საისტორიო მწერლობაც სდუმან და არაფერს ამბობენ. საქმის ვითარება კი ჭეშმარიტად მიგვანიშნებს, რომ თელავის ისტორია შორეულ საუკუნეებში უნდა იღებდეს სათავეს.

ეტიმოლოგიური თვალსაზრისით სიტყვა თელავს პირველად ყურადღება მიაქცია აკად. ივანე ჯავარიშვილმა. განსვენებული მეცნიერის განმარტებით, სახელწოდება თელავი წარმოქმნილა მცენარე თელადან, სადაც „ვი“ ძველ ქართულში მრავლობითი რიცხვის ნიშანია და თანამედროვე ქართული ენის ნორმებით ნიშნავს თელები /ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, 1913, გვ. 11/. ქართველი ერის სახელოვანი მეცნიერის მიერ თელავის სახელწოდების წარმომავლობა-შედგენილობისა და თავდაპირველი მნიშვნელობის თაობაზე გამოთქმული მოსაზრება არავის დაუყენებია ეჭვქვეშ და პირიქით კი არის, რომ ყველა ხსენებული განმარტებით სარგებლობს /ლ. რჩეულიშვილი, თელავი, 1963, გვ.5; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.4, 1979, გვ. 644 და სხვ./.

აკად. ივ. ჯავახიშვილი თელავის ქალაქად წარმოქმნის საკითხს არ შეხებია, ხოლო როდესაც იგი „ტყეობა“ – „გოლგოლა“-„გულგულის“ სახელწოდებათა თაობაზე მსჯელობს, შენიშნავს, რომ: „გოლგოლას სამხრეთით მდებარეობდა თელავი, მაგრამ არა ჩანს, რა მნიშვნელობა ჰქონდა მას ამ დროს“ /ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, 1965, გვ. 46/. მეცნიერი წყაროდ უთითებს „მატიანე ქართლისაი“-ს. ხსენებული წყაროს მიხედვით. როგორც ბატონი ივანეც შენიშნავს, ვერ ვიგებთ თუ თელავი რა სახელწოდებას ატარებს, ის ქალაქია თუ სოფლის ტიპის დასახლება?

X საუკუნის არაბი ისტორიკოსის ალ-მუკადდასის მიერ საქ-ოსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სახელმწიფოებში ქალაქთა შორის თელავიცაა დასახელებული. „საგულისხმოდ ფაქტია, – წერს პროფ. ლ. ჭილაშვილი, – რომ თელავი არაბული ტრანსკრიპციით თებლა, როგორც ქალაქი მოხსენებული აქვს X საუკუნის მიწურულში შექმნილი არაბული თხზულების ავტორს ალ-მუკადდასის. მისი გადმოცემით ბარდაეთან ქალაქებია: თბილისი, კალა /გარდაბანი/, ხუნანი, შამქარი, განჯა, ბერდიჯი, შამახია, შარვანი, ბაქო, შაბირანი, კართა კარი /დარუბანდი/, ახსახი, კაბალა, შაქქი, მალაზკერდი და თებლა /თელავი/“ /ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტ. II, 1970, გვ. 77/. იგივე ავტორი შენიშნავს, რომ „ალ-მუკადდასის მიერ აღწერილი პუნქტები იმდროინდელი აღმოსავლეთის საკმაოდ ცნობილი ქალაქებია და, ჩანს, თელავიც უკვე სახელოვან ქალაქთა რიგში მოიხსენიება“ /იქვე/. ასევე შენიშნავს აკად. მ. ლორთქიფანიძე /საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, 1973, გვ. 349/. ხსენებული არაბი ისტორიკოსი იმასაც აღნიშნავს, რომ „თელავის მოსახლეობის დიდ ნაწილს ქრისტიანები შეადგენენ, სადაც მხოლოდ 500 კომლი ყოფილა მაჰმადიანებისა. თუ ამ წყაროს ვერაწმუნებით, თელავი საკმაოდ ხალხმრავალი ქალაქია X საუკუნეში“ /იქვე, გვ. 349-350/.

რაკი არაბული წყარო X საუკუნეში თელავს აღმოსავლეთის მაღალი რანგის ქალაქებს შორის ასახელებს, სრულიად მართებული და ლოგიკური იქნება თუ ვიტყვი, რომ ქ. თელავი X საუკუნემდე დიდი ხნით ადრე უნდა ყოფილიყო, იგი X საუკუნეებშიღა წარმოქმნილი ვერ გაუტოლდებოდა თბილისს, შამქორს, განჯას, შარვანს, დარუბანდს, ბაქოს, შაქქს და სხვა.

ცნობილია, რომ არაბთა ბატონობა პირველად კახელებმა დაამხეს. VIII საუკუნის შუა ხანებიდან ისინი არაბებს თითქმის არაფრად აღარ აგდებდნენ, ბოლოს თავიც გაინთავისუფლეს და „VIII საუკუნის დამლევისათვის კახელებმა უკვე თავიანთი მთავრობაც გაიჩინეს და საკუთარი მართვა-გამგეობა მოაწყვეს“ /საქართველოს ისტორია, ტ. I, 1958, გვ. 122/.

მართალია, კახეთის სამთავროს ჩამოყალიბებისა და მის მომდევნო – IX საუკუნეში თელავი დღემდე მიკვლეულსა და გამოვლენილ წყაროებში არსად არ იხსენიება და ამ სამთავროს ცენტრი ივრის ხეობაში – თიანეთშია, სადაც, აქ, ამ დროს, არაერთი ძლიერი ციხესიმაგრეა: უჯარმა, ბოჭორმა, ვერონა, კვეტერა და სხვა, მაგრამ ყოველივე ეს იმას არ ნიშნავს, რომ თელავი VIII საუკუნის მეორე ნახევარში, როცა კახეთის სამთავროს გაძლიერება-აღმავლობა ხდება და შემდგომ IX საუკუნეშიც, იმდენად დაქვეითებული და დაკნინებული ყოფილიყო, რომ მას ამ საერთო საქმიანობაში სათანადო როლი არ შეესრულებინა.

ასეთი მსჯელობის დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ თიანეთის რაიონი შედარებით უფრო მწირი და მთიანი ზოლია, თელავი

ნაყოფიერი და ნოყიერი მიწის ზოლში იმყოფება. მიწათმოქმედება და, განსაკუთრებით, მიწათმოქმედების უფრო ინტენსიური დარგი – მევენახეობა, აქ ყველაზე უფრო მეტად უნდა ყოფილიყო იმთავითვე განვითარებული.

ამას გარდა, იმ დროს, როდესაც საკუთრივ კახეთის სამთავრო ხანგრძლივ ბრძოლას ეწეოდა არაბებთან, ჰერეთის სამთავროს მათთან შედარებით მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდა, რამაც ხელი შეუწყო აქ ფართო აღებ-მიცემობის გაშლა-გაცხოველებას არაბებთან და, ამის შესაბამისად, ამ მხარის /ე.თ. ჰერეთის სამთავროს/ ეკონომიურ დაწინაურებას“ /საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 385/.

აღნიშნულ მონაცემებს ისიც უნდა დაემატოს, რომ X საუკუნის არაბი ისტორიკოსის – ალ მუკადდასის „ჩვენებით, თელავი გზაზე იდო, რომლითაც ჰუვეიდან შეიძლებოდა მისვლა თბილისს. აქედან კი თელავამდე, შემდეგ შაქამდე და ლაქზანამდე ორი გარდასასვლელი იყო. შემდგომი მონაკვეთი გზისა კართა კარამდე /დარუბანდამდე/ სამი გადასასვლელი იყო განსაზღვრული“ /ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტ. II, 1970, გვ.77/.

თელავის გეოგრაფიული მდებარეობა, არაბებთან შედარებით მშვიდობიან ურთიერთობაში მყოფ ჰერეთთან მეზობლობა და ადრიდანვე დიდ სავაჭრო გზაზე ყოფნა-განაშენიანება, ოდნავადაც არ გვაეჭვებს თუ ვიტყვით, რომ VIII საუკუნის მეორე ნახევრის დასასრულისთვის და IX საუკუნეში თელავი ერთ-ერთი დაწინაურებული ქალაქი იქნებოდა. „სრულიად შესაძლებლად მიგვაჩნია, – წერს პროფ. ლ. ჭილაშვილი, – სხვა ქალაქების მსგავსად იგიც /თელავი, ვ.ე/ განსხვავებული იყოს IX-XI საუკუნეებში, მისი პოლიტიკური დაწინაურების დროს“ /დასახელებული შრომა, გვ. 78/.

ისმება კითხვა და სრულიად სამართლიანად, თუ ჩვენი მსჯელობა და დასკვნები სინამდვილეს შეეფერება, რატომ თავიდანვე თელავი არ იქნა გამოცხადებული კახეთის სამთავროს პოლიტიკურ ცენტრად? საქმე შემდეგშია: კახეთის სამთავროს თავდაპირველი ლოკალიზირება იწყება დარიალ-არაგვის ხეობებსა და მათს განფენილობაში, სადაც ბერძნულ-სომხურ-არაბულ-ქართული წყაროების მიხედვით მოხსენიებული სანარები /წანარები/ ცხოვრობდნენ /ივ. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე, ს. ჯანაშია, თ. პაპუაშვილი, ბ. სილაგაძე, მ. ლორთქიფანიძე, დ. მუსხელიშვილი, ნ. ლომოური და სხვ/

ამ წანართა და მთისა და ბარის ადგილობრივმა კახური მოსახლეობის ბოლომოუღებელმა და შეუდრეკელმა ბრძოლებმა დაამხო არაბთა ბატონობა თავდაპირველად დარიალის, არაგვის, ივრის ხეობებსა და საერთოდ მტრებისათვის შედარებით ძნელად მიუვალ კახეთ-ჰერეთის მთიან ზოლში. რა თქმა უნდა, წარმოქმნა-ჩამოყალიბების პროცესში, თუ შემდგომშიც გარკვეულ დრომდე, ამ სამთავროს ცენტრი მთიანეთში იქნებოდა. სიფრთხილედ იყო საჭირო, მტერი დროადრო მაინც აწყობდა დიდ შემოსევებს. გავიხსენოთ ბუღა თურქის 853 წლისა და 914 წლის აბულ კასიმის დიდი ლაშქრობა

საქართველოში. ორივე შემოსევის დროს კახეთის სამთავროზე საგანგებოდ მახვილდებოდა ყურადღება, რადგან ხალიფას წინააღმდეგ გამძვარ თბილისის ამირებს ის თანაუგრძობდა და მხარს უჭერდა. ახულ კასიმმა აიღო უჯარმისა და ბოჭორმის ციხეები, მაგრამ წინ ველარ წაიწია, რადგან დამპყრობლებს კახელებმა საკადრისი პასუხი გასცეს.

თავის დროზე რა მდგომარეობამაც განაპირობა კახეთის სამთავროს ცენტრის მთიან ზოლში ყოფნის აუცილებლობა, ახლა სრულიად სხვა მიზეზებმა აიძულა სამთავროს ხელისუფალნი, ერწო-თიანეთის ტერიტორია დაეტოვებინა და თბილისიდან შედარებით დაშორებულ თელავში გადმოეტანა ცენტრი.

მას შემდგომ, რაც გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ III-მ 1008 წელს შემოიერთა შავშეთ-კლარჯეთი, სამცხე და ჯავახეთი, ველარ ურიგდებოდა კახეთისა და ჰერეთის სამთავროების დამოუკიდებლობას. „1010 წლის ახლო ხანებში ბაგრატი კახეთში გადავიდა, მისი მეფე დაიჭირა და კახეთ-ჰერეთიც შემოიერთა“ /საქართველოს ისტორია, ტ. I, 1958 წ., გვ. 140/. ბაგრატ III-ის გარდაცვალების შემდგომ /1014 წელი/ კახეთ-ჰერეთის სამეფო კვლავ გამოყო გაერთიანებულ საქართველოს სახელმწიფოს და დამოუკიდებლობა მოიპოვა. ბრძოლა ამ ორ ქართულ სახელმწიფოს შორის შემდგომშიც მწვავე ხასიათს ღებულობს. საქართველოს მეფეები სწვავენ და ანადგურებენ ივრის ხეობაზე არსებულ კახეთ-ჰერეთის სამთავრო-სამეფოს ციხესიმაგრეებს, მის პოლიტიკურ ცენტრს – ბოდოჯის სასახლეს /თიანეთში/, აღნიშნულმა ვითარებამ აიძულა კახეთის სამთავრო-სამეფოს ხელისუფალნი ერწო-თიანეთიდან ცენტრი თბილისთან შედარებით დაშორებით თელავში გადმოეტანათ /საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 385; მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან, გვ. 24-25; დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, გვ. 118-119/.

პროფ. ლ. ჭილაშვილს, როგორც ფეოდალური საქართველოს ქალაქების სახელოვან მკვლევარს სწამს, რომ ქ. თელავი ანტიკური ხანის დროსვე უნდა ყოფილიყო, რომელიც მთელ რიგ სხვა ქალაქებით უნდა დაცემულიყო ადრე ფეოდალურ ხანაში. იგი წერს: „ადრე კი არ არის გამორიცხული, ასევე /ე.ი. როგორც IX-X საუკუნეებში იყო, ვე-/ მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილიყო, რომელიც ადრეფეოდალურ ხანაში დაეცა... სრულიად არ უარყოფთ, რომ თელავი ძველი ქალაქია“ /დასახ. შრომა, გვ. 78/.

ერის ისტორიის თანამედროვე მკვლევარები ითვალისწინებენ რა იმ ობიექტურ ჭეშმარიტებას, რომ თელავის ცენტრში აღმართული „ღვთაების ეკლესიის“ თავდაპირველი ნაშენობა თარიღდება V-VI საუკუნეებით და ამავე საუკუნეებს განეკუთვნება თელავის სიახლოვეს, ალაზნის მიმართულებით შესწავლილი ორი ტაძრის ხნოვანებაც, შენიშნავენ: „ამრიგად, უკვე ითქმის, რომ ქალაქ თელავის ისტორიის საწყისი გადასატანია უფრო ძველ ხანაში, კერძოდ, ადრე ფეოდალური ხანის პირველ ნახევარში, ვიდრე იქ კახეთის პირველი

სამეფოს მესვეურნი დამკვიდრდებოდნენ. ამ მხრივ ის გარემოებაც ყურადსაღებია, რომ ქალაქის უახლოეს მიდამოში, ალაზნის პირას, გათხრილ იქნა ორი თავისებური ტაძრის ნანგრევები და ეს ტაძრები აღნიშნულ დროს მიეკუთვნება“ /საქართველოს ისტ. ნარკვევები, ტ. II, 1973, გვ. 554-552/.

აქ მოტანილი ამონაწერი ეკუთვნის უდროოდ გარდაცვლილ სახელოვან არქეოლოგს და მრავალმხრივ საინტერესო მოღვაწეს ბატონ გიორგი ლომთათიძეს, რომელიც 1962 წელს ხელმძღვანელობდა ქ. თელავისა და ისტორიული ალვანის ველის არქეოლოგიურ გათხრებს და იმავე წელს მეცნიერმა აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის საველე-არქეოლოგიურ სესიაზე წარადგინა დიდად საინტერესო მოხსენება „თელავ-ალვანის 1962 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში“. განსვენებული მეცნიერის მიერ მიგნებულ და სააშკარაოზე გამოტანილ არაერთ სიახლეთა შორის ჩვენთვის, ამჟამად, ის არის, რომ საყოველთაოდ აღიარებულმა მეცნიერმა ქ. თელავისა და მის შემოგარენში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ანალიზზე დაყრდნობით თელავის ქალაქად წარმოქმნის ისტორია „ადრეფეოდალური ხანის პირველ ნახევარში“ დააფიქსირა, როგორც ლოგიკურად დასაბუთებული რეალობა და სამართლიანად ეჭვქვეშ დააყენა მანამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მტკიცებულებანი იმის შესახებ, რომ, თითქოსდა, თელავის ქალაქად აღმშენებლობა-ჩამოყალიბება განეკუთვნება X-XI საუკუნეებს და ის მანამდე მხოლოდ სამოსახლოს და ვაჭარ-მოქარავენთა გასაჩერებლად დიდ სადგურს წარმოადგენდა; რომ ქ. თელავი ადრეფეოდალური ხანის პირველ ნახევარში უკვე იქნებოდა და ის ვერ ასცდებოდა ქართლის მეფეთა დაულალავ ლტოლვას ქართლის სამეფოს საზღვრების აღმოსავლეთით გაფართოებისათვის და ამ საქმეში თელავს თავისი გეოგრაფიულ-პოლიტიკური და სტრატეგიული მდებარეობით დიდი როლი უნდა შეესრულებინა, ეს ვითარება კარგად გამოვლინდა ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს.

ვახტანგ გორგასალმა V საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ციხე-ქალაქ უჯარმის აღმშენებლობა-გაფართოებას, რომელიც თავის ერთ-ერთ საიმედო და ძლიერ ციხე-ქალაქად აქცია; ჭერემს, ხორნაბუჯს, რაც გამიზნული იყო იმისათვის, რომ მას თავისი პოლიტიკური გავლენის ქვეშ უფრო მტკიცედ მოექცია ალბანეთის სახელმწიფოს დასავლეთი რაიონები და გაეფართოებინა ქართლის სახელმწიფოს საზღვრები ისტორიული ჰერეთის ხარჯზე. ვახტანგ მეფის ამ უდიდეს აღმშენებლობით განმტკიცება-განახლება-გამაფართოებელ საქმიანობას ქ. თელავი ვერ ასცდებოდა, რადგან ის უშუალოდ მდებარეობდა ქართლისა და ალბანეთის ადრინდელ სასაზღვრო ხაზზე. ასეთმავე გარემოებამ და განსაკუთრებულმა პოლიტიკურმა ვითარებამ გამოიწვია ქართლის სახელმწიფოს სამხრეთით ციხე-ქალაქ არტანუჯის საგანგებოდ განმტკიცება-გაძლიერება და მის მშენ

ხდება, როცა არ არსებობდა შესაფერისი პირობები ახალი ქალაქების წარმოქმნისათვის, ხოლო ანტიკური ქალაქები კი ძლივს არსებობდნენ. „მოუხედავად ამისა, – შენიშნავს პროფ. ლ. ჭილაშვილი, – გარდამავალ ხანაში /IV-VI სს./ აღწევენ ზოგიერთები დიდ წარმატებებს /თბილისი, უჯარმა, ჭერემი, არტანუჯი/. ეს შეიძლება აიხსნას შექმნილი პოლიტიკური ვითარებით, რამაც გამოიწვია ზემოთ აღნიშნული პუნქტების განსაკუთრებული წინსვლა და დაწინაურება“ /იქვე, გვ. 169/.

ფეოდალიზმამდელ საქართველოში ქ. თელავის არსებობის შესახებ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ქართული წყაროები სდუმან და არაფერს ამბობენ. არსებობს მხოლოდ ერთადერთი წყარო ახ.წ. II საუკუნის ბერძენი ასტრონომ-გეოგრაფის კლავდიოს პტოლემეაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, სადაც იბერია /ქართლი/ და ალბანეთი ცალკე-ცალკე არის აღწერილი. ალბანეთის ქალაქებისა და სოფლების ჩამოთვლისას მოხსენიებულია „ქ. ტელაიბა“. იგი ალბანეთის ქალაქებს ერთად ჩამოთვლის, სულ ოთხი ქალაქი აქვს დასახელებული, ესენია: „მდ. სოანას იქით ქ. ტელაიბა, მდ. ეგროსის შესართ. ქ. გელადა, მდ. კასოუსის შესართავთან ქ. ალბანა, მდინარე ალბანოსის შესართავთან ქ. გაიანა“. /ნ. ლომოური, კლავდიოს-პტოლემეაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ. იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, 1955, გვ. 47/.

ისტორიული იბერიისა /ქართლის/ და ალბანეთის საზღვარი ლეონტი მროველისა და ვახუშტის მიხედვით გადიოდა გომბორის უღელტეხილზე. მიჰყვებოდა მდ. თურდოს, სოფ. გულგულასთან კვეთდა აღაზანს და სტორის ხეობის გაყოლებით მიადგებოდა კავკასიონს. თითქმის ამავე საზღვრებშია წარმოდგენილი კლავდიოს პტოლემეაიოსის ქართლი და ალბანეთი. ქ. ტელაიბა პტოლემეაიოსის მიხედვით ადგილგადანაცვლებულია და იქ კი არ აღინიშნება, სადაც ამ ორ ქვეყანას შორის საზღვარი გადიოდა, არამედ მისგან დაშორებით, სადაც კასპიის ზღვის სანაპიროზე.

ქ. ტელაიბას ქვეშ რომ ქალაქ თელავი ვიგულისხმობთ, როგორც ბერძნული ენისათვის შესატყვისი ფორმა, ვფიქრობთ, არ იქნება უსაფუძვლო. აქ ისეთივე მდგომარეობაა, როგორც თუშების მიმართ იქცევა პტოლემეაიოსი. იგი წერს: „კავკასიის მთასა და კერვანის მთებს შორის – ტუსკები და დიდურები“ ცხოვრობენო /ნ. ლომოური, დასახ. შრომა, გვ. 44/. ტელაიბა და ქ. თელავი, თუშები და ტუსკები ბერძნული ენის ბუნებიდან გამომდინარე ფორმაა. საქმეს მხოლოდ ის ართულებს, რომ კლავდიოს პტოლემეაიოსის ქ. ტელაიბა იქ არაა, სადაც ჩვენ გვინდა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, და ეს თავისებურება, რა თქმა უნდა, უეჭველად უნდა იქნეს მიღებული, რომ პტოლემეაიოსთან ასეთი მაგალითები საკმაოდ ბევრია, მაშინ ქ. ტელაიბასა და ქ. თელავის იგივეობის საკითხი შეიძლება დასაეჭვებელი აღარ იყოს; ისიც უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, რომ სპეციალისტების მიერ დღემდის



ვერაფრის ღიღებით ვერ მოხერხდა პტოლემეაიოსის ქ. ტელაიბას ადგილზე ასეთი ანდა მასთან მიმსგავსებული სხვა ქალაქის არსებობის დადასტურება.

პტოლემეაიოსის დასახელებული ქალაქების, სოფლებისა და მდინარეების ამოკითხვის სიძნელეთა შესახებ პროფ. ნ. ლომოური შემდეგს შენიშნავს: „აღბანიაში პტოლემეაიოსი განსაკუთრებით მრავალრიცხოვან გეოგრაფიულ პუნქტებს ასახელებს. ამასთან ამ პუნქტების უმეტესობა სხვა წყაროებისთვის უცნობია, რის გამო აღბანიაში მითითებული ქალაქებისა და სოფლების ლოკალიზაცია ძნელდება. ამ ლოკალიზაციისათვის აუცილებელია იმ მდინარეების დადგენა, რომელთა შორისაც პტოლემეაიოსი სოფლებსა და ქალაქებს ათავსებს, მაგრამ მეცნიერები ღღემდე სხვადასხვა ინტერპრეტაციას აძლევენ ამ მდინარეებს და ამდენად სხვადასხვაგვარად განმარტავენ დასახელებულ პუნქტებსაც“ /ნ. ლომოური, დასახ. შრომა, გვ. 60/.

იმისათვის, რომ მკითხველი უფრო დამაჯერებლად შევაგუოთ იმ აზრის სინამდვილეში, რომ კლავდიოს პტოლემეაიოსის ქ. ტელაიბა იგივე ქ. თელავი უნდა იყოს და შეცდომით არის სხვაგან დასახელებული, თავს უფლებას მივცემთ, კიდევ ერთი ვრცელი ამონაწერი მოვიყვანოთ პროფ. ნ. ლომოურის ხსენებული შრომიდან. იგი წერს: „ხოლო როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს ალექსანდრიიდან ესოდენ მოშორებული ქვეყნის აღწერასთან, როგორც კაკასია არის, რომლის შედგენისას ავტორს ხელთ ჰქონდა არაასტრონომიული გაზომვების მონაცემები, არამედ საეჭვო სიზუსტის საგზაო ჩანაწერები, მოგზაურთა, ვაჭართა და სამხედრო პირთა ნაკლებად სანდო გადმოცემები და სხვა ამგვარი წყაროები, მისი კოორდინატები სრულიად გამოუყენებელი ხდება. პტოლემეაიოსის ცნობების შესწავლისას ეს კოორდინატები სრულიად უგულვებელვყოთ და „გეოგრაფიული სახელმძღვანელოს“ მონაცემთა ინტერპრეტაცია მოვახდინოთ ამ მონაცემთა სხვა, ძველ ავტორთა ცნობებთან შეჯერება-შედარების გზით. ამასთან, აუცილებელია ადგილობრივი ტოპონიმიკური მასალის გათვალისწინება“ /იქვე, გვ. 40/.

კლავდიოს პტოლემეაიოსის წინამორბედ ბერძენ გეოგრაფ-ისტორიკოს-მოგზაურებთან ქალაქი თელავი არ მოიხსენება, რომ შეჯერება-შედარების გზით დავადასტუროთ ქ. ტელაიბასა და ქ. თელავის იგივეობის საკითხი. გერჩება მხოლოდ ერთი შესაძლებლობა და ეს არის „ადგილობრივი ტოპონიმიკური მასალის გათვალისწინება“. ამ მხრივ კი საქმე ჩვენს სასარგებლოდ მეტყველებს: – ქ. ტელაიბა პირდაპირ შესატყვევისება ტოპონიმიკური თვალსაზრისით ქ. თელავს. აღნიშნულთან ერთად ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ თუ აღბანეთის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ქალაქი ამა თუ იმ მდინარის შესართავთან მდებარეობს ქ. ტელაიბა აღინიშნება მდ. სოანას იქით; ჩვენი თელავიც მდ. თურღოს გვერდითაა, მისგან აღმოსავლეთით და არა შესართავთან.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პტოლემეაიოსთან ეთნიკური თუ გეოგრაფიული სახელების ადგილგადანაცვლების მრავალი შემთხვევა დასტურდება

და ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნული თავისებურება უეჭველად უნდა გავითვალისწინოთ, მაშინ კლავდიოს პტოლემეაიოსის ქ. ტელაიბა /ქ. თელავი/ ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნეზე ადრე უნდა ჩამოყალიბებულიყო, რადგან „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“-ს ავტორი სარგებლობს მის წინამორბედთა და თანამედროვეთაგან მოპოვებული მასალებითა თუ მისთვის მისაწვდომი ლიტერატურით, რაც კი კავკასიას შეეხებოდა.

ქ. თელავის ისტორიის გადატანა წინაქრისტიანულ ხანაში, კერძოდ, ძვ. წ. IV-III საუკუნეებში, ჩვენ დასაშვებად იმიტომ მიგვაჩნია, რომ აღებულ პერიოდში, მდინარე ივრის ხეობაზე – ისტორიულ კახეთში და ალაზნის ველზე – ისტორიული პერეთის ტერიტორიაზე, ქართული საისტორიო მწერლობა რამდენიმე ციხესიმაგრეს, ციხე-ქალაქს და ქალაქს ასახელებს. მათგან საინტერესო ისტორია აქვს ალაზნის ველის ზედა წელში ქ. ნეკრესის მშენებლობას. როგორც ლეონტი მროველი გადმოგვცემს, ქ. ნეკრესის მშენებლობა დაიწყო მეფე ფარნაჯომ ძვ.წ. II საუკუნეში. სახელოვანი მემატიანე აღნიშნავს: „იწყო შენებად კახეთს ქალაქისა ნელქარისასა, რომელ არს ნეკრესი“. მისი მშენებლობა გრძელდება ძვ.წ. I საუკუნეში და ახ.წ. მომდევნო საუკუნეებში. ახ.წ. IV საუკუნის დასაწყისში ქ. ნეკრესის ზღუდეს ამაგრებს მირვანოზი, მირიანის მამამძუძე: „ამან მირვანოზ ჰმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა და უმეტეს ყოველთასა მოამტკიცა ზღუდნი ნეკრესისა ქალაქისანი“. ასეთი ყურადღება ქ. ნეკრესისადმი არც მომდევნო საუკუნეებში შენელებულა /ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 29,33,65,137/.

ქ. ნეკრესზე ადრე ძვ.წ. III საუკუნეში შენდება ციხე-ქალაქი უჯარმა, რომელიც მომდევნო საუკუნეებში უფრო ფართოვდება და ქართლის სახელმწიფოს ერთ-ერთ საიმედო და საპატიო ქალაქად ყალიბდება. იგი უმთავრესად და ძირითადად სახელოვანი მეფე-სარდლის დიდი ვახტანგ გორგასლისთვის ყველაზე უსაყვარლეს ადგილსამყოფელს წარმოადგენდა.

უჯარმა-ნეკრესის შუაგამყოფ ადგილზე იწყებს თელავი განაშენიანებას. დღემდის გამოვლინებული არქეოლოგიური მასალის მიხედვით თელავი გვიანი ბრინჯაოს ხანაში უკვე დასახელებულია, ხოლო თელავი უჯარმა-ნეკრესის ქალაქებად აღმშენებლობა-წარმოქმნის ქართლის მეფეთა შორის გამიზნულ პროცესს ვერ ასცდებოდა და თელავიც მათ მსგავსად ციხე-ქალაქად, ქალაქად და ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ სამხედრო-პოლიტიკურ ცენტრად ჩამოყალიბებას დაიწყებდა ძვ.წ. III-I და ახ.წ. დასაწყის საუკუნეებში.

ივრისა და ალაზნის ხეობებსა თუ ველ-მინდვრებსა და მთა-გორიან ადგილებზე აღნიშნულ პერიოდში ციხეებისა, ციხე-ქალაქებისა და ქალაქების მშენებლობის დროს, თელავის უმშვენიერეს ადგილმდებარეობას უყურადღებოდ არავინ არ დატოვებდა. პირველ რიგში, კი გაითვალისწინებდნენ ციხისა თუ ციხეების აშენებისთვის აქ არსებულ ბუნებრივ პირობებს და

ამისათვის საჭირო წყლის სიუხვეს, რითაც თელავი ყოველთვის განთქმული იყო და ყოველგვარ მოთხოვნილებას უმაღლესად აკმაყოფილებდა. ეს ტრადიცია დღესაც ასე გრძელდება, ამ მხრივ ქ. თელავი და მისი შემოგარენი კახეთის მთელ ტერიტორიაზე ყველა ადგილთა შორის ყოველად გამოჩნეულია და აბა, ვინ დატოვებდა ამ უმშვენიერეს სიმდიდრე-შესაძლებლობებს უყურადღებოდ და გამოუყენებლად?

როდესაც ვსაუბრობთ თანამედროვე ქ. თელავის ტერიტორიაზე უძველეს ხანაში ქალაქური ცხოვრების დაწყებისა თუ არსებობის რეალურ შესაძლებლობებზე და ამის ნათელსაყოფად, უმეტესწილად, ვეყრდნობით ვარაუდებს და სხვადასხვა ფაქტორთა გათვალისწინების საფუძველზე გამოვთქვამთ ამა თუ იმ პიპოთეზას, არ შეიძლება არ იქნას გათვალისწინებული ის ისტორიული ჭეშმარიტებაც, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ალბანთა სამეფოს დასავლეთი საზღვარი იმ ტერიტორიით, სადაც წინარე საუკუნეებში ქ. თელავი დაფუძნდა და მისგან დასავლეთით 4-5 კმ-ით მდინარე თურდომდე ვრცელდებოდა, და იქიდან კი, ე.ი. მდინარე თურდოს მარცხენა სანაპიროდან იწყებოდა იბერიის /ქართლის/ სახელმწიფო. ალბანეთის სამეფოს პოლიტიკური მესვეურნი იბერიასთან სამხედრო-პოლიტიკური თუ ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობისთვის და, რა თქმა უნდა, თავისი ქვეყნის დასავლეთი საზღვრის გამაგრების მიზნითაც, პირველ რიგში, საგანგებოდ იზრუნებდნენ თელავის ბუნებრივ-გეორგაფიული აღნაგობა-განფენილობის გამოყენებისათვის, რადგან ხსენებულ სასაზღვრო ხაზზე არც მაშინ და არც ახლა მასზე უკეთესი ადგილ-მდებარეობა არ არსებობდა. აქ, უეჭველად, არა ერთი სამხედრო-პოლიტიკური დანიშნულების ციხე, ციხე-ქალაქი და, თუ გნებავთ, ერთ-ერთი ანგარიშვასაწევი სასაზღვრო ქალაქი-რეზიდენციაც იქნებოდა, საიდანაც ალბანთა სახელმწიფო სათანადო კონტროლს გაუწევდა აღმოსავლეთიდან განდიდება-გაფართოება-აღმავლობის დაუოკებელი უინით აღტყინებულ იბერიის ძლიერ სახელმწიფოს, რომელმაც ძვ.წ. III-II საუკუნეებში საყოველთაო ძლიერებას მიაღწია და აღმოსავლეთით საკმაოდ წინ წასწია კიდევ თავისი სახელმწიფო საზღვრები“. ალბანეთის მოსაზღვრე რაიონები ჰერეთი /თანამ. კახეთის აღმოსავლეთი ნაწილი/, ამ დროს ნაწილობრივ ჯერ კიდევ ალბანური ტომებით დასახლებული, შვეიდა ქართლის სამეფოს შემადგენლობაში“ /აკად. გ. მელიქიშვილი, იხ. საქ. ისტ. ნარკვ. ტ. I, 1970, გვ. 464/.

დიდი ბერძენი გეოგრაფი და სახელოვანი მეცნიერი, ძველი და ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების ბრწყინვალე წარმომადგენელი – სტრაბონი საინტერესო ცნობებს გვაწვდის ქართლისა და ალბანეთის სამეფოებზე, და ამ შემთხვევაში, ჩვენთვის ფრიად საგულისხმო იმ სინამდვილის თაობაზე, რაც ეხება ალბანეთის მიერ იბერიის საზღვარზე მთვარის ღვთაების დიდი ტაძრის დაფუძნებას, რომელსაც სათავეში ედგა მეფის

შემდგომ მეორე კაცი – ქურუმი, რომელიც განაგებდა მჭიდროდ დასახლებულ ვეებერთელა სატაძრო მიწა-წყალს /იქვე, გვ. 464, 585/. ამ ყოველივეს სულ მალე, ძვ.წ. III-II საუკუნეებში, იბერიის სახელმწიფო დაეუფლა, მის საზღვრებში მოექცა და, რა თქმა უნდა, ამის შემდგომ და ამ რეალობის გათვალისწინების საფუძველზე, ჩვენი არაერთად ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს მსჯელობა იმის შესახებ თუ ვიტყვით, რომ ქ. თელავი ახ.წ. II საუკუნეში კი არა, მასზე ადრეულ საუკუნეებში უნდა იყოს ჩამოყალიბებული. ობიექტურად და ჭეშმარიტად მოაზრონე ადამიანი სხვაგვარად ვერც იფიქრებს და არც იკადრებს ისეთ რამეს, რაც უმრავლესობისათვის დაუჯერებელი და მიუღებელი იქნება. აღნიშნულ რეალობათა უარყოფა და გაუთვალისწინებლობა შეუძლიათ მხოლოდ მათ, რომელთაც სხვადასხვა მიზეზების გამო, არ უნდათ სინამდვილეს თვალი გაუსწორონ და აღიარონ ჩვენი ქვეყნის სახელოვანი ისტორიის მრავალსაუკუნოვანი ხნოვანებაც და მისი არაერთი ზოგადსაკაცობრიო ბრწყინვალეობანი. ამ კატეგორიის პიროვნებები არც იმას უწყვენ ანგარიშს, რომ ქართველი ხალხის დიდად სასახელო და ყოვლად გამომჩინებელ-საამაყო ქართულ ენციკლოპედიაში, მართლაცადა, ენციკლოპედიური ცოდნის პოზიციიდან არის ჩამოყალიბებული ის ვრცელი და საინტერესო ისტორია, რაც თელავის ტერიტორიის დასახლებასთან და იქ, იმ ტერიტორიაზე, ქ. თელავის წარმოქმნა-დაფუძნებასთან არის დაკავშირებული. აი, რას ვკითხულობთ ქართულ ენციკლოპედიაში: „ახლანდელი თელავის ტერიტორიაზე პირველი დასახლება გვიანდელი ბრინჯაოს ხანაში გაჩნდა, ელინისტურ ხანაში განვითარდა /ელინისტური ხანა მოიცავს ძვ.წ. IV-I საუკუნეებს, ვე./, ხოლო გვიანდელ ანტიკურ ხანაში მის ბაზაზე წარმოიქმნა ქალაქის ტიპის დასახლება. პირველად მოხსენიებულია ძვ. ბერძენი გეოგრაფის კლავდიოს პტოლემას /IIIს/ „გეოგრაფიაში“ „ტელედა“-ს ფორმით /ქართ. საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.4, 1979, გვ. 644/.

ჩვენი დროის ერთ-ერთი ბრძენივალე არქეოლოგის პროფ. კიაზო ფიცხელაურისა და გერმანიის გამოჩენილი მეცნიერი-არქეოლოგების – პროფ. მანფრედ კორფმანის, პროფ. ანდრეას ფურტვენგლერის და სხვათა ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით, ამ ბოლო ხანს, კახეთში /ალაზნის ველზე, შირაქში, უდაბნოში და სხვ./ ინტენსიურად მიმდინარეობს ე.წ. „ქართულ-გერმანული არქეოლოგიური გათხრები“ და დაზვერვითი სამუშაოები. ამ მოკლე ხანაში იმდენად საინტერესო აღმოჩენები გამოვლინდა, რომ პროფ. მანფრედ კორფმანს განცვიფრება ვერ დაუმაღლავს და პროფ. კიაზო ფიცხელაურისათვის უთქვამს: „არაფერი მითხრათ, ჩემთვის სრულიად ცხადია, მე ძველ აღმოსავლეთში ვარო“. ქართველი და გერმანელი არქეოლოგი მეცნიერები ალაზნის ველზე და შირაქში აღმოჩენილი ნივთების საფუძველზე ვარაუდობენ და აღნიშნავენ, რომ: „... დღევანდელ ქიზიყს ძვ.წ. პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში სახელმწიფოებრიობა ჰქონდაო“.

კახეთის უძველესი ცივილიზაციის დღემდის გამოვლინებულ სენსაციურ აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს შირაქის ცენტრში, ყოფილი სამხედრო აეროდრომის ტერიტორიაზე, გრანდიოზული დასახლების გამოვლინება, რომლის ციტადელი შირაქის ველზე რვა მეტრის სიმაღლეზეა აზიდული, ხოლო თვით ციტადელს თითქმის 10 ჰექტარი ფართობი უკავია.

პროფ. მანფრედ კორფმანს განსაკუთრებული დაინტერესება გამოუჩენია „უდაბნოში აეროვიდეოგადაღებების გაშიფერის შედეგად ამ ოცდახუთიოდე წლის წინათ აღმოჩენილი ქალაქური ტიპის დასახლებების თაობაზე, რომლებიც წინასწარ შედგენილი პროექტით, რეგულარული დაგეგმარებით არის ნაგები და გრანდიოზული მასშტაბებითა და საფორტიფიკაციო ნაგებობებით გამოირჩევა. ერთ-ერთი ცენტრალური დასახლების ციტადელის ოთხი გალავნიდან შიდა გალავანი ხუთი მეტრი სიგანისაა. აქ, როგორც ჩანს, ქვის საფუძველზე ალიზის მაღალი კედლები იყო ამოყვანილი. ისინი, როგორც დაგეგმარებით, ისე სამშენებლო ტექნიკით, ძალიან ჰკვანან ხეთურ ქალაქებს“.

ანდრეას ფურტვენგლერის პირველი ჩამოსვლა, როგორც პროფ. კიაზო ფიცხელაური აღნიშნავს, ითვალისწინებდა „...აღაზნის ველზე, ქ. უმბათში აღმოჩენილი დიდი სასახლის ნაშთების შესწავლას. ეს სასახლე სავარაუდოდ ძვ.წ. V საუკუნით თარიღდებოდა და აქემენიდურ ცივილიზაციას /რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევარიც ანდრეასი ბრძანდებოდა აქ/ უკავშირდებოდა.

ბატონი ანდრეასის მიერ ქ. უმბათში აღმოჩენილი დიდი სასახლის ნაშთების გაანალიზებასა და კახეთში გამოვლინებული სხვა მატერიალური ნივთების დაკვირვების საფუძველზე ითქვა, რომ: „...თუ დასავლეთი საქართველო ანტიკურ ხანაში ბერძნული ცივილიზაციის მძლავრ გავლენას განიცდის, როგორც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველო. იმ დროს ერთ-ერთი უმაღლესი ცივილიზაციის, აქემენიდური კულტურის ზეგავლენის ქვეშ ექცევა“.

პროფ. კიაზო ფიცხელაური აღნიშნავს: „მართლაც გათხრებმა დაადასტურა, რომ ქ. უმბათში მდგარა გრანდიოზული სასახლე, რომლის სვეტების სიმაღლე /სვეტების ძირების მიხედვით, რომლებიც ამჟამად სიღნაღის მუზეუმშია დაცული/ არანაკლებ რვა მეტრი უნდა ყოფილიყო. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სასახლის დაგეგმარება, არქიტექტურული დეტალები და სამშენებლო ტექნიკა ტიპური აღმოჩნდა აქემენიდური სამყაროსათვის.

მაშინვე გაჩნდა სურვილი, გვეპოვა და შეგვესწავლა ამ დროის ნამოსახლარი. წინასწარი მონაცემებით, ისინი შირაქში უნდა გვეპებნა, დავიწყეთ შირაქის ნამოსახლარების კვლევა. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა: დიდი შირაქის ველის ირგვლივ აღმოჩნდა ზუსტად ერთი და იმავე დაგეგმარებით ნაგები მეორე, კარგად დაპროექტებული ქალაქური ტიპის დასახლებები, მათი ძირითადი ნაწილი თვალდაცვითი ნაგებობებით კარგად ყოფილა დაცული. ციხეს, როგორც ჩანს, მხოლოდ საშიშროების დროს აფარებდნენ თავს. თვით ნამოსახლარი კი ციხის ირგვლივ დამცავი კედლით არის გამაგრებული.

ერთ-ერთი დასახლების გათხრებმა გვიჩვენა, რომ ისინი კარგადაა დაპროექტებული: მოკირწლულ ქუჩას ორივე მხარეს თიხით ნაგები ოთხკუთხა შენობები მოუყვება. დასახლებას, როგორც ჩანს, ჰქონია სასმელი წყალი და კანალიზაციის სისტემა.

ყველა ეს ნამოსახლარი ერთნაირად თარიღდება ძვ.წ. IX-VIII საუკუნეებით. ძვ.წ. VII საუკუნეში კი, როგორც ჩანს, ისინი ერთდროულად განადგურდა საკითური იარაღით აღჭურვილი მომხდურის მიერ“ /გაზ. „მშვიდობა ყოველთა“, 20 აგვისტო 25 სექტემბერი, 2001წ./.

კახეთში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ კავკასიაზე და, რა თქმა უნდა, მათ შორის, უმეტესწილად, საქართველოზე უძველესი დროიდან გადიოდა ტრანსკავკასიური სახმელეთო-საგზაო მაგისტრალი, რომელიც მთელ ცენტრალურ აზიას – ჩინეთს, ინდოეთს, ავღანეთს და სხვა ქვეყნებს აკავშირებდა ევროპასთან; მეორე გზა კი ჩრდილოეთის სტეპებს აკავშირებდა მთელ ძველ აღმოსავლეთს და ეს მაგისტრალიც კავკასიაზე გადიოდა და ამ მისიის შესრულებაშიც საქართველოს დიდი ადგილი ეკუთვნოდა.

ქ. თელავის ხნოვანების გაბუნდოვებული და ერთგვარად ზოგიერთთათვის ძნელად დასაჯერებელი ისტორიის გაფერმკრთალებისა და მეტი სიცხადის შეტანის მიზნით მოვიტანეთ ეს არქეოლოგიური მასალა და, ალბათ, აუცილებელიც იყო, რადგან კახეთში ახლად გამოვლინებულმა, ზემოთ აღნიშნულმა არა ერთმა, მართლაცდა, სენსაციურმა აღმოჩენამ გააქარწყლა ზოგ-ზოგთა ეჭვები ქ. თელავისა და საერთოდ კახეთში უძველეს ქალაქთა რეალობის თაობაზე და მათაც და ჩვენც, ყველას ერთად, თანდათანობით, სულ მოკლე ხანში, კახეთში მიმდინარე არქეოლოგიური კვლევა-ძიება კიდევ ბევრ სიზარულს და სიამაყეს მოგვიტანს.

ვინც ქ. თელავის ირგვლივ არსებულ ლიტერატურას გულდასმით გაეცნობა, ღრმად ჩაწვდება ანტიკური თუ ადრეფეოდალური ხანის იბერიის /ქართლის/ ქალაქების წარმოქმნის შესახებ არსებულ გამოკვლევებს, იმასაც გაითვალისწინებს, რომ თელავის სამხრეთ-დასავლეთით და აღმოსავლეთით ინტენსიურად მიმდინარეობს ციხეების, ციხე-ქალაქების და ქალაქების მშენებლობა, რომ თელავი, როგორც დასახლებული პუნქტი, და შემდგომ ქალაქი აღმოცენდა და დაფუძნდა მსოფლიო სავაჭრო გზაზე და დაეყრდნობა თელავის პოლიტიკურ-ეკონომიკურსა და გეოგრაფიულ-სამხედრო-თავდაცვით ღირებულება-მნიშვნელობას, საეჭვოდ და უსაფუძვლოდ აღარ მოეჩვენება და დარწმუნდება, რომ თელავის ტერიტორიის დასახლება იწყება ძველი წელთაღრიცხვის ათასწლეულებში, ხოლო „ისტორიულ წყაროებში ახალი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნიდან ის უკვე ქალაქად იხსენიება“ /პროფ. ლ. რჩელიშვილი, თელავი, 1963, გვ.5/.

## 1.2. კახეთის ბაგრატიონთა ლეგიტიმურობის საკითხისათვის

კახეთის სამეფო დინასტიის წარმომავლობა-ვინაობის საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდხანს აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა და მის შესახებ სახელმძღვანელო გამოკვლევა არ არსებობდა. ამ პრობლემას აკად. ივ. ჯავახიშვილმა სათანადო კვლევა-ძიება მიუძღვნა და მაღალმეცნიერულ დონეზე დაადასტურა კახეთის ბაგრატიონთა ლეგიტიმურობის ჭეშმარიტება. ხსენებული გამოკვლევების შემდგომ თანდათანობით შედგა, დაიხვეწა და გამყარდა კახეთის ბაგრატიონთა გენეალოგია, რამაც საპატიო ადგილი დაიკავა ბაგრატიონთა მრავალსაუკუნოვან გენეალოგიაში. მიუხედავად აღნიშნულისა, 1999 წელს გამოცემულ „ისტორიულ კალენდარში“ როლანდ ბურჭულაძე ეჭვქვეშ აყენებს კახეთის ბაგრატიონთა კანონიერებას, მას ისინი ნამდვილ ბაგრატიონებად არ მიაჩნია და აღნიშნავს: „რაც შეეხება კახეთის მმართველ დინასტიას, მათი გეაროვნული წარმომავლობა უცნობია, ხოლო ბაგრატიონთა განაყოფად მათი მიჩნევა საკმაოდ გვიანდელი პერიოდის გამონაგონია და ვახუშტი ბაგრატიონის მსუბუქ ხელს ეკუთვნის“.<sup>1</sup>

კახეთის ბაგრატიონთა მიმართ ხსენებულმა დამამცირებელ-შურაცხმყოფელმა და ერთგვარად ღვარძლიანმა დამოკიდებულებამ და ქართველი ერის საამაყო მემკვიდრის ვახუშტი ბაგრატიონის ასე აუგად მოხსენიებამ გვიკარნახა ბაგრატიონთა დინასტიის წარმომავლობისა და მათი მრავალსაუკუნოვანი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვის ფონზე ნათელი მოგვეფინა კახეთის ბაგრატიონთა ისტორიისათვის, რათა როლანდ ბურჭულაძეს და მის თანამოაზრეებს როგორმე ვაგაგებინოთ კახეთის ბაგრატიონთა „გეაროვნული წარმომავლობის“ ნამდვილი ისტორია და ვახუშტი ბაგრატიონის ე.წ. „მსუბუქი ხელის“ (ვაი, სირცხვილო, რას ვაკადრებთ სახელოვან წინაპარს!) „როლისა და „ღვაწლის“ შესახებ ამ საქმეში.

როგორც ისტორიულადაა დადასტურებული, ბაგრატიონების განთქმული გვარი წარმოიშვა ერთ-ერთი უძველესი ქართული თემიდან – სპერიდან (ახლანდელი ისპირი). აღმოსავლურ-ქართულ ტომებს შორის სამხრეთით მდ. ჭოროხის სათავეებში მცხოვრები ტომები დიდად დაწინაურებულნი იყვნენ, რომლებიც მრავალი საუკუნის განმავლობაში დიოხის დიდ გერთიანებაში შედიოდნენ. ხოლო როდესაც დიოხის ძლიერება დაეცა, სპერის ოლქში მცხოვრებ აღმოსავლურ-ქართულ ტომთა გაერთიანებას ხელსაყრელი

<sup>1</sup> ისტორიული კალენდარის ავტორ-შემდგენელი როლანდ ბურჭულაძე, გამომცემლობა „ქრონოგრაფი“, 1999

პირობები შეექმნა დაწინაურებისათვის. ძვ.წ. VII საუკუნის მეორე ნახევარში ხსენებულ ტერიტორიაზე, რომელიც შემდგომ საკმაოდ გაფართოვდა და დიდ მიწა-წყალს მოიცავდა, ჩამოყალიბდა ქართველ ტომთა მძლავრი გაერთიანება, სადაც თავდაპირველად რამდენიმე აღმოსავლურ-ქართული ტომი იყო გაერთიანებული, რომელთაც ბერძნები და საერთოდ მაშინდელი ყველა მათი მცნობი სასპერებს უწოდებდნენ. ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში სასპერები იმდენად გაძლიერებულან, რომ სკვითებთან და სხვა ტომებთან ერთად მონაწილეობა მიუღიათ ურარტუს მონათმფლობელური სახელმწიფოს საბოლოო დამხობაში და მისი მიწა-წყლის დიდი ნაწილიც დაუკავებიათ. ურარტუელთა ხალხმრავალი მასების გათქვეფა-ასიმილირება მოხდა სასპერთა დიდ გაერთიანებაში, რაც კარგად შემოინახა ქართულმა ენამ, როგორც ერთ-ერთმა საიძელო და საინტერესო წყარომ. მრავალი საუკუნის მანძილზე ქართულ ენაში გამოიყენებოდა ბევრი გაუგებარი სიტყვა და ეს ფაქტი დღესაც ასე გრძელდება, რომლებიც, როგორც აწ. განსვენებულმა ღვაწლმოსილმა მეცნიერმა აკად. გ. მელიქიშვილმა ახსნა, ურარტული სიტყვები ყოფილა, როგორცაა: „იერი არალე“, „თარი არალე“, „არი არალე“, „იირა“ („ყირა“), „შალიშან“ („შარშან“), „თავდა ყირა“, „ყირაზე გადასვლა“ და სხვა. „არალე“ ძველ აღმოსავლეთში, – შენიშანვს გ. მელიქიშვილი, – ფართოდ გავრცელებული სახელი იყო მოსავლის ღვთაებისა, ხოლო „იერი“ – ურარტულად ნიშნავს „მეუფეს“, „ბატონს“; „თარი“ – „ძლიერს“, „ძლევამოსილს“; „არი“ კი ასევე ურარტულად იქნება – „მოგვეც“. ასე რომ, ამ სიმღერებში შემორჩენილია წმინდა ურარტული შემახილები ღვთაებებისადმი: „მეუფეო არალე!“, ძლევამოსილო არალე!“ და „მოგვეც (ღმერთო) არალე!“<sup>2</sup>

ისტორიულად საქართველოს სამხრეთსა და სამხრეთ-დასავლეთში მცხოვრები ქართველური ტომების შემდგომი წინსვლა ერთგვარად შეაჩერა და სულ სხვაგვარი მიმართულება მისცა აქემენიანთა ძლიერმა იმპერიამ, რომელმაც ძვ.წ. VI-V სს-ში იმპერიის მე-18 და მე-19 სატრაპიებში (ოლქებში) მოაქცია იქ განსახლებული ტომები თუ ტომთა შემდეგი გაერთიანებანი: სასპერები, მოსხები, ტიბარენები, მაკრონები და მოსინიკები. ალექსანდრე მაკედონელის მიერ აქემენიანთა იმპერიის დაპყრობის შემდეგ, რაც განხორციელდა ძვ.წ. IV ს-ის 30-20-იან წლებში, არსებითად შეცვალა ვითარება ისტორიული საქართველოს აღმოსავლეთ მიწა-წყალზე, სადაც ძვ.წ. IV-III საუკუნეთა მიჯნაზე ორი დიდი პოლიტიკური გაერთიანება ჩამოყალიბდა: ერთი, როგორც ქართული წყარო „მოქცევაი ქართლისაი“ უწოდებს იყო „არიან ქართლი“, ხოლო მეორე „არიან ქართლის“ ჩრდილოეთით-ცენტრალური ქართლი და თითქმის თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველო.

<sup>2</sup> საქართველოს ისტორია, ტ.1, 1958, გვ. 38



ბაგრატიონთა საგვარეულო დინასტიის გარკვევასთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს „არიან-ქართლის“ ლოკალიზაციისა და მისი შინაარსობრივი გაგების საკითხი, რადგან ხსენებული პრობლემა დიდი ხნის მანძილზე საიდუმლოებით იყო მოცული და მეცნიერ-მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. არ არის დიდი ხანი, რაც დადგინდა, რომ „არიანა“ ძველსპარსულად „ირანს“ ნიშნავს და ამდენად „არიან-ქართლი“ უნდა გაეიგოთ, როგორც „ირანის ქართლი“. სწორედ ეს „არიან-ქართლი“, ე.ი. ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორია იყო ის მიწა-წყალი, სადაც აქამენიანთა იმპერიის დამხობისა და ბერძნულ-რომაული პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურული გავლენის მოძალებისა და გაფართოების შედეგად დაწინაურება და აყვავება დაიწყო ქართულმა ყოფა-ცხოვრებამ, კულტურამ და ქართულმა სახელმწიფოებრიობამ. მართალია, არც მომდევნო საუკუნეებში ჰქონიათ ჩვენს წინაპრებს ყოველთვის დალხინებული ცხოვრება, მაგრამ წინანდელთან შედარებით ფარნავაზისა და მის მემკვიდრეთა, ვახტანგ გორგასალისა და მომდევნო საუკუნეების ღირსეულ მამულიშვილთა მეფობა-ერისმთავრობის წლებში ქართლის სამეფომ არაერთხელ მიაღწია დიდ წარმატებებს. ქართლის სამეფოზე და უმთავრესად მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებზე (ტაო, კოლა-არტანუი, შავშეთ-კლარჯეთი და სხვა), სადაც ჩამოყალიბდა ბაგრატიონთა საგვარეულო დინასტია, დიდი და უმთავრესად კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა ბალკანეთის ბოსფორზე, ახალშენ ბიზანტიონში რომიდან საიმპერიო ტახტის გადმოტანამ 330 წელს და „ახალი რომის“, „აღმოსავლეთ რომის“ იმპერიის შექმნამ, დედაქალაქით კონსტანტინეპოლით. აღმოსავლეთ რომის იმპერიის ხელისუფლებამ ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოაცხადა, რამაც ბერძნულ-რომაულ ცივილიზაციასთან ერთად უდავოდ დიდი ზემოქმედება მოახდინა მთლიანად საქართველოზე და უმეტესად ტერიტორიულად ბიზანტიის იმპერიასთან ახლოს მყოფ ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთზე და იქ მცხოვრებ ქართველობაზე. საყოველთაოდ ცნობილია და დავას არ იწვევს, რომ ადრე-ფეოდალური ხანის მთელ მანძილზე და ნაწილობრივ მომდევნო საუკუნეებშიც, სანამ აქ უცხოელთა შემოსევები დაიწყებოდა, ქართველთა ყოფა-ცხოვრება, საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობა, მწიგნობრობა, ხუროთმოძღვრება და საერთო ზოგადქართული კულტურა შედევრებს ქმნის და სასწაულ წარმატებებს აღწევს. უბედურება და ბედის დაცინვა სწორედ ის იყო, რომ ისტორიული საქართველოს ეს უღამაზესი და უდიდესი ისტორიის მქონე ვეებერთელა ტერიტორია – 13000 კვ. კილომეტრზე მეტი მოცულობით, XV საუკუნის ბოლოდან თანდათანობით დაეკარგეთ და ის დიდი ხანია ჩვენ აღარ გვეკუთვნის. ის თურქეთის რესპუბლიკის კუთვნილებს იქაური ქართველებით, რომელთაც, ამ უბედურების შემდგომ, ისტორიის უკუღმართობამ, ვინაობა-უკუღმართობის აღმნიშვნელად „ჩვენებურები“ დაარქვა.

ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთში მცხოვრებ ქართველთა წინსვლის და შემდგომ დაწინაურება-განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ქართლის უკანასკნელი ერისთავის აშოტ ბაგრატიონის ამ მხარეში ჩამოსვლამ და მისმა თავდადებულმა მოღვაწეობამ, რასაც IX საუკუნის დასაწყისში შედეგად მოჰყვა „ტაო-კლარჯეთის“ სამთავროს შექმნა, რომელიც აერთიანებდა უდიდეს მიწა-წყალს: „შემთ-კლარჯეთს, აჭარას, ტაოს, სპერს, სამცხეს, ჯავახეთს და არტანს. ტაო-კლარჯეთის სამთავროს „ქართველთა სამეფოც“ ეწოდებოდა.

იმდროინდელი საქართველოს სხვა პოლიტიკურ გაერთიანებათა გვერდით ტაო-კლარჯეთის სამთავრო IX საუკუნის მეორე ნახევარში იმდენად განვითარდა და გაძლიერდა, რომ მან სხვათა შეუთანხმებლად და სრულიად დამოუკიდებლად 888 წელს დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი განახორციელა. აშოტ კურაპალატის შვილიშვილის დავით კურაპალატის შვილმა ადარნასემ „ქართველთა მეფის“ წოდებულება მიიღო. ეს გაბედული განაცხადი ორ დიდ მიზანს ისახავდა: პირველი იყო ის, რომ ბაგრატიონთა საგვარეულო-დინასტია აცხადებს დამოუკიდებლობის პრეტენზიას და მას სურს გაემიჯნოს ბიზანტიის იმპერიის დამპყრობლურ პოლიტიკას და მეორე ის, რომ ბაგრატიონთა სახლი ხსენებული მოქმედებით თავის ერთადერთ უფლებას აცხადებდა ქართლზე და შემდგომში კი მთლიანად საქართველოზე. X საუკუნის მეორე ნახევარში ტაო-კლარჯეთის სამეფომ, რომელსაც სათავეში ედგა დავით III „დიდად“ წოდებული, არნახულ წარმეტყვებს მიაღწია და საქართველოს საზღვრებს გასცდა მისი ავტორიტეტი. ეს ყოველივე იყო დავით კურაპალატის დამსახურება, რომელსაც დავითის თანამედროვე სომეხი მემკვიდრე სტეფანოზ ტარონელი შემდეგნაირად ახასიათებს: „დიდი კურაპალატი დავით ჩვენი დროის ყველა ხელმწიფეს აღემატება თავისი ღმობიერებითა და მშვიდობისმოყვარე გულით.

დავითმა დაამყარა მშვიდობა და კეთილწესიერება ყველა აღმოსავლეთის ქვეყანაში, განსაკუთრებით კი სომხეთსა და საქართველოში. მან შეწყვიტა ომები, რომლებიც გამუდმებით ჩნდებოდა ყოველი მხრიდან და გაიმარჯვა ყველა გარშემო მცხოვრებ ხალხზე.“<sup>3</sup>

დავით III-ე კურაპალატის სასახელო საქმეთა შორის ერთადერთ და უპირველეს მარადსახსოვარ ღვაწლად უნდა ჩაითვალოს ქართლის ერისმთავარ იოანე მარუშისძესთან ერთად საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისა და ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნისათვის განხორციელებული დიდი პროგრამა. ამ ორმა სახელოვანმა წინაპარმა დავით III-ე კურაპალატის ძმისშვილი ბაგრატ ბაგრატიონი, შემდეგ ბაგრატ III-ედ წოდებული, ჯერ ქართლში დასვეს მეფედ 975 წელს, ხოლო 978 წელს აფხაზეთში (დასავლეთ საქართველოში). ბაგრატ III-ე (975-

<sup>3</sup> საქართველოს ისტორია, ტ. I, 1958, გვ. 132.

1014 წწ) იყო გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე, რომელსაც ეწოდებოდა „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა“, რაც იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის წარმოებულ ბრძოლებში ბაგრატ მეფემ დიდ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ სიკვდილმა ამ საშვილიშვილო საქმის დამთავრების შესაძლებლობა არ მისცა. ეს უდიდესი საქმე სისრულეში მოიყვანა დავით IV აღმაშენებელმა (1089-1125 წწ) და მისმა მომდევნო მემკვიდრეებმა გიორგი III-მ (1156-1184 წწ) და მეფეთ-მეფე თამარმა (1184-1213 წწ). ამიერკავკასიიდან დამპყრობელთა სრული განდევნა და მრავალეროვანი ქართული სახელმწიფოს შექმნის აღმაშენებლისეული პროგრამა ბრწყინვალე წარმატებით დაამთავრეს.

საქართველოში მონღოლთა ასწლიანი ბატონობის პერიოდში ერთიანი საქართველო დროებით კვლავ დანაწევრდა, რასაც ბოლო მოუღო გიორგი ბრწყინვალემ, მან საქართველო ისევ გააერთიანა და XV საუკუნის 60-იან წლებამდე იარსება ერთიანმა ქართულმა ფეოდალურმა სამეფომ.

XV საუკუნის 60-იანი წლებიდან თანდათანობით საქართველო დაიშალა ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად და სამთავროებად.

გაერთიანებული საქართველოს მაშინდელი მეფე გიორგი VIII-ე დამარცხდა რა ქვეყნის ერთიანობა-მთლიანობისა და ხელისუფლების ძლიერების მოწინააღმდეგე ძალებთან ბრძოლაში, ტოვებს გაერთიანებული საქართველოს სატახტო ქალაქს თბილისს და თავის მომხრე თანამებრძოლებთან ერთად 1466 წელს ჩამოდის კახეთში. გაიგო თუ არა, რა დაემართა გაერთიანებულ საქართველოს და მის მეფეს გიორგი VIII-ს, კახეთ-ჰერეთის თვითმარტქვია მეფე დავითი ცოლ-შვილთან ერთად სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას და დიდოეთში შეაფარა თავი. „ხოლო დავით, — აღნიშნავს ვახუშტი, — ვერ წინააღმდეგი და მოშიშარე მეფისაგან იელტოდა დედაწულით დიდოეთს და გიორგი მეფემან კუალად დაიპყრა კახეთი და ჰერეთი“. კახეთ-ჰერეთში ტერიტორიულად გიორგი მეფე სად დამკვიდრდა და საიდან მართავდა ერთიანი საქართველოდან გამოყოფილი კახეთის სამეფოს, ვახუშტი არაფერს ამბობს. იმას კი აღნიშნავს, რომ გიორგი VIII გარდაიცვალა 1469 წელს და კახელებს დიდოეთში გახიზნული დავითი ჩამოუყვანიათ კახეთის მეფედ. „არამედ შემდგომად სიკუდილისა მეფის გიორგისა, — აღნიშნავს ვახუშტი ბაგრატიონი, — ჩამოიყვანეს კუალად დავით დიდოეთიდან ჰერ-კახთა და დასუეს უმეტეს მტკიცედ მეფედ კახთა და იტყვიანცა, რამეთუ აკურთხეს ბოდბეს“. ვახუშტის მიხედვით „შემდგომად დავითისა დაჯდა ძე მისი გიორგი მეფედ კახთა (ანუ ვითარცა სხუანი იტყვიან ლევან) და ეკურთხა ბოდბეს“.

ვახუშტი ბაგრატიონის მემკვიდრეობას კახეთის მეფეთა ჩამომავლობა-ვინაობის თაობაზე აკად. ივ. ჯავახიშვილი სპეციალურად ეხება „თხზულებანი თორმეტ ტომად“, III ტომში და სახელოვანი მეცნიერი დიდ ნათელს ჰყენს ხსენებულ პრობლემას.

ვახუშტისთან, როგორც უკვე ითქვა, დავას არ იწვევს, როცა სახელოვანი მემკვიდრე ალნიშნავს, რომ დამარცხებული მეფე გიორგი VIII-ე კახეთში ჩამოდის და იქ იწყებს მეფობას. ამასვე დასძენს აკად. ივ. ჯავახიშვილიც მას შემდგომ, როცა დარწმუნდა (მეფეთ-მეფე გიორგი), რომ ბაგრატიის დაძლევა არ ძალუძდა და ქართლის ტახტის დაბრუნებაც უკვე აღარ შეეძლო, ის კახეთში გამაგრდა და კახთა მეფობით დაეკმაყოფილა<sup>4</sup>.

ვახუშტი ბაგრატიონთან სადავოა გიორგი მეფის გარდაცვალებად 1469 წლის გამოცხადება და გიორგი მეფის გარდაცვალების შემდგომ კახეთის სამეფო ტახტზე ვახუშტის მიერ დასახელებული კანდიდატურების ლეგიტიმურობის საკითხი. ბატონმა ივ. ჯავახიშვილმა სიგელ-გუჯრებზე და სხვა სარწმუნო საბუთებზე დაყრდნობით ყოველივე ეს გულდასმით შეისწავლა და თითოეულ გაუგებრობათა შესახებ დამაჯერებელი დასკვნები ჩამოაყალიბა. მაგალითად, მეფეთ-მეფე გიორგის გარდაცვალების თარიღზე მსჯელობისას ალნიშნავს: „უკვე გამორკვეული გვექონდა, რომ ალექსანდრე კახთა მეფე 1476 წელს უნდა გამეფებულიყო. მაშასადამე, გიორგი მეფეთ-მეფე ალბათ 1476 წელს უნდა გარდაცვლილიყო. მართალია, ბატონიშვილი ვახუშტი ალექსანდრე კახთა მეფის მამის სიკვდილის თარიღად 1492 წელს ასახელებს, მაგრამ ჩვენს დიდებულს ისტორიკოსს აქ რომ ცხადი შეცდომა მოსვლია, ამას თვით ალექსანდრე კახთა მეფის 1479 წელს დავით გარეჯისადმი ნაბობები გუჯარიც ცხადჰყოფს, რომელშიაც თვით ალექსანდრე მეფე თავის მამას გიორგი მეფეთ-მეფეს „სულკურთხეულად“ ანუ მკვდრად იხსენიებს“<sup>5</sup>. განსვენებული მეცნიერი მეფეთ-მეფე გიორგის გარდაცვალებასთან დაკავშირებით თავის მსჯელობას დამთავრებულად მიიჩნევს და ასკვნის: „რაკი გამოირკვა, რომ გიორგი მეფეთ-მეფე 1476 წლამდე მაინც ცოცხალი ყოფილა“ და სხვა საკითხის განხილვაზე გადადის. გიორგი მეფეთ-მეფე, რომ ალექსანდრე კახთა მეფის მამა იყო და გიორგის გარდაცვალების შემდგომ ტახტს ალექსანდრე იკავებს და არა სხვა ვინმე (კონსტანტინე, დავითი, გიორგი) ესეც ნათლად არის ნაჩვენები აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ. მეცნიერი შენიშნავს – „კონსტანტინე მეფის თანამედროვე იყო კახთა მეფე ალექსანდრე, რომელიც, როგორც დავრწმუნდით, გიორგი მეფეთ-მეფის ძე იყო... 1476 წელსაც და 1503 წელსაც მისი დედა „დედოფალთ-დედოფალი“ ნესტან-დარეჯანი ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა და საბუთებში მოხსენიებულია“<sup>6</sup>. ბატონი ივანე იმასაც დასძენს, რომ „ალექსანდრე თვით თავის დედ-მამად მეფეთ-მეფეს გიორგის და დედოფალთ-დედოფალს ნესტან-

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი III, 1982, გვ. 318.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 317.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 354.

დარეჯანსა თვლის“.<sup>7</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე სახელოვანი მეცნიერი ალექსანდრე კახთა მეფის წარმომავლობა-მემკვიდრეობის შესახებ შემდეგსაც დასძენს: „დამახასიათებელია, რომ კახთა ბატონი ალექსანდრე თავის თავზე 1505 წლის სიგელში ამბობს: „ნებითა და ღ-თისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შაჰანშა და შარვანშა და ყოვლისა საქართველოსა და ჩრდილოეთისა აღმოსავლეთით ვიდრე დასავლეთამდე თუითხელმწიფედ ფლობით მპყრობელ-მქონებლისა ნათესავმან მეფემან ალექსანდრე“.<sup>8</sup> ეს ამონაწერი დასტურია იმისა, რომ ალექსანდრე კახთა მეფე თავის თავს აცხადებს ჯერ კიდევ ერთიანი და დაუშლელ-გაუყოფელი საქართველოს ტახტის კანონიერ მემკვიდრედ, ხოლო მის მიერ გამოცემულ სიგელებში „ალექსანდრე თავის თავს მარტივად მხოლოდ მეფედ იხსენიებს და არც ერთში მას თავის თავისთვის მეფეთა მეფის წოდებულება არ უხმარია“.<sup>9</sup>

მეფეთა-მეფე გიორგის და დედოფალთ-დედოფალ ნესტან დარეჯანს რომ ალექსანდრე ბატონიშვილი ჰყავდათ, როგორც მემკვიდრე და იგი ნამდვილად მათი შვილი იყო, კარგად ჩანს გიორგი მეფის მიერ 1460 წელს გაცემულ სიგელში, სადაც ვკითხულობთ: „ჩუენ... მეფეთ-მეფისა გიორგისაგან და თანამეცხედრისა ჩუენისა პატრონისა დედოფალთ-დედოფლისა ნესტან დარეჯანისაგან და ძისა ჩუენისა ალექსანდრესაგან“.<sup>10</sup>

აკად. ივ. ჯავახიშვილი საკმაოდ ვრცელ კვლევა-ძიებას კახეთის ბატონთა წარმომავლობის დადგენა-გარკვევის თაობაზე გვთავაზობს ყოვლისმომკველ და უტყუარ დამადასტურებელ დასკვნა-მსჯელობას, რაც, რა თქმა უნდა, ჩვენს ისტორიოგრაფიაში ერთადერთია და შეუცვლელი ამ ფრიად საინტერესო და ზოგიერთისთვის საკმაოდ და დაუჯერებლად აღიარებული პრობლემის ნათელსაყოფად. „როგორც კახთა მეფის ალექსანდრეს 1479 წლის ორი გუჯართაგან ჩანს, – შენიშნავს პროფ. ივ. ჯავახიშვილი, – ის გიორგი მეფის შვილი ყოფილა. ბატონიშვილი ვახუშტი ფიქრობდა, რომ ალექსანდრე კახთა მეფის მამა გიორგი მეფე მისგან კახთა მეფედ მიჩნეული დაკითხის – ძე იყო. თ. უორდანიაც, როგორც ეტყობა, ასევე ფიქრობდა და გიორგი მეფეთ-მეფე ალექსანდრე I-ის ძე, და გიორგი კახთა მეფე, ალექსანდრე კახთა მეფის მამა, ორ სხვადასხვა პირად მიაჩნია. თვითონ ალექსანდრე მეფეს კი თავის გუჯრებში ნათქვამი აქვს: „ჩუენ... ლიხთ ამერისა ორისავე ტახტისა მტკიცედ მპყრობელისა მეფეთ-მეფისა სულ-კურთხეულისა გიორგის ძემან, მეფემან ალექსანდრე, ბატონმან დედოფალთ-დედოფალმან დედამან ჩუენმან ნესტანი დარეჯან და თანამეცხედრემან

<sup>7</sup> იქვე, გვ. 273.

<sup>8</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 354.

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 272.

ჩვენმან დედუფალმან ანამ<sup>11</sup>-ო. მაშასადამე, ალექსანდრე კახთა მეფე გიორგი მეფეთ-მეფისა და დედუფალთ-დედუფალ ნესტან დარეჯანის შვილი ყოფილა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ სწორედ ალექსანდრე I-ის ძეს, გიორგი მეფეთ-მეფესა ჰყავდა თანამეცხედრედ დედუფალთ-დედუფალი ნესტან დარეჯანი და შვილად ბატონიშვილი ალექსანდრე. დაუჯერებელი რამეა, რომ ერთსა და იმავე დროს საქართველოში, თუნდაც ქართლში და კახეთში, ორი გიორგი მეფე ყოფილიყოს და ორსავე თანამეცხედრედაც ნესტან დარეჯანი და შვილსაც ალექსანდრე პრეტენდეს. ამიტომ თავისთავად აზრი იბადება, რომ ალექსანდრე კახთა მეფის მამა, გიორგი მეფე სწორედ ის ალექსანდრე I-ის ძე მეფეთ-მეფე გიორგი უნდა ყოფილიყო, რომლის ტახტი და მეფეთ-მეფობა ბაგრატიმა დაიპყრა და არა კახთა მეფე გიორგისა, რომელიც ვითომც დავით კახთა მეფის შვილი უნდა ყოფილიყო. ჩვენს ისტორიკოსებს ერთი და იგივე პიროვნება შეცდომით ორად მიუჩნევიათ<sup>11</sup>.

აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ კახეთის ბაგრატიონების წარმომავლობა-ვინაობის თაობაზე გაკეთებულმა გამოკვლევამ შესაძლებლობა მისცა ქართული ისტორიოგრაფიის გამოჩენილ მეცნიერებს, რათა ყველგან, სადაც კი საჭიროება მოითხოვდა, ეთქვათ და დაეწერათ, რომ კახეთის ბაგრატიონები კანონიერი და ღირსეული მემკვიდრენი არიან ერთიანი და ჯერ კიდევ დაუშლელ-დაუნაწევრებელი საქართველოს მეფეთ-მეფე გიორგი VIII-ისა, რომელიც ერთიან საქართველოს ტახტს განაგებდა 1446-1466 წლებში, ხოლო 1466-1476 წლებში იგი იყო კახეთის მეფე, სადაც მას, ე.ი. გიორგი VIII-ს უწოდებენ გიორგი I-ს და კახეთის ბაგრატიონთა დინასტიის ათვლის წერტილიც ამ გიორგი I-დან იწყება. გიორგი I-დან მოყოლებული კახეთის სამეფო დინასტია ყოველგვარი ჩანაცვლებებისა და გვერდითი მოვლენების ზემოქმედების გარეშე უწყვეტად გრძელდება გიორგი XII-ით დამთავრებული და სამართლიანად ითვლება კახეთის ბაგრატიონთა დინასტია ერთიანი და განუყოფელი საქართველოს ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს ერთ-ერთ კანონიერ მემკვიდრედ და ღირსეულ გამგრძელებლად. ეს ყოველივე კარგად ვლინდება კახეთის ბაგრატიონთა გენეალოგიიდან, რასაც აქვე ვთავაზობთ მკითხველ საზოგადოებას. კახეთის მეფენი: გიორგი I /VIII/ 1466-1476; ალექსანდრე I, გიორგი I-ის შვილი /1476-1511/; გიორგი II, ავგიორგი, ალექსანდრე I-ის შვილი /1511-1513/; ლევან I, გიორგი II-ეს შვილი /1520-1574/; ალექსანდრე II, ლევან I-ის შვილი /1574-1605/; დავით I, ალექსანდრე II-ს შვილი /1601-1602/; კონსტანტინე I, ალექსანდრე II-ის შვილი /1605/; თეიმურაზ I, დავით I-ის შვილი /1606-1648/; დავით თეიმურაზ I-ის შვილი, მას არ უმეფია, იგი გარდაიცვალა 1648 წელს, მისი შვილია ერეკლე I /ნაზარალიხანი/, ქართლის მეფე 1688-1703 წლებში; დავით II

<sup>11</sup> იქვე, გვ. 316-317.

/იმამყული-ხანი/, ერეკლე I-ის შვილი /1703-1722/; კონსტანტინე II, ერეკლე I-ის შვილი /მაჰმადყული-ხანი/, მეფობდა 1722-1733 წლებში; თეიმურაზ II ერეკლე I-ის შვილი, კახეთის გამგებელი 1709-1715 წლებში, კახეთის მეფე 1733-1744 წლებში, ქართლის მეფე 1744-1762 წლებში, ერეკლე II, თეიმურაზ II-ის შვილი /1744-1762/; ქართლ-კახეთის მეფენი: ერეკლე II თეიმურაზ II-ის შვილი /1762-1798/; გიორგი XII ერეკლე II-ის შვილი /1798-1800/.

1801 წელს შეწყდა ქართლ-კახეთის ბაგრატიონთა დინასტიის სამეფო ფუნქციონირება, ხოლო 1810 წელს იმერეთისა, რადგან მეფის რუსეთმა 1801-1810 წლებში განახორციელა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სახელმწიფოების დაპყრობა და ქართული სამეფოების ლიკვიდაცია. საქართველოს სრული ანექსიის პარალელურად ცარიზმმა ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის თითქმის მთლიანი შემადგენლობა თნდათანობით რუსეთში გადაასახლა, სადაც ისინი გრუზინსკებისა და იმერეტინსკების გვარებით ცხოვრობდნენ. ბაგრატიონები თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ რუსეთის იმპერიაში – მათგან ბევრი ცნობილი მეცნიერი და სახელოვანი სამხედრო მოღვაწე გამოვიდა.

კახეთის ბაგრატიონთა აქ წარმოდგენილი გენეალოგია სამოც წელზე მეტი ხანია, რაც დაუბრკოლებლად ფუნქციონირებს და მის ლეგიტიმურობაშიც ეჭვი არავის შეუტანია. ჩვენი დამოკიდებულებაც ამ საკითხისადმი განაპირობა არა რაიმე სიახლის ძიებამ, არამედ იმ დამამტკირებელი და ღვარძლნარევი მსჯელობისა და უსაფუძვლო დასკვნების გამოაშკარავებამ, რაც ეკუთვნის ვინმე როლანდ ბურჭულაძეს, რომელმაც განუზომელი შეურაცხყოფა მიაყენა კახეთის სამეფო დინასტიას და მის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს ბაგრატიონთაგანს – „პატარა კახს“, სახელოვან მეფეს და საყოველთაოდ აღიარებულ მხედართმთავარს მეფე ერეკლე მეორეს. გმირთა-გმირ ერეკლე მეფის მისამართით როლანდ ბურჭულაძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა მხილებას და უარყოფას სხვა დროს გაცვებთ საკადრის პასუხს.

### 1.3. ქვეყნის II-ის სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობის ირგვლივ ბოლოხანის გამოთქმულ ზოგიერთ გაყალბებათა გაგებისათვის.

„თუ ვერ ვიგუბთ, ვერ შევიფიქრებთ  
ყარვი შეილება რად ვიებაღებან“

ვაჟა-ფშაველა

2002 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში „კახეთის ბაგრატიონთა ლეგიტიმურობის საკითხისათვის“ („ერეკლე“, გაზეთი „თელავის მრამბის“ სპეციალური გამოშვება, 7 ნომბერი) უარყავით როლანდ ბურჭულაძის მცდარი და ყოველგვარ დამაჯერებლობას მოკლებული მსჯელობა კახეთის ბაგრატიონთა არალეგიტიმურობის თაობაზე. ამ რეცენზია-გამოკვლევაში კი საუბარი გვექნება მეფე ერეკლე II-ის მრავალწლიანი მოღვაწეობის მთელ რიგ ნაშრომ-ნაამაგარზე ხსენებული მკვლევარის მიერ გამოთქმულ სიყალბეთა შესახებ.

მოხსენიებულ რეცენზიაშიც აღვნიშნეთ, მაგრამ აქ ზოგი რამ უნდა დავამატოთ რ. ბურჭულაძის მიერ 1999 წელს გამოცემული „ისტორიული კალენდრის“ შესახებ, რათა მკითხველს უფრო სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნას ხსენებული გამოცემის ირგვლივ.

კალენდარს თავფურცელზე აწერია – „ეს ყველამ უნდა იცოდეს“ და იქვე მკითხველს სთავაზობს ი. ჭავჭავაძის პოემა „დიმიტრი თავდადებულიდან“ ამონაწერს: „მოდით, შეილნო, აქ მოგროვდით, გეტყვით გულის გასათბობსა, – ვინ ვიყავით, რა ვიყავით ჩვენ ქართველნი წინა დროსა...“ შემდგომში კალენდრის ავტორ-შემდგენელი იწყებს საქართველოს ისტორიის თხრობას უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე. ქართველი ერის ამ უზარმაზარი ისტორიიდან ავტორი ეხება უმთავრესს და ძირითადს, რაც, რა თქმა უნდა, მისასაღმებელი და მოსაწონია, თუკიდა ყოველივე რიგზე იქნებოდა გაკეთებული და თანაც ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით. ავტორის მიზანი და სურვილი სწორედ ამ ამოცანის განხორციელებას ისახავს. მაგრამ მას ამ საშვილიშვილო და დიდად ეროვნული საქმისათვის სათანადოდ თავი ვერ გაურთმევია, ბევრი რამ ღარიბულად და უსუსურად გაუშუქებია და ბევრიც შეცდომით და დამახინჯებულადაა წარმოდგენილი. ხსენებული უზუსტობანი, ამკარა გაყალბებანი და დაუსაბუთებელი მსჯელობანი მომეტებულად ვლინდება კახეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოების მიმართ შემოთავაზებულ მსჯელობებსა და დასკვნებში. ჩვენი აღშფოთება და სამართლიანი გაკვირვებაც კი ყოველივე აღნიშნულმა გამოიწვია, რამაც



გვიკარნახა გამოვხმაურებოდით ავტორისეულ მსჯელობა-დასკვნებს და ყველა საფუძველს მოკლებულ „ბრალდებათა“ თაობაზე მკითხველისათვის მიგვეცა სათანადო ახსნა-განმარტება.

დღეს ჩვენ უადგილოდ, ღია კარის მტერევეად და ყოვლად ზედმეტად მიგვანჩნია ვისაუბროთ, ვიმსჯელოთ და ვიპაექროთ დიდი ერეკლე მეფე-სარდლის საყოველთაოდ განხმაურებულ და მრავალგზის აღიარებულ ბრძნულ და შორსმჭვრეტელ საგარეო პოლიტიკაზე, მოქნილ დიპლომატიკაზე და სახელოვან ერისკაცობაზე, გმირობა-ვაჟკაცობაზე და მის ლეგენდარულ ომებსა და ბრძოლებზე. მაგრამ რა ეუყოთ და როგორ დაეტოვოთ უპასუხოდ საამაყო წინაპრის შესახებ გამოთქმული ის ამაზრზენ-შემზარავი და უსაზიზღრეს-აღმაშფოთებელი მსჯელობა-შეფასებანი, რაც რ. ბურჭულაძის სახელთან არის დაკავშირებული?...

რ. ბურჭულაძეს ერეკლე II-ის მიერ წარმოებული სამხედრო მოღვაწეობისა და საგარეო პოლიტიკის თაობაზე ქართულ ისტორიოგრაფიაში თანდათანობით ჩამოყალიბებული ქებათა-ქება და დადებითი შეფასება გადაჭარბებულად, გაზვიადებულად და თითქმის, ბევრი რამ არარეალურადაც კი მიაჩნია და გადაუწყვეტია მოახდინოს მათი „გადაფასება“ და მკითხველს დანახოს „რეალური“, „ჭეშმარიტი“ და „გაუზვიადებელი“ მეფე-სარდლის ნამდვილი სახე. აღნიშნულ პოზიციაზე მღგარი მკვლევარი არავის და არაფერს აღარ ერიდება და „მართლის თქმის“ პლატფორმიდან შემდეგს აცხადებს: „ერეკლე II-ის მეფობის მიმართ არსებული თვალსაზრისი შემუშავებულია იმ ძალის იდეოლოგიური ზემოქმედებით, რომელ ძალასაც ერეკლე II-ის პოლიტიკამ შესაძლებლობა მისცა, რომ პლაცდარში გაეჩინა ამიერკავკასიაში. ამიტომ დღეს შეცვლილ პირობებში, საჭირო ხდება ობიექტურად შევხედოთ XVIII ს-ის საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას“.

აქ მოყვანილი ამონაწერი უმთავრესად გულისხმობს სახელოვანი წინაპრის მიერ მეფის რუსეთთან წარმოებულ საგარეო პოლიტიკას და მის შედეგებს. მაგრამ მკვლევარს, რომ ბევრი რამ სხვაც აინტერესებს დიდი ერისკაცის მრავალწლიანი მოღვაწეობიდან და მარტო ხსენებული პრობლემით არ იფარგლება, კარგად ჩანს მის არა ერთ „საყურადღებო“ მსჯელობა-გამონათქვამებსა და „ობიექტურ“ დასკვნებში.

ქართველი ხალხის უსაყვარლესი მეფე-სარდლისადმი წაყენებულ „ბრალდებებიდან“ კალენდრის შემდგენელ-გამომცემელი „XVIII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან“ დიდ ადგილს უთმობს ქართლ-კახეთის სამეფოების ერთ სამეფოდ გაერთიანების ერეკლესეული ნაღვაწ-ნაფიქრალ-ნაამაგარის „შეფასებას“. მკვლევარის მიერ ხსენებული მოვლენის „ობიექტურად შეხედვის“ შედეგი ის გახლავთ, რომ იგი ერეკლე მეფეს შეცდომად უთვლის მისი მამის თეიმურაზ II-ის გარდაცვალებისთანავე ქართლის სამეფოს დაკავებას და ქართლ-კახეთის სამეფოების გაერთიანებას.

ჭემმარიტი ისტორიის „თავდადებული“ მაძიებელი პატარა კახს აღიარებს საქართველოს ბაგრატიონთა ტახტის მიმტაცებლად და ქართლის ტახტის არაკანონიერ მპყრობელად.

ღაწლმოსილი და ამაგდარი მეფისადმი წაყენებული „ბრალდება“ ძირშივე მცდარია, რადგან ქართლ-კახეთის გაერთიანებას ჯერ კიდევ საფუძველი 1744 წელს ჩაეყარა, როცა კახეთში გამეფდა ერეკლე II, ხოლო ქართლში ერეკლე ბატონიშვილის მამა თეიმურაზ II. ქართლში თეიმურაზის გამეფებას მრავალმა ფაქტორმა შეუწყო ხელი და მათგან ერთ-ერთი ის იყო, რომ თეიმურაზ მეორე ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის სიძე იყო. თეიმურაზის მუდღე თამარ დედოფალი ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი და თავდადებული მებრძოლი იყო იმისათვის, რომ ქართლი და კახეთი გაერთიანებულყო და აღმოსავლეთ საქართველოში ყოფილიყო მხოლოდ ერთი ძლიერი სახელმწიფო. „ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რა უაღრესად დიდი როლი შეასრულა ანტონ I-მა ქართლ-კახეთის გაერთიანების საქმეში და საერთოდ, ერეკლეს პოლიტიკასა და ქვეყნის მართვაში, ნათლად გამოჩნდება, თუ რა შორსმჭვრეტელური და ბრძნული იყო ეს ნაბიჯი“ (მ. სამსონაძე, საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII ს-ში, 1988, გვ. 66).

ქართლ-კახეთის გაერთიანებისათვის თავდადებულად მებრძოლნი და დაუოკებლად მზრუნველნი – ქართლის ბაგრატიონთა დინასტიის ბრწყინვალე წარმომადგენლები: თამარ დედოფალი, ვახტანგ VI-ის ქალიშვილი და თეიმურაზ იესეს ძე (ანტონ I-ი), „ძე მეფისა იესესი“ არიან ჩვენი ერის საამაყო მამულიშვილები, რომლებიც მამინაც და ახლაც განასახიერებენ პროგრესულად მოაზროვნე ქართველობას, რომლებიც შორსმჭვრეტელ და უნიჭიერეს პოლიტიკოსს დიდ ერეკლეს 1762 წელს ქართლისა და კახეთის სამეფოების გაერთიანებას, აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის ქართველობის ერთ მუშტად შეკვრას შეცდომად კი არ უთვლიან, არამედ ერთ-ერთ გონივრულ და ბრძნულ ნაბიჯად. ეს საკითხი თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ფართოდ, ნათლად, ღრმად და საფუძვლიანად არის გასუქებული და ყველა სახელოვანი მეცნიერი ბრძენ ერეკლე მეფეს უწონებს ამ დიდად საჭირო ისტორიულ გადაწყვეტილებას.

ჩვენი პრეტენზიორი მკვლევარი საქართველოს ისტორიას, რომ საფუძვლიანად ფლობდეს მამინ თავს ასეთ უხერხულობაში არ ჩაიგდება. საქმე იმაშია, რომ კალენდრის ავტორი ერეკლე მეფეს რასაც უწუნებს და დანაშაულადაც კი უთელის, მსგავსი და უფრო ფართო მასშტაბიანი ღონისძიებები განხორციელა XVIII-ის მეორე ნახევარში ქართლის მეფე ვახტანგ V-ემ. საქართველოს გაერთიანების მიზნით ვახტანგ მეფემ 14 წლის არჩილ ბატონიშვილი ჯერ იმერეთში გაამეფა, ხოლო შემდგომ კახეთში და რა ღონისძიებებს არ მიმართა ამ უკეთილშობილესი ჩანაფიქრის განხორციელებისათვის, მაგრამ ქვეყნის შიგნით რეაქციონერ თავადაზნაურთა აღვირახსნი-

ლობამ და ირან-ოსმალეთის აულაგმავმა წინააღმდეგობებმა ჩაშალა ეს უდიდესი ეროვნული მიზანდასახულობა. ქართულ ისტორიოგრაფიაში ვახტანგ V-სა და არჩილ II-ის მოხსენიებული თავდაუზოგავი ბრძოლა შეფასებულია პროგრესულ და დიდ მამულიშვილურ მოღვაწეობად, რის შესახებაც საკმაოდ რეკლამირებულ კალენდარში ავტორი არაფერს არ ამბობს, სათანადო პოპულარიზაციას არ უკეთებს ქართლის ბაგრატიონთა აღნიშნულ ბრწყინვალე შრომა-საქმიანობას და ერეკლე II-ს კი ანალოგიური მოღვაწეობისათვის უზომო შეურაცხყოფას აყენებს. სახელოვანმა მეფე-სარდალმა ქართლ-კახეთის გაერთიანებით საფუძველი ჩაუყარა საქართველოს კვლავ გაერთიანებას და ერთიან სახელმწიფოდ ჩამოაყალიბებას, რაც ქარველი ხალხის სანუკვარი ოცნება იყო დღიდან საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლა-დაქუცმაცბულობისა. თითქოს დადგა კიდევ უკვე ქართველთა დიდი ხნის მოლოდინის აღსრულებისა, როცა 1789 წელს ერეკლე მეფეს დასავლეთ საქართველოდან საერო და სასულიერო პირთა მალალი ღონის დელეგაცია ესტუმრა და იმერეთ-ამერეთის გაერთიანების გეგმა შესთავაზა. მეფემ დარბაზი მოიწვია და სამი დღის განმავლობაში გრძელდებოდა აზრთა ჭიდილი. ბოლოს და ბოლოს ერეკლე მეფემ სხვადასხვა მიზეზთა გამო უარი თქვა იმერეთ-ამერეთის გაერთიანებაზე და დარბაზმაც შეწყვიტა მუშაობა.

ერეკლე მეფემ საგანგებოდ დასაჯა XVIII ს-ის 60-იან წლებში რუსეთიდან დაბრუნებული ქართლის ბაგრატიონთა წარმომადგენლები და მათთან გვერდში მდგომი ქართლის ფეოდალური არისტოკრატის ზოგიერთი რეაქციონერი თავადთაგანი, რომლებიც ცდილობდნენ ერეკლე II-ის ხელისუფლების დამხობას, მეფისა და მთელი მისი ოჯახის დიდიან-პატრიანად გაწყვეტას და ქართლის სამეფოს კვლავ ცალკე სამეფოდ გამოყოფას. ისტორიული კალენდრის ავტორი ერეკლე მეფეს შეთქმულთა დასჯას დიდ ცოდვად უთვლის და თავგამოდებული მომხრეა ქართლ-კახეთის კვლავ დაშლისა და ქართლის სამეფოს დამოუკიდებლად არსებობისა.

მკვლევარის ამდაგვარი დამოკიდებულება, საქართველოს გამაერთიანებელი ერეკლესეული ბრწყინვალე გადაწყვეტილებების მიმართ, იმით არის გამოწვეული, რომ მისი ღრმა რწმენით, კახეთის მმართველი დინასტიის „ბაგრატიონთა განაყოფად მიჩნევა საკმაოდ გვიანდელი გამონაგონია“ და აქედან გამომდინარე, რადგან კახეთის სამეფო დინასტია არავითარ კავშირშია ბაგრატიონთა საგვარეულოსთან, ერეკლე მეფეს ვალდებულად თვლის ქართლის ტახტი დაუბრუნოს ბაგრატიონთა ქართლის შტოს კანონიერ წარმომადგენლებს. საკითხისადმი ასეთი მიდგომა გარდა იმისა, რომ უხერხულია, მრავალმხრივ მიუღებელი და უსაფუძვლოცაა.

ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი, რაც მკვლევარის ხსენებულ პოზიციას ძირშივე აბათილებს, ის არის, რომ კახეთის სამეფო დინასტია ბაგრატიონთა განთქმული საგვარეულოს ყველაზე თავანკარა და წიმიინდათა-წიმიინდა წარმო-

მადგენლობა, ვიდრე ქართლისა და იმერეთის ბაგრატიონთა რომელიმე შტო. კახეთის ბაგრატიონები მოდიან ჯერ კიდევ ერთიანი და განუყოფელი საქართველოს მეფე გიორგი VIII-დან, რომელიც კახეთის სამეფო დინასტიას აფუძნებს, როგორც გიორგი I, და, აბა, სხვას ვის უნდა ჰქონოდა ყველაზე დიდი უფლება და პრეტენზია საქართველოს კვლავ გაერთიანებისათვის ზრუნვისა, თუ არა კახეთის ბაგრატიონებს. სად არის აქ უკანონობა და ვისიმეს ტახტის მიმტაცებლობა?

კალენდრის ავტორი ხსენებულ საკითხზევე მსჯელობისას რუსეთისა და ქართ-კახეთის სახელმწიფოებს შორის 1783 წელს დადებულ, ე.წ. „მფარველობით ტრაქტატსაც“ ეხება და აღნიშნავს, რომ ერეკლე მეფემ ეს ხელშეკრულება საქართველოს კეთილდღეობისათვის კი არ გააფორმა რუსეთთან, არამედ იმისათვის, რომ მას და მის მემკვიდრეებს ქართლის ტახტის მფლობელობის სრული გარანტია და საიმედო ჯავშანი ჰქონოდათო. ტრაქტატის გაფორმების წინა პერიოდი მართლაც ქმნის ასეთი განცხადების უფლებას, რადგან, როგორც რ. ბურჭულაძე შენიშნავს: „ბაგრატიონთა იმ ნაწილმა, რომელმაც თავიდან აიცილა გარუსება, საქართველოში ჩამოაღწია და ტახტზე თავისი კანონიერი უფლებები განაცხადა. ასეთ პირობებში, ერეკლე IIIს ესაჭიროებოდა კავშირი რუსეთთან არა ოსმალებისა და ირანის წინააღმდეგ, რომლებიც საქართველოს საფრთხეს სულაც არ უქმნიდნენ, არამედ ესაჭიროებოდა მხარდაჭერა ტახტის ლეგიტიმური მემკვიდრეების წინააღმდეგ, რომელთაც მიატოვეს უპერსპექტივო ყოფნა რუსეთში და საქართველოში დაბრუნებას შეეცადნენ.“ ტრაქტატის დედაზრის თაობაზე მკვლევარი იქვე კვლავ აგრძელებს მსჯელობას და შემოთქმულს უფრო აკონკრეტებს: „როგორც ჩანს, ამ ტრაქტატის პირობების შემუშავების დროს მისთვის მთავარი იყო რუსეთს ეცნო მისი ოჯახის უფლებები სამეფო ტახტზე, მეტი არაფერი“.

მკვლევარს ჩვენც ვეთანხმებით, რომ „ტრაქტატის“ მეექვსე მუხლში გამოკვეთილად არის აღნიშნული ქართლში და კახეთში ერეკლე მეფისა და მისი მემკვიდრეების მეფობის ხელშეუხებლობის შესახებ: – „უგანათლებულესა მეფესა ირაკლის თეიმურაზოვიჩსა, და სახლისა მისისა მემკვიდრეთა, და მენაცუელეთა, და ტომთა, დაიცავს უცუილებლად სამეფოთა ზედა ქართლისა, და კახეთისათა“, მაგრამ რა უფლება გვაქვს „მეგობრობითი პირობის“ ეს განაცხადი უმთავრეს და უძირითადეს ამოცანად ვაღიაროთ, როცა „ტრაქტატის“ 13-ტი მუხლი (არტიკული) და 4-ხი საიდუმლო მუხლი (არტიკული) ითვალისწინებს რუსეთისა და ქართლ-კახეთის სახელმწიფოების ორმხრივ ვალდებულებებს, თითოეულ მუხლს თავისი დატვირთვა და შინაარსი აქვთ და ყველა მათგან გამომდინარე უმთავრესი მანც ის არის, რომ ქართლ-კახეთის სახელმწიფო შედის რუსეთის იმპერიის მფარველობაში, ხოლო რუსეთი კისრულობს ქართლ-კახეთის დაცვას გარეშე მტრების თავდასხმებისაგან

და სხვა მრავალი. თვითონ მე-ნ მუსლშიც კი აღნიშნულთან ერთად, რუსეთი კისრულობს ქართლ-კახეთის დაცვას სპარსეთისა, ოსმალეთისა და „სხუათა მპყრობელთა“ შემოსევებისაგან.

თუ რისთვის გაფორმდა რუსეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოებს შორის „მფარველობითი ტრაქტატი“ მრავალგზის არის აღნიშნული ჩვენი სახელოვანი მეცნიერების მიერ. აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ: „ამ ხელშეკრულების მიზანი საქართველოსთვის იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთის სახელმწიფო საქართველოს მიწაწყლოს, მეზობლებისა და მტრებისაგან დაცვას კისრულობდა. მაგრამ ერეკლე მეფეს მარტო ამისთვის არ დაუდგია ეს ხელშეკრულება: მას უფრო ფართო და შორსმჭვრეტელი მიზანი ჰქონდა დასახული: ქართველობის გაერთიანებისა და სრულიად საქართველოს აღდგენაზე ოცნებობდა“ (ისტორიული რარიტეტები, 1989, გვ.88). ასევე მსჯელობს აკად. ნ. ბერძენიშვილი: „რუსეთის იმპერატორი ქართლ-კახეთის მეფეს საუკუნო მფარველობას აღუთქვამდა. ამის ნიშნად იმპერატორი პირობას იძლეოდა, რომ საქართველოს მტერს თავის მტრად იგულებდა“ (საქართველოს ისტორიის საკითხები ტ. II, 1965, გვ. 230-231). ტრაქტატის დედაზრი, რომ საქართველოს დაცვა იყო ირან-ოსმალეთის მიერ სამომავლო შემოსევებისაგან, თავის დროზე კარგად შეაფასა სსრ კავშირის მთავრობის ყიურიმ, რომელთაც ცნობილ დადგენილებაში პირდაპირ განაცხადეს: „საქართველოს წინაშე მაშინ ალტერნატივი იდგა – მას შაჰის სპარსეთი ან სულთანის ოსმალეთი დაიპყრობდა, ან იგი უნდა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ შესულიყო“ (კრებული «К изучению истории», 1937, გვ.38). მსგავს მსჯელობას და სათანადო დასკვნებს იძლევა პროფ. ი. ცინცაძეც სპეციალურად დაწერილ მონოგრაფიაში – „1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი“ (1960 წ.), საქართველოს ისტორიის ნარკვევების IV ტომი (1973 წ.) და ყველა ძირითადი გამოკვლევები და წერილები, რაც კი ამ პრობლემას ეძღვნება. თუმცა ისიც აღინიშნება, რომ იმხანად ალექსანდრე ბაქარის ძე გარეშე და შინაური მტრების დამრახმეველად მოევიწინა საქართველოს და საგანგებოდ ემზადებოდა ქართლის დასაუფლებლად. იგი ფათალი-ხანისა და სხვა კავკასიელი მფლობელების დახმარებით სერიოზულ სიძნელეებს უქმნიდა ერეკლე მეფეს, რაც მას აიძულებდა განსაკუთრებული ზომები მიეღო შექმნილი სიტუაციიდან თავის დასაღწევად. მაგრამ ერეკლე მეფისათვის ამ ვითარებას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა და უმთავრესი და ძირითადი მაინც ის იყო, რაც უკვე ითქვა. „საქართველოს ბედის რუსეთთან დაკავშირებით, – დასძენს აკად. ნ. ბერძენიშვილი, – ერეკლე ირან-ოსმალეთის მოძალადეებისაგან თავისი ქვეყნის საზღუდამოდ გამოსხნასა და მის აღდგენას ლამობდა“ (იქვე, გვ. 229).

კალენდრის შემდგენელ-გამომცემელი ერეკლე მეფეს იმაშიც სდებს ბრალს, რომ თურმე სწორად ვერ შეაფასა ერეკლემ ტოტლებენის ავანტიურისტული

მიზანდასახულობის არსი საქართველოს მიმართ, რამაც მეფეს მისცა იმის საფუძველი, რომ რუსეთს ნდობოდა, მისი მფარველობის იმედი ჰქონოდა და ტრაქტატიც იმიტომ გააფორმა მეფის რუსეთთან. „ერეკლე II-ის, როგორც პოლიტიკური მოღვაწის შეცდომა კი, – შენიშნავს მკვლევარი, – იქიდან მომდინარეობს, რომ მან ვერ დაინახა კანონზომიერი კავშირი რუსეთის სახელმწიფო ინტერესებსა და ტოტლებენის მოქმედებას შორის და მინც ეცადა დაედო ცნობილი 1783 წლის ტრაქტატი“.

დიდი და სახელოვანი წინაპრის მუხლჩაუხრელი მოღვაწეობის „შემფასებელ-გადამფასებელს“ უნდა მოვახსენოთ, რომ გმირმა მეფე-სარდალმა იმ მშფოთვარე და ცხელ დღეებშივე ზუსტად და სრულყოფილად შეაფასა გენერალ ტოტლებენის საქმიანობის, მისი ავანტიურიზმის რუსეთის სახელმწიფოდან მომდინარეობის შესახებ, რის გამოც იგი მაშინვე საგანგებოდ აღაგმა, საკადრისად შებოჭა და აიძულა ქართლ-კახეთის სამეფოდან სასწრაფოდ წასულიყო. იგი დასავლეთ საქართველოში გადავიდა, ხოლო იქიდან მალევე რუსეთის ხელისუფლებამ უკან გაიწვია და მის ნაცვლად გენერალი სუხოტინი გამოაგზავნა.

დიდი ხანია საყოველთაოდ ცნობილია და ალბათ კალენდრის ავტორისთვისაც გაუგებარი არ უნდა იყოს, რომ ქართლ-კახეთის მეფეებმა, მამა-შვილმა, თეიმურაზ IIმ და ერეკლე IIმ, XVIII საუკუნის 40-50-იან წლებშივე დიდ წარმატებებს მიაღწიეს ქვეყნის ყველა სფეროში და ამიერკავკასიაში თითქმის უცილობლად ითვლებოდნენ უპირველეს მეფე-სარდალებად. განჯის, ერევნის და ნახჭევანის სახანოები ქართლ-კახეთის სამეფოების მოხარკენი შეიქმნენ და თანდათან უფრო ძლიერდებოდა ორივე სამეფო და აღმოსავლეთი საქართველო ამიერკავკასიაში პირველობდა სამხედრო-პოლიტიკური თუ ქვეყნის აღმშენებლობა-აღმავლობის თვალსაზრისით. მიუხედავად ხსენებული წარმატებებისა, თეიმურაზ II და ერეკლე II შესანიშნავად ერკვეოდნენ სამშობლო-ქვეყნის შესაძლებლობებში და დაუღალავად ზრუნავდნენ ქართლ-კახეთის დაკავშირებას ერთმორწმუნე რუსეთთან და ევროპის ქვეყნებთან. ამ მიზნით, ჯერ კიდევ 1752 წელს ქართლ-კახეთის მეფეებმა ელჩები გააგზავნეს რუსეთში და ჯარით ან ფულით დახმარება ითხოვეს. იმხანად რუსეთმა ქართლ-კახეთის ვერავითარი დახმარება ვერ აღმოუჩინა. 1760 წელს თეიმურაზ მეფე თვითონ წავიდა რუსეთში, მაგრამ ამჯერადაც ქართლ-კახეთმა ვერანაირი დახმარება ვერ მიიღო რუსეთისაგან. ერეკლე მეფემ, ახლა უკვე ქართლ-კახეთის მეფემ, 1772-1773 წლებში რუსეთში გააგზავნა საკმაოდ ავტორიტეტული ელჩობა, რომელსაც თან ახლდა თავისი ამაღლა – 60 კაცი. ხსენებულმა ელჩობამ რუსეთის სამეფო კარს წარუდგინა ე.წ. „სათხოვრის პუნქტები“, რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფო ითხოვდა რუსეთის მფარველობაში შესვლას და რუსეთისაგან ისეთ დახმარებას, რაც ქართლ-კახეთის სახელმწიფოს მუდმივად არსებობისა, შემდგომი განვითარებისა და დაუბრკოლებლად

წინსვლის მყარ გარანტიას შეუქმნიდა. სამაგიეროდ, ქართლ-კახეთის სამეფო მრავალ ვალდებულებას კისრულობდა რუსეთის სასარგებლოდ. რუსეთის ხელისუფლებამ ქართლ-კახეთის სამეფოს თხოვნა კვლავ უყურადღებოდ დატოვა და ქვეყნის ელჩობა ხელმოცარული დაბრუნდა სამშობლოში. დრო კი არ ითმენდა და დაუყოვნებლივ მოითხოვდა საქართველოს დაკავშირებას რომელიმე ძლიერ სახელმწიფოსთან. ეს ყოველივე მაშინ ხდება, როცა ქართლ-კახეთის სახელმწიფო გარეგნულად ითვლებოდა ერთ-ერთ ძლიერ და ანგარიშგასაწვე სახელმწიფოდ. მაგრამ ბრძენმა ერეკლე მეფემ, ყველასაგან განსხვავებით, კარგად იცოდა, რომ თუ თავის ქვეყანას რაც შეიძლება მალე საიმედო და თანაც ძლიერ მოკავშირეს არ მოუძებნიდა ის ბოლოს და ბოლოს კვლავ გაუძლებდა დაღესტანიდან დაშველ და გამძვინვარებულ ლეკთა ურდოების განუწყვეტელ თარეშს და სპარსთა და ოსმალთა მიერ რამდენჯერმე წილხედრი „საქართველოების“ სრული დაუფლება-დაპატრონებისათვის დაუოკებელ ლტოლვას.

ასეთ ურთულეს ვითარებაში მყოფმა ერეკლე მეფემ 1781 და 1782 წლებში გადაწყვიტა კავშირი დაემყარებინა ევროპის სახელმწიფოებთან და მათგან მიეღო საჭირო დახმარება. ერეკლე მეფე ევროპელი ხელმწიფეებისაგან სესხად თხოულობდა ფულად დახმარებას, რომლითაც იგი რამდენიმე პოლკს ევროპულად გაწვრთნიდა და მათი საშუალებით შინაურ და გარეშე მტრებს ალაგმავდა, ქვეყანას საზღვრებს გაუმაგრებდა და სახელმწიფოს შემდგომი წინსვლისათვის სათანადო პირობებს შეუქმნიდა. ერეკლე მეფის ასეთი დამოკიდებულება ევროპისადმი იმ დაუოკებელი სურვილის განხორციელებებისათვის იყო განკუთვნილი, რაც თავის დროზე კარგად შენიშნა საქართველოში მყოფმა რუსმა პოლკოვნიკმა ბურნაშოვმა და ლამაზად და ხატოვნად თქვა კიდევ მეფის ამ განზრახვისა და სურვილის შესახებ. ერეკლე მეფე, შენიშნავს ბურნაშოვი, „ისე არაფრისაკენ არ მიისწრაფოდა, როგორც თავისი ხალხის ევროპულად გარდაქმნისაკენ“-ო.

ერეკლე მეფის ლტოლვა ევროპისაკენ მარცხით დამთავრდა. ვერა და ვერ მოხერხდა ევროპის რომელიმე სახელმწიფოსთან დაკავშირება. მაშინ ევროპამ საქართველოსთვის ვერ მოიცალა. ასეთ ვითარებაში მყოფი ერეკლე მეფის კარზე სტუმრობას მოუხშირეს რუსმა მოხელეებმა, მოგზაურებმა, ვაჭრებმა, ელჩებმა და სხვადასხვა რანგის პიროვნებებმა, მაგალითად, დოქტორმა იაკობ რაინგესმა და სხვა. ყველა ესენი რუსეთის ხელისუფლების მიერ იგზავნებოდნენ, მაგრამ ისე გასაიდუმლოებულად და კონსპირაციულად, რომ ეს ყოველივე ერეკლეს და მის გარემოცვას არ უნდა სცოდნოდათ. რუსეთიდან შემოგზავნილნი „ურჩევდნენ ერეკლეს ეთხოვნა რუსეთის ხელმწიფის მფარველობა. აიძულებდნენ, რომ ძლიერი მოკავშირის დახმარებით საქართველო ყველა სიბნელეს ადვილად დასძლეოდა, მშვიდობასა და კეთილდღეობას ეწეოდა“ (ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 228-229).

აი, მკითხველო, როგორ ურთულეს ვითარებაში ხდება 1783 წლის ტრაქტატის გაფორმება რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის. ისმება კითხვა, ჰქონდა კი სხვა გზა და საშუალება გმირ მეფეს, რათა უარი ეთქვა რუსეთთან სამფარველო ხელშეკრულების დადებაზე და სხვა რომელიმე ქვეყანა გამოენახა ამ საქმისათვის? როგორც ითქვა, ევროპას მაშინ ჩვენი დახმარება არც შეეძლო და საქართველოს ღირსებას, მის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას როგორც სინამდვილიდან ჩანს, ის ვერც აფასებდა, როგორც დღეს. რჩებოდა სპარსეთი და თურქეთი. მათ მიერ ჩვენი ქვეყნისადმი საუკუნეების მანძილზე თავს დატეხილი ურიცხვი უბედურება და საქართველოსათვის მრავალგზის მიყენებული განუკურნებელ-მოუშუშებელი ჭრილობები სამართლიანად ზარავდა ერეკლე მეფეს, მის თანაგუნდელთ, სრულიად საქართველოს საღად მოაზროვნე მამულიშვილთა ათასეულებს და არც კი უფიქრიათ მათთან სამშობლოს თაობაზე რაიმე დამამძღვებელი ურთიერთობის დამყარების შესახებ. საკუთარ ძალებს დაყრდნობდნენ და არავისთან მფარველობა-მოკავშირეობაზე არ ეფიქრათ. სწორედ ეს იქნებოდა ჩვენი იმდროინდელი წინაპრებისათვის პოლიტიკური სიბეცე და თავისი ქვეყნის ლიკვიდაცია-დამზობა-მოსპობისათვის ნოყიერი ნიადაგის შექმნა. მაშინდელი ქართლ-კახეთის მოსახლეობა სულ რაღაც 200-250 ათას სულს ძლივს ითვლიდა და მათგან მეფეს განა რამდენი მეომარი უნდა გამოეყვანა, რომ სათანადოდ გამკლავებოდა შინაურ და გარეშე მტერს და საიმედოდ დაეცვა ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობა და მისი დამოუკიდებლობა. რადგან საკუთარ ძალებზე დაყრდნობით გამო-რიცხული იყო ქართლ-კახელის დამოუკიდებლობის შენარჩუნება, რა თქმა უნდა, ერეკლე მეფეს, მის თანამებრძოლებს და ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილს დაუგვიანებლად, გადაუდებლად და რაღაც არ უნდა დაჯდომოდან ქვეყნისათვის მფარველი და საიმედო მოკავშირე უნდა გამოეძებნათ. ასეთ სახელმწიფოდ, რომელიც სპარსეთთან და თურქეთთან შედარებით ნაკლები ბოროტების მომტანი იქნებოდა, საქართველოსათვის რჩებოდა მხოლოდ რუსეთის იმპერია, რადგან მას ქართველთა მსგავსად მართლმადიდებლური სარწმუნოება ჰქონდა, თურქეთ-ირანთან შედარებით ყველა სფეროში საკმაოდ განვითარებული იყო და გააჩნდა ევროპის მოწინავე ქვეყნების კულტურასთან მიახლოებული სწავლა-განათლების სანიმუშო წარმატებები. ერეკლე მეფის მიერ საქართველოს ბედის რუსეთთან დაკავშირების თაობაზე მსჯელობისას ჩვენი დროის გამოჩენილმა მწერალმა და სახელოვანმა მამულიშვილმა ლადო მრეღამეილმა დიდებულად გაანალიზა ვებერთელა დატვირთვის მქონე ერეკლესეული გადაწყვეტილებების რაობის საკითხი და რესპუბლიკის მრავალტირაჟიანი გაზეთვის საშუალებით ამცნო სრულიად საქართველოს: „საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიის ბოლოს, — შენიშნავს მწერალი, — ის აღმოჩნდა გზაჯვარედინზე, სადაც ზღაპრულ ქვასავით იყო ჩასმული წარწერიანი ლოდი. ლოდი სამ გზაზე



მიუთითებდა: აქედან ორი ჩვეულებრივ, უეჭველ სიკვდილს იუწყებოდა, მესამე კი ფრიად საჭოჭმანო გახლდათ: აქეთ წახვალ ინანებ, – არ წახვალ, – მაინც ინანებო! და ერეკლემ მესამე გზა აირჩია, რადგან იგი არა მარტო უბაღლო მეომარი იყო, არამედ კარგი პოლიტიკოსიც. ეს არჩევანი უმტკივნეულოდ არ მომხდარა. თავისი ხალხის მომავალზე ფიქრმა ბევრი უძილო დამე ათევენა და, რაკი იცოდა: ზღვაში დასახარჩობად განწირული კაცი გველსაც კი სტაცებს ხელს, ბრძნულად დაასკვნა: ბოროტი კაცი უბოროტეს კაცსა სჯობიაო“. ღრმად მოაზროვნე მწერალი ხსენებულ საკითხზე მსჯელობას შემდეგი დასკვნით ამთავრებს: „მას შემდეგ, რაც თურქულმა იატაკანმა ევროპისკენ გასასვლელი ჩახერგა, ორი გზაღა დარჩა ქართველ ხალხს: ან ნამაზის შესასრულებლად, პირქვე დამხობილს, ალაპისათვის დღეში ხუთჯერ ეჩვენებინა ცისკენ აშვერილი უკანალი, ან საკუთარი ღმერთის წინ მოეყარა მუხლი დროდადრო. ერეკლემ უკანასკნელი აირჩია: და მართალი იყო მეფე ერეკლე“ („ლიტერატურული საქართველო“, №45, 2002 წელი).

კალენდრის ავტორ-შემდგენელი არა და არ ივიწყებს ერთხელ აკვიატებულ აზრს იმის თაობაზე, რომ ტრაქტატი ერეკლე მეფის პირად ინტერესებს ემსახურებოდა და არა საქართველოს კეთილდღეობასო და „სახელმძღვანელო“ დასკვნასაც გვთავაზობს: „ეს იყო არა მეფის მიერ გადადგმული ნაბიჯი სამეფოს სიძლიერისა და კეთილდღეობისათვის, არამედ სახელმწიფოს სათავეში სხვადასხვა გარემოებათა გამო მოხვედრილი ფეოდალის ზრუნვა ფეოდალური იმუნიტეტის შესანარჩუნებლად“ სახელოვანი მეფე-სარდლის მოღვაწეობის „გადამსინჯველ-შემფასებლის“ ესოდენ აღმაშფოთებელი და თანაც ყოველმხრივ მიუღებელი მსჯელობა და დასკვნები უმთავრესად იმის ბრალია, რომ მკვლევარი ვერ ეგუება კახეთის სამეფო დინასტიის კანონიერებას, ამ დინასტიიდან გამოსულ მეფეთა ბაგრატიონობის ლეგიტიმურობას, ყველა მათგანი მაინცა თვითმარქვია ბაგრატიონებად და სამეფო ტახტის სხვა და სხვა ზერხებით მიმტაცებლებად. მისი აზრით ამ დინასტიიდან გამოსული ესა თუ ის დაწინაურებული პიროვნება მოკლებულია ბაგრატიონთათვის კუთვნილ ღირსებებს. ისინი ჩვეულებრივად აღზევებული ფეოდალებია და თავგამოდებით იბრძვიან და „ზრუნავენ ფეოდალური იმუნიტეტის შესანარჩუნებლად“-ო. მკვლევარის ღრმა რწმენით „ასეთი პოლიტიკა კი, ადრე თუ გვიან, საქართველოსთვის კრახით უნდა დამთავრებულიყო“.

კახეთის ბაგრატიონთა ლეგიტიმურობის საკითხი დიდი ხანია სპეციალისტებში დავას აღარ იწვევს და დამაჯერებლადაა გარკვეული. ჩვენც სპეციალურ გამოკვლევაში – „კახეთის ბაგრატიონთა ლეგიტიმურობის საკითხისათვის“ დამატებითი სიცხადე შევიტანეთ, რის შედეგადაც ცოდნა და გაგება ამ პრობლემის ირგვლივ უფრო სრულყოფილი გახდა. რაც შეეხება კახეთის ბაგრატიონებიდან გამოსული მეფეები, ერთი მეორეზე უკეთესები იყვნენ და მათში მაინც პირველობდა და მოთავეობდა მეფეთა-

მეფე დიდი ერეკლე II. ისიც ხომ ცნობილია და მრავალგზის აღიარებული, რომ სახელოვან მხედართმთავარს და შორსმჭვრეტელ უნიჭიერეს პოლიტიკოსს ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში გამორჩეულ ქართველ მეფეთა შორის ერთ-ერთ უმძიმეს და ურთულეს ეპოქაში უზღებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა. როცა ერეკლე მეფის პიროვნებას ვეხებით და თითოეულ ჩვენთაგანში გვინდა თუ არ გვინდა დიდ ინტერესს იწვევს ხოლმე მის მიერ რუსეთთან წარმოებული საგარეო პოლიტიკა, სამართლიანად გვიჩნდება კითხვა, მართალი იყო თუ არა მეფე ერეკლე ამ არჩევანში? ხსენებული კითხვა მისთვის დამახასიათებელი შინაარსობრივი დატვირთვიდან გამომდინარე იმდენად მრავალწახნაგოვანია, რომ ალბათ, ვიდრე საქართველო იარსებებს, ამ საკითხის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობა ყოველთვის იქნება. ამასთანავე, თუ რომელიმე მკვლევარი შეეცდება დამტკიცებას, რომ ერეკლე მეფემ დიდი შეცდომა დაუშვა რუსეთთან 1783 წლის ტრაქტატის დადებით, მანვე უნდა გასცეს პასუხი იმ კითხვასაც, თუ რუსეთის ნაცვლად ირანულ-თურქული ორიენტაცია რა „სიკეთეს“ მოუტანდა საქართველოს.

კალენდრის ავტორ-შემდგენელი განსაკვიფრებლად ზედაპირულ ინტერესს იჩენს ერეკლე II-ის მოღვაწეობის დროინდელი ურთულესი ეპოქის ობიექტური და სრულყოფილი გაანალიზება-გაშუქების თვალსაზრისით და სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული მეფე-ტიტანის მოღვაწეობის ირგვლივ კი სხვადასხვა რანგის „სახელმძღვანელო“ დასკვნებს გვთავაზობს. მას ვერ წარმოუდგენია სხვაგვარი შეფასება მოუძებნოს ერეკლე მეფის მიერ არჩეულ რუსულ ორიენტაციას, თუ არა ის „რომ სწორედ მისი პოლიტიკის უშუალო შედეგს წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა“. ამავე პოზიციიდან მკვლევარი სხვა ბრალდებასაც უყენებს დიდ წინაპარს და შემდეგ განაცხადს აკეთებს: „მოვლენათა განვითარებამ ერეკლე II-ის მემკვიდრეები მიიყვანა 1801 წლამდე, როდესაც ისინი უკვე თანახმა იყვნენ საქართველოს სამეფო მთლიანად ჩაებარებინათ „რუსთ ხელმწიფისათვის“ და სამაგიეროდ რუსეთის შიდა რაიონებში სოფლები მიეღოთ“ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია და ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება აღმოსავლეთ და შემდგომ სრულიად საქართველოში მეფის რუსეთმა როგორც სამეფო სახლის წევრთა, ისე ქართველი ხალხის დაუოკებელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ განახორციელა. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმებისა და რუსეთთან მისი შეერთების შესახებ პაველე I-ისა და ალექსანდრე I-ის მანიფესტები ისე მომზადდა და გამოიცა კიდევ, რომ სანკ-პეტერბურგში მყოფ ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩებისათვისაც კი არაფერი უკითხავთ და არც შეუთანხმებიათ. მსგავსად მოქიყა ცარიზმის ხელისუფლება მაშინაც, როცა მან მოულოდნელად და ელვის სისწრაფით დაიწყო ქართლ-კახეთის სამეფო სახლის წევრთა რუსეთში გადასახლება. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს „თავისი ნებით რუსეთს წასვლა არცერთ

სამეფო სახლის წევრს არ სურდა“ და თითოეული მათგანი ყველა ღონეს მიმართავდა, რათა სამშობლოში დარჩენილიყო და როგორმე შეენარჩუნებინა ქართული სახელმწიფოებრიობა. კალენდრის ავტორ-შემდგენელი კი სრულიად საწინააღმდეგოდ მსჯელობს და მეცდომამში შეყავს მკითხველი საზოგადოება, როცა ამბობს, რომ: „...ისინი (სამეფო სახლის წევრები, ვ.ე.) თანახმა იყვნენ საქართველოს სამეფო მთლიანად ჩაებარებინათ „რუსთ ხელმწიფისათვის“ და სამაგიეროდ რუსეთის შიდა რაიონებში სოფლები მიეღოთ“-ო. მკითხველო, ეს ყოველივე აბსურდი და უსაფუძვლოა, რადგან ქართული ისტორიოგრაფია მსგავსს არაფერს იცნობს. ჩვენ განცვიფრებულნი ვართ ამხელა სიყალბის ასე უპასუხისმგებლოდ გაცხადებისათვის, რადგან არ მოიძებნება არც ერთი უფლისწულთაგანი, რომელიც თანახმა ყოფილიყოს საქართველოს დამოუკიდებლობა-სახელმწიფოებრიობის ნებაყოფლობით გაუქმებისა და საქართველოს სამეფო მთლიანად ჩაებარებინა „რუსთ ხელმწიფისათვის“.

ქართველი ერის ისტორიის ამ ერთ-ერთი ფაქიზი და მტკივნეული პრობლემისადმი ასეთი ზერელე და დაუდევარი მიდგომით უდიდეს შეურაცხყოფას ვაყენებთ სამშობლოს დამოუკიდებლობისა და ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის თავდადებულად და შეუდრეკლად მებრძოლ ბაგრატიონთა განთქმული დინასტიის უნიჭიერეს პლეადას.

კალენდრის შემდგენელ-გამომცემელი ერეკლე მეფის მოღვაწეობიდან დიპლომატიურ-პოლიტიკური კურსის მისუელი „გადაფასება-შეფასების“ შემდგომ იგი იწყებს სახელოვანი წინაპრის მხედარმთავრული ნიჭისა და მისი ლეგენდარული ბრძოლების თაობაზე ცინიზმითა და ღვარძლით საკმაოდ უხვად შეზავებულ ჭოროცნობას და გულისმოვებით მტრის გასახარად შემდეგს კადრულობს: „რაც შეეხება ერეკლე II-ის გადახდილ „ას ომს“, ეს ყველაფერი მხოლოდ პოეტური გამონაგონია. თავისი მოღვაწეობის დასაწყისში ის დამარცხდა ჰაჯი-ჩელებთან, 1795 წელს კი ალა-მაჰმადხანთან. ხოლო შუაში თუ ასპინძის ბრძოლაში გაიმარჯვა, ნურც იმას დაევიწყებთ, რომ ამ ბრძოლას ხელმძღვანელობდა მისი სიძე, რუსეთის კავალერიის ყოფილი ოფიცერი დავით ორბელიანი. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ამ ბრძოლაში ერეკლე II-მ ორთაბრძოლაში მოკლა ლეკთა რაზმის ბელადი, ეს განსაკუთრებულ ღირსებას არ უნდა წარმოადგენდეს, რადგანაც XVIII საუკუნის მთელს აღმოსავლეთში კარგად იყო ცნობილი ქართველი მეომრის ღირსებანი“.

ჩვენს მტრებს რომ ვინმე მოესყიდათ და საგანგებოდ და საგულდაგულოდ მოემზადებინათ ერეკლე II-ის სალანძღავად, დასამცირებლად და მის მიერ გადახდილი ბრძოლების გასამასხრებლად. ვერც ერთი მტერთაგანი იმდენ სიბინძურეს და არაკაცობას ვერ გამოავლენდა, რასაც კალენდრის ავტორი ბედავს და კისრულობს. ეცნობი რა ამ პიროვნების დამოკიდებულებას ერეკლე II-სადმი, თავისთავად გებადება კითხვა, თუ ვინ და რამ გააბოროტა ეს „მკვლევარი“ და რატომ და რისთვის თხზავს ამდენ სიყალბეს“?

სადად მოაზროვნე ყველა ქართველი და, ალბათ, ძალიან ბევრი, საქართველოში და ჩვენი ქვეყნის გარეთ მცხოვრები არაქართველიც კი, ვინც საქმარისად იცნობს ერეკლე II-ის დროინდელ ეპოქას და იმ ურთულეს ვითარებაში სახელოვანი მხედართმთავრის მუხლჩაუხრელ და თავდადებულ მოღვაწეობას, აღშფოთდება და გაკვირვებით იკითხავს თუ ვინ არის ასეთი გულჭკა, გაუგებარი, რეალური ჭეშმარიტების უსირცხვილოდ უარყოფელი, სამამულო და უცხოელ მეცნიერთა მიერ ერთხმად გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწედ და საყოველთაოდ ცნობილ მხედართმთავრად აღიარებულ ერისკაცს, რომ აუგად მოიხსენიებს და დაუშასხურებლად აყენებს აურაცხელ შეურაცხოვას. აი, ასეთი პიროვნებები ჰყავდა მხედველობაში სულმნათ შოთა რუსთაველს, როცა ამბობდა: „გულით ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერგამხედველი“. მხოლოდ ასეთ „მკვლევართა“ წილხვედრია გამოჩენილ ერისკაცთა აუგად მოხსენიება და მათ შორის სახელოვანი მეფე-სარდლის ერეკლე II-სა, რომელმაც 54 წელი იმეფა და მთელი თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა საქართველოსა და ქართველი ხალხის თვითმყოფადობას, მის წინსვლას, კეთილდღეობას და დედა-სამშობლოს მარადეჟამ არსებობის გარანტიის მოპოვებისათვის ბრძოლას მონაწილეობდა.

„გულით ბრმა“ და „ურჩი ხედვის“ ადამიანებს, როგორც ეტყობა, ტვინი და სინდისიც შესატყვისი აქვთ, რის გამოც ისინი თავის მოქმედებას სათანადოდ ვეღარ აკონტროლებენ და უვარგის საქმეებსაც იმიტომ კისრულობენ. თუ ადამიანისათვის ჯანსაღ ტვინს და შეურყენელ-გაუბზარავ სინდისს რა ღირებულება აქვთ, შესანიშნავად განმარტავს ბრძენთა-ბრძენი დიდი ილია, როცა ამბობს: „ჩემი მსაჯული, ჩემი ტვინია და ის პატარა ღმერთი რომელსაც სინდისს ეძახიან“<sup>1</sup>. ესა თუ ის პიროვნება, რომელიც „მეცნიერობს“ და თავის თავს უფლებამოსილად მიიჩნევს წინაპართა ღვაწლსა და ამავს შეეხოს და მათი გადაფასება-შეფასება დაიწყოს, ვალდებულია მოუხმოს საკუთარ ტვინს და დარწმუნდეს იგი გამოადგება თუ არა მსაჯულად, რომ მისი დახმარებით გაარკვიოს დადებითი და უარყოფითი, კარგი და ცუდი; პარალელურად ისიც უნდა შეამოწმოს და დარწმუნდეს თუ მას როგორი სინდისი აქვს, გაუწევს თუ არა ის „პატარა ღმერთის“ მოვალეობას, როცა მკვლევარი დარწმუნდება, რომ მისი ტვინი მსაჯულად ვერ გამოდგება და სინდის-ნამუსიც შელახული აქვს, მან თავი უნდა შეიკავოს ღვაწლმოსილ წინაპართა შეფასება-გადაფასებისაგან. ასეთი პიროვნებები საშიშნი და მოსარიდებელნი არიან, რადგან ისეთ რამეს კადრულობენ, რაც საგონებელში აგდებს ერსა და ქვეყანას. განა შეიძლება გმირთა-გმირ ერეკლე მეფეს ხმალი და მარჯვენა დაუწუნო, რითაც დიდი წინაპარი საყოველთაოდ იყო აღიარებული? ვისა აქვს უფლება ეჭვქვეშ დააყენოს სახელოვანი მეფე-სარდლის მხედართმთავრული ნიჭი? რა შეიძლება ეწოდოს პიროვნებას, რომელიც საკადრის პატივს არ მიაგებს ერეკლე მეფის მრავალგზის გადახდილი

ომებისა და სამაგალითო ბრძოლების უიშვიათეს ტაქტიკას და სტრატეგიას, რაც ევროპასა და აზიაში უმაღლეს შეფასებას იმსახურებდა და არაერთი იქაური გამოჩენილი პიროვნება განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა უკვე ლეგენდად ქცეულ მეფე-სარდალს. ეს ყოველივე, რომ რეალობა და უტყუარი ჭეშმარიტებაა კარგად და მისაბამ მამულიშვილურად არის წარმოდგენილი განსვენებული მეცნიერის პროფესორ მამია დუმბაძის მიერ. იგი დიდად ნასიამოვნებია სახელოვანი წინაპრის ევროპულ-აზიური მასშტაბის წარმატებებით და სიამაყით აღნიშნავს: „50-იანი წლებიდან არაჩვეულებრივად გაიზარდა ერეკლე მეორის ავტორიტეტი ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში. სწორედ ამ დროს დაისტამბა ფრანგი კომერსანტის – პეისონელის წიგნი, რომელიც 1755 წელს გერმანულ ენაზედაც გამოქვეყნდა მაინის ფრანკ-ფურტში. ევროპა გაეცნო ერეკლეს, როგორც ეპოქის გამოჩენილ სარდალსა და სახელმწიფო მოღვაწეს. ცნობილი გერმანელი მწერლის გ. ლესინგის ერთი დრამიდან ჩანს, რომ გერმანელი მხედრები, რომელნიც სახელის მოხვეჭაზე ოცნებობენ, გერმანიიდან გამოპარვას აპირებდნენ, რომ „მისი უმაღლესობის პრინც ერეკლეს მთავარსარდლობით ერთი ორჯერ მაინც გაელაშქრათ თურქების წინააღმდეგ“ (გ. ლესინგი, მინა ფონ ბარნჰელმი, თარგმ. გ. ნადირაძისა, 1946, გვ. 31). ევროპაში ხმა დაირხა, რომ საქართველოს ლომმა თითქოს სპარსეთი დაიპყრო და დღეს თუ არა ხვალ, თურქეთის კარიბჭეში შეიჭრებაო (კალმასობა, თხზ. იოანე ბატონიშვილისა, „ცისკრის“ გამოცემა, 1869, წ. 1, დ. ბაქრაძის შესავალი წერილი, გვ. II-III; იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 625).

აი, მკითხველო, კლასიკური ნიმუში იმისა თუ როგორ უნდა იწერებოდეს ისტორია და როგორ უნდა ვესიყვარულებოდეთ სახელოვან წინაპართა ნამაგარს. პროფ. მ. დუმბაძის სახით საქმე გვაქვს ქართული საისტორიო სკოლის ბრწყინვალე პლეადასთან, ხოლო კალენდრის შემდგენელ-გამომცემელი ანსახიერებს იმ წარმომადგენლობას, რომლებსაც რიყეზე რომ თავყრილობა მოუწყო, არც კი შერცხვებათ და ხმამაღლა განაცხადებენ – „აქ სად მოგვიყვანესო, ქვა გვინდა და ვერ გვიპოვიან“.

ბატონო „მეისტორიე-მკვლევარო“, გულის მოგებით და თითქოს გახარებული „ტონითაც“ კი რომ აცხადებთ „თავისი მოღვაწეობის დასაწყისში ის (ერეკლე II, ვ. ე.) დამარცხდა ჰაჯი-ჩელებთან, 1795 წელს კი აღამაჰმადხანთან“-ო და ამას აკეთებთ იმისათვის, რომ მკითხველს უჩვენოთ „რეალური“ ერეკლე მეფის პიროვნება და არა „გაზვიადებული“ და „ხელოვნურად“ „განდიდებული“ მეფე-სარდალი, როგორც თქვენ მიერ კალმის აღებადღე „ხდებოდა თურმე“.

როგორ არ წითლდებით და არც არაუისი და არც არაფრისა არ გერიდებათ, ასე რომ იქცევით და დაუშმსახურებლად შეურაცხყოფთ ქართველი ერის უდიდეს სათაყვანო წინაპარს; თქვენ რომ „გულით ბრმა“ და „ურჩი ხედვის“

პიროვნება არ იყოთ და თქვენ სადღაც მართლა რომ გსურდეთ მკითხველს ერეკლე მეფის ნამდვილი სახე აჩვენოთ, მაშინ რატომ ცრუობთ და რატომ კადრულობთ იმას, რომ „თავისი მოღვაწეობის დასაწყისში ის დამარცხდა ჰაჯი-ჩელებთან“-ო? არა ხართ მართალი და აი, რატომ. ერეკლე ბატონიშვილმა პირველი საბრძოლო ნათლობა 15 წლისამ დაიწყო, როცა სახელდახელოდ შეკრებილ კახელთა ლაშქრით ბატონიშვილმა ნეიშინის მიწაზე მუსრი გაველო მძარცველ ლეკთა ჯარს. აღნიშნულის თაობაზე ერეკლეს მეფობის ისტორიკოსი მდივანბეგი ომან ხერხეულიძე სიხარულს ვერ მალავს და შემდეგს გადმოსცემს: „...ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი, მეორედ შევიდა შინაგან ჯარსა ლეკისა და პირველად ამან მოკლა კაცი; და ამის მხილველთა კახთა ერთპირად მიმართეს ყვილით და წინაწარიქციეს ჯარი ლეკისა, აჰყარეს ტყვენი და საქონელი და მოსწყვიტეს უმრავლესნი. და მოვიდა მალაროს გამარჯვებული, რომლისთვისაც ფრიად მხიარულ იქნენ კახნი, იხილეს რა სიმხნე და მამაცობა მეგვიდრისა თვისისა“ (ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, 1989, გვ.40).

ერეკლე ბატონიშვილის მომდევნო საარაკო საბრძოლო თავგადასავალი დაკავშირებულია ირანის მბრძანებელ ნადირ-შაჰის სახელთან, რომელმაც ბატონიშვილი 1736-1739 წლებში თავისთან იახლა და ინდოეთისა და სხვა ქვეყნების დაპყრობისათვის წარმოებულ ბრძოლებში გვერდიდან არ მოუცილებია. ნადირ-შაჰი დიდად ნასიამოვნები იყო ერეკლე ბატონიშვილის გამორჩეული გონიერებით, სამაგალითო სამხედრო-პოლიტიკური ნიჭით და შეუდარებელი გმირობა-ვაჟკაცობით, რის სანაცვლოდაც ნადირ-შაჰმა ბატონიშვილს სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცა და შაჰი ბატონიშვილს მამაშვილური რჩევა-დარიგებით დაემშვიდობა: „მეფის ძე ირაკლი, – მიმართა შაჰმა, – შენ შენს ქვეყანას ეჭირვები და ნება მომიცია შენს ქვეყანაში წასვლისა და მარადის ჩვენის წყალობის მოიხედე იყავო“ (ომან ხერხეულიძე, იქვე, გვ.42).

მომდევნო წლებში, სანამ ერეკლე ბატონიშვილი გამეფდებოდა, მის მიერ გადახდილ ბრძოლებს შორის გამორჩეულ ადგილს იკავებს პირისპირ შეტაკებისას დაღესტნის უპირველესი ბელადის მაღაზის მოკლა და ქართლ-კახეთში შემოჭრილი ლეკთა და ოსმალთა ჯარის სრული ლიკვიდაცია. ამ სამხედრო ოპერაციას იძლეოდ უსამოვნება ირანის მბრძანებლისათვის, რომ მან საგანგებოდ დააჯილდოვა ერეკლე ბატონიშვილი, ხოლო ქართლ-კახეთის მოსახლეობას კი საუკუნოვანი ნატვრა აღუსრულა. ნადირ-შაჰმა მამა-შვილს უფლება დართო სარწმუნოების გამოცვლის გარეშე დაეკავებინათ სამეფო ტახტი, რაც ქართლ-კახეთის ბაგრატიონებს აკრძალული ჰქონდათ 1632 წლიდან. „ესე ყოველი, – აღნიშნავს ომან ხერხეულიძე, – ყოფილი და ქმნილი ირაკლის მიერი, მიუწერა ხანმან შაჰ-ნადირს, რომელიცა ფრიად მადლიერ ექმნა მას და მოხარულმან წარმოუვლინა ცხენი ოქროსა აღკაზმულობითა და ხრმალი მიძიდ მოჭედილი და მოუბოძა ქართლის მეფობა თეიმურაზს და კახეთის მეფობა ირაკლის, ძესა მისსა, წელსა 1744“ (იქვე, გვ.45).

ბატონო კალენდრის შემდგენელო, ხედავ რამხელა წარმატებები ჰქონია ერეკლე II-ს აჯი-ჩალაბთან შებრძოლებაში, რასაც თქვენ არ ეხებით, არც აღნიშნავთ და მკითხველს ერეკლე მეფეს აცნობთ იმ მარცხით, რაც მან და მისმა მამამ განიცადეს შაქი-შირვანის ხანთან შეტაკებისას 1751 წელს. თეიმურაზი და ერეკლე 1752 წელს კვლავ დამარცხდნენ აჯი-ჩალაბთან გამართულ ბრძოლაში, მაგრამ 1752 წლის სექტემბერში ერეკლემ ისე დაამარცხა და გააცამტვერა შაქი-შირვანის სახანო, რომ მან მომავალში ვეღარ შეძლო ხელი შეეშალა სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში პირველობისათვის თავგამოდებით მებრძოლი მამა-შვილისათვის. იყო თუ არა საჭირო, ბატონო „მკვლევარო“, ესეც გეთქვათ მკითხველისათვის, რადგან თქვენ მიზნად დაგისახავთ ერეკლეს მოღვაწეობა „ობიექტურად“ გააშუქოთ? რაკი ერეკლე მეფის სამხედრო მოღვაწეობის „გადაფასებას“ XVIII ს-ის 50-იან წლებიდან იწყებთ, როგორ გგონიათ, არ იყავით ვალდებული, დაგეწერათ და ხმამაღლა გაგეცხადებინათ თუ ერეკლე მეფემ 3000 ქართველი მეომრით ყირბულახთან (ერევნის ახლოს) 1751 წელს გამართულ ბრძოლაში როგორ დაამარცხა ირანის შაჰობისათვის მებრძოლი აზატ-ხანის 18-ათასიანი არმია, ხოლო შემდგომში კი ტყვედაც აიყვანა სამხრეთ ადარბადაგანის (აზერბაიჯანის) გათავხედებული მფლობელი აზატ-ხანი. 50-იან წლებში ბრწყინვალე მეფე-სარდლის საყოველთაოდ საქებარი ხომ ისიც არის, რომ 1754 წელს მჭადიჯვართან (დუშეთთან), ხოლო 1755 წელს ყვარელთან ერეკლე II-მ სასტიკად და სამარცხვინოდ დაამარცხა ავარიის ხანის ნურსალბეგის მეთაურობით ქართლ-კახეთში შემოჭრილი (20 ათასიანი) ლექთა მოთარეშე და თავზე ხელაღებული მძარცველი ურდოები.

ბატონო „მკვლევარო“, რადგან თქვენი სურვილია წარმოაჩინოთ „რეალური“ მეფე-სარდლის პიროვნება, როგორ ფიქრობთ, არ გევალებოდათ, მკითხველისათვის გეთქვათ თუ ერეკლემ და მისმა მამამ რა ვითარებაში დაიწყეს მეფობა, როგორი იყო იმდროინდელი ქართლ-კახეთი და რა უყო „ოსმალობა“ — „ყიზილბაშობამ“ და „ლეიანობამ“ აღმოსავლეთ საქართველოს? თქვენ, როგორც ობიექტურობისათვის „მებრძოლ“ მკვლევარს გევალებოდათ მკითხველისათვის გესაუბრათ მამა-შვილის აჯი-ჩალაბთან დამარცხების მიზეზების თაობაზე და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გეკადრათ უკადრებელი, რომ თითქოს და, ხსენებული მარცხი გამოწვეული ყოფილიყოს ერეკლე მეფის სამხედრო-პოლიტიკური ღირსებების უკმარისობით. რომ თქვენი პოზიცია, ამ შემთხვევაში, უსაფუძვლო და სიყალბეა, თვითონ მამა-შვილმავე დაადასტურეს ჯერ აჯი-ჩალაბის უსასტიკესი დამარცხებით, ხოლო შემდგომ იმ სახელოვანი წარმატებებით, რაც თეიმურაზ II-მ და პატარა კახმა მოიპოვეს XVIII ს-ის 50-იან წლებში.

ერეკლე II-ის მიერ გადახდილ მრავალ ბრძოლებსა და ფართო მასშტაბიან ომებს შორის ერთ-ერთი გამოკვეთილი ადგილი უკავია ასპინძის ომს, რადგან

სახელოვანმა მეფე-სარდალმა გენერალ ტოტლებენის გაუგონარი ღალატის შემდგომ უმცირეს ძალებზე დაყრდნობით გაანადგურა ოსმალთა და ლეკთა საკმაოდ რიცხვმრავალი ჯარი, ორთაბრძოლაში განგმირა „დალესტინის წარჩინებული და მხნე ბელადი კოხტა“ და გამარჯვებული მეფე სასწრაფოდ დაბრუნდა თბილისში, რათა დროულად აელაგმა ავანტიურისტი ტოტლებენი. ასპინძის ომში ერეკლე II-ის პირადი თავდადება და მისაბაძი მხედართმთავრული ნიჭი, რამაც იხსნა ქართველთა აშკარა მარცხი ამ უთანასწორო ბრძოლაში, ქართულ ისტორიოგრაფიაში ფართოდ და დაწვრილებით არის გაშუქებული. თვით ამ ომის მონაწილე და თვითმხილველი ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე დაწვრილებით აღწერს ასპინძის ომის მსვლელობას, მის თითოეულ დეტალს გულისხმიერად წარმოაჩენს, ქება-დიდებათ მოიხსენიებს „შვიდი ხვესურის“ და „ერთი თუმის სახელით ნაკუდას“ ერთგულ თანადგომას მეფისადმი და მათს სახელოვან გმირობა-გაუქვაცობას, იმასაც აღნიშნავს, რომ „თუმცადა თავადნი, მრავალნი სახელოვნად გაისარჯნენ“-ო, მაგრამ ისტორიკოსი არსად აღნიშნავს ასპინძის ბრძოლებში დავით ორბელიანის რაიმე განსაკუთრებულ დამსახურებაზე. თუმცა, ერეკლეს ისტორიკოსთან ის კი ჩანს, რომ თავადი დავით ორბელიანი მეფეს არ სცილდება, ყოველთვის მასთან იმყოფება, მეფის ავანგარდშია და უნდა ვივარაუდოთ, რომ მეფე-სარდალთან ერთად იგი მთელი მოწოდებით ჩაბმულია ასპინძის უთანასწორო და სამკვდოსასიცოცხლო ბრძოლებში.

დავით სარდალმა, რომ ასპინძის ბრძოლაში თავი გამოიჩინა და სამართლიანად არის ამ ომის გმირად აღიარებული, რა თქმა უნდა, სხვა გმირებთან ერთად, ჭეშმარიტებაა და ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ის არსად არ აღინიშნება, რომ დავით ორბელიანი ყოფილიყოს ასპინძის ბრძოლების ხელმძღვანელი და ორგანიზატორი.

ყოველივე ამის შემდეგ, კალენდრის ავტორ-შემდგენელი ასპინძის გმირად დავით ორბელიანს წარმოგვიდგენს და სახელოვანი წინაპრის საყოველთაოდ გახმაურებულ დამსახურებას ჩქმალავს და უპატივცემლოდ ეკიდება. უკეთესია მკვლევარს მოეუსმინოთ და დავრწმუნდებით თუ იგი როგორ „ზრუნავს“ ისტორიის ობიექტურობისათვის: „...თუ ასპინძის ბრძოლაში გამიმარჯვა (ერეკლე მეფემ, ვ.ე.), – აღნიშნავს მკვლევარი, – ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ამ ბრძოლას ხელმძღვანელობდა მისი სიძე, რუსეთის კავალერიის ყოფილი ოფიცერი, დავით ორბელიანი“. ყოველივე არნიშნულის შემდგომ, ჩვენ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტად მიგვაჩნია, რადგან ყველაფერი ნათელია. მაგრამ ერთი რამ კი მაინც დიდად გვაკვირვებს, რასაც ვერ ვმაღავეთ, აუცილებლად უნდა ვთქვა და თქვენც ყველას გეკითხებით, თუ ხსენებულ პიროვნებას რა და ვინ აპროგრამებს, რად კისრულობს ისეთ რამეს, რისი საფუძველიც არ არსებობს და ვინ მისცა აძენი უფლება, რომ ერის სათაყვანებელ მეფეს და დედასამშობლოს სახელოვან წინამძღოლს ასე აუგად



მოიხსენიებს და ქარსა და ნიაღვარს ატანს სამშობლოს კეთილდღეობისათვის ფერფლად ქცეული მეფე-სარდლის სისხლითა და ოფლით, მუხლჩაუხრელი შრომითა და გარჯით მოპოვებულ საბრძოლო-საომარ წარმატებებს? ასეთი საქციელი ხომ პატარა კაცობაა და ნებისმიერი სულით ღარიბი პიროვნების განათლებულობას და მწიგნობრობას ეჭქვეშ აყენებს; ვინ დაიჯერებს, ანდა რა დასაჯერებელია, 50 წლის საყოველთაოდ გმირთა-გმირად და ევროპულ-აზიური მასშტაბის მხედართმთავრად აღიარებული ერეკლე მეფე ასპინძის ომში, იმ ძნელდღობის ჟამს, მაყურებლის როლში ყოფილიყო და ბრძოლის სადავეები სხვისთვის ჩაეპარებინა? ასეთი რამ იქ არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ერეკლე მეფე ხომ მაშინ მისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეობის ზენიტში იმყოფებოდა და განა ასეთ ღროს და ასეთ ვითარებაში ვისმეს შეეძლო მეფე-ტიტანს გატოლებოდა და იქ, ასპინძაში, ერეკლეს როლი შეესრულებინა? რა თქმა უნდა, არა. ერეკლეს როლი ასპინძის ომში დიდი ხანია გარკვეულია და მრავალჯერ დაწერილი, რაც ფაქტიურად, კრძალავს არაფრისმთქმელ ახალახალ მარჩიელობას.

პროფ. ვალერიან მაჭარაძე გასაგებად აღნიშნავს, რასაც კარგი წამკითხველი უნდა და სხვა არაფერი. სახელოვან მეცნიერთან ვკითხულობთ: „1770 წლის 20 აპრილს გაიმართა ბრძოლა. ქართველი ჯარის განლაგება, როგორც ბრძოლის მონაწილე ზ. ორბელიანი იუწყება, ასეთი იყო: მარჯვენა ფლანგის სარდლობა დავით ორბელიანს ჰქონდა მინდობილი, სადაც თვით ზაალიც იდგა, მარცხენასი – გ. ბატონიშვილს, ხოლო ცენტრის თვით ერეკლე ედგა სათავეში. ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობა ერეკლეს ეკუთვნოდა“ (ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, 1957, გვ.68). იქვე ვკითხულობთ „ქართველი ჯარი, რომელსაც სათავეში ედგა ყირბულახისა და მჭადიჯერის ომების ვეტერანი, დიდი სარდალი ერეკლე მეორე, იბრძოდა მშობლიური მიწა-წყლის გასანთავისუფლებლად, მას ფეხქვეს მშობლიური მიწა ჰქონდა, წინ ნანრგვეებად ქცეული ქართული კულტურის აკვანი მესხეთი იღო“ (ვ. მაჭარაძე, დასახ. შრომა, გვ. 69).

უყურადღებოდ და სათანადო გამოხმაურების გარეშე ჩვენს კარგად ნაცნობ „მკვლევარს“, ალბათ, არც სხვა რომელიმე მოსაზრება, დასკვნა თუ განაცხადი არ უნდა დაუტოოვოთ და თითოეულ მათგანზე უნდა ითქვას ის, რასაც ისინი იმსახურებენ. ამჟამად მხედველობაში გვაქვს მის მიერ გაკეთებული შემდეგი განაცხადი: „რაც შეეხება ერეკლე II-ის მიერ გადახდილ „ას ომს“, ეს ყველაფერი მხოლოდ პოეტური გამონაგონია“-ო. როგორც ზემოთაც ითქვა, ერეკლე ბატონიშვილმა გამეფებამდე 9 წლის მანძილზე, 1735-1744 წლებში, რამდენიმე სერიოზული ბრძოლა გადაიხადა და საკადრისი საბრძოლო-საომარი ნათლობა მიიღო. 54 წელი იმეფა დიდმა წინაპარმა და მას ხშირად თითოეულ წელს რამდენიმე მცირე და დიდი მასშტაბის სამხედრო ოპერაციის ჩატარება უხდებოდა. XVIII საუკუნის ისტორიკოსები

- პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანში“ და მდივან-ბეგ ომან ხერხეულიძე „მეფობა ირაკლი მეორისა“-ში ერეკლე II-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მეტად საინტერესოდ გვიყვებიან, უყურადღებოდ არ ტოვებენ უმთავრესს და აუცილებელს და მათ შორის დიდის გულისხმობით ეკიდებიან იმ მნიშვნელოვან ბრძოლებსა და ომებს, რასაც ქვეყნის აღორძინება-გადარჩენისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ომან ხერხეულიძის წიგნი-მატიანე – „მეფობა ირაკლი მეორისა“, რომელიც ისტორიის გადმოცემას 1787 წლით ამთავრებს, ერეკლე მეფის მიერ სხვადასხვა დროს გადახდილ რამდენიმე ათეულ დიდ და მცირე ომებსა და ბრძოლებს გვიყვება და თუ რომელიმე ბრძოლის შესახებ არაფერს ამბობს და არც აღუწერია, იგი ამის თაობაზეც თვითონვე შემდეგს აღნიშნავს: „კვალად იყოფოდა რა მეფე ქიზიყსა, გამოვიდნენ ჭარელნი და თარეში მიუშვეს. გაუხდა მეფე ირაკლი თავისის ამალით და მღვერით და ძლიერად დაამარცხა. ხოლო ესევეთარნი გამარჯვებანი ირაკლი მეფისაგან უანგარიშონი არიან და ამად ყოველივე ვერ მოვიხსენეთ, არამედ აღვრიცხეთ, რომელი ღირსად ხსოვნისა იყო და სხვანი მრავალნი წვრილნი გამარჯვებები დავიდუმეთ“ (ომან ხერხეულიძე, იქვე, გვ. 67). ხედავ მკითხველო და ერეკლე მეფის მოღვაწეობის „შემფასებელ-გადამფასებელ“ ბატონო „მკვლევარო“, ერეკლეს თანამედროვე მემატიანე „გულით ბრმა, ურჩი ხედვის“ პირთათვისაც კი გასაგებად და თვალთა ასახელად, რა კარგად და რა ნათლად აღნიშნავს, რომ ქიზიყში შემოჭრილ მძარცველ ლეკთა ბრბოების დამარცხება და სხვა მრავალი მცირე მასშტაბიანი ბრძოლების ბრწყინვალედ გადახდა ერეკლეს მიერ „უნგარიშონი არიან და ამად ყოველივე ვერ მოვიხსენიეთ და სხვანი მრავალნი წვრილნი გამარჯვებები დავიდუმეთ“. ერეკლე მეფის თანამედროვე მემატიანე, – ისტორიკოსის აქ მოტიანილი აღიარება-განაცხადის შემდეგ, ვფიქრობთ, სხვადასხვა მონაცემთა მოშველიებას აზრი არა აქვს და ერეკლე II-ის მიერ გადახდილ ე.წ. „ასი ომის“ ირგვლივ გამოთქმულ „კრიტიკულ“ დამოკიდებულებასაც ბოლო ეღება. მემატიანეს მიერ დაუეჭვებლად და დაბეჯითებით ნათქვამი გამოთქმები ერეკლე მეფის მიერ სხვადასხვა დროს მრავლად გადახდილი მცირე მასშტაბის ბრძოლების მოუხსენებლობის შესახებ, უფლებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ სახელოვან წინაპარს და საყოველთაოდ აღიარებულ მეფე-სარდალს „ას ომზე“ ბევრით მეტი დიდი და მცირე მასშტაბის სამხედრო ოპერაციები ექნებოდა ბრწყინვალე გამარჯვებებით დამთავრებული. ქართულ ისტორიოგრაფიაში აღინიშნება კიდევ ერეკლე მეფის მიერ ორასზე მეტი ბრძოლის გადახდის შესახებ. გენერალ-ლეიტენანტი და გამოჩენილი მეცნიერი, აკად. ირაკლი ჯორჯაძე აღნიშნავს, რომ: „ერეკლემ, რომელმაც 80 წელი იცოცხლა, მარტო საქართველოში სულ ცოტა ორასი ბრძოლა გადაიხნა და უმეტესად გამარჯვებული გამოდიოდა, მიუხედავად იმისა, რომ მას ყოველთვის მცირერიცხოვანი ძალები

ჰყავდა“ (ი. ჯორჯაძე, ნარკვევები საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან, 1990, გვ. 218).

ჩვენი მორიგი შეხვედრა კალენდრის ავტორ-შემდგენელთან იმან გამოიწვია, რომ იგი ყოვლად უსაფუძვლო და სრულიად გაუმართლებელ დამოკიდებულებას გამოხატავს ერეკლე მეფის ღვაწლისა და როლის შესახებ „მორიგე ჯარის“ შექმნასთან და მის არსებობასთან დაკავშირებით. იგი არავის და არაფერს არ ითვალისწინებს „მორიგე ჯარის“ ირგვლივ, თუკი ვისმეს რაიმე უთქვამს, დაუწერია და გამოუქვეყნებია, თუარადა, ამ საკითხის ირგვლივ არსებობს უმდიდრესი მეცნიერული შემკვიდრეობა და კალენდრის შემდგენელ-გამომცემელი კი მოურიდებლად და უსირცხვილოდ სახელოვანი მეფე-ტიტანის ავტორიტეტის დამამცირებელ-შურაცხმყოფელი ტონით უტიფრად აცხადებს: „რაც „მორიგი ჯარის“ შექმნაში მიუძღვის დადებითი წვლილი ერეკლე მეორეს: ეს ჯარი შეიქმნა ცნობილი საზოგადო და სამხედრო მოღვაწის იოსებ ემინის ენერგიის შედეგად, მაგრამ აი, ამ ჯარის დაშლა-გაუქმების საქმეში კი განუზომლად დიდია ერეკლე II-ის დამსახურება: მან ჯოხით აცემინა იოსებ ემინი და გააძევა საქართველოდან. რა მიზეზითაც არ უნდა ყოფილიყო ეს, ამის გამართლება არ არსებობს, რადგანაც შედეგად მოგვცა საქართველოსთვის პირველად შექმნილი რეგულარული ჯარის ნაწილების გაუქმება“.

მკვლევარი დამახინჯებულად გვთავაზობს ერეკლე მეფის მიერ დიდი შრომისა და კოლოსალური გარჯის შედეგად შექმნილი რეგულარული ჯარის სახელწოდებას. იგი ამ ჯარის სახეობას უწოდებს „მორიგი ჯარი“, რაც შეცდომაა, რადგან ამ ჯარს ერქვა „მორიგე ჯარი“ და არა „მორიგი ჯარი“. სიტყვები – „მორიგე“ და „მორიგი“ შინაარსობრივი დატვირთვით ერთმეორისაგან არსებითად განსხვავდებიან და ისინი ერთმეორის სინონიმს არ წარმოადგენენ.

აქ მოყვანილი ამონაწერი თავიდან ბოლომდე ყალბია და მონაგონ-მოჩმაზული. რომ „მორიგე ჯარი“ ერეკლე მეფის ინიციატივით, სურვილით და მისი დიდი მოწადინების ნიადაგზე შეიქმნა, დიდი ზანია მრავალგზის არის აღნიშნულ-დადასტურებული ჩვენი ერის სახელოვანი მეცნიერების მიერ. აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ: „ერეკლე მეფემ მორიგე ჯარის დაწესება შემოიღო და მუდმივ ჯარის არსებობას საქართველოში საძირკველი ჩაუყარა“ (ივ. ჯავახიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს განსაცდელი და თეიმურაზ II და ერეკლე II ღვაწლი საქართველოს წინაშე, იხ. ისტორიული რარიტეტები, 1989, გვ.77). აკად. ნ. ბერძენიშვილმა სპეციალურად შეისწავლა „მორიგე ჯარის“ შექმნის საკითხი და ყველა დეტალი ნათლად გააშუქა. განსვენებული მეცნიერი დასძენს: „1773 წლის მიწურულში ერეკლემ დარბაზის სხდომა მოიწვია, მსჯელობა ეხებოდა ისეთი ჯარის შექმნას, რომელიც ლეკთა ქურდულ თავდასხმებს საბოლოოდ მოსპობდა და ქართველ

გლესკაცობას მშვიდობიანი შრომის საშუალებას მისცემდა. დარბაზმა შეიმუშავა „მორიგის ლაშქრობის განაჩენი“, რომელიც მან „ყველასაგან უკეთესად და უმჯობესად გამოარჩია“, როგორც ეს თვით ამ განაჩენშია ნათქვამი“ (6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, 1965, გვ.222). მსგავსი განმარტებაა მოცემული „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“, სადაც ვკითხულობთ: „მორიგის ლაშქრობის განაჩენი 1774, ძველი ქართული ადმინისტრაციული და სამხედრო სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლი შეიმუშავა დარბაზმა. მორიგე ჯარის შექმნით მეფე ერეკლე II ცდილობდა ფეოდალთა განკერძოების შეზღუდვას და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას“ (ტ.7, 1984, გვ.125). ეფიქრობთ, იმის ნათელსაყოფად, რომ ვიდაც იოსებ ემინს არავითარი კავშირი არა აქვს „მორიგე ჯარის“ შექმნასთან და ის ერეკლე მეფის ღვაწლის შედეგია და განხილულ-დამტკიცებული ქართლ-კახეთის სახელმწიფოს მმართველობის უმაღლესი ორგანოს დარბაზის მიერ, საკმარისია ის მტკიცებულებანი, რაც მოვიტანეთ. ისიც უარსაყოფი და ძირშივე ამოსაძირკვია, როცა ყველასათვის უკვე კარგად ცნობილი „მკვლევარი“ „მორიგე ჯარის“ გაუქმებას, მის დაშლას და ლიკვიდაციას ერეკლე IIს აბრალებს. ქართულ ისტორიოგრაფიაში ფართოდ, ნათლად და სრულყოფილად არის ნათქვამი, რომ: „მორიგე ლაშქარი ბრძანებით არასოდეს არ გაუუქმებიათ, მაგრამ თავადებმა მოახერხეს მისი თანდათანობით შესუსტება და ბოლოს საკვებით გაქრობა. უდიდესი ზიანი მოუვიდა მორიგე ლაშქარს მისი ხელმძღვანელის ლევან ბატონიშვილის, მოულოდნელი სიკვდილით (1781წ.). მორიგე ჯარის გაუქმება იყო თავადების გამარჯვება და ერეკლე მეფის პოლიტიკის უდიდესი მარცხი“ (6. ბერძენიშვილი, იქვე, გვ. 222, 223).

რაც შეეხება იოსებ ემინს, იგი ცნობილი სომეხი პოლიტიკური მოღვაწე იყო, რომელიც სხვა სომეხ თანაგუნდელებთან ერთად ცდილობდა დამპყრობელთაგან სამშობლოს განთავისუფლებას და სახელმწიფოებრიობის აღდგენას. იგი იმის მომხრეც იყო სომეხი და ქართველი ხალხი გაერთიანებულიყო და ერეკლეს მეფობით შექმნილიყო ერთიანი ქართულ-სომხური სახელმწიფო. იოსებ ემინი 1763 წელს თბილისში ჩამოვიდა და ერეკლე მეფეს ხსენებული გეგმა შესთავაზა. ერეკლე მეფეს ემინი დიდი პატივისცემით მიუღია, მისი სურვილი და გეგმაც მოუწონებია, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ამ ორი მოძმე ხალხის გაერთიანება არ განხორციელდა. საკვირველია და დიდად განსაკვიფრებელი, თუ კალენდრის ავტორმა ეს ისტორიული პიროვნება რისთვის, რატომ და რის საფუძველზე მიატმასნა „მორიგე ჯარის“ შექმნის ისტორიას?

თუ ვინ შექმნა და რა ვითარებაში ჩამოყალიბდა „მორიგე ლაშქარი“, შესანიშნავად არის გაშუქებული „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რედაქტორების IV ტომშიც, სადაც ვკითხულობთ: „გაძლიერებული ქართლ-კახეთის სახელმწიფოს წინაშე მწვავედ იდგა მუდმივი ჯარის შექმნის პრობლემა. სახელდახელოდ შეკრებილი ფეოდალური ლაშქარი დიდი ხანია

უკვე ვეღარ შეელოდა ფართო მასშტაბის პოლიტიკის წარმატებას. ეს პრობლემა 1773 წ. სახელმწიფო დარბაზის საეციალური მსჯელობის საგანი გახდა. დარბაზმა შეიმუშავა „განაჩენი“ ანუ წესდება „მორიგე ლაშქრის“ დაარსების შესახებ. „ეს „განაჩენი“ ოფიციალურად მოქმედებდა ქართლ-კახეთის სამეფოში 1774 წლის 4 იანვრიდან“ (გვ.529-530).

დაზუსტებას და სათანადო შენიშვნებს საჭიროებს ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი „მკვლევარის“ მოძღვენო მსჯელობაც, სადაც იგი არსებით შეცდომებს უშვებს და უკვე დიდი ხნის მანძილზე მყარად ჩამოყალიბებულ ისტორიულ კანონზომიერებას ეწინააღმდეგება. „არცერთი კუთხიდან არ შეიძლება გამართლება არსებობდეს იმ პოზიციის მიმართ, – დასძენს რ. ბურჭულაძე, – როგორც მან (ერეკლე II-მ, ვ.ე.) დაიკავა 80-იან წლებში დასავლეთ საქართველოდან ჩამოსული დელეგაციის მიმართ, რომლებიც ნებაყოფლობით დონეზე საქართველოს გაერთიანებას მოითხოვდნენ“. იმერეთ-ამერეთის გაერთიანების პრობლემა დღიდან მისი მსჯელობის საგნად გახდომიდან იწვევს აზრთა სხვადასხვაობას და ეს ტრადიცია, ალბათ, ყოველთვის იარსებებს კიდევ. მაგრამ მის მიმართ ისეთი კატეგორიულობა, როგორსაც რ. ბურჭულაძე იჩენს, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია და მიუღებელი. ეროვნულ-პატრიოტული თვალსაზრისით საქართველოს გაერთიანების საკითხი, რა თქმა უნდა, პროგრესული იყო და, აქედან გამომდინარე, თითოეულ ჩვენთაგანს უფლება გვაქვს განვაცხადოთ, რომ ერეკლე მეფეს მხარი უნდა დაეჭირა ხსენებული წინადადების განხორციელებისათვის. მაგრამ, იმავე დროს, ვალდებულნი ვართ გაეთვალისწინოთ იმდროინდელი საქართველოს საგარეო და საშინაო მდგომარეობა და მხოლოდ მაშინ გავაკეთოთ დადებითი თუ უარყოფითი დასკვნა. მართლაც, ამ ერთ-ერთი ურთულესი პრობლემის ირგვლივ, მეფე ზომ ვალდებული იყო ყველა ნიუანსი გაეთვალისწინებინა, რაც მაშინ ამ საკითხის ირგვლივ იკვეთებოდა. დარბაზის 3-დღიანი მუშაობის დროს ნათლად გამოჩნდა ამ პრობლემის მიმართ, ე.წ. უკიდურეს პატრიოტთა და ზომიერთა დამოკიდებულება. მაგალითად, იმერეთის დესპანების სახელით სარდალმა ქაიხოსრო წერეთელმა კომპრომისული წინადადება დააყენა დარბაზის სხდომაზე. იგი ითხოვდა, რომ „იმერეთში მეფობა ნუ მოისპობა, მხოლოდ იქ ერეკლეს შეილიშვილი სოლომონი გამეფდეს და მან კავშირი შეკრას ქართლ-კახეთთანო. ეს მტერს დააშინებს და მორიდებას მიაჩვევსო. ერეკლე მეფე კვლავ ჩაფიქრებული იყო და დუმილით უსმენდა როგორც უკიდურეს პატრიოტთა, ისე ზომიერთა სიტყვებს“ (გერონტი ქიქოძე, ერეკლე მეორე, 1983, გვ. 152). ერის სახელოვან წინაპარს, რომ თავი უნდა შეეკავებინა ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის თაობაზე, სხვა დამამძიმებელ მიზეზთა შორის, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „...სხვათა შორის, ერთი მძიმე საბუთიც ჰქონდა: ერეკლე რუსეთის ხელდებული იყო, იმერეთი – კი ოსმალეთს თავისად მიაჩნდა. ამიტომ ამერეთ-იმერეთის

გაერთიანებას ოსმალეთი არ მოითმენდა“. (6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, 1965, გვ. 235).

ერეკლე მეფის პოლიტიკური მოღვაწეობის „შემფასებელ-გადამფასებელი“ არ სცნობს, ყოველ შემთხვევაში, არაფერს აღნიშნავს, არავითარ რომელიმე ფაქტორს თუ მიზეზებს, რამაც ერის დიდ მოამბავს უარი ათქმევინა იმერეთ-იმერეთის გაერთიანებაზე, გარდა იმისა, რომ: „მისი შიში სავსებით გასაგებია საიდნაც მომდინარეობდა: დასავლეთ საქართველოში იმ დროს უკვე შემუშავებული იყო „მეფედ არჩევის“ წესი და შესაძლო იყო, ერთ მშვენიერ დღეს, ერეკლე II-ის შთამომავალი არ აღმოჩენილიყო საქართველოს ტახტზე“. ბატონო „მეისტორიე“, რომელ „მეფედ არჩევის“ წესზე ლაპარაკობ, სად და როდის იყო ასეთი რამ საქართველოში? საქართველოში ხომ ათას ხუთას წელზე მეტი ხნის მანძილზე მტკიცე მემკვიდრეობითი კანონი მოქმედებდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ გადამდგარ თუ გარდაცვლილ მეფის ტახტზე უფროსი შვილი სცვლიდა. ასე იყო იმერეთის სამეფოშიც. მაგრამ იმის გამო, რომ იმერეთის მეფე სოლომონი, რომელიც 1784 წელს გარდაიცვალა და მას მემკვიდრე ვაჟი არ ღარჩენია, ტახტის მემკვიდრედ მეფის ძმისწული დავით არჩილის ძე და მეფის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე გამოვიდნენ. მემკვიდრეებს შორის ბოლომოუღებელი ბრძოლა მიმდინარეობდა, რაც იმერეთის სამეფოს დიდ ზიანს აყენებდა. ამ ორი კანდიდატურიდან იმერეთის მოსახლეობის უმრავლესობა დავით არჩილის ძეს უჭერდა მხარს და „ამავე დროს ერეკლემ ხელი შეუწყო სოლომონ პირველის ძმისწულის, დავით არჩილის ძის, საბოლოო გამეფებას იმერეთში. იმერეთის ახალგაზრდა მეფეს ერეკლეს შვილიშვილი, მისი გაზრდილი და მისივე პოლიტიკის გამტარებელი იყო. დავით არჩილის ძემ გამეფების (1789წ.) შემდეგ სოლომონ მეორის სახელი მიიღო“ (6. ბერძენიშვილი, იქვე, გვ. 235). აი, ამ პატარა ისტორიაში, რასაც ადგილი ჰქონდა იმერეთის სამეფო კარზე, კალენდრის ავტორ-შემდგენელი „მეფედ არჩევის“ წესს უწოდებს, რაც არარეალურია, რადგან იქ იმერეთში, თუ იმ ორი კანდიდატურიდან ვინ უნდა დარჩენილიყო მეფედ არავითარი არჩევნები არ ჩატარებულა და არც სამომავლოდ „მეფედ არჩევის“ წესი არ შემუშავებულა. საქართველოში მეფეს არ ირჩევდნენ და არც არაფერი აურჩევიათ არასდროს.

კალენდრის ავტორ-შემდგენელი არ კმაყოფილდება სახელოვანი წინაპრის ღვაწლისა და საარაკო ამაგის შეურაცხყოფელ-დამამცირებელი „მოღვაწეობის“ შედეგებით და ახალ-ახალ დამამძიმებელ „ბრალდებებს“ უყენებს მეფე-სარდალს. გაკვირვებას იწვევს ამ პიროვნების არნახული აგრესიულ-ალერგიული დამოკიდებულება ქართველი ერის ამ ერთ-ერთი უსაყვარლესი და ყოველად დიდ წინაპრად აღიარებული ერისკაცის მიმართ, რის გამოც, თავისთავად ისმება კითხვა, თუ რატომ კადრულობს ამ ყოველივეს ასე უკონტროლოდ და წინდაუხედავად? ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გონს მოეგოს,

გამოფხიზლდეს, გაიღვიძოს, თვალები აახილოს, შეჩერდეს და წერტილი დაუსკვას ამხელა განუკითხავობას და არაკაცობას. კმარა ბატონო „მკვლევარო“, კმარა, ღმერთი დაგსჯის ამდენი ცოდა-ბრალისათვის! „მისი (ერეკლე II-ისა, ვ.ე.) რეპრესიული პოლიტიკა, – გვამცნობს, კალენდრის ავტორი, – ყველა იმ პიროვნების მიმართ, ვინც საქართველოს ისტორიას შემორჩა როგორც უაღრესად საჭირო სახელმწიფო თუ კულტურული მოღვაწე (ანტონ I, პაატა ბატონიშვილი, ალექსანდრე აბილახვარი, ელიზბარ ერისთავი, იოსებ ემინი, ზაქარია გაბაშვილი, ბესიკ გაბაშვილი, დავით ორბელიანი, ე.წ. „მარკოზააშვილის დარბაზის“ წევრები და სხვა) ერთობ გვაეჭვებს თვით მისი პოლიტიკის სისწორეში (იმას თავი, რომ დავანებოთ, რომ სწორედ მისი პოლიტიკის უშუალო შედეგს წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა)“.

ბატონო „მკვლევარო“, რად შეგკავთ შეცდომაში მკითხველი და რისთვის ამღვრეთ უკვე დიდი ხნის წინათ კარგად შესწავლილ ისტორიას, რასაც თქვენ ან არ იცნობთ, ანდა არ გინდათ, რომ იცოდეთ. მრავალთაგან, გ. ლეონიძის „გამოკვლევები და წერილები“, 1959 წელი, რომ მაინც წაგეკითხათ, ხომ ამხელა უბედურებაში არ ჩაიგდებდით თავს. ანტონ I-ის საქართველოდან გაძევებაში რა წვლილი მიუძღვეს ერეკლე II-ს, არაფერი! პირიქით, მან ეს ყოველივე ძალიან განიცადა. ანტონისადმი მიწერილ წერილში გამოხატა კიდევ, სადაც ვკითხულობთ: „შენი ამ ქვეყნიდან დაკარგვა ჩვენ უნდა დაგვემძიმოს, ვისაც ჭკუა აქვს, მე უშენოდ ვერ ვიქნები“ (გ. ლეონიძე, დასახელებული შრომა, გვ. 299). ერეკლე თავის მამას, ქართლის მეფე თეიმურაზ II-ს არ ეთანხმებოდა ანტონ კათალიკოსის მიმართ წაყენებულ ბრალდებაში, ანტონის დამხობის საკითხში, მაგრამ მაშინ ერეკლემ ვერ უშველა თავის უსაყვარლეს მამიდაშვილს და თანამეზრდილს და მხოლოდ როცა იგი ქართლსაც იერთებს და ქართლ-კახეთის მეფე გახდა, ერეკლემ „სამღვდელოების დაუკითხავად დაუყოვნებლივ მისწერა ანტონს, რათა იგი რუსეთიდან დაბრუნებულიყო და მასთან ერთად სახელმწიფო ტვირთი გაენაწილებინა“ (გ. ლეონიძე, იქვე). იგივეს ადასტურებს პროფ. ალ. ფოცხიშვილიც და აღნიშნავს. „1762 წელს, თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ, ერეკლემ იგი (ანტონ I, ვ.ე.) გამოიწვია საქართველოში და კვლავ ჩააბარა საქართველოს კათალიკოსის გვირგვინი, რასაც სიკვდილამდე – 1788 წლამდე – აღარ გამოთხოვებია“ (ალ. ფოცხიშვილი, ანტონ პირველი ბაგრატიონი და ქართველი საზოგადოებრიობა, 1996, გვ. 39).

ანტონ I-ის მიერ დაწყებულმა დიდად საჭირო და აუცილებელმა რეფორმებმა გამოიწვია ამ უგანათლებულესი და ეროვნულ-პატრიოტულ ნიადაგზე მდგარი პიროვნების წინააღმდეგ ოპოზიციონერთა გამოსვლები. ანტონს წუწკმა და გაუმაძღარმა სასულიერო და საერო უმაღლესმა წარმომადგენლობამ არ აპატია მათი მყუდროებისა და გაუმაძღრობა-განუკი-

თბაობის ალაგმვისა და სრული ლიკვიდაციისათვის გათვალისწინებული რეფორმების წამოწყება. ქვეყნის მოღალატეთა უკმაყოფილების გაძლიერებას იმანაც შეუწყო ხელი „რომ ანტონმა, როგორც ევროპის კულტურის ორიენტაციის მოღვაწემ, სხვა რეფორმების შემოღებასთან ერთად გაილაშქრა ძველი აღზრდის სისტემის წინააღმდეგ. მან სცადა შემოეღო ევროპული საჯეთისმეტყველო სკოლა, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ბიზანტიური სკოლის მიმდევართა შორის. ევროპული მეცნიერების ათვისების ნიადაგზე ანტონი დაუახლოვდა პაპის მისიონერებს და მათი ზეგავლენით მიიღო ევრეთწოდებული „ფლორენციის უნია“ პაპის უპირატესობა, ანუ რომის პაპის უცოდველობა და რომის ეკლესიის აღიარებით სულიწმინდის ძისაგანაც გამოძველობა. ოპოზიციამ სწორედ ეს ფაქტი გამოიყენა ოფიციალურად“ (გ. ლეონიძე, დასახელებული მონოგრაფია, გვ. 296-297). 1754 და 1756 წლებში მოწვეული საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებით სასტიკად დასაჯეს ანტონ I კათალიკოსი და რუსეთში გააძევეს. მთელი ამ ბინძური და უსაზიზღრესი მოძარაბის წამომწყები და განმხორციელებელი იყო ხუცესი ზაქარია გაბაშვილი. „ერთი სიტყვით, – დასძენს გ. ლეონიძე, – ზაქარიამ მოახდინა სრული გადატრიალება სასულიერო მთავრობისა ანუ, როგორც მისი ოპოზიციონერი ამბობს: „იმ ხუცესმან მავნებელმან, ვნებული ჰყო ქართლ-კახეთი“ (იქვე). „ხარბამ“, „ვერცხლის მხვეჭველმა“, „სულით, გულით და გონებით ანგარებას გარეულმა“ ზაქარია გაბაშვილმა, მოახდინა რა მოძნუსხველი ზემოქმედება ქართლის მეფე თეიმურაზ II-ზე, ანტონ I-ის გაძევების პარალელურად მრავალი სხვა ბინძური და ყოვლად აღმაშფოთებელი აღვირაზსნილობა აღაგლინა და აი, ერთი მათგანი: „...ზაქარიამ დაამხო რამდენიმე გავლენიანი ეპისკოპოსი, საქვეყნოდ გაკიცხა ერეკლე და ანა ბატონიშვილი, რომელიც სიმპათიას იჩენდა ანტონის ჯგუფისადმი, დასაჯა ანტონის მიმდევარი იოანე ორბელიანი – ცნობილი ფილოსოფოსი და სამეფოს მდივანბეგი, „სრულ ხელი ააღებინა სახლსა და არემარეზე“, დააპატიმრა და შემდეგ გააძევა საქართველოდან“ (გ. ლეონიძე, იქვე, გვ. 297-298). „ერთი საბუთი გვიამბობს. – შენიშნავს გ. ლეონიძე, – რომ ზაქარიამ დიდი მღელვარება გამოიწვია ქართული საზოგადოების ფართო წრეებში, „შვა უსჯულობა იგი სიძულვილისა, მოყვასთა და ძმათა თვისთა“. მან, როგორც გამოცდილმა დემაგოგმა, ანტონის „გაფრანგების“ საფრთხის საკითხი მასამიც გადაიტანა. მღაბიო ფანატიკოსი ხალხი აღსდგა ზაქარიას დაძახილზე და გაცოფებული მიესია უნიატებს. მის მიერ გამოყვანილმა დემონსტრანტებმა თვით გასამართლება მოუხდინეს ანტონის თანამგრძნობლებს. მათ შორის ქუჩაში მოკლეს რამდენიმე ქალი, ხოლო ცილდაწამებული თვით მეფის თეიმურაზის მამიდა „ძაღლთა და მხეცთა მისადაგებლად“ „ქუჩა-ქუჩა ათრიეს. ბრბომ უპირველესად ფრანგი მისიონერები არ დაინდო. ზაქარია ბრბოს ასე აქეზებდა: „ფრანგების დახოცვა და მათი ლუკმა-ლუკმა დაკეპვა ცოდო არ არისო“ (იქვე).



ანტონ I-ის სამშობლოში დაბრუნებისა და მისი კვლავ საქართველოს ეკლესიის მეთაურად გამოცხადებისთანავე დაიწყო ზაქარია გაბაშვილისა და მისი თანამშრომლებთან დევნა და საკადრისი სასჯელების ჩამორიგება. ერეკლე მეფე ანტონს უთანაგრძნობდა ზაქარიას და მისი თანაგუნდელების საკადრისად დასჯისათვის. ზაქარიას სახლი-კარი ჩამოართვეს და მღვდელ-მოქმედება აუკრძალეს, რამაც იგი სასტიკად გააცოფა, აღამუთოა და „გამწარებულმა ზაქარიამ ახლა აღარც მეფე დაინდო და იგიც „მწვალებლად“ და „სჯულის დამორგუნველად“ გამოაცხადა. მეფე მოერიდა განხეთქილებას. მაგრამ მოძღვარი გადავიდა იმერეთში და სასტიკი აგიტაცია დაიწყო მეფისა და კათალიკოსის წინააღმდეგ, როგორც „მწვალებლებისა“. რამდენიმე ხნის შემდეგ ერეკლემ და ანტონმა ზაქარია დააბრუნეს და შესარიგებლად მოციქულებიც მიუგზავნეს. მაგრამ ზაქარიამ სასტიკი უარი შეუთვალა. მაშინ სიონის ტაძარში შემოსილმა კათალიკოსმა წირვის დროს დაიჩოქა და მორთოლვარე ხმით წარმოთქვა: თუ მე ვიყო მწვალებელი, აზრით და გონებით მომხრე ლათინთა სარწმუნოებისა, ვიყო წყეული, კრული, შეჩვენებული სულით, ხორციით და საფლავითო. და უკეთუ ცილისწამებით მპარალებდეს მე ზაქარია ხუცესი, – იგი დაიწყებდა ამ შეჩვენებითო. ამ სიტყვების შემდეგ, როგორც ერთი გადმოცემა ამბობს, ანტონმა სახალხოდ შესთხოვა ზაქარიას, რათა მას გაეფანტა უმართლო ეჭვი და ნება მიეცა შესარიგებელი ამბორისა; მაგრამ ზაქარიამ არ უპასუხა და მისგან პირიც მიიბრუნა. ხოლო „განჩინება ზაქარიაზე“ გადმოგვცემს, რომ ამის შემდეგ მან, „ეშმაკეულმან წამოსთხია კვალად სიბრალული თვისი“ და პირიქით შეაჩვენა ანტონი და მისი მომხრეები“ (იქვე, გვ. 299-300).

როცა სასულიერო და საერო ხელისუფალნი დარწმუნდნენ, რომ ზაქარია გაბაშვილის შემობრუნება ქვეყნისა და ქართველი ხალხის საკეთილდღეო სამსახურში შეუძლებელი და განუხორციელებელი იყო, მაშინ „მღვდელმთავართა კრებამ დაადგინა: რაკი „უკეთურმა ხუცესმა“ არ შეიწყარა კათალიკოსი და მწვალებელი უწოდა თვით მეფეს, ამიტომ იგი, როგორც ცილისმწამებელი და „ქრისტეს საკენახეს გამრყენელი“, „ეკლესიის აღშფოთებისა და განხეთქილებისათვის საქართველოსა ეკლესიისა ზედა აღდგომისათვის და მწვალებლად წოდებისათვის მისისა მრავალთა მათ უკეთურებათა მისთა“, განკეთილ იყოს მღვდელობისაგან, შეჩვენებული, შეკრული და დაწყვეტილი. ბოლოს შეიპყრეს და კრებაზე მიიყვანეს, სადაც ზაქარია „ზვაობით და დაუმდაბლებლად“ უპასუხებდა თავის მტრებს. მან კრებაზე კიდევ განაცხადა საჯაროდ ბრალდება მეფისა და პატრიარქისადმი“ (იქვე).

მიუხედავად მრავალგზის მცდელობისა, რაც უმთავრესად ერეკლე მეფისა და ანტონ კათალიკოსისაგან მომდინარეობდა, რომ ზაქარია გაბაშვილს ელიარებინა და მოენანიებინა არა ერთგზის ჩადენილი უღირსი, სამარცხვინო და არაკაცური საქმიანობა და ჩამდგარიყო ძეგლებლობაში მყოფი საქართველოს

აღმშენებლობისა და გადარჩენის ურთულეს ხნულში, იგი მანც არავისგან არაფერს არ ისმენდა, არ ცხრებოდა, არ თვინიერდებოდა და დღითიდღე უფრო აუტანელი ხდებოდა. „მამინ „მაგინებელი მეფისა“, „გონება ასურასტ-ნელი, ღმერთოცნებული თავისაგან თვისისა“ საბოლოოდ გაიმეტეს და განკვეთეს, შეკრიჭეს, წაგვარეს ცოლ-შვილი, წაართვეს ქონება, მამულები. ასევე გაუსწორდა ხელისუფლება მის მომხრეებსაც, რომელთაც თმა და წვერი დაკრიჭეს და მონასტრებში ჩაკეტეს. ერთი სიტყვით, გამოორდა ის თეატრალური სანახაობა, რაც რამდენიმე წლის წინათ თვით ზაქარიამ მოუწყო „თავის სულიერ ძეს“. ამრიგად, ქართველი კონსერვატორების პარტია დამარცხდა და მოხდა სასტიკი გასწორება“ (იქვე).

აღბათ ახლა მანც დარწმუნდება და გაერკვევა ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი „მკვლევარი“, რომ ერეკლე მეფეს არ გაუძევებია რუსეთში ანტონ I. და პირიქით, სახელოვანი მეფე-სარდალი ყოველთვის იყო ამ უგანათლებულესი პიროვნების თანამოაზრე, თანამებრძოლი და სამაგალითო მზრუნველ-მოყურადე. რომ ეს ორი გამორჩეული ერისკაცი მუდამჯამს ერთად იყვნენ, ერთად ბჭობდნენ ძნელბედობაში ჩავარდნილ დედა-სამშობლოზე და ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე წარმართავდნენ ურთულეს ვითარებაში მყოფ საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, როგორ გგონიათ, მე ვამბობ პირველად ამის შესახებ, თუ კარგა ხანია, რაც ეს ყოველივე ფართოდ არის გაშუქებული ქართულ ისტორიოგრაფიაში?

რაც შეეხება ზაქარია გაბაშვილის რეპრესირებას ერეკლე მეფის მიერ, რაც იმავე „მკვლევარისაგან“ ბრალდება სახელოვან წინაპარს, ესაც ხომ სიყალბეა და ხელოვნურად შექმნილ-მოჭორილი. თუ რატომ, რისთვის, ვისგან და რა ვითარებაში დაისაჯა ეს ცნობილი დემაგოგ-ავანტიურისტი, კარგად ჩანს სახელოვანი გიორგი ლეონიძის გამოკვლევებიდან, რაც მკითხველს საკმაოდ ვრცლად მოხსენდა და ახლა ის თვითონ გამოიტანს სათანადო დასკვნებს.

მოუხედავად ზაქარია გაბაშვილის მიმართ გატარებული უმკაცრესი ზომებისა, მისი ვაჟიშვილი ბესიკი ქართლ-კახეთის სამეფო კარზე დიდი პატივით სარგებლობდა და მას ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი, რათა უმაღლესად გამოეყვინებინა მისთვის ჩვეული ნიჭიერება და სამართლიანად ყოფილიყო ერეკლე მეფის სასახლის კარზე ერთ-ერთი უპირველესი „შემთხვევლი პიტიკოსი“, „რიტორი მჭევრ-მოუბარი“, „მუსიკობით ქებული“ და „სამღერალი ლექსების“ უბადლო ავტორი და თავადვე შეუდარებლად მომღერალ-შემსრულებელი. ერეკლე მეფე უნიჭიერეს ბესიკს თბილად ექცეოდა, საკადრის პატივს სცემდა მის ნიჭიერებას, მის გარეგნობას, სულით და გულით მდიდარს და ლამაზს და აღბათ, აღნიშნულთან ერთად მეფე იმასაც ითვალისწინებდა, რომ ერეკლეს უსაყვარლეს და ყველასაგან გამორჩეულ ლევან ბატონიშვილს განსაკუთრებულად უყვარდა ბესიკი და მათ იდიალური მე-

გობრობა ჰქონდათ. ბუნებრივად ისმება კითხვა, თუ ასეთ ვითარებაში მყოფი ბესიკისათვის „რა უნდა ყოფილიყო მიზეზი პოეტის შეუბრალებელი განდევნისა? ბესიკის განდევნის მიზეზად, - შენიშნავს სახელოვანი პოეტი - აკადემიკოსი, - გ. ლეონიძე, - ასახელებენ პოეტის რომანს სამეფო ოჯახის ერთ-ერთ წევრთან, რაც ერეკლესათვის შეურაცხმყოფელი უნდა ყოფილიყო“ (მ. ლეონიძე, იქვე, გვ. 350).

გ. ლეონიძემ ხსენებული რომანის თაობაზე ჩატარებული კვლევა-ძიებით დაადასტურა, რომ ბესიკი თავდავიწყებით ყოფილა შეყვარებული გიორგი ქსნის ერისთავის დაქვრივებულ ასულზე მაიაზე. „...ჩვენ გამოვარკვიეთ, - აღნიშნავს გ. ლეონიძე, - რომ მაია ქსნის ერისთავის ასული, იმავე დროს სასახლის ახლობელი წევრია, როგორც ერეკლეს დისწულის - მამუკა ორბელიანის მეუღლე. მამუკა ძე „ქართლის ჯანიშინის“, ღიდად გავლენიანის და წარჩინებულის დიმიტრი ორბელიანისა და ერეკლე მეორის დის ანასი, თვით სასახლეში შობილა და აღზრდილა... მას ანებივრებდნენ სასახლეში და განსაკუთრებულის სიყვარულით ჰყვარებია ერეკლეს, როგორც დისწული... ასეთივე ნაზი სიყვარულით ერეკლეს მხრივ სარგებლობდა მაია, რომელიც ქმრითურთ სასახლეში ცხოვრობდა“ (გ. ლეონიძე, იქვე, გვ. 355). როგორც სახელოვანი მკვლევარი და საამაყო პოეტი გ. ლეონიძე შენიშნავს, „1764 წელს გათხოვილი მაია 1770 წელს დაქვრივდა. ამ წლის ოქტომბერ-ნოემბერში გარდაიცვალა „ყმაწვილი კაცი მამუკა ორბელიანი“ (იქვე, გვ. 356).

ულამაზეს მაიაზე უზომოდ გამოიჯნურებული ბესიკი თავის თავს კონტროლს ვეღარ უწევს, სასიყვარულო ლექსებს ლექსებზე თხზავს, ხშირად თავის ლექსთა ჰანგზე თვითონვე მღერის და არავის და არაფერს აღარ უწევს ანგარიშს. მალე შეყვარებულთა რომანის თაობაზე სასახლეც აღაპარაკებულა და თბილისიც კი, რასაც ერეკლე მეფე ღიდად გაუნაწყენებია და ბესიკის წასვლა-განდევნაც თბილისიდან უმთავრესად ამ ამბავს მოყვლია. „თუ გავითვალისწინებთ ერეკლეს სიყვარულს მამუკასადმი, - შენიშნავს გ. ლეონიძე, - მის გულისტყენას მამუკას უდროო გარდაცვალებით, წარმოსადგენია მისი აღშფოთება ბესიკის რომანით. მეფის რისხვა იმ ფაქტსაც უნდა გაემწვაკებინა, რომ, როგორც გადმოცემა ამბობს, ბესიკის ლექსები „ხალხში გავრცელებულა“. ჩვენ ვიცით, რომ ერეკლე მკაცრი ზნეობის ადამიანი იყო და სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა მთელი სასახლე, ოჯახთან ერთად სასახლის მსახურთა ზნეობა, რის შესახებ არაერთი ფაქტია ცნობილი. მაგრამ თავი რომ დაეანებოთ მეფის ხასიათსა და შეხედულებას, თვით მაშინდელი მაღალი საზოგადოების ოფიციალური ზნეობისათვისაც ბესიკის გაბედული გამოიჯნურების გამჟღავნება თითქმის მკრეხელობას უდრიდა. წარმოსადგენია, თუ რა წყრომა უნდა გამოეწვია მეფისა და სასახლის საზოგადოებისა ბატონის რძალ მაიაზე საჯაროდ გამოტანილსა და ნამღერალ ბესიკის ლექსებს“ (გ. ლეონიძე, იქვე, გვ. 359-360).

მკვლევარის მიერ დასახელებულ სხვა პიროვნებებს აღარ ვეხებით, რადგან ყველა მათგანი, ვისაც რა დანაშაული მიუძღოდოდათ ერეკლე მეფისა თუ ქვეყნის მიმართ, ისეგბოდნენ ქართული სამართლის მიხედვით და მათ მიმართ ერეკლე II-ის რაიმე პირადი ანგარიში გამორიცხული იყო. მაგალითად, ერეკლე მეფის ქალიშვილის თამარის მეუღლე დავით ორბელიანი „საქართველო-სა შინა წარჩინებული ამირსპასპეტი და სამეფოს პალატის სახლთუხუცესი“ სამეფო კარზე არსებული ინტრიგის მსხვერპლი გახდა და „მეფეცა მიიყვანეს მას მდგომარეობასა, რომელ „ჟამსა ერთსა ბრძანებითა მეფისა ირაკლისა მიუღეს დავითს სარდლობა და სახლთუხუცესობა და რამოდენიმე ჟამამდე უპატიოდ იყო და განდევნილ სასახლიდამ“ (გ. ლეონიძე, დასახ. ნაშრ., გვ.372) რაც შეეხება, ე.წ. „მარკოზაშვილის დარბაზის“ წევრების დასჯას პაატა ბატონიშვილის მეთაურობით ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილება იყო, რადგან საქმე გვაქვს ანტისახელმწიფოებრივ მოძრაობასთან, რაც ქვეყნის პარტიკულარიზმს ითვალისწინებდა და იგი ძირშივე უნდა აღკვეთილიყო. ხსენებული შეთქმულება, რა თქმა უნდა, რეაქციული იყო და დარბაზის გადაწყვეტილებით, „დამნაშავეებს ქონება ჩამოერთვა და მეფეს ნასისხლად მისცა, შეთქმულების მეთაურები კი კანონის თანახმად დასაჯეს“ (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, 1965, გვ. 210). ხსენებული პრობლემა სპეციალურად შეისწავლა ნიჭიერმა ისტორიკოსმა ლოვარდ ტუხაშვილმა და აღნიშნა, რომ ვახტანგ VI-ის მეფობისა და მის შემდგომ დროინდელი ქართლის მოწინავე თავადაზნაურთა თავდაუზოგავი ბრძოლები ირანელი და თურქი დამპყრობელებისა და ანტიქართული ძალების წინააღმდეგ პროგრესული, სანიშნო და მისაბაძი იყო „მაგრამ სხვა პირობებში (ერეკლე II-ის დროს) მათი იდეოლოგია ობიექტურად რეაქციული იყო“ (ლ. ტუხაშვილი, რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი), 1983, გვ. 98). პროფ. მ. დუმბაძე ეხება რა ერეკლე II-ის მიერ ქართლის შემოერთებასთან დაკავშირებულ მოვლენებს, აღნიშნავს: „ერეკლე მეფის გაძლიერებასთან დაკავშირებით სულ უფრო და უფრო იზღუდებოდა ქედმაღალ ფეოდალთა თვითნებობა. ქვეყნის გამყიდველი თავადები გამაერთიანებელი მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ყოველთვის საგარეო მტრულ ძალებს უკავშირდებოდნენ. ახლა კი, როცა ქართლ-კახეთის საგარეო მდგომარეობა განმტკიცდა, ისინი ბრძოლის სხვაგვარ ხერხებზე ფიქრობდნენ. თავი იჩინა დინასტიურმა ბრძოლამ. ქართლის თავადები, რომელთაც სუსტი და მოწყალე მეფის ხელისუფლება აწყობდათ, უკვე გაერთიანებული ქართლ-კახეთის დაშლისათვის იწეოდნენ და კვლავაც უარყოფდნენ „კახი“ ბაგრატიონების უფლებებს ქართლის ტახტზე. ისინი ქართლში „მუხრანელ“ ბაგრატიონთა აღდგენისათვის იბრძოდნენ. მოღალატე თავადები ვახტანგის უკანონო შვილის – პაატას გარშემო დაჯგუფდნენ და სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებდნენ

(მ. ლუმბაძე, ქართლ-კახეთის საგარეო და საშინაო ვითარება XVIII ს-ის 60-იან წლებში, იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 632).

შეთქმულთა მიმართ ერეკლე მეფის მიერ განხორციელებულ პოლიტიკას თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია დადებითად აფასებს და აღნიშნავს: „ამრიგად, 1765წ. შეთქმულთა განადგურებამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ერეკლეს ბრძოლა ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის წარმატებით მიმდინარეობდა, ხოლო ქართლ-კახეთის შემდგომი გაძლიერება საქართველოს სრული ერთიანობის აღდგენისათვის დიდ იმედებს იძლეოდა“ (იქვე, გვ. 635).

ბატონი მკვლევარი, ალბათ, ახლა მაინც აღიარებს, რომ ერეკლე მეფის მიერ მავანთა და მავანთ მიმართ განხორციელებული სადამსჯელო ღონისძიებები სამართლიანი იყო და ეს ყოველივე მხოლოდ საქართველოს სამომავლო ინტერესებს ითვალისწინებდა, რაც თითოეულ ჩვენთაგანს გვაკვალდებულებს ობიექტურად ვიმსჯელოთ აღნიშნულის თაობაზე და ერთხელ და სამუდამოდ დავრწმუნდეთ „...მისი (ერეკლე II-ის, ვ.ე.) პოლიტიკის სისწორეში“.

სახელოვანი წინაპრის სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობის „ობიექტურად“ შემფასებელ-მაძიებელი ძლივს ახერხებს დიდი ერისკაცის ესოდენ მრავალმხრივ შეურაცხყოფელ-დამამცირებელი „კვლევა-ძიების“ დამთავრებას, მაგრამ მკითხველისათვის შემოთავაზებულ დასკვნაში იგი არ დალატობს მასში გამყარებულ პოზიციას და კვლავ არაერთ ამაზრზენ „ბრალდებას“ უყენებს ერისა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის მუხლ-ჩაუხრელად მებრძოლ მეფე-სარდალს. „ამგვარად, თუ საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხს საქართველოს პოზიციიდან განვიხილავთ, – აღნიშნავს მაძიებელი, – უნდა დავინახოთ, რომ ის არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენდა ისტორიულად გარდაუვალ კანონზომიერებებს, არამედ ეს იყო ერთი პიროვნების (უფრო ფართოდ – ერთი ოჯახის) მისწრაფების შედეგი, რათა მათ შეენარჩუნებინათ ძალაუფლება, რომელიც გარკვეული შემთხვევების წყალობით აღმოჩნდა მათ ხელში და რომლის დაკარგვაც აღარ სურდათ“.

აქ მოტიანილ ციტირებაში კალენდრის ავტორის მიერ მოხსენიებული „ბრალდებები“ უსაფუძვლოა და, აი, რატომ: ჯერ ერთი, ერეკლე მეფემ რუსეთს სამფარველო ხელშეკრულება გაუფორმა და არა ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების თანხმობა-გადაწყვეტილება. მეორეც, ქართლ-კახეთს, რომ სახელმწიფოებრიობა-დამოუკიდებლობის შენარჩუნება საკუთარ შესაძლებლობებზე დაყრდნობით აღარ შეეძლო, ხომ აქსიომაა და მრავალმხრივ ავტორიტეტულად თქმული და დადასტურებული. ასეთ უმძიმეს პირობებში ჩავარდნილ მეფე ერეკლეს რა უნდა ექნა, რა გზას უნდა დასდგომოდა? ვეროპასთან ვერ მოხერხდა საიმედო კავშირუთიერთობის დამყარება, ირანთან და ოსმალეთთან დანდობა გამოირიცხული იყო, რჩებოდა მხოლოდ რუსეთი, რომელმაც ვერაგულად დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებები და მის მიერვე ყოველმხრივ დასუსტებული და მრავალ მტერთა

გარემოცვაში მოქცეული ქართლ-კახეთი უსირცხვილოდ და უსინდისოდ დაიპყრო და შეიერთა. ღიახ, ბატონო მკვლევარო, რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის, ხოლო შემდგომ მთლიანი საქართველოსა და სრულიად კავკასიის დაპყრობა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედად ითვლებოდა და ამდენად, რა თქმა უნდა, იგი, „წარმოადგენდა ისტორიულად გარდუევალ კანონზომიერებას“ და არა „ერთი პიროვნების (უფრო ფართოდ – ერთი ოჯახის) მისწრაფების შედეგს“, როგორც „სიძარტლის“ მაძიებელ მკვლევარს მიაჩნია.

ისტორიული კალენდრის ავტორ-შემდგენელი დასკვნას შემდეგი „ბრალდებით“ ამთავრებს. „არსებითად ისინი (ერეკლე მეფე და მისი მემკვიდრენი, ვ.ე.) გამოდიოდნენ საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების წინააღმდეგ, ეყრდნობოდნენ გარეშე ძალას და ძალაუფლებისათვის ბრძოლას შესწირეს ხალხისა და ქვეყნის დამოუკიდებლობა“.

ბატონ მკვლევარს ვერც ამ „ბრალდებაში“ დავეთანხმებით და, აი, რატომ. მკვლევარი-მაძიებლის ამ „ბრალდების“ უსაფუძვლობა იმაში მდგომარეობს, რომ მას კახეთის ბაგრატიონები გამოგონილ ე.წ. თვითმარქვია ბაგრატიონებად მიაჩნია და, აქედან გამომდინარე, მათ, რა თქმა უნდა, ქართლის ტახტის დაკავების უფლებაც არ ჰქონდათო, დასძენს მკვლევარი. ეს ყოველივე ისტორიის უცოდინრობის ბრალდია და, რა თქმა უნდა, ავტორისეული „ბრალდებები“ და „დასკვნებიც“ ამიტომ მცდარი და მიუღებელია.

საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდგომ ყველაზე ლეგიტიმური და წმიდათაწმინდა შტო, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, ბაგრატიონთა განთქმული საგვარეულო ღინსატიიდან კახეთის ბაგრატიონები ითვლებოდნენ, რადგან ისინი იყვნენ ერთიანი და განუყოფელი საქართველოს მეფის გიორგი VIII-ის შთამომავლები. 1658 წელს ქართლის მეფის როსტომის გარდაცვალებით შეწყდა ქართლის ბაგრატიონთა მამრობითი ხაზი და „მუხრანელი“ ბაგრატიონები იკავებენ შემდგომში ქართლის ტახტს. კახეთის ბაგრატიონებში მსგავსი რამ არ მოხდარა. ერეკლე II-მ, გიორგი XII-მ და მათმა სახელოვანმა შთამომავლებმა პირნათლად დაამთავრეს გიორგი VIII-დან, კახეთის სამეფო ტახტზე გიორგი I-დან, უწყვეტად დაწყებული მეფობა, სარდლობა და ყველა სხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმიანობა, რაც XV-XVIII საუკუნეების, კახეთის და ქართლ-კახეთის სამეფოებში ხორციელდებოდა. ისე, რომ ყველაზე ლეგიტიმური შტო ბაგრატიონთა ღინსატიისა კახეთის ბაგრატიონები იყვნენ და, აღბათ, არ იჭნება გადაჭარბებული თუ განვაცხადებთ, რომ კახეთის ბაგრატიონთა მიერ ქართლის სამეფო ტახტის დაკავება, ქართლ-კახეთის გაერთიანება და მათი ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის კახეთის ბაგრატიონთათვის უფრო უპრიანი და კანონიერი იყო, ვიდრე „მუხრანელი“ ბაგრატიონებისათვის. აღნიშნულთან ერთად ისიც ხომ გასათვალისწინებელია, თუ რა უმძიმეს ვითარებაში მყოფ ქართლსა და სრულიად საქართველოს დაანებეს თავი, ე.წ. „საქართველოს ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ“, ქართლის თავკაცთა 1200-1400 კაციანმა „დიდმა ელჩობამ“ და რუსეთში გადასახლდნენ.

კახეთის ბაგრატიონებს მსგავსი არაფერი გაუკეთებიათ. პირიქით, ისინი დიდიან-პატარაანად ერთ მუშტად შეიკრნენ და შინაურ თუ გარეშე მტერს სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს. თეიმურაზ II და ერეკლე მეფემ „ოსმალობა“ „ყიზილბაშობა“ - „ლეკიანობისა“ და ქვეყნის შიგნით მომრავლებულ მოღალატეთა განუკითხავობით ყველა სფეროში სრულ ლიკვიდაციამდე მისული ქართლ-კახეთი იხსნეს აშკარა კატასტროფისაგან და სულ მალე ქართლ-კახეთმა პირველობა მოიპოვა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ასეთ გულმზურვალე პატრიოტ და სამშობლოსათვის თავდადებულ ბაგრატიონებზე ძვირ-ძვირებს ვამბობთ, ვამცირებთ, რაღას არ ვაკადრებთ და ვინც ვაჭირვების ჟამს სამშობლოს თავი დაანებეს, ქვეყანა უპატრონოდ დააგდეს, ვაქებთ, ვადიდებთ და „საქართველოს ლეგიტიმურ ხელისუფლებად“ ვაცხადებთ. აი, მკითხველო, სწორედ ასეთ მოქმედებათა და საქციელთა გამო უთქვამს ხალხს - „ქათამმა წყალი დალია და ღმერთს შეხვდაო“.

კალენდრის შემდგენელ-გამომცემლისა და მის მსგავსთა საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ შთამომავლობისაგან ყველა სახელოვან წინაპარს და ღვაწლმოსილ ერისკაცს, უპირველეს ყოვლისა, საკადრისი სიყვარული, დამსახურებული პატივისცემა და ღირსეული დაფასება ეკუთვნით და არავის არა გვაქვს უფლება აუგად მოვიხსენიოთ ერისა და ქვეყნისათვის ჯვარცმული წინაპრები. ისტორია თითქმის არ ცნობს ერისა და ქვეყნის უშეცდომო და უნაკლო წინამძღოლ წინაპარს. დიდ საქმეებს შეჭიდებული და მრავალი მხრიდან მოსეული დამპყრობლების მოგერიებისათვის მუხლჩაუხრელად მებრძოლი წინაპარი, ვინც არ უნდა იყოს, ყოველთვის ვერ იმარჯვებს, მაგრამ ეს ყოველივე მისი პირადი ღირსებების უკმარისობის ბრალი არ არის და მათ ყველას შესატყვისი ახსნა გააჩნიათ. ამა თუ იმ დიდი პიროვნების შეფასებისას ყოველთვის და აუცილებლად საფუძვლიანად უნდა შევისწავლოთ ეპოქა, რომელშიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ჩვენთვის საინტერესო პიროვნება და შემდგომშილა, და ისიც დიდად მოკრძალებულად, შევეხოთ სახელოვანი წინაპრის მოღვაწეობას, მის დადებით და ჩრდილოვან მომენტებს. ეპოქის ღრმად გაანალიზების გარეშე ყოველად შეუძლებელია ზოგიერთი დიდი მოღვაწის პიროვნების სრულყოფილი წარმოჩენა. სწორედ ასეთ რჩეულ მოღვაწეთა პლეადას ეკუთვნის სახელოვანი მეფე-სარდალი - დიდი ერეკლე II. ჩვენი ერის ისტორიაში თითქმის არ მოიძებნება სხვა რომელიმე მეფე, რომელსაც ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისეთი რთული და მრავალ წინააღმდეგობათა ეპოქა ჰქონოდა, როგორც ერეკლე II-ს. ხსენებული ეპოქის თავისებურებათა შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში მრავალგზის თქმულა და ნაწილობრივ ჩვენც აღვნიშნეთ, მაგრამ საჭიროდ მივიჩნევთ მკითხველს შეეთავაზოთ სრულიად ახალი და ფრიალ საინტერესო შეფასება ერეკლე II-ის პიროვნების და მისი ეპოქისა, რომელიც ცნობილ მწერალს ლადო მრელაშვილს ეკუთვნის. „მე კონსტანტინე გამსახურდიას დიდ პატივს ვცემ, როგორც დიდ მწერალს, - აღნიშნავს მწერალი, - მაგრამ

მისი აზრი მეფე ერეკლეზე, თითქოს იგი „დავით აღმაშენებელს სარდლად თუ გამოადგებოდა“, ღიღზე ღიღ მკრეხელობად მიმაჩნია და ამაში ვერაფერს ვხედავთ ორიგინალურს, ღიღი მწერლისათვის დამახასიათებელს. მეტსაც ვიტყვი: ერეკლესათვის თავად ისტორიასაც რომ ეღალატნა და მასაც დავით აღმაშენებელივით უნებლიე მოკავშირე გამოსჩენოდა, მაჰმადიანთაგან ქრისტეს საფლავის გამომხსნელ ჯვაროსანთა სახით, შეიძლება რუსს დღესაც ვერ გამოეყო ცხვირი დარიალის აქეთ. და აქაც მართალი იქნებოდა მეფე ერეკლე“ (ვაზ. „ლიტერატურული საქართველო, №45, 2002 წ.).

მეფე ერეკლეს დროინდელი ეპოქის, მართლაცდა, ურთულესი ეპოქის შესახებ და თვით მეფე ერეკლეს სიდიადეზე ბატონი ლადო მრელაშვილი იმავე წერილში კვლავაც საინტერესოდ და ყველას საყურადღებოდ შემდეგსაც აღნიშნავს: „თუ მის ღიღ პაპას, თეიმურაზ პირველს არ მივიღებთ მხედველობაში, საქართველოს ისტორიას არ ახსოვს ისეთი ტრაგიკული მეფე, როგორც ერეკლე II იყო. და არც თამარ მეფის შემდეგ ჰყვარებია ერს ასე თავისი პატრონი. ამის დასამტკიცებლად ის ხალხური ლექსები და თქმულებებიც კმარა, რომელთა მსგავსს არცერთი მეფე არ ჰქონდა და არც ისე გულსაკლავად დაუტყობია, როგორგადაც მეფე ერეკლე დაიტირა ხალხმა“ (იქვე).

მეფე ერეკლე მეორეს ღვაწლისა და ამავის შესახებ სახელოვანი ბელეტრისტიკის ლადო მრელაშვილისეული შეფასება, საკადრისი სიყვარული და ამავდარი ღიღი პაპა-წინაპრის განსაცვიფრებლად თბილად მოხსენიება, მოფერება და სახელოვანი მეფე-სარდლის საქვეყნოდ განთქმული წარმატებებით აღტყინებული შთამომავლის აღმაფრენა, ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, თუ პიროვნებები როგორ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, და ამ შემთხვევაში, ერეკლე II-ისადმი დამოკიდებულებაში. მიზეზი სუბიექტების ურთიერთგანსხვავებისა, წინაპრებისადმი პატივისცემის თვალსაზრისით, მრავალია და ერთი უმთავრესი კი მაინც ის არის, რომ როგორც ღიღი რუსთაველი გვმოდღვრავს, ადამიანი „გულით ბრმა“ და „ურჩი ხედვისა“ არ უნდა იყოს და მის სხეულში მყარად უნდა იყოს გამჯდარი წინაპართა მიერ ჩვენდამი, შთამომავლებისადმი, არაერთგზის ნაანდერძევი რჩევა-დარიგება თუ როგორ უნდა ვცემდეთ პატივს წინაპართა ხსოვნას, ღვაწლსა და ამავს. მრავალთაგან აი ერთ-ერთი უიშვიათესი სიბრძნე ჩვენი უცნობი მემკვიდრე-უამთაღმწერელისა, რომელიც ყველამ უნდა ვიცოდეთ, რათა ერისა და სამშობლოს მოვლა-პატრონობისათვის მუდამყამს მუხლჩაუხრელად ნაბრძოლ-ნამაგარ წინაპართა ნათელ ხსოვნას შეურაცხყოფა არ მივაყენოთ და ღირსეულად დაეულოცოთ გმირთა-გმირ წინაპრებს მრავალჯერ ნასახელარი ხმალი და მარჯვენა. „პოი, მომაჯალნო და წარჩინებულნო ამა მოკლისა სოფლისანო, — გვმოდღვრავს და მოგვიწოდებს უამთაღმწერელი, — ნუ ვინ გაგვიცუდებთ ჭირნახულს ამას ჩვენსა, რამეთუ აღვესრულებნო სამშობლოსა ჩვენისათვის და დაესთხიეთ სისხლი ჩვენი“.



## 1.4. ოქებში დაბეგრებული მეფე

დიდი სახელმწიფო მოღვაწე, ბრწყინვალე სარდალი, თავისი დროის გამორჩეული დიპლომატი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი – მეფე ერეკლე მეორე, თანამედროვეთა და შთამომავალთა მიერ უსაზღვრო სიყვარულით და აღერსით „პატარა კახად“ წოდებული, 1720 წლის 7 ნოემბერს დაიბადა ქ. თელავში, კახეთის ბაგრატიონთა სამეფო სასახლე-ერზიდენციაში. ერეკლე ბატონიშვილი ბაგრატიონთა დინასტიის ორ შტოს ანსახიერებდა: დედით იყო ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ასულის ქალბატონ თამარის ვაჟი, ხოლო მამით – კახეთის ბაგრატიონთა დინასტიის ერთ-ერთი საინტერესო და მრავალმხრივ გახმაურებული წარმომადგენლის, ქართლისა და კახეთის მეფის ერეკლე I-ის ვაჟიშვილის – თეიმურაზ II-ის შვილი.

ერეკლე ბატონიშვილი დაიბადა და აღიზარდა მეტად ურთულეს დროში, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ „ლეკიანობა“, „ოსმალობა“ და „ყიზილბაშობა“ ერთი-მეორეს მიყოლებით სპობდა, ანგრევდა და მიწასთან ასწორებდა ყველას და ყველაფერს და ქართლ-კახეთი უკაცრიელ უდაბნოს ემსგავსებოდა. იყო შემთხვევა, რომ ბატონიშვილის მშობლებს ქართლ-კახეთის ბარში აღარ ეცხოვრებოდათ და თვეებით მთებში იხიზნებოდნენ. ქვეყანაში შექმნილი განუკითხაობით და უმძიმესი პოლიტიკური სიტუაციით იყო გამოწვეული ისიც, რომ 18 წლის „პატარა კახი“ ნადირ-შაჰის ბრძანებით, მის და ქეთევანთან ერთად, სპარსეთში ჩაიყვანეს, შაჰმა ერეკლე ინდოეთში სალაშქროდ წაიყვანა და მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ დააბრუნა სამშობლოში.

„ოსმალობამ“, „ყიზილბაშობამ“ და ნადირ-შაჰის მიერ ქართლ-კახეთში თანდათანობით დამძიმებულმა საგადასახადო სისტემამ ქართველი ხალხის მოთმინების ფიალა აავსო და ირანელთა ბატონობის დასამზობად საერთო სახალხო აჯანყება მზადდებოდა. აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილმა ვითარებამ და თვით ირანში ნადირ-შაჰის წინააღმდეგ დაწყებულმა გამოსვლებმა შაჰი აიძულა უკან დაეხია და გარკვეულ დათმობაზე წასულიყო. ქართლ-კახეთის მიმართ შაჰის დამთმობი პოლიტიკის ყველაზე დიდი სიკეთე ის იყო, რომ 1744 წელს ერთდროულად მამა-შვილს: თეიმურაზ მეორეს ქართლის, ხოლო ერეკლე მეორეს კახეთის ტახტის დაკავების უფლება მისცა და თანაც ქრისტიანული წესით, მეფეთა გამაჰმადიანების გარეშე, რაც აღმოსავლეთ საქართველოში საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე აკრძალული იყო. ეს იყო იმდროინდელ საქართველოში უდიდესი მოვლენა, რამაც უფსკრულის პირას მდგომ ქართლისა და კახეთის მოსახლეობას გადარჩენის იმედი გაუჩინა და სამომავლო ბრძოლებისათვის დაუოკებელი სული შთაბერა.

შესასურრი და სამაგალითო მამაშვილობით შეუდგა ორივე მეფე ყველა სფეროში გაპარტახებული და დანგრეული სახელმწიფოების მშენებლობას.

მათ ერთდროულად შეუტყეს ქვეყნის შიგნით მომრავლებულ სამშობლოს მოლაპატე კონსერვატორ-რეჟაციონერ ფეოდალებს, საქართველოსადმი მტრულად განწყობილ ამიერკავკასიის სახანოებს და „ლეკიანობას“.

ქართლ-კახეთის მეფეებმა სულ მალე ყველა მიმართულებით დიდ წარმატებებს მიაღწიეს და აღმოსავლეთ საქართველო ამიერკავკასიაში პირველობისათვის ბრძოლის დიდ პოლიტიკურ სარბიელზე გაიყვანეს. ხსენებული დიდი მისიის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1762 წელს ქართლ-კახეთის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას, რამაც შიშის ზარი დასცა შინაურსა თუ გარეშე მტერს. ირანის მაშინდელმა მბრძანებელმა ქერიმ-ხანმა სცადა, რომ ქართლ-კახეთი კვლავ გაეთიშა და დაექუცმატებინა, მაგრამ ერეკლეს შეუდრეკელ წინააღმდეგობას ვერაფერი დააკლო და ბოლოს თვითონაც შეეგუა ერეკლეს პირველობას ამიერკავკასიაში და ხანებსაც უბრძანა, რომ თავი დაეკრათ ერეკლესათვის და ეცნოთ მისი პირველობა და უძლეველობა. სულ მალე ამიერკავკასიის მთელი რიგი სახანოები ერეკლეს მოხარკედ იქცნენ და ერეკლე მეფის, როგორც ბრწყინვალე მხედართმთავრისა და შორსმჭრეტლელი პოლიტიკური მოღვაწის სახელი გასცდა საქართველო-კავკასიის, ირან-ოსმალეთის საზღვრებს და სახელოვნად შეაბიჯა ევროპასა და რუსეთის იმპერიაში. სწორედ მაშინ გავრცელდა ევროპასა და აზიაში ისეთი ხმები, რომ თითქოს ერეკლე მეორე მთელი ირანის დაპყრობას და სპარსეთში შაჰად დაჯდომას აპირებდა. ერეკლეს საგარეო და საშინაო პოლიტიკის ბრწყინვალე წარმატებებით იყო შემოფოთებული თურქეთის სულთანნი.

XVIII საუკუნის 40-50-იანი წლებიდან 80-იანი წლების დასაწყისამდე ერეკლე მეორის მიერ წარმოებული დიდი თუ მცირე მასშტაბის ომების ბრწყინვალე გამარჯვებებითა და მისი მოქნილი საშინაო და საგარეო პოლიტიკით აღფრთოვანებული თანამედროვე უცხოელები ველარ ფარავენ განცდილ სიამოვნებას და არ იშურებენ არაფერს, რომ ღირსეულად შეაქონ ლეგენდარული მეფე-სარდალი და მტერზე მრავალგზის გამარჯვებული ხმალი და მარჯვენა დაულოცონ. გერმანელი მწერალი გოტჰოლდ ლესინგი ერეკლეს „აღმოსავლეთის დიდ გმირს“ ემახდა, „მამაც ვაჟაკს“, „პრინც ერეკლეს“, „რომელმაც სპარსეთი დაიპყრო და დღეს თუ ხვალ თურქეთის კარიბჭეში შეიჭრებაო“, ხოლო პრუსიის მეფე ფრიდრიხ მეორეს კი უთქვამს – „ევროპაში მე ვარო და აზიაში – საქართველოს მეფეო“. ფრანგი ჰეისონელის დახასიათებით, ერეკლე „პირველი ყველაზე უფრო ძლევაძობილი პიროვნება იყო სპარსეთსა და საქართველოში“. სამხედრო ისტორიკოსი პ. ბუტკოვი კი აღნიშნავს, რომ „საუკეთესო ნიჭის მქონე“ ერეკლე მეფემ თავის სახელმწიფოს საქვეყნოდ გაუთქვა სახელი. გერმანელი ბრაიტენბაუხი, რომელიც, როგორც ეტყობა, კარგად იცნობდა ერეკლე მეფის პიროვნებას, აცხადებდა: ბრძოლის დროს ყოველთვის „მამაცობის ნიმუშია და ხმალაშოწვილი უტევს მტერს“.

„შიშის ზარს სცემს მეზობელ ხანებს“. რუსეთის მიერ ერეკლეს კარზე მოვლინებული პოლკოვნიკი ს. ბურნაშოვი, რომელიც ღრმად გასცნობია ერეკლე მეფის შრომა-საქმიანობას, მის ფიქრებსა და ამოცანებს სამშობლო ქვეყნის მიმართ, შენიშნავს, – „არაჩვეულებრივად შრომობს“, ღამითაც კი ფხიზლობს და „მცირე ხანს სძინავს“, რომ სახელმწიფო საქმეებს უკეთ გაუძღვეს და თავისი ქვეყანა ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნასო“.

ერეკლე მეფის პიროვნებისა და მისი ღვაწლის წარმოსაჩენად აქ მობილი ამონაწერები მცირედია და მრავალი კიდევ სხვა არის. მაგრამ ესეც საკმარისია, რომ სწორად აღვიქვათ და ჭეშმარიტად გავიცნობიეროთ სახელოვანი მეფე-სარდლის პიროვნება და მისი დამსახურება ქართველი ერის წინაშე. მიუხედავად ხსენებული ქება-დიდებისა და საქვეყნოდ აღიარებული წარმატებებისა, რაც ერეკლე მეფეს და მის ქვეყანას ახასიათებდა, მეფე ერეკლეს მაინც მოსვენება ჰქონდა დაკარგული და ერთი წუთითაც არ ეძლეოდა განცხრომით ყოფნას, რათა მაჰმადიანურ სამყაროს გარემოცვაში ეულად დარჩენილ ერთადერთ ქრისტიანულ სახელმწიფო – საქართველოსთვის საიმედო მოკავშირე-მფარველი გამოეძებნა. ერეკლე ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ასეთ მოკავშირედ ირანი და თურქეთი არ გამოდგებოდა. ამიტომ ერეკლემ ორიენტაცია რუსეთზე და ევროპაზე აიღო. ანტონ კათალიკოსისა და ლევან ბატონიშვილის მეთაურობით რუსეთში გაგზავნილი ელჩობის უშედეგოდ დაბრუნების შემდეგ მეფე ერეკლემ ევროპის ქვეყნებში გააგზავნა სათანადო დოკუმენტაციით აღჭურვილი პატრები: ღომინიკე და მავროსი. ორივე კათოლიკე მისიონერი გზაში გარდაიცვალა, ადგილამდე ვერ ჩავიდნენ და ასე უცაბედად მოიშალა ევროპასთან საიმედო გზის გამო-ნახვის შესაძლებლობა. საქართველოს სწრაფვით შემფოთებული რუსეთი ახლა თვითონ იჩენს აქტიურობას, რის გამოც 1782 წლის 21 დეკემბერს ერეკლე მეორემ რუსეთს განმეორებით გაუგზავნა „სათხოვარის პუნქტები“ და რუსეთის მფარველობაში შესვლა ითხოვა.

1783 წლის 24 ივლისს, ჩრდილო კავკასიაში, რუსულ ციხესიმაგრე გეორგიევსკში გაფორმდა რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის ორმხრივი ვალდებულების შემცველი „მეგობრობითი პირობა“, ანუ „ტრაქტატი“. ქართლ-კახეთის სახელმწიფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შევიდა. ქართველები რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას დიდ გემებს უკავშირებდნენ. პირველი და უმთავესი მაინც ის იყო, რომ რუსეთის ორბიტაში მოქცევით ქართველებს აღარ ექნებოდათ გათურქებისა და გასპარსების შიში და ნაციონალური განვითარების ფართო სარბიელი მიეცემოდა. მართალია, მეფის რუსეთმა ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებები არ განახორციელა, ბოლოს ქართული სახელმწიფოებრიობაც გააუქმა და დაიპყრო საქართველო, მაგრამ „... რუსეთმა დაიხსნა ჩვენი ქვეყანა წახდენისა და განადგურებისაგან, იგი დღესაც ფარავს მას ყოფილ წამებისა და ტანჯვის განმეორებისაგან, მან გაუკურნა

ჩვენს სამშობლოს მისი წყლულნი“ (ილია). ანდა „მთელი ჩვენი ისტორიული დღენი მოვალეთ და შევალეთ სამხრეთის კარის დაკეტას და ვერა გავაწყეთ-რა. ღონემიხდილმა და დაქანცულმა საქართველომ აიღო თავი და შეაფარა ღიდ რუსეთის იმპერიას, მტერს არ დაჰნებდა და მეგობართაქენ პირი ჰქმნა და გული მიიბრუნა“ (ილია).

ჩვენ აქამდე მხოლოდ საუბარი გვქონდა ერეკლე მეორის სამხედრო და პოლიტიკურ საქმიანობაზე და არაფერი გვითქვამს მის მიერ ქართლ-კახეთის სახელწიფოს სხვადასხვა სფეროში განხორციელებული კოლოსალური შრომისა და მოღვაწეობის შესახებ. თუ არადა არ დარჩენილა სახელმწიფოში არც ერთი უბანი, რომელსაც ერეკლეს მზრუნველი ხელი არ შეხებოდეს და მისთვის ერეკლესეული ნიშანკვალი არ დასტყობოდეს: ერეკლე მეორემ ხელისუფლების ცენტრალიზაციისა და სახელმწიფოებრივი წყობილების გადასახალისებლად მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა. რუსეთის მიზანძვით შემოიღო სამხედრო სისტემა, სცადა მმართველობა ცალკეული უწყებების მიხედვით დაენაწილებინა: „საგარეო საქმეთა“, „სახელმწიფო შემოსავლისა“ და „სამხედრო საქმეთა“ დარგებად. ერეკლე მეფემ 1765 წელს გამოსცა კანონი რომლის ძალითაც ტყვეობიდან თავისი სახსრებითა და ინიციატივით დაბრუნებულ გლეხებს თავისუფლება ენიჭებოდა. მეფემ თანამიმდევრული ღონისძიებების განხორციელებით ქვეყანაში შექმნა კულტურისა და განათლების განვითარებისათვის საკადრისი პირობები. თბილისში და თელავში დაარსდა სემინარიები და სკოლები. 1749 წელს ერეკლე მეორისა და ანტონის თაოსნობით აღდგენილ იქნა თბილისის სტამბა. ერეკლე მეფემ შემოიკრიბა და მისი პირადი ინიციატივით ჩამოყალიბდა განათლებისა და კულტურის მოღვაწეთა დასი. ერეკლეს პირადი გულმოდგინებითა და მეცადინეობით ხელშემწყობი პირობები შეიქმნა მრეწველობის განვითარებისათვის, რასაც მოჰყვა ფაბრიკებისა და ქარხნების დაარსება (თოფის წამლის, საპნის, მარილის, იარაღის, შალის, შაქრის, მინის და სხვა). ერეკლეს დროში მაღალ დონეზე იქნა აყვანილი ალავერდის, ახტალისა და სხვა საბადოების ბაზაზე სამთამადნო მრეწველობის განვითარება. ერეკლემ განაახლა და წარმატებით მუშაობდა ზარაფხანა. ერეკლე იყო გლეხების, დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელთა ქომაგი და მფარველი და ხშირად მათი დაცვის მიზნით გამოსცემდა ბრძანებებს, სადაც საუბარია ფეოდალთა უფლებების შეზღუდვაზე და მათი დასჯის შესახებ. ერეკლე მეფე განუხრებლად ზრუნავდა შემოსევების შედეგად დანგრეული და გაუჟაკრიელებული ქალაქებისა და სოფლების აღდგენისა და იქიდან გახიზნული მოსახლეობის უკან დაბრუნებისათვის.

ერეკლე მეფე თავისი მოღვაწეობის მანძილზე აშენებდა და აღადგენდა ციხესიმაგრეებს, ეკლესია-მონასტრებს, ზიდებს, გზებს, კოშკებს და სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობებს. ერეკლემ 1774 წელს გამოსცა ბრძანება

„მორიგე ლაშქრის“ შექმნის შესახებ, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის და სხვა მრავალი მამულიშვილური შრომა-საქმიანობა არის ერის წინამძღოლის სახელთან დაკავშირებული.

ერეკლე მეორის სახით საქმე გვაქვს მრავალმხრივ მოღვაწე მეფე-სარდალთან, რომელმაც დიდი კვალი გაავლო ქართველი ხალხის ისტორიაში და ერთეულები თუ გაუტოლდებიან ბაგრატიონთა დინასტიის ათასწლოვანი მმართველობიდან. მარტო ის რად ღირს, რომ მეფე-მეომარი შედარებით უფრო ახლოს იდგა ხალხთან, ვიდრე შუა საუკუნეების რომელიმე სხვა ხელმწიფე. მან თავისი სიცოცხლის ყველაზე დიდი დრო ბრძოლებში გაატარა და ხშირად უბრალო ჯარისკაცის სიძნელებებს იტანდა. „მზე და მთოვარი იმის ბედნიერს ლაშქრობაში ხანდაზმულნი არიან“-ო, დასძინდა მეფის მსაჯული სოლომონ ლიონიძე. თავისი ლეგენდარული ბრძოლებით და ბრწყინვალე გამარჯვებებით ქართველი ხალხი იმდენად განებივრებული და თავბრუდახვეული იყო, რომ ხალხი თავის უსაყვარლეს მეფე-სარდალს სასწაულებრივ თვისებებსაც კი მიაწერდა – „ერეკლემ ხმალი წინ დაიდვის და ისევ თავისთავად შემოერთყმისო“.

სახელოვანი ერეკლე მეფის შვილიშვილი ალექსანდრე ორბელიანი მონოგრაფიაში „თელავი“, რომელიც ცნობილ საზოგადო მოღვაწეს 1857 წელს დაუწერია, იმდენად საინტერესოდ და ამომწურავად ყვება სახელგანთქმული მეფე-სარდალის მიერ გადახდილი მრავალწლიანი ბრძოლების შესახებ, რომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია იგი მკითხველს სრულყოფილად შევთავაზოთ: „მეფე ირაკლიმ აღარ მოასვენა თავი აღარც დღე და აღარც ღამე. ვერა საშინელი ავდარი გზას ვერ შეუკრავდა, საშინელს მღვლვარე წყალს რომ მიდაებოდა, არაფრად არ ჩააგდებდა, ჰკრამდა მათრახს ცხენსა და მკვირცხლად გავიდოდა. ყინვა იმისთვის საგომანებელი იყო და სიცხე მოსასვენებელი. საბნად ლეკური ნაბადი ჰქონდა, ღოშაქათ ცხენის ყაჯარი და ბალიშად მაგარი ქვა. ბევრჯერ სამი-ოთხი დღე გავიდოდა, იმის პირი პურის ნაწილს არ ნახავდა. ბევრჯერ თვე გავიდოდა, ტანისამოსს არ გაიხდიდა, არც ფეხიდან და არც ტანიდან. დღეს წახმდნენ ალაზნის პირზე გაუჩნდებოდა უეცრად მტერს, ხვალ თუ ზეგ ოსმალოს საზღვარზე და შემდეგ ვინ იცის სად და სად: სიღნაღი, გორი, ტფილისი და თელავი ხომ ანგარიშში აღარ იყო. ასე და ამ სახით უვლიდა ქართველებს როგორათაც კარგი მღვიძარე არწივი თავის ბუდეში თავის ბლარტებს. სადღა ჰქონდა რიგიანი ძილი მეფეს ირაკლის, სადღა ნებიერობა, სადღა ცხრომა და სადღა სიხარული. ესენი სულ საშინელს შრომათ გადაექცა. საკვირველს ვაჟკაცს ქართველებსაც ამისთანა მეფე უნდოდათ, როგორათაც ვაჟკაცობით, ისე გონიერებაც არ აკლდა. ეს საკვირველი და მამულისაგან წამებული მეფე, სადაც კი მტერსა მახვდებოდა თავის ვაჟკაც ქართველებთან, არა თუ მხოლოდ დაამარცხებდნენ,

არამედ ჩაყლაპავდნენ. ასე შეაძრწუნა და შეაშინა მტერი, რომ მართო ირაკლის სახელის გაკონება იმათთვის საშინელება იყო, რომლისათვისაც ღმერთს ევედრებოდნენ იმის ხანგრძლივი სიცოცხლისათვის ქართველები, მარადის გარს ევლებოდნენ იმას, მარადის სულს გასწირავდნენ როგორც მამულისათვის, ისე მამულის შემნახველის ირაკლისათვის, საშინელის მტრებისაგან“ (ალექსანდრე ორბელიანი, თელავი, 1997, გვ. 57-58; ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და ბოლო სიტყვაობა დაურთო გიორგი ჯავახიშვილმა).

ალექსანდრე ორბელიანის მსგავსად მისი ძმა ვახტანგიც დიდად აღფრთოვანებულია სახელოვანი პაპის მრავალწლიანი დაუცხრომელი მოღვაწეობით, მის მიერ არაერთხელ მცირე თუ ფართო მასშტაბის ბრძოლებისა და ომების შეუდარებლად დაგვირგვინებით და ქებათა-ქებას უძღვნის ომებში დაბერებულ მეფეთა მეფეს გმირთა გმირ ერეკლეს ხსოვნას:

„აჰა, ირაკლი, გმირთა გმირი, კახი პატარა:

ურწმუნოთ მამულს არ მივცემო, არა და არა!

იბრძვის მთა-ბარში, წინ და უკან, იბრძვის ზედ მტკვარზედ,

იბრძვის ოთხკუთხივ, გარეთ და შინ, ზედ თავის კარზედ,

ებრძვის ქრისტეს მტერთ, დღე და ღამე, არ ხუჭავს თვალსა;

საფლავს დიდებულს არ ჩაიტანს სამშობლოს ვალსა.“

(ვახტანგ ორბელიანი, თხზ. 1949, გვ. 17)

სახელოვანი მეფის შვილიშვილმა შესანიშნავად იცის გმირი მეფის მიერ მრავალგზის წარმატებული ომების ისტორია და მის თაობაზე ლამაზად და სიამაყით შეძღვეს აღნიშნავს: „გრძელი სიცოცხლე ირაკლისა, არს ბრძოლის ველი, მოსათხრობელად, საამბობლად, სათქმელად ძნელი“ (იქვე).

ერეკლე მეფე 54 წელი ედგა სათავეში ქართლ-კახეთის სახელმწიფოს და მისთვის ყველაზე დიდი მარცხი იყო კრწანისის ტრაგედია. ამ უბედურებამ სახელოვან წინაპარს სიბერეშე მოუსწრო და კიდევ დააჩქარა ლეგენდარული მეფე-სარდლის აღსასრული. 1798 წლის 11 იანვარს, ქ. თელავში, იმავე ოთახში, სადაც იგი დაიბადა, გარდაიცვალა თავის დროისათვის უდიდესი მხედართმთავარი და საქვეყნოდ აღიარებული, შორსმჭრეტეელი და უჭკვიანესი პოლიტიკური მოღვაწე მეფე ერეკლე მეორე.

ერეკლე მეფის გარდაცვალებამ შესძრა ჩვენი ქვეყნის მთისა და ბარის მოსახლეობა და მანამდეულ საქართველოში ჯერ არნახული გლოვა გამოიწვია. 40 დღე ქ. თელავში უწყვეტად მიუძინებოდა საქართველოს ნებისმიერი კუთხიდან მოტირალ-გამომშვიდობებელთა ახალ-ახალი ნაკადი, რომელთაც საკადრისი პატივი მიაგეს ერის წინაშე პირნათლად ვალმოხდილ წინაპარს და გულდათუთქელმა სამგლოვიარო პროცესიამ ხელითხელ მცხეთაში გადასვენა უსაყვარლესი მეფის და ერის წინამძღოლის ცხედარი და სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში მიუჩინა საუკუნო განსასვენებელი სამყოფელი.

საქართველოში დიდი ხნის მანძილზე ლეგენდად ქცეული სახელოვანი წინაპრის შესახებ გაორებული ცოდნა არსებობდა და ერეკლე მეფე საკადრისად ვერ ფასდებოდა, იგი ქართველი ერის ისტორიაში ვერ იკავებდა იმ ადგილს, რაც მას ეკუთვნოდა და რისი ღირსიც იყო „პატარა კახი“. გავიდა დრო-ხანი და სამშობლოს წინაშე ყოველმხრივ მართალმა და ერთ-ერთმა დიდმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, რომელსაც მეტად ურთულეს ეპოქაში მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა და მაინც შესანიშნავად გაართვა თავი ყველა წინააღმდეგობა-დაბრკოლებას და შშობელი ქვეყანა და მრავალგზის ტანჯული ერი იხსნა გადაშენება-განადგურებისაგან, მოიპოვა საქვეყნო აღიარება, სიყვარული, ჭემმარიტი შეფასება და მისთვის კუთვნილი ადგილი შშობელი ხალხის გულში, ერის ისტორიაში და სახელოვან მეფე-სარდალთა პლეადაში. მადლიერმა ქართველმა ხალხმა და უპირველესად მისმა თანამოქალაქეებმა, ქ. თელავის ინტელიგენციამ, თელავის რაიონის თავკაცებმა და რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ჯანსაღმა ბირთვმა შესძლეს შეუძლებელი და გამართა-გმირ წინაპარს ბრწყინვალე ძეგლი დაუდგეს და მასთან ერთად, გარკვეული დროის შემდეგ, ეროვნული დღესასწაულიც – „ერეკლეობა“ დააწესეს, რომელიც პირველად 1993 წელს აღინიშნა.

2000 წლის 7 ნოემბერს სრულიად საქართველომ დიდი წინაპრის შშობელ ქალაქში იდღესასწაულა გამორჩეული და დაუეწყარი „ერეკლეობა“, რაც მიეძღვნა მეფე-სარდლის დაბადებიდან 280 წლისთავს და თელავის ქალაქად დაფუძნება-წარმოქმნის 1800 წლის იუბილეს.

## 1.5. „გლორვა მკევის ირაკლი მეორისა...

ბაგრატიონთა განთქმულმა დინასტია-საგვარეულომ ათას წელზე მეტი ხნის განმავლობაში უღარაჯა და უპატრონა სრულიად საქართველოს და ქართველობას. ხსენებულმა დინასტიამ არაერთი სახელოვანი მეფე-სარდალი, გამოჩენილი დიპლომატი და დიდი მასშტაბის პოლიტიკური მოღვაწე მისცა დედა-სამშობლოს, რომელთა ღვაწლმა და ამბავმა გადაარჩინა საქართველო და ქართველობა. მათი საარაკო გმირობისა და დიდთა საქმეთა მოთავეობა-ხელმძღვანელობის ამსახველი მაგალითებით აღსავსეა საქართველოს ისტორია. მაგრამ, მიუხედავად აღნიშნულისა, ჩვენი სახელოვანი მემკვიდრე-ყამთა-აღმწერელნი უცნაურად ღუმან და ძალიან ძუნწ ცნობებს გვთავაზობენ ერის მრავალგზის გამოჩენილ წინამძღოლ-მეთაურთა აკადემოფობის, გარდაცვალების და გლოვა-დაკრძალვის შესახებ. ისეთ სახელოვან წინაპართა მიმართაც კი, როგორებიც იყვნენ: ვახტანგ გორგასალი, ბაგრატ III, დავით აღმაშენებელი, გიორგი III, მეფეთა მეფე თამარ დედოფალი და გიორგი V ბრწყინვალედ წოდებული, შთამომავლობამ ძალიან ცოტა რამ იცის, თუ როგორ და რა ვითარებაში აღასრულეს ცხოვრება და მოღვაწეობა და როგორ გამოიტირა თითოეული მათგანი მადლიერმა ქართველმა ხალხმა. ბაგრატიონთა საგვარეულო დინასტიიდან ერთადერთი ერეკლე მეფე გახლავთ, რომლის მიმართაც ხსენებული ნაკლოვანებები არ ითქმის და დიდი წინაპრის აკადემოფობის, გარდაცვალების, დატირება-გამოთხოვების, დაკრძალვის რიტუალისა და ჯერ არნახული გლოვის შესახებ ქართულმა ისტორიოგრაფიამ და ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ საინტერესო ეპიზოდები და ცნობები შემოგვინახა.

ერეკლე მეფის გარდაცვალება ქართველი ხალხისათვის დიდი უბედურება და ენით გამოუთქმელი მწუხარება იყო. ერეკლე II როგორც მეფე, სახელოვანი მხედართმთავარი და ერისა და ქვეყნის დიდი მოჭირნახულე, რამდენიმე ათეული წელი სამაგალითო წარმატებებით ახერხებდა საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას და ქართველი ხალხის ფიზიკური გადაშენებისაგან გადარჩენას. „ლეკიანობის“, „ოსმალობის“ და „ყიზილბაშობის“ ხანგრძლივმა ამოხრებელ-გამანადგურებელმა პროცესებმა და სხვა არაერთმა დამღუპველმა მოვლენებმა, რაც დამახასიათებელი იყო XVIII საუკუნის საქართველოსათვის, თუ თავის მიზანს ვერ მიაღწია და საქართველო მაინც ინარჩუნებდა ეროვნულ სახელმწიფოებრიობას და დამოუკიდებლობას, ეს ყოველივე მხოლოდ და მხოლოდ დიდი ერეკლე მეფე სარდლის თავდაუზოგავი მოღვაწეობის შედეგი იყო. სწორედ, იმიტომ იყო, რომ ყოვლისშემძლე მეფე-მფარველის გარდაცვალება სრულიად საქართველოსათვის თავსდატეხილი უდიდესი უბედურება და საყოველთაო გლოვის ზარი იყო. როცა საქართველოს



მთისა და ბარის მოსახლეობამ თავისი უსაყვარლესი სარდლის, მართლაცდა, სახალხო მეფის, ქვეყნისა და ქართველი ხალხის მრავალჯერ მხსნელისა და გადარჩენელის გარდაცვალების ამბავი გაიგო, უწყვეტ ნაკადად აიყარა და გუნდ-გუნდად დაიძრა თელავისაკენ, რათა ერთხელ კიდევ ენახათ უსაყვარლესი პატარა კახი და გულდათუთქულნი გამოშვიდობებოდნენ „აღმოსავლეთის დიდ გმირს“, „მამაც ვაჟაკს“ და „პრინც ერეკლეს“ (გერმანელი მწერალი ლესინგი).

ბაგრატიონთა მრავალსაუკუნოვანი დინასტიიდან გამორჩეულ მეფე-სარდალთა შორის მეფე ერეკლე ქართველმა ხალხმა და არა მარტო ქართველმა ხალხმა, სრულიად სხვაგვარად, მართლაცდა, გამორჩეულად და ყველასაგან განსხვავებულად დაიტირა და განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა გამოხატა ერისა და ქვეყნის წინაშე პირნათლად ვალმოხდელ გმირთა გმირი წინაპრის მიმართ.

ქართველი ხალხის მიერ ასეთი განსაკუთრებული და ყოველად გამორჩეული სიყვარული გმირთა გმირი მეფისადმი იმითაც იყო გამოწვეული, რომ ღრმად მოხუცებულობისა და სიკვდილთან აშკარად ახლოს დგომის მიუხედავად, ღვაწლმოსილი წინაპარი ერთი წუთითაც არ ემორჩილებოდა უკვე ფაფარაშლილ ავადმყოფობას და კვლავ ძველებური შემართებით დაუცხრომლად ზრუნავდა საქართველოს კეთილდღეობისათვის.

კრწანისის ტრაგედიის შემდგომ ერეკლე მეფე უმეტესწილად თელავში ცხოვრობდა და მშობლიური ქალაქიდან ხელმძღვანელობდა მასავით ღონემიხდილ დედა-სამშობლოს. მართალია, წყალ-მანკი დაუნდობლად ებრძოდა პატარა კახის დაღლილ-დაქანცულ ორგანიზმს, მაგრამ მრავალ ჭირვარამ-გამოვლილ მხედართმთავრის ორგანიზმს ავლიად ვერ იმორჩილებდა, სიკვდილისა და მოძალებული მტრის ჯინაზე მეფე-სარდალი ფეხზე ტრიალებდა და ახალ-ახალ დავალებებს აძლევდა შვილებს, შვილიშვილებს და მრავალგზის გამოცდილ სახელოვან თანამებრძოლებს. გარდაცვალების წინახანებში, 1797 წელს, ქიზიყში მდგარ ფარნაოზ ბატონიშვილს ღვაწლმოსილი მამა და ბრწყინვალე მხედართმთავარი შემდეგი შინაარსის წერილს უგზავნის: „ყველა სოფლებში ასე აცოდინე, ყოველთვის მომზადებულნი იყვნენ ჯარში გამოსვლისთვის ცხენითა, იარაღითა და ფეხსაცმელითა და საგძლითა. იქნება ათს დღეზედ დაუძახოთ, იქნება ოც დღეში დაუძახოთ, ესეც იქნება ერთი თვის უკან დაუძახოთ, ასე გამზადებულნი იყვნენ, რომ ასე ყოველთვის მოელოდნენ დაძახებას“. მომდევნო წერილით, სიკვდილთან მიახლოებულნი მეფე-სარდალი, ფარნავაზ ბატონიშვილს საგანგებოდ ავალებდა რათა ერთი წუთითაც არ მოედუნებინა სიფხიზლე და ყურადღება დაღესტნის მხრიდან მოსალოდნელი შემოსევების გამო და დროულად მიეღო ზომები ლეკი მძარცველების ასალაგმავად და თუ ვინმე არ დაემორჩილებოდა და ანდა ბრძოლის ველიდან გამოიპარებოდა ბატონიშვილი მათ უმკაცრესად უნდა მოჰყრობოდა:

„თუ მანდ ჯარისკაცი გამოგპაროდეს ვინმე, ან თავადი ან გლეხი, ავად მოეპყარ და ისევ მოაყვანინე. შენი ძმისწული იოანე მთის ჯარებით და გაღმა მხარის ჯარით ყვარელში გამოსტუმრებია და ჩვენც ჩვენი შვილებით და ჩვენის სრულის ძალით, ღვთით, ამ რამდენსამე დღეზუდ მანდ თქვენთან ჩამოვალთ“.

ერეკლე მეფის სურვილი, რომ კახეთში შემოჭრილი ლეკთა ურდოების გასანადგურებლად, რომელსაც ომარ-ხანი სარდლობდა, თვითონაც მიეღო მონაწილეობა, განუხორციელებელი დარჩა, რადგან ვერაგმა ავადმყოფობამ სახელოვანი მხედართმთავარი სიკვდილის სარეცელს მიაჯაჭვა და საბოლოოდ აიძულა კიდეც დანებებოდა კარზე მომდგარ ბედისწერას. თითოეული დღე დიდი წინაპრისათვის ძნელად ასატანი ხდებოდა და მეფის გარემოცვიდან ყველა გრძნობდა თუ რა დიდი უბედურება მოელოდა ქართველ ხალხს და სრულიად საქართველოს. ლოგინად ჩავარდნილ მეფე-სარდალს კარს მოადგა 1798 წლის საახალწლო დღესასწაული, რასაც მეფეთა მეფე სრულ აგონიაში მყოფი შეხვდა და თითქმის არაფერი უსიამოვნებია ამ დიდი ტრადიციული რიტუალებიდან. ასეთ ვითარებაში მყოფ მამას უფროსი შვილი – გიორგი ბატონიშვილი სწვევია სანახავად, რასაც მომაკვდავი ერეკლე მეფე იმდენად გაუხარებია, რომ მას საგრძნობლად მოუხედაია, ფეხზეც დამდგარა და ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილთან ქვეყნის საჭირობოროტო საქმეებზეც ჰქონია სჯა-ბაასი. მეფე-ტიტანი დროებით დაუძვრა მის სხეულში ჩაბუდებულ ჭირვარამს, ძაღლონე მოიკრიბა, მემკვიდრეს მამაშვილურად ბევრი რამ ესაუბრა და შემდგომ სასწრაფოდ გააგზავნა თბილისში და ყაზახ-ბორჩალოში სხვადასხვა გადაუდებელ საქმეთა მოსაგვარებლად.

გიორგი ბატონიშვილის განშორების შემდგომ ერეკლე მეფე კვლავ შეუბოჭავს ვერაგ სნეულებას და გმირი მეფე ისევ და ისევ აგონიაში ჩავარდნილა. მომაკვდავ მეფეს 10 იანვარს ეახლა მისი გაზრდილი და ერთ-ერთი უსაყვარლესი შვილიშვილი – თეიმურაზ გიორგის ძე ბატონიშვილი, რამაც გიორგი ბატონიშვილის შეხვედრის მსგავსად, დიდი ზემოქმედება მოახდინა სახელოვან მეფე-პაპაზე, იგი უცბად გამოვიდა აგონიიდან, გონს მოეგო, შვილიშვილს მოეფერა, მოეალერსა და შემდგომ ბატონიშვილს აბანოში წაყვანა სთხოვა. ბატონიშვილმა პაპას თხოვნა შეუსრულა. მეფემ დიდად გაიხარა შვილიშვილის გამორჩეული მზრუნველობით და შემდგომ ისევ უკან დააბრუნეს. ერეკლე მეფემ 10 იანვრის ღამე ძლივს გადაიტანა და უკიდურესად დაღლილ-დაქანცული შეხვდა 11 იანვარს. შუადღისას ავადმყოფმა გრძნობა დაკარგა. როგორც თეიმურაზ ბატონიშვილი აღნიშნავს სახელოვანი წინაპარი სამი საათი უძრავად და „უსულთქმოდ“ ყოფილა. მზის ჩასვლის ჟამს მეფეს კვლავ მოუხედავს. დაღამების ჟამს თუ უკვე ღამით მეფეს თავზე მდგომთათვის უნიშნებია, რომ გარეთ გაეყვანათ. მეფეს თხოვნა შეუსრულეს, მხრებში შეუდგნენ და ისე გაიყვანეს გარეთ. თეიმურაზ ბატონიშვილის გადმოცემით აღინიშნება, რომ სულთმობრძავმა მეფემ

მდუმარედ მიმოიხედა ირგვლივ, ერთხელ კიდევ მოავლო თვალი წყვილიადში ჩაფლულ დედა-სამშობლოს და კვლავ საწოლში დაბრუნება უთხოვია. თეიმურაზ ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ გარედან შემოყვანის შემდგომ მეფემ დიდხანს აღარ იცოცხლა და მალევე გარდაიცვალაო. თეიმურაზ ბატონიშვილს განევი ვიცით, რომ მეფე ერეკლე იმავე პალატასა და იმავე საწოლში გარდაიცვალა 1798 წლის 11 იანვარს, სადაც იგი დაიბადა 1720 წლის 7 ნოემბერს.

ერეკლე მეფის დატირებისა და სამარის კარამდე საკადრისად გაცილებისა და დაკრძალვის შესახებ მეტად საინტერესოდ და სრულყოფილად გვიყვება სახელოვანი პაპის შვილიშვილი თეიმურაზ გიორგის ძე ბატონიშვილი, რომელიც უმთავრესად პაპსთან იზრდებოდა და სახელიც მამის სიყვარულით ერეკლესვე დაურქმევია. აი, რას სწერს აღნიშნულის შესახებ თეიმურაზ ბატონიშვილი: „...მზრდიდა მე პაპი ჩემი მეფე ირაკლი და განუშორებლად ვიმყოფებოდი მასთანა და ფრიადი სიყვარული აქუნდა ჩემი. ვინაითგან თავიდანვე შობისა ჩემისა სახელად სძლვა მე სახელი მამისა თვისისა – თეიმურაზ და ოდეს იმყოფებოდა მეფე ვიდრე მე სნეულებასა მას შინა ვმსახურებდი მას ძალისამებრ ჩემისა და პასაკისა“.

თეიმურაზ ბატონიშვილი უსაყვარლესი პაპის დაკრძალვის შესახებ სრულყოფილად გვიყვება და ჩვენც თავს უფლებას ვაძლევთ მკითხველს ყოველივე დედნის მიხედვით გავაცნოთ: „ხოლო დღესა ორმოცსა ესვენა გვამი მეფის ირაკლისა თელავს, – აღნიშნავს თეიმურაზ ბატონიშვილი, – რამეთუ მოვიდოდინ კახეთით, ქართლით და ყოველთაგან სამეფოსა მისათა დედა-წულითურთ მცხოვრებნი და ჰყოფდეს ივინი გოდებასა და ტყუპასა დიდსა გვამსა ზედა მისსა, ყოველნი თითოეულნი მცხოვრებნი გვარნი, მცხოვრებნი ქართველნი კაკასიის მთათაგანი და თათართაგან საქართველოსათა და სხვათა ყოველთა ადგილებთაგან მოვიდოდინ და ჰყოფდენ გლოვასა წესისაებრ მათისა, ხოლო დღესა ოცსა ესვენა გვამი იგი მეფისა სამეფოსა პალატსა შინა და შემდგომად ოცისა დღისა განამზადეს მონასტერი ხელით უქმნელისა ხატისა, მდგომარე ციხესა შინა, სადაცა მოსახლეობენ თავადნი ყორჩიბაშიანნი ვინაითგან მუნით უმარჯვეს იყო წასვენებად მცხეთას და დიდისა დიდებითა მისვენეს მუნ, უკუდგეს მცხედარსა მისსა სახლეულობანი მეფეთანი და ყოველნი წარჩინებულნი გლოვითა დიდითა და მახლობელი მონასტრისა მის, პირველივე მომზადებულსა კათედრასა ზედა დაასვენეს გვამი იგი და იტირეს მუნ ხმითა მოთქმითა და ზარითა თქმის თქმითა“.

მეფე ერეკლეს დამტირებელთა შორის უფლისწული საგანგებოდ გამოჰყოფს ორ პიროვნებას: ერთს ვინმე ქიზიციდან მოსულ ქვრივ მოზუცებულ დედაკაცს და მეორეს მეფის მსაჯულს სოლომონ ლიონიძეს. „ხოლო მოვიდა დედაკაცი ვინმე, – დასძენს თეიმურაზ ბატონიშვილი, – ქიზიციის მცხოვრებთაგანი ქვრივი მოზუცებულობისა პასაკს მიწვენილად, თუმცადა იყო

იგი მდებარეობდა ერისთავანი, მაგრამ ცნობილი მეფეთაგან და შემწყნარებელი კარსა ზედა მეფისასა. იწყო ამან ხმითა მალლითა ტირილი, ესრეთისა შესაბამისა სიტყვებითა ტირილსა მას შინა. მოიღებდა თითოეულთა ღირს სახსოვართა საქმეთა მეფისამიერ ქმნილთა, რომელ ყოველნი მსმენელნი სიტყვათა მათ უმეტეს ღმობიერ იქმნებოდეს და სტიროდეს გოდებითა ღიღითა და ყოველთა მიეპყრათ ყური მისა მიმართ და განუკვირდებოდათ თუ ვითარ ერთმან მსოფლიომან დედეკაცმან ესრეთ შესაბამისა სიტყვებითა დაიტირა გვამი ღიღებულისა მეფისა“. ბატონიშვილი იქვე იმასაც შენიშნავს, რომ „თუმცაღა მრავალთა იტირეს გვამი მეფისა შესაბამად, გარნა ორნი მათ შორის აღმატნეს სხვათა, ერთი მდივანი მეფისა სოლომონ მსაჯული, რომელიცა იყო კაცი განსწავლული და პატიოსანი, და მეორე ქვრივი იგი ქიზიყელი, რომელიცა წინარე მოვიხსენიეთ“.

ძნელად მოიძებნება სახელმწიფო მოღვაწეთა გარდაცვალების გამო ყოელისმთქმელი სიბრძნითა და პატრონისადმი განსაცვიფრებლად ღიღი სიყვარულით აღსავსე სიტყვა, როგორც სოლომონ ლიონიძემ წარმოთქვა ღიღი ერეკლეს დაკრძალვის ჟამს. თანამედროვეთა შორის ღრმად განსწავლული მსაჯული სოლომონი კარგად გრძნობდა თუ ერეკლე მეფის გარდაცვალების შემდგომ რა მოელოდა საქართველოს, რის გამოც ყველას გასაგონად დაუფარავად და გულის გამგმინავე გოდებით მიმართავდა საფლავის კართან დასვენებულ ბაგრატიონთა დინასტიის უკანასკნელ ბრწყინვალებას – „...ხელმწიფე მფლობელო, საზოგადო მამავ, მეფე ირაკლი! ვის მივცე შენის უმაღლესის თავისა და უძლეველის ტანისა უზომო ტრფიალება? ვის დრომას ვემსაზურო? ვინ შევიყვარო? ვისთვის მოეკვდე? ვისთვის ვიცოცხლო შენს უკან სიცოცხლე საზრახავად გამწარებულმან?!“ აქ მოტანილი ამონაწერი სოლომონ ლიონიძის მიერ წარმოთქმული სიტყვის დასკვნაა, მთლიანი სიტყვის შინაარსი კი ასეთი იყო: „დღეს ქვეყანა ჩვენი მწუხარების ტახტზე ზის და ფასდაუდებელ მსხვერპლსა სწირავს; დღეს ზეცა მეშურნედ დასცემია დედამიწას: და წაურთმევია მისთვის სიმდიდრე, სიბრძნე, მხედართმთავრობა, გვირგვინოსნობა; მოკვდა ერეკლე ჰერკულესი, უძლეველი და მძლეთამძლეველი მეფეთა შორის; აქამდე მიწიერ ქვეყნებზე მოლაშქრე მეფე ერეკლე ახლა ციურ მნათობთა წინააღმდეგ სალაშქროდ მიეშურება; მეფე, რომელმაც აღიდა სახლი, გვარი და სიმბნე ქართლოსიანებისა და ამჟამად აღვიდა ანგელოსთა და ღვთისა თანა... მან ხომ ხერთვისის და ასპინძის სისხლში ნაწრთობი ხმალით ხვანთქარს საარსეთის ხელმწიფესთან მიაწერინა: მეფე ერეკლე სარათის ქვეყნებს მართმევს და შენ დაუშალეო. ამაზე ქარიზმ-ხან იტყოდა: „მეფე ერეკლე ასეთი რამ ბრძანდება, რომ ხვანთქარი ჩემთან საჩივლელად დაამუხლაო“ და მაშინვე სახელმწიფო ხმალი მიუძღვნა... მან ხომ საქართველო ნადირ შაჰისაგან გამოიხსნა. ხოლო აზატხანი ათასი ერთით გააქცია. პრუსიის მეფემ, ფრიდრიხ მეორემ კი ასე დაწერა: „ევროპაში

მე ვარო და აზიამი ერეკლე, ქართველ-გეორგიანთ მეფე...“ იგი, თავისი ძლიერი თვალებით, ზევით აიხედავდა და ცას აკეცავდა, ძირს დაიხედავ და დედამიწას გულს გაუხსნიდა; სვერა ქვეყნისა თვალში მოეკცია და დედამიწას ორ ფურცლად კითხულობდა ანგელოზთა სამწიგნობრო სახელი „მეფე ერეკლეს“ ცის კალთებზე იწერებოდა და ქვეყნის მპყრობელებს ძილს უქარგავდა ცა და ქვეყანა ერეკლეს მახსოვარი არიან; მზე და მთოვარე, იმის ბედნიერ ლაშქრობებში ზანდაზმულნი არიან; დღისით მზე ჰყავდა მეწინარე სარდლად და ღამით მთოვარე; ორივე ერეკლეს გამარჯვებულ დროშას წინ მიუძღოდა; მტერთა სისხლით შეღებილი მთა და ბარი ერეკლეს სახელს მოუთხრობენ... „მაგრამ, ხელმწიფევი! რად გვიხაროდა შენი ხელმწიფედ ცხებულობა, თუკი სამკედროსა ზეთსა იცხებდი? რად გინდოდა სახელმწიფო პორფირი, თუკი დასამიწებელს სუდარას გარეს მოიხვევდი? რად გინდოდა განსაგებელი სკიპტრა, თუკი სკიპტრის მპყრობელთა ხელთა გულზედ დაიკრეფდი? რად გინდოდა ქვეყნის მანრდილობელი დროშა, თუკი მტერზედ გადახურვილსა შენის შიშისა ფარდასა ახდიდი? რად გინდოდა სახელმწიფო ტახტი, თუკი დასამიწებელს საფლავს იშენებდი?... დავაკლდით ერნი ქრისტიანენი მეფესა, პატრონსა და საზოგადო მამასა. დავსტირით ძლიერსა და მხნესა მამაკაცსა. აღარა გვყავს მეფე ერეკლე: თავი – გამგებელი ერისა, ხელი – მზრდელი ობოლთა, მკლავნი – მომგერიებელი მტერთა, და მისი გვაძი შრომისმოყვარე საფლავში ირღვევა. შენ გვედრებით, იესოს სისხლით ცხებულსა, ირაკლის კაცთმოყვარე სულსა ნუ შვაწუხებ, და მისგან დაობლებულსა საქართველოს მოჰხედვი!... სად არის, ხელმწიფევი, შენი ხელმწიფური განგება?! რად შემოხსენ ხმალი, რომლის გამარჯვებანი რიცხვით ხსოვნას ასცილდა? რად შემოსწყერ სახელოვანსა დროშას, რომლისაც პაერში მომცურავი კალთები ქვეყანას აწრდილებდა, და მესისხლოდ განჭიმულის ზორტებით ცის კალთებს ეჩხებებოდა და ღერკულესის მეფის უძლეელობის სტამბა ზეკას იბეჭდებოდა?...“

ყველა დამტირებელი და მათ შორის საქართველოს მთებიდან გულხეთქებით ჩამოსული მთიელი მოტირალნიც კარგად აცნობიერებდნენ თუ მათი უსაყვარლესი მეფის გარდაცვალების შემდეგ რა მოელოდა საქართველოს, და მით უმეტეს, ლეკიანობის გამო დიდად მრავალგზის გამწარებულ თუშ-ფშავ-ხევსურეთს. იმიტომ იყო, რომ მთიელნიც, მათთვის ყველაზე უახლოესი მეფის ცხედართან მუხლმოყრილნი, აქეთიზებულ-აცრებულნი და თავზარდაცემულნი მოსთქვამდნენ: „ვერ გაიგეთა, ქართველნო, შეგეხსნათ რკინის კარია, აღარ გყავთ მეფე ერეკლე, არც მისი საომარია...“ ანდა: „აღსდევ გმირთ-გმირო, ნუ გძინავს მტერთა ისმიან ხმანია, გრძლად ძილის ჩვეულ როდი ხარ, მიგვიხმენ უნჯნი ყმანია, არ გნახოს მტერმა ძაბუნად, ვჰსდევნოთ, ვაკვეცნეთ თმანია, ვართ ბრძოლად მათდა მოსრულნი. ზოგთაგან ოთხი ძმანია.“

გულდათუთქულმა, ფიქრთა ზღვა-ოკეანეში გათქვეფილ-მირგვილ-გაოგნებულმა და საგონებელში ჩავარდნილმა ქართველობამ ძლივს მოახერხა

განშორება ერისა და მრავალჭირნახული ქვეყნის უდიდეს მეფე-სარდალთან, იმის იმედით, რომ „დაშთნენ მას ძენი, ძის ძენი, მათსა ვიტყოდეთ ქებასა, გმირნი მამაცად აღზრდილნი, ჰყოფენ კეთილსა ძმობასა; მტერთა მისცემენ პასუხსა, მოყმეთა თანა-ზმობასა, აწლა გამოვსცნათ, მოძმენო, – ვინმცა იქმს ერეკლობასა?“

ორმოცი დღის მანძილზე მრავალგზის დატირებული და მღულარე ცრემლით განბანილი გმირთა-გმირი მეფე-სარდალის ცხედარი, – როგორც თეიმურაზ ბატონიშვილი აღნიშნავს, – „წარიღეს მუნით და დაფლეს დიდის დიდებითა სამარხთა მეფეთასა, მცხეთასა, სადაცა არს უპირველესი კათოლიკე ეკლესია.“

მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე მეფე მის მიერ არაერთხელ გადარჩენილმა საქართველომ და სრულიად საქართველოს მთისა და ბარის ქართველობამ საკადრისად გამოიტირა და ღირსეულად მიაბარა სამარადჟამო განსასვენებელში, რადგან მათ კარგად მოეხსენებოდათ საქვეყნოდ განთქმული მხედართმთავრისა და უდიდესი პოლიტიკური მოღვაწის კოლოსალურად დიდზე-დიდი დამსახურება სამშობლოსა და ერის წინაშე, მომდევნო საუკუნეების საქართველოში ერეკლე მეფის მიმართ ზოგიერთთა შორის არაჯანსაღი, უსაფუძვლო და დაუმსახურებელი დამოკიდებულება არსებობდა და მხოლოდ ერის ღირსეულ მამულიშვილთა წრეში ფიგურირებდა პატარა კახი, როგორც ერის დიდ მოჭირნახულედ, სახელოვან მხედართმთავრად, შორსმჭკვრეტელ პოლიტიკურ მოღვაწედ და ლეგენდად ქცეულ მეფე-ტიტანად.

დიდი ხნის უსაფუძვლო და გაუმართლებელი დუმილის შემდგომ ჭეშმარიტებამ თავისი გაიტანა, რაც დიდად არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ნიჭიერ, ობიექტურ და საღად მოაზროვნე ინტელიგენციის სახელთან, უპირველესად კი ქართველ ისტორიკოს მეცნიერთა თავდადებულ მოღვაწეობასთან, მათ მიერ ბრძენი ერეკლე მეფის ღვაწლის ჭეშმარიტ და ობიექტურ შეფასებასთან. ამ საშეილიშვილო საქმის გამარჯვებით დაგვირგვინებაში დიდი როლი მიუძღვით ქ. თელავის ინტელიგენციას, კახეთის სამხარეო და რაიონის ხელმძღვანელობას, რაც იმით დამთავრდა, რომ დაწესდა სახალხო დღესასწაული „ერეკლეობა“, რომელიც პირველად 1993 წელს აღინიშნა დიდი წინაპრის დაბადებიდან 273 წლისთავთან დაკავშირებით; სახალხო დღესასწაულის „ერეკლეობის“ დაარსებამდე, ჯერ კიდევ საბჭოთა წყობილების პერიოდში, ქ. თელავში 1971 წელს, დაიდგა ცხენზე ამხედრებული ერეკლე მეფის ბრინჯაოს ულამაზესი ძეგლი, რაც იმდროინდელი საქართველოს რესპუბლიკის და თელავის რაიონის ხელმძღვანელთა ძალისხმევით მოხდა.

სახელოვანი მეფე-სარდალის, დიდი ერეკლე მეორის მიერ სამშობლო-ქვეყნისათვის გაწეული უდიდესი ღვაწლის სწორად შეფასებას მრავალწლიანი ბრძოლა და მუხლჩაუხრელი კვლევა-ძიება დაჭირდა. კარგი საქმე სხვაგვარად არ კეთდება. ეს ყოველივე კარგად უნდა იცოდეს თითოეულმა ჩვენთაგანმა, რათა ჩვენც, ვისაც ეს შესხენება და გამოლვიძება გეჭირდება, მაგალითი

გადავიღოთ და ვიზრუნოთ მრავალტანჯული საქართველოს აღმშენებლობა-გამთლიანება-გადარჩენისათვის, წინაპართა ღვაწლისა და ამაგის საკადრისად დაფასებისათვის, რის თაობაზეც სამშობლოს მოკლა-პატრონობით დაღლილ-დაქანცულ მებატიანეთა მიერ დანატოვარ უმდიდრეს მემკვიდრეობაში არაერთი შეგონება, მოწოდება და ევდრებაა ჩვენთვის, თუ შთამომავლობას რა გვევა-ლება და როგორ უნდა ვიქცეოდეთ ყველგან და ყოველთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მკითხველს შეეთავაზოთ სახელოვანი მეფე-წინაპრის თანამედროვეთა გლოვისა და გამოსათხოვარ-გამომშვიდობების უნიკუმები, უიშვიათესი ნიმუშები, რაც თითოეულ ჩვენთაგანს დამაჯერებლად განგვაკვიფრებს და დაგვარწმუნებს თუ როგორ ჰყვარებია სრულიად საქართველოს თავისი საამაყო და სახელოვანი, გმირთა-გმირი ერეკლე მეფე და ჩვენ კი, შთამომავლობას ეს ყოველივე გამოგვადგება ჭკუის დიდ სასწავლებლად და სახელმძღვანელოდ თუ როგორ უნდა ვცემდეთ პატივს ღვაწლმოსილ წინაპართა ამაგს და ხსოვნას.

გლოცა მეფის ირაკლი მეორისა.

თქმული სოლომონ მსაჯულისაგან მეფის ერეკლეს დასაფლავების დღეს, 22 თებერვალს, 1798 წ. მცხეთის საკათალიკოზო ტაძარში.

დღეს ქვეყანა აღსრული გულის წყრომისა ტახტსა ზედა იცხებს ყოვლად უფასოსა სისხლსა, სახსარსა ქართველთა გვარისასა. ცაძან მისტაცა ქვეყანას სიმდიდრე. ძლიერთა ძალი. ბრძენი გონიერება, ერთა გვირგვინი, მხედართ მთავარი და თვით-მყარობელთა სახელმწიფო ზრდილობა. დიდნო მეფეო! სტიროდეთ ახლად ქვეყნისა დიდებასა, სტიროდეთ ცუდად სოფლისა დიდებასა, ისმინეთ ესე სახსოვრად სასმინარი: მოკდა ღერკულესი, უძლეველი მეფე – ერეკლე და მზისა ქვეშ იხილეთ, რამეთუ ყოველი ამოა.

და თქვენ მტირალნო, ნათესავნო ქართლოსიანნო, სარკინზოთაგანო უძლეველნო მხედარნო, გიძლოდათ მეფე მოსებრ ისრალეთა, გესმოდათ ხმა პატრონისა თქვენისა, მახარებლად თქვენდაძი იყო ბიბლია: – „არა მთაღკდესო მთავარი იუდისაგან“. იუდას ლომი სახლსა სადავითოსა მტერთა თქვენთა მყვირალი დღემდე ლაშქერიდა სამთა იმპერიათა: ოსმალთა, სპარსთა და კავკასიათა ერთა. დღეს გაილაშქრა ციურ ურიცხვთა ზედა ერმან მარტომან უძლეველმან – რაინდმან. ძველი ღერკულესი, ძველის ახილესითურთ. თქვენით ციურთა ძალთა უკვდავთა სძლედა და განავლო სამყარონი ცათანი, თუმცა დააკლდით საზოგადოსა მამასა და სახსოვარსა მეფესა და პატრონსა, გარნა კმა იყო ესე დიდებად თქვენდა ვიდრემდის იგი იყო და საიქვოდ აქ აღიდა სახელი.

ადიდა გვარი თვისი, ადიდა სიმხნე თქვენ ქართველთა ცათამდე და აწ აღვიდა ანგელოსთა ღვთისათანა. გარნა აქაც და მუნ ცხოველ არს იგი, რათ სტირით, ძენო ობოლნო მამისაგანო?

და შენ შესაკრებელი სასო ქართველთა ნათესაო, ტაძარო ათ-თორმეტისა სკიპტრისაო! რად სტირი, სადავითოვ სახლო, ღიდის მეფის ალექსანდრესაგან ღიდებულო სახლო, თეიმურაზ პირველისაგან ამაღლებულო სახლო, წმინდის ქთევან დედოფლისა სისხლით ცხებულო სახლო, სადაც ხმა იყო, სიხარული და ცხოვრება, და იყავ საყოფელი მართალთა, რომელშიაც სანატრელი მეფე თეიმურაზ და დედოფალი თამარ მეფის ერეკლეს შობაზედ იხარებდენ, რომლისაც საწოლში მეფის ერეკლეს სადღესასწაულო შობა იღიდებოდა.

და სადა სახსრად ქართველთა ნათესავთა მეფე ერეკლე, ლომი იუდასი დავითის სახლში იზრდებოდა, რომელშიაც ჩვეულება იყო ტაძრობისა, სადაც ხმა ისმოდა ქნარისა, აქამდის შენს მეჯლისში მეფის ერეკლეს სახსოვარი ყმაწვილ კაცობა ქვეყანას აკვირებდა, რომელსაც სიჭაბუკე ქვეყნის ძლიერთა სჩაგრადა. აქამდის შენს მეჯლისში მეფის ერეკლეს ტახტზედ ჯდომა იხილვებოდა, იმისი ხელმწიფური დარბაისელთ ხუმრობა მიმოითქმოდა, მეფე ერეკლეს მრავალი საგალობელი სადღეგრძელო ისმოდა.

რათ სტირი, სადავითოვ სახლო, თუ ოსმანთ დაიპყრეს საყდარი მეფობისა შენისა, საკურთხეველი წმინდა, მეფე ღვთისა ირაკლი სიმრთელით ბრძანდებოდეს, რომელმანც ხერთვისის დამპყრობლისა და ასპინძის მტრის სისხლში გამოწრთობილის ხმლით ზვანთქარს, სპარსეთის ხელმწიფეს, ქარმიხანთან საჩივარი მიაწერინა: „მეფე ერეკლე სარათის ქვეყნებს მართმევს და შენ დაუშალო“. ქარმიხან იტყოდა: „მეფე ერეკლე ასეთი რამ ბრძანდება, რომ ზვანთქარი ჩემთან საჩივლელად დაამუხლაო. მაშინვე უძღვევლობის ნიშნად სახელმწიფო ხმალი მოართვა“.

რათ სტირი, სადავითოვ სახლო, თუ სპარსთ დაიპყრეს შენი უმაღლესი ტახტი, შენთა წინაპართ შობილი, მეფეთ შარავანდელი, მეფე ერეკლე ცოცხლებდინ საუკუნოდ, რომელმანც საქართველო ნადირ ავშარისაგან გამოიხსნა და ფათალიხან და ავშრის მეფე აზატხან ათასი ერთით წარაქცია; რომლისაც ღიდება მეორემ ალექსანდრემ, პრუსიის მეფემ, ფრედერიკოსმა თეთრზედ დასწერა: – „ვერობამი მე ვარო ღერკულესს უძღვევლი – და საქართველოში – გიორგიანთ მეფეო“.

რათ სტირი, სადავითოვ სახლო, ვიდრემდის ახალი მოსე ისრაელთა, მეფე ერეკლე საქართველოს მხედრობას წინ უძღვის და საქართველოს რათ ამბობ, ამ სახელოვანს სახლს, ღიდის როსიილამ გამოჰყავს ლაშქარი, ცინბირიდან მოჰყავს სამხედრო გუნდი. ვის შეუძლიან შენი ღამდობლება, როდესაც მეფის ერეკლეს ბედნიერი ღრომა გაიშლება, დაღისტანელნი ლაშქრად მორბიან, ოსნი და ჩერქეზნი მეფის ერეკლეს წინ სისხლის დათხევას ხალისობენ?

რათ სტირი, სადავითოვ სახლო, როდესაც მეფის ირაკლის ბედნიერი ტახტზე ჯდომა გელირსა, ყველას წინა საუკუნეზე უფრო იღიდე: უფრო ამაღლდი, უფრო გაბედნიერდი, ცანი ქუხილით გვირგვინდნენ ძალსა შენსა, სურა ქვეყნისა გეძრწოდა ფერხთა ქვეშე, ცა და ქვეყანა მეფის ერეკლეს



მხსოვარნი არიან მზე და მთოვარე იმის ბედნიერს ლაშქრობაში ხანდაზმულნი არიან. დღისით მზე იყო მეწინავე სარდალი და ღამით მთოვარე, მეფის ერეკლეს გამარჯვებულს დროშას წინა უძღოდა. მტერთა სისიხლით შეღებილი მთა და მინდორი მეფე ერეკლეს მოუთხრობდნენ: ვის შეუძლიან დავიწყება, ვის მოსვლია კეისართაგან ტახტი, გვირგვინი, პორფირი და ბაერაყი? მაგრამ, ხელმწიფე, რად გვიხაროდა შენი ხელმწიფედ ცხებულება, თუ კი სამკედროს ზეთს იცხებდი, რად გინდოდა სახელმწიფო გვირგვინი — პორფირი, თუკი დასამიწებელსა სუდარას გარს მოიხვევდი, რად გინდოდა განსაგებელი სკიპტრა, თუკი სკიპტრის მყრობელს ხელებს გულზედ დაიკრეფდი, რად გინდოდა ქვეყანის მაჩრდილობელი დროშა, თუკი მტერზედ გარდახურვილს შენის შიშის ფარდას ახდიდი, რად გინდოდა სახელმწიფო ტახტი, თუკი დასამიწებელს საფლავს იშენებდი.

იგლოვდი ქვეყანავ, რომელიცა უძვირფასესითა სპეკლითა აძლიდრებ სიტყვიერთა, გარნა სიმდიდრე გრძნობათა და საცნაურთა მეფე ერეკლე შენსა სიღრმეში დაჰყარე, განკრთი, განკვირდი; სტიროდე, ცაო, რომ შენის სითალხისა და ვარსკვავთაცა აბრაამისებრ განკვირვებით მხედველი მეფის ერეკლეს უმაღლესი თვალები საუკუნოდ დაბნელდა.

დაბნული მზე, რომელსა გაქვს მოსწავებული დაბნულებით ჭირის უფლობა, რომ მზე მიწიერი ღამიანის ქართლისა მეფე ერეკლე შენს ბრწყინვალებას კვლარ ხედავს. ზეციურნი ძაღნი, აქამდის თქვენი დღესასწაულობით მასანძელი, ახლა თქვენი სამღთო სტუმარი მეფე ერეკლე გესტუმრათ, თუმცა სამეფოს დიდებით კვლარ ნახავთ, საფლავს ტუსალი გვედრებათ, მაგრამ თქვენ, როგორც ქეთევან დედოფლის სისხლი ისე შეიწყნარეთ, ისე ისტუმრეთ, როგორც დიდს კონსტანტინეს ისე მოეგებებით.

მაღალო და ძლიერო ღმერთო, დავაკლდით ერნი ქრისტიანენი მემკვიდრესა პატრონსა და საზოგადოსა მამასა ძლიერსა და მხნესა მამაკაცსა. ჩვენ ვსტირით და მეფე ერეკლე, თავი განმგებელი ერისა, ხელი, მზრდელი ობოლთა, მკლავი, მომგერებელი მტერთა და გვაძი შრომისა მისი საფლავში ირღვევა. შენ გვედრებით, იესო, სისხლით ცხებულს მეფეს ერეკლეს, კაცთ მოყვარეს სულს ნუ შეაწუხებ, იმისგან დაობლებულს საქართველოს მოხედე.

სად დაჰხედ, მზეო, სამეფოთა სირათა და პანკრატით გვართაო, რომლისა დისკოსა ნათელს ირებენ გონიერნი, სად არის, ხელმწიფე, შენი ხელმწიფიური განგება. რად შემოიხსენ ხმალი, რომლისაცა სადღესასწაულო გამარჯვება რიცხვით ხსოვნას ასცილდა. რად შემოსწყერ სახელოვანს დროშას, რომლისაც ჰაერში მომცურავი კალთები ქვეყანას აჩრდილებდა და სამესისხლოდ განჭიმულს ზორტებით ცის კალთებს ეჩხუბებოდა, სადა ღერკულეს მეფის უძლეველობის სტამბა ზეცას იბეჭდებოდა.

რად ადიდე სახელი უმაღლესი, თუკი საუკუნოდ დასცილდი. რად მიეც სიამაყე დედოფლობისა შენს უმაღლეს ფერცხალსა, თუ ასე დასწავრავი.

რა განყინა დედოფლის დარეჯანის დიდებულმა სამშობლომ: რად მოსტაცე დიდება დადიანის ოჯახს, რად აღიდე შენს უმაღლეს ტახტზე, თუ აღიდე რაღა დაამიწე. რად უღალატე ხელმწიფეს ქმრითა და შვილებით ბედნიერს, რად ატირებ, რად დააქერივე, უწყალოვ; რად მოუკალ ხელმწიფე ქმარი, უწყალოვ, რად ამიწებ კეისართაგან გვირგვინოსანს შენს უმაღლესს თავს. რად გიწყვია უქმად ეგ ძლიერი ხელები, რომლითაც თვით შემაღლებულს კამარაში მფრინველთ სიცოცხლეს მისტაცებდა, რად ასწავლე საყვარელ ქალებს კრძალულება, თუკი თავმოხდილთ ატირებდი.

რად გაათამამე გული ლომებრ მემკვიდრეთა, თუკი სიმყარე უძლეველი მოეშლებოდი. რად გეასწავლე ზრდილობა მხედრობისა ვაჟ-კაცობითურთ, თუკი შენს წინ სისხლს არ დაგვაქცევინებდი.

მე უღირსი შენგან მოწყალებით გაზრდილი, შენის კარგის ბატონყმობის ტრფიალი, აქამდის რად მაცოცხლე, თუ ასე ოხრად დამაგდებდი.

ხელმწიფევე, სად დაგიკარგავს ხელმწიფეთაგან საშურველი ზრდილობა. ამ დუმილით პატივსაცემელს სასახლეში რა ამბავია: უჩვეულის ხმის შემაღლება, რას ნიშნავს ამისთანა უბედური საღამო, გადმოხედე ხელმწიფურად შენს მეჯლისში მიწნახეთ დარბაისელთა სარდლებსა, ხელმწიფევე, ვიცი, რომ საქართველოს ხალხი მეფის ერეკლეს ტახტზე აღსვლით გულამაყნი არიან.

ქვეყანას უკვირდა, სოლომონის გული მწუხარებამ ვერ შესცვალაო, და არ დაიჩაგრათ. ჩემი სიამაყე პირველად სიმართლე იყო და მეორედ მეფის ერეკლეს სიძრთელე. მეფეს ერეკლეს ცოცხალს უყურებდი, მტერი და განსაცდელი სათამაშოდ მომჩნდა. ახლა იმისის მტრის გული დაიჩაგროს, როგორც მეფის ერეკლეს სიკვდილით სოლომონის გული დაიჩაგრა. იმისი ტკბილი ბატონყმობა ვიტყრო, თუ თავის უნებურად ჩემის შეწუხების შენანება, რომელიც თავისის უმაღლესის ხელით მომწერა და სოფელმა აღარ დააცალა.

ხელმწიფევე, დედოფალო და მეფის ძენო, გაფიცებთ მეფის ერეკლეს დღეგრძელობასა, სიძრთელესა, გამარჯვებასა, ორში ერთი მოწყალება მიიღვიეთ: ან მოაკლევინეთ და მეფის ერეკლეს უმაღლესი ცხედრის ფიცრად დაძღვიეთ, რომ იმისი სანატრელი კუბო ჩემს გულზედ იდგეს, მეფის ერეკლეს ძლიერი ტანი ჩემს გულზე ირღვეოდეს. ჩემთვის ის დღე იქნება, რომ დღე და ღამე ათი და თხუთმეტი საათი სახსოვარს მეფეს ნიადგ მარტოკა ვახლდი ხოლმე. იქ ბატონყმობა საღდა იყო. იქ ბატონყმობის სიკეთე როგორღა დარჩებოდა, უღრმესად იფიქრეთ, უმაღლესნო, და ისე შემობრალეთ.

ან ამ ქვეყნიდამ დამკარგეთ, რომ საღდაც მეფის ერეკლეს სამხედროს რაინდობაზე თვალი დამჩნობია, საღდაც იმისის გამარჯვებულის დროშისათვის მიმსახურნობია, თუ საღდმე იმის სისხლი დამიქცევია, საღდაც მეფის ერეკლეს ბედნიერი საღამო შემყვარებია და იმის სახსოვარს მეჯლისში ჩემთვის უღირსის ხელმწიფურის აღერსით ჩემგან ხუძრობა ჰყვარებია, და თუ საღდმე სახელმწიფოს მასლაათით მიმსახურნია, — ის ადგილები აღარა ენახო,

ამ ცეცხლებით აღარ დაეიწვიე; ხელმწიფევე, მფლობელო, საზოგადოე მამავე, მეფევე ერეკლე, ვის მივეცე შენის უმაღლესის თავის და უძლეველის ტანისა უზომო ტრფიალება, ვის ღროშას ვემსახურო, ვინ შევიყვარო? ვისთვის მოვკვდე, ვისთვის ვიცოცხლო, შენს უკან სიცოცხლე საზრახავად დამწარებულმან.

### გ ლ ო ვ ა

თუმთა, თმავთა და ხევსუხთაგან გლოვა სანატხეისა და ღვთისადმი განსვენებელისა საქახთველის მეთის იხაეი მოიხისა

აღსდეგ გმირთ-გმირო, ნუ გძინავს, მტერთა ისძიან ხმანია, გრძლად ძილის ჩვეულ როდი ხარ მიგვიხმე უნჯნი ყმანია, არ გნახოს მტერმან ძაბუნად, ესდენოთ, ვაკვეცნოთ თმანია, ვართ ბრძოლად მათდა მოსრულნი, ზოგთაგან ოთხი ძმანია.

გაშალე ღროშა მძლეველი, წვერ მახვი მტერთა ზარია, მოყმეთა ნახონ ფრიალნი, მუნ მოსქდეს მთა და ბარია; ქუხდეს მაჟარი, შაშხანა, ვით ზეცის მეხის გვარია, განუფანტოთ მტერნი ჩვეულად, ვასვათ სასმელი მწარია.

განიფრთხე ძილი, ზე აღსდეგ, შთაიცვ წერილ-თვალი რკინისა, აღილე ხელთა მაჟარი, მტერთა განმბნევი ტვინისა, წინ მივალთ შენი მეჭვრენი, ვითა მექონნი ღზინისა: შევკვამთ სისხლსაცა მტერთასა უტკბესს კახეთის ღვინისა.

მტერს წინ წარვიქცევთ ღიაცებრ, უკან იხედნეს ველარა; ყოვლთვის ყოფილა ეს ესრეთ, ვინ შენზედ დაიკვეხა-რა, წარუღებთ სრულად საუნჯეთ, მთად ვკგზავნით, ღიაცთ ეხარა, არ განიღვიძებ, ბატონო, მოყმეთა რამც გაეხარა.

აღვილოთ ძმანო ფარ-ხმალნი, ვასმინოთ ჩანჩქართ ჩხერანი, დავსხდეთ, დავიწყოთ ღრუობა, უყვარდის ჩვენნი მღერანი; ცხენი მზად უდგას გმირთ გმირსა, კაზმული ტურფად მერანი, არ განიღვიძებ, მოსრულ-არს ბედისა ჩვენის წერანი.

მეფე ერეკლე კსოცხლებდინ, აწცა და უკუნისამდე! მტერთა თავ-მტეხი მეხისა, მოყმეთა მცველი აქამდე; აწ სძინავს ბრძოლით მამურალსა და განიღვიძებს დილამდე, თუ სადმე წარვალს – წარგვიყვანს, არაა გაგვიშვებს შინამდე.

გათენდა დილა, ბატონო, დრო არის მტერთა დასხმისა,  
აღკაზმვა ცხენთა და ჯორთა და მათი აღვირ ასხმისა;  
კვეთა თავ მკლავთა მტერთასა და სისხლის ველად დასხმისა,  
უბრძანე ბუკთა ტკრციალი, ბანაკით ჯართა განსხმისა.

მზეცა აღმოხდა ქვეყნადა, მაგრამ ჩვენთვის კი ბნელია;  
თუ შენ არ გნახავთ კაზმულსა, ჩვენი შინ წასვლა ძნელია,  
არ ჩვენ ვესტრემლებით მარტონი, ჰსტირს შენთვის მთა და ველია!  
დავლენეთ, ძმანო, ფარ-ხმალნი, რადლა გვეყრების ხელია.

ვიგლიჯნეთ თმა და ულვაშნი, თავშიგან ვიცეთ ლოდებით:  
მიპრულებია ნეტარსა, წარსულ-არს ღვთისა წოდებით;  
შეებლავლოთ ცრემლთა ფრქვევითა, თუმცა ისმინოს გოდებით;  
აწ წარხდა ჩვენი ცხოვრება, გულითაც დავიკოდებით.

რადადმე გკვიდვენ ფარ-ხმალნი, უმისოდ ცუდი ბარგია;  
დაძინდნენ თოფნი და შუბნი, მიწად შესჭამნეს კარგია;  
იგი არა გყავს საჭურეტლად, სხვა ვილა ვსძებნეთ ვარგია;  
ჯი! წარხდი, ჩვენო ნუგეშო, დიდებაჲ, დაგვეკარგია.

წარვიდეთ პირთა ხოკითა, სახლთა მიუთხრათ გლოვანი;  
ვაგლოვნოთ მთანი და კლდენი, დავობლდით თუშნი, წოვანი,  
ჩვენთანა ფშავნი, ხევსურნი, ყრმანი, ჭაბუკნი, მცხოვანი;  
ნუ შეგვშრინ ცრემლნი თვალთაგან, და გულთა მისი ხსოვანი.

დაშთნენ მას ძენი, ძის ძენი, მათსა ვიტყოდეთ ქებასა,  
გმირნი მამაცად აღზრდილნი, ჰყოფენ კეთილსა ძმობასა;  
მტერთა მისცემენ პასუხსა, მოყმეთა თანა-ძმობასა,  
აწლა გამოვსცნათ, მოძმენო, – ვინმცა იქმს ერეკლობასა?

მეფე ერეკლეს გლოვა  
(სახალხო ლექსი, შეკრებილი პ. უშიკაშვილისაგან)  
ვერ გაგიგიათ, ქართველნო, შაგეხსნათ რკინის კარია,  
მეფე აღარ გყავსთ ერეკლე, ბაგრატიონთა გვარია,  
აღარ გაქვსთ ბაირახები, აღარ სჭეხს ზარბაზანია,  
დაშავებულან კარავნი, შამეეხვიენეს ყმანია,  
ღმერთს შესტირიან ქართველნი, რათ შეგვიკერენ ბრალთა...!

<sup>1</sup> შავი – სამგლოვიარო ტანთ საცმელი.

შავი დავიკვით ტანზედა, გავსწირეთ საწირავია.  
დედოფალი ატირდება, იმერთ მეფისა ქალია:  
„მეფის ერეკლეს სიკვდილი ვინა სთქვა, – რა სათქმელია?..  
მეფე ერეკლე ზეცას არს, ღმერთთან არს წილ ნაყარია.  
მცხეთაში ოქროს კუბო სდგას, შიგ ნათობს კელაპატარია,  
შიგა წევს მეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გვარია.  
შვილებს დაუგდი ბეგთარი, სისხლში ნაწლოში ხმალია:  
მანამდის ვიყავ, ცხენს ვიჯექე, მივსძრენ და მოვსძრენ მთანია,  
ეხლა კი თქვენ გაგიწირით, ფხა – სისხლიანი ხმალია,  
შეინახიდით, შვილებო, ქალაქის მეიდანია,  
ერთმანეთს ნუ უღალატებთ, მტერმა არ გთხაროსთ თვალია.“<sup>2</sup>

„შენ კი გეჩიოს მზისა და მთვარის ყაბალახი,  
მეფევე, ბატონო!“

„მეფევე, ვაი ჩემს თავს, მეფევე!  
ისევ ჩემს ძმას გაეარდეს  
ბრძოლაში  
ხელიდან ხმალ-ხანჯალი,  
მკათათვეს, სამკალში  
ცელ-ნამგალი...  
მეფევე, ვაი ჩემს თავს, მეფევე!  
შენ შეგრჩეს ხელში გუთანი და  
საკვეთელი!  
მეფევე, ვაი ჩემს თავს, მეფევე!  
ისევ ჩემი ძმა ნუ მოეფერება  
გაზაფხულზე იას და ფურუსულას.  
შენ მოეაღერსე ვაზსა და  
მატიტელას...  
მეფევე, ვაი ჩემს თავს, მეფევე!  
ისევ ჩემმა ძმამ იაროს  
შავეთის მიწა-წყალზე  
ფეხშიშველამ...“

<sup>2</sup> სოლომონ ლიონიძეს სიტყვა თქმული ერეკლე მეორის დაკრძალვაზე და თუშთ-ფშავე-ხევსურთა სამგლოვიარო ლექსები გამოყენებულია კრებულიდან -- სოლომონ ლიონიძე ტექსტი დაადგინა ნიკოლოზ კანდელაკმა. გამომცემლობა „მერანი“, 1990

იტკინოს ფეხის გული,  
 შენ ნუ გააღარიბებ საქართველოს  
 ცალ ფეხზე სიარულით.  
 მეფევე, ვაიჩემს თავს მეფევე!  
 ისევ ჩემი ძმის ცხენი იყოს  
 ძაძით დარახტული,  
 უკულმა შეკაზმული,  
 შენ ცხენს სულ ეკიდოს  
 შეილდ-ისარი დაგზნებული.  
 მეფევე, ვაი ჩემს თავს, მეფევე!  
 ისევ ჩემ ძმას ეცვას  
 მიწით ჩოხა-ახალუხი,  
 შენ კი გეხვიოს  
 მზისა და მთვარის ყაბალახი.  
 ახა ვაგლახმე, მეფევე ბატონო!  
 შეილნო და შეილიშვილნო.  
 ცხრა შეილის დედა ვარ და  
 ფიქრი დამდევეს ცხრა გზიანი.  
 არ გააღარიბოთ მიწა-წყალი,  
 მომკელ-მომხენელით,  
 მჭამელ-მცოხნელით!“

ერეკლე მეფის დამტირებელი ქიზიყელი ქვრივი დედაკაცის ვინაობა დიდხანს უცნობი იყო. ერეკლეს გარდაცვალებიდან 100-წლისთავზე თელავში ჩატარებულ პანაშვილზე პირველად გაცხადდა, რომ ქიზიყიდან მოსულ ზარით (მოთქმით) მოტირალ დედაკაცს ახუა რქმევია. თანდათან ისიც ითქვა, ხალხურ გადმოცემაზე დაყრდნობით, რომ ეს ქვრივი ქალბატონი სოფელ ვაქირის მკვიდრი ყოფილა. პროფ. გ. ჯავახიშვილმა ქ. თელავის მკვიდრ ღარია აბელიშვილის საოჯახო არქივში მიაკვლია ხსენებული ქალბატონისაგან XX ს-ის დასაწყისში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პიროვნებებისაგან ჩაწერილ ვარიანტებს ხსენებული დატირებისა, რომელიც ბატონმა გიორგიმ საინტერესო გამოკვლევის თანდართვით გამოაქვეყნა გაზ. „თელავის მოამბეში“ (21 ნოემბერი, 1995 წ.).

## 1.6. კახეთის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრის საკითხისათვის

ოდესღაც დიდი საქართველოდან დღევანდელი საქართველოს ტერიტორია დაახლოებით 70 000 კვ. კილომეტრსლა მოიცავს. აღნიშნული მიწა-წყლის 57% მთებს, ზეგნებს, გორებს და ხევებს უკავია. დაბლობ ადგილებს ქვეყნის მთელი ფართობის მხოლოდ 13% უჭირავს.<sup>1</sup> საქართველოს მთა-გორიანობამ განაპირობა ამ ქვეყნის განსახლების მრავალფეროვნებაც, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველი ხალხი უხსოვარი დროიდან ცხოვრობს საქართველოს უღამაზეს და მრავალფეროვან მთიანეთში, საქართველოს ბარის ველ-მინდვრებზე და ეს ყოველივე კი გახდა საფუძველი იმისა, რომ ამ პლანეტის ერთ-ერთი უღამაზესი ქვეყანა-საქართველო, შედგება მრავალი ერთიმეორეზე უკეთესი და უღამაზესი „საქართველოებისაგან“. მათგან ქართველი ერის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია კახეთს, მისი უმშვენიერესი მთიანეთით, თუშ-ფშავ-ხევსურეთით, მდინარეების: იორისა და ალაზნის ველ-მინდვრებით, რასაც სამართლიანად „საქართველოს ბელელს“, „კავკასიის ბაღს, საქართველოს ვენახს“ უწოდებდნენ (აკად. ადოლფ ბერჟე, არტურ ლაისტი და სხვ).

კახეთი, როგორც საქართველოს ერთ-ერთი მხარე, თავის ისტორიას ძვ.წ. ათასწლეულებში იწყებს და მან საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად რთული ისტორიული პროცესები განვლო და მრავალჯერ განიცადა ტერიტორიული საზღვრების შემცირება-გაფართოება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ძნელდება და მხოლოდ ვარაუდის დონეზე აღნიშნავენ მკვლევარები, თუ მამასახლისობის დროინდელ კახეთში, კახეთის საერისთავოსა და კახეთის ადრეფეოდალური სამთავროს დროს ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრის ფუნქციას რომელი დასახლებული პუნქტი ასრულებდა. იმ დროს, როცა კახეთი შედგებოდა ცალკეული მიკრო რაიონებისაგან — „ქვეყნებისაგან“ და ეს ქვეყნებია: კუხეთი, კახეთი, წუქეთი, სუჯეთი, კამბეჩანი, პროფ. თ. ჰაპუაშვილი აღნიშნავს, რომ კახეთის პოლიტიკური ცენტრი ბერჩელეთი, ანუ მერმინდელი ჟალეთი უნდა ყოფილიყო, ხოლო IV საუკუნის დამდეგიდან კახეთ-კუხეთის რეზიდენციად ქ. უჯარმა მიაჩნია.<sup>2</sup> მომდევნო საუკუნეებში, კერძოდ, „VIII საუკუნის მეორე ნახევრისა და IX საუკუნის დასაწყისისათვის კახეთის სამთავრო, გარდა ზემოხსენებული ტერიტორიისა, მოიცავს შიდა ქართლის გარკვეულ ნაწილს ქსნის ხეობამდე. სამხრეთ-აღმოსავლეთით მის ფარგლებში შემოდიოდა მტკვრის გაღმა მხარე — ე.წ. ქართული გარდაბანი. ჩრდილოეთით კახეთის სამთავრო მოიცავდა ზევს ანუ საკუთრივ წანარეთს, თუშეთს, ფხოეთს (ფშავ-ხევსურეთს) და აგრეთვე

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.1, 1970, გვ. 17.

დურძუკეთსა და ღლიღვეთს. ეს არის კავკასიის მთიანეთის გარკვეული ნაწილი, რომელსაც ქართული წყაროებით ეწოდება „მთეულეთი კახეთისა“.<sup>3</sup> VIII-IX საუკუნეების კახეთის სამთავროს ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრის შესახებ, რადგან ღღემდის არ არსებობს რაიმე წერილობითი ცნობა, მეცნიერ-მკვლევარები კვლავ ვარაუდზე დაყრდნობით ურთიერთგამომრიცხავ დასკვნებს გვთავაზობენ. აკად. დ. მუსხელიშვილს მიაჩნია, რომ კახეთის სამთავროს რეზიდენცია პირველად ციხე-ქალაქი უჯარმა უნდა ყოფილიყო, ხოლო უჯარმის დაცემის შემდგომ კახეთის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრი გადადის ციხე-ქალაქ ბოჭორმაში, შემდგომ თიანეთში.<sup>4</sup> აკად. გ. ჩუბინაშვილი კახეთის სამთავროს ცენტრად თელავში რეზიდენციის გადატანამდე, ციხე-ქალაქ ბოჭორმას თვლის.<sup>5</sup> აკად. მ. ლორთქიფანიძის ვარაუდით, კახეთის სამთავროს ცენტრი ჯერ ციხე-ქალაქი უჯარმა უნდა ყოფილიყო, ხოლო შემდგომში თიანეთი.<sup>6</sup> ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში კი ყოველგვარი ვარაუდი გამორიცხულია, რაც, რა თქმა უნდა, არ არის სწორი, რადგან ასეთი განცხადების გაკეთებისათვის, არავითარი საბუთიანობა არ გაგვაჩნია და ვკითხულობთ: „VIII-IX საუკუნეებში კახეთის სამთავროს ცენტრი უჯარმა იყო, X ს-ში ბოჭორმა, შემდეგ თიანეთი“.<sup>7</sup>

თუ გავითვალისწინებთ იმ ჭეშმარიტებას, რომ არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ კახელების აჯანყება წანარების მეთაურობით დარიალის ხეობიდან იწყება, რადგან თერგი-დარიალის ტერიტორია იყო წანართა განსახლების თავდაპირველი მიწა-წყალი და შემდგომშილა ვრცელდება სახალხო აჯანყება არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ არაგვის, ივრის და ალაზნის მდინარეთა ხეობებსა, ველ-მინდვრებსა და მთა-მთიანეთში, უნდა ვივარაუდოთ, რომ კახეთის სამთავროს ჩამოყალიბებაც დარიალის ხეობიდან იწყება, იქიდან იღებს სათავეს და სამთავროს ცენტრიც ღღევანდელი ყაზბეგის რაიონის ტერიტორიაზე აღმოცენდებოდა და შემდგომ, თანდათანობით ამ სამთავროს ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრის ფუნქციას შეასრულებდა უჯარმისა და ბოჭორმის ციხე-ქალაქები, სანამ თიანეთში საგანგებოდ აშენებული ე.წ. „ბოდოჯის სასახლე“ არ იტვირთავდა კახეთის სამთავროს პოლიტიკური ცენტრის მოვალეობას.

„მატიანე ქართლისაი“ არის პირველი წყარო, რომელიც კახეთის მთავართა საბრძანებელ-რეზიდენციათაგან ასახელებს „ბოდოჯის სასახლეს“,

<sup>2</sup> თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, 1982, გვ. 120-121.

<sup>3</sup> თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, 1982, გვ. 5-6; ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 205.

<sup>4</sup> დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, 1966, გვ. 102, 113-114

<sup>5</sup> გ. ჩუბინაშვილი, „კახეთის არქიტექტურა (რუსულ ენაზე)“, 1959, გვ. 22.

<sup>6</sup> მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტ. გაერთ. ისტორიიდან... მასალები, სკი, ნაკვ. 31. 1954, გვ. 102.

<sup>7</sup> ქართ. საბჭ. ენციკლოპედია, ტ. V, 1980, გვ. 451.



რომელიც კვირიკე მეფეს აუშენებია: „დარბაზი ბოლოჯისა, სახლი სახელოვანი, დიდისა კვირიკე მეფისა აგებული“, – ვკითხულობთ წყაროში.<sup>8</sup>

ბოლოჯის სასახლე (თიანეთში) მდ. იორის ზედა წელზე, მის მარჯვენა ზეგანზე, აგებული უნდა იყოს X საუკუნის 80-90-იან წლებში, როდესაც ბაგრატ III ენერგიულად იბრძვის ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის. 1010 წელს მეფე ბაგრატმა კახეთის მთავარი კვირიკე შეიპყრო და ბოლო მოუღო ამ სახელმწიფოს დამოუკიდებლობას. „აღილო ციხე და დაიპყრა კახეთი და ჰერეთი, – შენიშნავს ვახუშტი, – კვირიკე დაიჭირა კარსა ზედა თვისსა და შეაწყვდია კვირიკე ბოჭორმას“.<sup>9</sup>

1014 წელს გარდაიცვალა სახელოვანი მეფე ბაგრატ III. კახეთ-ჰერეთის ყოფილი სამეფოს უკმაყოფილო ძალებმა ისარგებლეს ქვეყანაში შექმნილი ვითარებით და 1014 წელს კახეთ-ჰერეთი კვლავ დამოუკიდებელ სამეფოდ გამოაცხადეს. კვირიკე დიდმა კახეთ-ჰერეთის სამეფოს დედაქალაქად ქ. თელავი გამოაცხადა და მის დასავლეთ ნაწილში ეწ. „ძველ გალავანში“ განათავსა სამეფო რეზიდენცია, საიდანაც იმართებოდა კახეთ-ჰერეთის სახელმწიფო მთელი XI საუკუნესა და XII ს-ის დასაწყის წლებში, 1104 წლამდე კვირიკე III დიდად წოდებულმა სახელმწიფო დაყო შვიდ საერისთავოდ: რუსთავის, კვეტერის, პანკისის, შტორის, ვეჯინის, ხორნაბუჯის და მაჭის. კახეთ-ჰერეთის სახელმწიფოს მესვეურნი „კახთა და რანთა მეფის“ ტიტულს ატარებდნენ.

კახეთ-ჰერეთის მეფეები კარჩაკეტილ ცხოვრება-მოღვაწეობას არ ეწეოდნენ, ისინი მხოლოდ კახეთის სამეფოს საშინაო და საგარეო საკითხებით არ იყვნენ შემოფარგლულნი და საჭიროებისამებრ, როცა ერთიანი საქართველოს ყოფნა-არყოფნის საშიშროება დგებოდა კვირიკე მესამე და მისი მომდევნო მემკვიდრენი გაერთიანებული საქართველოს მეფეთა მოკავშირედ გამოდიოდნენ. თუმცა თუ მათ დამოუკიდებლობას რაიმე საშიშროება ექმნებოდა გაერთიანებული საქართველოს მეფეთა მიერ, მაშინ ჰერეთ-კახეთის მეფენი ყველაფერს კადრულობდნენ და საშიშ სიტუაციებსაც კი ქმნიდნენ ზოგადქართული ინტერესების თვალსაზრისით. იმიტომ იყო, რომ დავით აღმაშენებელმა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, სანამ იგი თურქ-სელჯუკთა წინააღმდეგ ფართო მასშტაბიან ბრძოლებს დაიწყებდა, მიზანშეწონილად ჩათვალა, ერთიანი საქართველოს გარეთ მყოფი მეორე ქართული სახელმწიფო კახეთ-ჰერეთის სამეფო გაეუქმებინა, მისთვის დამოუკიდებლობა წაერთმია და „კახთა და რანთა სამეფო“ თავის ძალაუფლებისათვის დაექვემდებარებინა. ეს დიდი საშვილიშვილო მისია დავით IV აღმაშენებელმა ბრწყინვალედ განახორციელა და 1104 წელს არსებობა

<sup>8</sup> ქართლის ცხოვრება, ტ.1, 1985, გვ. 298.

<sup>9</sup> ვახუშტი, საქართველოს ისტორია... განმარტებული და შეესებული დიმიტრი ბაქრაძის მიერ. 1885, გვ. 143.

შეწყვიტა კახეთის სახელმწიფომ. სამეფო დედაქალაქის ფუნქცია დაკარგა ქ. თელავმაც და ისიც გაერთიანებული საქართველოს სხვა ქალაქთა რიგში ჩადგა, როგორც ერთ-ერთი საკმაოდ გახმაურებული და საინტერესო ისტორიის მქონე ქალაქი.

ჩვენ სრული წარმოდგენა არა გვაქვს და ძალიან ცოტა რამ ვიცით ქალაქ თელავზე, რომელიც საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე კახეთ-ჰერეთის საკმაოდ გახმაურებული სამეფოს უცვლელი დედაქალაქი იყო. არც ის ვიცით თუ მისი მოსახლეობა რა რაოდენობას შეადგენდა და როგორი იყო ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ VIII საუკუნის ბოლოდან კახთა სამთავრომ ბრწყინვალედ შეძლო არაბთა უღლის დამხობა, თავისუფლების მოპოვება და იქიდან მოყოლებული მთელი სამი საუკუნის მანძილზე კახეთის სამთავრო, ხოლო შემდგომ კახეთ-ჰერეთის სამეფო დამოუკიდებელი, თავისუფალი და მტერთაგან მოურეველ-დაუძლეველი იყო. დავას და გაუგებრობას აღარ უნდა იწყევდეს ის რეალური ჭეშმარიტება, რომ ქ. თელავი იქნებოდა არა მარტო კავკასიის, არამედ ევროპულ-აზიური მასშტაბის ქალაქი. ამ გაბედული განცხადების უფლებას ისიც გვაძლევს, რომ ქალაქ თელავი იყო ეკონომიკურად უმდიდრესი კახეთ-ჰერეთის – „კავკასიის ბალის, საქართველოს ვენახის“ (აკად. ადოლფ ბერჟე), „საქართველოს ბალის“, მდინარეების: არაგვის, ალაზნისა და ივრის ნოყიერ ველმინდვრებსა და მის ულამაზეს მთა-მთიანეთში განსახლებულ და მკვიდრად დაფუძნებულ კახთა, კუხთა, წანართა, ძურძუკთა, დიდო-ხუნძახთა, ჰერთა, თუშთა, ფშავთა და ხევსურთა ერთ მძლავრ მუშტად შეკრული და მრავალ მტერთა სახელოვნად მძლეველი – „კახთა და რანთა სამეფოს“ დედაქალაქი. ქ. თელავი მოცემულ საუკუნეებში, ალბათ ვიდრე არასდროს, კვლავ იქნებოდა დიდი და გულუხვი მასპინძელ-დამპურებელი და საპატიოდ მიძღებ-გამცილებელი ევროპულ-აზიური მასშტაბის ვაჭართა უწყვეტ-ულევ გუნდთა და დასთა, რამეთუ, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, თელავი ხომ იმ მსოფლიო სავაჭრო გზაზე აღმოცენდა, რომელიც ინდოეთ-ჩინეთიდან, ცენტრალური აზიიდან, კასპიის ზღვის ქვეყნების გამოვლით და ქ. თელავზე გავლით დასავლეთ ევროპისაკენ უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა, და პირუკუ, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ისევ და ისევ ქ. თელავზე გავლით და მისი გულუხვი მასპინძლობით შეუჩერებლად ხორციელდებოდა; ეს ყოველივე ქ. თელავისათვის, ხსენებული დატვირთვა-მოვალეობა, სახელოვანი და ფრიად საპატიო ფუნქცია იყო, რაც მის საერთაშორისო ავტორიტეტს ხელშემწყობ პირობებს უქმნიდა და იმავ დროს უკარნახებდა კიდევ, რათა მისი საქალაქო ყოფაცხოვრება და აღმშენებლობაც ევროპულ-აზიური მოწინავე კულტურის სტანდარტების თანმხვედრი ყოფილიყო.

კახეთ-ჰერეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი გაერთიანებული საქართველოს შემადგენლობაში შემოყვანის შემდგომ ქ. თელავი დროებით აღარსად ხსენდება და მხოლოდ ერთხელ გახმაურდა, როცა სამონღოლო ხარკის

გადახდის სანაცვლოდ უზომოდ გაღარიბებულმა მეფე დემეტრე II-ემ 1278 წელს ქ. თელავი გაქნილ და მედროვე საღუნ მაკნაბერდელს გადასცა. ამავე გზით ჩაიგდო ხელში საღუნმა ბელაქანი, დმანისი, კარი (ყარსი) და ბევრიც სხვა ეკონომიკურ-პოლიტიკურად ღიდად ღირებული ადგილი თუ ციხე-ქალაქი და ქალაქი.

კახეთში სახელმწიფოებრივობა კვლავ აღდგა 1466 წლიდან, მაგრამ დედაქალაქად შერჩეულ იქნა ქალაქი გრემი და ქალაქ თელავს ეს ფუნქცია მხოლოდ 1672 წელს დაუბრუნდა.

1664-1675 წლებში კახეთში მეფობდა არჩილ II, ქართლის მეფის ვახტანგ მეხუთის შვილი. არჩილმა 1664-1672 წლებში კახეთი მართა ქალაქ გრემიდან, პარალელურად ხელმძღვანელობდა და დაჩქარებული ტემპით ქ. თელავში აშენებდა სამეფო სასახლეს, რომელიც 1672 წელს დაამთავრა, სრულყო, მოაწყო ყოველმხრივ და 1672 წელს არჩილ მეფეს სამეფო რეზიდენცია ქ. თელავში გადაჰაქვს. 1672-1675 წლებში ქ. თელავიდან აწარმოებდა არჩილ მეფე კახეთის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო საქმიანობას და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ქ. თელავისათვის ძველი ბრწყინვალება, ადრინდელი სახელი და ავტორიტეტი დაებრუნებინა. მაგრამ ამ მიმართულებით მან ბევრი რამ ვერ განახორციელა, რადგან ერეკლე პირველი, თეიმურაზ პირველის შვილიშვილი და კახეთის ბაგრატიონთა ერთადერთი წარმომადგენელი, რუსეთის სამეფოს მხარდაჭერით, ენერგულად ებრძოდა არჩილ მეფეს, როგორც ქართლის ბაგრატიონთა წარმომადგენელს და კახეთის სამეფო ტახტის „მიმტაცებელს“. მართალია, არჩილისა და მისი მამის ვახტანგ V-ის მეფობა ქართ-კახეთში პროგრესული იყო და ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს შექმნას ითვალისწინებდა, რასაც ვერ აცნობიერებდნენ ერეკლე ბატონიშვილი და კახეთში მისი გამეფების მხარდამჭერი, რისთვისაც არჩილ მეფე, რომელსაც ღრმად სწამდა, რომ რუსეთიდან ჩამოსული და ირანში გამგზავრებული მისი ცოლისძმა ერეკლე I მალე შაჰის მიერ კახეთის მეფედ დამტკიცდებოდა, მოვლენების განვითარებას აღარ დაელოდა, კახეთის სამეფო მიატოვა და ქვეყანა უპატრონოდ დატოვა. არჩილ მეფის ვარაუდი არ გამართლდა, შაჰმა ერეკლე I ღიდა ხნით თავისთან დაიტოვა, კახეთი სპარსეთის სახანოდ გამოაცხადა, კახეთის ხანმა კი საბრძანებლად ყარაღაჯი არჩია და 1703 წლამდე ქ. თელავი კვლავ კარგავს კახეთის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრის უფლებამოსვალეობას.

ქართლის მეფე ერეკლე I (ნაზარალ-ხანი) ირანის შაჰის ბრძანებით 1703 წელს გადაყენებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან, იგი შაჰმა კახეთის მეფედ დანიშნა, მაგრამ ირანშივე დატოვა, მას კახეთში ერთი დღეც არ უმეფია და მის ნაცვლად, კახეთის გამგებლად (ჯანიშინად) შაჰმა ნაზარალიხანის უფროსი ვაჟი დავით II (იმამ ყული ხანი) დანიშნა. ერეკლე I 1709 წელს გარდაიცვალა, დავით II ირანში დაიბარეს და კახეთის მეფედ დამტკიცეს. მაგრამ შაჰმა იგი თავისთან დაიტოვა 1709-1715 წლებში და

სამშობლოში მის დაბრუნებამდე კახეთის გამგებლად დანიშნა დავით მეფის ძმა თეიმურაზ ბატონიშვილი (თეიმურაზ II). დავით II-ემ (იმაჲ ყული-ხანმა) 1722 წლამდე იმეფა. დავით მეფემ ჯერ ქართლის მმართველ იუსესთან, ხოლო შემდეგ ქართლის მეფე ვახტანგ VI-თან ერთად თავდადებული ბრძოლები აწარმოვა, ე.წ. „ლეკიანობის“ წინააღმდეგ, რაც იმ დროისათვის ქართლ-კახეთისათვის კარზე მომდგარი დიდი უბედურება იყო, მაგრამ მეფე დავითი ისე გარდაიცვალა, რომ ხსენებული პრობლემა გადაუჭრელი დარჩა. დავით მეფე კახეთის სამეფოს უმთავრესად ქ. თელავიდან მართავდა და 1703 წლიდან ქ. თელავი კახეთის სახელმწიფოს სატახტო ქალაქი ხდება.

დავით II (იმაჲ ყული-ხანის) გარდაცვალების შემდგომ კახეთის მეფის ტახტს იკავებს ერეკლე I-ის მომდევნო ვაჟი კონსტანტინე II (მაჲმად ყული-ხანი) 1722-1732 წ.წ. მეფე კონსტანტინე II ქ. თელავში ცხოვრობს და იქიდან ებრძვის ოსმალთა ურდოებს, ე.წ. „ოსმალობას“ და ბოლოს მანც მათი მსხვერპლი გახდა – 1732 წელს იუსუფ ფაშამ მოლაპარაკების დროს ღალატით მოკლა მეფე კონსტანტინე II.

კონსტანტინე მეფის გარდაცვალების შემდგომ, ირანის შაჰის ბრძანებით ერეკლე I-ის რიგით მესამე ვაჟიშვილი თეიმურაზ II დანიშნა კახეთის მეფედ (1733-1744 წ.წ.). თეიმურაზ მეორეს მეტად რთულ ვითარებაში მოუწია მეფობა. თეიმურაზ II-ის რეზიდენცია თელავში იყო და იქიდან ხელმძღვანელობდა კახეთის სახელმწიფოს. მიუხედავად იმ მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური პირობებისა, რაც მაშინდელ კახეთში მძვინვარებდა, თეიმურაზ მეფე დაუღალავად და შეუჩერებლად იბრძვის „ლეკიანობისა“ და „ოსმალობის“ წინააღმდეგ. თეიმურაზ მეფე სარგებლობდა ირანის მხარდაჭერით, თანადგომითა და ნდობით, რაც ირანის მხრიდან ბოლოს იმით აღინიშნა, რომ 1744 წელს ნადირ-შაჰის ბრძანებით, სარწმუნოების გამოცვლის გარეშე და ქრისტიანული წეს-ჩვეულებით, მეფედ კურთხევის მრავალსაუკუნოვანი ქართული რიტუალის შესრულებით, ქართლში გამეფდა თეიმურაზ მეორე, ხოლო კახეთში თეიმურაზ II-ის ვაჟიშვილი ერეკლე II. ეს უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო, რადგან საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ქართლისა და კახეთის სამეფო ტახტზე, ირანის შაჰების მიერ მხოლოდ სარწმუნოება გამოცვლილი ბაგრატიონები ინიშნებოდნენ. მამა-შვილი შესაშური და სამაგალითო ურთიერთსიყვარულისა და თანადგომის ძალისხმევით, თეიმურაზ II თბილისიდან, ხოლო ერეკლე II თელავიდან, ჩაებნენ მუხლჩაუხრელ და საღვლეამისო ბრძოლასა და შრომაში, რათა ეხსნათ უფსკრულის ზღურბლთან მდგარი ქართლ-კახეთი და შეექმნათ მყარი ნიადაგი მათი სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა და ამიერკავკასიაში პირველობისათვის. მამა-შვილმა ეს მისია დიდი წარმატებით განახორციელეს და სრული კატასტროფის ზღვარზე მდგარი სახელმწიფოები იმ დონეზე აიყვანეს, რომ ირანმა და თურქეთმა აღიარეს მათი პირველობა ამიერკავკასიაში.

კახეთის ბაგრატიონთა შორის, მრავალმხრივ გამორჩეული და პირველ-  
თაგან უპირველეს მეფე-სარდლად აღიარებული ერეკლე მეორე. კახეთში  
მეფობდა 1744-1762 წლებში. ერეკლე ბატონიშვილი თელავში დაიბადა  
1720 წლის 7 ნოემბერს, იგი ამ ქალაქში აღიზარდა და აქვე დაჭაბუკდა და  
ამ ქალაქიდანვე მიიღო სათანადო სამხედრო-პოლიტიკური წვრთნა, აღზრდა  
და განათლება. მამის ავადმყოფობის გამო თხუთმეტი წლის ბატონიშვილმა  
უსარდლა ლეკთა წინააღმდეგ მებრძოლ კახელ ვაჟკაცთა ლაშქარს, სადაც  
მან თავი ისახელა და თანამემამულეთ დიდი იმედი დაუსახა სამომავლოდ;  
1737-1739 წლებში ნადირ შაჰმა ერეკლე ბატონიშვილი თავისთან იხმო და  
ინლოეთის წინააღმდეგ დიდ სამხედრო ოპერაციაში გვერდიდან არ მოუცი-  
ლებია. ისე, რომ 24 წლის ერეკლე ბატონიშვილს, როცა ის კახეთის მეფე  
გახდა, საკმარისი საბრძოლო-საომარი ნათლობა ჰქონდა მიღებული. იმიტომ  
იყო, რომ გამეფებისთანავე ერეკლე მეორემ, ქართლის მეფე-მამასთან ერთად  
ენერგიულად და მუხლჩაუხრელად დაიწყო ბრძოლა დამპყრობელთაგან  
აღმოსავლეთ საქართველოს გამოხსნა-გადარჩენისა და აღმშენებლობისათვის.

მამა-შვილმა XVIII საუკუნის 40-50-იან წლებში შეთანხმებული პოლი-  
ტიკისა და სამაგალითო მამაშვილური სიყვარულის წყალობით შეძლეს  
ამიერკავკასიის სახანოების თავგასულობა-დაუმორჩილებლობის ალაგმვა  
და ქართლ-კახეთის სახელმწიფოებისადმი მათი მოხარკეობა და დაქვემდებ-  
ბარება. სწორედ ამ სფეროში მოპოვებულმა დიდმა წარმატებებმა განაპირობა  
ქართლისა და კახეთის სამეფოების აშკარა უპირატესობა მთელს ამიერკავ-  
კასიაში.

XVIII საუკუნის 50-იან წლებში ქართლ-კახეთის მეფეებმა თითქმის  
ალაგმეს ე.წ. „ლეკიანობა“ და ქვეყანას და ხალხს ამ მხრივაც სანატრელი  
შშიდობა მოუტანეს. მჭადიჯურისა (1754 წ.) და ყვარლის (1755 წ.) ცი-  
ხეებთან ლეკთა დიდი ლაშქრის სასტიკმა მარცხმა და მათმა მასობრივმა  
ხოცვა-ჟლეტამ, დიდი ხნით შეწყვიტა ლეკთა ხალხმრავალი შემოსვლები  
ქართლ-კახეთში. ამ გარემოებამ კი დიდად შეუწყო ხელი ქართლ-კახეთის  
მოსახლეობის მომრავლებას, გაჩანაგებულ-გაპარტახებული მეურნეობის აღდ-  
გენა-განვითარებას და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გამტკიცება-აღმშენებ-  
ლობას.

ერეკლე მეფემ თავდაუზოგავი ბრძოლებითა და წინამორბედთაგან განსხ-  
ვავებით გლეხობასთან განსაკუთრებული სიახლოვითა და მათდამი მამაშვი-  
ლური მზრუნველობით, კახეთის სამეფოს, მის მთასა და ბარს, არსებითად  
შეუცვალა იერსახე და ერთ-ერთ მოწინავე სახელმწიფოდ აქცია. ერეკლე  
II-ის მეფობის წლებში, დიდად გაიზარდა ქ. თელავის ავტორიტეტი როგორც  
კახეთის დედაქალაქისა და იმ ქალაქისა, სადაც დაიბადა, აღიზარდა, ცხოვ-  
რობდა და მოღვაწეობდა არამარტო კავკასიის, არამედ ევროპისა და აზიის  
მასშტაბით, დიდი პოლიტიკური მოღვაწე და უბადლო მხედართმთავარი მეფეთ  
მეფე – დიდი ერეკლე მეორე.

1762 წლის 8 იანვარს პეტერბურგში გარდაიცვალა ქართლის მეფე თეიმურაზ II. მამის გარდაცვალებამ დიდად შეაშფოთა ერეკლე II, მაგრამ მან ძალიან სწრაფად და ყველასაგან მოულოდნელად გადადგა მეტად საჭირო და აუცილებელი ნაბიჯი კახეთისა და ქართლის გასაერთიანებლად. ეს იყო შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსისა და ქართველი დიპლომატის, დიდი საჭეთმპყრობელის გონივრული გადაწყვეტილება. ნეტავი მეფე ერეკლე 1789 წელსაც ასე მოქცეულიყო, როცა დადგა საკითხი იმერეთ-ამერეთის გაერთიანებისა და კვლავ გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს შექმნისა. ვინ იცის, მაშინ როგორ წარიმართებოდა საქართველოს მომავალი?

ქართლ-კახეთის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებამ უფრო ხელშემწყობი გარემო შეუქმნა ქ. თელავს, რადგან ქ. თბილისის გვერდით ქ. თელავიც ყოველთვის მოიხსენიებოდა ქართლ-კახეთის რიგით მეორე დედაქალაქად და მეფე ერეკლე II-ის სამშობლოდ. თელავის მეფეთა სასახლე, საჭიროების შემთხვევაში, და თითქმის ყოველთვის, კვლავ ასრულებდა კახეთის პოლიტიკური რეზიდენციის ფუნქციას. ქართლ-კახეთის ერთიანი სამეფოს შექმნის შემდგომ, ერეკლე მეფე ქ. თელავში ჩვეულებრივად აგრძელებდა სამეფო ყოფა-ცხოვრებას, ელჩების მიღებას; დროდადრო, თუკილა მას ამის საშუალება ექნებოდა, თელავში ჩამოდიოდა, აქ ისვენებდა და აქედან მართავდა სახელმწიფოს. მას ხომ თელავი სხვაგვარად უყვარდა, თელავი ხომ მისი მშობელი ქალაქი იყო და, ალბათ, სიკვდილიანხლოვებული გმირთა-გმირი და საქვეყნოდ გახმაურებული მეფე-სარდალი, სიცოცხლის უკანასკნელ ჟამსაც, მშობლიურ თელავს იმიტომ ეწვია, რომ იქ დაემთავრებინა სიცოცხლე და იქიდან გამომშვიდობებოდა თავის უსაყვარლეს სამშობლოს. აკი, ასედაც მოხდა. 1798 წლის 11 იანვარს, ქ. თელავში, სამეფო რეზიდენციის იმ ოთახში, სადაც დაიბადა 1720 წლის 7 ნოემბერს, გარდაიცვალა ქართველი ერის უსაყვარლესი მეფე-სარდალი, გმირთაგმირი, სახელოვანი ერის კაცი და მეფეთა მეფე ერეკლე მეორე.

ერეკლე მეფის გარდაცვალების შემდგომ, მეფის რუსეთმა, უფრო დააჩქარა ყოვლად დაუსაბუთებელი, ბინძური, საყოველთაოდ გაუმართლებელი და აღვირაზნნილი ბრძოლა ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობის გაუქმებისა და ამ ქვეყნის რუსეთის სრულ მფლობელობა-საკუთრებაში მოქცევისათვის. ცარიზმის რუსეთმა ეს სამარცხვინო აქტი სისრულეში მოიყვანა 1801 წლის 12 სექტემბერს იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიერ გამოცემული მანიფესტის ძალით, ხოლო 1802 წლიდან კი ქვეყანაში რუსული მმართველობის შემოღება დაიწყო. ქართლ-კახეთი დაიყო 5 მაზრად: თბილისის, გორის, დუშეთის, თელავის, სიღნაღის მაზრებად. ამ დროიდან ქ. თელავმა დაკარგა კახეთის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრის მნიშვნელობა და მას ეს ფუნქცია საკმაოდ დიდი ხნის შემდგომ დაუბრუნდა, კერძოდ, 1992 წლიდან, რადგან საქართველომ 1990 წლის ოქტომბრიდან დამოუკიდებლობა მოიპოვა, „ბორო-

ტების იმპერიის“ უღლიდან განთავისუფლდა და თვითონ გახდა თავისი ქვეყნის პატრონი და გამგებელი. თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოში განხორციელდა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობისა და მმართველობის რეფორმა, რომლის მიხედვითაც ქ. თელავი დარჩა თელავის რაიონის ადმინისტრაციულ ცენტრად და აგრეთვე ის, იმავ დროს არის კახეთის მხარის (კახეთის გუბერნიის) ქალაქი-რეზიდენცია, რომელსაც მართავს საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული (გუბერნატორი), მისადმი დაქვემდებარებული ყველა სამხარეო უწყების საშუალებით.

თანამედროვე ქ. თელავი, არსებითად განსხვავდება მრავალ ჭირ-ვარამ-გამოვლილი წინამორბედი თელავისგან, რადგან ის უკვე თხუთმეტ წელზე მეტია, რაც დედამამშობლოსთან ერთად, თავდახსნილია „ბოროტების იმპერიისაგან“ და დედაქალაქობს თავისუფლებისა და დემოკრატიული აღმშენებლობის დიდ შარაგზაზე დამდგარ კახეთს და მის ნიჭიერ, გარმჯე და მშრომელ ხალხს. თითქმის თხუთმეტ წელს უახლოვდება, რაც ქ. თელავი დაუმეგობრდა გერმანიის ქალაქ ბიბერახს და ორივე ქალაქის მოსახლეობა და ხელმძღვანელობა ერთმანეთს ეეჯიბრებიან სიყვარულსა და ურთიერთ პატივისცემაში. 2000 წლიდან კახეთის მხარე თავის საქვეყნოდ განთქმულ მეღვინეობა-მევენახეობის მაღალი კულტურით დაუკავშირდა ასევე მეღვინეობა-მევენახეობით სახელმძღვანელო საფრანგეთის ბურგუნდიის მხარეს და მათ უკვე დიდ წარმატებებს მიაღწიეს სტუმარმასპინძლობის და ურთიერთგაცნობის სფეროში და, რაც მთავარია, საფრანგეთის იონის დეპარტამენტმა, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი და კახეთის სკოლების უმრავლესობა, სადაც ფრანგული ენა ისწავლება, აღჭურვა მაღალი კლასის თანამედროვე ტექნიკით, რაც დიდად შეუწყობს ხელს სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვის საქმეს. თელავის სახელმწიფო თეატრში ფრანგებმა გათბობის, განათებისა და გახმოვანების მოწყობილობა დაამონტაჟეს, კახეთის ტელევიზიისთვის კი საჭირო ტექნიკა გამოგზავნეს.

ხსენებულ საკითხებთან ერთად, 2002 წელს, ფრანგებმა კახეთში სანერგე მეურნეობის უხვი მოწყობისა და შემდგომი განვითარებისათვის 15000 ევრო გადმორიცხეს, რასაც იმავე წელს მოყვა ახალი სიხარული, გამარჯვება და საქვეყნო აღიარება კახეთისა, ბრიუსელში მიღებული გადაწყვეტილების თანახმად – კახეთის მხარე ევროპის რეგიონთა ასამბლეის წევრად აღიარეს (აჭარის და იმერეთის შემდეგ). დღევანდელი კახეთის წარმატებები იმდენად აღსანიშნავია და მრავალმხრივ არის აღიარებული, რომ მას, გარდა აღნიშნულისა, ორმხრივი სასარგებლო ურთიერთობები აქვს დამყარებული ამერიკის შეერთებული შტატების უმძლავრეს სახელმწიფოსთან. გერმანიასთან, საფრანგეთთან, ავსტრიასთან, უკრაინასთან, პოლონეთთან და სხვა ქვეყნების ცალკეულ მხარეებთან. ვინ იცის, მომავალში კიდევ რამდენი სიკეთე, წინსვლა და ახალი სიხარული მოელის თელავს, კახეთს და სრულიად საქართველოს.

## 1.7. წანარების უნაობა—ჯანსაღებისა და კახეთის ისტორიაში მათი როლის საკითხისათვის

წანარების (სანარების) მოხსენიება, როგორც ინდივიდუალური ეთნოსისა პირველად გვხვდება ახ.წ. II-ე საუკუნის ბერძენი გეოგრაფ-ასტრონომის კლავდიოს პტოლემეაიოსის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“. აღნიშნული მონოგრაფიის მერვე თავში, სადაც აღწერილია აზიის სარმატიის მდებარეობა, სხვა მრავალ ტომთა და ხალხთა შორის, პტოლემეაიოსი სანარებსაც ახსენებს, მაგალითად „კავკასიის მთასა და კერვანის მთებს შორის — ტუსკები (თუშები, ვ.ე.) და დიდურები (დიდოები, ვ.ე.) „ცხოვრობენო, — დასძენს მკელეკარი, — და მათთან ერთად, იქვე აღნიშნავს, „ალბანიის იქით სანარები“ სახლობენო.<sup>1</sup>

როგორც ცნობილია, კლავდიოს პტოლემეაიოსი საქართველოში არ ყოფილა, იგი სარგებლობდა თანამედროვე და წინამორბედ ბერძენ-რომაელთა ცნობებით, მონაცემებით და მემკვიდრეობით, რაც იმას ნიშნავს, რომ წანარების (სანარების) ცხოვრება-არსებობა კავკასიაში ახ.წ. II-ე საუკუნეზე ადრინდელ საუკუნეებში უნდა ვივარაუდოთ.

ბერძენი გეოგრაფის გამოთქმა — „ალბანიის იქით სანარებია“, ნიშნავს, რომ სანარებს (წანარებს) უცხოვრიათ ალბანიის (ალბანეთის) დასავლეთით. ალბანეთი ქართლის (იბერიის) მოსაზღვრე ქვეყანა იყო, რომელიც თანამედროვე აზერბაიჯანს მოიცავდა და დასავლეთით ქართლსა და ალბანეთს შორის თავდაპირველი საზღვარი მდინარე თურდოზე გადიოდა. მაგრამ, „როდესაც ძვ.წ. III-II საუკუნეებში ალბანეთის მეზობლად შეიქმნა ძლიერი ქართული და სომხური სახელმწიფოები, ალბანეთის მოსაზღვრე რაიონები ამ სახელმწიფოთა შემადგენლობაში შევიდა. კერძოდ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჰერეთი (თანამედროვე კახეთის აღმოსავლეთ ნაწილი), ამ დროს ნაწილობრივ ჯერ კიდევ ალბანური ტომებით დასახლებული შევიდა ქართლის სამეფოს შემადგენლობაში“.<sup>2</sup> ისე, რომ კლავდიოს პტოლემეაიოსის დროინდელი მოხსენიებული ტერიტორია „ალბანიის იქით“, სადაც სანარები ცხოვრობენ, ისტორიული ქართლის ტერიტორიაა, ისტორიული კახეთია.

ქართული მატრიანებიდან წანარების შესახებ პირველ ცნობას ვხვდებით „მოქცევაი ქართლისაი“-ს ქრონიკაში, რომელიც VI საუკუნის 30-40-იან წლებს უნდა ეხებოდეს. წყაროში მოხსენიებულია „წანარეთის ხევი“, რო-

<sup>1</sup> ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემეაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი თარგმანიურთ, წინასიტყვაობა და განმარტებები, იხ. მას. საქ. და კავკ. ისტ. ნაკვ. 32, 1955, გვ. 44.

<sup>2</sup> გ. მელიქიშვილი, ქართლის სამეფოს ურთიერთობა მეზობელ მთიელ ტომებთან და დასავლეთ ალბანეთის რაიონებთან, იხ. საქ-ოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 1970, გვ. 464.



მელიც სპარსელებს დაუპყრიათ ქართლში მეფობის გაუქმების შემდგომ და თავისი კონტროლისათვის დაუქვემდებარებიათ. „და ვითარცა მეფობა დაესრულა ქართლსა შინა, – ვკითხულობთ ქრონიკაში, – სპარსნი განძლიერდეს და ერთი და სომხითი დაიპყრეს, ხოლო ქართლი უმეტესად დაიპყრეს და კავკასიანთა შევიდეს და კარნი ოვსეთისანი აიღნეს და ერთი დიდი კარი ოვსეთსვე და ორნი დვალეთს და ერთი პარჭუნას დურძუკეთისასა და იგი მთიულნი გომარდად დაადგინეს და სხუი ვინმე კაცი დაიდგინეს მთავრად წანართისა ხეესა და მორჩილებად დასდევს მისი“.<sup>3</sup> „მოქცევაი ქართლისაი“-ს მიხედვით საკმაოდ კონკრეტდება წანართა განსახლების არეალი, რაც ს. ჯანაშიას მიხედვით შემდეგნაირად ლოკალიზდება: „დარიალანი, ლიახვ-არღონის წყალგასაყარი ქედის ზეკარი და ფშავ-ხევსურეთიდან ჩაჩან-ქისტეთში მიმავალი გზა“.<sup>4</sup>

სომხურ წყაროებში ეთნონიმი „წანარი“ VII საუკუნიდან მოიხსენიება. VII საუკუნის სომხურ ანონიმურ გეოგრაფიაში წანართა ტომი წანარი (ქ)-ის ფორმითაა მოხსენიებული. ანონიმი ავტორი შენიშნავს: „იმავე მთასთან (კავკასიის მთასთან, ვ.ე.) ...ბინადრობენ რაჭველები, დვალეები... ოსები, წანარები, სადაც მდებარეობს ალანთა კარი და მეორე კარი, რომელიც წელქანად იწოდება იმავე სახელწოდების ტომის (შესაბამისად). შემდეგ არიან თუშები, ხუნძები... ქისტები, შემდეგ ცხავატელნი, გულამაყრელნი, დურძუკნი, დიდოელნი, ლეკნი“.<sup>5</sup>

„მოქცევაი ქართლისაი“-სა და სომხური ანონიმური გეოგრაფის მიერ წანარების განსახლება-საცხოვრისის შესახებ შემოთავაზებული მონაცემების ანალიზის შედეგად ივ. ჯავახიშვილი დასძენს: „წანარებს არაგვის ხეობაში ჰქონდათ მკვიდრობა და თითქოს ამ ხეობის მცხოვრებთა საზოგადო სახელადაც გამოდის, მაგრამ ჩვენი ძველი მატეანე ამტკიცებს, რომ წანართა ქვეყანა არაგვის ხეობის ერთი კუთხეთაგანი იყო და მათი მკვიდრობის ადგილს „წანარეთის ხევი“ რქმევია. იქნებ წანარეთის ხევი იმ ადგილს ეწოდებოდა, სადაც წილკანის კარი იყო“<sup>6</sup> თ. პაპუაშვილი აღნიშნავს, რომ „VII ს-ის „სომხური გეოგრაფიის“ უკანასკნელ, ს.ტ. ერემიანისეულ გამოცემაში წანარები განსახლებულნი არიან კავკასიონის ქედის ცენტრალურ ნაწილში, ყაზბეგის რაიონსა და მდინარე თერგის ზემოდინების აუზში.

ს.ტ. ერემიანი მათ ტერიტორიას დაახლოებით 945 კმ<sup>2</sup>-ით განსაზღვრავს“.<sup>7</sup> გარდა „სომხური გეოგრაფიისა“ სომხური საისტორიო მწერ-

<sup>3</sup> „მოქცევაი ქართლისაი“, იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი 1. 1963, გვ. 94-95.

<sup>4</sup> ს. ჯანაშია, შრომები. ტ. 1, 1947, გვ. 4; თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, 1982, გვ. 27.

<sup>5</sup> თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, 1982, გვ. 27.

<sup>6</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, 1998, გვ. 39.

<sup>7</sup> თ. პაპუაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 28.

ლობის სხვა ძეგლებიც არსებობენ, რომელთადაც წანარების შესახებ ვხვდებით საინტერესო ცნობებს.<sup>8</sup> მათგან აღსანიშნავია თომა არწრუნის (IX-X ს.ს) თხზულება „არწრუნთა სახლის ისტორია“, რომელშიც წანარებს ცალკე თავი აქვთ დათმობილი – „წანართა თავგადასავლის შესახებ“. თომა არწრუნი ეხება წანართა განსახლების საკითხს, მათს მმართველობას და ტომთა რაოდენობასაც კი აღნიშნავს. „ისინი (წანარები ვ.ე.) დამკვიდრებულნი არიან მთის სიმაგრეებში, უზრუნველად და მშვიდად გარეშე მტრებისა (საფრთხისაგან). სამეფო ხარკი და გადასახადი მათვე რჩებათ, მხოლოდ თავიანთი სურვილისამებრ თავის გამგებლად ერთ კაცს აყენებენ. ისინი შეთანხმებითა და ერთსულოვნად ცხოვრობენ ურთიერთ შორის. ტომი ტომთანაა დამკვიდრებული ერთმანეთისაგან მოშორებით. მათ ახლოს არის კავკასიის მთა, სადაც დამკვიდრებულნი არიან ტომები, რომლებიც ენების მიხედვით განიყოფებიან 72 ტომად და ცხოვრობენ წინამძღოლის გარეშე“.<sup>9</sup>

IX-X საუკუნეების სომეხი მემატიანე იოანე დრასხან-აკერტელი „სომხეთის ისტორიაში“ მოიხსენიებს, მათს ადგილსამყოფელსაც მიგვანიშნებს და ისიც დამაჯერებლად ლაპარაკობს, რომ „წანარნი ალანთა კარამდის ცხოვრობენ“.<sup>10</sup> მასვე საუბარი აქვს „წანართა დიდ ქორეპისკოპოსზე“.<sup>11</sup> რაც, რა თქმა უნდა. მრავალმხრივ საყურადღებო ფაქტია.

X საუკუნის სომეხი ისტორიკოსი უხტანესი ეხება ივერიელთა განსახლებას, მის ტომობრივ-გვაროვნულ შემადგენლობას და აღნიშნავს: „ურიცხვია სახელი თითოეული გვარისა, რომლებიც მის გარშემოა და სხვა გვარებისა ქალაქ თბილისის გარშემო, რომელთაც ეწოდებათ: წანარეთი, ჯავახეთი, თრიალეთი“.<sup>12</sup>

XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ვარდან დიდი საინტერესო ცნობებს გვაწვდის წანარებზე და აღნიშნავს, რომ წანარები (ხალდეები) პირველსაცხოვრისიდან აყრილნი და გადმოხვეწილნი კავკასიის საზღვრებში შემოსულან და „კავკასიის მთის ძირში დასახლებულან“-ო. ვარდანი იმასაც აღნიშნავს, რომ ხალტებმა (წანარებმა) თავიანთ ახალ ადგილსამყოფელს პირველსაცხოვრისის მიხედვით „წანარქ“-ი უწოდესო“.<sup>13</sup>

<sup>8</sup> აღნიშნული ცნობები შესწავლილი და გაანალიზებული აქვთ ე. ცაგარეიშვილს, იხ. მისი ნაშრომი „თომა არწრუნისა და ანონიმი ისტორიკოსის ცნობები საქართველოს შესახებ“, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, IV, 1975, გვ. 261-265.

<sup>9</sup> ე. ცაგარეიშვილი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 270.

<sup>10</sup> იოანე დრასხანაკერელი, სომხეთის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევათა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, 1965, გვ. 64.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 333.

<sup>12</sup> უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ, 1975, გვ. 65.

<sup>13</sup> Всеобщая история Вардана М, 1861, ст. 126.

განხილული სომხური წყაროების მიერ წანარების შესახებ მოწოდებული ცნობებიდან ირკვევა, რომ წანარების კავკასიაში მოსვლისთანავე თავდაპირველი განსახლება-ყოფაცხოვრება უმთავრესად და ძირითადად აღანთა (დარიალის) კარის მიდამოებში ყოფილა განთავსებული.

წანარების შესახებ მრავალფეროვან და თანაც საკმაოდ უხვ ცნობებს ეპოულობთ VII-X საუკუნეების არაბ ისტორიკოს-მემატიანეთა მემკვიდრეობაში, რადგან აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, კი კახეთში, არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლ ქართველთაგან არაბების მიერ უმთავრესად დასახლებულნი არიან წანარები, წანართა ხალხმრავალი აჯანყებები არაბთა უღლის დასამხობად, რომელნიც ხშირად იმარჯვებენ კიდევ, არაბები სამარცხვინოდ მარცხდებიან და უკან იხევენ. „...წანარების სახით არაბთა სახალიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას საქართველოში საქმე ჰქონდა ისეთ ძალასთან, რომლის დათრგუნვა ვერა და ვერ მოხერხდა“.<sup>14</sup> სწორედ ამ ვითარებამ გამოიწვია არაბი ისტორიკოსების დიდი ინტერესი ე.წ. წანარების ვინაობისა და მათი განსახლების თაობაზე. აღნიშნულის შესახებ არაბულ წყაროებში ხშირად ურთიერთგამომრიცხავ მსჯელობას ეხვდებით, რაც გარკვეულწილად ართულებს ვითარებას და მათზე დაყრდნობით არც ხერხდება წანართა ვინაობისა და განსახლების საკითხის ამომწურავად შესწავლა. მაგალითად, არაბი მწერალი აბუ მუჰამად იბნ ასამ ალ-ქუფის მიხედვით, „წანარები „ჯურზანის“ ურწმუნო (არა მუსლიმების) ტომთა ერთ-ერთი ტომიაო... ალ-ქუფის ცნობიდან გარკვევით არ ჩანს, რომ თავიდანვე წანარები მაინცდამაინც ქართლში ცხოვრობდნენ ან ქართველები იყვნენ. ამ ეჭვს კიდევ უფრო საფუძვლიანს ხდის ალ-ქუფის თანამედროვე მეორე არაბი მოგზაურის, გეოგრაფისა და ისტორიკოსის აბუ ლიჰასან ალი აღიმასუდის (გარდაიცვალა 956 წ.) ჩვენება იმის შესახებ, რომ წანართა სამეფო მდებარეობდა აღანთა კარის ციხესიმაგრესა და თბილისის სასაზღვრო ოლქს შორის. შაქის სამეფოს მეზობლად. შაქი კი ჰერეთს აღნიშნავდა“.<sup>15</sup> აღმასუდი იმასაც აღნიშნავს, რომ წანარები ადგილობრივი არ არიან, ისინი მოსულები არიანო. „მემატიანის თქმით ქრისტიანი წანარები იყვნენ ნიზარიან არაბთა ტომის უფაილის განშტოების ჩამომავალნი, დიდი ხნის წინათ აქ მოსულნი და დამკვიდრებულნი“.<sup>16</sup> აღმასუდის ვარაუდი წანართა არაბული წარმომავლობის შესახებ, რა თქმა უნდა, მცდარია და მიუღებელი, მაგრამ მასთან ხელჩასაკიდებელია, როცა იგი დაბეჯითებით ამბობს, რომ წანარები მოსულნი არიან და თანაც მძლავრნი და ძლიერნი, რომელნიც ადგილობრივ ხალხზე ბატონობენო.

<sup>14</sup> ბ. სილაგაძე, არაბთა ბატონობა საქართველოში, 1991, გვ. 129.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 128.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 130.

არაბ ისტორიკოს-გეოგრაფ-მოგზაურთა მიერ დანატოვარ საინტერესო სულიერ მემკვიდრეობაში წანარების შესახებ მდიდარ და მრავალფეროვან მასალას ვხვდებით, როცა საქმე გვაქვს არაბთა უღლის დასამხობად ერთ მუშტად შეკრული ქართველი ხალხის გმირულ ბრძოლებთან.

როგორც უცხოურ, ისე სამამულო ისტორიოგრაფიის საშუალო საუკუნეების წერილობით ძეგლებში ძალიან ბუნწად და ისიც ყოველგვარი ქება-დიდების გარეშე მოიხსენიებენ წანარებს, ხოლო მომდევნო საუკუნეებში კი ამ დასახელების ეთნოსს აღარავინ არ იცნობს. მაგალითად, ქართულ წყაროებში წანარები უკანასკნელად სუმბატ დავითის ძეს აქვს ნახსენები, როცა გიორგი I-ს ბასილ კეისარი დაესხა თავს თრიალეთში და მათ შორის გაიმართა სამკვდრო-სასიცოხლო ბრძოლა. მაშინ, ამ ძნელბედობის ჟამს, როგორც მემატინე შენიშნავს: „და რა ეახლნეს ერთმანეთსა (საუბარია ბასილ კეისრისა და გიორგი I-ის შეტაკებაზე თრიალეთში, ე.ე.), კუალად განძლიერდა გიორგი ლაშქრითა, რამეთუ მოიყვანნა წანარნი და შაქნი“.<sup>17</sup> ამავე აბზავს ეხება ვახუშტი ბაგრატიონი და ისიც გიორგი მეფის გაჭირვების ჟამს მთავარ დამხმარე ძალად წანარებს ასახელებს და აღნიშნავს, — „ამისთვის გიორგი მეფემან მოიყვანა წანარნი და განიმრავლნა სპანი“.<sup>18</sup> მომდევნო საუკუნეების საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ საკითხის გაშუქებისა და თხრობის დროს ვახუშტისთან წანარები აღარსად ხსენდებიან.

XX საუკუნის ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში ინტენსიურ ხასიათს იძენს წანართა ვინაობა-წარმომავლობის საკითხის შესწავლა და ამ საკითხით დაინტერესებული ყველა მკვლევარი ცდილობს დაადგინოს თუ სად ცხოვრობდნენ წანარები, საქართველოს რომელ მიწა-წყალს მოიცავდა მათი მოსახლეობა და რა საზღვრებში იყო მოქცეული ე.წ. „წანართა სა-მეფო“. მოცემულ საუკუნეებში წანართა მიმართ ინტერესის წინა პლანზე წამოწევა გამოიწვია მათ შესახებ ანტიკურ, ქართულ, სომხურ და არაბულ წყაროებში ურთიერთსაპირისპირო და გამომრიცხავმა ცნობებმა, მსჯელობამ, დასკვნებმა და დებულებებმა. ამის მიზეზი კი, თუ ეს ყოველივე საიდან მოდიოდა კარგად, ამომწურავად და ლაკონურად აქვს ჩამოყალიბებული აკად. ნ. ბერძენიშვილს. განსვენებული მეცნიერი წანარების მაგალითზე იძლევა შესანიშნავ რეალობას ამა თუ იმ ეთნოსისა თუ ეთნოგრაფიული ჯგუფის ადგილმონაცვლეობის შედეგად რა სიახლეებთან გვაქვს საქმე და როგორ უნდა ვარკვევდეთ ამ ყოველივეს. „მაგალითად, — შენიშნავს მეცნიერი, — ჩვენ თვალი გავადევნეთ ერთს მეტად თვალსაჩინო გარემობას. კახეთის ტოპონიმიკაში: საგიოგრაფიო სახელები არავისა და ივრის ზემო წელისა უცნაური სიმრავლით მეორდება როგორც შიდა კახეთში, ისე გელმა მხარსა

<sup>17</sup> სუმბატ დავითის ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატიონანთა, იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. 1, 1955, გვ. 383.

<sup>18</sup> ვახუშტი ბაგრატიონი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 142.

და საინგილოში. ყურადღება მივაქციეთ ისტორიულ გადმოცემებს და აწინ-  
დელი კახელების ჩვეულებასაც (მთაში რომ მიდიან სალოცავში) და ჩვენთვის  
ცხადი გახდა, რომ აწინდელი კახეთი გარკვეულ დროს იორ-არაგველთა  
კოლონიზაციის ობიექტი შექმნილა. ამ მთიელებს თავიანთი სოფლის სახელები  
უცვლელად გადაუტანიათ ახალ დასახელების ადგილებში. ისიც კი  
შესაძლებელი ხდება გაირკვეს, თუ რა ძველად დაწყებულა ასეთი კოლონი-  
ზაცია მთიელებისა ქერეთში. ასეთი ისტორიულ-გეოგრაფიული დაკვირვებით  
შეიარაღებულნი ჩვენ ვაკვირდებით წერილობითი ხასიათის ცნობებს ერთი  
უცნაური ხალხის შესახებ, წანარების შესახებ და უცნაურობას და სიძნელეებს  
ადვილად ვძლევთ. ქართული, სომხური, არაბული წყაროები წანარებს იცნობენ  
მთაშიც, ბარშიც, კახეთშიც, ქერეთშიც ისინი ზოგჯერ კახელის შესატყვი-  
სადაც კი არიან დასახელებული, ზოგჯერ (არაბულ წყაროებში) კახეთადაც  
იგულისხმებიან, ხევემაც ჩანან და საინგილოშიც... ჩვენ მიერ მოპოვებული  
ცნობიდან, ტოპონიმიკური ფაქტებით, რომ დავადგინეთ, სრულიად დასაჯე-  
რებელი ხდება ვარაუდი, რომ წერილობით ცნობათა ასეთი სხვადასხვაობა  
აიხსენება იმით, რომ წანარები (იორ-არაგველები) თანდათან ესახლებიან  
მთიდან კახეთის (შემდგომი დროის კახეთის) დაბლობში და ამისდა კვლად  
წანარეთიც იცვლის ტერიტორიას, ფართოვდება აღმოსავლეთისაკენ<sup>19</sup>.

6. ბერძენიშვილთან წანარების ვინაობაც გარკვეულია, იგი მათ ადგი-  
ლობრივ, აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობად მიიჩნევს და  
დასძენს კიდევ, რომ ისინი „იორ-არაგველები“ არიან და იქიდან თანდა-  
თანობით ხდება მათი მიგრაცია აღმოსავლეთით – კახეთის ბარში.

აკად. ივ. ჯავახიშვილთანაც წანარები საქართველოს მკვიდრი მოსახ-  
ლეობაა, ისინი არსაიდან არ მოსულან და მათი მამაპაპეული სამკვიდრო  
მიწა-წყალი არაგვის ხეობაში ყოფილა განთავსებული. განსვენებული მეცნიერი  
განმარტავს, რა „მთიულთა“ და „მთეულთა“ იგივეობა-განსხვავებულობის  
საკითხს, დასძენს, რომ: „მთეულთადაცვე ითვლებოდნენ აგრეთვე „წანარნი“.  
წყაროებითგანა ჩანს, რომ წანარები არაგვის ხეობის მცხოვრებნი იყვნენ“.

იგი თავის მსჯელობას წანართა არაგველობის შესახებ ქართულ, სომ-  
ხურ და არაბულ წყაროთა მონაცემებზე დაყრდნობით დასძენს: ეს ყველა  
ამ ცნობებითგანა ჩანს, რომ წანარებს არაგვის ხეობაში ჰქონიათ მკვიდრობა  
და თითქმის ამ ხეობის მცხოვრებთა საზოგადო სახელადაც გამოდის,  
მაგრამ ჩვენი ძველი მატიანე („მოქცევაი ქართლისაი“ ვ.ე.), ამტკიცებს, რომ  
წანართა ქვეყანა არაგვის ხეობის ერთი კუთხეთაგანი იყო და მათი მკვიდრობის  
ადგილს „წანარეთისა ხევი“ რქმევია<sup>20</sup>.

წანართა წარმომავლობა-განსახლების საკითხი დღეისათვის კვლავ საკამათოა  
და მის შესახებ თითქმის ერთიანი, მეცნიერულად დასაბუთებული გამოკვლევა

<sup>19</sup> 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, 1990, გვ. 11-12.

<sup>20</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, 1983, გვ. 43.

არ არსებობს, თუმცა, პროფესორებმა თ. ჰაკუაშვილმა შრომაში „რანთა და კახთა სამეფო“ (1982) და ბ. სილაგაძემ მონოგრაფიაში „არაბთა ბატონობა საქართველოში“, წინამორბედთაგან განსხვავებით აღნიშნული საკითხი უფრო დამაჯერებლად ახსნეს, რაც უდავოდ დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.<sup>21</sup>

წანართა ვინაობა-სადაურობის საკითხით, როგორც უკვე აღინიშნა, ძალიან ბევრი მკვლევარი დაინტერესდა, რის გამოც ამ პრობლემის ისტორიის ისტორიოგრაფია საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია. მაგალითად, აკად. ნ. მარმა წანარები სვანებად მიიჩნია, რაც იმთავითვე დაუჯერებელი ჩანდა და იგი არც იქნა გაზიარებული.<sup>22</sup> ამავე აზრისა იყო ს. კაკაბაძეც, რის გამოც ნ. ბერძენიშვილმა განაცხადა: – „ის გარემოება, რომ ამ ტომს ქართულად წანარები ეწოდებოდათ, ყოვლად საეჭვოს ხდის მათ იგივეობას სვანებთან“.<sup>23</sup> ზოგიერთი მკვლევარი უფრო უზერხულობაში ივდებს თავს და აცხადებს, რომ წანარები წარმოშობით ჩეჩენ-ინგუშები და თანდათანობით მოხდა მათი გაქართველება-ასიმილირება.<sup>24</sup> ამ თეორიის ზეგავლენით ვ. მირონსკისაც მიაჩნია, რომ წანარები ჩერქეზული წარმოშობისანი არიან და თავიდან კავკასიონის ზეკარის ხეობაში ცხოვრობდნენ.<sup>25</sup>

მრავალ ქართველ მეცნიერ-მკვლევართა შორის ისტორიკოსმა ჯ. გვასალიამ განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა წანარების ვინაობის შესახებ და რამდენიმე წერილი-გამოკვლევა მიუძღვნა ხსენებული პრობლემის გაშუქებას.<sup>26</sup> მკვლევარის მრავალწლიანი მუშაობის დედააზრი მდგომარეობს იმაში, რომ დამატყიცოს წანარების სვანური წარმომავლობა. მეცნიერს ასეთი მსჯელობის საფუძველს აძლევს სვანეთში დღემდის არსებული „წან“ ფუძის შემცველი ტოპონიმები: სოფ. წანა, მთა წანერი, საძოვარი წანი, სათიბი წარანი, მთა წანარი, უღელტეხილი წანური და სხვა.

ზოგიერთი უცხოელი მკვლევარი, მათ შორის ა.პ. ნოვოსელცევი, იქამდევც მიდის, რომ შესაძლებლად მიაჩნია წანარები ვეინახების (ჩეჩენ-ინგუშების) ჩამომავლებად გამოაცხადოს, რადგან მისი აზრით, თურმე, წანარები ენათესავებოდნენ თუშებსაც.<sup>27</sup> მკვლევარის მიერ წანარების მონათესავე თუშებად

<sup>21</sup> ბ. სილაგაძე, არაბთა ბატონობა საქართველოში, 1991, გვ.126-137., თ. ჰაკუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, 1982.

<sup>22</sup> Н. Марр. Из поездок в Сванетию (Христьянский Восток, С П.Б. 1913, т.2, вып. 1, с. 32).

<sup>23</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, 1990, გვ. 623.

<sup>24</sup> А. Генко, Из Культурного прошлого Ингушсии (Зап. Ком. Востоковедце, т. 5, с. 710).

<sup>25</sup> В. Минорский. История чииирвана и Дербенда X-XI всков, М. 1963, с. 211.

<sup>26</sup> ჯ. გვასალია, წანარების ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, 59 №3, 1970, გვ. 753; მისივე, მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიიდან, კავკასიის გეოგრაფიული კრებული, III, 1971; მისივე, არავეის კარი (დარიალანი), ძიებანი საქ-სა და კავკასიის ისტორიიდან, 1976.

<sup>27</sup> А.Т. Новосельцев и др. Пути развития феодализма, М. 1972, стр. 40.

ნაგულისხმევია წოვები (წოვა თუშები), რომლებიც მრავალ მეცნიერ-მკვლევართა მიერ ისინიც ვეინახთა ოჯახს ეკუთვნოდნენ, რადგან დღესაც ისინი ქართულ ენასთან ერთად კვლავ კარგად ფლობენ ე.წ. ვეინახურ (ქისტურ-ჩეჩნურ-ინგუშურ-წოვურ) ენას. დიდხანს წოვების წოვურ ენას თუშურ ენასაც უწოდებდნენ, რადგან წოვები თავისთავს თუშებად აცხადებდნენ და შეცდომაში შეჰყავდათ ყველა დაინტერესებული პიროვნება. ეს შეცდომა დღეისათვის უკუგდებულა, აღარსად ითქმის და აღარც იწერება ე.წ. „თუშური ენა“ და წოვების ენას ეწოდება წოვური (წოვა-თუშური ენა) და მის საპირისპიროდ სწერენ. და ამბობენ: თუშები და თუშური კილო. თუშები იყვნენ და არიან თუშეთის მკვიდრი ჩეწ. აღრიცხვამდელი საუკუნეებდანვე, წოვები კი თუშეთში დასახლდნენ XVII საუკუნის 60-80-იან წლებში. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ წოვების ვეინახური წარმომავლობა დღეისათვის, თითქმის უარყოფილია და წოვათა სახით საქმე გვაქვს საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ქართულ ეთნიკურ ერთეულთან.<sup>28</sup>

ქართულ ისტორიოგრაფიაში წანარების ვინაობა-წარმომავლობისა და განსახლების საკითხი ყველაზე ფართოდ განიხილა პროფ. თ. პაპუაშვილმა. მკვლევარი მონოგრაფიაში „ჰერეთის ისტორიის საკითხები“ რამდენჯერმე ეხება და ახსენებს წანარებს და წანარეთს, მაგრამ ამ საკითხის დეტალური შესწავლით იგი აქ არ იჩენს ინტერესს და მხოლოდ აღნიშნავს, რომ ისინი ე.ი. წანარები ქართული ტომია და მათ დიდი როლი ითამაშეს არაბთა უღლისაგან კახეთის განთავისუფლებაში და მის მომავალ ისტორიაში. მკვლევარი მოცემულ გამოკვლევაში იმასაც დასძენს, რომ „იმდროინდელი „წანარეთი“ (IX), როგორც ცნობილია, პოლიტიკური აზრით კახეთის სამთავროს გულისხმობს“-ო<sup>29</sup> და იძულებს აკადემიკოსებს ს. ჯანაიას<sup>30</sup> და მ. ლორთქიფანიძეს.<sup>31</sup>

წანარებისა და წანარეთის შესახებ გულდასმითი, ამომწურავი და სრულყოფილი გამოკვლევა თ. პაპუაშვილმა განახორციელა მონოგრაფიაში „რანთა და კახთა სამეფო“.<sup>32</sup> მკვლევარი-მეცნიერი ღრმად და საფუძვლიანად გასცნობია ყველა მანამდე არსებულ წყაროებსა და ლიტერატურას, რაც კი განეკუთვნება ანტიკურ, ქართულ, სომხურ, არაბულ და ოსურ მეცნიერულ მემკვიდრეობას და მათზე დაყრდნობით მკვლევარი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ, რა თქმა უნდა, წანარები ქართველებია, ისინი არავის არ განეკუთვნებიან წარმომავლობით თუ არა ჭეშმარიტად და უტყუარ უძველეს ქართულ ფუძეთნოსს, მაგრამ მან ისიც გამოარკვია და მრავალგზის აღნიშნა, რომ წანარები

<sup>28</sup> ე.ვლანიძე, წოვა-თუშების ვინაობის საკითხისათვის, 1990.

<sup>29</sup> თ. პაპუაშვილი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, 1970, გვ. 193.

<sup>30</sup> ს. ჯანაშია, შრომები ტ. II, 1992, გვ. 403.

<sup>31</sup> მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქ-ოს პოლიტიკური გაერთიანება, 1963, გვ. 155-161.

თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, 1982, გვ. 26-54.

აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ კი ისტორიული კახეთის მკვიდრნი არ არიან და მოსული ხალხმრავალი ეთნიკური ერთეულიაო.

წინარების ვინაობისა და აღმოსავლეთ საქართველოში მათი მოსულობა-გადმოსახლების ისტორიის შესწავლისა და გაშუქებისათვის თ. პაპუაშვილი უმთავრესად ეყრდნობა XIII საუკუნის ცნობილი სომეხი ისტორიკოსის ვარდან დიდის „მსოფლიო ისტორია“-ში წინარების თაობაზე დაცულ მეტად საინტერესო მონაცემებს. ვარდან დიდი ხსენებულ ისტორიაში ეხება ვინმე ხალდეებს, რომლებიც თავისი თავდაპირველი საცხოვრისიდან აყრილან და ახალ სამოსახლო ადგილს ეძებენ. გარკვეული სიძნელეების გადალახვის შემდეგ იმ „ისინი გაემართნენ კავკასიის მთის ძირას. ქრისტეს შემწეობით, რომელიც მათ ირწმუნეს, ისინი დაეპატრონენ მთელს იქაურ მეზობელ მხარეებს... ამ (ხალდემა) თავიანთ მხარეს უწოდეს წინარქი იმ საფუძველზე, რომ მასში მათ შეიძენეს თავიანთი პირველანდელი ადგილსაცხოვრისი... ისინი (ე.წ. ხალდეი) ლაპარაკობდნენ ქართული ენით“.<sup>33</sup>

ვარდან დიდის მიერ აქ აღნიშნულ მონაცემთა შესახებ თ. პაპუაშვილი შემდეგს განმარტავს: „ხალდია, ქალდია შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქვეყანას ერქვა (უფრო გვიანდელი ჭანეთი ანუ ლაზისტანი). ამ ჩვენთვის საინტერესო რეგიონში ანტიკური წყაროები ასახელებენ მრავალ სხვადასხვა ტომს (ტიბარენები, ხალდეები, მოსინიკები, მაკრონები, სანები (ჭანები) და სხვა), უძველეს პერიოდში აქ მოხინაძრე მოსახლეობას შორის ყველაზე უფრო თვალსაჩინო ადგილი ეკავა ტომთა იმ ჯგუფს, რომელიც ხალდეების სახელს ატარებდა“.<sup>34</sup>

მეცნიერი ვრცლად და მრავალი კუთხით მიმოიხილავს სატომო ტერმინების „ხალდია“- „ხალტიქი“-ს რაობის საკითხს და აღნიშნავს: „ნათლად ჩანს, რომ „ხალდ“ (ხალტ) წარმოადგენს სომხურ სახელწოდებას იმ ეთნიკური ჯგუფისა, რომელიც ბერძნულ-ქართულ სამყაროში არის ჭანების – სანების აღმნიშვნელი სახელი, ჭანები კი ჩვენ გვევლინებიან დასავლურ ქართულ ტომებად. საფიქრებელია, რომ მეზობელი სომხები სახელწოდება „ხალტიქი“ - „ხალდი“-თ აღნიშნავდნენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ დასავლურ-ქართულ ტომებს საერთოდ“.<sup>35</sup> მეცნიერი წინამდებარე მიმოხილვას საგულისხმო და მრავალმნიშვნელოვანი დასვეკვით ამთავრებს. „ამრიგად, – დასძენს თ. პაპუაშვილი, – ზემოთ ჩატარებული მცირე ისტორიული ექსკურსის შემდეგ სავესებით ნათელი ხდება, თუ რა ეთნიკური შინაარსი უნდა ჩაიდოს სომხურ წყაროებში დამოწმებულ ტერმინ „ხალტიქი“ – „ხალდიში“. აქედან გამომდინარე კი გარკვეული შუქი ეფინება ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ ვარდან დიდის „მსოფლიო ისტორიაში“ დაცულ ცნობას იმის

<sup>33</sup> Всеобщая история Вардана Великого. Перевел Н. Эмин. М. 1861, 126.

<sup>34</sup> თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, 1982, გვ. 40.

<sup>35</sup> თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, 1982, გვ. 42.



შესახებ, რომ წანარების წინაპრები გამოსულნი არიან „ხალდის“ „ქალდის“ ქვეყნიდან, რომელიც როგორც დავინახეთ, წარმოადგენდა დასავლურ-ქართული ტომების, ხალდეების საცხოვრისს. ჩვენი საბოლოო დასკვნა ასეთია, — შენიშნავს მკვლევარი: XIII საუკუნის სამხურ წყაროებში (ვარდან ღიღის „მსოფლიო ისტორია“) ჩვენ შემონახული გვაქვს ზეპირი გადმოცემა ისტორიული ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ამჟამად ჩანს, რომ ცენტრალური კავკასიონის რაიონში მცხოვრები წანარების წინაპრები იყვნენ დასავლურ-ქართული ტომი „ხალდეები“. ჩვენი აზრით, არსებობს რეალური აზრი იმისა, რომ წანარების ეთნიკური ვინაობა დაკავშირებული იქნეს დასავლურ-ქართულ ეთნიკურ სამყაროსთან (ჭანებთან, სანებთან, რომელთა აღმნიშვნელიც ძველ სამხურ წყაროებში, როგორც ზემოთ დავინახეთ, იყო ეთნიკური ტერმინი „ხალტიქი“ — „ხალდი“).<sup>36</sup>

წანარების ვინაობა-წარმომავლობის საკითხის გაშუქების შემდგომ თ. პაპუაშვილი დიდ ინტერესს იჩენს წანართა ქართულენოვნობის დასამტკიცებლად, რადგან ვარდან ღიღმა ჯერ კიდევ XIII საუკუნეში აღნიშნა, რომ „წანარები ლაპარაკობდნენ ქართული ენით“—ო. მკვლევარმა ეს საკითხიც ყველა შესაძლებლობათა ურთიერთშედარებისა და ძირფესვიანი შესწავლა-გაანალიზების გზით შეისწავლა და განაცხადა — „ჩვენს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ წანარები ქართულენოვან ტომს წარმოადგენენ, მხარს უჭერს წანარების განსახლების ტერიტორიაზე ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების არსებობა. მხედველობაში გვაქვს გარბანის ეკლესიის ეპიგრაფიკული მასალა. სოფელი გარბანი დღევანდელი რაიონული ცენტრის ყაზბეგის სამხრეთით მდებარეობს და მისგან 8 კმ-თაა დაშორებული. იგი გაშენებულია საქართველოს სამხედრო გზის ორივე მხარეზე, სოფ. სიონსა და ანდუზიტს შორის. როგორც ვხედავთ, გარბანი მდებარეობს საკუთრივ „ისტორიული ხევის“ ტერიტორიაზე. „ქვეი“ კი, როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული, გვიანდელი შეცვლილი სახელია და იგი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით შეესაბამება „მოქცევაი ქართლისაი“-ს წანარეთის „ქვეს“. ეს უკანასკნელი კი, როგორც ვიცით, წარმოადგენდა წანარების ძირითად სამოსახლო ადგილს“.<sup>37</sup>

თ. პაპუაშვილი, ყოველივე აღნიშნულის შემდგომ, წანარების მიმართ სხვა მხრივაც ინტერესდება და შენიშნავს — „წანართა ეთნიკური წარმოშობისა და მათი ენობრივი კუთვნილების საკითხის განხილვის შემდეგ, საჭიროდ მიგვაჩნია საქციალურად შეეჩერდეთ თვით ტერმინ „წანარებ“-ისა და „წანარეთ“-ის საკითხზე. ისევე როგორც ზოგი სხვა ქვეყნის სახელებს, „წანარეთ“-საც რამდენიმე სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, ვიწრო და ზოგადი „წანარეთი“ თავისი ვიწრო მნიშვნელობით მოიცავს ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილ ფარგლებს. დარიალის კარის და მისი მიმდგომი მთიანეთის რაიონს —

<sup>36</sup> თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, 1982, გვ. 43.

<sup>37</sup> თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, 1982, გვ. 47.

„წანართის „კვეს“. ასეთივე ვითარება სავარაუდებელია ანტიკური ხანისა და ადრეფეოდალური ხანის დასაწყისში. შემდეგ ხანებში, VII საუკუნიდან, განსაკუთრებით კი VII-IX საუკუნეებში, როდესაც ადგილი აქვს წანართა ტომის პოლიტიკურ გაძლიერებას და დაწინაურებას, ტერმინი „წანართი“ ჩვენ გვეკლინება, როგორც ზოგადი, კრებითი მნიშვნელობის შინაარსის შემცველი ეთნოპოლიტიკური სახელწოდება კახეთის მთიანეთის მოსახლეობისა. ქართულ წყაროებში ამ სახელწოდების შესატყვისად იხმარება მეტად მკაფიო და კოლორიტული გამოთქმა „მთეულეთი კახეთისა“.<sup>38</sup> ხოლო არაბულ და სომხურ წყაროთა მონაცემების შესწავლის საფუძველზე, სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია გამოთქმულია მოსაზრება, რომ პოლიტიკური აზრით „წანარნი“ და „წანართი“ ეწოდება არა მხოლოდ კახეთის მთიელებს, არამედ საერთოდ მთელ კახეთს.“<sup>39</sup>

თ. პაპუაშვილის ხსენებულ მონოგრაფიაში იმაზეც ამომწურავი პასუხია გაცემული, თუ რა მდგომარეობამ შეუწყო ხელი მამაპაპეული მიწა-წყლიდან გადმოხვეწილ წანარებს, რომლებიც ისტორიული კახეთის მთისა და ბარის მოსახლეობას სათავეში მოექცნენ და შიშის ზარს სცემენ არაბთა ურდოებს და ბოლოს ამ დამპყრობელთაგან კახეთსაც ანთავისუფლებენ. „საფიქრებელია, – აღნიშნავს მკვლევარი, – რომ წანართა პოლიტიკური დაწინაურება VII-IX სს-ზე უფრო ადრეულ ხანაში უნდა მომხდარიყო, კერძოდ მაშინ, როდესაც ისინი ძირითადად მთაში, წანართის ხევში ცხოვრობდნენ. წანარების დაწინაურებასა და განსაკუთრებული პრიორიტეტის მოპოვების საქმეში გადამწყვეტი ფაქტორის როლს ასრულებს დარიალის ხეობის დაცვისა და გამაგრების პრობლემა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ეს წანართა ტომის ბელადს დაკისრებული ჰქონდა დარიალის ხეობის დაცვის მოვალეობა. შეიძლება ითქვას, ეს იყო წანართა ტომის ბელადის მემკვიდრეობითი თანამდებობა, რომელსაც ადრე თუ გვიან უნდა გამოეწვია წანართა პოლიტიკურად წინ წამოწევა და სხვა მეზობელ ტომთა შორის ჰეგემონობის მოპოვება.“<sup>40</sup>

ბიზანტიის იმპერიის მიერ VII ს-ის პირველ ნახევარში დაეშო სასანიდური ირანი და თითქმის ნახევარი საუკუნით ამიერკავკასიაში დამყარდა ბიზანტიის (აღმოსავლეთ რომის) იმპერიის გავლენა. ბიზანტიელები კავშირს ამყარებენ ხაზართა იმდროიდელ ერთ-ერთ ძლიერ სამეფოსთან, რომელიც VI საუკუნიდან ჩრდილოეთ კავკასიაში მბრძანებლობდა და ერთობლივი ძალებით შეძლეს

<sup>38</sup> ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 217.

<sup>39</sup> თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, 1982, გვ. 49; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 94, ს. ჯანაშია, შრომები ტ. II, 1952, გვ. 403, 406; ლ. ღორთქოვანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან (კახეთის საშთავრო VIII-IX საუკუნეებში), მასალები საქ-ოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი, 31, 1954, გვ. 12, 36.

<sup>40</sup> თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, 1982, გვ. 50.

ამიერკავკასიიდან საპარსელ დამპყრობელთა სრული ამოძირკვა. საქართველო მოექცა ბიზანტიის იმპერიის გავლენის ქვეშ. მაგრამ იგი დიდხანს არ გაგრძელდა, რადგან VII ს-ის 40-იან წლებში არაბთა ურდოები იბრძვიან ამიერკავკასიის დასაპყრობად, რაც მათ წარმატებით განახორციელეს კიდევ და VII საუკუნის 40-50-იან წლებიდან სომხეთი, ალბანეთი და ქართლი არაბებმა დაიპყრეს. არაბებმა ქართველებს პირველად ე.წ. „დაცივის სიგელი“ გაუფორმეს, ხსენებული სიგელის მუხლების შინაარსი ერთგავარდ ჰუმანური იყო და ნაკლებად საშიში. მაგრამ ეს იყო დროებითი, მოჩვენებითი, ხოლო, როცა არაბებმა მყარად მოიკიდეს ფეხი დაპყრობილ ქვეყნებში, მათ არსებითად შეცვალეს ადრინდელი დამოკიდებულება დაპყრობილებისადმი, რამაც დასაბამი მისცა პერმანენტული აჯანყებების დაწყებას როგორც საქართველოში, ისე არაბთა მთელ იმპერიაში. სწორედ ამ პერიოდში მიმდინარეობს კახეთის სამთავროს ჩამოყალიბების პროცესი, რომლის შემადგენლობაშიც ექცევა ისტორიული კახეთის მთელი ტერიტორია როგორც ბარის რაიონები, ისე მრავალფეროვანი კახეთის მთიანეთი, წანარეთისა და წანარების მეთაურობით. „და აი, ამიერიდან წანარები სათავეში უდგებიან ახალი დამპყრობლების – არაბების წინააღმდეგ ბრძოლას. ამ ბრძოლაში მათ გააერთიანეს არა მარტო კახეთის მთიელები (და კახეთის ბარის მოსახლეობა ე.ე.), არამედ არაბთა სახალიფოს ბატონობით უკმაყოფილო ყველა ტომი, მათვე უერთდებიან ჩრდილო კავკასიელი ტომებიც. ათეული წლების განმავლობაში წანარები წარმოადგენდნენ ანტიარაბული ფრონტის მრისხანე ძალას“.<sup>41</sup>

პროფ. თ. პაპუაშვილის ბოლოდროინდელი გამოკვლევა, რომლის თაობაზეც ჩვენ საკმარის ვერცხვად ვისაუბრეთ, არსებითად განსხვავდება წანარების შესახებ ყველა მის წინამორბედთაგან დანატოვარი მეცნიერული მემკვიდრეობისაგან. მეცნიერმა პირველმა, ალბათ, ჩვენ ასე გვგონია, ყოველმხრივ გააზრებულად და ჯანსაღ ლოგიკაზე დაყრდნობით განაცხადა, რომ: „ჩვენი აზრით, არსებობს რეალური საფუძველი იმისა, რომ წანარების ეთნიკური ვინაობა დაკავშირებულ იქნეს დასავლურ-ქართულ ეთნიკურ სამყაროსთან (ჭანებთან, სანებთან, რომელთა აღმნიშვნელიც ძველ სომხურ წყაროებში, როგორც ზემოთ დავინახეთ, იყო ეთნიკური ტერმინი „ხალტიქი“ – „ხალდი“<sup>42</sup> მკვლევართან გარკვეულია წანართა წარმომავლობისა და აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, დარიალისა და თერგის მდინარეთა ხეობებსა და მათთან დაკავშირებულ მთა-გორიან ადგილებზე დასახლების ფრიად საინტერესო ისტორია. მაგრამ ერთ-ერთი უმთავრესი ნაკლი ხსენებული გამოკვლევისა, ჩვენი აზრით, ის არის, რომ იქ მეცნიერი არაფერს ამბობს წანარები შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, ე.ი. სამხრეთიდან რატომ გადმოსახლდნენ აღმოსავლეთ საქართველოში და როდის მოხდა ეს ყოველივე.

<sup>41</sup> თ. პაპუაშვილი, იქვე.

<sup>42</sup> თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო. 1982, გვ. 43.

სამაგიეროდ ეს ორივე კითხვა ახსნილია და საკმარის დამაჯერებლადაა გა-  
შუქებული პროფ. ბ. სილაგაძის მონოგრაფიაში.<sup>43</sup>

ბ. სილაგაძე წანართა შესახებ არსებულ სამამულო თუ უცხოურ მეცნიერულ მემკვიდრეობას საფუძვლიანად ფლობს და მათზე დაყრდნობით იგი წანარების წარმომავლობა-განსახლებისა და ისტორიულ კახეთში არაბთა უღლის დამსხობაში მათი გამორჩეული წვლილის თაობაზე მეტად საინტერესოდ მსჯელობს და ახლებურად აშუქებს ბევრ რამეს. მეცნიერისათვისაც, როგორც ეს ყოველივე თ. პაპუაშვილთან უკვე ვიხილეთ, არაბული და სომხური წყაროების მიხედვით „სამშობლოდან ძალით აყრილი ეს ადამიანები (წანარები, ვ.ე.) იყვნენ „ხალტები“, რომლებმაც თავიანთ ახალ ადგილსამყოფელს პირველსა-  
ცხოვრისის მიხედვით „წანარქი“ უწოდეს.“<sup>44</sup> დღეს უკვე კარგადაა ცნობილი, რომ სომხური წყაროს „ხალტ“ სატომო სახელია და აღნიშნავს „ხალდს“. ხალდები კი ერთ-ერთ დასავლურ-ქართულ ტომს წარმოადგენდნენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით, თანამედროვე ანატოლიის ტერიტორიაზე, სტრა-  
ბონის, პლინიუსის, ფლავიუს უფროსისა და სხვათა მიხედვით, იქვე ედო ბინა აგრეთვე იმავე ეთნიკური ჯგუფის ხალხს, ქართულ-ბერძნულ სამყაროში „სანები“-ს (ზანების, ჭანების), ხოლო სომხური „წანები“-ს სახელით რომაა ცნობილი.“<sup>45</sup>

მკვლევარი უფრო აკონკრეტებს ზოგიერთ დეტალს წანარებთან დაკავში-  
რებით და აღნიშნავს – „მაშასადამე, როდესაც მემპტიანე (ვარდან დიდზეა საუბარი, ვ.ე.) იუწყება კავკასიონის მთის ძირას მოსულმა ხალტებმა (ხალდებმა) ახალ სადგომს მათი ძველი საცხოვრისის მიხედვით „წანარქი“, ანუ წანარეთი (წანართა ქვეყანა“ უწოდესო, ამ ძველ საცხოვრისში, ანუ პირველ-  
საცხოვრისში, უეჭველად, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით (ტრაპიზონის მახლობლად) მდებარე ტერიტორია იგულისხმება.“<sup>46</sup>

ბ. სილაგაძე შემდგომ გვამცნობს თუ როდის აიყარნენ წანარები (ხალტები (ხალდები), ქართულ-ბერძნული ტერმინოლოგიით სანები (ზანები, ჭანები) მამაპაუელი მიწა-წყლიდან და რამ აიბულათ ისინი, რომ ასეთ რისკზე წასუ-  
ლიყვნენ: „სანები I საუკუნიდან რომის იმპერიაში შედიოდნენ, – აღნიშნავს მკვლევარი, – და აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ამიტომ აიყარნენ და მიუვალ მთებში გაიხიზნენ. როგორც პროკოფი კესარიალის (VI ს.) ცნობიდან ჩანს, ნაწილს სანებისას ჭოროხის ხეობაში შეუფარებიათ თავი,<sup>47</sup> ნაწილს კი ეტყობა, უფრო შორს კავკასიონის მთებამდე მიუღწევია, იქ დაუდევს

<sup>43</sup> ბ. სილაგაძე, არაბთა ბატონობა საქ-ში, 1991, გვ. 126-137.

<sup>44</sup> Всеобщая история Вардана Великого, М. 18616 стр. 126.

<sup>45</sup> ბ. სილაგაძე, არაბთა ბატონობა საქართველოში, 1991, გვ. 131. Т. Мелики-  
швили, К истории древней Грузии, 19546 стр. 252, თ. ყუხჩიშვილი, სტრაბონის  
გეოგრაფია, XII, 3,18, 1957, გვ. 203; მ. იმნაძე, სანები

<sup>46</sup> ბ. სილაგაძე, დასახ. შრომა, გვ. 131-132, თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო,  
გვ. 43.

<sup>47</sup> მ. იმნაძე, სანები, ქართ. საბჭ. ენციკლ, ტ.9, 1985, გვ. 79.

ბინა და ამ ადგილისათვის უწოდებია წანარეთი. უდავოდ ეს ებიზოდი უნდა ელოს საფუძვლად სომეხი და არაბი ავტორების გადასხვაფერებულ ვერსიებს წანართა ვინაობა-სადაურობისა და ამიერკავკასიაში მათი მოსვლის მიზეზის შესახებ. ამავე დროს ისიც ცხადი ხდება, რომ ქართულსა და არაბულში დამკვიდრებული ფორმები „წანარი“, „წანარეთი“, „სანარი“, „სანარეთი“, უნდა მომდინარეობდეს არა უშუალოდ „სან“-დან, არამედ მისი შესატყვისი სომხური „წანარ“ და „წანარქ“-დან, წინააღმდეგ შემთხვევაში ქართულში უნდა ყოფილიყო „სანი“ (მრ. „სანები“) ან „სონი“ ხოლო არაბულში „სანი“ და „სანიათუნ“ ანუ „სანები“ და „სანეთი“, ე.ი. „წ“ და „რ“ თანხმოვნის გარეშე“.<sup>48</sup>

ბ. სილაგაძე წანარების ვინაობა-წარმომავლობისა და მათი განსახლების შესახებ ჩვენ მიერ აქ წარმოდგენილ მსჯელობა-მომხილვას უკეთებს რეზიუმეს, სადაც ვკითხულობთ „ეს გარემოება, რომ ქართული ეთნიკური სახელი ქართულ ისტორიულ-გეოგრაფიულ წყაროებსა და ლიტერატურაში სომხური ფორმითაა დამკვიდრებული, გამორიცხავს წანართა პირველსაცხოვრისად კავკასიონის რომელიმე რაიონის მიწის შესაძლებლობას და კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის ვარაუდს, მცირე აზიიდან, კერძოდ, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სომხური თემების მეზობლად მდებარე ტერიტორიიდან მათი აქ (კავკასიაში) მოსვლის შესახებ.“<sup>49</sup>

წინამდებარე გამოკვლევებიდან მკითხველი ინფორმირებული ხდება წანართა ვინაობა-წარმომავლობისა და მათი განსახლების თაობაზე უცხოელთა თუ ქართველ მეცნიერ-მკვლევართა ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებებისა და დასკვნების შესახებ, რის გამოც პროფ. ბ. სილაგაძე თავს ვალდებულად თვლის შემდეგი სახის განაცხადი გააკეთოს: „ამრიგად, – შენიშნავს მეცნიერი – თუ სანდო წყაროების მიხედვით გაკეთებული ეს მოკლე ისტორიული ექსკურსი საფუძვლიანია, მაშინ ეჭვი არაა, რომ წანარები (უფრო სწორედ „სანები“) არც ჩეჩნურ-ინგუშური მოდგმის ხალხია, არც ჩერქეზული, არც სვანები, არც კახელები და არც არაბები, არამედ განეკუთვნებიან დასავლეთ-ქართულ ტომთა ოჯახს და მოსული არიან სამხრეთიდან რომაელთა ბატონობის დროს და არა არაბობის ხანაში, ბაღდადის ამირას შიშით, როგორც ამას სომეხი ისტორიკოსი ვარდან დიდი იუწყება“.<sup>50</sup>

გარდა წანართა ვინაობისა და ისტორიული ქართლის აღმოსავლეთის სასაზღვრო რაიონებში მათი მოსულობა-აბორიგენობის საკითხის გარკვევისა, მკვლევართა შორის წანარებისადმი დაინტერესებას ის გარემოებაც იწვევდა და იწვევს დღესაც, რომ განსაკუთრებულად არაბ ისტორიკოსებთან, მხოლოდ წანარებზეა საუბარი, რომლებიც მათ უდიდეს, თითქმის, დაუმარცხებელ აჯანყებებს უწყობდნენ და თავზარს სცემდნენ მრავალათასიანი მეომართა

<sup>48</sup> ბ. სილაგაძე, დასახ. შრომა, გვ. 132.

<sup>49</sup> ბ. სილაგაძე, იქვე.

<sup>50</sup> ბ. სილაგაძე, დასახ. შრომა, გვ. 132-133.

თავდასხმებით. წანარების გვერდით არაბი ისტორიკოსები არ ეხებიან იმდროინდელი დარიალისა და არაგვის ხეობათა ბარისა და მთის ხალხმრავალ „მთიულესა“ და „მთიულეს“, თუმცა, როცა შენიშნავენ, რომ წანარები „ბევრ ადგილობრივ ხალხზე ბატონობენ“ ეს იმას ნიშნავს, რომ მაშინდელი ქართლ-კახეთის მთა-ბარი ხალხმრავალია ადგილობრივი, მკვიდრი და მრავალჭირვარამ გამოვლილი მთისა და ბარის ქართველობით. მაგრამ, მიუხედავად აღნიშნულისა, ისტორიკოსების მიერ მათ მოწინააღმდეგე ქართველთაგან წანარებისათვის თვალში მოსახვედრი პრიორიტეტის მიკუთვნება, როგორც ზეითაც ითქვა, განპირობებული იყო იმით, რომ ისინი ძირითადად ცხოვრობდნენ თერგის, დარიალის და არაგვის ხეობებსა და მათთან მოკიდებულ მთა-გორიან, კლდეებითა და ძნელად სავალი გზა-ბილიკებით საგულდაგულოდ გამაგრებულ ადგილებში, საიდანაც ისინი საიმედოდ იცავდნენ დარიალის კარს, ჯვრის უღელტეხილს და საქართველოსკენ მომავალ დამპყრობლებს პირველნი ისინი უსწორდებოდნენ, რა თქმა უნდა, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად. მაგრამ ეს ყველაფერი მათი ხელმძღვანელობით და მეთაურობით ხდებოდა, რასაც ისტორიკოსები დაბეჯითებით აღნიშნავენ.

ჩვენ გაზვიადებულად, გადაჭარბებულად და რეალური ვითარების უცოდინრობა-შეუფასებლობიდან მომდინარედ მიგვაჩნია არაბ ისტორიკოსებთან ე.წ. „წანართა აჯანყებების“ შესახებ საუბარი, როცა არაბებს მათ წინააღმდეგ გამოყავთ მრავალათასიანი ჯარი და ხშირად მარცხდებიან და ახალ-ახალი დამატებითი ათასეულების ჩაბმით ახერხებენ მიზნის მიღწევას. მაგალითად, არაბი ისტორიკოსის „ალ-იაკუბის თქმით, წანართა აჯანყება, ხაზართა 764 წლის ლაშქრობიდან ცოტა ხანი რომ გავიდა, მაშინ დაწყებულა და მას იმდენად ფართო ხასიათი მიუღია, რომ ხალიფა აბუ ჯაფარ ალ-მანსურს (754-775) მის ჩასაქრობად ალ-ჰასან იბნ კაჰტაბა ატიტაი მოუყვანია 50000-იანი ჯარით. მოუხედავად ასეთი დიდი სამხედრო ძალისა, არმინიის გამგებელს წანარებისათვის ვერაფერი მოუხერხებია მათი მრავალრიცხოვნების გამო და ხალიფასათვის შეველა უთხოვია“.<sup>51</sup>

წანართა მიერ მსგავსი და უფრო ფართო მასშტაბიანი აჯანყებები მრავალი აქვს არაბ ისტორიკოსებს მოხსენიებული, სადაც მხოლოდ და მხოლოდ აჯანყებულთა შორის წანარებს ასახელებენ და სხვებს მაგალითად — კახელებს და ქართლელებსაც კი, თითქოს, არ იცნობენ, მათზე არაფერს ამბობენ, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ და ეს დიდი ხანია ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეულია, რომ ზოგჯერ წანართა აჯანყება სიტყვა-სიტყვით ქართლ-კახეთის აჯანყებას ნიშნავს, უმეტესწილად კი, წანარეთი იგივე კახეთია, ხოლო წანართა აჯანყება იმდროინდელი კახეთის მთისა და ბარის ერთ მუშტად შეკრული სახალხო აჯანყებებია, სახალხო მოძრაობაა, რა თქმა უნდა, წანარებთან ერთად, რადგან ამ დროისათვის წანართა შერწყმა-შესისხლხორცება თანამემამულე კახელობასთან მრავალსაუკუნოვანი

<sup>51</sup> ბ. სილაგაძე, დასახ. შრომა, გვ. 133-134.

პროცესის შედეგა და ისინი ყველანი კახელები და კახეთის მკვიდრნა. იმიტომ არის, რომ ისეთი საინტერესო წყარო, როგორცაა „მატიანე ქართლისა“, წანარებს მხოლოდ ერთხელ მოიხსენიებს.<sup>52</sup> მაშინ, როდესაც ეს მატიანე ქართულ ისტორიოგრაფიაში არის ერთადერთი, რომელიც საკმაოდ საინტერესოდ აღწერს ქართველთა ბრძოლებს არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ, დაწერილებით ეხება საქართველოს ტერიტორიაზე ახლად ჩამოყალიბებულ სამეფო-სამთავროთა შორის წარმოებულ ბრძოლებს თავიანთი სამფლობელოების გაძლიერება-გაფართოებისათვის, ივანე მარუშის-ძისა და დავით კურაპალატის ღვაწლს საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის, ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის ბრძოლებს და შრომა-საქმიანობას ცალკეული „საქართველოების“ გაერთიანებისათვის. კახეთ-ჰერეთის (იგივე რანთა და კახთა) სამეფოს დამოუკიდებლობის გაუქმებას და ერთიან საქართველოსთან შეერთებას, შემდგომ აგრძელებს თხრობას გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ის, გიორგი II-ის მეფობა-მოღვაწეობაზე და არსად აღარ ახსენებს წანარებს. ეს ისეთი დონის მატიანეა და იმ საუკუნეების ისტორიის ამსახველი, რომ მაშინ წანარები რომ კვლავ ხალხმრავალნი ყოფილიყვნენ და მათ გამორჩეული როლი შეესრულებინათ ჩამოთვლილ დონისძიებათა განხორციელებაში, მათზე უეჭველად ხაზგასმით იქნებოდა საუბარი. მოცემულ საუკუნეებში მათი გაკახელების პროცესი დამთავრებული ჩანს და მათი მოუხსენებლობაც აღნიშნულ წყაროში სწორედ ამ ვითარებით უნდა აიხსნას. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც განთქმულ საისტორიო ძეგლში – „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, რომელიც „მატიანე ქართლისა“-ს შეწყვეტილ ისტორიას აგრძელებს და უმაღლესად გადმოგვცემს დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბრწყინვალე ისტორიას არსად არაფერს არ ამბობს წანართა მონაწილეობაზე დავითის მიერ წარმოებულ ომებში და ქვეყნის აღმშენებლობაში. მსგავსი მდგომარეობაა გიორგი III-ისა და თამარის მეფობათა ამსახველ, ფრიად მრავალმხრივ საინტერესო წყაროშიც – „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. წანართა შესახებ არაფერს ამბობს საქართველოში მონღოლთა ასწლოვანი ბატონობის შესახებ დაწერილ „ჟამთააღმწერლობაში“ უცნობი ჟამთააღმწერელ-შემატიანეც. ეს კი ყოველივე იმას ნიშნავს, რომ დასავლურ-ქართული ტომი თუ ტომთა კავშირი: სომხური გამოთქმით „წანარები“, ქართული ტერმინით „სანები“ მოვიდნენ რა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და დამკვიდრდნენ მუდმივ საცხოვრებლად თერგის, დარიალის, არაგვის ხეობებსა და ველმინდვრებზე, ხოლო შემდგომ უფრო თანდათანობით წამოვიდა წანარების (სანების) განსახლების ტალღა დასავლეთით კახეთსა და კუხეთის (ისტორიული კახეთის) მთისა და ბარის ტერიტორიაზე. მოხდა მათი შერწყმა, შესისხლხორცება ოდიტანვე ერთი ჯიშისა და ჯილაგის ხალხთან – კახელობასთან და წანართა – წანარეთის ხსენებაც, მეტყველებიდან თუ წერილობითი ძეგლებიდან, იმიტომ გაქრა ქართული თუ უცხოური ისტორიოგრაფიის ფურცლებიდან.

<sup>52</sup> მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტ. I, 1955, გვ. 252

## 1.8. ერეკლე I-ის პიროვნების ტაგებისათვის

ხსენებული გამოკვლევა მიზნად ისახავს მკითხველს გააცნოს ბაგრატიონთა განთქმული დინასტიის კახეთის შტოს ერთ-ერთი საინტერესო, მაგრამ დღემდე არასრულყოფილად წარმონიღი ბაგრატიონთაგანი ერეკლე I-ი (მაჰმადიანობის მიღების შემდგომ ნაზარალი-ხანად წოდებული), რომელიც 1688-1703 წლებში ქართლში მეფობდა, ხოლო მანამდე კი მან თითქმის სამი ათეული წელი რუსეთში და სპარსეთში იცხოვრა და იმოღვაწევა. 1703 წელს ირანის შაჰმა ერეკლე I ქართლის მეფობიდან გადააყენა, იქ კვლავ გიორგი XI აღადგინა, ერეკლე I კახეთის მეფედ დანიშნა, მაგრამ შაჰმა იგი ირანში გაიწვია და მის ნაცვლად კახეთის გამგებლად დანიშნა მისი უფროსი ვაჟიშვილი დავით II იმამყული-ხანი. ერეკლე I 1709 წელს ირანში გარდაიცვალა, იგი იქვე დაიკრძალა, ხოლო კახეთის მეფედ 1709 წლიდან შაჰის ბრძანებით დანიშნა დავით II იმამყული-ხანი.

ერეკლე ბატონიშვილის ბავშვობა და მის მიერ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩაყარნილი ქვეყნის თანდათანობითი გაცნობიერება, დაეთხვა იმ ავადსახსენებელ ძმათა შორის 1648 წელს განხორციელებულ სამოქალაქო ომს, სადაც ქართლის მეფე როსტომ-ხანმა დიდი უბედურება დაატეხა თავს კახეთის სამეფოს, სასტიკად დაამარცხა კახეთის მეფე თეიმურაზ I, რომელსაც ამ ბრძოლაში დაელუპა უკანასკნელი მემკვიდრე დავითი, ერეკლე ბატონიშვილის მამა და კახთა მეფე თეიმურაზ პირველი იძულებული გახდა მრავალმხრივ შემცირებული ოჯახისა და თანამებრძოლ-თანაგუნდელთა თანხლებით კვლავ იმერეთის სამეფოში გახიზნულიყო. კახეთის სამეფომ დამოუკიდებლობა-სახელმწიფოებრიობა დაკარგა და იგი ირანის შაჰმა როსტომ ქართლის მეფეს დაუქვემდებარა. ასეთ ურთულეს მდგომარეობაში მყოფი თეიმურაზ კახთა მეფე 1653 წელს რუსეთის სამეფო კარზე ავზანის ერთადერთ მემკვიდრე-შვილიშვილს ერეკლე დავითის ძეს, შშობელ დედა ელენე დედოფალთან ერთად, კახელ თავადაზნაურთაგან საგანგებოდ შერჩეული საპატიო ამაღლის თანხლებით. რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძემ კახეთის სამეფოს ელჩობა-დელეგაცია გამორჩეული პატივით მიიღო, ყველა მათგანს ღირსებისა და მდგომარეობის მიხედვით მიუჩინა ადგილსამყოფელი და ასე და ამრიგად მოსკოვში პირველად დაფუძნდა ქართული კოლონა, რომლის მთავარ ფიგურადაც თავიდანვე აღქმული იქნა ერეკლე ბატონიშვილი, როგორც საქართველოს, კერძოდ კი, კახეთის სახელმწიფოს სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრე და საპატიო წარმომადგენელი. იმიტომ იყო, რომ რუსეთის სამეფო ამ ელჩობას თავიდანვე კეთილად შეხვდა და მოსკოვში მათ ცხოვრება-მოღვაწეობას საქართველოში თავისი სამომავლო გეგმები დაუკავშირა.

ხსენებული ელჩობა დაბინავდა თუ არა მოსკოვში თეიმურაზ მეფემ დაიწყო აქტიური, თითქმის შეუჩერებელი კავშირურთიერთობის დამყარება



რუსეთის ხელისუფლებასთან. თეიმურაზ მეფე რუსეთისაგან ითხოვდა დახმარებას, რათა კახეთის სამეფო განთავისუფლებულიყო სპარსეთის უღლისაგან. კახეთისადმი რუსეთის დაინტერესების მიზნით იყო გამოწვეული, როცა თეიმურაზი რუსეთის სამეფო კარზე მაშინ იქ მყოფი ქართველი დედოფლისა და ერეკლე ბატონიშვილის საშუალებით უკავშირდება თუშ-ფშავ-ხევსურეთს და კახეთის მთიელებს მოუწოდებს სასწრაფოდ გააგზავნონ ელჩები მოსკოვში, რომლებიც შეძლებენ დაარწმუნონ რუსეთის ხელისუფლება, რომ კახეთის მთიანეთი თავისუფალია, იქ სპარსელებს ფეხი არ შეუდგამთ და თუ რუსეთი თუშ-ფშავ-ხევსურეთს პლაცდარმად გამოიყენებს, მაშინ რუსთა და ქართველთა ერთობლივი ძალებით წარმატებით გავათავისუფლებთო აღმოსავლეთ საქართველოს. თუშ-ფშავ-ხევსურთა სურვილს და ნატურას ფრთები შეესხა, ისინი ზომ დამპყრობელთა წინააღმდეგ აჯანყების უნით შეპყრობილნი ისედაც დიდი ხანია, რაც ბარის ქართველობისაგან სათანადო მოწოდებას ელოდნენ. სწორედ ამ ვითარებით იყო განპირობებული, რომ 1654 წლიდან თუშ-ფშავ-ხევსურეთი ურთიერთობას ამყარებს რუსეთთან, მოსკოვში თავის წარმომადგენლებს აგზავნის და ალექსი მიხეილის ძეს სთხოვს, რომ მოხედოს ყაენისაგან აოხრებულ ქვეყანას, აღმოუჩინოს მთის ხალხს დახმარება, რათა ერთიანი ძალით განდევნონ სპარსელები კახეთიდან და აღადგინონ კახეთის სამეფო.

თუშ-ფშავ-ხევსურებმა 1657 და 1658 წლებში რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძეს დახმარების თაობაზე წერილობითაც მიმართეს. ეს წერილებიც ელენე დედოფლისა და ერეკლე ბატონიშვილის მიერ მოსკოვიდან თუშ-ფშავ-ხევსურეთში გამოგზავნილი პიროვნებების ხელმძღვანელობით იყო შედგენილი. თუშეთიდან მოსკოვში 1657 წელს გაგზავნილ პირველსავე წერილში თუშ-ფშავ-ხევსურები საგანგებოდ უსვამენ ხაზს თავიანთ გადაწყვეტილებას. „ჩვენ მაგარ ალაგას ვართ და არას კაცს შევეპოვებით. აძენი ხანი არის საქართველოს ყაენი ებრძვის და ჩვენ არც შემოგვიშვია ყაენის კაცი და სადაც მოგვიხელება მოგვიკლავს და მისი სარდალი გაგვიქცევიდა და ლაშქარი გაგვიწყვეტია. აწე, დიდო ხელმწიფე, ჩვენი ხელმწიფე ყენმა წახდინა და ზურგი აღარ სადით გვექონია და მღვთისაგან ველოდებოდით, რომე ერთი შენი ბრძანება და კაცი მოგვესლიყო. აწე, მოგვივიდა შენი ბრძანებაცა და ჩვენის დედოფლის კაციცა და თქვენი ბრძანება გაგვითავებია და შენ შემოგხეყნივართ და შენთვის თავი დაგვიკრავს. გვიმსახურე და გვალაშქრე, ამ დღემოთ შენი ყმანი შევექმნილვართ.“<sup>1</sup> 1658 წელს მოსკოვის მეფისადმი გაგზავნილ მეორე წერილში კი ნათქვამია: „...მღთივ გვირგვიროსანო, მეფეთ მეფე, დიდო მეფე, ბატონო ალექსი მეხეილის შვილო: თქვენმა მონღობილმა ქვეყანამა თუშეთმა, ფშავმა და ხევსურმა სრულად ერთობილთა თავი დაგვიკრავს და

<sup>1</sup> М. Броссе, Переписка на иностранных языках рузинских царей и российских государей от 1639 по 1770. С П Б, 1861. стр. 75.

თქვენს ნადგომს მიწას ვმთხვევნივართ. აგრეთვე ამასწინათაც, დიღო ხელმწიფევე, ჩვენი ელჩები გაახელით და სრულად ერთობილთა თავი დაგიკარით და ასრე მოგახსენეთ, რომე ჩვენ ერთი ღმერთი ვიცით და მეორე საქართველოს ხელმწიფე, მეფე თეიმურაზ და ჩვენ სხვას ურჯულოს კაცის ხელქვეით არა ვყოფილვართ და გვიმსახურებია და ახლა ჩვენს ხელმწიფესა ურჯულო ყვენმა დასძლივა და რადგან თქვენს ხელთ ქვეშ შევიქმნებით და არც უსიკვდილოდ ურჯულოს კაცის ყმობა არ შეგვიძლიან, თუ არ ქრისტიანის ხელმწიფის“.<sup>2</sup>

ეს დიპლომატიური მიმოწერა მოსკოვის მეფესთან, როგორც ითქვა, კახეთის მეფის თეიმურაზ პირველისა და მოსკოვში ალექსი მეფის კარზე მყოფი ერეკლე ბატონიშვილისა და მისი ღვინის ღვინოვალ ელჩენესაგან უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი. მათი მიზანი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მტრის წინააღმდეგ ამხედრება და კახეთის სამეფო ტახტის დაბრუნება იყო. ისინი, როგორც ჩანს, სწორად ფიქრობდნენ და გააზრებულად აცნობიერებდნენ, რომ მთიელები კახეთში თეიმურაზ მეფის ხელისუფლების აღდგენით დაინტერესებულნი იყვნენ, ამისთვის მათ ეკონომიკური მიზეზიც ჰქონდათ. რუსეთს, თავის მხრივ, თუშეთის გეოგრაფიული მდებარეობა და მისი მეომარი ძალების გამოყენება აინტერესებდა – შეიძლება თუ არა თუშეთზე დაყრდნობით, ქართლ-კახეთიდან ირანელთა განდევნა და რუსეთის პოზიციების განმტკიცება კახეთში.

1658 წელს თეიმურაზ პირველი იძულებული გახდა მოსკოვში გამგზავრებულიყო. მეფის ამაღლას თერგის ციხეში შეხვდა თუშთა 8-კაციანი ელჩობა, ისინი ერთად ჩავიდნენ მოსკოვში, მაგრამ ამას არსებითი შედეგი არ მოჰყოლია. თეიმურაზ პირველისა და ერეკლე ბატონიშვილის ხელმძღვანელობით ამხედრებული მთიელთა მოქმედება კახეთის მმართველს სელიმ-ხანსა და ირანის პოლიტიკურ მოღვაწეებს შეუძწნეველი არ დარჩენიათ. კახეთში მოკალათებულმა სელიმ-ხანმა ირანის ხელისუფალთ დახმარებით 1659-1660 წლებში კახეთის ყველაზე საუკეთესო ველ-მინდვრებში ერთდროულად ჩაასახლა 15 ათასი თუქრმანთა კომლი,<sup>3</sup> 100 000 სული მეჯოგე თურქმანი.<sup>4</sup>

ქართლ-კახეთის თანდათანობითი დაპყრობით გათამამებული ირანი უფრო აქტიურ მოქმედებაზე გადადის და კახეთს ორ ნაწილად ჰყოფს. კახეთის მიწა-წყლის ოთხი მეექვსედის მმართველობა ყარაბაღის ბეგლარ-ბეგს მურთაზა ყული-ხანს, ხოლო ორი მეექვსედისა ნახჭევანის მმართველს ალი

<sup>2</sup> М. Броссе, Переписка на иностранных языках рузинских царей и российских государей от 1639 по 1770, С П Б, 1861, стр. 229.

<sup>3</sup> ვ. ფუთურიძე, მოჰამედ თაჰარის ცნობები საქართველოს შესახებ (მასალები საქსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1953, გვ. 393).

<sup>4</sup> ი. ცინცაძე, საქართველოს მთიანეთის (თუშ-ფშავ-ხევსურეთის) რუსეთთან ერთიერთობის ისტორიიდან (მე-17 საუკუნის შუა ხანები), ჟურნ. „მნათობი“, №2, 1956, გვ. 183

ყული-ხან ქენგერლუს გადაეცა და ხსენებული ელებიც ოთხი მეექვსედის და ორი მეექვსედის ანგარიშით მათ შორის იქნა განაწილებული“.<sup>5</sup> კახეთში აშენდა ბახტრიონისა და ყარაღაჯის ციხესიმაგრეები, ალავერდიც ციხესიმაგრედ გადაკეთდა, სადაც სპარსთა ცხენოსანი გარნიზონები განთავსდა და კახეთი, მითუმეტეს მისი ბარი, მთლიანად სპარსთა კონტროლის ქვეშ მოექცა. კახეთში შექმნილი მდგომარეობა იმდენად რთული და კრიტიკული იყო, რომ დრო აღარ ითმენდა, რუსეთიდან კი დახმარების არავითარი ნიშანწყალი არ ჩანდა. მოსკოვში მყოფი თუშ-ფშავ-ხევსურთა 8-კაციანი ელჩობის პასუხს, თვით მოსკოვში მყოფი თეიმურაზ მეფისა და ერეკლე ბატონიშვილის პოზიციასაც აღარ დაელოდა ქართლ-კახეთის მთისა და ბარის მოსახლეობა, მტრის გაუღელტის და ქვეყნის დამპყრობთაგან განთავისუფლების უნით ერთ მუშტად შეკრულნი 1660 წელს აწყობენ სახალხო აჯანყებას და ბრწყინვალე გამარჯვებით ამთავრებენ ხსენებულ სახელოვან ეპოპეას.<sup>6</sup> საქართველოსკენ უკან დაბრუნებულმა თეიმურაზ კახთა მეფემ გზად შეიტყო კახეთის 1660 წლის აჯანყების შესახებ, რამაც ხანდაზმული და მრავალ-ჭირვარამგამოვლილი მეფე დიდად გაახარა და ასტრახან-თერგიდანვე მისწერა წერილი შვილიშვილს – ერეკლე ბატონიშვილს, რათა სასწრაფოდ წამოსულიყო სამშობლოში და სათავეში ჩასდგომოდა მტერთაგან მრავალგზის ნაოხარ კახეთს.

ასტრახანში ჩამოსულ ქართველთა ელჩობისათვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოში მათი დაბრუნებისთანავე არასახარბიელო მდგომარეობა იყო. მართალია, 1660 წლის კახეთის აჯანყებამ გააცამტკერა ირანის საზიზღარი გეგმა და საქართველო გადაურჩა უდიდეს საფრთხეს,<sup>7</sup> მაგრამ აჯანყების შემდგომ სპარსეთი კვლავ ცდილობდა ქართლ-კახეთში აღადგინოს დაკარგული პოზიციები, რასაც მოჰყვა ბახტრიონის აჯანყების ლეგენდარული გმირი ზეზვა გაფრინდაულის მეთაურობით თუშ-ფშავ-ხევსურთა და კახეთის ბარის გულანთებული ვაჟკაცების ერთ მუშტად შეკრული ორწლიანი პარტიზანული ბრძოლები.<sup>8</sup> სწორედ ასეთ ვითარებაში, როცა კახეთში ახლად მომრავლებული სპარსელი დამპყრობლების ხოცვა-ჟლეტა მიმდინარეობდა, თუშეთი და ქართლ-კახეთი კვლავ აქტიურად ურთიერთობს რუსეთის სამეფოსთან და მისგან ასტრახანში ჩამოსული ერეკლე ბატონიშვილის თუშეთში გაშვებას თხოულობდნენ. ასტრახანში თუშთა ელჩები ორჯერ ჩავიდნენ: 1660 წლის შემოდგომაზე და 1661 წლის მაისში. „მათი მიზანი იყო კიდევ ერთხელ

<sup>5</sup> ვ. ფუთაურიძე, მოჰამედ თაქერის ცნობები საქ-ოს შესახებ, გვ. 394.

<sup>6</sup> შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, ნ. ასათიანი, ბახტრიონის გმირული ეპოპეა, გაზ. „კომუნისტი“, №82, 1959წ; ნ. ასათიანი, ბახტრიონის გმირული ეპოეის 300 წლისთავის გამო, ჟურ. „მნათობი“, №8, 1959.

<sup>7</sup> ვ. ელანიძე, ზეზვა გაფრინდაული, 1997.

<sup>8</sup> გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, 1959, გვ. 419-426.

შეთავაზებინათ ერეკლესა და დედამისისათვის თუშეთში წასვლა და ერთ-გულება აღეთქვათ მათთვის. ქართველთა ელჩებიც თუშეთში წასვლას სთავაზობდნენ ერეკლეს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ იქიდან „...თავისი შიკრიკი გაგზავნოს შაჰის თბილისის ხანთან (შაჰნავაზთან – თ.ტ.), რომ შაჰის წინაშე გამოექომაგოს. შაჰთან კი ბატონიშვილმა წერილი გაგზავნოს, ვითომ იგი, ბატონიშვილი შაჰს დამორჩილდა, ასე მოიქცეს იგი მოტყუებით და, რასაც შაჰი უპასუხებს, ქართველები (იგულისხმებიან კახელები თ.ტ.) და ქართლები იმის მიხედვით მერე მოიფიქრებენ, თუ რა მოიმოქმედონ, მანამდე კი, დროებით ბატონიშვილმა თუშეთში უნდა იცხოვროს“-ო.”

ქართლ-კახეთის წარმომადგენლებს თუშეთი ირანის საწინააღმდეგო ბრძოლების საწარმოებელ ფორპოსტად მიაჩნდათ.<sup>9</sup> იმავე აზრისანი იყვნენ ერეკლე ბატონიშვილი და ელენე დედოფალი, რომლებიც კატეგორულად მოითხოვდნენ თუშეთში გაშვებას, რათა იქიდან თავისი ხალხი დაეგზავნათ იმერეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში მომხრეების შესაკრებად.<sup>10</sup> პროფ. ი. ცინცაძე ამ საკითხთან დაკავშირებით მიუთითებდა: „თეიმურაზ მეფის რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგის თანამშრომლებთან მოლაპარაკების მასალიდან ჩანს, რომ თუშების ქვეყანა დასაყრდენი უნდა გამხდარიყო თეიმურაზისთვის იმის შემდეგ, როცა რუსეთიდან დამხმარე ლაშქარს მიიღებდა და საარსთა ძალმომრეობისაგან კახეთის დასახსნელად ბრძოლა დაიწყებოდა“.<sup>11</sup>

ერეკლე ბატონიშვილს ასტრახანში გარკვეული დროით მოუხდა გაჩერება, რადგან საქართველოში იმხანად არსებული პოლიტიკური ვითარება რუსეთის ხელისუფლებას უკარნახებდა ისეთი გზა გამოენახა, რომელითაც ბატონიშვილს უსაფრთხოების გარანტიაც ექნებოდა და საქართველოში რუსეთის ინტერესებიც სასურველ შედეგს მიაღწევდა. არსებული სიტუაციიდან რაიმე გართულების გარეშე გამოსვლის ერთადერთ სწორ ვარიანტად რუსეთსაც ბატონიშვილის თუშეთში გაშვება მიაჩნდა, რადგან, როგორც ცნობილია, 1658 წლიდან თუშეთი რუსეთის ქვეშევრდომი ქვეყანაა და, ამ შემთხვევაში, იგი რუსეთისათვის ნეიტრალური ადგილია, სადაც ბატონიშვილი რუსეთის მეთვალყურეობის ქვეშ იცხოვრებდა და გარანტირებული იქნებოდა მისი ხელშეუხებლობა. სიანტერესოა თვითონ ერეკლე ბატონიშვილის პოზიცია არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით, რაც კარგად ჩანს 1661 წლის 10 აგვისტოს რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძისადმი მიწერილი წერილიდან

<sup>9</sup> თ. ტივაძე, საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში, 1977, გვ. 83-84; გ. პაიჭაძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660-1685 წწ), „საისტორიო მოამბე“, ტ. 23-24, 1970, გვ. 159.

<sup>10</sup> გ. პაიჭაძე, იქვე, გვ. 158; ი. ცინცაძე, დასახ. შრომა, გვ. 181.

<sup>11</sup> გ. პაიჭაძე, იქვე.

<sup>12</sup> ი. ცინცაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 181; თ. ტივაძე, დასახ. შრომა, გვ. 84.

<sup>13</sup> თ. ტივაძე, დასახ. შრომა, გვ. 90.

„...თუ ინებუბ დიდო ხელმწიფევე, — მიმართავს ბატონიშვილი რუსეთის მეფეს, — და საქართველოსა და თუშეთის მიწა-წყალზე შემეკითხები: ჩამოვიდნენ დიდო ხელმწიფევე, საქართველოსა და თუშეთიდან ხალხი და მუხლმოდრეკით მუხვეწებიან მე, შენს ქვეშევრდომს, რომ წავიდე მათთან საქართველოსა და თუშეთში. მეფეო, საქართველოში რომ სალაშქროდ მოვიდნენ ყიზილბაშები, ის ხალხი განწყვიტეს ქართველებმა და თუშებმა. ახლა, ქართველები და თუშები ერთ ადგილას არიან თავშეყრილნი და მე, შენს ქვეშევრდომს, მელოდებიან და ხშირ-ხშირად მიგზავნიან წერილებით შიკრიკებს, ჩვენ კი, შენი ქვეშევრდომები, შენი, დიდი ხელმწიფის, ნებართვის გარეშე, ასტრახანიდან წასვლას ვერ ვბედავთ“—ო.<sup>14</sup>

რუსეთის გადაწყვეტილებაზე თუშეთში ერეკლე ბატონიშვილის გაგზავნის თაობაზე, რა თქმა უნდა, დადებითად უნდა ემოქმედა თეიმურაზ მეფის წერილსაც ხელმწიფისადმი, სადაც კკითხულობთ: „...მე შენი მონა-მორჩილი, თეიმურაზ მეფე... ვთხოვ თქვენს უდიდებულესობას: ჩემი შვილიშვილი, უფლისწული ირაკლი, გამოგზავნე კახეთის ქალაქში, ჩემს სამფლობელოში, იგი თქვენი სამეფოს მონა-მორჩილი იქნება“—ო.<sup>15</sup>

დიდი ბჭობისა და ყველა ნიუანსის გათვალისწინების შემდგომ რუსეთის ხელისუფლებამ ნება დართო ბატონიშვილს თუშეთში გამგზავრების თაობაზე. ასტრახანიდან ბატონიშვილი გაემგზავრა 1661 წლის შემოდგომაზე და 1662 წლის პირველ ნახევარში ის უკვე თუშეთშია.

რუსეთის სამეფო კარის საგარეო საქმეთა უწყების ჩანაწერებიდან ისიც კარგად ჩანს, თუ თუშები ერეკლეს თუშეთში საცხოვრებლად გადასვლას, მის იქ ყოფნას რატომ და რისთვის მოითხოვდნენ და რას ფიქრობენ სამომავლოდ. ისინი არც მალავენ, იმთავითვე აცხადებენ, რომ თუშებს სხვა ქართულ ძალებთან ერთად, რომელთაც ბატონიშვილი ჩაუდგება სათავეში, აჯანყების შემდგომ კახეთში ხელახლა მოძრავლებული სპარსელების გაფლეთა და კახეთში სამეფო ხელისუფლების აღდგენა სურდათ.<sup>16</sup>

ერეკლე ბატონიშვილის თუშეთში მისვლას ვახუშტი თავის „საქართველოს ცხოვრებაში“ რამდენჯერმე ეხება და აღნიშნავს, რომ „ხოლო წელსა (1662) მოვიდა ძის, ძე თეიმურაზისა დავითის ძე ნიკოლაოზ, რომელსა ეწოდა ერეკლე თუშეთს, რამეთუ ამას ზრდიდა რუსთა ხელმწიფე ალექსი, ვითარცა ძესა“.<sup>17</sup>

1662 წელს თუშეთში გადმოსულ ერეკლეს დიდი და სწრაფი სამზადისი ჩაუტარებია კახეთიდან სპარსი დამპყრობლების განდევნისათვის სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლების გასამართავად. ბატონიშვილს სულ რამდენიმე

<sup>14</sup> თ. ტივაძე, დასახ. შრომა, გვ. 91.

<sup>15</sup> ი. ცინცაძე, დასახ. შრომა, გვ. 183.

<sup>16</sup> ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა; 1913. გვ. 191.

თვის განმავლობაში მოუხერხებია მთისა და ბარის მოსახლეობის გაერთიანება და კახეთის განთავისუფლებისათვის საგანგებოდ მომზადებულია. „ესე ჰსცნა შაჰნაოზ მეფემან, – წერს ვახუშტი, – და წარმოაქვინა სპითა მუხრანის ბატონის შვილი პაატა და ერისთავი ოთარი: ესენი მოვიდნენ ურიათუბანს: ეწყო მუნ ერეკლე კახითურთ, თუშთ და შემდგომად ბრძოლისა იძლია ერეკლე და ლტოლვილი შევიდა თორღის ციხესა შინა“. <sup>17</sup> ერეკლეს უკან გაბრუნება და მდინარე სტორის მარჯვენა კალთებზე მდებარე კლდე-ქარაფიან გორაზე ამუშებულ თორღვას ციხეში მისი შესვლა და გამაგრება სასწრაფოდ უცნობეობათ შაჰნაევზ მეფისათვის. მაშინ „მან შეკრიბნა სპანი და შთამოვიდა კახეთს და მოადგა ციხესა თორღვისასა. მაშინ შემჭირდნენ მეციხოვნენი, რამეთუ იყო დედით ერეკლე მუნ: ამისათვის ევედრა დედა ერეკლესი შაჰნაოზ მეფესა, რათა მისცეს გზა და განუტევოს: მან უსმინა და განუტევა და ფარულად და მივიდა კვალად თუშეთსეუ. ხოლო შაჰნაოზ დაიპყრა კახეთი და წარვიდა ტფილისს ჩქ გ (1663) წელს“.<sup>18</sup>

ვახუშტი თავის განთქმულ შრომაში „საქართველოს ცხოვრება“ ორჯერ ეხება ურიათ-უბნის ბრძოლას და ორგანვე, თუმცა ერთი და იგივე ამბავია გადმოცემული, ორი ურთიერთ განსხვავებული თარიღი გვხვდება – 1663 წელი და 1664 წელი.

ურიათ-უბნის ბრძოლას ვახუშტი პირველად ქართლში ვახტანგის გამეფების შედეგად შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის მიმოხილვისას ასახავს, ხოლო მეორედ – კახეთის აჯანყების დამთავრებისა და კახეთში სელიმ-ხანის ნაცვლად მურთუზალი-ხანის დანიშვნის შემდგომ დროინდელი ქართლ-კახეთის პოლიტიკური ატმოსფეროს გახსენებისას.

ურიათ-უბნის ბრძოლა, ვახუშტის ცნობით, 1663 წელს მომხდარა. სათანადო ციტირებით უკვე აღვნიშნეთ, სადაც პირდაპირ მითითებულია სოფელი ურიათ-უბანი და 1663 წელი. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს სხვა მიმოხილვის დროსაც, იმ განსხვავებით, რომ აქ ბრძოლის თარიღად 1664 წელია დასახელებული, ხოლო როგორც ზემოთ ვთქვით, შინაარსი ერთი და იგივეა: „ხოლო ოდეს მოსრნა ზაალ ერისთავმა ელნი კახეთს, – წერს ვახუშტი, – მაშინ მოუწოდა ამ ზაალ ბატონის თეიმურაზის ძის ძეს ერეკლეს რუსეთიდან, რათა ჰყოს მეფედ და ამ ჟამთა მოსრულ იყო თუშეთს და ბრძოდა კახეთს. ესე აცნობა შაჰნაოზ მეფე-მან ყვენსა, და მან მოუშენო ანუ შეიპყრას, ანუ განაძოს ერეკლე და მოსცნა ყოველნი ხანნი, რომელნი მორჩილებდნენ როსტომ მეფესა; მაშინ შემოიკრიბნა სპანი და უჩინა სასაქეტად დათუნა ძმის-წული თვისი მეფე-მან და წარავლინა კახეთს. მოვიდაცა ერეკლე კახეთს სპითურთ ურიათ-უბანს, ეწყვნენ მუნ ქართველნი და ბრძოლასა იძლიენენ კახნი და ივლტორდა ერეკლე და შევიდა თორღის ციხესა შინა.

<sup>17</sup> ვახუშტი, იქვე.

<sup>18</sup> ვახუშტი, იქვე.

ხოლო ქართველნი მოვიდნენ წინაშე მეფისა, მასვე ჟამსა შემოიკრიბნა მეფე-მან საპანი ავიხინი სრულიად ხანებითურთ და მოვიდა თორღას და მოადგა გარს. ხანსა რაოდენსაჲმე შინა შემჭირდნენ ციხოანნი. ამისთვის დედა-მან არკელესა-მან მოუგზავნა მეფესა ვედრება, რათა განუტევოს ფარულად. „რამეთუ უჯერო არს შენდა ტყვეობა და მაჰმადიანობა ჩუენი“. უსმინა მეფემან და განუტევა ფარულად და წარვიდა ერეკლე თუშეთს ჩქ დ (1664) წელს“.<sup>19</sup>

აქ მოტანილი ამონაწერებიდან ჩანს, ვახუშტი ნამდვილად, როგორც ერთგან, ისე მეორეგან, ურიათ-უბნის ბრძოლაზე ლაპარაკობს. მათში დიდი განსხვავება არ არის, გარდა იმისა, რომ ერთგან ბრძოლის თარიღად 1663 წელია მიჩნეული, ხოლო განმეორებით ამავე აზრის გადმოცემის დროს 1664 წელს უნდა მომხდარიყო: 1662 წელს თუშეთში მოსული ერეკლე 1664 წლამდე უმოქმედოდ ვერ გაჩერდებოდა, რის თქმის უფლებასაც თვით ვახუშტისავე სიტყვები გაძლევს. როცა ამბობს, რომ „ამ ჟამთა მოსრულ იყო თუშეთს და ბრძოლა კახეთს. ესე აცნობა შანაოზ მეფემან ყენსა, და მან მოუმცნო ანუ შეიპყრას, ანუ განაძოს ერეკლე“. ეს სიტყვები ამტკიცებს, რომ ერეკლე ბატონიშვილს თუშეთში გადმოსვლისთანავე დაუწყია ბრძოლები კახეთის ხელში ჩასაგდებად, რასაც მოჰყოლია კიდეც ურიათ-უბნის ბრძოლა, რაც ნამდვილად 1663 წელს იქნებოდა. გარდა ამისა, თვით ვახუშტი გვეუბნება, რომ თორღვას ციხიდან ერეკლეს თუშეთში გაშვების შემდეგ ვახტანგი უკან მობრუნებულა, კახეთი დაუწყნარებია და სასწრაფოდ თბილისში წასულა – 1663 წელს. ურიათ-უბნის ბრძოლა რომ 1663 წელს უნდა მომხდარიყო და არა 1664 წელს დასტურდება იმითაც, რომ ერეკლე ბატონიშვილსა და ვახტანგ ქართლის მეფეს შორის გამართულ ძმათა სისხლის ღვრის დროს კახეთის მომავალი მეფე არჩილ ვახტანგის ძე არსადა ჩანს, იგი ამ წელს, როგორც თვით ვახუშტი გადმოგვცემს, სპარსეთშია და, რა თქმა უნდა, მასში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. „ხოლო შანაოზ აღიღო ციხე თორღისა და ყოველი კახეთი და დაიპყრა იგი და მოვიდა ტფილისს: არამედ არჩილს შთასრულსა მაზანდარანას პატივ-სცა ყენ-მან და შეიყვარა ფრიად, მერმე მაჰმადიანჰყო გივითურთ, მისცნა ნიჭნი და კახეთი სამეფოდ.“<sup>20</sup>

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, არჩილი ყენმა 1664 წელს გაამეფა კახეთში, თორღვას ციხის აღების დროს კი არჩილი სპარსეთში ყოფილა. ამგვარად, ყოველგვარი ფაქტები და არსებული საბუთები ადასტურებენ: ურიათ-უბნის ბრძოლა 1663 წელს მომხდარა.

დასმულ საკითხთან დაკავშირებით საგულისხმო ცნობებს გვაწვდის ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძეც. იგი ამბობს: „მოეწონა სიმხნე და სიკეთე არჩი-

<sup>19</sup> ვახუშტი, დასახელებული შრომა, გვ. 80.

<sup>20</sup> იქვე.

ლისა, დასდვა პატივი, ვითარცა შეილი მამას მისვლოდა, ებოძე საბოძვარი მრავალი და კახეთის ბატონობა, რჯული მისი და დაარქვა სახელად შაჰნაზარ-ხანა. არად ინება კახეთი, ამისათვის, რომ ბატონის თეიმურაზის შეილის-შეილი ძე ღვეითისა ერეკლე ყმაწვილი დარჩომილიყო და არჩილს და ედგა მისი. მაგრამ ყენი უწყებოდა. წინათ ამისად ებრძანა მეფის შანაოზისათვის დაჭირვა ერეკლესი და გაგზავნა: მოუხდა კახეთს. შემოადგა თორღვას და გააპარეს კახთ ერეკლე და წავიდა რუსეთს: „რადგან კახეთი უპატრონო იყო, აღარ მოეშენენ მეფეს არჩილს, დამორჩილდა ბრძანებასა ხელმწიფისასა, უბოძა საბოძვარი მრავალი და გამოისტუმრა ღიდის პატივითა, მობრძანდა კახეთს, შეიქმნა სიხარული ღიდი და განსვენება“.<sup>21</sup>

აქ კვლავ საუბარია ურიათ-უბნის ბრძოლასა და მის შემდგომ შექმნილ ვითარებაზე. ისტორიკოს სეხნია ჩხეიძის მიხედვით კვლავ მტკიცდება, რომ თორღვას ციხიდან ერეკლეს წასვლის შემდეგ, „რადგან კახეთი უპატრონოდ იყო“, ყენს არჩილი დამორჩილებია და კახეთის მეფედ დამჯდარა, რაც ერთხელ კიდევ მიუთითებს: ურიათ-უბნის ბრძოლა 1663 წელს იქნებოდა და არა 1664 წელს.

სეხნია ჩხეიძის ნათქვამი: „შემოადგა თორღვას და გააპარეს კახთ ერეკლე და წავიდა რუსეთს“, დაზუსტებას საჭიროებს, რადგან, ჯერ ერთი, რომ თორღვას ციხიდან ერეკლე კი არ გაუპარებიათ, არამედ წინასწარ შეთანხმებულიან მეფესთან და ისე გაუშვიათ, მეორეც, თორღვას ციხიდან ერეკლე ბატონიშვილი რუსეთში კი არ წასულა, არამედ ის კვლავ თუშეთში ბრუნდება და 1665 წლამდე იქ რჩება.

ურიათ-უბანთან გამართული ბრძოლის უშედეგოდ დამთავრებისა და თორღვას ციხიდან უვნებლად კვლავ თუშეთში დაბრუნების შემდეგ ერეკლე ბატონიშვილი მაინც არ ცხრება და მომავალი ბრძოლებისათვის ემზადება. კახეთის მეფედ არჩილის დანიშნამ, ეტყობა, ერეკლე ბატონიშვილში ღიდი აღშფოთება გამოიწვია და საგრძნობლადაც ააჩქარა იგი. ერეკლე პირველი სასწრაფოდ დარაზმავს თუშეთის მოსახლეობას და 1664 წლის გაზაფხულში, რაკილა კაკასიონის მთები გაშრა და საცალფეხო ბილიკები გამოჩნდა, დროგამოშვებით თავს ესხმის მამა-შვილთ: ქართლ-კახეთის მეფეებს და კახეთის ხელში ჩაგდებას ლამობს. „...მერმე მაჰმადიან-ჰყო გივი-თურთ, მისცნა ნიჭნი და კახეთი სამეფოდ, წარმოავლინა და მოვიდა კახეთს ამასვე ქორონიკონსა (საუბარია არჩილ მეფეზე, მის გამაჰმადიანებაზე და კახეთში გამეფებაზე, რომელიც 1664 წელს მომხდარა, ვ.ე.) ამ ფაშებათა კვალად იწყო ერეკლემ კირთება კახეთისა“.<sup>22</sup>

<sup>21</sup> საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა (იხ. ზ. ჭიჭინაძის საქართველოს ისტორია, 1913, გვ. 2-3).

<sup>22</sup> ვახუშტი, დასახელებული შრომა, გვ. 80.



კახეთში მეფედ ახლად დანიშნულ არჩილზე თავდასასხმელად თუშეთიდან ჩამოსული ერეკლე ბატონიშვილის შესახებ გავრცელებულ ხმას სასწრაფოდ მიუღწევია ვახტანგ მეფემდე, რომელიც მაშინვე გამობრუნებულა შვილის დასახმარებლად. „ხოლო ამისი მსმენელი შანაოზ მეფე შეკრებული სპითა მოვიდა კახეთს და დასდგა აწყვერს.“<sup>23</sup>

ამჯერად ერეკლე ბატონიშვილს შებმა ვერ გაუბედია. სწრაფად გასცლია იქაურობას, დროებით დაუტოვებია კახეთი, თუშეთში დაბრუნებულა. „ხოლო ერეკლე ვერ წინააღმდეგი წარვიდა კვალად თუშეთსა და დასცხრა კირთებისაგან“.<sup>24</sup>

ერეკლე ბატონიშვილის კახეთიდან სასწრაფოდ უკან დაბრუნებამ და თუშეთში გადასვლამ შანაგვაზი შეცდომაში შეიყვანა. ქართლის მეფე დარწმუნებული იყო, რომ ერეკლე მათ წინააღმდეგ ბრძოლას აღარ დაიწყებდა და ქართლიდან მოყვანილი რჩეული ჯარი უკან გაუშვია. „მისთვის შემდგომაც მეფემან განუტევა სპანი ყოველნი და მცირედითა წარჩინებულით და სპითა დაადგნა აწყვერსავე“.<sup>25</sup>

კახეთში შექმნილი მდგომარეობა, კერძოდ ის, რომ ვახტანგ ქართლის მეფემ მოყვანილი ჯარის უმრავლესობა უკან გააბრუნა, კახელებს ერეკლესათვის უცნობებითა და თანაც მამა-შვილზე მოულოდნელად ტავდასხმის გეგმა შეუთავაზებიათ: „ესე აცნობეს კახთა ერეკლეს და მოუწოდეს თავს დასხმად შანაოზისად“.<sup>26</sup>

ერეკლე ბატონიშვილი კახელების დაძახებისთანავე გამობრუნებულა უკან და თუშეთიდან ჩამოყვანილ თუშ მეომართა და კახელთა ერთი ნაწილის დახმარებით ქართლ-კახეთის მეფეებისათვის სამეკდრო-სასიცოცხლო ბრძოლები გაუმართავს სოფელ აწყურთან. „მოვიდა ერეკლე თუშ-კახითა და დაესხა მეფესა ღამესა ბნელსა. არამედ შესცდნენ მეფის კარვისა და დამსხმელნი და დაესხეს ამილახვორისასა: მაშინ გივი ივლტოდა შიდა ქართველით და გაჰყენენ საციციანონიცა სულტანი ბაიდრისა. გარნა დაშთნენ რომელნიმე მათგანნიცა: ხოლო მეფემან უბრძანა განმაგრებად ყოველთა სადგურთა თვისთან, და თვით შევიდა ტალაუარსა ერთსა ძით თვისით არჩილით და მოსრვიდნენ მოსრულთა თუშთა ეგრეთ: მაშინ აგინებდა მეფესა თუში ვინმე ბილწად, ამაზედ განვიდა თამაზ თურქისტანიშვილი, ბრძოდა, მოჰკლა იგი და მოართვა თავი მეფესა: მერმე რიფრაჟსა ბრძანა მეფემან დაძახება ბუკისა და აღსდგომა ცხენთან.

მსმენელთა თუშთა ჰსცნეს მუნვე ყოფნა მეფისა და მყისვე ივლტოდნენ: მოუწია ციციშვილი ზაზა სპასპეტი საბარათიანოსი მარტო და შეაყენნა

<sup>23</sup> ვახუშტი, იქვე.

<sup>24</sup> ვახუშტი, იქვე. 192

<sup>25</sup> ვახუშტი, იქვე, გვ. 80

<sup>26</sup> ვახუშტი იქვე, გვ. 192.

იგინი. არამედ მოსულასა სპათასა ეკვეთენ ძლიერად და შემუსრა ბრძოლითა ზაზამ შუბითა ხუთი. გარნა მოსწყვიტეს სიმრავლითა რამეთუ ადაგო თავთა მათთაგან კოშკი მეფემან და ტყავნი თავთავნი წარუვლინა ყვენსა.<sup>27</sup> ასეთი იყო შინაფეოდალური ომის სამწუხარო სურათი. ქართლ-კახეთში სპარსეთის დამპყრობლური პოლიტიკის დამკვიდრება-მომძლავრების წინააღმდეგ თავდადებულ და შეურიგებელ მებრძოლ თუშ მეომართა თავის ტყავებს, რომელიც საჩუქრად გაუგზავნა ყაენს ვახტანგ მეფემ, დიდად გაუხარებია ირანის მბრძანებელი, რის საფასურადაც ყაენს დიდი მადლობა და წყალობა მიუნიჭებია მამა-შეილისათვის: „ამისწილ მოანიჭა ყვენმან ნიჭნი უზომონი და დიდნი. მერმე შესცვალნა ურჩნი კახეთისანი და დაადგინნა მორჩილნი თვისნი და დაიპყრა არჩილ კახეთი მტკიცედ“.<sup>28</sup>

აწყურის ბრძოლის თარიღიც დაზუსტებასა და დადგენას საჭიროებს. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით ორი წარმოდგენა გვეძლევა აწყურის სახელწოდებით ცნობილი ბრძოლების თარიღის შესახებ: ერთგან ისტორიკოსი ამბობს: „არამედ მეორესა წელსა იწყო კირთება განზარვითა კახთათა ერეკლემ კახეთისა“.<sup>29</sup> აქ ავტორი არჩილის კახეთში გამეფების მეორე წელს გულისხმობს. ჩვენ კი ვიცით, რომ აწყურის ბრძოლა 1665წელს მომხდარა. მაგრამ ვახუშტის ისტორიაში გვხვდება სხვა ცნობებიც, რომელთა მიხედვითაც აწყურის ბრძოლები 1664 წელს მომხდარა და არა 1665 წელს. „მაჰმადიან-ჰყო გივით-ურთ, მისცნა ნიჭნი და კახეთი სამეფოდ, წარმოავლინა და მოვიდა კახეთს ამასვე ქორონოკონსა (საუბარია 1664 წელზე ვ.ე.), ამ ჟამებათა კვალად იწყო ერეკლემ კირთება კახეთისა. ხოლო ამისი მსმენელი შანაოზ მეფე შეკრებილი სპითა მივიდა კახეთს და დასდგა აწყვერს, მხილველი ერეკლე იელტოდა თუშეთადვე. ამისათვის შემდგომად მეფე-მან განუტკევა სპანი ყოველნი და მცირედითა წარჩინებულთა და სპითა დაადგინა აწყვერსავე. ესე უსპობა მეფისა ამცნეს ერეკლეს და მოუწოდეს მას და მისცეს პირი და მტკიცე: მოვიდა ერეკლე თუშ-კახითა და დაესხა მეფესა ღამესა ბნელსა.“<sup>30</sup> ამ ამონაწერით კი მტკიცდება, რომ ერეკლე პირველსა და ვახტანგ და არჩილ ქართლ-კახეთის მეფეთა შორის სისხლის მღვრელი ბრძოლები აწყურთან 1664 წელს მომხდარა, ჩვენც აწყურის სახელწოდებით ცნობილი ბრძოლის თარიღად 1664 წელი მიგვაჩნია.

ფარსადან გორგიჯანიძე ბევრ საინტერესო ცნობებს გვთავაზობს: „ამასობაში (ლაპარაკია არჩილის კახეთში მოსვლის შესახებ, ვ.ე.) ბატონის შვილი ერეკლე თუშეთიდან კახეთში მომავალ მამა-შეილს ღამით თავსდა-ესხა და მრავალი კაცი მოკლა, ზოგნი გაიქცნენ და ზოგნი შანავაზ მეფესა და

<sup>27</sup> ვახუშტი, დასახ. შრომა, გვ. 81

<sup>28</sup> ვახუშტი, იქვე, გვ. 192.

<sup>29</sup> ვახუშტი, იქვე.

<sup>30</sup> ვახუშტი, იქვე, გვ. 80-81.

მის შვილს ბატონს არჩილსთან გათენებამდე იბრძოლეს და მეფე ადგილით ვერ დასდრეს. რა გათენდა, ქარანები დააძახეს, დაფანტული ლაშქარი მოგროვდა და ჯარი თუშთ უკან გადაეწინეს და მიეწინეს და მრავალი თუში მოკლეს და წანალები ნაშთი გააყრევინეს და ბატონის-შვილს ერეკლეს ვერ წაეწინეს და მეფე და კახი ბატონი ქალაქს მოვიდნენ და თუშების თავები ყენს გაუგზავნეს“.<sup>31</sup>

ფარსადან გორგიჯანიძეც, როგორც ვხედავთ, აწყურის ბრძოლის თარიღად არჩილის კახეთში გამეფების წელს ასახელებს. არჩილის მოსვლა კახეთში და ერეკლე ბატონიშვილის თუშეთიდან წამოსვლა ერთდროულად მოხდა.

აწყურის ბრძოლა რომ 1664 წელს მოხდა, დამაჯერებელი ხდება ფ. გორგიჯანიძის მეორე ცნობითაც: ერეკლე ბატონიშვილს აწყურის ბრძოლების მომდევნო წლის გაზაფხულზე (1665 წელი) ახალი თავდასხმა მოუწყვია მარტყოფთან, რაც ერთხელ კიდევ მიუთითებს, რომ აწყურის ბრძოლა ნამდვილად 1664 წელს უნდა მომხდარიყო. „მეორეს გაზაფხულს (აწყურის ბრძოლის მეორე გაზაფხულზეა საუბარი, ვ.ე.) კიდევ ერეკლე ბატონიშვილი მარტყოფს მოუხდა ცოტას კაციოთა. მეფემ ლაშქარი შეყარა, თათრის ჯარიც მოეშველა და უჯარმის ბოლოს ომი აჰკიდეს და სიცოტავით ქართველთ ვეღარ გაუძლო და ისევე თუშეთს წავიდა.“<sup>32</sup>

ერეკლე ბატონიშვილის ბრძოლებმა კახეთში გამეფებისათვის თავისებური ასახვა კპოვეს რუსულ საარქივო მასალებშიც. ეს ყოველივე კარგად ჩანს რუსეთის ელჩის მილოსლავსკის მიერ ხელმწიფისადმი 1664 წელს ქ. შუმახიდან გაგზავნილი წერილიდან. ელჩი იწერებოდა: „ახლა, ხელმწიფე, თუშეთიდან საქართველოში, თბილისის ქალაქის შაჰნავაზხანის წინააღმდეგ წამოვიდა ქართველი უფლისწული თუშეთთან და დიდოელებთან ერთად და დიდი ბრძოლა იყო შაჰნავაზ ხანთან. ვინ-ვინ დაამარცხა, ეს მათ არ იციან: ხმა დადის, რომ შაჰნავაზ ხანი ქართველმა უფლისწულმა დაამარცხა და მისი ვაჟი ბრძოლაში თვალში დაიჭრა... უფლისწული ბრძოლის შემდეგ უკან, თუშეთში გაბრუნდა და წმინდა გიორგის მონასტერში დადგა“-ო.<sup>33</sup> მილოსლავსკის თანამგზავრი მეორე ელჩი თევდორე ნარბეკოვი კი შემდეგს აღნიშნავს: „...ჩვენ შენი ყმები შაჰს წესისამებრ მივესალმეთ და შაჰმა გვიბრძანა მარჯვენა მხარეს, თავისი მახლობელი სამი ადამიანის გვერდით სკამებზე ჩამოვსხდარიყავით. შებინდებისას შაჰის კარვის წინ ასამდე მოჭრილი, ძელზე ჩამოცმული ადამიანის თავი ჩაატარეს. ასე თქვეს, თითქოს თბილისის შაჰნავაზ-ხანმა ქართველი უფლისწულის ხალხი და თუშები დაამარცხა, როდესაც საქართველოს მიწა-წყალს მოადგენო და ის მოჭრილი თავები შაჰთან გამოგზავნა საცნობებლად“-ო.<sup>34</sup>

<sup>31</sup> საქართველოს ცხოვრება, ფარსადან გორგიჯანიძის იხ. ზ. ჭიჭინაძის საქართველოს ცხოვრება, 1913, გვ. 338.

<sup>32</sup> ფარსადან გორგიჯანიძე, იქვე, გვ. 339.

<sup>33</sup> თ. ტივაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

კახეთის სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრის ერეკლე ბატონიშვილის ბრძოლები ვახტანგ მეხუთესთან და მის შვილთან არჩილთან დაწერილებით აქვს აღწერილი ფეშანგი ფაშვიბერყაძეს პოემა „შაჰნავაზიანში“. ამ პოემათაც დასტურდება, რომ წლების მანძილზე ერეკლე ბატონიშვილი თუშეთში ცხოვრობდა და თუშების, მისი მომხრე მთისა და კახეთის ბარის მოსახლეობის მეოხებით ცდილობდა კახეთის ხელში ჩაგდებას. პოემაში ფეშანგი ეხება ბატონიშვილის თუშეთში მოსვლას, თუშეთში მოწვეულ სათუშო ყრილობას და შემდგომ ბრძოლებს.<sup>34</sup> როგორც ცნობილია, პოემის ავტორი პოემაში გადმოცემული ამბების თანამედროვეა, რაც „შაჰნავაზიანს“ პირველწყაროს ღირებულებას ანიჭებს.

პოემა „შაჰნავაზიან“, სხვა ცნობებთან ერთად, ნათელ წარმოადგენს გვიქმნის თუშების მოქმედებაზე 1663-1664 წლებში.

ერეკლე ბატონიშვილის მიერ კახეთის დაუფლებისათვის ჩატარებული ბრძოლები პროგრესულიც იყო და რეაქციულიც. პროგრესული იყო 1662-1664 წლებში, სანამ არჩილი კახეთში გამეფდებოდა, ხოლო 1664 წლიდან ერეკლეს ბრძოლები კახეთისათვის რეაქციულია, რადგან იგი ეწინააღმდეგებოდა ვახტანგ მეხუთე შაჰნავაზის იმ დიდ გეგმას, რომელიც საქართველოს გაერთიანებასა და ერთიანი განუყოფელი სახელმწიფოს შექმნას იოვალისწინებდა: „ვახტანგ მეხუთე მე-17 ს-ის 60-70-იანი წლების საქართველო“ს ერთ-ერთ კოლორიტულ ფიგურას წარმოადგენდა. მთელი თავისი 18-წლიანი მეფობის პერიოდი მან საქართველოს ცალკეული კუთხეების გაერთიანებისათვის ბრძოლას მოახმარა.“<sup>35</sup>

„...შაჰნავაზმა ირანის შემწეობით, — დასძენს აკად. ნ. ბერძენიშვილი, — საქართველოს სათავადოებისა და სამეფოების შემომტკიცებაც კი განიზრახა. ამ მიზანს ემსახურებოდა მისი ბრძოლა ერისთავთა წინააღმდეგ, ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში და თავისი შვილის არჩილის გამეფება ჯერ იმერეთში, ხოლო შემდეგ კახეთში“.<sup>36</sup>

კახეთის სამეფო კარის ხელში ჩაგდებისათვის მრავალჯერ გამართული ბრძოლების უშედეგოდ დამთარების შემდგომ ბატონიშვილი თუშეთში დიდხანს ვეღარ ჩერდება. მისთვის ეს პატარა კუთხე, მისი გულადი და მეომარი ხალხი, კახეთის მოსახლეობის იმ მცირე ფენებთან ერთად, რომელნიც ერეკლეს უჭერდნენ მხარს, საკმარისი არ აღმოჩნდა ქართლ-კახეთის შეერთებული ძალების დასამარცხებლად და საჭირო შეიქმნა ახალი გზების ძიება. ერეკლე პირველმა ორიენტაცია კვლავ რუსეთისაკენ აიღო.

<sup>34</sup> თ. ტივაძე, იქვე, გვ. 103.

<sup>35</sup> შაჰნავაზიანი, გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, 1925, გვ. 116, 118, 121, 137, 143, 145-147, 178-187.

<sup>36</sup> თ. ტივაძე, დასახ. შრომა, გვ. 103.

<sup>37</sup> ნ. ბერძენიშვილი, ვ. ღონდუა, მ. ღუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, ტ. 1, 1958, გვ. 305.

ამ მოვლენების დროინდელ რუსულ დოკუმენტებში კარგადაა ასახული ერეკლე ბატონიშვილის მიერ თუშეთის დატოვებისა და კვლავ რუსეთში დაბრუნების განზრახვა-სამზადისი. აღნიშნულის თაობაზე პროფ. თ. ტივაძესთან კვითხულობთ, „1665 წლის აპრილში თუშეთიდან მოსკოვში ერეკლეს ელჩები: მიტროპოლიტი ეპიფანე და მღვდელი ვასილი ჩავიდნენ. მათ თან ახლდნენ თუშების ელჩები. როგორც ჩანს, ბატონიშვილი დაბრუნების ნებართვას ითხოვდა. იმავე 1665 წელს აზნაური კონდრატე მოლჩანოვი თუშეთში გაიგზავნა „უფლისწულ ნიკოლოზ დავითის ძესთან მოსაწვევად“. მოლჩანოვმა თუშებს ერეკლესადმი გამოჩენილი ერთგულებისათვის 500 მანეთის სიასამური და რუსეთის მეფის წერილი ჩაუტანა.“<sup>36</sup>

თუშეთში მყოფი ბატონიშვილის ირანში ჩაყვანას ბევრს ეცადა შაჰიც, მას, როგორც რუსული წყარო გადმოგვცემს, ოთხჯერ გაუგზავნია თუშეთში ოფიციალური წარმომადგენლები, მაგრამ „...უფლისწული შაჰთან არ წაიდა“ და პირიქით, ირანის მბრძანებელს უთვლიდა, „...თუ პაპჩემს (თეიმურაზ პირველზე საუბარი, ვ.ე.) არ გამოუშვებ, დიდ ხელმწიფესთან წავალ საჩივლელად“.<sup>37</sup>

1665 წელს ერეკლე ბატონიშვილი დროებით ტოვებს თუშეთს და გეზს კვლავინდებურად რუსეთისაკენ იღებს: „ხოლო ერეკლეს შესჭირდა მწირობა თუშეთს და წარვიდა კვალად რუსეთსავე და არჩილ მყოფი კახეთს ნადირობდა და ნადიმობდა და შენდებოდა კახეთი, ვინად-გან იყო მშვიდობა და უმტრობა და ნიჭვიდა და სწყალობდა ყენი არჩილს, რამეთუ ველარცა თუ ლეკნი იკადრებდნენ ხდომასა.“<sup>38</sup>

თუშეთიდან ერეკლე ბატონიშვილის გამგზავრების თაობაზე რუსულ დოკუმენტებში აღინიშნება: „1666 წლის ივნისში მოსკოვში თვით ერეკლე ბატონიშვილი ჩაიდა, ხოლო დეკემბერში ელენე დედოფალიც დაბრუნდა ამაღის ნაწილით. ამ ჯერზეც მათ თუშების წარმომადგენლები ახლდნენ“.<sup>39</sup> მოსკოვში ბატონიშვილის შესვლის შესახებ საგანგებოდ აღნიშნავს თავის დღიურში რუსეთის ჯარის პოლკოვნიკი, შოტლანდიელი პატრიკ გორდონი: „19 აპრილს მოსკოვში დიდი ზეიმით შემოვიდა ქართველი თავადი ნიკოლოზ დავითის ძე“.<sup>40</sup>

ამრიგად, ერეკლე ბატონიშვილს და ელენე დედოფალს მოსკოვში თუშეთის წარმომადგენლებიც გაჰყვლიან, რომელნიც ალექსი მიხეილის ძეს თავისი ხალხის სახელით მიმართავენ: „სანამ ჩვენი ხელმწიფე, ჩვენი უფლისწული ჩვენთან იყო, მანამდე მას ვეკუთვნოდით და არავისკენ არ გაგვიხედია, მასთან ეცხოვრობდით, მისთვის ბევრი სისხლი დაღვვართ, ბევრი დავკარგეთ

<sup>36</sup> თ. ტივაძე, დასახ. შრომა, გვ. 106-110-111.

<sup>37</sup> თ. ტივაძე, იქვე გვ. 99-100.

<sup>40</sup> ვახუშტი, დასახ. შრომა, გვ. 192-193.

<sup>41</sup> თ. ტივაძე, დასახ. შრომა, გვ. 111.

<sup>42</sup> პატრიკ გორდონის დღიური, მოსკოვი, 1892, გვ. 61. (რუსულ ენაზე).

მოკლულის სახით და ქონებაც ბევრი დაგველუპა, მაგრამ ჩვენ ქრისტიანობის გულისათვის არ გადავუდგეტ მას და ვემსახურეთ, შენთვის მოცემული ფიციც გვახსოვდა და არ შეგვიღანძღია იგი“-ო.<sup>43</sup> სამაგიეროდ, თუშთა ელჩები რუსეთის ხელმწიფისაგან მფარველობას და დაცვას თხოულობდნენ: „მოგელო მოწყალეა, – კვითხულობთ დოკუმენტში, – გებრძანებინა ჩვენი, საცოდავების გულისათვის შაჰთან ელჩი გაგვეზავნა, რომ შენი ხელმწიფური თხოვნა შეეწყნარებინა და ჩვენი მიწა-წყლის განადგურება არ გებრძანებინა, არ დავეტყვევებინეთ და ქრისტიანული სარწმუნოება არ გაეურჯულოებინათ“-ო.<sup>44</sup>

მართალია, ბატონიშვილის რუსეთში დაბრუნებით რუსეთის კავკასიურმა პოლიტიკამ მარცხი განიცადა, მაგრამ რუსეთი სულაც არ აპირებდა კავკასიაში თავის სამომავლო გეგმებზე ხელის აღებას, შექმნილ ვითარებაში „რუსეთმა სცადა ახალი ობიექტი მოეძებნა გამოქომაგებისათვის, რათა ირანისათვის ეგრძობინებინა, რომ სულაც არ ჰქონდა ნათქვამი უარი ქრისტიანი ხალხის მფარველობაზე, ამიტომაც იყო, რომ კლიმენტი იველევისადმი გაცემულ ინსტრუქციაში პირველად აისახა რუსეთის მფარველური დამოკიდებულება უბატონო თავისუფალი თუშეთის მიმართ. ინსტრუქციის ერთ-ერთი პუნქტი რუსეთის შიკრიკს ავალებდა ირანში ყოფნისას განეცხადებინა: „გასულ 175 (1667) წელს თაყვანი სცეს ჩვენს დიდ ხელმწიფეს... მისი მეფური უდიდებულესობის ქვეშევრდომებმა, თუშეთის, ხევსურეთის და ფშავეთის მიწა-წყლის მცხოვრებლებმა, რომ ისინი შაჰის უდიდებულესობის ხალხისაგან დიდ შევიწროებას განიცდიან, ვინაიდან მათი გამაჰმადიანება სურთ. ამიტომ მათ, შაჰის მახლობლებმა, თავისი ხელმწიფის, შაჰ-აბასის უდიდებულესობის ყურამღე მიიტანონ, რომ მათმა ხელმწიფემ მეფის უდიდებულესობის მეგობრობისა და სიყვარულისათვის მეფის უდიდებულესობის ქვეშევრდომები თუშეთის, ხევსურეთის და ფშავეთის მიწა-წყლის მცხოვრებნი არ შეავიწროვოს, წყენა არ მიაყენოს და მათი ქვეყანა არ გაამაჰმადიანოს. ასევე, მოსაზღვრე ქალაქებში ხანებსა და სხვა მოხელეებს თავისი ბრძანება გაუგზავნოს, რათა იმ თუშებთან წყნარად და მშვიდად იცხოვრონ და არავითარი წყენა და შევიწროება არ მიაყენონ, რომ ამის გამო დიდ ხელმწიფეთა შორის უსიამოვნება არ ჩამოვარდესო“.<sup>45</sup>

სტეფანე რაზინის აჯანყებით რუსეთში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო კლიმენტი იველვი ასტრახანიდან უკან დაბრუნდა და ხსენებული დავალება ვერ შეასრულა. შემდგომში კი რუსეთმა თუშ-ფშავე-ხევსურეთისათვის ასეთი გაბედული გამოქომაგებისაგან თავი შეიკავა.

რუსთაგან მომდევნო წლებში თუშ-ფშავე-ხევსურეთისადმი გატარებულ ღონისძიებებზე რუსეთის არქივთა საცავებში დღემდე არავითარი ცნობები

<sup>43</sup> თ. ტივაძე, დასახ. შრომა, გვ. 111.

<sup>44</sup> იქვე.

<sup>45</sup> თ. ტივაძე, დასახ. შრომა, გვ. 117-118.

არ აღმოჩენილა. ის კი ნათელია, რომ ერეკლე ბატონიშვილთან ერთად მოსკოვში ჩასული თუშები აქტიურად არიან ჩაბმულნი და პრაქტიკულადაც მოქმედებენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სამომავლო საკითხების განხილვა-ცივლებამი. თუში ელჩები სხვა ქართველებთან ერთად მოსკოვსა და საქართველოს შორის განუწყვეტლივ მოგზაურობენ, აკვირდებიან, სწავლობენ საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას და რეალურ ცნობებს აწვდიან ბატონიშვილსა და მოსკოვის სამეფო კარს. ეს ყოველივე მათ ესაჭიროებათ ერეკლე ბატონიშვილის კვლავ სამშობლოში ჩამოსაყვანად, რათა მისი მეთაურობით საქართველო კარზე მომდგარ უბედურებას როგორმე გადაურჩეს. თუში ელჩების ეს საქმიანობა შესანიშნავად ხასიათდება თუში ელჩის ტარკიონ ივანოვის<sup>46</sup> თავგადასავლით, რომელიც 1666-1672 წლებში ფიგურირებს და დაუცხრომლად მუშაობს. 1673 წელს საქართველოდან მოსკოვში ჩასულ მახარე გენათელს „თან ახლდა თუში ტარკიონ ივანოვი ამხანაგებით, რომელიც 1670 წლის დასაწყისში ერეკლე ბატონიშვილის მიერ მოსკოვიდან საქართველოში გაიგზავნა სპეციალური დავალებით“.<sup>47</sup>

საელჩო პრიკაში დაკითხვის დროს ტარკიონ ივანოვი შუქს ჰყენს იმ დიდ საქმიანობას, რასაც მასთან ერთად თუშეთის სხვა წარმომადგენლები ეწეოდნენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისათვის მე-17 ს-ის 60-70-იან წლებში. იგი აღნიშნავს: „...გასულ, 174 (1666) წელს იგი მოსკოვში ბატონიშვილთან ერთად ჩამოვიდა და მასთან ორ წელიწადნახევარი დაჰყო. მერე ბატონიშვილის შუამდგომლობით იგი თუშეთში იქნა გაშვებული... გამეზავრების წინ ბატონიშვილმა მას უბრძანა თუშეთში ყველაფერი კარგად დაეხვერა – რას იძახდნენ ყოზილბაშუბი მის შესახებ და რა აშავია მის დასთან.“

როცა იგი თუშეთში იყო (ბატონიშვილთან ერთად – თ.ტ.), თუშებმა დიდ ხელმწიფესთან თხოვნით გაგზავნეს და სიტყვიერადაც დააბარეს, რომ დიდმა ხელმწიფემ მათი მეფე, ქართველი უფლისწული, ნიკოლოზ დავითის ძე მათთან, საქართველოში გაუშვას, იმიტომ. რომ ისინი თუშები, სვანები, დიდოელებსა და ქისტებთან ერთად მისი, დიდი ხელმწიფის ქვეშევრდომები არიან და ახლა სპარსეთის შაჰისაგან და მისი ხალხისაგან დიდი ხარკი აქვთ შეწერილი, შაჰისაგან მათი დამცველი კი არავინაა და თუ იგი, დიდი ხელმწიფე, უფლისწულის, ნიკოლოზ დავითის ძის მათთან გაშვებას ინებებს და მათ შაჰის ძალმომრეობისაგან დაიცავს, იგი (ერეკლე – თ.ტ.) საქართველოში, რომელიმე კუთხეში, თავის ადგილს იშოვის თუშეთში ჩასვლისას მან (ტარკიონმა – თ.ტ.) ერთ წლამდე იცხოვრა და საქართველოში წავიდა ბატონიშვილის დასთან, ქალაქ თბილისში და მასთან ორწელიწადნახევრამდე

<sup>46</sup> ტარკიონ ივანოვი (თარქიონ ივანეს ძე) ყოფილა თუშეთის სოფ. ჩიგლაურთიდან, ამ სოფლის მცხოვრებ კახოიძეების გვარის ერთ შტოს დღესაც „თარქიონიანთ“ ეძახიანთ.

<sup>47</sup> თ. ტივაძე, დასახ. შრომა, გვ. 141.

ცხოვრობდა“.<sup>48</sup> ქეთევანის სახელით თუშთა ელჩი ტარკიონ ივანეს-ძე მოსკოვიდან ერეკლე ბატონიშვილის საქართველოში გამეფებას ითხოვდა.“<sup>49</sup>

1674 წელს კი თუშთა წარმომადგენლები რუსეთის ხელისუფლებისაგან ერეკლე ბატონიშვილის თუშეთში გაშვებას ითხოვდნენ, რადგან, მათ, ამ შემთხვევაში, საკუთარი ინტერესები ამოძრავებდათ. ისინი პირადად მეფეს მიმართავენ: „...უგანათლებულეს დიდ ხელმწიფეს, თქვენს მეფურ უდიდებულესობას, სასოებით ცრემლმორეულნი ვევედრებით ჩვენ, შენი მარადიული ყმები, რომ შენ, დიდმა ხელმწიფემ, დაიცვა შენი მაღალი ხელით ჩვენი პატარა თუშეთის ქვეყანა მტრებისაგან და შენ დიდმა ხელმწიფემ, მოწყალეობა მოიღო ჩვენზე, გამოუშვა ჩვენთან, შენს მუდმივ ყმებთან შენი... ქვეშევრდომი, ქართველი უფლისწული ნიკოლოზ დაეთის ძე, იგი ჩვენი ივერიის მიწა-წყალზე, რომელიც მისი წინაპრების მხარეა, თავის ადგილს იშოვნის...“<sup>50</sup>

საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებიდან რუსეთში ჩასულ ელჩებს ბატონიშვილის საქართველოში დაბრუნების თაობაზე თითქმის ყველას საკუთარი ინტერესები ამოძრავებდათ და საერთო საქმე ძალიან ცოტას თუ აწუხებდა. მათგან განსხვავებით, ბატონიშვილი ყველგან აღნიშნავდა, რომ ვახტანგ მეხუთის საქმიანობით განაწყენებული ირანის შაჰი საქართველოს დაუსჯელს არ დატოვებს და იქნებ საქართველოში და შემდგომ ირანში ჩემი ჩასვლით სამშობლო აოხრებისაგან ვიხსნაო. ბატონიშვილი დაჟინებით სთხოვდა რუსეთის მეფეს – „საქართველოში გამიშვიო. საქმე ის იყო, რომ ირანის შაჰს გაეგო, ვახტანგი საკუთარ ქართულ ფულს სჭრის და საერთოდ, დამოუკიდებელ გზას დაადგაო. განრისხებული შაჰი ემზადებოდა საქართველოს დასალაშქრად და დასარბევად.“<sup>51</sup>

მოსკოვიდან წამოსვლის მიზეზი კარგად ჩანს თვით ერეკლე პირველის 1675 წელს მოსკოვის მეფისადმი მიწერილ წერილში: „...დიდო ბატონო, ხელმწიფე და დიდო კნიაზო ალექსი მიხაელიშვილო. თქვენ დიდს ხელმწიფეს წიგნი მოგეწერათ, მოგკონებოდით და ჩვენი ამბავი გეკითხათ... ბედნიერის ყენის ქალაქში გასულს სეკდენბერს ყაზმინს კარგად დამიხვდა. თქვენ დიდს ხელმწიფეს ერთი ეს გებრძანებინათ, „მახარასა და გიორგის თილმაჯის ხელით წიგნი მოგეწერათ და შემოგვეწოდით“, მართალია, მახარა მაგაზედ გამოვგზავნე და კიდევ შემოგეხვეწეთ თქვენ დიდს ხელმწიფეს ამტრახნი-დაღმე, და დასტური და შენდობა გთხოვე, ესე, რომ უსაცილოდ ყენთან წავალ მეთქი, თუ ხმალი და რაყამი მომივა მეთქი ...საქართველოში რომ მოველ, ხმალი და საფიცარი მომივიდა, და ასრე ეწერა იმ საფიცარში: ამ ხმალსა და საფიცარს მოენდო“... ამტრახანიდამ მახარას ხელით მაგაზედ

<sup>48</sup> თ. ტივაძე, იქვე.

<sup>49</sup> თ. ტივაძე, იქვე.

<sup>50</sup> თ. ტივაძე, დასახ. შრომა, გვ. 143.

<sup>51</sup> ვლ. ტატიშვილი, ქართველები მოსკოვში, 1959, გვ. 158.



მოგწერეთ წიგნი და შენდობა გთხოვეთ და დასტური, რომ ყვენი კახეთზედ მოვაო და ჩემის მისვლით ეგების კახეთი არ წაახდინოს მეთქი. იმისათვის წამოველ, თორემ თქვენად უდასტუროდ როგორ წამოვიდოდი“.<sup>52</sup>

სპარსეთის პოლიტიკურ მოღვაწეთათვის ერეკლეს ეს ნაბიჯი მოცემული მომენტისათვის ყველაზე მისაღები გამოდგა. ქართლ-კახეთში შაჰნავაზიანთა ძლიერების ამომძირკველად ყვეს ერეკლეს გამოყენება სწავდა: „ქარონიონს ტნი (სამას სამოცსა) უწინ რუსეთის ბედნიერს ხელმწიფეს არზა მოსწერა, — წერს ფარსადან გორგიჯანიძე, — „ასრე რომ თქვენს კარზე მოსვლა მინდაო და ამას მოველი თქვენის ღვთიანი გუნების მოწყალებისაგანო, რომ ერთი საიძელო რაყამი მიბოძო, თავზედ დავირჭო და ხელმწიფის ფეხის სამთხვეველად წამოვიდო“. ეს ხელმწიფეს იამა, ჯუღფელის ზოჯა გრიგორას ხელით ხმალი და ხალათი და რომელიც რაყამი ეთხოვნა, გაუგზავნეს და ხალათი არ აჩვენეს, მაგრამ რა რაყამი მოუვიდა, რუსეთის ხელმწიფეს დაეთხოვა და დედაშვილი იქ გაუშვა და წამოვიდა და თუშეთის გზით კახეთს ჩამოვიდა და შაჰნავაზიანს კახეთში ბატონობდა და ერეკლეს და ქეთევან დედოფლობდა.“<sup>53</sup>

1674 წელს, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი „საქართველოს ცხოვრება“-ში წერს, ერეკლე უკვე თუშეთშია გადმოსული, რუსეთიდან ყვენის მოწოდებით მოსულა სპარსეთში წასასვლელად; „ხოლო წელსა ჩქოდ (1674) მოვიდა ყვენისაგან მოწოდებული რუსეთიდან მკვალად ერეკლე თუშეთს წასვლად წინაშე ყვენისა (რამეთუ მოკუდა შაბაზ რა, შიხალიხან განიზრანა შაჰსულეიმანს მტერობითა ვახტანგ და არჩილ მეფითასა მეტოქედ მოყვანა ერეკლესი, რათა დაამდაბლონ გაძლიერებული ვახტანგ“.<sup>54</sup> ეტყობა, არჩილ კახთა მეფემ თავის მხრივ საგანგებო დავალება მიიღო ყვენისაგან, რომ რუსეთიდან თუშეთში დაბრუნებული ერეკლე ბატონიშვილი კახეთში ჩამოეყვანა, საჭირო დახმარება აღმოეჩინა და ისპაჰანში გაეგზავნა. ერთ დროს ერეკლეს მებრძოლმა და მისი თავიდან მოცილებით დაინტერესებულმა არჩილმა „თუშეთიდან მოიწვია... და ისტუმრა სიყვარულითა დიდითა ერეკლე, ანადიმა, ანადირა მრავალ-ღლე, მერმე უძღუნა და წარატანა კახნი და წარავლინა ისპაჰანს“.<sup>55</sup>

1674 წლისათვის თუშეთში ერეკლეს მოსვლა შემთხვევითი არ უნდა იყოს. ეტყობა, ერეკლე ბატონიშვილსა და თუშეთს შორის მაშინაც კი, როცა 1665 წლიდან ერეკლე თუშთა წარმომადგენლებთან ერთად მოსკოვში იმყოფება, მჭიდრო კავშირი ერეკლესა და თუშეთს შორის არსებობდა.

ეს კარგად ჩანს რუსული საარქივო მასალებიდან, რაზეც ზემოთ გვქონდა

<sup>52</sup> მ. ბროსე, მიმოწერა ... 1861, გვ. 89-91 (რუს. ენაზე).

<sup>53</sup> ფარსადან გორგიჯანიძე, დასას. შრომა, გვ. 350.

<sup>54</sup> ვახუშტი, დასას. შრომა, გვ. 193-194.

<sup>55</sup> ვახუშტი, იქვე, გვ. 194.

საუბარი და ერეკლე ბატონიშვილის არტემ სერგეის ვოლინსკისადმი მიწერილი ერთი წერილიდანაც, სადაც საგანგებოდაა ხაზგასმული ვინმე თუმის ბეჟან გრიგორიევის შესახებ. მას, როგორც წერილიდან ჩანს, მოსკოვიდან, ალბათ, სამეფო კარის საგანგებო დავალებით, პეტრე დოლგის ხელით ხუთასი სომის სიასამური უნდა გაეგზავნა თუშეთში ერეკლე ბატონიშვილისათვის, ასევე სხვა საბუთები, სადაც თუშეთზე განსაკუთრებით არის ყურადღება გამახვილებული. არტემ სერგეევიჩისადმი 1674 წელს მიწერილ წერილში ერეკლე პირველი შენიშნავს: „... ბედნიერს ხელმწიფეს ებრძანა, თუ ჩემი წყალობა ორიათასი სომის სიასამური შენეო და შენს ბაიარებს, ბერებს და შინაყმებს, იმერლების ულუფიანად, ოთხას სამოცდაათი სომის სიასამური და თუმის ბეჟან გრიგოლიევის ხელით, თუშეთს გაგზავნილი ხუთასი სომის სიასამური პეტრე დოლგმა მოგიტანა თუ არაო“.<sup>36</sup>

წერილში მოხსენიებული თუმის – ბეჟან გრიგოლიევის (ალბათ, გრიგოლის-ძის) სახით ჩვენს წინ დგას თუშეთის წარმომადგენელი, რომელსაც მეფე ერეკლესა და რუსეთის სახელმწიფოს შორის შუამავლობა ეკისრება, მოსკოვის სამეფო კარი ენდობა თუშ ბეჟან გრიგოლიევის, მას აქვს დავალებული თუშეთში ერეკლე ბატონიშვილს, პეტრე დოლგის მეშვეობით, ხუთასი სომის სიასამური გაუგზავნოს. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ რუსეთის სახელმწიფო მე-17 საუკუნის 70-იანი წლებისათვის თუშეთისადმი უფრო მეტ დაინტერესებას ამჟღავნებდა. ამაზე მეტყველებს აგრეთვე ერეკლე პირველის საქართველოში წამოსვლის შემდეგ შაჰისადმი რუსეთის სახელმწიფოს წერილიც. რუსეთი სთხოვს შაჰს, რომ ერეკლეს მისცეს საქართველოსა და თუშეთის მიწა-წყალი და აღნიშნულ ტერიტორიაზე დასახლებულ მოსახლეობას ნულარ შეაწუხებს.<sup>37</sup>

მართალია, ვახტანგ მეხუთის ღონისძიებებმა საქართველოს გაერთიანებისათვის საქართველოზე ირანის ამოხრებელი შემოსევების საშიშროება გაზარდა და ერეკლე ბატონიშვილიც ძლიერ შეაშფოთა, მაგრამ აღნიშნულთან ერთად რუსეთიდან საქართველოში ბატონიშვილის წამოსვლის დაჩქარების ერთ-ერთ მიზეზად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ მას მოსკოვის... სამეფო კარზე უწინდელ პატივს აღარ სცემენ, შერყეული აქვს ავტორიტეტი და რუსეთის ხელმწიფისა და ბატონიშვილის ურთიერთობა ნაძალადევი ხასიათისაა. ალექსი მიხეილის ძესთან სამშობლოში წამოსვლისათვის ბატონიშვილს დიდი ხეწნა-მუდარა არ დასჭირვებია. „ალექსი მიხეილის ძემ ქართველი უფლისწული გაუშვა საქართველოში, მაგრამ ეს „გაშვება“ მათ შორის წინანდელი გულთბილი, თითქმის ნათესაური ურთიერთობის სრულ შეწყვეტას ჰგავდა.

II თებერვალს უფლისწული ცივად მიიღეს წინა ფიცრულში. შეხვედრა არ გაუმართავთ, მოსვლა არ გამოუცხადებიათ, სუფრაზე მოსაკითხი არ

<sup>36</sup> შ. ბროსე, დასახ. შრომა, გვ. 89.

<sup>37</sup> შ. ბროსე, დასახ. შრომა, გვ. 16.

მოურთმევეათ.

ეს კიდეც ცოტაა: როცა 22 თებერვალს უფლისწული მოსკოვიდან გავიდა, პრისტავს ივანე ტელეპნევის და დიაკ ბოგდან ჟეიშოვის ებრძანათ გაეცილებინათ უფლისწული მხოლოდ ყაზანამდე, ზოლო ყაზანიდან, როგორც ნაბრძანები იყო, ასტრახანამდე უფლისწულს უნდა გაჰყოლოდა ყაზანელი აზნაური.

ასეთ გაცილებას უწყობდნენ საელჩოს ყოვლად უმნიშვნელო მსახურებს, როგორც იყო უბრალო დიპლომატიური შიკრიკი.<sup>48</sup>

ვლ. ტატიშვილის მონოგრაფიაში „ქართველები მოსკოვში“ და სხვა ავტორებთანაც ფართოდ და ნათლადაა ასახული ის ერცელი და ფრიად საინტერესო ისტორია, საიდანაც კარგად ჩანს, თუ 1653 წლიდან 1673 წლამდე ქართველი ბატონიშვილი და მთელი მისი ამაღლა რა დიდი პატივით სარგებლობდნენ მოსკოვის სამეფო კარზე. „უფლისწული ძალიან უყვარდა ხელმწიფეს, რომელსაც ნიკოლოზი თავის აღზრდილად, უახლოეს ადამიანად მიაჩნდა.

1671 წლის იანვარში ალექსი მიხეილის ძე მეორედ დაქორწინდა, მისი ახალი მეუღლე ნატალია კირილეს ასული ოცი წლის ახალგაზრდა ქალი იყო. თვით მეფე კი ხანდაზმული გახლდათ და ხუთი წლის შემდეგ გარდაიცვალა კიდეც.

ხელმწიფის ქორწილში „ტისიაკად“ მიწვეულ იქნა ქართველი ბატონიშვილი ნიკოლოზ დავითის ძე. რუსული ჩვეულების მიხედვით, ეს იყო საქორწინო ცერემონიის ყველაზე დიდი თანამდებობა. როგორც წესი, „ტისიაკი“ იყო იმავე დროს სასიძოს ჯვარის მამა. იგი განაგებდა საქორწინო მაყრიონს და ქორწილის მთელს ცერემონიალს. „ტისიაკი“ ლოცავდა სიძეს, თან დაჰყავდა იგი, უცვლიდა ბეჭდებს ნეფე-დედოფალს. იხდიდა ფულს ქორწინებისათვის, მიჰყავდა შინ დაქორწინებულნი. ნიკოლოზისათვის ეს მოასწავებდა პირდაპირ, უშუალო მოხვედრას ხელმწიფის უახლოეს, ნდობითმოსილ პირთა წრეში. იმის გამო, რომ უფლისწული ნიკოლოზი ხელმწიფის „ტისიაკი“ იყო, დედოფალს, ელენე ლეონის ასულს, ქორწილში განსაკუთრებული პატივი დასდევს: სუფრაზე მას ემსახურებოდნენ თვით ხელმწიფის მეუღლის სტოლნიკები... წლინახვერის შემდგომ, 1672 წლის მაისში დედოფალმა შობა ვაჟიშვილი პეტრე, რუსეთის მომავალი იმპერატორი.“<sup>49</sup>

პეტრეს დაბადების შემდეგ სამეფო კარზე ნიკოლოზ დავითის ძის გარშემო ვითარება თანდათან გართულდა. ქართველ უფლისწულს იქ აღარ დაედგომებოდა და აკი, ფაქტობრივად გამოაძევეს კიდეც.

რუსეთის სამეფო კარზე ერეკლე ბატონიშვილის მიმართ ხსენებული გართულებების ახსნას გვაძლევს მოსკოვში მუდმივ საცხოვრებლად გადასახ-

<sup>48</sup> ვლ. ტატიშვილი, ქართველები მოსკოვში, გვ. 159.

<sup>49</sup> ვლ. ტატიშვილი, დასხ. შრომა, გვ. 156-157.

ლებული არჩილ მეფისა და მეფე-პოეტის ოჯახთან პეტრეს განსაკუთრებული დამოკიდებულება მისი ჭაბუკობის წლებიდან გარდაცვალებამდე. პეტრე თავიდანვე ღიღ სიყვარულს, სათანადო ყურადღებას, ნათესაურ მზრუნველობასა და სითბოს იჩენდა არჩილ მეფის ოჯახისადმი. მან ხომ საკუთარი თავივით შეიყვარა ალექსანდრე არჩილის ძე, რომელიც დანიშნა რუსეთის არტილერიის ხელმძღვანელად და მანამდე რუსეთში არარსებული გენერალ ფელდცეხმეისტერის წოდება მიანიჭა. თუმცა, განგებამ ეს ორი ბუმბერაზი ნაადრევად დააცილა ერთიმეორეს, პეტრე პირველს არასოდეს გასცივებია სიყვარული თავისი უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლისადმი, ყოველთვის სამაგალითო ყურადღებით ელოლიავებოდა ალექსანდრე ბატონიშვილის ხსოვნას და მზრუნველობას არ აკლებდა მის მშობლებს, ალექსანდრეს დას – დარეჯანსა და მოსკოვში ახლად დაფუძნებულ ქართველთა კოლონას. აბა გავიხსენოთ, რა პატივით დაკრძალეს 1719 წლის 16 აპრილს გარდაცვლილი არჩილ მეფის მეუღლე-ქეთევან დედოფალი. ქმარ-შვილისა და სამშობლოს წინაშე სამაგალითოდ ვალდობდილ ქალბატონს წილად ხედა დიდ სახელმწიფოთა დედოფლისათვის კუთვნილი სამარადისო გაცილება. „დაკრძალვას ასეთი ხასიათი და მნიშვნელობა ვერ მიეცემოდა, რომ არ ყოფილიყო პირადი ბრძანება ხელმწიფისა, პეტრე დიდისა, რომელიც ამ აქტივით ერთხელ კიდევ ამჟღავნებდა თავის სიყვარულს ალექსანდრესადმი და ღრმა პატივისცემას არჩილისადმი.“<sup>60</sup> რა თქმა უნდა, აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქეთევან დედოფალი ერეკლე ბატონიშვილის და იყო და პეტრე დიდის ყურადღებაც არჩილ მეფის ოჯახის მიმართ სწორედ აქედან მომდინარეობდა.

არჩილ მეფის ოჯახისადმი პეტრე დიდის განსაკუთრებული პატივისცემა მაშინაც გამოჩნდა, როცა შვედეთიდან 21 წლიანი ომის ბრწყინვალე გამარჯვებისადმი მიძღვნილი დიდი საზეიმო საღამო სოფელ ვსესვიატსკოეში გადაიხადა და „...პირველი სასმისი პეტრემ შვედებზე მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად მეფე არჩილის სახლში ასწია.“<sup>61</sup>

არჩილ მეფის ერთ დროს რიცხვმრავალ სასახლეში იმჟამად დარეჯანიდა იმყოფებოდა, იგი შვედებზე რუსეთის ბრწყინვალე გამარჯვებით ღიდად იყო გახარებული, მაგრამ უკვე ხანში შესული, მშობლებისა და ძმების გარდაცვალებით ღრმად დამწუხრებული მეჯლისში მონაწილეობას არ იღებდა. პეტრესაც ადრევე დაუტოვებია ამაღლა და მთელი ღამე დარეჯანთან საქმიან საუბარში გაუტარებია“.<sup>62</sup>

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ არჩილ მეფემ სიკვდილის წინ მისთვის ჩვეული სიბრძნით აღსავსე წერილით მიმართა პეტრე დიდს. მრავალ-

<sup>60</sup> ვლ. ტატიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 233.

<sup>61</sup> იქვე, გვ. 236.

<sup>62</sup> მ. გონიკაშვილი, ბავრატონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, 1986, გვ. 40.

გზის ტანჯულმა მეფე-პოეტმა უკანასკნელი სათხოვარი შეავედრა რუსეთის ხელმწიფეს: „სულის განტყვებისას მიემართავ თქვენს უდიდებულესობას: ჩვენ ქვეყნად ვიბადებით შრომისათვის, კვდებით იმისათვის, რომ მოვიპოვოთ განსვენება. „სიკვდილი კაცისათვის დასვენება“. სიცოცხლეში მე ბევრი რამ გადავიტანე ქრისტეს სარწმუნოებისათვის. მისთვის მე გავიმეტე არა მარტო მიწიერი ჩემი სამეფო, ჩემი საყვარელი სამშობლო, უტკბესი ჩემი შვილები, არა ერთხელ საკუთარი სიცოცხლეც კი, მოწყალო მეფე, შენს ხელს ვაბარებ ჩემს სახლს და ყველა იქ მყოფს. შენ გაბარებ ლტაკთ, ობოლთ და გადმოხვეწილთ. იყავი მათი შემწე, ნუ მიატოვებ მათ სიბერეში. მისმინე: თუ ჩემი უყურადღებობით რაიმე შეგცოდნე, მომიტყევე. მაღალი მონარქის თვალთ გადაშეხედე და შეივრდომე ჩემს შემდგომ დარჩენილი ასული ჩემი. იმედი მქონდა, ჩემი ვაჟების მეოხებით აღმედგინა მემკვიდრეობა ჩემი გვარეულობისა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მფლობელობდა ივერიასა და სხვა ქვეყნებს. ღმერთმან არ ინება ეს. მაგრამ დამიტოვა ასული, რომლის მეოხებით ჩვენი გვარი შეიძლება აღდგენილ იქნეს, თუ ჩემი ქალიშვილისათვის შეირჩევა შესაფერი პირი, კანონიერი ქორწინებით და ურთიერთთანხმობით მასთან შესაუღლებლად. წარსულში ამ გზით ჩვენი გვარი ორჯერ იყო განახლებული. ეს წესი მიღებულია და კანონიერად ითვლება აზიისა და ევროპის ბევრ სამეფო კარზე...“<sup>63</sup>

არჩილ მეფის თხოვნა დარეჯანის გათხოვების თაობაზე პეტრე პირველმა არ განახორციელა. „რუსი მკვლევარი ს. დიანინი ამ ფაქტს იმ გარემოებით ხსნის, რომ პეტრე პირველი თვით თავის თავს თვლიდა ქართლის სამეფო ტახტის პირდაპირ მემკვიდრედ და რომ მას არ სურდა სამეფო საგვარეულო არჩილის ქალიშვილის მემკვიდრეობით წასულიყო“<sup>64</sup> ს. დიანინთან ვკითხულობთ, რომ პეტრე პირველი „თავის თავს ქართლის მეფეთა მემკვიდრედ თვლიდა“<sup>65</sup>

ქართლის მეფეთა შორის, რომელთა კანონიერ მემკვიდრედაც პეტრე დიდი საკუთარ თავს მიიჩნევდა, ალბათ, პირველ რიგში, გულისხმობდა ერეკლე ბატონიშვილს, რუსეთისათვის დიდად გახმაურებულ ნიკოლოზ დავითის ძეს, რომელიც ქართლში 1688-1703 წლებში მეფობდა, ხოლო იმავე პერიოდში რუსეთს თვითონ პეტრე პირველი ედგა სათავეში.

პეტრე პირველის წარმომავლობასთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს ყოფილი საბჭოთა კავშირის ინტელიგენციის მაღალ ეშელონებში საყოველთაოდ გახმაურებული ერთი ფაქტი: ცნობილი რუსი მწერალი ალექსეი ტოლსტოი სტალინთან რჩევისათვის მისულა: „ღრმად პატივცემულო იოსებ ბესარიონის ძე! საფუძვლიანად შევისწავლე პეტრე დიდის ცხოვრება და

<sup>63</sup> ელ. ტატიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 227.

<sup>64</sup> შამშე მეგრელიძე, ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები. 1979, გვ. 13.

<sup>65</sup> სერგეი დიანინი, „ბოროდინი“, მოსკოვი, 1960, გვ. 160 (რუსულ ენაზე); მიხ. გონიკაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 39.

მოღვაწეობა. მაქვს მოძიებული უტყუარი ისტორიული დოკუმენტები იმის თაობაზე, რომ იგი ქართველთა სამეფო გვარის შთანმოძავალია. გთხოვთ ჩემს ახალ რომანში პეტრე დიდის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერისას ამ დოკუმენტების გამოქვეყნების ნება დამართოთ“. მწერლისათვის ი. სტალინს უთქვამს: „პეტრე პირველი ცნობილი რუსი მოღვაწე იყო და ასევე უნდა დარჩეს. რაც შეეხება მის ქართველობას, ეს ჩემთვის დიდი ხანია ცნობილია. მაგრამ ამის საჯაროდ თქმა ქართველებს არაფერს შემატებს... ამიტომ გირჩევთ, ამ ამბავს ნუ გაეახმაურებთ“.<sup>66</sup>

ალ. ტოლსტოიმ შეასრულა ი. სტალინის რჩევა და ორ ტომად გამოქვეყნებულ ისტორიულ რომან „პეტრე დიდში“ აღნიშნულის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს.

თუშეთში ერეკლე ბატონიშვილის რამდენიმე წლის მანძილზე ცხოვრების მიუხედავად, დღემდე არც ერთი საბუთი არ მოიპოვება, რომელიც იქ ერეკლეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაზე მიუთითებს. თავისთავად წარმოუდგენელია, თუშეთში ყოფნის დროს ერეკლეს არ ჰქონოდა სხვადასხვა შინაარსისა და ხასიათის სხდომები, სადაც ნამდვილად გადაწყდებოდა, როგორც კახეთში ლაშქრობისა და სამეფო ტახტის ხელში ჩაგდებისათვის ბრძოლის გეგმები, ასევე რუსეთთან ურთიერთობის საკითხები. ერეკლე ბატონიშვილი საგანგებოდ მოწვეული სხდომების გარეშე ვერ მოახერხებდა მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთშეკავშირებას კახეთის ტახტის ხელში ჩაგდებისათვის საბრძოლველად. საეჭვოა, რომ ოდესმე „აღმოჩნდეს თვით თუშეთის იმდროინდელი მოღვაწეთა სხდომებისა და მათი დადგენილებების მასალები ქართულ ენაზე. თუშები ასეთ ჩანაწერებს ალბათ არც აკეთებდნენ“.<sup>67</sup>

სამწუხაროდ, ერეკლე ბატონიშვილისა და მისი თანმხლები ამალის თუშეთში ცხოვრებაზე არსებული მასალები არ გვამცნობენ, თუ რომელ თუშურ თემებთან ჰქონდა ბატონიშვილს უფრო მჭიდრო და ყოველდღიური ურთიერთობა, თუშებიდან ვინ იყვნენ მასთან ყველაზე მეტად დაახლოვებულნი, კახეთის სამეფო ტახტის მომავალ მემკვიდრეს რომ ეხმარებოდნენ და თუშეთის სახელით მოქმედებდნენ, თუშეთის მთელ მოსახლეობას რაზმავდნენ და ერეკლეს წინამძღოლობით კახეთის დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ. ერეკლე ბატონიშვილის თუშეთში ცხოვრების ისტორიიდან მეტად საინტერესოა ისიც, თუ რომელი გზით უკავშირდებოდა ბატონიშვილი კახეთს, თორღვას ციხე-გლავნიდან როგორ ახერხებდა მტრის გარემოცვის გარღვევასა და უვნებლად თუშეთში გადასვლას?

როგორც ითქვა, ერეკლე ბატონიშვილს თუშეთზე დაყრდნობითა და თუშეთიდან ჩამოყვანილი მებრძოლი ძალებით რამდენჯერმე მოუხდა შეჯახება და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების გადახდა, როგორც ცალკე ვახტანგ

<sup>66</sup> ვაზ. „მშვიდობა ყოველთა“, მარტი-აპრილი, 1995წ.

<sup>67</sup> იასე ცინცაძე, დასახ. შრომა, გვ. 184.

ველთაგან დაცლა და მისი თურქმან-ყიზილბაშ მომთაბარეთა სადგურად გადაქცევა დაიგულა“.<sup>16</sup>

შაჰის მიერ ქართლ-კახეთში ოთხგზის (1614-1617) განხორციელებული შემოსევა ხასიათდებოდა გაუგონარი ველურობით, შეუდარებელი სისასტიკით, მუხანათობით, ქართველთა ფანატიკური ზოცვა-ჟღერით, ციხე-ქალაქებისა და სოფლების ნგრევა-გადაწვით, ბალ-ვენახების აკაფვით და ყოვლად უსაზიზღრესი არაადამიანური აღვირახსნილობით. საგანგებოდ დაანგრია და გადაწვა კახეთი. რომელიც უკაცრიელ უდაბნოს დაამსგავსა, საიდანაც ორასი ათასამდე ტყვე სპარსეთში გადაასახლა, ხოლო ასი ათასზე მეტი კახელი სისხლისმსმელთა შემოსევებს ემსხვერპლა. „განსაკუთრებით კი ამ ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი დაზარალდა. ამის მიზეზი ის განსხვავებული ვითარება იყო, რომ კახეთს ამ ნაწილში ზურგის მისაყრდენი საიმედო მთა არ ახლდა, სადაც მოსახლეობას დახიზვნა შესძლებოდა. პირიქით, დაღისტანი, როგორც აღენიშნეთ, კარგა ხანია მისდა სამტროდ იყო აძღვარი. შაჰმა ოსტატურად ისარგებლა ამ ვითარებით და ყოველი მხრით ალყაშემორტყმულ ქვეყანას საკუთარ ყიზილბაშებთან ერთად დაღესტნელ აბრაგთა დასტები ასაოხრებლად მიუსია“.<sup>17</sup>

ამძნელებლობის უკან აღმოსავლეთ კახეთში დაღესტნელთაგან ყველაზე გამორჩეულად თურმე წახურის სულტანი იქცეოდა, რომელმაც შაჰის მადლობა დაიმსახურა, ხოლო შემდგომში კი, როდესაც თეიმურაზ მეფემ დრო იხელთა, სპეციალური სადამსჯელო ოპერაციის მოწყობის შედეგად ალი სულტანი შეიპყრეს და თავი მოაჭრეს.

შაჰაბას პირველის მიერ ქართლ-კახეთში ჩტარებული სისხლისმსმელ-ამაოხრებელი ლაშქრობების გზით მოპოვებული „წარმატებები“, რომელთა დაგვირგვინებასაც ირანი მომდევნო წლებში აპირებდა, ქართველმა ხალხმა გიორგი სააკაძის ხელმძღვანელობით გააცამტკერა და ჯერარნახული კრახი აგემა ქართველთა სისხლისმსმელ ჯალათს. საშობლოს ხსნისა და გადარჩენისათვის ერთმუშტად შეკრულმა ქართველობამ გმირთა-გმირი გიორგი სააკაძის წინამძღოლობით მარტყოფის, მარადის, ქსნისა და პარტიზანული ბრძოლების შედეგად 60-70 ათას სპარსელ დამპყრობელს თავები საქართველოში დააყრვეინეს, შაჰ-აბასის ავადსახსენებელი გეგმა, რომ საქართველო თურქმანული-ყიზილბაშური ტომების სამომთაბაროდ გადაექცია, ნაცარტუტად აქციეს, საგულდაგულოდ დაასამარეს და ქართველთა მოთხრამოსპობის დღემუდამ მოსურნე შაჰს თავზე გადააფხრიწეს. „ქართველებმა შამხალ-დაღესტნელ აბრაგებსაც მოხედეს, რომლებმაც ძნელბედობის პერიოდში ქართლ-კახეთს არც თავისი ხელი დააკლეს. გიორგი სააკაძის და-

<sup>16</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, 1966, გვ. 266-267.

<sup>17</sup> ნ. ბერძენიშვილი, იქვე, გვ. 267.

უღალავი ცდის შედეგად ეს თავდასხმებიც დროებით აღიკვეთა და ქვეყანამაც შედარებით თავისუფლად ამოისუნთქა.<sup>18</sup>

მართალია, ქართველთა დაუძინებელი მტრის უსაზიზღრესი გეგმა, როგორც აღინიშნა, დაიმსხვა და გაცამტვერდა თვით ავადსახსენებელი შაჰ-აბას პირველიც ქართველთა ცოდვა-ბრალმა და სამართლიანმა რისხვამ უწადინოდ არმოსასვლელეთის გზას გაუყენა. ქართლ-კახეთში დროებით მშვიდობიანი ყოფა-ცხოვრების პირობები შეიქმნა. ქვეყანამ ჭრილობების მოშუშება და ფერფლად ქცეული სოფლების, ქალაქებისა და ციხესიმაგრეების აღდგენა-აღმშენებლობა დაიწყო. მაგრამ მალევე გამოირკვა, რომ, მართალია სისხლის-მსმელი შაჰი ვერ ეღირსა თავის დაუოკებელ საწადელს, რაც ნიშნავდა იმას, რომ საქართველო თურქმანულ-ყიზილბაშური ტომების სამომთაბაროდ გადაექცია, შაჰ-აბასს თავისი განუხორციელებელი განაზრახი ანდერძად დაუტოვებია შთამომავლობისათვის. იმიტომ იყო, რომ ირანის ტახტზე შაჰ-სეფის აღზევებისთანავე ირანიდან აქტიურად დაიწყეს მზრუნველობა დაღესტანთან მჭიდრო კავშირ-ურთიერთობის დასამყარებლად. ირანი დაღესტნის ფეოდალებს, ხანებს და ბელადებს მოუწოდებს აიშაღსენ და ერთიანი ძალით მასობრივი ბრძოლები განაზორციელონ საქართველოს ასაოხრებლად.

XVII საუკუნის 30-50-იან წლებში ირანის შაჰები, განსაკუთრებით შაჰ-აბას II, უჩრგოლად იბრძვის თავისი მოსახლე წინამორბედის დასამარებული გეგმა-ოცნების აღდგენისა და სისრულეში მოყვანისათვის.

შაჰ-აბას II-მ, რადგან კარგად მოეხსენებოდა, რომ მისმა ავადსახსენებელმა პაპამ ქართველებთან სისხლისმძღვერი ბრძოლებით საწადელს ვერ მიაღწია და პირიქით, სამარცხვინო მარცხი განიცადა, ქართველთა დაპყრობის სრულად განსხვავებული გეგმა შეიმუშავა. ვერაგი შაჰის გეგმა მრავალწლიან და თანაც, ერთგვარად თვალში ნაკლებად მოსახვედრი ღონისძიებების განხორციელებას ითვალისწინებდა: 40-50-იან წლებში შაჰის ბრძანებით ამენდა ყარაღაჯისა და ბახტრიონის დიდი ტევადობის ციხესიმაგრეები, სადაც სპარსელთა საგანგებოდ გაწვრთნილი გარნიზონები ჩააყენეს. მსგავს ციხესიმაგრედ გადააკეთეს ალავერდის ტაძარი, მისი შემოგარენი და იქაც სპარსელთა შეიარაღებული გარნიზონი განათავსეს. აღნიშნულის პარალელურად კახეთში, ალაზნისა და ივრის ნოყიერ ველ-მინდვრებზე, თურქმანთა მომთაბარე-მესაქონლე ტომები ჩამოასახლეს, თანამედროვე სპარსი ისტორიკოსის მოჰამედ თაჰარის ცნობით 15 000 კომლი, ხოლო რუსული საარქივო მასალით 100 000 სული. 1656 წელს ქართლის მეფე როსტომს კახეთი ჩამოართვეს, რადგან მას უკვე ეჭვის თვალით უყურებდნენ, ნაკლებად ენდობოდნენ და სამმართველო-სამეთვალყურეოდ განჯის ხანს სელიმს გადასცეს. კახეთის სრული დაპყრობისა და კახელთა ამოწყვეტა-გადასახლებისათვის

<sup>18</sup> თ. ბოცვაძე, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან (XV-XVIII სს.), 1968, გვ. 82.



„მოეცა ყვენსა ნაზარალიხანისათვის, – შენიშნავს ვახუშტი, – აჯი-ალიხან და ხანი კახეთს მჯდომი და დარაჯად, თხოვნითვე ერეკლესათი, თუშნი და ქიზიყელნი, ამის-თვის რამეთუ ვერა ეგდენ ენდობოდა ქართველთა“.<sup>69</sup>

თუშეთი ერეკლეს მოთხოვნას ამჯერადაც აქტიურად გამოეხმაურა, არც არასოდეს უღალატია ერეკლესათვის, ყოველთვის მისი საიმედო კუთხე და მებრძოლი ძალა იყო. „ერეკლე, – წერს ვახუშტი, – ყვენისაგან წოდებული ნაზარ-ალიხან მოვიდა ტფილისს მეფედ (1688)“.<sup>70</sup> ამ ფაქტს ბევრი უსაიმედოდ შეხვდა, მათ შორის გიორგი მე-11, ქართლის მეფე, მისი ძმები და შვილები, რომელთაც ვერ მოეთმინათ ქართლში ნაზარ-ალიხანის გამეფება. 1688 წლიდან 1703 წლამდე, სანამ ერეკლე პირველი ქართლის სამეფო ტახტს განაგებდა, შეუწევლებელი და გაუთავებელი ბრძოლები წარმოებდა ერეკლე პირველსა და გიორგი მე-11 შორის, სურდათ ერეკლეს დამარცხება, ქართლიდან განდევნა და კახეთში არჩილის, ხოლო ქართლში კვლავ გიორგის გამეფება. მე-17 საუკუნის 90-იან წლებში ბრძოლები ერეკლესა და გიორგის შორის მწვავე ხასიათს იღებს. გიორგი მეფე დაჟინებით მოითხოვს კახეთში არჩილის გამეფებას, იქ თავის ახლობელ, სანდო კაცებს აგზავნის: „რათა დაიპყრას კახეთი და მუნიდამ წარაველინა, ბარძიმ თავად სპათა, გივი ამილახორი და სპასპეტი თამაზ და ქართველნი“.<sup>71</sup>

ეტყობა, ერეკლე პირველსა და გიორგი მეთერთმეტეს შორის გამართულ ბრძოლებს კახეთის საკითხთან დაკავშირებით თუშებმა თავის ღრობე აუღეს ალღო და შექმნილი მდგომარეობა სწორად გააანალიზეს. თუშები ქიზიყელებთან ერთად ნინო-წმიდას მოვიდნენ, სადაც გიორგი მეფის წარგზავნილნი იდგნენ. მაგრამ, ბარძიმი კარგ მასპინძლობას ვერ უწევს. აგდებულად უყურებს კახელებს, კერძოდ, თუშებს და ქიზიყელებს, რომელნიც ყოველთვის ერეკლე პირველის მომხრეები იყვნენ. ამჯერად კი იმ აზრს შერიგებიან, რომ კახეთის ტახტს კვლავ არჩილი დაუბრუნდეს: „ბარამედ დუშიაქი ქიზიყის მოურავი მოვიდა მთა-მთად მცირედითა თუშით და ქისიყითა, არა ბრძოლად. გარნა რათა ჰყოს ზავი მათ თანა: ხოლო ესე ბარძიმ იყო ამაყი, თავხედი, კანდიერი და არა რაიდ ვინმე ჩნდა და უმეტეს კახნი: ამისი მცნობი და მგონებელი დუშიაქი ბრძოლად მოსვლისა, ღვინოსმული დამთვრალი განრისხდა ფრიად და არლა-რა ისმინა ვისიმე და მიეტევა ბრძოლად. მაშინ დუშიაქი შიშისათვის იწყო სროლა თოფთა, ჰკრეს ბარძიმს მკერდსა და განელო ბეჭსა მისსა და შეიღეს მოწყლული ნინო-წმიდის ზღუდესა შინა“.<sup>72</sup>

მე-17 საუკუნის 90-იან წლებში, როცა გიორგი მეფე და ერეკლე პირველი ერთიმეორეს დაუპირისპირდნენ, ძალთა თანასწორობა იგრძნეს და ბრძოლა

<sup>69</sup> ვახუშტი, დასახ. შრომა, გვ. 92.

<sup>70</sup> ვახუშტი, იქვე, გვ. 96.

<sup>71</sup> ვახუშტი, დასახ. შრომა, გვ. 96.

<sup>72</sup> ვახუშტი, იქვე.

ორივემ საეჭვოდ ჩათვალა — გიორგი მეფე თიანეთში, ხოლო ერეკლე პირველი ქართლის უბანს მყოფი, ერთიმეორეს უთანხმდებიან და პირობას აძლევენ: „დაიპყრას ქართლი გიორგიმ და კახეთი ერეკლემ და აუწყონ ყვენსა, ეგრეთ მორჩილება მისივე და დაუსკუნესცა ესე პირი. არამედ არა აუფლეს მეშფოთეთა ესე ყოფად“.<sup>73</sup> მიუხედავად წინასწარი შეთანხმებისა, გიორგი მეფე, გიორგი არაგვის ერისთავსა და სხვა თანამდგომებთან ერთად გატეხს პირობას, აღზევდება და კვლავ სისხლისმღერელ ბრძოლებს მართავს, გაერთიანებულ ძალებს დაუპირისპირებს ერეკლე პირველს და ქართლ-კახეთის ხელში ჩაგდებას ლაშობს. ასეთ კრიტიკულსა და დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში თუშები კვლავაც ერეკლეს ერთგულნი არიან. ქართლის მეფისადმი თუშების თანადგომა და ბრძოლაში ჩაბმა გიორგი მე-11-თვის საგანგებოდ მოუხსენებიათ. „ამასვე ჟამსა მოართვეს მეფესა გიორგის, რამეთუ მოვლენ თუშნი და კახნი სამასნი წინაშე ერეკლე მეფისა“.<sup>74</sup> ამ ფაქტს მოწინააღმდეგეთა ბანაკში დიდი აღშფოთება გამოუწვევია: „მსმენელნი სპანი წამსვე აღმხედრდნენ სრულიად და მიეტიენენ“.<sup>75</sup> მოწინააღმდეგის ასეთ სწრაფ ამხედრებასა და თავდასხმას თუშები კახელებთან ერთად მამაცურად დახვედრიან. თუშ-კახთა გაერთიანებულ ლაშქარში მოწინააღმდეგის სიმრავლეს და ელვისებურ, მოულოდნელ თავდასხმას უფრო ძლიერი და შეუდრეკელი ბრძოლის განწყობილება შეუქმნია. გიორგი მეფის თუშებზე ნაუცბადევეად თავდასხმას ვახუშტი შემდეგნაირად აღწერს: „მხილველნი თუშნი შეკრბნენ ტალავარის ბოლოს გორასა ზედა და მისრულ მდგომთაგან იქმნება კვეთებული ბრძოლა ძლიერი“.<sup>76</sup>

მე-17 საუკუნის 90-იანი წლებისათვის გამართულ ბრძოლებში გიორგი მეფე თანდათან მარცხდება, სუსტდება და ერთ დროს შაჰნავაზიანთა ძლიერი შემადგენლობა იშლება, ქუცმაცდება. შექმნილმა მდგომარეობამ ქართლის მეფე გიორგი აიძულა ჩამოშორებოდა ქართლ-კახეთის ხელში ჩაგდებისთვის ბრძოლას და 1695 წლიდან იმერეთში, ხოლო იქიდან სპარსეთში გადასულიყო.

გიორგი მეფის წასვლის შემდეგ თუშეთი ერეკლე მეფესთან კვლავ მჭიდრო კავშირშია: „ხოლო შემდგომად გიორგი მეფის წარსვლისა წარვიდა ქალბალიხან განჯას სპითურთ და ერეკლემ დაიპყრა სრულიად ქართლი განაყენა კვალად კათალიკოზობიდან ნიკოლოზ და დასვა იოანევე. კვალად გარნა თუ ეპყრა კახეთ ქალბალიხანს. არამედ მარადის იყვნენ წინაშე ერეკლესასა და თუშნი, ქიზიყი და ერწო-თიანეთი ეპყრა ერეკლეს“.<sup>77</sup>

სპარსთაგან ერეკლეს მეფედ დანიშვნა ქართლში და მისი ამხედრება

<sup>73</sup> ვახუშტი, იქვე, გვ. 97.

<sup>74</sup> ვახუშტი, იქვე, გვ. 98.

<sup>75</sup> ვახუშტი, იქვე.

<sup>76</sup> ვახუშტი, დასახ. შრომა, გვ. 98-99.

<sup>77</sup> ვახუშტი, იქვე, გვ. 106-107

გიორგი მეთერთმეტისა თუ საერთოდ შანაზაზიანთა წინააღმდეგ საქართველოს გამაერთიანებელი ძალების დასუსტება-დაშლისა და მოსაპოვებელი იყო გამიზნული. აქედან გამომდინარე ერეკლე პირველის ყოფნა ქართლში და მასთან ერთად, თუშებისა და კახელების ბრძოლა გიორგი მეფესთან რეაქციული საქმიანობა გახლდათ და მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს. თუმცა, ერეკლე პირველმა რუსეთსა და ირანში მთელი სამი ათეული წელი დაჰყო და დიდი შესაძლებლობა ჰქონდა, მიეღო სათანადო სამხედრო-პოლიტიკური ცოდნა, განათლება-გამოცდილება და ყოველივე ეს შემდგომში სამშობლოს კეთილდღეობისათვის გამოეყენებინა. პირიქით მოხდა: მან ქართლში მეფობის დროს პოლიტიკური უსუსურობა და გონებრივი შეზღუდულობა გამოამჟღავნა. იგი ვითარებას სათანადოდ ვერ აცნობიერებდა და ქვეყანაში შფოთი და არეუ-დარევა შექმნოდა. მისი მმართველობა ირანისთვისაც კი საბოლოოდ საზიანო გამოდგა, ამიტომ 1703 წელს ქართლის მეფობიდან გადააყენეს და კვლავ გიორგი მე-11 აღადგინეს, თუმცა, იგი სამშობლოში აღარ დაუბრუნებიათ.

1703 წლიდან ყვენმა ქართლის მეფობიდან ერეკლე პირველი გაათავისუფლა და სპარსეთში გამოიძახა. ყვენის წერილის შესახებ ვახუშტი გადმოგვცემს: „მივეც ქართლი გიორგი მეფესავე, ხოლო შენდა მომინჭვიეს კახეთი და ყულარადასობა, აწვე წარმოვედ წინაშე ჩემსა“.<sup>78</sup> თანახმად ყვენის ბრძანებისა, ერეკლე 1703 წლიდან ტოვებს საქართველოს, ქართლის სამეფო ტახტს და სპარსეთში მიემგზავრება.

1703 წლიდან ყვენმა ერეკლეს თხოვნით კახეთის მეფედ მისი ვაჟიშვილი დავითი დაამტკიცა, რომელსაც გამაჰმადიანების შემდეგ იმამ-ყული-ხანი ეწოდა.

ერეკლე პირველს სიკვდილი ერჩინა სამშობლოდან წავლას, მაგრამ მას სხვა გზა აღარ ჰქონდა, ის დიდი ხანია თავისთავს აღარ ეკუთვნოდა და უწადინოდ გაუდგა მისთვის ყველაზე საძულველი ქვეყნის ნარეკლიან გზას. ერეკლე I-ის დაუოკებელი ოცნება, რომ კახეთის მეფე გამხდარიყო და სამშობლოსათვის ჭრილობები მოეშუშებინა, განუხორციელებელი დარჩა; ერთხელ და სამუდამოდ აფორიაქებული და წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრება კვლავ უცხოობაში გააგრძელა, იქვე აღესრულა და მშობელ მიწაში სამარადჟამო განსვენებასაც კი ვერ ეღირსა. მართალია, მისმა დიპლომატიურმა და სამხედრო-პოლიტიკურმა საქმიანობამ მის ქვეყანას რაიმე არსებითი სიკეთე ვერ მოუტანა, რაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ ერეკლე ბაგრატიონის სუბიექტივიზმით არ იყო გამოწვეული. ქართლში მისი მეფობა თავიდანვე განპირობებული იყო სერიოზული ჩავარდნებისა და წარუმატებლობისათვის. ორად გახლეჩილ ქართლში, თანაც კახელ ბაგრატიონს, რა

<sup>78</sup> ვახუშტი, იქვე.

თქმა უნდა, გაუძნელდებოდა სასახელო საქმეების კეთება. მაგრამ ერეკლე I-ს მაინც ქართველი ერის ისტორიაში ყურადსაღები ადგილი უკავია. რომ არა ერეკლე I კახეთის ბაგრატიონთა შტო არსებობას შეწყვეტდა და „ლეკიანობა“, „ოსმალობა“, „იზილბაშობა“ და სხვა მრავალი საგარეო და საშინაო წინააღმდეგობები XVIII საუკუნის საქართველოს დიდ უბელურებას დაატეხდა თავს. ერეკლე I-ის ვაჟიშვილებმა: დავით II-ემ, კონსტანტინემ და თეიმურაზ II-ემ ძნელბედობის ჟამს ქართლ-კახეთს, როგორც შეეძლოთ უპატრონეს და ქვეყანა იხსნეს სრული კატასტროფისაგან. ერეკლე I-ის შეილიშვილი ერეკლე II ხომ ქართველი ხალხის დაუოკებელი ნატურის აღსრულება იყო, რომელმაც სახელოვანი მრავალწლიანი მოღვაწეობით განაწამები პაპის ოცნებას განხორციელება უწინასწარმეტყველა და უფსკრულის ზღუდესთან მყოფი საქართველო გადაარჩინა, გააძლიერა და ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ სახელმწიფოდ აქცია. ერეკლე II-ის საქვეყნოდ ქებული მოდგმა-შთამომავლობაც ხომ თავის არსებობას, ჯიშსა და ჯილაგს უშუალოდ ერეკლე I-დან იწყებენ, რომელმაც მათთვის დამახასიათებელი სანაქებო შრომა-საქმიანობით დიდი პაპის გატანჯულ სულს სამარადჟამო არსებობა დაუმკვიდრეს.

ერეკლე I-ის ცხოვრება და მოღვაწეობა, როგორც ზემოთაც უკვე ითქვა, მარტო ქართული ისტორიოგრაფიით არ იფარგლება და უნდა ითქვას, რომ მას რუსეთის ისტორიაშიც თავისებური ადგილი უკავია. XVII საუკუნის მეორე ნახევარში მოსკოვში ერეკლე ბატონიშვილის ცხოვრებამ, რუსეთის მეფის კარზე მისმა განსაკუთრებულმა აღიარებამ, არაჩვეულებრივმა დაახლოებამ მეფე ალექსი მიხეილის ძის ხელისმომკიდეობა-მეგჯერეობამ, დედოფალ ნატალია ნარიშკინისთან შეუზღუდველმა სიახლოვე-ურთიერთობამ, რასაც თან დაერთო 1672 წელს უფლისწული პეტრეს დაბადება-მოვლინება, ქართველი ბატონიშვილის ფიგურირებას რუსეთის ისტორიაში კანონზომიერი ნიადაგი შეუქმნა და გვსურს თუ არა, გვსიამოვნებს თუ არა, იგი ერეკლე I-ის პიროვნების ისტორიის შესწავლისას უეჭველად უნდა აღინიშნოს.

ელენე დედოფლისა და ერეკლე ბატონიშვილის მიერ მოსკოვში დაფუძნებულ საქართველოს სახელმწიფო კოლონას XVII ს-ის 80-90-იანი წლებიდან უფრო აძლიერებს და სრულყოფილს ხდის მეფე-პოეტი არჩილ II, რომელიც 1699 წელს სამეფო ტახტის დაბრუნებისათვის ბრძოლაში იმედგაცრუებული საბოლოოდ და საბუდამოდ მოსკოვში გადასახლდა. ქრონოლოგიურად ეს არის ის წლები, როცა ქართლში მეფობს ერეკლე I, ხოლო რუსეთში პეტრე I. პეტრე I-ს განსაცვიფრებლად დიდი სიყვარული და გამორჩეული სიახლოვე აკავშირებს ქეთევან დედოფლისა (ქეთევან დედოფალი ერეკლე I-ის და იყო) და არჩილ მეფე-პოეტის ოჯახთან. პეტრე პირველს განსაკუთრებულად უყვარდა არჩილის უნიჭიერესი ვაჟიშვილი – ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკი, რომელიც ე.წ. „დიდ ელჩობაშიც“ თან ახლდა საზღვარგარეთში მოგზაურობის დროს და დაბრუნდნენ თუ არა პეტრემ 1700 წლის 19 მაისს

ალექსანდრე ბაგრატიონი რუსეთის არტილერიის პირველ გენერალ-ფელდცეიხმეისტერად დანიშნა. ალექსანდრე ბაგრატიონი რუსეთის მიერ შვედების წინააღმდეგ დაწყებული ომის პირველსავე დღეებში ტყვედ ჩავარდა, იგი 1700-1711 წლებში ტყვეობაში იმყოფებოდა და გარდაცვალებამდე პეტრე დიდი რუსეთის არტილერიის ხელმძღვანელ არც ერთ გენერალს არ აძლევდა გენერალ-ფელდცეიხმეისტერის წოდებას. პეტრე დიდის ხსენებული დამოკიდებულება ალექსანდრე ბატონიშვილისადმი პირველ რიგში ნაკარნახევი იყო მისი გამორჩეული ნიჭიერებით და არა არჩილ მეფის ოჯახთან პეტრე I-ის განსაკუთრებული ურთიერთობით. იმდროინდელი რუსეთის სახელმწიფო კარის ყველა მაღალმა ჩინოსანმა და მოსკოვის ელიტარულმა მოსახლეობამ სრულყოფილად იცოდა და თავისუფლად აღნიშნავდნენ კიდევ, რომ მათ სახელოვან მეფეს და 1721 წლიდან უკვე საყოველთაოდ აღიარებულ იმპერატორს მოსკოვის მაშინდელ ანგარიშგასაწევ დღესაგვარეულო ოჯახებისაგან განსხვავებით თვალში მოსახვედრი სიყვარულით იყო დაკავშირებული ქეთევან დედოფლისა და არჩილ მეფის ოჯახთან. აბა, გავიხსენოთ ქეთევან დედოფლის მოსკოვში დაკრძალვის გრანდიოზული რიტუალი, რაც, რა თქმა უნდა, პეტრე დიდის ნებისა და სურვილის გარეშე არ განხორციელდებოდა. თუნდაც ის, რომ შვედებთან რუსეთის მიერ წარმოებული 21 წლიანი ომის გამარჯვებით დამთავრების აღსანიშნავად პირველი სასმისი პეტრე დიდმა ქეთევან დედოფლისა და არჩილ მეფის ოჯახში ასწია და მთელი ღამე პეტრემ და მისმა თანამებრძოლებმა ამ ოჯახში იხეიმეს და გათენებისუამსლა გაემგზავრნენ სამეფო რეზიდენცია-კრემლისაკენ. ყოველივე აღნიშნული, რასაც კი რუსეთის მეფე-იმპერატორი პეტრე დიდი ქეთევან დედოფლისა და არჩილ მეფის ოჯახისადმი და მათი შვილების მიმართ ამჟღავნებდა და ანხორციელებდა კიდევ, სათავეს იღებს ერეკლე I-ის მიერ რუსეთის სამეფო კარზე XVII ს-ის მეორე ნახევარში განხორციელებული ყოფაცხოვრებიდან და იმდროინდელი რუსეთის მეფე-დედოფალთან ქართველი ბატონიშვილის კავშირ-ურთიერთობის ფრიად საინტერესო და ერთგვარად ბურუსით მოცული ისტორიიდან.

# 1.9. აღმოსავლეთ ქახეთის (ამქაძინდელი ქახის, ბელაქანის და ზაქათაღის რაიონების) დღეა-სამშობლოდან ჩამოცილება-დაკარგვის მიზეზთა ისტორიისათვის

„კახეთი“, „კახი“, „კახები“, როგორც ეთნიკური ტერმინი და ტერიტორიის აღმნიშვნელი სახელწოდება, თავდაპირველად გვხვდება ყველაზე უძველეს, ორ ქართულ ძეგლ-მატიანეში: „მოქცევაი ქართლისაი“-ს ქრონიკაში და „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ში.

პირველი ძეგლი „მოქცევაი ქართლისაი“, რომელიც უავტოროა და არ ვიცით ვის და რამდენ ავტორს ეკუთვნის, იგი, ფაქტიურად კრებულია და მას პირობითად „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ უძველეს ვარიანტადაც კი მიიჩნევენ, მოიცავს ვეებერთელა ისტორიას, დაწყებულს ძვ.წ. IV საუკუნიდან, ვიდრე ახ.წ. IX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისამდე. ამ წყაროში „კახეთი“, „კახი“ და „კახები“ მოხსენიებულია წმინდა ნინოს მიერ ქართლის წარმართი მოსახლეობის გაქრისტიანების პროცესის აღწერაში. წყაროში ვკითხულობთ: „ნინო კუალად წარვიდა კახეთად, დადგა კაწარეთს და მონათლნა კაოხნი და სუნჯი ერთთურთ მათით“, ანდა „ნინო გარდავიდა კახეთს და დადგა ქცელ დაბას და მოიყვანა კახნი მთავარნი და მონათლნა“. „კუალად გარდავიდა დიდად კახეთად. დადგა სანატრელი იგი ქველ დაბას. და მოიყვანნა კახნი მთავარნი, ამათვე მეფეთა ნათესავნი და ნათელსცა და განიშორა ნათვლავი მათი“. ამავე მატიანეთი ვიგებთ, რომ კახელთა განათლება-მოქცევის დროს ავად და შეუძლოდ გამხდარა ნინო განმანათლებელი და ძლივს მიუღწევია დაბა ბოდისამდე. აღნიშნულის შესახებ მატიანეში ვკითხულობთ: „ხოლო მას ჟამსა, ვინაითგან დასნეულდა და წარემართა და მიიწია კოხეთად, დაბას, რომელსა ეწოდების ბოდისი, და ვერღარა უძლო სვლად და ესმა ესე მეფესა და ფრიად შეწუდხეს“!

„ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ ეკუთვნის XI საუკუნის ცნობილ საეკლესიო მოღვაწეს და სახელოვან ისტორიკოს-შემატეანეს ლეონტი მროველს. ლეონტი მროველის თხრობა უმეტესწილად ლეგენდარულია. მაგრამ მკითხველმა უნდა იცოდეს, თუ ვინ იყვნენ კახები და კუხები, რომლებიც ლეონტი მროველს კახეთის თავდაპირველ, აბორიგენ მოსახლეობად მიაჩნია. მემატეანე გადმოგვცემს, რომ ამიერკავკასიაში მოსულ თარგამოსს, იაფეტის შვილი-შვილს „მრავალ შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს კაცნი რვანი, გმირნი ძლიერნი და სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა ერქვა ჰაოს, მეორესა ქართლოს, მესამეს ბარდოს, მეოთხესა მოვაკან, მეხუთესა ლეკ,

<sup>1</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს), ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ. 1963, გვ. 89.

მეექვსესა ჰეროს, მეშვიდესა კავკას, მერვესა ეგროს. ესე რვაანი იყვნეს გმირნი“.<sup>2</sup> თარგამოსმა თურმე, რადგან ვერღარა იტყვედა ქუეყანა არარატიისა და მასისისა, განუყო თარგამოს ქუეყანა და ნათესავი თვისი რვათა ამათ გმირთა“.<sup>3</sup> მამას ქართლოსისთვის მიუცია შემდეგი მიწა-წყალი: „მისცა ქართლოსს და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით ჰერეთი და მდინარე ბერდუჯისი; დასავლით ზღუა პონტოსი; სამხრით მთა, რომელი მიჰყვების ბერდუჯის მდინარის თავსა და მთა, რომელი მიჰყვების დასავლით კერძო, რომლისა წყალი გარდამოდის ჩრდილოთ კერძო და მიერთვის მტკუარსა, რომელ მიჰყვების მთა შორის კლარჯეთსა და ტაოს ვიდრე ზღუამდის; და ჩრდილოთ საზღვარი ღადო, მთა მცირე, რომელი გამოვლის შტოდ კავკასისაგან და მოჰკიდავს წყარო დასასრულსა ღადოსა, რომელსა აწ ჰქვიან ლიხი. და ამით საზღვართა საშუაელ მისცა ყოველი ქართლოსს“.<sup>4</sup>

საქართველოს დამარსებულ ქართლოსსაც მრავალ შვილთა შორის სახელოვანი და გამორჩეული ხუთი გმირი შვილი ჰყოლია „რომელთა სახელები ესე არს, – დასძენს ლეონტი მროველი, – პირველსა მცხეთოს, მეორესა გარდაბოს, მესამესა კახოს, მეოთხესა კუხოს, მეხუთესა გაჩიოს. ესე ხუთივენი იყვნეს გმირნი“.<sup>5</sup> მამის მსგავსად ქართლოსსაც მის მფლობელობა-გამგებლობაში მყოფი საბრძანებელი ხუთ შვილზე გაუნაწილებია. კახოსს და კუხოსს მიეცათ ქართლის მიწა-წყლის შემდეგი ტერიტორია: „ხოლო კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქვიან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე შესართავამდე, მთასა კახეთისასა და მტკუარსა შუა“... ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთას შორის, არაგვითგან ვიდრე ტყიგბადმდე, რომელი არს საზღვარი ჰერეთისა. და ამან კახოს აღაშენა ჩელეთი; კუხოს შეეწია შენებასა ჩელეთისასა. რამეთუ დედა-ციხე კახოსის ხუედრი იყო. და მისცა კახოს შეწევნისათვის და შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რომელსა ბერ ერქუა პირველ შენებულსა კახეთისასა“.<sup>6</sup> „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს მიხედვით ნათლად ჩანს, რომ კუხოსისა და კახოსის კუთვნილი სამფლობელო-ტერიტორიები აღმოსავლეთით ჰერეთს ესაზღვრება, რაც იმავედროს, ეს არის ისტორიული ქართლის სახელმწიფოს აღმოსავლეთი საზღვარი ალბანეთის სამეფოსთან, რომელთაც მდინარე თურდო ჰყოფდათ. ქართლის მოსაზღვრე ჰერეთი ქართველთა მონათესავე ხალხით იყო დასახლებული, რაც ქართლის სამეფოს უადვილებდა თავისი ქვეყნის აღმოსავლეთის საზღვარი ჰერეთის შემოერთებით საკმაოდ შორს წაეწია და გაფართოებუ-

<sup>2</sup> ლეონტი მროველი, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, იხ. „ქართლის ცხოვრება“, ტ.1, 1955, გვ. 3-4.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 4.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 4-5.

<sup>5</sup> ლეონტი მროველი, დასახ. შრომა, გვ. 8.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 9.

ლიყო. ძვ.წ. III საუკუნეში, ფარნავაზის მეფობის დროს, როცა ქართლის სახელმწიფომ დიდ წარმატებებს მიაღწია, ქართლის სამეფოს ტრადიციული საზღვარი აღმოსავლეთით დაირღვა და აღბანთა სახელმწიფოს დასავლეთი ტერიტორიის დიდი მიწა-წყალი ქართლის ძალაუფლებას დაექვემდებარა. ეს პროცესი ახ.წ. II საუკუნეში, როცა ქართლის სამეფოს მბრძანებლობს ფარსმან II ქველად წოდებული, კიდევ დიდ წარმატებებს აღწევს, ხოლო ვახტანგ გორგასალის მეფობის დროს ქართლის სახელმწიფოს აღმოსავლეთი საზღვარი ქ. ნუხს (მაქს) გასცდა და მისგან ჩრდილოეთით, 6-7 კმ-ის მოშორებით, ამენდა განთქმული ვიშის ტაძარი, რომელიც წარმოადგენდა იმ მხარის ქართველ მოღვაწეთა ე.წ. ვიშ-ქურმუხის რეზიდენციას. აქვე, ვიშის ტაძარში, ვახტანგ გორგასალმა ეპისკოპოსი დასვა და ყოველგვარი პირობები შეუქმნა წარმატებული მოღვაწეობისათვის.

ფარნავაზმა ქართლის სახელმწიფო დაპყრო შეიღ საერისთავოდ, რომელთა შორის ერთ-ერთი დიდ და ძლიერ საერისთავოდ ითვლებოდა კახეთ-კუხეთის საერისთავო. ვახტანგ გორგასალის დროსაც ქართლის სამეფოს ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულს საერისთავო ეწოდება და სულ იყო II საერისთავო. ვახტანგის დროინდელ ქართლის სამეფოში კახეთისა და კუხეთის საერისთავო კვლავ ერთად არის წარმოდგენილი და მის ერისთავად დასახელებულია დემეტრე. ვახტანგ გორგასალის დროინდელ ქართლის სამეფოს საერისთავოთა შორის მოიხსენიება ჰერეთის საერისთავოც, რომელსაც განაგებს გრიგოლ ერისთავი.<sup>7</sup> კახეთ-კუხეთის საერისთავოს მეზობლად, მის აღმოსავლეთით, ჰერეთის საერისთავოს შექმნა-ჩამოყალიბებით, საფუძველი ჩაეყარა კახეთისა და კუხეთის გაფართოება-გაძლიერების აშკარა სამომავლო პერსპექტივას.

კახეთი და კუხეთი, როგორც დავინახეთ, მრავალი საუკუნის მანძილზე ქართლის სამეფოში შედის როგორც საერისთავო; VI საუკუნის ბოლოდან იგი კვლავ ქართლის საერისმთავროს ერთ-ერთი საერისთავოა და მან პოლიტიკური დამოუკიდებლობა მხოლოდ არაბ დამპყრობლებთან გამანადგურებელი ბრძოლებით მოიპოვა; ყველაზე ადრე ქართლის საერისმთავოს კახეთი გამოეყო, კახეთის ერისთავი გრიგოლი ოფიციალურად ჩამოსცილდა ქართლს 787 წელს „და იწოდა კახეთის მთავრად ანუ ქორიკოზად“. კახეთის დამოუკიდებელი სამთავროს ჩამოყალიბებისთანავე, მის მეზობლად შეიქმნა ჰერეთის დამოუკიდებელი სამთავროც და ამ ორივე სამთავროს გაერთიანების გზით კვირიკე III-მ დიდად წოდებულმა XI საუკუნის პირველ მეოთხედში შექმნა კახეთ-ჰერეთის („რანთა და კახთა“) ძლიერი სახელმწიფო. ხსენებული სახელმწიფოს დამოუკიდებლობას ჯერ 1010 წელს ბაგრატ III-მ, ხოლო 1104 წელს დავით აღმაშენებელმა ბოლო მოუღო და იგი გაერთიანებულ იქნა

<sup>7</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 185.



ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შემადგენლობაში. მომდევნო საუკუნეებში ვიდრე XVII საუკუნის მეორე ნახევრამდე აღმოსავლეთ კახეთის საზღვრებს სერიოზული საშიშროება არ დაუქრებია.

XV საუკუნის მეორე ნახევარში ქვეყნის შიგნით და მზინდელი საქართველოს საგარეო ურთიერთობაში გაენიღმა მოვლენებმა გამოიწვია ერთიანი საქართველოს დაშლა-დაქუცმაცება სამეფო-სამთავროებად. 1466 წლიდან კახეთის სამეფომ დამოუკიდებლად დაიწყო არსებობა. კახეთის პირველი მეფე იყო ერთიანი და განუყოფელი საქართველოს ყოფილი მეფე გიორგი VIII, რომელიც კახეთის ახლად შექმნილ სახელმწიფოში იწოდებოდა გიორგი პირველად (1466-1476 წწ.). ახლად ფეხადგმული კახეთის სახელმწიფო ძირითადად აღსდგა კახეთ-ქერეთის სამეფოს ისტორიულ საზღვრებში და, რაც მთავარია და რასაც ჩვენ ვარკვევთ ამაჲამდ – აღმოსავლეთ კახეთის მიწა-წყლის სამშობლოდან მოწყვეტის ისტორიას, უნდა ითქვას, რომ იმდროინდელი კახეთის სამეფოს აღმოსავლეთი ტერიტორია კვლავ საქართველოს კუთვნილებას წარმოადგენდა.

XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე თემურ-ლენგის მიერ დაღესტნის მასობრივმა გამუსულმანებამ თანდათანობით გართულებები გამოიწვია დაღესტანსა და საქართველოს შორის, რაც პირველად კახეთის სამეფომ განიცადა. აგრესიულ-დამპყრობლური იდეოლოგიის ქვეშ მოქცეული დაღესტანი ივიწყებს კახეთ-დაღესტნის მრავალსაუკუნოვან კეთილ-შეზობლობურ ურთიერთობას, რის გამოც „ასეთ ვითარებაში თანდათან ქრება საქართველოს ბარის გაკლენა დაღესტანზე, სადაც XV საუკუნიდან ქრისტიანობა სუსტდება და მის ადგილს მაჰმადიანობა იკავებს“.<sup>8</sup>

გიორგი პირველის მიერ კახეთში 1471 წელს ჩატარებული სამხედრო და ადმინისტრაციული რეფორმების შედეგად, ახლად დაფუძნებული კახეთის სახელმწიფო აღმშენებლობა-გაძლიერების გზაზე დააყენა. ეს პროცესი კარგად წარმართა გიორგი I-ის ვაჟმა ალექსანდრე პირველმაც, რის შედეგადაც დაღესტნის მხრიდან იმაჲამდ სერიოზულ თავდასხმებს და კახეთის მოსახლეობის ძარცვა-ყაჩაღობას ადგილი არ ჰქონია.

კახეთის მომდევნო მეფეები ლევანი (1520-1574) და ალექსანდრე II (1574-1605) მათთვის დამახასიათებელი გონივრული და ბრძნული პოლიტიკის შედეგად უფრო აძლიერებენ ყველა სფეროში კახეთის სამეფოს და დაღესტნელ ფეოდალებსა თუ მძარცველურ-ყაჩაღურ რაზმებს კახეთის სამეფოში თავისუფალი და განუკითხავი შემოსვლის უფლებას არ აძლევენ. პირიქით კი ხდებოდა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ კახეთის მეფეები უარს არ ეუბნებოდნენ სილატაკით განაწამებ ლეკთა ერთეულ ოჯახებს კახეთის აღმოსავლეთში ჩამოსახლების თაობაზე. ლევან კახთა მეფის დროში

<sup>8</sup> მ. ღუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, 1953, გვ. 8.

– 1549 წელს პირველად ჩამოსახლდა დაღესტნელი ლეკების რამდენიმე ოჯახი, რომლებიც კახეთის მეფეთა ყმობის პირობით სოფელ ფიფინეთში დასახლდა. „ამ პირობებში – შენიშნავს, ნ. ბერძენიშვილი, – დაღესტნის შვილები კახთა მეფეების ყმობის პირზე ესახლებოდნენ ხოლმე მდიდარი კახეთის (პერეთის) ზეგანებში. ასე შეიქმნა, მაგალითად, XVI საუკუნეში ავარიელთა მოსახლეობა სოფელ ფიფინეთში“.<sup>9</sup> ეს პროცესი აღნიშნული საუკუნის მომდევნო ათწლეულებშიც გრძელდებოდა, რაც ადგილობრივ ქართველ თავად-აზნაურთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა, რადგან ისინი სახნავ-სათესი მიწის ფართობის თანდათანობით შემცირების აშკარა საშიშროების წინაშე იდგნენ, ხოლო ადგილობრივი ყმა-გლეხობა ლეკთა მათს სოფელში თუ მათ მეზობლად დასახლებას სიხარულით ზედებოდნენ და არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდნენ. „კახელი გლეხები „ლეკობაში“ „უბატონობას“ ხედავდნენ. ეს კი საბოლოოდ ყოველივე დაბრკოლებას სძლედა: კახელი გლეხი „გალეკებაში“ უბატონობას ეძებდა“.<sup>10</sup> ასე და ამ გზით იქმნებოდა აღმოსავლეთ კახეთში ე.წ. „უბატონო თემები“, რაც თავისი სამომავლო შედეგებით, ამ მხარისათვის ყველა ბოროტებათა საფუძველი და დამლუკველი აღმოჩნდა. გლეხობა სულ მალე მიხვდა, რომ მათი „გალეკება“ მოტყუება იყო და ბატონ-ყმობიდან თავდახსნის ნაცვლად ახალ მებატონეთა უღელქვეშ აღმოჩნდნენ. აღმოსავლეთ კახეთის გლეხობას თავისუფლება და ბატონ-ყმობიდან თავის დაღწევა სურდათ და არა ლეკ მებატონეთა უფრო უსაზიზღრეს და ყოველგვარი ქართველობის ღირსება-ღირებულებათა შეურაცხყოფელ-აბუჩადამგდებ-გადამაჯიშებელთა უღლის ქვეშ ყოფნა. „კახელი გლეხობა უბატონობისთვის იბრძოდა და არა ძველი მებატონის ახლით შეცვლისათვის“.<sup>11</sup>

XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ კახეთის ტერიტორიაზე ლეკთა თანდათანობით, კახეთის მეფეთა ყმობის პირობით დასახლების პარალელურად, ოსმალეთისა და ირანის მიერ საქართველოს დამპყრობლური პოლიტიკის გააქტიურების შედეგად საფუძველი ჩაეყარა აღმოსავლეთ კახეთის მიწა-წყლის დაკარგვას. ეს ყოველივე იმით დაიწყო, რომ შაჰ-თამაზმა 1562 წელს აღმ. კახეთის საზღვრის მორღვევა-დაუფლებისა და საქართველოს სამომავლო დაპყრობითი ბრძოლებისათვის საიმედო პლაცდარმის შექმნის მიზნით, „წახურის საძვლობელო (წახეთი, წუხეთი) – სამურის ზეგო წელში, რომელიც უძველესი დროიდანვე საქართველოში შემავალი ქრისტიანული ქვეყანა იყო, კახეთის მეფეებს ფაქტიურად ჩამოართვეა და ირანის შაჰისაგან უშუალოდ დამოუკიდებელ ერთეულად აქცია“.<sup>12</sup>

<sup>9</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, 1966, გვ. 263.

<sup>10</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, 1965, გვ. 163.

<sup>11</sup> ნ. ბერძენიშვილი, იქვე, გვ. 164.

<sup>12</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, 1966, გვ. 263.

აღმოსავლეთ კახეთის მიწა-წყლის მოტაცებისა და იქ ლეკთა თუ ყიზილბაშ-თურქმანთა ჩამოსახლების პროცესი უფრო დაჩქარდა XVII ს-ის დასაწყისიდან, როდესაც შაჰ-აბასმა ამ მხარეში აშკარად დამპყრობლური პოლიტიკის განხორციელება დაიწყო. აღმ. კახეთში შაჰაბას პირველის აგრესია და იქ ირანის ბატონობა-მფლობელობის დამყარებისათვის დაჩქარებული ბრძოლები გამოწვეული იყო აღმ. ამიერკავკასიაში, კერძოდ, კახეთის სამეფოში რუსულ-ოსმალური ორიენტაციის წარმატებებით. ირანი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ რუსეთი და ოსმალეთი უკან ჩამოეტოვებინა და კახეთი და ქართლი ირანის სახანოებად გადაექცია.

1603 წელს დაწყებულ ირან-ოსმალეთის ომში ირანის აშკარა წარმატებებმა შაჰაბას პირველს საშუალება მისცა კახეთისა და ქართლის სამეფოების მიმართ გადაედგა მუხანათური ნაბიჯები, რაც ორივე სახელმწიფოსათვის სამომავლოდ, ირანის მხრიდან, დიდი საშიშროების მომტანი ჩანდა, მაგრამ მათ ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. შაჰაბასმა „კახეთის მეფეს გამოსთხოვა პერეთის აღმოსავლეთი განაპირა თემი, რომელიც სამმართველოდ წახურულ ალიბეგს უწყალობა, სულტნის პატივში აიყვანა და შაჰის მფარველობის ქვეშ გამოაცხადა. ცბიერმა შაჰმა ალექსანდრე მეფეს მრავალი სოფელი უწყალობა ირანში. ამრიგად, კაკ-ენისელის (ძველი პერეთის) აღმოსავლეთი ნაწილი კახეთს ჩამოცილდა და შემდეგი დროის ელისუს სასულტნოს საფუძველი ჩაეყარა. ადგილობრივი ქართული მოსახლეობის გვერდით ამიერიდან თანდათან იწყეს ჩამოსხდომა მთის გადაღმიდან წახურელმა მოახალშენებმა. ალექსანდრე მეფე იძულებული იყო შერიგებოდა, სათვალშიწინოდ მაინც, ცბიერი შაჰის ამ მზაკვრულ ღონისძიებას. ელისუს ან კაკის სასულტნო მდინარეებს ყანი ყობისა და ყაფიჩაის შორის მდებარე ტერიტორიას ეწოდა. ასე რომ, 1605 წელს კახეთის სამეფოს აღმ. საზღვრად ყიზილბაშები ყაფიჩაის სთვლიდნენ. თუმცა, ქართველები ამ ფაქტს არ ურიგდებოდნენ და ელისუს სასულტნოს ისევ საქართველოდ (კახეთად) უყურებდნენ და კახეთის საზღვრად ისევ ყანი ყობი მიაჩნდათ“.<sup>5</sup>

მსგავსი მზაკვრული და მუხანათური გეგმა განახორციელა შაჰაბასმა ქართლის მიმართაც. შაჰმა ქართლის მეფე გიორგი X-ს 300 თუმანი ჯამაგირი დაუნიშნა, ირანში სოფლები უფექქაშა (ფუშთუქენი, გილანი, ლაჰიჯანი), რომლის სანაცვლოდ შაჰაბასმა გიორგი მეფეს ლორეს პროვინცია და მდ. დებედას ხეობა გამოსთხოვა, „ლორეს პროვინციისაგან მან სახანო შექმნა, რომლის ხანად ადგილობრივი გამუსულმანებული ფეოდალი დანიშნა. დებედას ხეობაში კი თურქმანული ტომი „ბორჩალუ“ ჩამოსახლა და აღჯაყალის ირანელ ციხისთავს დაუმორჩილა. ამით შაჰმა ქართლს სამხრეთის კედელი მოურღვია და მის თავდაცვისუნარიანობას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა“.<sup>6</sup>

<sup>5</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხევი, ტ. III, 1966, გვ. 265.

<sup>6</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 247-248.

შაჰაბას პირველის მიერ ქართლ-კახეთის დაპყრობისთვის შედგენილი გეგმის გამოძახილი იყო ის ამზრზენი სისხლიანი ტრაგედიაც, რაც ირანში აღზრდილმა და გამუსულმანებულმა კონსტანტინემ 1605 წლის 12 მარტს აღმოსავლეთ კახეთის ქ. ზაგეშში (ბაზარში) განახორციელა. ვერაგმა შაჰაბასმა რუსული ორიენტაციის მატარებელი კახეთის მეფე ალექსანდრე I და მისი უსაყვარლესი თანამებრძოლი და ყოველთვის სახელოვანი მეფე-მამის თანამდგომი გიორგი ბატონიშვილი გამაჰმადიანებული კონსტანტინეს ხელით ჩამოიცილა. მამისა და ძმის მოჭრილი თავები მუხანათმა კონსტანტინემ შაჰს გაუგზავნა და კახეთის სამეფო ტახტსაც დაუფულა. მამის მკვლეელი და სამშობლოს მოღალატე კონსტანტინეს მეფობა კახელებმა არ ისურვეს, სახალხო აჯანყება მოაწყეს და სისხლისმღვრელი ბატონიშვილი სიცოცხლეს გამოასალმეს.

კახელების მიერ აჯანყების მოწყობამ, მამისა და ძმის და კახელი დიდებულების მუხანათურად ამომწყვეტი სისხლისმღვრელი კონსტანტინეს სიკვდილით დასჯამ, ვერაგი და ცბიერი შაჰაბასი საგონებელში ჩააგდო და დროებით უკან დაიხია. ის იძულებული გახდა თანხმობა გაეცა კახეთში თეიმურაზ I-ისა და ქართლში ლუარსაბ II-ის გამეფების შესახებ.

შაჰაბას I 1606-1612 წლებში ქართლ-კახეთის მიმართ ნაკლებაგრესიული და წინა წლებთან შედარებით ერთგვარად თავშეკავებულადაც კი იქცევა. მაგრამ 1612 წლის 20 ნოემბრის ზავის გაფორმების შემდგომ, როდესაც მან უკან დაიბრუნა ქართლ-კახეთი და ოსმალეთი ოფიციალურად ჩამოიცილა აღმოსავლეთ საქართველოსათვის ბრძოლაში, შაჰ-აბასმა გაააქტიურა აღვირახსნილი ლტოლვა საქართველოსაკენ. 1612 წლის ზაფხულში შაჰმა თეიმურაზი და ლუარსაბი ნადირობის საბაბით მაზანდარანას დაიბარა. მეფეები არ ენდნენ მას, არც წავიდნენ.<sup>15</sup> თეიმურაზისა და ლუარსაბის მიერ შაჰის მიპატივებაზე უარის თქმა ქართველთა აჯანყებას და ირანის ვასალობის უარყოფას ნიშნავდა. ეს ყოველივე კი იმის მაუწყებელი იყო, რომ ქართლ-კახეთში ანტიირანული ორიენტაცია ჩამოყალიბებულიყო და დამპყრობლისადმი ქართველი ხალხი უბრძოლველად მონურ მორჩილებაზე უარს ამბობდა.

ქართლ-კახეთის მეფეთა ხსენებულმა პოზიციამ და იმან, რომ ოსმალეთისა და რუსეთის პრეტენზიებიც ქართლ-კახეთისადმი თუ საერთოდ საქართველოსადმი, გასათვალისწინებელი იყო, შაჰაბასმა დააჩქარა საქართველოში ლაშქრობა. „1613 წელი შაჰაბასმა შესაფერისად სცნო იმისათვის, რომ გადაწყვეტი შეტევა დაეწყო საქართველოს წინააღმდეგ. 1613-1616 წლებში მან სავსებით გამოამჟღავნა საიდუმლო ზრახვები, აქამდე რომ აგრე ოსტატურად შენიღბულს ატარებდა. შაჰმა კახეთის (თავდაპირველად) ქართ-

<sup>15</sup> ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, 1969, გვ. 80-81.

მუხუთესთან, ისე მამა-შვილთან (ქართლ-კახეთის მეფეებთან), მათს გაერთიანებულ ჯარებთან, ერეკლე პირველი და მასთან ერთად ბრძოლებს გადარჩენილი თუში მეომრები დამარცხების შემთხვევაში თორღვას ციხე-სიმაგრეში აფარებდნენ თავს. დროებით იქ იხიზნებოდნენ და შემდგომში კვლავ თუშეთს უბრუნდებოდნენ. აბანოს ხეობაზე, მდ. სტორის მარჯვენა მხარეზე, კლდან და ძნელად მისავალ კლდე-ქარაფებზე აშენებულ თორღვას ციხე-გალავნიდან არც თუ ისე იოლია თუშეთში გადასვლა, პირდაპირ, ჩრდილოეთის მიმართულებით, გზის გაგრძელება.

ქართლ-კახეთის მეფეებისაგან დევნილ ბატონიშვილსა და თუშებს უკან ჩამოსასვლელი გზა ჩაკეტილი ჰქონდათ, ისინი სამხრეთისაკენ ვერ დაიხვედნენ და ამიტომ ვერც იმ დროისათვის თუშეთ-კახეთის დამაკავშირებელ გზებს შორის ყველაზე საიმედო ე.წ. „ნაქერლის გზას“ დაუკავშირებოდნენ. ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილ ერეკლე პირველსა და მის მეომრებს ისეთი გზა უნდა გამოენახათ, რომელიც მათ თუშეთში უვნებლად გადაიყვანდა.

ამჟამად ყველაზე საიმედო და თორღვას აბანომდე მანქანით მისასვლელი „აბანოს გზა“ მაშინ არ არსებობდა. „ნაქერლის გზა“ კი, როგორც ვთქვი, მათთვის ხელმიუწვდომელი ხდებოდა, ციხეში შეხიზნულ ერეკლეს და მის მეომართ რჩებოდათ მხოლოდ ერთადერთი საშუალება, რომლის შესახებაც ხალხური გადმოცემებიდან ვიგებთ: თორღვას ციხესიმაგრის თავდაპირველ მფლობელს თორღვას ჰქონია განსაკუთრებული გზა, რომლითაც კავკასიის მთებს უკავშირდებოდა და იქიდან თავს ესხმოდა დამპყრობლებს. დღესაც იმ გზას, რომლითაც ოდესღაც თორღვას უხდებოდა ჩრდილოეთის მიმართულებით მიმოსვლა, „თორღვას გზას“ ეძახიან. ეს გზა თორღვას ციხიდან ასეთი მიმართულებით მიდიოდა: განჯაურა-ფურთაკლო-დეკიანი-გორი-ლექთვაკე-მელთკულა.

ეს გზა დღესაც არსებობს. ამდენად ხალხური ლეგენდა თორღვასა და მისი გზის შესახებ ჩვენთვის საინტერესოა. ერეკლე პირველისა და მასთან ერთად თორღვას ციხეში შეხიზნული მეომრების თუშეთთან დამაკავშირებელი გზაც ე.წ. „თორღვას გზა“ იქნებოდა. თორღვას გზით ისინი „მელთკულაში“ გავიდოდნენ და იქიდან კურსს ან „ორწყლისაკენ“ აიღებდნენ და გომეწარში გადავიდოდნენ, ან აბანოს მთის გადავლით „ფიცრის ჭალაში“ ჩავიდოდნენ და იქიდან თუშეთის ჩალმის საზოგადოებაში.

ე.წ. „აბანოს გზა“ გაკეთებამდე თუშეთისა და კახეთის დამაკავშირებელ გზებს შორის ცენტრალური ადგილი „ნაქერლის გზას“ ეჭირა. სავარაუდოა, ერეკლე კახეთში საბრძოლველად თუშეთიდან ნაქერლის გზით ჩამოდიოდა და ამავე გზით ბრუნდებოდა უკან, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ თორღვას ციხე-სიმაგრეიდან მოუხდებოდა ე.წ. „თორღვას გზით“ წასვლა, მელთკულადან ორწყალში გადავიდოდნენ და იმავე ნაქერლის გზით თუშეთის გომეწარის საზოგადოებაში მივიდოდნენ.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს კითხვა: რომელ თუშურ თემში ჰქონდა

დროებითი რეზიდენცია ერეკლე ბატონიშვილს.

როგორც თუშების გადმოცემით, ისე ხალხური ზეპირსიტყვიერების ზოგიერთი ძეგლებით ერთხმად აღიარებულია, რომ თუშეთის მთელი მოსახლეობის საყოველთაო საკითხების გადასაწყვეტი ადგილი „თუშეთის ღელე“ იყო. „თუშეთის ღელეზე“ წყვეტდნენ თუშები საჭირობოროტო საკითხებს, როგორც ადრე, ისე გვიან ე.ი. მე-18, მე-19 საუკუნეებშიც, „თუშეთის ღელე“ კი ტერიტორიულად ჩადმის საზოგადოებას ეკუთვნოდა და ღელესაც მას ეკუთვნის.

ჩადმის საზოგადოება და მისი ცენტრალური სოფელი-ომლო თუშეთის ყველა საზოგადოების მოსახლეობის თავშეყრისა და დაკავშირების ადგილი იქნებოდა, ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ მარტო სოფელ ომლოშია გალაენით აშენებული ციხე-სიმაგრე, მისი მსგავსი თუშეთის არც ერთ სხვა სოფელში არ გვხვდება. მართალია, თუშეთის ყველა სოფელში და სოფლის განაპირა ადგილებში ციხე ყოფილა აგებული, რომელთაგან ბევრი ღელესაც ამაყად და გაუბზარავად გამოიყურება, მაგრამ ომლოს მსგავსი ერთიანი ციხესიმაგრე, მაღალი გალაენით, თუშეთის არც ერთ კუთხეში არ არის.

მე-19 საუკუნის 20-იან წლებში თუშეთში ასული დ. ზუბარევის ყურადღება განსაკუთრებით მიუქცევია ე.წ. „კესელოს ციხე-გალავანს“, რომლის შესახებაც მას საინტერესო აღწერილობა გაუკეთებია: „სოფელ ომლოსთან (თუშეთში) არის ფიქალისაგან აშენებული ციხე-სიმაგრე, რომლის სიგრძე არის 40, სიგანე 25, სიმაღლე 9 საუენი, მისი მშენებლობა მიეწერება თამარ მეფეს, რომელიც დიდი პატივით სარგებლობს და ქუსს მისი სახელი მთაში“.<sup>68</sup>

ომლოში აშენებული ე.წ. „კესელოს ციხე“ ჩვენი აზრით, თამარის მეფობის ხანას არ მიეკუთვნება. „კესელოს ციხე“ ჩვენ მე-17 საუკუნის ძეგლად მიგვაჩნია, რომელიც თუშეთში, შესაძლებელია, ერეკლეს ცხოვრების დროს ააშენეს. ფიქრობთ ეს ციხე-სიმაგრე საჭიროების შემთხვევაში (ერეკლე ბატონიშვილისა და მის თანმხლები ამაღლისათვის) თავდაცვის საშუალება იქნებოდა.

ერეკლე ბატონიშვილს თუშეთისადმი ინტერესი და ნდობა სპარსეთში წასვლამ ოდნავადაც ვერ გაუნელა. ერეკლე პირველს სპარსეთში თან მიჰყვება თუშეთიდან საგანგებოდ შერჩეული მხედრობა. თუშ მეომრებს, კახეთიდან არჩილ მეფის მიერ წარგზავნილ კახელებთან ერთად, უკისრიათ კახეთის სამეფო ტახტის მომავალი მემკვიდრის სიცოცხლის დაცვა. სპარსეთში მყოფი ერეკლესათვის თუშეთი კვლავაც ერთ-ერთი ძალა იყო. ის იმითაც მტკიცდება, რომ, როცა ყვენა გიორგი ქართლის მეფე გადააყენა და ქართლი თეიმურაზის შვილისშვილს, ერეკლე პირველს გადასცა, თუშები, ქიზიყელებთან ერთად, ერეკლესავე თხოვნით, შაჰს ერეკლესთვის საგანგებო დამცველებად გამოუყვია.

<sup>68</sup> დიმიტრი ზუბარევი, მოგზაურობა კახეთში. თუშეთში, ფშაეში, ხევსურეთში, ჭარ-ბელაქანში. „რუსული მაცნე“, ტ.2, №6, 1841. გვ. 531 (რუს. ენაზე).

სხვა ღონისძიებებიც ხორციელდებოდა. ის-ის იყო, რომ სპარსელები პრაქტიკულად უნდა შესდგომოდნენ კახელთა ზოცვა-ჟღერისა და ქვეყნის სრული ლიკვიდაციისათვის გათვალისწინებული გეგმის განხორციელებას, მაგრამ კახეთისა და ქართლის მთისა და ბარის ერთიანმა სახალხო აჯანყებამ 1660 წელს, ისევე როგორც მარტყოფის, მარაბდისა, და ქსნის ბრძოლებმა ლახვარი ჩასცა შაჰ-აბას პირველის უსაზიზღრეს გეგმას. 1660 წლის კახეთის აჯანყებამ მსგავსი დარტყმა აგემა ირანულ ამპყრობლებს და თურქმანნი და სპარსელები ისე გაწყვიტეს, რომ როგორც სახელოვანი ვახუშტი გადმოგვცემს, „აკვანსა შინა მწოლიარეც არღაეინ დაუტევესო“ და საქართველო ერთხელ კიდევ იხსნეს სრული ეროვნულ-ფიზიკური მოსპობა-გადაშენებისაგან. რომ არა მარტყოფი, მარაბდა, ქსანი, ბახტრიონი, სადაც ქართველობამ ერთხელ კიდევ დაუოკებელი სიყვარული გამოამჟღავნა თავისი დედა-სამშობლოსადმი და თავდადებულად იბრძოლა ქვეყნისა და ერის გადასარჩენად, ვინ იცის რა დაემართებოდა კახეთს, ქართლს და სრულიად საქართველოს?

„შაჰ-აბასების მიერ ქართველთა ამოძირკვა-მოთხრისათვის გათვალისწინებული გეგმების დასამარება-გაქარწყლება-ლიკვიდაციის ხსენებულმა პროცესმა აღმოსავლეთ კახეთის დაპყრობა ლეკთა თუ სხვა გადამთიელთა მიერ დროებით შეაჩერა. „XVII საუკუნის 70-იან წლებამდე ქართლ-კახეთისა თუ კახეთის მეფეები (თეიმურაზი, როსტომი, არჩილი) ახერხებდნენ, რათა ეს დაღისტნული მოახალშენეები მორჩილებაში ჰყოლოდათ; ჩამოსახლებულნი კახეთის მეფის ბატონობას სცნობდნენ“.<sup>19</sup> ასეთი ვითარება კი ხელშემწყობ პირობებს ქმნიდა, რომ კახეთიდან ძნელდებობის უამს აყრილი ყმა-გლეხობა მამა-პაპეულ ადგილმამულში დაბრუნებულიყო და ძველებურად მკვიდრ ყოფა-ცხოვრებას შედგომოდა. ეს პროცესი ჰქონდა მხედველობაში ვახუშტი ბაგრატიონს, როცა დასძენდა, რომ: „შენდებოდა კახეთი, ვინადგან იყო მშვიდობა და უმტრობა და ნიჭვიდა და სწყალობდა ყენი არჩილს, რამეთუ ვერცა-ღა თუ ლეკნი იკადრებდნენ სხდომას“.<sup>20</sup>

კახეთში არჩილის მეფობის დროს (1664-1675 წწ), რომ ლეკნი მართლაც თავისუფლად ვერ ბედავდნენ მისვლა-მოსვლას, მოსახლეობის ძარცვა-რბევას თუ ახალი მიწების დაკავება-მფლობელობას, კარგად ჩანს იმ ერთ-ერთი საინტერესო მაგალითის მიხედვითაც, რასაც ვახუშტი საგანგებოდ აღნიშნავს. საქმე ეხება იმას, რომ არჩილ მეფის მიერ ლილოში თავის ძმის ლუარსაბისათვის დაგეგმილი ქორწილისათვის საჭირო ყინული ჭარულ ლეკებს, რაც მათ ევალებოდათ ლეკან კახთა მეფის დროიდან, ზურგით კი არ მოუტანიათ, არამედ ცხენზე აკიდებით, რაც არჩილ მეფეს ძალიან სწყენია, რადგან ამ საქციელში მეფეს ლეკთა ურჩობისა და ყმობის პირობის

<sup>19</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, 1966, გვ. 269.

<sup>20</sup> ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 1913, გვ. 193.

დარღვევის აშკარა გამოვლინება შეუგრძენია, რისთვისაც ლეკნი „...შეუპყრია და სტანჯა იგინი, აკლია კვალად ტვირთად და მოაღებინა კვალად მუნიდამცა ტვირთითვე ყინული“.<sup>21</sup>

არჩილ მეფის ხსენებული შეუზღუდველი უფლებები კახეთის სამეფოში განპირობებული იყო იმით, რომ მისმა მამამ, ქართლის ცნობილმა მეფემ ვახტანგ V-მ, თავისი შვილი კახეთში ირანის თანხმობით გაამეფა და მამა და შვილი, გარკვეულ დრომდე ირანიდან სრულ მხარდაჭერას და საკადრის მფარველობას ღებულობდნენ. „ასეთი ვითარება გრძელდებოდა, ვიდრე სპარსეთის შაჰი კახეთში ქართველ მეფეთა ხელისუფლებას იწყნარებდა. მდგომარეობა არსებითად შეიცვალა XVII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში“.<sup>22</sup>

ქართლ-კახეთის მეფეთა ლტოლვა და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა საქართველოს გაერთიანებისათვის, ირანის ხელისუფლებას დროულად გამოუმჯდავნებია და აქტიურად დაუწყია ძებნა და შერჩევა ირანისათვის სასურველი კანდიდატურებისა, რომლებიც მამა-შვილს შესცვლიდნენ და ქართლ-კახეთი კვლავ ირანული პოლიტიკის გამტარებელი იქნებოდა. კახეთის სამეფო ტახტისთვის სასურველ კანდიდატად ირანმა მიზანშეწონილად მიიჩნია რუსეთიდან ერეკლე I-ის მოწვევა, რადგან თვითონ ერეკლე ბატონი-შვილსაც ასე სურდა და მას ირანის ხელისუფლებასთან აღნიშნულის თაობაზე ოფიციალური მიმოწერა და კავშირ-ურთიერთობაც ჰქონდა დამყარებული. ეს გახლდათ ის წლები, როცა ერეკლე ბატონიშვილს სხვადასხვა მიზეზების გამო, რუსეთში აღარ ედგომებოდა და მისი საქართველოში დაბრუნება აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. ერეკლე ბატონიშვილმა კახეთში გამეფების თაობაზე ირანიდან მიიღო ოფიციალური თანხმობა და 1675 წელს იგი ასტრახან-თურგის გზით თუშეთში მოვიდა, იქიდან კახეთში ჩამოვიდა, ორი კვირა კახეთის სამეფო კარზე იყო; არჩილი ერეკლეს დის ქეთევან დედოფლის მეუღლე გახლდათ, რაც ერეკლე ბატონიშვილს კახეთის სამეფო კარზე სტუმარმასპინძლობის განსაკუთრებულ გარემოს უქმნიდა. ორი კვირის შემდგომ, საპატიო დაცვის თანხლებით, ქეთევან დედოფალმა უსაყვარლესი ძმა, ხოლო არჩილ მეფემ ცოლის ძმა, კახეთის ტახტის კანონიერი და ერთადერთი მემკვიდრე, დიდად პატივნაცემი გაისტუმრეს ირანის შაჰთან – კახეთის მეფედ დასამტკიცებლად. არჩილი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ შაჰი ერეკლე ბატონიშვილს უყოყმანოდ და თანაც სწრაფად დაამტკიცებდა კახეთის მეფედ, რის გამოც, იგი პასუხსაც კი აღარ დაელოდა, 1675 წელს კახეთის სამეფო ტახტი თვითნებურად დათმო და მტერთა შემოსევებით განაწამები კახეთი უპატრონოდ დატოვა. არჩილ მეფის ეჭვები არ გამართლად. ირანის შაჰმა კახეთში მეფედ ერეკლე ბატონიშვილის გამოგზავნაზე ღიღი

<sup>21</sup> ვახუშტი, საქ-ს ც-ბა, გვ. 193.

<sup>22</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქ. ისტ. ნარკ. ტ. III, 1961, გვ. 169.



ხნით შეიკავა თავი; სხვაც არავინ შეურჩევით, რაც იმით დამთავრდა, რომ კახეთში მეფობა გაუქმდა, კახეთი ირანის სახანოდ გამოცხადდა 1677 წელს და 1703 წლამდე კახეთში ირანის მიერ დანიშნული ხანები მმართველობდნენ. სწორედ ეს წლები იყო კახეთში ყოველგვარი უკუღმართობისა, ნგრევისა, მოსახლეობის აყრა-ძარცვისა და ლეკთა აღვირახსნილი თარეშისა სრულიად კახეთში და განსაკუთრებით, აღმოსავლეთ კახეთში.

1703 წელს საარსებო კახეთში კვლავ მეფობა აღადგინა, შაჰმა ოფიციალურ მეფედ ერეკლე I დანიშნა. მაგრამ ირანის ხელისუფლებამ ერეკლე I თავისთან დაიტოვა და მის ნაცვლად კახეთის გამგებლად (ჯანიშინად) ირანმა ერეკლე (ნაზახალი-ხანის) უფროსი ვაჟიშვილი დავით II (იმამყულიხანი) დანიშნა. 1709 წელს გარდაიცვალა ერეკლე I და დავით ბატონიშვილი მეფედ დამტკიცდა, მაგრამ შაჰმა იგი 1715 წლამდე ირანში დაიტოვა და კახეთის მმართველობა დაევალა ერეკლე I-ის უმცროს შვილს თეიმურაზ ბატონიშვილს. დავით II კახეთის საბეჭო ტახტს დაუფლდა 1715 წელს და სამშობლოში დაბრუნებისთანავე ენერგიულად შეუდგა კახეთიდან ლეკების აყრა-გასახლებისა და მათი აღვირახსნილი ლაშქრობების აღკვეთის საქმეს. დავით მეფე ლეკიანობის წინააღმდეგ დაწყებულ დიდ სახალხო ლაშქრობა-მოძრაობაში მონაწილეობას სთხოვს ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს, ქართლის მეფემ სწორად შეაფასა ქართლ-კახეთში ლეკთა განუწყვეტელი შემოსევებით შექმნილი ურთულესი ვითარება და დაუყოვნებლივ გამოეხმაურა დავით II-ის მოწოდებას. ქართლ-კახეთის მეფეები 1719 წლის დეკემბერში ერთიმეორეს შეხვდნენ სოფ. საფურცლემში. მეფეებმა ითათბირეს, სრულყოფილად აწონ-დაწონეს ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა და გადაწყვიტეს გაერთიანებული ძალებით შებრძოლებოდნენ ლეკთა მძარცველობა-ყაჩაღობა-აღვირახსნილობას. თანხმად შეთანხმებისა, ვახტანგ VI-მ 1720 წლის გაზაფხულზე კახეთში გააგზავნა ქართლის მოწინავე სადროშოს (საბარათიანოს) ლაშქარი. დავით II-მ ქართლის სამეფოს თანადგომა სათანადოდ ვერ გამოიყენა, კარგად მოფიქრებული ლაშქრობა რატომღაც ვერ დაიწყო და ქართლის ჯარი საშთიანი ლოდინის შემდგომ უკან დაბრუნდა. ეს იყო უდიდესი შეცდომა, რამაც აღმ. კახეთის დაკარგვას, სამშობლოსაგან ამ მხარის ჩამოცილებას წერტილი დაუსვა. „1727 წელს ოსმალეთის სულტანმა საგანგებო ფირმანით საშვილიშვილოდ დაუმტკიცა ჭარულ ლეკებს მათ მიერ მიტაცებული ქვეყანა იმ სამსახურისათვის, რომელიც ჭარულეებმა მართლმორწმუნეთა ფადიშაჰს ისლამის გავრცელების საქმეში აჩვენეს. ამრიგად, – დასძენს განსვენებული მეცნიერი, – მიტაცებულმა ოსმალებმა მიტაცებულ ჭარულეებს გავაზის წყალსა და ყაფუჩაის შორის გაღმა მხარი დაუმტკიცა... გაღამხარის ლეკური „უბატონო თემები“, ამრიგად, მუბატონე თემებად იქცენენ. დაპყრობილი ქართული სოფლები ჭარულეებმა მიიმედ დაბეგრეს. ამავე დროს მათ თანდათან აიძულეს ქართველი მოსახლეობა მაჰმადიანობა მიეღოთ. აი, ამ დამორჩილებულ-დაბეგრულ ქართველ გლეხს

ეწოდა ინგილო განსხვავებით ტერმინ „ლეკისაგან“... ასე წარმოიშვა საქართველოს მიწაზე ეს ახალი პოლიტიკური ერთეული „უბატონო“ „ლეკური“ თემების სახელწოდებით, მას ჭარ-ბელაქანი ან მარტივად ჭარი ეწოდა (იმ უპირატესობის გამო, რომელიც ჭარსა ჰქონდა ამ თავისუფალ თემთა კავშირში)“.<sup>23</sup>

ქართლ-კახეთის მეფეებმა, მამა-შვილმა, თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ, ყველაფერი იღონეს აღმოსავლეთ კახეთის მამაპაპეული მიწა-წყლის დასაბრუნებლად, დამპყრობელთაგან ამ მხარის გასათავისუფლებლად. მაგრამ მათ ეს საკითხი, ამოცანა და მიზანი ვერ განახორციელეს. 1762 წლიდან, როცა ერეკლე II ქართლ-კახეთის ერთიანი სახელმწიფოს მეფე ხდება, სახელოვანი მეფე-სარდალი კვლავ დაუღალავად იბრძოდა და რაღა ღონეს არ მიმართავდა, რომ კახეთის ხსენებული მიწა-წყალი და იქაური განაწამები ქართველობა ეხსნა მტარვალთა კლანჭებისაგან. იმის გამო, რომ ჭარი-ბელაქანი, ე.ი. აღმოსავლეთ კახეთის დამპყრობნი, დაღესტნელთა და სპარსელობისმალოთა სათანადო დახმარებასა და მხარდაჭერას განიცდიდნენ, ვერაერთარმა მზრუნველობამ და მუხლჩაუხრელმა შრომა-საქმიანობამ ვერ იხსნა წინაპართა სისხლითა და ცრემლით მრავალგზის გაპოხიერებული აღმოსავლეთ კახეთი და ამ ტკივილისაგან საქართველოს განთავისუფლება. „...აღდგომა-განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დამარცხებულმა ფეოდალურმა საქართველომ საინგილოს საკითხიც გადასაჭრელად ახალ საქართველოს უანდერძე“.<sup>24</sup> 1795 წლის კრწანისის ტრაგედიამ და 1798 წლის II იანვარს ქართველი ერის დიდი მოჭირინახულის, სახელოვანი მეფე-სარდლისა და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოს-დიპლომატის მეფე ერეკლე II-ის გარდაცვალებამ ხელ-ფეხი გაუხსნა ჩვენს ისტორიულ მტრებს, მათ შორის ჭარ-ბელაქანს და მასზე დაყრდნობით დაღესტნელ ყაჩაღ-მძარცველთა ბრძოლებს და ლეკ ფეოდალთა აღვირახსნილობას. XIX საუკუნის დასაწყისიდან კი არსებითად შეიცვალა საქართველო-დაღესტნის და, რაც მთავარია, კახეთისა და ჭარ-ბელაქანის ურთიერთობის ისტორია.

XIX საუკუნის პირველივე წლებში, როცა მეფის რუსეთმა დაიპყრო ქართლ-კახეთი და მაშინვე შეუდგა ამ ქვეყნის მართვა-გამგეობის მოწყობის საქმეს, ცარიზმმა აღმოსავლეთ კახეთსაც (ჭარ-ბელაქანს) იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, რადგან ეს მხარე (საინგილო) 1783 წლის ტრაქტატით კახეთის ტერიტორიულ საზღვრებში იყო მოქცეული. რუსეთის მიერ აღმოსავლეთ კახეთისადმი თავიდანვე ფრთხილი დამოკიდებულება იმიტაც იყო გამოწვეული, რომ ჭარ-ბელაქანი იყო ყველაზე საშიში კერა რუსეთისათვის ამ მხრიდან სხვადასხვა დამპყრობელთა მოუ-

<sup>23</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქ-ოს ისტორიის საკითხები, ტ. III, 1966, გვ. 174-275.

<sup>24</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. სრომა, გვ. 276.

ლოდნელი და უეცარი შემოსევებისათვის. სწორედ ამ ვითარების გათვალისწინებით იყო გამოწვეული, რომ 1803 წელს რუსთა და ქართველთა გაერთიანებულმა მეომართა ძალებმა დაიპყრეს ჭარ-ბელაქანი და ეს მხარე კვლავ საქართველოს შემოუერთეს. ქართველთათვის ეს სამხედრო ოპერაცია იმდენად დიდი ოცნების განხორციელებას უკავშირდებოდა, რომ ხსენებულ ლაშქრობაში მონაწილეობა მიუღია 4 500 გულანთებულ ქართველ ვაჟკაცს.

მიუხედავად აღნიშნულისა, ჭარ-ბელაქანი არ ეგუებოდა შექმნილ ვითარებას და კვლავ ქართლ-კახეთზე დაღესტნელ დამპყრობელთა შემოსევების პლაცდარმის როლს ასრულებდა, რის გამოც „1830 წელს რუსთა და ქართველთა ჯარებმა საბოლოოდ შემოიერთეს ჭარ-ბელაქანი, სადაც აგრეთვე რუსული მმართველობაც გავრცელდა. ამით ბოლო მოეღო ჭარის გზით დაღესტნელი ფეოდალების მტაცებლურ თავდასხმას ქართლ-კახეთზე“.<sup>25</sup>

რუსეთის ხელისუფლება სრულყოფილად ფლობდა ჭარ-ბელაქნის წარმოშობის ისტორიას, რის გამოც ხსენებული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული საინგილოს ელისავეტაოლის (ყოფილი განჯის) გუბერნიას კი არ მიუერთეს, არამედ თბილისის გუბერნიას. რუსმა მოხელეებმა კარგად იცოდნენ, რომ ეს კუთხე (აღმ. კახეთი) გეოეკონომიკურად საქართველოს ეკუთვნოდა და მისი სისხლსორცეული მიწა-წყალი იყო.

1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთსა და დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოს რესპუბლიკას შორის გაფორმდა სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლის რიგით მე-4 მუხლი აღნიშნავდა, რომ „რუსეთი საქართველოს ტერიტორიად სცნობს თბილისის და ქუთაისის გუბერნიებს, ბათუმის, სოხუმის და ზაქათალის ოლქებს.“<sup>26</sup>

რუსეთ-საქართველოს შორის გაფორმებული სამშვიდობო ხელშეკრულების შემდგომ, 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ პირველ ქართულ კონსტიტუციაშიც, მუხლი 107, ზაქათალის ოლქი (აღმ. კახეთი – საინგილო), ბათუმის მხარესთან და აფხაზეთის ოლქთან ერთად, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის განუყოფელ მიწა-წყლად ცხდებდა. კონსტიტუციაში ვკითხულობთ: „საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), საპუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალის ოლქი) ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა“.<sup>27</sup>

მეოთხე მუხლში მოხსენიებული „ზაქათალის ოლქი“ ეწოდება მკითხველისათვის კარგად ცნობილ ჭარ-ბელაქანს, იგივე საინგილოს. საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების მიერ ზაქათალის ოლქის საქართველოს კუთვნილებად

<sup>25</sup> საქართველოს ისტორია, ტ. 1, 1958, გვ. 1-17.

<sup>26</sup> ალ. ბენდიანიშვილი, საქ-ოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921), თბ. 2001, გვ. 309

<sup>27</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული საქ-ოს დამფუძნებელი კრების მიერ, 1921წ. 21 თებერვალი. გაზ. „სამშობლო“, 1990 წლის 26 მაისი, თბილისი.

ალიარებას უკვე გასაბჭოებული აზერბაიჯანის პოლიტიკაში დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია, რის გამოც, „რუსეთის მხარის მოთხოვნით სამშვიდობო ხელშეკრულებას დაემატა ახალი მუხლები, რომელთა თანახმად სადაო ტერიტორიის – ზაქათალის ოლქის კუთვნილების საკითხს გადაწყვეტდა რუსეთ-საქართველო-აზერბაიჯანის შერეული კომისია რუსეთის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით. მანამდე საქართველოსა და აზერბაიჯანს ზაქათალაში დამატებითი ჯარის ნაწილები არ უნდა შეეყვანათ“.<sup>28</sup>

როგორც მკითხველისათვის მრავალგზისაა ცნობილი, საბჭოთა რუსეთმა უსირცხვილოდ დაარღვია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან 1920 წლის 7 მაისს დადებული ე.წ. „სამშვიდობო ხელშეკრულება“ და 1921 წლის თებერვალ-მარტში „...მოახდინა საქართველოს ფაქტიობრივი ანექსია და ძალდატანებითი გასაბჭოება. ამას მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის გაუქმება როდი მოჰყვა; 1921 წლის 16 მარტის რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების ძალით საქართველოს ჩამოერთვა და თურქეთს გადაეცა შავშეთი, იმერხევი, არდაგანი და სხვა რაიონები – 12, 115 კვ.კმ. ტერიტორია. ცოტა გვიან გადაწყვეტილებით შერეული კომისიებისა, რომელთა თავმჯდომარე რუსეთის წარმომადგენელი იყო, საქართველოს ჩამოაჭრეს და მეზობელ რესპუბლიკებს – სომხეთსა და აზერბაიჯანს გადასცეს ბორჩალოს მაზრის ნაწილი (3,812კმ<sup>2</sup>) და ზაქათალის ოლქი (3,564 კმ<sup>2</sup>). 1921 საბელისწერო წელს საქართველომ დაკარგა სულ თითქმის 20 ათასი კმ<sup>2</sup> ტერიტორია“.<sup>29</sup>

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ზაქათალის ოლქის (საინგილოს) საკითხთან დაკავშირებით პირველი ოფიციალური სხდომა (კონფერენცია) შედგა 1921 წლის 5 ივლისს. აღნიშნულ კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელთა ზემოქმედების შედეგად ქართველ ბოლშევიკებს იძულებით გააკეთებინეს შემდეგი მონაარსის განცხადება: „საქართველოს სსრ უარს ამბობს ყოველგვარ პრეტენზიაზე ზაქათალის ოლქის მიმართ, რაზეც საქართველოს რევკომი გააკეთებს შესაბამის დეკლარაციას“.

აღნიშნულ კონფერენციაზე ქართველი ბოლშევიკების მიერ გაკეთებული განცხადება დაედო საფუძვლად საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საზღვრების დადგენის 1921 წლის 15 ნოემბერს და იურიდიულად გაფორმდა კიდევ ზაქათალის ოლქის (საინგილოს) აზერბაიჯანისთვის სამუდამოდ გადაცემის შესახებ.

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ზაქათალის ოლქის (საინგილოს) აზერბაიჯანისათვის გადაცემის ფაქტს დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია როგორც ქრისტიან და გალექებულ-გამუსულმანებულ ადგილობრივ კახელ (ინგილო) მოსახლეობაში, ისე საინგილოს ტერიტორიაზე მცხოვრებ დაღესტ-

<sup>28</sup> ალ. ბენდიანიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 310.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 327.

ნელთა შორის, რომლებიც კატეგორიულად ითხოვდნენ საინგილოს საქართველოს კუთვნილებად აღიარებას, რადგან მათ კარგად მოეხსენებოდათ, რომ აღმოსავლეთ კახეთი საქართველოს ისტორიული მიწა-წყალი იყო. დაღესტნელ ლეკებს საქართველოსათვის საინგილოს გადაცემა იმიტომაც უნდოდათ, რომ მათ შესანიშნავად იცოდნენ ქართველთა ტოლერანტობა-კუმანიზმის შესახებ და დაუფარავად აცხადებდნენ კიდევ, რომ კავკასიაში მხოლოდ საქართველოა ერთადერთი ქვეყანა, სადაც არავის ჩაგრავენ, არ ავიწროებენ, არ სდევნიან და ადამიანურად ეპყრობიანო.

პროფ. ალ. ბენდიანიშვილი ქართველი ხალხის ზემოთ მოხსენიებულ უბედურებას სამართლიანად მიიჩნევს სრულიად საქართველოს უდიდეს ტრაგედიად, რომლის შესახებაც მრავლისმთქმელ დასკვნას აკეთებს: „ქართველი ხალხი, — აღნიშნავს სახელოვანი მეცნიერი, — ბუნებრივია, ვერც თავისუფლების დაკარგვას შეეგუა და ვერც თავის ისტორიული ტერიტორიების ჩამოცილებას. 1921 წელსვე დაიწყო ბრძოლა კომუნისტური რეჟიმის დამხობისა და დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს აღდგენისათვის“.<sup>30</sup>

მსოფლიო ხალხებს შორის უძველესი დროიდანვე ქართველი ხალხის წინაპარი ტომები, ტომთა კავშირები და, ბოლოსდაბოლოს, ერთ მუშტად შეკრული ქართველი ერი. ყველგან და ყოველთვის, უპირველეს ღირებულებად მიიჩნევდა, თავდავიწყებით და სამაგალითო ბრძოლებით შეენარჩუნებინა თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში წითელ ზოლად გასდევს ქართველთა დაუოკებელი ბრძოლა დამპყრობელთა წინააღმდეგ, რათა მტრისათვის არც ერთი გოჯი მიწა არ დაეთმო და ყველა პირობა შეექმნა ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება-არსებობისათვის. კაცობრიობის ისტორიაში მწელად მოიძებნება სხვა რომელიმე ქვეყანა, რომელსაც იმდენი შემოსევები განეცადოს, რამდენიც საქართველოს. ისიც ინდა ითქვას, რომ მტერმორთული საქართველო არასდროს ყოფილა, იგი ყველა მტერს საკადრის პასუხს სცემდა, ბოლომდე არავის არ ემორჩილებოდა და კვლავდაკვლავ ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას და თავისუფლებას. რომ ისტორიულად ეს ყოველივე ასე იყო და ქართველი კაცი არავის არაფერს არ პატიობდა კარგად დაფიქსირდა იმავე 1921 წელს, როცა საბჭოთა რუსეთმა დამოუკიდებლობა წაგვართვა და საქართველოს პირველ რესპუბლიკას (1918-1921 არსებობის ყველა ძარღვი გადაუჭრა.

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის იყო მიძღვნილი 1921 წლის ზაფხულის დამლევისათვის ღიდი სახალხო შეიარაღებული აჯანყება სვანეთში. 1922 წელს აჯანყებამ საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე ხევსურეთში იფეთქა. ხევსურეთში დაწყებულ ანტისაბჭოურ აჯანყებაში ყველაზე ღიდ შენაერთს, რომელმაც მალე ნამდვილი ეროვნული

<sup>30</sup> ალ. ბენდიანიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 327.

არმიის მნიშვნელობა შეიძინა, სათავეში ედგა პოლკოვნიკი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი. ქაქუცა და მისი მამაცი „შეფიცულები“ მალე ეროვნული გმირები გახდნენ და ფართო გასაქანი მოიპოვეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის დაწყებულ სახალხო აჯანყებაში. თანდათან ხსენებული მოძრაობა გადაიზარდა საყოველთაო აჯანყებაში, რაც 1924 წლის 28-29 აგვისტოს დაიწყო. მართალია, ხსენებულმა აჯანყებამ თავის მიზანს ვერ მიაღწია, იგი დიდი მსხვერპლის ფასად იქნა ჩაქრობილი. მაგრამ ქართველობამ ერთხელ კიდევ ყველას გააგებინა, რომ ისინი არ მოისვენებდნენ, სანამ თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, ქართულ სახელმწიფოებრიობას და სხვათა და სხვათა მიერ მიტაცებულ ქართულ ტერიტორიებს არ დაიბრუნებდნენ.

საქართველომ ნანატრი თავისუფლება, ქართული სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებლობა უბრძოლველად დაიბრუნა, რადგან „ბოროტების იმპერია“ (საბჭოთა კავშირი) საპნის ბუშტივით გასკდა და ელვის სისწრაფით აორთქლდა ამ ქვეყნიდან. უკვე 15 წელია, რაც საქართველო თავისუფალი და დამოუკიდებელია. საქართველო როგორც დემოკრატიული რესპუბლიკა და უკვე საკმაოდ აღიარებული სახელმწიფო თანდათან აღმავლობის გზით მიდის, მსოფლიოში მას უკვე იცნობენ და საპატიო ადგილი უკავია ევროპასა და აზიის მოწინავე ქვეყნებს შორის. ქართველ ერს უკვე აქვს დამაჯერებელი განცდა და სიხარული იმისა, რომ მათი ქვეყანა სულ მალე საკადრის ადგილს დაიკავებს მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა თანამეგობრობაში. მაგრამ იმავედროს, აღნიშნულ სიხარულთან ერთად, ქართველ ერს სტანჯავს და მოსვენებას უკარგავს ის უდიდესი ტკივილი, რაც აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან არის დაკავშირებული. საქართველოს ამ ძირძველი მიწა-წყლიდან აყრილი 300 000 ქართველი, ლტოლვილის სტატუსით, 1992-1993 წლების შემდგომ უკიდურესად გაჭირვებულ და უმძიმეს პირობებში იმყოფება სრულიად საქართველოს სხვადასხვა რაიონსა და მხარეში. ქართველი ერის საერთო გულზე გაჩენილი ხსენებული წყლული განკურნებადია და იგი თანდათან უახლოვდება დასასრულს. მაგრამ მართო აფხაზეთ-სამაჩაბლოს ტკივილი ხომ არ აწუხებს საქართველოს, მასთან ერთად რამდენი წელია, რაც ქართველობას გულს უკლავს და ფიქრთა ზღვა-მორევეში ატრიალებს აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს), თურქეთის მიერ მოტაცებული არტანის, ყარსისა და ართვინის ტერიტორიების, სომხეთისათვის გადაცემული ბორჩალოს ნაწილი მიწა-წყლის და რუსეთისაგან მიტაცებული ქ. სოჭისა და ამა თუ იმ დასახლების სხვა მრავალი ტერიტორიების დღემდის დაუბრუნებლობით გამოწვეული დარდი და ბოღმა.

ი. სტალინის ინიციატივით და მისი დაუოკებელი პირადი სურვილებიდან გამომდინარე სსრ კავშირის მთავრობამ 1945 წლის ზაფხულიდან ინტენსიური ხასიათი მისცა საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიების გამოცხადება-დაფიქსირებას თურქეთისადმი, რაც გრძელდებოდა 1953 წლამდე. 1945-1953 წლებში გამოქვეყნდა ქართული და უცხოური პრესის ფურცლებზე

სახელოვანი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეთა სტატიები, გამოჩენილ ქართველ პოეტთა და მწერალთა ლექსები და სხვა ჟანრის ნაწარმოებები. ყველა მათგანში მოწოდებაა თურქეთის მთავრობისადმი, რომ მას არა აქვს არც მორალური და არც იურიდიული უფლება უარი თქვას სხვადასხვა დროს საქართველოსაგან მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებაზე და მან ეს ყოველივე ნებაყოფლობით უნდა შეასრულოს. სახელოვან ქართველ მეცნიერთა სტატიების ფურცლებზე საუბარია ოსმალ-დამპყრობთა მიერ საქართველოს ტერიტორიების დაპყრობა-მიტაცებაზე, ქართველი ხალხის დატყვევება-წამებაზე, თურქეთში გასახლებაზე და სხვა მრავალ აღვირახსნილობაზე, რასაც ისინი საქართველოს მიმართ კადრულობდნენ.

აკად. ს. ჯანაშიამ და ნ. ბერძენიშვილმა სტატიის „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიის შესახებ“ ყველაფერი უთხრეს დამპყრობელ თურქთა შთამომავლებს და მოსთხოვეს საქართველოსაგან მიტაცებული მიწა-წყლის სასწრაფოდ უკან დაბრუნება. მსგავსი შინაარსისაა პროფ. ექვთიმე თაყაიშვილის წერილი – „თურქეთის მიერ მიტაცებულ ჩვენს მიწაზე“; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტების ნ.ნიჟარაძის, ჭ.ნოღაიდელის, მ.სტამბოლიშვილის, ხ. ახვლედიანის მიერ დაწერილი სტატია – „მოვითხოვთ თურქების მიერ დამონებული ჩვენი დებისა და ძმების განთავისუფლებას“; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის „წერილი რედაქციის მიმართ“ და სხვა.<sup>31</sup> საქართველოს მსგავსად სომხეთშიც მრავალჯერადი ღონისძიებები ტარდებოდა თურქეთის მისამართით და სომხებიც დაბეჯითებით და ყოველგვარი ქათინაურების გარეშე მოითხოვდნენ თურქეთის ხელისუფლებისაგან სხვადასხვა დროს მიტაცებული სომხეთის ტერიტორიების უპირობო დაბრუნებას. სომხეთში ხსენებულმა მოძრაობამ, იდეოლოგიურმა კამპანიამ და პრეტენზიებმა თურქეთის მისამართით საკმაოდ დიდი მასშტაბები შეიძინა, რადგან მასში მონაწილეობას ღებულობდა მსოფლიოს სომხური დიასპორა, რომელსაც ყველა საშუალებები გააჩნდა, რათა თურქეთისათვის, როგორც ყაჩაღი და დამპყრობელი ქვეყნისათვის ნიღაბი ჩამოეგლიჯა და მსოფლიოსათვის ეჩვენებინა ოსმალ-თურქეთის ნამდვილი სახე.

აღნიშნული იდეოლოგიური კამპანია დღითიდღე ფართოვდებოდა და ამკარად მზადდებოდა მყარი ნიადაგი, რათა თურქეთის რესპუბლიკას, ყოველგვარი გართულებების გარეშე, საქართველოსა და სომხეთისათვის უყოყმანოდ და, ალბათ, ბოდიშის მოხდითაც კი უნდა დაებრუნებინა სხვადასხვა დროს მითვისებულ-მიტაცებული ტერიტორიები. მაგრამ უცაბედად და სრულიად მოულოდნელად მკვლელთა დაჯგუფებამ სიცოცხლე მოუსწრაფა იოსებ სტალინს

<sup>31</sup> ერთი იდეოლოგიური კამპანიის ისტორიიდან (საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთისადმი 1945-1953 წლებში), მასალები გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო ჯაბა სამუშიამ, თბ. 2003, გვ. 25-83.

და საბჭოთა კავშირის პრეტენზიებმა თურქეთისადმი თანდათან იკლო და სულ მალე მთლიანად შეწყდა კიდევ. 1953 წლის 30 მაისს საბჭოთა კავშირის მთავრობამ ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა, რომლითაც მან განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირს თურქეთის რესპუბლიკასთან არაფერი აქვს სადავო და საბოლოოდ უარი თქვა ქართულ-სომხური მიწების დაბრუნებაზეც.

ქართველებს და სომხებს ხსენებული პრობლემა დღესაც აწუხებთ და ყოველთვის ექნებათ მოუსვენრობა აღნიშნულთან დაკავშირებით. მაგრამ მათ, ამჟამად, საკუთარ ძალებზე დაყრდნობით, მამა-პაპათა სისხლით და ოფლით გაპოხიერებული ტერიტორიების დაბრუნება არ შეუძლიათ და მომავლის იმედით უნდა იფიქრონ ამ უდიდესი ჭრილობების მოშუშების თაობაზე.

იოსებ ბესარიონის ძე სტალინი თურქეთის მიერ საქართველოსა და სომხეთისაგან მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნების პარალელურად ქმნიდა სათანადო ამინდს და საჭირო სიტუაციას მაშინდელი ირანის ხელისუფლებასთან იმასთან დაკავშირებით, რომ ირანს აზერბაიჯანისათვის უნდა დაებრუნებინა სამხრეთ ადარბადაგანი, რომელიც მას დაპყრობილ-მიტაცებული ჰქონდა და ის მას არ ეკუთვნოდა. სტალინს განზრახული ჰქონდა ირანისაგან მიტაცებული სამხრეთ ადარბადაგანი აზერბაიჯანისათვის გადაეცა, ხოლო თავის დროზე აზერბაიჯანისათვის უკანონოდ გადაცემული აღმოსავლეთი კახეთი (ბელაქანის, ზაქათალისა და კახის რაიონები) საქართველოსათვის დაებრუნებინა. მაგრამ ეს პრობლემაც, რომელიც თითქმის დამთავრების სტადიაზე იყო და გადაწყვეტილად ითვლებოდა, სტალინის უცაბედი სიკვდილის გამო დაიბლოკა და დღემდის მის შესახებ რაიმე ანგარიშგასაწევი პრეტენზია, მოსაზრება თუ საქმიანი მოთხოვნები, თითქმის არაუვისგან არ გაკეთებულა. სათქმელი და გასაკეთებელი კი საინგილოში ბევრზე-ბევრია და ყველა ჩვენთაგანისაგან ყურადღებას და დახმარებას თხოულობს.

ჩვენ ზევითაც აღვნიშნეთ და აქაც კვლავ უნდა გავამახვილო ყურადღება იმის თაობაზე, რომ საქართველოს პირველმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომელიც ის ის იყო ახლად ყალიბდებოდა და თითქმის ყოფა-ცხოვრების ყველა სფეროში ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებოდა, კარგად არც კი იცოდა თუ სამომავლოდ რა მოელოდა, დარჩებოდა თუ არა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, მან საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 107-ე მუხლით „საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთს სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალის ოლქი), ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა“.

თუ ახლად ფეხადგმულმა საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, იმთავითვე, როცა ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობას იწყებდა და ეთნიკურად საკმაოდ ჭრელ ზაქათალის ოლქს (საინგილოს) „ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური თვითმმართველობის,“ უფლება მიანიჭა, აზერბაიჯანის



ხელისუფლებას კი არც თავიდან და არც შემდგომ ათწლეულებში აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) მოსახლეობის ავტონომიურობაზე კრიტიცი არ დაუძრავს. ამ მხარეში, ყველა ღონისძიება, რასაც აზერბაიჯანის მთავრობა ანხორციელებდა უმთავრესად და ძირითადად ითვალისწინებდა მკვიდრი ქართული მოსახლეობის გაათათრება-გამუსულმანებას – ასიმილირებას იმ დოზით და მასშტაბით, რასაც სპარსელები, თურქები, არაბები, თურქ-სელჩუკები და მონღოლებიც კი არ კადრულობდნენ და გარკვეულწილად თავსაც კი იკავებდნენ.

აზერბაიჯანის თავკაცნი, არც ადრე და არც ამჟამად, ანგარიშს არ უწევენ იმ უდიდეს სინამდვილეს, რაც მდგომარეობს იმაში, რომ საინგილო (აღმ. კახეთი) მათ საბჭოთა რუსეთის დამპყრობლურ-ანტიეროვნული პოლიტიკის ძალით აქვთ მიტაცებული და ეს მიწა-წყალი მათ არ ეკუთვნით. მათ არ სურთ იცოდნენ, რომ ხსენებული ტერიტორია საქართველოს სისხლ-ხორცეული ნაწილია და იქ მცხოვრები ქართველობა ითვლება მხოლოდ საინგილოს სრულუფლებიან მესაკუთრედ და ყველაზე მეტად ანგარიშგასაწევ მებატრონედ. ყველამ უნდა იცოდეს, რომ აღმოსავლეთ კახეთის ტერიტორიაზე ამჟამად განსახლებული ეთნიკურ და ეთნოგრაფიულ ჯგუფებს შორის მხოლოდ ქართველები (ინგილოები) არიან აბორიგენ-ავტოქტონები და ყველა სხვანი მოსულები და არამკვიდრნი არიან, მათ შორის თვით აზერბაიჯანელებიც. აზერბაიჯანელები კავკასიელები არ არიან, ისინი განეკუთვნებიან თურქულ-მონღოლურ რასას და მათი დამკვიდრება-დაფუძნება აღმოსავლეთ კავკასიაში იწყება XI საუკუნიდან, ყოფილ ალბანთა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. XI საუკუნეში ამიერკავკასია თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს და მასობრივად დასახლდნენ ისტორიული ქართლისა და შემდგომ ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს აღმოსავლეთით მრავალ საუკუნეთა მანძილზე არსებულ ქრისტიანული სარწმუნოების მქონე ალბანეთის ტერიტორიაზე, რასაც ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილაცია მოჰყვა, რაც იმით დამთავრდა, რომ თანდათანობით კავკასიის ალბანეთის სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა, ალბანელი ხალხი გაითქვიფა დამპყრობელთა ზემოქმედების შედეგად და მათ ნაცვლად ჩამოყალიბდა სრულიად ახალი სახელწოდების ეთნიკური ერთეული – აზერბაიჯანელი ხალხი, რომელთა სახელმწიფო ენა არის თურქული ენა. სახელწოდება „აზერბაიჯანი“ მომდინარეობს სპარსული ენიდან. ძვ.წ. IV საუკუნეში სამხრეთ აზერბაინჯაში შეიქმნა სახელმწიფო ატროპატენა, სპარსულად ადარბადგანი, აქედან კი, ე.ი. ადარბადგანიდან წარმოიშვა ტოპონიმი აზერბაიჯანი. „ძველ ადარბადგანის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა თურქმენულ ტომთაგან დღევანდელი აზერბაიჯანელი ხალხი, მათ შეერია ალბანელთა ნაწილიც. მათ ძველი ალბანეთის – შირვანის ტერიტორიაც აითვისეს, მათ მიაყოლეს საქართველოს, ჰერეთის ნაწილიც (საინგილო)“.<sup>32</sup>

<sup>32</sup> გ. ხვეელი, გაზ. „ჯორჯიან თაიმსი“. 21-28.10. 2004, გვ. 10.

იგივე ავტორი აზერბაიჯანელთა მიერ საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის მითვისების სხვა ფაქტებზეც ამახვილებს ყურადღებას და შენიშნავს: „გარდა საინგილოსა, კახეთის სამეფოს სხვა ნაწილიც, მტკვრის მარცხენა სანაპიროც მთლიანად მითვისეს აზერბაიჯანის მაშინდელმა ხელმძღვანელებმა, ისე, რომ თვალის არ დაუხამხამებიათ. აღარაფერს ვამბობთ ისტორიული გარდაბანის საერისთავოს აღმოსავლეთ ნაწილზე“.<sup>33</sup>

აზერბაიჯანელთაგან ქართული მიწების უსირცხვილოდ და განუწყვეტლად დატაცება-მისაკუთრებით აღშფოთებული გ. ხვეელი ხსენებულ საკითხზე მსჯელობას საგულისხმო დასკვნით ამთავრებს: „ირანში, რომელსაც აზერბაიჯანის მიწა აქვს მიტაცებული, მილიონობით აზერბაიჯანელი ცხოვრობს. აზერბაიჯანის მესვეურებმა ვერაფერი დააკლეს მტრულ ირანს და სამაგიეროდ, მეგობრულ საქართველოს წაართვეს საინგილო“.<sup>34</sup>

მკითხველისათვის, ვფიქრობთ, გაურკვეველი აღარაფერია და ნათელია განხილული საკითხის არსი, რადგან არაერთგზის ითქვა, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს რესპუბლიკის ანექსიის შემდგომ, რუსეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ანტიეროვნულ პოზიციაზე მდგომმა ბოლშევიკების ზროვამ საინგილო აზერბაიჯანს მიაკუთვნა. ეს იყო უდიდესი დანაშაული, რაც დღემდის გამოსასწორებელია და საინგილო (აღმ. კახეთი) იქაური ქრისტიანი თუ გამაჰმადიანებული ქართველობა საკადრის ყურადღებას და თავისი მიწა-წყლით დელა-სამშობლოსთან შერწყმა-დაბრუნებას ნატრულობს. წინა საუკუნეში ჩადენილი გაუგონარი და ავადსახსენებელი დანაშაულობანი, მით უმეტეს, კომუნისტური რეჟიმის აღვირახსნილი მბრძანებლობის დროინდელი, ოცდამეერთე საუკუნემ უნდა გამოაისწოროს, რადგან კაცობრიობის დღევანდელი და სამომავლო თვალთახედვა-ჰუმანიზმის განსხვავებული დონე, კანონის უზენაესობაზე დამყარებული სამართლიანობა და სრულიად განსხვავებული ურთიერთობები ქვეყნებსა და ხალხებს შორის იძლევა იმის გარანტიას, რომ ყველა დამყრობელმა ქვეყანამ უარი უნდა თქვას ყოველგვარ მიტაცებულ-მითვისებულზე და ყველას თავისი უნდა დაუბრუნდეს, რათა, მართლაცდა, ბოლოს და ბოლოს, დაიწყოს ახალი ცხოვრება, ახალი ეპოქა. დღევანდლობა და სრულიად განსხვავებული მომავალი, კაცობრიობის თავისუფლად ამოსუნთქვისა და უდიდესი სიხარულის მყარ გარანტიას იძლევა.

აზერბაიჯანის ხელისუფლებას ჩვენ, ქართველები, ამჟამად, ჯერ კიდევ საქართველოს მიწა-წყლიდან სხვადასხვა დროს მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებაზე ამკარად არაფერს ვეუბნებით, რადგან ამისი დრო მომავალში თავისთავად დადგება და ყოველგვარ უკანონობას ბოლო მოეღება. ზოლო ის კი, რაც დიდი ხნის მანძილზე არადა არ გაკეთდა, გვსურს აზერბაიჯანის

<sup>33</sup> გ. ხვეელი, გაზ. „ჯორჯიან თაიმსი“, 21-28.10. 2004, გვ. 10.

<sup>34</sup> იქვე.

სახელმწიფო მესვეურთ შვეახსენოთ და სამართლიანობის პოზიციიდან დაეარწმუნოთ, რომ თანამედროვე დემოკრატიულ და თავისუფალ აზერბაიჯანს აღარ ეკადრება და მისთვის დიდი სირცხვილია, რომ საინგილოს დღემდის კულტურულ-ტერიტორიული ავტონომია არა აქვს. საკითხის ამ კონტექსტში დაყენების უფლებას ორი გარემოება გვაძლევს: პირველი არის ის, რომ დღევანდელი აზერბაიჯანისა და საქართველოს ურთიერთობა, სიახლოვე და მეგობრობა სულ სხვაგვარია და დიდად განსხვავდება წარსულისაგან. მეორე გარემოება არის ის, რომ საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები (რამდენიმე რაიონში და რამდენიმე ათასეული ოჯახი) არაფრით არ იზღუდებიან, მათ გვარს, სახელს, ეროვნებას არაფერ უცვლის და ისევე ცხოვრობენ და იმავე უფლებებით სარგებლობენ, როგორც ქართველები. საქართველოში აზერბაიჯანელების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე, მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მიღებაზე და ყოფა-ცხოვრების ყველა პირობების მოგვარების თაობაზე, საქართველოს ხელისუფლება ისევე ზრუნავს, როგორც ქართველებზე და საქართველოს სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობაზე. ქართველები თავისი გამორჩეული ტოლერანტობით ყოველთვის საკადრის მზრუნველობას იჩენდნენ საქართველოში მცხოვრებ არაქართველთა მიმართ, ეს მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია დღესაც ძველებურად გრძელდება და ქართველებს არასდროს არავისთვის ისეთი რამ არ უკადრებიათ, რასაც ჩვენი ტერიტორიების მიმტაცებლები კისრულობდნენ და დღესაც კადრულობენ იქაური აბორიგენი ქართველების მატერიალური და სულიერი კულტურის სრული ლიკვიდაციისათვის. ეს სამართლიანი ბრალდება, უმეტესწილად, თურქ ოსმალო დამპყრობლებს ეკუთვნით, რომელთაც იავარჰყვეს დაანგრიეს და ყოველმხრივ წაბილწეს საქართველოსაგან მიტაცებული ტერიტორიები, მოსახლეობა მასიურად გაამუსულმანეს და იქ არსებული ქართული ხუროთმოძღვრების კლასიკური ნიმუშები ფანატიკურად გაძარცვეს და დაანგრიეს. თანამედროვე აზერბაიჯანის ხელისუფალთ ისლა დარჩენიათ, რაც შეიძლება დროულად და დაუბრკოლებლად მიიღონ საქართველოს მთავრობას, ქართველ ხალხს და აღმოსავლეთ კახეთში (საინგილოში) მცხოვრებ ყველა ეროვნების მოსახლეობას მიანიჭონ ავტონომიური თვითმმართველობის უფლება. თუ აზერბაიჯანის ხელისუფალთაგან აღმოსავლეთ კახეთში კვლავ გავრძელდება ასიმილაციის ძველებური პოლიტიკა და ისინი თვალს არ გაუსწორებენ თანამედროვე პლანეტაზე ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაწყებულ მძლავრ მოძრაობას, მიმდინარე საუკუნეში საინგილო ისედაც დაუბრუნდება საქართველოს, რა თქმა უნდა, სხვა დაკარგულ ტერიტორიებთან ერთად და მამის აზერბაიჯანი უკვე აღმოჩნდება ისეთ მძიმე მდგომარეობაში, რომ ის ყოველთვის დარჩება ქართველთათვის მათი ტერიტორიების თვალგულ გაუმაძღარ მიმტაცებელ-მომთვისებლად და საინგილოს (აღმოსავლეთ კახეთის) ქართველობის იმ მასშტაბის ასიმილაციორად, რაც საქართველოს არასოდეს დაავიწყდება.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის  
(თუშ-ფშავ-ხევსუხეთის) განსახლებისა და  
ეთნიკური ნაჩომოპოპულაციის საკითხისათვის

2.1. თუშეთის დასახლებისა და სატომო სახელ „თუშ“-ის  
ისტორიისათვის

თუშეთის დასახლებისა და სატომო სახელ „თუშ“-ის საკითხს ჩვენ ადრეც შევეხეთ.<sup>1</sup> იმხანად ხსენებულ საკითხზე ჩვენი მსჯელობა ემყარებოდა ჯერ კიდევ არსებულ თეორიას ქართველთა წინაპარი ტომების წინა აზიიდან მოსულობის შესახებ. აკად. ივ. ჯავახიშვილისეული დასკვნები იყო ჩვენი სახელმძღვანელო დებულებები და ამოსავალი. ვეყრდნობოდით რა განსვენებული მეცნიერის ცნობილ დასკვნებსა და შეხედულებებს ქართველობაზე საერთოდ და კერძოდ კი თუშეთის შესახებ, ჩვენის მხრივ დავსძინეთ, რომ „თუშეთი თუში ტომის თავდაპირველი ადგილ საშეყოფელი არ არის. თუშთა ტომმა ისეთივე შიგრიცა განიცადა, როგორც დანარჩენმა ქართველმა ტომებმა“.<sup>2</sup>

ჩვენი ასეთი მსჯელობა ეყრდნობოდა მეცნიერის ცნობილ კონცეფციას ქართველთა მოსულობის შესახებ: „კავკასიაში პირველად ის ტომები უნდა მოსულიყვნენ, რომელნიც ისტორიულად კარგად ცნობილს დროში დანარჩენებზე ჩრდილოეთით ბინადრობდნენ. მაშასადამე, ჯერ აფსახები, აფილები, სიანები, თუშები და სხვა მთიულები შექმდე კოლხები, კასიები“.<sup>3</sup>

თუშეთში გავრცელებული ზოგიერთი მესხური წარმოშობის ტოპონიმების საფუძველზე თუშების წარმომავლობა დავუკავშირეთ უძველეს ქართულ ტომს „მუშქ“-ს. ჩვენ ვემყარებოდით ისეთ ტოპონიმებს, როგორცაა: ტაო, ჯავახე,<sup>4</sup> სამციხე, ორეთი, ორეთის მთა, თუშეთში არსებულ წარმართულ სალოცავ – „ჯავახობა“-ს („ჯავახობა“, „ჯავახე“, „ჯავახთობა“) – სხვადასხვა თუში მთქმელი ასე ასახელებს ამ სალოცავის სახელწოდებას. ვითვალისწინებდით აგრეთვე ეთნონიმ „მოსოქ“-ს, რადგან „ლეკები თუშებს ახლაც „მოსოქ“-ებს, ესე იგი „მოსოხებს“ ეძახიან“.<sup>5</sup>

<sup>1</sup> ვ. ელანიძე, შენიშენები თუშთა წარმოშობის ისტორიისათვის, ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. V, 1964, გვ. 53-63; ჩვენივე, თუშეთის სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ფეოდალიზმის ხანაში, საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, 1968 წ., გვ. 15-64.

<sup>2</sup> ვ. ელანიძე, შენიშენები თუშთა წარმოშობის ისტორიისათვის, გვ. 53.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 1. 1960, გვ. 435.

<sup>4</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, 1983, გვ. 220, 226 („სოფ. ალისგორიდან გზა მიდის ჯავახეზე, სადაც ხევსური დეკანოზები ათნიგებობას ღებვიან“)

<sup>5</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 410.

„მუშქ“-ების, „მოსხ“-ების, „მესხ“-ების განსახლების საზღვრები, როგორც აკად. გ. მელიქიშვილმა გამოარკვია, საქართველოს დიდ ტერიტორიას მოიცავდა და მისმა აშკარა ნაკვალევმა მრავალგან იჩინა თავი, მათ შორის, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეც. „მესხური სამოსახლოები, – წერს მეცნიერი, – სამხრეთ და აღმოსავლეთ ბეურ ადგილას განჩნდა“.<sup>6</sup> არ არის გამორიცხული, რა თქმა უნდა, მესხურ მოსახლეობას თუშეთშიც შეეღწია, და თავისი ნაკვალევიც სწორედ ასეთი გზით დაეტოვებინა. „ჩვენ საფსებით შესაძლებლად მიგვაჩნია ვიყარაუდოთ, – შენიშნავს პროფ. თ. პაპუაშვილი, – რომ მუშქ-მესხების ერთ-ერთმა ტაღლამ კიდევ უფრო წრდილოეთით გაიწია და ერთ-ერთი თავისი სამოსახლო კახეთის მთიანეთშიც შექმნა. სწორედ აქედან უნდა გაერცვლებულიყო მთის კავკასიულ ხალხებში, კერძოდ ხუნძებში, თუშების აღსანიშნაყად ეთნიკური ტერმინი „მოსოსხ“ – „მოსოქი“.<sup>7</sup> მაგრამ ეს მესხური მოსახლეობა არ უნდა ჩავთვალოთ თუშეთის თავდაპირველ მკვიდრებად, როგორც ეს საკანდიდატო შრომაში, გამოქვეყნებულ წერილში და ავტორეფერატში გვაქვს,<sup>8</sup> რადგან მათი მიგრაციის პროცესი ქართლის მთიანეთის დასახლებიდან დიდი ხნით გვიან მომხდარი ვითარებაა.

გიორგი მელიქიშვილის მიერვე აღინიშნება, რომ ჯერ კიდევ ენეოლითის ეპოქაში საქართველოს მთიანეთი მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. „იმ დროს (ე.ი. ენეოლითის ხანაში, ვ.ე.) საქართველოს თითქმის ყველა კუთხე და მათ შორის მთიანეთიც, – შენიშნავს გ. მელიქიშვილი, – უკვე საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ჩანს“.<sup>9</sup>

„მოსხ“-ების, „მესხ“-ების განსახლება – მიგრაციის პროცესი კი ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში მიმდინარეობდა.<sup>10</sup> ამდენად, თუშეთის თავდაპირველ მოსახლეობად მესხები არ ჩაითვლებიან და თუშებთან მათი შეერწყმა სხვა დროის მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

თუშეთის თავდაპირველ თემებში: გომეწარში, პირიქითში და ჩაღმაში დღემდის არსებული მესხური წარმოშობის ტოპონიმები, წარმართული

<sup>6</sup> ნ. ბერძენიშვილი, ვ. ღონღუა, მ. ღუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატციანი, საქართველოს ისტორია, ტ. I 1958, გვ. 51.

<sup>7</sup> თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, გვ. 67, 1982 წ.

<sup>8</sup> В.А. Эланидзе, Социально-политическое развитие Тушетии в эпоху феодализма, автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тбилиси, 1968г., стр.5

ნ. ბერძენიშვილი, ვ. ღონღუა, მ. ღუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატციანი, საქართველოს ისტორია, ტ. I. 1958, გვ. 12: ო. ჯაფარიძე, კავკასიის უძველესი მოსახლეობის კულტურული და ეთნიკური ერთობის საკითხისათვის, ჟურნ. „მთაბი“, №3, 1972, გვ. 134; მისივე ქართველ ტობთა საკითხისათვის, 1976, გვ. 6, 290-293.

<sup>10</sup> გ. მელიქიშვილი, ურარტუ, 1951, გვ. 139.

ხატი - „გაეაზობა“ და თუშებისათვის დიდო-ლეკების მიერ „მოსოქ“-ების დაძახება, ჩვენი აზრით, იმ გარემოების მანიშნებელი უნდა იყოს, რომ თუშეთში მესხური მოსახლეობა ერთეული პიროვნებების ან რამდენიმე ოჯახის სახით კი არ ვახიზნულა, არამედ საკმაოდ დიდი რაოდენობით. ჩვენს ასეთ ვარაუდს მხარს უჭერს ხსენებული ეთნონიმ-ტოპონიმებისა და სალოცავ „გა-ვატეს“- „გაეაზობის“ შინაარსი, და მათი გავრცობის სიფართოვე-მოცულობა.

ზემოთ აღნიშნული ტოპონიმებიდან - „სამციხი“ ეწოდება თუშეთის პირიქითის თემის იმ ნაწილს, რომელიც მოიცავს შემდეგ სოფლებს: ჩილოს, დართლოს, კვაელოს, დანოს და ჭემოს. პირიქითის საზოგადოების დასახელებული სოფლების მცხოვრებლები თუშებისაგან განსხვავებით თავის თავს სამციხელებს ეძახდნენ და ახლაც ასე ეძახიან. აღნიშნულმა ფაქტმა, მართალია, ისტორიოგრაფიაში ასახვა ვერ ჰპოვა და სამციხის სოფლების თუშებიც პირიქითის ან ფარსმის საზოგადოების სახელწოდებით იხსენიებიან, მაგრამ უნდა ითქვას, რომ თუშურ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, ზოგ შემთხვევაში, ზემოთ ხსენებული სოფლების მოსახლეობა, პირიქითის თემის სხვა მცხოვრებლებისაგან განსხვავებით, სამციხელებად იწოდებიან. მაგალითად, სოფ. ჰელოს ტრაგედიასთან დაკავშირებით სამციხელი მეომრები ხალხურ მთქმელს ცალკე ჰყავს გამოყვანილი:

„ჰელოს ატირდეს დედანი: მტერმ მარხედ შავგაშინნაო

შაყრილნი მშაველ-ხვესურნი ჰელოსამც შამოხვივნაო...

სამციხელების თოფებმა ჰელოს ჩდილ შამოხვივლაო“<sup>11</sup>

დღეს ცნობილია, რომ სამცხე, სამციხე, მესხეთი, მცხეთა ნაწარმოებია ქართული ეთნიკური ტერმინიდან - „მესხი“-დან და უარყოფილია სამცხე (სამციხის), თითქოსდა სამი ციხიდან გაჩენის შესაძლებლობა და მოსაზრებანი. თუშეთში დღემდის არსებული გეოგრაფიული სახელის - სამციხის გაჩენა არ უნდა მომდინარეობდეს ე.წ. სამი ციხიდან. თუშეთის სამციხის ტერიტორიაზე გაშენებული სოფლები ერთიმეორესთან დაშორებულნი არიან 3-15 კმ-ით და მათი განლაგების მიხედვით ყოველმხრივ გამორიცხულია, რომ მათ სამი საერთო ციხე ჰქონოდათ. თუშეთის ყველა სოფელს, მათ შორის სამციხის ტერიტორიაზე გაშენებულ სოფლებსაც, საკუთარი ციხეები ჰქონდათ და მათი საშუალებით იცავდნენ თავს მტრის შემოსევის დროს.

ტაო - სამციხის აღმოსავლეთით მდებარეობს და ეწოდება სოფ. ჩილოს ხაადან (საძოვარი ადგილია) მომდინარე მდინარის მარცხენა მხარეზე (ჩილოს წისქვილების სიახლოვეს, წყლის ნაპირიდან სოფ. დიკლოს გადასახე-დამდე) აზიდულ ვეებერთელა ტერიტორიას. ტაოს ტერიტორიაზე შეიმჩნევა რამდენიმე ძვეილსძველი ნამოსახლარი. ტაოდ წოდებულ ადგილ-მდებარეობას სახნავ-სათიბად და საძოვრებად იყენებდა სოფ. ჩილოს მოსახლეობა.

<sup>11</sup> აკ. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, ხვესურული, I, 1931, გვ. 114, ხაზი ჩვენი, ვ. ე.

ჯავახეს (ჯავახე) გომეწრის საზოგადოების სოფლების – კოკლათისა და ვეძისხევის სახლოვეს მდებარე, კარგა მოზრდილ ადგილს ეწოდება. თუშები დღეს კვლავ მიუთითებენ, რომ ჯავახეს სახლოვეს გაშენებულ სოფლებში მცხოვრებ თუშებსაც კი ხშირად ჯავახელებად ასახელებდნენ. როცა თუშები თუშეთში ცხოვრობდნენ ზამთარ-ზაფხულობით მაშინ მკრთალად ესმებოდა ხაზი თვითეული თუშის სადაურობას საცხოვრებელი ადგილ-მდებარეობის მიხედვით, მაგალითად, გომეწრის საზოგადოებაში თუ თუშეთის სხვა კუთხეებში გამართულ ღვინ-ღლეობებში ჯავახეს გარშემო მდებარე სოფლის ქალებს თურმე ასე მიმართავდნენ: „ტაში ქალო, ჯავახელო!“ ან „ტაში, ჯავახური!“ და სხვ.

წარმართული სალოცავი „ჯავახე“ მდებარეობს იმავე ტერიტორიაზე, რომელსაც ჯავახე (ზოგიერთების თქმით – ჯავახეთი) ეწოდება. ჯავახეთობა, ჯავახეობა, ჯავახობა (თუშების მიერ ასე აღინიშნება) იმართება ათენგენობის მეორე დღეს. ჯავახეობა დიდი დღეობაა და თუშეთის ყველა კუთხის მცხოვრებნი ღებულობდნენ მონაწილეობას. ჯავახეობა მეტად საინტერესო შინა-არსის სალოცავია. ჯავახეობაში ინტერესს იხიცი იწვევს, რომ მასში ხვესურებიც ღებულობდნენ მონაწილეობას. ჯავახეში იქვე, თუშების სალოცავ ჯავახეს ახლოს მდებარეობს ხვესურების ორი ხატი – ხახმატი და კარატე. ხვესურები თუშეთის ყველა სოფელში მათი სალოცავებისათვის წესის დაყენების შემდგომ იკრიბებოდნენ ჯავახეს. პირველ დღეს ესწრებოდნენ ჯავახეობას, პარალელურად ლოცულობდნენ საკუთარ ხატებს – ხახმატს და კარატეს, ხოლო მეორე დღეს ემშვიდობებოდნენ თუშებს და ალაზნისთავ – ბორბალოს გავლით უკან ბრუნდებოდნენ.<sup>12</sup>

„ორეთი“ – ჩაღმის საზოგადოების სოფ. ომალოს ტერიტორიაზე მდებარეობს და მოიცავს საკმაოდ დიდ ფართობს, რამდენიმე ჰექტარს, სადაც გაშენებულია ხსენებული სოფლის წისქვილები. „ორეთი“-ს გაგრძელებას წარმოადგენს „ორეთის მთა“ და იხიცი იმავე სოფლის მცხოვრებთა კუთვნილებაა. „ორეთის მთაში“ სოფ. ომალოს მთელ რიგ ოჯახებს საზაფხულო ბინები ჰქონდათ. სადაც მეწველი ძროხებით ადიოდნენ ხოლმე და მთელი ზაფხული იქ რჩებოდნენ.

დიდ ინტერესს იწვევს დილო-ლეკების მიერ თუშებისათვის „მოსოქ“-ების დაძახებაც. ეს ვითარება მეცნიერთა მიერ ახსნილია და შენიშნავენ, „რომ ერთ-ერთი ქართული ტომის სახელწოდება „მესხები“ გარკვეულ ეპოქაში

<sup>12</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, 1983. გვ. 220 „ამის შემდეგ /ე.ი. თუშეთის ხვესურთა ჯვარ-ხატების მოვლის შემდგომ. ე.ე/ კარატიონი და ხახმატიონი ღეკანოზები, საწირ-საკლავით აზურგულები, რომლებსაც თან მიჰქონდათ აუარება ტყავი, ხორცი, პური და სხვა. უკანვე ბრუნდებოდნენ გომეწრის ხეობით და აქ დგებოდნენ ჯავახეს /ვეძის თავში/ მინდორზე. სადაც კარატიონი და ხახმატიონები შეიყრებოდნენ და იმართებოდა დიდი ხატობა“/.

„ქართველების“ აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი“<sup>13</sup> თუშებზეც გააერცელეს, როგორც ქართულ ტომზე.<sup>14</sup>

მაგრამ თუ ყურად ვიღებთ თუშეთში არსებულ მესხური წარმოშობის ტოპონიმებს, სალოცავ „ჯავახეს“ („ჯავახობას“) და იმას, რომ პირიქითის თემის ნახევარს „სამციხს“ და მოსახლეობას „სამციხელებს“ უწოდებდნენ, და ახლაც ხმარებაშია ეს ტერმინი, იქნებ აღნიშნულთან ერთად ისიც ვივარაუდოთ, რომ დიდო-ლეკები თუშებს „მოსოქებს“ იმიტომ ეძახდნენ რომ თუშეთში მესხური მოსახლეობა, ამ ტერმინის წარმოქმნისას, საკმაოდ რიცხვმრავალი და მეზობელთათვის თვალში მოსახვედრი იყო. „ასე რომ ხუნძებმა თუშებს იმიტომ კი არ უწოდეს „მოსოხ“ – მოსოქი“, რომ ერთ-ერთი ქართველი ტომის სახელწოდება „მესხები“ გარკვეულ ეპოქაში „ქართ-ველები“ აღმნიშვნელი ზოგადი სახელი თუშებზეც გააერცელეს, როგორც ქართულ ტომზე (როგორც ამას პ. უსლარი და კ. წერეთელი ფიქრობდა, არამედ იმიტომ, რომ აქ ხუნძების მეზობლად დასახლებულ თუშებს, როგორც მუშკ-მესხების ტომის ერთ-ერთ ნაწილს, შეძინახული ექნებოდათ თავიანთი წინაპრების — „მესხების“ ეთნიკური სახელწოდება „მოსოხ“ — „მოსოქ“-ის გარიანტით“.<sup>15</sup>

სამციხის ზოგიერთმა უხუცესმა წინაპარმა გადმოცემით იცის, რომ ისინი მესხები არიან და გარკვეული მიზეზების გამო შემოეხიზნენ თუშეთს. ამ მხრივ საინტერესოა ივანე ბასილის ძე აბალოიძის მონათხრობი, რომელიც ჩავიწერეთ 1968 წლის 1 დეკემბერს. იგი მაშინ 82 წლისა იყო, „სიყენ, აბალოანები, — შენიშნავს ივანე, — ვართ მესხები თრიალეთიდან, ჩვენს თავდაპირველი გვარი კანთომვილი ყოფილა და ამ გვარით დასახლე-ბულან ჩემი წინაპრები თუშეთში. თუშეთში მათი მოსვლის მსახესა შექმდევი ყოფილა: მესხებს თათრები შემოსევიან, დაუპყრიათ ეს მხარე და მოსახლეობის გამაჰმადიანება დაუწყიათ. შექმსებული მოსახლეობა აყრილა და დამპყრობლებს გამოირიებულა. ჩემი წინაპრები ქინციში, მირზაანში დასახლებულან. იქ მათ მოურაგი მოუკლავთ და თუშეთში შემოუფარებიათ თავი, სოფ. ჭემოში დასახლებულან. ისინი დიდხანს კანთომვილების გვარით ცხოვრობდნენ. მაგრამ შემდგომში მათი შთამომავლობა აბალოიძეების გვარით გაგრძელებულა, შემდეგი გარემოების გამო: კანთომვილებს სოფ. ჭემოს თავზე — ჩრდილოეთით, მქონიათ საზაფხულო ბინები, სადაც მარიამობის ღამით მთელ საგვარეულოს ერთად უჭამია პური, ხინკალი მოუხარშავს და დაუქინია. დილისათვის უფროს-უმცროსებიდან ყველა დახოცილა, დარჩენილა მხოლოდ ერთი

<sup>13</sup> კ. წერეთელი, ქართ. ეთნიკური ტერმინის „მესხ“-ის ისტორიისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. „შობაძე“, ტ. XV, №2, 1954, გვ. 117.

<sup>14</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წ. I 1950, გვ. 51.

<sup>15</sup> თ. პაპუნაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, 1982წ. გვ. 67-68.



ბავშვი - აბალო, რომლიდანაც გაემრავლებულვართ და აბალოანთ და აბალოიძეებსაც იმიტომ გვეძახიანო.“

დალისტნელები, რომ თუშებს „მოსოქ“-ებს ეძახდნენ ეს აკად. ნ. მარსაც აქვს აღნიშნული. ნ. მარი შენიშნავს, რომ ქართულად მოსაუბრე თუშებს დალისტნელები უწოდებენ „მოსოქ“-ებსა და არა „მესქ“-ებს ან „მასქ“-ებსო. იგი წერს: „Не маск и не меск à mosoq: так зовут этих тушин знающие их дагестанцы.“<sup>16</sup>

როგორც საქმის ვითარებიდან ჩანს, თუშების მოხსენიება „მოსოქ“-ებად იმდენად გახმაურებული ყოფილა, რომ ზოგიერთი მკვლევარი ამ ტერმინის ქვეშ ფშავ-ხევსურებსაც კი გულისხმობდა.

XIX საუკუნის გამოჩენილი მკვლევარი პ. უსლარი მოსოქ-მოსოხთან დაკავშირებით შენიშნავს: „Под этим названием горцы подразумевают вообще жителей нынешнего Туше-Пшаво-Хевсурского округа, т.е. пшавов и хевсур“.<sup>17</sup> კ. წერეთელი ემყარება რა აკად. ა. ჩიქობავას შენიშვნას წერს, რომ „მოსოქებში“ ხუნძები ხევსურებს უნდა გულისხმობდნენ“.<sup>18</sup>

ე. გ. ვაიდენბაუმიც პირდაპირ მიუთითებს: – „Тушины называются лезгилами (мосох) (мосок)“<sup>19</sup> „აფ. ღირის მიხედვითაც У лезгин (дагестанцев) тушины называются также мосок, мусек“.<sup>20</sup>

ფშავ-ხევსურული ხალხური ზეპირსიტყვიერება, რამდენადაც ჩვენ მას ვიცნობთ, არ აღნიშნავს არც ერთ შემთხვევას, რომ ისინი ლეკების მიერ მოსოქებად იწოდებოდნენ. თუშურ გადმოცემებში კი თუშთა „მოსოქობა“ დადასტურებულია. აი ერთი ლექსიც:

„ყური დამიგდეთ მსმენელნო, ლექსად გეტყვით ყველაფერსა,  
უწინ ჩვენ მამაპაპანი სისხლით წყავდეს მთის კალთებსა,  
მტერსა მტრულად უხვდებოდეს ხმლით იცავდნენ ჩვენს საზღვრებსა.  
დალისტნის იმამს უთვლიდეს: მოდით გელოდებით ჩვენცა:  
თუ მოხვალთ კი გიმასპინძლებთ. სისხლსა გასმევთ თქვენვე თქვენსა,  
თქვენ მოსოქელებს გვეძახით, ქართველები ჩვენ თუშებსა“...<sup>21</sup>

<sup>16</sup> Н. Марр. К истории передвижения яфетических народов с юга на север Кавказа, стр. 1400-1401.

<sup>17</sup> П. Услар. Этнография Кавказа, языкознание. III, авварский язык. 1889, стр. 26.

<sup>18</sup> კ. წერეთელი, ქართული ეთნიკური ტერმინის „მესხ“-ის ისტორიისათვის. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე. ტ. XV, 1954, გვ. 114.

<sup>19</sup> ე. გ. ვაიდენბაუმის არქივი №45, II განყ. ფურც. 4, აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.

<sup>20</sup> А. М. Дирр. Современные названия Кавказских племен. СМОМКП, т. 40, отдел III, стр. 4, 1909г.

<sup>21</sup> ტექსტი ჩავაწერინა 1964 წელს სოფ. ზემო ალვანში მცხოვრებმა ალექსი მიხეილის ძე მოზაიძემ (80წ.) და სოფ. ქვემო ალვანში მცხოვრებმა სამსონ ლეთისოს ძე ბეციოძემ (შააიე) 70 წ.: ს. მაკალათია, თუშეთი, 1933 წ., გვ. 37.

ეს გარემოება, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს იმასაც, რომ პ. უსლარის შენიშვნა შეიძლება სწორი იყოს, რადგან თანამედროვე კვლევა-ძიებას იქითკენ მივყევართ და თანდათან მტკიცდება, რომ ისტორიულ ფხოვს და ფხოველებს (ფშაგ-ხევსურთა წინაპრებს) თუშების მსგავსი ნათესაობა აკავშირებთ ერთ-ერთ ქართველური ტომის – მოსხების, ანუ მესხების ისტორიასთან. ამ საკითხის ნათელყოფისათვის, პირველ რიგში „აღსანიშნავია, რომ ხევსურეთის მოსაზღვრე ქისტები ხევსურებს დღესაც „ფხია“-ს ან ფხიე“-ს უწოდებენ, რაც იგივე ფხოელს ნიშნავს“.<sup>22</sup>

„ფხოვის“ წარმომავლობის ისტორიას მეცნიერები უკავშირებენ ფახუვის ქვეყანას. „ამ ქვეყნის სახელი თითქმის ზუსტად იმეორებს კავკასიონის მთიელ ტომთა შორის დასასვლელზე „ფხოვ“-ტომის სახელს. ძველ ქართულ წყაროებში „ფხოვ“ – სახელის ქვეშ ფშაგ-ხევსურნი იგულისხმებიან“<sup>23</sup> ხოლო იგივე ქისტ-ჩეჩნები ფშაველებს უწოდებენ – შუა-ს, ხევსურები კი ფშაველებს „მშაველს“ ეძახიან და არა ფშაველს.

თუშ-ფშაგ-ხევსურების უტყუარი ნათესაობა და სიახლოვე თავისი წარმომავლობით მოსხებთან, მესხებთან, ჩვენის აზრით, საეჭვოს აღარ ხდის იმ გარემოებას, რომ ზოგჯერ ქართულსა თუ უცხოურ წერილობით ძეგლებში ამ სამივე კუთხეს „ფხოვს“ და აქ მცხოვრებთ „ფხოველებს“ უწოდებენ.<sup>24</sup> მართალია, მომდევნო საუკუნეებში, უმეტესწილად, „ფხოვი“ ისტორიულ ფშაგ-ხევსურეთს ეწოდებოდა,<sup>25</sup> მაგრამ ეს ვითარება როგორც უტყობა, არ გამორიცხავს იმ ჭეშმარიტებას, რომ ისინი გარკვეულ დროიდან მოსოქ-მოსხებიც იყვნენ და ფხოველებიც. იქნებ ამ გარემოებითაც იყო გამოწვეული, რომ ქრისტიანობით დაძალებული ფშაგ-ხევსურთა წინაპრების გარკვეული ნაწილი (ფხოველები) თუშეთში იმიტომ გადავიდნენ, რომ ისინი თუშებში ხელაღწენ ყველაზე ახლო მდგომ თანამომხებებს – მოსხებს, მესხებს, ფხოველებს.

უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ დიდოები თუშებს ამჟამად „აჯ“-ს ეძახიან (აჯ-თუში, ბაა ჯუ-თუშები, აჯი-ოშ-თუშეთი). დიდოები რომ თუშებს აჯ-ს

<sup>22</sup> ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1984წ. გვ. 21; Н. Я. Марр. Кавказские племенные названия и местные параллели. Петроград, 1922, с. 4-5.

<sup>23</sup> გ. მელიქიშვილი, აღმოსავლეთ მცირე აზიის უძველესი ეთნონიმების შესწავლისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყოფილების „მოამბე“, №3, გვ. 117-118, 1961 წ., იხ. აგრეთვე გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, გვ. 100, 1965 წ.

<sup>24</sup> Н. Дубровин. История войны и владычества русских на кавказе. том I, кн. П, СПб, 1871, стр. 281.

<sup>25</sup> ვახუშტი ბაგრატიონი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 93, 523, 534 და სხვ. Путьеводитель по Кавказу, составил Е. Вейденбаум, Тиф., 1888г., стр. 82; А. Берже. Краткий обзор горских племен на Кавказе. Кавказ. Календарь, Тиф.. 1858, стр. 302.

ეძახდნენ, ცნობილი ყოფილა ზოგიერთი მკვლევარისათვისაც, აღნიშნულის თაობაზე პროფ. ა. ღირი წერს: „Дидойцы, называют тушиинов ак, миоаж, акибак“.<sup>26</sup> დღეისათვის დიდობის მიერ თუშებისათვის აჯ-ის დაძახება და მოსოქ-ის დავიწყება, ჩვენი აზრით, გამოწვეული უნდა იყოს ქართველის აღმნიშვნელი სახელის წაზაჯ-ის გავლენით. დიდობი ქართველს წაზაჯ-ს ეძახიან (წაზაჯ)-ქართველი.

აკად. ივ. ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ „დაბადების“ სახელი „მეთუსალა“ ანუ „მათუსალა“ შეიძლება თუშების სატომო სახელს უდრიდეს.<sup>27</sup>

დასმული საკითხის შესახებვე შენიშნავს ივ. ჯავახიშვილი, რომ ბერძნული მართლწერის „მათუსალა“-ს ძირი „თუსა“ უდრის ამ ტომის თუშების სახელს, როგორც მათ ბერძნები ეძახდნენ. პტოლემეოსი, მაგ. თუშების სახელს „ტუსკოი“-დ წერს.<sup>28</sup>

ქართულ ისტორიოგრაფიაში აქა-იქ გვხვდება ტერმინი თოშეთიც.<sup>29</sup> თვით თუშებში არის შემორჩენილი ორი გადმოცემა. რომელთაგან პირველი მითითებს, რომ თითქოს „თუში“ მათ ლეკებმა უწოდეს და წარმომდგარია სიტყვა „დუშთ“-იდან, რაც დუშმანს ნიშნავსო<sup>30</sup> მეორე გადმოცემით მთიელებისათვის „თუშ“-ის დარქმევა თათრებს მიეწერება.

თუშური ხალხური გადმოცემის მიხედვით, უძველეს დროს თუშები კახეთის ბარში შემოსეულ თათართა წინააღმდეგ საბრძოლველად მთიდან ჩამოსულან და ახლანდელი სიღნაღის რაიონის სოფ. ხირსის ტერიტორიაზე (მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე), ცხარე ბრძოლა გაუმართათ ბარულ თანამემამულეებთან ერთად. მთიელებს ხსენებულ შეტაკებაში განსაკვიფრებელი გმირობით თავი უსახელებიათ და მტერი სრული განადგურების პირამდე მიუყვანიათ. მტრის მხრიდან დარჩენილა მცირე ნაწილი და მათი ბელადი, რომელსაც მთიელთა ვაჟკაცობით გაცუბულს, თითქოს უთქვამს. რომ მათი სახელი „თუშ“-ი (თურქულ ენაში ეს სიტყვა ხშირად მამაცი და იშვიათი მსროლელის მნიშვნელობითაც იხმარება) უნდა იყოსო.<sup>31</sup>

ს. მაკალათია ეხება რა სატომო სახელ „თუშ“-ის წარმომავლობის საკითხს, შენიშნავს. რომ „შესაძლებელია ამ სახელს კავშირი ჰქონდეს

<sup>26</sup> А. М. Дирр. современные названия кавказских племен, СМОМПК, т. 40, 1909г., стр. 4, отдел 3.

<sup>27</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. ტ. I 1960, გვ. 410.

<sup>28</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. ტ. I. 1960, გვ. 410

ექ. თაყაიშვილი. Описание. II. 716-717 (ხოლო ყურადღა რა ესმა ესე შემინდეს და თოშეთის გადაკრებს)

<sup>30</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, 1933, გვ. 15

<sup>31</sup> ლუზარული კობა დავითის ძე. სოფ. გირევიდან, დაბადებული 1882 წ. გადმოცემა ჩავიწერე 1978 წლის 28 თებერვალს.

ქისტურ წარმართულ ღვთაება „თუშოლ“-თან, რომელიც ნაყოფიერების ღვთაებად ითვლებოდა და მას ქისტ-ჩაჩნეთის თემები თაყვანს სცემდნენ.“<sup>32</sup> სატომო სახელ – „თუშ“-ის გარეშისა და წარმომავლობის ზუსტი დადგენა ამჟამად არ ხერხდება, რადგან მისი ისტორია წინა ქრისტიანულ ხანაში იწყება და ბურუსითაა მოცული.

პირველად თუშეთი, როგორც გეოგრაფიული სახელი, ნახსენებია ფარნაოზის ქართლში მეფობის პერიოდთან დაკავშირებით. ძვ. წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში გამეფებულ ქართლის მეფე ფარნაოზს სამეფო საერისთაობად დაუყვია და ერთ-ერთ საერისთაოში თუშეთიც გაუერთიანებია. აღნიშნულის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს, რომ „მეფემან ფარნაოზ დასცა კახეთის და კუხეთის ერისთავი ერთი და შემდგომად დასცევს პერეთისა ერისთავი სცა და თუშთა, დიდთა და ხუნჯახთა სცა“.<sup>33</sup>

თუშეთში აღმოჩენილი პრეისტორიული ხანის ნივთები: ბრინჯაოს ორი ორმის ქანდაკება, რომელიც დათარიღებულია დაახლოებით ძვ.წ. XII-IX საუკ., ბრინჯაოს ბალთა, რომელიც V-I საუკუნით თარიღდება, ამავე საუკუნეებით დათარიღებული მამაკაცის ბრინჯაოს ქანდაკება ხელში კომპლით, საყურეები, სამაჯურები და სხვა, რომლებიც ინახება აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში, ამტკიცებენ, რომ „თუშეთის ტერიტორიაზე ადამიანს პრეისტორიული ხანიდან უცხოვრია და კულტურულადაც უმოდგავია“.<sup>34</sup>

ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი თავის „გეოგრაფიაში“ იბერიის სახელმწიფოს აღწერისას განასხვავებს ბარის მოსახლეობისაგან მთაში მოსახლე ტომებს და წერს: „უფრო დიდ ნაწილს, რომელიც მებრძოლია ბუნების არის, უჭირავს მთიანი მხარე და ცხოვრობს სკვითებისა და სარმატების ყაიდაზე, რომელთა მეზობლები და ნათესავებიც არიან: თუშცა ეწევიან მიწათმოქმედებასაც, და როდესაც ჩამოვარდება შფოთი, თავისი და მათი (ე.ი. სკვითებისა და სარმატების) სახისრებით გამოჰყავთ მრავალი ათასი (მებრძოლი)“.<sup>35</sup>

მკვლევარ-ისტორიკოსთაგან დადასტურებულია, რომ სტრაბონის მიერ დახასიათებულ იბერიის „მთიანი მხარის“ მოსახლეობაში იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველოს მთის ტომები.

„როგორც ცნობილია, სტრაბონი ცხოვრობდა ძვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარსა და ახ. წ. I ს-ის პირველ მეოთხედში, მაგრამ იგი თავისი „გეოგრაფიის“ შედგენისას, კერძოდ, საქართველოს შესახებ ცნობების

<sup>32</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, 1933, გვ.15. Б. К. Даугат. Первобытная религия чеченцев, Влад., 1893, стр. 61.

<sup>33</sup> ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც. 1913 წ., გვ. 146.

<sup>34</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, 1933, გვ. 14.

<sup>35</sup> თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1957, გვ. 128.

გადმოცემისას, იყენებდა როგორც თავისი თანამედროვე, ისე უფრო ადრეული ავტორების თხზულებებს, ამდენად, მისი ცნობა საქართველოს მთიელების შესახებ შეიძლება პირველ საუკუნეზე უფრო ადრეულ (დაახლოებით ძვ.წ. III-III სს.) პერიოდს განეკუთვნებოდეს.“<sup>36</sup>

ახ. წ. მეორე საუკუნის ბერძენი გეოგრაფი კლ. პტოლემეოსი კავკასიის ტომების აღწერისას თუშებსაც იხსენიებს. იგი თავის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ წერდა: „კააკაიის მთასა და კერვანის მთებს შორის (ცხოვრობენ) ტუსკები და დიდურები.“<sup>37</sup> პტოლემეოსის ცნობა, გარდა იმისა, რომ თუში ტომით თუშეთის დასახლებაზე მიუთითებს, საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ იგი თუშებს დიდოლებთან, დიდურებთან ერთად ასახელებს, როგორც კავკასიისა და კერვანის მთებს შორის მოსახლე მთის ტომს. კლ. პტოლემეოსის ნათქვამი თავის მხრივ მხარს უჭერს ვახუშტის ცნობას, რომ ფარნაოზის დროს თუშეთი, დიდოეთთან და ხუნზახთან ერთად ერთ საერისთავოში ყოფილა გაერთიანებული. ცნობის სისწორეს თუშეთისა და დიდოეთის ახლო-გეოგრაფიული მდებარეობაც ადასტურებს.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც ვახუშტი აღნიშნავს, ქართლის სამეფოს შექმნის პერიოდში თუშეთს უკვე თუშეთი ჰქვია და იქ მცხოვრებ ხალხს თუშები და ახ. წ. II საუკუნის ბერძენი გეოგრაფი და ასტრონომი კლავდიოს პტოლემეოსიც ამასვე იმეორებს. ა. შაველიშვილი კი შენიშნავს, რომ: „...საბოლოო ჯამში თუშისა და თუშეთის სახელი საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებულა გეოანფოდალურ ხანაში“-ო.<sup>38</sup>

ქართულ წყაროებში თუშეთი ახ. წ. მეოთხე საუკუნის ამბებთან დაკავშირებითაც იხსენიება. ამ დროისათვის თუშეთი თავისი მოსახლეობისა და მდებარეობის მიხედვით იმდენად ცნობილი და საიმედო ყოფილა მეზობელი ქართველი ტომებისათვის, ამ შემთხვევაში. ფხოველთათვის, რომ გაქრისტანების პოლიტიკით შეწუხებულ ფხოველებს თავისი ქვეყანა დაუტოვებიათ და თუშეთში გადასულან. აღნიშნულის შესახებ ლეონტი მროველთან ვკითხულობთ, რომ „ფხოველთა დაუტევეს ქვეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთისა.“<sup>39</sup>

ლეონტი მროველის ცნობა ფხოველთა (გარკვეული ნაწილის) თუშეთში გადასვლის შესახებ სინამდვილეს შეეფერება და დღევანდელი მონაცემებითაც

<sup>36</sup> ნ. ასათიანი, ფშავი /ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1966, გვ. 24.

<sup>37</sup> ნ. ლომოური, კლ. პტოლემეოსი - „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“. ცნობები საქართველოს შესახებ. იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32. 1995 წ. გვ. 44.

<sup>38</sup> ა. შაველიშვილი, თუშეთში, გვ. 9. 1988წ.

<sup>39</sup> ცხოვრება ქართველთა მეფეთა, იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. I. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. 1955, გვ. 126.

მტკიცდება. თუშ-ფშავ-ხევსურეთში დღემდის არსებობენ ერთი და იგივე სახელწოდების მქონე სოფლები და ნასოფლარები, რომელნიც უდავოდ მიუთითებენ აღნიშნული ფაქტის ჭეშმარიტებაზე. მაგალითად, თუშეთში არის სოფლები და ნასოფლარები: ხახაბო, ბასო, ჩირდილი, გოგრულთა, ბოჭორმა, ალოტი და სხვა, რომელნიც თავის პარალელს ფშავ-ხევსურეთშიც ავლენენ.

გარდა აღნიშნულისა, თუშეთში ფშავ-ხევსურების მასიურ გადმოსახლებაზე და თანდათანობით მათს გათუშებაზე უნდა მიუთითებდეს ის ფაქტიც, რომ თუშური კილო ქართული ენის სხვა რომელიმე კილოს ისე არ ემსგავსება, როგორც ხევსურულს, რომელთა შორის ნამდვილად დიდი მსგავსება და სიახლოვეა. თუშებისა და ხევსურების ენობრივ-დიალექტური მსგავსება კარგად შეუნიშნავს თუშეთში ყოფნის დროს ისტ. მეცნ. დოქტორს თ. ოჩაურს, რომელიც წერს: „ინტერესი სხენებული საკითხისადმი (თუშეთში ხევსურული წარმოშობის ხატების განჩენის საკითხი, ვ.ე.) განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, როდესაც თუშეთში ყოფნის დროს ადგილობრივ მკვიდრთა, განსაკუთრებით ქალების მეტყველება გაყოფინეთ და ხშირად გგებონა, რომ ხევსური დიალექტის საუბარს ეისმენდით. გასაოცარი დიალექტური მსგავსება. ლექსიკისა თუ ინტონაციის მხრაც თავისთავად აღძრავდა საკითხს: რა აკავშირებს ასე ძლიერად აღმოსავლეთ მთიანეთის ამ ორ კუთხეს.“<sup>40</sup>

IV საუკუნეში ფხოველთა საკმაოდ დიდი ნაწილის თუშეთში საცხოვრებლად გადასვლაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ უკანასკნელ დრომდის XX საუკუნის 40-50 წლებამდე, ხევსურეთიდან ზაფხულობით მოდიოდნენ თუშეთში მლოცველები (ჯვარიონნი) – ხახმატიონნი და კარატიონნი და ლოცულობდნენ თავიანთ ჯვარ-ხატებზე, რომელთაც სხვადასხვა სახელწოდებები აქვთ, ხოლო ხშირად კი მათ თუშები „ხევსურების ჯვარს“ უწოდებენ. თუშეთის სამი თემის: გომეწრის, პირიქითისა და ჩაღმის თითქმის ყველა სოფელში ჰქონდათ ხატები. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ წარმართ ფხოველებს, რომელნიც ქრისტიანულ სარწმუნოებას გამოექცნენ და თუშეთს შეაფარეს თავი, სათუთად შეუნახავთ თავისი სარწმუნოება და თუშეთშიც დაუწესებიათ წარმართული ჯვარ-ხატები.

თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც სინამდვილედ არის მიჩნეული ხევსურული მითოლოგიურ გადმოცემებში შემორჩენილი მოტივი – შუბნურის, ხახმატისა და კოპალას მიერ თუშეთის დაპყრობა, თუშებზე ხარკის დადება და იქ ხევსურული ხატების ამ გზით დაარსება.<sup>41</sup> ხსენებულ უხერხულობათა შე-

<sup>40</sup> თ. ოჩაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბილისი, გვ. 60, 1967წ.

<sup>41</sup> В. В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, 1958г., стр.9.

სახებ ჩვენ განსაკუთრებით აღარ ვჩერდებით, რადგან ამ საკითხზე დაწერილებით აქვს მსჯელობა პატ. თინა ოჩიაურს თავის შრომაში „*მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში*“ იგი ეხება რა ხსენებულ მოსაზრებას შენიშნავს, რომ: „*შეუძლებელია დამორჩილებულ მხარეს მოწინააღმდეგის ხატები ისეთ პატივში ჰყოლოდა. დროთა ვითარებაში ისინი უნდა აღმოფხვრილიყვნენ და მათდამი ხალხს მოკრძალება და რიდი უნდა დაჰკარგოდა. ვერ თვით ხევესურეთშივე, როდესაც ადგილობრივ სხვა ხეობებზე ლაშქრობდნენ, ერთმანეთის ხატებს ძალზე ავდებით ეკიდებოდნენ.*“<sup>42</sup>

თ. ოჩიაურის „...ვარაუდით, ხევესურული წარმოშობის ხატთა სიმრავლე, თუშეთში, ხევესურთა მაისური და ერთდროული ჩამოსახლების შედეგი უნდა იყოს.“<sup>43</sup> სხვათა ვარაუდის დაშვება შეუძლებელიც არის, რადგან თუშებსა და ხევესურებს შორის არასდროს არ მომხდარა დიდი თავდასხმები. მათ შორის უმეტეს წილად ძმობას და მეგობრობას, ჭირისა და ლხინის გაერთიანება-გაზიარებას ჰქონია ადგილი, და თუ ოდესმე მოსვლიათ უსიამოვნება, ეს იყო ერთპიროვნული და არა ტომობრივი შუღლი და ბრძოლები. თუშებისა და ხევესურების ამ მრავალსაუკუნოვანმა მეგობრულმა თანაარსებობამ განაპირობა, რომ ხევესურები და თუშები ადრეც და ახლაც ერთიმეორეს ბიძაშვილობით მოიხსენიებდნენ.

დ. ალბანელი კარგად შენიშნავს ხევესურებისა და თუშების ურთიერთდამოკიდებულებაზე, იგი წერს: „*თუშ-ფშავე-ხევესურნი ხან მტრობდნენ ერთმანეთის და ხან ძმობდნენ. ხოლო ის კი აშკარაა ჩემთვის, რომ ხევესურები და თუშები მომეტებულ წილად მეგობრულად ცხოვრობდნენ ერთმანეთში; ხევესურებს და თუშებს ფშაველებთან უფრო შუღლი ჰქონდათ.*“<sup>44</sup>

ხევესურთა ვკარიონის მოგზაურობა თუშეთში „...დამპყრობლების მიერ ბეგრის ასაღებად სიარულს კი არ ნიშნავს, არამედ თავის განაყარ მოსმე მოსახლეობასთან კონტაქტს და ამდენად მონათესავე ხატებში მოგზაურობას უდრის.“<sup>45</sup>

როგორც ირკვევა, ხევესურები თუშებთან ერთად დიდოეთში ლაშქრობდნენ და არა თუშეთში. დიდოეთი თუშეთს ესაზღვრება აღმოსავლეთის მხრიდან. მათ შორის ადგილების თაობაზე დავა XVIII-XIX საუკუნეებში რამდენჯერმე აღინიშნება. დიდოთა და თუშთა შორის ტერიტორიის გამო სამკდრო-სასიცოცხლო თავდასხმები ალბათ ადრეც იქნებოდა. მეზობელ დიდოეთთან ბრძოლებში ჩაბმულ თუშებს ხევესურები მარტო არ დატოვებდნენ და შვერ-

<sup>42</sup> თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967, გვ. 63.

<sup>43</sup> იქვე, გვ. 64.

<sup>44</sup> დ. ალბანელი, წინასიტყვაობა, „*თუშური სიმღერებისა*“, „*კვალი*“, 1897, წ., №13.

<sup>45</sup> თ. ოჩიაური, დასახ. ნაშრომი, გვ.66.

თებული ძალით დაიწყებდნენ მათ წინააღმდეგ ლაშქრობას. ასეთი ვარაუდის დაშვება ზოგიერთი ხალხური გადმოცემის მიხედვით უფრო შესაძლებელი ხდება. 1954 წელს თ. ოჩიაურს ჩაუწერია გადმოცემა თუშეთის სოფ. შტროლოთის მცხ. გიო წვერაიძისაგან, რომლის მიხედვითაც ხაზი ესმება ხევსურების მონაწილეობას თუშებთან ერთად დალისტნელების წინააღმდეგ ბრძოლებში. გიო წვერაიძის თქმით გამოდის, რომ „ერთმანეთში ფშავლებს და ხევსურებს კინკლაობა პქონიათ, თუშებთან კი დიდი კაკშირი დალისტნის პოსტზე საყარაულოდ ხევსურები ჩამოღენილან. დიკლოს იქით – ფიჭქეს ეპახიან, იქ არის საყარაულო კოშკი“.<sup>46</sup>

ზემოთ მოყვანილი ყველა ცნობა თუ მასალა იმაზე მიგვითითებს, რომ თუშეთისა და თუშების ისტორია ძველთაგანვე იწყება, რომ უკვე ახ.წ. III-IV საუკუნეებისათვის თუშები დახმარების ხელსაც კი უწვდიან სამშობლოდან დევნილ ფხოველებს.

მოცემული პერიოდიდან მოყოლებული, მომდევნო საუკუნეებში, სხვადასხვა დროს, ამა თუ იმ საკითხთან და მოვლენასთან დაკავშირებით, თუშებზე და თუშების შესახებ ქართულსა და უცხოურ წყაროებსა და ლიტერატურაში გვხვდება საინტერესო ცნობები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი ხდება, რა თქმა უნდა, სხვა ფაქტორებთან ერთად, წარმოდგენა ვიქონიოთ თუშეთის ისტორიის ნებისმიერ საკითხზე.

თუშეთის თავდაპირველი დასახლების თაობაზე კი, ვფიქრობთ, არსებითს ველარაფერს დავამატებთ, რადგან ამ მხრივ არავითარი ცნობა არ გავგაჩნია. ამ თავისებურებათა გამო იყო, რომ რ. ერისთავი შემდეგს შენიშნავდა: „*Трудно определить, не имея никаких фактов, никаких данных, когда... Тушины населили настоящие места и жительства.*“<sup>47</sup> მისივე აზრით, თუშეთის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენენ თურქეთისა და ირანის თავდასხმების შედეგად სამშობლოდან გადმოხვეწილი და მთისათვის თავშეფარებული ქართველები.<sup>48</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება ის აზრიც, რომ თუშეთში საგარეო მტრების შემოსევათა შედეგად გამოქცეულთა გარდა, თავს აფარებდნენ სოციალური უსამართლობისა და კლასობრივი ბრძოლის შედეგად დევნილი მშრომელები. ცნობილია ისიც, რომ თუშეთში იმალებოდნენ საქართველოდან, თუ მოსახლურე ჩაჩან-ინგუშეთისა და დიდოეთ-დაღესტნიდან დამნაშავეებად შერაცხილი პირებიც.<sup>49</sup> ყველაფერი რაც ითქვა, მართალია და სინამდვილეს შეეფერება, მაგრამ ეს ყოველივე იმაზე არ მიუთითებს, რომ

<sup>46</sup> თ. ოჩიაური, დასახ. ნაშრომი, გვ.60.

<sup>47</sup> Эрстов, Записки о Тушино-Пшаво – Хевсурской окрью, газ. “Кавказ”, 1854, №43

<sup>48</sup> იქვე.

<sup>49</sup> გრ. ზარდალიშვილი, მთათუშეთის (ეკონ.-გეოგრაფიული დახასიათებისათვის) საკან. შრომა, ხელნაწერი, 1945, გვ. 68.



თითქოსდა თუში ტომი თავიდანვე ასეთი ნაკრები ადამიანებისაგან იყოს ჩამოყალიბებული და მას არ გააჩნდეს საკუთარი ტომობრივი სახე და ეთნიკური ინდივიდუალობა, როგორც ერთ-ერთ უძველეს ქართულ ტომს.

სატომო სახელ „თუშ“-თან დაკავშირებით ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ „ხელოვნურად არის შექმნილი ტერმინი - მთა-თუშეთი, თუშეთის გარშემო არსებული ისტორია არ იცნობს, რომ თუშეთს მთა-თუშეთი რქმეოდეს არ არსებობს ბარის თუშეთი და მთის თუშეთი არის ერთი თუშეთი და უნდა ვთქვათ თუშეთი და არა მთა-თუშეთი“.<sup>50</sup>

მართალია, აღნიშნულ დამახინჯებათა შესახებ მრავალჯერ ითქვა, მაგრამ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით კვლავ გრძელდება მსგავსი შემთხვევები, რომლის გამოც ჩვენი დროის ცნობილმა მწერალმა ლ. მრელაშვილმა სამართლიანად განაცხადა, რომ: „მინდა ვისარგებლო შექმთხვევით და ამ დიდი ტრიბუნიდან ვუსაყვედურო ჩვენს პრესას, რადიოსა და ტელევიზიას რომ თუშეთს სწორად მთათუშეთად წერენ და იხსენიებენ. არაერთად მთა-თუშეთი არ არსებობს, არის მხოლოდ თუშეთი და გაოცებული ვარ, ეს „მთათუშეთი“ ვინ და როდის „აღმოაჩინა“. რა თქმა უნდა, კახეთის ბარის(ს) სახლობენ თუშები, მაგრამ აქ ასევე სახლობენ ხევსურები, ფშაველები, მთიულელები, მოხევეები, სვანები და გუდამაყრელები. მაგრამ ჯერ არისად გაშიფია და არც წამიკითხავს - მთასვანეთი, მთახევსურეთი, მთახევი, მთამთიულეთი, მთაფშავეი და მთაგუდამაყარი. ასე, რომ დროა ჩვენმა პრესამაც და რადიო-ტელევიზიამაც სწორად იმეტიყველოს და სწორად წეროს თუშთა საცხოვრისი ადგილის სახელი.“<sup>51</sup>

ამრიგად, თუშეთის ახლანდელი ტერიტორია, უძველესი ხანიდანვე თუშეთად იწოდებოდა და იქ მცხოვრებ ხალხს თუშებად (მოსოქებად). თუშ ტომად იცნობდნენ. ასე გრძელდებოდა თუშეთის ისტორია საუკუნეების მანძილზე, რადგან საქართველოს ბარიდან შემოხიზნული თანამემამულენი, თუ იმიერკაკასიიდან თუშეთში საცხოვრებლად გადმოსული ცალკეული პიროვნებები თუ ოჯახები თვითონ თუშდებოდნენ და თუშზე, როგორც ერთ-ერთ უძველეს ქართულ ტომზე არსებით ზემოქმედებას ვერ ახდენდნენ, მაგრამ თუშეთში წოვების საკმაოდ ხალხმრავალმა დასახლებამ კი თუშეთის ეთნიკურ შემადგენლობაში სიახლე შემოიტანა. რადგან მათ სრულიად ახალი, დამოუკიდებელი თემი შექმნეს და ამ მოვლენამ თანდათანობით სატომო სახელ „თუშ“-ზე იმოქმედა. წოვების ხანგრძლივად თუშეთში ცხოვრებამ გამოიწვია მათი სატომო სახელის - „წოვა“-ს „წოვა-თუშად“, ხოლო სატომო სახელ „თუშ“-ის „ჩაღმა-თუშად“ გარდაქმნა - გადაკეთება.

<sup>50</sup> ვ. ჯიანიძე, შენიშვნები თუშთა წარმოშობის ისტორიისათვის, თელავის პედინსტიტუტის შრომები, ტ. V, 1964, გვ. 62.

<sup>51</sup> ლადო მრელაშვილი, სოფლის სატკივარი. „ლიტერატურული საქართველო“, №1, 1974.

თუშეთში წოვების დასახლებისა და თუშ ტომთან შესისხლხორცების პროცესი კარგად აქვს გააზრებული ისტორიკოს ვ. ლაგაზიძეს, რომელიც შენიშნავს, რომ „როგორც ცნობილია, მთათუშეთში სატომო სახელწოდება „წოვას“ ენაცვლება, „წოვა-თუში“. ეს შენაცვლება შეიძლება ასე მომხდარიყოს: წოვების დასახლების უკანასკნელი პუნქტი „წოვათა“ მთათუშეთში მდებარეობს, აქ დასახლებულ წოვებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ თუშ ტომთან. ამ ურთიერთობამ (რომელსაც ძალიან ხანგრძლივი ისტორია აქვს) თავისი შედეგი გამოიღო. ეს ორი ტომი ქრისტიანულ რელიგიას აღიარებდა, რამაც დიდი გასაქანი მისცა მათ შემდგომ დაახლოებასადა მეგობრობას. ორივე ტომში გამომუშავდა საერთო ზნეჩვეულებანი როგორც რელიგიური, ისე საყოფაცხოვრებო. მაგრამ წოვა თუშები განსხვავდებოდნენ დანარჩენი თუშებისაგან სალაპარაკო ენით. ეს განსაკუთრებული განმასხვავებელი ნიშანიც იჩრდილებოდა იმით, რომ ყველა წოვამ იცოდა ქართული ენა და ურთიერთობის საშუალებად ამ უკანასკნელს იყენებდა. ამან მოამზადა საფუძველი იმისათვის, რომ წოვები წარმოდგენილი ყოფილიყვნენ, როგორც შემადგენელი ნაწილი თუში ტომისა. ამის საშუალო გამოვლენა ის უნდა იყოს, რომ სატომო სახელი „წოვა“ შემდეგ „წოვა თუშად“ იქცა“.<sup>52</sup>

თუშეთის ისტორიაში მრავალი საუკუნის წინ მომხდარი ვითარება დღესაც დასტურდება, რადგან „თუშური მოსახლეობა ამჟამად კვლავ ორ ჯგუფად ვანიყოფება - წოვა თუშებად და ჩაღმა თუშებად. ეს ორი ჯგუფი ეთნოგრაფიულად, ყოფითი და კულტურული ტრადიციების მხედველი თითქმის არ განსხვავდება ერთიმეორისაგან. სხვაობა მათ შორის ენობრივია: ჩაღმა თუშები ერთენოვანნი არიან და მეტყველებენ ქართული ენის თუშურ დიალექტზე, რომელიც ლინგვისტურად ფშაურ, ხევსურულ და მოხევურ დიალექტებთან ერთად კილოთა ე.წ. ფხოვურ ჯგუფში ერთიანდება; წოვა თუშები ორენოვანებია. მათ საშინაო სალაპარაკო ენას მთის კავკასიურ ენათა გეინახური ჯგუფის წევრი წოვა-თუშური, ანუ ბატურნი წარმოადგენს, ხოლო გარეთ ძისანი ქართული ენის კახური დიალექტის მინამგვარ კილოზე მეტყველებენ, რომელიც ამ უკანასკნელისაგან მხოლოდ თუშური ტრადიციული ყოფისა და მეურნეობის დარგთათვის დამახასიათებელი ლექსიკითა და წოვათუშური ენისათვის ნიშანდობლივი ინტონაციით განსხვავდება“.<sup>53</sup>

XVII საუკუნემდე თუშეთის განსახლების თავისებურებათა შესახებ ვერაფერს ვამბობთ, რადგან არავითარი ცნობა არ ვაგვაჩინია. ვიცით მხოლოდ ის, რომ კახეთის აღნიშნულ მთიანეთს თუშეთს, ხოლო იქ მცხოვრებ ხალხს თუშები ეწოდებოდა. XVII საუკუნის მეორე ნახევ-

<sup>52</sup> ვ. ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიიდან, „მაცნე“, №4, გვ. 76, 1965.

<sup>53</sup> გ. ცოცხანიძე, გიორგობიდან გიორგობამდე, გვ. 3-4, 1987.

რიდან კი ცნობილი ხდება, რომ აქ, ამ მხარეში, მცხოვრებ ხალხს წოვა თუშებად და ჩაღმა თუშებად მოიხსენიებენ „ერთობით თუშებისათვის, წოვას და ჩაღმებისათვის“.<sup>54</sup>

ჩვენთვის უცნობი მემატრიანის აქ მოყვანილი გამოთქმა „ერთობით თუშებისათვის“ იმასაც უნდა ნიშნავდეს, რომ თუშეთში წოვა თუშებისა და ჩაღმა თუშების ერთად ცხოვრებას იძენდა ხანგრძლივი ისტორია გააჩნია, რომ ისინი ერთიმეორისაგან თითქმის აღარ განსხვავდებიან და ორივენი თანაბრად და თანატოლად შეადგენენ თუშ ტომს და თუშეთის მკვიდრ მოსახლეობას. თუშეთი მათთვის განუყოფელი და საერთო საკუთრებაა, სადაც საუკუნეების მანძილზე ოთხ თემად და ამ მთავარ თემებს შორის გამოყოფილ პატარა საზოგადოებებად ცხოვრობდნენ.<sup>55</sup>

თუში ტომის ოთხ თემად ცხოვრებასაც, ალბათ, ხანგრძლივი ისტორია გააჩნია, რადგან წოვათა, გომეწარი, ჩაღმა და პირიქითი თუშეთის ის გეოგრაფიული ერთეულებია, სადაც მრავალი საუკუნის მანძილზე უცხოვრიათ თუშებს. თუშეთის ეს ცალკეული მიკრორაიონები დღესაც ამავე სახელებით მოიხსენიება. წოვათა წოვების (წოვა-თუშების) საცხოვრისი იყო, ხოლო გომეწარი, ჩაღმა და პირიქითი კი თუშების (ჩაღმათუშების) სამოსახლოს წარმოადგენდა. თუშები (ჩაღმათუშები) ამ მამა-პაპულ ადგილებში ამჟამადაც აგრძელებენ ცხოვრებას, მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნიდან ისინი ძირითადად კახეთის ბარში ჩამოსახლდნენ და ისტორიული ალენის მინდორზე დამკვიდრდნენ.

თუშეთის ერთი თემის – წოვათის მცხოვრებთა ორენოვნება მკვლევართა შორის ქმნიდა იმის მსჯელობის საფუძველს, რომ ეჭვქვეშ დაეყენებინა წოვა თუშების ქართული წარმომავლობა. აღნიშნულ ტრადიციას ვერც ჩვენ ავტორით და ადრინდელ შრომებში წინამორბედთა მსგავსი დასკვნები გვაქვს ჩამოყალიბებული.<sup>56</sup> 1988 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში<sup>57</sup> კი ძველი პოზიცია უარყვავით და წოვა-თუშები მივიჩნიეთ იმთავითვე ერთ-ერთ უძველეს ქართულ მოსახლეობად. საკითხისადმი ჩვენი ასეთი დამოკიდებულება კარგად იკითხება წიგნის 24-ე და 25-ე გვერდებზე, რის თაობაზეც ჩვენი შრომის შესახებ დაწერილ რეცენზიაში ისტორიკოსი ლ. ტუხაშვილი შენიშნავს, რომ: „ე. ელანიძემ არსებითად გადასინჯა 1964 წელს გამოთქმული

<sup>54</sup> ე. თაყაიშვილი, ორი ქვანდ დაწერილი გუჯარი. გაზ. „ცნობის ფურცელი“, №1362, 1901წ., არჩილანთ. ტ. I. აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. 1936, გვ. 205.

<sup>55</sup> გ. ცოტანიძე, გიორგობიდან გიორგობამდე. 1987, გვ. 4

<sup>56</sup> ვ. ელანიძე, შენიშვნები თუშთა წარმოშობის ისტორიისათვის (ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. V. გვ. 53-63; ჩვენივე. თუშეთის სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ფეოდალიზმის ხანაში, საკანდ. დისერტ. ხელნაწერი, 1968, გვ. 15-65.

<sup>57</sup> ვ. ელანიძე, თუშეთის ისტორიის საკითხები. 1988.

მოსაზრება, ადრე იგი კატეგორიულად უარყოფდა წოვა-თუშების ქართულ ჩამომავლობას, ამჟამად კი შემოგვთავაზა კომპრომისული პიპოტეზა; მხარს უჭერს რა ივ. ჯავახიშვილის შეხედულებას იბერიულ-კავკასიური ხალხების საერთო წარმომავლობის შესახებ, ავტორი ასეცენის, რომ წოვები სხვა კავკასიელებთან შედარებით უფრო მეტად აყვანიდნენ ნათესაობას ისტორიულ სამშობლოსთან - საქართველოსთან, რამაც განაპირობა კიდევ მათი შემდგომი ბედი, ვ. ელანიძის ახალი „შერბილებული“ ჰაბოთეზა, შესაძლოა, მაინც არ არის საკმარისი, მაგრამ შეურაცხყოფელს აღარ შეიცავს. აღარც წოვა-თუშებს გამოთიშავს ქართული სამყაროდან და აღარც მათი თანამედროვე შთამომავლობის ეთნიკურ ვინაობას ხდის საეჭვოდ.“<sup>58</sup>

რეცენზენტი მართალია, როცა შენიშნავს, რომ აღნიშნულ საკითხზე ჩვენი მსჯელობა „არ არის საკმარისი“. ჩვენ ამ საკითხის ახსნა იქ არ მოგვიცია და მხოლოდ აღვნიშნეთ, რომ წოვა-თუშები ერთ, კულტურით და რელიგიით ქართველები არიან და თუშეთის სახით დასახლდნენ ისტორიულ სამშობლოში და არა უცხო ქვეყანაში.<sup>59</sup>

წოვა-თუშების ისტორიული სამშობლო საქართველოა (ლეხურა-ქსნისა და არაგვ-იორის მიდამოები), როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი ასახულებს და არა ჩრდილო კავკასია, საიდანაც ისინი თუშეთში მოსულებად მიაჩნიათ.

წოვა-თუშებისადმი ჩვენი დამოკიდებულება უფრო ნათლად და დამაჯერებლად ითქვა წიგნის გამოქვეყნების შემდგომ დაწერილ ერთ საგაზეთო წერილში, სადაც აღვნიშნეთ, რომ „წოვთა ტომი ჩვენ ერთ-ერთ უკველეს ქართულ ტომად მოგვანინა და არა ვაინახურ მოსახლეობად; მიგნებულს გვაქვს და ჩვენს ხელთ არის საინტერესო მონაცემები, რომელთა შესასწავლად სპეციალურ გამოკვლევაში გვაქნება საუბარი“.<sup>60</sup>

აღნიშნულის შემდგომ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ჩვენი მიმართვა მკითხველი საზოგადოებისადმი - „წერილი რედაქციას“, სადაც ხმამაღლა განვაცხადეთ, რომ „ჩვენი მონოგრაფიის - „თუშეთის ისტორიის საკითხები“-ს (1988წ.) გამოქვეყნების შემდგომ ჩვენთვის თანდათან ცნობილი გახდა, რომ უზუსტობა გვაქვს დაშვებული ზოგიერთი საკითხის გაშუქებაში. კერძოდ, ბუნდოვნად და არადაზავებლად არის საუბარი წოვა-თუშების ქართულ წარმომავლობაზე და თუშეთში მათ დასახლებაზე მიჩნეულია XVII საუკუნის მეორე ნახევარი.

დაბეჯითებით აღვნიშნავთ, რომ წოვა თუშები თუშეთში მოსვლის შემდგომ ისეთივე მკვიდრი მოსახლეობა იყო თუშეთისათვის, როგორც

<sup>58</sup> ლ. ტუხაშვილი, თემობრივი კინკლაობის რეციდივები, გაზ. „თბილისი“, 10 თებერვალი, 1969.

<sup>59</sup> ვ. ელანიძე, დასახელებული შრომა, გვ. 25

<sup>60</sup> ვ. ელანიძე, „ბევრი ვიფიქრე ძალიან თუ არა პასუხი გამეცა“, გაზ. „განახლებული თუშეთი“, 1989წ., 13 იანვარი

თუშები. ისინი განუყოფელი იყვნენ და მათ ერთი პქონდათ ფიქრი და საზრუნავი. ეს კარვად ჩანს მათს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში“.<sup>61</sup>

თუშეთში წოვების დასახლების შემდგომ პირველმა ვახუშტი ბაგრატიონმა მოგვცა თუშეთის ეთნიკური აღწერილობა, სადაც იგი წოვების შესახებ ამბობს, რომ: „ხოლო რომელნი შინა არიან, მხარეთა ქისტთა და ღლიღეთა უწყიან უფრო ენანი მათნი.“<sup>62</sup> ვახუშტი ბაგრატიონი წოვებს ქართველ თუშებად სთვლის და მათში სხვა ეთნოსს ვერ ხედავს, „ოღონდ ფიქრობდა, რომ ქისტ-ღლიღებთან მეზობლობის გამო მათი ენაც პქონდათ შეთვისებული და ნარეკს ენას ლაპარაკობდნენ.“<sup>63</sup>

ვახუშტი ბაგრატიონის მიერ თუშეთის ეთნიკურ-ენობრივ ანალიზს ივ. ჯავახიშვილი სხვაგანაც ეხება და შენიშნავს, რომ „ამგვარად თუშურს საზოგადოდ ვახუშტი ქართულ ენადა სთვლიდა და მხოლოდ ერთ ხეობაში ატყობდა იგი ენაში არსებობის განსხვავებას, რომლის მიზეზად მას უცხო მეზობელთა ენებთან აღრევა მიაჩნდა. როგორც ჩანს, მათს ენას იმდენად შეუცვლია თავისი გარეგანი ელფერი და თვით სიტყვათა საუნჯეც, რომ ვახუშტი მათს ენას „შერეულ ენა“-დ სთვლიდა.“<sup>64</sup>

ვახუშტი ბაგრატიონი თითქმის წოვების მსგავს დახასიათებას აძლევს პირიქითის თემის ქისტეთის მოსახლერე, ე.წ. „ფარსმანის ხევის“ თუშებსაც, რომლებიც ვახუშტის, რა თქმა უნდა, ქართველ თუშებად მიაჩნია, მას მათს ქართველობაში ეჭვი არ ეპარება, მაგრამ არც იმას მალავს და მთელი სიზუსტით ახასიათებს, რომ: „ფარსმანის ხევისანი სარწმუნოებითა და ენით შერეულნი არიან, ვითარცა ქისტნი“.<sup>65</sup>

წოვებისა და „ფარსმანის ხევის“ თუშებისაგან განსხვავებით თუშეთის დანარჩენი ორი თემის ჩაღმისა და გომეწრის თუშებზე კი ვახუშტი აღნიშნავს, რომ ესენი არიან „სარწმუნოებითა და ენითა ქართულითა“.

თუშეთის ოთხივე თემის ვახუშტისეული დახასიათება იმდენად ობიექტური და სრულყოფილია, რომ ყოვლად დაუჯერებელია მეცნიერს სხვათა მონათხრობით დაეწეროს ეს ყოველივე. ადგილზე მისვლის გარეშე მეცნიერი თუშეთის ოთხივე თემის ასეთ ზუსტ სურათს ვერ წარმოგვიდგენდა.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ვახუშტი ბაგრატიონის სახით საქმე გვაქვს პირველ ქართველ ისტორიკოს-მეცნიერთან, რომელიც თავისი წინაპრებისაგან განსხვავებით საქართველოს ისტორიას კრიტიკულად სწავლობს და მის მეცნიერულ მემკვიდრეობაში თითქმის ყველა ფაქტი და მოვლენა

<sup>61</sup> ვ. ელანიძე, წერილი რედაქციას. ვაზ. „კომუნისტი“, 26 მარტი, №71, 1989.

<sup>62</sup> ვახუშტი, აღწერა, სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 104.

<sup>63</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, 1950, ვ. 47.

<sup>64</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. VIII, ვ. 335, 1977.

<sup>65</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 104.

კრიტიკის ქურაშია გატარებული, თუშეთის თვითიული თემის ვახუშტისეული აღწერა-დახასიათება ჩვენთვის სახელმძღვანელო და აუცილებლად გასათვალისწინებელი უნდა იყოს.

ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგ, კერძოდ XVIII-ის 70-იანი წლების დასაწყისში, თუშეთის მოსახლეობის ეთნიკურ დახასიათებას გვაძლევს რუსეთის საიმპერიო აკადემიის აკადემიკოსი ი. გიულდენშტედტი, რომელმაც 1772 წლის მარტის თვეში თვითონ შემოიარა აღვან-ბახტრიონის ტერიტორია. იგი სხვების მიერ მოწოდელი ცნობების საფუძველზე აღწერს თუშეთს და არსად არ ამბობს დაბეჯითებით, რომ წოვები არსებითად განსხვავდებიან ქართველი თუშებისაგან და სრულიად სხვა წარმოშობისანი არიანო. იგი ვახუშტის მსგავსად ხედავს, რომ წოვები „ლაპარაკობენ ქართულ-ნარეკ ქისტურად“, რის გამოც მას დასაშვებად მიაჩნია განაცხადოს, რომ წოვათის „მცხოვრებლები, შესაძლებელია, უფრო მეტად ვიდრე სხვაგან, ქისტური შთამომავლობისა იყვნენ“ - ი.<sup>66</sup>

გიულდენშტედტის კონსულტანტებს რომ სცოდნოდათ წოვების არაქართველობის თაობაზე, რა თქმა უნდა, მეცნიერს ეტყოდნენ და ისიც გაიძიორებდა. მაგრამ, როგორც ეტყობა, იმდროინდელ ქართველობას, ვისაც ასეთ საკითხებზე ხელი მიუწვდებოდათ, კარგად ესმოდათ წოვების ქართველობის ისტორია, რის გამოც მეცნიერმაც მხოლოდ წოვების „ქართულ-ნარეკ ქისტურად“ ლაპარაკის გამო გამოთქვა მოსაზრება მათი „ქისტური შთამომავლობის“ შესახებ.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ვახუშტი ბაგრატიონმა პირველმა აღნიშნა, რომ „ფარსმანის ხევის“ თუშები „სარწმუნოებითა და ენით შერეულნი არიან, ვითარცა ქისტნი“-ო. მაგრამ მას ეჭვი არ შეუტანია „ფარსმანის ხევის“ თუშების ქართველობაში. მომდევნო წლებში კი ამ მხარის თუშების ქართულ ენასთან ერთად ქისტური ენის ცოდნა, რომელსაც მეზობლებთან ურთიერთობისათვის იყენებდნენ, გახდა საფუძველი იმისათვის, რომ ზოგიერთ მკვლევარ-მეცნიერს დაბეჯითებით ეთქვა პირიქითის თემის თუშების ქისტური წარმოშობის შესახებ. ე. გ. ვაიდენბაუმი პირდაპირ შენიშნავს, რომ პირიქითის თუშები ენითაც და თავისი წარმოშობითაც ქისტების მოდგმისანი არიან და ლაპარაკითაც მათს ენაზე ლაპარაკობენო. იგი წერს: „Цовцы и Пирикителъцы кистинского происхождения из общ. Галгай. Язык их кистинский или что совершенно чеченский“.<sup>67</sup>

ი. ბარტლომეი კი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ჩრდილო კავკასიიდან გადმოვიდნენ როგორც წოვათის, ისე პირიქითის თემის მცხოვრებლები.<sup>68</sup>

<sup>66</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში... გვ.263.

<sup>67</sup> აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ე.გ. ვაიდენბაუმის არქივი, №45, განყ. II, ფურც. 16.

<sup>68</sup> И. Бартомеи. О так называемых мизджегских языках, известных по сию пору исключительно из Клапротовных сравнений 'К~, №70. 1855.

ასეთი აშკარა აღიარება პირიქითის თემის ქისტეთიდან გადმოსახლების შესახებ XIX საუკუნისა და ნაწილობრივ XX საუკუნის პირველი მეოთხედის ურუნალ-გაზეთებსა და სხვა სამეცნიერო ლიტერატურაშიც მრავლად მოიხსენიება.<sup>69</sup>

პირიქითის თემის თუშები, რომ ქართველები იყვნენ ჩაღმისა და გომეწრის თემის თუშებთან ერთად ღრმად სწამდა ვახუშტი ბაგრატიონსაც და მის მოძღვენო მრავალ მეცნიერსაც. ისინი აღნიშნავენ კიდევ, რომ: „Тушины ныне составляют четыре общины: Цовцы, Чагминцы, Пирикительцы и Гомецрельцы. Последние три общины говорят грузинским языком и населяны народом бесспорно картвельского племени“.<sup>70</sup>

მაგრამ მათი ორენოვნება ზოგიერთ მკვლევარ-მეცნიერს აკეთებინებდა მცდარ დასკვნებს პირიქითის თემის თუშების წარმომავლობის შესახებ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგივე მიზეზი არის საფუძველთა საფუძველი იმ ისტორიისა, რომელიც ამტკიცებს, რომ წოვები ქართველები არ არიან და ჩვენურ-ინგუშურ ეთნოსს განეკუთვნებაო. ჩვენ ამ ისტორიის უარყოფის ერთ-ერთ მყარ არგუმენტად ისიც მიგვაჩნია, რომ ვახუშტი ბაგრატიონის მიერ მოცემული თუშეთის ეთნიკური დახასიათება, სადაც წოვები მეცნიერს ეჭვმიუტანელ ქართველებად და თუშეთის დანარჩენ მოსახლეობის მსგავსად ამ მხარის მკვიდრებად აღიარებს და ეს საკითხი მასთან სხვანაირად არც დვას, ვფიქრობთ, ყველამ ყურად უნდა იღოს და სახელმძღვანელოდ გამოიყენოს.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საქართველო ამ პლანეტის ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა, სადაც ისტორიულად მრავალი ერისა და ეროვნების ხალხი ცხოვრობდა და ცხოვრობს დღესაც. ჩვენ ვერ დავასახელებთ ვერც ერთ მაგალითს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები რომელიმე ერისა და ეროვნების ეთნიკური ჯგუფი შეცდილიყო და ყველაფერი ეღონოს იმისათვის, რომ დაემალოს და ამოეპირკოს თავისი წარმომავლობა, დაევიწყებინა თავისი ნამდვილი ისტორია და ყველა დაერწმუნებინა, რომ ისინი მხოლოდ ქართველები არიან და სხვა არც ერთ ერსა და ეროვნებას არ განეკუთვნებიან. ამ გზას საქართველოში ადგია მხოლოდ წოვა-თუშობა და სხვა არაეინ. წოვა თუშები მომაკვდინებლად განიცდიან, როცა მათს არა-ქართველობას ეხება ვინმე. ისინი მთელი შვენებით ქართველობენ და თავიანთი საქმიანობით ისტორიულად მათ არა ერთხელ დაუმტკიცებიათ კიდევც, სამშობლოსათვის, ქართველობისათვის.

ახმეტის რაიონში, წოვა-თუშების მეზობლად, პანკისის ხეობაში, ქისტების სურვილითა და რუსეთის მამინდელი მთავრობის ხელშეწყობით XIX-ის 40-იანი წლებიდან დაიწყო ქისტების დასახელება.<sup>71</sup>

<sup>69</sup> რ. ძამსაშვილი – ცამციევი, მგზავრის შენიშვნები, ჟურნ. „დროება“, №224, 1880. შდრ „ივერია“, №224, 1887. და სხვ.

<sup>70</sup> А. Хаханов, Тушины, ЭО, 1889. №2, стр. 6.

<sup>71</sup> საქ. ცსსა, ფ.254, ანაწ. I, საქ. 1087, ფურც. 225-305, ფონდი 26, ანაწერი 6. საქმე 648 და სხვა.

მდინარე ალაზნის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე მოხდა ქისტების სამი თემის დასახლება. რამდენიმე წლის შემდგომ, კერძოდ 1856 წელს, პანკისიდან აყრილან ქისტები და ისევ ქისტეთში გადასვლა უცდიათ, რომელთაც თუშთა ასეული გამოკიდებია კავალერიის კაპიტან ივანე ელიზბარძის მეთაურობით, რომელთა შორისაც სისხლისმღვრელი ბრძოლები მოხდა ქვანდალში, სადაც დაიჭრა ივანე ელიზბარძე და ორი სხვა თუში.

ქისტები მთავრობამ კვლავ დააბრუნა და დაასახლა პანკისის ისტორიულ ხეობაში. ქისტების მოქმედებით უკმაყოფილო თუშებმა კი საგანგებო თხოვნით მიმართეს თბილისის სამხედრო გუბერნატორს და მოითხოვეს პანკისიდან ქისტების გასახლება.<sup>72</sup>

ქისტები დარჩნენ პანკისის ხეობაში და დღესაც იქ ცხოვრობენ. წოვა-თუშების მსგავსად ისინიც ორენოვანი ხალხია. მაგრამ მათ შორის ის განსხვავებაა, რომ ქისტები არ უარყოფენ თავიანთ ქისტობას, მათ მჭიდრო კავშირი აქვთ ჩეჩენ-ინგუშეთთან და იმასაც კი მიაღწიეს, რომ პასპორტში ეროვნება ქისტი უწერიათ. ეს საამაყო და მისაბაძი გრძნობაა, რომელსაც ყველა ერისა და ეროვნების ადამიანი მტკიცედ უნდა იცავდეს. წოვა-თუშების საწინააღმდეგო მოქმედება კი, ჩვენის აზრით, გულისხმიერ დაფიქრებას მოითხოვს და უფრო მეტ ჩაღრმავებას გვაკვლავს აღძრული საკითხის მიმართ. სიფრთხილე და მეტი საზრიანობა იმიტომაც გვმართებს, რომ წოვა-თუშების სახით საქმე გვაქვს ისტორიულად გამირობითა და ვაუქაცობით განთქმულ ხალხთან, სამშობლოსადმი მუდამ ფეხზე მდგომ და მრავალჯერ როგორც თუშებთან, ისე ბარის ქართველობასთან ერთად ყველგან და ყოველთვის ეჭვმიუტანელ, ერთგულ და სამაგალითო მებრძოლესთან. და განა შეიძლება ასეთი ამადლებული, ეროვნული გრძნობებითა და მისაბაძი პატრიოტიზმით აღჭურვილ ტომს ასე უცბად და უბრალოდ დაევიწყებინა წინაპართა ღვაწლი, თავისი ნამდვილი წარმომავლობა და ქართულ ნიადაგზე დამდგარიყვნენ, როგორც ქართველები, თუ კი ისინი ოდითგანვე ქართველები არ იყვნენ?!

წოვები, როგორც ცნობილია, ორენოვანი ხალხია; ისინი თანაბრად ფლობენ როგორც წოვურ ენას, რომელსაც ამჟამად ბაცბურ ან წოვა-თუშურ ენას უწოდებენ. წოვური ენა მათთვის საოჯახო ენაა, ხოლო ქართულ ენაზე იზრდებიან, სწავლობენ და მოღვაწეობენ. ქართული ენა წოვებისათვის ისეთივე სისხლხორცეული ენაა, როგორც დანარჩენი ქართველობისათვის. ორენოვნება ჩვენ წოვების ისტორიის კანონზომიერ შედეგად მოგვაჩნია და მათივე ისტორიის გასაღებიც აქვე უნდა მოიძებნოს: წოვური, წოვა-თუშური (ბაცბური) ენა წოვების მიერ ჩეჩნურ-ინგუშური მოსახლეობისაგან შეძენილ ენად მიგვაჩნია, ხოლო ქართული ენა მათთვის ყოველთვის მშობლიური ენა იქნებოდა და დღესაც წოვებისათვის ეს ენა ამ ფუნქციას ასრულებს.

<sup>72</sup> საქ. ცსსა, ფონდი 26, ანაწ. 6, საქმე 421. ფურც. 28-29.



ყოვლად შეუძლებელია, წოვების გაქართველება ისე ღრმად წასულიყო, თუ კი ისინი იმთავითვე ქართველები არ იყვნენ, რომ ვახუშტი ბაგრატიონს მათს არაქართველობაში ეჭვიც კი არ შეაქვს და მხოლოდ იმას შენიშნავს, რომ ქისტებისა და ლლიღვების მეზობლად ცხოვრების გამო „უწყიან უფრო ენანი მათნი“-ო.

ვინც იცნობს წოვათის მდებარეობას, რომელიც მართალია, ტერიტორიულად თუშეთს განეკუთვნება, მაგრამ ფაქტობრივად მისგან მოწყვეტილია თითქმის და სრულიად სხვა სამყაროა, დაგვეთანხმება, რომ წოვათაში დასახლებული წოვები თუშების გავლენით ასე ვერ გაქართველდებოდნენ, რომ XVII საუკუნის ბოლოსათვის თუ XVIII-ის პირველ მეოთხედში, როგორც ეს ვახუშტისთან არის, ისინი უკვე ეჭვმიუტანელ ქართველებად გარდაქმნილიყვნენ, რადგან თუშეთის სინამდვილეში ასეთი შედეგის მიღება ყოვლად შეუძლებელი იყო, ამიტომ უნდა აღინიშნოს, რომ წოვების სახით ჩვენ საქმე გვაქვს ქართველი ხალხის ერთ-ერთ უძველეს სისხლხორცეულ ნაწილთან, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ ვაინახური ენაც შეითვისა და ორენოვანი გახდა, მისთვის ქართული ენა და ქართველობა იყო პირველი და უმთავრესი და ეს ვითარება დღესაც ასე გრძელდება.

როდესაც წოვების იმთავითვე ქართულ წარმომავლობაზე ვმსჯელობთ, ვეფიქრობთ, ის ისტორიული სინამდვილეც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ წოვა-თუშებს უფრო ხშირად ესხმოდნენ თავს და მათ შედარებით მეტად მტრობდნენ ჩეჩენ-ინგუშეთიდან (ქისტეთიდან) გადმოსული მძარცველთა რაზმები, ვიდრე თუშეთის ამა თუ იმ თემს. თუშურ ხალხურ პოეზიაში ასახული მრავალი ეპიზოდი და თვით წოვათის ციხე-სიმაგრეების სიუხვე წოვა-თუშებისა და ქისტების გამუდმებული ბრძოლების უტყუარი დადასტურებაა.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოებაც, რომ თუშეთში ცხოვრებისა თუ კახეთის ბარში ჩამოსახლების შემდგომ პერიოდში ქრისტიანული სარწმუნოებისა და მთის ჯვარ-ხატებისადმი დამოკიდებულებაში წოვა თუშები არაფრით არ განსხვავდებოდნენ დანარჩენი თუშებისაგან. მათ წოვათის ტერიტორიაზე ჰქონდათ რამდენიმე ხატი: ეთელთისა და ფიწალის წმინდა გიორგის ხატი, სპეროზის წმინდა გიორგი, სამების წმინდა გიორგი და სხვა. ამ ხატებს შორის ყველაზე მთავარი ყოფილა სამების წმინდა გიორგი, რომელიც თავისი სიძლიერით უტოლდებოდა თუშეთის ლაშარისა და ხითანის წმინდა გიორგის ხატებს.<sup>73</sup> „საღმრთო რიტუალს წოვებში ოგივე ხელოსნები და ნათეები ასრულებენ ჩვეულებრივი თუშური წესებით. ხელოსანი მხვეწარს ქართულად ამწყალობებს. ზოგჯერ ის წოვურადაც დაილოცება.“<sup>74</sup>

<sup>73</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, 1983, გვ. 203.

<sup>74</sup> იქვე, გვ. 222.

საქართველოში მცხოვრები ქისტები კი წოვა-თუშების საპირისპიროდ სრულიად სხვაგვარ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ ქრისტიანობის მიმართ. ცნობილია, რომ პანკისის ისტორიულ ხეობაში დასახლებული ქისტები მასიურად გააქრისტიანეს და ეკლესიებიც კი აუშენეს. მაგრამ მათ სულ მალე უარპყვეს ქრისტიანობა და კვლავ მაჰმადიანურ სარწმუნოებას დაუბრუნდნენ და დღესაც ისლამს აღიარებენ. ისმება კითხვა, თუ ქისტები და წოვები ორივე ჩეჩნურ-ინგუშური ხალხია, მაშინ რით უნდა ავხსნათ მათი ასეთი მკვეთრი განმასხვავებელი დამოკიდებულება როგორც ქრისტიანობისადმი, ისე ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებისათვის დამახასითებელი მრავალი თავისებურებების მიმართ? თუ გავითვალისწინებთ, რომ ქისტების უდიდესი უმრავლესობა XVII საუკუნეში კვლავ ქრისტიანობას აღიარებდა და იგი ნაწილობრივ მომღვენო საუკუნეებშიც გრძელდებოდა, ხოლო საუკუნე ნახევარია რაც ქისტები პანკისის ხეობაში ცხოვრობენ და მაინც მტკიცედ იცავენ ჩეჩნურ-ინგუშურ წეს-ჩვეულებებსა და ადამ-სამართალს, თუმცე ქართულიც ბევრი რამ შეითვისეს (პირველ რიგში ქართული ენა), ჩვენი ვარაუდი წოვების (წოვა-თუშების) იმთავითვე ქართული წარმომავლობის შესახებ უფრო დამაჯერებელი ხდება.

წოვა-თუში რომ ისტორიულადვე ქართველი უნდა იყოს და იმთავითვე საქართველოს სისხლხორცეული ნაწილი, იქიდანაც ჩანს, რომ მართალია, პანკისის ქისტებსა და წოვა-თუშებს ერთმანეთს აახლოვებს ქისტურ-ჩეჩნურ-ინგუშური ენობრივი სამყარო, რომ ეს ორივე ენა ვაინახურ ენათა ოჯახს განეკუთვნება, მაგრამ მათ შორის, მიუხედავად აღნიშნულისა, არავითარი განსაკუთრებული სიახლოვე და ნათესაობის დამადასტურებელი ურთიერთობა არ აღინიშნება.

წოვა-თუშების ქისტურ-ინგუშური თუ ქართულ წარმომავლობამდე მსჯელობისას თვითეული ჩვენთაგანი ვალდებულია ღრმად ჩაუკვირდეს ანთროპოლოგთა მრავალმხრივ და საფუძვლიან გამოკვლევებს, რომელთაც ეს საკითხი გულდასმით და სპეციალურად აქეთ შესწავლილი და არაერთხელ აღნიშნეს, კიდევ. რომ წოვები ქისტ-ლლიღვებიდან კი არ არიან წარმოშობილნი და შემდგომ გაქართველებულნი, ანდა ქისტთა და თუშთა შერევით მიღებული ეთნოსი კი არაა წოვა-თუში, არამედ „შეგვიძლია გარკვევით აღვნიშნოთ, - დასძენს ლ. შარაშიძე, - რომ წოვა თუშები არიან ადგილობრივი ავტოქთონური წარმოშობის ქართველური ჯგუფი, წინააღმდეგ იმ მოსაზრებისა, რომელიც მათ გაქართველებულ ქისტურ ტომადა სოყლის.“<sup>75</sup>

ქისტ-ლლიღვ-ძურძუკებისა და ქართველების თავდაპირველი ნათესაობა-წარმომავლობის თაობაზე არსებული მეცნიერული მემკვიდრეობაც კი ამ მხრივ ფრიად საინტერესოა და მათი ღრმა ანალიზის საფუძველზე შე-

<sup>75</sup> ლ. შარაშიძე, წოვა თუშების ანთროპოლოგიისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, გვ. 273, 1960.

ურაცხმყოფელი, თითქმის, არაფერი გვრჩება, რადგან ირკვევა, რომ ენითაც და წარმოშობითაც ისინი თავიდანვე ერთნი იყვნენ და მხოლოდ შემდგომში მოვლენებმა მოახდინა მათ შორის ენობრივ-ეთნიკური განმასხვავებელი ნიშნების წარმოშობა. ამ მხრივ მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის თეიმურაზ ბატონიშვილი. იგი აღნიშნულ საკითხს ფართოდ ეხება და აღნიშნავს, რომ: „ეს ორნი მდინარენი (საუბარია მდინარეებზე – ალაზანზე და იორზე, ვ.ე.) გამომდინარეობენ ერთის სათავეისაგან მასლობელ ადგილთა საზღვართა თუშთა, ფშაჟთა, ხეკსურთა და ღლიღვთა ქვეყანისა, რომლისაცა ერნი არიან კაკკასიისა მცხოვრებთაგანნი“.<sup>76</sup> ღვაწლმოსილი მეცნიერი ამ საკითხს შრომის მომდევნო გვერდებზე უფრო აკონკრეტებს და დასძენს, რომ: „კვა-ლად კაკკასიისა მთათა შინა მცხოვრებელნი მრავალნი არიან, რომელთაცა აქვით საკუთრად ენაი ქართული და სარწმუნოებაცა ქართველთავე, ესე იგი მთიულთა, მონევეთა, არაგვისა საერისთაოსათა, ფშაველ-ფხოველთა, ხეკსურთა და თუშთა, რომელნიცა კახეთისა ნაწილისა შინა კაკკასიისა მთისათა მცხოვრებ არიან. ზრახვენ ენასა ქართულსა ფრიად შეენიერად და განურყენელად. სარწმუნოებითაცა არიან ქართველთავე წესითა. ხოლო ქისტნი, რომელნიცა არიან კაკკასიისა მთასავე შინა მცხოვრებნი და ღლიღვნი, რომელთაცა აწ უწოდებენ (ინგუშთა), ესენი არიან მესაზღვრენი ფშაჟთა, ხეკსურთა და თუშთა; მესაზღვრენი ქისტნი, ღლიღვნი და ძურძუკნი პირველ იყვნეს ქართულთა მომზარხნი შემდგომად აღერივნეს რა მათ შორის ხაზარნი და სხვა და სხვა ნათესავნი ენაი მათი განირყვნა, ქისტნი თუმცა პირველ იყვნეს ქრისტიანენი და მრავალნი ძველნი ნაშენნი ეკლესიანი არიან მათ შორის, მაგრამ შემდგომად გარდაიქცეს იგინი და იქმნეს, ვითარცა ოკსნი, არა თუ იქმნეს თვისა სარწმუნოებისა, არამედ შერიეს მათ და დაიფიცეს წესი ქრისტიანობისა; დაივიწყეს ენაცა ქართული, თუმცა მცირედთაღა უწყიან და აქვით ენაი აღრეულა, ვითარცა სხვათაცა აწინდელთა ერთა კაკკასიურთა; ხოლო ძურძუკთა და ღლიღვთა უმეტესთა ნაწილთა მათთა აქვით მიღებული სჯული მოჰმედისა წერქუშთა მასლობლისა გამო; ხოლო ქისტნიცა და ღლიღვნი, ძურძუკნი არიან ნაწილსა შინა კახეთისასა კავაკისისა მთასა შინა მცხოვრებელნი“<sup>77</sup>

ჩვენი სახელოვანი წინაპრების მიერ შემონახული ჭეშმარიტი ისტორიის უტყუარ დასტურს წარმოადგენს დიდი ივანე ჯავახიშვილის ბრძნული დასკვნა: „ამაჲდღე გაცუული შრომა, დაკვირვება და ანალიზი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართველთა, სინდ-ღლიღვთ-ლეგ-ალბანელების

<sup>76</sup> თეიმურაზ ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია, სანკატერბურგი, 1848, გვ. 14. ხაზი ჩვენია, ვ.ე.

<sup>77</sup> თეიმურაზ ბატონიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 36.

„შორეული წინაპრები ღვიძლი მოძვე ტომები ყოფილან, რომელთაც მონათესავე და თავდაპირველად ერთი ენაც კი უნდა ჰქონოდათ“<sup>78</sup>

მიუხედავად ასეთი მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობისა, რომელთა მისეღვითაც დიდი ხანია მტკიცდება, რომ იბერიულ-კავკასიური ხალხები საერთო წარმოშობისანი უნდა ყოფილიყვნენ და მით უმეტეს რომ „ქისტნი, ღლიღენი და ძურძუკნი პირველ იყვნეს, ენითა ქართულითა მომზრახნი“ და თუშები, ფშავლები და ხევსურები „არიან ქართველნივე კავკასიისა მცხოვრებთაგანი“, აკად. აკ. შანიძემ წოვებისა და თუშების ქართველობა ხელაღებით უარჰყო და აღნიშნულ საკითხზე მეტად უსიამოვნო დასკვნები ჩამოაყალიბა.<sup>79</sup>

აკ. შანიძე, როგორც ადრინდელ გამოკვლევებში, ისე ამ წერილშიც არ უარყოფს იმას, რომ წოვები ვაინახური წარმოშობისანი არიან. მაგრამ მან თუშეთის ორივე თემი: წოვა-თუშები და თუშები გააერთიანა, როგორც ჩინურ-ინგუშური წარმოშობის ხალხი, რის შედეგადაც აქამდე საყოველთაოდ ქართველებად ცნობილი თუშები არაქართველებად გამოაცხადა. გავყვეთ მის მსჯელობას და ყოველმხრივ დამაფიქრებელ დასკვნებს.

პატივცემული მეცნიერი ამტკიცებს, რომ თუშები და წოვა-თუშები ჩინური წარმოშობისანი არიან, რომ თუშების წინაპრებიც ადრე წოვეურ ენაზე ლაპარაკობდნენ და შემდეგშილა მოხდა თუშების ერთი ნაწილის მიერ მშობლიური ენის დაკარგვა და ქართული ენის მიღება. იგი წერს: „მე-18 საუკუნეში ქართული ენა თუშეთში ყველგან გავრცელებული იყო, მაგრამ წოვათის სოფლებს თავისი ენაც ჰქონდათ, რომელიც მათ კახეთში ჩამოსახლების შემდგომაც არ დაავიწყეს, თუმცა ქართულიც კარგად შეათვისეს და სხვა თუშებზე ნაკლებ არ იცან. ამიტომ დღეს თუშების ნაწილი მხოლოდ ქართულ ენაზე ლაპარაკობს, ნაწილი კი შეპორჩა მამა-პაპების ენაც, რომელიც ადრე თუშეთის ყველა თემში უნდა ყოფილიყო საერთოდ გავრცელებული, როგორც ამას ქართულად მოუბარ თუშთა ენაზე დაკვირვება და მისი ანალიზი გვიჩვენებს“.<sup>80</sup>

მეცნიერი ხსენებულ მსჯელობას მომდევნო გვერდზე უფრო აკონკრეტებს და წერს, რომ „ქართულად ამეტყველდა თუშების ნაწილი და მათი მამა-პაპების ენის ხმარების არე შემცირდა და წოვათის სოფლებსილა შემოპორჩა.“<sup>81</sup>

ავტორი არ ხსნის, თუ რით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ თუშების დიდმა ნაწილმა თუშეთშივე ცხოვრების დროს „დაივიწყა“ მამა-პაპების

<sup>78</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937, გვ. 95.

<sup>79</sup> აკ. შანიძე, თუშები, ურნ. „მნათობი“, №2, 1970.

<sup>80</sup> იქვე, გვ. 104.

<sup>81</sup> იქვე, გვ. 105.

(წოვეური) ენა და „ქართული შეითვისა“, ერთმა ნაწილმა კი კვლავ შეინარჩუნა იგი და დღესაც ამ ენაზე მეტყველებენ ქართულთან ერთად. მაშინ, როცა წოვათის ერთ-ერთი მთავარი სოფელი – წარო ვერხოვნიდან და დადიკურთიდან (ეს სოფლები გომეწრის საზოგადოების თუშებით დასახლებული სოფლებია) დაცილებული იყო 1-2 კილომეტრით. საკვირველია, რა ძალა გადაეღობა თუშების „გააქართველების“ იმ მძლავრ პროცესს, რომელმაც ჩაღმის, გომეწრის და პირიქითის საზოგადოების თუშები „გააქართველა“, ხოლო წოვათაში კი ისე ვერ შეაღწია, რომ მათთვის მშობლიური ენა, წოვეური ენა წაერთმია?

პატივცემულ მეცნიერს შევახსენებთ, რომ თუშეთის სამი თემის – პირიქითის, გომეწრისა და ჩაღმის თუშებთან შედარებით, წოვათის თემის წოვა-თუშებმა მთელი ერთი საუკუნით ადრე დატოვეს თუშეთი და კახეთის ბარში, ალაზნის მარცხენა სანაპიროზე ალვანის (ალონის) მინდორზე დასახლდნენ. წოვეების მთელი მოსახლეობა ქართულ გარემოში მოექცა. თუშები კი კვლავ თუშეთში ცხოვრობდნენ და მოწყვეტილნი იყვნენ საქართველოს ბარს, ქართულ ენას (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მეცხვარე მამაკაცებს, რომელთაც საზამთროდ ცხვარი და მსხვილფეხა საქონელი მოუდიოდათ კახეთის, შირაქის და სამუხის ველებზე). მაგრამ მათ (წოვებმა) „მშობლიური“ ენა არ დაჰკარგეს, დღემდის შეინახეს. შეინახეს ისე, რომ სკოლაში მისვლამდე წოვა-თუშების ბავშვების გარკვეულმა ნაწილმა ქართული კარგად არ იცის და სკოლაშიღა სწავლობს. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ თუშებიდან არც ერთმა არ იცის „მშობლიური“ თუ „მამა პაპათა ენა“ თუ არა ქართული ენა. საკვირველია, რა მოხდა?! რამ და ვინ „დააკარგვინა“ თუშების ერთ ნაწილს „მშობლიური ენა“? რომელმა ქართულმა მოსახლეობამ „გააქართველა“ თუშები, როცა თუშეთი 80-90 კილომეტრით არის დაშორებული კახეთის ბარისაგან? განა შეიძლებოდა ასეთ დამოკიდებულებაში თუშებს „ქართველობა“ მიეღოთ თუ ისინი მართლაც ჯერ კიდევ XVII საუკუნემდე ქართველები არ იყვნენ და ან ქართულ ენაზე არ ლაპარაკობდნენ? თუ საკითხს ობიექტურად მივუდგებით და ვიტყვით, რომ ქართულმა ენამ გამოიწვია ე.წ. „თუშური ენის ასიმილირება“, თუშების უდიდესი ნაწილი „გააქართველა“, მაშინ ეს პროცესი ხომ პირველად წოვეებზე უნდა განხორციელებულიყო? მაგრამ როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ეს ასე არ მოხდა. არ მოხდა იმიტომ, რომ ენა მრავალ საუკუნეს უძლებს, ძნელად ხდება მისი ასიმილირება ძლიერი ენისაგან და დიდხანს რჩება იგი ამა თუ იმ ერისა და ეროვნების ჭეშმარიტ სარკედ. ეს ვითარება კარგად არის ასახული გ. მელიქიშვილის შემდეგ სიტყვებში: „უმნიშვნელოვანესი ეთნიკური ნიშანი სწორედ ენაა. იგი ყველაზე უფრო მკაფიოდ ავლენს ამა თუ იმ ხალხის თავისებურებას, მის სახეს... ესა თუ ის ეთნიკური წარმონაქმნი –

გვარი, ტომი, ხალხი თუ ერთი ერთიპიორისაგან განსხვავდება პირ-ველყოფლისა ენით.“<sup>82</sup>

ა.კ. შანიძე იმასაც შენიშნავს, რომ ეთნოგრაფიული ნიშნების მსგავსებითაც წოვა-თუშები და თუშები ერთ ტომს ეკუთვნიან და ერთი ძირიდან მომდინარეობენო. აღნიშნულის შესახებ წერს: „თუშური ქუდიო“, რომ ვამბობთ, ან „თუშური ყველიო“, ჩვენ არ ვიცით, ვისი გაკეთებულია ქუდი თუ ყველი, წოვა-თუშისა თუ ჩაღმა-თუშისა; არც ის ვიცით, ვინ მოქსოვია ჩითა (ერთგვარი წინდა); ვეკვი ითქმის თუშური ცხვრის შესახებაც.“<sup>83</sup>

ჩამოთვლილი ეთნოგრაფიული ნიშნები, რომელიც თუშობის სახელს ატარებს, ეკუთვნის თუშების იმ ნაწილს, რომელნიც ჯერ კიდევ ძვ. წ. IV-III საუკუნეებიდან ქართულ წყაროებში თუშებად იხსენებიან, რომ ეს ასე უნდა იყოს და აქ დაეჭვება არ შეიძლება, ამის საბუთს გვაძლევს ჩერენინგუშების ეთნოგრაფიულ ნიშნებზე დაკვირვება, სადაც არც ე.წ. „თუშური ქუდის“, არც „თუშური ჩითის“, არც „თუშური ყველის“ მსგავსს არ ამზადებენ. მხოლოდ ქისტებში გვხვდება თუშების მიბაძვით ყველის თუშურ წესზე დაზადების ცალკეული შემთხვევები. ჩრდილო კავკასიიდან კი წოვების მოსულობა, როგორც ადრეული საუკუნეების მასალებით, ისე ჩვენი საუკუნის მკვლევართა მიხედვით, ერთხმადაა დადასტურებული. ამჟამად პატ. მეცნიერის მიერ ჩამოთვლილი ზოგიერთი ეთნოგრაფიული ნიშნები მართლაც რომ წოვა-თუშებს და თუშებს თანაბრად ეკუთვნით. აქ გასაკვირი არაფერია. მათი ურთიერთ შერწყმა და დაახლოება შორეული წლების ამბავია. ისინი ორივე ერთად თუშობისა და ქართველობის სახელით მოქმედებდნენ და მოქმედებენ დღესაც და ეს ნიშნები. რა თქმა უნდა, თანდათანობით ორივესათვის საერთო გახდა.

გაკვირვებას იწვევს ა.კ. შანიძის შემდეგი განცხადება: „როდის მოხდა თუშეთის სამი თემის საბოლოოდ გადმოსვლა ქართულ მეტყველებაზე. ეს ამჟამად ძნელი დასადგენია სათანადო მასალების უქონლობის გამო. მაგრამ ის კი შეიძლება ითქვას, რომ ძალიან შორეული ამბავი არ უნდა იყოს, მე შეგაღიფთად, იმისი თქმაც კი მიჭირს გადაჭრით, თუ რა იყო შინაური სასაუბრო ენა ბახტრიანის გმირის ზეზუა გაფრინდაულისა, რომელიც ვაკისძირიდან იყო. წოვა-თუშური, თუ ჩაღმა-თუშური (ვაკისძირი წოვა-თუშების სოფელ წაროდან სუთიოდე კილომეტრითაა დაშორებული).“

ვერ დავიჯერებთ, ა.კ. შანიძემ არ იცოდეს, რომ ქართულ დიალექტებს შორის ყველაზე დიდი სიახლოვე და მსგავსება ხვესურულ და თუშურ კილოებს ახასიათებს. მთის ამ კილოთა მსგავსებაზე ჯერ 1915 წელს, ხოლო

<sup>82</sup> გ. მელიქიშვილი, ურარტუ, 1951, გვ. 6-7

<sup>83</sup> ა.კ. შანიძე, თუშები, „მნათობი“, №2, 1970, გვ. 105.

შემდეგ 1960 წელს აკ. შანიძემ შემდეგი თქვა: „ქართულად მოუბარი თუშების ენა გარკვეული ნიშნების მიხედვით ახლო დგას ზეგსურულთან და მოხეურთან, რის გამოც მე მათ, სამიწეს ერთად ფსოური კილოები ვუწოდებ“ (რელაქტორისაგან, თ. უთურგაიძის წიგნი „თუშური კილო“. 1960 წ.) შემდეგ აკ. შანიძე თვითონვე ამბობს: „ზეგსურები, რა თქმა უნდა, ქართველი ტომია, ამაში არავითარი ეჭვიც არ არის“.<sup>84</sup>

აქედან ცხადია, ლოგიკურად გამოძინარეობს, რომ თუშებიც ქართველი ტომია. აქვე უნდა დავსძინოთ, რაც, ალბათ, აკ. შანიძემ ჩვენზე უკეთ იცის, რომ ძველი ქართული მწერლობის ძეგლებს თუშები ბრწყინვალედ და სანიმუშოდ კითხულობენ. ეს ფაქტიც იმ შორეულ წარსულზე უნდა მიუთითებდეს, როცა თუშების მამა-პაპანი წოვეურ ენაზე კი არ მეტყველებდნენ, არამედ ძველ ქართულ ენაზე. წოვეურ ენიდან მე-18 საუკუნეშიდა (ასე ფიქრობს აკ. შანიძე) ქართულ ენაზე გადასული თუშეთის სამი თემის თუშები ძველ ქართულ ენაზე ვერ ილაპარაკებდნენ, მათი ენა დამახინჯებული, რალაც აღრეული დიალექტი იქნებოდა. თუშური კილო კი ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებელი ელემენტების შემონახვის თვალსაზრისით დღესაც სპეციალისტების დიდ ინტერესს იწვევს. ამიტომ ამბობდა პროფ. ვ. თოფურია, რომ „თუშური მეტყველება უადრესად საინტერესოა“-ო.<sup>85</sup>

ვახუშტი ბატონიშვილმა, როგორც ცნობილია, თავისი წიგნის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ დაწერა 1745 წელს დაამთავრა. ამ წიგნში ასახული მასალები კი მას 1724 წლამდე უნდა შეეგროვებინა, რადგან ამ წელს იგი მამასთან, ვახტანგ VI-თან ერთად, რუსეთის გზას გაუდგა. აი, რას წერს ვახუშტი გომეწრის საზოგადოებაზე, საიდანაც ზეზვა გაფრინდაული იყო. „სარწმუნოებითა და ენათა (გომეწრისა და ჩაღმის თუშები, ვ.ე.) ქართულითა არიან“.<sup>86</sup> წოვეების შესახებ კი წერს: „ხოლო რომელნი შინა არიან მხარეთა ქისტთა და დღადიკთა, უწყიან უფრო ენანი მათნი“. XVII საუკუნის დასასრულისათვის თუ XVIII საუკუნის დასაწყისისათვის, როცა ვახუშტიმ მოახდინა დაკვირება თუშების ენობრივ-ეთნიკურ თავისებურებაზე, თუ თუშეთის გომეწრისა და ჩაღმის თემებში მცხოვრები თუშები მაშინ სარწმუნოებით და ენით ისეთივე იყვნენ, როგორც ბარის ქართველები, რა თქმა უნდა, ზეზვა, და ზეზვას სოფელი ქართულად ილაპარაკებდა, მით უმეტეს, რომ წოვათამდე მის შემდეგ კიდევ იყო სოფლები: ციხისძირი, ჯვარბოსელი, ვერხოვანი, კოკლათა, დადიკურთა და ბეღელა. წაროსა და ვაკისძირს შორის ხუთიოდ კილომეტრის არსებობას, როგორც ეტყობა, აღარავითარი ღირებულება არა აქვს.

<sup>84</sup> აკ. შანიძე, უკანასკნელი ჯვაროსნები, საბჭოთა ხელოვნება, №4 1966.

<sup>85</sup> ვ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, ტ. I. 1961, გვ. 103.

<sup>86</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 105.

თუშების ქართველობის ნათელყოფისათვის უტყუარ ფაქტად მიგვანჩნია 1657-58 წლებში თუშ-ფშავ-ხევსურების მიერ ძველ ქართულ ენაზე დაწერილი ორი წერილი, რომელიც მოსკოვში გაუგზავნეს ალექსი მიხეილის ძეს.

წერილების შინაარსის გაცნობით მკითხველი დარწმუნდება, თუ როგორ არიან თუშ-ფშავ-ხევსურები ერთად, ერთი სიტყვითა და საქმით შეკრულნი და გადანასკვლნი. ისინი წარმოგვიდგებიან, როგორც დედის სამი შვილი, რომელთაც ერთი აქვთ სამშობლო, ენა, საზრუნავი და საფიქრალი.

განა შეიძლება, ამ დროს ჯერ კიდევ „გაუქართველებელ“ თუშებსა და ფშავ-ხევსურებს შორის ასეთი სიახლოვე და ერთიანობა ყოფილიყო? რა თქმა უნდა, არა. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ამ სამ ტომში, მაშინ თუშეთი იყო ყველაფრის მოთავე და ინიციატორი:

აი, რას წერს აღნიშნულის შესახებ განსვენებული მეცნიერი, პროფ. შ. მესხია: „1656წ. თეიმურაზმა და მისმა მომხრეებმა თუშ-ფშავ-ხევსურეთში დიდი სამშაადისი ჩაატარეს, ეს სამი კუთხე გააერთიანეს თუშების მეთაურობით და მათი ელჩები რუსეთში მფარველობის სათხოვნელად გაგზავნეს. 1657 წლიდან დაწყებული, თუშები არა ერთხელ იყვნენ მოსკოვში და რუსეთის ხელმწიფისადმი ერთგულება მათ საგანგებო ფიცის წიგნითაც გამოხატეს“.<sup>87</sup> და, აი, სწორედ ეს ფიცის წიგნი გახლავთ თუშების ქართველობის უტყუარი საბუთი და დადასტურება.

პირველი საფიქარი წერილი მოსკოვის მეფისათვის თუშ-ფშავ-ხევსურებს 1657 წელს მიუწერიათ. სადაც ვკითხულობთ: „ქ. დიდო და ყოვლის მპყრობელო ბატონო, დიდო მეფეც და ყოველთა ქრისტიანეთა ჴელმწიფეც, ალექსი მისაილის შვილო! ყოვლისა მპყრობელო! შენის ბრძანებითა ჩვენს დედოფალსა და ბატონიშვილსა (საუბარია 1652 წლიდან მოსკოვში მყოფ ერეკლე პირველზე და მის დედა ელენე დედოფალზე – ვ.ე.) კაცი ებოძა, და ჩვენი ქვეყნის კაცი დაეხარებინა, რომე ჩვენც ამ დიდის ჴელმწიფის ჴელთა ვართო და თქვენც ამისი ყმანი შეიქენითო და თქვენც ამას დაუკარით თავიო. აწე... ჴელმწიფეც, ჩვენი ჴელმწიფეც თქვენა... არის და ჩვენც თუშეთის და ხევსურეთის და ფშავის ქვეყანათა, სამთავ ქრისტიანს ქვეყანასა პირობა გექოსნია და ზურგი მოგვბაძეს ერთმანეთისათვის და ელჩეა გამოგვიგზავნია. ჴვეის ბერი სოზამე შაქსიძინ და გრიგოლ სიდორინ და პავლე სვანოვის და შენი ყმანი შეეკმნილვართ და თავი დაგვიკრავს, როგორც თქვენი ბრძანება აქნება ჩვენ იმისი მქნელი ვართ ჩვენა ერთი ღმერთი ფიცით და შეორე ჴელმწიფე თეიმურაზ. ჩვენ მაგარს აღაგას ვართ და არას კაცს შეგეპოვებით. ამდენი ხანი არის საქართველოს ყენი ებრძვის და ჩვენ არცა შემოგვიწყაა ყაენის კაცი

<sup>87</sup> ნ. ბერძენიშვილი, ვ. ღონდუა, მ. ღუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, ტ. I. 1958, გვ. 303.



და სადაც მოგვიხელება, მოგვიკლავს და მისი სარდარი გაგვიქცევია და ლაშქარი გაგვიწყვეტია: აწე, დიდო კელმწიფე, ჩვენი კელმწიფე ყენმა წაახდინა და ზურგი აღარ სადით გვექონდა და მღვთისაგან ველოდებოდით, რომე ერთი შენი ბრძანება და კაცი მოგსელიყო: აწე მოგვივიდა შენი ბრძანებაცა და ჩვენი დედოფლის კაციცა და თქვენი ბრძანება გავითავებია და შენ შემოგვეყწინივართ და შენთვის თავი დაგვიკრავს. გვიშახურე და გვაღამქრე ამ დღემით შენი ყმანი შეექმნიღვართ.“<sup>88</sup>

აკ. შანიძემ წიგნში – „ხევსურული პოეზია“ (1931წ.) ბახტრიონის ციკლის მრავალ ლექსს მოუყარა თავი. ბახტრიონის ციკლის ლექსებში, ბევრი თუშური ლექსია, რომელნიც, უმეტესწილად, აჯანყების პერიოდში და მის მომდევნო წლებშია შექმნილი. დაუჯერებელია, რა თქმა უნდა, არაქართველ თუშებს ასეთი მდიდარი ქართული ფოლკლორი ჰქონოდათ XVII საუკუნეში.

ქართული და უცხოური ისტორიოგრაფია თუშ-ფშავ-ხევსურებს არასოდეს არ აცალკევებს. თუშები ხევსურებთან და ფშავლებთან ისეთ განუყრელ და მჭიდრო კავშირში ვერ იქნებოდნენ, რომ ისინი ოდითგანვე ქართველები არ ყოფილიყვნენ. IV საუკუნეში, როცა ქართლის სამეფომ შეაწუხა ქრისტიანობის მიღებით არაგვის ხეობის მთიელები, მაშინ მათი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი აყრილა და თუშეთში გადასახლებულა. აი, რას წერს ამის შესახებ XI საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიკოსი ლეონტი მროველი: „ყსოველთა დაუტყვეს ქვეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთსა“. თუშეთი, რომ მათი მოძმე ქართველებით – თუშებით არ ყოფილიყო დასახლებული, ხევსურებისა და ფშავლების გარკვეული ნაწილი თუშეთში არ გადასახლდებოდა; თუშეთში ხევსურების სალოცავი ხატები დღემდის ვერ დარჩებოდა. წარმართი ქართველი მთიელები შეიფარეს წარმართმა თუშებმა და ამ გზით დღემდის თითქმის ყველა სოფელში კიდევ შემორჩა ბაზილაკები ხევსურთა ჯვარ-სალოცავებისა. ყოველ წელიწადს ზაფხულობით ხევსურეთიდან მოდიოდა ჯვარიონი „კარატიონი“ და „კაკმატიონი“, რომელნიც მთელ თუშეთს შემოვიღიდნენ და თუშებთან ერთად ლოცულობდნენ, ეწ. „ხევსურთა ხატებს“. ეს პროცესი ნაწილობრივ დღესაც გრძელდება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ წოვათაში, სადაც წოვა-თუშები ცხოვრობდნენ, ფშავ-ხევსურების დასახლებისა და მათი ჯვარ-ხატების არსებობის არცერთი ფაქტი არ აღინიშნება. რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ წოვები იმ დროს, ალბათ, ჯერ კიდევ თუშეთში არ ცხოვრობდნენ, თუშებს კი ეს ადგილი, როგორც საცხოვრებლად ნაკლებად გამოუსადეგარი ადგილი,

<sup>88</sup> М. Броссе. Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639г. по 1770г. СПб. 1861г. стр. 74-75

აუთვისებელი კქონდათ და, რა თქმა უნდა, ასეთ უკაცრიელ ადგილზე ხვესურები და თუშები არც დასახლდებოდნენ. წოვათა, რომ უტყვეო და უმოსავლო ადგილი იყო და იქ ცხოვრება ღიდად ჭირდა კარგად აქვს აღნიშნული თვით წოვა-თუშების ინტელიგენციის წარმომადგენლებს: ივ. ბუქურაული შენიშნავს, რომ „წოვათა შესანიშნავ ბუნებრივ სიმამრეს წარმოადგენს. მიუდგომელია იმისათვის, რომ ზოგი კლდიანი და ზოგიც მარტო ერთს თვეს, მარიამობის თვეს, არიან განთავისუფლებულნი თოვლისაგან. სხვა დროს მარტო ხევ-ხევ შეიძლება დაუბრკოლებლად შესვლა წოვათაში ამ ალაგის საცხოვრებლად არჩევას წოვების მიერ, რასაკვირველია. ისტორიული საფუძველი აქვს“.<sup>89</sup> ვ. ლავაზიძე აღნიშნავს, რომ „ინდურის ქებაბული, ანუ ინდურთის ველი (წოვათა, ვ.ე.) მართალია, უღამაზესი კუთხეა მთათუშეთში, მაგრამ სახნავად ნაკლებად გამოსაყენებელი და შოუსაგლიანია. ინდურთველის მიდამოებიდან მიღებული მოსაგალი წოვა თუშებს ოთხი-ხუთი თვე თუ ეყოფათ, ხოლო დანარჩენი ხომ თავის საზრდო უნდა შეეზიდათ ან ბარიდან, ანდა მესობელი ტომებიდან“<sup>90</sup>

წოვათას არც ხე-ტყე გააჩნდა და ამ მხრივაც იქ მცხოვრებნი ღიდ გაჭირვებას განიცდიდნენ. „წოვათაში საშენი ხის მასალა ჩაღმის თემიდან შემოპქონდათ. სოფელ ოშალის თავზე ჭირდნენ ხეებს და პირიქითი თუშეთისა და გომეწრის წყალგამყოფი ქედით შემოპქონდათ შაგების გადასასვლელამდე. იქიდან დააცურებდნენ ინდურთისა და საგირთის ვაკობზე“.<sup>91</sup>

ვამთავრებთ მსჯელობას თუშეთის დასახლებისა და სატომო სახელ „თუშ“-ის გარშემო და მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ იგი თავისთავად, რა თქმა უნდა, საკმაოდ რთული საკითხია და ბევრი რამ, ალბათ, მომავალში თანდათან უფრო გაირკვევა და აღძრული საკითხის გაგებაში მეტი სიცხადე იქნება შეტანილი.

<sup>89</sup> ივ. ბუქურაული, ტბათანიდან წოვათამდინ, „მოამბე“, 1897, განყ. II, გვ. 42.

<sup>90</sup> ვ. ლავაზიძე, თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულიდან, საკანდ. შრომა, 1967, გვ. 105 (ხელნაწერი).

<sup>91</sup> ა. შახელიშვილი, თუშეთი, გვ. 33. 1987.

## 2.2. ეროვნული და უცხოური მკვნიერული მქმქვიდრქობა თუშქეთის განსახლებებისა და ეთნიქური მქვქვიდრობის შესახებ

თუშების ვინაობისა და ეთნიქური შედგენილობის საკითხი არაერთხელ ქცეულა სპეციალური განხილვის საგნად.

ჩვენ თუშეთის განსახლებისა და ეთნიქური შედგენილობის შესახებ 1964 წელს გამოქვეყნეთ წერილი,<sup>1</sup> ხოლო საკანდიდატო შრომაში მას ერთი თავი მიუძღვენით – „თუშებისა და წოვა-თუშების წარმოშობა-განსახლების ისტორიისათვის“.<sup>2</sup> აღნიშნულ საკითხს სადოქტორო დისერტაციაში<sup>3</sup> და 1988 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაშიც შევეხეთ.<sup>4</sup> აღძრულ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, წოვა-თუშების წარმო-შელობაზე, საქმად ახლებური მოდგომა გვაქვს ჩამოყალიბებული ჩვენს მომდევნო გამოკვლევაში,<sup>5</sup> რომელსაც წინამდებარე ნაშრომში ვაქვეყნებთ განმეორებით, მცირედი შესწორებებითა და დამატებით.

აქ დასახელებულ ჩვენს შრომებში თუშების ვინაობისა და თუშეთის განსახლების ეთნიქური შედგენილობის შესახებ მკითხველი აშქარად დაინახავს ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით ორას წელზე მეტი ხნის განმავლობაში დაგროვილი წერილობითი მასლისა და მათში ჩამოყალიბებულ საყურადღებო დასკვნებისა და დებულებების გავლენას.

წინამდებარე მონოგრაფიის პირველი თავის სამივე პარაგრაფი დაწერილია ზემოთ აღნიშნულ მონაცემთა ურთიერთ შეჯერებითა და ფართო განხილვა-გამუქებით, რათა მკითხველისათვის ნათელი იყოს ყველა ის პოზიცია, მიდგომა და დაშოკიდებულება თუშების ვინაობისა და თუშეთის ეთნიქური შედგენილობის თაობაზე და თვითონ გააკეთოს სათანადო დასკვნები.

1970 წელს აკად. ა. შანიძემ გამოაქვეყნა წერილი – „თუშები“,<sup>6</sup> რომლის ბოლო ნაწილი დათმობილი აქვს თუშეთისა და თუშების შესახებ ზოგიერთი მკვლევარის მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა კრიტიკას და ავტორისეულ დასკვნებს.

<sup>1</sup> ვ. ელანიძე, შენიშენები თუშთა წარმოშობის ისტორიისათვის /ი. გოგებაშვილის სახ. თელავის პედინსტიტუტის შრომები, ტ. V, 1964, გვ. 53-63/

<sup>2</sup> ვ. ელანიძე, თუშეთის სოციალ-პოლიტიქური განვითარება ფეოდალიზმის ხანაში. საკანდ. დისერტაცია, ხელნაწერი. 1968, გვ. 16-64

<sup>3</sup> ვ. ელანიძე, გვიანი შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (თუშეთის) ისტორიის საკვანძო საკითხები, 1990, გვ. 1-42.

<sup>4</sup> ვ. ელანიძე, თუშეთის ისტორიის საკითხები, 1988, გვ.5-25.

<sup>5</sup> ვ. ელანიძე, წოვა-თუშების ვინაობის საკითხისათვის, 1990.

<sup>6</sup> ა. შანიძე, თუშები, ჟურნ. „მნათობი“, 1970, №2.

1977 და 1987 წლებში დაიბეჭდა ა. შავხელიშვილის ორი გამოკვლევა თუშეთის შესახებ, სადაც სხვა საკითხებთან ერთად საუბარია თუშეთის დასახლება-განსახლებისა და ეთნიკური ვინაობის თაობაზე.<sup>7</sup>

ორივე ავტორს მიზნად დაუსახავს, რომ თუშები და წოვები ერთი წარმოშობის – ჩინურ-ინგუშურ ხალხად,<sup>8</sup> ან ორივენი ოდითგანვე თუშებად, ე.ი. თუში ტომის თემებად გამოაცხადონ.<sup>9</sup>

ერთი შეხედვით, მკითხველს შეიძლება არაფერი ეუცხოვოს, მაგრამ საქმის არსში ჩახედვა სულ სხვა სურათს გვაძლევს: თუ ა. შანიძეს დავუჯერებთ. გამოდის, რომ თუშეთი ოდითგანვე საქართველოს მიწა-წყალი არ ყოფილა და არც თუშები ყოფილან ქართველები, ხოლო ა. შავხელიშვილი კი თავის კვლევა-ძიებას ისეთ ხასიათს აძლევს, რომ შეგნებით აბუნდოვანებს წოვების წარმოშობის ნამდვილ ისტორიას და ცდილობს მკითხველი დაარწმუნოს, რომ წოვა და თუში თავისი წარმომავლობით ურთიერთ განსხვავებული ისტორიის მქონე ინდივიდუალური ტომები კი არ არიან, არამედ წოვები (წოვა-თუშები) და თუშები (ჩაღმა-თუშები) თუში ტომის ორი თემია და მათ შორის არაერთი განსხვავება არ არსებობსო.

თუშეთის ეთნიკური შედგენილობის შესახებ ა. შავხელიშვილისეული კვლევა-ძიება თუ რამდენად მისაღებია და როგორ რეაქციას იწვევს მკითხველში კარგად გამოხატა მეცნიერმა გ. ყორანაშვილმა: „ისტორიკოსი აბრაამ შავხელიშვილი, – შენსონაყს მკვლევარი, – ამტკიცებს, წოვა-თუშების აბორიგენობას, მაგრამ ისე, რომ არ ითვალისწინებს მქორე მხარის რიგ სეროზულ არგუმენტებს. ამასთანავე, ბევრი რამ მისეული მსჯელობებიდან დანარჩენ თუშებს (არა წოვა-თუშებს) გაშალიზიანებლად ესყენებათ) და არც თუ ისე უსაფუძვლოდ...“<sup>10</sup>

აკად. ა. შანიძის ზემოთ მოხსენიებული ნაშრომი მსგავს და, შეიძლება ითქვას, უფრო სერიოზულ და დამაფიქრებელ ვითარებას ქმნის თუშეთისა და თუშების შესახებ.

თუშეთის ისტორიის შესწავლის საქმეში დიდი გაუგებრობა და არასახარბიელო ატმოსფერო შექმნა განსვენებულმა მეცნიერმა. ხსენებულ სტატიას დეაწლმოსილი მეცნიერის სიცოცხლეშივე გამოვეხმაურე და აღვნიშნე, რომ „აკად. ა. შანიძის ხსენებული წერაილი თავიდან ბოლომდე მცდარ

<sup>7</sup> ა. შავხელიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან /თუშეთი XVI-XIX ს. I ნახევარში/, 1977; მისივე, თუშეთი, 1987.

<sup>8</sup> ა. შანიძე, დასახლებული სტატია.

ა. შავხელიშვილი, დასახლებული შრომები.

<sup>10</sup> გ. ყორანაშვილი, „სრულ ერთობილნი თუშნი“, გაზ. „თბილისი“, 1988, №281.

მსჯელობაზეა აგებული და, რა თქმა უნდა, დასკვნებიც არალოგიკური და უსაფუძვლოა.”<sup>11</sup>

საგაზეთო წერილში შევეხეთ მხოლოდ 1659-1660 წლის კახეთის აჯანყებაში თუშების მონაწილეობასთან დაკავშირებით ზოგიერთ მცდარ მსჯელობას. იქ ჩვენ სხვა ხარვეზებზე თუ დამაფიქრებელ ფაქტებზე არაფერი გვითქვამს, რადგან საგაზეთო წერილი ამის საშუალებას არ იძლეოდა. 1984 წელს უნივერსიტეტის გამომცემლობაში წარდგენილ მონოგრაფიაში ვრცლად გვქონდა საუბარი აღნიშნულ წერილზე. მაგრამ უნივერსიტეტის გამომცემლობის ხელმძღვანელობამ წიგნი არ დაბეჭდა, სანამ ყველაფერი არ ამოვიღე, რაც კი ა. შანიძის კრიტიკას ეხებოდა. სქოლიოშიც კი ავტორისა და წერილის სათაურის გარეშე მხოლოდ ჟურნალი დამასახელებინეს, სადაც განსვენებული მეცნიერის სტატიაა დაბეჭდილი.<sup>12</sup>

მთუხედავად იმისა, რომ ღვაწლმოსილმა მეცნიერმა ხსენებული ნაშრომით განუზომელი შურაცხყოფა მიაყენა თუშებს და, ალბათ, მთელ საქართველოს, რადგან თუშები არაქართველებად გამოაცხადა და ისიც კი საეჭვოდ მიიჩნია, თუშებმა XVII საუკუნეში ქართული ლაპარაკი იცოდნენ თუ არა, მის შესახებ პასუხი არავის გამოუქვეყნებია და, პირიქით, ზოგიერთი მკვლევარი მას სახელმძღვანელოდ იყენებს და პოპულარიზაციასაც კი უკეთებს.<sup>13</sup>

თუშების ვინაობისა და თუშეთის განსახლების თაობაზე ჩვენი კვლევაძიება სწორედ ა. შანიძისა და ა. შავხელიშვილის მიერ მკითხველისათვის შემოთავაზებული მცდარი პოზიციის გარკვევას ეძღვნება, რის გამოც იძულებული ვხდებით, აღძრული საკითხი რაც შეიძლება ვრცლად და სრულყოფილად განვიხილოთ.

ვახუშტი ბატონიშვილმა შრომაში - „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ პირველმა მოგვცა როგორც თუშეთის გეოგრაფიული აღწერა-მოხაზულობა, ისე თუშების საზოგადოებრივ-ეკონომიკური მდგომარეობის დახასიათება. ვახუშტის კარგად შეუმჩნევია თუშეთის მცხოვრებთა სიტყვლე, მრავალფეროვნება, რის გამოც იგი თუშეთის მოსახლეობას ოთხ ნაწილად ყოფს და ოთხი ხევის სახით წარმოგივდგენს. „პანკისის გარდასწორ, კაჟკასის იქით, - წერს ვახუშტი, - არის წოვა; წოვას ქუეთ გომეწარი და მის ქვეით ჩაღმა და ჩაღმიდან გარდავალს ვზა თორდასა და ლიპოტის ხეუჩედ. ამის ჩრდილოთ არის ფარსმანის თუშეთის ხევი“.<sup>14</sup> ვახუშტი თითოეულ თემს ახასიათებს ენისა და სარწმუნოების მიხედვით. ვახუშტის აღწერით,

<sup>11</sup> ვ. ელანიძე, ბახტრიონის აჯანყებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ უზუსტობათა გარკვევისათვის, ვაზ. „განახლებული თუშეთი“. 1978, 26 მაისი.

<sup>12</sup> ვ. ელანიძე, თუშეთის ისტორიის საკითხები, 1988, გვ. 23

<sup>13</sup> ა. შავხელიშვილი, თუშეთი, 1987, გვ. 11.

<sup>14</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ.104

გომეწრისა და ჩაღმის თემები არიან „სარწმუნოებითა და ენითა ქართულითა“.<sup>15</sup> „გარნა ფარსმანის ხეყისანი სარწმუნოებითა და ენით შერეულნი არიან, ეთარცა ქისტინი“.<sup>16</sup> წოვას ხვეისა და წოვების შესახებ კი ამბობს: „ხოლო რომელნი შინა არიან მხარეთა ქისტთა და ღლიღეთა უწყიან უფრო ენანი მათნი“.<sup>17</sup>

თავის დროზე აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „როგორც ვახუშტის ზემომოყვანილი სიტყვებისაგან არკვევა, წოვებს ის იმავე ქართველ თუშებად თვლიდა, ოღონდ ფიქრობდა, რომ ქისტ-ღლიღებთან მეზობლობის გამო მათი ენაც აქონდათ შეთვისებული და ნარევის ენას ლაპარაკობდნენ“.<sup>18</sup>

ვ. ბაგრატიონის მიერ თუშეთის ეთნიკურ-გეოგრაფიული თავისებურებათა შესახებ გამოთქმულ მონაცემებზე დაყრდნობით ჩვენი მსჯელობა არ მოსწონს ა. შავხელიშვილს და შენიშნავს, რომ „...დაუსაბუთებლად აკრიტიკებს ოგი (ე.ი. ჩვენ ვ.ე.) ვ. ბაგრატიონის იმ დებულებას, რომლის მიხედვით წოვა თუშები ცხოვრობენ თუშეთში“.<sup>19</sup>

ჩვენ არ გვესმის, რისი თქმა უნდა მკვლევარს. სად ვედავებით ვახუშტის – წოვები თუშეთში ცხოვრობენ თუ არა? ვახუშტის რამიცი არ ვეთანხმებით, იგი ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით გვაქვს ნათქვამი. თუ ჩვენი ასეთი პოზიცია არ მოსწონს მკვლევარს, მაშინ საწინააღმდეგო უნდა დაამტკიცოს და მკითხველს დაეხმაროს საკითხის სწორად გაგებაში.

წოვები (წოვა-თუშები), რომ ოდითგანვე თუშები არ არიან და იმთავითვე თუში ტომის ერთ-ერთ თემს, მის ნაწილს არ შეადგენდა და არც ქისტებთან მეზობლობის გამო უსწავლიათ მათი ენა, მკითხველი თვითონ დარწმუნდება წინამდებარე ნაშრომის საშუალებით. ვახუშტი მართალია, როცა თუშეთში მცხოვრები წოვები ისეთივე ქართველებად მიაჩნია, როგორც თუშეთის დანარჩენი სამი თემის: ჩაღმის, გომეწრისა და ფარსმანის (პირაქითის) თუშები, რაც არაერთგზის იქნა დადასტურებული და აღიარებული თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიასა და ანთროპოლოგიაში.

ხსენებულ საკითხზე ა. შავხელიშვილის მსჯელობა იმდენად თავისებურია, რომ ძნელდება გარკვევა, რისი თქმა სურს მას. იგი ართულებს საქმის ვითარებას, რაც იმაში გამოიხატება, რომ ცალმხრივად განიხილავს აღძრულ საკითხს, რათა როგორმე უარყოს წოვებისა და თუშების ტომობრივი განსხვავებულობა<sup>20</sup> და განაცხადოს, რომ წოვები „ოდიითგანვე აღმოსავლეთ

<sup>15</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. 1941, გვ.104

<sup>16</sup> იქვე.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 105.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 105.

ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, 1950, გვ. 47.

<sup>20</sup> ა. შავხელიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, გვ. 3-55.

საქართველოს მთისა და ბარის ბინადარნი არიან“.<sup>21</sup> წოვების წარმო-  
მავლობის შესახებ ა. შავხელიშვილის მსჯელობა ვერ აკმაყოფილებს ისტ.  
მეცნ. დოქტორს, პროფ. ჯ. სტეფენაძეს და შენიშნავს: „თუ წოვები დანარჩენი  
თუშების მსგავსად იმთავითვე ქართველი ხალხის შემადგენლობაში  
შედიოდნენ, როგორც ეს ავტორის მიაჩნია, რატომ აქვთ მათ ქარ-  
თულისაგან განსხვავებული ენა?“<sup>22</sup> აქვე ჯ. სტეფენაძე დასძინს, რომ  
„ავტორის გადასაჭრელი რჩება წოვათა ენის პრობლემა. ცნობილია,  
რომ ეს ენა სიასლოვეს ავლენს ჩეჩურ-ვინახურ ენებთან“.<sup>23</sup>

ჯ. სტეფენაძე სარეცენზიო წერილში თვითონ შეეცადა მოეცა ახსნა-  
განმარტება იმ ენობრივ თავისებურებათა შესახებ, რაც წოვებს გააჩნიათ, რო-  
გორც ორენოვან ხალხს. მკვლევარს დასაშვებად მიაჩნია განაცხადოს, რომ  
წოვებს, რომელთაც „ქართულისაგან განსხვავებული ენა აქვთ“ ნაყოფი  
უნდა იყოს იმ მოვლენისა, „რომელიც ე.წ. „მთის ჩამოწოლით“ არის ცნობილი“.<sup>24</sup>  
იგი ამ პროცესს საკმაოდ ფართოდ იხილავს და შენიშნავს, რომ: „ფეოქრობთ,  
ამ მოვლენას უნდა აქონოდა ადგილი თუშეთში, როცა მის ზოგიერთ  
მხარეში ჩრდილო-კავკასიური ეთნიკური ერთეულები ჩამოსახლდნენ“.<sup>25</sup>

ჯ. სტეფენაძე აღძრულ საკითხზე იძლევა მრავალმხრივ საინტერესო  
და ლოგიკურ დასკვნას, რაც უეჭველად გათვალისწინებულ უნდა იქნეს.  
რეცენზიაში ვკითხულობთ, რომ: „მხარის (თუშეთის, ვ.ე.) უძველესი  
ქართული ტომონიშები, მკურნეობის და განსახლების საერთო ქართული  
სახე, მოსახლეობის ანთროპოლოგიური მსგავსება ქართველებთან და სხვ.  
იმაზე მიუთითებს, რომ ამ ტერიტორიაზე ადგილი აქონდა ადგილობრივ  
ქართულ და ჩეჩურ-ინგუშურ მოსახლეობათა შერევის. მართალია, ამ  
პროცესში საგრძობად გავლენა ვერ მოახდინა ქართულ ენაზე, მაგრამ მის  
პარალელურად მხარეში (თუშეთის ერთ კუთხეში - წოვათაში, სადაც  
წოვების კომპაქტური დასახლება მოხდა, ვ.ე.), ჩამოსახლებულთა ენაც  
გავრცელდა. ამ ენის არსებობას დღემდე აპრობებს ჩეჩნეთ-ინგუშეთის  
სიასლოვე“.<sup>26</sup>

თუშებისა და წოვა-თუშების იგივეობა-განსხვავებულობის დასადგენად  
ერთ-ერთი მთავარი მნიშვნელობა სწორედ იმას აქვს, რომ თუშები მხოლოდ  
ქართულად ლაპარაკობენ და არც ერთმა მათგანმა არ იცის წოვეური, ხოლო  
წოვა-თუშები ორენოვანი ხალხია: შესანიშნავად ფლობენ ე.წ. წოვეურ ენას  
და ქართულადაც კარგად ლაპარაკობენ.

<sup>21</sup> ჯ. სტეფენაძე / ა. შავხელიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტო-  
რიიდან, 1977 წ. „მაცნე“, №1, 1978. გვ. 197.

<sup>22</sup> „მაცნე“, №1, 1978. გვ.197.

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> ჯ. სტეფენაძე, დასახლებული შრომა, გვ. 197.

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> იქვე.

მიუხედავად ჯ. სტეფანიძის აღნიშნული რეცენზიისა, 1987 წელს გამოცემულ გამოკვლევაში – „თუშეთი“ ა. შავხელიშვილი კვლავ ძველი პოზიციებიდან იხილავს თუშეთის ეთნიკურ შემადგენლობას, გვერდს უვლის თუშეთში წოვების მოსულობის საკითხს, არსად არ ეხება მათს ორენოვნებას და აღნიშნავს კი, რომ: „საბუთების მიხედვით წოვა-თუშები ოდითგანვე ბინადარ ცხოვრებას ეწევიან კახეთსა და თუშეთში და ქრისტიანები არიან“-ო.<sup>27</sup> და უთითებს ერთ-ერთ საარქივო მასალას, რომელიც სხვადასხვა წლებში თიბურაზ ბერიასა და ერეკლე ბერიის მიერ თუშთა სახელზე გაცემულ ოთხ („ა“, „ბ“, „გ“, „დ“) სიგელს შეიცავს, სადაც კახეთის ბარში თუ თუშეთში წოვების ყოფნაზე თუ ცხოვრების თაობაზე არაფერი არა არის ნათქვამი. აღნიშნული სიგელები სულ სხვა რამეს ეხება.<sup>28</sup> ასეთი უსაფუძვლო მსჯელობა და ამა თუ იმ დოკუმენტის ტყუილად დამოწმება ა. შავხელიშვილისათვის განუყრელი თვისებაა.

ვახუშტი ბატონიშვილის შემდეგ თუშეთის შესახებ საინტერესო მონაცემებს იძლევა XVIII საუკუნის რუსეთის საიმპერიო აკადემიის აკადემიკოსი ი. გიულდენშტედტი. თუშეთის ყოფისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შესახებ ბევრ საგულისხმო ცნობებთან ერთად თუშეთის მოსახლეობის ენობრივ განსხვავებულობაზეც შეჩერებულა. ეხება რა თუშეთის სამი საზოგადოების – ჩაღმის, გომეწრისა და პირიქითის თუშების ენას, აღნიშნავს: „თუშები, როგორც ამას მათი ენა მოწმობს, რომელიც ქართულის დიალექტია შრავალი ქისტური სიტყვით შეინარევი, რასაკარგელია, არიან ქართველები, ქისტებთან შეერეულნი“.<sup>29</sup> წოვების საზოგადოების მცხოვრებთა ენის თავისებურებაზე კი აკად. გიულდენშტედტი შემდეგს წერს: „პირველ ოთხ სოფელში ლაპარაკობენ (ავტორი გულისხმობს წოვებით დასახლებულ სოფლებს – მოზართას, საგირთას, ეთელთას, ინდურთას, ვ.ე.) ქართულ ნარეგ ქისტურად. მცხოვრებლები, შესაძლებელია, უფრო მეტად ვიდრე სხვაგან, ქისტური შთამომავლობისა იყვნენ“<sup>30</sup>

ვახუშტი ბატონიშვილიდან და აკად. გიულდენშტედტიდან დაწყებული, დღემდე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა თუშეთის ადრინდელი დასახლების სიჭრელისა და იქ არსებული ტომობრივ-ეთნიკური ნიშნების შესახებ. სწორედ ამ ვითარებამ გამოიწვია ის, რომ სატომო სახელების – „თუშ“-ის და „წოვ“-ას გვერდით გაჩნდა სრულიად ახალი სატომო სახელები – „ჩაღმა-თუში“ და „წოვა-თუში“, რომელთა შინაარსი ჯერ კიდევ ვერაა სათანადოდ ახსნილი.

<sup>27</sup> ა. შავხელიშვილი, თუშეთი, 1987, გვ. 7-9

<sup>28</sup> აკად. კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ.დ. №0063.

<sup>29</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, 1962, გვ. 263.

<sup>30</sup> იქვე.



მე-19 საუკუნის დასაწყისიდან იწყება ჩრდილო კავკასიის უმწერლობო ენების შესწავლა და მათ შორის თუშეთში მცხოვრები წოვების ენისაც, რომელსაც ჩეჩნურ-ინგუშური წარმოშობის ენად თვლიდნენ. წოვური ენით მეცნიერთა დაინტერესებას ის იწვევდა, რომ ეს ტომი დასახლებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე, თუშეთში, ქართული ტომის „თუშ“-ის გვერდით და ამავე ტომის ერთ-ერთ თემად, საზოგადოებად ცხადდებოდა, ენით კი ისინი ქართველებისაგან განსხვავდებოდნენ და ამიტომაც მათი ენის შესწავლა ჩეჩენ-ინგუშური ტომების ენათა წიაღში ხდებოდა. მკვლევარები ამჩნევდნენ თუშეთის მოსახლეობის სიჭრელეს, გრძნობდნენ მისი მოსახლეობის სხვადასხვაობას, შენიშნავდნენ კიდევ, რომ წოვები თუშეთის მკვიდრნი არ იყვნენ და ჩრდილო კავკასიიდან იყვნენ გადმოსულები. მაგრამ რაკი წოვები თუშეთში ცხოვრობდნენ, მკვლევარებიც მათ ხან თუშებად, ხან თუშეთის ერთ თემში მცხოვრებლებად ასახელებენ. დროთა ვითარებაში მეცნიერთა ერთ ნაწილში შემუშავდა მკდარი შეხედულება, თითქოს თუშები, რომლებსაც წოვებში ურევდნენ, ჩეჩნურ-ქისტური წარმოშობისანი იყვნენ. მოცემული შეცდომის სათავე, ყოველთვის ის იყო, რომ მარტო წოვური ენის შესწავლა წარმოებდა, ქართულად მოსაუბრე თუშების ენას არავინ სწავლობდა, თუმცა კი გრძნობდნენ ერთი თვალის გადავლებით მათს განსხვავებულობას, ძირითადად, ენის თვალსაზრისით. არავინ დაინტერესებულა აგრეთვე მათი ტომობრიობის საკითხით, არავინ ცდილა აეხსნა, თუ რით იყო გამოწვეული, რომ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანებს ერთი სატომო სახელი ჰქონდათ.

ეთნიკურ-ტომობრივი თვალსაზრისით. წოვები ფართო მასშტაბით შეისწავლა გერმანელმა მეცნიერმა ჰაინრიხ კლაპროთმა, რომელიც კავკასიაში და საქართველოში 1807-1808 წლებში იყო. 1812-14 წლებში გამოცემულ ორტომეულში — „მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში“ (გერმანულ ენაზე) ავტორი ეხება წოვურ ენასა და წოვების საკითხს, მაგრამ მას ეს ენაცა და ტომიც თუშურად და თუშად აქვს მიჩნეული და ამიტომაც თუშებს ქისტურ ტომს მიაკუთვნებს. იგი თუშებსა და წოვებს აიგივებს და ამბობს, რომ ისინი ქისტური წარმოშობისანი არიან.

ჰ. კლაპროთის მიერ თუშეთის მოსახლეობის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათა უზუსტობამ იმთავითვე გამოიწვია კრიტიკა მკვლევართა მხრივ. აღნიშნულის გამო დ. ზუბარევი წერდა: „Клапрот... причисляет всех Тушин к племени Кистин“.<sup>11</sup>

<sup>11</sup> Д. Р. Зубарев. Посадка в кахетнию. Тушетнию... "Русский Вестник". т.II, №6, стр. 529: Главнейшая сведения о горских племенах, на которые распространяется деятельность общества восстановления Православного Христианства на кавказе. газ. "Кавказ". №42. 1868.

წოვეური ენა იმხანად ყველაზე კარგად და საფუძვლიანად შეისწავლეს აკად. ა. შიფნერმა და პ. უსლარმა. ა. შიფნერმა თავის საენათმეცნიერო ნაშრომში: „თუშური ენის მოკლე დახასიათება“ და „ცდა თუშური ენისა ანუ თუშეთის ქისტური დიალექტის შესახებ“ (გერმანულ ენაზე), საბოლოოდ დაადგინა წოვეურის ქისტურ-ჩეჩნურთან უცილობელი კავშირი. აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „აკად. ა. შიფნერმა და პ. უსლარმა წოვეური საშართლიანად სცნეს ჩანწურსა და ქისტურის მონათესავედ და ღლიღურ ენათა ჯგუფს მიაკუთვნეს. არც ერთს ფიქრად არ მოსცლია, რასაკვირველია, წოვეური დამახინჯებულ ჩანწურად მიეჩნია, თუმცა ორივემ კარგად იცოდა, თუ რამდენად დიდი გავლენა აქონდა ქართულს წოვეურზე, უმთავრესად მის სიტყვათა საგანძურზე“.<sup>32</sup>

აკად. ა. შიფნერის მიერ წოვეურისათვის თუშურის დარქმევამ გამოიწვია ის, რომ თავის დროზე გავრცელდა არასწორი გამოთქმები „თუშური ენისა“ და „თუშურად მოლაპარაკე“ ხალხის შესახებ, თუმცა მეცნიერთათვის საქმის ნამდვილი ვითარება ყოველთვის ცნობილი იყო.

აკად. ა. შიფნერის მიერ წოვეური ენის თუშურ ენად აღიარებამ თავიდანვე მკაცრი და სამართლიანი კრიტიკა გამოიწვია. ერთ-ერთ შენიშვნაში ამასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „Название это неправильное, так как Цовцы прошлое население Тушетии, составляют, сравнительно незначительную часть его“.<sup>33</sup> პ. უსლარის ჩანწური ენის გრამატიკის წინასიტყვაობაში მ. ზავოდსკი წერდა: „Тушинским языком А. Шифнер назвал язык чеченцев, живущих гласным образом в цовском обществе Тушетии“.<sup>34</sup>

აკად. ა. შიფნერის შეცდომაზე მიუთითებს ლ. ზაგურსკიც, როცა შენიშნავს, რომ: „Тушинским языком назван А. Шифнером язык одного из обществ, населяющих Тушетию, а именно-язык Цовского общества“.<sup>35</sup>

სხვა შრომებში კი ლ. ზაგურსკი პირდაპირ მიუთითებს, რომ აკად. ა. შიფნერმა შეცდომით უწოდა თუშური ენა თავისი წარმოშობისა და ენის მიხედვით ქისტურ-ჩეჩნურთან ახლო მდგომ წოვეების ენას.

<sup>32</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები, თბილისი, 1950, გვ. 47-48.

<sup>33</sup> Известия Кавказского отдела ИРГО, т. IX, 1887, №2, Библиографическая заметка, стр. 14

<sup>34</sup> Сочинение П. Услара в обработке академика А. Шифнер. П. К. Услар, Чеченский язык, 1888, приложение первое.

<sup>35</sup> Л. П. Загурский, Заметки о кюринском языке, сборник сведений о кавказских горах, вып. УШ, 1875 г. стр. I. Этнологическая классификация Кавказских народов. "Кавказский календарь" 1888, стр. 5-7, Заметка об исследовании Кавказских языков. Пятый археологический съезд в Тифлисе, I. Москва. 1882г. стр. 111.

აკად. ა. შიფნერი არ ყოფილა საქართველოში და წოვური ენის შესახებ აღნიშნული გამოკვლევების წერისას სარგებლობდა საქართველოდან პეტერბურგში აკად. მარი ბროსესაგან ჩატანილი „მღვდელი იობ ცისკარი-შვილისაგან შედგენილი წოვური ენის მასალებით. 1853 წელს აკად. ა. შიფნერი ამ მასალების შესწავლას შეუდგა პეტერბურგშივე ჩასული იობ ცისკარი-შვილის ძმის, სასულიერო აკადემიის სტუდ. გ. ცისკარი-შვილის დახმარებით“.<sup>36</sup>

აკად. ა. შიფნერის მიერ წოვური ენისათვის თუშური ენის დარქმევა მომდინარეობს იობი და გიორგი ცისკარი-შვილებიდან, რადგან ისინი თვითონ წოვები იყვნენ და შეგნებულად გააკეთეს ეს ყოველივე. თუმცა, მეცნიერი, როგორც ეტყობა, მალევე მიხვედრილა, რომ იგი შეცდომაში შეიყვანეს და 1856 წელს დაწერილ მეორე საკმაოდ ვრცელ ნაშრომში „ცდა თუშური ენისა ანუ თუშეთის ქისტური დიალექტის შესახებ“ სათაურში ეჭვქვეშ აყენებს წოვური ენის თუშურ ენად აღიარების საკითხს და მას „თუშეთის ქისტური დიალექტი“ უწოდა.<sup>37</sup>

აღნიშნული ვითარება კარგად აქვს აღქმული ცნობილ ქართველ ენათმეცნიერს პროფ. თ. უთურგაიძეს, რომელიც შენიშნავს „—ა. შიფნერი წოყა თუშურს მისინყეს ქისტურ დიალექტად, რასაც სათაურშივე გვაუწყებს, როცა წოვათა თუშურს უწოდებს ქისტურ დიალექტს“.<sup>38</sup>

წოვურ ენას აკად. ნ. მარიც შეეხო. ნ. მარმა რამდენიმე საენათმეცნიერო შრომა მიუძღვნა წოვური ენის შესწავლას და თვით ამ ტომის წარმოშობის საკითხსაც. აკად. ნ. მარი თვითონ ჩადის ქ. თელავში. იგი იქ ეცნობა გ. ცისკარი-შვილს, რომელიც აცნობს თავის ნათესავს — ლ. ცისკარი-შვილს და მათი დახმარებით მიემგზავრება ახმეტის საზოგადოებაში შემავალ სოფ. ზემო ალვანის მცხოვრებთა ენის შესასწავლად.<sup>39</sup>

აკად. ნ. მარი ა. შიფნერის მსგავსად მოექცა რა წოვათა საზოგადოების წარმომადგენლების — გიორგი და ლეო ცისკარი-შვილების გავლენის ქვეშ, როგორც მეგზური — კონსულტანტებისა და თვით სოფ. ზემო ალვანში მცხოვრები წოვების (წოვა-თუშების) გარემოში, რომლებიც მაშინაც და დღესაც თავის თავს თუშებს ეძახიან და არა წოვებს, რაც მათი თავდაპირველი სატომო სახელია, ხოლო იმ ენას, რომლითაც ისინი უმთავრესად ლაპარაკობენ სოფელში, ოჯახში და ერთიმეორეში თუშურ ენას უწოდებენ და არა წოვურ ენას. ნ. მარმაც აღნიშნული ვითარების გამო წოვები (წოვა-თუშები)

<sup>36</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი X, 1992, გვ. 32.

<sup>37</sup> იქვე.

<sup>38</sup> თ. უთურგაიძე, დიდი მასშტაბის გაუგებრობა, ხელნაწერი, იხ. თელავის სა-ხელმწიფო ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი, ფონდი №9800.

<sup>39</sup> Н. Марр, К истории Передвижения яфетических народов с юга на север Кавказа. "Известия Императорской Академии Наук", 1916, стр. 1384.

და თუშები ერთი წარმოშობის ხალხად – თუშებად მიიჩნია, რომელნიც ისტორიული წარმომავლობით ვაინახები ყოფილან, რომელთა ერთმა ნაწილმა ქართველთა გავლენით განიცადა მძლავრი ასიმილირება, დაკარგა წინაპართა ენა და მხოლოდ ქართულად ლაპარაკობენ – ლაპარაკია პრეისტორიული ხანიდანვე ეჭვმიუტანლად ცნობილ ქართულ ტომზე – თუშებზე, ხოლო მისი ნახევარი ორენოვანია, რომელთაც დღემდე შეინარჩუნეს თავდაპირველი ენაც და ქართველთაგან შეთვისებული ენაც – ესენი არიან წოვები (წოვა-თუშები). ნ. მარის ხსენებული ნააზრევი გახდა საფუძველი მომდევნო პერიოდის ზოგიერთ მკვლევართათვის, როცა ისინი უკრიტიკოდ იყენებენ ყოველივე მის ნათქვამს და თვითონვე დიდი გაუგებრობა და არევიდარევა შეაქვთ თუშეთის ეთნიკურ-ენობრივი ისტორიის შესწავლის საქმეში.

აკად. ნ. მარი ხაზს უსვამდა თუშებად ცნობილი წოვებისა და თუშების ენობრივ განსხვავებულობას, მაგრამ იგი მაინც ერთ ენობრივ სამყაროში განიხილავდა თუშებსა და წოვებს. ის წერდა: „Одна половина Тушинского народа двуязычна, говорит на родном Тушинском и на усвоенном грузинском. другая половина совершенно утратила родную Тушинскую речь, говорит на особом тушинском говоре Грузинского языка“.<sup>40</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ აკად. ნ. მარის მიერ თუშეთის მოსახლეობის ეთნიკური მდგომარეობისა და თუშების წარმომავლობის შესახებ ჩატარებული კვლევა-ძიების ამსახველი მეცნიერული მემკვიდრეობით იწყება გაუთავებელი მსჯელობა, დავა და დამაფიქრებელ-აღმამყოფთებელი დამოკიდებულება თუშების მიმართ და არა მარტო თუშების, არამედ მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ქართველენოვანი მთიელების არაქართული წარმომავლობის შესახებ. ხსენებული საკითხისადმი ნ. მარის ასეთმა დამოკიდებულებამ ბევრჯერ შეიყვანა შეცდომაში ესა თუ ის მკვლევარი, რომელთაც მოხვევების, ხვესურების, ფშაელებისა და თუშების ქართველობა ეჭვქვეშ დააყენეს და არაერთხელ აღნიშნეს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები არიან ნახური წარმოშობის გაქართველებული ტომები. ამ მხრივ, ამ ბოლო დროს, ქართველ სწავლულთა შორის დიდი გაკვირება გამოიწვია ჩვენი საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ქ. ვენაში ბატონების ტარპოვისა და პ. ჯორდანის მიერ გამოქვეყნებულმა ნაშრომმა,<sup>41</sup> „რომელიც ეძღვნება აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის ეთნიკურ სტრუქტურებს“.<sup>42</sup>

ს. ტარპოვისა და პ. ჯორდანის კვლევა-ძიებას აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის ნახური წარმოშობის გაქართველებულ

<sup>40</sup> Н. марр, К истории Предвнужения яфетических народов

<sup>41</sup> ს. ტარპოვი, პ. ჯორდანი, ეთნიკური სტრუქტურა აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის გარშემო, ვენა, 1993 /ინგლისურ ენაზე/

<sup>42</sup> თ. უთურგაიძე. დიდი მასშტაბის გაუგებრობა, ხელნაწერი, თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ფონდი №9800

ტომებად აღიარებას ქართველ ენათმეცნიერთაგან პირველი გამოეხმაურა პროფ. თ. უთურგაიძე, რომელმაც სრულიად სამართლიანად ამ ახალ ევროპულ ინციდენტს „დიდი მასშტაბის გაუგებრობა“ უწოდა, რასაც ყოველის-მომცველი მაღალმეცნიერულ დონეზე შესრულებული გამოკვლევა მიუძღვნა.

პროფ. თ. უთურგაიძე სანამ საკითხის სიღრმისეულ განხილვაზე გადავიდოდეს მოზანშეწონილად მიიჩნევს მკითხველს თავიდანვე გააცნოს საკუთარი დამოკიდებულება აღძრული პრობლემის მიმართ და შენიშნავს: „სტატის დასაწყისშივე მინდა გაშოვხატო ჩემი დამოკიდებულება ს. ტარპოვისა და პ. ჯორდანის დებულებისადმი – იგი შედეგია დიდი გაუგებრობისა, რომელიც წარმოიქმნა ენობრივ და ეთნიკურ ვითარებათა არასწორი ანალიზის საფუძველზე: მოხევეები, ხევსურები, ფშავლები და თუშების ის ნაწილი, რომელიც მხოლოდ ქართულ ენაზე მეტყველებს, ქართული ტომებია წარმომოხბოთვე. რამდენიმე ნახური ოჯახისა თუ გვარის შერევა მთის ქართულ მოსახლეობასთან რა თქმა უნდა, ქართულ ტომებს ნახურად ვერ გადააქცევდა, ასევე რაიმე ფონეტიკურ-მორფოლოგიური მსგავსება მთის დიალექტისა ნახურ ენებთან და ნახურ სიტყვათა გარკვეული რაოდენობა ქართულ დიალექტებში არ ნიშნავს იმას, რომ ამ ტომებს მშობლიური ნახური დავიწყებით და ისტორიულად მათთვის არამშობლიურ ქართულ ენაზე ამეტყველებულან. რომ გავიზნოთ, ამ დებულებას უნდა ახლდეს სათანადო მტკიცება დღევანდელი მეცნიერული მოთხოვნების მიხედვით. მეზობლად მცხოვრებ ხალხებს შორის ენობრივი ხასიათის სახეობანი და ცალკეული ოჯახებისა და გვარების გადასვლა-გადმოსვლა (საცხოვრებელი ადგილის შეცვლა) ჩვეულებრივი მოვლენაა მსოფლიო პრაქტიკაში და, ბუნებრივია, უცხო არ იყო კავკასიონის ჩრდილო და სამხრეთ კალთებზე მცხოვრებ ხალხებს შორის, ე.ი. ნახებსა და ქართველებს შორის, მით უმეტეს ამ რეგიონში, სადაც შურისძიების კანონები დღემდე ძალაშია: მკვლელის ოჯახი, ზოგჯერ მისი გვარიც მთლიანად, სამაგიეროს თავიდან ასაცილებლად მუწობელ ხალხს აფარებდა თავს. ამდენად სქესების მარტივი პროცესების გამორიცხვა შეიძლება შეცდომის სათავედ აქცეს“.<sup>43</sup>

ევროპელი მეცნიერები – ს. ტარპოვი და პ. ჯორდანი ეყრდნობიან და გულდასმით იყენებენ ისეთ მეცნიერ-მკვლევართა შრომებს, სადაც ეჭვქვეშ არის დაყენებული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის ქართული წარმომავლობა. მათთვის გადამწყვეტი როლი უთამაშია აკად. ნ. მარის მეცნიერულ მემკვიდრეობას, მის თვალსაზრისს ხსენებულ საკითხზე, რასაც განსვენებული მეცნიერი სიკვდილამდე მტკიცედ იცავდა. ამიტომ პროფ. თ. უთურგაიძე აკად. ნ. მარის ძირშივე მცდარი და უსაფუძვლო-დაუჯერებელი

<sup>43</sup> თ. უთურგაიძე, დასახელებული შრომა, გვ. 1

დებულებების არგუმენტირებული კრიტიკით იწყებს მრავალმხრივ საინტერესო რეცენზია-გამოკვლევის წერას, სადაც, როგორც ზვეითაც აღნიშნეთ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეთნიკურ-ენობრივი ისტორია ღრმად და საფუძვლიანად არის წარმოდგენილი.

პროფ. თ. უთურგაიძე მკითხველს ამცნობს, რომ აკად. ნ. მარის მთელი კვლევა-ძიება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ქართული ტომების მოხვევების, ზეკსურების, ფშავლების და თუშების არაქართული წარმომავლობის შესახებ მტკიცება ეყრდნობა თეორიას, რომლითაც იმხანად თითქმის ყველას სწამდა, რომ ქართველი ხალხის წინაპარი ტომები ადგილობრივი წარმოშობისანი არ არიან და სამხრეთიდან არიან მოსულები. ეს თეორია XX საუკუნის 40–50-იანი წლებიდან გაყალბდა, გაცამტვერდა და უტყუარად დადასტურდა ქართველთა ავტოქთონური წარმოშობა. აღნიშნულიდან გამომდინარე პროფ. თ. უთურგაიძე შენიშნავს: „თუ მსკედეველობაში მივიღებთ იმას, რომ ქართველური ტომები აბორიგენულია და არსაიდან არ მოსულან, მაშინ ცხადი ხდება ნ. მარის ამ თეორიის უსაფუძვლობა და გაკვირვებას უნდა იწყევდეს დღეს მასზე დაყრდნობა დამატებითი არგუმენტაციის გარეშე“.<sup>44</sup>

პროფ. თ. უთურგაიძის რეცენზია-გამოკვლევით ერთხელ კიდევ აღინიშნა და თანაც ყოველმხრივ არგუმენტირებულად, რომ წოკები (წოვა-თუშები), რომელთაც ნ. მარი თუშებს უწოდებს და მათ აღმნიშვნელად იშვიათად იყენებს სატომო სახელ წოვას (წოვა-თუშს), ტომობრივ – ისტორიული წარმომავლობის თვალსაზრისით თუშები არ არიან და თუშეთში „წოვათაჲს მათი დასახლება, მისი აზრით (აკად. ი. დეშერიევის არგუმენტი – ვ.ე.), მე-16 საუკუნეში უნდა მომხდარიყო“.<sup>45</sup>

თუშეთში წოვების დასახლების შემდგომ ხდება მათი გათუშება, თუშთაგან ბევრი რამის გადმოღება, შეთვისება და შესაშური თანაცხოვრება, რასაც კარგად ასახავს ახლად წარმოქმნილი სატომო-ეთნიკური ტოპონიმი „წოვა-თუში“.

კომპოზიტი – „წოვა-თუში“ მოთავსებულია ფრიად საინტერესო ისტორია, რომლის ლოგიკური ანალიზით დგინდება, რომ წოვა და თუში ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ერთი მეორისაგან მრავალი საუკუნით ტერიტორიულად დიდი მანძილით დაცილებული ეთნოგრაფიული ჯგუფების, ინდივიდუალურად მცხოვრები ტომების სახელებია. და რაკი ეს ასეა, რა თქმა უნდა, ორივე ეს სხვადასხვა შინაარსის ეთნოგრაფიული ერთეული ვერ შეადგენდა ე.წ. თუშობას, თუ ტომს, როგორც ეს ნ. მარს მიაჩნია. თუშეთი და მისი მოსახლეობა, რომელიც სამ თემს შეადგენდა: ჩაღმას, გომეწარს და პირიქითს, პრეისტორიული ხანიდან დღემდის საღად

<sup>44</sup> თ. უთურგაიძე, დასახლებული შრომა, გვ. 3

<sup>45</sup> იქვე, გვ. 4-5.

მოაზროვნე სწავლულთა თუ საქართველოს ბარის ქართველობისაგან აღქმულია, როგორც საქართველოს სისხლხორცეული მიწაწყალი, რომელიც განსაკვიფრებლად წმინდად შენახული ძველი ქართულით მოუბარი მთიელებით-თუშებითა დასახლებული; ხოლო წოვები, რომლებიც დღემდის ორენოვანნი არიან, მეცნიერ-მკვლევარებს ურთულდებათ მათი ეთნიკურობის დადგენა და თითქმის ორას წელზე მეტი ხანია, რაც ურთიერთგამომრიცხავი კვლევებიება მიმდინარეობს ამ ურთულეს პრობლემაზე, მის გარკვევასა და ჭეშმარიტების დადგენაზე.

პროფ. თ. უთურგაიძის რეცენზია-გამოკვლევაში ისიც კარგადაა ნაჩვენები, რომ საენათმეცნიერო ლიტერატურაში თუ საერთოდ წერილობით მიმოქცევაში ნ. მარმა პირველად გამოიყენა ტერმინები: ბაცბები წოვების და ბაცბური ენა წოვური ენის აღმნიშვნელად. და აქაც ნ. მარი ამ ტერმინების შემოღების თაობაზე სათანადო კონსულტაციებს ლეზულობს პეტროგრადში მყოფი წოვებისაგან. აღნიშნულის თაობაზე რეცენზიაში ვკითხულობთ, რომ „ნ. მარი თუშთა საკითხის კვლავ შეეხო 1922 წელს კაჟკასიურ ტომთა სახელწოდებების ანალიზისას.<sup>46</sup> მან თუშები ოთხ ტომად წარმოადგინა და ორქისიყან ტომს (წოკი-თუშებს, ვ.ე.) უწოდა ბაცბები (მხ. ბაცავ), მათ ენას კი ბაცბური. ტომის წარმომადგენელთა თვითწოდების მიხედვით – ნ. მარი ამ ინფორმაციას წოვა-თუშთაგან იღებდა პეტროგრადში“.<sup>47</sup>

ზვეითაც ავლნიშნეთ და კვლავ გვინდა გავიმეოროთ, რომ აკადემიკოსებს – ა. შიფნერს და ნ. მარს საქართველოში თუ პეტროგრადში წოვების (წოვა-თუშების) ვინაობისა და წოვური (წოვა-თუშური) ენის შესახებ კონსულტაცია – ინფორმაციებს აძლევენ წოვა-თუშთა ინტელიგენციის წარმომადგენლები. მათ შესანიშნავად იციან, რომ ისინი ტომობრივ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით თუშები არ არიან, მათი სატომო სახელი წოვაა და თუშეთში მათი წინაპრები გვიანი შუა საუკუნეების დროს დასახლებულან. მიუხედავად ამისა ისინი ყალბ ინფორმაციას უკეთებენ სახელოვან მეცნიერებს და შეგნებულად ამახინჯებენ ისტორიულ ჭეშმარიტებას: წოვები ცრუობენ და მაღავენ თავის თავდაპირველ ტომობრიობას წოვობას და აწერინებენ – ჩვენ თუშები ვართ, ჩვენი სატომო სახელი თუშაა და იმ ენას რაზეც ჩვენ ვლაპარაკობთ თუშური ენა ეწოდებაო. ისინიც, რასაც კარნახობენ. იმას იმეორებენ და ისე სწვრდნენ და შედეგიც ისეთი იქნა მიღებული, როგორც წოვა-კონსულტანტებს სურდათ. წოვებისაგან შეგნებულად დამახინჯებულმა კონსულტაცია-ინფორმაციებმა უზომო და გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა თუშეთის მოსახლეობის ენობრივ-ტომობრივი და ეთნიკური შესწავლის საქმეს. იმის გამო, რომ მაშინ შესწავლა ხდებოდა მხოლოდ ორენოვანი წოვებისა და არავითარ ინტერესს არ იჩენდნენ

<sup>46</sup> Н. Я. Марр. Кавказские племенные названия и метные парал. 1992. стр. 32.

<sup>47</sup> თ. უთურგაიძე, დასახლებული შრომა, გვ. 5

თუშეთის დანარჩენი მოსახლეობისადმი – თუშებისადმი, წოვები კი მათი სალაპარაკო ენით თუ წარმოშობით დაინტერესებულ პირებს განუმარტავდნენ, რომ ისინი წარმოშობით ჩეჩენებია და მათს ენას თუშური ენა ეწოდება. რადგან თუშეთია მათი სამშობლო და ჩვენც თუშებად ვიწოდებით. აღნიშნულიდან გამომდინარე ყველა მკვლევარი თუშეთის დანარჩენ მოსახლეობასაც, ე.ი. ნამდვილ თუშობას, თუშეთის მკვიდრ ქართველობას, გაქართველებულ ვაინახურ მოსახლეობად მიიჩნევდნენ და მათ ორივეს წოვებს და თუშებს ენობრივ-ეთნიური თვალსაზრისით ერთ ისტორიულ ჯგუფში განიხილავდნენ. ეს იყო უდიდესი შეცდომა და „დიდი მასშტაბის გაუგებრობა“, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ მაშინ თუშები ჯერ კიდევ თითქმის მთლიანად თუშეთში ცხოვრობდნენ, მოწყვეტილნი იყვნენ გარე სამყაროსთან, მათგან სათანადო ინფორმაციას თითქმის ვერაინი ღებულობდა, წოვები კი XIX საუკუნის 20–30-იანი წლებიდან თუშეთს სტოვებენ მთლიანად, მუდმივ საცხოვრებლად კახეთის ბარში ჩამოდიან და, რა თქმა უნდა, თუშთა ვინაობითა თუ მათი სალაპარაკო ენით დაინტერესებული მეცნიერ-მკვლევარნიც ისტორიული ალვანის მინდვრის ჩრდილო-დასავლეთ სანაპირო ზოლზე, მდ. ალაზნის მარცხნივ ხუთ სოფლად დასახლებულ წოვებში („თუშებში“, წოვები მაშინაც და ახლაც წოვობას მალავენ და თუშობას იჩემებენ. განსაკუთრებით სტუმრებთან შეხვედრისა და მათთან საუბრისას) ჩადიოდნენ და იქ სწავლობდნენ „თუშებს“. ნ. მარიც ხომ თელავიდან ალვანის ველზე დასახლებულ წოვებში ჩავიდა და იქ „აწარმოვა“ კვლევა-ძიება „თუშთა“ ვინაობაზე და არ არსებულ „თუშურ ენაზე“. მაშინ როდესაც მეცნიერს სინამდვილეში საქმე ჰქონდა წოვებთან, როგორც ორენოვან მოსახლეობასთან და არა თუშებთან და ქართული ენის თუშურ დიალექტთან, რაზეც თუშები ლაპარაკობენ. მასპინძლებმა მეცნიერს ისე უმასპინძლეს როგორც მათ სურდათ და შედეგაც არ დააყოვნა – დაიწერა ყოვლად უსაფუძვლო, აუსურდული და ქართველთათვის დიდად შეურაცხყოფელი გამოკვლევები.

მიუხედავად იმისა, რომ ნ. მარის მიერ ჩატარებული შრომა-საქმიანობა აღმოსავლეთ საქართველოს მთის ტომების შესწავლის მიზნით თავიდანვე არასწორად წარიმართა და შედეგიც საგანგაშო აღმოჩნდა, მან მაინც დიდი ზემოქმედება მოახდინა ამ კუთხით სხვადასხვა დროს მომუშავე უცხოელ თუ სამამულო საეციალისტებზე, რაც ამომწურავადაა მოცემული პროფ. თ. უთურგაიძის ხსენებულ რეცენზია-გამოკვლევაში.

პროფ. თ. უთურგაიძე დიდ მსგავსებას ხვდავს აკად. ა. შანიძის მიერ 1970 წელს ჯურნალ „მნათობში“ (№2) გამოქვეყნებული წერილის „თუშების“ შინაარსისა და აკად. ნ. მარის ზემოთ აღნიშნულ მეტყველებას შორის და დასძენს – „ა. შანიძის მიერ ფაქტიურად აღდგენილია ნ. მარის 1916



წლის თეორია მთის დიალექტების შესახებ და არის ცდა მისი განმტკიცებისა ახალი მასალით“.<sup>48</sup>

ორივე მეცნიერს ღრმად სჯერა და ეჭვიც არ ეპარება, რომ წოვები და თუშებიც ორივენი თავისი წარმომავლობით ქართველები არ არიან და ისინი განეკუთვნებიან ჩეჩენ-ინგუშებს. ა. შანიძეს თავისი ღრმა რწმენის ამსახველი არაერთი ნიმუში აქვს მოცემული ხსენებულ წერილში და აი, ერთი მათგანი: „...ქართულად მოუბარი თუშების მამა-პაპებიც ძველად იმავე ენაზე ლაპარაკობდნენ, რომელიც შემოპრჩათ წოვა-თუშებს და რომელმაც დანარჩენ თუშეთში ადგილი დაუთმო ქართულს“.<sup>49</sup>

ამ რწმენით გამსჭვალული ორივე მეცნიერის ასეთი სჯა-ბაასით აღმოფოთებული ბატონი თ. უთურგაიძე სამართლიან კითხვას სვამს: „ვინ ასწავლა თუშეთში ქართული ნ. მარისა და ა. შანიძის მიერ ნაგარაუდევ წოვა-თუშთა და ჩაღმა თუშთა ნახურენოვან წინაპარს? გადაჭრით უნდა ითქვას, რომ შეუძლებელია თუშეთში არაქართულ მოსახლეობას ესწავლა ქართული ენა, რადგან თუშეთის მცხოვრებთ ურთიერთობა კახეთთან, ქართული ენის ერთადერთ წყაროსთან მათთვის, ბუნებრივი პირობების გამო შეეძლოთ და ანლაიც შეუძლიათ დაახლოებით სამი-ოთხი თვის განმავლობაში... მაშინ როცა არაქართულ სამყაროსთან ურთიერთობა უკონდათ მთელი წლის განმავლობაში“.<sup>50</sup>

თ. უთურგაიძე ორივე მეცნიერის ამ უსუსურ და უხერხემლო მსჯელობათა გასაბათილებლად აღნიშნავს: – „ჩაღმა-თუშთა (თუშთა, ვ.ე.) კახეთში ჩამოსახლება ოჯახებით XIX-ის მეორე ნახევარში იწყება, მასობრივად კი მე-20 საუკუნის 30-იან წლებში (კოლექტივიზაციის პერიოდში) მოხდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წოვა-თუშები გაცილებით უფრო ადრე იწყებენ კახეთში ჩამოსახლებას, XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედიდან და XIX საუკუნეში არსებითად სახლდებიან ალჯანის მინდორზე. გაშოდის, რომ ვინც ადრე დაუკავშირდა ქართულ ენოვან სამყაროს, სწორედ მათ შემოინახეს მშობლიური ენა, გვიან ჩამოსახლებულებს კი თუშეთშივე დავიწყებით მშობლიური ჩაჩნური და ქართულ ენაზე გადასულან სხვების დაუხმარებლად. ასეთი ვარაუდი, რბილად რომ ვთქვათ, უსაფუძვლოა. აქ კიდევ სხვა ფაქტიც არის გასათვალისწინებელი; წოვა-თუშთა ქართული ენა კახური დიალექტია, რასაც ნ. მარიც აღნიშნავდა და ა. შანიძეც (იხ. მაგალითად ა. შანიძის წერილი „მნათობში“, №2, 1970, გვ. 104). ეს ის კახურია, რომელსაც წოვა-თუშთა მეტყველებამ კარგად ეტყობა მშობლიურ წოვა-თუშურთან ინტერფერენციის ნიშნები, ისევე როგორც თვით წოვა-თუშურს მათ

<sup>48</sup> თ. უთურგაიძე, დასახლებული შრომა, გვ. 12.

<sup>49</sup> ა. შანიძე, თუშები. „მნათობი“, №2, 1970, გვ. 105.

<sup>50</sup> თ. უთურგაიძე, დასახლებული შრომა, გვ. 7-8.

მეტყველებაში კარგად დასტყობია კახურ დიალექტთან ურთიერთობის კვალი: თუშური დიალექტი კი სრულიად თავისუფალია კახურის გავლენისაგან დღესაც, რადგან თუშური თავისთავად ქართული ენის დიალექტია და ამიტომ ჩაღმა-თუშებს (თუშებს, ვ.ე.) არასოდეს დასჭირვებიათ კახურის შეთვისება იმისთვის, რომ ქართულად ილაპარაკონ. ჩაღმა თუშები (თუშები, ვ.ე.) კახურს ათანაბრებდნენ ლიტერატურულ ენასთან და გადადიოდნენ ამ კოდზე არათუშ ქართველებთან საუბრისას.“<sup>51</sup>

პროფ. თ. უთურგაიძე აღნიშნულ მსჯელობას შემდეგი დასკვნით ამთავრებს: „ზემოთ ნათქვამს თუ გავითვალისწინებთ, - შენიშნავს იგი, - თუშეთში უპკეღელისი პერიოდიდანვე უნდა ვივარაუდოთ ქართული მოსახლეობა, რომელსაც ჩამოუყალიბდა საკუთარი კილო და რომელმაც დანარჩენ ქართულ კილოებთან ტერიტორიული იზოლაციის გამო შემოინახა ბარის კილოთათვის არქაულად მინიჭული ფორმები და საკუთარი მორფოლოგიური თვისებებიც გაუნდა, თუშცა სისტემებრივ ქართული ენის დანარჩენი კილოების გვერდით დგას და არა ნახურ ენებთან /ჩაღმა-თუშურ/თუშურ, ვ.ე./ დიალექტზე ქვემოთ კიდევ გვექნება მსჯელობა, როგორც ერთ-ერთ ძირეულ ქართულ დიალექტზე“.<sup>52</sup>

თ. უთურგაიძე „ქართლის ცხოვრების“ ერთი ფრიად საინტერესო ცნობის ანალიზის საფუძველზე დაყრდნობით ცდილობს, უფრო დამაჯერებელი გახადოს თუშებისა და წოვების ტომობრივ-ენობრივი ინდივიდუალობა - განსხვავებულობა და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ქართველობის ოდითგანვე იქ ცხოვრების უტყუარობა. იგი აღნიშნულის თაობაზე შენიშნავს: „შეიძლება ამით მოვათავოთ მსჯელობა წოვა-თუშთა და ჩაღმა-თუშთა (თუშთა, ვ.ე.) ურთიერთობის შესახებ თუშეთსა და კახეთში. ოღონდ ზემოთ განხილულ მოვლენათა და ცნობათა გვერდით უთუოდ გასახსენებელია „ქართლის ცხოვრების“ ცნობა ნახთა საქართველოს ტერიტორიაზე აღმოსახლეების შესახებ: ძვ. წ. III საუკუნეში ფარნავაზის ძემ საურმაგმა ქართლის ერისთავებთან ბრძოლაში დახმარებისათვის მიმართა დედის მხრით ნათესავ ღურბუკებს (ნახებს) და მამიდის მხრივ ნათესავ ოსებს. მათი შემწვობით დაიბრუნა ტახტი. ამას „ქართლის ცხოვრებაში“ მოსდევს ჩვენთვის საინტერესო ცნობა. „მამინ ამან საურმაგ წარმოიყვანნა იგინი ყოველთა კავკასის ნათესავთა ნახევარნი... და დახსნა მთიულეთისა, დოდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი და ესენი დაიბყრნა მისიანდობელად თვისად, დედულნი.“<sup>53</sup> ამ „დედულთა“ შესახებ იქვე არის მითითება: „ზოლო იგრძნა საურმაგ (ლაპარაკია ერისთავთა ფარულ განზრახვაზე,

<sup>51</sup> თ. უთურგაიძე, დასახ. შრომა, გვ. 8, (ხაზგასმა ჩვენია - ვ.ე.)

<sup>52</sup> იქვე.

<sup>53</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1995. გვ. 27

რომ მოეკლათ იგი, თ.უ.), და წარვიდა ფარულად და ივლტოდა, წარიტანა თანა დედა მისი და მივიდა ქუყყანასა დურბუკთასა დედის ძმათა მისითანა.“<sup>54</sup> სრულიად მკაფიოდ და გარკვევით ლაპარაკია ნახთა საქართველოში დასახლებაზე საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე – „დიდოეთიდან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი. დიდოეთითგან საქართველოს ტერიტორიაზე იწყება თუშეთი.“<sup>55</sup>

ბატონი თ. უთურგაიძე „ქართლის ცხოვრებიდან მოყვანილ ამ ამონაწერს შემდეგი დასკვნით ამთავრებს: „ძნელი საფიქრებელია, რომ ხალხთა მეს-სიერებას XIX–XX საუკუნეებამდე შემორჩენილია ძველი წელთაღრიცხვის ამბები, რაზეც ზემოთ იყო საუბარი. უნდა ვივარაუდოთ, რომ საურმაგის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსახლებული ნახური მოსახლეობა სრულიად გაქართველდა; თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ნახურ-დაღესტნურ გარემოში თუშეთში ნახთა გაქართველება შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ აქ დახვდებოდათ ქართული მოსახ-ლეობა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ საკუთარი ენის მქონე წოვა თუშთა მესხიერებაში შემორჩენილ მიგრაციულ ცნობიერებას საფუძვლად გვიანდელი მოვლენები დასდებია. სწორედ ამიტომ ვფიქრობდით ადრე, რომ არაქართული წარმოების ტომონიმები, რომლებიც თუშეთში დაიტურ-დება, მართალია, უკავშირდება ნახურს, მაგრამ ეს აუცილებლობით არ ვარაუდობს თანამედროვე ნახურ ენებს. ეს ტომონიმები უფრო ძველი დანაშეყერი ნახს, ამიტომ ვწერდი: „Нахским мы называем тот язык, который смешался с грузинскими горскими диалектами. Мы его не отождествляем ни бацбийским, ни с ингушским, ни с чеченским язы-кам. но одно безусловно – этот язык (может быть даже языки) был нахским.“<sup>56</sup>

წოვები და თუშები, რომ ერთი ტომის თემს არ შეადგენენ და ორივე მათგანს საერთო წინაპარი არ ჰყოლიათ და ისინი, კერძოდ, წოვები, რომ თავისი ერთ-ერთი ენით – წოვური ენით ჩიჩნურ-ქისტურ-ინგუშურ სამყაროს განეკუთვნებიან, ხოლო თუშები კი ერთ-ერთი უძველესი ქართული ტომია და მათ სალაპარაკო ენას – ქართული ენის თუშურ კილოს არავითარი გენეტური ნათესაობა არ აქვს არც წოვურთან და არც სხვა ვაინახურ ენებთან, კარგად ვლინდება პროფ. თ. უთურგაიძის რეცენზიაში, როცა იგი ანალიზებს ა. შანიძის ვარაუდებსა და არგუმენტებს თუშეთის განსახლების თაობაზე.

„ნ. მარის თეორია, – შენიშნავს თ. უთურგაიძე, – ა. შანიძემ რა-ტომღაც მხოლოდ თუშებით შემოფარგლა და განაცხადა, რომ წოვა-

<sup>54</sup> იქვე, გვ 28

<sup>55</sup> თ. უთურგაიძე, დასახ. შრომა, გვ. 8-9

<sup>56</sup> თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგიერთი თავისებურებები, 1966, გვ. 114 /იხ. კიდეც გვ. 13/ მისივე, დიდი მასშტაბის გაუგებრობა, გვ. 9.

თუშებსა და ჩაღმა-თუშებს საერთო წინაპარი ჰყავდათ, რომელიც იმ ენაზე ლაპარაკობდა, რომელიც წოვა-თუშებს შექორჩათ დღემდე (იხ. ზემოთ). ა. შანიძემ ნ. მარის თეორიის განმტკიცება სცადა საკუთარი არგუმენტებითაც, კერძოდ: ჩაღმა-თუშურში (თუშურში, ვ.ე.) რომ ვხვდებით წოვა-თუშურ სიტყვებს, მათ ეს წინაპართაგან გადმოვიცათო. ვფიქრობ, სპეციალური მსჯელობა არ სჭირდება იმის მტკიცებას, რომ სხვა ენის სიტყვების სმარება ამა თუ იმ ენაში არ ნიშნავს გენეტიკურ ნათესაობას იმ ენასთან, ვისაც ეს სიტყვები ეკუთვნის. გენეტიკური ნათესაობის მტკიცებისათვის სხვა რიგი მსჯელობა იყო საჭირო, რაც ა. შანიძეს არ ჩაუტარებია; თანაც, თუ მხოლოდ ნახური სიტყვების არსებობა იკმარებდა ხალხთა გენეტიკური საერთო წარმომავლობის სამტკიცებლად, გარდა თუშებისა, ამავე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ტომებიც (მაშინ ნ. მარის თეალსაზრისი სრულიად იქნებოდა წარმოდგენილი) და სხვა ქართველობაც, რომლებიც ა. შანიძისავე თქმით, იყვნენ ნახური წარმომავლობის ენი, ბედენა და სხვა სიტყვებს<sup>57</sup>.

„ა. შანიძის მეორე არგუმენტი, — შენიშნავს პროფ. თ. უთურგაიძე, — ჩაღმა თუშთა (თუშების ვ.ე.) ნასურია წარმომავლობისათვის ასეთია; ხშირია სიტყვის ბოლოს უმარცვლო ხმოვნების ხმარება, რც ჩაღმა-თუშურ (თუშურს, ვ.ე.) შეეძლო მიეღო მხოლოდ და მხოლოდ წინაპართა ენისაგან, რომელიც იგივე უნდა ყოფილიყო, რაც წოვა-თუშების წინაპრებისა“<sup>58</sup> აუსლატში ხმოვნის დაკარგვა. შეიძლება ითქვას, ქართველური მოვლენაა, იგი სვანურ ენას უფრო ახასიათებს, იქ ძირეული მორფემის ხმოვანიც კი იკარგება, მაგალითად, კაბა>კაბ, პაპა>პაპ და სხვა. ქართული ენის მთის დიალექტებს ეკარგებათ მხოლოდ ფლექსიური ელემენტების ხმოვანი სიტყვის ბოლოს; აქ ნახურთან ურთიერთობა არაფერ შუაშია; საქმე ის არის, რომ ქართულში ძირეული მორფემის კანონიკური სახეა CVC, ხოლო სუფიქსისა — VC. ეს კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში. მაშასადამე, ხმოვნის დაკარგვით საქმე გვაქვს მორფონოლოგიური ცვლილების ქართულ სახეობასთან: სიტყვა ისწრაფის კანონიკურა დაბოლოებისაკენ<sup>59</sup>.

ა. შანიძე ხსენებულ ნაშრომში თუშეთის ტოპონიმისკას არ შეხებია და როგორც თ. უთურგაიძე შენიშნავს, იგი კმაყოფილდება მისი სადოქტორო შრომის<sup>60</sup> მითითებით, სადაც „...ლაპარაკია ნახურ ლექსიკაზე და ტოპონიმებზე, რომლებიც ქართული ენის მთის კილოთა გავრცელების

<sup>57</sup> თ. უთურგაიძე, დასახელებული შრომა, გვ. 11-12

<sup>58</sup> ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

<sup>59</sup> თ. უთურგაიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

<sup>60</sup> თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგიერთი თავისებურება, თბ. 1966

არეალში გუხვდება. ჩვენ მაშინვე ვწერდით, - შენიშნავს ბატონი თ. უთურგაიძე, - რომ ეს ნახური დანაშორევი არ უნდა გაგათვიფოთ წოვა-თუშურთან. ჩვენს ამ დებულებაზე უთითებენ გ. კლიმოკაცა და ნ. ვოლკოვაც. ეს დებულება განაპირობა იმან, რომ თუშეთის ტომობრივად არის ნახური წარმოშობადობის იმეთი სახელებიც, რომლებიც ვერ აიხსნება წოვა-თუშური ენით, როგორიცაა, მაგალითად, აკა, ლაკა მეორე მხრივ, ჩაღმა-თუშურში (თუშურში, ვ.ე.) გვაქვს კალტ-ი და მოწ-ი და სხვ. რომლებიც ემთხვევა წოვა-თუშურ კალტ-სა და მოწ-ს და არა ჩაჩნურ-ინგუშურ კალდ-სა, მუიწ-ს.“<sup>61</sup>

თ. უთურგაიძე აღნიშნულ გარემოებას სათანადო ანალიზს უკეთებს და დაასკვნის, რომ: „კაასა და ლაკას ტომის ლექსიკის გვერდით ჩაღმა-თუშური (თუშური ვ.ე.) კალტი და მოწი შოგვანია არა წოვა-თუშურიდან შემოსული არამედ ნაჩხებად იმ ნახური ენიდან, რომელსაც პქონდა პრანახურთან დაახლოებული ფორმები. პრანახურში აღადგენენ სწულთა იმ ვარიანტებს, რომლებიც წოვა-თუშურს შემოუნახავს. ჩვენ მიერ ნაგარაუდევო კალტ და მოწ შოგვანია კუთვნილებად ნახთა იმ ტალღისა, რომელიც საქართველოში გადმოსახლებულა ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვამდე (იხ. ზემოთ) და ქართულ გარემოში სრულიად გაქართვებულა. წოვა-თუშები იმ ტალღის არ ეკუთვნიან და ამიტომ აღარ არის საკვირველი, რომ თუშეთის მხოლოდ ოთხ სოფელში, სადაც წოვა-თუშები კომპაქტურად ცხოვრობდნენ, ლაპარაკობდნენ ნახურ ენაზე, ხოლო იქვე ახლის 4-5 კილომეტრით დაშორებულ გომეწრის სოფლებში მხოლოდ ქართულს ენა ისმოდა. კიდევ ვიმეორებთ, თუშეთი რომ ნახური ტომებით ყოფილიყო დასახლებული, როგორც ნ. შარი და ა. შანასე ფიქრობენ, ქართულს აქ ვერაფერ ისწაკლავდა, რადგან ნახურ-დაღესტნურ გარემოში ეს შეუძლებელი იყო. სწორედ ქართულმა მსიანდლებამ შეინარჩუნა შიობლური ენა ამ არაქართულ გარემოში და მოახდინა ნახთა პარკული ტალღის სრული ასიმილაცია.“<sup>62</sup>

თ. უთურგაიძეს დასძული საკითხის სრული ნათელყოფისათვის მოაქვს კიდევ ერთი საინტერესო მაგალითი და მის ანალიზისას დასძენს - „ახლა იმის შესახებ, რატომ ვფიქრობთ, რომ ქართული ენის მთის დიალექტები გაქართველებულ ნახთა ენა კი არ არის, არამედ დიალექტური თავისებურების მქონე ქართული ბუნებისა და წარმოშობის ენაა, ე.ი. სისტემის თვალსაზრისით თითოეულს მათგანი ქართულია, ამავე დროს აქვს მათთვის დამახასიათებელი მორფონოლოგიური სპეციფიკა, რაც ჩვეულებრივია დიალექტთათვის ნებისმიერ ენაში.“<sup>63</sup>

<sup>61</sup> თ. უთურგაიძე, ქართული ენის მოის კილოთა ზოგიერთი თავისებურება, თბ. 1966, გვ.12

<sup>62</sup> იქვე, გვ. 12-13. ხაზგასმა ჩვენია. ვ.ე.

<sup>63</sup> იქვე, გვ. 13

აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებსა და ნახური ენის მკვეთრ განმასხვავებელ მორფოლოგიურ თავისებურებათა თაობაზე მსჯელობისას თ. უთურგაიძე შენიშნავს: „ფრიად განსხვავებულია ქართული და ნახური მორფოლოგიური სისტემებიც. მთის დიალექტები ინახავენ ძველი ქართულის სპეციალურ ფორმებს, როგორცაა: მრავალგნისობის გამოშხატველი II სერიის ძროთადი და შერეული ფორმები, ამავე კატეგორიის გამოშხატველი უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმები; პირდაპირი ობიექტის სიმრავლის გამოშხატველი ძველი ქართულისებური ფორმები II სერიაში, კავშირებითი II ფორმათა წარმოება II სერიაში, როდესაც სუბიექტი მრავლობით რიცხვშია; სუბიექტური პირის სიმრავლის გამოშხატვა III სერიის I და II თურმეობითში და სსყა.“<sup>64</sup>

პროფ. თ. უთურგაიძე მთის ქართული დიალექტებისათვის დამახასიათებელ ამ მორფოლოგიურ თავისებურებათა წოვების ქართულ სასაუბრო ენასთან შედარებისას შენიშნავს: „ის ფაქტი, რომ ვერ ვხედავთ ამ ფორმებს წოვა-თუშთა ქართულ მეტყველებაში, მიუთითებს იმაზე, რომ წოვა-თუშებმა ქართული თუშურ-ხევსურულ-ფშაურ გარემოში კი არ ისწავლეს. არამედ ბარად, კახეთში, სადაც ზოგი ფორმა უკვე გადავარდნილი იყო, ზოგიც გადავარდნის გზაზე იდგა XVIII საუკუნის ბოლოს.“<sup>65</sup>

პროფ. თ. უთურგაიძის რეცენზია-გამოკვლევიდან ჩვენ ყველაფერს არ შევხებთ, მაგრამ რაც გამოვიყენეთ, ჩვენი აზრით, ის სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მკითხველი გარკვეულიყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის წარმომავლობისადმი ნ. მარისა და ა. შანიძის დამოკიდებულების სისწორე-სიყალბეში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რეცენზიაში ეს საკითხი ისეთ მაღალმეცნიერულ დონეზეა განხილულ-გაანალიზებული და გადაწყვეტილი, რომ სადავო და გაურკვეველი აქ არაფერი აღარ არის.

საყურადღებო გამოკვლევა წოვებისა და წოვური ენის შესახებ ეკუთვნის გერმანელ მეცნიერ ადოლფ დირს, რომელიც კავკასიისა და საქართველოს ენებს 1904 წლიდან სწავლობდა. ადოლფ დირი წერდა, რომ „წოვები ენობრივად იმითმე ენათესავენ იან ჩინურ-ქისტურ ტომებს, რომ ისინი თუშეთის მკვიდრნი არ არიან. ქისტეთიდან თუშეთში გადაშლისაღებულნი და გაქრისტიანებული ჩინური წარმოშობისანი არიანო.“<sup>66</sup>

წოვური ენისადმი ადოლფ დირის დამოკიდებულების შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილიც შენიშნავდა, რომ „წოვურის ენობრივის რაობა-ნათესაობის შიშენერისა და უსლარის აზრს ად. დირიც იზიარებდა. მხოლოდ ის

<sup>64</sup> იქვე, გვ. 14

<sup>65</sup> იქვე, გვ. 14, ხაზგასმა ჩვენია, ვ.ე.

<sup>66</sup> А. М. Дирр, Антропологический и этнографический состав Кавказских народов, „Кавказский календарь“, 1910, стр. 548.

წოვებს ადგილობრივ ტომად კი არა, არამედ გადმოსახლებულ და გაქრისტიანებულ წიანსურ ტომად სოფლიდა.“<sup>67</sup>

აღ. ღირის ხსენებულ მსჯელობასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილიდან აქ მოყვანილი ციტატის მიხედვით ა. შავხელიშვილი ფიქრობს, რომ ივ. ჯავახიშვილი მეცნიერს წოვების მოსულობაში არ ეთანხმება და „ა. ღირს აკრიტიკებს.“<sup>68</sup>

ი. ჯავახიშვილს წოვები თუშეთის აბორიგენ მოსახლეობად მიაჩნდა თუ მოსულ ეთნიკურ ერთეულად, ამას ნათლად დაეინახავთ მის მომდევნო მსჯელობაში. წოვების წარმომავლობის საკითხს იგი სპეციალურად შეეხო, სადაც მისი პოზიცია აღძრული საკითხის მიმართ ნათელი და გასაგებია. „ივ. ჯავახიშვილის უახლოესი პერიოდის ნარკვევების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, — შენიშნავს მკვლევარი ვ. ლაგაზიძე, — წოვა თუშების თავდაპირველი საცხოვრისი უნდა ყოფილიყო იორ-არაგვისა და ლეხურა-ქსნის ხეობაში.“<sup>69</sup>

მკვლევარი ვ. ლაგაზიძე არ არის სწორი. ივ. ჯავახიშვილს ასე არ უთქვამს. იგი გასაგებად ამბობს, რომ: „...წოვანი ლეხურა-იორის შუამოქცეულ მაწაწყალზე დასახლებამდე მრავალი საუკუნით უწინარეს გაცილებით უფრო სამხრეთით, ტიგროსისა და მისი შემდინარების არეში ყოფილა დაბინაჲებული.“<sup>70</sup>

აქოლფე ღირის შემდეგ წოვების შესახებ საყურადღებო შენიშვნები აქვს გაკეთებული რ. ერისთავსა და ი. ცისკარიშვილს. ერთიცა და მეორეც პირდაპირ მიუთითებენ, რომ: „Цова. или Цовское общество, есть племя Кистинское. самобытное, галганского происхождения. не утратившее еще природного своего языка.“<sup>71</sup> „Тушини Цовского общество происходят от Кистинского племени общества Галга.“<sup>72</sup>

ა. შავხელიშვილი ი. ცისკარიშვილის აღნიშნულ დასკვნას „არასწორ დებულებას“ უწოდებს,<sup>73</sup> საწინააღმდეგოს კი არაფერს ამბობს.

თუშებისა და თუშეთის შესახებ ბევრი საინტერესო დასკვნა და ცნობა მოიძებნება აკად. ნ. დუბროვინთან. ნ. დუბროვინი თუშ-შავხელურების ცხოვრებიდან ეხება მრავალ საკითხს, მათ შორის ამ ტომთა წარმომავლობასაც. ნ. დუბროვინის დახასიათებით, წოვათა საზოგადოების თუშები ქისტურნი

<sup>67</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, 1950, გვ. 48.

<sup>68</sup> ა. შავხელიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 40

<sup>69</sup> ვ. ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიიდან, „მაცნე“, №4, 1965, გვ. 75

<sup>70</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 49

<sup>71</sup> Р. Эрнстов. Записки о Тушино-Пишаво-Хевсурском округе, К., 1854, №43

<sup>72</sup> И. Цискаров. Картина Тушетии. К., 1846, №50

<sup>73</sup> ა. შავხელიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 47

წარმოშობისანი არიან და მიეკუთვნებიან ღლილვთა საზოგადოებას. ნ. დუბროვინი ეხება აგრეთვე წოვა-თუშების მოსულობის საკითხსაც და გადმოცემებზე დაყრდნობით აღწერს, თუ როგორ მოხდა წოვების დასახლება თუშეთში.<sup>74</sup>

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი ინტელიგენცია დიდად დაინტერესებულა ადრული საკითხით და მრავალ ისტორიკოს-ენათმეცნიერსა და ეთნოგრაფს საგულისხმო დასკვნები გაუკეთებია თუში ტომის შესახებ, თუში ტომის ოთხი თემის, ოთხი საზოგადოების ენობრივი განსხვავებულობის შესახებ.

გასული საუკუნის მკვლევართა უძრავლესობა თუში ტომის შესახებ თითქმის ერთსა და იმავე აზრს იზიარებს და აღნიშნავს, რომ თუშები აშეამად ოთხ საზოგადოებას შეადგენენ: წოვათის, ჩაღმის, გომეწრისა და პირიქითის. მათგან სამი უკანასკნელი თემი „წარმოადგენს უტყუარ საბუთის თაყიანთი ქართველობის მოდგმისას“, ხოლო წოვები არიან გაქართველებული ქისტები და ლაპარაკობენ ქართულ-ქისტურ ენაზეო.<sup>75</sup>

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში წოვების და თუშების შესახებ მსჯელობისას ზოგიერთი მკვლევარი იქამდე მიდის, რომ წოვებს „გადაგვარებულ“ ქისტებს უწოდებს, ხოლო მათს ენას „დედინაცვლის“ ენას და სხვ. ასე მსჯელობდა, მაგალითად, 1896 წელს გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნებული ერთი წერილის /„სოფელი ალვანი“/ავტორი ფშავლიშვილი /გრ. აფშინაშვილი/.<sup>76</sup>

გრ. აფშინაშვილის აღნიშნულ წერილს დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია წოვების ინტელიგენციის წარმომადგენლებში. მართალია, ფშავლიშვილის საპასუხო წერილი გამოქვეყნებული ვერსად ენახეთ, მაგრამ ჩვენ გვაქვს ხელნაწერის სახით დ. ალბანელის (დ. ქადაგიძის) საკმაოდ ვრცელი წერილი – „ივერიის „მეტიჩრობა“, რომელიც საყურადღებო პასუხს იძლევა წოვური ენისა და წოვების შესახებ.

დ. ალბანელის დასახელებული წერილი რვეულის 9-ფურცელნახევარია, რომლიდანაც ფურცელნახევარი ეხება გაზ. „ივერიის“ მუშაობის ნაკლოვან მხარეებს და „ივერიის“ ფურცლებზევე გამოქვეყნებულ ცნობას წოვური ანბანის შესახებ. წერილის დანარჩენი ნაწილი შეადგენს ფშავლიშვილის წერილის პასუხს. დ. ალბანელს თავის წერილში მოჰყავს ფშავლიშვილის სიტყვები წოვური ენის „დედი-ნაცვლობისა“ და ქისტური ენის „წოვურით“ მონათლულობის შესახებ და ილაშქრებს ასეთი დახასიათების წინააღმდეგ.

ფშავლიშვილის მიერ წოვური ენის შესახებ გამოთქმულ მცდარ შეხედულებათა პირუთენელი კრიტიკის შემდეგ, დ. ალბანელი დაასკვნის, რომ

<sup>74</sup> Н. Дубровин. История войны и владычества русских на кавказе. т. I, кн. II. С-ПБ. 1871. стр. 281-282

<sup>75</sup> ალ. ხახანაშვილი. მგზავრის დღიურიდან. „ივერია“, №173, 1888; შდრ. მისივე. Тушины. ЭО. №2. 1889. გვ. 6.

<sup>76</sup> ფშავლიშვილი, სოფ. ალვანი, „ივერია“, №36. 1896



„წოვა-თუშები არიან ჩამოშავლობით, ნათესაობით ჩაჩნელების მოდგმის ხალხი და როგორც ამითანებს აქვთ თავისი საკუთარი დედაენა და არა „დედინაცვალი“, წოკური და არა „წოკური“, ბუნებითი ენა და არა „მონათლული ენა“. „ქართველ ერს, - დასძენს დ. ალბანელი, - სხვათაშორის, ერთი მეტად კარგა თვისება აქვს: ეს ერი ყველა ხალხს თავის ქვეყანაში ექცეოდა ერთნაირად, ისე როგორც თავის თავს. ესევე ექცეოდნენ წოკებსაც, რომლებიც (თუშცა მაშინაც წოკურად ლაპარაკობდნენ) სამაგიეროს უხდიდნენ ქართველებს - საერთო სამშობლოს. ამას ამტკიცებს საქართველოს ისტორია“.<sup>77</sup>

თუში ტომის, კერძოდ, მისი ოთხი თემის ენობრივი თუ წარმომავლობის საკითხი შემდგომშიც დიდ ინტერესს იწვევს ისტორიკოს-ეთნოგრაფებსა და ენათმეცნიერ-მკვლევრებს შორის.

თუშეთის შესწავლისათვის როგორც ისტორიული, ისე ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ნაყოფიერი მუშაობა აქვს ჩატარებული პროფ. სერგი მაკალათიას, რომელიც ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით პირდაპირ შენიშნავს, რომ „ქურძუკთა ტომს ეკუთვნის თუშეთში გადმოსახლებული წოვა-თუშები, რომლებიც თავიანთს ენით ენათესავენ ბურძუკთა ტომს დღიღვს (ღაღღა) და დღესაც ამ ენაზე მეტყველებენ“.<sup>78</sup>

XX საუკუნის 10-იან წლებში ა. შანიძემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მანამდე თუშურ ენად წოდებულ წოკურსა და ქართულად მოსაუბრე თუშების ენას. ა. შანიძეს მათში დიდი სხვაობა დაუნახავს. იგი აღნიშნავდა: „როცა თუშურზე ვსაუბრობ, მხედველობაში მაქვს მხოლოდ ქართულად მოსაუბარი თუშების ენა, ერთი საზოგადოების თუშები, სახელდობრ წოვა-თუშები, ქისტების მოდგმისა არიან და თუშცა ლაპარაკობენ თავის ენაზე, მაგრამ შიგ ბევრ ქართულს ურევენ“.<sup>79</sup>

ა. შანიძე თუშური კილოს დახასიათებისას კვლავ განმარტავს, რომ „აქ რასაკვირველია, საუბარი ჩაღმა-თუშების ენაზე, რომელნიც ქართულად ლაპარაკობენ, და არა წოვა-თუშებისაზე, რომელთაც საკუთარი ენა აქვთ“.<sup>80</sup>

ა. შანიძემ წოკური ენისა და ქართული ენის თუშური კილოს ურთიერთგანსხვავებისათვის იხმარა საენათმეცნიერო ტერმინები - წოვა-თუშური (ტერმინები: ჩაღმა-თუშური და წოვა-თუშური, მართალია, სხვაგანაც გვხვდება,

<sup>77</sup> დ. ალბანელის კორესპოდენცია - „ივერიის „მეტიჩრობა“ - გადმოგვცა დოც. ალ. გვენცაძემ. რისთვისაც დიდ მადლობას უძღვნით. ხსენებული წერილი გადაეცემა თელავის სახელმწიფო-ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს; იხ. შემოსულობის წიგნი №3, ნაბ. 6352

<sup>78</sup> ა. შანიძე, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტ. საკ., ტ. I, 1957, გვ.11.

<sup>79</sup> იქვე, გვ.239

<sup>80</sup> იქვე, გვ.239

მაგრამ მეცნიერმა მათ უფრო განუმტკიცა საფუძველი) და ჩაღმა-თუშური, რომელნიც დროთა ვითარებაში სატომო სახელებად იქცნენ და დღეისათვის ეს სახელები იღენად გავრცელებულია, რომ ცალკე სატომო სახელს თუშს (თუ თვით თუშებს არ მივიღებთ მხედველობაში) თითქმის აღარავინ ხმარობს და თუ ხმარობენ, იქვე მიუთითებენ, რომ საუბარი აქვთ ჩაღმა-თუშებზე და არა წოვა-თუშებზე.

ამოსავალი ჩვენთვის ორი ტერმინია – წოვა და თუში. წარმოშობით ორივე სხვადასხვა ტომის სახელია.

როგორ გაჩნდა გამოთქმა – წოვა-თუში?

თუშეთში ცხოვრებამ და ადგილობრივ მოსახლეობასთან დაახლოებამ წოვებს თუშობის სახელი მოუპოვა. როგორ და რა გზით მოხდა წოვების თუშებად გაცნობა, ამის შესახებ უკვე ითქვა, ხოლო იმის გამო, რომ წოვები წარმოშობით ჩქნურ-ინგუშურ-ქისტურ მოდგმისად იყვნენ მიჩნეულნი და ქართულთან ერთად სხვა ენაზეც ლაპარაკობდნენ, ქართულ ენაზე მოლაპარაკე თუშებისაგან განსხვავებულად დაარქვეს წოვა-თუშები, ქართულ ენაზე მოსაუბრე თუშებს კი – ჩაღმა თუშები.

ტერმინ „წოვა-თუშის“ გაჩენის თაობაზე ჩვენს მსჯელობას არ იზიარებს ა. შავხელიშვილი.<sup>81</sup> ასეთი მოსაზრება და მსგავსი დასკვნა კი ამჯერად ადრე გააკეთა ვ. ლავაზიძემაც, მაგრამ რომც არაღის არაფერი ეთქვა, ვფიქრობთ, მას არავითარი სხვაგვარი დასაბუთება არ სჭირდება, რადგან თუშეთის ეთნიკური თავისებურება და სათემო სახელწოდებანი: წოვა და ჩაღმა (ჩაღმაში ერთიანდება თუშეთის სხვა თემებიც – გომეწარი და პირიქითი) მხოლოდ აღნიშნული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს.

ტერმინი – „ჩაღმა“ თუშეთის ერთ-ერთი თემისა და კუთხის სახელია და სატომო სახელად ვერ გამოდგება.

ის ქართველი ტომი, რომელსაც ახლანდელი თუშეთის ტერიტორია დაუსახლებია, თუშეთის გეოგრაფიული მდებარეობის გამო თავიდანვე დანაწილებულა და დასახლების ხუთი უბანი შეუქმნია: ჩაღმა, ჭანჭახოვანი, გომეწარი, ივანაურთა და პირიქითი. დროთა ვითარებაში დასახლების ეს გეოგრაფიული სახელები თემის სახელებადაც იქცა და მივიღეთ ხუთი თემი, ხუთი საზოგადოება: ჩაღმის, ჭანჭახოვანის, ივანაურთის, გომეწარისა და პირიქითისა. ამის შემდეგ ნათელი ხდება, რომ „ჩაღმა“ თუშეთის ერთი თემისა და კუთხის სახელია და არა სატომო სახელი. თუ ვიტყვი – ჩაღმა-თუში, მაშინ უნდა ვთქვათ სხვა საზოგადოების თუშებზეც: გომეწარელი თუში, ჭანჭახოვნელი თუში, პირიქითელი თუში და სხვ. რადგან ჩაღმა-თუში, თუკი საკითხს ობიექტურად მივუდგებით, ყველა თუშს არ ნიშნავს, არამედ პირობითი ტერმინია, ისტორიული თვალსაზრისით უფრო სწორი იქნება ვთქვათ, „თუში“ და არა „ჩაღმა-თუში“.

<sup>81</sup> ა. შავხელიშვილი. დასახ. შრომა, გვ. 40

საქართველოს მთისა და ბარის ბინადარნი არიან”.<sup>21</sup> წოვების წარმო-  
მავლობის შესახებ ა. შავხელიშვილის მსჯელობა ვერ აკმაყოფილებს ისტ.  
მეცნ. დოქტორს, პროფ. ჯ. სტეფნაძეს და შენიშნავს: „თუ წოვები დანარჩენი  
თუშების მსგავსად იმთავითვე ქართველი ხალხის შემადგენლობაში  
შედიოდნენ, როგორც ეს ავტორის მიაჩნია, რატომ აქეთ მათ ქარ-  
თულისაგან განსხვავებული ენა?“<sup>22</sup> აქვე ჯ. სტეფნაძე დასძენს, რომ  
„ავტორს გადასაჭრელი რჩება წოვათა ენის პრობლემა. ცნობილია,  
რომ ეს ენა სიასლოვეს ავლენს ჩეჩნურ-ვინაზურ ენებთან“.<sup>23</sup>

ჯ. სტეფნაძე სარეცენზიო წერილში თვითონ შეეცადა მოეცა ახსნა-  
განმარტება იმ ენობრივ თავისებურებათა შესახებ, რაც წოვებს გააჩნიათ, რო-  
გორც ორენოვან ხალხს. მკვლევარს დასაშვებად მიაჩნია განაცხადოს, რომ  
წოვებს, რომელთაც „ქართულისაგან განსხვავებული ენა აქეთ“ ნაყოფი  
უნდა იყოს იმ მოვლენისა, „რომელიც ე.წ. „მთის ჩამოწოლით“ არის ცნობილი“.<sup>24</sup>  
იგი ამ პროცესს საკმაოდ ფართოდ იხილავს და შენიშნავს, რომ: „ფფიქრობთ,  
ამ მოვლენას უნდა პქონოდა ადგილი თუშეთში, როცა მის ზოგიერთ  
მხარეში წრდილო-კავკასიური ეთნიკური ერთეულები ჩამოსახლდნენ“.<sup>25</sup>

ჯ. სტეფნაძე აღძრულ საკითხზე იძლევა მრავალმხრივ საინტერესო  
და ლოგიკურ დასკვნას, რაც უეჭველად გათვალისწინებულ უნდა იქნეს.  
რეცენზიაში ვკითხულობთ, რომ: „მხარის (თუშეთის, ვ.ე.) უჭველესი  
ქართული ტომონიშები, მეურნეობის და განსახლების საერთო ქართული  
სახე, მოსახლეობის ანთროპოლოგიური მსგავსება ქართველებთან და სხვ.  
იმაზე მიუთითებს, რომ ამ ტერიტორიაზე ადგილი პქონდა ადგილობრივ  
ქართულ და ჩეჩნურ-ინგუშურ მოსახლეობათა შერევას. მართალია, ამ  
პროცესში ხაგრძობა გაყვლინა კერძო მიახდინა ქართულ ენაზე, მაგრამ მის  
პარალელურად მხარეში (თუშეთის ერთ კუთხეში - წოვათაში, სადაც  
წოვების კომპლექტური დასახლება მოხდა, ვ.ე.), ჩამოსახლებულთა ენაც  
გაყრცელდა. ამ ენის არსებობას დღემდე აპირობებს ჩეჩნეთ-ინგუშეთის  
სიანდლოვე“.<sup>26</sup>

თუშებისა და წოვა-თუშების იგივეობა-განსხვავებულობის დასადგენად  
ერთ-ერთი მთავარი მნიშვნელობა სწორედ იმას აქვს, რომ თუშები მხოლოდ  
ქართულად ლაპარაკობენ და არც ერთმა მათგანმა არ იცის წოვური, ხოლო  
წოვა-თუშები ორენოვანი ხალხია: შესანიშნავად ფლობენ ე.წ. წოვურ ენას  
და ქართულადაც კარგად ლაპარაკობენ.

<sup>21</sup> ჯ. სტეფნაძე / ა. შავხელიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტო-  
რიიდან, 1977 წ. „მაცნე“, №1. 1978. გვ. 197.

<sup>22</sup> „მაცნე“, №1, 1978. გვ.197.

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> ჯ. სტეფნაძე. დასახლებული შრომა, გვ. 197.

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> იქვე.

წუბენი, წობონო და წობონოს მთის და თუშეთში მოსახლე ტომის სახელ წოვას სახელების მსგავსების უარყოფა? რაკი მსგავსება ცხადია, შემთხვევითი ხომ არ იქნება ეს მსგავსება? ამიტომაც თავისთავად იბადება აზრი, რომ ეს სახელები წოვთა ტომის ლეხურა-ქსისა და არაგვ-იორის ხეობათა შორის მდებარე ფართობზე ოდინდელი სახლობისა და ბინადრობის მაუწყებელი-გამომჟღავნებელი ნაშთი უნდა იყოს“.<sup>86</sup> დიდი მეცნიერი იქვე დასძენს: „მაგრამ უჭკველია, არც საქართველოს მიწა-წყლის ზემო აღნიშნული შუა ნაწილის ზოლი იყო ამ წოვთა ტომის თავდაპირველი ბინადრობის ადგილი. აქაც ისინი უნდა სხვაგანთგან იყვნენ მოსულნი. მათი უფრო ადრინდელი ბინადრობის მიწა-წყლის მონებებს ამ შემთხვევაშიც გეოგრაფიული სახელი გვშეველის. უკვე სტრაბონსა აქვს აღნიშნული, რომ მის დროს და უფრო ადრეც სომხებს ეპყრათ სხვათაშორის ერთი თემიც, რომელსაც სო ენე ეწოდებოდა. ბერძნულად ამ თემის მეორე ნაწილს სო ანენე-ს ეძახდნენ, მისი სომხური სახელი კი იყო წოფქ. ასურები ამავე ქვეყნის მცხოვრებთა სახელად ცოფანაი-ს ხმარობდნენ.“<sup>87</sup> ყოველივე აღნიშნულის შემდეგ აკად. ივ. ჯავახიშვილი დაასკვნის: „ამრიგად, ამ ქვეყნისა და ერის სახელად წოფან და წოფენი გვრისება. საკპარისაა ქართული წობენი გავისსენოთ, რომ წოფენი და წოფანი-ს ტომობრივ-გეოგრაფიული რაობის მასთან იგივეობის აზრმა გავგიეღვოს, რადგან ძნელი დასაჯერებელია, რომ აქ ორი სხვადასხვა ტომის სრულდებით მსგავს სახელთან გექნდეს საქმე. მაშასადამე წობენნი, ანუ წოვანი ლეხურა-იორის შუა მოქცეული მიწა-წყალზე დასახლებამდე მრავალი საუკუნით უწინარეს გაცილებით უფრო სამხრეთით, ტიგროსისა და მისი შემდინარების არეში ყოფილა დაბინავებული“.<sup>88</sup>

აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის აღნიშნული გამოკვლევა წოვების წარმომავლობის შესახებ მოყვანილი გვაქვს ჩვენს ერთ ადრინდელ სტატიამში,<sup>89</sup> რომელსაც ა. შავხელიშვილი ეხება და შენიშნავს, რომ: „როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილი გარკვევით მიუთითებს ეთნონიმ წოვას წარმომავლობის შესახებ. ვ. ელანიძის მტკიცება, რომ ივ. ჯავახიშვილი წოვათა ეთნოსს არ მიიჩნევს ადგილობრივად, ნამდვილის გაყალბებაა“.<sup>90</sup>

ჩვენს ოპონენტს მისივე სიტყვებით შევახსენებთ, რომ: „ივ. ჯავახიშვილი (მართალია, რომ, ვ. ე.) გარკვევით მიუთითებს ეთნონიმ წოვას

<sup>86</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი. წიგნი პირველი, 1950, გვ.48.

<sup>87</sup> იქვე, გვ. 48

<sup>88</sup> იქვე, გვ. 49

<sup>89</sup> ვ. ელანიძე, შენიშვნები თუშთა წარმოშ. ისტორიისათვის, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. V, 1964, გვ. 53-63.

<sup>90</sup> ა. შავხელიშვილი, თუშეთი, გვ. 10, 1987.

წარმომავლობის შესახებ“, რომელსაც მხოლოდ სწორად წამკითხველი ესაჯიროება. იგი ხომ თავის მსჯელობას ძალიან ნათელი დასკვნით ამთავრებს, სადაც კარგად ჩანს, წოვები საქართველოში მოსულები არიან თუ ადგილობრივნი. მეცნიერი დასძენს: „მამასადამე, წობენნი, ანუ წოვანი ღვებურაიორის შუამოქცეულ მიწაწყალზე დასახლებამდე მრავალი საუკუნით უწინარეს გაცილებით უფრო სამხრეთით, ტიგროსისა და მისი შემდინარების არეში ყოფილა დაბინაყებული“.

აკად. გ. მელიქიშვილი რამდენჯერმე შეეხო წოვათა ტომის საკითხს და ყველგან იზიარებს ამ ტომის შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ გაკეთებულ დასკვნებს და შენიშნავს, რომ „წოვ“-ების ჩეჩნური ტომის სახელს ჩვენ I ათასწლეულის პირველ ნახეარში, ასურეთისა და ურარტუს ხანაში, ვხვდებით აშიერ-კაკასიის სამხრეთით, ჩრდილო-მესოპოტამიის ერთ-ერთი ქვეყნის სახელად ურარტული წარწერების „ცოფ-ანი“, სომხური წყაროების „წოფქ/და სხვ.“<sup>91</sup>

როგორც ჩანს, წოვებს თუშეთში მოსვლამდე სრულიად სხვა გზა აქვს გაკლილი და ამკარა ინდივიდუალობით ხასიათდება, მაგრამ როგორც შევნიშნეთ, ღროთა ვითარებაში ისინი (წოვები და თუშები) ერთმანეთს დაუახლოვდნენ. ზემოთ ხშირად ნახსენები ტერმინი „წოვა-თუში“ ისტორიული პროცესის შედეგია და მისი კუთვნილებაა.<sup>92</sup>

მიუხედავად წოვების თუშებთან დაახლოვებისა, წოვურმა ენამ თავისი არსებობა შეინარჩუნა.

ენის ისტორიის თვალსაზრისით ენათმეცნიერებმა საჭიროდ მიიჩნიეს გაემიჯნათ ერთმანეთისაგან, ე.წ. „წოვა-თუშური ენა“ და „თუშური კილო“. ეს ფაქტობრივად ასეცაა და დღეისათვის ენათმეცნიერები „წოვა-თუშურის“ ნაცვლად უმთავრესად ხმარობენ „ბატბურ ენას“, ხოლო „ჩაღმა-თუშურის“ მაგიერ – „თუშურ კილოს“. პროფ. თ. უთურგაიძე 1960 წ. წერდა: „შეიძლება, რომ წოვების ენისათვის „წოვა-თუშური“ გვეწოდებიან, ხოლო თუშურისათვის „ჩაღმა-თუშური“ ან „ქართულ-თუშური“. მაგრამ აქ უხერხულობას ქმნის კომპოზიტების მეორე ნაწილი – „თუშური“, რადგან სულ სხვადასხვა წარმომობის ენები დაახლოვებით ერთი სახელის ქვეშ ერთიანდება. ეს შეიძლება ზოგჯერ შეცდომის სათავე გასდეს“.<sup>93</sup>

საენათმეცნიერო ლიტერატურაში, აღნიშნულიდან გამომდინარე, დამკვიდრება იწყო ბატბურმა ენამ და იშვიათადლა იხმარება წოვა-თუშური ან

<sup>91</sup> გ. მელიქიშვილი. ურარტუ, 1951. გვ. 132; იხ. მისვე, ქართველი ხალხის წარმომობის საკითხისათვის, 1953, გვ. 13. საქართველოს, კაკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, 1965, გვ. 185. 202; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I. 1970, გვ. 360 და სხვ.

<sup>92</sup> ვ. ლავაზიძე, თუშეთის ისტორიიდან /XVII-XVIII სს./ „მაცნე“, №4, 1965, გვ. 76

<sup>93</sup> თ. უთურგაიძე. თუშური კილო, 1960, გვ. 2

წოვური ენა, რადგან „თვით წოვები თავიანთ თავს ბაცბებს ეძახიან“.<sup>94</sup> ერთი მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ასეთმა კვლევა-ძიებამ და საკითხის ამგვარად გადაწყვეტამ თავიდან აგვაცილა ის უხერხულობა, რაც ტერმინ „წოვა-თუშურთან“ იყო დაკავშირებული. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ თავისებური გართულებაც გამოიწვია; დაახლოებით ათასკომლიანი მოსახლეობის ენას უმკვიდრდება ტერმინი „ბაცბური“, როცა მათ გამოსახატავად დღეს კვლავ იხმარება: წოვა-თუშები, წოვები, ხოლო „ბაცბა“, როგორც ტომობრივობის აღმნიშვნელი იშვიათად გვხვდება.

მრომის წინა ნაწილში ნაჩვენები იყო, რომ წოვური ენისათვის თუშურის დარქმევამ მეცნიერებაში გარკვეული კრიტიკა გამოიწვია. წოვური ენის გვერდით ქართული ენის თუშური კილოს არსებობამ დღის წესრიგში დააყენა ამ ენათა გამოცალკევებით შესწავლის თუ ზუსტი ტერმინების საკითხი. შეუთავსებელი ხდებოდა ერთსა და იმავე დროს ყოფილიყო „თუშური ენაც“ და „თუშური კილოც“. შემდგომ ჩნდება ტერმინები „წოვა-თუშური“ და „ჩალმა-თუშური“. მაგრამ ამჟამად, თანამედროვე ენათმეცნიერების განვითარების შუქზე, წოვასა და ჩალმაზე კომპონენტ თუშის დართვა მთლად უარყოფილ იქნა და წოვური ენის გამოსახატავად უმთავრესად მიღებულია ბაცბური. ჩვენი აზრით, საკითხის ამდაგვარი დაყენება ნავარაუდევია ძირითადად იმისათვის, რომ წოვური ენა გაიმიჯნოს თუშურისაგან, ე.ი. მას არ ერქვას თუშური ენა, რადგან სინამდვილეში არსებობს თუშური კილო და არა თუშური ენა.

ტერმინ წოვა-თუშის დაზუსტებისა და წოვა-ს, როგორც ოდითგანვე სატომო სახელად არსებობა-გამოვლინების შემდეგ, ისმის საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად სწორია წოვური ენისათვის ბაცბურის დარქმევა. ბააცა, ბააცაოი-ჩეჩნურ-ინგუშურ-ქისტურად თუშს ნიშნავს. ბააცა ისეთივე სატომო სახელია ნახური ტომებისათვის თუშის გამოსახატავად, როგორც ლეკებისათვის – მოსოქი, მესეკი. „ლეკები თუშებს მოსექებს ეძახიან, ქისტები კი ბაცუოი-ს“.<sup>95</sup> „ქისტები თუშებს ეძახიან ბააცაი-თუში“.<sup>96</sup>

ჩეჩენ-ინგუშეთში გადასულ თუშს, თუ იქიდან გადმოსული ჩეჩენ-ინგუში და ქისტები თუშებს ბააცა-ს (თუშს) ბააცაი-ს (თუშებ-ს) უწოდებენ. ისინი თუშეთის თემობრივ განსხვავებულობას არ ღებულობენ მხედველობაში და საერთოდ თუშეთის მოსახლეობას, ე.ი. თუშებს ბააცა-ს ეძახდნენ. ა. შაეხელიშვილი წერს: „Горные чеченцы называют и чагма-тушин и цова-тушин (бацби) – “бацой.“<sup>97</sup> თუშეთსაც ჩეჩნები, ქისტები და სხვები ბააციო-ს

<sup>94</sup> თ. უთურგაიძე. თუშური კილო, 1960, გვ. 2

<sup>95</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, 1933, გვ. 15 (ხაზი ჩვენია, ვ.ე.)

<sup>96</sup> გიორგი ბოჭორიძე, თუშეთი, 1993, გვ. 301.

<sup>97</sup> А. Шавхелишвили, из истории взаимоотношений между Грузинским и Чечено-ингушским народами, 1963, стр. 43

ეძახდნენ და ახლაც ეძახიან „Тушеттию горные чеченцы называют „баца““.98 შემდგომ ა. შავხელიშვილი აღნიშნავს: „Когда горный чеченца направляется в тушеттию то говорят: „Баца вахана“, безразлично, и ушел ли он Чагма-тушеттию или к бацбийцам““.99

აქ ავტორის მიერ ნახმარი ტერმინი – „ჩაღმა-თუშეთი“ არ არის სწორი. იგი დამახინჯებული და უხეში გამოთქმაა იმ საყოველთაოდ აღიარებული გეოგრაფიული სახელისა, რომელსაც „თუშეთი“ ეწოდება და არა „ჩაღმა-თუშეთი“.

ბანკისში დასახლებული ქისტები თუშებს „ბააცა“-ს ეძახიან, ხოლო თუშეთს – „ბააცი“-ს.

თუშეთში ხანგრძლივი დროის მანძილზე ცხოვრებამ წოვებს შეუქმნა მყარი პირობები, რომ მათ წოვობასთან ერთად თუშებისა და ბაცბების სახელიც მიეღოთ. დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში მათ შესახებ იყენებენ ტერმინებს: წოვა, წოვა-თუში, ბააცა, მათს ენას კი უმთავრესად ბაცბურს უწოდებენ.

წოვების წარსულ ისტორიას რომ თვალი გავადევნოთ, XIX საუკუნის დასასრულამდე და XX საუკუნის 40-იან წლებამდეც კი, საენათმეცნიერო ლიტერატურასა თუ სხვა ოფიციალურ წყაროებში წოვების ენას თუშურს, წოვურს, წოვა-თუშურს უწოდებდნენ და იშვიათად ბაცბურს. ჩვენ უფრო სამართლიანად მიგვაჩნია წოვების ენას ეწოდებოდეს წოვური ენა ან წოვა-თუშური და არა ბაცბური. „ხელოვნურად შეთხზული სახელების მაგიერ, ძველად არსებული სახელების განახლება სჯობია“.<sup>100</sup>

აკად. ივ. ჯავახიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ გამონაკლის შემთხვევაში ხმარობს წოვურის აღსანიშნავად ბაცბურს („წოვური ან ბაცბური“), უპირატესობას აძლევს სახელს – „წოვური ენა“ ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხსაც დიდი მეცნიერი წოვებს უწოდებს და არა ბაცბებს.<sup>101</sup>

„წოვა-თუშური ენისა“ თუ „წოვური ენის“ ნაცვლად „ბაცბური ენის“ შემოტანა, ხოლო წოვა-თუშების „ბაცბებად“ მოხსენება არასწორად მიაჩნია ისტორიკოს გ. ყორანაშვილსაც და შენიშნავს, რომ: „წოვა-თუშურის“ ნაცვლად შექმნილი „ბაცბური“ უადრესად ხელოვნურია, რამდენადაც „ბაცბებს“ ჩაჩიან-ინგუშები, აგრეთვე პანკისელი ქისტებიც, მხოლოდ წოვა-თუშებს კი არა, საერთოდ თუშებს (რა თქმა უნდა, წოვა-თუშების

<sup>98</sup> А. Шавхелишвили, из истории взаимоотношений между Грузинским и Чечено-ингушским народами. 1963, стр. 43

<sup>99</sup> იქვე.

<sup>100</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი, 1937, გვ.97.

<sup>101</sup> იქვე, გვ. 32. 148.

ნათვლით) უწოდებენ. ასე რომ გამართლება არა აქვს ამ ეთნონიმით მხოლოდ წოვა-თუშების გამოყოფას.<sup>102</sup>

პროფ. გ. ყორანაშვილი, რა თქმა უნდა, მართალია, როცა დასძენს, რომ წოვური ენისათვის ბაცბური ენის დარქმევა „უაღრესად ხელოვნურია“ და მას „გამართლება არა აქვს“-ო. მაგრამ მეცნიერს ვერ დავეთანხმებით, როცა შენიშნავს, რომ ჩჩჩ-ინგუშების მსგავსად პანკისელი ქისტებიც მარტო წოვა-თუშებს კი არ უწოდებენ „ბაცბებს“, არამედ თუშეთის ყველა მოსახლეობასო.

პანკისელი ქისტები, რომლებიც ტერიტორიულად წოვა-თუშებთან ახლოს ცხოვრობენ და მათ ზედმიწევნით იცნობენ, ისინი წოვებს თუშებად არ სცნობენ და არც ამ ტერმინებით მიმართავენ: „თუში“ ან „წოვა-თუში“. ტერმინებს: „წოვა-თუშს“ და ბააცას წოვების გამოსახატავად არ ხმარობენ. პანკისელი ქისტები წოვებს „ვეფფი“-ს და „ვაბო“-ს ეძახიან. თუ „ვეფფი“ და „ვაბო“ რას ნიშნავს ამის შესახებ მკითხველი ამავე პარაგრაფში ბევრ საინტერესო დეტალს გაეცნობა.

XVII-XIX საუკუნეებში თუშებსა და წოვებს არაერთხელ უსახელებიათ თავი ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლებში. ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლება ხშირად არც კი ანსხვავებდა ერთიმეორისაგან წოვებსა და თუშებს. თვით წოვებიც თუშების სახელით მოქმედებდნენ. ოფიციალურ წყაროებსა და ლიტერატურაში ჩვენ ისინი გვხვდებიან წოვების, წოვა-თუშებისა და თუშების სახელით. მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნეში ყველა მკვლევარს მიაჩნდა, რომ წოვები ქისტურ-ჩჩჩური წარმომავლობისანი იყვნენ, ისინი სამეცნიერო ლიტერატურაში თუ საარქივო მასალებში წოვა-თუშებად, თუშებად და თუში ტომის ერთ საზოგადოებად – წოვთა საზოგადოებად არიან ცნობილნი. XIX საუკუნის მეკლევრებს წოვებისადმი, როგორც თუშებისადმი, ასეთი მიდგომის საფუძველს უქმნიდა ის გარემოება, რომ თუშებისა და წოვების მრავალსაუკუნოვანმა ერთიანობამ თანდათანობით მოშალა აშკარა ტომობრივი თუ სხვა ურთიერთ განმასხვავებელი ზღვარი მათ შორის და წაიშალა არსებითი ხასიათის განსხვავება. თუმცა წოვა-თუშებმა დღემდე შეინარჩუნეს ვაინახური ენა, ყველა მათგანმა ქართული ენაც შესანიშნავად იცის.

მკითხველში ალბათ გაუგებრობას აღარ იწვევს და იგი დაგვეთანხმება კიდევ, თუ ვიტყვით, რომ წოვური (წოვა-თუშური) ენისათვის ბაცბური ენის დარქმევა არ არის სწორი, რადგან ვაინახური ხალხების (ქისტების, ჩჩჩების, ინგუშების) ენაზე ბაცბური ენა ნიშნავს თუშურ ენას, თუშური ენა კი არ არსებობს და არის ქართული ენის თუშური კილო – „...ნათვლით ლინგვისტურად ყშაურ, ჩეჩსურულ და შიხეურ დიალექტებთან ერთად

<sup>102</sup> გ. ყორანაშვილი, „სრულ ერთობილი თუშნი“, გაზ. „თბილისი“, 9 დეკემბერი, 1987.



ქართულ კილოთა. ე. წ. ფხოკურ ჯგუფში ერთიანდება.<sup>103</sup> აღნიშნულთან ერთად ისიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ ვიანახები ოდითგანვე „ბააცა“-ს და „ბააცვი“-ს თუშებს და თუშეთს უწოდებენ და არა წოვებს. წოვები ხომ თუშეთში გვიანი შუა საუკუნეების დღემდის ზუსტად დაუდგენელ დროში მოვიდნენ და მერეღა მიიღეს თუშობაც და ბაცობაც. ვიანახები თუშებისა და თუშეთის აღმნიშვნელად კვლავ იმავე ტერმინებს იყენებენ ხოლო წოვებს კი „ვეფფი“-ს და „ვაბო“-ს უწოდებენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ყოველგვარ მეცნიერულ საბუთიანობას, დამაჯერებლობასა და ობიექტურობას მოკლებულია ა. შავხელიშვილის მსჯელობა ტერმინ ბააცას შესახებ. იგი ამ საკითხს თუშეთის ისტორიის თაობაზე დაწერილ ორივე გამოკვლევაში ეხება და არსად მის თაობაზე სინამდვილეს არ ამბობს. იმის ნაცვლად, რომ მკითხველს უთხრას ბააცა ისეთივე სატომო სახელია ნახური ტომებისათვის თუშის გამოსახატავად, როგორც დიდო-ლეკებისათვის მოსოქი – „ლეკები თუშებს „მოსოქ“-ებს ეძახიან, ქისტები კი ბაცუი“-ს<sup>104</sup> იგი სულ სხვაგვარად მსჯელობს და ტერმინი „ბააცა“, „ბააცვი“ პიროვნების სახელიდან წარმოქმნილად მიაჩნია.<sup>105</sup>

ქისტ-ჩეჩენ ინგუშები ხევსურებს „ფხია“-ს ან „ფხიე“-ს, ხოლო ფშაველებს „შუა“-ს<sup>106</sup> უწოდებენ. იქნებ ეს სატომო სახელებიც საკუთარი სახელებიდან ჩამოყალიბდნენ?!

მსგავს დამაჯერებლობას მოკლებულია ა. შავხელიშვილის განმარტება წოვასა და ჩაღმას შესახებ. მისი ღრმა რწმენით „ისინი საკუთარი სახელებია და დროთა განმავლობაში თუშეთის თემების აღმნიშვნელ სახელებად გამოიყვანინენ, რასაც საფუძვლად ქართული ტრადიცია დაედო.“<sup>107</sup>

ჩაღმად წოდებული ტერიტორია თუშეთის ის ნაწილია, რომელიც გომეწარ-წოვათისა და პირიქითისაგან აღმოსავლეთით, მათგან, მართლაცდა, ქვევით მდებარეობს. დანარჩენი თუშეთისაგან იგი იმდენად დადაბლებულია, რომ თუშეთის ყველა მდინარე მის ტერიტორიაზე გადის, იქ იკრიფება ერთ მდინარედ და შემდგომ დიდოეთ-დალესტინისაკენ მიედინება. სულხან-საბა ორბელიანთანაც ხომ „ჩაღმა დაღმა მიმავალს“ ნიშნავს.<sup>108</sup> ისე, რომ თუშეთის ერთ-ერთ მხარეს ჩაღმა მისი მდებარეობის გამო ეწოდა და იგი „საკუთარი სახელიდან“ არ მომდინარეობს, როგორც პირიქითი ჰქვია თუშეთის იმ ტერიტორიას, რომელიც ჩაღმისა და გომეწარის თემებისაგან ჩრდილოეთით, ე.ი. მათგან პირიქითა მხარეზე მდებარეობს.

<sup>103</sup> გ. ცოცანიძე, დასახელებული შრომა, გვ.3

<sup>104</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, 1933, გვ.15. (ხაზი ჩვენია, ვ.ე.)

<sup>105</sup> ა. შავხელიშვილი, თუშეთი, 1987, გვ. 13-14

<sup>106</sup> ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1984, გვ. 21.

<sup>107</sup> ა. შავხელიშვილი, იქვე, გვ. 16

<sup>108</sup> სულხან-საბა ორბელიანი, თხზ. ტ. IV2, 1966, გვ. 315.

აღნიშნულიდან გამომდინარე, როცა ვამბობთ, რომ ჩაღმა თუშეთის ტერიტორიის ერთი ნაწილის, მისი ერთი მხარის სახელწოდებაა, ე.ი. ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი ტოპონიმი და ზოგიერთს კი ეთნონიმი ჰგონია,<sup>109</sup> რა თქმა უნდა, არ არის სწორი და იგი სერიოზულ დაზუსტებას საჭიროებს.

ზემოთ რამდენჯერმე აღვნიშნეთ და აქ კვლავ ვიმეორებთ, რომ თუში ტომი თუშეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული განფენილობა-აღნაგობიდან გამომდინარე ერთიმეორისაგან ერთგვარად გამოიჯნულ მიკრორაიონებში დასახლებულა, რომელთაც ჩაღმა, გომეწარი და პირიქითი დარქმევიათ. თუშეთში წოვების დასახლების შემდგომ მათ სამოსახლოს წოვათა დარქმევია და მას შემდგომ თუშეთში ფიგურირებდა ოთხი მთავარი ტოპონიმი: ჩაღმა, გომეწარი, პირიქითი და წოვათა. ამ სახელებითვე აღინიშნება თემებიც: ჩაღმის თემი, გომეწარის თემი, პირიქითის თემი და წოვათას თემი. თუშეთის თავდაპირველი სამი თემის ყველა მცხოვრები მხოლოდ თუშად იწოდებოდა და თვითონ თუშები ერთიმეორეს ცალკეული კუთხეების მიხედვით იშვიათად მოიხსენიებდნენ და თუ საჭირო იყო, რომ ვინმე თუშეთის ამა თუ იმ კუთხის (თემის) მიხედვით დაესახელებინა, იტყოდნენ: ჩაღმელია, ჩაღმა (ჩაღმიდანაა), გომეწარელია, პირიქითელია და არავითარ შემთხვევაში არ იტყოდნენ: ჩაღმელი თუში, გომეწარელი თუში, პირიქითელი თუში, ასეთი მიმართვა თუ დასახლება თუშეთში არ არსებობდა. თუშეთში წოვების ხანგრძლივად ცხოვრებამ საფუძველი შექმნა იმისათვის, რომ გაჩენილიყო მანამდე არარსებული ეთნონიმი წოვა-თუში. ამ ტერმინის გაჩენამ განაპირობა თუშებისათვის ჩაღმა-თუშის დარქმევა. თუშები ამ ხელოვნურად შექმნილ სატომო სახელს არასდროს შეგუებიან, იგი მათ არ გაუთავისებიათ, მისადმი ყოველთვის უარყოფითად იყვნენ განწყობილნი და ეს პროცესი დღესაც ასე გრძელდება. ამიტომ არის, რომ აღნიშნული ვითარება ყველამ უნდა გაითვალისწინოს და თანდათან მყარი ნიადაგი შეუქმნას ეთნონიმებს და სატომო სახელებს: თუში, თუშები, თუშეთი, წოვა, წოვები, წოვა-თუში, წოვა-თუშები, წოვათა. ზურგი უნდა შევაქციოთ ხელოვნურად შექმნილ ტერმინებს და პატივი ვცეთ წინაპართა მიერ მრავალი საუკუნის მანძილზე შეურყვენელად შენახულ და ქართველი ხალხის მიერ შესისხლხორცებულ-გათავისებურ ეთნიკურ-ტომობრივ თუ გეოგრაფიულ სახელებს, რაზეც თავის დროზე სამართლიანად გვაფრთხილებად ქართველი ერის სახელოვანი პეროლოტი - აკად. ივ. ჯავახიშვილი.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში პროფ. ალ. ხახანაშვილი წერდა: „წოვა-თუშებს... აშდენად შეუთყვისებიათ ქართველთა ზნე-ჩვეულებანი, რომ არაფრით განსიყაყედებიან ქართველთა თემის თუ-

<sup>109</sup> ა. შავხელიშვილი, იქვე, გვ. 13-14.

შუბისაგან“.<sup>110</sup> ასევე მსჯელობს აკად. არნ. ჩიქობავა და აღნიშნავს: „ყველა ბაცბი (წოვა-თუში) ფლობს ქართულს (და თავს ქართველად თვლის)... გვარებიც ბაცბებს ქართული აქვთ“.<sup>111</sup>

წოვები თუშეთში ჩეჩენ-ინგუშეთიდან არიან გადმოსახლებულები. სატომო სახელი „წოვ-“ ჩეჩენ-ინგუშეთში ხან ცალკე ტომად გვხვდება,<sup>112</sup> ხან კი ინგუში ტომის ერთ-ერთ საზოგადოებად,<sup>113</sup> რომელსაც იქ წოვას ნაცვლად წორი ჰქვია; ამის შესახებ თავის დროზე აკად. ნ. მარი შენიშნავდა, რომ წოვ და წორ ერთი და იმავე ტომის სახელიაო.<sup>114</sup>

აკად. ს. ჯანაშიას მარტო ისტორიულად კი არა, ამჟამადაც წოვები და თუშები განსხვავებულ ტომებად მიაჩნდა და წერდა: „ეთნიკურად და ეთნოგრაფიულად ცალკე ტომები დღესაც განსხვავდებიან აღ. საქართველოში: ფშაველები, ხევსურები, წოვა-თუშები და ჩადმა-თუშები, მოხევეები... და მრავალი სხვა“.<sup>115</sup>

როგორც დავინახეთ, საენათმეცნიერო თუ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და სხვა ხასიათის ლიტერატურაში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იყო გარკვეული წოვების (წოვა-თუშების) ქისტურ-ჩეჩნური წარმოშობა. თანამედროვე ქართულ თუ უცხოურ ისტორიოგრაფიაში და საენათმეცნიერო-ეთნოგრაფიულ-ფოლკლორულ ლიტერატურაშიც წოვა-თუშების ნახური წარმომავლობა კვლავ დადასტურებულია, ზოგჯერ კი საწინააღმდეგო დასკვნებია გაკეთებული.

1951 წელს ქართველ ანთროპოლოგთა „ექსპედიციამ შეისწავლა სოფ. ზემო ალკანში მცხოვრები წოვა-თუშების ერთი ჯგუფი. შესწავლილ იქნა მამრობითი სქესის 20-60 წლის ასაკის 84 წოვა-თუში“.<sup>116</sup>

ექსპედიციამ წოვა-თუშების პარალელურად შეისწავლა პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტების ჯგუფი – 110 მამაკაცი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქისტებსა და წოვებს შორის არ დასტურდება „გენეტიკური ურთიერთ-დამოკიდებულება“. წოვა-თუშებსა და ქისტებს შორის პარალელების გავლენ-

<sup>110</sup> აღ. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდან, „ივერია“, 1888, №173.

<sup>111</sup> არნ. ჩიქობავა. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, 1965, გვ. 9.

<sup>112</sup> К. О. Ган, Путешествие в страну Пшавов, Хевсур... 1897 "Кавказский вестник", №6. 1900, стр. 64)

<sup>113</sup> К. О. Ган. Путешествие в страну Пшавов, Хевсур...срав. чаха Архивев, ингуши. Сборник сведений о кавказских горцах, вып. УШ, Тиф. 1875, гл. I пра. 2-й, стр.1

<sup>114</sup> Н. Марр. Кавказские племенные названия и их местные паралели 1922 г. стр. 28-31; В. Г. Гамрекли. Двали и Двалетия в I-XV вв. Н. Э. То. 1961. стр. 45 /Предложительно Цоры или Цовы.

<sup>115</sup> ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I. 1949, გვ.148.

<sup>116</sup> ლ. შარაშიძე. წოვა-თუშების ანთროპოლოგიისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII. 1960, გვ. 273.

ბისა და შედარების შედეგად მიღებული დასკვნები უფლებას აძლევს ექსპედიციას შემდეგი განაცხადოს: მიუხედავად იმისა, რომ „წოვა-თუშები, რომლებიც ენობრივად ქისტებს უკავშირდებიან, ანთროპოლოგიურად განსხვავდებიან მათგან და ახლოს დგანან რიგ ქართველურ ჯგუფებთან: ჩაღმა-თუშებთან, მოხევეებთან, ფშაველებთან, ხეისურებთან, შთიულებთან, გუდამაყრელებთან და სხვ. მათი მსგავსება ქართველურ ჯგუფებთან, პირველ რიგში ჩაღმა თუშებთან გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ წოვა-თუშების ჯგუფი არ წარმოადგენს ქისტებისა და ჩაღმა თუშების ასიმილაციის შედეგს“.<sup>117</sup>

აკად. ლ. შარაშიძე წოვა-თუშების წარმომავლობის შესახებ დაწერილ გამოკვლევას შემდეგი დასკვნით ამთავრებს; „აქედან გამომდინარე, შეგვიძლია გარკვევით აღვნიშნოთ, რომ წოვა-თუშები არიან ადგილობრივი, ავტოქტონური წარმოსობის ქართველური ჯგუფი, წინააღმდეგ იმ მოსაზრებისა, რომელიც მათ გაქართველებულ ქისტურ ტომადა სთვლის“.<sup>118</sup>

წოვების თუშეთში გადმოსვლისა და გომეწრის ხეობის ჩრდილო-დასავლეთით დასახლების თარიღის შესახებ წყაროებში არაფერია ნათქვამი და ღლებდე ეს საკითხი გაურკვეველია.

ზოგიერთ მკვლევარს წოვების თუშეთში გადმოსახლების ფაქტად მიაჩნია ლეონტი მროველის ცნობა, რომელიც მიუთითებს ძვ. წ. III საუკუნის 30-იან წლებში ქართლის მეფე საურმაგის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ძურძუკთა დიდი ნაწილის გადმოყვანაზე და დიდოეთიდან ეგრისამდე დასახლებაზე.<sup>119</sup>

ქართლის მეფე საურმაგის წინააღმდეგ ერისთავებს შეთქმულება მოუწყვიათ, მაგრამ საურმაგი ჩრდილოეთში გაქცეულა, საიდანაც წამოუყვანია ოსთა და ძურძუკთა რაზმები და აჯანყებული ერისთავები დაუმარცხებია. ნიშნად მაღლობისა და იმის გამო, რომ ხალხს „ვერდიარა იტყედა ძურძუკეთი... ამან საურმაგ წარმოიყვანა იგინი ყოყელთა კავკასიის ნათესაყთა ნახევარნი და რომელნიმე მათთგანნი წარსინებულ ყუნა და სხუანი მითვაღეს დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი“.<sup>120</sup>

თუ ლ. მროველის ცნობას გავითვალისწინებთ, მაშინ შესაძლებელია დავუშვათ, რომ დურძუკების ერთი ნაწილი დასახლდა თუშეთის ტერიტორიაზე, რადგან დიდოეთს პირველ რიგში თუშეთი ესაზღვრება; მროველის მიხედვით, მათი დასახლება დიდოეთიდან დაწყებულია. მაგრამ იმ ძურძუკთაგან წოვების წარმომავლობის გაზიარება, როგორც უკვე ითქვა, უარყოფილია

<sup>117</sup> ლ. შარაშიძე, დასახლებული შრომა, გვ. 272.

<sup>118</sup> ლ. შარაშიძე, დასახლებული შრომა, გვ. 273.

<sup>119</sup> ვ. ლავაზიძე, დასახ. შრომა, გვ. 74-75

<sup>120</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1942, გვ. 19.

და კვლავ გასარკვევი რჩება თუ საიდან და როდის მოვიდა წოვთა ტომი თუშეთში.

1912 წელს ნ. მოლჩანოვს არქეოლოგიური კვლევა-ძიება ჩაუტარებია წოვათის ერთ-ერთ სოფელ წაროში. მოლჩანოვის მიერ წაროში ნაპოვნი ნივთიერი ძეგლები მიუთითებენ, „რომ საშუალო საუკუნეებში დაახლოებით მე-8-9 საუკუნიდან სოფ. წარო დასახლებული ყოფილა“.<sup>121</sup>

პროფ. ს. მაკალათია ეხება ნ. მოლჩანოვის მიერ წოვთაში აღმოჩენილ ბრინჯაოსა და რკინის სამკაულებს, რომელთაც უდარებს ჩრდილო კავკასიაში ე.წ. დერგავისისა და კომუნიტის არქეოლოგიური გათხრების დროს: VII-IX საუკუნეებით დათარიღებულ ნივთიერი კულტურის ნიმუშებს, მათ შორის უცილობელ მსგავსებას პოულობს და შენიშნავს: „ეს გარემოება ერთგვარ შესაძლებლობას იძლევა ამავე საუკუნით განესაზღვროთ წოვების ღლიღვეთიდან თუშეთში გადმოსახლების დროც“.<sup>122</sup>

რ. ერისთავის შრომაში – „О Тушино-Пшаво-Хевсурском округе“ თუშების შესახებ გამოთქმულ მრავალ საგულისხმო მოსაზრებასა და დასკვნასთან ერთად საუბარი აქვს თუშეთში წოვების გადმოსახლების შესახებაც. იგი პირდაპირ აღნიშნავს, რომ წოვების გადმოსახლება ღლიღვის ხეობიდან თუშეთში მასში არაერთად ექვს არ იწვევს.<sup>123</sup>

რაფიელ ერისთავი იმასაც აღნიშნავს, რომ „რამოდენიმე საუკუნის უკან ეს ქისტები (წოვები, ანუ წოვთა საზოგადოება) წაეკიდნენ სხვა მონათესავე ტომებს რის გამოც დატოვეს ღლიღვის ხეობა და დანაწილდნენ ზოგი ხევეში, ზოგი მთიულეთში, ზოგი ქართლში, ხანდოში, ნაწილი არაგვისა და თერგის ხეობაში. მაგრამ დიდი დრო არ იყო გასული, რომ ოგონესს რა შევიწროება ამ ადგილებში არაგვის ერისთავისაგან და ვაიგის ისიც, რომ თუშეთში გომეწირელების (გომეწირის თემზეა საუბარი, ვ.ე.) მესობლად იყო უშენი მიწები, გადმოვიდნენ და დასახლდნენ თუშების თანხმობით.“<sup>124</sup>

თუშეთში წოვების მოსულობის შესახებ მიუთითებს თუშური ხალხური გადმოცემაც. მაგრამ მასში არაფერია თქმული იმის თაობაზე, თუ რომელ საუკუნეში მოხდა თუშეთში წოვების დასახლება.

თუშური გადმოცემა აღნიშნავს, რომ თუშებს სამჯერ მოუწვევიათ ყრილობა ნაყაიროს მთაზე და ომალოს ღელეზე, სადაც გადაწყვეტილა თუშეთში წოვების დასახლების საკითხი.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ თითქმის ყველა ხანდაზმულმა და საშუალო ასაკის თუშმა კარგად იცის წოვების თუშეთში დასახლებისა

<sup>121</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, 1983 წ. გვ. 21.

<sup>122</sup> იქვე, გვ. 18.

<sup>123</sup> Р. Эрнстов. Записки о тушино-Пшаво-Хевсурском округе, газ., К., 1854, №4

<sup>124</sup> რ. ერისთავი, დასახლებული შრომა. იქვე.

თუ მოსულობის შესახებ არსებული თუშური გადმოცემა და მიუთითებენ მათს ღალღლეობაზე (რომ ისინი ღალღლები ანუ ღლიღვები არიან), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი თუშეთში გვიან ფეოდალურ ხანაში უნდა დასახლებულიყვნენ.

ერთი ხვესურული ხალხური გადმოცემის მიხედვით, თუშეთში წოვების მოსვლა XVII საუკუნის მეორე ნახევარს მიეწერება.<sup>125</sup>

საარქივო მასალებითა<sup>126</sup> და ლიტერატურითაც<sup>127</sup> წოვა-თუშების თუშეთში ცხოვრება მხოლოდ XVIII-ის მეორე ნახევრიდან დასტურდება. ადრეული საუკუნეების წერილობითი მასალა ტერმინ „წოვა-თუშ“ არ იცნობს. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, ყურადსაღები და ანგარიშგასაწევია.

ერთი საარქივო მასალის მიხედვით კი დაუუჭვებლად უნდა ვივარაუდოთ, რომ 1657 წლის იანვრისათვის წოვები ჯერ კიდევ არ იყვნენ თუშეთში დასახლებულნი, ისინი თუშეთის მკვიდრებად არ ითვლებოდნენ. ეს კარგად ჩანს მოსკოვის სამეფო კარზე ჩასული თუში ელჩების შემდეგი სიტყვებიდან: „Живем мы в крепких местах, в горах, в грех странах“.<sup>128</sup> თუში ელჩები ხაზს უსვამენ, რომ თუშეთი სამ უბნად, სამ ნაწილად არის დასახლებული. თუ-შეთის ხსენებულ სამ უბნად. რა თქმა უნდა, ჩაღმის, გომეწრისა და პირიქითის თემები უნდა ვიგულისხმოთ, რადგან თუშები ოდიტგანეე აღნიშნულ თემებად იყვნენ გაყოფილნი თუშეთის გეოგრაფიული მდებარეობის გამო. წოვათა კი თუშების მიერ სამოსახლოდ არასდროს ყოფილა გამოყენებული.

თუშური კილო და მისი დამოკიდებულება წოვურ ენასთან ღრმად შეისწავლეს ქართველმა ენათმეცნიერებმა. თ. უთურგაიძემ და პ. ხუბუტიამ.

თ. უთურგაიძემ 1954 წელს თუშურ კილოზე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1961 წელს კი გამოსცა წიგნი „თუშური კილო“. 1966 წელს თ. უთურგაიძემ გამოაქვეყნა კიდევ ერთი საინტერესო მონოგრაფია – „ქართული ენის მთის კილოთა თავისებურება“. თ. უთურგაიძემ თუშური კილოს შესწავლის საქმეში ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა. მის მიერ წოვური ენისა და თუშური კილოს ურთიერთმსგავსების შესახებ გამოთქმული დასკვნები დამაჯერებლად და მართებულად უნდა მივიჩნიოთ.

პ. ხუბუტიამაც საკანდიდატო დისერტაცია თუშურ კილოზე დაიცვა 1969 წელს. მან გამოსცა მონოგრაფია – „თუშური კილო“. პ. ხუბუტიას

<sup>125</sup> ალ. ჭინჭარაული, ხვესურულის თავისებურებანი. 1960, გვ. 369.

<sup>126</sup> ექვთიმე თაყაიშვილი, ორი ქვაზე დაწერილი გუჯარი, გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1901, №1362

<sup>127</sup> არჩილიანი/თხზულებათა სრული კრებული/ ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ალ. ბარამიძის წინასიტყვაობით – „არჩილის ცხოვრება და შემოქმედება“. ტ. 1, 1936, გვ. 205. სტროფი 584, 3.

<sup>128</sup> С. М. Соловьев. История России с древнейших времен, кн. VI/тома II – 12/М., 1961. стр. 555-556.

შრომებში აღძრული საკითხი ობიექტურად არის გადაწყვეტილი. მკვლევარი ტომობრივ-ენობრივად კარგად ანსხვავებს წოვა-თუშებსა და თუშებს.

ქართველი კავკასიოლოგები, სადაც კი ეხებიან ვაინახების საკითხს ყოველთვის აღნიშნავენ, რომ „ვეინახების მონათესავე ბაცბელები (წოვა-თუშები) და ქისტები ცხოვრობენ აღმოსავლეთ საქართველოს მთებში“.<sup>129</sup> ისინი არსად შენიშნავენ, რომ წოვა-თუშები და თუშები წარმოშობით ერთნი არიან. მკვლევარებს ასე სწამთ ეს ყოველივე. მათ ნაშრომებში თუშეთში წოვების ცხოვრების საკითხი ახსნილია, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე ჩრდილო კავკასიიდან „მოსახლეობის დიდი ჯგუფების გადმოსახლების უტყუარი ფაქტი“ და „კავკასიანთა“ და ქართველთა კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის ერთ-ერთი საგულისხმო მაგალითი.“<sup>130</sup>

ქართველი კავკასიოლოგები წოვების თუშეთში გადმოსახლების საუკუნის განსაზღვრასაც ეხებიან და აღნიშნავენ, რომ თუშეთში წოვების „გადმოსახლების პროცესი ძირითადად XVI საუკუნის მიწურულისათვის უნდა დამთავრებულიყო“.<sup>131</sup>

გასათვალისწინებელია, რა თქმა უნდა, ის ვითარებაც, რომ გამოჩენილი ქართველი ეთნოგრაფებისათვის ეს საკითხი დავას არ იწვევს და ისინი ყველგან ნათლად აღნიშნავენ წოვებისა და თუშების განსხვავებულ წარმომავლობას. მათთან მრავალგზის აღნიშნულია, რომ წოვები თუშეთის თავდაპირველი მკვიდრნი არ არიან და ნაგვიანვე საუკუნეებშილა მოხდა თუშეთში ამ ვაინახური ტომის დასახლება.<sup>132</sup>

აქვე გვინდა დავძინოთ, რომ აღნიშნული საკითხის პრობლემის ირგვლივ ქართულ ისტორიოგრაფიაში, ეთნოგრაფიაში, ფოლკლორისტიკაში, ენათმეცნიერებაში (ა. შანიძის ამ ბოლო დროს გამოთქმულ მოსაზრებათა გამოკლებით) მრავალგზის დასაბუთებული დასკვნებია მოცემული. მაგალითისათვის დავასახელებთ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულს, კერძოდ კი მის პირველ ტომს, რომელიც 1970 წელს გამოვიდა.

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I ტომში, სხვა მრავალ საკითხთან ერთად, სათანადო ასახვა პოვა ქართველი ხალხის წარმოშობა-განსახლების პრობლემამ. აკად. გ. მელიქიშვილმა, რომელმაც წლების მანძილზე

<sup>129</sup> ზ. ანაბაძე, თ. ბოცვაძე. გ. თოგოშვილი. მ. ცინცაძე, ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, თბ., 1969, გვ. 245.

<sup>130</sup> იქვე, გვ. 245

<sup>131</sup> იქვე, გვ. 175.

<sup>132</sup> P. Л. Харадзе. А.И. Робакидзе. К вопросу о нахском этнонимике / Кавказский этнографический сборник, т. II. Очерки этнографии горной Ингушетии. Тб., 1968, стр. 24. თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, გ. ჯიბლაძის რედაქციით, 1967, გვ. 7-8 და სხვ.

ქართველი ხალხის წარმომავლობის შესახებ გამოაქვეყნა საფუძვლიანი გამოკვლევები, „ნარკვევების“ I ტომში კიდევ უფრო ნათელი და დამაჯერებელი გახადა ქართველი ხალხის წარმომავლობისა და საქართველოს ტერიტორიის დასახლების ისტორია.

აკად. გ. მელიქიშვილის გამოკვლევათა მიხედვით გამოდის, რომ ჯერ კიდევ ენოლითის ეპოქაში საქართველოს მთა და ბარი უკვე მჭიდროდ იყო დასახლებული. საქართველოს მთიანეთში ქართველთა ცხოვრება-მოსაქმეობა იმავე დროიდან მრავალმხრივ დამოწმებული ისტორიული სინამდვილეა.

აკად. გ. მელიქიშვილი არსად თავის გამოკვლევებში და არც „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I ტომში, არ აღნიშნავს წოვებისა და თუშების ეთნიკურ იდენტურობას, თუნდაც გაკვრით მინც. მის ყველა გამოკვლევაში წოვები წარმოდგენილნი არიან, როგორც საქართველოში სხვა მხრიდან მოსულები და არა ადგილობრივი მოსახლეობა.<sup>131</sup>

თუშებისა და წოვა-თუშების ეთნიკური განსხვავებულობისა და სხვადასხვა წარმომავლობის თაობაზე საინტერესო დასკვნები აქვს გაკეთებული ვ. ლაგაზიძეს ერთ გამოქვეყნებულ წერილში<sup>134</sup> და საკანდიდატო დისერტაციაში.<sup>135</sup>

ხსენებულ შრომებში მკვლევარი ფართოდ ეხება თუშეთის ეთნიკურ თავისებურებას და შენიშნავს, რომ წოვა-თუშები და თუშები თავისი წარმოშობით კარდინალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. აი რას წერს იგი: „წოვათა დასახლებული იყო წოვა-თუშებით... ნახური წარმოშობის ტომით, ხოლო დანარჩენი სამი საზოგადოება (ჩაღმის, გომეყრისა და პირიქათი) ქართული ტომია. მთა-თუშეთში ამ ტომთა ცხოვრებას აქვს შორეული წარსული“.<sup>136</sup> ან კიდევ: „შაშასადაძე, როგორც აღვნიშნეთ: „თუში“ არის სასელწოდება ერთ-ერთი ქართველური ტომისა, „წოვაც“ სატომო სახელია, მაგრამ მისი წარმომავლობის ზუსტი დადგენა ძნელია.“<sup>137</sup> ამავე თვალსაზრისით საინტერესოა მისი შემდეგი მსჯელობაც: „მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მთათუშეთის მცხოვრებნი ორ ეთნიკურ ჯგუფად იყო-

<sup>131</sup> Г. Меликишвили. К истории древней Грузии, 1959. Напри-Урарту, 1954. გვ. 88-89, 401. მისივე, ურარტუ, 1951, გვ. 132; მისივე, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, 1965, გვ. 185, 202; მისივე, ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხისათვის, 1953 გვ. 13; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I. 1970, გვ. 360 და სხვ.

<sup>134</sup> ვ. ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიიდან, „მაცნე“, №4, 1965, გვ. 67-84

<sup>135</sup> ვ. ლაგაზიძე ეთნოგრაფიული წარსულიდან, 1966 (ხელნაწერი)

<sup>136</sup> ვ. ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიიდან, გვ. 68

<sup>137</sup> იქვე, გვ.75.



ფიან: წოვა და ჩაღმა თუშებად. წოვა თუშების ცალკე ეთნიკურ თუშ ტომად გამოყოფა მკვლევართა შორის თავიდანვე იწვევდა დიდ ინტერესსა და აზრთა სხვადასხვაობას. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ წოვა თუშები ქისტების მოდემის ღლიღვებისაგან არიან წარმოშობილნი, ხოლო მეორეთა აზრით, წოვა თუშები ქისტთა და ქართველ ტომთა შეერთებით, შერევით მიღებულნი მოდგმაა“.<sup>138</sup>

XX საუკუნის მეცნიერ-მკვლევართა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აკად. ი. დეშერიევის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობა წოვა-თუშური (ბაცბური) ენის შესწავლისა და მათი ჩეჩენ-ინგუშეთიდან საქართველოში გადმოსახლების ისტორიის გარკვევის საქმეში. ჩეჩენ-ინგუშეთის მკვიდრი — ი. დეშერიევი წლების მანძილზე თვით ალვანში ყოფნით, წოვა-თუშურზე დაკვირვებით, ინგუშურ და წოვურ გადმოცემებზე დაყრდნობით, სწავლობდა წოვა-თუშების ენას და ისტორიას. მან დაწერა კაპიტალური შრომები,<sup>139</sup> რომლებშიც მოგვცა დამაჯერებელი დასკვნები. იგი წოვურ-ინგუშურ გადმოცემებზე დაყრდნობით და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით ჰირდაპირ მიუთითებს ბაცბების (წოვა-თუშების) ჩრდილო კავკასიიდან, კერძოდ, „ვაბო“-დან თუშეთში გადმოსახლების თაობაზე. იგი წერს: „Предки Бацбийцев по преданию, были выходцами из Вабо /Ваьппи/ Вабо-Ваьппи/ чеч. /Фаьппи/ инг. / находилась в горах недалеко от города Орджоникидзе. Что предки бацбийцев были выходцами из Ваьппи / Вабо/, поддвергает и ингушское предание“.<sup>140</sup>

ი. დეშერიევის მიერ წოვების თავდაპირველი სამოსახლო ადგილის აქ მოცემული მინიშნება-დახასიათებას ის ფაქტიც ამტკიცებს, რომ თუშეთში წოვა-თუშებით დასახლებულ ტერიტორიას, რომელსაც მკითხველი საზოგადოება წოვათის სახელწოდებით იცნობს, თვითონ წოვა-თუშები ხშირად „ვაბო“-ს ეძახიან. მაგალითად, წერილში — „ექსპედიცია მთა-თუშეთში“, რომელიც 1968 წელს თუშეთში ჩატარებულ ეთნოგრაფიულ მუშაობას ეხება (ექსპედიციის ხელმძღვანელი ა.შაეხელიშვილი) ერთხელაც არა არის ნახსენები სიტყვა „წოვათა“, როცა წერილში თითქმის მთლიანად ყურადღება ამ კუთხის მიმართაა გამახვილებული. წერილის ავტორი ყოველთვის „ვაბო“-ს ხმარობს „წოვათა“-ს ნაცვლად. ი. დეშერიევის მიხედვით, ბაცბები (წოვები) თუშეთში თავდაპირველად ერთად, ე.ი. ერთ სოფლად დასახლდნენ, რომელსაც წარო-ს სახელწოდება მიუღია. მაგრამ როდის და რა ვითარებაში მოხდა

<sup>138</sup> ვ. ლავაზიძე, თუშეთის ისტორიიდან. გვ. 74

<sup>139</sup> Ю. Дешериев. Бацбийский язык. Москва. 1953г.; Сравнительно-историческая грамматика нахских языков и проблемы происхождения и исторического развития горских кавказских народов, Грозный, 1963.

<sup>140</sup> Ю. Дешериев. Сравнительно-историческая грамматика... стр. 62.

ბატების (წოვების) თუშეთში დასახლება, მეცნიერისათვის გაურკვეველია. „Неизвестно, когда это произошло,“<sup>141</sup> შენიშნავს ი. ღეშერიევი.

ი. ღეშერიევი გარკვევით აღნიშნავს, რომ თუშეთში წოვების მეზობლად უძველესი დროიდანვე ცხოვრობდა ქართული ტომი – ჩალმები და პირიქითელები, რაც იმის მაწყვებელია, რომ მისთვის, როგორც ამ საქმეში ღრმად ჩახედული სპეციალისტისათვის, დავას არ იწვევს წოვებისა და თუშების განსხვავებულობა. აი. რას წერს აღნიშნულის შესახებ: „В горной Тушетии в близком соседстве с бацбийцами с древних времен жили также грузинское племена-чагминцы и пирикительцы.“<sup>142</sup>

აგტორი აქ ერთგვარ შეცდომას და უზუსტობას უშვებს, როცა ჩაღმისა და პირიქითის თემებთან ერთად არ ასახელებს გომეწრის საზოგადოებასაც. თუშ ტომს ეს სამი თემი შეადგენდა, ხოლო თუშეთში წოვების მოსვლის შემდგომ მოსახლეობა ოთხ თემამდე გაიზარდა.

აკად. ი. ღეშერიევი იმასაც აღნიშნავს, თუ თუშებთან, ხევსურებთან, ფშავლებთან და საერთოდ ქართველებთან ცხოვრებამ როგორი ზემოქმედება მოახდინა წოვეურ ენაზე, მათ ყოფაზე.<sup>143</sup>

ა. შავხელიშვილს ი. ღეშერიევის მსჯელობა და დასკვნები წოვების მოსულობის შესახებ არასწორად მიაჩნია. იგი წერს: „თუშების (წოვების, ვ.ე.) ენა შეისწავლა ი. ღეშერიევიც და თავის შრომაში ადგილი დაუთმო მათი ისტორიის ერთ მხარეს – დასახლებას. აგტორის აზრით, ისინი ინგუშეთიდან არიან გადმოსახლებულნი, რაც შეცდომად მიგვაჩნია.“<sup>144</sup>

ა. შავხელიშვილი თავის ღროზე, საკანდიდატო შრომაში, იგივეს ამბობდა, რასაც ახლა ი. ღეშერიევის უწუნებს და შეცდომად მიაჩნია.

ა. შავხელიშვილს წოვების თუშეთში გადმოსვლისა და იქ დასახლების თარიღად XIII საუკუნე მიაჩნია. ოფიციალური წყაროებიდან ცნობილია, რომ „XIII საუკუნეში ოქროს ურდოს მონღოლებმა იმიერკავკასიის ველები დაიჭირეს და თავის სამომთაბაროდ გადააქციეს. მთას შემოხიზნული შევიწროებული ადგილობრივი მოსახლეობა – ჩერქეზ-აფხაზური მოდგმის ტომები, ოსები, ღუნს-ღლიდუკები თანდათან ამიერკავკასიისაკენ მოიწვედნენ და პირაქეთი კავკასიის ტომებს – აფხაზებს, დვალებს, ფხოველებს ერეოდნენ“.<sup>145</sup> ა. შავხელიშვილი ეყრდნობა იმიერ-

<sup>141</sup> Ю. Дешериев, იქვე.

<sup>142</sup> Ю. Дешериев, бацбийский язык. М., 1953. стр. 6.

<sup>143</sup> იქვე, გვ. 5-20

<sup>144</sup> ა. შავხელიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, 1977, გვ. 16.

<sup>145</sup> ნ. ბერძენიშვილი, ვ. ღონდუა, მ. ღუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 245.

კავკასიიდან დევნილი ხალხის საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსვლის აღნიშნულ ფაქტს და აღნიშნავს: — „Надо полагать, что племя цово-тушин — является частью переселившихся в этот период племен“.<sup>146</sup>

ა. შავხელიშვილი აღნიშნულ საკითხზე აგრძელებს მსჯელობას და დას-ძენს, რომ „ახლა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მდინარე ალაზნის ხეობაში (კახეთში), ცხოვრობენ ეთნიკური ჯგუფები, რომ-ლებიც მიეკუთვნებიან კეინახთა ერთობლიობას. მარცხენა ნაპირას წოვა-თუშები (ბაცებები), მარჯვენა ნაპირას კი ქისტები“.<sup>147</sup>

ზემოთ აღნიშნულ მსჯელობას მკვლევარი სქოლიოში მრავლისმთქმელ დასკვნას უკეთებს: „კეინახთა ხალხის ჯგუფების გადმოსახლების ის-ტორია საქართველოს ტერიტორიაზე წარმოადგენს დიდ ინტერესს. სამწუხაროდ, ეს საკითხი ჯერ არ არის შესწავლილი და სამეცნიერო ლიტერატურაში განხილული და, რადგანაც იგი მოითხოვს ცალკეულ შესწავლას, ჩვენ სპეციალურად არ შევიჩრდებთ მასზე. მით უმეტეს, რომ კეინახთა საქართველოში შეღწევის (გადმოსახლების) პროცესი გრძელდებოდა მომდევნო საუკუნეებშიც“.<sup>148</sup>

ა. შავხელიშვილთან. გარდა იმისა, რომ თუშეთში წოვების გადმოსახ-ლების თარიღია მითითებული, აღნიშნულია მათ მიერ სამშობლოს დატოვების მიზეზიც. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივაც ისტორიკოს-მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი.

რ. ერისთავი აღნიშნავს, რომ ძურძუკთა ტომების შინაგანხეთქილებამ და ურთიერთშორის გაუთავებელმა თემობრივმა შუღლმა აიძულა წოვები, რომ ღლიღვეთიდან გახიზნულიყვნენ ჯერ არაგვის საერისთავოში, ხოლო შემდეგ თუშებთან შეთანხმებით, გომეწრის საზოგადოების კუთვნილ ე.წ. ინდურთაში დასახლებულიყვნენ.<sup>149</sup>

ი. ცისკარიშვილი თუშეთში წოვების გადმოსახლების ორ მიზეზს ასახე-ლებს: მეზობელ ტომებთან და ერთმანეთს შორის გაუთავებელ შუღლს, რაც არც იშვიათი შემთხვევა ყოფილა ჩრდილო კავკასიის ტომებს შორის, და შესაძლებელია, უკეთესი საცხოვრებელი პირობების ძებნასაც იძულებული გაუხდია ერთი ან რამდენიმე ქისტური ოჯახი. რომ დაეტოვებინათ მოშო-ლიური კუთხე და თავშესაფარი ეძებნათ მეზობელ თუშეთში.<sup>150</sup>

ბ. მაჩაბელი, ეხება რა პანკისის ხეობაში ქისტების გადმოსახლების საკითხს, აღნიშნავს, რომ ქისტებიდან. ე.ი. მაისტის საზოგადოებიდან

<sup>146</sup> А. Шавхелишвили, из истории взаимоотношений между Грузинским и Чечено-Ингушским народом /с древнейших времен до XV в./ 1963. стр. 75

<sup>147</sup> ა. შავხელიშვილი, დასახლებული შრომა. გვ. 75. /რუსულ ენაზე/

<sup>148</sup> იქვე (რუსულ ენაზე).

<sup>149</sup> Р. Эрнстов. Записки о тушино-Пшаво-Хевсурском округе., к. 1854. №43

<sup>150</sup> И. Цискаров. Картина Тушетин. Кавказ. 1846. №50

მათი ჩამოსვლა, რომელიც ახლაც გრძელდება, გამოწვეული იყო მეტად ხელმოკლე ცხოვრებით და მოყავს ვრცელი ამონაწერი ა.ზ. ზისერმანის შრომიდან „Двадцать пять лет на Кавказе“, სადაც ა. ზისერმანი საუბრობს მაისტიისა და, საერთოდ, ჩაჩნების ცხოვრების მძიმე პირობების შესახებ.<sup>151</sup>

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ იმიერკავკასიის ხალხები მძაფრ ეკონომიკურ სივიწროვეს და გაჭირვებას განიცდიდნენ მათი საცხოვრებელი ადგილების სიმცირისა და მოუსავლიანობის გამო. გაუარესებული ცხოვრების პირობები მათ ხშირად უბიძგებდა ეწარმოებინათ მძარცველური თავდასხმები მეზობელ ქართველ ტომებზე, რაც სიცოცხლის ფასადაც კი უჯდებოდათ. აღნიშნულის თაობაზე კ. განი წერს: „Они очень бедны и часто нужда заставляла их грабить соседних Хевсур, причём многие поплатились жизнью“.<sup>152</sup>

ჩრდილო კავკასიიდან ძურძუკთა ტომების საქართველოში გადმოსახლების ხანგრძლივი პროცესი XIX საუკუნის 50-იან წლებამდე გრძელდებოდა. XIX საუკუნის 40–50-იან წლებში კახეთში, პანკისის ხეობაში, ალაზნის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე, ქისტების სამი თემი დასახლებულა. თითოეულ მათგანს შემდგომ ხელმძღვანელის სახელი მიუღია: დუისოფელი (შემდგომ დუისი), ჯოყოლო და ომალო. ამ თემთა სამშობლოდან გადმოსვლის მიზეზი კარგად არის ასახული საარქივო მასალებსა<sup>153</sup> და სამეცნიერო ლიტერატურაში.<sup>154</sup> მტკიცდება, რომ სოფლების დუისის, ჯოყოლოს, ომალოს, ხორაჯოს და ჩხათანას მოსახლეობა თავის სამშობლოდან გადმოხვეწილა სისხლის აღების მკაცრი წესების გამო. თავის მხრივ, უკაცრიელი გაუვალი ტყით დაფარულ პანკისის ხეობაში ქისტების დასახლებას რუსეთის მთავრობა ხელსაყრელად თვლიდა. ადგილობრივი ხელისუფლება განსაკუთრებით დაინტერესებული ყოფილა ჯოყოლოსა და ომალოს შემორიგებით, რომელნიც თავიანთი მოულოდნელი თავდასხმებით დიდად აწუხებდნენ კახეთის ბარისა და მთის მოსახლეობას. „მთავრობამ ლეკან ჩოლოყაშყაილის პირით (ლ. ჩოლოყაშვილი ყოფილა თუშ-ფშავ-ხევსურეთის მხარის უფროსი, ვ.ე.) გამართა ამათთან (ჯოყოლოსთან და ომალოსთან) მოლაპარაკება პანკისში

<sup>151</sup> М. Мачабели, экон. быт гос. крестьян Тианетской уезда... МИЭ КБ ГКЗК. т. V, 1887, стр. 465-476.

<sup>152</sup> К. О. Ган, Путешествие в страну Пшавовн Хевсуров... 1897. "Кавказский вестник", №6. 1900, стр. 5. 74/ сравн. Н.Ф. Грабовский, Экономический и домашний быт жителей горского участка Ингушского окр. / Сборник свед. о кавказских горах, вып. III. 1870. стр. 8.

<sup>153</sup> საქ. ცსსა, ფ.254. ანაწ. I საქ. 1087, ფ. 255-305; ფ. 26, ანაწ. 6, საქ. 648-ა

<sup>154</sup> შაქო, პანკისის ხეობა (ეთნოგრაფიული შენიშვნები). „ივერია“ 21, 1887 სტეფანე ჩხენკელი, ქისტების დასახლებისათვის პანკისის ხეობაში, მასალები, საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. III, 1937, გვ. 229, 235, ზ. შევლიძე, ქისტები პანკისის ხეობაში, გაზ. „ალაზნის განთიადი“, №49, 1962.

გადმოსახლების თაობაზე და, როცა შაშილის საქმეები ცუდად წავიდა, კიდევ დაყოლია, გადმოსახლა და დაუნებნა ულუფა სახელმწიფოდ.“<sup>155</sup>

ნახური ტომების განხორციელება და თემობრივი შუღლი, სისხლის აღების მკაცრი წესები, ურთიერთდაუნდობლობა და არსებობის არახელსაყრელი ბუნებრივი პირობები იყო იმის მიზეზი, რომ ისინი შშობლიურ კუთხესა და სახლკარს ტოვებდნენ. „მეფე ირაკლის ბატონის უკან ჩაუსახლება მთელი სოფელი ქისტებისა 150 კომლაძე. ესენი ესლა სრულებით გაქართველებულნი არიან და უწინ გამოქცევიან სისხლის აღების წესებს საშშობლოდან. თარქუმებისე ღობე-ყურეთ ჩაუსახლება ირაკლის ესენი ამ ხეობაში. სისხლის დაურეგების წესებს მთელი სოფელი ქისტური გადმოუსახლება ზემო კახეთში. თაინეთის მანრაში და ზეეთა კახეთში ბევრი ნაქისტარი და დღეს სრულებით გაქართველებული ოჯახები მოიოკება.“<sup>156</sup>

გომეწრის ალაზნის სათავეში წოვების დასახლების მთავარ მიზეზად ეკონომიკური სტიმულის მიჩნევა, ჩვენი აზრით, წოვათს ბუნებრივი პირობების გაუთვალისწინებლობის შედეგი უნდა იყოს.

წოვათა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით თუშეთის საცხოვრებლად გამოყენებულ სხვა კუთხეებსა და ხეობებს შორის ყველაზე ნაკლებად მოსავლიანი და საცხოვრებლად თითქმის გამოუსადეგარი მხარეა. „ინდურთის ქებად, ანუ ინდურთის ველი, მართალია, უღამაჟესი კუთხეა მთათუშეთში, მაგრამ სახნაჟად ნაკლებად გამოსაყენებელია და მოსავლიანი ინდურთის ველის მდებარეობიდან მიღებული მოსაჟალი წოვა-თუშებს ოთხი-ხუთი თვე თუ ეყოფოდათ. ხოლო დანარჩენი 6-7 თვის საზრდო უნდა შეეყიდათ ან ბარიდან, ანდა მქნობელი ტომებიდან.“<sup>157</sup>

იგი წარმოადგენს უტყეო და სახნავ-სათესად ნაკლებად გამოსადეგ ტერიტორიას, რომელსაც თან ერთვის მკაცრი კლიმატური ბუნებრივი პირობები, რის გამოც იგი დიდად განსხვავდება თუშეთის ტერიტორიის ყველა იმ ნაწილისაგან, რომელიც კი შეიძლება საცხოვრებლად იქნეს გამოყენებული. ალბათ, აღნიშნულმა მიზეზებმა უკარნახა თუშებსაც, რომ წოვათა სადოსახლოდ არ აითვისეს და მას მხოლოდ საზაფხულო საძოვრებად იყენებდნენ. წოვათის გეოგრაფიული პირობებისა და იქ მცხოვრები ხალხის დასახლებით დაინტერესების შესახებ საგულისხმო ცნობებს გვაწვდის მკვლევარი ივ. ბუქურაული, რომელიც წერს: „წოვათა შესანამწავ ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენს, მიუდგომელია ამსიათვის, რომ კლდინია და ზოგიც მარტო ერთს თვეს, მარამაშობის თვეს, არიან განთავისუფლებულნი

<sup>155</sup> შაქრო, პანკისის ხეობა... „ივერია“, №21, 1887.

<sup>156</sup> შაქრო, პანკისის ხეობა... იქვე.

<sup>157</sup> ვ. ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულიდან, სადისერტაციო შრომა, 1967, გვ. 105 (ხელნაწერი).

თოვლისაგან. სხვა დროს მარტო ხეგ-ხეგ შეიძლება დაუბრკოლებლად შესვლა წოვათაში. ამ ალაგის საცხოვრებლად არჩევის წოვების - მიერ, რასაკვირველია, ისტორიული საფუძველი აქვს“.<sup>158</sup>

ივ. ბუქურაულის აღნიშნული შეხედულება ჩვენ მართებულად მიგვაჩნია. პროფ. გრ. ზარდალაშვილი საკანდიდატო სადისერტაციო შრომაში - „მთა-თუშეთი (ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათებისათვის)“ - ძირითად საკითხებთან ერთად შეეხო თუშეთის მოსახლეობის შემადგენლობისა და წარმომავლობის საკითხსაც. გრ. ზარდალაშვილი წოვა-თუშების შესახებ წერს: „დამახასიათებელია ქისტების (მთის ინგუშების) ერთ-ერთი დიდი ტომის დიდების ერთი ნაწილის გადმოსახლება მთა-თუშეთში, რომელთა დასახლებულ ადგილს წოვათას უწოდებდნენ.“<sup>159</sup> გრ. ზარდალაშვილი შეეხო წოვა-თუშების თუშეთში დასახლების მიზეზის საკითხსაც, რაც რ. ერისთავის მიერ აღნიშნული მიზეზების ანალოგიურია. იგი წერს: „მათი (ე.ი. წოვა-თუშების, ვ.ე.) თუშეთში დასახლების დრო ზუსტად არ არის დადგენილი, მაგრამ მთაში დღემდე შენახულ გადმოცემათა მიხედვით, წოვებს უთანხმოება მოუვიდათ მესობელ ტომებთან, გამოეყენენ მათ და მთიულეთს, ხეგს, არაგვისა და თერგის ნეოებში გადასახლდნენ. მალე მათ არაგვის ერისთავმა დეკნა დაუწყო. წოვებმა გაოჯეს, რომ ალაზნის სათავეში თავისუფალი ადგილები იყო. თუშებთან შეთანხმებით მთათუშეთში დასახლდნენ და ხუთი სოფელი გააშენეს: წარო, მოზართა, საგირთა, ეთელთა და ინდიურთა“.<sup>160</sup>

წოვათა არის ისეთი გეოგრაფიული ღრმული, რომელსაც დიდოეთ-დალესტნის მხრიდან ესაზღვრება გომეწრის, პირიქითისა და ჩაღმის საზოგადოება, ე.ი. თითქმის მთელი თუშეთი, ხოლო ჩეჩენ-ინგუშეთისაგან მას ყოფს მაღალი მთები; უშუალო შემხები ხაზი წოვებსა და იმიერკავკასიის ტომებს შორის არ არსებობდა, მათი ურთიერთდაკავშირება ხერხდებოდა მხოლოდ საცალფეხო ბილიკებით. ძურძუკთა ტომებს ქართლისა თუ კახეთის სამეფოების თავდასხმები ისე შეეძლოთ ეწარმოებინათ, რომ წოვათის ტერიტორიას არ გაჰკარებოდნენ. ძურძუკებსა და დიდოელ-დალესტნელებს წოვათა ვერ კეტავდა თუშეთზე თავდასხმებისაგან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გომეწრის საზოგადოებას.

მართალია, წოვათას, სადაც წოვათა ტომის დასახლება მომხდარა, გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით განსაკუთრებული მნიშვნელობა არ

<sup>158</sup> ივ. ბუქურაული. ტბათანიდან წოვათამდინ /მგზავრის შენიშვნები/, ჟურნ. „მოამბე“, 1887. №8, განყ. II, გვ. 42 /ხაზი ჩვენია, ვ.ე./

<sup>159</sup> გრ. ზარდალაშვილი, მთათუშეთი /ეკონ. გეოგრ. დახასიათებისათვის/, სადისერტ. შრომა, 1946, გვ. 68 /ხელნაწერი/

<sup>160</sup> გრ. ზარდალაშვილი, მთათუშეთი /ეკონ. გეოგრ. დახასიათებისათვის/, სადისერტ. შრომა, 1946, გვ. 68 /ხელნაწერი/

ექნებოდა, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ „ღლიღვი ცნობილი იყო გულად და მეოშარ ტოპად, ამიტომ იბერიის იმდროინდელი ხელისუფლებისათვის, რომელიც მოლაშქრეებად ასეთ ტომებს ეძებდა, ხელსაყრელი იყო ამ ღლიღვების მოპმის - წოვების თუშეთში, გომეწრის ალაზნის სათავეში დასახლება და ამ ხეობის გამაგრება“.<sup>161</sup> წოვათის დასახლებას წოვებით დიდი მნიშვნელობა ექნებოდა თუშეთისათვის. აღნიშნულ მდგომარეობას ითვალისწინებდა რ. ერისთავი, როცა წერდა: „Соединени Цовцев с Тушинами весьма было полезно для последних. Цовцы, кроме того, что значительно усилили собой Тушин. вскоре сделались первейшими еще защитниками страны, избранной ими для своего населения. Многократно политика их предками и ими кровью, для защиты Тушетии.“<sup>162</sup> წოვების გადმოსახლებას რომ გომეწრელებისათვის განსაკუთრებული შედეგი მოუტანია, ხაზგასმით აქვს აღნიშნული რ. ერისთავს: „Гомерцарцы не ошанились в принятии цовцев в свой места“.<sup>163</sup>

რ. ერისთავი, როგორც ცნობილია, 1846-1848 წლებში თარჯიმნად მუშაობდა თუშ-ფშავ-ხევსურეთის საოლქო სამმართველოში. აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობის დროს იგი მომსწრე ყოფილა წოვებისა და გომეწრელი თუშების დავისა წოვათას თაობაზე. თუშები წოვათაზე პრეტენზიებს აცხადებდნენ, როგორც საკუთარ მიწა-წყალზე. მაშინ რ. ერისთავს თუშების წარმომადგენლებისათვის წოვათას შესახებ საბუთები მოუთხოვია. რ. ერისთავისათვის საბუთების წარდგენის ნაცვლად თუშებს შემდეგი უპასუხიათ: „Какне могут быть у нас документы, Несколько столетий тому назад, мы приняли Цовцев, как иностранных пришельцев, дали им жительства по своему хотению, небольшую горную долину, называемую Индурт и также по своему хотению позволяли все это время пасти принадлежащая им стада на земле, нами прежде их занятой, но теперь не желаем, чтобы цовцы имели хотя малейшее влияние на эту землю“.<sup>164</sup>

გარდა ზემოაღნიშნული მოტივისა. თუშეთში წოვების დასახლება იმ ხანგრძლივი ურთიერთობითაც უნდა იყოს ნაკარნახევი, რაც საქართველოსა და იმერკავკასიის ხალხებს შორის საუკუნეთა მანძილზე არსებობდა.

დასტურდება, რომ საქართველო ჯერ კიდევ ძვ. წ. III საუკუნიდან მჭიდრო კულტურულ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობაში იმყოფებოდა ჩრდილო კავკასიის ხალხებთან და მათ შორის ძურძუკებთან. საქართველოს სამეფომ იმერკავკასიის ხალხებიც დროთა ვითარებაში თავის

<sup>161</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, 1983. გვ. 19

<sup>162</sup> Р. Эрстов. Записки о Тушино-Пшаво-Хевсурском округе. к. №43. 1854.

<sup>163</sup> იქვე.

<sup>164</sup> იქვე.

ძალაუფლებას დაუმორჩილა და ქართული სახელმწიფოს საზღვრებში მოაქცია.<sup>165</sup>

საქართველოსა და ჩეჩენ-ინგუშეთის ასეთმა ხანგრძლივმა ეკონომიკურ-კულტურულმა ურთიერთობამ განაპირობა ის, რომ ჩეჩნურ-ინგუშურ-ქისტური მოდემის ტომები, ოჯახები თუ ცალკეული ადამიანები, სამშობლოდან დევნილნი თუ გადმობეჭვილნი, თავისუფლად სახლდებოდნენ საქართველოს მიწა-წყალზე.

ჩეჩენ-ინგუშეთის ტომებთან თუშეთის განსაკუთრებული სიახლოვეთ უნდა იყოს გამოწვეული ის, რომ თუშეთის თემებში საუკუნეთა მანძილზე ზდებოდა ქისტებისა თუ ინგუშ-ჩეჩნების გადმოსვლა და დასახლება. ამავე მოტივით ზდებოდა თუშეთში წოვების დასახლებაც.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია, განვაცხადოთ, რომ წოვების გადმოსვლა თუშეთში და გომეწრის ალაზნის სათავეში მათი დასახლება, როგორც ჩანს, ნაგვიანვე ფეოდალურ ხანაში – XVII საუკუნის მეორე ნახევარში უნდა მომხდარიყო.

დაბოლოს, გვინდა შევეხოთ აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ ერთი ეთნიკური ტერმინის – მოსოხ-ის შესახებ გაკეთებულ განმარტებას, რომელიც სატომო სახელის თუშ-ის გარშემო მსჯელობის დროს დაზუსტებას მოითხოვს.

ივ. ჯავახიშვილი ტერმინ მოსოხ-ის შესახებ სქოლიოში შენიშნავს: „რაკი წოვა-თუშნი (ტუსკო) ჩანების ანუ ნახჭოუს ტომია, ლეკები კი მათ „მოსოხ“-ს უწოდებენ, ამიტომ ეს სახელი „მოსოხ“-ი ნახჭოუს ტომის სახელადაც გამოდის და ჩვეულებრივ კი ქართველთა ტომის, მესხების სახელად იხმარებოდაო“.<sup>166</sup>

მეტად საინტერესოა, რატომ გაუკეთა ივ. ჯავახიშვილმა სატომო სახელ მოსოხ-ს სქოლიოში ასეთი განმარტება, როცა იქვე, ამ საკითხზე მსჯელობის დროს, პირდაპირ შენიშნავდა, რომ „ლეკები ქართველ თუშებს მოსოხს უწოდებენ“,<sup>167</sup> თანაც თავისი აზრის ნათელსაყოფად პ. უსლარის შეხედულებასაც იზიარებდა ამ საკითხის შესახებ: – „უსლარის სამართლიანად პქონდა აღნიშნული, რომ ეს გარეემოება იმ შორეული წარსულის ნაწილი უნდა იყოს, როდესაც მოსოხნი ქართველთა ზოგადი სახელი იყო“.<sup>168</sup> ყოველივე ამის შემდეგ აკად. ივ. ჯავახიშვილი სქოლიოში საწინააღმდეგო განმარტებას იძლევა და ამბობს, რომ ჩეჩნების ანუ ნახჭოუს ტომს ლეკები მოსოხებს ეძახდნენო. გამოდის, რომ ლეკები წოვა-თუშებსაც ეძახდნენ მოსოხებს და ქართველ თუშებსაც.

<sup>165</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, 1919, გვ.3

<sup>166</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, შესავალი, წიგნი პირველი, 1950, გვ. 51.

<sup>167</sup> იქვე.

<sup>168</sup> იქვე.



ქართული ეთნიკური ტერმინის მესხ-ის საკითხს მრავალი მეცნიერი შეხება. ივ. ჯავახიშვილის, პ. უსლარის,<sup>169</sup> კ. წერეთლის<sup>170</sup> და სხვათა მიხედვით დასაბუთებულია, რომ ლეკები მოსოხ-მოსოქებს ეძახდნენ თუშებს და არა სხვა ვისმეს (თუმცა ივ. ჯავახიშვილთან განსხვავებული აზრიც გვხვდება), რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ერთ-ერთი ქართველი ტომის სახელწოდება „მესხები“ გარკვეულ ეპოქაში „ქართველების“ აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი მთის ქართველ ტომზე თუშ-ზეც იყო გავრცელებული. ამავე მეცნიერთა და მათთან ერთად აღ. ხახანაშვილის,<sup>171</sup> გ. ახვლედიანის<sup>172</sup> გ. გოზალიშვილის,<sup>173</sup> ს.ჯანაშიას<sup>174</sup> და სხვათა მიერ დადასტურებულია, რომ სატომო სახელები: მემეხ-მესეხ-მოსხ-მესხი-მოსოხ-მოსოქ ერთი და იგივე ქართველი ტომის სახელებია.<sup>175</sup>

ამრიგად, თუშეთის ახლანდელი ტერიტორია უძველესი ხანიდანვე ქართველი ტომით – თუშებით, ნაწილობრივ კი ფშავ-ხევსურებითაც იყო დასახლებული, საფიქრებელია, რომ თუშების გარკვეული ნაწილი ერთ-ერთი ქართველი ტომის მოსხების (მესხების) გამონაყოფი იყო და კახეთის მთიანეთში სამხრეთიდან გადასახლდა.<sup>176</sup> ამ დებულების შემაგრება ჩვენ ტოპონიმიკური მასალის მოშველიებით ვცადეთ, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ 1970 წელს ა. შანიძემ გამოაქვეყნა წერილი „თუშები“, სადაც იგი თუშთა ვინაობისა და წოვებისა და თუშების ურთიერთობის საკითხებს ეხება.

ა. შანიძე, როგორც ადრინდელ გამოკვლევებში, ისე ამ წერილში, არ უარყოფს იმას, რომ წოვები ვაინახური წარმოშობისანი არიან. მაგრამ მან თუშეთის ორივე ეთნიკური ერთეული – წოვები და თუშები გააერთიანა, როგორც ერთი წარმოშობის ხალხი, რის შედეგადაც აქამდე საყოველთაოდ ქართველებად ცნობილი თუშები არაქართველებად გამოაცხადა. გავყვეთ მის მსჯელობას.

პატივცემული მეცნიერის აზრით, თუშები და წოვები ერთი წარმოშობისანი არიან, თუშების წინაპრებიც ადრე წოვეურ ენაზე ლაპარაკობდნენ,

<sup>169</sup> იქვე.

<sup>170</sup> კ. წერეთელი, ქართული ეთნიკური ტერმინის „მესხ“-ის ისტორიისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე. ტ. XV, №2, 1954. გვ. 116

<sup>171</sup> А. Хаханов, Древнейшие пределы расселения Грузии по малой Азии. с.3

<sup>172</sup> გ. ახვლედიანი, აქემენიდთა ლურსმული წარწერები... საქ. სსრ მეცნ. 1903. აკად. მოამბე. ტ. IV, 15, 1943. გვ. 486.

<sup>173</sup> გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი. 1962. გვ. 169

<sup>174</sup> ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II. 1952. გვ. 7

<sup>175</sup> ნ. ხაზარაძე, საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები 1984.

<sup>176</sup> თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო. 1982. გვ. 67

შემდეგშია მოხდა თუშების ერთი ნაწილის მიერ მშობლიური ენის დაკარგვა და ქართული ენის მიღება. იგი წერს: „მე-18 საუკუნეში ქართული ენა თუშეთში ყველგან გავრცელებული იყო, მაგრამ წოვათის სოფლებს თავისი ენაც პქონდათ, რომელიც მათ კახეთში ჩამოსახლების შემდგომაც არ დაივიწყეს, თუშთა ქართულიც კარგად შეითვისეს და სხვა თუშებზე ნაკლებ არ იციან. ამიტომ დღეს თუშების ნაწილი მხოლოდ ქართულ ენაზე ლაპარაკობს, ნაწილს კი შემოიპრჩა მამა-პაპების ენაც, რომელიც ადრე თუშების ყველა თემში უნდა ყოფილიყო საერთოდ გავრცელებული, როგორც ამას ქართულად მოუბარ თუშთა ენაზე დაკვირვება და მისი ანალიზი გვინიშნებს“.<sup>177</sup>

მეცნიერი ხსენებულ მსჯელობას მომდევნო გვერდზე უფრო აკონკრეტებს და წერს, რომ „ქართულად ამეტყველდა თუშების ნაწილი და მათი მამა-პაპების ენის ხმარების არე შემცირდა და წოვათის სოფლებსღა შემოპრჩა“.<sup>178</sup>

ავტორი არ ხსნის, თუ რით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ თუშების დიდმა ნაწილმა თუშეთში ცხოვრების დროს „დაივიწყა“ „მამა-პაპების (წოვური) ენა“ და „ქართული შეითვისა“, მეორე ნაწილმა კი კვლავ შეინარჩუნა იგი და დღესაც ამ ენაზე მეტყველებს ქართულთან ერთად, მაშინ, როცა წოვათის ერთ-ერთი მთავარი სოფელი წარო ვერხოვნიდან და დადიკურთიდან (ეს სოფლები გომეწრის საზოგადოების თუშებითაა დასახლებული) დაცილებული იყო 3-5 კილომეტრით. როგორ მოხდა, რომ ჩაღმის, გომეწრისა და პირიქითის საზოგადოების თუშები „გაქართველდნენ“, ხოლო წოვათამ მშობლიური, წოვური ენა შეინარჩუნა?

განსვენებული მეცნიერის საპასუხოდ დავსძენთ, რომ თუშეთის სამი თემის – პირიქითის, გომეწრისა და ჩაღმის თუშებთან შედარებით, წოვათის თემის წოვა-თუშებმა მთელი ერთი საუკუნით ადრე დატოვეს თუშეთი და კახეთის ბარში, ალაზნის მარცხენა სანაპიროზე, აღვანის (ალონის) მინდორზე დასახლდნენ. წოვების მთელი მოსახლეობა ქართულ გარემოში მოექცა. თუშები კი კვლავ მთაში ცხოვრობდნენ და მოწყვეტილნი იყვნენ საქართველოს ბარს, ქართულ ენას (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მეტხვარეებს, რომელთაც საზამთროდ ცხვარი და მსხვილფეხა საქონელი მოუდიოდათ კახეთის, შირაქისა და სამუხის ველებზე). მაგრამ წოვებმა მშობლიური ენა არ დაკარგეს, დღემდე შეინარჩუნეს ისე, რომ სკოლაში მისვლამდე წოვა-თუშების ბავშვების უდიდესმა ნაწილმა ქართული კარგად არ იცის და სკოლაშიღა სწავლობს. რა მოხდა?! რამ და ვინ „დააკარგვინა“ თუშების ერთ ნაწილს მშობლიური ენა? რომელმა ქართულმა მოსახლეობამ „გაქართველა“ თუშები, როცა თუშეთი 80-90 კილომეტრით არის დაშორებული კახეთის

<sup>177</sup> ა. შანიძე, თუშები, ჟურნ. „მნათობი“, №2, 1970, გვ. 104

<sup>178</sup> იქვე, გვ. 105.

ბარისაგან? განა შეიძლებოდა ასეთ ვითარებაში თუშებს „ქართველობა“ მიეღოთ, თუ ისინი მართალც ჯერ კიდევ XVII საუკუნემდე ქართველები არ იყვნენ და ქართულ ენაზე არ ლაპარაკობდნენ? თუ საკითხს ობიექტურად მივიდგებით და ვიტყვი, რომ ქართულმა ენამ გამოიწვია ე.წ. „თუშური ენის ასიმილირება“, თუშების უდიდესი ნაწილი „გააქართველა“, მაშინ ეს პროცესი ხომ პირველ რიგში წოვებზე უნდა განხორციელებულიყო? მაგრამ როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ეს ასე არ მოხდა. არ მოხდა იმიტომ, რომ ენა მრავალ საუკუნეს უძლებს, ძნელად ხდება მისი ასიმილირება, დიდხანს რჩება იგი ამა თუ იმ ერისა და ეროვნების ჭეშმარიტ სარკედ. სამართლიანად აღნიშნავს აკად. გ. მელიქიშვილი: „უშნიშენლოვანისი ეთნიკური ნიშანი სწორედ ენაა. იგი ყველაზე მკაფიოდ ავლენს ამა თუ იმ ხალხის თავისებურებას, მის სახეს... ესა თუ ის ეთნიკური წარმონაქმნი — გვარი, ტომი, ხალხი თუ ერი ერთიმეორისაგან განსხვავდება პირველყოვლისა ენით“.<sup>179</sup>

ა. შანიძე იმასაც შენიშნავს, რომ ეთნოგრაფიული ნიშნების მსგავსებითაც წოვა-თუშები და ჩაღმა-თუშები ერთ ტომს ეკუთვნიან და ერთი ძირიდან მომდინარეობენ. პატივცემული მეცნიერი წერს: „თუშური ქუდიო“, რომ ვამბობთ, ან „თუშური ყველიო“, ჩვენ არ ვიცით, ვისი გაკეთებულა ქუდი თუ ყველი, წოვა-თუშებისა თუ ჩაღმა-თუშებისა; არც ის ვიცით, ვის შოქსოვა ჩითა (ერთგვარი წინდა): ეგევე ითქმის ცხერის შესახებაც“.<sup>180</sup>

ჩამოთვლილი ეთნოგრაფიული ნიშნები ეკუთვნის თუშების იმ ნაწილს, რომელიც ჯერ კიდევ ძვ. წ. IV-III საუკუნეებიდან ქართულ წყაროებში თუშებად იხსენიებიან. ეს, რომ ასე უნდა იყოს და აქ დაეჭვება არ შეიძლება, ამის საბუთს გვაძლევს ჩეჩენ-ინგუშების ეთნოგრაფიულ ნიშნებზე დაკვირვება, სადაც არც ე.წ. „თუშური ქუდის“, არც „თუშური ჩითის“, არც „თუშური ყველის“ მსგავსს არ ამზადებენ. მხოლოდ ქისტებში გვხვდება თუშების მიბაძვით ყველის თუშურ წესზე დამზადების ცალკეული შემთხვევები. ჩლდილო კავკასიიდან კი წოვების მოსულობა როგორც ადრეული საუკუნეების მასალებით, ისე ჩვენი საუკუნის მკვლევართა მიერ ერთხმადაა დადასტურებული. ამჟამად პატივცემული მეცნიერის მიერ ჩამოთვლილი ზოგიერთი ეთნოგრაფიული ნიშანი მართლაც წოვა-თუშებს თანაბრად ეკუთვნით. აქ გასაკვირი არაფერია. მათი ურთიერთშერწყმა და დაახლოება შორეული წლების ამბავია.

ა. შანიძე თავის წერილში ერთგან შენიშნავს: „ჩაღმა-თუშების ქართულში უხვად ურეყია ელემენტები, რომლებიც უტყუვრად მოწმობს, რომ ერთ დროს მათი შამა-ბაჰანიც წოვა-თუშურად ლაპარაკობდნენ

<sup>179</sup> გ. მელიქიშვილი, ურარტუ, 1951, გვ. 6-7

<sup>180</sup> ა. შანიძე, თუშები „მნათობი“, №2, 1970, გვ. 105.

და შემდეგ თანდათან გადმოვიდნენ ქართულზე. ასეთი ელემენტებია უბრაველეს ყოვლისა ადგილის სახელები, ფონეტიკური მოვლენები და შემდეგ ცალკეული სიტყვები“.<sup>181</sup>

ენით წოვები და თუშები ნათლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რიგი ეთნოგრაფიული ნიშნებიც მკვეთრად განსხვავებული აქვთ, ისმის კითხვა: რით უნდა ავხსნათ ის მსგავსება, რაც წოვურ ენასა და თუშურ კილოს შორის არსებობს? ეს საკითხი ენის სპეციალისტებმა უკვე გადაწყვიტეს და ჩვენ მხოლოდ გავიშვორებთ. თუშური კილოს თავისებურებათა შესახებ პროფ. ვ. თოფურია წერდა: „თუშური ქართული ენის დიალექტთა შორის ყველაზე უფრო თავისებური კილოა თავისი ფონეტიკურ-გრამატიკული მოვლენებითა და ლექსიკურა შემაღვენლობით. ეს აიხსნება მისი ისტორიული ვითარებით“.<sup>182</sup>

იმავე გვერდზე მეცნიერი ეხება წოვურ ენასაც და შენიშნავს: „წოვა-თუშების ენა ბაცბურია, იგი ჩაანურ-ქისტურ (ვეინახურ) ენათა ჯგუფს მიეკუთვნება. ბაცბებმა ერთნაირად იციან ორივე ენა - წოვა-თუშური (ბაცბური) და ქართული“.<sup>183</sup>

პროფ. ვ. თოფურია შემდგომ ეხება თუშურ კილოში შემონახულ არქაიზმებს, მთელ რიგ თავისებურებებს და ცვლილებებს, ე.ი. ახალ მოვლენებს, რაც ამ კილოში გაჩნდა და რაც მხოლოდ მას ახასიათებს. ამ სიახლეთავისებურებათა შესახებ მეცნიერი შენიშნავს: „თუშურის ზოგი მოვლენა აიხსნება ბაცბურთან ურთიერთობით, ისევე როგორც, პირუკუ, ბაცბურის თავისებურებათა საკმაო ნაწილი ქართული (თუშურისა და კახურის) ზემოქმედების შედეგი ჩანს“.<sup>184</sup>

განსვენებული მეცნიერის მიერ თუშური კილოს შესახებ გამოთქმული მოსაზრება და დასკვნები უდავოდ სწორი და გასაზიარებელია. საკითხისადმი ასეთი მიდგომით მკვლევარი მხოლოდ ენათმეცნიერისათვის დამახასიათებელ სიზუსტესა და სიფრთხილეს როდი იჩენს, იგი თუშეთის განსახლების თავისებურებათა ჭეშმარიტ შემფასებლადაც წარმოგვიდგება.

მიუხედავად ასეთი კატეგორიული დასკვნისა, განსვენებული მეცნიერი საკითხის უფრო ნათლად გარკვევისათვის მიზანშეწონილად მიიჩნევდა, რომ წოვა-თუშური ენა და თუშური კილო ურთიერთმიმართების ფონზე შესწავლილიყო, რაც „ბევრ საკითხს მოკფენს შუქს და ზოგადი ენათმეცნიერებისათვისაც ხელშესახებ მასალას შეგვცენსო“.<sup>185</sup> - დასძენდა იგი.

<sup>181</sup> იქვე, გვ. 104.

<sup>182</sup> ვ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, ტ. 1. თბ., 1961, გვ. 102.

<sup>183</sup> იქვე.

<sup>184</sup> იქვე, გვ. 103.

<sup>185</sup> ვ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, ტ. 1. თბ., 1961, გვ. 103.

განსვენებული მეცნიერის სურვილი, რომ მომავალში გარკვეულიყო წოვური ენისა და ქართული ენის თუშური კილოს ურთიერთ გავლენისა თუ მათი წარმომავლობის საკითხი ახსნილია პროფ. თ. უთურგაიძის რეცენზია – გამოკვლევაში – „დიდი მასშტაბის გაუგებრობა“, რომელზეც ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი.

ჩვენს წერილში თუშეთის ტოპონიმიკის თავისებურებათა შესახებ ნათქვამი გვაქვს: „თუშეთის ტოპონიმიკის ხშირად ჩინურ-ქისტურ-წოვური ენებით ახსნა იმას არ გულისხმობს, რომ აქ ოდესღაც ჩრდილო კავკასიური წარმოშობის ტომის ეცხოვროს. თუშეთი პირველადვე ამ ქართული ტომით-თუშებით უნდა იყოს დასახლებული“.<sup>186</sup> როდესაც ასე ვმსჯელობდით, მხედველობაში გვქონდა თუშეთის ისეთი ტოპონიმები, როგორცაა: ტაო, ჯაჟახე (ჯაჟახეთი), ორეთი, ორეთის მთა; თუშეთის საზოგადოებებისა და ხეობათა სახელები: გომეწარი, პირიქითი, ჩაღმა, ფარსმის ჩევი, ჭანჭახოკანი, ივანაურთა, სამცხე; თუშეთის ყველა მდინარის სახელი – ალაზანი; წარმართული სალოცავი ჯაჟახეობა (ჯაჟახობა, ჯაჟახეთობა) და ბოლოს ის, რომ „ლეკები ქართველ თუშებს (მხოლოდ ქართველ თუშებს, ე.ე.) მოსიხს უწოდებენ“.<sup>187</sup> ამასთან, უნდა ითქვას ისიც, რომ თუშეთში არის მთელი ტოპონიმები, რომელნიც მხოლოდ დიდოურ და ლეკურ ენებზე იხსნება. დიდოურ-ლეკურ ტოპონიმებთან ერთად სოფ. დართლოში, დანოსა და ჭემოში უხუცესი თუშები დღესაც მიუთითებენ, რომ მამა-პაპათა გადმოცემით, ხსენებული სოფლების ტერიტორიაზე არსებობდა უძველესი ნაგებობანი, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობა დიდო-ლეკების სალოცავებს უწოდებდა. დიდოთ-დაღესტნიდან მლოცველები მოდიოდნენ და ზაფხულობით კვიცებს კლაუდნენ აღნიშნული სოფლების ტერიტორიაზე არსებულ დიდო-ლეკთა სალოცავებში.<sup>188</sup> გომეწარის თემში, სოფ. საჩილოლოდან ორწყლის მიმართულებით სახარედ წოდებულ ადგილზე არის ძველისძველი ნასოფლარი, რომელსაც თუშები დღესაც „დიდოთ ნასოფლარს“ უწოდებენ. იქვე ერთ ადგილსაც თუშები „დიდოთ-ლეკეს“ ეძახიან. სოფლების – ფარსმისა და ჭემოს შუაზე, პირიქითის ალაზნის მარცხენა სანაპიროზე, გზის თავზე, დღემდე შემორჩენილ ნაგებობას თუშები „დიდოთ ციხეს“ ეძახიან.

უნდა ითქვას, რომ თუშეთი არის ისეთი გეოგრაფიული ერთეული, რომელსაც აღმოსავლეთიდან დიდო-ლეკები, ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-

<sup>186</sup> ვ. ელანიძე, შენიშვნები თუშთა წარმოშობის ისტორიისათვის... გვ.62.

<sup>187</sup> ივ. ჯაჟახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, 1950, გვ. 51.

<sup>188</sup> პირიქითის თემის აღნიშნული სოფლების ტერიტორიაზე არსებული დიდო-ლეკთა სალოცავების შესახებ გვესაუბრა სოფ. ჭემოს მკვიდრი ივანე ბასილის ძე აბალოძე, 1968 წლის 1 დეკემბერი.

დასავლეთიდან ჩეჩნები, ინგუშები, ქისტები და მათი მოდემის სხვა ტომები ესაზღვრებოდნენ და ესაზღვრებიან ახლაც. საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ჩრდილო და აღმოსავლეთ კავკასიასთან ხელს უწყობდა იმას, რომ საქართველოს მთიანეთსა თუ ბარში საცხოვრებლად გადმოსახლებულიყვნენ იმიერკავკასიელი მთიელები. საუკუნეთა მანძილზე თუშეთში ადგილი ჰქონდა ვაინახ-დიდო-ლეკების სავაჭროდ და სამუშაოდ გამუდმებით მოსვლას ხოლმე და ზოგ შემთხვევაში ოჯახებით საცხოვრებლად გადმოსვლასაც კი. ასეთი მაგალითები უხვად მოიპოვება. თუშეთის ის ტოპონიმებიც, რომელნიც მხოლოდ ქისტურ-ჩეჩნურ-წოვურ-დიდოურ-ლეკურ ენებზე იხსნებიან, ჩვენ მერმინდელ შენაძენად მიგვანჩნია.<sup>189</sup>

ქართული ენის თუშურ დიალექტში ზოგიერთი წოვური სიტყვის ხმარება არ ნიშნავს იმას, რომ ადრე თუშების წინაპრებიც ე.წ. წოვურ ენაზე მეტყველებდნენ.

თუშურ კილოში წოვური სიტყვების გაჩენის მიზეზი თავის დროზე სწორად შენიშნა პროფ. თ. უთურგაიძემ: „უდავოა, რომ წოვების მეზობლობას თუშურ კილოზე საკმაოდ შესამჩნევი კვალი დაუტოვებია“.<sup>190</sup> ასეთი დასკვნა ა. შანიძეს არასწორად მიაჩნია და წერს: „არა, მეზობლობას კი არა, არამედ ქართულად მოუბარია თუშების მამა-პაპებიც ძველად იმავე ენაზე ლაპარაკობდნენ, რომელიც შექმონინა წოვა-თუშებს და რთმელმაც დანარჩენი ადგილი დაუთმო ქართულს“.<sup>191</sup>

თ. უთურგაიძე თავის შემდგომ გამოკვლევაშიც იმეორებს ადრინდელ შეხედულებას თუშებისა და წოვების სრულიად განსხვავებული წარმომავლობის თაობაზე. იგი ყურადღებას ამახვილებს თუშურ კილოში გაჩენილ ენობრივ მოვლენებზე და დასძენს, რომ ისინი „თუშურში ბაცბურიდან (წოვურიდან, ვ.ე.) არის შემოსული“.<sup>192</sup>

ასეთივე გზით უნდა შესულიყო თუშურ კილოში არაქართულ ნიადაგზე გაჩენილი ტოპონიმები და სიტყვები.

ძნელი გასაზიარებელია დიდი მეცნიერის შემდეგი მოსაზრება: „როდის მოხდა თუშეთის სამი თემის საბოლოოდ გადმოსვლა ქართულ მეტყველებაზე, ეს ამჟამად ძნელი დასადგენია სათანადო მასალის უქონლობის გამო, მაგრამ ის კი შეიძლება ითქვას, რომ ძალიან შორეული ამბავი არ უნდა იყოს, მე მაგალითად, იმისი თქმაც კი მიჭირს გადაჭრით, თუ რა იყო შინაური სასაუბრო ენა ბანტრიონის გმირის ზეზვა

<sup>189</sup> თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, 1982, გვ. 63-64.

<sup>190</sup> თ. უთურგაიძე, თუშური კილო, 1960, გვ. 1.

<sup>191</sup> აკ. შანიძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 104.

<sup>192</sup> თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, 1966, გვ. 26, 29 და სხვა.

გაფრინდაულისა, რომელიც ვაკისძირიდან იყო. წოვა-თუშური, თუ ჩაღმა-თუშური (ვაკისძირი წოვა-თუშების სოფ. წაროდან ხუთსოდე კილომეტრითაა დაშორებული)“.<sup>193</sup>

ზომ ცნობილია, რომ ქართულ დიალექტებს შორის ყველაზე დიდი სიახლოვე და მსგავსება ხეესურულ და თუშურ კილოებს ახასიათებს. მთის ამ კილოთა მსგავსებაზე ჯერ კიდევ 1915 წელს, ხოლო შემდეგ 1960 წელს ა. შანიძეს შემდეგი აქვს ნათქვამი: „ქართულად მოუბარი თუშების ენა გარკვეული ნიშნების მიხედვით ახლოს დგას ჩეესურულთან და მოხეურთან, რის გამოც მე მათ, საძივეს ერთად, ფსოური კილოები ვუწოდე“ /რედაქტორისაგან, თ. უთურგაიძის წიგნი, „თუშური კილო“, 1960/ შემდეგ ა. შანიძე თვითონვე ამბობს: „ჩეესურები, რა თქმა უნდა, ქართველი ტომია, ამაში არაერთარი ეჭვი არ არის“.<sup>194</sup>

აქედან, ცხადია, ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ თუშებიც ქართველი ტომია. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ძველი ქართული მწერლობის ძეგლებს თუშები ბრწყინვალედ, სანიმუშოდ კითხულობენ. ეს ფაქტიც იმ შორეულ წარსულზე უნდა მიუთითებდეს, როცა თუშების მამა-პაპანი წოვურ ენაზე კი არ მეტყველებდნენ, არამედ ძველ ქართულ ენაზე, მშობლიურ ენაზე. წოვური ენიდან მე-18 საუკუნეში (ასე ფიქრობს ა. შანიძე) ქართულ ენაზე გადასული სამი თემის თუშები ძველ ქართულ ენაზე ვერ ილაპარაკებდნენ, მათი ენა დამახინჯებული, რაღაც აღრეული დიალექტი იქნებოდა. თუშური კილო კი, ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებელი ელემენტების შემონახვის თვალსაზრისით, დღესაც სპეციალისტების დიდ ინტერესს იწვევს. ამიტომ ამბობდა პროფ. ვ. თოფურია, რომ თუშური მეტყველება უაღრესად საინტერესოა-ო.<sup>195</sup>

ვახუშტი ბატონიშვილმა, როგორც ცნობილია, თავისი წიგნის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ წერა 1745 წელს დაამთავრა. ამ წიგნში ასახული მასალები კი მას 1724 წლამდე უნდა შეეგროვებინა, რადგან ამ წელს იგი მამასთან, ვახტანგ VI-სთან ერთად, რუსეთის გზას გაუდგა. აი, რას წერს ვახუშტი გომეწრის საზოგადოებაზე, საიდანაც ზეზვა გაფრინდაული იყო. „სარწმუნოებითა და ენათა (გომეწრისა და ჩაღმის თუშები, ვ.ე.) ქართულათა არიან“. წოვების შესახებ კი წერს: „ხოლო რომელნი შინა არიან მხარეთა ქისტთა და ღლიღვთა, უწყიან უფრო ენანი მათნი“. XVIII საუკუნის დასაწყისისათვის, თუ ვახუშტის მოღვაწეობის პერიოდში თუშეთის გომეწრისა და ჩაღმის თემებში მცხოვრები თუშები სარწმუნოებითა და ენით ისეთივენი იყვნენ, როგორც ბარის ქართველები, რაღა თქმა უნდა,

<sup>193</sup> ა. შანიძე, თუშები, „მნათობი“, №2, 1970, გვ. 105.

<sup>194</sup> ა. შანიძე, უკანასკნელი ჯვაროსნები, „საბჭოთა ხელოვნება“, №4, 1966.

<sup>195</sup> ვ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, ტ. I, გვ.103.

ზეზვა და ზეზვას სოფელი ქართულად ილაპარაკებდა, მითუმეტეს, რომ წოვათამდე მის შემდეგ კიდევ იყო სოფლები: ციხისძირი, ჯვარბოსელი, ვერხოვანი, კოკლათა, დადიკურთა და ბელელა. წაროსა და ვაკისძირს შორის ხუთიოდ კილომეტრის არსებობას, როგორც ეტყობა, დიდი მნიშვნელობა აღარა აქვს.

თუშების ქართველობის ნათელყოფისათვის უტყუარ ფაქტად მიგვაჩნია 1657-58 წლებში თუშ-ფშავ-ხევსურების მიერ ძველ ქართულ ენაზე დაწერილი ორი წერილი, რომელიც მოსკოვში გაუგზავნეს რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძეს.

წერილთა შინაარსის გაცნობით მკითხველი დარწმუნდება, თუ როგორ არიან თუშ-ფშავ-ხევსურები ერთად, ერთი სიტყვითა და საქმით შეკრულნი და გადანასკვლენი. ისინი წარმოგვიდგებიან, როგორც დედის სამი შვილი, რომელთაც ერთი აქეთ სამშობლო, ენა, საზრუნავი და საფიქრალი. განა შეიძლება ამ დროს კიდევ „გაუქართველებელ“ თუშებსა და ფშავ-ხევსურებს შორის ასეთი სიახლოვე და ერთიანობა ყოფილიყო? რა თქმა უნდა, არა. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ამ სამ ტომში მაშინ თუშეთი იყო ყველაფრის მოთავე და ინიციატორი.

აი, რას წერს აღნიშნულის შესახებ განსვენებული მეცნიერი, პროფ. შ. მესხია: „1656 წ. თეიმურაზმა და მისმა შოშხრეებმა თუშ-ფშავ-ხევსურეთში დიდი სამზადისი ჩაატარეს, ეს სამი კუთხე გააერთიანეს თუშების მეთაურობით და მათი ელჩები რუსეთში მფარველობის სათხოვნელად გაგზავნეს. 1657 წლიდან დაწყებული, თუშები არა ერთხელ იყვნენ მოსკოვში და რუსეთის ხელმწიფისადმი ერთგულება მათ საგანგებო ფიცის წიგნითაც გამოხატეს“.<sup>196</sup> და აი, სწორედ ეს ფიცის წიგნი გახლავთ თუშების ქართველობის უტყუარი საბუთი და დადასტურება.

პირველი საფიცარი წერილი მოსკოვის მეფისათვის თუშ-ფშავ-ხევსურებს 1657 წელს მიუწერიათ, სადაც კკითხულობთ: „ქ. დიდო და ყოვლის მპყრობელო ბატონო, დიდო მეფეჲ და ყოვლისა მპყრობელო! შენის ბრძანებითა ჩვენს დედოფალსა და ბატონიშვილსა (საუბარია 1652 წლიდან მოსკოვში მყოფ ერეკლე პირველზე და მის დედა ელენე დედოფალზე – ვ.ე.) კაცთ ებოძა, და ჩვენი ქვეყნის კაცი დაეუბარებინა, რომე ჩვენც ამ დიდი ჳელმწიფის ხელთა ვართო და თქვენც ამისა ყმანი შეიქენითო და თქვენც ამას დაუკართო თავითო. აწე... ჳელმწიფეჲ, ჩვენი ჳელმწიფეც თქვენთან არის და ჩვენც თუშეთის და ხევსურეთის და ფშავის ქვეყანათა, სამთავ ქრისტიანს ქვეყანასა პირობა გქმონია და ზურგი მოგვიბამს ერთმანეთისათვიან და ელჩები გამოგვიგზავნია. ეყის ბერი სოზამე მაქსიმინ

<sup>196</sup> 6. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაზე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, ტ. 1. 1958, გვ. 303 (ხაზი ჩვენია ვ.ე.)



და გრიგოლ სიდორის და ბავლე ივანის და შენი ყმანი შეექმნილვართ და თავი დაგვიკარავს, როგორც თქვენი ბრძანება იქნება ჩვენ იმისი მქნელი ვართ: ჩვენა ერთი ღმერთი ვიცით და მეორე კელმწიფე თეიმურაზ. ჩვენ მაგარს ალაგას ვართ და არას კაცს შეგებოვებით. ამდენი ხანი არის საქართველოს ყაენი ებრძვის და ჩვენ არცა შემოგვიშვია ყაენის კაცი და სადაც მოგვიჩელებია, მოგვიკლავს და მისი სარდარი გაგვიქცევია და ლაშქარი გაგვიწყვეტია: აწე, დიდო კელმწიფე, ჩვენი კელმწიფე ყენმა წაახდინა და ზურგი აღარ გკქონდა და მღვთისგან ველოდებოდით, რომე ერთი შენი ბრძანება და კაცი მოგვსვლიყო: აწე მოგვივიდა შენი ბრძანებაცა და ჩვენი დედოფლის კაციცა და თქვენი ბრძანება გაგვითავებია და შენ შემოგვკეწნივარ და შენთვის თავი დაგვიკარავს. გვიმსახურე და გაალაშქრე ამ დღეშით შენი ყმანი შეექმნილვართ“.<sup>197</sup>

ა. შანიძემ წიგნში – „ხევსურული პოეზია“ (1931წ.) ბახტრიონის ციკლის მრავალ ლექსს მოუყარა თავი. ბახტრიონის ციკლის ლექსებში ბევრია თუშური, რომელნიც, უმეტესწილად, აჯანყების პერიოდში და მის მომდევნო წლებშია შექმნილი. დაუჯერებელია, რა თქმა უნდა, არაქართველ თუშებს ასეთი მდიდარი ქართული ფოლკლორი ჰქონოდათ XVII საუკუნეში.

ქართული და უცხოური ისტორიოგრაფია თუშ-ფშავ-ხევსურებს არასოდეს აცალკევებს. თუშები ხევსურებთან და ფშავლებთან ისეთ განუყრელ და მჭიდრო კავშირში ვერ იქნებოდნენ, რომ ისინი ოდიდანვე ქართველები არ ყოფილიყვნენ. IV საუკუნეში, როცა ქართლის სამეფომ შეაწუხა ქრისტიანობის მიღებით არაგვის ხეობის მთიელები, მაშინ მათი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი აყრილა და თუშეთში გადასახლებულა. აი, რას წერს ამის შესახებ XI საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიკოსი ლეონტი მროველი: „ფხოველთა დაუტევეს ქიყყანა მათი და გარდაიდეს თუშეთსა“. თუშეთი რომ მათი მოძმე ქართველებით – თუშებით არ ყოფილიყო დასახლებული, ხევსურებისა და ფშავლების გარკვეული ნაწილი თუშეთში არ გადასახლდებოდა; თუშეთში ხევსურების სალოცავი ხატები დღემდე ვერ დარჩებოდა. წარმართი ქართველი მთიელები შეიფარეს წარმართმა თუშებმა და ამ გზით დღემდე თუშეთის თითქმის ყველა სოფელში კიდევ შემორჩა ბაზილიკები ხევსურთა ჯვარ-სალოცავებისა. ყოველ წელიწადს ზაფხულობით ხევსურეთიდან მოდიოდა ჯვარიონი „კარატიონი“ და „ხახმატიონი“, რომელნიც მთელ თუშეთს შემოვივლიდნენ და თუშებთან ერთად ლოცულობდნენეწ. „ხევსურთა ხატებს“. ეს რიტუალი ნაწილობრივ დღესაც სრულდება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ წოვათაში, სადაც წოვა-თუშები ცხოვრობდნენ, ფშავ-ხევსურების დასახლებისა და მათი ჯვარ-ხატების არსებობის

<sup>197</sup> М. Броссе, Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 г. по 1770 г., СПб. 1861 г. стр. 74-75.

არც ერთი ფაქტი არ აღინიშნება, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ წოვები იმ დროს თუშეთში არ ცხოვრობდნენ, თუშებს კი ეს ადგილი, როგორც საცხოვრებლად გამოუსადეგარი, აუთვისებელი ჰქონდათ და, რა თქმა უნდა, ასეთ უკაცრილედ ადგილზე ხევსურებისა და ფშავლების წინაპრები არ დასახლდებოდნენ.

როდესაც თუშეთის ეთნიკურ თავისებურებაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ გაეთვალისწინოთ სხვა ფაქტორებიც, რომელთაც, ჩვენი აზრით, საკითხის გარკვევისათვის არსებითი მნიშვნელობა გააჩნია.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ქისტები, რომლებიც პანკისის ხეობაში ცხოვრობენ და წოვა-თუშებისაგან არ არიან დიდი მანძილით დაშორებულნი, წოვა-თუშებს თუშებად არ ცნობენ და არც ამ ტერმინებით მიმართავენ: „თუში“ ან „წოვა-თუში“. ტერმინ „წოვა-თუშს“ პანკისის ქისტები საერთოდ არ ხმარობენ. პანკისელები წოვა-თუშებს „ვეფფი“-ს და „ვაბო“-ს ეძახიან. თუშებს ისინი უწოდებენ – „ბააცა“ (თუში), „ბააცათ“ (თუშები), „ბააცუა“ (თუშეთი). ისინი ზოგჯერ ტერმინ „ჩაღმა“-საც ხმარობენ.

თვით ვაინახური მოსახლეობის (ქისტების) მიერ წოვა-თუშებისათვის „ვეფფი“-ს, „ვაბოს“-ს და არა „თუშები“-ს წოდება, ვფიქრობთ,

სერიოზული ფაქტია და გათვალისწინებული უნდა იყოს მკვლევართა მიერ. ეს ხომ ჩრდილო კავკასიაში მათი საცხოვრებელი ადგილის ამსახველი სახელწოდებაა, რომლის შესახებაც თავის დროზე მართებულად აღნიშნა აკად. ი. დეშერიევმა.<sup>198</sup>

მოცემულ საკითხზე მსჯელობისას ალბათ ისიც უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ თუშეთში თუ კახეთის ბარში მრავალი საუკუნის მანძილზე მეზობლად (ერთ ცალკე ადგილზე ტერიტორიაზე) ცხოვრების მიუხედავად თუშები წოვების აღმნიშვნელად უმთავრესად და ძირითადად ტერმინებს: „წოვა“ და წოვებს“ იყენებენ და იშვიათად, გამონაკლისად ტერმინ „წოვა-თუშსაც“ ხმარობენ. მათ ენასაც თუშები „წოვურ ენას“ ეძახიან, იშვიათად „წოვა-თუშურსაც“, ხოლო რაც შეეხება „ბაცბურ ენას“, როგორც „წოვური“, „წოვა-თუშური“ ენის აღმნიშვნელს თუშები საერთოდ არ ახსენებენ და არც იყენებენ. ეს ვითარება იმითაა გამოწვეული, რომ თუშებმა ყველაზე უკეთესად იციან წოვების (წოვა-თუშების) ვინაობის ისტორია. კერძოდ თუშებმა იციან ის, რომ წოვები თუშეთში გვიან საუკუნეებში მოვიდნენ საცხოვრებლად და თუშობა და ბაცბობაც მხოლოდ მას შემდგომ მიიღეს თუ დაირქვეს, რასაც თუშები მაინცდამაინც ვერ ეგუებიან და ყოველთვის ცდილობენ წოვები თავდაპირველი ეთნიკურ-ტომობრივი სახელებით მოიხსენიონ.

ვფიქრობთ, ანგარიში უნდა გაეწიოს ჩეჩენ-ინგუშეთიდან თუშეთში წოვების გადმოსახლების შესახებ არსებულ თუშურ-წოვურ-ქისტურ-ინგუშურ-

<sup>198</sup> Ю. Д. Дешериев, Сравнительно-историческая грамматика нахских языков... стр.62.

ჩანურ-ხევსურულ და სხვა გადმოცემებსაც. ხალხში, კერძოდ ინგუშებში, თუშებსა და წოვებში, ეს გადმოცემები იმდენად გავრცელებულია და ისეთ მასობრივ ხასიათს ატარებს, რომ შეუძლებელია მას სინამდვილესთან არ ჰქონდეს კავშირი.

თუ თუშებიც წოვებივით ვაინახური წარმოშობისანი არიან, ე.ი. წოვები და თუშები ერთნი არიან და ერთ (წოვურ) ენაზე ლაპარაკობდნენ, (როგორც ა. შანიძე შენიშნავს, გვიან, ყოველ შემთხვევაში XVIII საუკუნეშიღა ხდება თუშების ერთი ნაწილის მიერ მამა-პაპათა ენის დაკარგვა და ქართულ ენაზე გადასვლა), რით არის გამოწვეული, რომ დღეს არც ერთმა თუშმა არ იცის წოვა-თუშური, ხოლო წოვა-თუშებში კი არიან ერთეული მოხუცები, რომელთაც ქართული ლაპარაკი ახლაც უჭირთ. განა შეიძლება, რომ XVIII საუკუნეშიღა გაქართველებულ თუშებს ისე დაევიწყებინათ წინაპართა ენა, რომ იგი აღარავინ იცოდეს დღეისათვის. მით უმეტეს, რომ „მამა-პაპათა“ ენაზე დარჩენილი წოვა-თუშები და „გაქართველებული“ თუშები კახეთის ბარშიც ერთად ცხოვრობენ – ისტორიული ალვანის ველზე, ქვემო და ზემო ალვანში. უფრო მეტიც, სოფ. ზემო ალვანში, ე.ი. ერთ სოფელში ერთად ცხოვრობენ წოვებიც და თუშებიც, მათი ბავშვები ერთ სკოლაში დადიან, მაგრამ „წინაპართა ენა“ არც ერთმა თუშმა არ იცის. თუშთა მიერ „მშობლიური ენისადმი“ კი ასეთი „გულგრილობის“ გამოცხადება, ვფიქრობთ, საეციალისტებმა ყურად უნდა იღონ და ღრმად ჩაუკვირდნენ.

თუშეთის ყველა სოფელს აქვს რამდენიმე წარმართული ჯვარ-ხატი, რომელთაც თუშები ადრეც და ახლაც დიდ პატივს სცემენ და ივლის-აგვისტოში ასრულებენ ყველა იმ წესსა და რიგს, რაც ამ სალოცავენთან არის დაკავშირებული. მათგან ზოგიერთი ხატი უფრო ძლიერია და სათუშო, ე.ი. საერთო-სატომო კუთვნილებას წარმოადგენს. ასეთებია: „ლაშარობა“, და „მაღოლობა“ პირიქითის თემში, „ჯავახობა“ და „ხითანობა“ გომეწრის თემში. „წითელთობა“, „ფიჭეხობა“ და „შაფურთობა“ – ჩაღმის თემში და სხვა.<sup>199</sup> ყველა თემის თუშები იკრიბებოდნენ ამ ხატებში, საკლავს კლავდნენ და ლოცულობდნენ. ამ ხატებში თუშები დღესაც მიდიან და ჩვეულებრივ ასრულებენ წინაპართა მიერ დაწესებულ ტრადიციებს. გარდა აღნიშნული ხატებისა, თუშები ერთი-მეორის სასოფლო ხატებშიც იკრიბებოდნენ და ერთად ატარებდნენ დროს. საკუთარი ხატები ჰქონდათ წოვებსაც, როგორცაა „სამების წმინდა გიორგის ხატი“<sup>200</sup> და სხვ. მაგრამ თუშები და წოვა-თუშები ერთმეორის ხატებში სალოცავად არ მიდიოდნენ. სარწმუნოებრივადაც, ე.ი. საკუთარი ჯვარ-ხატებისადმი განსაკუთრებული პატივისცემითა და ერთმეორის ხატებისადმი კი სრულიად გულცივი დამოკიდებულების

<sup>199</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, 1933. გვ. 192-212

<sup>200</sup> იქვე. გვ. 211

თვალსაზრისით, თუშები და წოვები არსებითად გამიჯნულნი იყვნენ. ეს პროცესი დღესაც გრძელდება: წოვები წოვათაში მიდიან სალოცავად, ხოლო თუშები თუშეთის ხატებში. ეს ფაქტი, ვფიქრობთ, მეტად საგულისხმოა, მით უმეტეს, რომ თუშებსა და დიდოებს, თუშებსა და ქისტებს ადრეულ საუკუნეებში საზიარო ხატები ჰქონიათ თუშეთის ტერიტორიაზე; აგრეთვე IV საუკუნიდან დღემდე, თუშეთის სამივე თემის (ჩაღმის, გომეწრისა და პირიქითის) ყველა სოფელში არის შემორჩენილი ხევსურთა ხატები. ხევსურები „ხახმატიონი“ და „კარატიონი“ – ჩვენი საუკუნის 50-იან წლებამდე მოდიოდნენ თუშეთში სალოცავად. წოვები და თუშები კი, მიუხედავად იმისა, რომ ორივენი თუშეთში ცხოვრობდნენ და ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. ერთმანეთის ჯვარ-ხატებს არ ლოცულობდნენ და არც სავალდებულოდ მიიჩნევდნენ, რომ იქ საკლავითა და სანთელ-ზეღამით მისულიყვნენ. წოვები და თუშები რომ იმთავითვე თუში ტომის თემები ყოფილიყვნენ, ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა მათ შორის ასეთი მკაცრი გამიჯვნა ყოფილიყო და ერთიმეორის ხატებში არ ევლოთ სალოცავად.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ისიც აღვნიშნოთ, რომ თუშურ კილოში გაჩენილი ზოგიერთი ახალი მოვლენა, კერძოდ „ადგილის სახელები. ფონეტიკური მოვლენები და შემდეგ ცალკეული სიტყვები“;<sup>201</sup> არ არის მხოლოდ წოვური ენის გავლენით გაჩენილი, როგორც ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, და არც სუბსტრატი ენის (წოვური ენის) ნარჩენია.

თუშეთში არქართულ ნიადაგზე გაჩენილი ტოპონიმები იხსნება წოვურ-ქისტურ-ჩენური და დიდოურ-ლექური ენებით და არა მარტო წოვურით. თუშეთში არის რიგი გეოგრაფიული სახელები, რომლებიც მხოლოდ დიდოურ-ლექური ენებით იხსნება. ასეთი ტოპონიმებია: ქუქი, ბობუ, დეჩ-ბაჩე, ხუტანა-ბაჩე, რეკუ, ბუკვიჭი, კაპაორე, აყოჭი, ბაქანე და სხვ.

თუშურ დიალექტში შემოსული უცხოური სიტყვებიც არაა მარტო წოვების გავლენით გაჩენილი, ისინი ვაინახური ენების კუთვნილებაა და, გამონაკლის შემთხვევაში, – დიდოურ-ლექურისაც.

არც ფონეტიკური მოვლენებია მხოლოდ და მხოლოდ წოვური ენის გავლენით თუშურ კილოში შემოსული: იგი, წოვურთან ერთად, სხვა ვაინახური ენების გავლენასაც მიეწერება და მათ შორის ყველაზე მეტად ქისტური ენისა. ვაინახური ხალხებიდან თუშებს ყველაზე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული ქისტებთან, როგორც ინგუშებთან ხევსურებს. თუშეთისა და ქისტეთის ტერიტორიული სიახლოვე იწვევდა მათ შორის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, რაც ყველაზე კარგად გამოჩნდა კულტურულ-ეკონომიკურ ურთიერთობაში. ამის შედეგი იყო, რომ ქისტებთან უშუალო კონტაქტის გამო პირიქითის საზოგადოების ქისტებთან მოსაზღვრე

<sup>201</sup> ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 104

თუშებმა სხვა თუშებთან შედარებით, ისე მძლავრად განიცადეს ქისტური ენისა და მათი სხვა თავისებურებების გავლენა, რომ ზოგიერთმა მკვლევარმა პირიქითის თემის თუშები ქისტური წარმოშობის ხალხადაც კი გამოაცხადა, რაც, რა თქმა უნდა, მცდარი იყო. ჩვენ ეს საკითხი სპეციალურად შევისწავლეთ საკანდიდატო დისერტაციაში<sup>202</sup> და აქ კვლავ შევეხებით, რადგან მის გარკვევას არსებითი მნიშვნელობა აქვს თუშეთის განსახლების ეთნიკურობის დადგენის საქმეში.

ვახუშტი ბატონიშვილიდან დაწყებული დღემდის კვლავ არსებობს ორგვარი შეხედულება თუშეთის ერთი დიდი თემის – პირიქითის შესახებ: ერთი მოსაზრების მიხედვით, პირიქითის მცხოვრებნი ჩაღმისა და გომეწრის თემების თუშებთან ერთად ქართველები არიან, მეორე, მოსაზრებით კი პირიქითის თემი ვაინახური წარმოშობის ხალხითა დასახლებული.

ვახუშტი ბაგრატიონი პირიქითის საზოგადოების მცხოვრებლებს ანსხვავეს სხვა თუშებისაგან და შენიშნავს, რომ: „*გარნა ფარსმანის ხევისანი (იგივე პირიქითის ხეობა, ვ.ე.) სარწმუნოებით და ენით შერეულნი არიან, ვითარცა ქისტნი*“.<sup>203</sup> მართალია, აქ ვახუშტი პირდაპირ არ ამბობს, რომ ფარსმანის საზოგადოების თუშები ქართველები არ არიანო, ის კი აშკარაა, რომ მაშინდელი მდგომარეობით – ენისა და სარწმუნოების მიხედვით, იგი მათ ქისტებთან აიგივეს.

ვახუშტი ბატონიშვილის შემდეგ სამეცნიერო ლიტერატურაში თუში ტომის ოთხივე საზოგადოების შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული აკად. გიულდენშტედს. იგი ერთიმეორისაგან ანსხვავეს წოკების საზოგადოების მცხოვრებლებს სხვა სამი საზოგადოების თუშებისაგან და ვახუშტისაგან განსხვავებით კი ჩაღმის, გომეწრის და ფარსმანის (პირიქითის) თემის თუშები სარწმუნოებისა და ენის მიხედვით ერთად ყავთ გამოყვანილი. იგი წერს: „*თუშები. როგორც ამას მათი ენა მოწმობს, რომელიც ქართული დიალექტია მრავალი ქისტური სიტყვით შენარევი, რასაკვირველია არიან ქართველები, ქისტებთან შერეულნი*“.<sup>204</sup> გიულდენშტედტი პირიქითის თემის თუშებს არ აცალკევებს სხვა თუშებისაგან.

მომდევნო საუკუნეებში, როცა უფრო იზრდება ინტერესი ჩრდილო კავკასიის ტომების და მათთან ახლო მცხოვრები თუშების შესწავლისაც, ქართველი თუ უცხოელი მეცნიერ-მკვლევართა გარკვეული ნაწილი აშკარად აღიარებენ, რომ პირიქითის თუშებიც წოკების მსგავსად ქისტური წარმოშობისანი

<sup>202</sup> ვ. ელანიძე, თუშეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ფეოდალიზმის ხანაში /ხელნაწერი/, 1968., გვ. 54-65.

<sup>203</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ.105.

<sup>204</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I 1962, გვ. 263.

არიანო. ე.გ. ვაიდენბაუმი პირდაპირ შენიშნავს, რომ პირიქითის თუშები ენითაც და თავისი წარმომავლობითაც ქისტების მოდემისანი არიან და ლაპარაკითაც მათს ენაზე ლაპარაკობენო. იგი წერს: „Цовцы и Пирикительцы Кистинского происхождения из общ. Галгой язык их кистинской или что совершенно чеченский“.<sup>205</sup> ი. ბარტლომეი კი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ჩრდილო-კავკასიიდან გადმოვიდნენ როგორც წოვათისა, ისე პირიქითის თემის თუშეთის მცხოვრები.<sup>206</sup>

ასეთი აშკარა აღიარება პირიქითის თემის მცხოვრებთა ქისტეთიდან გადმოსახლების შესახებ XIX საუკუნისა და ნაწილობრივ XX საუკუნის პირველი მეოთხედის ჟურნალ-გაზეთებსა და სხვა სამეცნიერო ლიტერატურაშიც მრავლად მოიძებნება.<sup>207</sup> არის მრავალი საწინააღმდეგო მოსაზრება. მაგალითად, პროფ. ალ. ხახანაშვილი შენიშნავდა, რომ „Тушины ныне составляют четыре общины, Цовцы, Чагминцы, Пирикительцы и Гомелаурцы. Последние три общины говорят грузинским языком и населения народом безспорно картвельского племени“.<sup>208</sup>

პირიქითის თემის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათა შორის ყველაზე უფრო საინტერესოა დ. ქადაგიძის (ალბანელის) შეხედულება. იგი ეხება რა თუშეთის მოსახლეობის შემადგენლობას, პირიქითის საზოგადოების ეთნიკურ თავისებურების შესახებ წერს – „ეს თემი ერთგვარია არ არის; ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირიქითის თემობა ორ თემს უნდა წარმოადგენდეს“.<sup>209</sup> სხვა წერილში დ. ალბანელი პირდაპირ აცხადებს, რომ პირიქითელი თუშები ქართულად მეტყველებენ და არა ქისტურად.<sup>210</sup>

პირიქითის საზოგადოების თუშები ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, XVIII საუკუნის დასაწყისში 36 სოფელში ყოფილან დასახლებულნი.<sup>211</sup> XIX საუკუნის 30-იან წლებში თუშეთში ჩატარებული სტატისტიკური აღწერილობისა და სხვა ოფიციალური წყაროების მიხედვით კი 12 სოფელია გვხვდება.<sup>212</sup> დანარჩენი 24 სოფელი ლეკიანობისა და ქისტ-ჩეჩნების თავ-

<sup>205</sup> აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ეგ.ვაიდენბაუმის არქივი, №45, განყ. II, ფურც. 16.

<sup>206</sup> И. Бартоломей, О так называемых Минджегских языках, известных по сию пору исключительно из Клапротовых сравнений "К". №70. 1855.

<sup>207</sup> რ. ძამსაშვილი-ცამციცი, მგზავრის შენიშვნები, ჟურნ. „დროება“, 1880, №224; „ივერია“, №887, №224 და სხვ.

<sup>208</sup> А. Хаханов. Тушины. ЭО. 18896 №2. стр. 6.

<sup>209</sup> დ. ალბანელი, თუშების ორი გუჯარი /და როგორ უყურებდა ბარის ქართველი თუშს XVIII საუკუნის დამლევს/. „კვალი“, 1897, №50.

<sup>210</sup> დ. ალბანელი, „ივერიის მეტიზობა“/თელავის სახელმწიფო ისტ. ეონ. მუზ., შე- მოსულობის წიგნი, №3, საბ. 6352/

<sup>211</sup> ვახუშტი, აღწერს სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 104.

<sup>212</sup> ვახუშტი, აღწერს სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 104.

დასახლების შედეგად განადგურებულა. პირიქითის თემის აღნიშნული სოფლები გაშენებულია პირიქითის მდ. ალაზნის სათავიდან დაწყებული ვიდრე ჩაღმის საზოგადოების საზღვრამდე; პირიქითის თემს საკმაოდ დიდი მიწა ჰქონია დაკავებული, რომელიც პირიქითის მდ. ალაზნის მიმართულებითაა გადაჭიმული დაახლოებით 50-60 კილომეტრის მანძილზე. ამავე მანძილით არიან ერთიმეორისაგან დაცილებულნი პირიქითის თემის დასავლეთის და აღმოსავლეთის სასაზღვრო სოფლები — ჭონთიო და ჩილო. აღნიშნულ ვრცელ ტერიტორიაზე დასახლებას განსაკუთრებული სახე მიუღია. საზოგადოების ერთი დიდი ნაწილი ჩეჩენ-ინგუშეთისა და ნაწილობრივ ფშაე-ხევსურეთის საზღვარზე დასახლებულა, ხოლო მეორე ნაწილი კი უფრო აღმოსავლეთით. პირიქითის ხეობის ასეთმა განსახლებამ დროთა ვითარებაში ერთიმეორე დააცილა, დაშორა და ურთიერთ განმასხვავებელი პირობები შეუქმნა ფარსმის საზოგადოების ზემოთ აღნიშნულ ორ მიკრო რაიონს. ჩეჩენ-ინგუშეთის საზღვარზე დასახლებულმა პირიქითის თემის მოსახლეობამ დიდად განიცადა მეზობლად მცხოვრები ნახური ტომების გავლენა; ტერიტორიული სახელოვის გამო მათ ერთმანეთში ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ და სხვა და სხვა მიზეზების გამო ისინი ერთიმეორეში საცხოვრებლადაც გადადიოდნენ.

ამ მხრივ პირიქითის თემის ჩრდილო-დასავლეთის მხარემ თუშეთის სხვა თემებს შორის ყველაზე მეტად განიცადა ჩრდილო-კავკასიიდან ჩამოსახლებულთა გავლენა.

XIX საუკუნის დასაწყისიდან თუშეთსა და ჩეჩენ-ინგუშეთს შორის მეგობრული დამოკიდებულება მტრობით შეიცვალა. გახშირდა ერთიმეორეზე თავდასხმები. მიუხედავად ამისა, ჩრდილოეთიდან გადმოხვეწილთა თუშეთში დასახლება კვლავაც გრძელდებოდა. XIX ს-ის 20-30-იან წლებში თუშეთის ყველა თემში ცხოვრობდა რამდენიმე ქისტური ოჯახი.

პირიქითის თემის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილზე ქისტურ-ჩეჩენურ-ინგუშური მოსახლეობის განსაკუთრებულმა ზემოქმედებამ თუშეთის სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით, მართლაც, რომ მოამზადა მყარი საფუძველი, რომ პირიქითის თემის ქისტ-ჩეჩენების სასაზღვრო სოფლების: გირევის, ჭონთიოს, ნაკუდურთას, ბასოს, დაქიურთას, ჰელოს და ფარსმის მცხოვრებლებს მშობლიურ ენასთან ერთად ქისტური ენაც სცოდნოდა, როგორც ენა მეზობელ ტომებთან ურთიერთობისა და დაკავშირების საშუალება.

პირიქითის საზოგადოების მეორე ნახევარმა, რომელიც უფრო აღმოსავლეთით მდებარეობს და რამდენიმე ათეული კილომეტრით არის დაშორებული ჩეჩენთ-ინგუშეთ-ქისტეთის საზღვრებიდან, ისეთივე გავლენა განიცადა ვაინახებისაგან, როგორც თუშეთის სხვა თემების თუშებმა.

ამ მხარეში არსებული სოფლების: ჩილოს, დართლოს, კვავლოს, დანოს და ჭეშოს მცხოვრებლები დიდად განსხვავდებოდნენ მათგან დასავლეთით მცხოვრებ (შემდგომ ფარსმის საზოგადოების სახელით ცნობილ) თუშებისაგან;

მათ გარდა ქართული ენისა სხვა არც ერთი ენა არ იცოდნენ, არც ვაინახური და ენითაც და სარწმუნოებითაც ისევე ხასიათდებოდნენ, როგორც თუშეთის ჩალბისა და გომეწრის თემთა თუშები.

მართალია, პირიქითის თემის ერთმა ნაწილმა, როგორც აღინიშნა, სინამდვილეში განიცადა მეზობელი ჩეჩნურ-ქისტურ-ინგუშური ტომების გავლენა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ქართველები არ იყვნენ. პირიქითის საზოგადოების სახითაც საქმე გვაქვს ქართულ მოსახლეობასთან. ეს ვითარება კარგად გამოვლინდა, როცა თუშებმა მუდმივ საცხოვრებლად ჩამოსახლება იწყეს კახეთის ბარში.

თუშეთიდან კახეთის ბარში ჩამოსახლება წოვებს და პირიქითის საზოგადოების თუშებს სხვადასხვა დროს მოუხდათ. წოვები კახეთში — ისტორიული ალონის (ალვანის) ველზე XIX საუკუნის პირველ მესამედში ჩამოსახლდნენ. წოვებიც და პირიქითის საზოგადოების თუშების 90 პროცენტი მეზობლად დასახლდნენ, რომელთაც შემდგომში, კერძოდ, 1924 წელს, თავისი პატარა-პატარა სამოსახლოების გაერთიანება მოახდინეს.

ერთ სოფლად დასახლდნენ, რომელსაც ზემო ალვანი დაერქვა და დღემდის იქ ცხოვრობენ. წოვები დღესაც ორენოვნები არიან და საგულდაგულოდ შემოინახეს ე.წ. ვაინახური ენა, ხოლო პირიქითელ თუშთაგან არც ერთმა აღარ იცის იმიერკავკასიელთა ენა, გარდა ქართული ენისა, რას უნდა გულისხმობდეს ასეთი სხვაობა წოვებსა და პირიქითელ თუშებს შორის, თუ ისინი, ორივენი ვაინახური წარმოშობისანი იყვნენ?

მიუხედავად იმისა, რომ პირიქითის საზოგადოების თუშები კახეთის ბარში წოვებთან შედარებით საუკუნეზე მეტი ხნით გვიან ჩამოვიდნენ და თუშეთში კვლავ ჩეჩენ-ინგუშეთთან ურთიერთობასა და გარემოცვაში უფრო დიდხანს ცხოვრობდნენ, ისინი ქისტურ (ვაინახურ) ენაზე აღარ ლაპარაკობენ, წოვები კი, რომელთაც კახეთში ჩამოსახლების შემდეგ დიდად განიცადეს ქართული ენის გავლენა, კვლავ ინარჩუნებენ წოვურ ენას. მათ ორი სალაპარაკო ენა აქვთ — წოვური და ქართული. პირიქითის თემის ფარსმის საზოგადოებამ, მოსცილდა რა იმ გარემოს, სადაც ვაინახური ენა ესაჭიროებოდა მეზობელ ჩეჩნურ-ინგუშურ ტომებთან ურთიერთობისათვის, ვაინახური ენა დაივიწყა, როგორც დროებით შეთვისებული ენა და ისინიც ყველა დანარჩენი თუშებივით ლაპარაკობენ მხოლოდ ქართული ენის თუშურ დიალექტზე. წოვებმა კი, მიუხედავად ქართული ენის დიდი გავლენისა, წოვური (წოვა-თუშური) ენა დღემდის შეინარჩუნეს და ახლაც არა მარტო ქართულ ენაზე, არამედ წოვურ ენაზეც მეტყველებენ — ისინი კვლავ ორენოვანნი არიან.

თუშეთი, როგორც უკვე აღინიშნა, ოდითგანვე საქართველოს განუყოფელი მიწა-წყალია და თუშთა უცილობელი სამკვიდრებელი, ხოლო შემდგომ, უფრო გვიან, სხვადასხვა მიზეზების გამო, თუშეთში ჩრდილო კავკასიიდან



გადმოხვეწილი თუ საქართველოს მეფეთა მიერ ჩრდილო-კავკასიიდან გადმოსახლებულთა ნიადაგზე უნდა იყოს გამოწვეული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის და მათ შორის თუშეთის ტოპონიმიკის მრავალფეროვნება. თუშეთის შესახებ არსებული წერილობითი მასალა, ხალხური გადმოცემები, თუშებისა და მათ მეზობლად მცხოვრები ჩრდილოკავკასიელი ხალხების ურთიერთდამოკიდებულების ამსახველი ისტორია, მხარს უჭერს აღნიშნულ მოსაზრებას.

წოვების თუშეთში დასახლების საკითხი, ჩვენი აზრით, გარკვეული ჩანს, წოვები თუშეთში გვიან ფეოდალურ ხანაში არიან მოსულნი. ამიტომ ცხადია, თუ როდის და როგორ გაჩნდა თუშეთში ისეთი გეოგრაფიული სახელები, რომელნიც წოვური ენის ნიადაგზე იხსნება.

როგორც საყოველთაოდაა ცნობილი ქართლისა თუ საერთოდ საქართველოს სახელმწიფოს ძლიერების დროს, საქართველოს სამეფოს საზღვრები ხშირად კავკასიის მთავარ ქედს იქით გადიოდა და ჩრდილო-კავკასიის ხალხები საქართველოს სახელმწიფოში შემოდოდნენ. ასეთი პოლიტიკური ატმოსფერო ყოველგვარ პირობებს უქმნიდა იმიერ-კავკასიის მწირ და უმოსავლო მთაგორიან ადგილებში დასახლებულ ნახებს, დიდობსა და ლეკებს უკეთესი საცხოვრებელი პირობების ძიებისა და შექმნის მიზნით გადმოსულიყვნენ საქართველოში და მათ შორის მეზობელ თუშეთში, ხევსურეთში და ფშავში.

1831 წლის თუშეთის მოსახლეობის აღწერის მიხედვით ხაზი აქვს გასმული თუშეთის მცხოვრებთა ნაციონალურ თავისებურებას და აღნიშნულია, რომ იმ დროისათვის თუშეთში რამდენიმე ქისტური კომლი ცხოვრობს. მაგალითად, წოვათის სოფ. საგირთაში – 3 კომლი, ჩალმის თემის სოფ. იმალოში 4 კომლი და სხვა.<sup>213</sup> XIX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში დ. ზუბარევის მიერ თუშეთის მოსახლეობის აღწერითაც საგანგებოდ ხაზი ესმება თუშეთში ქისტების მოსახლეობის არსებობას. დ. ზუბარევის მიერ აღინიშნება, რომ მაშინ თუშეთში ქისტების 15 კომლი ცხოვრობდა.<sup>214</sup> XIX საუკუნეში ქისტებიდან თუშეთში საცხოვრებლად გადმოსულთა მრავალი მაგალითი დღესაც აღინიშნება. მაგალითად, ქისტეთის სოფ. სამტყუდან გადმოსულა თუშეთში მურთაზი და დასახლებულა სოფ. დანოში. მურთაზს ჰყოლია ოთხი ვაჟი. მურთაზის შთამომავლობა დიდი ხანია თუშებად იწოდებიან და ალხანაიძეების გვარით არიან ცნობილნი. პანკისის ქისტებში მათ ნათესავეები ჰყავთ. ასე სწრაფად მოხდა მათი გათუშება-გაქართველება. სოფ. სამტყუდანვე გადმოსულა თუშეთში ქისტი – ა ბოლათა და სოფ.

<sup>213</sup> საქ. ცენტრ. სახ. ისტ. არქივი, ფონდი 254. ამონაწერი 2, საქმე-399, ფურც. 120, 183

<sup>214</sup> Д. Г. Зубарев. დასახლებული შრომა, გვ. 522

დანოში დასახლებულა. მისი შთამომავლობა დღეს (შახაძეების გვარით) სოფ. ზემო ალვანში ცხოვრობენ და მათაც თუშებად თვლიან. XIX ს-ის დასაწყისში თუშეთში მოსულა ქისტეთიდან თავისი ცოლით ალია და სოფ. გოგრულთაში დასახლებულა. ალიადან წარმოსდგა შემდგომ გვარი – ალიაიძე (ალიანთ საგვარეულო), ხოლო პანკისში გადმოსახლებული მისი ძმის იმედასაგან იმედაშვილები. ალიაიძეებს, რომელთაც თუშები თუშებად იცნობენ და ისინიც თავის თავს თუშებს ეძახიან და იმედაშვილებს, რომელნიც პანკისში და სოფ. ზემო ალვანში ცხოვრობენ და ქისტებად არიან ცნობილნი, ახლო ურთიერთობა და ბიძაშვილობა აქვთ. თუშეთში სოფ. გოგრულთაში, სადაც ალია დასახლებულა, მის სახელთან და მისი სახელიდან წარმომდგარ გვართან დაკავშირებით შეიქმნა ახალი ტოპონიმები: ალიას ნაყანობი, ალიანთ ბოსელი, ალიანთ ნაბინავარი და სხვა.

XIX საუკუნის დასაწყისში ქისტეთიდან თუშეთში გადმოხვეწილა ძმის მკვლელის მოკვლის გამო ქალი-კუკალა. ის სოფელ ფარსმაში დაბინავებულა და შემდგომ იმავე სოფლის მკვიდრ დაო ქააძეზე გათხოვილა. მის მოდგმას ახლაც კუკალანთ ეძახიან, მიუხედავად იმისა, რომ გვარით ისინი ქააძეები არიან. ქისტეთიდან გამოქცეულა და სოფ. ფარსმაში დასახლებულა ვინმე – დადა. დადას თუშის ქალი შეურთავს და ოჯახი შეუქმნია. დადას შთამომავლობას ახლაც დადაანებს ეძახიან, გვარით ქააძეებად იწერებიან. მრავალი სხვა მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, აღნიშნულიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ თუშეთის მკვიდრ მოსახლეობაში როგორ ერეოდა ჩრდილო-კავკასიიდან დევნილ-გამოძევებული თუ საკუთარი სურვილით წამოსული ქისტები (თუშები ყველა ნახურ წარმომშობის ადამიანებს ქისტს ეძახდნენ). თუშეთში დასახლებულ ქისტებს თუშეთის სატომო საბჭო, სათემო თუ სასოფლო თემები უქმნიდა ცხოვრების ყველა პირობებს: გამოუყოფდა სახნავ-სათეს მიწას, ეხმარებოდა საცხოვრებელი ბინის მშენებლობაში და სხვა. ქისტი თუ სხვა ტომის წარმომადგენელი მათი ენისათვის შესაფერის სახელებს არქმევდა მათთვის გადაცემულ სახნავ-სათობ ადგილებს. სწრაფად ხდებოდა ჩამოსახლებულთა შერწყმა მკვიდრ მოსახლეობასთან, სახელი კი ადარ იცვლებოდა. მაგალითისათვის მოვიყვანთ ერთ შემთხვევას: პირიქითის თემის სოფ. ჩილოში XVIII საუკუნეში ხვესურეთიდან მოსულა ძმის მკვლელის მოკვლის შემდგომ თავგამორიდებული ვინმე – მარხვა. იგი უცოლშვილო ყოფილა. მაშინ ჩილოში ყოფილა ერთი ქვრივი ქალი, რომელსაც ეკუთვნოდა თურმე საკმაოდ მოზრდილი მიწის ფართობი ტუტარიკი. მარხვა იმ დროს მოსულა სოფ. ჩილოში, როცა ტუტარიკად წოდებულ სახნავ-სათობ მიწა-წყალს ქვრივ ქალს ართმევდა სოფ. შენაქოში მცხოვრები ამაყი, თავგასული და ყოვლად ნამუსგარეცხილი ვინმე – გულუხიძე. ტუტარიკის შენარჩუნებაში ქვრივ ქალს მარხვა მოხმარებია. იგი მეტად გულადი და უშიშარი პიროვნება ყოფილა. ტუტარიკის

მულობელ ქალს მარხვასათვის ასეთი გამოქომაგება-დაპატრონების საფასურად მიუცია ტუტარიის ნახევარი – პირიქითის მდ. ალაზნის მარცხენა სანაპიროზე მდებარე მამული, რომელმაც შემდგომ მარხვით ჭაღას სახელწოდება მიიღო და სოფ. შენაქოსა და ომალოს გზების გასაყარის დაბლა მოთავსებული ადგილი, რასაც შემდგომ დარქმევია – მარხვით ტყე. ეს ტოპონიმები დღესაც ასე მოიხსენიება სოფ ჩილოს მცხოვრებთა მიერ.

თუშურ კილოში თავჩენილი ფონეტიკური მოვლენები უმეტესწილად იმ ვაინახური მოსახლეობის კუთვნილება უნდა. იყოს, ვინც საუკუნეების მანძილზე თუშურ მოსახლეობას ერეოდა და დროთა ვითარებაში ხდებოდა კიდევ მათი ასიმილირება-გაქართველება. ამ თვალსაზრისით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ყველაზე დიდი პროცენტი ქისტურ მოსახლეობაზე მოდის. მაგალითად ბგერა „ყ“ რაც თუშურ კილოში გაჩენილ მოვლენათა შორის ყველაზე მთავარია, არაა მხოლოდ წოვეურისათვის დამახასიათებელი; ეს ბგერა იმავე ფორმითა და შინაარსით იხმარება ქისტურშიც, როგორც წოვეურ ენასა და თუშურ კილოში.

XIX საუკუნის განათლებული წოვა-თუშები არ უარყოფდნენ თუშთაგან თავის განსხვავებულ წარმომავლობას და არც არავის აპატიებდნენ წინაპართა შეურაცხყოფას. აბა, გავიხსენოთ დ. ალბანელმა (ქადაგიძემ) როგორი პასუხი გასცა გრ. ფშაველიშვილს (აფშინაშვილს), როცა მათ ენას მან „დედინაცკლის ენა“ უწოდა; იგივე დავით ალბანელმა ხომ შესანშნავად იცოდა, რომ წოვეები და თუშები ინდივიდუალური ტომები იყვნენ, მათ ურთიერთ მკვეთრად განსხვავებული ისტორია აქონდათ და მათი გაიგივება დიდ შეცდომად მიაჩნდა. ანალოგიური პოზიცია ეკავა იმავე საუკუნეში დავით ალბანელის თანამემამულეებს – ი. ცისკარიშვილსა და ივ. ბუჭურაულს. ხსენებულ ტრადიციას აგრძელებენ თანამედროვე წოვა-თუშები მკვლევარებიც: ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ლაგაზიძე და პროფ. ა. შაველი-შვილი (მხედველობაში გვაქვს მისი საკანდიდატო შრომაში მოცემული მსჯელობა). იმასაც შევნიშნავთ, რომ ჯერ თუშეთში, ხოლო შემდგომ კახეთის ბარში თუშებისა და წოვეების ერთად ცხოვრებამ, საერთო მტრის წინააღმდეგ ერთად ბრძოლამ და ერთად შრომამ ისინი ძლიერ დაახლოვა ერთმანეთთან, ზოგიერთი რამ ერთიმეორისა გადაიღეს და შეითვისეს კიდევ, რის გამოც სრულიად კანონზომიერად მიგვაჩნია წოვეებისათვის წოვა-თუშების წოდება. მაგრამ ვერ დავეთანხმებით იმას, რომ თუშებს ჩაღმა-თუშები დაეუძახოთ. ყველანაირად უნდა შევეცადოთ ამ ხელოვნური და ყოველად უსაფუძვლოდ შექმნილი ტერმინის განდევნა-ლიკვიდაციისათვის და ფართო გზა დავუთმოთ ქართველი ხალხის მიერ მრავალი საუკუნის მანძილზე შესისხლხორცებულ და გათავისებულ ტომობრივ-ეთნიკურ სახელებს: თუშეთი (და არა მთა-თუშეთი), თუშები (და არა ჩაღმა-თუშები), თუშური კილო (და არა ჩაღმა-თუშური კილო).

ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია და ვეთანხმებით კიდევ აკად. ა. შანიძეს, რომ წოვებს ეწოდებოდა წოვა-თუშები, ხოლო მათ ენას წოვა-თუშური ენა და არა ბაცბები და ბაცბური ენა, რადგან, ჯერ ერთი, წოვას ხმარებით ვინარჩუნებთ მათს ადრეულ-თავდაპირველ სატომო სახელს, ხოლო წოვაზე კომპონენტ თუშის დართვით კი გამოვხატავთ იმ ცვლილებებს, რაც ამ ტომმა განიცადა საქართველოში გადმოსახლების შემდგომ, მეორეც თავიდან ავიცილებთ იმ უხერხულობას, რაც ტერმინ „ბააცასთან“ და „ბაცბურ ენასთან“ არის დაკავშირებული.<sup>215</sup>

ჩვენი აზრით ეს იქნება ყველაზე ობიექტური და სამართლიანი მიდგომა თუშებისა და წოვა-თუშების მიმართ. და არა ის, რომ ზოგიერთები კვლავ ცდილობენ „წოვა-თუშურ ენას“, „თუშური ენა“ უწოდონ, რაც, რა თქმა უნდა, მეცნიერულ-მორალური თვალსაზრისით ყოველად უსაფუძვლო, მიუღებელი და შეურაცხყოფელიცაა.

არ შეიძლება აქვე ისიც არ აღინიშნოს, რომ ამ ბოლო ხანს „წოვური“ თუ „ბაცბური“ ენისათვის „წოვა-თუშური ენის“ სახელწოდების დამკვიდრება-გამყარების საქმეში ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები: ქალბატონი მაყვალა მიქელაძე,<sup>216</sup> და არსენ ბართიშვილი,<sup>217</sup> რომლებიც თვითონ წოვა-თუშები არიან და აღძრული საკითხისადმი თავისი ობიექტური დამოკიდებულების სანიმუშო მაგალითს აძლევენ ყველას.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტერმინ „ჩალმა-თუშურ კილოსთან“ დაკავშირებით მკითხველს სხვა დამატებითი ცნობებიც მივაწოდოთ, რაც მას ნათელ წარმოდგენას შეუქმნის აღნიშნულის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ განსვენებული მეცნიერი ა. შანიძე იმათავითვე, როდესაც ის სრულიად ახალგაზრდა თუშეთში მოგზაურობდა და იქ რამდენიმე დღის განმავლობაში ყოფნით თუშების სალაპარაკო ენას გაეცნო, მაშინაც და შემდგომშიც თუ კი ოდესმე შეხება ჰქონია თუშების მეტყველებასთან იგი ერთსადაიმავეს აღნიშნავდა: <sup>218</sup> „...თუშების ენა გარკვეული ნიშნების მისეფიით ახლოდგას ხევსურულთან და მოსკურთან, რის გამოც მუ მათ, საშივეს ერთად,

<sup>215</sup> გ. ყორანაშვილი, „სრულ ერთობილი თუშნი“, გაზ. „თბილისი“, 1988, №281

<sup>216</sup> მაყვალა მიქელაძე, წოვა-თუშური ენის კნინობითი სახელები, იხ. თელავის უნივერსიტეტის შრომები, ტ. X. 1999, გვ. 52-58; მისივე, წოვა-თუშური ენის ინსტრუმენტალისტი ინტერფერენციის თვალსაზრისით, იქვე, გვ.46-52.

<sup>217</sup> არსენ ბართიშვილი, წოვა-თუშური ენის ლარინგალური თანხმონის მოკლე დახასიათება მისი შემდგომი კვლევით თვალსაზრისით, იხილეთ თელავის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. IX. 1998, გვ. 151-155

<sup>218</sup> გარდა 1970 წელს ჟურნალ „მნათობში“ (№2) დაბეჭდილი სტატიისა – „თუშები“, სადაც აკად. ა. შანიძე კატეგორიულად მოითხოვდა, რომ „თუშურ კილოს“ – ჩალმა თუშური კილო“ დარქმეოდა. მეცნიერის ხსენებული პოზიცია არავინ გაიზიარა და მან სერიოზული რეაქცია გამოიწვია...

ფხოური კილოები გუწო-დე. მცირეოდენი მასალა, რომელიც მე თუშური კილოს შესახებ დაგებქდე, ნათლად აჩენდა თუ რა საინტერესო კილოთიან გუქონდა საქმე.<sup>219</sup> აკად. ა. შანიძის შემდგომ თუშური კილოს მეცნიერული შესწავლის საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის პროფ. თ. უთურგაიძეს. ბატონმა თ. უთურგაიძემ 1954 წელს საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თუშური კილოს შესახებ, ხოლო 1961 წელს გამოსცა საინტერესო მონოგრაფიაც – „თუშური კილო“, აკად. ა. შანიძის რედაქტორობით. ბატონმა თ. უთურგაიძემ იგივე გაიმეორა და მხოლოდ იყენებს გამოთქმას „თუშური კილო“, როგორც 1966 წელს გამოცემულ სადოქტორო შრომაში „ქართული ენის მთის კილოთა თავისებურება“ და სხვა წერილებსა და გამოკვლევებში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩვენ მიერ ამ პარაგრაფში გამოყენებულ მის რეცენზიას – „დიდი მასშტაბის გაუგებრობა“, სადაც იგი ყველგან „ჩაღმა-თუშურს“ უწოდებს „თუშურ კილოს“, რაც, რა თქმა უნდა, მისთვის როგორც თუშისათვის, ამ კილოზე აღზრდილისათვის და რომელმაც პირველმა მან შეისწავლა ვერცლად, ამომწურავად და გამოსცა საინტერესო გამოკვლევა – „თუშური კილო“, ჩვენ თვითონ თუშს და ხსენებულ მოვლენასთან ყოველმხრივ გათვითცნობიერებულს და ახლომდგომს, ერთგვარად უხერხულად და მიუღებლად მიგვანჩნია. ჩვენ საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულების უფლებას თვით ბატონი თედო უთურგაიძის მრავალი წლის მეცნიერული შემკვიდრება გვაძლევს, სადაც იგი თვითონაც ვერ ეგუებოდა მსგავს მცდელობა-გამოვლინებებს და მყარად იცავდა ახალგაზრდობიდან არჩეულ კურსს – თუშური კილოს მიმართ და მიზანშეწონილად მიიჩნდა გარკვეულ უხერხულობა-გაუგებრობათა თავიდან აცილების გამო დამკვიდრებულიყო ტერმინები „წოჯური ენა“ და „თუშური კილო“, რადგან თ. უთურგაიძისათვის „ამ ტერმინებისათვის ამოსაყალი იყო წოჯა და თუში. წოჯას ქართველები მხოლოდ და მხოლოდ წოჯურ ენაზე მოლაპარაკეს უწოდებენ, თუშს კი ძირითადად ქართულ დიალექტზე მოლაპარაკეს უწოდებენ“.<sup>220</sup> ამავე გვერდზე თ. უთურგაიძე იმასაც აღნიშნავს, რომ: „პროფ. ა. შანიძე ქართულად მოლაპარაკე თუშების ენას თუშურ კილოს უწოდებს“.<sup>221</sup>

პროფ. თ. უთურგაიძის მიერ თუშური კილოს მეცნიერული შესწავლისა და მასზე ყოველმხრივ დიდად ღირებული წიგნის გამოქვეყნების შემდგომ თუშური კილოს შესწავლას რამდენიმე წელი მონადომ ბატონმა პ. ხუბუტამ, მან ხსენებულ კილოზე წარმატებით დაიცვა დისერტაცია და 1969 წელს

<sup>219</sup> ა. შანიძე, რედაქტორისაგან, იხ. თ. უთურგაიძე, თუშური კილო, 1961.

<sup>220</sup> თ. უთურგაიძე, თუშური კილო, 1961, გვ.2

<sup>221</sup> ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თხზ., I გვ. 239.

გამოსცა მონოგრაფია – „თუშური კილო“. იგი არც ამ გამოკვლევაში და არც სხვაგან არ იყენებს ტერმინ „ჩაღმა თუშურ“ კილოს და ის ყველგან წერს – „თუშური კილო“.

ქართულ საენათმეცნიერო, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ თუ დიალექტოლოგიურ სახელმძღვანელოებსა და გამოკვლევებში ჩვენი სახელოვანი მეცნიერები საუბრობენ და წერენ თუშეთზე და არა მთა-თუშეთზე, ქართული ენის თუშურ კილოზე და არა ჩაღმა თუშურ კილოზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ალბათ, ბოლოს და ბოლოს, პატივი უნდა ვცეთ მრავალსაუკუნოვან ტრადიციას, რაც ჩვენი დიდი წინაპრების ღვაწლთან, ამაგთან და პატივისცემასთან არის დაკავშირებული და თავი შეეიკავოთ ახალ-ახალი ტერმინების გამოგონებაზე, რასაც, მითუმეტეს, არ გააჩნია გამართლება და თან სდევს უსიამოვნო უხერხულობა.

წოვური (წოვა-თუშური) ენისათვის „ბაცბური ენის“, ანდა „თუშური ენის“ დარქმევა არასწორად და შეცდომად მიაჩნდა პროფ. ნ. ქადაგიძესაც (იგი ტომობრივი წარმომავლობით წოვა-თუშ იყო) და აღნიშნულის შესახებ განსვენებული მეცნიერი 1968 წელს შემდგენიარად მსჯელობდა: „გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი“ გამოქვეყნდა პროფ. კ. ჭრელაშვილის სტატია „ბაცა“ ტერმინის ხმარებისათვის ქართულ ენაში“, სადაც სამართლიანადაა აღნიშნული, რომ ქართული საბჭოთა ენციკლოპედიისათვის შეუფერებელია ტერმინი „ბაცბური ენა“, ვერ დავეთანხმებით ავტორს იმაში, რომ წოვა-თუშურისათვის აღვადგინოთ უახლოეს დრომდე მსოფლიო ენათმეცნიერებაში მიღებული ტერმინი „თუშური ენა“.<sup>222</sup> პროფ. ნ. ქადაგიძის დამოკიდებულება ტერმინებისადმი – „ბაცბური ენა“ და „თუშური ენა“ ლოგიკური და სამართლიანია. მაგრამ ბატონი ნ. ქადაგიძე, იმავე დროს, დიდ შეცდომას უშვებს, როცა ქართული დიალექტოლოგიისა და ენათმეცნიერების მდიდარ მემკვიდრეობას არ ითვალისწინებს და დასძენს: „გაუმართლებელია აგრეთვე ტერმინი „ქართული ენის თუშური დიალექტი (ენა)“, რომელსაც ბოლო დრომდე მიმართავს ზოგიერთი ქართველი ენათმეცნიერი იმ დიალექტის აღსანიშნავად, რომელზედაც არაწოვა-თუშები, ე.ი. პირიქითელი და გომეწრელი თუშები მეტყველებენ“ აღძრული საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულებით, განსვენებული მეცნიერი უზომო შეცდომას უშვებს და თავანკარა ისტორიას შეგნებით ამღვრევს, რადგან მან შესანიშნავად იცის, რომ უძველესი დროიდან ყველა ქართულ წერილობით ძეგლში, თუ გნებავთ ქართველი ერის განთქმულ მატრიანეში „ქართლის ცხოვრებაში“ და საქართველოს ბარისა და მთის ქართველობისათვის თუშეთს თუშეთი ერქვა და იქ მცხოვრებთ კი თუშები ეწოდებოდათ. თუშები ლაპარაკობენ მხოლოდ და მხოლოდ ძველი ქართული ენის თუშურ კილოზე და არა ე.წ. „ჩაღმა

<sup>222</sup> გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“. 1968, 15 მარტი

თუშურ კილოზე“. ეს ტერმინი ხელოვნურად არის შექმნილი და თუშეთის მრავალსაუკუნოვანი ისტორია არ იცნობს ქართული ენის ასეთ დიალექტს. ისე, რომ მეტყველებაში თუ მწერლობაში ქართული ენის „თუშური კილო“ ერთადერთი და შეუცვლელია, ხოლო ის ვარიანტი კი, რომელსაც განსვენებული მეცნიერი გვთავაზობს მიუღებელია, თანაც ყოველად ხელოვნური და არამეცნიერულია. მკვლევარის სურვილია, რომ ქართულ ენციკლოპედიაში შევიდეს ტერმინი „ქართული ენის ჩაღმა-თუშური დიალექტი (პირობითად აქვეა პირიქითური და გომეწრული)“ და არა ქართული ენის თუშური კილო“. პროფ. ნ. ქადაგიძეს კარგად მოეხსენებოდა, რომ თუში ტომი სამი თემისაგან შედგება, რომელთაგან „ჩაღმა“ ერთ-ერთი თემის სახელწოდებაა, რომელიც თავის თავში, რა თქმა უნდა, ვერ მოიცავს „გომეწრისა“ და „პირიქითის“ თემებს, როგორც ეს დასაშვებად მიაჩნია პროფ. ნ. ქადაგიძეს და ბევრ სხვებსაც, რომლებიც „თუშური კილოს“ „ჩაღმა-თუშური“ კილოს ტერმინით შეცვლის მოსურნენი არიან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მრავალჯერ გამოვსულვართ ამ სიყალბეთა წინააღმდეგ და ახლაც იმასვე ვიმეორებთ და დავსძენთ, რომ თუშური დიალექტი, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, ეწოდება თუშეთის სამი თემის: ჩაღმის, გომეწრისა და პირიქითის თუშების ქართულ სასაუბრო ენას, რომელიც ქართველ დეაწლმოსილ ენათმეცნიერ-დიალექტოლოგთა მიერ, სრულიად სამართლიანად, აღინიშნება ქართული ენის თუშურ კილოდ, თუშურ დიალექტად და ისინი არასდროს მის ნაცვლად ტერმინ „ჩაღმა-თუშურ კილოს“ არ ახსენებენ და არც ერთ ოფიციალურ წერილობით ძეგლში არ გამოუყენებიათ ტერმინი „ჩაღმა-თუშური კილო“ აღნიშნულ ტერმინს მხოლოდ დემაგოგები დაჰფოფინებენ და თანაც იმიტომ, რომ „დაამტკიცონ“ წოვა-თუშებისა და ჩაღმა-თუშების, როგორც თუში ტომის ყოველმხრივ თანასწორუფლებიანი თემების ობიექტურობის საკითხი. თუმცა ასეთ „მკვლევარ-მაძიებლებს“ კარგად მოეხსენებათ, რომ თუშურ კილოსა და წოვურ ენას შორის არავითარი გენეტიკური კავშირი არ არსებობს. ისინი სრულიად ურთიერთ გამომრიცხავ საპირისპირო ტომობრივ და ენობრივ სამყაროს ეკუთვნიან. წოვური (წოვა-თუშური) ენა ჩეჩნურ-ინგუშურ-ჩისტურ (ვაინახურ) ენათა ოჯახს ეკუთვნის და აზერულად, აქედან, ამ რეალობიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, არავითარი მორალურ-მეცნიერული უფლება არა გვაქვს ქართული ენის თუშურ კილოს „ჩაღმა-თუშური კილო“ დავარქვათ. ასეთი მოქმედებით ხელოვნურად ვართულებთ ვითარებას და მკითხველს შეგნებულად ვაბნევთ და ხელს ეუშლით ჭეშმარიტების გაგებაში. მკვლევარს, ვინც არ უნდა იყოს, მკითხველისაგან მოეთხოვება არგუმენტირებული. დამაჯერებელი, ჭეშმარიტი კვლევა-ძიება და არა რაღაც მიკიბულ-მოკიბული, უღიმღამო და აშკარად დემაგოგიური შრომა-საქმიანობა. დიდი ხანია დადგა დრო იმისათვის, რომ ჩვენი ზოგიერთი წინამორბედის მიერ დაშვებული უხეში და ყოველად გაუმართლებელი

მსჯელობა-დასკვნები გავასწოროთ და მკითხველს ნათლად და გაბედულად ვუთხრათ ასეთთა შესახებ. ამ შემთხვევაში, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ორი სატიმო-საენათმეცნიერო ტერმინის: ჩალმა-თუშისა და წოვა-თუშის საკითხის გარკვევასთან. ობიექტურობა მოითხოვს მკითხველს მოხსენდეს, რომ წოვა-თუშები და ჩალმა-თუშები არ არიან თუში ტომის თანასწორუფლებიანი თემები: თუშ ტომს, როგორც უკვე ითქვა, ისტორიულად შეადგენდა სამი თემი: ჩალმა, გომეწარი და პირიქითი. ამ თემებში მცხოვრებ მთის ქართველობას ეწოდებოდა თუშები, ხოლო მათს საცხოვრის-სამშობლოს თუშეთი. ხსენებული თუშეთის ქართველთა სასაუბრო ენა იყო ძველი ქართული ენა, რომელიც იწოდებოდა ქართული ენის თუშურ კილოდ და არა ქართული ენის ჩალმა-თუშურ კილოდ. წოვები კი, წოვათა ტომი, რომელიც თუშეთში გვიან ფეოდალურ ხანაში მოსულა საცხოვრებლად, ვერ ჩათვლება თუშეთის, იმთავითვე მკვიდრ მოსახლეობად. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ წოვათა ტომის თუშეთში დასახლების შემდგომშია ჩნდება თუშეთის ერთ-ერთი, რიგით მეოთხე თემი – წოვათა თემი და იქიდან მოყოლებული დღემდის თუშეთის მოსახლეობა მოიხსენიება ოთხ თემად: ჩალმის, გომეწარის, პირიქითის და წოვათის თემებად. თუშეთში წოვები მოვიდნენ ორ ენაზე მოლაპარაკენი: ლაპარაკობდნენ დამახინჯებული ქართულით და უკეთესად ფლობდნენ ჩრდილოკავკასიურ (ვიანახურ) ე.წ. „წოვურ ენას“. რომელსაც ამჟამად „წოვა-თუშურს“ უწოდებენ. ისინი დღესაც ორენოვანნი არიან. მათი ქართული მკვიდრო კავშირშია კახურ დიალექტთან და თუშური კილოს გავლენა-ზემოქმედება მათზე არ მტკიცდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ქართული თუშეთში, თუშებისაგან არ უსწავლიათ, ისინი ამ ენას მანამდეც ფლობდნენ, რადგან, როგორც მტკიცდება (პირადად ჩვენ ეს პრობლემა ასე გვჯერა), წოვები (წოვა-თუშები) უძველესი ქართველები არიან, როგორც საქართველოს მთისა და ბარის დანარჩენი ქართველობა. თუშებისა და წოვების შესახებ ჩვენ მიერ აქ წარმოდგენილი მცირედი, მაგრამ უტყუარი რეალობა იმას ნიშნავს და თვითოეული ჩვენთაგანისაგან მოითხოვს კიდევ, რომ თუშეთში წოვების დასახლების გამო არ უნდა ვუწოდოთ „თუშურ კილოს“ „ჩალმა-თუშური კილო“ – და თუშეთს მთა-თუშეთი, რადგან ერთიცა და მეორეც საფუძველს მოკლებულია, მრავალსაუკუნოვანი ჭეშმარიტი ისტორიის დამნახინჯება და შეურაცხყოფა.

„თუში“ და „წოვა“ ინდივიდუალური ტომებია და თავი უნდა შევიკავოთ მათი თავდაპირველი ტომობრივი ტერმინების გადაკეთება-შეცვლისაგან. აკად. ივ. ჯავახიშვილმა განსაკუთრებული კვლევა-ძიება მიუძღვნა წოვათა წარმომავლობის ისტორიის გარკვევას და ყოველთვის მათ მიიჩნევდა ერთ-ერთ უძველეს ინდივიდუალურ ტომად და მაშინაც კი, როდესაც წოვები თუშეთში გადასახლდნენ და იქ ცხოვრობდნენ ბატონი ივანე წოვებს „თუშეთში მოსახლე ტომის წოვას“ ფორმითა და სახელწოდებით მოიხსენიებს და



არა თუში ტომის ერთ-ერთ თემად.<sup>223</sup> სახელოვანი ისტორიკოსი წოვების მოსახსენიებლად უმთავრესად ხელმძღვანელობს ტერმინებით: „წოვათა ტომი“, „წოვეური ენა“<sup>224</sup> და განსვენებულ მეცნიერს თავდაპირველი სატომო-ეთნიკურ-ენობრივი ტერმინების მიმართ ყოველგვარი უშნო კოსმეტიკური ჩარევა მიუღებლად მიაჩნდა.<sup>225</sup>

2002 წელს პროფ. კ. ჭრელაშვილმა გამოსცა საკმაოდ დიდი მოცულობის მონოგრაფია „წოვა-თუშური ენა“, რომელიც ანგარიშგასაწევი და ერთ-ერთი საეტიპო წიგნია წოვეური ენის ძირფესვიანად შესწავლისათვის. ხსენებული გამოკვლევის ღირსებათა შესახებ ენათმეცნიერები და დარგის სპეციალისტები გზადაგზა მრავალგზის აღნიშნავენ და ღირსეულად შეაფასებენ კიდევ. ჩვენ კი, როგორც ისტორიკოსს, სურვილი გვაქვს შევეხოთ მონოგრაფიის წინასიტყვაობას და გამოვთქვათ ზოგიერთი შენიშვნა.

ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი შენიშვნა მდგომარეობს იმაში, რომ პროფ. კ. ჭრელაშვილს მონოგრაფიის წინასიტყვაობაში მოუთავსებია აკად. აკ. შანიძის მრავალგზის საკამათო და უარსაყოფი წერილი „თუშები“<sup>226</sup> რომლის გამოქვეყნებასაც ბატონი კოტე შემდეგი გარემოებით ამართლებს: „რადგანაც ამ წერილს აქვს ეროვნულ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ამავე დროს ყველასათვის ხელმისაწვდომიც არ არის, ამიტომ ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ მისი აქ გამოქვეყნება“.<sup>227</sup>

ბატონო კოტე, სწორედ ჩვენი ქვეყნის „ეროვნული-საზოგადოებრივი“ თვალსაზრისით არის აკად. აკ. შანიძის ხსენებული წერილი შეურაცხყოფელი, აღმაშფოთებელ-დასაგმობი და თქვენ. ყოველივე ამის შემდგომ, რატომ და რისთვის შეგყავთ მკითხველი საზოგადოება შეცდომაში? თქვენ ზომ ყველაფერი ზედმიწევნით იცით, რომ აღნიშნულ წერილს მე ძალიან მალე გამოვეხმაურე, თანაც საკმაოდ გაბედული კრიტიკის ტონით და ყველას გავაგებინე შემდეგი: „აკად. აკ. შანიძის ხსენებული წერილი თავიდან ბოლომდე მცდარ მსჯელობაზეა აგებული და, რა თქმა უნდა, დასკვნებიც არალოგიკური და უსაფუძვლოა“.<sup>228</sup>

ბატონი აკაკი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ იგი არ გამოხმადურებია ჩემს ასეთ კატეგორიულ პოზიციას. განსვენებული მეცნიერი მიხვდა, რომ მან დაუშვა მრავალი სერიოზული შეცდომა და მათ შორის ერთ-ერთი

<sup>223</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი. 1950, გვ.48-49.

<sup>224</sup> იქვე.

<sup>225</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. X. 1992, გვ.97.

<sup>226</sup> აკ. შანიძე, თუშები, ჟურნალი „მნათობი“. №2, 1970.

<sup>227</sup> კ. ჭრელაშვილი, წოვა-თუშური ენა, 2002, გვ.16.

<sup>228</sup> ე. ელანიძე, ბახტრინის აჯანყებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ უზუსტობათა გარკვევისათვის, გაზ. „განახლებული თუშეთი“, 1978, 26 მაისი.

უმთავრესი ის, რომ მისი წერილის შინაარსი, მეცნიერის მსჯელობა, დასკვნები და დებულებები ანტიეროვნულია და სრულიად საქართველოსათვის დიდზე-დიდად საწუხარი, რადგან ამ წერილის შემოქმედი და ავტორი გახლავთ ქართველი ერის სახელოვანი მეცნიერი, ბატონი აკ. შანიძე.

ბატონო კოტე, თქვენ ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ 2001 წელს გამოცემულ ჩემს მონოგრაფიაში - „ვინამ თქვა თუშთა დალევა?!“ აკად. აკ. შანიძის აღნიშნული წერილი საკმაოდ ვრცლად განვიხილე და მკითხველს ამომწურავად, ნათლად და დამაჯერებლად ჩაეახედე თუშებისა და თუშეთის შესახებ განსვენებული მეცნიერის მიერ შემოთავაზებულ უბინძურეს ლაბორატორიაში. აქ ამ გამოკვლევაში („კახეთის ისტორიის პრობლემური საკითხები“) მკითხველს განმეორებით ვთავაზობთ 2001 წელს გამოცემული ჩემი ზემოთ მოხსენიებული წიგნის ყველა პარაგრაფს, სადაც აკად. აკ. შანიძის ხსენებული წერილი გვაქვს განხილული და თვითონ მკითხველი დარწმუნდება თუ რა საგანგაშო მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. წინამდებარე ნაშრომში მკითხველი ხსენებული წერილის ირგვლივ საკმაოდ ბევრ ინფორმაციას გაეცნობა და დანარჩენს კი მონოგრაფიის შემდეგი პარაგრაფების გულდასმით დაძუშავებით შეავსებს: „თუშეთის დასახლებისა და სატომო სახელ „თუშ“-ის ისტორიისათვის“, „წოვა-თუშების ვინაობის საკითხისათვის“, „1660 წლის კახეთის აჯანყების ერთ-ერთი სახელოვანი გმირის შველა შველაძის პიროვნების ვინაობის გარკვევისათვის“, „1660 წლის კახეთის აჯანყების ერთი სახალხო გმირის ვინაობის გარკვევისათვის“ და „ფხოვისა და ფხოველების წარმომავლობა-განსახლების საკითხისათვის“.

ვფიქრობთ, მკითხველი დიდ საგონებელში ჩავარდება. როცა ღრმად და საფუძვლიანად გაეცნობა წერილის შინაარსს და თავისთავთან მართოდ დარჩენილნი, ალბათ, რამდენიმეჯერ განცვიფრებული და გაოგნებული იკითხავს – ნუთუ ამ წერილის ავტორი მართლა ბატონი აკაკია და მას სჯერა, რომ თუშები წარმოშობით ქართველები არ ყოფილან? რომ ისინი, ე.ი. თუშები ჩიჩნურ-ინგუშურ-ქისტური წარმოშობისანი ყოფილან, მერელა გაქართველებულან და, რა თქმა უნდა, განსვენებული მეცნიერის მსჯელობიდან ისიც ნათლად არის ნათქვამი, რომ არც თუშეთი ყოფილა საქართველოს კუთვნილება და ეს მიწა-წყალი ქართველებს დაუპყრიათ და ამ გზით მოუხდენიათ თუშეთის არაქართული მოსახლეობის გაქართველება. ბატონ აკაკის ისიც კი ეეჭვება და კითხულობს, – ნეტავ ზეზვა გაფრინდაულმა თუ იცოდაო ქართული ენა და საინტერესოა, რა ენაზე ელაპარაკებოდა ზეზვა კახეთის 1660 წლის აჯანყების მომზადებისა და აჯანყების დროს ქართველობასო? აი, მკითხველო, ვისთან და რასთან გვაქვს საქმე და ასეთ უხამს გამოკვლევას, რომელიც დიდად საშიში და მრავალმხრივ შეურაცხმყოფელი და საფიქრებელია სრულიად საქართველოსათვის, წოვა-თუშების ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენელი, ამ შემთხვევაში, პროფესორები:

აბრამ შავხელიშვილი და კოტე ჭრულაშვილი, იმის ნაცვლად, რომ ხმა აღი-  
მალლონ ხსენებული წერილის ანტიეროვნული შინაარსისა და მთელ რიგ,  
სხვა კურიოზულ შეცდომათა შესახებ, პოპულარიზაციის უკეთებენ და ყო-  
ველგვარი კრიტიკისა და შენიშვნების გარეშე იყენებენ. ასეთი მოქმედება  
ერისა და ქვეყნის წინაშე, რა თქმა უნდა, ღალატის ტოლფასია, მას ჩვენ  
სხვაგვარ შეფასებას ვერ მივცემთ.

ბატონო კოტე, თქვენ ხომ ენათმეცნიერი ბრძანდებით და თანაც წოვა-  
თუში, როგორ ფიქრობთ, არა ხართ ვალდებული მკითხველი გაარკვიოთ  
წმინდა ენათმეცნიერულ საკითხში, რომელიც ბატონ აკ. შანიძის წერილის  
შინაარსს ეხება? ბატონ აკ. შანიძეს მაჩნია და სჯერა, რომ წოვები და  
თუშები, როგორც იმთავითვე თუშეთის მკვიდრი მოსახლეობა, არიან ჩჩნურ-  
ინგუშური წარმოშობის ხალხი, რომლებიც ლაპარაკობენ მამა-პაპათა ენაზე,  
ე.ი. ჩჩნურ-ინგუშურ ენაზე, ხოლო როდესაც თუშეთი თურმე ქართველებმა  
დაიპყრეს, მაშინ თუშეთის ერთმა ნაწილმა, ე.ი. დღევანდელმა თუშებმა,  
დაკარგეს მამა-პაპათა ენა და მხოლოდ ქართულად ალაპარაკდნენ და წო-  
ვებმა კი ქართულიც შეითვისეს და მამა-პაპათა ენაც (წოვური ენა) შეინარ-  
ჩუნეს და ამიტომ არიან წოვები ორენოვანნიო. ბატონო კოტე, ეს ყოველივე  
ხომ ზღაპარია და თანაც განსაკვიფრებლად სასაცილო. მაგრამ მკითხველი  
ხომ უნდა გაეარკვიოთ, რადგან ამ ყოველივეს ბატონი აკ. შანიძე ამბობს.  
ამ უცნაური ზღაპრის ავ-კარგი, მისი ახსნა და გაგება დიდი ხანია მე რამ-  
დენჯერმე გავაცანი მკითხველს და სხვათაშორის. იმავე პოზიციიდან პროფ.  
თ. უთურგაიძემაც, როგორც ღვაწლმოსილმა ენათმეცნიერმა, განსაკუთრებული  
ინტერესი გამოიჩინა აღნიშნული ვითარების შესახებ და მკითხველს დეტა-  
ლურად განუმარტა ყოველივე და ამომწურავად უთხრა, რომ საქმე გვაქვს  
დიდ გაუგებრობასთან და სერიოზულ ალოგიურობასთანო.

პატივცემულო კოტე, თქვენც, ალბათ, ვალდებული იყავით, გარკვეულ-  
წილად თავი შეგეწუხებინათ და განსვენებული მეცნიერის ხსენებულ წე-  
რილში დაშვებულ სერიოზულ შეცდომებზე და ანტიეროვნულობაზე რაიმე  
გეთქვათ, როგორც ენათმეცნიერს და უკვე რამდენიმე ათეული წლის  
დამსახურებულ პროფესორს. სხვაგვარად მეცნიერული კვლევა-ძიება წინ  
ვერ წაყა. აბა, გულდასმით მოუესმინოთ ახ.წ. II საუკუნის ბერძენ მწე-  
რალს, ელნისტური პერიოდის დიდ სატირიკოსს ლუკიანე სამოსატელს,  
რომელსაც სამართლიანად კლასიკური ეპოქის ვოლტერი უწოდეს, თუ როგორ  
უნდა იწერებოდეს ისტორია და რა მოეთხოვება ისტორიკოსს თუ საერთოდ  
კვლეა მკვლევარ-მაძიებელს. მკვლევარი-მეცნიერი, ლუკიანეს პრინციპული  
მოთხოვნისგან გამომდინარე, უნდა ფლობდეს დამოუკიდებელი მსჯე-  
ლობის უნარს, იყოს უმიმარი. მოუსყიდველი, მიუკერძოებელი და ყოველთვის  
იყოს ჭეშმარიტების მაძიებელი. ცნობილ მოაზროვნეს და სატირიკოს ლუ-  
კიანეს ობიექტური და ჭეშმარიტი კვლევა-ძიებისათვის სავალდებულოდ

გასათვალისწინებელ მოთხოვნებთანაა შესახებ საუბარი აქვს დიდად გახმაურებულ ტრაქტატში „როგორ უნდა დაიწეროს ისტორია“. „მაშ დაე, იყოს ისტორიკოსი უშიშარი, – დასძენს ლუკიანე, – უანგარო, დამოუკიდებელი, თავისუფალი სიტყვისა და ჭეშმარიტების მეგობარი. უწოდოს ვარსკვლავს ვარსკვლავი, ხოლო ვარცლს – ვარცლი, არ იხელმძღვანელოს ამბების გადმოცემისას ვისმესადმი მეგობრობით, ან მტრობით... იყოს მართალი მსაჯული, რომ არავის არაფერი მიაწეროს, რაც არ ეკუთვნის და კეთილგანწყობილი ყველასადმი იმდენად, რომ არც არავის არაფერი დააკლოს“.<sup>229</sup>

ერთხელ კიდევ მინდა მიუებრუნდე აკად. შანიძის ხსენებულ წერილს და ცნობილი მოაზროვნის ლუკიანეს პოზიციიდან მკითხველს დავანახვო, თუ ბატონი აკაკი რამხელა უყურადღებობა-დაუდევრობას იჩენს, როცა შემდეგს აცხადებს: „ბახტრიონის აღებაში წოვა-თუშები მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ შველა შველაიძის მეთაურობით და თავიც დიდად ისახელეს. თუ ჩაღმანი ნაქერალის მით გადმოვიდნენ და ქვემოდან შემოუტიეს ბახტრიონში მდგომ თათრებს, წოვანი პანკისზე დაეშენენ და ზემოდან მოუარეს“. ეს ამონაწერი თავიდან ბოლომდე ყალბია და აი, რატომ: კახეთის 1660 წლის აჯანყებაში თუშთა ლაშქარი მონაწილეობდა და იქ არსად არ არის საუბარი წოვებზე და ე.წ. ჩაღმებზე. თურმე ჩაღმებს (უნდა იყოს თუშებს, ვ.ე.) ქვემოდან მიუტანია თავდასხმა ბახტრიონზე, ხოლო წოვები კი ზემოდან დასხმიან ბახტრიონის ციხესიმაგრეს. ასეთი რამ არსად არაფერი არ სწერია, ეს ყოველივე ბატონი აკაკის მოგონილია და ვის რაში სჭირდება ასეთი სიყალბე, სად არის მკვლევარის ობიექტურობა და ჭეშმარიტება? რაც შეეხება იმას, რომ წოვებს ვითომ სათავეში სდგომია შველა შველაიძე, ესეც სიყალბეა და უსაფუძვლო. შველა შველაიძე თუში იყო, სოფელ ბელელადან (გომეწრის თემიდან), მისი შთამომავლები დღესაც ამ გვარიტ ცხოვრობენ და დიდი სიყვარულით იხსენებენ სახელოვანი წინაპრის ღვაწლს, რომელმაც ზეზვა გაფრინდაულთან ერთად დიდი როლი შეასრულა კახეთის 1660 წლის აჯანყებაში. ხსენებული პიროვნების ღვაწლისა და მისი ვინაობის შესახებ სპეციალური გამოკვლევა გვაქვს გამოქვეყნებული, რომელსაც მკითხველი წინამდებარე მონოგრაფიაში გაეცნობა.

განსვენებულ მეცნიერს ვერც იმაში დავეთანხმებით, როცა იგი ძალიან იოლად და ჩვენი, თუშების, სურვილისა და ინტერესის გათვალისწინების გარეშე, უბოდიშოდ და ეთიკის ყოველგვარი ნორმების დარღვევის პოზიციიდან იყენებს ტერმინებს: ჩაღმა, ჩაღმები, ჩაღმა-თუშები, ჩაღმა-თუშეთი, ჩაღმა-თუშური კილო, როდესაც პრეისტორიული ხანიდან თუშეთს თუშეთი ერქვა და იქ მცხოვრებ მთის ქართველობას კი თუშები. XVII საუკუნის 60-80-იან წლებამდე მომქდებამი იყო მხოლოდ ორი ტერმინი – თუშეთი

<sup>229</sup> „გაზ. ლიტერატურული საქართველო“, 1 მარტი, 1974.

და თუში (თუშები). თუშეთში წოვების დასახლების შემდგომ კი, თანდათან გაჩნდა სრულიად ახალი ტერმინები: წოვა-თუშები და ჩაღმა-თუშები. ეს ტერმინები გამოიგონეს თუშეთის განსახლების ისტორიის არმცოდნე პიროვნებებმა, რომელთაც მაშინ არ ესმოდათ წოვებისა და თუშების ვინაობა-წარმომავლობის ისტორია, ხოლო, რადგან წოვებიცა და თუშებიც თუშეთში ცხოვრობდნენ, მაგრამ ისინი ერთიმეორისაგან რაღაც-რაღაცეებით განსხვავდებოდნენ: წოვები ორენოვანნი იყვნენ, კარგად ლაპარაკობდნენ ჩეჩნურ-ინგუშურ-ქისტურ (ვიანახურ) ენაზე და ქართულსაც ფლობდნენ, თუმცა დამახინჯებულად. თუშები კი მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდნენ. თუშეთის განსახლების ხსენებული ვითარებიდან გამომდინარე ხელოვნურად შეიქმნა ეს ორი ტერმინი: წოვა-თუშები და ჩაღმა-თუშები, რათა ამ ტერმინებით განესხვავებინათ ერთიმეორისაგან წოვები და თუშები. ამ ტერმინების ჩამოყალიბება-დაფიქსირების შედეგად საფუძველი გაუჩნდა ძირშივე მცდარ კვლევა-ძიებას, იმის შესახებ, რომ, ვითომდა, თუშ ტომს, იმთავითვე, შეადგენდა ეს ორი თემი (წოვა-თუში და ჩაღმა-თუში) და უკვე თანდათან დავიწყება ხდება იმ რეალური ჭეშმარიტებისა, რაც ნიშნავდა იმას, რომ თუში ტომი, მრავალი საუკუნის მანძილზე, შედგებოდა მხოლოდ სამი თემისაგან: ჩაღმის, გომეწრისა და პირიქითის თემებისაგან და არა ამ ახლად შექმნილი ტერმინების მატარებელი წოვა-თუშებისა და ჩაღმა-თუშებისაგან. ასეთი კვლევა-ძიება თუშეთის განსახლების ისტორიის შესწავლისათვის, ისტორიული ჭეშმარიტების გაუთვალისწინებლობაა და ჩვენ, ახლანდელი მკვლევარნი და მძიებელნი, ვალდებულნი ვართ დავიცვათ სახელოვანი ლუკიანეს ბრძნული რჩევა-დარიგება, რაც გვაკვალდებულებს, რომ „ვარსკვლავს ვარსკვლავი ვუწოდოთ. ვარცლს ვარცლი და მკვლევარმა არ უნდა იხელმძღვანელოს ამბების გადმოცემისას ვისმესადმი მეგობრობით, ან მტრობით... არავის არაფერი მიაწეროს, რაც არ ეკუთვნის... და არც არავის არაფერი დააკლოს“.

აკად. აკ. შანიძის ერთ-ერთი უმთავრესი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მას ღრმად სწამდა წოვებისა და თუშების „ერთი ჩამომავლობის“ უტყუარობის შესახებ. და, რაც მთავარია, ბატ. აკაკისათვის თუშეთის მოსახლეობის ეთნიკურობის პრობლემის გარკვევისათვის ამოსავალი იყო ის, რომ მას წოვებიც და თუშებიც ჩეჩნურ-ინგუშურ-ქისტურ (ვიანახურ) ხალხად მიაჩნდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეცნიერი ვერ ეგუებოდა წოვების თუშეთში ნაგვიანვე ფეოდალურ საუკუნეებში საცხოვრებლად გადმოსახლების მძლავრ მეცნიერულ მემკვიდრეობას, ამ ყოველივეს განსვენებული მეცნიერი აბსურდად და ალოგიკურად მიიჩნევდა და წოვებს და თუშებს ერთი ტომის თანასწორუფლებიან თემებად აცხადებდა. იმიტომ იყო, რომ ხსენებულ წერილში ბატონი აკაკი ვერ მალავს ჩემ მიმართ უკმაყოფილებას, რადგან მე წოვები და თუშები ჩემს პირველ სამეცნიერო

ნაშრომში ინდივიდუალურ და ურთიერთ განსხვავებული ისტორიის მქონე ტომებად გავაცანი მკითხველ საზოგადოებას: „წოვა და თუში, ორივე სხვადასხვა ტომის სახელებია და ერთმანეთთან არავითარი კავშირი არა აქვსო.“<sup>230</sup>

ჩემი ორმოცი წლის წინანდელი პოზიცია წოვებისა და თუშების ინდივიდუალური ტომებისა და მათ მიერ გამოვლილი ყოფა-ცხოვრების ურთიერთ არსებითად განსხვავებული ისტორიის შესახებ დღესაც კვლავ ძველებურად გეკვრა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენ წოვები ერთ-ერთ უძველეს ქართულ ეთნიკურ ერთეულად, ტომად მიგვაჩნია და არა გაქართველებულ კაინახური წარმოშობის ხალხად, როგორც ეს პრობლემა მეც და ბევრ სხვასაც, და თვითონ წოვების ინტელიგენციის ყველა წარმომადგენელსაც ასე გეკვროდა.მე, ჩემი ბოლოდროინდელი კვლევა-ძიების შედეგად წოვების იმთავითვე ქართველობა ღრმად მჯერა, რაც არაერთგზის აღვნიშნე კიდევ და მკითხველი ამ ნაშრომშიც და ხსენებული საკითხის შესახებ სპეციალურად დაწერილ გამოკვლევაშიც – „წოვა-თუშების ვინაობის საკითხისათვის“ დეტალურად გაეცნობა ჩვენულ დამოკიდებულებას საქართველოს ისტორიის ამ ერთ-ერთი ურთულესი პრობლემისადმი. რაც შეეხება წოვებისა და თუშების ინდივიდუალურობის საკითხს, რომ ისინი თუში ტომის თემები კი არ არიან, არამედ ერთიმეორისაგან მრავალი საუკუნით დამოუკიდებლად მცხოვრები ტომების სატომო სახელებია, პირველად მე არ მითქვამს, მე არ გამომიგონია და XIX-XX საუკუნეების ქართული და უცხოური ისტორიოგრაფია ამ ვითარების ნათელსაყოფად მდიდარ მასალას გვთავაზობს. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამის ჩვენებისათვის იწერება, რათა მკითხველი თვითონ გაეცნოს ამ პრობლემის ირგვლივ დაგროვილ ორსაუკუნოვან მასალას, მეცნიერ-მკვლევართა დამოკიდებულებას აღნიშნულის შესახებ და დამოუკიდებლად გააკეთოს დასკვნები აღძრული პრობლემის მიმართ.

პროფ. კ. ჭრელაშვილს აღნიშნული მონოგრაფიის წინასიტყვაობაში, მიუხედავად იმისა, რომ იგი დიდი ხანია ოფიციალურად გამოეთხოვა თავის დიდ სურვილს, რომ წოვების ენას წოვა-თუშური ენის ნაცვლად საბუდამოდ დარჩენოდა „თუშური ენის“ სახელწოდება, იგი შიგადაშიგ მაინც თავს ვერ აღწევს ხსენებულ ცდუნებას და მკითხველისათვის გაურკვეველ წინადადებას აყალიბებს, სადაც წოვა-თუშური ენის მაგივრად კვლავ ტერმინ „თუშურ ენას“ იყენებს. მაგალითად, „იობი წოვა-თუში იყო და საფუძვლიანად ფლობდა თუშურ ენას.“<sup>231</sup> ავტორი „წოვა-თუშური ენის“ აღმნიშვნელად აღარ უნდა ხმარობდეს ტერმინს – „თუშური ენა“, რადგან ასეთი ენა

<sup>230</sup> ვ. ელანიძე, შენიშვნები თუშთა წარმოშობის ისტორიისათვის (ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. V, 1964, გვ.62)

<sup>231</sup> კ. ჭრელაშვილი, დასახ. შრომა, 2002, გვ.29.

არასდროს არ არსებობდა, იგი ხელოვნურად შექმნეს და თანაც შეგნებით და წოვური ენისათვის თუშური ენის დარქმევა დიდი შეცდომა იყო, იგი ბოლოს და ბოლოს ამოვარდა ხმარებიდან, ისევე როგორც „ბაცბური ენა“, რაც კარგად მოეხსენება ბატონ კოტეს და ასეთი ცდუნებებისაგან თავი უნდა შევიკავოთ. მსგავსი მაგალითები წინასიტყვაობაში სხვაგანაც გვხვდება, აი, ერთი მათგანი – „იობიმ გარდა გრამატიკისა, თუშურად თარგმნა ახალი აღქმის თავები და შეადგინა ლექსიკონი (300) სიტყვა“.<sup>232</sup> გამოთქმა „თუშურად თარგმნა“ შეცდომაა. უნდა იყოს „წოვურად“ („წოვა-თუშურად“) თარგმნა, რადგან, როგორც აღენიშნეთ, თუშური ენა თავის დროზე არასწორად უწოდეს წოვურ ენას და ყველამ, ერთხელ და სამუდამოდ, უნდა დაეიხსოვოთ, რომ ადრეული საუკუნეებიდანვე მოძინარეობს და დღესაც, კვლავ, ძველებურად უნდა გაგრძელდეს ტრადიცია, რომელიც თუშების სალაპარაკო ენას ქართული ენის „თუშურ კილოს“ უწოდებდა და არა „თუშურ ენას“.

ხსენებული მონოგრაფიის წინასიტყვაობაში მოთავსებულია მღვდელი იობი ცისკარიშვილის სამი წერილი, რომელიც მიუწერია საქართველოში მყოფ აკად. მ. ბროსესათვის, რომელთანაც წერილების ავტორს პირადი ნაცნობობა აკავშირებდა. წერილების გამოქვეყნება, თავისთავად, რა თქმა უნდა, კარგი საქმეა და მისასალმებელი. მაგრამ წერილებში გვხვდება ისეთი გამოთქმები და ტერმინები, რომელთა შესახებაც პროფ. კ. ჭრელაშვილი არავითარ კომენტარს არ აკეთებს, რაც, ჩვენი აზრით, აუცილებელია, რადგან მკითხველს თუ არ დავეხმარეთ, ზოგიერთი წინადადება, მსჯელობა და ტერმინები, ხსენებული წერილებიდან, გაუგებარი იქნება. მაგალითად, პირველ წერილში ვკითხულობთ „...ჩვენი თუშები (უნდა ეწეროს წოვები, ან წოვა თუშები, ვ.ე.) თავის საკუთარ დიალექტზე (საუბარია წოვურ ენაზე, ვ.ე.) აღარ მღერიან სიმღერებს, არამედ ქართულად, ძველ თუშებში (წოვებში, ვ.ე.) შემორჩენილია ძველი სიტყვები. მაგრამ ძალიან ცოტა, აი, თქვენი აღმატებულიება, ვკადნიერდები და წარმოგიდგენთ თუშურ სიმღერებს (უნდა ეწეროს წოვურ სიმღერებს, ვ.ე.) ქართულ ენაზე“ ეს ლექსები მე სიტყვასიტყვით ვთარგმნე თუშურ ენაზე (უნდა იყოს წოვურ ენაზე, ვ.ე.).<sup>233</sup> ამავე წერილებში, კერძოდ მეორე წერილში, ვხვდებით გამოთქმებს „თუშური გრამატიკის შესახებ“, „თუშური გრამატიკის მეოთხე თავი“.<sup>234</sup> რაც, რა თქმა უნდა, განმარტებას საჭიროებს, რადგან აქ ლაპარაკია „წოვური ენის გრამატიკაზე“, რის გამოც მკითხველ საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ტერმინი „თუშური გრამატიკა“ გამოგონილია, ხელოვნურადაა შექმნილი

<sup>232</sup> კოტე ჭრელაშვილი, დასახ/ შრომა, გვ. 29.

<sup>233</sup> კ. ჭრელაშვილი, წოვა-თუშური ენა, 2002, გვ.37.

<sup>234</sup> იქვე, გვ. 38-39.

და მას არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნია. ქართული ენის თუშურ კილოს (დიალექტს) და, საერთოდ ქართული ენის ყველა დიალექტს, საკუთარი გრამატიკა არ გააჩნიათ და სახელმძღვანელოდ აქვთ მხოლოდ საყოველთაოდ აღიარებული ქართული ენის უმდიდრესი გრამატიკა.

ა. შანიძის ხსენებული წერილის პროპაგანდისტების შრომა-საქმიანობამ, წერილის ანტიეროვნულობისა და ამკარა სერიოზული შეცდომებისადმი ქართველი ენათმეცნიერების მიერ წაყრუების, ართქმისა და ჩაურევლობის პოლიტიკამ, თუ რა მასშტაბები მიიღო, კარგად გამოვლინდა პანკისის ზეობის სოფელ ჯოყოლოს მკვიდრის ხასო ხანგოშვილის წიგნში „ქისტები“. ხსენებული მონოგრაფია, მთლიანობაში, ფრიად საინტერესო, დიდად საჭირო და საეტაპო გამოკვლევაა, რომ არა ყოვლად ალოგიკური და ქართველთათვის დიდად შეურაცხყოფელი დამოკიდებულება თუშეთის განსახლებისა და ეთნიკური წარმომავლობის შესახებ. ამ საკითხზე მსჯელობისას, წიგნის ავტორი, უხვად იყენებს აკ. შანიძის „ბრძნულ ნამოღვაწარს“ და, რა თქმა უნდა, დასკვნებიც პირდაპირ, სიტყვასიტყვით, იქიდან აქვს გადმოწერილი. მკითხველს კარგად ახსოვს ა. შანიძის „აღმოჩენა“ თუშეთის განსახლების ეროვნულობის შესახებ და მონოგრაფიის ავტორიც ამ „უმდიდრეს მეცნიერულ აღმოჩენათა“ საფუძველზე აცხადებს: „თუშების ერთმა ნაწილმა – ჩაღმბმა სრული ასიმილაცია განიცადეს“ (ე.ი. გაქართველდნენ, ვაი სირცხვილო, ვინ რას კადრულობს, სადამდე წავიდა ზოგიერთთა ზრახვები, ფიქრები და ოცნებები, ვე.), ხოლო წოვებმა მამა-პაპათა ენაც შეინარჩუნეს და ქართულსაც დაუფლენო.<sup>235</sup>

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, ხასო ხანგოშვილს, რომ არ ჰქონოდა ა. შანიძის წერილი და მისი ზემოქმედების გარეშე შესდგომოდა თუშეთის განსახლების ეთნიკურობის პრობლემას, იგი თავს აღნიშნულ უხერხულობაში არ ჩაიგდებდა; ა. შანიძის საერთო ავტორიტეტმა და დღემდის ქართველ ენათმეცნიერთა მიერ ყოვლად გაუმართლებელმა დუმილმა, ხოლო ზოგთაგან კი წერილის პოპულარიზაციამ, უბიძგა შესანიშნავი გამოკვლევების ავტორს და ასეთ ამაზრზენ დასკვნებადღე მიიყვანა.

ხასო ხანგოშვილმა, როგორც უნიჭიერესმა ფილოლოგ-ისტორიკოსმა, ეროვნებით ქისტმა და მონოგრაფიით გათვალისწინებული შესასწავლ-გამოსაკვლევ კითხვების და პრობლემების ზედმიწევნით მცოდნემ, ბევრი რამის თვითმხილველმა და მონაწილემ, შესანიშნავად იცის და ეს წიგნში კარგად აქვს აღნიშნული, რომ წოვები თუშეთში ინგუშეთიდან გადმოვიდნენ საცხოვრებლად და იმ დროს თუშეთის მკვიდრნი, ვინც წოვებს უფლება ღართო, რომ თუშეთში დასახლებულიყვნენ, თუშები ერქვათ და არა ჩაღმბი. ბატონმა ხასომ ისიც იცის, რომ თუში (თუშები) და წოვა (წოვები) ერთ

<sup>235</sup> ხ. ხანგოშვილი, „ქისტები“, 2005, გვ. 337-338.



ტომს არ განეკუთვნებიან და თუში და წოვა ინდივიდუალური ტომებია. ამის ნათელსაყოფად ხ. ხანგოშვილის წიგნიდან მოვიტანთ ერთ საინტერესო ამონაწერს, რაც თუშეთში წოვებსა და თუშეთის გომეწრის თემის თუშებს შორის სასაძვრო მიწების თაობაზე აღძრულ დავას ეხება. წოვებსა და თუშეთის გომეწრის თუშებს შორის მდგომარეობა იმდენად გართულებულა, რომ საქმეში მონაწილეობა მიუღია რ. ერისთავს, როგორც თუშ-ფშავ-ხევსურეთის საოლქო სასამართლოს თარჯიმანს. რაფიელ ერისთავი ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1846-48 წლებში. გომეწრის საზოგადოების თუშები თურმე თხოულობდნენ წოვების გასახლებას, რადგან წოვები მათ დაუსახლებიათ საკუთარ მიწა-წყალზე და ახლა აღარ სურთ მათი იქ ყოფაცხოვრება. რ. ერისთავს გომეწრელი თუშებისათვის აღნიშნული პრეტენზიის დამადასტურებელი საბუთები მოუთხოვია, რის თაობაზეც თუშები შემდეგს აცხადებენ: „როგორი საბუთები შეიძლება ჩვენ გეჭონდეს? რამდენიმე ასეული წლის წინ ჩვენ მივიღეთ წოვები, უცხოელი მომსვლელები. მივეცი მათ საცხოვრებელი, მათი სურვილით, არც თუ დიდი მთიანი ხეობა, ინდურთის სახელწოდებით, და, ასევე მათი სურვილით. ნება მივეცი მთელი ამ ხნის განმავლობაში ეძოვებიანთ თავიანთი საქონელი მიწაზე, ჩვენ მიერ აღრე დაკავებულზე.“<sup>236</sup>

ბატონი ხასოც და სხვანი და სხვანიც, ვისაც, ისევ და ისევ ეჭვებათ, რომ თუში და წოვა ინდივიდუალური ტომების სახელწოდებები არაა და ისინი განეკუთვნებიან ვაინახური, არაქართული, წარმომავლობის ეთნოსს, შევეცდები ეს პრობლემა ისე გავამუქო და იმდაგვარად წარვუდგინო მკითხველს, რომ მეტი სიცხადე იქნეს შეტანილი თუშეთის განსახლების ეთნიკური შემადგენლობის შესწავლის საქმეში.

მე-17 საუკუნემდე თუშეთის განსახლების თავისებურებათა შესახებ ვერაფერს ვამბობთ, რადგან არავითარი ცნობა არ გავაჩნია და ვიცით მხოლოდ ის, რომ კახეთის აღნიშნულ მთიანეთს თუშეთი, ხოლო იქ მცხოვრებ ხალხს თუშები ეწოდებოდათ. XVII საუკუნის 60-70-იანი წლებიდან კი ცნობილი ხდება, რომ აქ, ამ მხარეში, მცხოვრებხალხს წოვა-თუშებად და ჩალმა-თუშებად მოიხსენიებენ: „...ერთობით თუშებისათვის, წოვას და ჩალმებისათვის“.<sup>237</sup>

დღემდე გამოვლენილი ქართული და უცხოური მასალებიდან უძველესად ითვლება მე-17 საუკუნის 50-იან წლების რუსული საარქივო დოკუმენტები,

<sup>236</sup> ხ. ხანგოშვილი, ქისტები, 2005, გვ. 335: Т. Эрнстов. Записки о тушно-Пшаво-Хевсурском округе. газ. «К»: 18542. №43

<sup>237</sup> ე. თაყაიშვილი, ორ ქვანდელ დაწერილი გუჯარი, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901 წ. №1362; არჩილიანი, ტ. 1, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1936წ., გვ.205.

სადაც პირველად ვხვდებით ცნობას თუშეთის მოსახლეობის ტერიტორიული განსახლების შესახებ.<sup>238</sup>

1657 წლის იანვარში მოსკოვის სამეფო კარზე გამოცხადებულმა სამმა თუშმა, რომლებიც რუსეთის მფარველობაში აყვანას თხოულობდნენ, საელჩოს მიერ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემისას განაცხადეს: „Живем мы в крепких местах, в горах, в трех стаилах“.<sup>239</sup>

თუში ელჩების მიერ აღნიშნული სამი უბანი (ბანაკი) უნდა გულისხმობდეს თუშეთის ფარსმანის ხევს (მერმინდელი პირიქითის თემი), ჩაღმისა და გომეწრის თემებს, რადგან მომდევნო საუკუნეებში ვახუშტი თუშეთის განსახლებას ამ სახელწოდებების მიხედვით წარმოგვიდგენს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მასთან თუშეთის სხვა თემების გვერდით წოვათა თემიცაა დასახლებული. ეს გარემოება იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ 1657 წლისათვის წოვები ჯერ კიდევ თუშეთში არ ცხოვრობდნენ. ვახუშტის დროს კი წოვათა ჩამოსახლების პროცესი დამთავრებული ჩანს, რადგან იგი მათი მოსულობის შესახებ არაფერს ამბობს და მხოლოდ ენობრივი თვალსაზრისით ანსხვავებს ერთიმეორისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ საარქივო დოკუმენტში გარკვევით წერია, რომ მოსკოვში ჩამოვიდა „სამი ქართველი“ თუშეთიდან – „Приехавших из Тушетии“ – და არა ფშავ-ხევსურეთიდან, ზოგიერთ მკვლევარს მაინც სურს, ისინი თუშ-ფშავ-ხევსურეთის ელჩებად გამოაცხადოს. „1657 წელს მოსკოვში ჩავიდა თუშ-ფშავ-ხევსურეთის წარმომადგენლობა“, – შენიშნავს ისტორიკოსი ლ. ტუხაშვილი.<sup>240</sup> ხსენებულ ელჩობას საგანგებოდ ეხება პროფ. ი. ცინცაძე და დიდი სიფრთხილით შენიშნავს, რომ „ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით მთის ქართველთა ეს ელჩობა მართლაც თუში, ფშავი და ხევსურისაგან შედგებოდა თუ არა. საფიქრებელია, რომ თითოეულ კუთხეს თითო წარმომადგენელი ჰყავდა, მაგრამ აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება. რუსულ ძეგლებში ამ ელჩობას თუშების ელჩობას უწოდებდნენ, იქ არსად არ არის ნათქვამი, რომ ელჩობა მთის საქართველოს სამ კუთხეს ეკუთვნის. იმ შემთხვევაშიც კი, როცა დანამდვილებით მოჩანს რუსეთში ხევსურის გვარი არაბული 1660 წელს, ელჩებს მაინც თუშებს უწოდებენ რუსული საარქივო მასალები“.<sup>241</sup>

ამონაწერიდან ჩანს, განსვენებული მეცნიერი, პროფესორი ი. ცინცაძე არსად ამბობს, რომ აღნიშნული (ე.ი. 1657 წლის) ელჩობა თუშ-ფშავ-ხევ-

<sup>238</sup> С. М. Соловьев. История России и древнейших времен, кн. 4. (т.т. 21-12). М., 1961, стр. 555-556.

<sup>239</sup> იქვე.

<sup>240</sup> ლ. ტუხაშვილი, თემობრივი კინკლაობის რეციდივები, გაზ. „თბილისი“, 1989, 10 თებერვალი.

<sup>241</sup> ი. ცინცაძე, საქართველოს მთიანეთის (თუშ-ფშავ-ხევსურეთის) რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან, ჟურნ. „მნათობი“, №2, 1956, გვ. 179.

სურეთიდან იყო მოწყობილი და მოსკოვში თუშეთიდან ჩასული სამი წარმომადგენელიც თუში, ფშავი და ხევსური იყო, იგი მხოლოდ ვარაუდობს და თანაც, ძალიან ფრთხილად; ყოველივე აღნიშნულის შემდეგ აქა-იქ მაინც ეხედვებით ზოგიერთთა მცდელობას, ხსენებული საკითხისადმი მეცნიერის მიერ გასაგებად ნათქვამი სათავეისოდ გადააკეთონ და ღვაწლმოსილი მეცნიერი არასწორად დაიმოწმონ. „თუშეთიდან მოსულებად იმიტომ აცხადებენ ელჩები თავს, – შენიშნავს ბახვა ბაიხოიძე, – რომ, როგორც პროფ. ი. ცინცაძეს თავის შრომაში (ჟურნალ „მნათობის“ 1956 წლის №2) გარკვეული აქვს, მაშინ რუსულ ლიტერატურაში ქართველი მთიელების ელჩები საერთოდ თუშებად იხსენიებოდნენ, თუნდაც ხევსურის გვარი (მაგ. არაბული) უეჭველად ყოფილიყო მოხსენიებული.“<sup>242</sup>

საქმე ის არის, რომ როგორც 1657 წლის, ისე 1660 წლის ელჩები ნამდვილად თუშები არიან და რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგეო მოხელენიც მათ თუშებად მოიხსენიებენ. ეს ყოველივე კარგად მტკიცდება იმავე საარქივო მასალებით. 1657 წლის იანვარში მოსკოვში ჩასულ ელჩებს მრავალ შეკითხვას აძლევენ, რადგან რუსეთის სამეფოს ანტიერესებს მათი ვინაობა, ყოფა-ცხოვრების პირობები, მათი საცხოვრებელი ადგილის ტერიტორიული სიშორე მეზობელ ქვეყნებთან და სხვა. ელჩები საინტერესო ინფორმაციას აწვდიან და აღნიშნავენ, რომ „от терка до тушинской земли скорого хода 4 дни“.

ელჩების დაკითხვის ამსახველ დოკუმენტში არსადაა მოხსენიებული ხევსურეთი და ფშავი, ეს მაშინ, როცა რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგეომ კარგად იცის, რომ თუშეთთან ერთად მოქმედებს ფშავი და ხევსურეთი და მისი დამადასტურებელი ქართველ მთიელთა მიერ ქართულ ენაზე შედგენილი ერთობლივი მიმართვა ამ დროს უკვე მისულია მოსკოვის სამეფო კარამდე. მასში ვკითხულობთ: „... და ჩვენც თუშეთის და ხევსურეთის და ფშავის ქვეყანათა, სამთავ ქრისტიან ქვეყანასა პირობა გვიქნია და ზურგი მოგვიბამს ერთიმეორისათვის და ელჩები გამოგვიგზავნია. ხვეის ბერი სოზამე მაქსიმირ და გრიგოლ სიდორირ, და პაულე ივანირ.“ და ყოველივე ამის შემდეგ, თუკილა აღნიშნული სამეფული მართლა თუში. ფშაველი და ხევსური იყო, რატომ უნდა დაეწერათ რუს მოხელეებს თუშებად, ანდა თუშ-ფშავ-ხევსურთათვის რატომ უნდა ეწოდებინათ თუშები? ეს ფშავ-ხევსურთათვის შეურაცხყოფა იქნებოდა და კუთხეთა წარმომადგენლები არც მოითმენდნენ, მაშინვე აღნიშნავდნენ კიდევ და დააწერინებდნენ ისე. როგორც საჭირო იყო.

ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი ცალმხრივი დამოკიდებულება საკითხისადმი რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგეოსგან ყოველად წარმოუდგენელია, რადგან მას ფშავ-ხევსურეთის მდებარეობა თუ სხვა საკითხები ისევე აინ-

<sup>242</sup> ბახვა ბაიხოიძე, რამდენიმე შენიშვნა. ჟურნ. „კრიტიკა“, №2, 1989, გვ.119.

ტერებს, როგორც თუშეთისა და თანაც, ეს იმ დროს, როცა მოსკოვის სამეფო კარზე იმყოფება კახეთის უფლისწული – ერეკლე ბატონიშვილი, მისი დედა-დედოფალი ელენე და კახეთის სამეფოს დიდებულთა მთელი შემადგენლობა. ჩვენ ღრმად გვჯერა და ალბათ მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში სხვანაირად არც შეიძლებოდა, რომ მე-17 საუკუნის 50-60-იან წლებში მოსკოვის სამეფო კარზე საქართველოდან და განსაკუთრებით კახეთის სამეფო ტერიტორიიდან ჩასული ელჩების დაკითხვა მოხდებოდა მოსკოვში მყოფ ქართველთა თანდასწრებით. და განა შეიძლებოდა ასეთ ვითარებაში, ასეთ მაღალკვალიფიცირებულ კონსულტანტთა თანადგომის დროს საგარეო საქმეთა საგანგებოში ვერ გაერჩიათ მთიელთა ელჩების ტომობრივი ვინაობა და ხევსური და ფშაველიც, თუ კი ასეთი ვინმე იქნებოდა, ყველა თუშად ჩაეწერა?

მკითხველ საზოგადოებას მოვახსენებთ, რომ მოცემული პერიოდის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველ რუსულ საარქივო დოკუმენტებში მარტო ფშავესურები კი არა, მოხევეები, დიდოელები, ქისტები და შიბუტელებიც კი არიან მოხსენიებულნი. როცა ეს საქმეს სჭირდება და უშუალოდ მათზეა საუბარი.<sup>243</sup> ჩვენ ამით იმისი თქმა გვსურს, რომ არ არის სწორი, როცა ზოგიერთი მკვლევარი რუსულ საარქივო დოკუმენტებში მრავალგზის აღნიშნულ თუშთა ელჩობას თუშ-ფშავე-ხევსურთა ელჩობად მიიჩნევს. სადავო საკითხის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა გვატყვევებს, რომ საარქივო დოკუმენტებში ყველას თავისი ადგილი აქვს მიჩენილი და არავის არაფერი ეშლება. რუსი მოხელეები კარგად ერკვევიან ყველა ჩასულთა ვინაობაში და მათ შესახებ აღნიშნავენ კიდევც.

აბულ ოსტოროულთან ერთად ასტოპ არაბულიც რომ თუშთა და არა ხევსური, კარგად ჩანს მათი საუბრიდან თუშეთის თაობაზე ასტრახანში ყოფნისას. ელჩები თუშებს აღწერენ, თუშების ყოფა-ცხოვრებას ეხებიან და არა ფშავე-ხევსურეთს. აღნიშნულის თაობაზე მოვიყვანთ ვრცელ და ფრიად საინტერესო ამონაწერს, რაც მკითხველისათვის ჭეშმარიტების უტყუარი დასტური იქნება: „თუშეთის მიწაზე არის ეკლესიები, მაგრამ რამდენი სოფელი, მხედარი და მოსახლეა – ამის თქმა შეუძლებელია. თავდაპირველად ემსახურებოდნენ ქართველ მეფეებს, ხოლო როდესაც შაჰმა ქართული მიწები ააოხრა, ისინი თავის თავის ამარა დარჩნენ, მებატონე მათ არა ჰყავდათ; ყველა სოფელში თითო მოსამართლეა; თუშების მიწები მოქცეულია მთებში, სოფლები გაბნეულია სხვადასხვა ადგილას; მოჰყავთ პური, ვაჭრობას და სხვა წარმოებას არ მისდევენ. თუშეთიდან ქართულ მიწებამდე ორი დღის სავალია, მხოლოდ შაჰის მიწებამდე, ქალაქ შამახამდე ერთი კვირა,

<sup>243</sup> გ. პაიჭაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660-1685 წწ.). იხ. „ისტორიის მოამბე“, №23-24, 1970, გვ. 168-169.

თერგამდე ერთი კვირა, შიბუტის მიწებამდე ორი დღე. შიბუტის მიწებს ფლობენ თუშები, აქვთ მათი სარწმუნოება. ზოგიერთი შიბუტები ცხოვრობენ მუსულმანური წესით. თუშები ხარკად იღებენ ათ ცხვარს შიბუტების თითოი სოფლიდან. შიბუტის მიწებზე რამდენი სოფელია, მხედარი და მოსახლე, არ არის ცნობილი. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მათი მიწები მცირეა და იმერეთი დადიანის, ოდიშის, გურიის, ხევსურეთის, ფშავის მიწები მათგან მოცილებულია და მის შესახებ არაფერი არ იციან.“<sup>244</sup>

საყოველთაოდ ცნობილია, რომ წარმართობის შენარჩუნების გამო ფხოველთა გარკვეული ნაწილი აიყარა და მე-4 საუკუნეში თუშეთში გადასახლდა; თუშეთის ტოპონომიკა, თუშური კილო და ხევსურული სახელწოდების გვარ-ხატები ადასტურებენ, რომ ფხოველთაგან ძირითადად ხევსურთა წინაპრების გადასახლება მომხდარა თუშეთში და თანაც მის სამივე თემში: გომეწარში, ჩალმაში და პირიქითში. წოეთა თემში აღნიშნული ვითარება არ დასტურდება. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ალბათ, ამ დროს წოეები თუშეთში არ ცხოვრობდნენ. უკაცრიელ ადგილზე და თანაც საცხოვრებლად ნაკლებად გამოსადეგ ტერიტორიაზე, სადაც თვით თუშებს არასდროს უცხოვრიათ და მას მხოლოდ საძოვრებად იყენებდნენ, რა თქმა უნდა, ფხოველებიც იქ იმით არ დასახლებულან და არც ნაკვალევი დაუტოვეიათ.

თუშეთის თავდაპირველ თემებში: გომეწარში, ჩალმაში და პირიქითში შემოგვრჩა რამდენიმე ხევსურული გვარი: სისვური (სოფ. ომალო), ბასხაჯაური (სოფ. დართლო), იჭირაული (სოფ. ომალო), რაინაული (სოფ. ვესტომთა), ლულელაური (სოფ. ბიქურთა), აფთარაული (სოფ. ბუქურთა); არა ერთი ხევსურული გვარი: ქაზნიაური (სოფ. ჩილოში), ლიქოკელი (სოფ. შენაქოში) და სხვაგან თანდათან შეიცვალა და მივიღეთ სრულიად ახალი გვარები: ქაზნიაური-ელანიძე-ომაიძე, ლიქოკელი-ჯიჯურიძე და სხვა.

თუშეთის ისტორიის ხსენებული სინამდვილის მოტანა, ვფიქრობთ, საკმარისია იმისათვის, რომ თუშ ელჩებს შორის არაბული იქნება თუ სხვა ვინმე, ხევსურული გვარით, მაინც და მაინც ხევსურად არ მივიჩნიოთ და ვიცოდეთ, რომ ხევსურული გვარით ბევრი თუში ცხოვრობდა და დღესაც ცხოვრებს თუშეთში.

1657 წლის იანვარში მოსკოვის სამეფოს კარზე ჩასული ელჩები აღნიშნავენ, რომ მათ ქვეყანას შეუძლია 8000 მეომარი გამოიყვანოს, რაც ამ საკითხით დაინტერესებულ ზოგიერთ მკვლევარს თუშეთისათვის შეუძლებლად მიაჩნია და აღნიშნავენ, რომ „თუშ-ფშავ-ხევსურთა სამივე ბანაკს არ შეეძლო ამდენი მეომრის გამოყვანა.“ თავიანთ გულდაჯერებულ განცხადებას ხსენებულ პოზიციაზე მდგომი მკვლევარები იმით ამაგრებენ, რომ „4000 ჩალმელი მე-17 საუკუნეში 8000 მეომარს ვერ გამოიყვანდა.“ მოცემული

<sup>244</sup> ი. ცინცაძე, დასახელებული შრომა. გვ.194.

პერიოდის რუსულში, საარქივო მასალა თუშეთის მოსახლეობის თაობაზე არსად აღნიშნავს, რომ იქ ცხოვრობს „4000 ჩაღმელი“ (ჩაღმელის ნაცვლად უნდა ვთქვათ თუში, რადგან რუსულ საარქივო დოკუმენტებში გვხვდება მხოლოდ ორი ტერმინი: თუში და თუშეთი, ისინი არსად აღნიშნავენ წოვა (წოვა-თუში), ჩაღმა (ჩაღმა-თუში), რაც, რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწვეი ფაქტია. იმდროინდელი, ე.ი. მე-17 საუკუნის 50-იანი წლების ქართული წერილობითი მასალაც თუშეთის მკვიდრს იცნობს მხოლოდ როგორც თუშს და არა ჩაღმას და არც წოვაა სადმე მოხსენიებული, როგორც თუშეთის მაცხოვრებელი. მოცემული საუკუნის 60-70-იან წლებამდე ტერმინები: წოვა და ჩაღმა არსად გვხვდება.

1661 წელს თეიმურაზ მეფის მიერ რუსეთში გაგზავნილ ათანასეს ასტრახანში რუსი ელჩები თუშეთის ირგვლივაც ეკითხებიან, სადაც ათანასე თუშეთზე საინტერესო ცნობას იძლევა და მათ შორის ამ მხარის მოსახლეობის რაოდენობასაც აღნიშნავს. „де их будет жилищных людей тысяч 10 меньше“. <sup>245</sup>

თუ თუშეთის 10. 000-იან მოსახლეობას დავუმატებთ შიბუტის ქვეყანას, რომელსაც მაშინ თუშები ფლობენ და ამ მხარის ფაქტიური გამგებელნიც არიან, სარწმუნოებაც ძირითადად ერთიანი აქვთ და თითოეული შიბუტის სოფელი თუშებს წელიწადში ხარკად აძლევს 10 ცხვარს, <sup>246</sup> ხოლო შიბუტი ისტორიული არღუნის ხეობას ეწოდებოდა, სადაც 1944 წლამდე ფუნქციონირებდა ითონხალისა და შატოის რაიონები, თუშეთს თავისუფლად შეეძლო 8000 კი არა, უფრო მეტი მეომარიც გამოეყვანა.

ქისტებით დასახლებული შიბუტი, რომ იმდროინდელი თუშეთის ჭირსა და ლხინს იზიარებს და ისინი ერთად მოქმედებენ, როგორც ერთი ქვეყნის – თუშეთ-შიბუტის მკვიდრნი, იქიდანაც ჩანს, რომ თუშეთიდან 1654 წელს მოსკოვში ჩასულ თუშ ელჩთან ერთად ქისტთა წარმომადგენლებიც არიან, რომელთაც საზრუნავი ერთობლივი აქვთ და ერთ საქმესაც ემსახურებიან: „თუშებისა და ქისტების წარგზავნილებს მეფე ალექსი მიხეილის ძისათვის მფარველობაში აყვანა უთხოვიათ.“ <sup>247</sup>

შიბუტის მოსახლეობა რომ თუშებთან ერთად მოქმედებს და რომ შიბუტი და თუშეთი ფაქტობრივად ერთ ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენს, კარგად ჩანს მე-17 საუკუნის 60-70-იანი წლების ამსახველი რუსული საარქივო დოკუმენტებიდანაც. მაგალითად, როდესაც ერეკლე ბატონიშვილი მეორედ და საბოლოოდ წამოვიდა მოსკოვიდან სამშობლოში, უფლისწულს კვლავ თუშები დაპატრონდნენ და კახეთის ტახტის კანონიერი პრეტენდენტი თუშებმა და შიბუტელებმა მშვიდობიანად გადმოიყვანეს

<sup>245</sup> ი. ცინცაძე, დასახ. შრომა. გვ.184.

<sup>246</sup> იქვე.

<sup>247</sup> თ. ტივაძე, თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, 1990, გვ. 138.

თუშეთში. „თუშები მას პურ-მარილით შეხვდნენ და ღიღი პატივით მიიღეს. უფლისწულმა მათ ქალაქ შენაქოში ერთი თვე იცხოვრა და შემდეგ საქართველოში (უნდა იყოს კახეთში – ვ.ე.) წავიდა. საქართველოს (კახეთის – ვ.ე.) მიწებს კი ფლობს უფლისწულის სიძე არჩიხანი (არჩილ მეფე – ვ.ე.) და იგი აქაც ღიღი პატივით მიიღეს, უფლისწული თავის სიძესთან ცხოვრობდა 12 კვირა.“<sup>248</sup>

ჩვენს დაუჭვებლობას იმის თაობაზე, რომ 1657 წლის იანვარში მოსკოვში თუშეთიდან ჩასული სამი პიროვნება თუში იყო და თუშეთის სამ თემს, სამ უბანს: ჩაღმას, გომეწარს და პირიქითს წარმოადგენდა, უფრო ამტიციებს და აძლიერებს აღნიშნული ვითარებისადმი ა. შავხელიშვილის დამოკიდებულება.

შავხელიშვილი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, წოვების (წოვა-თუშების) წინაპრების ჩეჩენ-ინგუშეთიდან თუშეთში გადმოსახლებას სინამდვილედ მიიჩნევს და თანაც აღნიშნავს, რომ წოვთა გადმოსახლება თუშეთში მე-13 საუკუნეში უნდა მომხდარიყო... ა. შავხელიშვილმა მომდევნო შრომებში<sup>249</sup> შეცვალა ადრინდელი პოზიცია წოვების მოსულობის შესახებ და ისინიც დანარჩენი თუშების მსგავსად ოდითგანვე თუშეთის მკვიდრებად მიიჩნია, მან სცადა მიეჩქმალა დიდად საინტერესო ისტორიული სინამდვილე და თავისი მთელი კვლევა-ძიებით მკითხველი წოვა-თუშების იმთავითვე თუშეთის მკვიდრ-აბორიგენობაში დაერწმუნებინა. მართალია, ისტორიკოს-ენათმეცნიერთა შორის ა. შავხელიშვილისეულმა მსჯელობამ სამართლიანი კრიტიკა გამოიწვია და იგი არაერთხელ დაფიქსირდა კიდეც,<sup>250</sup> მაგრამ ამჯერად ხსენებულ ელჩობასთან დაკავშირებით მკითხველს მაინც შევთავაზებთ ერთ ნიმუშს, თუ ა. შავხელიშვილს როგორ ეხერხება საარქივო დოკუმენტების სათავესოდ გამოყენება. იგი საგანგებოდ ეხება 1657 წლის მოსკოვში თუშთა ელჩობის მასალებს. მოჰყავს მისი ვრცელი თარგმანები, მას ერთი წუთითაც არ შეაქვს ეჭვი იმაში, რომ ისინი თუშები არ არიან, რომ თუშეთს იმ ხანად არ შეეძლო 8000 მეომრის გამოყვანა და როცა მივიდა იმ ადგილის გადმოცემაზე, სადაც ელჩები ამბობენ: „Живем мы в крепких местах, в горах, в трех станах“ მკვლევარმა თარგმანი გამოტოვა, რა თქმა უნდა, შეგნებით, ფრიად საინტერესო და დიდად ღირებული ცნობა-გასაღები ისტორიის საიდუმლოებისა „в трех станах“ („სამ უბანად“, „სამ ბანაკად“);

<sup>248</sup> გ. ჰაიჭაძე, დასახელებული შრომა... გვ. 163-169; ი. ცინცაძე, დასახ. შრომა, გვ.195.

<sup>249</sup> ა. შავხელიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, 1977, მისივე, თუშეთი. 1987.

<sup>250</sup> ვ. სტეფანაძე, ა. შავხელიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, 1977 (რეცენზია), ჟურნ. „მაცნე“, 31, 1978, გვ.195; გ. ყორანაშვილი. „სრულ ერთობლივ თუშნი“, გაზ. „თბილისი“, 1988, №281; ვ. ელანიძე, წოვა-თუშების საკითხისათვის, 1990 და სხვ.

საარქივო დოკუმენტიდან ამ გამოთქმის გამოტოვებით, მისი მიჩქმალვით, მკვლევარმა მკითხველს დაუმალა თუში ელჩების განცხადება იმის თაობაზე, რომ იმხანად თუშები „სამ უბნად“, „სამ ბანაკად“ ცხოვრობდნენ. აღნიშნულის გამომჟღავნებით ბოლო ელებოდა ა. შავხელიშვილის ცრუ და უსაფუძვლო კვლევა-ძიებას წოვათა იმთავითვე თუშეთის აბორიგენობის თაობაზე და ხსენებული სიყალბეც იმიტომ ჩაიდინა.<sup>251</sup> თუშეთი რომ მაშინ ოთხ უბნად, ოთხ ბანაკად, ანდა ოთხ თემად ყოფილიყო დასახლებული, როგორც უკვე მე-17 საუკუნის 60-70-იანი წლებიდან დასტურდება (ვახუშტი ბაგრატიონის მიერაც), მაშინ თუშეთის ელჩები მას უეჭველად აღნიშნავდნენ და სამის ნაცვლად, ალბათ. მოსკოვში ოთხი წარმომადგენელი ჩავიდოდა.

როგორც ცნობილია, მე-19 საუკუნის პირველ მესამედში წოვებმა თუშეთი მიატოვეს და საზამთრო საცხოვრებლად დამკვიდრდნენ ბახტრიონისა და ისტორიული ალვანის მინდვრის განაპირა ზოლებში, სადაც მათ ოთხი სოფელი გააშენეს: ფხაკალ-ყურე, წიწალ-ყურე, გურგალ-ჭალა და ალვანი, საზაფხულოდ კი ისინი ცოლ-შვილით ტბათანა-ალაზნისთავში ადიოდნენ. თუშეთში ოთხი თემის ნაცვლად კვლავ სამი თემი დარჩა, რასაც თუშები, საჭიროების შემთხვევაში, ყოველთვის აღნიშნავდნენ კიდევ 1837 წლის 21 თებერვალს თავიანთ გასაჭირზე, რაც ლეკთა თავდასხმებით იყო გამოწვეული, თუშები წერილით მიმართავენ როზენს. მისადმი გაგზავნილი საჩივარი (თუშეთის მოურავ ჩოლოყაშვილზე) ასე იწყება: „სამის თემის – ჩაღმა, პირიქითის, გომეწართ თუშთ საზოგადოების უმდაბლესი მოხსენება.“<sup>252</sup>

მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან დღემდის თუშეთი (რადგან იქ თუშებს ცხოვრება არ შეუწყვეტიათ) სამ ხეობად, სამ თემად განიყოფება და მას კვლავ ჩაღმა, გომეწარი და პირიქითი ჰქვია. ეს ყოველთვის იმას ნიშნავს, რომ თუშეთის მოსახლეობა თუშეთში წოვების დასახლებამდე და წოვათიდან მათი წამოსვლის შემდგომაც, გაყოფილი იყო სამ ბანაკად, სამ თემად;

1657 წლის იანვრის თვეში რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგეოში თუში ელჩების შემდეგი სიტყვებიც – „живем мы в крепких местах, в горах. в трех станах“, ამ ისტორიული სინამდვილის უტყუარი და ჭეშმარიტი დადასტურებაა და არა იმისა, რომ ისინი თუშეთის, ფშაისა და ხვესურეთის წარმომადგენლები იყვნენ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხსენებულ ელჩობასთან დაკავშირებული მასალების ობიექტური ანალიზითა და საქმისადმი ჭეშმარიტი დამოკიდებულებით გავაკეთებთ უდიდეს საქმეს, რითაც ბოლოსდაბოლოს გავარკვევთ და საიდუმლოების ფარდას ავხდით თუშეთში წოვების მოსულობის ისტორიას.

<sup>251</sup> ა. შავხელიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, 1977, გვ. 118-119.

<sup>252</sup> Сборник документальных материалов. Тб., 1953, стр.95.



ინგუშეთში-ჯარიების თემ-ხეობაში, რომლის შესახებ ზემოთ აღვნიშნეთ, წოვათა ცხოვრება – მოსახლეობა ეკვს არ იწვევს ინგუში და ჩიჩნი ისტორიკოსების, ენათმეცნიერთა და ეთნოგრაფთა შორის, ამასვე ადასტურებს ჩიჩნური, ინგუშური, ქისტური და წოვური გადმოცემებიც. მეცნიერებს, ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევარებს, ისღა დარჩენიათ, რომ გაარკვიონ თუშეთში წოვების დასახლების ისტორია.

მე-17 საუკუნის 60-70 წლებამდე არც ქართულ და არც უცხოურ საარქივო მასალებში, თუ გამოქვეყნებულ ლიტერატურაში არსად გვხვდება სიტყვა „წოვა“ ან „წოვა-თუში“. ისიც საგულისხმოა, რომ მსგავსი გამოთქმები არ გვხვდება ბასტრიონის აჯანყების ამსახველ მდიდარ ხალხურ ზეპირ-სიტყვიერებაშიც. მე-17 საუკუნის 60-70-იანი წლებიდან კი თუშების გვერდით საარქივო თუ ოფიციალურ ლიტერატურაში წოვებიც იხსენიებიან, მაგრამ მათ საგანგებოდ გამოყოფენ დანარჩენი თუშებისაგან და მიუთითებენ კიდევ ზოგიერთ თავისებურებაზე. ამ მხრივ საინტერესოა არჩილ მეფის შემდეგი სიტყვები, რაც განეკუთვნება მე-17 ს-ის 80-90-იან წლებს: „შენის რძით გაზრდას მიჯობდა, თუმც ძაღლის ბუბუ მეწოვა, გულსა შენ მიე ლახვარი, ვინ თქვას, რამდენგზის მეწოვა! მაგ საქმეს ჩემდა საქნელად არ მეტყვის თუში მე წოვა, შენ ნამუსისა ჩიქილა რად თავზე შემოგეწოვა.“<sup>251</sup>

წოვა-თუშების წინაპართა თუშეთში მოსვლა და იქ მუდმივ საცხოვრებლად დამკვიდრება ჩვენ 1657 წლის შემდგომ მომხდარ სინამდვილედ მიგვაჩნია. შესაძლებელია, ჩვენ არა ვართ მართალი და მოსალოდნელია, მომავალშიც ხსენებულ საკითხზე მსჯელობა უფრო გაფერმკრთალდეს კიდევ და ბევრი რამ ახლებურად ითქვას, იმიტომაც, რომ ჩვენს პოზიციას თავზე არავის ვახვევთ და ყოველთვის დავეძნებთ: „დღეს ამა თუ იმ ხალხის, ან რომელიმე ეთნიკური ჯგუფის, თუ ცალკეული ტომის წარმომავლობაზე მსჯელობა ურთულესი პრობლემაა, რის გამოც ძნელდება ზუსტი და ამომწურავი დასკვნების ჩამოყალიბება. მსგავსი წინააღმდეგობებით არის აღსაყვამე წოვა-თუშების წარმომავლობის ისტორია. ამ საკითხის ირგვლივ დაგროვილი მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა და მასში არსებული ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები ზოგჯერ მკვლევარს გზას უბნებს და ერთგვარად ხელს უშლის ჭეშმარიტების დადგენაში.“<sup>251</sup>

გარდა იმისა, რომ თუშეთში წოვების დასახლებამ უსიამოვნო ზემოქმედება მოახდინა თუშეთის სატომო-ეთნიკურ ტერმინებზე: „თუშეთი“, „თუშები“, „თუში“, „თუშური კილო“ და მათ ნაცვლად ვილაც-ვილაცეების მცდელობით დამკვიდრება იწყეს ხელოვნურად შექმნილმა, მანამდე არარსებულმა ტერმინმა-სახელწოდებებმა, როგორიცაა: „თუშური ენა“, „ჩაღმა-თუშები“, „ჩაღმა-თუშური კილო“, „ჩაღმები“, „ბაცბური ენა“, „ბაცბები“, „წოვა-თუშური

<sup>251</sup> არჩილიანი, ტ. 1, 1936, გვ.205.

<sup>252</sup> ვ. ელანიძე, წოვა-თუშების ვინაობის საკითხისათვის, 1990, გვ.30

ენა“. წოვა-თუშების ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენელი იმასაც კადრულობს, თანაც შეგნებით და წინასწარი განზრახვით, რომ რაც შეიძლება, დაამციროს თუშების გმირობა-ვაჟაკობისა და თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ყოფა-ცხოვრების ამსახველი უმდიდრესი ისტორია და ყოველივე ის უძვირფასესი ღირებულებები, რითაც თუშეთი და თუშები ისტორიულად ცნობილი იყვნენ, წოვების კუთვნილებად გამოაცხადოს. წლების მანძილზე, ამ ბინძურ საქმეს განსაკუთრებული თავაწყვეტილობით ანხორციელებს პროფ. აბრამ შავხელიშვილი, რის გამოც მრავალგზის გამოვეხმაურე მოურიდელები და მისთვის საკადრისი კრიტიკით ჩემს მონოგრაფიებში: „თუშეთის ისტორიის საკითხები“ (1988წ), „ზეზვა გაფრინდაული“ (1997წ.) „ვინამ თქვა თუშთა დალევა?!“ (2001წ.), წერილებსა და სტატიებში, მაგრამ მას არასდროს არ დაუცავს თავი და არც სურვილი გამოუთქვამს, რომ ჩემთან იგი სერიოზულ პოლემიკაში ჩაბმულიყო. ხსენებული პიროვნებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება თუშეთის ისტორიის გაყალბების გამო, ქართულ ისტორიოგრაფიაში, ჩვენ გარდა, სხვა ანგარიშგასაწევ მეცნიერთა სახელებთანაც არის დაკავშირებული, რომელთაც სამართლიანად მიუთითეს ა. შავხელიშვილს ხსენებული ტენდენციურობისათვის, თუშეთის ისტორიის დამახინჯებისათვის, ესენი არიან პროფესორები: ჯ. სტეფანაძე და გ. ყორღანაშვილი. აბჯერად კი გვსურს მკითხველს გვაცნოთ პროფ. ამირან არაბულის მიერ ა. შავხელიშვილის წიგნის – „თუშეთი“-ს შესახებ დაწერილი რეცენზია „ვაი, ეგეთას სამართალს...“. რომელიც სერიოზულ საფიქრალს გაუჩენს მკითხველ საზოგადოებას.

პროფ. ა. არაბულის ხსენებული რეცენზია დაბეჭდილია გაზეთში – „თავისუფალი საქართველო“, №5, 22 თებერვალი, 1991 წელი, რომელიც იყო ე.წ. „მრგვალი მაგიდის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გაზეთი დიდი ხანია აღარ გამოდის, რაც უმრავლესობისათვის რთულ ბარიერს ქმნის აღნიშნული რეცენზიის გაცნობის და დამუშავებისათვის, თუ არადა, მისი სრულყოფილი შესწავლა მკითხველი საზოგადოებისათვის დიდად ღირებულია, ამიტომ ჩვენს თავს უფლებას ვაძლევთ, იგი მკითხველს ყოველგვარი შემოკლების გარეშე შევთავაზოთ, რადგან მან თვითონ შეიცნოს, და ნათლად დარწმუნდეს თუ მეცნიერებაში ხარისხებსა და წოდებებს ამოფარებული ზოგიერთი „მეცნიერ-მკვლევარი“ რა დამაფიქრებელ დემაგოგიურ მოღვაწეობას კადრულობს.

რეცენზია-კრიტიკა იწყება გაზეთის რედაქციის მიერ კარგად ჩამოყალიბებული შესავალი ნაწილით. სადაც ვკითხულობთ: „მკითხველს ვაუწყებთ, რომ წინამდებარე წერილი ამ სამიოდე წლის წინ დაიწერა, მაგრამ ავტორმა მისი გამოქვეყნება თავის დროზე ვერ მოახრეხა.

სუსტი წიგნების სიმრავლე ჩვენში დღეს არაეის უკვირს და კარგად მოგეხსენებათ, არც არაეის სჯიან ამის გამო. სხვა საქმეა, როცა მეცნიერული უმეტრება სიმართლის დამდგენის პრეტენზიას აცხადებს და სინამდვილეში,

ციხის შიგნიდან გატეხვის უკეთურ საქმეს ემსახურება, შხამსა და სამსალას თესავს ძმათა შორის. თუ „ცხელ კვალზე“ არ ვამხელთ და საბოლოოდ არ ავლაგმავთ მსგავსი სულისკვეთებით გაჟღენთილი ნაშრომების ავტორთა თავაშვებულ თარემს ჩვენი ისედაც უადრესად დაძაბული საშინაო მდგომარეობა კიდევ უფრო აირევა და აიწეწება.

რედაქცია იზიარებს ავტორის პოზიციას. თვლის, რომ შენიშვნები საფუძვლიანია და მკითხველს სთავაზობს მისი კრიტიკული წერილის შემოკლებულ ვარიანტს.“

„საქართველოს მთისა და ბარის ცალკეულ კუთხეთა ყოფა-ცხოვრების მეცნიერულ შესწავლაში, როგორც ცნობილია, ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის პროფ. ს. მაკალათიას. უნდა ითქვას, რომ არც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული მისი საეტაპო მონოგრაფიების გამოქვეყნების შემდგომ შენელებულა მკვლევართა ინტერესი ამ მიმართულებით. ქართველი ერის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ყოფის გაღრმავებული კვლევა-ძიება დიანაც რომ საჭირო და საშური საქმეა. გასაგებია ის დიდი ყურადრებაც, რასაც მკითხველი საზოგადოებრიობა ამგვარი ნაშრომების მიმართ იჩენს. მაგრამ ყოველთვის როდი მართლდება მისი იმედიანი მოლოდინი.

გარდა იმისა, რომ ასეთ წიგნებს საერთო თითქმის არაფერი აქვთ ჭეშმარიტ მეცნიერებასთან და იოტიოსოდენი წვლილიც ვერ შეაქვთ მისი გაღრმავება-განვითარების საქმეში, ძალზე საშიში და საბედისწერო მოხდენაც შეუძლიათ კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის შეგნებისა და განწყობილების ჩამოყალიბებაზე. ეგულისხმობთ ნაშრომებს, სადაც ადგილი აქვს სინამდვილის გამრუდებას, ფაქტების გადასხვაფერებას და ავტორი მისდაუნებურად, სამარცხვინოდ ვიწრო, პროვინციული ინტერესების მარწუხებში ექცევა. ტიტულოვანი მეცნიერის ნააზრევს, თავისი აზირებული ხასიათისა და ღვაძლიანი ჩხირ-კედელაობის გამოისობით, შეუძლია ერთურთს წააკიდოს არათუ სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლები, არამედ დიდი ხნიდან ერთ სოფელსა თუ ხეობაში მოსახლე, ერთმანეთისაგან ორ-სამ ნაბიჯზე მცხოვრები ადამიანებიც კი. და თუ რა ნაყოფს მოისხამს მერე და მერე ბოროტების ძირმწარე ხე, ყველასათვის ცხადი უნდა იყოს!“

ამჯერად ჩვენც სწორედ ერთ ასეთ წიგნზე გვჭირდება არცთუ სასიამოვნო და სახალისო საუბარი.

მიზანი რასაც ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის აბრამ შავხელი-შვილის ბოლო, რიგით მეექვსე წიგნი („თუშეთი“ გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1987წ.) ისახავს, ფრიად ფართო და კეთილშობილურია. წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი ამბობს: „ჩვენი მიზანია თავი მოვუყაროთ მასალას თუშეთის შესახებ, გავაანალიზოთ ისინი (!) საბჭოთა საისტორიო მეცნიერების მიღწევათა შუქზე, შევაჯამოთ საკითხით დანიტერესებულ პირთა ნამოღვაწარი და შექმლებისდაგვარად წარმოვანჩინოთ მათი

მეცნიერული მეშვეობის ძლიერი და სუსტი მხარეები“ (ხაზგასმა ყველგან ჩვენია - ა.ა.). მკვლევარი იქვე აცხადებს: „ყოველგვარ შენიშვნას და რჩევას, რომელსაც შეეძლება სწორი მიმართულება მისცეს ჩვენ კვლევას და დაგვეხმარება თუშეთის ისტორიის უკეთ გაშუქებაში დიდი მადლობით მივიღებთ“.

რაკი ავტორს სამერმისოდ „თუშეთის ისტორიის უკეთ გაშუქება“ პქონია განზრახული და „ყოველგვარ შენიშვნასა და რჩევას დიდი მადლობით მიიღებს“, ჩვენც აღვიჭურვით მოთმინებით, მივადევნოთ თვალი წიგნში დასმული საკითხების ა. შავხელაშვილისეულ ანალიზს და ვაჩვენოთ, რამდენი ფაქტობრივი, აზრობრივი თუ გრამატიკულ უზუსტობის დატყევა შესძლება ნაშრომს, რომლის მოცულობა შვიდი თაბახია.

„ჩვენს მიერ მიკვლეული მასალების მიხედვით „თუში“-ს სახელწოდებითაა ცნობილი საქურნეთ დანიშნულების საქაპაჯოხი, რომლის ბოლო ერთი მხრიდან ნახევრეტების საშუალებითაა გადაბმული, საიდანაც ვერტიკალურად დამკებულია შავთული („სიფრძით ერთი მეტრისა“) სადღეისოდ ეს ხელსაწყო მხოლოდ მწყემსებს შემორჩათ. იგი ზედადგარის როლს ასრულებს“ (გვ.9)

ენება „თუში“-ს ამ მნიშვნელობას ა. შავხელიშვილამდე კარგად იცნობდა ვაჟა-ფშაველა (იხ. ტ. II. 1956, გვ. 34). ტერმინის ამ და სხვაგვარი მნიშვნელობები დამოწმებულია აგრეთვე „ქართულ კილოთქმათა სიტყვის კონაში“ (ტ. I, თბ., 1974, გვ.254) და დიალექტოლოგიურ ლექსიკონებში. ასე, რომ პირველადომჩენის პრიორიტეტი ა. შავხელიშვილს არ ეკუთვნის. რაც მთავარია, ვაჟა და ლექსიკოგრაფები მოკლედ და გასაგებად განმარტავენ საანალიზო ტერმინით აღსანიშნი „ხელსაწყოს“ რაობას, რასაც ვერ ვიტყვით ა. შავხელიშვილის მიმართ.

„საინტერესოა ამავე დროს ტერმინ „ბაცბურის“ წარმოსმობა, რომელიც XVIII საუკუნის პირველი ნახევრიდან თუშურ ენად იყო ცნობილი, — აცხადებს მეცნიერი. ტერმინოლოგიური ძიებით გატაცებული ფონეტიკურად მსგავსი ჟღერადობის, მაგრამ „ბაცბურთან კავშირის არმქონე სიტყვა „ბაცაცს“ (კურდღლის შვილი, კურდღლის ბაჭია) პოულობს სულხან-საბასთან და ასკენის: „როგორც ჩანს, ცნებას „ბაცა“ დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი ჩეჩნურ-ინგუშური ტრადიციით თუშეთის ამსახველია და მჭიდრო კონტაქტები აქვს ქართულ ეთნოსებთან“ (გვ.14).

მთელი ეს მსჯელობა იქითენაა მიმართული, რომ ავტორმა წოვები ოდითგან თუშეთში მოსახლე ადგილობრივ ეთნოსად გამოაცხადოს და წაშალოს ყოველგვარი კვალი მათი ჩაჩან-ინგუშური წარმომავლობისა, თუმცა სურვილი სურვილად რჩება და ძველი, წინა წიგნში (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან“ გამოცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1977წ.) დამკებულ შეცდომებს ახალი ემატება.

მეცნიერის თვალსაზრისმა, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში საგრძნობი „ეკოლუცია“ განიცადა. თუ 1977 წელს გამოხული მისი ნაშრომის მიხედვით, პანკისის, ბახტრიონის, ალვანისა და ლოპოტის სახნავ-საყარგულები საზოგადოდ თუშებს ეკუთვნოდათ (გვ.1 და სხვ.) ათი წლის შემდეგ გამოქვეყნებულ კომპილაციური ხასიათის ნაშრომში ჩამოთვლილი ადგილების მფლობელებად „საკვლევ პერიოდში“ (რომელი პერიოდი იგულისხმება, არ ჩანს) ყველგან წოვა-თუშები არიან დასახელებულნი (გვ.26, 27, 47, 51, 57 და ა.შ.).

ა. შავხელიშვილი თავის წინა წიგნში, რამდენიმე გამონაკლისის გარდა წერს „თუში“, „თუშები“, ხოლო განსახილველი წიგნის თითქმის ყოველ გვერდზე, იმისდა მიუხედავად, არის თუ არა საამისო აუცილებლობა, ფრჩხილებში აზუსტებს: „წოვა“. „წოვა-თუშები“.

ა. შავხელიშვილი საგანგებოდ ჩერდება ბახტრიონის 1659 წლის გმირულ ეპოპეაზე: აღნიშნავს, რომ „ხალხური ზეპირსიტყვიერების (1) მონაცემების საფუძველზე შეიქმნა ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“, აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“, ალ. ხახანაშვილის თუშური ლექსები (1) და იმისათვის, რომ მკითხველი დააჯეროს ნათქვამის სისწორეში, ერთობ ორიგინალურ, უპრეცედენტო მითითებას აკეთებს სქოლიოში: ვაჟა-ფშაველა, ბახტრიონი, თხზ., ზ. II, თბ., 1937, გვ. 197; წერეთელი აკ. ბაში-აჩუკი. ჩვენი საუნჯე, VIII, თბ., 1960, გვ. 408-409; ხახანაშვილი ალ. ბახტრიონის ციხის აღება, „ივერია“, 1888, №220.

ალბათ, პატივცემული მკვლევარი ფიქრობს, რომ მკითხველმა არაფერი იცის ვაჟას პოემის, აკაკის ისტორიული მოთხრობისა და ბახტრიონის ბრძოლის ამსახველი ხალხური ლექსების ციკლის შესახებ და საჭიროდ თვლის მათი ადგილსამყოფელის დაზუსტებას, საკითხის არსში გაურკვეველი საზოგადოებრიობის „დაკვალიანებას“.

ა. შავხელიშვილი თავგამოდებით ღამობს თუშეთის ლოკალური სახალხო გმირების წოვა-თუშობის დამტკიცებას, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მცირე თუ დიდი მასშტაბის ომში ნასახელარი ვაჟაკი ნამდვილად ჩაღმა-თუშია (თუშია, ვ.ე.) კრინტიაც აღარ ძრავს (განსხვავებით წინა წიგნისაგან) მის წარმომავლობაზე, რადგან ავტორი თავისი ახირებული პრინციპის - თუში (წოვა) - ერთგულია, აუცილებლად უნდა აღენიშნა ასპინძის ომში (1770წ.) მონაწილე დილოიძის ჩაღმა-თუშობაც (თუშობაც, ვ.ე.). ეს ის დილოიძეა, ასპინძის ომში გამოჩენილი სიქველის წილი ერეკლე მეფემ საჩუქრად წაღკის ხეობა რომ შესთავაზა, ხოლო მან დიდძალ ოქროდ ღირებული ხეყსურის ხმალი არჩია მეფისაგან დაპირებულ ვრცელ ტერიტორიას.

ავტორის ტენდენციურობა, მისი მსჯელობის ცალმხრივობა, ზეპირი თუ წერილობითი ცნობების თვითმინური გამოყენება ჩანს ყველგან,

სადაც საქმე წოვა და თუშების საწოთირო, არასაჭირო, ყოველად გაუმართლებელ, უხერხულ დაპირისპირებას და წოვების პირველობა-უპირატესობის წიგნებას ესება. იმდენად აშკარა, თვალშისაცემი და სახამუშოა წიგნის ამგვარი სულისკვეთება, რომ იძულებული ვართ, მეტი თვალსაზრისითისათვის რამდენიმე ტიპური ადგილი მოვიხმოთ.

„როგ შემთხვევებში წოვა-თუშეთის (I) მატერიალურ კულტურაში განვითარების შედარებით მაღალი ნიშნები შეიძინევა, ვიდრე თუშეთის სხვა თემებში“. (გვ.19)

კონკრეტულად რამი ვლინდება ეს „მაღალი ნიშნები“, ამის გამო მეცნიერი არაფერს ამბობს.

„სიანტერესოა ისიც, რომ თუშეთში სათემო და სასოფლო ძეგლებიც (I) არის ნახული (I). მაგალითად, წოვათის თემს ეკუთვნოდა სამების, ცორულას (უნდა იყოს „ცორულის“ - ა.ა. მ.კ.) იახსრის, კოპალას სალოცავები“. (გვ.22)

აქც მცირე კორექტივის შეტანა საჭირო. „სათემო და სასოფლო ძეგლები“ კი არა, ესენი საკულტო ნაგებობებია, ხატ-სალოცავები. ისე, სასურველი იყო, თუშეთის საკულტო ძეგლებსა და სახატო რიტუალებზე საუბრისას ავტორს გაეთვალისწინებინა ვერა ბარდაველიძის ფუნდამენტური ნაშრომი „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები (ტ. II, თუშეთი, 1985წ.), სადაც იახსარი საერთოდ არ იხსენიება წოვათას სალოცავთა შორის.

„ცნობილია, რომ წოვა-თუშები საქართველოს და მის მუხობელ ქვეყნებში (I) მომთაბარეობით მუყუნეობას ეწეოდნენ“ (გვ.36). რომელ „მუხობელ ქვეყნებს“ გულისხმობს მკვლევარი, გაუგებარია.

„როგორც ითქვა, საკვლევ პერიოდში (I) წოვა-თუშები აღვნის, პანკისისა და ბახტრიონის ტყრიტორიაზე უხსოვარი დროიდან (I) ბინადარ ცხოვრებას ეწეოდნენ“ (გვ.57).

იქნებ გვითხრას ავტორმა, რანაირად შეუუთავსოთ ერთმანეთს „საკვლევ პერიოდი“ და „უხსოვარი დრო!“

წიგნში სამი გვერდი აქვს დათმობილი იმ „მდელოების“, „საზამთრო საძოვრების“, მდინარე იორის, ნაზარალის, თელის, ეშმაკისა და ლეკის წყლების მიმდებარე ტერიტორიების, ათამდე საზაფხულო საძოვრის, სერების, გორგურების, „ბასინების“, მდინარეთა აუზებისა და იალალების ჩამოთვლას, რომელთაც წოვა-თუშები მეცხბარეები ფლობდნენ. შეუძლებელია, თუშების მიმართ წრფელი სიბრაღულის გრძნობა არ აღეძრას მკითხველს, როცა იქვე მეცნიერის ასეთ სიტყვებს შეხვდება: „შირაქის უმნიშვნელო ადგილები ეკავათ ჩადმებს (ხედავ მკითხველო, როგორ მკვლევართან გვაქვს საქმე, რომელიც ცდილობს, თუშებს თუშობა წაართვას და დაუმკვიდროს ტერმინი „ჩადმა“, ვ.ე.): „ივანე თელაურიძეს (სატორგო), კუკალაანთ (ქააძეები) სულ-

დორის მიჯნამდე, ხოლო მურთაზიანთ ჩიდიელთა ხეობაში ორი ბინა  
პქონდათ. ეს ადგილები ძალზე მწარია (ბაღთა, ჩრდილო, ღორის წყალი).“

„წოვა-თუშების განცითარებული მეცნეარეობის მეურნეობას ყველის  
გამოყვანის (I) საკუთარი წესები პქონდა.“ (გვ.73).

ცხერის ყველის დამზადების ტექნოლოგია ერთნაირი იყო და არის წოვათისა  
და თუშეთის სხვა თემების მეცხვარეთა სამეურნეო პრაქტიკაში. ლოგიკური  
იქნებოდა, განემარტა ავტორს, რა იგულისხმება „ყველის გამოყვანის საკუთარ  
წესებში“, რა თავისებურებებით ხასიათდებოდა ეს პროცესი წოვათაში.

„საინტერესოა თუშების (წოვა) ფოლკლორი, ხალხური სამართალი,  
სადაც ამკარად შემწნივთა როგორც შეძლებული, ასევე ღარიბი ფენის  
არსებობა.“ (გვ.78)

შესატყვისი საილუსტრაციო მასალის გარეშე ამ ლიტონ განცხადებას  
არავითარი მეცნიერული ღირებულება არ გააჩნია. ჩვენთვის ცნობილია,  
საერთოდ, თუშური ფოლკლორი, ჟანრობრივად მდიდარი და მრავალფეროვანი  
და თუ წოვებს დამოუკიდებელი, საკუთარი ზეპირსიტყვიერება აქვთ, არა  
გვეგონია, ამის ხაზგასმამ წოვებისა და თუშების ეთნიკური ერთიანობის ა.  
შახელიშვილისეულ მტკიცებას შეუწყოს ხელი.

„წოვა-თუშები უხსოვარი დროიდან (I) ეწეოდნენ მომთაბარეობას.  
მისდევენ სენა-თესვას და მესაქონლეობას. ეს ორი დარგი მთისა და  
ბარის რაიონებში ინტენსიური იყო, რადგან ამ ხანებში (I) აღმოსავლეთ  
საქართველოში, კერძოდ, კახეთში, მშვიდობიანობა იყო.“ (გვ.56).

„უხსოვარი დრო“ ხშირად ფიგურირებს ა. შახელიშვილის წიგნში  
და ეს იმიტომ, რომ ქრონოლოგიური ჩარჩოს მოხსნის გზით წოვათის თემის  
სიძველე და „ადგილობრივი ქართველი მთიელობა“ ამტკიცოს. შეიძლება  
იმაში დავეთანხმოთ ავტორს, რომ „წოვა-თუშები უხსოვარი დროიდან“  
ეწეოდნენ მომთაბარეობას, მაგრამ იმას კი ვერა და ვერ დავიჯერებთ, რომ  
აღვნიის, პანკისისა და ბახტრიონის ტერიტორიაზე „უხსოვარი დროიდან“  
ბინადარ ცხოვრებას ეწეოდნენ.“ (გვ.57). „უხსოვარი დროის“ ცნება დროული  
ლოკალის გაგებას გამორიცხავს და გულისხმობს იმ ხანას, რომელიც დაუდ-  
გენელი-დაუკონრეტებელია. ლოგიკურია თუ არა ერთსა და იმავე კონტექსტში  
„უხსოვარი დროისა“ და „ამ ხანების“ ჩასმა. ამის განსჯა მკითხველისათვის  
მიგვიწევია.

მსგავსი მაგალითების გარდა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ,  
მოხმობილი მასალაც მკაფიოდ აჩენს მეცნიერის ტენდენციურობას, მის  
თვითმიზანს და ერთმანეთისაგან გამიჯნოს ჩაღმა (თუში, თუშები, ვ.ე.) და  
წოვა და ამ უკანასკნელთა ყურადღების ორიბტში მოქცევით და პირველობის  
მტკიცებით შეგნებულად დაჩრდილოს და დააჩინოს ჩაღმები (თუშები, ვ.ე.).

ა. შახელიშვილის აკვიატებული მიზანი, დაასაბუთოს წოვებისა და  
თუშების სხვა თემების ეთნიკური ერთიანობა, დაფუძნებულია ღიმილის-

მომგვრელ არგუმენტებზე. აი, ერთი მაგალითი: „ადისანიშნაყია, რომ თუ-  
შეთის ოთხივე საწიგადოებში საზომი ერთიველები ერთი და ოგივე  
ცნებებით იმპარება (1). ცხადია, რომ თუშეთის ოთხივე თემში ამ ტერმინების  
იდეტურობა შექმთხვეყით ხასიათის არ ატარებს. იგი ეთნიკური ხასიათის  
ერთიანობაზეც უნდა მყოთთებდეს.“

რა საზომ ერთეულებზეა ლაპარაკი, ეს ავტორის საიდუმლოა. ანდა, რა  
გასაკვირია, ვთქვათ, წონისა და სიგრძის საზომი ერთეულების გამოსახატავად  
ერთსა და იმავე ცნებებს თუ იყენებენ წოვები და ჩაღმები (თუშები, ვ.ე.).

ავტორი, რომ ძალზე ზედაპირულად დილექტანტი მოგზაურის დონეზე  
იცნობს შესასწავლ რეგიონს, ჩანს წიგნის იმ მონაკვეთიდან, სადაც საუბარი  
თუშეთის გეოგრაფიულ საზღვრებს, ბუნებრივ რესურსებს, მატერიალური  
კულტურის ძეგლებს ეხება.

„თუშეთში უხვადაა მინერალური და სამკურნალო წყლებიც.“ (გვ.23).

„როგორც ითქვა (არისად არ თქმულა! - ა.ა. მ.კ.), წოვათის ქვაბნარი  
მინერალური წყლებით მდიდარი ადგილია.“ (გვ.29).

ნებისმიერ თუშს, რომ ჰკითხავ, ყველა ერთნაირად გიპასუხებთ მინერალური  
წყლებით თუშეთი ღარიბია. მეცნიერის სასწაულმოქმედ კვრთხს კი თურმე  
რა არ შესძლებია, ზღაპრის პერსონაჟთა დარად, სადაც დაჰკრავს, იქ  
გამოადენს გულის გამაგრილებელ მინერალურ წყალს!

1977 წელს გამოცემულ წიგნში ა. შავხელიშვილი გაუგონარ გულმავე-  
წყობას იჩენს. 91-ე გვერდზე წერია: „თუშეთის ორივე ხეობაში (პირა-  
ქითისა და გომეწრის) შემორჩენილია ბეკრი ეკლესია“, ხოლო 197-ე გვერდი  
საწინააღმდეგოს დაღადაებს: „თუშეთის ცენტრალურ ადგილებში - სოფ.  
ფარისმაში (პირიქითი თუშეთი), ოშალო (ჩაღმა), შენაქოში (ჩაღმა),  
ილურთაში (გომეწარი) ინტენსიურად შენდებოდა ეკლესიები, რომელთაგან  
დღეს ნანგრევებია შემორჩენილი.“

„თუშეთში“ კიდევ ცოტა სხვაგვარი ვითარებაა: „თუშეთში შემონა-  
ხულია აგრეთვე ეკლესიები, მათი რაოდენობა შეიღწე შეტია“ (გვ.124).

როგორც ვხედავთ, „თუშეთის ორივე ხეობაში (პირიქითისა და  
გომეწრის) შემორჩენილი ბეკრი (1) ეკლესია“ ავტორმა ნაშრომის ბოლოს  
„ნანგრევებად“ აქცია. ჭირის ოფლის ფასად ნაგები ქრისტიანული კულტურის  
თვალსაჩინო ძეგლებისადმი ასეთი დაუდევარი, უგულისხმო დამოკიდებულება  
არათუ ისტორიკოსს, უწიგნურ ადამიანსაც არ ეპატიება!

ყურმოკრულ ცნობებზე დანდობა და სინამდვილის საკუთარი სურვილი-  
სამებრ „კორექტირება“ ისტორიკოსს არ ეკადრება!

აბრამ შავხელიშვილი არც თუშთა საოჯახო ყოფის, შრომა-საქმიანობის  
და წეს-ჩვეულებების საკითხებს ტოვებს ყურადღების გარეშე.

„...წლოყანებით უყფროსი დიდი პატიყისცემით სარგებლობდა. მის  
ოჯახში საეციალური ადგილი ბუხრის მარჯვენა მხარეს აქონდა მი-  
ნეული.“ (გვ.39).



ჯერ კორექტურულ შეცდომად ჩავთვალეთ, ხოლო მერე, როცა მეორე მაგალითიც ვნახეთ, დავრწმუნდით, რომ მეცნიერი განსხვავებას ვერ ხედავს „მიჩენას“ და „მიჩნევას“ შორის: „ჩარების სადგომი სოფლიდან დაშორებული იყო და სპეციალურად მწყეპში შეყავდა მიჩნეული.“ (გვ.75).

სიტყვათა არაზუსტი შერჩევის შემთხვევები ნაშრომში უამრავია. მათი უკლებლივ აღნუსხვა შორს წაგვიყვანდა. ჭაშნიკად კიდევ ერთი ტიპური მაგალითის დასახელებაც იკმარებს: „წლის თაგზე ჰკითხავენ მკითხავს, თუ განსვენებულის ცხენი ვის მიეცეს: სული თხოულობს, რომ მისცენ ამასაო“, – ამბობს მკითხავი (ვინც შეისყიდის მკითხავს)“ – გვ.116.

„მიხვევა“ და „მიჩენა“, „შესყიდვა“ და „მოსყიდვა“, სხვადასხვა შინაარსის გამომხატველი სიტყვებია. მათი ნიველირება, ჩვენი აზრით, ნამდვილად არ შეჰფერის მეცნიერებათა დოქტორის კომპეტენციას!

აბრამ შავხელიშვილის წიგნი უჩვეულოდ „მდიდარ“, აქამდე არსმენილ ინფორმაციას გვაწვდის შესასწავლი კუთხის ეთნოგრაფიულ სინამდვილიდან. სხვისი რა მოგახსენოთ და ჩვენ კი დღემდე არ ვიცოდით, რომ თუშები „ფეხზე იცკამდნენ მთის პირობებისათვის შესამებულ ტყავის ლანჩებს“ (გვ.49). „გრესინენ შატყელს“, „ქსოვდნენ ნაბღებს“ (გვ.35), რომ „დეკის ცეცხლი არომატულაია“ (გვ.53).

ფეხსამოსთან დაკავშირებით არანაკლებ „საინტერესო“ ცნობას ვხვდებით ავტორის წინა წიგნში: „ფენსაცმელი მთის პირობებისათვის შესაფერისი ჩანს.“ (გვ.74).

გვინდა ავტორს შევახსენოთ, რომ ფენსაცმელი არც მთის პირობებისათვისაა შეუფერებელი!

ავტორი, როგორც ვნახეთ, არაიშვიათად ეწინააღმდეგება თავს. ავიწყლება, რა თქვა ადრე და ერთსა და იმავე საგანზე ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციებს იძლევა. ფანტაზიაზე დანდობილი კვლევის დროს ასეთი რამ საკლებით მოსალოდნელია. მაგრამ გასაკვირი და მოულოდნელია, როცა წინა აბზაცში გატარებული აზრი მომდევნოში საპირისპიროთი იცვლება. ნაშრომის 44-ე გვერდზე ავტორი აღნიშნავს: „ოჯახში გაყრას ერთ-ერთი მიზეზი იყო ცოლ-ქმრის შეუთავსებლობა“ ამ ციტატის მომყოლ აბზაცში კი ნათქვამია: „როგორც ითქვა, გაყრას ერთადერთი მიზეზი ცოლის დაღლატი იყო.“

აბრამ შავხელიშვილს უჭირს სათქმელის სათანადო ფორმით გადმოცემა, კონტექსტისთვის შესაფერისი სიტყვის შერჩევა, წინადადების გამართვა. გამომდინარე აქედან, ნაშრომში ხშირია შესაბამო სინტაგმები, აზრობრივი ლაფსუსები, ცუდი ქართულის ურიცხვი ნიმუში. აი, სახელდახელოდ დაძებნილი რამდენიმე მაგალითი: „ცხვარს ეშქურებოდა სუსხიანი ყინვა“ (გვ.79). „ცხვრის დიდი ფართობი საზამთროდ შირაქში, ივრის, მტკჯრისა და ალაჩინის აუწყებში გადადიოდა.“ (გვ.58); „წოვათას ვაკობი მდინარე საყართის სათავეებიდან ჩაშოტანულ მყწყერის შედეგია“ (გვ.29);

„არსებობდა საბოლოო ეტაპი, რომელიც საკუთარი სარგებლობის წესი გააჩნდა“ (გვ.28).

ნაშრომის მე-3-ე გვერდზე ავტორი აღნიშნავს: „მათ (თუშებმა - ა.ა.) უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლით და თავდა-  
დებული შრომით შეინარჩუნეს საკუთარი თვითმყოფობა.“

იქნებ უფრო სრულყოფილად აგვიხსნას ისტორიის მეცნიერებათა დოქ-  
ტორმა, რომელ უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ“ ჰქონდათ თუშებს  
შეუპოვარი ბრძოლა. „უცხოელ“ ძეგლში (ქართული ენის განმარტებითი  
ლექსიკონი, ვ.ე.) ასეა განმარტებული: „უცხოეთის მკვიდრი, საზღვარგა-  
რეთელი.“ თუ ა. შავხელიშვილს ლექები და ქისტები ჰყავს მხედველობაში,  
უნდა მოვახსენოთ, რომ ისინი თუშებისათვის არც „უცხოელები“ იყვნენ  
და არც „დამპყრობნი“.

ჩვენი განზრახვა, მეტნაკლებად სრული წარმოდგენა შეგვექმნა მასობრივი  
მკითხველისათვის ა. შავხელიშვილის წიგნზე, ნაწილობრივ განხორციელდა.  
„თუშეთის“ საფუძვლიანი განხილვა ისტორიკოსების, ეთნოგრაფების, ფოლკ-  
ლორისტებისა და ენათმეცნიერების ერთობლივ გარჯას მოითხოვდა. წიგნში  
არაა თითქმის არც ერთი აბზაცი, შენიშვნას რომ არ იწვევდეს. ამას  
მთელი პასუხისმგებლობით ვამბობთ და მზად ვართ, თუკი ავტორი საამისო  
საშუალებას მოგვცემს, კიდევ არაერთი „ბრძნული“ აზრი და გამოთქმა  
შევახსენოთ მისივე ნაშრომიდან.<sup>255</sup>

პროფ. ამირან არაბულს დიდი მადლობა ეთქმის, ჯერ ჩემგან და  
შემდგომ სწორად მოაზროვნე ყველა მკითხველისაგან, რადგან მან, მიუხედა-  
ვად თავისი მრავალმხრივი დატვირთვისა, მოიცალა, დრო გამოიხატა და  
გულისხმიერი ყურადღება გამოიჩინა თუშეთის შესახებ ისტორიკოს აბრამ  
შავხელიშვილის მიერ 1977 და 1987 წელს გამოქვეყნებულ, ზემოთ მოხსე-  
ნიებულ შრომების მიმართ და მეცნიერებაში საყოველთაოდ აღიარებული  
სიმართლის თქმის პოზიციიდან ავტორი ობიექტიურად და მოურიდებლად  
ამხილა იმ არაკაცობისა და შეგნებით თუშეთის ისტორიის გაყალბებისათვის,  
რასაც იგი წლების მანძილზე დაუბრკოლებლად კადრულობს. მე ზევითაც  
აღვნიშნე, და აქაც კვლავ უნდა განვაცხადოთ, რომ ა. შავხელიშვილისეულ  
სიყალბითა და დამახინჯებებით აღსავსე კვლევა-ძიების წინააღმდეგ  
მოურიდებლად ვიბრძვი, აგრე უკვე, რამდენიმე ათეული წელია და სხვა  
ვინმე მის განუსაზღვრელ ტენდენციურობაზე, რაც გამიზნულია იმისათვის,  
რომ თუშების მრავალსაუკუნოვანი ჭეშმარიტი ისტორიის გაყალბებისა და  
მიჩუმათების ფონზე, წინა პლანზე წამოსწიოს წოვების პრიორიტეტი და  
უპირატესობა, იმ წოვებისა, რომლებიც თუშეთში საცხოვრებლად მოვიდნენ  
XVII ს-ის 60-70-იან წლებში, არავის უმხილებია ისე უართომანშტაბიანი

<sup>255</sup> ამირან არაბული, „ვაი ევკთას სამართალს...“. გაზ...თავისუფალი საქართველო“,  
1991წ., 22 თებერვალი. №5

და ყოველის-მომცველი პოზიციიდან, როგორც ეს მისია ბატონმა ა. არაბულმა ითავა და მაღალმეტნიერულ დონეზე განახორციელა კიდევც.

ბატონო ამირან, ალბათ არ მიწყენთ და, ვფიქრობ, თქვენ როგორც მთის კაცი – ხევსური, მე თუშს, ერთ-ერთი თქვენთაგანი სწორად გამოიგებთ და ჩემს სასიკეთოდ განეწყობით, როცა შემოგჩივლებთ მთელი თუშეთის სახელით, იმ უკმაყოფილება-გულისტკივილის თაობაზე, რაც გამოწვეულია იმით, რომ თუშეთში წოვების დასახლების შემდგომ, თანდათანობით, შეგვირყვნეს, შეგვიბლალეს მამა-პაპათა მიერ ნაანდერძები და ქართული ხალხისაგან საუკუნეთა მანძილზე შეთვისებულ-შესისხლზორცებული სატომო-ეთნიკური სახელები: „თუშეთი“ და „თუში“ („თუშები“) და ძალის-ძალად საფუძველს უქმნიან არსებობისათვის ისეთ ტერმინებს, როგორიცაა: „ჩაღმა“, „ჩაღმელი“, „ჩაღმა-თუში“, „ჩაღმები“, „ჩაღმა-თუშური კილო“, „ჩაღმა-თუშეთი“ და სხვ. ჩვენ, თუშები, ბატონო ამირან, ამ უშნო და შეურაცხ-მყოფელ ჩხირკედლობას ვერ ვეგუებით, ვერც შევიგუებით და ყოველთვის ვიბრძობებით ამ უსაფუძველო გაყალბებათა წინააღმდეგ. აბა, თქვენ, როგორც ხევსური, რა გუნებაზე დადგებით და როგორ შეეგუებით იმ არაკეთხე მცდელობა-წამოწყებას, როცა ვილატ-ვილაკეები შეეცდებიან, „ხევსურის“ ნაცვლად რაღაც სხვა სახელი აიკვიტონ და „ხევსურეთის“ შემცვლელადც გამოჩაჩონ ისეთი ტერმინი-სახელწოდება, რაც სრულიად მიუსადაგებელი და შეურაცხ-მყოფელიც კი იქნება ხევსურებისათვის, როგორც მაგალითად, „ჩაღმა“ და „ჩაღმა-თუშეთი“ თუშებისათვის. ბატონო ამირან, თქვენს რეცენზიასთან დაკავშირებით, ხსენებული შენიშვნების ჩამოყალიბება იმან გადაამწყვეტინა, რომ თქვენს ხსენებულ რეცენზიაში ტერმინების: „თუში“ და „თუშების“ ნაცვლად, რამდენჯერმე „ჩაღმას“ და „ჩაღმებს“ სთავაზობთ მკითხველს, რაც მე, ასე ვფიქრობ, თქვენი დონის მეცნიერისათვის მისაღები არ უნდა იყოს. თქვენ, პირიქით, როგორც ჭეშმარიტად მოაზროვნე ფილოლოგ-მეცნიერმა, იქნება თქვენი გადასახელიდან და ზოგადქართული პოზიციიდან ყურადღება მიაქციოთ იმ ამაზრზენ მცდელობას, თუ რატომ მკვიდრდება თანდათანობით „თუშური კილო“ ნაცვლად „ჩაღმა-თუშური კილო“? „თუშს“ („თუშებს“), რად ანაცვლებენ ახლად გამოგონილ სახელწოდებებს: „ჩაღმას“ („ჩაღმებს“) და „თუშეთს“ „ჩაღმა-თუშეთს“? განა ასევე არ იყო ხელოვნურად შექმნილი ტერმინები: „თუშური ენა“ და „ბაცბური ენა“ „წოვური ენის“ გამოსახატავად? მაგრამ დღეისათვის ეს ორივე ტერმინი ამოვარდნილია ხმარებიდან და, ალბათ, ყველა ხელოვნურად შექმნილ ტერმინს ასევე დაემართება, რადგან მათ არსებობისათვის კანონიერი და ობიექტური საფუძველი არ გააჩნიათ. იქნებ ენათმეცნიერები იმიტაც დაინტერესდეთ, თუ რატომ ეწოდება წოვურ ენას „წოვა-თუშური ენა“, როდესაც წოვების ქართული სალაპარაკო ენა არაფრით არ ჰგავს თუშურ დიალექტს, წოვები კი კახურ კილოზე ლაპარაკობენ და წოვების არც მოხუცები და არც პატარები არასდროს საუბრობენ

თუშურ კილოზე და ეს ტრადიცია დღესაც ასე გრძელდება. „წოვეური ენა“ ხომ ჩეჩნურ-ინგუშურ ენათა ოჯახს ეკუთვნის და ქართული ენის „თუშურ კილოსთან“ არავითარ გენეტიკურ კავშირში არ იმყოფება. მაშ, რატომ ჰქვია „წოვეური ენას“ „წოვა-თუშური ენა“, ალბათ, უნდა გაირკვეს და მკითხველთა ფართო საზოგადოებას მიეცეს დამარწმუნებელი ცოდნა-განმარტება, თუ ეს ყოველივე რას ნიშნავს?! „წოვა“ და „თუში“ ხომ ინდივიდუალური ისტორიის მქონე ტომების სახელწოდებაა. აქედან გამომდინარე, თავისთავად ისმება კითხვა, თუ ორი სატომო ტერმინი „წოვა“ და „თუში“ რატომაა „განთავსებული ერთი ენის სახელწოდებაში? ამ რეალური ჭეშმარიტებიდან გამომდინარე, რა ვუთხრათ მკითხველს იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს „წოვა-თუშური ენა“ და როგორი ასსნა-განმარტება უნდა მოვარგოთ მას, რომ მართლები ვიყოთ?

პროფ. თ. უთურგაიძემ, ჯერ კიდევ, სრულიად ახალგაზრდამ, აღნიშნულ პრობლემას სათანადო ყურადღება მიაქცია და მონოგრაფიაში „თუშური კილო“, საგულისხმო შენიშვნები ჩამოაყალიბა. ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარის მიერ, თითქმის, ნახევარი საუკუნის წინ მკითხველი საზოგადოებისათვის შეთავაზებული მოსახრებანი იმდენად საინტერესოა, რომ იგი სრულად უნდა გავაცნო მკითხველს. ბატონი თედო აღნიშნავს: „შეიძლება ბოდა, რომ წოვების ენისათვის „წოვა-თუშური“ გვეწოდებინა, ხოლო თუშურისათვის „ჩაღმა-თუშური“ ან „ქართულ-თუშური“. მაგრამ აქ უხერხულობას ქმნის კომპოზიტების მეორე ნაწილი – „თუშური“, რადგან სულ სხვადასხვა წარმოშობის ენები ერთი სახელის ქვეშ ერთიანდება. ეს შეიძლება ზოგჯერ შეცდომის სათავეც გახდეს; მაგალითად, ი. დუმერიევი სტატიაში „О взаимоотношениях древнеписьменных, младописьменных и безписьменных языков“<sup>256</sup> წოვა თუშებს უწოდებს ქართული ენის თუშური დიალექტის მოქცევას (Цоватушинский говор тушинского диалекта грузинского языка),<sup>257</sup> რა თქმა უნდა, შეცდომაა. წოვა-თუშური ვერ იქნება თუშურის მოქცევა, კილო-კავი, რადგან ისინი, როგორც აღვნიშნეთ, სხვადასხვა ენობრივ ჯგუფს განეკუთვნებიან.

პროფ. ა. შანიძე ქართულად მოლაპარაკე თუშების ენას თუშურ კილოს უწოდებს, მაგრამ მაინც შენიშნავს, რომ ლაპარაკია ქართულად მოლაპარაკე თუშების ენაზე. აქაც შენიშვნის მიზეზი კომპოზიტის მეორე ნაწილია – თუში. საბოლოოდ ჩვენსთვის, ამ ტერმინებისათვის ამოსავალია წოვა და თუში. წოვას ქართველები მხოლოდ და მხოლოდ წოვეური ენაზე მოლაპარაკეს უწოდებენ, თუმს კი ძირითადად ქართულ დიალექტზე მოლაპარაკეს უწოდებენ.

<sup>256</sup> Вопросы теории и истории языка в свете трудов И. В. Сталина по языкознанию, 1952 г.

<sup>257</sup> იქვე.

ჩვენთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს საკითხს, თუ ვისი სატომო სახელი იყო თავდაპირველად „თუში“.<sup>258</sup>

მკითხველი ამ პარაგრაფიდანაც დარწმუნდება და მონოგრაფიის სრულყოფილად წაკითხვა-დამუშავებითაც, რომ წოვები თუშეთში XVII საუკუნის 60-70 წლებში მოვიდნენ და ისინი თუშეთის მკვიდრ მოსახლეობად არ ითვლებიან. მათი თავდაპირველი და თანამოყოლილი სატომო სახელია „წოვა“. აღნიშნულიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, თუშები ოდითგანვე იყვნენ და არიან თუშეთის აბორიგენი მოსახლეობა, ვინც წოვების თხოვნა დააკმაყოფილა და თუშეთში სამოსახლო მიწა-წყალი გამოუყო „ინდურთად“ წოდებული. სატომო სახელი „თუში“-ც თუშეთის მკვიდრი მოსახლეობის – თუშების კუთვნილებაა და მათი სალაპარაკო ქართულის აღმნიშვნელად „თუშური კილო“ შეუცვლელი და ერთადერთია. ენათმეცნიერისათვის რჩება მხოლოდ „წოვური ენისათვის“ „წოვა-თუშურის“ დარჩენა-არდარჩენის საკითხის გარკვევა.

---

<sup>258</sup> თ. უთურგაიძე, თუშური კილო, 1960, გვ.2

## 2.3. წოვა—თუშების კინაობის საკითხისათვის

წოვა-თუშების (და აგრეთვე საქართველოს სხვა რომელიმე ტომის) თავდაპირველი ისტორიის სრულყოფილი ახსნა ძნელია, რადგან ხანდაზმულობის გამო საკმარისად აღარ შემორჩა საჭირო ცნობები. გარდა აღნიშნულისა, მკვლევარს რომელიც ეხება ამა თუ იმ ხალხისა, თუ რომელიმე ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომავლობის საკითხს, უნდა გააჩნდეს მრავალმხრივი განათლება და ფლობდეს მეცნიერების სათანადო დარგებს (ეთიკათ, ენობრივი მონაცემების მომარჯვება ხალხთა ჯგუფების ისტორიის კვლევაში), რათა თავი გაართვას ამ ურთულეს ამოცანას და მკითხველს დაეხმაროს აღძრული საკითხის გაგებაში. მე არა მაქვს პრეტენზია პრობლემის სრულყოფილად გაშუქებისა, მაგრამ როცა კი თუშეთის განსახლების საკითხს შევხებივარ ვეყრდნობოდი (და ამჟამადაც ვეყრდნობი) წინა თაობის მეცნიერთა მემკვიდრეობას, ხალხში შემორჩენილ მდიდარ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალას და მათგან გამომდინარე ვაკეთებდი სათანადო დასკვნებს.

ამჟამად მე ამ საკითხს ვუბრუნდები — 1990 წლის 7 აპრილს ახმეტის რაიონის სოფ. ზემო ალვანის კულტურის სახლში წოვა-თუშთაგან ჩატარებული სასოფლო ყრილობის „გადაწყვეტილებითა“ და აღნიშნული „გადაწყვეტილებიდან“ გამომდინარე აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ღირექციის დავალებით, სადაც ვკითხულობთ: „დისერტანტს მიეცა მითითება წოვა-თუშების შესახებ მისი ახალი თვალსაზრისი ყრცლად გადმოსცეს საგანგებო ნაშრომში. გამოაქვეყნოს ეს უკანასკნელი და შემდეგ დაიხმოს საკითხი მისი ნაშრომის დაცვის შესახებ“.

სასოფლო ყრილობის მასალებში საუბარია 1988 წელს გამოცემულ ჩემს მონოგრაფიაზე — „თუშეთის ისტორიის საკითხები“, საიდანაც ყრილობის მონაწილენი განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენენ წოვა-თუშების წარმომავლობისა და თუშეთში მათი დასახლების შესახებ ჩემს მიერ გამოთქმულ დასკვნებსა და მსჯელობაზე და მოითხოვენ „...ეთნოგრაფიული თვალსაზრისით უკმარისობის გრძობის საღიკვიდაციოდ“ შევისწავლო წოვა-თუშების ისტორია და სრულყოფილად წარმოვანირო ეს საკითხი.

„გადაწყვეტილებაში“ იმასაც აღნიშნავენ, რომ: „ე. კლანიძეს კვლევის ობიექტად აღებული აქვს თუშეთის საში თემის (ჩადმის. პირაქეთისა და გომეწრის) ისტორია. აქედან ცხადია, რომ მონოგრაფიისაც და დღევანდელ დისერტაციასაც, თუკი ისინი მიღებული იქნება თეოციონის მიერ, უნდა შეეცვალოს სახელწოდება — „არა თუშეთის საკითხები“, არამედ „თუშეთის საში თემის ისტორიის საკითხები“.

ბოლო ბრალდება უსაფუძვლოა და მას ჭეშმარიტებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. მონოგრაფიის არც ერთ თავსა და პარაგრაფში არსად

არ ემსჯელოთ იმ კუთხით და გაგებით, რომ წოვა-თუშები დავაკნინო და თუშები გასვადიდო, ანდა ვახსენებდე თუშებს და არაფერს ვამბობდე წოვა-თუშებზე. განსახილველ მონოგრაფიაში მსჯელობისას ვიყენებთ ტოპონიმ-ეთნონიმებს: თუშეთი და თუშები. ხოლო წოვა-თუშსა და ჩაღმა-თუშს ვახსენებთ იმ შემთხვევაში, როცა ეს აუცილებლობით არის გამოწვეული, ანდა როგორ შეიძლება თუშეთის ისტორიის თემების მიხედვით დანაწევრება, როცა ეს ოთხივე თემი ერთ მთლიანობას წარმოადგენდა და მათ საერთო ჰქონდათ ჭირიცი და ლხინიცი. ამა თუ იმ თემიდან ზოგ დროს ვეხებით იმ თემისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ თავისებურებებს, მაგალითად: თემში შემავალ სოფლებს, თემის ჯვარ-ხატებს. თემის კომლობრივ რაოდენობას, ესა თუ ის გმირი, თუ ამის დადგენა შეიძლება, თუშეთის რომელ თემს და სოფელს ეკუთვნის, რამდენი თემი იყო თუშეთში და როგორ ევოლუციას განიცდიდნენ ისინი? როდის და რა ვითარებაში ხდება წოვა-თუშებისა და თუშების ჩამოსახლება კახეთის ბარში? და სხვ. მაგრამ იმას ვინ გაარკვევს და ეს არც მე მიცდია, თუ თუშთა ასეულებში, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს თურქთა უღლიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწა-წყლის გამოხსნისათვის წარმოებულ რუსეთ-თურქეთის 1853-1856 და 1877-1878 წლების ომებში, რამდენი იყო წოვა-თუში და თუში. იქ ყველა თუშის სახელით იბრძოდა და მთლიან და განუყოფელ თუშეთს წარმოადგენდნენ. ანდა როდესაც ვეხებით თუშების ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობას ჩრდილო-კავკასიის ხალხებთან და ამავე მეზობლების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებს, ჩვენ იქ ყველგან ვლაპარაკობთ თუშეთზე და თუშებზე და არა რომელიმე თემზე. ცალკეული თემების მიხედვით დასახელებული საკითხები ვერ გაშუქდება. მონოგრაფიაში სპეციალურად ვეხებით თუშეთიდან კახეთის ბართან. ფშავ-ხევსურეთთან და მეზობელ იმიერკავკასიელებთან დამაკავშირებელ გზებს და მათს მნიშვნელობას. ყველა ჩვენ მიერ განხილული გზა თუშეთიდან იწყება, თუშეთზე გადიოდა. ყველა თუშს ეკუთვნოდა და ამ საქმეში რომელიმე თემის პრივილეგია გამორიცხული იყო. მონოგრაფიაში ვეხებით რა საკითხებს: „თუშური თემის მმართველობაში მთის სალოცავებისა და ე.წ. „მთავარი ხატის“ დანიშნულება-მოვალეობის საკითხისათვის“, „ხევისბერისა და დეკანოზის უფლება-მოვალეობა თუშური თემის მმართველობაში“ და „ცენტრალური ხელისუფლების დამოკიდებულება თუშური თემის მმართველობაში“. ჩვენ არსად თუშეთის რომელიმე თემზე გამორჩეულად არ ვსაუბრობთ, მათ ჩვენ ერთიმეორისაგან არ განვასხვავებთ. რომ ვინმემ მოიწადინოს. ამას ვერ შეძლებს. რადგან ცალკე აღებული რომელიმე თემის ისტორია დანარჩენი თემებისაგან იზოლირებულად. არ დაიწერება. სხვა დანარჩენ საკითხებზე მსჯელობისასაც მსგავს ვითარებასთან გვაქვს საქმე და მიგვაჩნია, რომ ამ მხრივ მათი ერთიმეორისაგან გამორჩევა ტენდენციურობა იქნებოდა. რაც შეეხება იმას. რომ მე დასახელებულ მონო-

გრაფიაში წოვა-თუშების წარმომავლობის არასწორი გაშუქებით დაეუშვი „პრინციპული შეცდომები“, შევეცდები მკითხველი გაეარკვიო ამ საკითხის არსში და დაეარწმუნო, თუ საიდან რა მოდის და მე როგორც ერთ-ერთ მკვლევარს, რა ადგილი მიკავია ამ საქმეში.

ორ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს იმ მდიდარ და მრავალმხრივ საინტერესო მეცნიერულ მემკვიდრეობას, სადაც მკვლევარები ეხებიან რა თუშეთის განსახლების საკითხს აღნიშნავენ, რომ თუშეთის მოსახლეობა ერთფეროვანი არ არის, რომ იგი ორ ჯგუფად განიყოფება – წოვა-თუშებად და ჩალმა-თუშებად, რომ მათ შორის სხვაობა ენობრივია და აქედან გამომდინარე მეცნიერ-მკვლევარი ანგარიშგასაწევ დასკვნებს აკეთებდნენ.<sup>1</sup> თუშეთის ისტორიაზე მომუშავე მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის ხსენებულ ტრადიციას და, ძირითადად, მასზე დაყრდნობით უხდება მუშაობა, როცა იგი ეხება თუშეთის განსახლების ისტორიას. აღნიშნული მემკვიდრეობა იყო ჩემთვის სახელმძღვანელო და გზამკვლევი, როცა საკანდიდატო დისერტაციაზე ვმუშაობდი. იმიტომ იყო, რომ წინამორბედთა მსგავსი დასკვნები ჩამოვყალიბებ წოვა-თუშების წარმოშობისა და თუშეთში მათი ჩრდილო კავკასიიდან მოსულობის შესახებ.

თუშეთის განსახლების თაობაზე მუშაობის დროს ჩემზე უმთავრესი გავლენა მოახდინა XIX და XX საუკუნეების წოვა-თუშების ინტელიგენციის

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები, 1950, მისივე, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937; ა.კ. შანიძე, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, ტ. I, 1957; გ. მელიქიშვილი, ურარტუ, 1951; მისივე, ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხისათვის, 1953; მისივე, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, 1965; მისივე, ნაირი-ურარტუ, 1954 /რუსულ ენაზე/; მისივე ძველი საქართველოს ისტორიისათვის, 1959. /რუსულ ენაზე/; თ. უთურგაიძე, თუშური კილო, 1961; მისივე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, 1966; ე. ლავაზიძე, თუშეთის ისტორიიდან, „მაცნე“, №4, 1965; ს. მაკალათია, თუშეთი, 1933. ა. შავხელიშვილი, ქართველი და ჩეჩენ-ინგუში ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, გროზნო, 1963 /რუსულ ენაზე/; დ. ალბანელი /ქადაგიძე, „ივერიის მეტიჩრობა“, იხ. თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, შემოსულობის წიგნი, №3, საბ. 6352; ი. ცისკაროვ /ცისკარიშვილი/, თუშეთის სურათები, გაზ. „კავკაზი“, №50, 1846 /რუსულ ენაზე/; ი. ცისკაროვ/ცისკარიშვილი/ ჩანაწერები თუშეთის შესახებ, გაზ. „კავკაზი“, №7, 8, 10, 11, 12, 13, 1849 /რუსულ ენაზე/; რ. ერისთავი, ჩანაწერები თუშეთზე-ხვესურეთის ოლქის შესახებ, გაზ. „კავკაზი“, №43, 1854 /რუს. ენაზე/; ი. დემურიევი, ნახური ენების ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა და კავკასიის მთის ხალხების წარმოშობისა და ისტორიული განვითარების პრობლემები, გროზნო, 1963 /რუს. ენაზე/; ი. დემურიევი, ბაცბურის ტოპონომიკა, გროზნო, 1978 /რუს. ენაზე/; ნ. ვოლკოვა, საქართველოს ბაცბები /რუს. ენაზე/; გ. ცოცანიძე, გიორგობიდან გიორგობამდე, 1990 და სხვა.



წარმომადგენლების /ი.ციხისკარიშვილი, დალბანელი /ქადაგიძე/, ივ. ბუქურაული, ვ. ლაგაზიძე, ა. შავხელიშვილი /წერილებმა, ნარკვევებმა და მონოგრაფიებმა, სადაც მრავალგზის არის საუბარი ჩრდილო კავკასიიდან თუშეთში წოვების მოსულობისა და მათი წინაპრების ნახური წარმომავლობის შესახებ. აღნიშნულ მკვლევართა მსჯელობა ხსენებულ საკითხზე იმდენად მრავალფეროვანი, საგულისხმო და ანგარიშგასაწევია, რომ უყურადღებოდ ვერ დატოვებ, მათ უეჭველად უნდა შეეხო და ალბათ, რადგან თავის თავზე და წინაპართა შესახებ თვითონვე მსჯელობენ და თანაც ამჟამად აღნიშნავენ თუ ვინ არიან და საიდან მოვიდნენ, ხელალებით ვერ უარპყოფ და ადვილად მოუქცევი კიდეც მათი გავლენის ქვეშ. ასე დამემართა თავის დროზე მეც, რადგან 60-70-იან წლებში აღნიშნულ საკითხზე ისტორიკოს-ენათმეცნიერთა დამოკიდებულება იმდენად დამაჯერებელი და ეჭვმიუტანელი იყო, რომ მის შესახებ მსჯელობას საპეციალისტები უკვე ზედმეტადაც კი მიიჩნევდნენ და აცხადებდნენ — „დღეს და კარის მტკრეკია ამის მტკიცება, რომ ბატები /წოვები/წინურ-ანგუშური წარმოშობის ტომიანო. ეს ჯერ კიდეც მე-19 საუკუნეში იყო ეჭვმიუტანელი...“<sup>2</sup>

საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდგომ მრავალწლიანმა მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ წოვა-თუშების წარმომავლობის შესახებ არსებული მეცნიერული მემკვიდრეობა კრიტიკულ გადასინჯვას და ახლებურ მიდგომას საჭიროებდა. თანდათან ჩვენთვის ნათელი ხდებოდა, რომ ყველაფრის მიზეზი წოვა-თუშების ორენოვნება იყო და სხვა ფაქტორების გათვალისწინების გარეშე. თითქმის, ყველა მეცნიერ-მკვლევარი ერთსა და იმავეს იმეორებდა. არავინ დაინტერესებულა და მსჯელობის საგნად არავის გაუხდია, თუ როგორ მოხდა, რომ ვაინახურ მოსახლეობად ცნობილი წოვათა ტომი თუშეთშივე გაქართველდა, ქართული ენა შეითვისა და ორენოვანი გახდა. მეცნიერ-მკვლევარებს უნდა გასჩენოდათ კითხვა — შეიძლებოდა თუ არა ეს პროცესი თუშეთის სინამდვილეში ასე მომხდარიყო? რა თქმა უნდა არა, წოვათის გეოგრაფიული მდებარეობა და იქ წოვათა ტომის კომპაქტური დასახლება, ჩემი ღრმა რწმენით. ამის შესაძლებლობას არ იძლევა. წოვების /წოვა-თუშების/ სახით მე მჯერა, რომ საქმე უნდა გვექონდეს იმთავითვე ქართულ მოსახლეობასთან. შევეცდები, ჩემი ახალი პოზიციის ჩამოყალიბებით გარკვეული სიახლე შევიტანო წოვა-თუშების წარმომავლობის საკითხში. თუმცა აქვე უნდა დაესძინო, რომ აღძრული საკითხისადმი ჩემს ახალ დამოკიდებულებას თავზე არავის ვახვევ და მჯერა, რომ იგი აზრთა სხვადასხვაობას და, ალბათ, კამათსაც გამოიწვევს.

სანამ საკითხის განხილვაზე გადავიდოდე, მკითხველ საზოგადოებას უნდა მოვახსენო, რომ გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში წოვა-თუშების ენაობის

<sup>2</sup> თ. უთურგაიძე, „...განა სუყველას თქმა უნდა“, ჟურნ. „ციხისკარი“, №2, გვ. 112. 1966.

საკითხს ცალკე არ ვიხილავ. იგი ჩემთვის კვლევის საგანს არ წარმოადგენს და მას შრომაში ძალიან მცირე ადგილს ვუთმობ. გამოკვლევის უმთავრეს მიზანს შეადგენს გვიანი შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის /თუშ-ფშავე-ხვესურეთის/ ისტორიის საკვანძო საკითხების ჩვენება, და რამდენად გულსატკენია, რომ დღემდის შრომის ძირითად საკითხებს, გარდა ოფიციალური რეცენზენტებისა, ავტორიტეტული მეცნიერ-საეციალისტები არ შეხებიან და არაფერს ამბობენ მათ შესახებ. მთელი ყურადღება მიჰყრობილია ჩემ მიერ წოვა-თუშების ეინაობის თაობაზე მოცემულ მსჯელობათა შესახებ, სადაც წინამორბედთაგან განსხვავებით, ვფიქრობთ, ახალი სიტყვაა ნათქვამი, მაგრამ ერთგვარად ბუნდოვნად, არასრულყოფილად და ნაკლებად დამაჯერებლად, რამაც სამართლიანად გამოიწვია მკითხველთა გარკვეული უკმაყოფილება.

თანამედროვე ვითარებაში, როდესაც ჩვენს ქვეყანაში, ე.წ. გარდაქმნის პოლიტიკამ ეროვნებათშორის დიდი გართულებები გამოიწვია და მიმდინარეობს ეთნოკრიზისები, რა თქმა უნდა, ამა თუ იმ ეთნიკურ-ეთნოგრაფიული ჯგუფების წარმომავლობის შესახებ მსჯელობა რთულიც არის და სახიფათოც. მე ამ თავისებურებას წიგნის წერის დროსაც კარგად ვგრძნობდი, რისთვისაც თუშეთის განსახლების თაობაზე მსჯელობისას მოვერიდე ყოველგვარ გართულებებს და მხოლოდ შრომის პირველი თავის 22-ე გვერდიდან 25-ე გვერდის ჩათვლით გაკვრით შევეხე თუშეთში წოვების დასახლებისა და მათი წარმომავლობის საკითხს. შრომის ამ მცირე მონაკვეთში როგორც მკითხველი თვითონ დარწმუნდება, წინამორბედ მკვლევართა ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის გაელენით კვლავ გარკვეული ლაფსუსები თუ უზუსტობანი მოგვივიდა, თუმცა სხვებისაგან განსხვავებით მკითხველი მივახვედრე და გაბედულად ვუთხარი, რომ წოვა-თუშების სახით საქმე გვაქვს იმთავითვე ქართულ მოსახლეობასთან და არა გაქართველებულ ეთნიკურ ჯგუფთან. როგორც ეს ცნობილი იყო დიდი ხნის მანძილზე და ჩემი წიგნის თაობაზე დაწერილ რეცენზიაშიც დაფიქსირდა: „წოვა-თუშების თუშობა და, მაშასადამე, ქართველობა დიდი ხანია არააფითარ ექვს არ იწვიკვს“, ანდა „ერთი სიტყვით, წოვა-თუშები კულტურულად დიდი ხანია გაქართველებული არიან და, როგორც ქართველები, ისინი არაფრით ჩამორჩებიან დანარჩენ თუშებს და ქართველობის სხვა ნაწილებსაც“.<sup>1</sup>

ახლახან გამოქვეყნდა ვ. ითონიშვილის ერთი ფრიალ საინტერესო გამოკვლევა, რომელიც პირდაპირ ესადაგება ჩემს შეხედულებას და ჩემს მსგავსად მრავალგან ვხვდებით მსგავს კვლევა-ძიებებში დაშვებული შეცდომების კრიტიკის ნიმუშებს.<sup>2</sup>

<sup>1</sup> გ. ყორანაშვილი, „სრულ ერთობლინი თუშნი“, გაზ. „თბილისი“, 9 დეკემბერი, №281, 1988, ხაზი ჩვენია, ვ.ე.

<sup>2</sup> ვასტანგ ითონიშვილი, ქართველი ხალხის ეთნოსტუქტურა მრუდე სარკეში, თბ., 1990

აღნიშნულ გამოკვლევაში რამდენჯერმე ვხვდებით წოვა-თუშების წარმომავლობის თაობაზე გამოთქმულ მსჯელობათა კრიტიკას და მოცემულ საკითხზე ნიჭიერი მეცნიერის ამომწურავ დასკვნა-მიმოხილვას, სადაც კარგად არის ნაჩვენები წოვა-თუშების ფორმირებისა და თუში ტომის „ერთ-ერთ თემად“ ჩამოყალიბების პროცესი. ჩვენს თავს უფლებას მივცემთ გამოკვლევებიდან მოვიტანოთ ვრცელი ამონაწერი, რომელსაც ჩემთვის წაყენებული ბრალდების ლიკვიდაციისა და საზოგადოებრივი აზრის გაჯანსაღებისათვის დღევანდელ ვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს: „არანაკლებ სერიოზულ საფიქრალს გვიჩენს წოვა-თუშების ქართველებისაგან უყოყმანოდ გამოცალკევებისა და „მცირე ხალხად“ მათი გამოცხადების ცდაც, რაც ამჯერად უკვე მთლიანად ემყარება ქართველი ხალხის ამ ორგანული ნაწილის არაქართული წარმომავლობის ერთობ ორდინალური და, რაც მთავარია, ძეტისმეტად საეჭვო ღირებულების ფაქტის მექანიკურ დაწინაურებას. მაგრამ წოვა-თუშთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის ასეთი არაპართებული და ამკარად ნაქარვეი მიდგომისას რატომღაც ხელადებითაა იგნორირებული წოვა-თუშების ქართიზაციის /კერძოდ, ენობრივი ნიშნების მიხედვით ქართულენოვან ისტორიულ-კულტურულ გარემოში მათი ჯკროვანი ადაპტაციის/ საკმაოდ ინტენსიური პროცესის სათანადო არქაულობის ფრიად საგულისხმო მომენტი, რამაც კანონზომიერად დააზღვია წოვა-თუშების ეთნიკური დიკერგენციის პროცესში რამდენადმე აქტიური სართვისაგან და ამით ეთნიკური იზოლაციის /დამოუკიდებელ ეთნოსად ჩამოყალიბების/ ნაცვლად კარგა ხანია განაპირობა ძირითადი კულტურულ-ისტორიული პარამეტრების მიხედვით წოვა-თუშების საბოლოო ფორმირება ქართველი ხალხის თვითმყობადი ეთნოგრაფიული ჯგუფის-თუშების ერთ-ერთ თემად /ჩაღმის, გომქურისა და პარიქთისს ანუ ფარისმის თუშებთან ერთად/. თავად კუთხური თვით სახელწოდება, „წოვა-თუშიც“ ხომ ნათქვამის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს“.<sup>5</sup>

ვახტანგ ითონიშვილი წოვა-თუშების შესახებ მსჯელობას შემდეგი დასკვნით ამთავრებს: „ამიტომ ქართველი ხალხის განუყოფელ კომპონენტად წოვა-თუშების მისწევის აუცილებლობაზე დღეს აღარ უნდა გეჭიხრებოდეს ღაპარაკი“.<sup>6</sup>

სამართლიანი მსჯელობა და კანონზომიერი შეგონებაა, აქ მეორე აზრი და სხვაგვარი პოზიცია, რა თქმა უნდა, აღარ უნდა არსებობდეს. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუშეთში სატომო სახელ „თუში“-ს გვერდით ახლად ჩამოყალიბებული კომპონენტების: „წოვა-თუშისა“ და „ჩაღმა-თუშის“

<sup>5</sup> იქვე, გვ. 28-29, ხაზი ჩვენი. ვ.ე.

<sup>6</sup> იქვე, გვ.29

გაჩენიდან დღემდის ყოველთვის არსებობს ინტერესი მათი ურთიერთმსგავსებისა და განსხვავებულობის გარკვევისა. თუშებთან დაკავშირებით ეს მოთხოვნილება იმდენად თავისებური და მრავალმხრივია, რომ გსურს თუ არ გსურს მას აუცილებლად უნდა შეეხო.

არ მოიძებნება არც ერთი მეცნიერ-მკვლევარი, უცხოელი თუ შინაური, ვინც კი თუშეთს შეხებია, არ გამოეჩინოს დაინტერესება, თუ რატომ ჰქვია თუშს წოვაც და ჩაღმაც? რა არის მსგავსება და განსხვავება მათ შორის და საიდან მომდინარეობს ტერმინები: წოვა-თუში და ჩაღმა-თუში? რატომ არიან წოვა-თუშები ორენოვანნი და ჩაღმა-თუშები ერთენოვანი? თუ წოვაც და ჩაღმაც იმთავითვე თუში ტომის შემადგენელი თემებია გომეწრისა და ფარსმა-პირიქითის თემებთან ერთად, მაშინ რატომ ვმიჯნაუთ მათ ერთიმეორისაგან და რას ნიშნავს ტოპონიმ-ეთნონიმები: წოვა-თუში და ჩაღმა-თუში? მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ მკვლევარი ამას ვისიმე საზიანოდ ან სასიკეთოდ აკეთებს. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას მკვლევარი, მით უმეტეს ისტორიკოსი, ითვალისწინებს მკითხველს, მის ინტერესებს და ცდილობს არ უღალატოს პროფესიას და მთელი სიზუსტით იხელმძღვანელოს II საუკუნის ბერძენი მოაზროვნის ფ. ენგელსისა და ა. გერცენის შეფასებით „კლასიკური ეპოქის ვოლტერის“, ლუკიანეს საქვეყნოდ განთქმული ნაშრომით – „როგორ უნდა იწერებოდეს ისტორია“, სადაც ვკითხულობთ: „მაშ, დაე, იყოს ისტორიკოსი უშიშარი, უანგარო, დამოუკიდებელი, თავისუფალი სიტყვისა და ქვეშარიტყუბის შეგობარი. უწოდოს ვარსკვლავს ვარსკვლავი, ხოლო ვარცლს ვარცლი. არ იხელმძღვანელოს ამბების გადმოცემისას ვისმესადმი მეგობრობით, ან მტრობით... იყოს მართალი მსაჯული, რომ არაყის არაყერი შიამყაროს, რაც არ ეკუთვნის და კეთილგანწყობილი ყველასადმი იმდენად, რომ არც არაყის არაყერი დააკლოს“.<sup>7</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა ა. შავხელიშვილმა ჩრდილო კავკასიიდან თუშეთში წოვების მოსულობა ეჭვმიუტანელ სინამდვილედ მიიჩნია. ხოლო 1977 წელს გამოცემულ შრომაში კი, რომელზეც მან სადოქტორო დისერტაცია დაიცვა, წოვა-თუშები „ოდიოვანი აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის ბინადრებად“ გამოაცხადა,<sup>8</sup> რა თქმა უნდა, ადრინდელი შეხედულებების უარყოფის გარეშე, იგი მას არც კი უხსენებია და არც მათს ორენოვნებას შეხებია. მკვლევარი, რა თქმა უნდა, მართალია როცა წოვა-თუშებს ოდიოვანვე ქართველებად და საქართველოს მკვიდრებად მიიჩნევს, მაგრამ საკითხისადმი ასეთმა დაუსაბუთებელმა მიდგომამ ყურადღება მიიპყრო და სპეციალურ რეცენზიაში აღინიშნა კიდევ: „თუ წოვები დაჩანჩქენი თუშე“

<sup>7</sup> გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. 1 მარტი, 1974.

<sup>8</sup> ა. შავხელიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, გვ. 19-55, 1977 №1, გვ. 197. 1978

ბის მსგავსად იმთავითვე ქართველი ხალხის 'შემაღვენლობაში' შედიოდნენ, როგორც ეს ავტორის მიახნია, - დასძენს ისტ. მეცნ. დოქტორი ჯ. სტეფენაძე, - რატომ აქვთ მათ ქართულისაგან განსხვავებული ენა?"<sup>9</sup>

წოვა-თუშების ორენოვნება და მათი წარმომავლობის შესახებ არსებული გაბუნდოვნებული ისტორია გახდა საფუძველი იმისათვის, რომ აკად. ი. დე-შერიევმა გაზ. „პრავდაში“ მიცემულ ინტერვიუში დევიზით - „ვიხილავთ ნაციონალურ საკითხს“, მრავალეროვანი სსრ კავშირიდან ერთ-ერთ თვალ-შემოსახვედრ თავისებურებად მიიჩნია წოვა-თუშების მაგალითი და სპეციალურად შეჩერდა აღნიშნულის თაობაზე. მეცნიერი ყვება, რომ „საქართველოში სოფელ ზემო-ალეკანში მე ყხვადებოდი ალექსანდრე თევდორეს ძე ცისკარიშვილს, წარმომოხმობთ იგი ბაცხია, მისი თანასოფლელების ფესვები ღრმად გადიან ჩეჩნებში და ინგუშებში. როდესაც მეცნიერებმა მათ შესთავაზეს დამწერლობის შექმნა ბაცხურ ენაზე უხუცესებმა უარი თქვეს, რატომ? „ჩვენ რიცხობრივად სამი ათასზე ნაკლები ვართ, - ამბობდა ა. ცისკარიშვილი, - მოსოვრებით ჩვენს არავის არ ესმის. ჯანსაღმა აზრმა, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების მომავალზე ზრუნვამ გვიკარნახა შექმდეფი არჩევიანი: დაე ისწავლონ მათ ქართულ ენაზე, სოლო სახლში, ოჯახში ჩვენ ვასწავლით მათ მშობლიურ ენას“. თვითონ ა. ცისკარიშვილი, როგორც ბეკრი მისი თანამემამულე, თავისუფლად ფლობდა სამ ენას: მშობლიურს, ქართულს და რუსულს“.<sup>10</sup>

მეცნიერი ყვება იმას, რაც ნახა და მოისმინა. ასე იქნება მომავალშიც და ვინ იცის რამდენჯერ აღმოვჩნდებით აშკარა ფაქტის წინაშე. მკვლევარი ტეშმარიტების მაძიებელია და სხვა მიზანი მას არ აქვს. სინამდვილეს ვერავინ გაექცევა და იგი ყოველთვის მიიქცევს სათანადო ყურადღებას.

თუშეთის მკვდარი, ენათმეცნიერი გ. ცოცანიძე თუშეთზე ახლახან გამოცემულ ფრიად საინტერესო ეთნოგრაფიულ ნარკვევს - „გიორგობიდან გიორგობამდე“ სწორედ თუშეთის განსახლების დახასიათებით იწყებს და შემდგომშილა გადადის დასახული ამოცანის გაშუქებაზე. მკვლევარი ითვალისწინებს მკითხველის ინტერესს თუშების ენობრივ-ეთნოგრაფიულ ზოგ თავისებურებათა შესახებ და იძლევა მის ლაკონურ და ამომწურავ განმარტებას: „თუშური მისახლეობა ამჟამად კვლავ ორ ჯგუფად განაყოფება წოვა-თუშებად და ჩადმა-თუშებად. ეს ორი ჯგუფი ეთნოგრაფიულად, ყოფითი და კულტურული ტრადიციების მხედვეთი თითქმის არ განსხვავდება ერთიმეორისაგან, სხვაობა მათ შორის ენობრივია: ჩადმა თუშები ერთენოვანი არიან და შეტყველებენ ქართულს ენის თუშურ დიალექტზე,

<sup>9</sup> ჯ. სტეფენაძე, ა. შავხელიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან. თუშეთი XVI-XIX ს-ის I ნახევარში. ჟურნ. „მაცნე“. №1. გვ. 197. 1978

<sup>10</sup> გაზ. „პრავდა“, 16 სექტემბერი. №259. 1989 /რუსულ ენაზე/.

რომელიც ლინგვისტურად ფშაურ, ხევსურულ და მონეურ-დასაღეპტებთან ერთად ქართულ კილოთა ე.წ. ფსოვეურ ჯგუფში ერთიანდება. წოვა-თუშები ორენოვნება. მათ სამინაო სალაპარაკო ენას მთის კავკასიურ ენათა ვინახური ჯგუფის წევრი წოვა თუშური, ანუ ბაცბური წარმოადგენს, ხოლო გარეთ ისინი ქართული ენის კახური დიალექტის მინამგვარ კილოზე მეტყველებენ, რომელიც ამ უკანასკნელისაგან მხოლოდ თუშური ტრადიციული ყოფისა და მკურნეობის დარგთათვის დამახასიათებელი ლექსიკითა და წოვა-თუშური ენისათვის ნიშანდობრივი ინტონაციით განსხვავდება.<sup>11</sup>

ჩემი დამოკიდებულებაც თუშეთის განსახლებისა თუ საერთოდ მისი ისტორიის შესწავლის დროს ყოველთვის გამოწვეული იყო ობიექტურობის დადგენის სურვილით და სხვა მიზანი მე არასდროს არ მქონია. ამ მოთხოვნით არის დაწერილი ყველა ჩემი გამოკვლევა და, მითუმეტეს, ზემოთ მოხსენიებული მონოგრაფია, საკვალიფიკაციო შრომა – „გვიანი შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის /თუშეთის/ ისტორიის საკვანძო საკითხები“ და ავტორეფერატი. ჩემს ბოლოდროინდელ, აქ ჩამოთვლილ შრომებში, განსხვავებით წინა ნაშრომებისაგან, წოვა-თუშები მივიჩნევი იმთავითვე ქართველი ხალხის განუყოფელ ნაწილად, რომლის შესახებაც საკვალიფიკაციო შრომაში და ავტორეფერატში ნათლად წარმოვადგინე ჩემი აზლებური დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი.

აღძრული საკითხისადმი ჩემი აზალი პოზიცია გაზეთებში: „განახლებული თუშეთი“<sup>12</sup> და „კომუნისტი“<sup>13</sup> ნაწილობრივ ჩამოვყალიბე კიდევ და მკითხველს მოვახსენე მის შესახებ. მაგრამ ვგრძნობდი რა საკითხის ფართო შესწავლის აუცილებლობას, მკითხველს მაშინვე შეეპირდი, რომ ხსენებულ თემას სხვა დროს სპეციალურ გამოკვლევას მიუძღვნიდი.

წინამდებარე გამოკვლევით ვასრულებ მკითხველისათვის მიცემულ პირობას, რომელიც, იმავ დროს არის ზემოთ მოხსენიებული „გადაწყვეტილებით“ ჩემდამი მიცემული დავალების პასუხიც.

XVII საუკუნემდე თუშეთის განსახლების თავისებურებათა შესახებ ვერაფერს ვამბობთ, რადგან არავითარი ცნობა არ გავგაჩნია. ვიცით მხოლოდ ის, რომ კახეთის აღნიშნულ მთიანეთს თუშეთი, ხოლო იქ მცხოვრებ ხალხს თუშები ეწოდებოდა. XVII საუკუნის 60-70-იან წლებიდან კი ცნობილი ხდება, რომ აქ, ამ მხარეში, მცხოვრებ ხალხს წოვა-თუშებად და ჩაღმა-თუშებად მოიხსენიებენ: „—ერთობით თუშებსათვის, წოვას და ჩაღმებსათვის“.<sup>14</sup>

<sup>11</sup> გ. ცოცანიძე, გიორგობიდან გიორგობამდე, 1990, გვ.4-5

<sup>12</sup> ვ. ელანიძე, „ბევრი ვიფიქრე ძალიან თუ რა პასუხი გამეტყა...“ გაზ. „განახლებული თუშეთი“ №2, 3, 6, 13 იანვარი, 1989წ.

<sup>13</sup> ვ. ელანიძე, წერილი რედაქციას. გაზ. „კომუნისტი“, 26 მარტი, 1989წ.

<sup>14</sup> ე. თაყაიშვილი, ორ ქვაზედ დაწერილი გუჯარი, გაზ. „ცნობის ფურცელი“. №1362, 1901 წ.; არჩილიანი, ტ. I აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1963, გვ. 205.

ჩვენთვის უცნობი მემატიანის აქ მოყვანილი გამოთქმა „ერთობით თუ-შებისათვის“ იმასაც უნდა ნიშნავდეს, რომ თუშეთში წოვებისა და თუშების ერთად ცხოვრებას იმდენად ხანგრძლივი ისტორია გააჩნია, რომ ისინი ერთიმეორისაგან თითქმის აღარ განსხვავდებიან და ორივენი თანაბრად და თანატოლად შეადგენენ თუშ ტომს და თუშეთის მკვიდრ მოსახლეობას, სადაც საუკუნეების მანძილზე ოთხ თემად და ამ მთავარ თემებს შორის გამოყოფილ პატარა საზოგადოებებად ცხოვრობდნენ.<sup>15</sup>

თუში ტომის ოთხ თემად ცხოვრებასაც, ალბათ, ხანგრძლივი ისტორია გააჩნია, რადგან წოყათა, გომქწარი, ჩაღმა და პირაქითი თუშეთის ის გეოგრაფიული ერთეულებია, სადაც მრავალი საუკუნის მანძილზე უცხოვრიათ თუშებს. თუშეთის ეს ცალკეული მიკრო-რაიონები დღესაც ამავე სახელებით მოიხსენიება. წოყათა, წოვების (წოვა-თუშების) საცხოვრისი იყო, ხოლო გომქწარი, ჩაღმა და პირაქითი კი თუშების სამოსახლოს წარმოადგენდა. თუშები ამ მამა-პაპეულ ადგილებში ამჟამადაც აგრძელებენ ცხოვრებას, მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნიდან ისინი ძირითადად კახეთის ბარში იწყებენ ჩამოსახლებას და ისტორიული ალვანის მინდორზე დამკვიდრდნენ.

თუშეთის ერთი თემის – წოყათის მცხოვრებთა ორენოვნება მკვლევართა შორის ქმნიდა იმის საფუძველს, რომ ეჭვქვეშ დაეყენებინა წოვა-თუშების ქართული წარმომავლობა. აღნიშნულ ტრადიციას, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ვერც ჩვენ ავცდით და ადრინდელ შრომებში წინამორბედთა მსგავსი დასკვნები გვაქვს ჩამოყალიბებული.<sup>16</sup> 1988 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში კი ძველი პოზიცია უარყვავი და წოვა-თუშები მივიჩნიე იმთავითვე ერთ-ერთ უძველეს ქართულ მოსახლეობად. საკითხისადმი ჩვენი ასეთი დამოკიდებულება კარგად იკითხება წიგნის 24-ე და 25-ე გვერდებზე, რის თაობაზეც ჩვენი შრომის შესახებ დაწერილ რეცენზიაში ისტორიკოსი ლ. ტუხაშვილი შენიშნავს, რომ „ვ. ელანაძემ არსებითად გადაშინჯა 1964 წელს გამოთქმული მისი აზრები“. ადრე იგი კატეგორიულად უარყოფდა წოვა-თუშების ქართულ წარმომავლობას, ამჟამად კი შემოგვითავაზა კომპრომისული პირობითა: მხარს უჭერს რა ივ. ჯავახიშვილის შეხედულებას იბერიულ-კავკასიურს ჩაღმათა საერთო წარმომავლობის შესახებ, ავტორი ასკვნის, რომ წოყები სხვა კავკასიელებთან შედარებით უფრო მეტად ავლენენ ნათესაობას ისტორიულ სამშობლოსთან-საქართველოსთან, რამაც განაპირობა კიდევ მათი შექმდგომი ბედი. ვ. ელანაძის ახალი „შერბილებული“ პირობითა, შესაძლოა, მაინც არ არის საკმარისი. მაგრამ

<sup>15</sup> გ. ცოცანიძე, გიორგობიდან გიორგობამდე, 1987, გვ.4

<sup>16</sup> ვ. ელანაძე, შენიშვნები თუშთა წარმოშობის ისტორიისათვის; ი გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. V, 1964, გვ. 53-63; ჩვენივე, თუშეთის სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ფეოდალიზმის ხანაში, საკანდ. დისერტაცია, ხელნაწერი, 1968, გვ.15-54.

შეურაცხყოფელს აღარ შეიცავს. აღარც წოვა თუშებს გამოთიშავს ქართული სამყაროდან და აღარც მათი თანამედროვე შთაშობავლობის ეთნიკურ ვინაობას ხდის საეჭვოდ.<sup>17</sup>

რეცენზენტი მართალია, როცა შენიშნავს, რომ აღნიშნულ საკითხზე ჩვენი მსჯელობა „არ არის საკმარისი“. ჩვენ ამ საკითხის ასხნა იქ არ მოგვიცია და მხოლოდ აღვნიშნეთ, რომ წოვა-თუშები ენით, კულტურით და რელიგიით ქართველები არიან და თუშეთის სახით დაბრუნდნენ ისტორიულ სამშობლოში და არა უცხო ქვეყანაში.<sup>18</sup>

წოვა-თუშების ისტორიული სამშობლო საქართველოა /ლეხურა-ქსნისა და არაგვ-იორის მიდამოები/, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი ასაბუთებს და არა ჩრდილო კავკასია საიდანაც ისინი თუშეთში მოსულებად მიაჩნიათ.

აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევა წოვთა ტომის შესახებ დღემდის არავის უარყვია და იგი გაზიარებული კია ყველა მკვლევარის მიერ,<sup>19</sup> მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ზოგიერთ მკვლევარს ჰგონია, რომ წოვები ძველად იმდენად ხალხმრავალი მოსახლეობა ყოფილა, რომ როცა ისინი ლეხურა-ქსნისა და არაგვ-იორის ხეობათა შორის მდებარე ფართობზე ცხოვრობდნენ, წოვთაც მათ მიერ ყოფილა დასახლებული. მათ ეს ვრცელი ტერიტორია რაღაც მიზეზების გამო დაუკარგავთ და დაკმაყოფილებულან „მტრისთვის მიუვალ ინდურთისა და მისი ახლომასლო მდებარე მიდამოების, ეგრეთწოდებულს, წოვათის გამაგრებით“.<sup>20</sup>

საკითხისადმი ხსენებულ დამოკიდებულებას და საკმაოდ ვრცელ ციტატას, რომელიც ვ. ლავაზიძეს ეკუთვნის,<sup>21</sup> ა. შავხელიშვილი აკ. შანიძეს მიაწერს და არასწორად უთითებს მის შრომას.<sup>22</sup>

ვ. ლავაზიძისა და ა. შავხელიშვილის მიერ საკითხისადმი ასეთი მიდგომა მიუღებელია ორი გარემოების გამო: პირველი იმიტომ, რომ წოვათა და ქართლ-კახეთის ბარში წოვებით დასახლებული ზემოთ მოხსენიებული ტერიტორია ერთიმეორისაგან იმდენადაა „დაშორებული წყალგამყოფი ბორ-

<sup>17</sup> ლ. ტუხაშვილი, თემობრივი კინკლაობის რეციდივები. გაზ. „თბილისი“, 10 თებერვალი, 1989 წ.

<sup>18</sup> ვ. ელანიძე, დასახლებული შრომა, გვ.25.

<sup>19</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, გვ. 364. 1975 /აკად. ნ. ბერძენიშვილი წოვა-თუშების წარმომავლობის საკითხს, ივ. ჯავახიშვილის მსგავსად, სპეციალურად არ შეხებია, მაგრამ როდესაც შენიშნავს, რომ „წოვა-წობნიდან“, ხოლო „თუში-თუშეთიდან“, რა თქმა უნდა, ეს ყოველივე იმას ნიშნავს, რომ მეცნიერი ამ ორ ეთნოგრაფიულ ჯგუფს მათ მიერ გამოვლილი გზით ერთიმეორისაგან ანსხვავებს და ლეხურა-იორის შუამოქცეულ მიწაწყალზე წოვების ცხოვრება სინამდვილედ მიაჩნია/; გ. ყორანაშვილი, „სრულ ერთობილნი თუშნი“, გაზ. „თბილისი“, №281, 9 დეკემბერი, 1988.

<sup>20</sup> ვ. ლავაზიძე, თუშეთის ისტორიიდან /XVII-XVIII სს./, /,მაცნე“ №4, გვ.75

<sup>21</sup> იქვე.

ა. შავხელიშვილი. თუშეთი, გვ. 11, 1987.



ბალოსა და საყორნის მთებით“.<sup>23</sup> რომ ყოვლად შეუძლებელია ასეთი ვარაუდის გაზიარებაც კი და მეორეც იმიტომ, რომ იგი ეწინააღმდეგება იმ მდიდარ მეცნიერულ მემკვიდრეობას და ინგუშურ – ქისტურ-წოვურ-თუშურ- ხევსურულ ხალხურ გადმოცემებს, რომელიც ამტკიცებს ჩეჩენ-ინგუშეთიდან თუშეთში წოვების გადმოსახლების უტყუარობას. აკი იმავე წერილში ვ. ლაგაზიძეც აღნიშნავს, რომ „შეიძლება გამართლებულად მივიჩნიოთ ქართლის ცხოვრების მქატიანის მითითება საურმაგ მყფის მიერ ჩრდილოეთ კავკასიიდან დურძუკთა ტომების საქართველოში გადმოყვანაზე და ამის შედეგად ვივარაუდოთ წოვა-თუშების ტომის ჩამოყალიბება „ანდა წოვა-თუშების მკერ ქისტურ-ქართული ენით ლაპარაკი „წოვა-თუშების/ბაცებების/ კავკასიონის ჩრდილო კალთებიდან სამხრეთ კალთებზე, ანუ საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსახლებაზე უნდა მიგვითითებდეს“.<sup>24</sup> ასევე მსჯელობს ა. შავხელიშვილი, რომელსაც ჩრდილო კავკასიიდან თუშეთში წოვების გადმოსახლება XIII საუკუნეში მომხდარ ფაქტად მიიჩნია.<sup>25</sup>

რადგან საქართველოში წოვების ცხოვრება სინამდვილედ არის აღიარებული და ისიც აღინიშნება, რომ ისინი თუშეთში ინგუშეთიდან /ღალღალღიღვეთიდან/ გადმოსახლდნენ, მაშინ ისმება კითხვა თუ როდის და რატომ დატოვეს წოვებმა საქართველო და რამ აიძულათ ისინი, რომ ჩრდილო კავკასიაში გახიზნულიყვნენ?

ამ ურთულესი საკითხის ასახსნელად არ არსებობს არც ოფიციალური რაიმე ცნობა და ხალხის მეხსიერებასაც აღნიშნულის თაობაზე არაფერი შემორჩენია. ჩვენც მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ რაღაც ძლიერ ძალას უნდა გაეხადა იძულებული წოვთა ტომი. რომ საქართველოდან შედარებით მწირი და ძნელად საცხოვრის ჩრდილო კავკასიაში გადასახლებულიყო.

XI საუკუნის ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ ლეონტი მროველმა შემოგვინახა მეტად საინტერესო ცნობა იმის თაობაზე, რომ გაქრისტიანებით შეწუხებულ ფხოველების გარკვეულ ნაწილს დაუტოვებიათ თავისი ქვეყანა და თუშეთში გადასულან. აღნიშნულის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ კითხულობთ, რომ: „ფხოველთა დაუტყვეს ქვეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთისა“.<sup>26</sup>

ფხოველების მეზობლად მცხოვრებ წარმართ წოვთა ტომზეც შესაძლებელია ისეთივე რეაქცია მოეხდინა ნამალადევად ქრისტიანობის გავრცელებას, როგორც ეს ისტორიული ფხოვის მოსახლეობამ გამოსცადა? რადგან დასტურდება, რომ ახ. წ. III-IV საუკუნეებში წოვები ჯერ კიდევ საქართველოში ცხოვრობდნენ, ავიღოთ შესაძლებელია ისინიც აღნიშნულმა

<sup>23</sup> ვ. ლაგაზიძე, იქვე.

<sup>24</sup> ვ. ლაგაზიძე, დასახ. შრომა, გვ. 74.

<sup>25</sup> ა. შავხელიშვილი, ჩეჩენ-ინგუშეთში და ქართველი ხალხის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 75, 1963 წ.

<sup>26</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1955 წ. გვ. 126

მოვლენამ აიბულა საქართველოდან ჩრდილო კავკასიაში გახიზნულიყვნენ, სადაც მაშინაც და მომდევნო საუკუნეებშიც წარმართობა ბატონობდა.

საკითხის ამაღევარად დაყენება ჩვენ მთლად უსაფუძვლოდ არ მიგვაჩნია, რადგან „მოქცევაი ქართლისაის“ მატრიანეში მოთხრობილია, რომ ქრისტიანობის გასავრცელებლად ნინო და „ერისთავი ერთი წარვიდა და დადგა წობენს /წობენი ხომ წოვების იმეპინდელ სამოსახლო ადგილადაა მიწნეული, ვე/ და მოუწოდა მთიულთა, წილკნელთა, ჭართალელთა და ფსოველთა და უქადაგა სარწმუნოებაი ქრისტიანისი... მათ განუყარეს თავი და ერისთავმან მცირედ წარმართა მახვილი და შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დაღეწად. და გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს დაბასა ედომს და ნათელს-სცა ერწუათიანელთა ხოლო ყუარელთა რაი ესმა ესე შეშინდეს და თოშეთს გადაკრბეს“<sup>27</sup>

ქართული ფეოდალური მონარქიის აყვავებისა და ძლიერების პერიოდში ჩრდილო კავკასიის ხალხები საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში, მის გავლენაში მოექცნენ. იმიერკავკასიელებმა სხვა ბევრ სიკეთესთან ერთად საქართველოდან ქრისტიანობა მიიღეს და ხარბად დაეწაფნენ მოწინავე ქართულ კულტურას. ეს პროცესი ამ მხარეში მანამ გაგრძელდა, სანამ საქართველო ძლიერი და ერთიან ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ ითვლებოდა. ხოლო როცა იგი სამეფო-სამთავროებად დაიშალა და ქვეყანა ყველა სფეროში დაქვეითების გზას დაადგა, იმიერკავკასიაში თანდათან ფეხს იკიდებს მაკ-მადიანობა, რომლის სუსხიც, როგორც ეტყობა, პირველმა წოვთა ტომმა იწვნია, როგორც ისტორიულად ქართულმა მოსახლეობამ და სასწრაფოდ დატოვა კიდევ ეს მხარე და კვლავ თავის თავდაპირველ სამშობლოს მოაკითხა. იგი ამჯერად თუშეთში, გომეწრის თემის მოსაზღვრედ, მის ჩრდილო-დასავლეთით დაუსახლებელ ტერიტორიაზე დამკვიდრდა, სადაც მან ე.წ. წოვთა თემი ჩამოაყალიბა.

თუშეთში წოვების დასახლების შემდგომ პირველმა ვახუშტი ბაგრატიონმა მოგვცა თუშეთის თემობრივი აღწერილობა, სადაც იგი წოვა-თუშების შესახებ ამბობს, რომ: „ხოლო რომელნი შინა არიან, მხარეთა ქისტთა და ღლიღვთა უწყიან უფრო ენანი მათნი“.<sup>28</sup> ვახუშტი ბაგრატიონი წოვა-თუშებს ქართველ თუშებად სთვლის და მათში სხვა ეთნოსს ვერ ხედავს „ოღონდ ფიქრობდა, რომ ქისტ-ღლიღვებთან მეზობლობის გამო, მათი ენაც ჰქონდათ შეთვისებული და ნარეკს ენას ლაპარაკობდნენ“.<sup>29</sup>

<sup>27</sup> ე. თაყაიშვილი, აღწერილობა, II, გვ. 716-717; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, გვ. 372, 1979 წ.

<sup>28</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 104

<sup>29</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, 1950, გვ. 4

ვახუშტი ბაგრატიონის მიერ თუშეთის ეთნიკურ-ენობრივ ანალიზს ივ. ჯავახიშვილი სხვაგანაც ეხება და შენიშნავს, რომ: „ამგვირად თუშურს საზოგადოდ ვახუშტი ქართულ ენადა სთვლიდა და მხოლოდ ერთ ხეობაში ატყობდა იგი ენაში არსებობის განსხვავებას, რომლის მიზეზად მას უცხო მკვებელთა ენებთან აღრევა მიაჩნდა. როგორც ჩანს, მათს ენას იმდენად შეუცვლია თავისი გარეგანი ელფერი და თვით სიტყვათა საუნჯეც, რომ ვახუშტი მათს ენას „შერეულ ენა“-დ სთვლიდა“.<sup>30</sup>

ვახუშტი ბაგრატიონი თითქმის წოვა-თუშებს მსგავს დახასიათებას აძლევს პირიქითის თემის ქისტეთის მოსაზრვრე ე.წ. „ფარსმანის ხევის“ თუშებსაც, რომლებიც ვახუშტის, რა თქმა უნდა, ქართველ თუშებდ მიაჩნია, მას მათს ქართველობაში ეჭვიც არ ეპარება, მაგრამ არც იმას მალავს და მთელი სიზუსტით ახასიათებს, რომ „ფარსმანის ხევისანი სარწმუნოებითა და ენით შერეულნი არიან, ვითარცა ქისტნი“.<sup>31</sup>

წოვა-თუშებისა და „ფარსმანის ხევის“ თუშებისაგან განსხვავებით თუშეთის დანარჩენი ორი თემის ჩაღმისა და გომეწრის თუშებზე კი ვახუშტი აღნიშნავს, რომ ესენი არიან „სარწმუნოებითა და ენითა ქართულითა“.

თუშეთის თემობრივი დახასიათების გვერდით დიდი მეცნიერი თუშეთის საერთო სურათსაც წარმოადგენს და იქ ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს ამ მხარის ოთხივე თემის ენობრივ-სარწმუნოებრივ ერთიანობას: „ხოლო სარწმუნოებითა და ენითა არიან ქართულითა. აჲ მწყისი ალაყერდელი, მიმტაცე ხარჭანიშისა, არს ეკლესია მცარე. აღშენებული ძუკელითვე, და უვისთ ხუცეისა, არამედ უშეტეს უცნობელნი ჭეშმარიტებისანი, რამეთუ აქუსთ კლდე დიდი და მაღალი, და დღესა ილთა წინასწარ-მეტყუელისასა შივლენ და შესწირაკენ მას კლდესა ცხოვარსა და ძროხასა, და თაყუანისცემენ კლდესა შას, და რა იგი ესმის კლდისა მსიგან, რწამთ უშეტეს ყოკლისა იგი“.<sup>32</sup>

თუშეთის ოთხივე თემის ვახუშტისეული დახასიათება იმდენად ობიექტური და სრულყოფილია, რომ ყოვლად დაუჯერებელია მეცნიერს სხვათა მონათხრობით დაეწეროს ეს ყოველივე. ადგილზე მისვლის გარეშე მეცნიერი თუშეთის ოთხივე თემის ასეთ ზუსტ სურათს ვერ წარმოგვიდგენდა.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ვახუშტი ბაგრატიონის სახით საქმე გვაქვს პირველ ქართველ ისტორიკოს-მეცნიერთან. რომელიც თავისი წინაპრებისაგან განსხვავებით საქართველოს ისტორიას კრიტიკულად სწავლობს და მის მეცნიერულ მემკვიდრეობაში თითქმის ყველა ფაქტი და მოვლენა კრიტიკის ქურამია გატარებული, თუშეთის თვითეული თემის ვა-

<sup>30</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. ტ. VIII, გვ. 335. 1977

ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941. იქვე.

ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 554-555, 1973, ხაზი ჩენია. კ.ე.

ხუმტისეული აღწერა-დახასიათება ჩვენთვის სახელმძღვანელო და აუცილებლად გასათვალისწინებელი უნდა იყოს.

ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგ, კერძოდ XVIII-ის 70-იანი წლების დასაწყისში, თუშეთის მოსახლეობის ეთნიკურ დახასიათებას გვაძლევს რუსეთის საიმპერიო აკადემიის აკადემიკოსი ი. გიულდენშტედტი, რომელმაც 1772 წლის მარტის თვეში თვითონ შემოიარა ალვან-ბახტრიონის ტერიტორია. იგი სხვების მიერ მოწვევლილი ცნობების საფუძველზე აღწერს თუშეთს და არსად არ ამბობს დაბეჯითებით, რომ წოვა-თუშები არსებითად განსხვავდებიან დანარჩენი თუშებისაგან და სრულიად სხვა წარმოშობისანი არიანო. იგი ვახუშტის მსგავსად ხედავს, რომ წოვა-თუშები „ლაპარაკობენ ქართულ-ნარეკ ქისტურად“, რის გამოც მას დასაშვებად მიაჩნია განაცხადოს, რომ წოვათის „მცხოვრებლები, შესაძლებელია, უფრო მეტად, ვიდრე სსიკავან, ქისტური შთამომავლობისა იყვნენ“-ო.<sup>33</sup>

გიულდენშტედტის კონსულტანტებს რომ სცოდნოდათ წოვა-თუშების არაქართველობის თაობაზე, რა თქმა უნდა, მეცნიერს ეტყოდნენ და ისიც იმასვე გაიმორებდა. მაგრამ, როგორც ეტყობა, იმდროინდელ ქართველობას, ვისაც ასეთ საკითხებზე ხელი მიუწვდებოდათ, კარგად ესმოდათ წოვა-თუშების ქართველობის ისტორია, რის გამოც მეცნიერმაც მხოლოდ წოვა-თუშების „ქართულ-ნარეკ ქისტურად“ ლაპარაკის გამო გამოთქვა მოსაზრება მათი „ქისტური შთამომავლობის“ შესახებ.

გიულდენშტედტის ცოდნა თუშეთის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ დასრულებულის სახითაც გვხვდება, სადაც მეცნიერი თემობრივ განსხვავებულობას ხაზს აღარ უსვამს, იგი იქ მცხოვრებთ ყველას თუშს უწოდებს და თუშეთის ქართულ მოსახლეობაში ქისტების შერევას საერთო მოვლენად წარმოგივდგენს: „ქართული მხარე თუშეთი, ანუ თუში ხალხი, რომელიც კახეთს მიეკუთვნება და რომელიც მდებარეობს ალაზნის სათავეებთან, შედგება ქართველებისაგან, რომლებიც ქისტებთან არიან შერეული“.<sup>34</sup>

როგორც ზემოთაც ითქვა ვახუშტი ბაგრატიონმა პირველმა აღნიშნა, რომ „ფარსმანის ხევის“ თუშები „სარწმუნოებითა და ენით შერეულნი არიან, ყითარცა ქისტნი“-ო. მაგრამ მას ეჭვი არ შეუტანია „ფარსმანის ხევის“ თუშების ქართველობაში. მომდევნო წლებში კი ამ მხარის თუშების მიერ ქართულ ენასთან ერთად ქისტური ენის ცოდნა, რომელსაც მეზობლებთან ურთიერთობისათვის იყენებდნენ, გახდა საფუძველი იმისათვის, რომ ზოგიერთ მკვლევარ-მეცნიერს დაბეჯითებით ეთქვა პირიქითის თემის თუშების ქისტური წარმოშობის შესახებ. ე.გ. ვაიდენბაუმი პირდაპირ შენიშნავს, რომ პირიქითის თუშები ენითაც და თავისი წარმოშობითაც ქისტების მოდგმისანი არიან და ლაპარაკითაც მათს ენაზე ლაპარაკობენო. იგი წერს:

<sup>33</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გვ. 263, 1962.

<sup>34</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II. გვ. 175. 1964

„წოყები და პირიქითელები ქისტური წარმოშობისანი არიან და განეკუთვნებიან დალდის საზოგადოებას. მათი ენა ქისტურია, რომელიც არ განსხვავდება ჩეჩნურისაგან“.<sup>35</sup> ი. ბარტლომეი კი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ჩრდილო კავკასიიდან გადმოსულან როგორც წოვათის, ისე პირიქითის თემის მცხოვრებლები.<sup>36</sup>

ასეთი აშკარა აღიარება პირიქითის თემის თუშების ქისტეთიდან გადმოსახლების შესახებ XIX საუკუნისა და ნაწილობრივ XX საუკუნის პირველი მეოთხედის ჟურნალ-გაზეთებსა და სხვა სამეცნიერო ლიტერატურაშიც მრავლად მოიძებნება.<sup>37</sup>

ივ. ცისკარიშვილსაც პირიქითის თუშები წოვა-თუშების მსგავსად ქისტური წარმოშობის დალდას საზოგადოების კუთვნილებად მიაჩნია. მკვლევარი ჩამოთვლის თუშეთის ოთხივე თემს: წოვათას, გომეწარს, ჩაღმას, პირიქითს და აღნიშნავს, რომ: „წოვათისა და პირიქითელი თუშები ქისტური წარმოშობისანი არიან და დალდის საზოგადოებას განეკუთვნებიან. მათი ენა ქისტურია, რომელიც არისებითად არ განსხვავდება ჩეჩნურისაგან“.<sup>38</sup>

ივ. ცისკარიშვილი ჩვენ ზემოთაც დავიმოწმეთ, რომელსაც გადმოცემებისა თუ ზოგიერთი სხვა მონაცემების გამო წოვა-თუშების წინაპრები ჩეჩენ-გუშეთის მკვიდრებად მიაჩნდა. მაგრამ როცა მკვლევარი პირიქითის თუშებზე ანალოგიურად მსჯელობს, ეჭვქვეშ დგება წოვების შესახებ მისი თვალსაზრისი და ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით, რომ წოვა-თუშების ორენოვნება არის მიზეზი, როცა მათ არაქართულ წარმომავლობას მიაწერენ.

წერილობითი მონაცემებითაც მტკიცდება და XX საუკუნის 20-იან წლებამდე. სანამ ფარსმის საზოგადოების მკვიდრნი მუდმივად თუშეთში ცხოვრობდნენ,<sup>39</sup> ისინი ქისტურ ენას ქართულზე ნაკლებად არ ფლობდნენ – თურმე. ფარსმის თემის თუშები ორენოვნებად ითვლებოდნენ. დ. ალბანელი კი იმისათვის, რომ წოვეური ენა წოვა-თუშებისათვის მშობლიურ ენად გამოაცხადოს და არა „დედინაცვლის“ ანდა „შემოპარულ“ ენად, როგორც ეს

<sup>35</sup> აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ივ. ვაიდენბაუმის არქივი, №45, განყ. II, ფურ. 16 /რუსულ ენაზე/.

<sup>36</sup> გაზ. „კავკაზი“, №70, 1855 /რუსულ ენაზე/.

<sup>37</sup> რ. ბაშაშვილი-ცამციცი, მგზავრის შენიშვნები. „დროება“, №224, 1880 წ.; „ივერია“, №224, 1887 და სხვა.

<sup>38</sup> გაზ. „კავკაზი“, №7, 1849 /რუსულ ენაზე/.

<sup>39</sup> ფარსმის საზოგადოება ეწოდებოდა პირიქითის თემის იმ ნაწილს, რომელიც ქისტეთის საზღვარზე მდებარეობდა მასში შემავალი სოფლებით: ჭონთიო, გირევი, ფარსმა, ჰელო, ბასო, ნაქედურთა, დაქიურთა; პირიქითის თემის დანარჩენი სოფლებით: ჭემო, დანო, კვაელო, დართლო და ჩილა ქისტეთიდან მოშორებით მდებარეობდა, რის გამოც იქ მცხოვრები თუშები ქისტურ ენას არ ფლობდნენ. ისინი ამ თავისებურებით მიკეთრად განსხვავდებოდნენ ფარსმის საზოგადოების თუშებისაგან.

გრ. ფშინაშვილს მიანიხა,<sup>40</sup> იგი გაცხარებული ეკამათება გრ. ფშავლიშვილ-ფშინაშვილს და შენიშნავს: „...უნდა ითქვას, რომ წოვა-თუშებსა და ქისტებს შორის განუსყვეტელი ბრძოლა ყოფილა და არასოდეს შეგობრულად არ უცხოვრიათ. მაშ, როგორ „შეშოებარათ“ წოვებს ქისტური ენა? რატომ პირიქითის თუშებს არ „შეშოებარათ“?... წოვა-თუშები უფრო დაპირებით ცხოვრობენ ქისტებზე, ვინემ პირიქითის თუშები და ხეყხურები“.<sup>41</sup>

პირიქითის თემის თუშები, რომ ქართველები იყვნენ თუშეთის დანარჩენი თემების თუშებთან ერთად ღრმად სწამდა ვახუშტი ბაგრატიონსაც და მის მოძღვენო მრავალ მეცნიერსაც. მაგრამ მათი ორენოვნება ზოგიერთ მკვლევარ-მეცნიერს აკეთებინებდა მცდარ დასკვნებს პირიქითის თემის თუშების წარმომავლობის შესახებ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგივე მიზეზი არის საფუძველი იმ ისტორიისა, რომელიც ამტკიცებს, რომ წოვა-თუშები ქართველები არ არიან და ჩეჩენ-ინგუშურ ეთნოსს განეკუთვნებიანო.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ისტორიულად მრავალი ერისა და ეროვნების ხალხი ცხოვრობდა და ცხოვრობს. ყველა მათგანი ეთაყვანება იმას, რაც ადამიანისათვის უპირველესი სალოცავი და საფიცარია. ეს არის ენა და ეროვნება. წოვა-თუშებში ეს გრძნობა იმდენადაა მომადლებული, რომ ისინი სამართლიანად განიცდიან, როდესაც მათს წარმომავლობას უსწოროდ ეხება ვინმე. ისინი ქართველობენ და მათ არაერთხელ დაუმტკიცებიათ კიდევ სამშობლოსათვის ერთგულება.

ახმეტის რაიონში, წოვა-თუშების მუზობლად, ისტორიული პანკისის ხეობაში XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან ცხოვრობენ ქისტები. წოვა-თუშების მსგავსად ისინიც ორენოვნები არიან. მაგრამ მათ შორის ის განსხვავებაა, რომ ქისტები არ უარყოფენ თავიანთ ქისტობას, მათ მჭიდრო კავშირი აქვთ ჩეჩენ-ინგუშეთთან და იმასაც კი მიღწიეს, რომ პასპორტში ეროვნება ქისტი უწერიათ. ეს საამაყო და მისაბაძი გრძნობაა, რომელსაც ყველა ერისა და ეროვნების ადამიანი მტკიცედ უნდა იცავდეს. წოვა-თუშების საწინააღმდეგო მოქმედება კი, ჩვენი აზრით, გულისხმიერ დაფიქრებას მოითხოვს და უფრო მეტ ჩაღრმავებას გვავალებს. აღძრული საკითხის მიმართ სიფრთხილე და მეტი საზრიანობა იმიტომაც გემართებს, რომ წოვა-თუშების სახით საქმე გვაქვს თუშეთის იმ ქართულ მოსახლეობასთან, რომელნიც თუშეთის დანარჩენი თემების თუშებთან ერთად თავდადებულად იბრძოდნენ როგორც თუშეთისათვის, ისე ბარის ქართველობის დაცვისათვის. და განა შეიძლება ასეთი ამადლებული ეროვნული გრძნობები და მისაბაძი პატრიოტიზმი ჩამოშკყალიბებოდა წოვა-თუშებს საქართველოსა

<sup>40</sup> გრ. ფშავლიშვილი, სოფელი ალვანი „ივერია“, №36, 1896

<sup>41</sup> დ. ალბანელი /ქადაგიძე/, „ივერიის“ მეტიჩრობა“, ხელნაწ. იხ. თელავის სახელმწ. ისტ. ეთნოგრაფიული მუზეუმი. შემოსულობის წიგნი, №3. საბ. 6352.

და ქართველობისადმი თუ კი ისინი ოდითვანვე ქართველები არ იყვნენ? მსგავსი მაგალითი ჩვენს ერის ისტორიაში არ მოიძებნება.

წოვა-თუმები როგორც ცნობილია ორენოვანი ხალხია. ისინი ფლობენ როგორც წოვურ ენას, რომელსაც ზოგჯერ ბატურ ენასაც უწოდებენ, ისე ქართულ ენას. წოვა-თუმური ენა მათთვის საოჯახო ენაა, ხოლო ქართულ ენაზე იზრდებიან, სწავლობენ და მოღვაწეობენ. ქართული ენა წოვა-თუმებისათვის ისეთივე სისხლხორცული ენაა, როგორც დანარჩენი ქართველობისათვის. ორენოვნება ჩვენ წოვა-თუმების ისტორიის კანონზომიერ შედეგად მიგვაჩნია და მათივე ისტორიის გასაღებიც აქვე უნდა მოიძებნოს: წოვური /წოვა თუმური/ ენა წოვა-თუმების მიერ ჩრდილო კავკასიაში ხანგრძლივად ცხოვრების დროს შექმნილ ენად მიგვაჩნია. ხოლო ქართული ენა მათთვის ყოველთვის მშობლიური ენა იქნებოდა და დღესაც ეს ენა ამ ფუნქციას ასრულებს.

ყოვლად შეუძლებელია წოვების გაქართველება ისე სწრაფად მომხდარიყო თუ კი ისინი იმთავითვე ქართველები არ იყვნენ, რომ ვახუშტი ბაგრატიონს მათს არაქართველობაში ეჭვიც კი არ შეაქვს და მხოლოდ იმას შენიშნავს, რომ ქისტებისა და ლილივების მეზობლად ცხოვრების გამო „უწყაან უფრო ენანი მათნი“-ო.

ვინც იცნობს წოვათის მდებარეობას, რომელიც მართალია, ტერიტორიულად თუშეთს განეკუთვნება, მაგრამ ფაქტობრივად მისგან მოწყვეტილია და თითქმის, სრულიად სხვა სამყაროა დაგვეთანხმება, რომ წოვათაში დასახლებული წოვები თუშეთის გავლენით ისე ვერ გაქართველდებოდნენ, რომ XVII ს-ის ბოლოსათვის თუ XVIII ს-ის პირველ მეოთხედში, როგორც ეს ვახუშტისთან არის. ისინი უკვე ეჭვიმუტანელ ქართველებად გარდაქმნილიყვნენ. რადგან თუშეთის სინამდვილეში ასეთი შედეგის მიღება ყოვლად შეუძლებელი იყო. ამიტომ უნდა აღინიშნოს, რომ წოვების სახით ჩვენ საქმე გვაქვს ქართველი ხალხის ერთ-ერთ უძველეს სისხლხორცულ ნაწილთან, რომელმაც დაუბრუნდა რა თავის ისტორიულ სამშობლოს, ძალიან ძალე აღიდგინა დაკარგვის პირამდე მისული ქართველობა და იმთავითვე რაღაც განსაკვიფრებელი სიყვარულით და სიმტკიცით დაედა ქართულ ნიადაგზე.

ჩვენ დაბეჯითებით იმასაც აღვნიშნავთ. რომ თუშეთში წოვები ქართულს ვერ ისწავლიდნენ. მათ თუშებთან იშვიათად ჰქონდა შეხება და ისიც ერთეულ პიროვნებებს და არა მთელ მოსახლეობას. რომ წოვებს თუშებისაგან არა აქვთ ქართული ნასწავლი იქიდან მტკიცდება, რომ მათი ქართული შორს დგას თუმურ კილოსთან. მათ შორის რაიმე ანგარიშგასწავნი ენობრივი მსგავსება არ მოიძებნება. „ნახურის ჯგუფისა“ „თუმურ ენისა“ /წოვა-თუმურ ენაზეა ლაპარაკი, ვ.ე/ და ქართული ენის თუმურ კილოს, - აღნიშნავს პრთფ. თ. უთურგაიძე, - არაფერი აქვთ საერთო, ვარდა ნასესხობებისა, რომელთაც ორივეგან ყჩქდებთ ძრითადად ლექსიკაში“.<sup>42</sup>

<sup>42</sup> თ. უთურგაიძე. დიდი მასშტაბის გაუგებრობა. ხელნაწერი, იხილეთ. თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. ფონდი №980. გვ. 4.

სამაგიეროდ წოვა-თუშების ქართული ენა ახლო დგას ქართული ენის კახურ დიალექტთან, რაც მრავალგზის არის აღნიშნული ენათმეცნიერების მიერ. „გარეთ ისინი /წოვა-თუშები ვე/ ქართული ენის კახური დიალექტის მინაგვარ კილოზე შეტყვევდებიან, რომელიც ამ უკანასკნელისაგან მხოლოდ თუშური ტრადიციული ყოფისა და შეურნეობის დარუთათვის დამახასიათებელი ლექსიკათა და წოვა-თუშური ენისათვის ნიშანდობლივი ინტონაციით განსხვავდება“.<sup>43</sup>

პროფ. თ. უთურგაიძე ეხება რა თუშური და საერთოდ მთის კილოებისათვის დამახასიათებელი „ძველი ქართულის სპეციფიკურ ფორმებს“, აღნიშნავს: – „ის ფაქტია, რომ ვერ ვხედავთ ამ ფორმებს წოვა-თუშთა ქართულ შეტყვევებაში, მიუთითებს იმაზე, რომ წოვა-თუშებმა ქართული თუშურ-ხევსურულ-ფშაურ გარემოში კი არ ისწავლეს, არამედ – ბარად, კახეთში, სადაც ზოგი ფორმა უკვე გადაყარდნის იყო, ზოგიც გადაყარდნის გზაზე იდგა XVIII საუკუნის ბოლოს“.<sup>44</sup>

ნოვების საცხოვრებლად ჩამოსახლება ვახეთის ბახში იწყება XIX ს-ის პირველ მეოთხედში, მანამდე ისინი თუშეთში ცხოვრობდნენ. ვახუშტი ბაგჩათონმა კი მათზე დაუვიხვება 1724 წლამდე მოახდინა და მისი აღნიშნით ნოვები ქისტუხნახევი ქახთელით დაჰახაჯობენ და მათს ქახთველობაში ვახუშტის ეჭვი ახ შეუტანია. ნოვების ვინაობისა და მათი ენის შესახებ მსგავსი დახასიათება და ცნობები აქვს აჯად. გიულენშტედსაც, ხომელიც საქართველოში იმყოფებოდა XVIII საუკუნის 70-იან წლებში.

როგორც აღინიშნა – წოვებს ქართული თუშებისაგან არ უსწავლიათ, რადგან თუშეთის განსახლების პირობები ამას საშუალებას არ იძლეოდა, კახეთის ბარში კი ისინი მუდმივ საცხოვრებლად XIX საუკუნის პირველ შოთხედში და მომდევნო წლებში ჩამოსდნან, სადაც მათ ვითომდა კახელებთან მუდმივ ახლო ურთიერთობის წყალობით უნდა ესწავლიათ ქართული, ვახუშტისა და გიულენშტედტის მსხედეთ კი წოვები XVIII ს-ის 20-იან და 70-იან წლებში თუშეთშივე ქისტურნარევი ქართულით ლაპარაკობენ და თუშეთის სხვა თუშების მოსახლეობის მსგავსად ქართველებად ხასიათდებიან. აი მკითხველო, ეს ყოველივე სკენ გეპაძეკის იმის უფლებას, რა თქმა უნდა, სხვა საგულისხმო ფაქტორებთან ერთად, რომ წოვები წოვთა ტომი დაუქვევებლად მიყვანილით ერთ-ერთ უძველეს ქართულ ტომად, ქართულ ეთნიკურ ჯგუფად და ქართველი ერის განუყოფელ სისხლხორცულ ნაწილად. სხვაგვარ ახსნას შე ვერ ვხედავ და მის ჭკამარიტებაში ეჭვი არც შეიპარება.

<sup>43</sup> გ. ცოკანიძე, გიორგობიდან გიორგობამდე, 1990, გვ. 5.

<sup>44</sup> თ. უთურგაიძე, დასახელებული შრომა, გვ. 14.



როდესაც წოვა-თუშების იმთავითვე ქართულ წარმომავლობაზე ვმსჯელობთ, ის ისტორიული სინამდვილეც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ წოვა-თუშებს უფრო ხშირად ესხმოდნენ თავს და მათ შედარებით მეტად მტრობდნენ ჩეჩენ-ინგუშეთიდან და ქისტეთიდან გადმოსული მძარცველთა რაზმები, ვიდრე თუშეთის ამა თუ იმ თემს. თუშურ ხალხურ პოეზიაში ასახული მრავალი ეპიზოდი და თვით წოვათის ციხე-სიმაგრეების სიუხვე წოვა-თუშებსა და მეზობელი იმიერკავკასიელების გამუდმებული ბრძოლების უტყუარი დადასტურებაა.

წოვების მიერ ქრისტიანობისადმი დიდ პატივისცემაზე მეტყველებს ერთი ფრიად საინტერესო ამბავიც, რომელიც 1978 წელს ახმეტის რაიონის სოფ. ზემო ალვანში ჩავეიწერე, 1900 წელს დაბადებული ანდრო დავითის ძე ღუზარაულისაგან. „10 წლია ვიყავი, – გვიყვება საინტერესოდ მოსაუბრე ანდრო ღუზარაული, – როცა ეს ამბავი მოხდა: სოფ. ზემო ალვანის საიქების ეკლესიაში თუშებს წოკები ქეიფის უფლებას არ აძლევდნენ, თუშები ეკლესიაში შედიოდნენ, სანთლებს აანთებდნენ და ეკლესიის ბოლოში პურმარილობდნენ. ეკლესიის შიგნით კი წოკები ქეიფობდნენ. ეკლესია შექმნილი იყო ეკლესიის მაკთულ-ხლართით. უცბად სოფ. ქვემო ალვანის მხრიდან წმინდა შეიარაღებული ცხენოსანი თუში მოეარდა, ხმლებით დაჭრეს ღობის მაკთულხლართი, დაგლიჯეს ღობის ბოძები, დაეკრძალა წოკებს ხმლებითა და მათრახებით და სულ დაფანტეს და განდევნეს აქიდან. წოკებიდან თუშებს მიეძმრო თურქიშვილი ანდრო, რომელმაც თავისიანებს მიმართა ხმაშაღლა – ჩვენ ვტყუვივართ, ესენი მართლებათ. შექმდგომში ეს ნაბეგვი წოკები გაიქნენ თიანეთში და ჩამოიყვანეს მთმარიგებელი მოსამართლე ცისკარიშვილი, თუშებმა იმასაც რამდენიმე მათრახი ურტყეს და გააქციეს. შექმდგომში წოკებმა დაყარეს ფარხშალი და ემონილიებოდნენ თუშებს. ამ თუშთა რაზმის მეთაური იყო კახიასყ აკობი“.<sup>45</sup>

აქ მოთხრობილი ამბავი ბნელეთით მოცული შორეული ისტორიის ჭეშმარიტი სარკეა, რომელშიც შესანიშნავად ფიქსირდება წოვების ოდითგანვე ქართველობა თუ ჩეჩენურ-ინგუშურ-ქისტური წარმომავლობა.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოებაც, რომ თუშეთში ცხოვრებისა თუ კახეთის ბარში ჩამოსახლების შემდგომ პერიოდში ქრისტიანული სარწმუნოებისა და მთის ჯვარ-ხატები-სადმი დამოკიდებულებაში წოვა-თუშები არაფრით არ განსხვავდებოდნენ და-

<sup>45</sup> კახიძე იაკობი /თუშები მას თურმე უმეტესწილად თარქიონს ეძახდნენ. დიდი პაიის თარქიონის მოსახელე ყოფილა. დიდი თარქიონი იყო თუშეთის მკვიდრი. სოფელ ნიგლაურთიდან, რომელიც რუსული საარქივო მასალით რამდენჯერმეა დადასტურებული, როგორც თუშეთის ელჩი რუსეთის სამეფო კარზე XVIII-ის 60-70-იან წლებში.

ნარჩენი თუშებისაგან. წოვათის ტერიტორიაზე წოვა-თუშებს ჰქონდათ რამდენიმე ხატი: ეთელთისა და ფიწალოს წმინდა გიორგის ხატი, სპეროზის წმინდა გიორგი, სამების წმინდა გიორგი და სხვა, ამ ხატებს შორის ყველაზე მთავარი ყოფილა სამების წმინდა გიორგი, რომელიც თავისი სიძლიერით უტოლდებოდა თუშეთის ლაშარისა და ხითანის წმინდა გიორგის ხატს.<sup>46</sup> „სადამრთო რიტუალის წოვებში ოგივე ხელოსნები და ნათყეები ასრულებენ ჩვეულებრივი თუშური წესებით. ხელოსანი მხვეწარის ქართულად ამწყალობებს, ზოგჯერ ის წოვურადაც დაილოცება“.<sup>47</sup>

წოვა-თუშების მიერ ქრისტიანული სარწმუნოებისადმი თავდადება, ერთგულება და ჭეშმარიტი ლოცვა-კურთხევა კახეთის ბარში – ალვანის ისტორიულ ველზე დასახლების შემდგომაც ფართო მასშტაბით გაგრძელდა, რასაც დღესაც ნათლად ადასტურებენ XIX-ის დასაწყისიდან აქ, სოფ. ზემო ალვანის ჩრდილოეთით თუ სამხრეთით, ამენებული სასოფლო თუ სათემო-საგვარეულო ეკლესიები.

სოფ. ზემო ალვანის სამხრეთით, მდინარე ალაზნის მარცხენა სანაპიროზე დღესაც ამაყად და ლამაზად გამოიყურება ქეთიკირით ნაგები, საკმაოდ მოზრდილი წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომლის შემოგარენი ტერიტორია ორივე თუშთა: წოვა-თუშებისა და თუშების სასაფლაოს წარმოადგენს. ეს ეკლესია დღეს მოქმედია და ყველა თუში თანაბრად ლოცულობს მას.

სოფ. ზემო ალვანის ჩრდილოეთით დღესაც დგას და შორიდანვე მოსჩანს წმინდა გიორგის სახელდებული ეკლესია, რომელიც ცისკარიშვილების საგვარეულო ეკლესიად ითვლება.

ცისკარიშვილების საგვარეულო ეკლესიის წმინდა გიორგის სამხრეთ-დასავლეთით დგას ღეთისმშობლის ეკლესია, რომელიც ეკუთვნოდათ დინგაშვილებს, ბუქურაულებს, პაპაშვილებს, მათ სანათესაოს და დაკრძალვითაც ამ გვარებიდან გარდაცვლილნი აქ იკრძალებოდნენ.

აი, კიდევ ერთი ყოვლად ყურადსაღები და მრავალმხრივ გასათვალისწინებელი ჭეშმარიტი რეალობა წოვა-თუშების ოდითგანვე ქართველობის განსაცხადებლად, რადგან წოვა-თუშების მიერ ქრისტიანობისადმი ასეთ თავდადებას სხვაგვარი შეფასება არ მოეძებნება. აღნიშნული ვითარება, რა თქმა უნდა, სხვა ფაქტორებთან ერთად, ჩვენ ყოვლად საკმარისად მიგვაჩნია წოვა-თუშების ვინაობის წარმომავლობის ურთულესი საკითხის გასარკვევად.

საქართველოში მცხოვრები ქისტები კი წოვა-თუშების საპირისპიროდ სრულიად სხვაგვარ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ ქრისტიანობის მიმართ. ცნობილია, რომ პანკისის ისტორიულ ხეობაში დასახლებული ქისტები მასობრივად გააქრისტიანეს და ეკლესიებიც კი აუშენეს. მაგრამ მათ სულ მალე უარპყვეს ქრისტიანობა და კვლავ მამამდიანურ სარწმუნოებას დაუბ-

<sup>46</sup> ს. მაკალათია. თუშეთი. 1983. გვ. 203.

<sup>47</sup> იქვე. გვ. 222.

რუნდნენ და ღღესაც ისლამს აღიარებენ. ისმება კითხვა, თუ ქისტები და წოვეები ორივე ჩეჩნურ-ინგუშური ხალხია, მაშინ რით უნდა ავხსნათ მათი ასეთი მკვეთრი განმასხვავებელი დამოკიდებულება როგორც ქრისტიანობისადმი, ისე ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მრავალი თავისებურებების მიმართ? თუ გავითვალისწინებთ, რომ ქისტების უდიდესი უმრავლესობა XVII საუკუნეში კვლავ ქრისტიანობას აღიარებდა და იგი ნაწილობრივ მომდევნო საუკუნეებშიც გრძელდებოდა, ხოლო საუკუნე ნახევარია რაც ქისტები პანკისის ხეობაში ცხოვრობენ და მაინც იცავენ წინაპართა წეს-ჩვეულებებსა და ადათ-სამართალს, თუმცე ქართულიც ბევრი რამ შეითვისეს /პირველ რიგში ქართული ენა, ქართულად სწავლა და ქართული გვარები/, ჩვენი ვარაუდი წოვა-თუშების იმთავითვე ქართული წარმომავლობის შესახებ უფრო დამაჯერებელი ხდება.

წოვა-თუშების ქისტურ-ინგუშურ თუ ქართულ წარმომავლობაზე მსჯელობისას თითოეული ჩვენთაგანი ვალდებულია ღრმად ჩაუკვირდეს ანთროპოლოგთა მრავალმხივ და საფუძვლიან გამოკვლევებს, რომელთაც ეს საკითხი გულდასმით და სპეციალურად აქვთ შესწავლილი და არაერთხელ აღნიშნეს კიდევ, რომ წოვეები ქისტ-ლელიძეებიდან კი არ არიან წარმომობილნი და შეძღვომ გაქართველებულნი, ანდა ქისტთა და თუშთა შერევით მიღებული ეთნოსი კი არაა წოვა-თუში, არამედ „შეგვიძლია გარკვევით აღვნიშნოთ, - დასძენს ლ. შარაშიძე, - რომ წოვა-თუშები არიან ადგილობრივი, ავტოქთონური წარმომობის ქართველური ჯგუფი, წინააღმდეგ ამ მისაზრებისა, რომელიც მათ გაქართველებულ ქისტურ ტომადა სთვლის“.<sup>48</sup>

ქისტ-ლელიძე-ბურბუკებისა და ქართველების თავდაპირველი ნათესაობა-წარმომავლობის თაობაზე არსებული მეცნიერული მემკვიდრეობაც კი ამ მხრივ ფრიად საინტერესოა და მათი ღრმა ანალიზის საფუძველზე შეურაცხყოფელი, თითქმის, არაფერი გვრჩება, რადგან ირკვევა, რომ ენითაც და წარმომობითაც ისინი თავიდანვე ერთნი იყვნენ და მხოლოდ შემდგომმა მოვლენებმა მოახდინა მათ შორის ენობრივ-ეთნიკური განმასხვავებელი ნიშნების წარმოშობა. ამ მხრივ მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის თეიმურაზ ბატონიშვილი. იგი აღნიშნულ საკითხს ფართოდ ეხება და აღნიშნავს, რომ: „ეს ორნი მდინარენი (საუბარია მდინარეებზე —ალაზანზე და იორზე, ვე.) გაბომდინარეობენ ერთის სათავითგან მანლობელ ადგილთა საზღვართა. თუშთა, ფშაყთა, ჩეკსურთა და ღლიღყთა ქვეყანისა, რომლისაცა ერნი არიან ქართველნივე კაკკასიისა მცხოვრებთაგანნი“.<sup>49</sup> ღვაწლმოსილი მეცნიერი ამ საკითხს შრომის მომდევნო გვერდებზე უფრო აკონკრეტებს

<sup>48</sup> ლ. შარაშიძე. წოვა-თუშების ანთროპოლოგიისათვის. საქ. სსრ მეცნ. აკად. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის შრომები. ტ. VIII, გვ. 273, 1960წ.

<sup>49</sup> თეიმურაზ ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია, საეკლესიო-ეტიმოლოგიური, 1848, გვ. 14.

და დასძენს, რომ: „კვალიად კავკასიისა მთათა შინა მცხოვრებელნი მრავალნი არიან, რომელთაცა აქესთ საკუთრად ენაი ქართული და სარწმუნოებაცა ქართველთაჲვე ესე აფი მთიულთა, მონყვეთა, არაგვისა საერისათაოსათა, ფშაველ-ფხოველთა, სეკსურთა და თუშთა, რომელნიცა კახეთისა ნაწილისა შინა კავკასიისა მოსათა მცხოვრებ არიან. ზრახვენ ენასა ქართულსა ფრად შშვენიერად და გზურყყნელად. სარწმუნოებითცა არიან ქართველთავე წესითა. ხოლო ქისტნი, რომელნიცა არიან კავკასიასა მთასაჲე შინა მცხოვრებნი და ღლიღენი, რომელთაცა აწ უწოდებენ (ინგუშტთა), ესენი არიან მესაზღვრენი ფშაჲთა, სეკსურთა და თუშთა; მესაზღვრენი ქისტნი, ღლიღენი და ძურძუკნი პირველ იყვნეს ენითა ქართულთა მომზრახნი შემდგომად აღვრიგენეს რა მათ შორის ხაზარნი და სხვა და სხვა ნათესავნი ენაი მათი განიერყვნა, ქისტნი თუშცა პირველ იყვნეს ქრისტიანენი და მრავალნი ძველნი ნაშენნი ეკლესიანი არიან მათ შორის, მაგრამ შემდგომად გარდაიქცეს იგინი და იქმნეს, ვითარცა ოგინი, არა თუ იქმნეს სხვისა სარწმუნოებისა, არამედ შერიეს მათ და დაიფიყეს წესი ქრისტიანობისა დაიფიყეს ენაცა ქართული, თუშცა მცარდთაღა უწყიან და აქესთ ენაი აღრუელი, ვითარცა სხვათაცა აწინდელი ერთა კავკასიურთა; ხოლო ძურძუკთა და ღლიღეთა უმეტესთა ნაწილთა მათთა აქესთ მიღებული სჯული მოაქმედისა ჩურქქსთა მახლობლობისა გაშო. ხოლო ქისტნიცა და ღლიღენი, ძურძუკნი არიან, ნაწილთა შინა კახეთისა კავკასიისა მთისა შინა მცხოვრებელნი“.<sup>50</sup>

ჩვენ სახელოვანი წინაპრების მიერ შემონახული ჭეშმარიტი ისტორიის უტყუარ დასტურს წარმოადგენს დიდი ივანე ჯავახიშვილის ბრძნული დასკვნა: „აქამდე გაწეული შრომა, დაკვირვება და ანალიზი უფლებას გაძლევს დაეასკნათ, რომ ქართველთა, სინდ-ღლიღე-ლეგ-ალბანელების შორეული წინაპრები მოძვე ტომები ყოფილან, რომელთაც მონათესავე და თავდაპირველად ერთი ენაც კი უნდა პქონიდათ“.<sup>51</sup>

მიუხედავად ასეთი მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობისა, რომელთა მიხედვითაც დიდი ხანია მტკიცდება, რომ იბერიულ-კავკასიური ხალხები საერთო წარმომობისანი უნდა ყოფილიყვნენ და მით უმეტეს, რომ „ქისტნი, ღლიღენი და ძურძუკნი პირველ იყვნეს, ენითა ქართულთა მომზრახნი“ და თუშები, ფშაველები და სეკსურები „არიან ქართველნივე კავკასიისა მცხოვრებთაგანი“ აკად. აკ. შანიძემ წოვებისა და თუშების ქართველობა ხელაღებით უარყო და აღნიშნულ საკითხზე მეტად უსიამოვნო დასკვნები ჩამოაყალიბა.<sup>52</sup>

<sup>50</sup> თიმურაზ ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია. საჩუკეტბურლი, 1848, გვ. 36 ვ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. 1937, გვ.95 ოსაზი ჩვენია. ვ.ე.)

აკ. შანიძე, თუშები, ჟურნ. „მნათობი“, №2, 1970

აკ. შანიძე, როგორც აღრინდელ გამოკვლევებში, ისე ამ წერილშიც, არ უარყოფს იმას, რომ წოვები ვაინახური წარმოშობისანი არიან, მაგრამ მან თუშეთის მთელი მოსახლეობა: წოვა-თუშები და თუშები გააერთიანა, როგორც ჩეჩნურ-ინგუშური წარმოშობის ხალხი, რის შედეგადაც აქამდე საყოველთაოდ ცნობილი თუშები არაქართველებად გამოაცხადა.

მეცნიერი ამტკიცებს, რომ თუშები და წოვები ჩეჩნური წარმოშობისანი არიან, რომ თუშების წინაპრებიც ადრე წოვურ (ბაცბურ) ენაზე ლაპარაკობდნენ და შემდეგშილა მოხდა თუშების ერთი ნაწილის მიერ მშობლიური ენის დაკარგვა და ქართული ენის მიღება. იგი წერს: „მე-18 საუკუნეში ქართული ენა თუშეთში ყველგან გავრცელებული იყო, მაგრამ წოვათის სოფლებს თაგისი ენაც პქონდათ, რომელიც მათი კახეთში ჩამოსახლების შემდეგაც არ დაივიწყეს, თუშცა ქართულიც კარგად შეითვისეს და სხვა თუშებზე ნაკლებ არ იცოდნენ. ამიტომ დღეს თუშების ნაწილი მხოლოდ ქართულ ენაზე ლაპარაკობს, ნაწილს კი შემოქრწა მამა-პაპების ენაც, რომელიც ადრე თუშეთის ყველა თემში უნდა ყოფილიყო საერთოდ გავრცელებული, როგორც ამას ქართულად მოუბარ თუშთა ენაზე დაკვირვება და მისი ანალიზი გვიჩვენებს“.<sup>51</sup>

მეცნიერი ხსენებულ მსჯელობას მომდევნო გვერდზე უფრო აკონკრეტებს და წერს, რომ „ქართულად ამეტყველდა თუშების ნაწილი და მათი მამაპაპების ენის ხმარების არე შესცირდა და წოვათის სოფლებსღა შემოქრწა“.<sup>52</sup>

ავტორი არ ხსნის თუ რით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ თუშების დიდმა ნაწილმა თუშეთშივე ცხოვრების დროს „დაივიწყა“ მამა-პაპების (წოვური) ენა და „ქართული შეითვისა“, ერთმა ნაწილმა კი კვლავ შეინარჩუნა იგი და დღესაც ამ ენაზე მეტყველებენ ქართულთან ერთად.

საკვირველია, რა მოხდა?! რამ და ვინ „დააკარგვინა“ თუშების ერთ ნაწილს „მშობლიური ენა“, რომელმა ქართულმა მოსახლეობამ „გააქართველა“ თუშები (წოვა და ჩაღმა), როცა თუშეთი 80-90 კილომეტრით არის დაშორებული კახეთის ბარისაგან? განა შეიძლებოდა ასეთ დამოკიდებულებაში თუშებს (ჩაღმებს და წოვებს) „ქართველობა“ მიეღოთ, თუ ისინი მართალც ჯერ კიდევ XVII საუკუნემდე ქართველები არ იყვნენ და ან ქართულ ენაზე არ ლაპარაკობდნენ?

გაკვირვებას იწვევს აკ. შანიძის შემდეგი განცხადება: „როდის მოხდა თუშეთის საში თემის საბოლოო გადმოსვლა ქართულ მეტყველებაზე, ეს ამჟამად ძნელი დასადგენია სათანადო მასალის უქონლობის გამო. მაგრამ ის კი შეიძლება ითქვას, რომ ძალიან შორეული ამბავი არ უნდა იყოს, მე მაგალითად, იმისი თქმაც კი მიჭირს გადაჭრით, თუ რა იყო შინაური

<sup>51</sup> აკ. შანიძე, თუშები, ჟურნ. „მნათობი“, №2, 1970 გვ. 104.

<sup>52</sup> იქვე, გვ. 105

სიასუბრო ენა ბანტრიონის ვშირის ზეზეა გაფირინდაულსია, რომელიც ვაკისძირიდან იყო. წოკა-თუშური, თუ ჩაღმა-თუშური (ვაკისძირი წოკა-თუშების სოფ. წაროდან ჩუთიოდე კილომეტრითაა დაშორებული)“.<sup>55</sup>

ვერ დაეჯერებთ აკ. შანიძემ არ იცოდეს, რომ ქართულ დიალექტებს შორის ყველაზე დიდი სიახლოვე და მსგავსება ხვესურულ და თუშურ კილოებს ახასიათებს. მთის ამ კილოთა მსგავსებაზე ვერ კიდევ 1915 წელს, ხოლო შემდეგ 1960 წელს აკ. შანიძემ შემდეგი თქვა: „ქართულად მოუბარი თუშების ენა გარკვეული ნიშნების მიხედვით ახლო დგას ჩუკურულთან და მოხეურთან, რის გამოც მე მათ სამივეს ერთად, ფსოურს კილოები ვუწოდებ“ (რედაქტორისაგან, თ. უთურგაიძის წიგნი „თუშური კილო“, 1960 წ.) შემდეგ აკ. შანიძე თვითონვე ამბობს: „ჩუკურები, რა თქმა უნდა, ქართველი ტომია ამაში არაფითარი ეჭვი არ არის“.<sup>56</sup> აქედან ცხადია, ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ თუშები ქართველი ტომია. აქვე უნდა დავსძინოთ, რაც ალბათ, აკ. შანიძემ ჩვენზე უკეთ იცის, რომ ძველი ქართული მწერლობის ძეგლებს თუშები ბრწყინვალედ და სანიშნოდ კითხულობენ. ეს ფაქტიც იმ შორეულ წარსულზე უნდა მიუთითებდეს, როცა თუშების მამა-პაპანი წოვურ ენაზე კი არ მეტყველებდნენ. არამედ ძველ ქართულ ენაზე – შობლიურ ენაზე. წოვური ენიდან მე-18 საუკუნეშია (ასე ფიქრობს აკ. შანიძე) ქართულ ენაზე გადასული თუშეთის სამი თემის თუშები ძველ ქართულ ენაზე ვერ ილაპარაკებდნენ, მათი ენა დამახინჯებული, რაღაც აღრეული დიალექტი იქნებოდა. თუშური კილო კი ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებელი ელემენტების შემონახვის თვალსაზრისით დღესაც საციციალისტების დიდ ინტერესს იწვევს. ამიტომ ამბობდა პროფ. ვ. თოფურია, რომ „თუშური მიტყვევლება უადრესად საინტერესოა“-ო.<sup>57</sup>

ქართლის მთიანეთის ისტორიის გულდასმით შესწავლა კი სხვაგვარ სურათს იძლევა და არ გკადევს იმის უფლებას, რომ იბერიის ბარისა და მთის მოსახლეობა ენობრივად განეასხვაკოთ.

როგორც ცნობილია, ბერძენმა ისტორიკოსმა და გეოგრაფმა სტრაბონმა (ძვ.წ. 64/63 – ახ. წ. 23/24) 17 წიგნისაგან შემდგარ საქვეყნოდ განთქმულ „გეოგრაფიაში“ საინტერესო ცნობები შემოგვინახა საქართველოს შესახებ. იბერიის (ქართლის) მოსახლეობიდან მეცნიერი ერთიმეორისაგან ანსხვაკებს მთისა და ბარის მცხოვრებლებს – „ყოფის თვალსაზრისით“ და არა ენობრივად. აღნიშნულის შესახებ საგანგებოდ ჩერდება აკად. ნ. ბერძენიშვილი და განმარტავს, რომ: „სტრაბონის ცნობიდან მართო ის რად დარს, რომ ის არას ამბობს იბერთა ენის შესახებ, არ აღნიშნავს, რომ მათ მრავალს

<sup>55</sup> აკ. შანიძე, თუშები, ჟურნ. „მნათობი“, №2, 1970

<sup>56</sup> აკ. შანიძე, უკანასკნელი ჯვაროსნები, საბჭოთა ხელოვნება, №4, 1966წ.

<sup>57</sup> ვ. გვიგნიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, ტ. 1, 1961, გვ. 103.

ენა აქვთ მამინ როცა ეს არ ავიწყდება აღბანგელთა შესახებ. ამავე დროს აღნიშნავს მთის და ბარის იბერიელთა სხვადასხვაობას ცნობების პირობებით. მამ რით არიან ეს მთიელები იბერიელი /სხვაგვარად იცვამენ, სხვა შეურსეობა აქვთ, კიდრუ ბარელებს— ბარელები კი სომხებს და მიდებს პეკანან—/ ერთადერთი დარჩა ენა. ან უნდა ვიფიქროთ ბარელმა იბერებმა დაიბერეს მთიელებს, სარმატები და გაიაბერეს, ან ეს მთიელები და ბარელები უძველესიდანვე ერთისმსლი იყვნენ და მთა და ბარმა ისინი ყოყმის თვალისზრისით დაამსიროშორა. რას გულისხმობს სტრაბონი ცხადი არ არის, უფრო კი მეთრეს... სხვა ენის რომ ყოფილიყვნენ, დაპყრობილი რომ ყოფილიყვნენ სტრაბონი ამას აღნიშნავდა, როგორც აღნიშნა მესხების დაპყრობა იბერიელთა და სომხების მიერ, ან სომხების მიერ იბერიელთა ქვეყნის მიტაცება, მაგრამ მის დროს იყო სომხეთის ერთენიანობა, აღბანგის ერთი პოლიტიკური ერთეულობა, მაგრამ მრავალენიანობა.<sup>58</sup>

ვახუშტი ბატონიშვილმა, როგორც ცნობილია, თავისი წიგნის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ დაწერა 1745 წელს დაამთავრა. ამ წიგნში ასახული მასალები კი მას 1724 წლამდე უნდა შეეგროვებინა, რადგან ამ წელს იგი მამსთან, ვახტანგ VI-თან ერთად, რუსეთის გზას გაუდგა. აი რას წერს ვახუშტი გომეწრის საზოგადოებაზე, საიდანაც ზეზვა გაფრინდაული იყო. „სარწმუნოებითა და ენითა (გომეწრისა და ჩაღმის თუშები, ვ.ე) ქართულთა არიან“.<sup>59</sup> წოვა თუშების შესახებ კი წერს: „ხოლო რომელნი შინა არიან მხარეთა ქისტთა და დღიღვთა, უწყიან უფრო ენანი მათნი“. XVIII საუკუნის დასაწყისისათვის, თუ XVII საუკუნის დასასრულისათვის, როცა ვახუშტიმ მოახდინა დაკვირება თუშების ენობრივ-ენიკურ თავისებურებაზე, თუ თუშეთის გომეწრისა და ჩაღმის თემებში მცხოვრები თუშები მამინ სარწმუნოებით და ენით ისეთივე იყვნენ, როგორც ბარის ქართველები, რა თქმა უნდა, ზეზვა, და ზეზვას სოფელი ქართულად ილაპარაკებდა, მით უმეტეს, რომ წოვათამდე მის შემდეგ კიდევ იყო სოფლები: ციხისძირი, ჯვარბოსელი, ვერზოვანი, კოკლათა, დაიკურთა. წაროსა და ვაკისძირის შორის ხუთიოდ კილომეტრის არსებობას, როგორც ეტყობა, აღარავითარი ღირებულება არა აქვს.

თუშების ქართველობის ნათელყოფისათვის უტყუარ ფაქტად მიგვაჩნია 1657-58 წლებში თუშ-ფშავ-ხევსურების მიერ ძველ ქართულ ენაზე დაწერილი ორი წერილი, რომელიც მოსკოვში გაუგზავნეს ალექსი მიხეილის ძეს.

წერილების შინაარსის გაცნობით მკითხველი დარწმუნდება, თუ როგორ არიან თუშ-ფშავ-ხევსურები ერთად, ერთი სიტყვითა და საქმით შეკრულნი

<sup>58</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, გვ. 640-641, ტ. VIII, 1975 9 ს.აზი ჩვენია, ვ.ე.)

ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 105.

და გადანასკეულნი. ისინი წარმოგვიდგებიან, როგორც დედის სამი შვილი, რომელთაც ერთი აქვთ სამშობლო, ენა, საზრუნავი და საფიქრალი.

განა შეიძლება ამ დროს ჯერ კიდევ „გაუქართველებელ“ თუშებსა და ფშავ-ხევსურებს შორის ასეთი სიახლოვე და ერთიანობა ყოფილიყო? რა თქმა უნდა, არა. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ამ სამ ტომში, მაშინ თუშეთი იყო ყველაფრის მოთავე და ინიციატორი.

აი, რას წერს აღნიშნულის შესახებ განსვენებული მეცნიერი, პროფ. შ. მესხია: „1656 წ. თეიმურაზმა და მისმა მომხრეებმა თუშ-ფშავ-ხევსურეთში დიდი სამზადისი ჩაატარეს, ეს სამი კუთხე გააერთიანეს თუშების მეთაურობით და მათი ელჩები რუსეთში მფარველობას სათხოვნელად გაგზავნეს. 1657 წლიდან დაწყებული, თუშები არა ერთხელ იყვნენ მოსკოვში და რუსეთის ხელმწიფისადმი ერთგულება მათ საგანგებო ფიცის წინადაც გამოიხატეს“<sup>60</sup> და, აი, სწორედ ეს ფიცის წიგნი გახლავთ თუშების ქართველობის უტყუარი საბუთი და დადასტურება.

პირველი საფიცარი წერილი მოსკოვის მეფისათვის თუშ-ფშავ-ხევსურებს 1657 წელს მიუწერიათ, სადაც ვკითხულობთ: „ქ. დიდო და ყოვლის მპყრობელო ბატონო, დიდო შეყყე და ყოყელთ ქრისტიანეთა ჰელმწიფეკ. ალექსი მინაილის შვილო! ყოყლისა მპყრობელო! შენის ბრძანებითა ჩვენს დედოფალსა და ბატონისპყილსა (საუბარია 1652 წლიდან მოსკოვში მყოფ ერეკლე პირველზე და მის დედა ელენე დედოფალზე – ვ.ე.) კაცო ებოძა და, ჩვენი ქვეყნის კაცს დაებარებინა, რომე ჩვენც ამ დიდი ჰელმწიფის ხელთა ვართო და თქვენც ამისი ყმანი შეიქენათო და თქვენც ამას დაუკარათ თაჟიო. აწე... ჰელმწიფეკ, ჩვენი ჰელმწიფეც თქვენა... არის და ჩვენც თუშეთის და ხევსურეთის და ფშავის ქვეყანათა, სამთავ ქრისტიანს ქვეყანასა პირობა გექონია და ზურგი მოგვიბაგს ერთმანეთისათვის და ელჩები გამოგვგზავნეთ. ხევის ბერი სიხიმე მაქსიმის და გრიგოლ სიდორის და პავლე იყანის და შენი ყმანი შეიქმნილვართ და თავი დაგვეყრავს როგორც თქვენი ბრძანება იქნება ჩვენ ამისი მქნელი ვართ: ჩვენა ერთი ღმერთი ვაცათ და მეორე ჰელმწიფე თეიმურაზ. ჩვენ შაგანს ალაგას ვართ და არას კაცს შეგვპოვებთ. ამდენი ხანი არის საქართველოს ყენი ებრძვის და ჩვენ არცა შემოგვიშვია ყაენის კაცი და სადაც მოგვისელებოა, მოგვიკლავს და მისი სარდარი გავიქცევია და ლაშქარი გავიწყვეტია: აწე, დიდო ჰელმწიფეკ, ჩვენი ჰელმწიფე ყენმა წაახდინა და ზურგი აღარ სადით გექონდა და მღვთისაგან ველოდე-ბოდით, რომე ერთი შენი ბრძანება და კაცს მოგვსვლიყო: აწე მოგვივიდა შენი ბრძანებაცა და ჩვენი დედოფლის კაცაცა და თქვენი ბრძანება

<sup>60</sup> ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუბაძე, გ. მელიქიშვილი, ნ. მესხია, პ. რატინი, საქართველოს ისტორია, ტ. 1. 1958. გვ. 303.



გაგკითხავენ და შენ შემოიხვეწნივართ და შენთვის თავი დაგვიკრავს. გვიმსახურე და გვალამქრე ამ დღემით შენი ყმანი შეეკმნიღვართ“.<sup>61</sup>

აკ. შანიძემ წიგნში – „ხევსურული პოეზია“ (1931 წ.) ბახტრიონის ციკლის მრავალ ლექსს მოუყარა თავი. ბახტრიონის ციკლის ლექსებში, ბევრი თუშური ლექსია, რომლებიც, უმეტესწილად, აჯანყების პერიოდში და მის მომდევნო წლებშია შექმნილი. დაუჯერებელია, რა თქმა უნდა, არაქართველ თუშებს ასეთი მდიდარი ქართული ფოლკლორი ჰქონოდათ XVII საუკუნეში.

ქართული და უცხოური ისტორიოგრაფია თუშ-ფშავ-ხევსურებს არასოდეს არ აცალკევებს. თუშები ხევსურებთან და ფშავლებთან ისეთ განუყრელ და მჭიდრო კავშირში ვერ იქნებოდნენ, რომ ისინი ოდიდანვე ქართველები არ ყოფილიყვნენ. IV საუკუნეში, როცა ქართლის სამეფომ შეაწუხა ქრისტიანობის მიღებით არაგვის ხეობის მთიელები, მაშინ მათი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი აყრილა და თუშეთში გადასახლებულა. აი, რას წერს ამის შესახებ XI საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიკოსი ლეონტი მროველი: „ფხოველთა დაუტევეს ქვეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთსა“. თუშეთი, რომ მათი მოძვე ქართველებით – თუშებით არ ყოფილიყო დასახლებული, ხევსურებისა და ფშავლების გარკვეული ნაწილი თუშეთში არ გადასახლებოდა; თუშეთში ხევსურების სალოცავი ხატები დღემდის ვერ დარჩებოდა. წარმართი ქართველი მთიელები (ფხოველები) შეიფარეს წარმართმა თუშებმა და ამ გზით დღემდის თუშეთის თითქმის ყველა სოფელში კიდევ შემორჩა ნიშები ხევსურთა ჯვარ-სალოცავებისა. ყოველ წელიწადს ზაფხულობით ხევსურეთიდან მოდიოდა ჯვარიონი „კარატიონი“ და „ხახმატიონი“, რომელნიც მთელ თუშეთს შემოვილიდნენ და თუშებთან ერთად ლოცულობდნენ ე.წ. „ხევსურთა ხატებს“. ეს პროცესი ნაწილობრივ დღესაც გრძელდება. შრომის შესავალშიც ვთქვით და აქაც ვიმეორებ, რომ დღეს ამა თუ იმ ხალხის ან რომელიმე ეთნიკური ჯგუფის, თუ ცალკეული ტომის წარმომავლობაზე მსჯელობა ურთულეს პრობლემებთან არის დაკავშირებული, რის გამოც ძნელდება ზუსტი და ამომწურავი დასკვნების ჩამოყალიბება. მსგავსი წინააღმდეგობებით არის აღსავსე წოვა-თუშების წარმომავლობის ისტორია. ამ საკითხის ირგვლივ დაგროვილი მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა და მასში არსებული ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები ზოგჯერ მკვლევარს გზას უბნებს და ერთგვარად ხელს უშლის ჭეშმარიტების დადგენაში. შესაძლებელია, ყველაფერი ისე ვერ ვთქვი ამ ურთულესი საკითხის შესახებ, როგროც ამას თანამედროვეობა მოითხოვს, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ მთელი ჩემი მუშაობა იქითკენ იყო მიმართული, რათა წოვა-

<sup>61</sup> მ. ბროსე, მიმოწერა ქართველი მეფეებისა რუსეთის ხელმწიფეებისადმი 1639 წლიდან 1770 წლამდე, სპბ. 1861, გვ. 74-75 /რუსულ ენაზე/

თუშების ქართული წარმომავლობის თაობაზე ბურუსით მოცულ ისტორიაში დამენახა რაციონალური მარცვალი და მის თაობაზე ჩამომეყალიბებინა ჩემი პოზიცია.

წარმოდგენილი გამოკვლევების დასასრულს ერთხელ კიდევ მინდა აღვნიშნო. რომ წოვა-თუშების სახით. ჩემი ღრმა რწმენით, საქმე გვაქვს იმ ეთნოგრაფიულ ჯგუფთან, რომელიც იმთავითვე ქართულია და ქართველი ერის სისხლხორცეული ნაწილი. მაგრამ მათ მიერ ვაინახური ენის მშობლიური ენის დონემდე დაუფლება, დღემდე მისი შემონახვა და მათი ორენოვნება კი შესასწავლი, საძიებელი და დასადგენია. ეს არ არის მისაჩუმებელი და ყურსუკან ამოსადები საკითხი. იგი, ჩემი აზრით, საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო პრობლემაა, რომელიც კომპლექსურ შესწავლას და რაც შეიძლება სწრაფ და ღრულ გამოკვლევას მოითხოვს. მე მხოლოდ ის ვთქვი, რაც შემეძლო, დანარჩენი ახლო მომავალში უნდა გაკეთდეს, რათა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს ურთიერთშეურაცხყოფელ გამოხდომებს, უსიამოვნო მითქმა-მოთქმას და დადგინდეს ჭეშმარიტება, რომელიც ყველასათვის სავალდებულო და სახელმძღვანელო იქნება.

## 2.4. ფხოვისა და ფხოველებს წარმოშობა—განსახლების საკითხისათვის

ყველაზე უძველესი ქართული წყარო, სადაც პირველად არის საუბარი ფხოველთა შესახებ, არის ლეონტი მროველის „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“. ძეგლში ავტორი გადმოგვცემს იმ ვითარების შესახებ, როცა ქართლის მთიელებმა ნინო განმანათლებელს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს ქრისტიანობის მიღებაზე და ამ მთიელ ტომთა შორის ფხოველებიც ფიგურირებენ. აღნიშნულის შესახებ ლეონტი მროველი მოგვითხრობს: „და წარვიდა წმიდა ნინო და ეპისკოპოსი იოვანე, და მათ თანა წარატანა მეფემან ერისთავი ერთი, მივიდეს და დადგეს წობენს, და მოუწოდეს მთეულთა, პირუტყუთა სახეთა მათ კაცთა. ჭართაღელთა, ფხოველთა, წილკანელთა და გუდამაყრელთა. და უქადაგეს მათ სჯული ქრისტიანეთა ჭეშმარიტი, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ. ხოლო მათ არა ინებეს ნათლის ღება. მაშინ ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმართა მახვილი მათ ზედა, და ძლევით შემუსრნა კერპნი მათნი.“<sup>1</sup>

ერისთავის მიერ მთიელებზე აღნიშნული ზეწოლის განხორციელების შედეგად რამდენიმე მთის ტომი განათლულა „რომელნიმე მათგანნი დარჩეს წარმართობასავე შინა“, ფხოველები კი ხსენებული პროცესით იმდენად შეძრწუნებულან და აღშფოთებულან, რომ მამა-პაპათა მიწა-წყალი დაუტოვებიათ და თუშეთში გადასულან მუდმივ საცხოვრებლად. „ხოლო ფხოველთა დაუტევეს ქუეყანა მათი, — დასძენს ლეონტი მროველი, — და გარდავიდეს თუშეთს.“<sup>2</sup>

ამავე ამბავს ეხება ერთ-ერთი სხვა უძველესი ქართული ძეგლიც — „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ წარმართობის შენარჩუნების მიზნით თუშეთში ყუარელნი გახიზნულან და არა ფხოველნი. წმინდა ნინო „წარვიდა და დადგა წობენს, — კვითხულობთ წყაროში, — და მოუწოდა მთეულთა: ჭართაღელთა და ფხოველთა და წილკანელთა და უქადაგა სარწმუნოება. შემდგომ ნინო „გარდავიდა ერწოდ და დადგა ჟალეთს, დაბასა ედემს და ნათელსცა ერწუთიანელთა და ყუარელთა ესმა ესე და გარდაკრბეს თოშეთა.“<sup>3</sup>

თუშეთში ფხოველთა გადასახლება რეალობაა და იგი მრავალმხრივ დასტურდება, რაც, მეც თვითონ, არაერთგზის მაქვს ჩემს შრომებში გან-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. 1, 1955, გვ.125  
იქვე, გვ.126.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი 1, 1963, გვ.88

ხილული,<sup>4</sup> მაგრამ, მიუხედავად აღნიშნულისა, აქ საჭიროდ მიგვაჩნია ერთ თავისებურებაზე საგანგებოდ შევიჩერდეთ და მკითხველს დავეხმაროთ ვითარების გარკვევაში: რადგან ფშავ-ხევსურეთი ისტორიული ფხოვის კანონიერი მემკვიდრეა, ხოლო ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები კი აღნიშნავენ, რომ ფხოველები თუშეთში გადასახლდნენ, როგორ გავიგოთ ეს ყოველივე? რომელი დავიჯეროთ და რომელი არა?

რადგან თუშეთში ფხოველთა ყოფა-ცხოვრების სინამდვილე დღევანდლამდე მრავალმხრივ დასტურდება (ხევსურული და თუშური კილოების არაჩვეულებრივი მსგავსება, თუშების სამივე თემის (ჩაღმის, გომეწრის, პირიქითის) ყველა სოფელში დღემდის მოქმედი, ე.წ. „ხევსურთა ჯვარ-ხატები“: კარატი, ხახმატი, იახსარი; თუშეთის რამდენიმე სოფელი და ნასოფლარი, რომელთა პარალელები დღემდის არსებობენ ფშავ-ხევსურეთში; XX ს-ის 50-იან წლებამდე ყოველ ზაფხულს თუშეთში ხევსურთა „ჯვარიონის“ გადმოსვლა და თუშეთის სოფლებში დაფუნებული ე.წ. ხევსურთა ჯვარ-ხატებისათვის განკუთვნილი რიტუალების შესრულება და სხვ.) და ფხოველთა შთამომავლობაც კვლავ ცხოვრობენ ფშავ-ხევსურეთში, ეს ყოველივე კი იმას უნდა ნიშნავდეს და ისე უნდა გავიგოთ, რომ თუშეთში წარმართობის შენარჩუნების მიზნით თავი შეუფარებიათ ფხოველთა საცქაოდ ხალხმრავალ შემადგენლობას, ხოლო ფხოვის ძირითადი ნაწილი კი კვლავ ადგილზე დარჩენილა და ფშავ-ხევსურთა სახელით არაგვის ხეობის მთის სხვა ტომებთან ერთად გაუგრძელებია ქრისტიანიზირებული წარმართული იდეოლოგიით გაჯერებული ყოფა-ცხოვრება. ქრისტიანულ კულტურას ნაზიარები მთის წარმართული პანთეონი დღესაც ძძლავრად არსებობს და ქართველი მთიელები მას განსაკუთრებული სიყვარულით ეპყრობიან და მათთვის დამახასიათებელ რიტუალებს, სახელოვან წინაპართა მიერ ნაადრევი ტრადიციების მიხედვით ასრულებენ.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ის ცნობა თუშეთში „ყუარელთა“ გადასახლების შესახებ, ჩვენ დაუჯერებლად მიგვაჩნია და საჭიროდ მივიჩნევთ შემდეგი აღნიშნოთ: „ყუარელი“ ფშავლების წინაპრებადაც ითვლებიან და ფხოველთა განაყოფადაც მიიჩნევენ.<sup>5</sup> იმის გამო, რომ თუშეთში ხევსურების მსგავსად ფშავლების განსახლების ძალიან მცირე მაგალითები გაგვაჩნია, უნდა ვივარაუდოთ, რომ უცნობი მემატანეს მიერ თუშეთში გადახვეწილ-თავშეფარებულ „ყუარელთა“ სახით საქმე გვაქვს ძირძველ ფხოველთა სისხლზორცეულ ნაწილთან და არა სხვა ვისმესთან. ჩვენს ასეთ პოზიციას პასუხობს ვახუშტის დამოკიდებულებაც ამ მოკლენისადმი, როცა დაუჭვებლად განმარტავს: „ამის-

<sup>4</sup> ვ. ელანიძე, თუშეთის ისტორიის საკითხები, 1988; ჩემივე... ვინამ თქვა თუშთა დაღვეა?!", 2001 და სხვ.

<sup>5</sup> თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, 1982, გვ. 71.

თვის ფხოელნი (და არა „ყუარელნი“, ვ.ე.) გარდაშენდნენ თუშეთს და ერწო-  
თიანელთა ნათელ-ილეს“.<sup>6</sup>

ლეონტი მროველი და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორი არ ეხებიან  
ფხოელთა განსახლების საკითხს, ისინი მათ მოიხსენიებენ იმდროინდელი  
არაგვისა და იორის ხეობებსა და მათ მთიანეთში განსახლებულ ქართლის  
მთის ტომებს შორის და კონკრეტულად არ აღნიშნავენ „ფხოელთა“ სამო-  
სახლო რა ტერიტორიას მოიცავს და რა საზღვრებშია იგი განთავსებული.  
ამ ხარვეზს ავსებს სახელოვანი ვახუშტი ბაგრატიონი და მასთან, ამ  
მხრივ, ამომწურავ პასუხს ვპოულობთ. ვახუშტი წერს: „ხოლო მზღვრის  
ფშავს: აღმოსავლით მთა კაკკასილამ ჩამოსული; სამხრით კაკკასივე, იმასა  
და მახვილოს ხევეს შორისი; სამხრით მთა, იმისა თიანეთს შორისი; ჩრდილოთ  
კაკკასი, ამასა ღლილუს შორისი; დასავლით მთა კაკკასილამ ჩამოსული სამხ-  
რით, ამასა და ხევესურეთს შორისი. არამედ ძუელად ეწოდა ამ ორთა  
ხეობათა ფხოელნი, და აწ უწოდებენ ესრეთ“.<sup>7</sup> ვახუშტი ბატონიშვილის  
ღრმა რწმენით ფშავ-ხევესურეთი ძველი ფხოვია, მისი კანონიერი მემკვიდრეა  
და ამის შესახებ დაბეჯითებით აცხადებს ყველგან: ფშავ-ხევესურსა,  
რომელთა პირველ ეწოდათ ფხოელნი“.<sup>8</sup>

ვახუშტი ბაგრატიონი ხევესურთა განსახლების შესახებაც მსჯელობს  
და განმარტავს, რომ: „ამ ჟინვანს ზეით და ხარჭაშოს ზეით მიერთვის თეთრს  
არაგვეს ხევესურეთის წყალი. გამოსდის ესე ძურძუქისა და ამას შორის  
მთას კაკკასს, მოდის ჩრდილოდამ სამხრით. ამას მიერთვის ხევენი იმიერ  
და ამიერ. და განჰყოფს ხევესურეთს: აღმოსავლით კაკკასილამ ჩამოსული  
მთა სამხრეთად, ამასა და ფშავს შორისი; სამხრით ფშავის საზღვარი;  
ჩრდილოთ კაკკასი, ამასა და ძურძუქს შორისი; დასავლით კაკკასილამ ჩამო-  
სული სამხრეთად მთა, ამასა და გუდამაყარს შორისი.“<sup>9</sup>

სერგი მაკალათიამ, რომლის ხელმძღვანელობითაც 1933 წელს სპეცი-  
ალურად შედგენილმა ექსპედიციამ შეისწავლა ხევესურეთი და 1935 წელს  
უკვე გამოსცა საინტერესო მონოგრაფია ხევესურეთზე, უფრო გამარტივებული  
და ადვილად გასარკვევი ლოკალიზაცია შემოგვთავაზა ხევესურთა მიერ  
დასახლებული ტერიტორიის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ: „აღმოსავლეთით  
ხევესურეთს საზღვრავს ჩენეთი და თუშეთი, დასავლეთით ხევი და მთიულეთ-  
გუდამაყარი, ჩრდილოეთით ქისტეთი (ღილლო), ხოლო სამხრეთით ფშავი.  
ქისტეთ-ჩენეთისაგან ხევესურეთს ჰყოფს მთხოსა და მისტიის მაღალი  
მთები, რომლებიც მიემართებიან ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავ-

<sup>6</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, იხ. ქართლის ცხოვრება. ტ. IV,  
1973, გვ.93.

<sup>7</sup> ვახუშტი, იქვე, გვ.534.

<sup>8</sup> ვახუშტი, იქვე, გვ.523.

<sup>9</sup> ვახუშტი, იქვე, გვ.532-533.

ლეთისაკენ, ბისნის მთიდან დაწყებული ტბულოს მთამდის. ხევსურეთისა და ფშავის გამყოფი საზღვარი იწყება მცირე ბორბალოდან და ლიქოკის მთით მიდის აკუშოს წყლის სათავემდის და შემდეგ ბეტის ჩრდილზე და კიშხევზე გადადის.“<sup>10</sup>

სერგი მაკალათიასთან იმაზეც არის საუბარი თუ საიდან მომდინარეობს ტოპონიმი „ხევსურეთი“ და რას უნდა ნიშნავდეს იგი: „ხევსურეთი მაღალმთიანი ქვეყანაა, რომელიც ღრმა ხეუბებით არის დაღარული. მისი გეოგრაფიული სახელწოდებაც „ხევსურეთი“ უეჭველია აქედან არის წარმომდგარი და ნიშნავს ღრმა ხეუბიან ადგილს.“<sup>11</sup>

ს. მაკალათია ტოპონიმი „ფშავ“-ის წარმომავლობის შესახებაც მსჯელობს და აღნიშნავს: „რაც შეეხება სახელი ფშავის წარმოშობას, შესაძლებელია ეს სიტყვა დაკავშირებული იყოს „ფშა“-სთან, რაც ნიშნავს ფშაურად მდინარის ნაპირიდან გამომდინარე წყაროს. ასეთი ფშანი წყაროები ბევრია უკანაფშავის თემში.“<sup>12</sup>

ეთნიკურად გეოგრაფიული სახელები: ფშაველი და ფშავი, ხევსური და ხევსურეთი, როგორც ეტყობა, საკმაოდ გვიან შემოვიდა ხმარებაში, რადგან თამარის მეფობის პერიოდში ხელისუფლების წინააღმდეგ ფხოველთა და დიდო-ძურძუკთა მიერ მოწყობილ ფართო-მასშტაბიან აჯანყებაში, რომელიც იენის-იელის-აგვისტოს თვეებში მიმდინარეობდა, ყველგან მხოლოდ ფხოვი და ფხოველები ფიგურირებენ და არსად გვხვდება სახელები ფშაველი, ფშავი, ხევსური, ხევსურეთი. აღნიშნული ტერმინები XVI-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიაში უკვე მყარადაა დამკვიდრებული და ფხოვი და ფხოველები იშვიათადლა მოიხსენიება.

ფხოვისა და ფხოველების ლოკალიზაცია-ვინაობის საკითხი მკვლევართა შორის ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა და ეს ინტერესი დღესაც მოქმედია და კვლავდაკვლავ გარკვევას ითხოვს. საქმე იმაშია, რომ ფხოვისა და ფხოველების თავდაპირველი ფესვების ძებნას მკვლევარები სადაც სამხრეთში. კერძოდ, მცირე აზიის აღმოსავლეთ რაიონებში მიჰყავს, სადაც ძვ.წ. II-ე ათასწლეულებში დადასტურებულია კავკასიის მთიანეთის ტომთა მსგავსი არა ერთი სახელი. მაგ. ქაშგა-ქაშავი, წოვ-წოვი, თუჯილი-დუჯილი (დვალი), ფახუვა-ფხოვი. ჩვენთვის საინტერესოა უკანასკნელი მაგალითი, ფახუვას ქვეყანა ისხენიება ძვ. წ. XVII-ის მე-2 ნახევრის ხეთურ დოკუმენტებში.<sup>13</sup>

გ. მელიქიშვილმა ხსენებულ პრობლემას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და მან მრავალგზის საინტერესო მოსაზრება გამოთქვა. განსვენებული

<sup>10</sup> ს. მაკალათია. ხევსურეთი, 1984. გვ.9

<sup>11</sup> ს. მაკალათია, იქვე.

<sup>12</sup> ს. მაკალათია. ფშავი. 1934. გვ.17

<sup>13</sup> ნ. ასათიანი. ფშავი (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა), იხ. ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული. 1966. გვ.26.

მეცნიერი ეხება რა ფაზუვას ქვეყნის ხეთურ დოკუმენტებში მოხსენიების ფაქტს, აღნიშნავს: „ამ ქვეყნის სახელი თითქმის ზუსტად იმეორებს კავკასიონის მთიელ ტომთა შორის დასახელებულ „ფხოვ“-ტომის სახელს. ძველ ქართულ წყაროებში „ფხოვ“-სახელის ქვეშ ფშავ-ხვესურნი იგულისხმებიან. აღსანიშნავია, რომ ეს სახელი გვხვდება ძველ სომხურ (V-VIII სს.) წყაროებშიც.“<sup>14</sup>

დიდი ხანია, რაც ქართველთა წინაპარი ტომების სამხრეთიდან მოსულობის თეორია ისტორიას ჩაბარდა და დამტკიცდა, რომ ქართველები აბორიგენები არიან და უძველეს ათასწლეულებში მათი განსახლების ტერიტორია ვეებერთელა საზღვრებში იყო განთავსებული. აკად. ნ. ჯანაშიას კონცეფციით ქართველები წარმოშობით წინა აზიის ძველ მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნიან. უძველეს დროში, დაახლოებით ექვსი ათასი წლის წინათ, წინა აზიის უზარმაზარ მიწა-წყალზე და სამხრეთ ევროპაშიც (ბალკანეთის, აპენინისა და პირენეს ნახევარკუნძულებზე) ერთი მოდგმის ხალხები ცხოვრობდნენ. შემდეგ ამ მოდგმის ხალხთა ადგილსამყოფელი თანდათან იზღუდებოდა ძვ. წ. II ათასწლეულის დამდეგისათვის წინა აზიის მკვიდრი ხალხებიდან ცნობილი იყვნენ ხეთები და სუბარები. ხეთა-სუბარები ქართველ ტომთა წინაპრები არიან. ხეთები მცირე აზიაში მოსახლეობდნენ, სუბარებს კი ეჭვირათ ტერიტორია ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან მოყოლებული კავკასიამდე.<sup>15</sup>

ქართველი ხალხის წარმოშობისა და მათი განსახლების თანამედროვე თეორია ვერაკითარ უსაფუძვლობას ვეღარ ხედავს იმ მსგავს შემთხვევაშიც, რაც არსებობს მცირე აზიის აღმოსავლეთ პროვინციებში დადასტურებულ ეთნიკურ სახელებსა და კავკასიის მთიანეთის ზოგიერთ ტომთა სახელწოდებებს შორის. მაგალითად, როგორცაა „ფახუვა“ და „ფხოვი“.

ფხოვისა და ფხოველების, თანამედროვე ფშავ-ხვესურების, ლოკალიზაციისა და ვინაობის პრობლემა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებთან, განსაკუთრებით კი თუშებთან ერთად, დიდი ხანია, რაც კვლევა-ძიების საგანია და ბევრიც დაიწერა აღნიშნულის შესახებ. მეცნიერ-მკვლევართა პოზიცია ხსენებული პრობლემის მიმართ უმეტესწილად ურთიერთგამომრიცხავია. რაც ეს ტრადიცია, დღესაც ნაწილობრივ კვლავ გრძელდება. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნევთ, მიუხედავად ჩვენ მიერ საქართველოს ისტორიის ამ ერთ-ერთი საკვანძო საკითხისადმი არაერთგზის შეხებისა, ისევ დაუბრუნდეთ ამ პრობლემას და უფრო მეტი სინათლე მოეფინოთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა, განსაკუთრებით თუშ-ფშავ-ხვესურთა, ფრიად საინტერესო ისტორიას.

<sup>14</sup> გ. მელიქიშვილი, აღმოსავლეთ მცირე აზიის უძველესი ეთნონიმიკის შესწავლისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყოფილების მოამბე, 1961 წ. №3, გვ.117-118; მისივე, საქართველოს კავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, 1965, გვ.100, 185, 202. და სხვა.

<sup>15</sup> საქართველოს ისტორია, აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით, 1943, გვ.14

თუშ-ფშავ-ხევსურების კინაობა-წარმომავლობა-განსახლების ისტორიის სრულყოფილი შესწავლა შესაძლებელი ხდება მხოლოდ მაშინ, თუ ქართველი მთიელებისა და მათი მეზობელი იმიერკავკასიელი მთიელების (ვაინახებისა და დიდო-ლეკების) ურთიერთობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას ობიექტურად შევისწავლით. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თუშ-ფშავ-ხევსურების ურთიერთობა ჩრდილოკავკასიის ხალხებთან (ჩეჩნებთან, ინგუშებთან, ქისტებთან და დიდო-ლეკებთან) შეადგენს ერთ-ერთ საინტერესო ნაწილს იმ ხანგრძლივ და მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, რაც დამახასიათებელი იყო საქართველოსა და იმიერკავკასიას შორის. თუშ-ფშავ-ხევსურეთი, როგორც კახეთის მთიანეთი და ოდითგანვე საქართველოს განუყოფელი ნაწილი, ამ დიდ საქმეში მჭიდროდ იყო ჩაბმული. ჩრდილოკავკასიის ხალხებს საქართველოს მეფეები ხშირად თუშ-ფშავ-ხევსურეთის საშუალებით უკავშირდებოდნენ.<sup>16</sup> კახეთის მთიანეთის მოხერხებული მდებარეობა მეზობელ იმიერკავკასიელ მთიელებთან დაკავშირების მიზნით საიმედო მხარეს წარმოადგენდა, რაც როგორც ადგილობრივი მცხოვრებლების, ისე საქართველოს მეფეთა მიერ ყოველთვის დროულად და შინაარსიანად იყო გამოყენებული. ამიტომ არის, რომ ხსენებული საკითხის ახსნა ხერხდება მხოლოდ და მხოლოდ ამ ურთიერთობათა ფონზე და არა იზოლირებულად. თუშ-ფშავ-ხევსურების ურთიერთობა მეზობელ მთიელებთან წარმოადგენდა საქართველოს ხელისუფლების ინტერესის გამოხატულებას და დასტურს; თუშ-ფშავ-ხევსურეთი ამ საერთო ურთიერთობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ხელშეწყობის როლში გვევლინება და სხვა მიზნები ქართველ მთიელებს არც ამოძრავებდათ.

რევოლუციამდელი და რევოლუციის შემდეგდროინდელ პერიოდში, საქართველო-ჩრდილოკავკასიის ურთიერთობის ისტორიის შესწავლის საქმეში ბევრი რამ გაკეთდა. ერთიმეორის მიღეენებით დაიწერა მრავალი საინტერესო წერილი, გამოკვლევა და მონოგრაფია. აღნიშნულის პარალელურად დიდი ყურადღება დაეთმო საქართველოს მთიანეთის მცხოვრებთა იმიერკავკასიელებთან ურთიერთობის ისტორიის შესწავლას. ამ სფეროშიც ბევრი რამ დაიწერა, მრავალი სადავო საკითხი გაირკვა, ძირითადი და უმთავრესი თითქმის ნათქვამია. მაგრამ ეს პრობლემა იმდენად თავისებურია და მრავალნიუანსთა შემცველი, რომ იგი ყოველთვის მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას, მით უმეტეს მაშინ, როცა გამოჩნდება ხოლმე ყოველად აღმაშფოთებელი და უხამსი დამოკიდებულება აღნიშნული პრობლემის ირგვლივ. ამჟამინდელი ჩვენი შრომითი საქმიანობა უმთავრესად ითვალისწინებს ზოგ-ზოგთა მიერ ხსენებულ სფეროში არასწორად ნათქვამთა განქიქება-გამომზეურებას.

<sup>16</sup> ზ. ანჩაბაძე, ჩ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე, ჩრდილო-კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევი, 1969, გვ.58.



ქართულ და უცხოურ საისტორიო ძეგლობის მრავალ უძველეს ძეგლში საქართველოსა და ჩრდილო კავკასიელების ურთიერთობის შესახებ მრავალი საინტერესო ცნობა არის შემონახული. წერილობითი, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიულ-ენობრივი და ანთროპოლოგიურ-ტოპონიმიკური მონაცემებით დასტურდება, რომ ქართველი ხალხის წინაპარ ტომებსა და იმიერკავკასიელებს შორის პრეისტორიულ ხანაშივე არსებობდა ერთიმეორის მიმართ კეთილმეზობლური დამოკიდებულება და თანაცხოვრების უპრეტენზიო შემთხვევები. მასალების შესწავლიდან ვლინდება, რომ მათ შორის თავდაპირველად, მაინც და მაინც, მკვეთრი მიჯნა არ არსებულა. ე.ი. არ ყოფილა სავალდებულო, რომ კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით ეცხოვრათ ვაინახ-დაღესტნურ ტომებს და სამხრეთით ქართველ ტომებს.<sup>17</sup> მართალია, იმიერკავკასიაში ე.წ. სკვითურ-სარმატული მოდემის ტომები ცხოვრობდნენ, ხოლო მთავარი კავკასიონის სამხრეთით ქართველთა წინაპარი ტომები. მაგრამ იმიერ და იმიერკავკასიის ტერიტორიაზე მათი მოსახლეობის ნაკვალევი იმასაც ადასტურებს, რომ ისინი იმავე დროს, ძალიან ხშირად, ერთადეც ცხოვრობდნენ და შერეულ განსახლებებსაც ქმნიდნენ. აღნიშნულის შესახებ აკად. გ. მელიქიშვილი შენიშნავს: „აღმოსავლურ ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების ამ გარიჟრაჟზე უნდა ვივარაუდოთ აგრეთვე აქტიური ურთიერთქმედება ქართისა და ვაინახურ-დაღესტნურ ტომებს შორის. ეტყობა, ქართ-მესხურმა ტომებმა მოახდინეს აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები არაერთი ვაინახურ-დაღესტნური ტომის ასიმილაცია. ამაზე ქართული ენის ფაქტები თვალნათლივ მოწმობს. ქართული ენის მთელ რიგ აღმოსავლურ დიალექტებში ძლიერი ვაინახური (ჩაჩნურ-ქისტურ) სუბსტრატის ვლინდება.“<sup>18</sup> ეხება რა ამავე საკითხს პაციფიკური მეცნიერი. საქართველოს ტერიტორიაზე იმიერკავკასიელთა ყოფა-ცხოვრების ნაკვალევის არსებობას ჯერ კიდევ გვიანი ბრინჯაოს ეპოქაში დადასტურებულ ფაქტად მიიჩნევს. „აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი (აღმოსავლეთი და სამხრეთი) რაიონი, – წერს აკად. გ. მელიქიშვილი, – ჯერ კიდევ გვიანი ბრინჯაოს ხანაში უნდა ყოფილიყო ჩინურ-დაღესტნური ტომებით დასახლებული.“<sup>19</sup>

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იმიერ-კავკასიელთა ცხოვრება მომდევნო საუკუნეებში, სახელდობრ, ძვ. წ. III საუკუნიდან უკვე წერილობითი ძეგლებითაც არის დამოწმებული. ლეონტი მროველის მიხედვით გამოდის, რომ აჯანყებული ერისთავები, რომელთაც სურდათ საურმაგ ქართლის მეფის ტახტიდან ჩამოგდება, მეფობის გაუქმება და თავისუფლების მოპოვება, მეფეს დაუპარცხებია ჩინენ-ინგუშეთიდან (ღურძუკეთიდან) გადმოყვანილ

<sup>17</sup> ო. ჯაფარიძე, კავკასიის უძველესი მოსახლეობის კულტურული და ეთნიკური ერთობის საკითხისათვის, ჟურნ. „მნათობი“, №3, 1972, გვ.124-138.

<sup>18</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.1, 1970, გვ.429.

იქვე, გვ.431.

მეომართა დახმარებით. შემდგომში კი მას „კავკასიანთა“ ტომის ნახევარი გადმოუყვანია. რომელთაგან ზოგი „წარჩინებულ ყენა“, ხოლო უმეტესნი კი მთიულეთში (მთიანეთში) დაასახლა – დიდოეთიდან მოყოლებული სვანეთამდე (ეგრისამდე).<sup>20</sup>

ადრეულ საუკუნეებში თუშ-ფშავ-ხევსურების ტერიტორიაზე ჩრდილო კავკასიულ ადამიანთა კომპაქტური დასახლების შესახებ დაბეჯითებით თქმა ძნელდება, რადგან ასეთი მოსაზრების დაშვებისათვის საჭირო მასალა არ არსებობს. მაგრამ ძვ. წ. III საუკუნიდან, რომ ნამდვილად ადგილი ექნებოდა იმიერკავკასიელთა დასახლებას ქართლის მთიანეთში და, კერძოდ, თუშ-ფშავ-ხევსურეთში, დასტურდება მთელი რიგი მონაცემების მიხედვით.

ქართლის სახელმწიფოს დიდად ესაჭიროებოდა ჩრდილოეთიდან თავდაცვისუნარიანობის საგულდაგულოდ გამაგრება. აქედან მოელოდა ქართლის სამეფოს აშკარა თავდასხმები. მით უმეტეს მისი ჩამოყალიბების პირველ ხანებში, სანამ ის საიმედო ძლიერებას მიაღწევდა. ქართლის სახელმწიფოს მეფეებს ხსენებული საშიშროება, ე.ი. მთიელთა და ჩრდილოეთკავკასიის კვლებსა და სამხრეთ სტეპებში მომთაბარე ტომების „ეს სტიქია... შეეძლოთ არა მარტო უვნებელყოთ, – წერს აკად. გ. მელიქიშვილი – არამედ საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვისაც გამოუყენებინა, თუ მათზე ეფექტურ კონტროლს დააწესებდნენ. მტკიცედ ჩაკეტავდნენ კავკასიონის გადმომსვლელებს, დაიმორჩილებდნენ ან მოკავშირეებად გაიხდიდნენ მთიელებსა და მომთაბარეებს. ადრეული ქართლი, ჩანს, იმდენად ძლიერი სახელმწიფო იყო, რომ ამ ძნელი ამოცანის განხორციელება შეძლო.“<sup>21</sup>

თუშ-ფშავ-ხევსურეთზე იმიერ კავკასიიდან გადმოსასვლელი გზების ჩაკეტვის მიზნით, და საერთოდ ამ კუთხეების საიმედოდ გამაგრების მოტივით, უცხო ტომთა გარკვეული რიცხვის დასახლება უეჭველად შეეხებოდა თუშ-ფშავ-ხევსურეთსაც. თუშ-ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიული აღნაგობა-მდებარეობა ხსენებულ ღონისძიებას ვერ ასცდებოდა. ეს ისეთი გეოგრაფიული ერთეულებია, რომელთა გაძლიერება-განმტკიცებას არსებითი ხასიათის მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელი ქართლის სამეფოსათვის.

ქართლის სახელმწიფოს მოსახლეობის სტრატონისეულ აღწერა-დახასიათებაში მკვეთრად არის განსხვავებული მთისა და ბარის იბერიელები კულტურულ-ეთნიკური და საბრძოლო-სამეურნეო საქმიანობის მიხედვით.<sup>22</sup> ეს განსხვავება სწორედ იბერიის მთიელებში იმიერკავკასიელთა შერევისა და ასიმილირებით უნდა იყოს გამოწვეული და არა იმ ვითარებით, რომ თითქოს და, სტრატონის დროს, ე.ი. ძვ. წ. I საუკუნის მეორე ნახევარსა და ახ.წ. I საუკუნის პირველ მეოთხედში, საქმე გვექონდეს აღმოსავლეთ საქართველოს

<sup>20</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ.27.

<sup>21</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 1970, გვ.458

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 1970, გვ.458

მთიანეთის ტერიტორიაზე იმთავითვე მცხოვრებ ჩრდილო კავკასიური მოსახლეობის გაქართველება-ასიმილირების პროცესთან, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია. იმ დროისათვის ადგილობრივი, ე.ი. ვაინახური მოსახლეობის გაქართველების ასეთი შედეგები არ შეიძლებოდა გვეჩინოდა. მკვიდრ მოსახლეობაში არსებითი ცვლილებების შეტანას, ე.ი. დამსგავსებას საკმაოდ დიდი დრო უნდოდა. მაგალითად, აკად. აკ. შანიძეს რომელსაც წოვა-თუშები და თუშები ვაინახურ მოსახლეობად მიაჩნია და თანაც თუშეთის თავდაპირველ მკვიდრებად, მათი გაქართველება და ქართულად ამეტიყვება XVII საუკუნემდეც კი საეჭვოდ ეჩვენება.<sup>21</sup> რა თქმა უნდა, თუშეთის მოსახლეობისადმი ა. შანიძისეულ მსჯელობაში ყველაფერი მცდარია და მიუღებელი, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, მაგრამ მისი, როგორც ენათმეცნიერის მიდგომა ასიმილირება-დამსგავსების პროცესზე, მის ხანგრძლივობაზე, მისაღები და გასათვალისწინებელია.

სტრაბონამდე რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი საქართველოს კუთვნილებას შეადგენდა და იქ ძურძუკთა დასახლება ქართლის სამეფო ხელისუფლების ნებართვით მოხდა, ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

აკად. გ. მელიქიშვილი ეხება რა საქართველოს ტერიტორიაზე არაქართული წარმოშობის ადამიანთა ცხოვრების შემთხვევებს, შემდეგი შინაარსის სახელმძღვანელო დასკვნას აკეთებს: „შართლაიკ, სისტემატურად პქონდა ადგილი კავკასიონის სამხრეთით წრდილოეთიდან კავკასიელი თუ ოსური მსოიხლეობის გადმოსკლას. ამიტომ უნდა ყოიქროთ, რომ ძველი დროის იბერიაშიც ეს მოსახლეობა ასე გაიწდა, ამასთანავე ნაწილობრივ, შეიძლება, იბერიის ცენტრალური ხელისუფლების სანქცითაც.“<sup>24</sup> და ბოლოს ასკვნის მეცნიერია, რომ: „კავკასიანთა“ გვერდით მთიანეთში ამ დროს, რა თქმა უნდა, იქნებოდა საკუთრივ ქართული მოსახლეობაც.“<sup>25</sup>

აკად. მ. მელიქიშვილი თავის ადრინდელ შრომებშიც და განსაკუთრებით გამოკვლევაში – „К истории древней Грузии“ ბრავალგზის შევზო საქართველოს ტერიტორიაზე ვაინახ-ლეკთა მოსახლეობის საკითხს და ყველგან დასძენს, რომ „ისტორიულად, უძველესი დროიდან მოყოლებული დადასტურებულია ჩრდილო ტომების სამხრეთისაკენ გადმონაცვლების მუდმივად მიმდინარე პროცესი.“ მეცნიერს ხსენებული ვითარების გათვალისწინების საფუძველზე დასაშვებად მიაჩნია განაცხადოს, რომ კავკასიის „ქედის ჩრდილო კალთებზე მცხოვრები ქისტური და დალესტური ჯგუფის ტომები“ ასევე უნდა შემოჭრილიყვნენ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე.<sup>26</sup>

<sup>21</sup> აკ. შანიძე, თუშები, ყურ. „მხათობი“, №12, 1970, გვ.103-106.

<sup>22</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, 1970, გვ.451 (ხაზი ჩვენია, ვ.ე.

<sup>23</sup> იქვე, ხაზი ჩვენია, ვ.ე.

<sup>24</sup> Г. Меликшвили, К истории древней Грузии, 1959, стр. 295. ხაზი ჩვენია, ვ.ე.)

უკანასკნელ ხანს, ჩვენს ქართულ ისტორიოგრაფიაში კი გაჩნდა ზოგიერთი გამოკვლევა თუ ცალკეული წერილები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საყოველთაოდ აღიარებულსა და დადასტურებულ აქსიომას — „წრდილო ტომების სამხრეთისაკენ გადმონაცვლების მუდმივად მიმდინარე პროცესს“ და სურს „დაამტკიცონ“ არა მათი მოსულობის, არამედ აბორიგენობის საკითხი. ერთხელ და სამუდამოდ აღიარებული პროცესის ცალმხრივად გაგებითა და გაუთვალისწინებლობით ზოგიერთი მკვლევარი ეხება რა თუშფშამავ-ხევსურეთის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას და მათი განსახლების საკითხს უშეკვებ მეტად დამაფიქრებელ და აღმამფოთებელ შეცდომებს. ერთხელ და სამუდამოდ გარკვეული საკითხისადმი ასეთი მიდგომით საქმე გვაქვს ისტორიული სინამდვილის გაყალბება-ფალსიფიკაციასთან, რასაც საზოგადოებისათვის დიდი უსიამოვნება მოაქვს და სხვა არაფერი. ხსენებულ უხერხულობათა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, ცალკეული შრომებისა და ავტორების დასახელებით. აქ კი, კვლავ გვინდა, დავუბრუნდეთ საურმაგის მიერ ძურძუკთა გარკვეული რაოდენობის დიდოეთიდან სუანეთამდე დასახლების საკითხს და მასთან დაკავშირებულ ვითარებას, რადგან ამ მოვლენის სწორად გაანალიზება-გარკვევას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხსენებული პრობლემის შესწავლის საქმეში.

ლეონტი მროველი როდესაც ეხება საურმაგის მიერ დურძუკთა საქართველოში გადმოსახლების ამბავს, ხმარობს შემდეგ გამოთქმებს: „წარმოიყვანა“ და „დასხნა მთიულეთს“, რაც იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ ლეონტი მროველის მიერ მოხსენიებული „მთიულეთი“ (მთიანეთი), სადაც მოხდა დურძუკთა დასახლება, საქართველოს კუთვნილებას წარმოადგენდა და მის სახელმწიფო საზღვრებში შემოდიოდა. და თუ ეს ასე არ იყო და საქართველოს მთიულეთი (მთიანეთი) ჩრდილოკავკასიელთა კუთვნილება იყო, რატომ ადრევე არ გადმოსახლდნენ იმიერკავკასიელნი, რად უცდიდნენ ქართლის სამეფო ხელისუფლების ნებართვას? მათ ხომ „ვერღარა იტყველა დურძუკეთი“ და გაჭირვებულად ცხოვრობდნენ.<sup>27</sup>

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი პოლიტიკოსები, ქართველებით დაუსახლებელ „მთიულეთში“ (მთიანეთში) არავითარ შემთხვევაში არ დაასახლებდნენ იმიერკავკასიელებს. ქართლის მთიანეთში ქართველი ტომების დასახლება ხომ ქართლის სახელმწიფოს ესაჭიროებოდა მთავარი კავკასიონიდან გადმოსასვლელი გზების დასაცავად და საერთოდ, ჩრდილოეთის ზღუდის გასამაგრებლად. ქართველებით ქართლის მთიანეთის დასახლების საკითხი ქართლის მეფეთა მიერ იმთავითვე მოგვარებული იქნებოდა, რადგან მას აღმოსავლეთ საქართველოში ქართული სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობა-არსებობისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ყოველთვის. ვინც

<sup>27</sup> ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება. ტ. I, 1955, გვ.27.

იცნობს თუშ-ფშავე-ხევსურეთის გეოგრაფიულ მდებარეობას და მის არა-ჩვეულებრივ ტერიტორიულ სიახლოვეს იმიერ არა ქართველ მთიელებთან, დაგვემოწმება და იტყვის. რომ ქართველებით დაუსახლებელ მთიანეთში ღურძუკთა დასახლებით ქართლის სამეფო ჩრდილოეთის მხრიდან საიმედო ზღუდეს კი არ შეიქმნიდა, არამედ გაერთოლებდა და სასიმ გარემოცვაში მოექცეოდა. განა შეიძლებოდა მათთვის ამდენი ნდობის გამოცხადება? მათ ხომ საურმაგის გარდაცვალებისთანავე „დაივიწყეს სიყვარული ფარნავაზისი და საურმაგისი და გარდმოვიდეს ღურძუკეთს მყოფნი, და გაერთნეს თანა ჭართალეთსა მსხდომნი კავკასიანი. მოტყუენეს კახეთი და ბაზალეთი“. მირიან საურმაგისძეს, როგორც ლეონტი პროველი აღწერს, ქართლში შემოჭრილი ღურძუკნი მხოლოდ დიდი ბრძოლების შედეგად განუდევნია, დაუმარცხებია და თვით ღურძუკეთიც კი აუღია. ამ ბრწყინვალე გამარჯვების წყალობით მირიან მეფე დაეუფლა დარიალას და „შეაბნა კარნი ქვითკირითა და უწოდა სახელად დარუბალ.“<sup>28</sup>

რადგან ქართლის პოლიტიკური მესვეურები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მთიანეთს, როგორც იმიერ კავკასიელ ტომებთან უშუალო შემხვედრ მიწა-წყალს. რა თქმა უნდა. მისი ქართველებით დასახლების შესახებ თავიდანვე საგანგებოდ იზრუნებდნენ და ქართლის მთიანეთის საგულდაგულოდ გამაგრების მრავალ საჭირო ღონისძიებასაც გაატარებდნენ. მთა და ბარი ხომ დასაბამიდანვე განუყოფელი მოსჩანს და ერთიან საქართველოსაც ისინი შეადგენდნენ.

„ქართველი არქეოლოგებიც იმ დასკვნამდე მივიდნენ. – წერს პროფ. ი. მეგრელიძე, – რომ ჩვენი ბარი და მთა არქეოლოგიურადაც ერთიანია.“<sup>29</sup>

დიდი ილიაც ხომ საგანგებოდ ხაზს უსვამს საქართველოს მთლიანობისა და მყარად არსებობისათვის საქართველოს მთიანეთის ღირებულებას, როცა აღნიშნავს – „მთა იყო და მუდამ უნდა დარჩეს ჩვენის ისტორიის ბალავრის ქეაღ“-ო.

აღმოსაკლეთ საქართველოს მთიანეთს, კერძოდ თუშეთს, ჩვენ ადრეც შეეხეთ, საკანდიდატო დისერტაციაში – „თუშეთის სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ფეოდალიზმის ხანაში“. სადაც ერთი თავი სპეციალურად მიუძღვენით თუშეთის განსახლებისა და ეთნიკური შემადგენლობის შესწავლის საქმეს. ხსენებულ საკითხზე მაშინდელი ჩვენი მსჯელობა ემყარებოდა იმ დროისათვის ჯერ კიდევ აქა-იქ არსებულ თეორიას – ქართველთა წინაპრების სამხრეთიდან ქართველობის მოსულობის შესახებ. ამ თეორიიდან გამომდინარე აკად. ივ. ჯავახიშვილი-ლისეული დასკვნები იყო ჩვენი სახელმძღვანელო დე-

<sup>28</sup> ქართლის ცხოვრება. ტ. 1. 1955. გვ.28.

<sup>29</sup> ი. მეგრელიძე, ერთი ნაშრომის ყალბი კონკლუზიის გამო, ურნ. „მნათობი“. №19, 1970. გვ.183.

ბულებები და ამოსავალი. ეყვანობოდით რა განსვენებული დიდი ძეცხიერის ცნობილ დასკვნებს და შეხედულებებს ქართველობაზე საერთოდ და კერძოდ კი თუშებისა და თუშეთის შესახებ, ჩვენის მხრივ დაესძინეთ, რომ: „თუშეთი თუში ტომის თავდაპირველი ადგილსამყოფელი არ არის. თუშთა ტომმა ისეთივე მიგრაცია განიცადა. როგორც დანარჩენმა ქართველმა ტომებმა“.<sup>30</sup> ჩვენი ასეთი მსჯელობა ეყრდნობოდა აკად. ი. ჯავახიშვილის ცნობილ დებულებას ქართველთა მოსულობის შესახებ: „კავკასიაში პირველად ის ტომები უნდა მოსულიყვნენ, რომელნიც ისტორიულად კარგად ცნობილს დროში დანარჩენებზე ჩრდილოეთით ბინადრობდნენ. მაშასადამე, ჯერ აფხაზები, აფშილები, სუანები, თუშები და სხვა მთიულები, შემდეგ კოლხები, კასხები.“<sup>31</sup>

თუშეთში გავრცელებული ზოგიერთი მესხური წარმოშობის ტოპონიმის საფუძველზე, როგორიცაა: ტაო, ჯაჯახე, სამცხიე (ხამცხე), ორეთაი, ორეთის მთა, თუშეთში არსებულ წარმართულ სალოცავ – „ჯაჯახობა“ – „ჯაჯახეთობა“ – ზე და ეთნონიმ „მოსიქ“ – ზე დაყრდნობით („მოსიქ“ – ებს, „მოსხ“ – ებს დიდო ლეკები თუშებს ეძახდნენ და ლეკები ახლაც მათ, გამოწკლის შემთხვევაში, ამავე სახელით იხსენიებენ), თუშები წარმომავლობით დაუკავშირეთ უძველეს ქართულ ტომს – „მუშქ“-ს, „მუშქ“-ების, „მოსხ“-ების, „მესხ“-ების განსახლების საზღვრები, როგორც აკად. გ. მელიქიშვილმა გამოარკვია, საქართველოს დიდ ტერიტორიას მოიცავდა და მრავალგან იჩინა თავი მისმა აშკარა ნაკვალევმა, მათ შორის, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეც. „მესხური სამოსახლოები. – წერს აკად. გ. მელიქიშვილი, – სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ბევრ ადგილას განწდა.“<sup>32</sup> არ არის გამორიცხული, რა თქმა უნდა, მესხურ მოსახლეობას თუშეთშიც შეეღწია, და თავისი ნაკვალევიც სწორედ ასეთი გზით დაეტოვებინა. მაგრამ ეს მესხური მოსახლეობა არ უნდა ჩავთვალოთ თუშეთის თავდაპირველ მკვიდრებად, როგორც ეს საკანდიდატო შრომაში და ავტორეფერატში გვაქვს მოცემული,<sup>33</sup> რადგან მათი მიგრაციის პროცესი ქართლის მთიანეთის დასახლებიდან დიდი ხნით გვიან მომხდარი ვითარებაა. აკად. გ. მელიქიშვილი შენიშნავს, რომ ჯერ კიდევ ენეოლითის („სპილენძ-ქვის“ ხანის) დროს საქართველოს მთიანეთი უკვე მჭიდროდ დასახლებული ყოფილა. იგი წერს: „იმ დროს (ე.ი. ენეოლითის ხანაში – ე.ე.) საქართველოს თითქმის ყველა

<sup>30</sup> ვ. ელანიძე, თუშეთის სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ფეოდალიზმის ხანაში, საკანდ. დისერტაცია (ხელნაწერი). 1968, გვ.15.

<sup>31</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1960, გვ.15

<sup>32</sup> ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, ტ. I, 1958, გვ. 51

<sup>33</sup> В. А. Эланидзе, Социально-политическое развитие тушетин в эпоху феодализма. автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук. Тбилиси, 1968 г., стр.5

კუთხე, და მათ შორის მთიანეთიც, უკვე საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ჩანს.<sup>14</sup>

თუშეთში (და საერთოდ აღმ. საქართველოს მთიანეთში) თავდაპირველი მოსახლეობის შესახებ ჩვენს ადრინდელ მოსაზრებას დღეისათვის ქართული არქეოლოგიისა და ისტორიულ მეცნიერებათა ახალ-ახალი მიღწევების საფუძველზე ყოველგვარი ნიადაგი გამოცლილი აქვს. და ეს ითქმის არა მარტო თუშ-ფშავ-ხევსურეთის, არამედ მთელი საქართველოს შესახებ. ჩვენში დამკვიდრდა, სრულიად კანონზომიერად და დროულად ქართველთა ადგილობრივი წარმომავლობისა და საქართველოს ტერიტორიის განსახლების შესახებ ახალი თეორია, რომელმაც მთელი რიგი საკითხების ახლებურად გაშუქება მოითხოვა. მრავალ საკითხთა შორის ერთ-ერთი საინტერესო საკითხი გახლავთ საქართველოს მთიანეთის თავდაპირველი განსახლება — ეთნიკური წარმომავლობის ისტორიის ახსნა, რადგან, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჩვენს თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში და საქართველოს საზღვრებს გარეთაც, გაჩნდა ზოგიერთი გამოკვლევა, რომელთა მიხედვითაც გამოდის, რომ საქართველოს მთიანეთის ზოგიერთი კუთხე და ნაწილი თურმე თავიდანვე ქართველების კუთვნილება არ ყოფილა, იქ მათ თურმე თავიდანვე არ უცხოვრიათ და შემდგომშილა დაუკავებიათ ხსენებული ტერიტორიები. სწორედ ამ ახალ მოსაზრებათა გამო იყო, როცა განცვიფრებული პროფ. ი. მეგრელიძე წერდა: „თურმე, ქართველი მთიელებისათვის დამახასიათებელი თავისებურება ყოფილა სხვისი მიწა-წყლის მიტაცება.“<sup>15</sup>

საქართველოს მთიანეთზე წლების მანძილზე მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ საქართველოსათვის მთა ისევე განუყოფელი ნაწილია, როგორც მისი ბარი. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურება, კერძოდ ის, რომ ყველა ბარს თავისი მთა აქვს და ეს იყო საქართველოს ძლიერებისა და ეკონომიკურ-პოლიტიკური გადარჩენის ერთ-ერთი უდიდესი და უმთავრესი წყარო. არ შეიძლება ეკონომიკური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით მთიანეთი თავიდანვე ათვისებული არ ყოფილიყო. მთამ ზომ ენოლითის ეპოქაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ბართან შედარებით. ეს არის ხანა, როდესაც დედისეული გვარი იცვლება მამისეული გვარით. მატრიარქალური გვარიდან პატრიარქალურ გვარზე გადასვლა იყო დიდი პროგრესი, წინ გადადგმული ნაბიჯი, რაც გამოიწვია მესაქონლეობის განვითარებამ. „მესაქონლეობა განსაკუთრებით ვითარდება მთაში. — შენიშნავს აკად. გ. მელიქიშვილი, — სადაც იგი თანდათან ზოგიერთი ტომის ძირითად სამეურნეო საქმიანობად

<sup>14</sup> ნ. ბერძენიშვილი. ვ. დონდუა. მ. დუბაძე. გ. მელიქიშვილი, შ. მესხია. პ. რატიანი. საქართველოს ისტორია, ტ. I. 1958, გვ.51. ო. ჯაფარიძე. კავკასიის უძველესი მოსახლეობის კულტურული და ეთნიკური ერთობის საკითხისათვის. ურნ. „მნათობი“ №3. 1972. გვ.134.

<sup>15</sup> ი. მეგრელიძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 183

იქცევა.“<sup>36</sup> გეაროვნული საზოგადოებრივი წყობილების განვითარების ამ პროცესს, რა თქმა უნდა, დღეს თუშ-ფშავ-ხევსურეთად წოდებული მთა ვერ ასცდებოდა. იგი თავისი ძლიერი საძოვრებით უხვად იქნებოდა გამოყენებული ენოლითისა და შემდგომდროინდელ ეპოქებში. მთაში მესაქონლეობის განვითარება მოსახლეობის მიზიდვასაც შეუწყობდა ხელს. სწორედ ამ ვითარებას უნდა გამოეწვია, რომ ენოლითის ეპოქაში, როგორც აკად. გ. მელიქიშვილი შენიშნავს, საქართველოს მთიანეთი მჭიდროდ დასახლებული ყოფილიყო.<sup>37</sup>

ენოლითის ეპოქა, მიუხედავად მისი პროგრესიულობისა, წინამორბედ ეპოქებთან შედარებით, მეტად ხანმოკლე იყო და სწრაფად შეიცვალა. თვითნაბადი სპილენძისაგან ცივი ჭედვით დამზადებული იარაღები აღამიანთა გაზრდილ მოთხოვნილებებს ვეღარ აკმაყოფილებდა. საჭირო იყო ახალი ლითონის გამოგონება, რომლისგანაც დამზადებული საბრძოლო და სამეურნეო იარაღები უფრო საიმედო იქნებოდა. ძვ. წ. IV-III ათასწლეულთა მიჯნაზე საქართველოს მოსახლეობა ბრინჯაოს ხანაში გადავიდა. ბრინჯაოს კულტურამ საქართველოში ბრწყინვალე განვითარებას მიაღწია; იგი ამ კულტურის კლასიკურ ქვეყნად გვევლინება. ბრინჯაოს ეპოქის შუა და გვიან ხანაში ხდება ტომთა კავშირების ჩამოყალიბება. ხსენებულ წარმატებებს მოყვა ჩვენს ქვეყანაში რკინის კულტურის გაჩენა. პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევა, ქონებრივი დიფერენციაცია და ბოლოს ადრეკლასობრივი სახელმწიფოების – კოლხეთის (ეგრისის) და იბერიის (ქართლის) წარმოქმნა. კოლხეთისა და ქართლის სახელმწიფოების წარმოქმნის შემდგომ საქართველოს მთისა და ბარის ერთიანობა უკვე აშკარა გახდა. საჭიროებამ მოითხოვა სახელმწიფოთა საზღვრების დადგენა და მასში შემავალი ცალკეული კუთხეებისა და მოსახლეობის აღნიშვნა. ძვ. წ. IV-III საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბებულ ქართლის სახელმწიფოში მისი მთიანეთი უყოყმანოდ იქნა შეტანილი. საერისთავოებად დაყოფილ ქართლში თუშ-ფშავ-ხევსურეთიცაა გაერთიანებული, რაც იმის მანიშნებელია, რომ იგი მისი განუყოფელი მიწა-წყალია და დასახლებულია ჯერ კიდევ საურმაგის მიერ ძურძუკების გადმოყვანამდე. მთიელთა ცხოვრება არც მას შემდგომ შეწყვეტილა. ქართველი მთიელების თუშ-ფშავ-ხევსურეთში ცხოვრების შესახებ ქართულ წყაროებთან ერთად აღნიშნავენ ბერძნულ-რომაული წერილობითი ძეგლებიც. მოყოლებული ძვ.წ. IV-III საუკუნეებიდან, როდიდანაც უკვე წერილობითი ცნობები გაჩნდა თუშ-ფშავ-ხევსურეთზე, ქართლის მთიანეთს არასდროს არ შეუწყვეტია ყოფა-ცხოვრება და იგი ყოველთვის ბარელ თანამემამულეთა საიმედო დარაჯი და თავშესაფარი იყო.

<sup>36</sup> ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, ტ. I, 1958, გვ.13.

<sup>37</sup> იქვე, გვ.12



ბუნებრივად ისმება კითხვა, თუ საქართველოს მთიანეთი მის ბართან ერთად, ენეოლითის ეპოქაში უკვე მჭიდროდ დასახლებული იყო და არც მას შემდგომ ჩამოსცილებია იგი საერთო ქართულ ცხოვრებას, ქართულ სამყაროს და ზოგ დროს კი პირიქით უფრო იზრდებოდა კიდევ მისი ავტორიტეტი, რომელზეც ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი, როდისღა უნდა მომხდარიყო თუშ-ფშავ-ხევსურეთის დასახლება ჩრდილოკავკასიელი ტომებით (ვაინახებით)?! როდის იყო იგი უკაცრიელი და დაუსახლებელი, რომ პრეისტორიულ თუ შემდგომ ხანებში მათს დასახლებას აქ ადგილი ჰქონოდა, ხოლო შემდგომში ფშავ-ხევსურეთიდან ქართველებს განდევნით ვაინახები და თვითონ დაეკავებინათ განდევნილთა მიწა-წყალი და სხვა?! მაგალითად, ყოვლად დაუჯერებელია ზოგიერთთა მსჯელობა, რომ თითქოს თუშეთში დასახლებული ვაინახები გაქართველებულიყვნენ და მიეღოთ ისეთი შინაარსი, როგორც დღეს ჩვენ მათ ვიცნობთ. თუშების (ჩალმა-თუშების) და წოვების (წოვა-თუშების) სახით. ბევრს ჩვენი ამდაგვარი მსჯელობა ზღაპრად მოეჩვენება, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ყოველივე სინამდვილეა და ჩვენ არაფერს არ ვაზვიადებთ და არც ვაჭარბებთ. პროფ. თ. ოჩიაურს აკად. აკ. შანიძეს და ზოგიერთ სხვა მკვლევარებსაც თუშ-ფშავ-ხევსურეთის წარსული ასეთნაირად ესახებათ და, ჩვენდა საუბედუროდ, ზოგ ზოგებს დღესაც აწუხებთ მსგავსი აზრები და იდეები.

ჩვენ გვიძიმის და გვეუსერხულება კიდევ ხსენებულ უზუსტობათა შესახებ აშკარა მსჯელობა და ფრჩხილების გახსნა, მაგრამ იმის გამო, რომ ხსენებული უხერხულობანი პირდაპირ ჩვენს საკვლევ თემასთანაა სისხლხორცეულად დაკავშირებული და აგრეთვე ვგრძნობთ რა, რომ საქმე გვაქვს მეტად სერიოზულ შეცდომასთან. რაც საერთო ქართულ შინაარსს ღებულობს, თავს ვალდებულად ვთვლით შევეხოთ მოხსენიებულ და ზოგიერთ სხვა მეცნიერ-მკვლევართა ზემოთ აღნიშნულ დამოკიდებულებას თუშ-ფშავ-ხევსურეთის წარმომავლობა-განსახლების შესახებ და მკითხველს ვაჩვენოთ ამ სფეროში შინაურთა და უცხოელთა მიერ ყოვლად დაუფიქრებელი მოქმედებით შექმნილი უბინძურესი ვითარება.

თ. ოჩიაურის მონოგრაფიიდან. რომელსაც ჩვენ ვეხებით – „მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“ (1967წ.) თავიდანვე მიიქცია მკითხველი საზოგადოების ყურადღება, რასაც მოყვა კიდევ სათანადო გამოხმაურება. პროფ. ი. მეგრელიძემ ჟურნ. „მნათობში“ (№9), 1970 წელს გამოაქვეყნა თ. ოჩიაურის ნაშრომის ირგვლივ საკმაოდ ვრცელი რეცენზია.<sup>18</sup> რეცენზენტის ნაშრომის ყველა ნაკლოვან მხარეს ეხება და თან საინტერესო დასკვნებს აკეთებს ამა თუ იმ მუურაცხმყოფელ მსჯელობათა და ყოვლად უსაფუძვლო ბრალდებათა შესახებ. პროფ. ი. მეგრელიძის მიერ

<sup>18</sup> ი. მეგრელიძე. ერთი ნაშრომის ყალბი კონცეფციის გამო. ჟურნ. „მნათობი“. №19. 1970. გვ.181-186

მაღალ აკადემიურ დონეზე შესრულებულმა რეცენზიამ ჩვენ დიდი დახმარება გავეწია და გავკვიდვილა კიდევ ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარკვევა-დაზუსტება, რაც ხსენებულ გამოკვლევაში, უდავოდ, სრულიად შებრუნებულად არის წარმოდგენილი.

თ. ოჩიაურის შრომიდან ჩვენთვის, ამჯერად, ინტერესს იწვევს მისი მოსაზრებანი და დასკვნები თუშ-ფშავ-ხევსურეთის, და განსაკუთრებით, ფშავ-ხევსურეთის, ზოგიერთი მხარეების თავდაპირველი დასახლების შესახებ. იგი სწორედ ამ საკითხზე მსჯელობისას, სრულიად დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ უშვებს სერიოზულ შეცდომებს.

საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის თუშ-ფშავ-ხევსურეთი ისტორიულად გულთან და სულთან გათანაბრებული სიყვარული და კუთვნილება იყო და დღესაც ასე არის. ბარელ თანამემამულეთა მუდამ საიმედო დარაჯად ყოფნამ, გაჭირვების ქამს დედა-სამშობლოსათვის ქუდზე კაცის გამოყვანამ და შეუდარებელმა ბრძოლებმა შემოსეული მტრების წინააღმდეგ თუში, ფშაველი და ხევსური უზომოდ შეაყვარა ქართველ ერს; საუკუნეთა მანძილზე რამდენი მადლობა უთქვამთ საქართველოს ბარის მკვიდრთ ამაყი და ზვიადი მთავარი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე მობინადრე მთიელი თანამემამულეთათვის. ქართველი მთიელებისადმი ყველა ქართველი კაცის გულუხვი სიყვარული ბრწყინვალედ გამოხატა ჩვენმა სასიქადულო პოეტმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა, როცა იგი თუშთა გმირობა-ვაჟკაცობით აღფრთოვანებული მიმართავდა თუშებს:

„ნაუნჯნი ყმანიც მეფისა, თუშები მოულალავნი,  
სდევნიან მტერთა მძვინვარედ, ვით მგელნი მცხვართა მლალავნი!  
თქენი ჭირიმე, თუშებო, ბიჭობა თქენი ქებულა,  
მახვილი თქენი მარადის დაღისტნელთ ქედზე ლესულა!“

ასე ელოლიავებოდა და ესიყვარულებოდა მთელი საქართველოს ბარი თავის ერთგულსა და განუყოფელ მთასა და მთიელებს. და ეს იყო, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი სწორი და კანონზომიერი შედეგი მთისა და ბარის ურთიერთობისა და თანაცხოვრებისა. ვინ არ შეხებია თუშ-ფშავ-ხევსურეთს, უცხოელი თუ შინაური, რამდენი რამ არ თქმულა ამ კუთხეების შესახებ, მაგრამ ვის მოსვლია აზრად, რომ თუშები წარმოშობით ქართველები არ არიანო, რომ ისინი ვაინახები არიან, გვიანლა გაქართველდნენ და ნახევარმაღა (წოვა-თუშებმა) შემოინახესო მშობლიური (წოვური) ენა, ხოლო თუშების ნახევარმაღა, ამჟამად ე.წ. ჩალმა-თუშებად წოდებულმა თუშებმა კი წინაპართა ენა დაივიწყეს და საკმარად მოგვიანებითლა შეთვისებულ ქართულ ენაზე ლაპარაკობენო. თუშეთისადმი ასეთი აშკარა, გამოკვეთილი და ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებად აღიარებული მიდგომა მხოლოდ აკად. ა. შანიძესთან გვხვდება;<sup>39</sup>

<sup>39</sup> აკ. შანიძე, თუშები. ჟურნ. „მნათობი“. 1970, №2.

ასეთი რამ არც ფშავ-ხევსურეთისათვის უკადრებით. პირველმა თ. ოჩიაურმა შემოიტანა მეცნიერებაში „ახალი მოსაზრება“ ფშავ-ხევსურეთის განსახლების შესახებ, რომელიც გვიმტკიცებს, რომ ხევსურეთისა და ფშავის ზოგიერთი ადგილები, ხოლო ზოგჯერ კი მთელი აღმოსავლეთი საქართველოს მთიანეთი თურმე თავიდანვე საქართველოს არ ეკუთვნოდა და იქ ვაინახები ცხოვრობდნენო. შემდგომშილა, ე.ი. მოგვიანებით ბარიდან ასულმა ქართველებმა ამ ადგილებიდან ჩეჩენ-ქისტები განდევნეს და მთლიან ხევსურეთსა და ფშავს ქართველები დაუფლენო.<sup>40</sup>

როგორც თვით მონოგრაფიის სახელწოდებიდანაც ჩანს – „მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“ პატივცემულ მკვლევარს აინტერესებს შეისწავლოს მთიელებში შემორჩენილი მითოლოგიური ხასიათის თქმულებები და ამ თქმულებათა ანალიზის საფუძველზე „დაადგინოს“ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის განსახლების ეთნიკურობის საკითხი. ავტორს ამ მიმართულებით დიდხანს უბუშავია და მრავალი გადმოცემაც ჩაუწერია ქართველ მთიელებში. მკვლევარი იძლევა ამ გადმოცემათა ახსნას, რადგან თვით თ. ოჩიაურს ღრმად სჯერა, „...რომ ამ გადმოცემებს რეალური სინამდვილე აძლევს დასაბამს.“<sup>41</sup> ამ რწმენიდან გამომდინარე იგი წერს: „...ჩვენ შევეცდებით თქმულების ცალკეული მხარეების განხილვის საფუძველზე აღვადგინოთ ის სურათი, რომელიც ამ გადმოცემის წარმოშობას უნდა დასდებოდეს საფუძველად.“<sup>42</sup>

მთაში, კერძოდ ფშავ-ხევსურეთში, ჩაწერილ თქმულებებში საუბარია დევებზე, ქაჯებზე, რომლებიც თ. ოჩიაურს „რეალურად არსებულ ხალხად“ მიაჩნია და არა „ზღაპრულ დევებად.“<sup>43</sup> პატივცემული მკვლევარის განმარტებით თქმულებებში ასახული დევები და ქაჯები ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიაზე დასახლებული ჩრდილოკავკასიელი მოსახლეობაა, ე.ი. ქისტები, ჩეჩნები და სხვა. აღნიშნულის შესახებ განმარტავს მკვლევარი: „დევკერპების სახელს ამოფარებული ჩანს სწორედ ის ჩრდილოკავკასიური მოსახლეობა, რომელიც გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში ბინადრობდა ჩვენს მთაში ქართიკულ მთიელებთან ერთად.“<sup>44</sup>

თ. ოჩიაური შრომაში რამდენჯერმე ასახელებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დევკერპთა და ქაჯთა დასახლებულ ადგილებს და ცდილობს რაც შეიძლება უფრო სრულყოფილად წარმოგვიდგინოს მათი სია. შრომის დასკვნით ნაწილში აჯამებს ამ ადგილებს ერთად და ასკენის, რომ „თქმუ-

<sup>40</sup> თ. ოჩიაური. მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967. გვ.20-23, 71-87.

თ. ოჩიაური, დასახლებული ნაშრომი. გვ.20.

იქვე, გვ.21.

<sup>41</sup> იქვე, გვ. 36.

<sup>44</sup> იქვე, გვ. 36, ხაზი ჩვენი. ა.ე.

ლებს ცალკეული ვარიანტების შესწავლის შედეგად მიახლოებით ხერხდება მოგზაზოთ ის ტერიტორია, რომელიც დეკებს უნდა სჭეროდათ. ასეთად ისახება ივრის ხეობის სათავეები (ბაცალი, ხაშარი, ქუსხევი, კორსაგი, ბერელთანა, ისინჭა). ფშავის არაგვის ხეობის ზედა ნაწილი (მორიაულთა, კართანა, შუაფსო, უკანაფშავი, ახადი), პირაქით ხევსურეთში ლიქოქისა, უკენახოსა და რომის ხეობები, გუდამაყარში საკერპოს მიდამოები.“<sup>45</sup>

თ. ოჩიაურს პირიქით ხევსურეთში ვერ მოუძებნია ისეთი თქმულება, სადაც ლაპარაკი იქნებოდა ამ მხარეში დეკების ცხოვრების შესახებ. ეს ვითარება გახდა ამოსავალი მკვლევარისათვის, რომ ეთქვა: „საყურადღებოა, რომ დეკ-კერპოთა ცხოვრების შესახებ გადმოცემები არ გვხვდება კავკასიონის ქედს გადაღმა მდებარე პირაქით ხევსურეთში (არხოტისა და შატილ-მიღმახევის ხეობები). რაც ადასტურებს ხალხში შემონახულ ცნობებს ხსენებულ მხარეში თავდაპირველად არაქართველი მოსახლეობის არსებობის შესახებ.“<sup>46</sup>

თუშ-ფშავ-ხევსურეთში დეკების ცხოვრების შესახებ თ. ოჩიაურის მიერ გამოთქმული დასკვნებიდან გამომდინარე, რომ ფშავ-ხევსურეთის უდიდესი ნაწილი ქართველ მთიელებთან ერთად ქისტ-ჩაჩნებითაც ყოფილა დასახლებული, ხოლო გარკვეული ნაწილი კი, კერძოდ პირიქით ხევსურეთი, მხოლოდ და მხოლოდ ქისტ-ჩაჩნების კუთვნილება ყოფილა და იქ ქართველებს თავდაპირველად არც უცხოვრიათ.

თ. ოჩიაური საკმაოდ დიდ დროს ანდომებს თქმულებებიდან იმ ბრძოლების გადმოცემას, რაც ჰქონიათ ფშავ-ხევსურეთში მცხოვრებ დეკებსა და ქართველ მთიელებს. დეკებისაგან (ქისტ-ჩაჩნებისაგან) „შეწესებულმა მთიელებმა, — შენიშნავს პატ. მკვლევარი, — შესოსოყეს თავიანთ სალოცავებს დახმარება დეკთა ვანდევან-განადგურებაში. დეკთმეფილებმა ისმინეს თავიანთი ყმების თხოვნა და მორიგე ღმერთის კარზე შეაკრიბნენ სათათბიროდ. მორიგე მისმინა ხალხის კედრება და დეკ-კერპოთა განადგურება გადაწყვიტა. წინამძღოლის ასარჩევად დეკთმეფილებმა ძალაში გამოსცადა. შეჯამრებაში გამარჯვება იახსარისა და კომალას ერგოთ და დეკთა ამოწვევტის თაოსნობაც მათ დაეკისრაო.“<sup>47</sup>

სათანადო მომზადების შემდეგ, როდესაც საბრძოლველად გამზადებულ ფშავ-ხევსურთ უკვე ხელმძღვანელებად საკუთრივ სალოცავები ჩაუდგნენ სათავეში „...შეუტოეს დეკებს, გაანადგურეს და მათ ნასადგურალს თვითონ დაეპატრონნენ. აქამდე ხილულა დეკები უხილავ არსებებად იქცნენ და სამუდამოდ მიატოვეს ოდესღაც მათი კუთვნილი ტერიტორია.“<sup>48</sup>

<sup>45</sup> თ. ოჩიაური, დასახლებული ნაშრომი გვ.131, ხაზი ჩვენია, ვ.ე.

<sup>46</sup> იქვე. გვ. 131, ხაზი ჩვენია, ვ.ე.

<sup>47</sup> იქვე. გვ.21. ხაზი ჩვენია, ვ.ე.

<sup>48</sup> იქვე. ხაზი ჩვენია, ვ. ე.

მართალია, მკვლევარი ამ შემთხვევაშიც ეხება რა იგი ფშავ-ხევსურეთიდან დევ-კერპთა განდევნის საკითხს. სარგებლობს ფშავ-ხევსურეთში გავრცელებული გადმოცემებით და თავის მხრივ თითქმის არაფერს უმატებს, რაც, რა თქმა უნდა, არც იწვევს რაიმე უხერხულობას ავტორის მისამართით. მაგრამ ავტორისეული დასკვნები ამ ბრძოლების შესახებ, სადაც ჩანს, რომ მას ეს ყოველივე სჯერა და ამ ზოცვა-ჟღერებაში იგი წარსულში მომხდარი სინამდვილის ანარეკლს ხედავს, განცვიფრებას იწვევს და ძნელი ხდება მისი გაზიარება და დაჯერება. განა შეიძლება გაზღაპრებულ თქმულებებში რაიმე სინამდვილის დანახვა? რა თქმა უნდა. არა. მაგრამ თ. ოჩიაურს ეს ყოველივე ღრმად სჯერა და ამბობს კიდევ: „დასახელებული თქმულება ისეთ ელემენტებს შეიცავს, რომლებიც ჩვეულებრივ ზღაპრულ ჩარჩოებს სცილდება და მას ისტორიული მნიშვნელობის გადმოცემად წარმოგვიდგენს.“<sup>49</sup>

პატივცემული მკვლევარი ყოველგვარი კრიტიკული მიდგომის გარეშე იყენებს თქმულება-გადმოცემებს და არსად არ ცდილობს მათს ახსნას ისტორიულ მოვლენებთან კავშირში. იგი კონკრეტულად არ მიუთითებს თუ როდის უნდა ეცხოვრათ ასე გულუხვად დევებს (ჩეჩენ-ქისტებს) ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიაზე და ან დროის რომელ მონაკვეთში უნდა განედევნათ დევ-კერპები ქართველ მთიელებს? მკვლევარი გაურბის საუკუნეების დასახელებას და ყოველთვის ხმარობს გამოთქმას – „გარკვეული დროის მონაკვეთში“ და სხვა. ასეთ ურთულეს საკითხებზე მსჯელობა კი, როგორცაა ხალხთა გადასახლება-გადმოსახლებისა და ურთიერთ დამოკიდებულების საკითხები, მოითხოვს საიმედო საბუთიანობას. ფრთხილ და მრავალმხრივ შეწონასწორებულ მიდგომას და ლოგიკურ დასკვნებს. „ისტორიის საკითხებზე ასეთ ზოგადად, უთარილო განცხადებებს. – შენიშნავე პროფ. ი. მეგრელიძე, – არავითარი ფასი არა აქვს.“<sup>50</sup>

ქართველი ერის საამაყო ისტორიის – „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე მრავალი საიმედო და ძვირფასი ცნობა არის შემონახული საქართველოსა და ჩრდილოკავკასიის ურთიერთობის თაობაზე. ქართული საისტორიო მწერლობა იმიერკავკასიელ მკვიდრთ იცნობს ჯერ კიდევ ძვ. წ. საუკუნეებში, მაგრამ მათ ასახელებს არა დევებსა და ქაჯების სახელებით, არამედ, როგორც დურძუკებს, ღლიღვებს, ქისტებს. ოსებს. დიდურებს (დიდოებს), ლეკებს და სხვა. შესანიშნავად იცნობდნენ მთიელი ქართველები მეზობელ ტომებს და უმეტესწილად კარგი ურთიერთობაც ჰქონდათ საუკუნეების მანძილზე. ისინი ერთიმეორეს მიმართავდნენ საკუთარი სატომო სახელებით და არა დამამცირებელ-შურაცხმყოფელი ეპითეტებით: დევი, დევ-კერპი, ქაჯი და სხვა.

<sup>49</sup> იქვე, ხაზი ჩვენია, ვ.ე.  
ი. მეგრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ.181.

ჩვენმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ, ეყრდნობა რა ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, ლინგვისტურ, არქეოლოგიურ, ანთროპოლოგიურ, ტოპონიმიკურ და სხვა მდიდარ მასალას, დღეისათვის შესძლო ფართოდ წარმოედგინა ის სანტიერესო და მრავალსაუკუნოვანი ისტორია, რაც დაკავშირებული არის ქართველებთან და ჩრდილოკავკასიის ხალხებთან. იმ ძვირფას გამოკვლევებსა და შრომებში, რომელთა შესახებაც ჩვენ ნაწილობრივ გვქონდა საუბარი, განხილული არის საქართველოსა და ჩრდილოკავკასიის ურთიერთობის ყველა სფერო. ხსენებულ შრომებში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი ქართველებისა და იმიერკავკასიელების კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის დამადასტურებელი ფაქტებისა და მოვლენების ახსნას. ყველა შრომას წითელ ზოლივით გასდევს საქართველოს ტერიტორიაზე ვაინახურ-დაღესტნური ტომების ცხოვრებისა და მრავალ საუკუნეთა მანძილზე საქართველოს მთასა და ბარში მთიელთა ჩამოწოლა-გადმოსახლების ისტორიული სინამდვილის ახსნა-განმარტება. და ამ გამოკვლევებში არსად ისეთი ზოცვა-ფლექტა ქართველებსა და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ იმიერკავკასიელებს შორის არ არის დადასტურებული, როგორც თ. ოჩიაურის ნაშრომშია. სინამდვილეში ასეთი რამ არც იქნებოდა, რადგან საქართველოს მთასა და ბარში იმიერკავკასიელთა გადმოყვანა-დასახლების საქმეს თვითონ ქართლის სამეფო კარი ხელმძღვანელობდა და ეს საკითხი სახელმწიფო მნიშვნელობას ატარებდა. თუშ-ფშავ-ხევსურეთის, გუდამაყრისა და მდინარე ივრის ტერიტორიაზე მცხოვრებ ჩრდილოკავკასიელებსაც, თუკილა ისინი აქ ნამდვილად ცხოვრობდნენ და ქართველი მთიელები მათთან ურთიერთობის ტრადიციას უღალატებდნენ, საქართველოს მეფეები თვითონ მოუვლიდნენ და საქმეს იქამდის არ მიიყვანდნენ, როგორც ეს გადმოცემა-თქმულებებში არის მოცემული. ქართველი ერის ისტორია ზომ ამ მხრივ მრავალ მაგალითს იცნობს. ჩვენს მიწა-წყალზე მცხოვრებ უცხოელებს ჩვენი წინაპრები თუ სახელმწიფო კარი ყოველთვის გულუხვად უმასპინძლდებოდა და მფარველობის კალთას აფარებდა. როდის ყოფილა, რომ საქართველოს მთასა თუ ბარში დასახლებული იმიერ კავკასიელები გაგვედევნოს, გაგვეულიტოს, პირიქით, უხსოვარი დროიდან მათს გადმოსვლა-დასახლებას საქართველოს ტერიტორიაზე ჰქონდა ინტენსიური ხასიათი, ისინი მყუდროდ ცხოვრობდნენ ქართველების მეზობლად, ბევრი მათგანი გაითქვიფა-გაქართველდა კიდევ, ხოლო ზოგიერთმა კი დღემდის შემოინახა თავისი წარმომავლობის დამადასტურებელი მთელი რიგი ელემენტები (ენა, ეთნოგრაფიულ-ანთროპოლოგიური ნიშნები და სხვა).

როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, თ. ოჩიაურთან არ არის განსაზღვრული თუ როდის განდევნეს ფშავ-ხევსურებმა ქისტ-ჩეჩნები. ამიტომ მას უფლება აქვს განაცხადოს, რომ დევების ცხოვრება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში და ბრძოლები ქართველ მთიელებსა და დევებს შორის იყო მანამდე,

სანამ ქართლის სახელმწიფო ჩამოყალიბდებოდა და ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები ამ მოვლენას საკადრის ყურადღებას მიაქცევდნენო. ამ შემთხვევაში, ვინ იყო გამკითხავი, ვინ ვის მოკლავდა და სხვა.

საქართველოს ტერიტორიაზე ვაინახურ-დაღესტნური ტომების ცხოვრება, როგორც აკად. გ. მელიქიშვილი შენიშნავს „ჯერ კიდევ გვიანი ბრინჯაოს ხანაში უნდა ყოფილიყო“. მაგრამ ისტორია არ იცნობს თუ იმ დროს და ან შემდგომ, კერძოდ ძვ. წ. III საუკუნემდე, როგორ ურთიერთობაში იყვნენ ქართველი და ვაინახურ-დაღესტნური ტომები. ყოველშემთხვევაში, მათ შორის ბრძოლების არსებობის საწინააღმდეგოდ უნდა მეტყველებდეს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ვაინახურ-დაღესტნური ტომების გაქართველება-ასიმილირების დამადასტურებელი მდიდარი ტოპონომიკურ-ენობრივი დანალექი.<sup>51</sup>

მართალია, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული მითოლოგიური გადმოცემებითა და თქმულებით არ ხერხდება გულდამყარ-ფშავ-ხევსურეთში ქისტებისა და ჩეჩნების (გადმოცემათა ერთ-დეკებისა და ქაჯების) ცხოვრებისა და მათ შორის გამართული ბრძოლების დროის განსაზღვრა, რადგან გულდამყარ-ფშავ-ხევსურეთში ქართველი მთიელები უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ და ვინ იცის როდის შეიქმნა ესა თუ ის თქმულება-გადმოცემა. მაგრამ თუ ერწო-თიანეთში ჩაწერილ თქმულება-გადმოცემების გაჩენის დროს გავარკვევთ, დაერწმუნდებით, რომ ზოგიერთ ქართველ ეთნოგრაფთა მიერ რაღაც საიმედო წყაროდ მიჩნეული თქმულება-ზღაპრები საკმაოდ გვიან უნდა იყოს შექმნილი.

ერწო-თიანეთის ტერიტორიაზე დევთა ნაცხოვრები ადგილები სამეცნიერო ლიტერატურაში შემდეგნაირადაა ლოკალიზებული: „იერის ხეობაზე დევ-კერპთა სოფლები ყოფილა: ბაჩალში, ხაშარში, ქუშხეცში, კორსავში, ბერელ-თანას, იხინჭაში. ამ პუნქტებიდან ზოგიერთი სოფელი გადმოცემებშია მოხსენიებული, — წერს თ. ოჩიაური, — ზოგან კი ძველი ნასახლარებია შემორჩენილი, რომელთაც ადგილობრივი მკვიდრნი დევთა კუთვნილებად მიიჩნევენ.“<sup>52</sup>

„ქართლის ცხოვრებისა“<sup>53</sup> და ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ს<sup>54</sup> მიხედვით გარკვეულია, რომ ერწო-თიანეთს გეოგრაფიულ-ტომობრივი თვალსაზრისით არავითარი კავშირი არა აქვს ფშავთან და ფშაველებთან. შემდგომში ეს ვითარება უფრო მკრთალი გახდა, როცა აკად. ივ. ჯავახიშვილი შეეხო კახეთ-კუხეთის საზღვრებს.<sup>55</sup>

<sup>51</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 1970, გვ. 428-432 და სხვა.

<sup>52</sup> თ. ოჩიაური. დასახ. ნაშრომი. გვ. 22

<sup>53</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959, გვ. 303, 348.

<sup>54</sup> ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. 1941. გვ. 92, 93.

<sup>55</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. II, 1965, გვ. 41-42.

ფშავის ლოკალიზაციის საკითხი ამ ბოლო დროს კვლავ დაისვა სამეცნიერო ლიტერატურაში. ჟურნალში „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში (№3), 1972 წელს გამოქვეყნდა წერილი – „სად არის ფშავი?“. წერილის ავტორები თიანეთის მკვიდრნი – ვლადიმერ აბრამიშვილი და ალექსი ობგაიძე გასცნობიან რა ფშავის შესახებ მრავალსაინტერესო მასალას, უცდია დაედგინა, რომ ფშავი და ერწო-თიანეთი ისტორიულ-გეოგრაფიულად ერთი ტერიტორიაა და მას ეწოდებოდა ფშავი. წერილის ავტორებს ასე სჯერათ. რადგან საკითხს ცალმხრივად უდგებიან და ძირითადი წყაროებით არ სარგებლობენ, მაგრამ ფშავის ლოკალიზაციის ამკარა განსაზღვრას მანც მოერიდნენ და ეს საქმე გეოგრაფ-სპეციალისტებს მიანდეს.

ისტორიული ფშავის ლოკალიზაციის შესახებ იმავე ჟურნალის, იმავე ნომერში. გამოქვეყნდა პროფ. გრ. ზარდა-ლაშვილის პასუხი, სადაც ვკითხულობთ: „ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ივრის ხეობის ზემო წელი – თიანეთი სავსებით დამოუკიდებელი ისტორიულ-გეოგრაფიული კუთხეა და საკუთრივ ფშავის საზღვრებში არ შედიოდა. თუმცა თიანეთი, და მათ შორის ერწო, უპირატესად ფშავლებითა და ხევსურებით არის დასახლებული, მაგრამ ფშავისა და თიანეთის გაიგივება არც ისტორიულად და არც გეოგრაფიულად სწორი არ არის.“<sup>56</sup>

XIX საუკუნისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის ფშავ-ხევსურეთის ინტელიგენციამ კარგად იცოდა, რომ ერწო-თიანეთი ფშავ-ხევსურეთში არ შედიოდა, იგი ძველ ფხოვს არ ეკუთვნოდა, რომლის მემკვიდრენიც ფშავ-ხევსურები არიან და საჭიროების შემთხვევაში აღნიშნავდნენ კიდეც. ილიას და ვაჟას თანემედროვე, თვითონ მთის შვილი და ცნობილი მოღვაწე ნიკო ურბნელი (ხიზანიშვილი) პირდაპირ აღნიშნავდა, რომ „თიანეთი მთელის ფშავ-ხევსურეთის სამაზრო შუაგული ადგილია... ფშავი სხვაა, თიანეთი კიდე სხვაა. ეს უკანასკნელი მარტო სამაზრო ცენტრია, რა საკვირველია, თიანეთში ვერ შენიშნავთ ნამდვილს ტიპიურს ფშაველურს ცხოვრებას. აქ არც ნამდვილი ფშავლები სცხოვრობენ. აქაური მცხოვრებლები უმეტეს ნაწილად გაქართველებული ფშავლები, ხევსურები, თუშები, და ასე გასინჯავთ, ქისტებიც კი არიან და თავიანთ თავს ქართველებს უწოდებენ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ქართულს აქ ჯერ სრულად ვერ დაუმორჩილებია ცხოვრება, საზოგადოების ზნე-ჩვეულება. ხასიათი.“<sup>57</sup>

<sup>56</sup> გრ. ზარდალიშვილი, სად არის ფშავი?. ჟურნალი ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში. 33, 1972, გვ.74

<sup>57</sup> ნ. ურბნელი, ეთნოგრაფიული წერილები (ფშავ-ხევსურეთი), გაზ. „დროება“. 1884 წ., №241; ივანე შიოშვილი, წერილი ფშავ-ხევსურეთიდან, გაზ. „ივერია“. 1900წ., №83



ივანე შიოშვილიც ამბობს, რომ: „ფშავი მღებარეობს თიანეთის ზემოთ ჩრდილოეთისაკენ ღუშეთის პირდაპირ, ხოლო ჩრდილოეთით ხევსურეთი უძეეს“-ო.<sup>58</sup>

რადგან გარკვეულია, რომ ერწო-თიანეთი ფშავს არ ეკუთვნის და ეს ტერიტორია ფშავში არ შემოდიოდა, ბუნებრივად ისმება კითხვა, მაშ აქ ფშავლებს და ხევსურებს რა უნდათ, ანდა როდიდან ცხოვრობენ?!

ქართველი მთიელების ლტოლვას საქართველოს ბარისაკენ ერთეული შემთხვევები აქვს XVIII-ის მეორე ნახევარში, ხოლო მეფის რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდგომ კი მთიელთა მუდმივსაცხოვრებლად საქართველოს ბარისაკენ ჩამოსვლას მასიური ხასიათი ეძლევა. მაგალითად, თუშეთიდან წოკა-თუშების ჩამოსახლება მდინარე ალაზნის მარცხენა ტერიტორიაზე, ალვანად წოდებულ მინდორზე, დაიწყო XIX ს-ის დასაწყისში და დამთავრდა ამავე საუკუნის 30-იან წლებში. თუშეთის დანარჩენი თემებიდან კახეთის ბარში საცხოვრებლად ჩამოსვლას XIX ს-ის მანძილზე აქვს ერთეული შემთხვევები, ხოლო სამოქალაქო ომისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ კი თუშების ჩამოსახლებას ალვანის ველზე მასობრივი შინაარსი მიეცა. თუშეთის მსგავსად უნდა იქნეს გაგებული ფშავ-ხევსურებიდანაც მკვიდრთა მიერ მამა-პაპეული მიწა-წყლის დატოვების ტენდენციების გაჩენისა და ბარად ჩამოსახლების პროცესი.

XIX საუკუნის დასაწყისამდე მთა მთიელთათვისაც და ბარელთათვისაც თავშესაფარი და საიმედო სიმაგრე იყო. XIX საუკუნემდე მთიელთა მასიურად ჩამოსახლების შემთხვევები არ დასტურდება და ეს არც შეიძლებოდა მომხდარიყო. XVI-XVIII საუკუნეების ქართლ-კახეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობა პირიქით მთისკენ უბიძგებდა ბარის ქართველობას.

XIX-XX საუკუნეებში ივრის ხეობაზე დასახლებული ფშავებისა და ხევსურების გადმოცემები ერწო-თიანეთის ტერიტორიაზე დევების ცხოვრებისა და მათი ნასახლარების შესახებ თუ რაიმე ფასეულობას წარმოადგენს, ვფიქრობ, ლაპარაკი უკვე ზედმეტია. XIX-XX საუკუნეებში ერწო-თიანეთში მოსულმა ფშავლებმა და ხევსურებმა და ბოლოს მათმა შთამომავლებმა, რა იცოდნენ, რომ ამ ტერიტორიაზე დევები (ე.ი. ჩეჩენ-ქისტები) ცხოვრობდნენ, ეს ხომ თავიდან ბოლომდე აბსურდია, უსაფუძვლოა. მკვლევართათვის საიმედო საბუთს წარმოადგენს მხოლოდ ის, რომ ერწო-თიანეთის ტერიტორიაზე არსებულ უძველეს ნასახლარებს „ადგილობრივი მკვიდრნი დევთა კუთვნილებად მიიჩნევენ“ და სხვა ნივთმტკიცებას არც საჭიროებს.

ამ დევთა ნასახლარებისა და მათ შესახებ არსებული გადმოცემების შესწავლის მიზნით ერწო-თიანეთში რამდენჯერმე მოწყობილა ეთნოგრაფიული ექსპედიციის გაგზავნა: 1939 და 1952 წლებში.<sup>59</sup> დევთა ნასოფლარებში

<sup>58</sup> ივანე შიოშვილი, წერილი ფშავ-ხევსურეთიდან. გაზ. „ივერია“, 1900წ., №83  
<sup>59</sup> თ. ოჩიაური, დასახ. ნაშრომი, გვ.24.

ეთნოგრაფები თვლიან მიტოვებულ ნასახლარებს და გარკვეულ სიამოვნებასაც გამოხატავენ, რადგან მათი რიცხვი არც თუ ისე მცირეა. ეთნოგრაფ-მკვლევართა მსჯელობიდან გამოდის, რომ ერწო-თიანეთის უდიდესი ტერიტორია დევებს (ქისტ-ჩენებს სჭერიათ). ეს ყველაფერი მათ, როგორც ეტყობა, სჯერათ, რადგან საწინააღმდეგოს არაფერს ამბობენ.

იტყვიან ხოლმე, ყველაფერს თავისი საზღვარი აქვსო და მართლაც განა შეიძლება ასე უგულოდ მოექცეს, ეს ვინც არ უნდა იყოს, თავის ქვეყანას, წინაპართა სისხლით გაპოხიერებულ თვითიულ გოჯ მიწას და ზღაპრებზე და გადმოცემებზე დაყრდნობით შეუდგეს „მტკიცებას“ ამა და ამ ადგილზე „უხსოვარ დროს“, „დროის გარკვეულ მონაკვეთში“ დევები და ქაჯები ცხოვრობდნენო. ეს დევები და ქაჯები ქართველებმა განდევნეს „და (დევებმა, ვ.ე.) სამუდამოდ მიატოვეს ოდესღაც მათი კუთვნილი ტერიტორია“-ო. გამოდის, რომ ივრის ხეობაზე ქისტ-ჩენებს (დევებს) ჰქონიათ „კუთვნილი ტერიტორია“, ე.ი. მათი ყოფილა თავიდანვე, შემდგომში ქართველებს მკვიდრი მოსახლეობა განუდევნია და ასეთი გზით გამხდარა ერწო-თიანეთი საქართველოს კუთვნილება. ასეთი მსჯელობით, ვიტყვოდით, საქმე გვაქვს საქართველოს ისტორიის ელემენტარულ უცოდინრობასთან და მის სრულ გაყალბებასთან. ერწო-თიანეთი და საქისტო? ვინ დაგიჯერებს და ან რა საკადრისია! რას ვეუბნებით ერწო-თიანეთის წარსულ ისტორიას, მრავალი მაშულიშვილის სისხლით მორწყულ მხარეს; მარტო შაჰ-აბასის შემოსევების დროს რამდენი ათასი ქართველი ვაჟკაცი დაეცა ამ ტერიტორიაზე? ქართველი ხალხის სისხლით გაუმადლარმა შაჰმა ხომ ეს მხარე ფანატიკურად გაანადგურა, მოსპო და დაანგრია ყოველივე, რაც კი ამ მხარეში იყო. განა ცოტა ნასოფლარი და ნაფუძარია დარჩენილი იმ დროიდან ამ მხარეში? ეს ხომ ისტორიული ჟამთასიავის ნაყოფია და არა დევთა ნაკვალევების დამოწმება. ერწო-თიანელებზე გულამღვრეულმა შაჰ-აბასმა „... ნება მისცა ძლევამოსილ ლაშქარს დაერბია, აეკლო და დაეტყვევნა ის ორი ოლქი (ერწო და თიანეთი, ვ.ე.). ყიზილბაშებიც ცალკ-ცალკე რაზმებად შევიდნენ ტყეებსა და ტერებში და ოცდაათი ათასამდე ტყვე და ორმოცი ათასამდე ხარი, ძროხა და ცხვარი იშოვეს“.<sup>60</sup> ასეთი ნასოფლარებითა და ნასახლარებით ხომ სავსეა ჩვენი მთა-ბარი. და განა ეს იმის მაუწყებელია, რომ აქ ოდესღაც დევები ცხოვრობდნენ, რომლებიც ქართველებმა განდევნეს და მათი „კუთვნილი ტერიტორია“ მიისაკუთრეს? რა თქმა უნდა, არა. ეს ყოველივე საქართველოზე სხვადასხვა დროს შემოსეული მტრების ნაკვალევია, სინამდვილის ასახვაა და არა ქაჯთა და დევთა გაქცევისა თუ გაძევების შედეგად დატოვებული ნასოფლარები. მარტო თემურ-ლენგის მერვე შემოსევის დროს 700-მდე სოფელი დასავლეთ საქართველოში იქნა განადგურებული, რამდენი ასეთი უბედურება დასტეხია თავზე ქართველ ერს.

<sup>60</sup> ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესაილითური გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, 1969. გვ.87-88.

თ. ოჩიაური როდესაც გუდამაყარ-ფშავ-ხევსურეთ-ივრის ხეობაში დევების ცხოვრების სინამდვილეს ხედავს, ამ მხარეების ტოპონიმიკაზეც მსჯელობს (თუმცა იგი ტოპონიმებს არ ასახელებს) და ამბობს, რომ აქ გავრცელებული ნახური ტოპონიმები სწორედ ამ ადგილებში ჩეჩენ-ქისტთა (დევების) ცხოვრების დადასტურებააო. აღნიშნულის გამო შენიშნავდა პროფ. ი. მეგრელიძე, რომ: „ჯერ ერთი, ვინ დაამტკიცა, რომ სწორედ ეს მეორე – ნახურის მსგავსი სახელები არიან უფრო ძველნი, ვიდრე ქართული? და მეორეც, ქართული წარმოშობის სახელებს კიდევ მეტს ვხვდებით არა მარტო ხევსურების უახლოესი მეზობელი ქისტების, არამედ უფრო შორს მცხოვრები ჩაინების, დაღესტნელების, კერძოდ დიდოებისა და ანლანდელი ოსების ტერიტორიაზე და სხვა მეზობელი ხალხების მეტყველებაშიც (განსაკუთრებით საქმელ-სასმელის, ტანსაცმლის, საჭურველ-იარაღისა და კულტურის ცნებების აღმნიშვნელ ტერმინებს).“<sup>61</sup>

პატივცემული ავტორი როცა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში არაქართულ ნიადაგზე წარმოქმნილ ტოპონიმების არსებობაზე აღნიშნავს, ეყრდნობა პროფ. თ. უთურგაიძის ნაშრომს – „ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება“, სადაც ამ ნიადაგზე გაჩენილ გეოგრაფიული სახელების შესახებ საინტერესო დასკვნებია გაკეთებული. მიუხედავად იმისა, რომ თ. უთურგაიძე დაბეჯითებით ამბობს – „მთის კილოთა გავრცელების ტერიტორიაზე ძირითადად ქართული წარმომავლობის გეოგრაფიული სახელები გვხვდება“-ო,<sup>62</sup> მკვლევარი საწინააღმდეგოს ლაპარაკობს და თანაც თ. უთურგაიძეს მიაწერს თავის მცდარ მოსაზრებას. „ავტორისმიერ მოპოვებული მასალა და ამ მასალის მეცნიერული ანალიზი, – წერს თ. ოჩიაური, – აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტერიტორია თუ მისი ნაწილი, დროის გარკვეულ მონაკვეთში ნახურ ტომებს უნდა სჭეროდათ, და მათ დაეტოვებინათ თავიანთი ტოპონიმები. ასეთი ტოპონიმები საკმაოდ გვხვდება თვითონ შატილშიც, რაც მის თავდაპირველ მოსახლე ანატორელთა ქისტურ ჩამომავლობაზე მიუთითებს.“<sup>63</sup>

პირიქით ხევსურეთი, რომ თავიდანვე ქართველებით არ იყო დასახლებული და იქ ქისტ-ჩეჩენები ცხოვრობდნენ ავტორს ღრმად სჯერა და რამდენჯერმე აქვს კიდევ ამის შესახებ მოსაზრება გამოთქმული, ხოლო რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს, ხან მთლიანად „დროის გარკვეულ მონაკვეთში“ ვაინახებით დასახლებულად ეჩვენება, ხან კი მისი ნაწილი. საერთოდ გაურკვეველი და აღმაშფოთებელი შეცდომაა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის შესახებ ასე დაუდევარი მიდგომა, მაგრამ მკვლევარს

<sup>61</sup> ი. მეგრელიძე, დასახ. ნაშრომი... გვ.183. ხაზი ჩვენია

<sup>62</sup> თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, 1966. გვ.88. ხაზი ჩვენია. ვ.ე.

<sup>63</sup> თ. ოჩიაური, დასახ. ნაშრომი. გვ.75.

ის ხომ მაინც ევალება შედარებით კონკრეტულად ილაპარაკოს და მოგვცეს დამაჯერებელი მტკიცებანი. თვითონ არც ერთ გეოგრაფიულ სახელს არ ასახელებს. მათ ალბათ საფუძვლიანად არც იცნობს, იმიტომ, რომ თუშფშავ-ხევსურეთის ტოპონიმია სრულყოფილად შეუსწავლელია, ავტორი კი მითოლოგიური გადმოცემების შესწავლით არის გატაცებული და ამბობს, რომ ავტორის (თ. უთურგაიძის) მიერ მოპოვებული მასალის ანალიზი ადასტურებს. „რომ დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტერიტორია თუ მისი ნაწილი, დროის გარკვეულ მონაკვეთში, ნახურ ტომებს უნდა სჭეროდათო.“ ასეთი დასკვნის ანალიზი თ. უთურგაიძესთან არ გვხვდება. თვითონ თქმულება-გადმოცემების მეტს არაფერს არ იყენებს და რომელი ანალიზის შედეგად მიიჩნია ზემოთ განვითარებული მოსაზრება, გაურკვეველია. ავტორს რომ თავი შეეწუხებინა და დაინტერესებულიყო იერის ხეობის ტოპონიმით, მის მიერ დევების საცხოვრებლად აღიარებული ფშავ-ხევსურეთის ადგილების გეოგრაფიული სახელებით, გაეკეთებინა მათთვის სათანადო ანალიზი, ხომ მივიდოდა იმ დასკვნამდე, რომ მთელი მისი ამდენი შრომა, რაც ემყარება ავტორის „დამაჯერებელ“ რწმენას გუდამაყარ-ფშავ-ხევსურეთისა და იერის ტერიტორიაზე დევების ცხოვრების სინამდვილეს, მცდარი კონცეფციაა და სინამდვილესთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ფშავ-ხევსურეთიდან და იერის ხეობიდან მას ხელთ დარჩებოდა ისეთი მცირე ვაინახური წარმოშობის ტოპონიმები, რომ ასეთ უხერხულობაში არ ჩავარდებოდა.

რაც შეეხება პირიქით ხევსურეთში საკმაო რაოდენობით ვაინახური წარმომავლობის გეოგრაფიული სახელების არსებობას, მართლა იმის მაუწყებელი კი არ არის, რომ იგი თავიდანვე ვაინახური მოსახლეობით ყოფილიყოს დასახლებული, რომ იგი საქართველოს არ ეკუთვნოდა და მოგვიანებით გახდა ის საქართველოს კუთვნილება, არამედ აქ ისეთივე მდგომარეობა გვაქვს, როგორც თუშეთის პირიქითის თემის ფარსმის საზოგადოებაში, რომელიც მოიცავდა ჭემო-ჭონთიოს ტერიტორიაზე მდებარე სოფლებს. ეს სოფლები იყო თუშეთში ყველაზე უმეტესწილად ქისტეთიდან გადმოსულთა პირველი შემხვედრი სოფლები. ამ მხარემ, თუშეთის სხვა კუთხეებთან შედარებით, მეტად განიცადა ვაინახური გავლენა, როგორც დიდოეთ-დაღესტნის მხრიდან პირველმა შემხვედრმა თუშეთის სოფლებმა: დიკლომ და შენაქომ დიდოურ-ლეკური ტოპონიმები უფრო მეტი მოგვცა, ვიდრე ვაინახური. ეს ყოველივე ხევსურეთ-თუშეთისა და ვაინახ-დიდო-ლეკების მშვიდობიანი მეგობრობისა და ხანგრძლივი ეკონომიკურ-კულტურული დამოკიდებულების პროდუქტია და არა ის, რომ ეს კუთხეები თავდაპირველად ამ ტომებით (ვაინახ-დიდო-ლეკები) ყოფილიყოს დასახლებული და ქართველები აქ მოგვიანებით იყვნენ მოსულები, როგორც დამპყრობები.

ხეკსურეთის შესახებ, თ. ოჩიაურის მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა და მტკიცებათა გამო პროფ. ი. მეგრელიძე შემდეგს შენიშნავდა: „ჯერ იყო და, სოციალოგები და ეთნოგრაფები ხეკსურეთში პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების გადმონაშთებს ხედავდნენ; შემდეგ „მოგზაურები ხეკსურეთს ეტანებოდნენ, როგორც ეგზოტიკურ სანახაობას და აქ ეძიებდნენ ჯვაროსანთა წინაპრებს“, ასლა თ. ოჩიაური აქ საქისტოს ხედავს.“<sup>64</sup>

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი იქ დღემდის შემონახული უძრაველესი და უმთავრესი ქართული ტოპონიმების მიხედვით და საქართველოს ტერიტორიის დღეისათვის მიღებული განსახლების სახელმძღვანელო დასკვნებიდან გამომდინარე ყოველთვის საქართველოს კუთვნილებას წარმოადგენდა და ის არავისათვის არ წაურთმევია. ქართველები ამ კუთხეების თავდაპირველი ბინადარნი არიან და არა ნაგვიანევადლა მოსულნი. თუშ-ფშავ-ხეკსურეთის ტერიტორიაზე დღემდის შემონახულ ვაინახურ-დიდოურ-ლეკური ტოპონიმები იმიერკავკასიელ მთიელთა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტერიტორიაზე განუწყვეტლად ყოფნა-მოსაქმეობის დამადასტურებელია. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოსდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტერიტორია მათი (ქისტ-ჩეჩნებისა და დიდო-ლეკების) კუთვნილება ყოფილიყოს და ქართველები კი ნაგვიანევად მოსულნი, დამპყრობელნი. ეს რომ ასე ყოფილიყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტოპონიმების უდიდესი პროცენტი ქართული წარმოშობისა არ იქნებოდა. მაშინ ამ კუთხეებს არ ერქმეკოდა: ფშავი, ხეკსურეთი, თუშეთი (თოშეთი), გუდამაყარი, ხევი, მთიულეთი, მთიანეთი, თიანეთი და სხვა. თვითუკული კუთხის შიგნითაც ხეობებისა და თემების სახელები უმთავრესად ქართულია: ჩაღმის თემი, პირიქითის თემი, გომეწარის თემი, წოვათის თემი (თუშეთი), პირიქით ხეკსურეთი, პირაქეთ ხეკსურეთი (ხეკსურეთი), უკანა ფშავის თემი, მალაროს თემი (ფშავი) და სხვა. ასეთივე მდგომარეობაა სოფლებისა, მდინარეებისა, წყაროებისა და ხეების სახელწოდებათა მიხედვითაც. ამავე მიმართულებით მეტად საინტერესოა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ჯვარ-ხატების სახელწოდებანი და მათთვის დამახასიათებელი რიტუალები და სხვა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზოგიერთ კუთხეში გავრცელებულ მითოლოგიურ თქმულება-გადმოცემებში მოხსენიებული დევები ჩვენ ზღაპრულ დევებად უფრო მიგვანჩნა და არა „რეალურად არსებულ ხალხად“. იმიტომაც, რომ ასეთი თქმულება-გადმოცემები თუშეთში არ არსებობს. ეს ფაქტი კი, ჩვენი აზრით გასათვალისწინებელია, და აი რატომ:

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შემავალ კუთხეთა შორის, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ყველაზე ინტენსიური შეხება მეზობელ

<sup>64</sup> ი. მეგრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ.182. ხაზი ჩვენი, ვ.ე.

მთიელებთან. თუშეთმა განიცადა. თუ ხეკსურეთისა და ფშავს ქისტ-ჩეჩნებთან ჰქონდა შეხვედრები და ეს აისახა კიდევ მათს ტოპონომიკასა და დიალექტში, თუშეთს ვაინახებთან ერთად ემატება დიდოეთ-დაღესტნის მხრიდანაც ანგარიშგასაწევი შებოწოლა-თავდასხმების ხშირ-ხშირი შემთხვევები. მიუხედავად ამ რთული გარემოცვისა და ვაინახ-დიდო-ლეკთა თუშეთში ინტენსიურად გადმოსვლის მცდელობისა, თუშეთმა მაინც გადაიტანა ყველა ეს წინააღმდეგობა-გართულებანი და დარჩა ის, როგორც საქართველოს განუყოფელი კუთხე და მისი ერთგული დარაჯი. თუშეთს თავისი მეობის შენარჩუნებისათვის მეზობელ იმიერკავკასიელ მთიელებთან ხანგრძლივი ბრძოლების გადახდა მოუხდა. მაგრამ აბა, გადავხედოთ თუშურ ხალხურ ზეპირსიტყვიერებას, და არც თუ ისე ღარბ ფოლკლორს, თუ სადმე ვიპოვით ისეთ მითოლოგიურ გადმოცემებს, თუნდაც ერთს, რომ თუშები ღვეებსა და ქაჯებს, ე.ი. (ქისტებსა და ჩეჩნებს) ებრძოდნენ. მართალია, თუშურ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში არის მრავალი ნიმუში მათი ურთიერთ თავდასხმებისა და ბრძოლებისა, მაგრამ ამ გადმოცემებსა და ლექსებში მათ ქისტები, დიდოები და ლეკები ჰქვიათ და არა ღვეები და ქაჯები. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს ბრძოლები, რასაც თუშური ზეპირსიტყვიერება იცნობს, თუშეთის სამარცკავ-დასახარკავად მოსული გადამთიელების წინააღმდეგაა მიმართული და არა თუშების ნებითა თუ საქართველოს სამეფო ხელისუფლების ნებართვით საუკუნეთა მანძილზე დასახლებული ერთეული ოჯახებისა თუ შედარებით კომპაქტურ დასახლებათა გასაჟლეტ-გასაძეველად. ასე რომ ყოფილიყო მაშინ ხომ წოვები (წოვა-თუშები) პირველნი შეელევოდნენ ამხედრებულ თუშთა რისხვას. რადგან იმდროინდელი აქქითა და გაგებით თუშეთისათვის ეს ყველაზე ხალხმრავალი ვაინახური დასახლება იყო და მაშინ არავინ იცოდა წოვების იმთავითვე ქართული წარმომავლობა.<sup>65</sup> მაგრამ, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, წოვებსა და თუშებს შორის თავიდანვე ისეთი სიახლოვე დამყარდა, რომ წოვებმა შექმნეს თუშეთის განუყოფელი საზოგადოება და თუშეთის სხვა თემებთან ერთად, როგორც იყო: ჩალმის, გომეწრისა და პირიქითის თუშები არასდროს არ უღალატია. როგორც სათუშო, ისე საერთო ქართული საქმეებისათვის. ეს ისედაც უნდა ყოფილიყო, რადგან წოვების დასახლება თუშეთში თვით თუშთა და სამეფო ხელისუფლების ნებართვით იყო გამოწვეული. თავისი ნებით თავისსავე მიწაზე მკვიდრ მცხოვრებლად დამკვიდრებულ მძაღნაფიცს კი ქართველი კაცი ავად არასდროს არ მოპყრობია.

<sup>65</sup> წოვების (წოვა-თუშების) ოლითგანვე ქართული წარმომავლობის შესახებ ანგარიშგასაწევი მსჯელობა, დასკვნები და დებულებები მოცემული გვაქვს „ნაშრომში – „წოვა-თუშების ვინაობის საკითხისათვის“. რომელიც დაიბეჭდა 1990 წელს და მონოგრაფიაში – „ვინაჲ თქვა თუშთა დაღვეა?“. 2001 წ. ჩვენ ღრმად გვეჯერა. რომ წოვები ძირსველი ქართველებია და არა გაქართველებული ვაინახები (ჩაჩნები, ინგუშები, ქისტები).

პირიქით, ქართველ კაცს, ყველასათვის მეგობრობისა და ჰუმანიზმის ნიშნად უჩვენებია. აი რას ამბობს ქართველი ერის ამ განსაკუთრებულ თვისებაზე XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პირველი სამი ათეული წლების მკვლევარი, ტომით წოვა-თუმი. დ. ალბანელი (ქადაგიძე): „ქართველ ერის, სხვათაშორის, – წერს დ. ალბანელი, – ერთი მეტად კარგი თვისება აქვს: ეს არის ყველა ხალხს თავის ქვეყანაში ექცეოდა ერთნაირად, ისე, როგორც თავის თავს. ესევე ექცეოდნენ წოვებსაც... სწორედ ამისთანა ჰუმანიური მოპყრობით, ქართველმა ერმა მიიზიდა მთის შეუპოვარი ხალხი-წოვეები“.<sup>66</sup>

ფშავლები და ხევსურებიც ხომ ისეთივე ქართველები არიან, როგორც მთისა და ბარის სხვა ქართველობა. მაშ რა დავმართათ, რა მოხდა ისეთი უცნაური რამ, რომ ფშავ-ხევსურების წინაპრებმა წონასწორობა დაკარგეს და განდევნეს დევები (ჩეჩენ-ქისტები) ფშავ-ხევსურეთიდან, თანაც არა სამოწყალოდ ქართველი მთიელებისაგან მოცემული მიწებიდან, არამედ „მათი კუთვნილი ტერიტორიიდან“.<sup>67</sup> იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ დევების წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი მთიელები უკვე ფშავლებად და ხევსურებად იწოდებიან. ე.ი. მათი ტომობრივი სახე ფორმულირებულია და ბრძოლებიც გვიანდელ დროში უნდა მომხდარიყო. ასეთ შემთხვევებს კი ქართველი ერის ისტორია და ფშავ-ხევსურული პოეზიაც არ იცნობს.

თუშ-ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიაზე მთიელთავე ნება-სურვილით საუკუნეთა მანძილზე საცხოვრებლად გადმოსულ იმიერკავკასიელთა წინააღმდეგ ქართველ მთიელებს მახვილი არასდროს არ აღუმართავთ. ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების ურთიერთობის ისტორია ასეთ მსჯელობას ეწინააღმდეგება.

ამავე შრომაში ქალბატონი თ. ოჩიაური ეხება რა ფშავ-ხევსურთა ეკონომიკურ ურთიერთობას მეზობელ ქისტ-ჩეჩენთან (დევებთან) აღნიშნავს, რომ ფშავ-ხევსურები საეკონომიკურ მდგომარეობაში ყოფილან ვიდრე მათი მეზობელი „კავკასიანები“. მკვლევარს მოუესმინოთ და კარგად დაუკვირდეთ თუ თეიოსნ ხევსურეთის მკვიდრი როგორ არის დაჯერებული მითოლოგიური გადმოცემების ჭეშმარიტებაში და რას არ კადრულობს: „დევები (ქისტ-ჩეჩენები, ვ.ე.) ძირითადად სახნავ-სათეს იარაღებს ჭედდნენ თურმე. გადმოცემების მიხედვით, იმ დროს ფშავ-ხევსურეთში მჭედელი არ ყოფილა. ამიტომ მათ ნახელავს დიდი მოთხოვნილება ჰქონია. დევნი ხსენებულ საქმიანობას მისდევენ ისეთი წარმატებით, რომ როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათი სახვნელით დაბუშავებული ყანა. ერთ ღერზე ორ თავთავს იბამდა. ხევ-

<sup>66</sup> დ. ალბანელი. „ივერიის მეტიწრობა, თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შემოსულობის წიგნი, №3. საბუთი S3. S2 (ხაზი ჩვენია, ვ.ე.)

<sup>67</sup> თ. ოჩიაური, დასახ. შრომა, გვ. 21.

სურ თუ ფშაველ შემკვეთელებს ისინი, თუმცა თავიანთი ნაწარმით ამარაგებდნენ, მაგრამ გარკვეული პირობის დაცვის შემთხვევაში ეს პირობა შემდეგში გამოიხატებოდა: მამაკაცი მათ სამჭედლოს ვერ გაეკარებოდა, შეკვეთა ქალს უნდა მიეტანა.“<sup>68</sup> ფშავ-ხევსურთა შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება თანდათან უფრო აშკარა ფორმას ღებულობს და ავტორი ყოველგვარი მორიდებისა და თავშეკავების გარეშე აცხადებს, რომ რადგან ქართველ მთიელებში ლითონის დამუშავება არ სცოდნიათ, ხოლო მათ მეზობელ ქისტ-ჩეჩნებში კი ეს დარგი მაღალ ღონეზე მდგარა, ფშავ-ხევსურთა მამაკაცები იძულებულნი ყოფილან „მეტალურგ ქაჯებთან (ქისტ-ჩეჩნებთან) თავიანთი ქალები გაეგზავნათ.“ ქისტ-ჩეჩნებთან გადასულ ფშავ-ხევსურთა ქალებს „ღვევები უმიჯნურდებოდნენ და მათთან სწორფერობდნენ.“<sup>69</sup> ეს ყოველივე კარგად იცოდნენ ფშავ-ხევსურთა მამაკაცებმა, მაგრამ იმის გამო, რომ შიმშილით არ ამოწყვეტილიყვნენ, ისინი „თავის ნებით გზავნიდნენ ქალებს ღვევებთან, ოღონდ მათ სახენელისადმი საჭირო რკინის ნაწილები გაეჭვდათ.“<sup>69</sup> ფშავ-ხევსურები, რომ მეზობელ ღვევებზე იყვნენ დამოკიდებულნი და მათგან სულდგმულობდნენ ღრმად სჯერა თ. ოჩიაურს და მრავალგზის შენიშნავს კიდევ, იგი წერს: „ფშავლები და ხევსურები დამოკიდებული ჩანან ღვევებზე, თუ ღვევები რკინის იარაღს არ გაუჭვდავენ, ისინი შიმშილით ამოწყდებიან.“<sup>70</sup> ქალბატონი თ. ოჩიაური, რომ ოდნავ მაინც გასცნობოდა ქართველთა მიერ მეტალურგიის უძველესი დროიდანვე წარმოების ყოვლად გახმაურებულ აღიარებას ქართულ თუ უცხოურ ისტორიოგრაფიაში, იგი ხომ თავს შეიკავებდა და აძღენ შეურაცხყოფას არ მიაყენებდა სრულიად საქართველოს, მის მთიანეთს და ბარს. რომელიც საყოველთაოდ აღიარებული იყო უძველესიდანვე, როგორც მადნეულის აღმოჩენ-დამმუშავებელი და დიდი მასშტაბის მეტალურგი ქვეყანა. აბა, მოეუსმინოთ ბატონ ივ. ჯავახიშვილს რას გადმოგვცემს აღნიშნულის შესახებ: „ქართოკელ ტომებს მართო თავიანთთვის არ უკეთობათ მადნეულის ჭურჭელი და იარაღი, არამედ ისინი მსოფლიოს ამარაგებდნენ ამით.“<sup>71</sup> ხომ ცნობილია და დიდი ხანია დაეას აღარ იწვევს, რომ ანტიკურ სამყაროში უძველეს ქართულ ტომს თუ ტომთა კავშირს – „ხალღებს“ თვლიდნენ „რკინის გამომგონებლებად“ და გამოცდილ მეტალურგებად. ბერძენ ავტორებთან ანტიკურ ხანაში რკინის დამუშავებით განთქმულნი იყვნენ ქართული ტომები „ხალღები“ და სხვ.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, თავის უკმაყოფილება-განცვიფრების გამო პროფ. ი. მეგრელიძე შემდეგს აღნიშნავს: „თუ ქართოკელ მთიელებს ლითონი არ გააჩნდათ, რადღა ძნელია და საშიშია გნით მადნეულის მთის

<sup>68</sup> თ. ოჩიაური, დასახელებული შრომა, გვ. 28

<sup>69</sup> თ. ოჩიაური, დასახელებული შრომა, გვ. 38

იქვე, გვ. 29

<sup>71</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 1, 1960, გვ. 24, ხაზი ჩვენია, კე.



გადაღმა, გადმოღმინდნე, თაყიანთი ძმებისაგან ვერ წაიღეს?!“<sup>72</sup> პროფ. ი. მეგრელიძე ხსენებულ არსაკადრებელ პოზიციაზე იმასაც ამბობს, რომ: „თ. ოჩიაურის იმ რეალური, ეთნოგრაფიული ფაქტობათვის მანაც გაეწია ანგარიში, რომ მთიელებს შორის ჯაჭვის პერანგები, ჯაჭვ-ჯავშნები ხეკსურებს აქვთ და არა მათ გადაღმა მენობლებს, დაშნებსაც სხვებზე უკეთ ატარებდნენ და გამოთქმაც არსებობს: ხეკსურულ ხმალსავით ჭრისო. ტომისიმი ფოლადაურის სეობა და გვარი ფოლადაური ჩვენში გეხვდება.“<sup>73</sup>

ქალბატონ თ. ოჩიაურის მიერ ხსენებული მონოგრაფიის გამოქვეყნებიდან ორი წლის შემდგომ აკად. ა. შანიძემ ჟურნალ „მნათობ“-ში გამოაქვეყნა წერილი „თუშები“, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება თ. ოჩიაურის აღნიშნულ გამოკვლევას ქართველ მთიელთა, კერძოდ, თუშების უსაფუძვლო შეურაცხყოფაში, და არა მარტო თუშებისა, სრულიად საქართველოსათვის განუკურნებელი ჭრილობების მიყენებაში, პირიქით, დიდად აღებატება და მრავალმნიშვნელოვან საფიქრალს უჩენს ქართველ ერს. ჩვენ აქ ამ წერილის განხილვას არ შეუვადგებით, რადგან წინამდებარე მონოგრაფიის პარაგრაფებში: „თუშეთის დასახლებისა და სატომო სახელ „თუშ“-ის ისტორიისათვის“ და „ეროვნული და უცხოური მეცნიერული მეგვიდრეობა თუშეთის განსახლებისა და ეთნიკური შედგენილობის შესახებ“ სრულყოფილად გვაქვს განხილული, ყველა უკადრებელ უხამსობას ვასუსხობთ და ნათელს ვფენთ მრავალ სიბინძურეს; დაინტერესებული მკითხველი აღნიშნული პარაგრაფების დამუშავებით გაეცნობა ხსენებული წერილის „სიბრძნეს“. აქ კი მკითხველს მხოლოდ იმას მოვახსენებთ, რომ ბატონი ა. შანიძის მთავარი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ „დამტკიცოს“ თუშების არა ქართველობა და ის, რომ თურმე თუშეთი იმ თავითვე ქართველთა კუთვნილება არ ყოფილა.<sup>74</sup>

ა. შანიძეზე ადრე, XIX საუკუნის პირველ მეოთხედში, ნ. მარმა სერიოზული დრო და ენერგია მოანდომა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის ეთნიკურობის გამორკვევის საქმეს. მეცნიერის შრომა-საქმიანობა იმით დამთავრდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა: თუშები, ფშავლები, ხევსურები და დანარჩენი მთიელები გაქართველებულ ნახებად (ქისტებად, ჩაჩნებად, ინგუშებად) აღიარა.<sup>75</sup> დრომ და მომდევნო კვლევა-ძიებამ დაადასტურა, რომ განსვენებული მეცნიერის კონცეფცია მცდარი და ყალბი იყო. მიუხედავად არნიშნულისა, ნ. მარის დაწყებული და უარყოფილი პოზიცია ა. შანიძემ კვლავ გამოამზეურა, ახალი სული შთაბერა

<sup>72</sup> ი. მეგრელიძე. დასახლებული ნაშრომი. გვ.185

<sup>74</sup> იქვე. გვ.184. ხაზი ჩვენი. ვ.ე.

<sup>75</sup> ა. შანიძე. თუშები. ჟურნალი „მნათობი“. №2, 1970 წ.

<sup>76</sup> Н. Я. Марр. К истории передвижения финнических народов с юга на север Кавказа. «Известия Императорской Академии Наук», 1916 г., мисивე. Кавказские племенные названия и местные паралели. 1922 г.

და ნ. მარისაგან განსხვავებით მხოლოდ თუშეთს და თუშებს მორაგო ყოველად უსაზიზღრესი მასშტაბით და, როგორც უკვე ზემოთაღ აღვნიშნეთ, ა. შანიძემ ხსენებული დანაშაული ჩაიდინა ქართველი ერის წინაშე. ნ. მარისა და ა. შანიძის აღნიშნულმა პროზიცია-კონცეფციამ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის განსახლების ეთნიკურობის შესახებ და, ალბათ, თ. ოჩიაურის „ღვანულამ“ ზოგზოგებს, სხვადასხვა დროს, უბიძგათ, საღერღელი აუშალათ და კალამი ააღებინათ ხსენებული პრობლემის მიმართ. ამ თვალსაზრისით, როგორც ჩანს, ყველაზე დიდი ინტერესი გამოუჩენიათ საზღვარგარეთელ მეცნიერებს, ბატონებს: ს. ტარპოვს და პ. ჯორდანის, რომლებსაც სპეციალურ ჟურნალში, ქ. ვენაში, 1993 წელს, რომელიც ეძღვნება აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის ეთნიკურ სტრუქტურებს, გამოუქვეყნებიათ გამოკვლევა, სადაც აღნიშნავენ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები არიან ნახური წარმოშობის გაქართველებული ტომებიო. ევროპელი მკვლევარების ხსენებულ პროზიციას, რომელიც ძირითადად იკვებება ნ. მარისა და აკ. შანიძის „მეცნიერული“ „მემკვიდრეობით“, გამოეხმაურა ჩვენი დროის ერთ-ერთი ცნობილი ენათმეცნიერი პროფ. თ. უთურგაიძე. მეცნიერი აღმოსავლეთ ევროპის მოხსენიებულ მკვლევართა სარეცენზიო შრომას უწოდებს „დიდი მასშტაბის გაუგებრობას“, სადაც აღძრული საკითხის ირგვლივ ფართოდ მიმოიხილავეს ყველას და ყველაფერს და მაღალმეცნიერულ დონეზე აშუქებს სულ მცირე ნიუანსსაც კი. ჩვენ აღნიშნული რეცენზია-გამოკვლევა მრავალგზის გამოვიყენეთ მონოგრაფიაში „ვინამ თქვა თუშთა დაღევა?!“ (2001წ.). წინამდებარე მონოგრაფიაშიც, სადაც კი საჭიროა, რომ მკითხველი დავარწმუნოთ, გავარკვიოთ და დავაკვალიანოთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის ეროვნულობაში, ყველგან სხვა დამამტკიცებელ მონაცემთა გვერდით ვუთითებთ პროფ. თ. უთურგაიძის აღნიშნულ რეცენზია-გამოკვლევას, რადგან ის, ამ შემთხვევაში, ყველაზე ღირებული და ერთადერთია. ყოველივე აღნიშნულის პარალელურად მკითხველს ვთავაზობთ თუ სად შეუძლია, რომ თვითონ დედანში გაეცნოს ხსენებულ რეცენზიას, რადგან აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობის შესახებ, ამ ღირებულების გამოკვლევა დღემდის არ დაწერილა.<sup>76</sup> რეცენზია-გამოკვლევაში პასუხი აქვს გაცემული ნ. მარს, ა. შანიძეს, ს. ტარპოვს, პ. ჯორდანის, სადაც ერთხელ და სამუდამოდ საკადრის მეცნიერულ დონეზე არის ახსნილი და გაანალიზებული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის განსახლება-წარმომავლობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. ხსენებულ რეცენზია-გამოკვლევას ყველა დაინტერესებული პიროვნება ღრმად და საფუძვლიანად უნდა გაეცნოს, რათა დაუეჭვებლად დარწმუნდეს იმაში, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი იმთავითვე დედასაქართველოს განუყოფელი მიწა-წყალი ყოფილა და იქ მცხოვრებნი კი ძირძველი ქართველები.

<sup>76</sup> თ. უთურგაიძე. დიდი მასშტაბის გაუგებრობა, თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. ფონდი №9800.

შესავალი

ქართველი ხალხი თავისი არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ბევრჯერ აღმოჩენილა ნაციონალური სახის დაკარგვის საფრთხის წინაშე. მაგრამ მოსალოდნელი შედეგის მიხედვით ყველა სამიშროება ერთნაირი მასშტაბისა არ ყოფილა. ზოგ მათგანს კი განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს ისტორიაში. „საქართველო და ქართველობა ისეთი საფრთხის წინაშე არასოდეს არ მდგარა, როგორშიც იგი აღმოჩნდა XVII საუკუნეში, როცა მისი სასაზღვრო საზღვრები ემზადებოდა ყინილობაში სპარსეთი.“<sup>1</sup>

XVI საუკუნის 80-იანი წლებიდან კახეთის მეფე ალექსანდრე მეორის მიერ რუსეთთან განახლებულმა დიპლომატიურ-პოლიტიკურმა ურთიერთობამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია თურქეთში. თურგზე რუსეთის ხელახალმა გამოჩენამ თურქეთის ხონთქარი პირდაპირ შეაშფოთა, რადგან: „ოსმალეთის სულტანი (ყარამის ხანის მეწყობით) ამ დროს უკვე ყველა იმიერ-კავკასიის ხალხს სერქეზებს, ყურმუხებს, ლეკებს თუ სხვა, ვითომცდა ერთმორწმუნეებს, ისეებდა, ის კარგად ხედავდა, რომ თურგზე ცხეების აგებით რუსეთი იმიერკავკასიის საქმეებში ერეოდა და ოსმალეთის ექსპანსიას წინ ედობებოდა.“<sup>2</sup> აგრეთვე, „ჩრდილოეთის ქრისტიანული სახელმწიფოს გამოჩენა მფარველის როლში განსაკუთრებით აღშფოთებდა არაბს. ეს გარეშეობა კავკასიაში მის ბატონობას დიდ საფრთხეს უქმნიდა.“<sup>3</sup> მაგრამ ამჯერად იგი „მოესალმება“ კახეთის პოლიტიკურ მოღვაწეთა კურსს და „მეგობრულ“ კავშირს ამყარებს რუსეთთან ჩრდილოეთსა და იმიერკავკასიაში ერთობლივი მოქმედებისათვის. შაჰ-აბასი მთელი ძალღონით ცდილობდა ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩართოდა მოსკოვის მეფე. ის ოსმალთა მიერ მიტაცებულ დარუბანდ-ბაქოსაც კი უთმობდა მოკავშირეს, თუკი უკანასკნელი ამ ქალაქებს ოსმალებს წაართმევდა. შაჰი კარგად ხედავდა, რომ მოსკოვის გამოსვლა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე საბოლოო ანგარიშში ირანს უფრო ნაკლებად როდი ემუქრებოდა, ვიდრე მის მტერს, ოსმალეთს, მაგრამ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლისა და ქართლ-კახეთის მიმართ ჩრდილო-კავკასიის მხრიდან წამოსასვლელად გამზადებული რუსეთის

<sup>1</sup> შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, ნ. ასათიანი, ბახტრიონის გმირული ეპოპეა, გაზ. „კომუნისტი“. 1959. №82.

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან მე-16-17 საუკუნეთა მიჯნაზე, იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 1, გვ. 9 1944წ.

<sup>3</sup> შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, ნ. ასათიანი, ბახტრიონის გმირული ეპოპეა გაზ. „კომუნისტი“. 1959წ. №82.

ყურადღების მოსაღწეველად ყველაფერს აკეთებდა, ხოლო ამასთანავე ერთად ეზრდებოდა გადაწყვეტი ღონისძიებების გატარებისათვის, რადგან: „საქართველოს საკითხი შაჰ-აბასის პოლიტიკური პროგრამიდან არასოდეს ამოშლილა. მოსკოვის მეფესთან დიპლომატიურ ბრძოლაში შეგობრობისათვის საქართველოსე ხელის აღებინება შაჰ-აბასის პროგრამა – მაქსიმუმი იყო, რომლის შესახებ მოქნილი და რეალური აღლოს მქონე დიპლომატი ვერჯერობით, სანამ საამისო მარჯვე დრო დადგებოდა, გონივრულად დუშდა“.<sup>4</sup>

ჩრდილოეთ კავკასიაში XVI საუკუნის 80-იანი წლებიდან რუსეთის ხელმძღვანელთა კახეთის საერთაშორისო მდგომარეობა გაუმჯობესების ნაცვლად უფრო გაართულა და კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააგდო. თერგზე რუსეთის ახალმა დამკვიდრებამ ოსმალეთი და ირანი ფეხზე დააყენა; თვალწინ დაუდგათ მოახლოებული საშიშროება – რუსეთის სახით მათ დაინახეს არა მარტო ჩრდილოეთ კავკასიის, არამედ ამიერკავკასიის ხელში ჩაგდებისათვის მებრძოლი ძველი სახელმწიფო, რამაც ირან-თურქეთის პოლიტიკურ მოღვაწეებს ერთგვარად უბიძგა კიდევ, რომ დამაჩქარებელი ღონისძიებები გაეტარებინათ რუსეთის წინსვლის შესაჩერებლად. თავისი მოქნილი დიპლომატიური მოქმედების შედეგად ირანის შაჰმა მოახერხა კიდევ რუსეთის სამეფო კარის დაჩქარებული ინტერესების შენელება კახეთისადმი დამოკიდებულებაში.

რუსეთის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა ბოლოს აღლო აუღეს შაჰ-აბასის ფარისევლურ მოქმედებას და გადამჭრელი ღონისძიებების გატარება დაიწყეს კახეთთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად. XVII საუკუნის დასაწყისისათვის კახეთის მიმართ რუსეთის სამეფო კარის გააქტიურება შაჰ-აბასს შეუმჩნეველი არ დარჩენია. იგი კარგად ხედავდა, რომ „აქტუური ოპერაციის გარეშე კახეთის საქმეებს მის სისარგებლოდ არ წარმართებოდა და ირანის ლომიც გადაწყვეტი ნახტომის გაკეთების წინ სისხლიანი თყალებით მანძილს თოკავდა“.<sup>5</sup>

კახეთში რუსეთის მოქმედების გააქტიურებით შაჰ-აბასი შემდეგი ალტერნატივის წინაშე აღმოჩნდა: ან სისხლიანი ტრაგედია უნდა დაეტრიალებინა, რომ ქართლ-კახეთი დარჩენოდა, ანდა რუსეთს უნდა ჩამოსცილებოდა და ხელი აეღო თავის გადაწყვეტილებაზე. მან პირველი გზა აირჩია და 1605 წელს ძეგამში, მეფის სასახლეში, მისი უშუალო მითითებითა და რჩევით გამაჰმადიანებულმა კონსტანტინემ თავები დაჭრა საკუთარ მამასა და ძმას – ალექსანდრესა და გიორგი ბატონიშვილს. „რუსეთმა წააგო. შაჰ-აბასმა გაბედული დაკვირვებით გააქარწყლა კახეთში მოსკოვის მეფის ოცი წლის დიპლომატიურ-პოლიტიკური მონაპოვარი და ჩრდილოეთი მოკავშირეს

<sup>4</sup> 6. ბერძენიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 65.

<sup>5</sup> 6. ბერძენიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 134

ენერგიულად აგრძნობინა, რომ ირანი აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში არ მოითმენს არა მარტო მოსისხარ ოსმალეთს, არამედ „მეგობარ“ რუსეთსაც კი.<sup>6</sup>

კახეთში დატრიალებული სისხლიანი ტრაგედიის შემდეგ ირანი კახეთის სამეფო ტახტის სრული ბატონ-პატრონი გახდა; ირანის შაჰის ნება-სურვილზეა დამოკიდებული კახეთის აკარგეანობა. მაგრამ შაჰ-აბასი რწმუნდება, რომ კახეთის პოლიტიკურ მოღვაწეებს კახეთი კახელებისათვის უნდათ და არა ირანელებისათვის, რომ ისინი შესაძლებლობის ფარგლებში ანგარიშს გაუსწორებენ ირანს და დამოუკიდებლობას მოიპოვებენ.

კახელთა მოქმედებით გამძვინვარებული შაჰ-აბასი სისხლითა და მახვილით შემოიჭრა კახეთში ოთხეზის – 1614-1617 წლებში და აყვავებული ქვეყანა მოაოხრა და უდაბურად გადაატყავა, ხოლო მტრის ხმალსა და ცხენის ტორებს გადარჩენილი 100 000 ადამიანი კი ირანში გადაასახლა. „1616 წ. შემოსევის დროს, – წერს პროფ. მ. დუმბაძე, – ირანელმა დამპყრობლებმა ნანგრევებზე აქციეს კახეთი. 100 ათასამდე ქართველი მებრძოლი შეაკვდა მტერს, ამდენივე ტყვედ წაიყვანეს ყიზილბაშებმა“.<sup>7</sup>

ირანელი დამპყრობლების მიერ კახეთისათვის თავსდატეხილი უბედურება იმდენად მრავალმხრივი უსაზიზრესი და ამაზრზენი ყოფილა, რომ შაჰ-აბას პირველის ისტორიკოსი ისკანდერ მუნშიცი კი იძულებული ხდება შემდეგი განაცხადოს: „...არც ერთ მუსულმან ხელმწიფეს არ აუოხრებია და დაუტარილებია კახეთი ისე, როგორც ეს შაჰ-აბასმა გააკეთა“.

შაჰ-აბას პირველის განზრახვას, რომ ქართლ-კახეთი ირანის განუყოფელ მიწა-წყლად ექცია გიორგი სააკაძემ მოულო ბოლო. მარტყოფის, მარაბდისა და ქსნის ფართომასშტაბიანი ხოცვა-ჟლეტით და პარტიზანული ბრძოლებით სახელოვანმა სარდალმა შაჰის 120-ათასიანი არმიიდან, 60-ათასს თავები საქართველოში დააყრევინა და დამბლა დასცა „ირანის ლომის“ უსაზიზრეს გადაწყვეტილებას. ამჯერად საქართველო გადაურჩა გაყიზილბაშებს.

მართალია, შაჰ-აბას პირველმა მიზანს ვერ მიაღწია და ისე გარდაიცვალა, რომ ეს საწუკარი ოცნება მას თან ჩაჰყვა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ირანის სახელმწიფოს კვლავ არ ეფიქროს საქართველოს დაპყრობაზე. ირანის შაჰები ამ მიმართულებით დაუცხრომელ საგარეო პოლიტიკას წარმართავდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ თავისი სახელოვანი წინაპრის განუხორციელებელი გეგმა სისრულეში მოეყვანათ.

ირანის სამეფო კარის მრავალგზის სისხლისმღვრელ ბრძოლებს ქართლ-კახეთის მოსახლეობის გაყიზილბაშებისა და მისი ფიზიკური მოსპობისათვის ქართველი ხალხი დიდი წინააღმდეგობებითა და გასაოცარი თავდადებული

<sup>6</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 145

<sup>7</sup> მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, 1953, გვ.14

ბრძოლებით შეეგება. 1660 წლის კახეთის სახალხო აჯანყების მოწყობით ქართველმა ხალხმა ერთხელ კიდევ და ალბათ საბოლოოდ ააღებინა ხელი საარსეთს და მის პოლიტიკურ მესვეურებს აღმოსავლეთ საქართველოს — ქართლისა და კახეთის სამეფოების ყიზილბაშურ სახანოებად გადაქცევაზე, ქართველი ხალხის ეროვნულ გადაგვარებასა და გადაშენებაზე. მიუხედავად ამისა, 1660 წლის კახეთის აჯანყება რატომღაც სათანადოდ არ არის ასახული ქართულ ისტორიოგრაფიაში. „სულ რამდენიმე სტრიქონით დაკმაყოფილდნენ ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსები ვახუშტი ბატონიშვილი, ფარსადან გორგიჯანიძე და ბერი ეგნატაშვილი“.<sup>8</sup> თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში 1660 წლის კახეთის აჯანყების ირგვლივ ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ მისი მონოგრაფიული შესწავლა მაინც დღემდის არავის უცდია; არ გაკეთდა ისეთი გამოკვლევა, სადაც ოფიციალური წერილობითი ძეგლებისა და მათში შემონახული ძვირფასი ცნობების გვერდით გამოყენებული იქნებოდა ბახტრიონის ბრძოლების ციკლის ლექსები და გადმოცემები, რომელთა გათვალისწინების გარეშე არ ხერხდება 1660 წლის კახეთის აჯანყების სრულყოფილი შესწავლა.<sup>9</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ დასმული საკითხის გაშუქებისას ისტორიულ წყაროებთან ერთად ვითვალისწინებთ მდიდარ ფოლკლორულ მასალასა და მათი ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე ზოგიერთ ჯერ კიდევ სრულყოფილად დაუმუშავებელი საკითხების წინა პლანზე წამოწევას, კერძოდ იმას, თუ რამ განაპირობა თუშ-ფშავ-ხევსურეთის აქტიური ჩაბმა ქართლ-კახეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში XVII საუკუნის 50-60-იან წლებში? რა როლი შეასრულა თუშეთმა და თუშეთის მეთაურობით ფშავ-ხევსურეთმა აჯანყების მოწყობაში და როგორ უნდა გვესმოდეს იგი? როგორი იყო აჯანყების ორგანიზაცია, მსვლელობა და ვინ იყვნენ აჯანყების ხელმძღვანელები და სხვ.

იმის გამო, რომ ადრინდელი ქართული თუ უცხოური ისტორიოგრაფია ერთხმად აღიარებენ თუშეთის განსაკუთრებულ როლს 1659-1660 წლის კახეთის აჯანყებაში და ამ მიმართულებით დღეისათვის როგორც საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში, ისე ცალკეულ წერილებსა თუ გამოკვლევებში ნათლადაა საუბარი და თუშ-ფშავ-ხევსურეთისადმი ასეთი მიდგომა უკვე დავას აღარ იწვევს, ჩვენც ხსენებულ გამოკვლევას თუშთა იმდროინდელი თავკაცის, ბახტრიონის აჯანყებაში მებრძოლ თუშთა ლაშქრის მეთაურის გმირი ზეზვას პიროვნების შესწავლით ვიწყებთ.

<sup>8</sup> მ. ქავთარია, 1659 წლის კახეთის აჯანყება. ჟურ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1959, №8, გვ. 79

<sup>9</sup> ნ. ურბნელი, ზეზვა და ბახტრიონის ციხე. გაზ. „ივერია“, 228, 1888

### 3.1. ზეზვა გაფრინდაული

— ზეზვაი, მამო, ზეზვაი  
მივლის თუშების დარია.

თუ გაშზდის — უურმა გაზარდოს  
აი მისთანა ხარია!"

ვაჟა-ფშაველა

თუშეთის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ზეზვა გაფრინდაულს გამორჩეული ადგილი უკავია, რადგან მისი ბრძოლები დაკავშირებულია ისეთ ეპოპეასთან, რომელმაც გადაწყვიტა აღმოსავლეთ საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი და არსებითად ახალი მიმართულება მისცა საქართველოს ისტორიას. ეს იყო ჩვენი ერის ისტორიაში ერთ-ერთი ურთულესი ხანა, როცა შაჰ-აბას I გეგმის დასამარებით განრისხებული ირანი კვლავაც ცდილობს ქართლ-კახეთის დაპყრობას და ამ ულამაზესი და უმდიდრესი მხარის ირანის განუყოფელ სახანოებად გადაქცევაზე ოცნებობს. ასეთ რთულ ვითარებაში უხდება ცხოვრება და მოღვაწეობა ზეზვა გაფრინდაულს, რომელმაც 1660 წლის კახეთის აჯანყებაში და აჯანყების შემდგომ გამართულ ბრძოლებში ლეგენდარული გმირის სახელი მოიხვეჭა.

ხალხური ზეპირსიტყვიერების მარგალიტები ერთიმეორეს ეცილებიან ზეზვას ზოტბასა და ქებათა-ქებაში, რომელთაც მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის და თვითმულ მათგანს ჯეროვანი ადგილი უნდა მიუჩინოს. ზეზვას გმირობითა და ვაჟკაცობით აღფრთოვანებული მოღვექსე-მომღერალი ყველა თუშ მამაკაცს უქებებს მარჯვენას და აცხადებს:

„რა კარგი სანახავია  
თუში შიშველის ხმალითა!

ანდა:

მარტუამ გაფრინდაულმა  
გზა ჩამტვრია ლამითა.  
ზედი-ზედ შადგა თათარი: —  
„ზეზვა უნდ ვნახოთ თვალითა“!  
„აბეჩავ, გაფრინდაულო,  
გიჭკრეტენ ტალავარზედა,

<sup>1</sup> ქართული ხალხური პოეზია. შემდგენელი ელენე ვირსალაძე. გვ. 81. 1974 წ.

წინ-წინ შენ გადახფრინდები  
ბახტრიონ გალავანზედა,  
ხმლითა სცემ ხანის კარავსა,  
ზედ მიხვალ ფალავაზედა.“<sup>2</sup>

ზეზვა გაფრინდაულის გმირობა და ვაჟკაცობა, მის მიერ ჩატარებული სახელოვანი ბრძოლები ყოველთვის იქცევედა ისტორიკოს-ფოლკლორისტ-მკვლევართა ყურადღებას, რომლის თაობაზეც დაიწერა მრავალი საინტერესო გამოკვლევა და წერილი.<sup>3</sup> მკვლევარებმა ბევრი საინტერესო კვანძი გახსნეს ზეზვა გაფრინდაულის სახელთან დაკავშირებით. მაგრამ, მიუხედავად აღნიშნული გამოკვლევებისა, ზეზვას პიროვნება მაინც არ არის სრულყოფილად შესწავლილი: „ჩვენ ძალიან ცოტა ვიცით ზეზვას პატრიოტულ მოქმედებათა თაობაზე ბახტრიონის ლაშქრობის გარეშე. როგორც ჩანს, სამასი წლის მანძილზე ზეპირმა მეხსიერებამ ბევრი რამ დაივიწყა, მაგრამ რაც შემონახულია, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ისიც არ არის კარგად შესწავლილი. ამის გამო ზეზვა გაფრინდაულის სახელოვანი პიროვნება თავის მკვლევარს მოელის.“<sup>4</sup>

ოფიციალური ისტორიოგრაფია ზეზვა გაფრინდაულს არსად არ მოიხსენიებს. იგი მას არ იცნობს. ეს ვითარება არც არის გასაკვირი, რადგან – ჩვენის ხალხისა და ქვეყნის ისტორია, – შენიშნავს ი. ჭავჭავაძე, – მეტად ბნელია და შეუმუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენის ხალხის ცხოვრების შესახებ და თუ არის კანტიკუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვოა. ჩვენ ვამბობთ მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზედ, რომლებშიც ერთობ ხალხი იწენს თავის-თავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში. ერთის სიტყვით, ჩვენის შიდაცხოვრების ისტორია ჯერ ფარდააუხდელია და უცნობი ჩვენგან. „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არა არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა ჩრდილშია მიყენებული. თითქო ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია.“<sup>5</sup>

<sup>2</sup> ქართული ხალხური პოეზია, შემდგენელი ელენე ვირსალაძე, გვ. 81, 1974 წ.

<sup>3</sup> ნ. ურბნელი, ზეზვა და ბახტრიონის ციხე, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940წ., ნ. ურბნელი ზეზვა და ბახტრიონის ციხე, გაზ. „ივერია“, 228, 1888 წ., აღ. ხახანაშვილი, ბახტრიონის ციხის აღება „ივერია“, №220, 1888წ., გ. ლეონიძე, ზეზვა გაფრინდაული – სახალხო გმირი, გაზ. „კომუნისტი“, №225. 1941წ., ქს. სიხარულიძე, ქართული საგმირო საისტორიო სიტყვიერება, 1949წ., სოლ. ყუბანეიშვილი, ბახტრიონის გმირები ქართულ მწერლობაში და ხალხური სიტყვიერება, 1953წ., მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, 1955წ., კ. ჭრელიაშვილი, სახალხო გმირი ზეზვა გაფრინდაული, პირველი სხივი, §4, 1954წ., რ. ელანიძე, ზეზვა გაფრინდაული, 1965 და სხვ.

<sup>4</sup> მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, გვ. 48, 1955წ.

<sup>5</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. 4, გვ. 176, 1955წ.



საისტორიო წყაროების საპირისპიროდ ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებას მოეპოვება ბახტრიონის ციკლის მრავალი ნაწარმოები, რომელთა საშუალებითაც გარკვეული წარმოდგენა გვექმნება გაფრინდაულის სახელოვანი პიროვნების შესახებ. მაგრამ მარტო მათი მიხედვითაც ზეზვა გაფრინდაულის პიროვნების სრულყოფილი შესწავლა არ ხერხდება. ამიტომ იძულებული ვხდებით ფართოდ მიმოვიხილოთ ზეზვა გაფრინდაულის დროინდელი თუშეთის სამხედრო-პოლიტიკური ცხოვრება, რაც, რა თქმა უნდა, ზეზვას გარეშე არ იქნებოდა. მოცემული პერიოდის თუშეთის განსაკვიფრებლად მრავალმხრივ საინტერესო სამხედრო-პოლიტიკურ საქმიანობაში, ბრძენი და გმირი ზეზვა გაფრინდაული მჭიდროდ იქნებოდა ჩაბმული, რადგან იგი ბახტრიონის აჯანყებაში უკვე ხანდაზმული და ჭაღაროსანია, რომელიც თანამებრძოლთა შორის ხასიათდება არა მარტო როგორც სწორუპოვარი ვაჟკაცი, არამედ გონიერებითა და სიღარბისლითაც იგი ყველასაგან გამორჩეული და სამაგალითოა.

ზეზვა გაფრინდაული რომ აჯანყების მოხდენამდე ჩართული უნდა ყოფილიყო სამშობლოს გადარჩენისათვის გასაიდუმლოებულად მოქმედ სახალხო მოძრაობაში, კარგად ჩანს ხალხში შემორჩენილი არა ერთი ნიმუშიდან. აი ერთი მათგანი:

„კახეთში ფუნჩაის შვილი  
აფხავებს შუბის წვერსაო.  
თბილის წყლით ფაფარს გააპაბანს,  
ლიტრა ქერს აჭმევს ცხენსაო.  
ოსმალში ერთი თათარი  
ენას აუბნებს ძნელსაო.  
..ბახტრიონს გაეჭრი ვენახსა.  
ზედ დავასახლებ ელსაო.  
არც თუშებს შვეკუები  
და არც ზეზვაის ცხენსაო.  
ეს რომ გაიგო ზეზვაძა,  
ცხენს მუშატებს ქერსაო;  
ჩქარა გასუქდი, ლურჯაო,  
გავაზე უსვამს ხელსაო,  
დავემწყემსები სულტანსა,  
როგორც მიძინო მწყერსაო.  
თოფს დაეკრაე. ხძალსაც შემოვკრაე.  
დღეს დავაყენებ ცხელსაო,  
თავსაც იქ დაედებ ჭაღარსა,  
ადგილს არ მივცემ ჩვენსაო“.<sup>6</sup>

<sup>6</sup> ქართული ხალხური პოეზია. ელისო კირსალიძის შედგენილი, გვ. 81-82. 1974.

შპ-აბასმა ოთხგზის შეპოსევით (1614-1617წ.წ.) კახეთის სამეფო მიწასთან გაასწორა და უღაბნოს დაამსგავსა. გაპარტახებულსა და უღაბნოდ ქცეულ ქვეყანაში შპ-აბასმა მომთაბარე თურქმანთა ტომების ჩამოსახლება გადაწყვიტა. შპ-აბასმა კახეთში თურქმანთა ტომების ჩამოყვანა ფეიქარ-ხანს დაავალა. მაგრამ ქართლ-კახეთში გიორგი სააკაძის ხელმძღვანელობით სპარსელების წინააღმდეგ ჩატარებულმა ომებმა ბოლო მოუღო ირანის მბრძანებლის გადაწყვეტილებას და კახეთი ამჯერად იხსნა მოახლოებული საშიშროებისაგან.<sup>7</sup>

კახეთი არ ურიგდება შექმნილ მდგომარეობას და კვლავ დამოუკიდებლობისათვის იბრძვის. 1634 წელს თეიმურაზ მეფე იმერეთიდან დაბრუნდა და კახეთის სამეფო ტახტს დაეუფლა. თეიმურაზმა დროებით ირანის ახალი მბრძანებლის გული მოიგო და ქვეყნის აღდგენისათვის ზრუნვას შეუდგა. მტრული სახელმწიფოებით გარემოცული თეიმურაზი გამოსავალს კვლავ ერთმორწმუნე რუსეთში ხედავს და დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებს მასთან. რუსეთთან დასაკავშირებელი ყველა გზა თეიმურაზს წინასწარ ჩაკეტილი და გადაჭრილი დახვდა. კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდნილ თეიმურაზს გზა თუშეთზე ეხსნება და 1638 წლის აგვისტოში რუსი ელჩები კახეთში ჩამოყავს.<sup>8</sup> დაწყებული 1634 წლიდან, 14 წლის განმავლობაში, განუწყვეტელი ბრძოლა კქონდა თეიმურაზს ქართლის მმართველ როსტომ ვალთან (632-1658). 1648 წელს ბრძოლა თეიმურაზსა და როსტომს შორის თეიმურაზის დამარცხებით დამთავრდა, თეიმურაზი კვლავ იმერეთში გადადის, ხოლო კახეთი როსტომს რჩება. მაგრამ კახეთის დამორჩილება ძნელი გახდა. აღნიშნულ ვითარებაში ირანის შპ-აბას თავისი წინაპრის მიერ კახეთის მიმართ შემუშავებული ძველი გეგმა გაიხსენა და გადაწყვიტა კახეთში მომთაბარე თურქმანი ტომების ჩამოსახლება. თავისი გეგმის განხორციელება შპ-აბას მეორემ როსტომ ვალს არ ანდო, რომელსაც ეჭვის თვალით უყურებდა. კახეთი 1656 წელს როსტომს ჩამოართვა, მმართველად სელიმ-ხანი დანიშნა და მასვე დაავალა კახეთში თურქმანი ტომების ჩამოსახლება, ქვეყნის გაათავრება და ეროვნული გადაგვარება.

ქართლ-კახეთიდან იმერეთში გადახვეწილი თეიმურაზი კვლავ კახეთის დამოუკიდებლობაზე ზრუნავს, ცდილობს რუსეთთან კვლავ ურთიერთობა დაამყაროს და მისი დახმარებით იხსნას ქვეყანა. თეიმურაზი რუსეთის სამეფო კარზე იქ მყოფი ქართველი დედოფლისა და ერეკლე ბატონიშვილის საშუა-

<sup>7</sup> დ. გერიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II, გვ. 371, 1965; ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVII-XVIII საუკუნეში, გვ. 362, 1958; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 279-287, 1973 და სხვ.

<sup>8</sup> М. А. Полнеков. Европейские путешественники XIII-XVIII в.в. на кавказе. Тиф. 1935г., стр.30.

ლებით უკავშირდება თუშ-ფშავ-ხევსურეთს.' 1654 წლიდან<sup>9</sup> თუშ-ფშავ-ხევსურეთი და ქისტეთი თავის მხრივ ურთიერთობას ამყარებს რუსეთთან, მოსკოვში აგზავნის თავის წარმომადგენლებს და ალექსი მიხეილის ძეს სთხოვს, რომ მოხედოს ყაენისაგან აოხრებულ ქვეყანას, აღმოუჩინოს მთის ხალხს დახმარება, რათა ერთიანი ძალით განდევნონ სპარსელები.<sup>11</sup> აი ასეთ რთულ და კრიზისულ ვითარებაში „თუშეთსი კახეთის სმარისთა ბატონობისაგან განთავისუფლების საქმეში აქტიურადაა ჩაბმული, იგი ქვეყნის გამათავისუფლებელი ბირთვის დასაყრდენია, გამათავისუფლებელ მოძრაობის წამყვან ძალად კი რუსეთია ნაყარაუდევია“.<sup>12</sup>

ქართლ-კახეთის ხელახალი დამლითა და კახეთში სელიმ-ხანის მმართველად დანიშვნის შემდეგ საგრძნობლად მძიმე პირობები შეიქმნა აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კი კახეთში. „როგორც ჩანს, – შენიშნავს პროფ. ი. ცინცაძე, – სელიმ-ხანის კახეთის მორჩილებათ უკვე აღარ კმაყოფილდებოდა და კახეთში მოსახლეობის ისეთი ძირითადი ბირთვის შექმნას გეგმავდა, რომლის საფუძველზეც კახეთს სრულად უნდა გადაშენებულყოფოდა და თურქმანთა მეჯოგე ტომების საქმიობლოდ უნდა გარდაქმნილიყო“.<sup>13</sup>

კახეთისათვის მძიმე დღეებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მის მთიანეთს, სადაც დამპყრობლებმა ვერ შეაღწიეს. „კახეთის მთიანეთი ორგანული ნაწილი იყო კახეთისა და მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბართან. აქ მთამა თავიქსაფარს იძულებოდა მტრის შექმნილ შევიწროებული ბარელები; მთა მთუკვალ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა, სადაც ხდებოდა ძალების დაგროვება და აქედანვე იწყებოდა გადაშლენული შეტევა მოხედურთა გასადევნად. მთა ბარის ამოუშრეტელ რეზერვს წარმოადგენდა“.<sup>14</sup>

კახეთის ბარის დაუძლურების პერიოდში „ურყევად იდგა საქართველოს ბურჯი თუშ-ფშავ-ხევსურეთი“<sup>15</sup> და მტრისაგან სამშობლოს განთავისუფლების საქმეში ერთ-ერთ საიმედო ძალად ესახებოდა ბარის ქართველობას.

<sup>9</sup> М. Броссе. Переписка на иностранных языках грузинских царей и российских государей от 1639 по 1770. СПб. 1861, стр. 74-75, 229-230.

<sup>10</sup> თ. ტივაძე. საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის მეორე ნახევარში. 1977. გვ. 65-66; მისივე. თიბურაზ პრეველის საგარეო პოლიტიკა, 1990, გვ. 138

<sup>11</sup> М. Броссе. დასახელებული შრომა. გვ. 74-75, 229-230

<sup>12</sup> ი. ცინცაძე. საქართველოს მთიანეთის (თუშ-ფშავ-ხევსურეთის) რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან (XVII – საუკუნის შუა წლები). ჟურნ. „მნათობი“, №2, 1956 წ., გვ. 181

<sup>13</sup> იქვე. გვ. 177.

<sup>14</sup> ნ. ასათიანი. ბახტრიონის გმირული ეპოქის 300 წლისთავის გამო, ჟურნ. „მნათობი“. №8, გვ. 119, 1959წ.; დ. გვრიტიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. ტ. II, 1965, გვ. 400.

<sup>15</sup> ნ. ასათიანი. ფშავი /ვაკა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი საოუბილო კრებული. 1966. გვ.35

ქართლ-კახეთში შექმნილმა პოლიტიკურმა ატმოსფერომ დიდი ალშვო-თება გამოიწვია მთის მოსახლეობაში. ბარის უბედურება მთის უბედურება იყო. ბარის გარეშე მთის არსებობა წარმოუდგენელი იყო. ამიტომ იყო, რომ 1654 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი თუშეთის მეთაურობით აქტიურად ჩაება ქვეყნის გადარჩენისათვის დაწყებულ მოძრაობაში. „თუშეთი, – წერს პროფ. ი. ცინცაძე, – ფშავეთისა და ხეკისურეთის სათავეში დგება და წამყვან როლს ასრულებს მთის ამ ქართველ ტომებს შორის“.<sup>16</sup>

მთის მიერ აღნიშნული აჯანყებისათვის შზადება და შექმნა მასში აქტიური მონაწილეობა არ შეიძლება ავხსნათ მარტო ქვეყნისადმი ერთგულებითა და თავდადებული სიყვარულით. ამ აჯანყებაში მთის მოსახლეობის თავდადებას სხვა მიზეზებიც ჰქონდა. მომთაბარე თურქმანული ტომების ერთდროულმა ჩამოსახლება იორ-ალაზნის ველებში დიდი საფრთხე შეუქმნა მთიელებს, რომლებიც საშუალოდ უნდა გამოთხოვებოდნენ კახეთის საზამთრო საძოვრებს, რომელთა გარეშე შესაქონლე თუშებსა და ფშავესურებს არსებობა არ შეეძლოთ. ამიტომ იყო, რომ მათ 1660 წელს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს კახეთში ჩამოსახლებულ თურქმანებსა და სპარსელთა გარნიზონებს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთაგან, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, ყველაზე მეტად თუშებს უჭირდათ. „მთის ტომთაგან, ყველაზე დიდი საშიშროება თუშებს მოელოდათ“.<sup>17</sup> მაგრამ არც ფშავესურებს ჰქონდათ სახარბიელო მდგომარეობა. „დამიყნობელთა გეგმები მთიელთა /ფშავე-ხეკისურების, ჟ-ე- / სულაყრ სამყაროსაც აშფოთებდა. მთიელთა სახელგანთქმულ ხატებს (თაშარს, კოპალეს, გუდანს, იახსარს) მამულები ანშეტაშიც ჰქონდათ; ბარის ბაღ-ყენახეობის მოსპობას თუ დაიწყებდნენ მათ ზეარისაც გაჰაყაყდნენ, ჯეარის მსახურნი კახეთის ვეღარ ესტუმრებოდნენ და სადღეობო კულუხს კეღარ წაიღებდნენ“.<sup>18</sup>

თუშები კარგად ერკვევიან შექმნილ სიტუაციაში, ისინი გრძნობენ, რომ მარტო მთისა და ბარის მოსახლეობა ვერ განახორციელებს კახეთის განთავისუფლებას სპარსელი დამპყრობლებისაგან და ფშავესურებთან ერთად ურთიერთობას ამყარებენ რუსეთის სახელმწიფოსთან.

თუშეთიდან მოსკოვში 1657 წელს გაგზავნილ პირველსავე წერილში თუშ-ფშავესურები საგანგებოდ უსვამენ ხაზს თავიანთ გადაწყვეტილებას, თუ რა აინტერესებს მთიელებს რუსეთთან ურთიერთობის დამყარებით: „ჩვენ შაგარის ალაგას ვართ და არას კაცს შეკეპობუკებით. ამდენი ხანი არის საქართველოს ყაენი ებრძვის და ჩვენ არც შეკოგაიშვაა ყაენის კაცი და სადაც მოგვიხელებია მოგვიკლავს და მისი სარდარი გაგვიქცევა და ლაშქარი გაგვიწყვეტია. აწე. დიდო ხელმწიფევე, ჩვენი ხელმწიფე ყეენმა

<sup>16</sup> ი. ცინცაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 176

<sup>17</sup> ლ. ბოჭორიშვილი, ბახტრიონის გმირები, 1943, გვ. 54.

<sup>18</sup> იქვე; ვ. ბარდაველიძე, ივრის ფშაველები, „ენიმიკის მოამბე“, თ. XI.

წახდინა და ზურგი აღარ სადით გვექონდა და ძღვთისაგან ველოდებოდით, რომე ერთი შენი ბრძანება და კაცის მოგსკლიყო. აწე მოგვივიდა შენი ბრძანებაცა და ჩვენის დედოფლის კაციცა და თქვენის ბრძანება გავგვითა- ვებია და შენ შემოგვევეწინივართ და შენთვის თავი დაგვიკრავს გვიმსახურე და გვალაშქრე, ამ დღეჲსით შენი ყმანი შევექმნილვართ“.<sup>19</sup> 1658 წელს მოსკოვის მეფისადმი გაგზავნილ მეორე წერილში კი ნათქვამია: „...მღთივ გვირგვინოსანო, მეფეთ შუჲვე, დიდო შუჲვე, ბატონო აღექსი მისეილის შეილო: თქვენმა მინდობილმა ქვეყანაჲმ თუქეთმა, ფშაჲმა და ხეესურმა სრულ ერთობილთა თაჲს დაგვიკრავს და თქვენს ნადგომს მისწას ვმთხვევ- ნივართ. აგრეთვე აჲმასწინათაც, დიდო ხელმწიფეჲ, ჩვენს ელჩები ვახელთ და სრულად ერთობილთა თაჲს დაგიკრავთ და ახრე მოგახსენეთ, რომე ჩვენ ერთი ღმერთი ვიცით და მეორე საქართველოს ხელმწიფე, მეფე თეიმურაზ და ჩვენ სხვას ურჯულოს კაცის ხელქვეყათ არა ვყოფილვართ, თუ არ ქრისტიანის ხელმწიფის ყმანი ვყოფილვართ და გვიმსახურებია და ახლა ჩვენს ხელმწიფესა ურჯულომ ყენმა დასძლივა და რადგან ჩვენს ხელმწიფე თქვენ ხელთ ქვეშ არის, დიდო ხელმწიფეჲ, ჩვენც თქვენს ხელთ ქვეშ შევიქმნებით და არც უსიკვდილოდ კაცის ყმობა არ შეგვიძ- ლიან, თუ არ ქრისტიანის ხელმწიფის“.<sup>20</sup>

ეს დიპლომატიური მიმოწერა მოსკოვის მეფესთან, როგორც ითქვა, ნაკარნახევი იყო კახეთის მეფის თეიმურაზ პირველისა და მოსკოვში აღექსი მეფის კარზე მყოფი ერეკლე ბატონიშვილის მიერ. მათი მიზანი იყო აღმოსავლეთ საქართველოს მოიანეთის მტრის წინააღმდეგ ამხედრება. ისინი, როგორც ჩანს, სწორად ფიქრობდნენ, რომ მთიელები კახეთში ქართველი მეფის ხელისუფლების აღდგენით დაინტერესებულნი იყვნენ და ამისთვის მათ ეკონომიკური მიზეზებიც ჰქონდათ. რუსეთიც თავის მხრივ დაინტერესებული იყო თუშეთის მოსახერხებელი გეოგრაფიული მდებარეობითა და მისი ძალების გამოყენებით; მას აინტერესებდა – შეიძლებოდა თუ არა თუ- შეთზე დაყრდნობით, ქართლ-კახეთიდან ირანელთა განდევნა და რუსეთის პოზიციების განმტკიცება კახეთში.

1658 წელს თეიმურაზ პირველი იძულებული გახდა მოსკოვში გამგზავ- რებულიყო. მეფის ამაღლას თურგის ციხეში შეხვდა თუშთა 8 კაცისაგან შემდ- გარი ელჩობა, ისინი ერთად ჩავიდნენ მოსკოვში. მაგრამ ამას რაიმე არსებითი შედეგი არ მოჰყოლია.

თეიმურაზ პირველისა და ერეკლე ბატონიშვილის ხელმძღვანელობით ამხედრებული მთის მოქმედება კახეთის მმართველ სელიმ-ხანისა და ირანის პოლიტიკური მოღვაწეებისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. კახეთში მოკალათებულმა სელიმ-ხანმა ირანის დახმარებით. 1660 წელს ერთდროულად

<sup>19</sup> М. Броссе. Переписка... стр. 75.

<sup>20</sup> Там же. стр. 229

ჩამოსახლა 15 ათასი კომლი<sup>21</sup> თუ 100 000 სული<sup>22</sup> მეჯოგე. 15 ათასი კომლის თუ 100 000 სული მეჯოგე თურქმანების ერთდროულმა ჩამოსახლებამ ისედაც გააპრტახებულსა და ვერანად გამხდარ კახეთში დიდი ცოდვა-ბრალი დაატრიალა. „კახეთის უბედურება, — წერს პროფ. ი. ცინცაძე, — უშუალოდ შეეხო მთის ქართველებს — თუშებს, ფშავლებს და ხევსურებს. მთის ქართველების არსებობა უშუალოდ ბარზე იყო დამოკიდებული... მთა პურს, ღვინოს და ხილს ბარისაგან ღებულობდა, საზამთრო საძოვრებიც ხომ მთის მეჯოგეებს კახეთში აქონდათ, ხოლო მეჯოგეობა წამყვანს მყურნეობაა მთაში. ასეთ ვითარებაში კახეთში შექმნილი უბედურება უშუალოდ ემუქრებოდა მთის და ბარის მიერ განცდილი მარცხიც მთამ ბართან ერთად გაიზიარა“.<sup>23</sup>

თურქმანული ტომების დიდი ნაწილი ბახტრიონ-ალავერდისა და ალონის ტერიტორიაზე ჩამოსახლეს. იქ დაიწყო ციხესიმაგრეების აშენება, რითაც თუშეთს ხელიდან ეცლებოდა მეცხვარეობისათვის საჭირო საზამთრო საძოვრები. გარდა ამისა, სელიმ-ხანი ხელს უწყობდა კახეთში ლეკების თავისუფალ თარეშს: „მან სელიმ-ხან მოიყვანა ელნი და დასხნა შიგნით და გარეთ კახეთს და დაიყრეს ამათ ბახტრიონი, ალავერდი და გარყენეს წმინდანი ეკლესიანი, რამეთუ იყო ჭირი დიდი მათგან კახეთსა შინა და ქურდთა ღეკთაგან“.<sup>24</sup>

თუშეთი რომ ალაზნის მარცხენა მხარეზე მდებარე ტერიტორიას — ალვანის /ალონის/ ველ-მინდვრებს საკუთარ მიწა-წყლად მიიჩნევდა, კარგადაა ასახული თუშურ ხალხურ პოეზიაში:

„ალთეს და ჩალთეს თათრები  
წითლად ცადიოდ წყალიო,  
ალვანში ციხეს აგებენ  
ხოჯა თათრისა ძელისიო.  
ლიბოდ უგდებენ გალოსა  
ნაწვერეტის ფრანგულისიო,  
დაგაგდებინეს ალვანი  
თუშთ არის საკუთარიო“<sup>25</sup>

სხვა ფაქტორებთან ერთად კახეთის საზამთრო საძოვრების დაკარგვის საშიშროება თუშეთს აიძულებს „ასეთ პირობებში აიღოს ინსციატივა

<sup>21</sup> ვ. ფუთურიძე, მოკამედ თაჰარის ცნობები საქართველოს შესახებ /მასალები საქ.-ოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954/, გვ. 393

<sup>22</sup> ი. ცინცაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 183

<sup>23</sup> ი. ცინცაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 178.

<sup>24</sup> ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 1913 წ. გვ. 189.

<sup>25</sup> აკ. მანიძე, ქართული ხალხური პოეზია, 1, ხევსურული, გვ. 61, 1931 (ხაზი ჩვენი, ვ.ე.)

რუსეთთან ურთიერთობის დასაძმურებლად“ და ფშავ-ხევსურეთთან ერთად აქტიური მოქმედება დაიწყო კახეთის გასანთავისუფლებლად.

ქართლ-კახეთის თანდათანობითი დაპყრობით გათამამებული ორანი უფრო აქტიურ მოქმედებაზე გადადის და კახეთს ორ ნაწილად ჰყოფს. კახეთის „მიწა-წყლის ოთხი მეექვსედის მმართველობა ყარაბაღის ბეგლარ-ბეგს მურთაზა ყული-ხანს, ხოლო ორი მეექვსედისა ნახჭევანის მმართველს ალი ყული-ხან ქენგურ-ლუს გადაეცა და ხსენებული ელემიცი ოთხი მეექვსედის და ორი მეექვსედის ანგარიშით მათ შორის იქნა განაწილებული“<sup>27</sup> ქვეყანაში „ყიზილბაშობა“ დაბყარდა. „ეს კი ნიშნაჲდა იმას, რომ ქართული ფეოდალური ურთიერთობის წესები ძალაში აღარ იქნებოდნენ, ქართველი გლეხი ან საკაცებით გაიდევნებოდა აქედან, ან რაიათად გადაიქცეოდა. ქართველი ფეოდალი მიწაზე საშაძულო მფლობელობის უფლებას დაკარგავდა, უკეთეს შემთხვევაში დროებით მფლობელად, ყიზილბაშური წესით მიწის მტკერად გადაიქცეოდა, ინტენსიური მიწურეწობა მოიშლებოდა და უკულტურო თურქმანთა ხელში სოფლის მიწურეწობის დარგები უკიდურესად დაქვეითდებოდა, ქვეყანაში გაბატონდებოდა ველური ეთნიკური წესები.“<sup>28</sup>

ქვეყანაში შექმნილი რთული მდგომარეობა, განსაკუთრებით, ქართული მიწათმფლობელობის შეცვლით გამოწვეული, არც შაჰის მორჩილ თავადაზნაურებს მოსწონდათ. ისინი კარგად ჰვრეტდნენ არსებული სიტუაციის უფრო რთულ მომაკვალს და, მიუხედავად იმისა, რომ შაჰისაგან დიდად დასახუქრებულნი და დაწინაურებულნი იყვნენ, როგორც ზაალ ერისთავი, ისე ქართლ-კახეთის სხვა თავადები აჯანყების მონაწილენი გახდნენ. კახეთის ფეოდალების ასეთ მოქმედებას დიდი გოცება გამოუწვევია ირანში, რის შესახებაც შაჰ-აბას III კარის ისტორიკოსი მოჰამედ თაქერი გაკვირვებით აღნიშნავს: „შეტად საკვირველი და უცნაური ჩანდა ის, რომ ერისთავს (ლაპარაკია ზაალ არაგვის ერისთავზე. ვ.ე.). რომელსაც ამდენი საჩუქარი და წყალობა აქონდა მდიდრული მძი უდიდებულე სობისაგან, უმადურობას გამოასჩენდა „უამთა ხელმწიფისადმი“ (ე.ი. შაჰისადმი) და ასეთი ბოროტმოქმედებას ჩამდენი გახდებოდა“<sup>29</sup> ქართლ-კახეთის თანდათანობითი დაპყრობის მიზნით სპარსეთის მიერ ჩატარებულმა მრავალმა ღონისძიებამ ბარისა და მთის მოსახლეობის ყველა სოციალური წრე საერთო საფრთხის წინაშე დააყენა, გაერთიანა მათი ძალები საერთო მტრის წინააღმდეგ. „სწორედ ასეთი გადასწყვეტ ღრის გაჩაღდა საქართველოში გაშათავისუფლებელი ომის ცეცხლი. ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ აიყენა თავისი უშირეტი

<sup>26</sup> ი. ცინცაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 176.

<sup>27</sup> ვ. ფუთურიძე, მოჰამედ თაქერის ცნობები საქოს შესახებ, გვ. 394.

<sup>28</sup> ნ. ასათიანი, ბახტრიონის გმირული ეპოპის 300 წლისთავის გამო... გვ. 120-121  
ვ. უთურიძე, დასახელებული ნაშრომი... გვ. 394

ძალა და დაამტკიცა, რომ მოძალადეს არ შეეძლო მისი საბოლოოდ დამორჩილება<sup>30</sup>.

სარსი დამპყრობებითა და ჩამოსახლებული უცხოელებით შევიწროებული კახეთის მოსახლეობა გამოსავალს ეძებდა. კახელები აჯანყებას ამზადებდნენ და დიდ იმედებს ამყარებდნენ მთის მოსახლეობაზე. მთაში „არწივნი მალლის მთისანი“ მზად იყვნენ შეეშუსრათ საერთო მტერი, ძირს დაეცათ მტარვალობის ბუდე – ბახტრიონის ციხე“<sup>31</sup> „ირანელების წინააღმდეგ. – წერს ივ. არჯევანიძე. – დიდ შეურიგებლობასა და სიძულვილს იხენდნენ მთიელები, კერძოდ თუშები, ფშაველები და ხევსურები, რომლებიც მოსკოვის მეფისაგან შეარველობასა და სამხედრო დახმარებას მოელოდნენ“<sup>32</sup> „ქართლ-კახეთი განადგურებული იყო, – წერდა გიორგი ლეონიძე, – ქართლ-კახელი ვაჟკაცები ზოგი შაჰ-აბასთან უთანასწორი ბრძოლაში ამოწყვედა, ზოგი სპარსეთში იყო გადასახლებული, ამატომ მთაში გადარჩენილ ქართველობასდა შეეძლო მტერთან გამტლავება. მთა ამ დროს აქტივობას იჩენდა... თუშ-ფშავე-ხევსურების შეერთებულმა ყრილობამ ორჯერ, 1657 და 1658 წლებში, თავისი ხევისბერები გაუგზავნა ელჩებად მოსკოვის მეფეს და შემწეობა ითხოვა“. „განსაკუთრებით შეფთავდნენ თუშები და ფშავე-ხევსურები, – წერს პროფ. შ. მესხია, – მათ გაერთიანება შოაქერხეს, მოსკოვის ხელმწიფესთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს და ყოზილობაშების წინააღმდეგ სალაშქროდ მოემზადნენ“<sup>33</sup> მაგრამ მთამ რუსეთიდან დახმარება ვერ მიიღო და მიზანიც განუზორციელებელი რჩებოდათ, კახეთი კი სპარსელებით ივსებოდა.

კახეთში შექმნილი მდგომარეობა იმდენად კრიზისულ ფაზაში იმყოფებოდა, რომ ოდნავი დაყოვნებაც კი ქვეყნისათვის დამღუპველი აღმოჩნდებოდა. ყველაზე მეტად ღელავდნენ თუშები, რადგან კახეთის მეფეთა მიერ საზამთრო საძოვრებად გადაცემული ალაზნის გაღმა მხარე, კერძოდ, ისტორიული ალენის ველ-მინდვრები, მთლიანად მეჯოგე თურქმანთა ტომებით იყო დასახლებული. „თურქმანთა მეჯოგე ტომების კახეთში დასახლების ფაქტი, – წერს პროფ. ი. ცინცაძე, – მწვავედ უნდა განეცადათ თუშებს. შესაძლებელია, მათ სპარსეთში თუ არა, კახეთის მფლობელ სელიმ-ხანთან გაგზავნეს კაცები შირაქისა და სხვა საძოვრების საკითხების მოსაგყარებლად და, როგორც თურქმანთა ტომების კულტურას შექმენოდა, თუშეთის ელჩებს სწორედ ისე მოეპყრნენ“<sup>34</sup>.

<sup>30</sup> შ. მესხია, დ. გვერტიშვილი, ნ. ასათიანი, ბახტრიონის გმირული ეპოპეა, გაზ. „კომუნისტი“, №82. 1959.

<sup>31</sup> ნ. ხიზანიშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები. გვ. 121, 1940წ.

ივ. არჯევანიძე, თბილისიდან ალაზნის ველისაკენ. გვ. 145. 1958.

<sup>33</sup> ბ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია. I, გვ. 302, 1958.

<sup>34</sup> ი. ცინცაძე, დასახლებული შრომა, გვ. 183



რომ თუშეთის მოსახლეობის წარმომადგენელთათვის თათრებს ნამდვილად შეურაცხყოფა მიუყენებიათ და ამას თუშებში დიდი აღშფოთება გამოუწვევია, ეს კარგად ჩანს ერთ ხალხურ ლექსში, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული შურისძიებით ანთებული ხალხის მუქარა ბახტრიონის ციხეში მოკალათებული მტრებისადმი:

– გარეთ გამოდი. სულთანო,  
თუშნი გისხედან კარზედა,  
თუ ნებით არას გამოხვალ  
გამოვიყვანენ ძალადა<sup>35</sup>.  
„ბახტრიონს სულთნის ციხეო,  
ცამდის აგიშეეს ალია.  
კარზედ გამოდი სულთანო,  
ჩვენ დიდი გმართებს ვალია.  
ამ თექიანშა თუშებში  
არ შეგარისინეთ ჯაფრია...“<sup>36</sup>

თუში ელჩების შეურაცხყოფა, მართლაც გახდა საბაბი აჯანყების დაწყებისათვის. თუშებს ფშავ-ხევსურეთისათვის დახმარება უთხოვიათ. გაერთიანებულ თუშ-ფშავ-ხევსურეთს კი კახეთისათვის უცნობებია და აჯანყების გეგმაც გაუნდვია. „სანატრულმა წაშმა დაჰკრა... სამშობლოს სიყვარულმა აშალა ხალხი, – წერს გ. ლეონიძე. – ზოგი ქართველი ფეოდალაც შეუერთდა, სამშობლოს დასახსნელად ხალხმა მეთაურები იშოვნა“<sup>37</sup>. „ხალხური გადმოცემები ისტორიულ წყაროებთან ერთად გადმოგვცემენ, – შენიშნავს პროფ. მ. ჩიქოვანი, – რომ აჯანყება პირველად ხალხში დაიწყო და შექმდებოდა კი მოძრაობამ გაიყოლია და ბრძოლის სათავეში შოაქციაა ერისთავები“<sup>38</sup>. ამ მხრივ მეტად საინტერესო ცნობებს იძლევა თუშური ხალხური გადმოცემა, სადაც დაწვრილებით არის მოთხრობილი აჯანყების ზოგიერთი ძირითადი საკითხის შესახებ. გადმოცემა ფშავ-ხევსურეთისადმი თხოვნით იწყება: „გაიშველეო, სირცხვილი და ჩირქი ჩვენთა შიძმეთა მტრას სისხლით გაიროცხოო და ვავიბანოთ“.

ხალხური გადმოცემების მიხედვით, 1660 წლის აჯანყების დაწყება-განვითარების სურათები შემდეგნაირად წარმოგვიდგება: „თუშების მოწოდებას გამოეხმაურნენ ფშავ-ხევსურნი და დაიწყეს მზადება სალაშქროდ. დანიშნეს დრო და ადგილი, სადაც უნდა შეყარსილიყო შეერთებული ლაშქარი. გაგზავნეს რამდენიმე კაცი მთიქვითან შილადაში. შესთხოვეს კარის დარაჯს

<sup>35</sup> თუშური პოეზია, გვ. 20, 1962 /ლექსები შეკრბა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო კოტე ჭრელაშვილმა

<sup>36</sup> ნ. ხიზანიშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 124, 1940.

გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილების, გვ. 421, 1959.

<sup>38</sup> მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, გვ. 55, 1956.

გაუღიძობინათ მეფე. მეფემ შიდა მოციქულები. თუშებმა აუხსნეს ლევანს<sup>39</sup> თაგინათი გულისწადილი, მეფე ლევანი ყოყმანობდა და გაიძახოდა: „რა გქნა, მტერი დიდა, ვერ ვძლეოთ, ვანრისხებული თათარი ამობუგავს კახეთს, ქვას ქვაზე აღარ დამინარჩუნებს. ხალხი ამოწყდება, მეფე გარდა დიდ ცოდვაში ჩავვარდება“. „არა მეფე, - უთხრეს თუშებმა, - ცოდვა ჩვენს კისერზე იყვეს და ჩვენ ხმაღზე, თუ გერ გავიმარჯვებთ ჩვენ გერ ავიტანთ ამ სირცხვილს, ან სულ ამოვწყდებით შენი ერთგული ყმები, ან შევვდებათ ალყანის მინდორის უწმინდურის თათრის სისხლით. ჩვენ ისინი ვერ გვაჯობებენ, მხოლოდ შენ ვაუსიე კახელები სხვადასხვა სოფელში მდგარ თათრებზე, გააუღეტიხე და ჩვენ თუშ-ფშაგ-ხევისურებმა ვიცით როგორ მოუღოთ ბოლო ალყანის თათრებს“. მეფე დათანხმდა. დანიშნეს დრო - დილის რიურაჟი. მეფეს სოფლებში თათრები დაჰე უნდა გაეწყვიტა, თუშ-ფშაგ-ხევისურებს კი უნდა აეღოთ ბახტრიონი და ალავერდის ციხეები.

დანიშნულ დროს, როგორც ერთი კაცი, ისე მოაწყდნენ სხვადასხვა მხრიდან ჩამოსული მთიელები თუშეთის დელეს/ყველა თემის შუა ადგილს, სადაც საერთო საქმეები ირჩეოდა ხალხის წარმომადგენელთა მიერ/.

აღიჭურვა ჯარი თოფ-იარაღით და ორ ნაწილად გაიყო. ერთი წყება წავიდა პანკისის ხეობაზე, მეორე ნაქერალაზე-ალყანის ბახტრიონზე. ბახტრიონში თათრების ჯარი იდგა და იმის ასაღებად დაიძრა თუშ-ფშაგ-ხევისურეთი. მხედართა წყობამ, რომელიც წამოყიდა პანკისის ხეობაზე, ბაწარის წყალზე, ნახა თათრების ნაცარ-დაყრალი ბოგირი, რომ ნაკალი შესტყობოდა და ნაფურსზე გამვლელს დასდევებოდნენ. ბოგირზე გასვლის კვალი რომ დაემაღათ, თუშებმა უკუღმა დაჭედეს ცხენები. თათრების მეთვალყურეებს უნახავთ ზეგით წასული კვალი და ამ ყითომ გაქცეულ თუშების ჯარის ბახტრიონიდან დასდევებიან თათრები, თუშებმა შეაფარეს თავი და მდევარი ზეგით გასცდა, ბახტრიონისაკენ გასწავს.

თუშები შევიდნენ ციხის ვალავანში, მაგრამ თვით ციხის კარები დაკეტილი დახვდათ. თათრებმა იქ შეაფარეს თავი. თუშების გამოჩენილმა გმირმა - ზეზვა გაფრინდაულმა, ოსტატობა იხმარა და ზერნით შეიჭრა მტერს ციხეში. ჯერ კიდევ მაშინ, როცა თუშები დაძალუღნი იყვნენ ტყეში ზეზვა შეუდგა პალოების თლას „რათ გინდაი“? - ჰკითხავდნენ აქეთ-იქიდან - „თქვენ ნახავთ, რომ დაგვჭირდებათ“, უპასუხებდა ზეზვა.

თათრების დარაჯებს დასძინებოდათ. გამჭრიახომა გამოუჩენია გმირის ზეზვა გაფრინდაულს, პალოები დაუკრავს ვალავანზე საფეხურებად.

<sup>39</sup> ლევანი კახეთში მეფობდა 1518-1574 წლებში, ამ დროს კახეთს მეფე აღარ ჰყავდა. კახეთის მეფე-თეიმურაზი იმერეთის სამეფოში იყო გახიზნული 1648 წლიდან. მთის წარმომადგენლები იქნებოდნენ კახეთის ბარის აჯანყებულთა რომელიმე ხელმძღვანელთან, ალბათ, ბიძინა ჩოლოყაშვილთან. გადმოცემაში კი ლევან მეფის მოხსენიება იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ იგი თუშ-ფშაგ-ხევისურებისათვის კახეთის მეფეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე საპატიო და ახლომდგომი მეფე იყო.

მან ჩაასო კედელში პალო, შედგა ფეხს, ჩაასო შორე, შედგა შორე ფეხი, ჩაასო მესამე, შოთხე... და ავიდა ცინის კედელზე. კედლიდან გადახტა შოგ ცინიში. ამოსოცა დარაჯები, გააღო კარები და ისე შევიდა ლაშქარი. შურისძიებით აღჭურვილი თუშ-ფშაგ-ხევსურნი ეკვთნენ თათრებს... მძინარე თათრები ისე აირივნენ, რომ ვეღარ არსივედნენ მტერი ვინ იყო და ვინ არა. გულგახეთქილნი აღარ ფიქრობდნენ ცინის დაცვაზე, მხოლოდ ცდილობდნენ როგორმე დაეღწათ თავი განრისხებული ქართველი შოიელებისაგან. თათრებმა იმ იმედით, რომ ალავერდის ცინეში შევეფარებითო, თავი დაანებეს ცინის და გაიქცნენ ალავერდისაკენ, თუშ-ფშაგ-ხევსურები მისდევდნენ უკან სოცვით.

ალავერდშიაც ასეთი ამბები ტრიალებდა იმ დროს, ის ცინეც აეღოთ, იქიდანაც გამოსულიყვნენ თათრები და წამოსულიყვნენ ბახტრიონისაკენ. ორივე ცინიდან გაქცეული თათრები შეიყარნენ ალგანის მინდორზე. თათარი შოეშვეკდა შუაში. აქ შეიქმნა უწყალო ჟღეცა თათრებისა. თუშების თქმით „იმდენი თათარი ეხოცა, სანამდის ერთი თათრის გვაში ყირა-შალა არ დამდგარიყო თათრების ძვედრების გროვოში. მაშინ ზეზვას შეეჩერებინა მტრის სოცვა, რადგანაც გვამის ყირაშალა დადგომა ცოლოდ შიანდათ. იმ ადგილს, სადაც ეს საშინელი სისხლის ღვრა მოხდა და თათარი განადგურებულ იქნა, დაერქვა „გაწყვეტალა“. ასე ეძახიან თუშები ამ ადგილს დღესაც“.<sup>40</sup>

ჩვენ მიერ აქ მოტანილი გადმოცემა, რომელიც პროფ. სოლ. ყუბანეიშვილს გაუკეთებია პროფ. ალ. ხახანაშვილისა<sup>41</sup> და ივ. ბუქურაულისა<sup>42</sup> მიერ სხვადასხვა დროს ჩაწერილი გადმოცემების მიხედვით – საკმაოდ ანგარიშგასაწევ ცნობებს იძლევა 1960 წლის კახეთის აჯანყების შესახებ.

ხალხური გადმოცემა ასახავს ლიტერატურაში დამკვიდრებულ აზრს იმის შესახებ, რომ აჯანყების დამწყები და ერთ-ერთი მოწინავე ძალა თუშეთი იყო. ხალხური გადმოცემა იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ გვიჩვენებს მთისა და ბარის ორგანულ კავშირს საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. როგორც ვხედავთ, 1660 წლის კახეთის აჯანყების შესახებ არსებულ ხალხურ გადმოცემებსა თუ წყაროებში თუშეთს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია. „საყურადღებოა, – შენიშნავს პროფ. ი. ცინცაძე, – რომ სპარსი ისტორიკოსიც (საუბარია აჯანყების თანამედროვე სპარსი ისტორიკოს მოჰამედ თაჰერის შესახებ, ვ.ე.) მხოლოდ თუშებს-სდებს ბრალს თურქმანთა ტომების ამოწყვეტაში“.<sup>43</sup>

<sup>40</sup> სოლომონ ყუბანეიშვილი, ბახტრიონის გმირები ქართულ მწერლობასა და ხალხურ სიტყვიერებაში, გვ. 19-21, 1953.

ალ. ხახანაშვილი, ბახტრიონის აღება. „ივერია“, №220, 1888.

ივ. ბუქურაული, თუშური ლექსები. „ძველი საქართველო“, ტ.2, განყოფ. გვ. 13-14, 1913 წ., ექვთიმე თაყაიშვილის გამოცემა.

ი. ცინცაძე, დასახელებული შრომა, გვ. 183

ხალხური გადმოცემის მიხედვით წარმოდგენილი აჯანყების გეგმა და მსკლელობა არ ემთხვევა ვახუშტი ბატონიშვილის<sup>44</sup> და ბერი ეგნატაშვილის<sup>45</sup> მიერ აღწერილ გეგმას. ვახუშტისა და ეგნატაშვილის მიხედვით გამოდის, რომ მთისა და ბარის გაერთიანებულ ძალებს ჯერ ბახტრიონი აუღიათ, როგორც მთავარი ციხესიმაგრე დამპყრობლებისა, ბახტრიონის განთავისუფლების შემდეგ კი წასულან და ალავერდი გაუნთავისუფლებიათ: – „შემდგომად ყოველსა კახეთსა შინა, – დასძენს ვახუშტი, – მოსწყყატნეს, რამეთუ არცაღათუ დაუტყვევს აკუანთა შინა მწოჴარნი და განთავისუფლეს კახეთი“.

კახეთის აჯანყების თანამედროვე სპარსი ისტორიკოსის მოჰამედ თაჰერის ცნობები თითქოს მიახლოებით ადასტურებს 1660 წლის აჯანყების მსკლელობის შესახებ არსებულ ზეპირ გადმოცემებს. მოჰამედ თაჰერი მიუთითებს, რომ „ერთ შუაღამისას ისინი (თუშები, ჯ.ე.) მთელ ხროვად ბეიათის და არაბათანის ხალხს თავს დაესჩნენ, შრავალი მათგანი მოჰკლეს, ხოლო სხვები გაფანტეს და გააბნიეს“.<sup>46</sup>

შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი და ნ. ასათიანიც აღნიშნავენ, რომ „სხვადასხვა ციხეებში გამაგრებულ სპარსულ გარნიზონებზე თავდასხმა ერთდროულად მოხდა. აჯანყებულთა მთავარი ძალა ბახტრიონის ციხეს დაეცა, სადაც სპარსელთა მნიშვნელოვანი ძალა იყო თავმოყრილი. აჯანყებულთა ნაწილმა შეუტია ალავერდის ტაძრის გალავანს, რომელიც ყვიზილბაშებს ასევე თავიანთ სიმაგრედ გადაექციათ“.<sup>47</sup> კახეთის აჯანყება „ორ მთაჴარ მისიანს ისახაჴდა: კახეთის გაწმენდას ჩამოსახლებული უცხოელებისაგან და ქვეყნის განთავისუფლებას სპარსელთა ბატონობისაგან. პირველი მიზანი უახლოესი იყო. აქ აჯანყების ყველა შონაწილე, თავადი თუ გლეხი, მთიელი თუ ბარელი თანაბრად დაინტერესებული იყო და შეურიგებელი ბრძოლის აუცილებლობა სრულ გამარჯვებამდე ყველასთვის უდავო იყო. მეორე მიზანი უფრო შორეული იყო და აჯანყებულთა ფეოდალურ ნაწილში მის შესახებ ერთსულოვნებაც არ არსებობდა.“<sup>48</sup>

1660 წლის კახეთის სახალხო აჯანყებამ მისთვის მთავარი და აუცილებელი მიზანი – კახეთის გაწმენდა ჩამოსახლებული უცხოელებისაგან, შესანიშნავად განახორციელა. „კახანი, თუში, ფშაჴ-სეჴესური, მთიულ-მთხეჴე

<sup>44</sup> ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 189-190.

<sup>45</sup> ბერი ეგნატაშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 438, 1959.

<sup>46</sup> ვ. ფუთურიძე, მოჰამედ თაჰერის ცნობები საქოს შესახებ, გვ. 394. გაზ. „კომუნისტი“, №82, 1959.

<sup>47</sup> შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, ნ. ასათიანი, ბახტრიონის გმირული ეპოპეა, გაზ. „კომუნისტი“, №82, 1959.

<sup>48</sup> ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 350, 1948.

ზევაგად მოასკდა და საშინელი დაკერით ერთბაშად გაწმინდა ჩამოსახლებული უცხოელებისაგან სამშობლო მიწა-წყალი, ბახტრიონს, ალავერდს თუ სხვაგან შოგნით კახეთში არც ერთი თურქმანი არ გაუშეიათ. სელიმ-ხანი თავქუდმოგლეჯილი გადაიხვეწა 1659 წელს.“<sup>49</sup>

აჯანყებულთა მიერ კახეთში ჩამოსახლებული მეჯოგე თურქმანთა ტომების ამოწყვეტის შემდეგ დაიწყო პარტიზანული ბრძოლები ხელახლად მომრავლებული დამპყრობლების წინააღმდეგ.

როგორც პირველი, ე.ი. კახეთიდან უცხოელთა გაწმინდა და მათი მასობრივი ამოუღებელი, ისე მეორე-აჯანყების დამთავრების შემდგომ გაჩაღებული პარტიზანული მოძრაობა წმინდა სახალხო ბრძოლის ხასიათს ატარებდა. ლეგენდარული ზეზვა გაფრინდაულიც ამ ბრძოლას შეეწირა.

მთის ხალხურმა პოეზიამ 1660 წლის კახეთის აჯანყებაში მებრძოლ გმირთა საკმაოდ დიდი პლეადა შემოგვინახა. ხალხური ძეგლები ცდილობდნენ თავიანთი კუთხის გმირების განდიდებას. ამის მაჩვენებელია, მაგალითად, თუშური ლექსი – „ბახტრიონის აღება თუშთაგან“,<sup>50</sup> ფშაური – „ფშაველნი, უკვენ ხევსურნი“,<sup>51</sup> ხევსურული – „ხევსურები ბახტრიონის ომში“,<sup>52</sup> მაგრამ „ყველა კუთხეში – ფშავეში, ხევსურეთში, კახეთში და თუშეთში ჩაწერილი ბახტრიონის ბრძოლის ამსახველი ხალხური ლექსების ცენტრშია ქაღარამოსილი თუში გმირი ზეზვა გაფრინდაული“,<sup>53</sup> „ხალხური ლექსების მისედევით, – განაგრძობს პროფ. ქს. სიხარულიძე, – თუში ზეზვა გაფრინდაული აჯანყების ორგანიზატორია“.<sup>54</sup> „ბახტრიონზე შემტკევი პირველი რაზმი, შენიშნავს პროფ. მ. ჩიქოვანი, – თუშებისაგან შედგებოდა და მეთაურადაც თუში ჰყოლიათ – ზეზვა გაფრინდაული; ამას ამტკიცებს ხალხური ლექსების უმრავლესობა“.<sup>55</sup> „ზეზვას ხელმძღვანელობით დაეცა სპარსელების თავშესაფარი ბუდე ბახტრიონი, – განმარტავს პროფ. სოლ. ყუბანეიშვილი“.<sup>56</sup>

თუშ-ფშა-ხევსურეთში და კახეთის ბარში ჩაწერილ ბახტრიონის ციკლის ნაწარმოებთა უდიდესი უმრავლესობა იმასაც აღნიშნავს, რომ თუშეთი არის ფშა-ხევსურეთის დამრავლებელი და მარჯანიზებული ძალა. „ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, – წერს სოლ. ყუბანეიშვილი, – დაჟინებითაა

<sup>49</sup> ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 350, 1948

<sup>50</sup> ხალხური სიტყვიერება, ექ. თაყაიშვილის რედ. წ. I, გვ. 60-61, 1918.

<sup>51</sup> დ. ხიზანიშვილი, ფშაური ლექსები, გვ. 53, 1887.

<sup>52</sup> აკ. მანიძე, ხევსურული პოეზია, 1931 წ. გვ. 9

<sup>53</sup> ქსენია სიხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, გვ. 207, 1956.

<sup>54</sup> იქვე.

<sup>55</sup> მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, გვ. 40, 1956.

<sup>56</sup> სოლ. ყუბანეიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 24.

აღნიშნული, რომ ბახტრიონის ბრძოლის ინიციატორები თუშები იყვნენ, რომლებმაც დასახმარებლად ფშავ-ხევსურებს მოუწოდეს. თუშ-ფშავ-ხევსურნი, ლაშქარი გაეაზიაროთ, ჩვენ ერთურთ მხარი უჭიროთ, მტერი სხვა დავაზიანოთ – შესძახეს ერთმანეთის, შეერთებული ძალით ეპყეთენ მტერს და გამარჯვებაც მოაბოვეს“.<sup>57</sup> მართალია, ხალხური ზებარსიტყვიერება ზეზვა გაფრინდაულთან ერთად ასახელებს სხვა გმირებსაც, რომელთაც კახეთის აჯანყებაში აქტიური როლი უთამაშიათ, მაგრამ თუშეთში ჩაწერილ ზებარსიტყვიერ ძეგლებს რომ გვერდი ავუაროთ, თვით ფშავში, ხევსურეთში და კახეთში ჩაწერილ ლექსებშიც კი აჯანყების ხელმძღვანელად და სპარსელთა წინააღმდეგ მთის მოსახლეობის დამრავმველად ზეზვა გაფრინდაულია აღიარებული. ზეზვა გაფრინდაულის, როგორც აჯანყების ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის როლი კარგად და რეალისტურად არის გადმოცემული თუშეთში ჩაწერილ ლექსში – „გაფრინდაულის ამბავი“. აღნიშნულის შესახებ დასახელებული ლექსი შემდეგს გადმოგვცემს:

„ცხენს გაბანს გაფრინდაული,  
გაზრდილსა თივა-ქერზედა,  
ძუა-ფაფარსა დეარცხნის,  
ნალებს დააკრავს ფეხზედა.  
საღარს შეკაზმავს ზეზვაი,  
აბჯარს აისხამს ტანზედა.  
– საით მიდიხარ, ზეზვაო,  
ცხენი დაგიბამს კარზედა? –  
– ფშავ-ხევსურეთში საქმე მაქვს,  
ჯავრი ვიყაროთ მტერზედა.  
უნდა შევეყაროთ ჯარები  
თათრების მუქარაზედა.  
აბა, ვიაროთ, საღარო,  
ფშავ-ხევსურეთის გზაზედა. –  
ცხენზედ შეგდება ზეზვაი,  
ჩაჩქანი ხურავს თავზედა.  
გულუხისძე-ნიც გამოყენენ,  
ნატარნი ფშავის თემზედა.  
გადაივლიან ვაჟკაცნი  
ბორბალოს მაღალ მთაზედა.  
ლაშარს მივიდნენ თუშები,  
ხალხი დგას ხატის კარზედა.“

<sup>57</sup> სოლ. ყუბანიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 22

შემოეხვივნენ ფშაველები  
 თუშებს, დაკოცნეს პირზედა  
 სუფრაზედ მიიპატიყეს  
 შავი ლუღების სმაზედა.  
 გურგენა ჭინჭარაულმა  
 ზეზვას ხელ დაკრა მხარზედა:  
 – დაბერებულხარ თან თეთრი  
 გამოგრევი თმაზედა. –  
 დასხდნენ და პური შეჭამეს  
 ლაშარ გიორგის კარზედა.  
 გურგენი ჭინჭარაული  
 ზეზვამ გაიხმო განზედა.  
 – ძმანი ხართ, უნდა მოგვემხროთ  
 ჯაერის საყრელად მტერზედა,  
 თათრის ჯარი დგას კახეთში,  
 ხალხი ვერ გადის ველზედა.  
 აქლემის ქარაენები სძოვს,  
 ჩვენი ცხვრის საძოვრებზედა.  
 მლოცავსაც გააგებინეს,  
 მდგომსა დარბაზის კარზედა.  
 ფიცი დაუღეს ფშაველებმა,  
 ხელი დაიკრეს ხმალზედა.  
 – ჩვენაც კაცნი ვართ, ზეზვაო,  
 ქულები გეზურავს თავზედა.  
 ჩვენც სისხლი გემართებს და-ძმების,  
 ხმალნი ვალეწოთ თავზედა.  
 თათრებს კახეთში რა უნდათ,  
 ქართველთა მიწა-წყალზედა.  
 ხევსურნიც შეიყრებიან  
 არღოტის ზევით მთაზედა,  
 ჩვენ მაცნე გამოგვიგზავნე,  
 თქვენ რომ დადგებით გზაზედა.  
 საით მოვიდეთ, ზეზვაო,  
 რას იტყვი, რომლე გზაზედა.  
 – ფშავე-ხევსურნი ერთად წამოდით  
 პანკისის ხეობაზედა.  
 თუშნი ნაქერალს გადმოვალთ,  
 თქვენ გამოგყვებით კვალზედა.  
 ჩვენ შევიყრებით ნაქერალს,  
 დარაჯი გვედგეს განზედა.

იქ ლაპარაკი გვექნება  
თათრებთან ომობაზედა. —  
გამოესალმნენ ერთურთსა,  
ზეზვაცი შეჯდა ცხენზედა.  
ლუხუმმა დროშას შემოჰკრა,  
მღვობმა დარბაზის კარზედა.  
— გწყალობდეთ ლაშარის ჯვარი,  
ხელ მოგიმართოსთ მტერზედა“.<sup>58</sup>

ვაჟა-ფშაველას ისტორიული პოემის „ბახტრიონის“ მიხედვითაც თუშეთია ფშავ-ზევისურეთის დამრავლებელი, თუშეთიდან იგზავნება ოც წელს თუშებში მწემსად ნამყოფი კვირია, რომელიც სანათასთან საუბარში აღნიშნავს, რომ ურჯულო თათრების შემოსევებისა და აღვირახსნილობის გამო „მთელი კახეთი ქცეულა ჩიქილა მოხდილ ქალადა... დაჯავრდნენ თუშნი, რომ ნახეს ქვეყანა ნაოხარია. პირი ქნეს, იმათ წინ უძღვის ზეზვაი საოცარია... მე გამომგზავნეს საჩქაროდ ფშავს და ზევსურეთს მზირადა და დამაბარეს ხეეწნითა სიტყვა სათქმელი პირადა“.<sup>59</sup>

ზეზვა გაფრინდაული, რომ კახეთის აჯანყების ხელმძღვანელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე სახელმძღვანელო და ცენტრალური ფიგურაა, მტკიცდება იქიდანაც, რომ კახეთში თურქმანთა ტომების ამოწყვეტის შემდეგ ზეზვა გაფრინდაული სპარსელებთან ბრძოლას თავს არ ანებებს. ზეზვა გაფრინდაულმა რბევას გადარჩენილი ქართველებისაგან შეჰქმნა პარტიზანული რაზმები და მთებს შუა აღმართულ კლდოვან გორაზე აშენებულ — თორღვას ციხესიმაგრეში გამაგრდა. „ზეზვამ შეჰკრიბა ამოწყვეტას გადარჩენილი კახეთის მოსახლეობა, — წერს გ. ლეონიძე, — და თორღვას ციხეში გაიხიზნა. აქედან ესხმოდა კახეთში კვლავ მოვლინებულ სპარსელების ჯარს და შიშის ზარს სცემდა მათ:

„თორღვასა გაფრინდაული  
ამაგრებს ქვითკირსავითა,  
კარზე მოსულსა მოძალეს  
აბრუნებს ნახირსავითა“.<sup>60</sup>

როგორც ხალხური ლექსები გადმოგვცემენ, ზეზვა არ აღმოჩნდა ისეთი გმირი, რომელიც მიღწეულით, ე.ი. მოპოვებული სახელითა და დიდებით დაკმაყოფილებულიყო და მომავალ ბრძოლებზე აღარ ფეიქრა, ისე როგორც ეს კახეთის აჯანყების სხვა ხელმძღვანელებმა და წინამძღოლებმა გააკეთეს.

<sup>58</sup> ქს. სიხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, გვ. 207-209, 1956.

<sup>59</sup> ვაჟა-ფშაველა, რჩეული, 1953, გვ. 128-129.

<sup>60</sup> გ. ლეონიძე, სახალხო გმირი — ზეზვა გაფრინდაული, გაზ. „კომუნისტი“ №225, 1941.



ზეზვა გაფრინდაული აჯანყების დამთავრების შემდეგაც არ ბრუნდება თუ-  
შეთში, კახეთში რჩება და მთისა და ბარის გადარჩენილი მეომრებისაგან  
გაერთიანებული პარტიზანული რაზმებით თავს ესხმის სპარსელებს. გადმო-  
ცემის მიხედვით, სპარსელები ყოველ ღონეს ხმარობდნენ და ჯარის საუ-  
კეთესო ნაწილებსაც გზავნიდნენ, მაგრამ ზეზვას ხელში ჩაგდებას ვერ ახერ-  
ხებდნენ. ერთ-ერთი შეტაკების დროს სპარსელებს ზეზვა დაუჭრიათ, მაგრამ  
ხელში მანძე ვერ ჩაუგდიათ. ზეზვა კვლავ მთებში გახიზნულა და თორღვას  
ციხე-გალავანში გამაგრებულა:

„თოფ დაჰკრეს გაფრინდაულსა,  
თორღვ დარჩა ოხერივითა,  
თორღვას წვეს გაფრინდაული  
გამაგრდა ქვიტკირსავითა“.<sup>61</sup>

სპარსელები ძალით რომ ვერას გახდნენ, ათასგვარი დაპირებებით მოინდობეს  
ზეზვას მოტყუება. დიდი და ხანგრძლივი მცდელობის შემდეგ სპარსელებმა  
მოახერხეს ზეზვა გაფრინდაულის ხელში ჩაგდება. მოტყუებით შეპყრობილი  
ზეზვა თბილისში ჩაიყვანეს.

ხალხურ ლექსებზე დაყრდნობით პოეტი-აკადემიკოსი გ. ლეონიძე უნიშ-  
ნავს, რომ „ზეზვას დაჭერამ სპარსელებში დიდი აღტაცება გამოიწვია.  
გასაგებიც აყო მტრის ზეიმი. მან ხელთ იგდო ხალხის სარდალი, თავდა-  
დებული შამუღლიშვილი, რომელმაც სხვებთან ერთად სასიკვდილო ლახვარი  
წასცა სპარსეთის პოლიტიკას კახეთში. საამაყო ტყვე ზეზვა დიდი  
პატივით წამოიყვანეს თორღვას ციხიდან, ძუა შეღებულ ცხენზე შესვეს  
და მთელი გზა ილუშინაციით, „სანთლითა და მაშხალით“, „დაფაზურნის“  
ყიჟინით ჩამოატარეს“.<sup>62</sup> აღნიშნულის შესახებ ხალხური ლექსი ამბობს:

„ცივეომბორ გადაავლიან  
ძუაშეღებულ ცხენითა.  
ქალაქში ჩაიყვანიან,  
დაფა-ზურნითა, ღხენითა“.<sup>63</sup>

თბილისის თათრობა ზემოთ შეგებებია დატყვევებულ ზეზვას. ხელფეხ-  
შეკრული ზეზვა ჯერ ქალაქში შემოატარეს, ხოლო შემდეგ კი ხალხის სა-  
ყურებლად დასვეს ქალაქის „შუა უბანში“, „მოვანზე“ და დაბინავეს „ქარ-  
ვასლაში“ ასეთ მდგომარეობაში მყოფი ზეზვა ეცოდება ხალხურ მოლექსეს  
და აღნიშნავს:

„მოდან თათრის ქალები: „ზეზვა გვაჩვენეთ თვალითა“.  
ზეზვასა ნახვა რად უნდა? მოკლული თქვენის ხელითა.  
რატი არ ღნახეთ მაშინა. ბახტრიონს რომ ბრუნავდა ლურჯა ცხენითა,  
გალავანს გურგლივ ურბენდა გამაღლებული შუბითა?

<sup>61</sup> აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, I, გვ 328

გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, გვ. 424

აღვანის მინდორ აკისო ღოჯაი თათრის ძვალითა,  
მოგდევდათ, მოგაწუხებდათ, მოგჩხვლეტდათ შუბის წვერითა,  
მელას დაცვითა კბილები, ტურას ლოყნ ხორცის ჭამითა“<sup>64</sup>

ზეზვა გაფრინდაული თბილისში სასტიკ პირობებში ჩაუყენებია. იგი დიდი ხნის მანძილზე ხელფეხშეკრული გამოპყვანებია სპეციალურ მოედანზე, სადაც მტერი ენით აუწერელ შეურაცხყოფას აყენებდა და დასცინოდა. ბოლოს გაფრინდაული, როგორც ხალხური სიბრძნე გადმოგვცემს, ციხეში მოუთავსებია:

„ზეზვის ცხენო, ამ ზამთარ  
ბაგა გამახარ კბილითა.  
ქალაქს დაგიბეს პატრონი,  
ღამეთ ვითენებს გმინითა“.<sup>65</sup>

ხალხური მოლექსენი ხსენებული მდგომარეობის თხრობით ამთავრებენ ზეზვას თავგადასავალს და მათ უკვე აღარ იციან თუ შემდგომში რა ბედი ეწია სახალხო გმირს.

ზეზვა გაფრინდაულის საბოლოო ბედზე, ე.ი. თუ თბილისში ჩაყვანილ სახალხო გმირს რა უყვეს, საყურადღებო შენიშვნა აქვს გაკეთებული

პოეტ-აკადემიკოს გ. ლეონიძეს. იგი წერს, რომ: „რა ნაირი იყო ზეზვას ბოლო, არ ჩანს. ცხადია რომ... ზეზვაშაც წამებულთა ბედი გაიზიარა, როგორც სახალხო აჯანყების ერთმა მეთაურთაგანმა“.<sup>66</sup> სახელოვანი გმირის ზეზვას ცხოვრებისა და არსებობის უკანასკნელი წლები აინტერესებს ნ. ურბნელსაც და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ: „ყის იყის, იქნება ისიც თან გააყოღეს სპარსეთში ბძინას და ამის დარსიყულ თანამემაშულეებს“.<sup>67</sup> თბილისში ჩაყვანილ ზეზვას ბედზე მსჯელობს პროფ. სოლ. ყუბანეიშვილიც და შენიშნავს, რომ: „თუ რა ბედი ეწვია ამ სასიკეთოვან გმირს თბილისში, ხალხური თქმულებიდან არ ჩანს, მაგრამ უდავოა, მასაც იგივე ბედი სვდა, რაც ბძინას, შალვას და ელიზბარს, ხოლო თუ უკანასკნელები სპარსეთში გამოთავლემს წუთისოფელს, ზეზვა, საფიქრებელია, შაჰ-აბასს მის წინაშე წარდგენის დირსადაც არ ეცნო და ადგილზე მოიკლათ“.<sup>68</sup> პროფ. გ. ჯამბურია დაბეჯითებით შენიშნავს, რომ: „...ზეზვისაც ის ბედი უნდა სწევოდა, როგორც მის თანამემაშულეებს - შალვას, ელიზბარს და ბძინას“.<sup>69</sup>

თუ გავითვალისწინებთ ზეზვა გაფრინდაულის განსაკუთრებულ დამსახურებას აჯანყებაში, მის პარტიზანულ ბრძოლებს აჯანყების შემდგომ პე-

<sup>64</sup> გ. ლეონიძე. გამოკვლევები და წერილები. გვ. 424

<sup>65</sup> აკ. შანიძე, ხალხური პოეზია. I. გვ. 330

<sup>66</sup> იქვე. გვ. 10

<sup>67</sup> გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები. გვ. 425, 1959.

<sup>68</sup> ნ. ურბნელი, ზეზვა და ბახტრიონის ციხე... გაზ. „ივერია“, 228. 1888.

<sup>69</sup> სოლ. ყუბანეიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 25.

<sup>69</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევი. ტ. IV, 1973, გვ. 333.

რიოდში და იმასაც, რომ შაკ-აბას მეორე კარგად იყო ინფორმირებული თუშეთის როლზე ხსენებულ ეპოპეაში, შაკი ზეზვა გაფრინდაულს საგანგებოდ გაითხოვდა ირანში, „თუმცა წყაროები არაფერს მოგვითხრობენ ამაზე, შენსმნაჲს იფ. ბუქურაული, — მაგრამ ეს გასაკვირი არ არის, რადგანაც ქართული მატრიანკი, როგორც საერთოდ სხვა ხალხისა, მხოლოდ შეფეკებზე და თაკად-აზნაურებზე სწერდნენ, დანარჩენებს ყურადღებას არ აქცევდნენ“.<sup>70</sup>

ოფიციალურმა საისტორიო წყაროებმა საკმაოდ საგულისხმო და ზუსტი ცნობები შემოგვინახა — ზაალ არაგვის ერისთავზე. ბიძინა ჩოლოყაშვილზე. ელიზბარ და შალვა ერისთავებზე, რომელთა საშუალებითაც ხერხდება მათი მოკვლისა თუ საქართველოდან სპარსეთისაკენ გამგზავრების წლების დადგენა-დაზუსტება. ზეზვა გაფრინდაულის შეპყრობისა და სპარსელების მიერ მისი დასჯის შესახებ ისტორიოგრაფიაში არაფერია ნათქვამი. ოფიციალური ცნობების უქონლობა კი საკმაოდ ართულებს მდგომარეობას და აძნელებს საკითხის გადაწყვეტას, თუ როდის და რომელ წელს მოხდებოდა ზეზვა გაფრინდაულის შეპყრობა.

საპირისპიროდ ისტორიოგრაფიისა ხალხური ზეპირსიტყვიერება, როგორც სხვა საკითხებთან დაკავშირებით, აქაც — ზეზვას ცხოვრების უკანასკნელი წლებისა და კახეთის აჯანყების შემდგომ პერიოდში მისი მოქმედების შესახებ საინტერესო და მდიდარ ცნობებს იძლევა. მაგრამ ხალხური ლექსები კონკრეტულ წლებზე არ მოუთითებენ და არ გვეუბნებიან, თუ კერძოდ, რომელ წელს შეიპყრეს მოტყუებით სპარსელებმა ზეზვა გაფრინდაული, როდის ჩაიყვანეს თბილისში და ან თბილისიდან რა უყვეს სახალხო გმირს.

1660 წლის კახეთის აჯანყების ოპერაციების დამთავრების შემდგომ პერიოდში თუშეთი პარალელურად კახეთში კვლავ მოვლენილი სპარსელების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლებისა, რომელსაც ზეზვა გაფრინდაული ედგა სათავეში, უკავშირდება ასტრახანში მოსკოვიდან საქართველოსაკენ წამოსულ ერეკლე ბატონიშვილს, რომელსაც თუშეთში გადმოსვლა და საქართველოს განთავისუფლების ახალი გეგმა შესთავაზა.<sup>71</sup>

ერეკლე ბატონიშვილმა თუშეთის მიერ წარდგენილი წინადადება ერთხმად მიიღო, თუმცა სხვა გზა არც ჰქონდა ერეკლე ბატონიშვილს და ასტრახანიდან პირდაპირ თუშეთისაკენ აიღო გეზი. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით ერეკლე პირველი თუშეთში 1662 წელს მოსულა. „1662... ტნ. მოვიდა ძის-ძე ბატონის თეიმურაზისა რუსეთიდან, ერეკლე თუშეთს და კახეთის ეკირთებოდა“.<sup>72</sup>

<sup>70</sup> ძველი საქართველო. ტ. II. განყოფ. 5, გვ. 16. 1913 წ.

<sup>71</sup> ი. ცინცაძე, საქართველოს მთიანეთის რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან, იხ. ყურნ. „მნათობი“, №2, გვ. 183. 1956.

ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც. 1913, გვ. 379.

რუსეთიდან საქართველოსაკენ გამომგზავრებული ერეკლესა და მისი ამაღლის შესახებ შექმნილი რუსული წყაროებიც ადასტურებენ, რომ ერეკლე ბატონიშვილი და მისი ამაღა რუსეთიდან, ე.ი. მოსკოვიდან გამოემგზავრნენ 1660 წლის 3 ივნისს,<sup>73</sup> 1660 წლის 8 აგვისტოს ასტრახანში ჩამოსულან,<sup>74</sup> სადაც დაუყვია 1662 წლის გაზაფხულამდე, ხოლო შემდეგში კი რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძის მიერ გაცემული ნებართვის თანახმად განუგრძობათ გზა – თერგზე და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მიწა-წყლის გავლით გადასულან თუშეთში, ე.ი. როგორც ქართული წყაროების, ისე რუსული წყაროების მიხედვით ნათლად მტკიცდება, რომ ერეკლე ბატონიშვილი ნადვილად 1662 წელს ჩამოვიდა თუშეთში.

ერეკლე ბატონიშვილსა და თუშეთის ურთიერთობის საკითხის გაშუქება მოგვცემს გარკვეულ შესაძლებლობას, რომ მიახლოებით მაინც ავხსნათ სპარსელების მიერ ზეზვა გაფრინდაულის შეპყრობის წელი.

ზეზვა გაფრინდაულის შეპყრობის წელად ჩვენ 1661-1662 წლები მიგვაჩნია და აი, რატომ: 1660 წლის ზაფხულში რუსეთიდან ასტრახანში ჩამოსულ ერეკლე ბატონიშვილთან ურთიერთობას ამყარებს თუშეთი, ერეკლე ბატონიშვილს თუშეთი აცნობს ქართლ-კახეთის მასშტაბით შექმნილ გართულებულ პოლიტიკურ მდგომარეობას და თუშეთში გადმოსვლის წინადადებას შესთავაზებს. ერეკლე ეთანხმება თუშეთის წარმომადგენლებს და 1662 წელს იგი უკვე ახერხებს თუშეთში გადმოსვლას. 1663 წლიდან ერეკლე ბატონიშვილი თუშეთზე დაყრდნობით აღწევს მის მომხრე კახეთის მოსახლეობის წარმომადგენლობისა და თუში მეზობლი ხალხის გაერთიანებას და კახეთის სამეფო ტახტის ხელში ჩაგდებისათვის გამოლაშქრებას იწყებს.<sup>75</sup>

ჩვენ ვფიქრობთ, რომ – 1662 წლისათვის, როცა ერეკლე ბატონიშვილი თუშეთში გადმოვიდა, ზეზვა გაფრინდაული შეპყრობილი რომ არ ყოფილიყო იგი აუცილებლად და უყოყმანოდ დაუკავშირდებოდა ერეკლე ბატონიშვილს და მასთან ერთად, კვლავაც, როგორც მთელი თუშეთის წინამძღოლი და სარდალი მრავალ საგმირო საქმეებს განახორციელებდა.

გარდა იმისა, რომ ზეზვა გაფრინდაული და ერეკლე ბატონიშვილი ერთმანეთს ვერ შეხვდნენ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ 1662 წლისათვის ზეზვა უკვე შეპყრობილი ყოფილა, მოიპოვება სხვა ფაქტებიც, რომელთა საშუალებითაც მტკიცდება, რომ ზეზვა ნამდვილად 1662 წლისათვის შეპყრობილი იქნებოდა. 1663 წელს თუშეთიდან ჩამოყვანილი მეომარი ლაშქრის საშუალებით ერეკლე ბატონიშვილი ცდილობს კახეთის სამეფო ტახტის ხელში ჩაგდებას. თუშეთიდან კახეთში ერეკლეს ჩამოსვლა სასწრაფოდ შეიტყო ვახტანგ მეფემ და „მაშინ შექმოსკრაბნა სპანი და უწინა სპასიუქად დათუნა

<sup>73</sup> Дворцовые разряды. т. III.

<sup>74</sup> ელ. ტატიშვილი, ქართველები მოსკოვში, გვ. 151, 1959.

<sup>75</sup> ვახუშტი, დასახელებული შრომა, გვ. 80

ძმის-წული თვისი მეფე-მან და წარავლინა კახეთს. მოვიდაცა ერეკლე კახეთს სპითურთ ურიათ-უბანს. ეწყენენ მუნ ქართველნი და ბრძოლასა იძლიენენ კახნი და ივლტოდა ერეკლე და შევიდა თორღის ციხესა შინა“.<sup>76</sup> ერეკლეს უკან გაბრუნება და თორღვას ციხე-გალავანში გამაგრება სასწრაფოდ უცნობებია შაჰნავაზ მეფისათვის. მაშინ „მან შეკრიბნა ხაზანი და შთაპოვიდა კახეთს და მოადგა ციხესა თორღისა: მაშინ შემჭიდრნენ მეციხოვნენი, რამეთუ იყო დედით ერეკლე მუნ: ამისათვის ევედრა დედა ერეკლესი შანაოზ მეფესა, რათა მისცეს გზა და განუტეგოს: მან უსმინა და განუტეგა ფარულად და მივიდა კვალად თუქეთსეუ: ხოლო შაჰნაოზ დაიყრა კახეთი და წარვიდა ტფილისს ქს. წყ. /1663/, ქრ. ტნა წელს“.<sup>77</sup>

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ უკვე ნათელი ხდება, რომ 1663 წლისათვის ზეზვა გაფრინდაული დაპატიმრებულია და თორღვას ციხე-გალავანი დატლილია სპარსელთა წინააღმდეგ მებრძოლ თუშთა რაზმებისაგან. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ზეზვა და ერეკლე ბატონიშვილი ერთმეორეს შეზღებოდნენ და მტერი ზეზვა გაფრინდაულის ხელში ჩაგდებას ვერაზ მოახერხებდა.

ზეზვა გაფრინდაულის სახელთან არის დაკავშირებული თუშებში ყველაზე მეტად გავრცელებული ერთი ფრიად საინტერესო გადმოცემა, რომელიც თითქმის ყველა თუშმა ზეპირად იცის და თუშები მას ყოველთვის ახსენებენ ზეზვას მრავალ დამსახურებათა შორის. ხსენებული გადმოცემა გვიყვება, რომ: „სპარსთა ტომებისაგან ბახტრიონის განთავისუფლების შემდეგ თუშთა თაკაკაცს (ზეზვა გაფრინდაულს, ვ.ე.) შეფისათვის ჯილდოდ სამოსასლო უთხოვია, მიყვს დისტური უთქვაშს, ოღონდ ერთი პირობით: ბახტრიონიდან შეუსვენებლად სადამდეც გააჭენებდა ცხენს, იქამდე გამოუყოფდა მიწას. ზეზვას მანამდე უჭქენებია თავისი ბედაური, სანამ პირუტყვი უსულოდ არ დაკარდნილა. აუწვივია მიყვს ხელი და უთქვაშს: - „აწ აქ ისახელებსო თუშთა მოდგმა“. გადმოცემით ეს ადგილები სოფლების - ქვემო და ზემო აღვანის ტერიტორიაა“.<sup>78</sup>

აღნიშნულ გადმოცემაზე დაყრდნობით მსჯელობს აკად. აკ. შანიძე, როცა იგი დაბეჯითებით დასძენს, რომ: „ბახტრიონის აღების შემდეგ დიდი აღვანის მინდორი თიშებს დაპრიათ“-ო და მოწყავს ნაწყვეტი ერთი ხალხური ლექსიდან: „დაგაგდებინეს აღვანი თუშთ არის საკუთარიო“.<sup>79</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ „გადმოცემას უკრიტიკოდ და შეუმოწმებლად იყენებენ მკვლევარები“ და არავენ დაინტერესებულა მის ჭეშმარიტებაში.<sup>80</sup>

<sup>76</sup> ვახუშტი, დასახელებული შრომა, გვ. 80

<sup>77</sup> იქვე, გვ. 191.

<sup>78</sup> არნოლდ გეგეჭკორი, ღრუბლებს ზემოთ თუშეთია, გვ. 12, 1983.

აკ. შანიძე, თუშები, ჟურნ. „მნათობი“, №2, გვ. 106, 1970.

<sup>80</sup> ვ. ელენიძე, ბახტრიონის აჯანყებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ უზუსტობათა გარკვევისათვის, ვახ. „განახლებული თუშეთი“, 21, 1978, ჩენივე, თუშეთის ისტორიის საკითხები, 1988, გვ. 115-118.

კახეთის აჯანყებამდე ალაზნის მარცხენა მხარეზე მდებარე ტერიტორიას – ალვანის (ალონის) ველ-მინდვრებს თუშების საკუთრებად მიიჩნევს აჯანყების დღეებში შექმნილი თუშური ხალხური ლექსი:

„ალთეს და ჩალთეს თათრები  
წითლად ჩადიოდ წყალიო;  
ალვანში ციხეს აგებენ  
ხოჯა თათრისა ძვლისიო.  
ლიბოდ უგდევენ გალოსა  
ნაწვრეტის ფრანგულისიო,  
დაგაგდებინეს ალვანი  
თუშთ არის საკუთარიო.“

ისტორიული ალვანის ველ-მინდვრები რომ აჯანყებამდე უკვე დიდი ხნით ადრე თუშებს ჰქონდათ გადაცემული, დასტურდება ოფიციალური წერილობითი მონაცემებითაც.

კახეთის სამეფოში საერისთავოების სამოურავოებით შეცვლაში თუშ-ფშავ-ხევსურებმა სწორად შენიშნეს მოსალოდნელი საფრთხე და სამეფო კარს განუდგნენ, დამოუკიდებლობის დროშა აღმართეს. გამდგარი მთიელები ლევან კახთა მეფემ (1518-1574 წ.წ.) შემოირიგა, თანაც იარაღით კი არა, გარკვეული დათმობების წყალობით. აი, რას წერს ვახუშტი ბაგრატიონი: „არაშედ ამას წინათა კახთა მეფეთა არღარა მორჩილებდნენ ფშავ-ხევსურნი და თუშნი; და ამან ლევან დაიპყრნა არა ძალითა, არაშედ აღუთქვა, რათა ცხოვარნი მათნი უკნოდ მძოვარ იყვნენ კახეთის და მისცა შეწარულობა ღამარისა ჯუარისა თიანეთისა შინა, და მყურათგან მისცემდნენ ღამარისა და ბეგრასა.“<sup>81</sup>

მ. მაჩაბელიც შენიშნავს, რომ თუშებს, როგორც თვითონ გადმოსცემენ, ალვანის მინდორი ლევან კახთა მეფის მიერ ჰქონიათ სიგელით დამტკიცებული, რომელიც ხანძრის დროს დასწვიათ, თუმცა აქ ერთგვარ უზუსტობასთან გვაქვს საქმე, რადგან ავტორს ლევან მეფე ბახტრიონის აჯანყების დროინდელ მეფედ მიაჩნია.<sup>82</sup>

მართალია, აჯანყება გამარჯვებით დამთავრდა, ქართველებმა თურქმანები და სპარსელები გაულიტეს, მაგრამ კახეთი მათი ბატონობისაგან არ განთავისუფლებულა. კახეთის სამეფო ვერ შეიქმნა, ის კვლავაც სპარსელების ხელში დარჩა.

როგორც ჩანს, ბახტრიონის აღების შემდეგ დიდი ალვანის მინდორი თუშებს არ დარჩენიათ. ეს ტერიტორია თუშებმა დაიბრუნეს, როგორც მათი საკუთრება.

<sup>81</sup> ვახუშტი ბაგრატიონი. ქაროლის ცხოვრება. ტ. IV. 1973, გვ. 573.

<sup>82</sup> М. Мацабели. Экономический быт государственных крестьян Тифлиского уезда Тифлисской губернии. т. VI. Тифлис, 1887, стр. 413.

კახეთში არჩილის მეფობის წლებში (1664-1675 წ.წ.) თუშებს ოფიციალურად ეძლევათ უდიდესი ტერიტორია, რომელშიც შედის ალვანის მინდორიც და, „მტკვარსა და იორს შუა“, მდებარე ადგილმამული სხვა მიწა-წყალთან ერთად, რომლით სარგებლობისათვისაც თუშებს სახელმწიფოსათვის „ფარაზზე ერთი ცხვრის მეტი“ არ უნდა გადაეხადათ, ხოლო თუ თუშებს ამ საქმეში ხელს ვინმე შეუშლიდა, მაშინ „ისიმცა შეიშლება თაყისის სახისაგან, - დასიქენს შემატანე, - შეიწვენებული იყოს ცისა და მიწისაგან და ყოყელი რჯულისაგან“.<sup>83</sup>

აკად. ექ. თაყაიშვილის მიერ მიკვლეული და გამოქვეყნებული ქვაზე დაწერილი გუჯრები, მისივე განმარტებით, განეკუთვნება არჩილის მეფობის ხანას. ამ ისტორიული დოკუმენტით ჩანს, რომ თუშებს მხოლოდ ალვანის მინდორი, მის ახლომახლო მდებარე საძოვარი ტერიტორიები აღარ აკმაყოფილებთ და ელდარ-შირაქისაკენ იჭრებიან. აი რას ეკითხულობთ ხსენებულ წყაროში: „ელდრის ციხე ააგეთ (თუშებმა, ვ.ე.) და იმაში ალვანიშვილი ფარისქელი დადგა და ის მოკალ, მეც ეს წყალობა გიყავ, და უმეტესი გარჯილობა აუღიათ თაყისი ხმლით, ორჯერ ნიქენც მივეცით წერილით და ბიჭობა გამოგივიდათ“.<sup>84</sup>

გუჯარის ტექსტი საკმაოდ დამახინჯებული ქართულითაა დაწერილი. მაგრამ მაინც კარგად ჩანს თუშების დამსახურება სამეფო კარის წინაშე, რისთვისაც სახელმწიფო მათ მეცხვარეობის განვითარებისათვის საზამთრო საძოვრებად უმტკიცებს არა მარტო შიდა კახეთის გარკვეულ მიწა-წყალს, არამედ ელდარ-შირაქსაც, რომელიც, შემატანეს თქმით „უსადეგო მამული და უყვედრი ყოფილ თაყისი შესაგლით და გასაგლით“.

თუშ-ფშავ-ხევსურთა განსაკუთრებული დაინტერესება კახეთის აჯანყებით და მათი აქტიური როლი სპარსელთა და თურქმანთაგან კახეთის გაწმენდა-განთავისუფლების საქმეში უმთავრესად სწორედ იმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ მათ აქ, ალაზნის გაღმა და გამოღმა, ჯერ კიდევ კახეთის აჯანყებამდე დიდი ხნით ადრე მიცემული ჰქონდათ საძოვრები და მათი ჯვარ-ხატებისათვის საკულუხე მამულები. ეს ვითარება კარგად ჩანს მომდევნო საუკუნეებში ქართლ-კახეთის მეფეთაგან გაცემული სიგელ-გუჯრებით.<sup>85</sup>

უფიქრობთ, ხსენებული გადმოცემის კრიტიკული განხილვის შედეგად მისი შინაარსის ჭეშმარიტება ძირითადად მიგნებულია და გარკვეული. მაგრამ ამ გადმოცემიდან ერთი ყურადსაღები ეპიზოდი, რომელიც ადრე უფრო ინტენსიურად, ხოლო ახლა კანტი-კუნტად აღინიშნება, მაინც მოითხოვს

<sup>83</sup> ექვთიმე თაყაიშვილი, ორ ქვაზე დაწერილი გუჯარი, გაზ. „ცნობის ფურცელი“, №1362, 1901

<sup>84</sup> იქვე.

<sup>85</sup> საქ. სსრ მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, d-1859, Hd-10063. Sd -2957. Sd -2940. Sd-2942 და სხვ.

ახსნა-განმარტებას და გარკვევას. საქმე იმაში გახლავთ, რომ სოფ. ქვემო ალენისა და სოფ. ლაღისყურის მიჯნაზე, ე.წ. „ტახტის ბოგირთან“, გზის მარჯვენა ნაპირზე – ძღ. ალაზნის მიმართულებით, თუშეთისაკენ თუ ქვემო და ზემო ალენებისაკენ მოძღინარი თუში მამაკაცები მიუახლოვდებოდნენ თუ არა ცხენიდან ჩამოქვეითდებოდნენ, ქუდს მოიხდიდნენ და თავდახრილნი მოკრძალებით მივიდოდნენ ალნიშნულ ადგილზე, ცხენზე გადაკიდებული ხურჯინიდან არყიან ტიკჭორებს ამოიღებდნენ და ზეზვა გაფრინდაულის გმირობისა და ვაჟკაცობის სადღეგრძელოს დაღევედნენ; მეორე სასმისით თუში მამაკაცები გმირ მამა-პაპათა მოსაგონარს იტყოდნენ ზეზვას მასპინძლობით და შემდგომშილა აგრძელებდნენ გზას. ეს ადგილი თუშებისაგან მიჩნეულია ბახტრიონიდან გამოქცეული ზეზვა გაფრინდაულის ცხენის წაქცევისა და გარდაცვალების ადგილად.

სახელოვან ზეზვასთან დაკავშირებულ ხსენებულ ეპიზოდებს თუშები სათუთად ინახვენ, რომელთა მონათხრობზე დაყრდნობითაც თუშეთის მკვიდრი, ენათმეცნიერი გიორგი ცოცხანიძე აღნიშნავს: – „ცხენის ბახტრიონიდან ტახტოგორამდის ურბენსა და თქ წაქცეულია, მოძვედარა. განარბენი მანძილი თხუთმეტი კილომეტრია, ჩანს ზეზვას მეტის იმედი პქონაა. მელექსე პატრონის ორგულობას აბრალებს ერთგულ საფყრისეს:

გაგიორგულდა, ზეზვაო, გაფრინდაულო, ცხენია...  
არმადამც გქუქებ, ლურჯაო, პატრონის ნაჭმევ ქერია,  
რად გაუგორდა პატრონსა, რად გაულალე მტერია?

გვიანობამდის მიუთითებდნენ ტახტოგორის ახლოს მინდორში, ზეზვას ცხენის საფლაკს. დიდი თეთრი ღოღი იყო. <sup>56</sup> ის ღოღი დღეს აღარ დევს. ამბობენ, ერთმა თელაყიდან გადმოსახლებულმა აბრამსვილმა ურმით სოფელში ამოიტანა და თავის ეზოს გაღაყანში წაატანა. <sup>57</sup>

თანხმად ქართველთა საბრძოლო ტრადიციებიდან გამომდინარე, ბახტრიონის აჯანყების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრების აღსანიშნავად, გმირი წინაპრები უეჭველად მოასყობდნენ გამარჯვების ზეიმს, რომელშიც ცხენების ჯირითს მთავარი ადგილი ექნებოდა დათმობილი. ჩვენ ღრმად გვჯერა, რომ ზეზვა გაფრინდაული.

როგორც აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი და წინამძღოლი, თუშთა ლაშქრის სარდალი და ბრძენი თავკაცი, იმისათვის, რომ ალკანის ისტორიული ველ-მინდვრები კვლავ თუშების სელშეუხებელ საკუთრებად გამოცხადებულიყო აუცილებლად შესთავაზებდა გმირ თანამებრძოლთ, რომ იგი თავის საღარს გააჭენებდა ბასურაიონიდან თუშეთის მიმართულებით და სადამდეც

ჩემს ბავშვობაში აღნიშნული ღოღი ძველ მთასაკს. იგი ძღინარეების – ალაზნისა თუ სუორის რიყიდან მოტანილი თეთრი ჯაღის ქვა იყო – ვ. ვ. გიორგი, ცოცხანიძე, გიორგობიდან გიორგობამდე, გვ. 4, 1990



მისი ცხენი გაიქცეოდა ის ტერიტორია ყოფილიყო კვლავ თუშთა გმირობისა და ვაჟკაცობის საზღაური, რაც მათ ამ აჯანყებაში დაიმსახურეს. ზეზვა ამას იმიტომაც გააკეთებდა, რომ როგორც გადმოცემა აღნიშნავს, თუშ-ფშავეხეხურებს – აჯანყებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის მთავარსარდლობამ არჩევანის უფლება მისცა.

ზეზვა გაფრინდაულის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთ თავისებურებათა შესახებ, რასაც აქ არ შევხებივართ, საუბარი გვექნება მომდევნო პარაგრაფში – „1660 წლის ქახეთის აჯანყების ერთი სახალხო გმირის ეინაობის გარკვევისათვის“.

### 3.2. 1660 წლის კახეთის აკანყების ერთი სანაღბო გვირგვინის ქიზაობის გარკვევისათვის

ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში 1660 წლის კახეთის აკანყებას ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია, რადგან მასთან დღემდე არის დაკავშირებული ქართველი ხალხის ხსნა ფიზიკური და ეროვნული გადაშენების აშკარა საფრთხისაგან. ამიტომ არის, რომ ინტერესი ამ ისტორიული თარიღისადმი თავიდანვე დიდი იყო და ამჟამადაც ეს ტრადიცია გრძელდება. ბახტრიონის ბრძოლის შესახებ დღემდე დაწერილ საისტორიო,<sup>1</sup> სასულიერო მწერლობისა<sup>2</sup> და მხატვრული ლიტერატურისა<sup>3</sup> თუ ზეპირსიტყ-

<sup>1</sup> ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქც. 1959 წ. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., 1913; ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა/„საისტორიო მოამბე“, ტ. II, 1925/; ვ. ფუთურიძე, მოჰამედ თაქვის ცნობები საქართველოს შესახებ/მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954/; დ. გვრიტიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს შინაპოლიტიკური მდგომარეობა XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან XVII საუკუნის 60-იან წლებამდე/ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II, 1965/; შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, ნ. ასათიანი, ბახტრიონის გმირული ეპოპეა, გაზ. „კომუნისტი“, №82, 1959; შ. ქუთარაია, 1959 წლის კახეთის აკანყება, ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, №8, 1959; თამარ ტიციანი თუშ-ფშავე-ხევსურეთის რუსეთთან ურთიერთობის საკითხისათვის /XVIII-ის 50-60-იანი წწ./ ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976; მისივე საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1977; ი. ცინცაძე, საქართველოს მთიანეთის/თუშ-ფშავე-ხევსურეთის/ რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან/, XVII ს შუა წლები/, ჟურნ. „მნათობი“, №2, 1956; ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, 1944-1950 წლების გამოცემები; ნ. ბერძენიშვილი, ვ. ღონღუა, შ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, ტ. I 1958; ვ. ელანიძე, 1659 წლის კახეთის აკანყებაში თუშეთის მონაწილეობის საკითხისათვის/თელავის პედაგოგიკური შრომები, ტ. VI, 1966/; მისივე, თუშეთის მონაწილეობა 1659 წლის კახეთის აკანყებაში/თუშეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ფეოდალიზმის ხანაში, საკანდ. დისერტაცია, ხელნაწერი, 1968წ./; მისივე, ბახტრიონის აკანყებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ უზუსტობათა გარკვევისათვის, გაზ. „განახლებული თუშეთი“, №21,22 1978; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973; ნ. ნაკაშიძე, საქართველო-რუსეთ-ირანის ურთიერთობა და ბახტრიონის აკანყება, კრ. „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან“, ტ. I, 1970; დ. კაჭარაია, საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა და რუსეთთან ურთიერთობის საკითხები / XVIII-ის ნახს/ საკანდ. დისერტ. 1969 და სსკ.

<sup>2</sup> ბესარიონ ორბელიშვილი, შესხმა წმინდათა მოწამეთა ბიძნასი, შალვასი და ელიზბარისა და უწყება წამებისა მათისა, ის. საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882წ. საბინინის გამოცემა; ანტონ კათალიკოსი, წყობილსიტყვაობა..., თბ., 1953.

<sup>3</sup> ვაჟა-ფშაველა „ბახტრიონი“, აკ. წერეთლის „ამში-აშუკი“ და გ. ერისთავის „ოსური მოთხრობა“

ვიერების გამოჩენილ მკვლევართა მდიდარ მემკვიდრეობაში<sup>4</sup> მრავალი საკითხია გარკვეული. თანდათანობით დაზუსტდა და უფრო სრუყოფილად წარმოგვიდგა ბახტრიონის გმირული ბრძოლის საოცარი ისტორია. თუმცა ზოგი რამ სადავოა და დაზუსტებას მოითხოვს, რაც ბუნებრივია, რადგან საქმე გვაქვს მრავალმხრივ ანგარიშგასაწევ და მდიდარ მოვლენათა შემცველ ეპოპეასთან.

ბახტრიონის აჯანყების შესახებ არსებულ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში გაცნობიერებული პოლემიკა მიმდინარეობს ამ აჯანყების მონაწილე ერთი სახალხო გმირის – საღირისშვილის ირგვლივ.<sup>5</sup>

ბახტრიონის ციკლის ლექსებსა და ერთ თუშურ გადმოცემაში აჯანყების სახელოვანი გმირების: ზეზვა გაფრინდაულისა და გოგოლაურის გვერდით მოხსენიებულია ვინმე საღირისშვილიც. ერთი ლექსის მიხედვით, რომელიც თედო რაზიკაშვილს ჩაუწერია, რამდენიმე საღირისშვილს მიუღია აჯანყებაში მონაწილეობა. ხალხური მელექსე ამბობს:

„მეტნი ხართ საღირისშვილნო,  
გიჭვრეტენტ ტალავარზედა,  
ბახტრიონს სულთნის ციხესა  
გადახვალთ გალავანზედა.  
ხმლითა სცემთ ხანის კარავსა,  
ზედ მიხვალთ ფალავანზედა“.<sup>6</sup>

ი. ცისკარიშვილისა და ივ. ბუქურაულის მიერ სხვადასხვა დროს ჩაწერილი თუშური ხალხური ლექსის – „ბახტრიონის აღება თუშთაგან“ მიხედვით კი საღირისშვილი /საღირისშვილი/ ერთია და სხვა მისი მოგვარე იქ არ ჩანს, ლექსში კვათხულობთ:

„მეტი ვარ საღირისშვილი,  
ნუ მიმზერთ ტალავარზედა,  
გადავალ. გადავფრინდები  
ბახტრიონს გალავანზედა.“

<sup>4</sup> 6. ურბნელის ზეზვა და ბახტრიონის ციხე. გაზ. „ივერია“, №228, 1881; ალ. ხახანაშვილი. ბახტრიონის ციხის აღება, გაზ. „ივერია“, №220, 1888; გ. ლეონიძე, სახალხო გმირი – ზეზვა გაფრინდაული, გაზ. „კომუნისტი“, №225, 1941; მისივე. გამოკვლევები და წერილები. 1959; ქ. სიხარულიძე. ქართული საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, 1959; ს. ყუბანიშვილი. ბახტრიონის გმირები ქართულ მწერლობასა და ხალხურ სიტყვიერებაში, 1953; მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, 1956; კ. ჭრელაშვილი. სახალხო გმირი ზეზვა გაფრინდაული, უფრ. „იორეული სხივი“, №5, 1954 და სხვ.

<sup>5</sup> დ. გოგოჭური. „ბახტრიონის“ ერთი გმირის ვინაობა. „მნათობი“, №2, 1970; აბ. შავხელიშვილი. ლ. ჭრელაშვილი. დ. გოგოჭურის სტატის შესახებ, „მნათობი“, №5, 1971; დ. გოგოჭური. მცირე განმარტება, „მნათობი“, №4, 1972; ლ. ჭრელაშვილი, აბ. შავხელიშვილი. თუშური ფოლკლორის საკითხზე, „მნათობი“, №1, 1977; დ. გოგოჭური, „ბოლო განმარტება“. ცისკარი, №8, 1978.

<sup>6</sup> აკაკი შანიძე. ქართული პოეზია. /ხევსურული/ 1931. გვ. 326.

შეიდი არ მოკვლა ხმალ და ხმალ,  
გამცვალეთ თათრის ქალზედა“...<sup>7</sup>

ი. ცისკარიშვილს ხსენებულ ლექსთან ერთად სქოლიოში მოტანილი აქვს თუშური ხალხური გადმოცემაც, რომლის მიხედვითაც აღინიშნება, რომ თუშმა მეტი საღირიშვილმა ბახტრიონის სიახლოვეს, ციხესიმაგრეზე იერიშის მიტანამდე, ხის პალოები გამოთალა, ჩოხის კალთაში გამოიხვია და რაკი ბახტრიონის ციხესიმაგრის კარები საგულდაგულოდ დაკეტილი დახვდათ, მამაცმა მემომარმა ხის პალოები გაუკეთა გავალნის კედელს და პირველი შეეარდა სიმაგრეში.<sup>8</sup>

ი. ცისკარიშვილის მიერ გამოქვეყნებული ხსენებული გადმოცემის შეზღვევით, სრულიად სხვადასხვა დროსა და ადგილას იგივე გადმოცემა ჩაუწერიათ ალ. ხახანაშვილსა და ივ. ბუქურაულს: პირველს – ყიზლარში, თუში მეცხვა-რეებისაგან. ხოლო მეორეს – თუშეთში. ორივესთან პალოების დათლა და მათი საშუალებით ბახტრიონის ციხე-გალავანზე გადასვლა მიეწერება ზეზვა გაფრინდაულს და არა მეტი საღირიშვილს. საღირიშვილი ამ გადმოცემებში არსად მოიხსენიება.” არა მარტო გადმოცემებში, არამედ ბახტრიონის ციკლის ლექსებშიც აღინიშნება, რომ ბახტრიონის ციხის გალავანზე პირველი ზეზვა გაფრინდაული გადადის და ამ საქმეში იგი პირველობას არავის უთმობს. თუშურ ვარიანტში ნათქვამია:

„მოვიდოდ თუში ზეზვაი,  
ჯოგი მოხყვება მგლისაო.  
„ან თქვენ გადადიოთ გალავანს,  
ან გადამიშვიოთ მიაო.  
თუ შეიდ ვერ მოკვლა ხმალ-დახმალ,  
გამცვალეთ თათრის ქალზედა“;  
გადავა. გადაფრინდება.  
ბახტრიონს გალავანზედა“...<sup>9</sup>

ფშავური ხალხური პოეზიის მიხედვით კი, ბახტრიონის ციხე-გალავანზე გადასასვლელად ეშხადება ფშაველი გოგოლაური და ეჭვიც არ ეპარება, რომ იგი სხვებზე ნაკლებად არ შეასრულებს ამ რთულ საქმეს:

„ბიჭი ვარ გოგოლაური,  
ნუ შშინჯავთ ტალავარზედა,  
წინწინ მე გადაფრინდები,  
ბახტრიონს გალავანზედა,

<sup>7</sup> ი. Циссаров. Записки о Гушетии. газ. „Кавказ“, №13. 1849г. ხალხური სიტყვიერება, ნაწ. I. 1916. ექ. საყაიშვილის რედაქტორობით, გვ. 61.

<sup>8</sup> ი. Циссаров. დასახ. შრომა, იქვე.

ალ. ხახანაშვილი, ბახტრიონის ციხის არება. „ოჯრია“, 1880. №220; ივ. ბუქურაული, თუშური ლექსები, ხალხური სიტყვიერება. წ. I. 1916, გვ. 61-63

აკაკი შანიძე, ქართული ხალხური პოეზია. /ხევისურული/. I. 1931. გვ 324

თოფსა ვკრავ ჯიმშელ ბატონსა,  
 ზედ მივალ ფალავანზედა“.<sup>11</sup>  
 იგივე შინაარსისაა სხვა ვარიანტებშიც:  
 „ბიჭი ვარ გოგოლაური,  
 რას მიცქერ ტალავარშია?  
 მოძალეს ძალას მივყერი,  
 მას ჩაუდგები კვალშია.  
 ფეხს დაეკრავ, გადაფრინდები  
 ბახტრიონ გალავანშია.  
 მივიტან ჩემსა ალამსა,  
 ავურჭობ ციხის კარშია.“<sup>12</sup>

ბახტრიონის აჯანყების ირგვლივ არსებულ გადმოცემებსა და ლექსებში, როგორც დავინახეთ, „ერთმანეთშია შერწყმული ზეზვა გაფრინდაულის, გოგოლაურისა და საღირისშვილის საგმირო საქმეები. ხშირად ერთი და იგივე საქმიანობა სამივე პირის მიყწერება ერთი მეორისაგან დამოუკიდებლად“.<sup>13</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ხალხური პროზა და პოეზია გაფრინდაულის, გოგოლაურის და საღირისშვილის გვერდით არსად ასახელებს სხვა რომელიმე გმირს, რომელიც მათთან ერთად ბახტრიონის ციხის გალავანზე გადასასვლელად ემზადებოდეს და ამ საქმეში მათ ეცილებოდეს, დ. გოგოჭური წერილში „ბახტრიონის ერთი გმირის ვინაობა“ სრულიად ახლებურად მიუდგას ხსენებულ ვითარებას და აღნიშნა, რომ ბახტრიონის გალავანზე არ გადასულა არც ზეზვა გაფრინდაული, არც გოგოლაური „და იგი ერთი პირის ზევსურ ხოშარაულ ნადირა საღირისშვილის დამსახურებად მიაჩნია“.<sup>14</sup>

დ. გოგოჭური ხსენებულ წერილში, როგორც თვითონვე დასძენს, მხოლოდ „...ერთი გმირის-ხოშარაულის ვინაობის საკითხის გარკვევა“ აქვს გადაწყვეტილი. და მართლაც, იგი ცდილობს რაც შეიძლება მეტი შუქი მოჰფინოს ამ გმირის ვინაობას და სურს მკითხველი დაარწმუნოს, რომ ბახტრიონის აჯანყების მონაწილე სახალხო გმირთა შორის უპირველესი იყო ხოშარაული, რომელსაც ნადირა ერქვა და ვინმე საღირის შვილი იყო. მკვლევარი ხოშარაულის დახასიათებას იწყებს ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ მიხედვით, მოაქვს იქიდან გმირობა-ვაჟაკობის აღმნიშვნელი ეპითეტები

<sup>11</sup> სოლ. ყუბანეიშვილი. ბახტრიონის გმირები ქართულ მწერლობასა და ხალხურ სიტყვიერებაში, 1953, გვ. 26

ა.ქ. შანიძე, დასახ. შრომა, გვ. 327

<sup>13</sup> სოლ. ყუბანეიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 25

<sup>14</sup> დ. გოგოჭური. „ბახტრიონის“ ერთი გმირის ვინაობა. „მნათობი“, №2 1970, გვ. 111-115..

და შენიშნავს, რომ: „როგორც ვაჟა წერს, ხოსოურაული ბახტრიონის ომის მთავარი გმირთაგანია“.<sup>15</sup>

პოემა „ბახტრიონის“ მიხედვით, მართლაც, ხოშარეული /ასე ხმარობს ვაჟა/ „გულ-რკინა“ და „არწივი მხარ-კვერიანი“ ვაჟაკცია და სხვა სახალხო გმირთა ტოლფასოვანი რაინდია. მაგრამ ეს ხომ პოეტის ფანტაზიის ნაყოფია და არა სინამდვილის ანარეკლი.

ვაჟა-ფშაველა 1911 წელს დაწერილ წერილში – „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“, ეხებოდა რა „ბახტრიონის“ დაწერის ისტორიულ თუ ხალხურ მასალებს. სხვა საკითხებთან ერთად იმასაც აღნიშნავდა, რომ „გმირები პოემისა ლუხუში, ხოსოარეული, სუქელჯი, კკირია, სანათა, ვარდა ზეზგაია, ხალხურ ლექსებში ერთი-ც არ არის ნახსენები, რომ იმათ მიეღო რაიმე მონაწილეობა ბახტრიონის ბრძოლაში და არც კი არიან თანამედროვენი ამ ბრძოლისა. თუშცა კი გმირებად იხსენიებიან ხალხურ ლექსებში სრულიად სხვა ბრძოლაში, სხვა დროს, – ასეთები არიან ლუხუში, ხოსოარეული“.<sup>16</sup>

მკვლევარი ვაჟა-ფშაველას ხსენებულ განმარტებას „ბახტრიონის“ გმირების და მით უმეტეს ხოშარეულის შესახებ არსად ეხება და მისი გვერდის ავლით ცდილობს წარმოგვიდგინოს ხოშარეული, როგორც ბახტრიონის აჯანყების მთავარი გმირი.

სახალხო გმირ ხოსოარეულის ბახტრიონის აჯანყებაში მონაწილეობის თაობაზე მსჯელობისას, ჩვენი აზრით, აუცილებლად უნდა შევეხოთ ვაჟა-ფშაველას ხსენებულ განმარტებას. მკვლევარმა იგი ან უნდა უარყოს, ანდა გაიზიაროს. ვაჟას კარგად მიუწვდებოდა ხელი მთის პოეზიაზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მეცხრამეტე საუკუნის ქართველ ფოლკლორისტ-შემკრებთა შორის საყოველთაოდ ცნობილი თედო რაზიკაშვილი, რომელიც ვაჟას ძმა იყო და მთელი „სამა ათეულია წლის განმავლობაში...“<sup>17</sup> შექმნულ რეპლობით აწარმოებდა ქართლის, კახეთის, თუშეთის, ფშაქისა და ხევსურეთის სხვადასხვა უბანში და ხალხურ პოეტურ პემოქმედების ძიარფასი ნიმუშები შოისოკა“.<sup>17</sup> არ იცნობს არც ერთ ძეგლს, სადაც საუბარი იყოს ხოსოარეულის /ხოშურაულის/ ბახტრიონის აჯანყებაში მონაწილეობის თაობაზე.

ვაჟა-ფშაველას განმარტება იძის შესახებ, რომ ხოსოარეული ბახტრიონის აჯანყების მონაწილე არაა და გმირად იხსენიება „ხალხურ ლექსებში სრულიად სხვა ბრძოლაში, სხვა დროს“<sup>17</sup> ლუხუშთან ერთად, ყურადსაღებ და

<sup>15</sup> დ. გოგოჭური. იქვე. გვ. III.

<sup>16</sup> ვაჟა-ფშაველა. ოხზ. ტ. V. გვ. 283-284. 1961 წ. ხაზი ჩვენია. ვ. ვ. მ. ჩიქოვანი. წინასიტყვაობა /ხალხური სიტყვიერება, ტ. III. პირველი სერია II, ხალხური ლექსები თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი, მის. ჩიქოვანის რედაქციით. გვ. 5. 1951 წ.

აუცილებლად ანგარიშგასაწევ ფაქტად მიგვაჩნია. ვაჟას მსჯელობას, ვფიქრობთ, მხარს უჭერს თედო რაზიკაშვილის მიერ შეკრებილი ხალხური პოეზიის მდიდარი მემკვიდრეობაც, რომელშიც ბახტრიონის გმირ ნადირა ხომარეულის შესახებ არაფერია ნათქვამი.

პატივცემული მკვლევარი გვერდს უვლის ვაჟა-ფშაველას საგულისხმო შენიშვნებს ხომარეულის შესახებ. მას არსად ახსენებს, ხოლო იმავე ვაჟას არასწორად იმოწმებს, როცა წერს: „მაშასადამე, ვაჟა-ფშაველაც და ზეპირსიტყვიერებაც ხომარეულს /ხოშურაულს/ ხევსურთა ლაშქრის წინამძღოლად, ბახტრიონის გამოსყინულ გმირად და ბრძოლის დროს კარაგზე ხმალდაშისკრეულ მეთმირად გვისახიკენ“.<sup>18</sup>

ლექსი — „ხევსურები ბახტრიონის ომში“<sup>19</sup> სადაც საუბარია ნადირა ხომარეულის გმირობა-ვაჟაკობაზე, 1913 წელს ჩაუწერია აკ. შანიძეს. „ამ მომენტიდან ჩნდება ხომარაული ბახტრიონის ციკლის ზეპირსიტყვიერებაში“.<sup>20</sup> ამით იმის თქმა გვინდა, რომ ადვილი შესაძლებელია ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ დაწერისა და გამოქვეყნების შემდგომდა შექმნილიყო ხალხური ვარიანტები ბახტრიონის ბრძოლაში ხომარეულის მონაწილეობის თაობაზე. თუმცა, ვაჟა-ფშაველას ეს განცხადება რომ არც იყოს, მკვლევარის მსჯელობა ხომარეულ-სადირიშვილის იგივეობის შესახებ ჩვენ მაინც საეჭვოდ მიგვაჩნია.

მკვლევარი წერს: „როგორც ძველი, ისე ახალი ზეპირსიტყვიერი მასალების უდადეგისი ნაწილი ხანის კარაგის ხმლით აჩუქვას ნადირა ხომარაულს მიაწერს, მაგრამ, ამას გარდა, ვკვებება ისეთი სიმღერები, სადაც იგივე მოქმედება ვინმე სადირიშვილებს მიეწერება“<sup>21</sup>

ავტორს მოტანილი აქვს თ. რაზიკაშვილისა და ივ. ბუქურაულის მიერ ჩაწერილი ორივე ვარიანტი სადირიშვილებისა და სადირიშვილის შესახებ, რაც ჩვენ ზემოთ უკვე გავაცანით მკითხველს. და შენიშნავს: „სადირიშვილი (თუშ.გ.) თუ სადირიშვილი (ფშა.გ.) „ხმლით სცემენ ხანის კარაგს“ და ამიტომ მათ უდავოდ გენეტიკურ-შინაარსობრივი კავშირი აქვთ ნადირა ხომარაულის ციკლის ლექსებთან. აქ წუსტად ერთი და იგივე ეპიზოდია თითქმის ერთი და იმავე სახეებით გადმოცემული, რის გამოც საეჭვოა არა პირიქნება ვაგულისხმოს“.<sup>22</sup>

დ. გოგოჭურის მიუღი კვლევა-ძიება ხომარეულ-სადირიშვილის იგივეობის თაობაზე მხოლოდ ხევსურულ მასალებზეა დაყრდნობილი და არ არის გათვალისწინებული თუშური და ფშავეური მონაცემები, რომელთაც, როგორც

<sup>18</sup> დ. გოგოჭური, დასახ. შრომა, გვ. 112. ხაზი ჩვენია, ვ.ე. აკ. შანიძე, დასახ. შრომა, გვ. 9

<sup>19</sup> დ. გოგოჭური, დასახ. შრომა, გვ. 112. ხაზი ჩვენია, ვ.ე.

<sup>21</sup> დ. გოგოჭური, დასახ. შრომა, გვ. 113.

ქვემოთ დაინახავთ, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ დასმული საკითხის გარკვევისათვის.

ხოშარაულ-სალირიშვილის ერთ პიროვნებად აღიარებისათვის ავტორს პირველ რიგში დასჭირდა იმის მტკიცება, რომ „მეტი“ არაა სახელი და „შოგვიანო დროის მთქმელებს ზედსართაყი სახელი მეტი საღარიშვილის საკუთარ სახელად მიუწიეკიათ, საქმე ის არის, რომ ამ სიტყვას ხევსურულ კოლოზე განსხვავებული სემანტიკური ნიუანსი აქვს. სიტყვა მეტი (გამეტი) ტყეხული, მეტი (მეტი) ხარისხის მნიშვნელი ცნებაა და მამაკაცის უმცირესობისა და ვაჟკაცობის ხარისხის გამოხატავს“.<sup>21</sup>

მკვლევარს ამ საკითხში ვეთანხმებით, რომელზეც ქვემოთ გვიქნება საუბარი, მაგრამ იმ შენიშვნით, რომ მარტო ხევსურებისათვის არ ნიშნავს სიტყვა „მეტი“ – უკეთესს, უმჯობესს, სხვაზე კარგს, სხვაზე ძლიერს, არამედ სხვებისათვის და მათ შორის პირველ რიგში თუშებისა და ფშავლებისათვისაც.

სიტყვა „მეტი“-ს გარკვევის შემდგომ ავტორი პირდაპირ დასძენს, რომ სალირიშვილი სხვა პიროვნება კი არაა, არამედ ის იგივე ხოშარაულია, რომლის მამასაც საღირა რქმევა და ამიტომ მას სალირიშვილობითაც მოიხსენიებენო.

მკვლევარი ასეთი დასკვნის გაკეთებისათვის ეყრდნობა ხევსურეთის ბაცალიგოს თემში, სოფ. მოსახში მცხოვრებ ლაგაზა ხოშარაულისა და სხვადასხვა თემისა თუ სოფლის რამდენიმე სხვა ხევსურებისაგან 1951 წლის ზაფხულში მონათხრობს, ლაგაზა ხოშურაულის თქმით, ასეთ შინაარსს ატარებს: „ნადირაი და გამისარდი ორნი ძმანი ყოფილან, საღირისი შვილნი, ორნიე კან ვაჟკაცნ ყოფილან. საველად ნადირაი ჯობნილას... მეშირი ნადირაი ქვე დაკარგულას“.<sup>22</sup>

დ. გოგოჭური ხსენებულ საკითხზე შესჯელობას შემდეგი დასკვნით ამთავრებს: „ამრიგად. – შენიშნავს იგი, – როგორც ძველი ხალხური ლექსი-სიმღერება, აგრეთვე მთქმელთა შორის შემონახულია საისტორიო გადმოცემები მნიშვნელოვნად აკსიებს და ამჟღადრებს ისტორიისა და მწერლობაში შემონახულ ცნობებს ხოშურაულის ვინაობის შესახებ. ყველა არსებული მასალის შემოწმებისათვის და ანალიზის შემდეგ, კამპობით, რომ კახეთის აჯანყების მონაწილე და ერთ-ერთი მეთაური ხოშურაული... ბაცალიგოს თემის ს. მისახის მცხოვრები ნადირაი საღირისი ქე ხოშურაულია. იგი ზოგ ნაწარმოებში სახელით იხსენიება, ზოგან გვარიით, ხოლო ბევრ ნაწარმოებში მამის სახელით – საღირისიშვილად გვევლინება“.<sup>23</sup>

ნადირაი ხოშურაული რომ ნამდვილად ბატრიონის აჯანყების მონაწილე და თანაც ერთ-ერთი უმთავრესი გმირი იყო, მკვლევარს დამაჯერებლად იმ კუთხითაც მიაჩნია, რომ იგი „თემ-სოფელს მოუძღვლებია“, რასაც თავისი

<sup>21</sup> დ. გოგოჭური, დასახ. შრომა, გვ. 113-114

<sup>22</sup> იქვე, გვ. 114

<sup>23</sup> იქვე.



ახსნა და საფუძველი გააჩნია თურმე. ავტორს აღნიშნულის ნათელსაყოფად მოტანილი აქვს ზეპირსიტყვიერების ასეთი ნიმუში:

„სალირიშვილო ნადირაჯ,  
სიცოცხლით კაუნახაო.  
თემ-სოფლის მაძულებულო.  
ბატონის შაუნახაო.“<sup>26</sup>

მკვლევარი აგრძელებს მსჯელობას და დასძენს, რომ: „ამ ზეესურული სიმღერის კონტაშინარებული, თითქმის ერთი საუკუნის წინათ ჩაწერილი კახური ვარიანტები გვხვდება პეტრე უშიკაშვილის მისაღებშიც“.<sup>27</sup>

3. უშიკაშვილთან ნადირაჯაფსუტაშვილია და არა სალირაშვილი. იგი ცოლ-შვილთანაა დაპირისპირებული და არა თემ-სოფელთან. ლექსის შინა-არსსაც ბახტრიონის აჯანყებასთან და მის შედეგებთან არავითარი კავშირი არა აქვს:

„ჯაფსუტაშვილო ნადირაჯ, შენ ღღეში შავის მნახავო“,  
ცოლ-შვილის მოძაგებულო. ბატონის შაუნახავო,  
რამდენი კვირა დღე მოვა. საწისქვილოთ ეშხადები,  
დაფქვამ და თაკით დაიდგამ. ამხანაგებს ელოდები.  
წუხელის სიზმარი ვნახე: „ზიფათის რასმე ჩავარდები“.

შავ ტყეში რომ ჩამოველით. გადმოგვცვივდნენ გულხადრები, გულხადრები არ გვეგონა, ჩვენ-ოსები. მთიულები“ და სხვ.<sup>28</sup>

მკვლევარი, ამ ლექსების შინაარსიდან გამომდინარე, დაასკვნის რომ: „ტრადიციული გადმოცემის მიხედვით, ბახტრიონის ომში საკმაოდ ბევრი ხევსური დაღუპულა. ზოგიერთ ჭირისუფალს ამ საქმეში ნადირაჯი ხომარაულისათვის დაუდგია ბრალი. რასაც, ბუნებრივია, თემ-სოფლისაგან მისი მოძულეობაც უნდა მოჰყოლოდა. ეს მათ უფრო მოსალოდნელია, თუ ხევსურული „თავ-მეთავეობის“ (სისხლის აღების) წესსაც გავითვალისწინებთ: საკმაოდ იყო ნადირაჯის მანქნით თუნდაც ერთი მეომარი დაღუპულიყო, რომ ხევსურთა უღმობელი და შიკარი კანონი მას შესაბამის პასუხს მოსთხოვდა“.<sup>29</sup>

აქ მოტანილი ამონაწერი მრავალმხრივ განმარტებას და დაზუსტებას საჭიროებს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ბახტრიონის აჯანყებაში ნადირაჯ ხომარაულის ნამდვილად მონაწილეობის დამადასტურებელი ხალხური ლექსები თუ გადმოცემები, რომლებიც ვაჟას „ბახტრიონის“ (1892 წ.) გამოქვეყნებამდე ვისმეს ჩაეწეროს და დაებეჭდოს, არ არსებობს. პირველად იგი აკად. აკ. შანიძემ ჩაიწერა 1913 წელს.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 115.

<sup>27</sup> იქვე.

<sup>28</sup> 3. უშიკაშვილი. ხალხური სიტყვიერება. ტ. I გვ. 198

<sup>29</sup> დ. გოგოჭური. დასახ. შრომა, გვ. 115.

მეტად უცნაურ განცხადებად გვეჩვენება ისიც, რომ თურმე, ნადირა ხო-შარაული თემ-სოფელს (პ. უმიკაშვილთან ცოლ-შვილს) მოუძულებია, რადგან მისი მიზეზით მრავალი ხევსური დაღუპულა ბახტრიონის ბრძოლაში. კახეთიდან სპარსი და თურქმანი დამპყრობლების განდევნისათვის წლების მანძილზე ემზადებოდა ქართლ-კახეთი, განსაკუთრებით აქტიურობდა თუშ-ფშავ-ხევსურეთი. თუშ-ფშავ-ხევსურეთის წარგზავნილები 1654 წლიდან რამდენჯერმე იყვნენ რუსეთის ხელმწიფის კარზე, რომლისგანაც მფარველობაში აყვანასა და დახმარებას თხოულობდნენ. ამ საქმეში ჩაბმული იყო მთელი მთიანეთი: მოსახლეობა. ეს ყველას მოწადინებდა იყო და არა ერთეული პიროვნე-ბების ნება-სურვილი. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან უბატონო მთა და მთიელები თავის თავს თვითონ განაგებდნენ, მხოლოდ საკუთარ თავს ემორჩილებოდნენ. იარაღის მატარებელი მთიელის სახლში დარჩენა ომის დროს არ შეიძლებოდა; გაიგებდა თუ არა, რომ სამშობლოს უჭირდა, ის მაშინვე თანამოძმეთა გვერდით გაჩნდებოდა და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა სამშობლოსა და ერის საკეთილდღეოდ. ასე იყო ბახტრიონის აჯანყებაში, ასპინძაში, კრწანისში, ყველგან და ყოველთვის. მაგრამ არავინ არავის დაძღურებია, არც მოუძულებია, რადგან სამშობლოსა და მეფისათვის სამსახური თუშ-ფშავ-ხევსურთათვის ყველაზე დიდი და საპატიო საქმე იყო. აი, რას ამბობს მთიელთა ამ თვისების შესახებ დავით ბატონიშვილი: „ქვეყნად მეფისა, ანუ ღვარდიად, არიან ადრიდგანვე დაწყაიხულნი თუშნი, ხევსურნი და ფშავნი. ესენი არიან შთის კაცნი და ერთგულნი მეფისანი... ესენი არიან მამაცნი, ერთგულნი, გარნა ბრწყინი და უსდელნი. და არა უტყვიებენ ესენი სხვათა ღვარდიად მეფისა, არამედ მსწრაფელ შიილტყვიან ამბოხისადმი,“ უკეთუ სხვათაგან ვინმე დააწყისა მეფემან ღვარდიად“. <sup>30</sup>

ჩვენს მკვლევარს უნდა გავახსენოთ, რომ 1849 წელს გაზ. „Кавказ“-ის რამდენიმე ნომერში ი. ცისკაროვის /ცისკარიშვილის/ მიერ გამოქვეყნებულ წერილში — „Записки о Тушетии“ — დაბეჭდილია ლექსი „ბახტრიონის აღება თუშთაგან“ და თუშური გადმოცემა. როგორც ლექსში, ისე გადმოცემაში მეტი საღირიშვილი თუშთა და არა ხევსური. <sup>31</sup>

დ. გოგოჭური ან არ იცნობს აღნიშნულს, ანდა შეგნებულად თავს არიდებს, რადგან დაწერილსა და გამოქვეყნებულს, თანაც ბახტრიონის აჯანყებიდან დროის თვალსაზრისით უფრო ახლოს მდგომს უფრო მეტი ღირებულება და მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მის მიერ ხევსურეთში ჩაწერილ მეტად გვიანდელ მონათხრობებს.

საღირიშვილი რომ თუშთა და არა სხვა ტომის წარმომადგენელი, ეს წერია და გამოქვეყნებულიცაა. ზეპირი და თანაც ცალმხრივი გადმოცემები მას ვერ გაუტოლდება. მკვლევარი მას უეჭველად უნდა შეეხოს.

<sup>30</sup> სამართალი დავით ბატონიშვილისა, ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო დავით ბურჭულაძემ, 1964. გვ. 224

<sup>31</sup> И. Цискаров. Записки О Тушетии.. газ. "Кавказ". №13. 1949

1977 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან“ აბ. შავხელიშვილმა მსჯელობა კახეთის აჯანყების სახალხო გამბრუნებზე იმით დაამთავრა, რომ ზეზუა გაფრინდაული წოვა-თუშად გამოიყვანა.<sup>32</sup>

აბ. შავხელიშვილის დასახელებული მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდეგ დ. გოგოჭურმა ჟურნალ „ცისკარში“ დაბეჭდა წერილი, სადაც მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მკვლევარი აშკარად ცდება, როცა დაეინებით აღნიშნავს, რომ მეტი სახელის აღმნიშვნელია. იგი წერს: „ის, რაც ადრე ჟურნალის /„მნათობის“, ვ.ე./ რედაქციამ სპეციალისტებთან ერთად დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ შიშინია და ამიტომ მასზე პოლემიკის გაგრძელება მინანსპეწონილიად არ ჩათვალა, ავტორის საკუთარ წიგნში შეუტანია, თანაც საოცრად უკადრის ხერხს მიმართაეს: ესმის რა თავს ჩვენს პირველ პოზიტიურ წერილში გამოთქმულ დასკვნებს, კრინტიცაც კი არ ძრავს იმაზე, რომ მან ეს თავისი მცდარი მოსაზრება ერთხელ უკვე გამოაქვეყნა ჟურნალში და პასუხიც მიიღო“.<sup>33</sup>

ლ. ჭრელაშვილი და ა. შავხელიშვილი ამტკიცებენ, რომ სიტყვა „მეტი“ სახელის აღმნიშვნელია წოვა-თუშებში და იმწმებუნ ივანე ბუქურაულს, მაგრამ, როგორც დ. გოგოჭური შენიშნავს: „ყოველ დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია ნახოს ი. ბუქურაულის მიერ ამ ლექსებზე დართული ლექსიკონი, სადაც მეტის შესახებ გარკვევით წერია: „მეტა“ - უფროსი, უმჯობესი“ /„სკელი საქართველო“, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტ. II, გვ. 134, განყოფ. V, 1813წ. /.<sup>34</sup>

ა. შავხელიშვილი თუშეთის შესახებ გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში აღნიშნავს: „ბოლო დროს დადგენილია, რომ მეტი საღმრთოული არის ახლანდელი წოვა-თუშში აბამიძეების წინაპარი“.<sup>35</sup>

ასეთი შედეგის მიღებისათვის ავტორი ეყრდნობა 1831 წლის თუშეთის კამერალური აღწერის მონაცემებს, რომლითაც აღინიშნება, რომ წოვათას თემის სოფ. ინდურთაში ნამდვილად ცხოვრობენ „მეტისშვილები“, თუმცა მის მიერ მითითებული საქ. ცსს არქივის ფონდი-225 /ასეთი ფონდი არ არსებობს. უნდა იყოს ფონდი-254/ და საქმე-234, ახლოსაც არ ეკარება თუშეთის აღნიშნულ აღწერას. იქ სულ სხვა რამეზეა საუბარი,<sup>36</sup> ხოლო იმის დამადასტურებლად, რომ „მეტი“ სახელია და თანაც წოვა-თუშებისათვის

<sup>32</sup> აბ. შავხელიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან. 1977, გვ. 161-162

<sup>33</sup> დ. გოგოჭური. ბოლო განმარტება „ცისკარი“. №8. 1978. გვ. 113

<sup>34</sup> იქვე, გვ. 114

<sup>35</sup> აბ. შავხელიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან. გვ. 157. 1977.

<sup>36</sup> აბ. შავხელიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან. გვ. 157. 160, 61.

დამახასიათებელი, იგი ემყარება შემდეგს: „იმის დასამტკიცებლად, რომ თუშეთში ნამდვილად ცხოვრობდა მეტი საღირიშვილი, შეგვიძლია მოვიტანოთ კიდევ ერთი უტყუარი დოკუმენტი, რომელიც წარმოდგენილია მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის დოც. გ. აბაშიძის მიერ. მის მიერ 1931 წელს შედგენილ აბაშიძეთა გენეალოგიაში დადგენილია შემდეგი სურათი: „არინდა, საგირი, მეტი, აბაშო, დაქო, საგირი, გრიგოლი, ლეო, კოსტალე, ილო“.<sup>37</sup>

1831 წლისა და 1843 წლის თუშეთის კამერალური აღწერებით<sup>38</sup> სახელი „მეტი“ არ გვხვდება, არც წოვების თემის სოფ. ინდურთაში, სადაც აღნიშნული აღწერებით არის გვარი – „მეტისშვილი“, არც წოვების სხვა სოფლებში და არც თუშეთის სხვა თემებში. მომდევნო წლების კამერალური აღწერებისა და რაიმე სხვა წერილობითი მონაცემებითაც სახელი „მეტი“ თუშეთში არავის ჰქვია. ეს გარემოება, ვფიქრობთ, უფროა გასათვალისწინებელი, ვიდრე გ. აბაშიძის მიერ გადმოცემით შედგენილ წინაპართა სახელების გენეალოგია.

მე-19 საუკუნის 30-იან წლებში დ. ზუბარევის მიერ თუში მამაკაცების სახელების ჩამოთვლაშიც არსად გვხვდება სახელი – „მეტი“.<sup>39</sup>

სიტყვა „მეტი“, როგორც სახელი, პირველად ი. ცისკარიშვილმა იხმარა, როცა მან 1849 წელს გაზ. „კავკასში“ /№13/ ბახტრიონის აჯანყებაში თუშების მონაწილეობის აღმნიშვნელი ხალხური ლექსი „ბახტრიონის სხედან თათრები“ და თუშური გადმოცემა გამოაქვეყნა. მან აღნიშნული ლექსიდან – „მეტი ვარ საღირიშვილი“ რუსულად თარგმნის დროს სიტყვა „მეტი“, გამოყო, როგორც პიროვნების სახელი და ასეთი ფორმა მოგვცა: „მე, მეტი საღირიშვილი“. რაც, რა თქმა უნდა, არ არის სწორი. ხალხური ლექსის ხსენებული სტრიქონი – „მეტი ვარ საღირიშვილი“, ი. ცისკარიშვილმა დაამახინჯა, სრულიად საწინააღმდეგო ფორმა და შინაარსი მისცა. „მეტი ვარ საღირიშვილი“ – იმასვე ნიშნავს, რასაც „ბიჭი ვარ გოგოლაური“, სიტყვები: „მეტი“ და „ბიჭი“ მეტობისა და სხვასთან შედარებით ძლიერისა და უკეთესობის აღმნიშვნელია და არა ვისიმე სახელი. სიტყვა – „მეტი“? ასე ესმის თუშ-ფშავ-ხევსურეთის უხუცესს და ახალგაზრდას. წოვებში კი თუ ნამდვილად იყო სახელი „მეტი“, ამას ქვემოთ დავინახავთ.

იგივე თუშური გადმოცემა ი. ცისკარიშვილის შემდგომ ყიზლარში ჩაიწერა პროფ. ალ. ხახანაშვილმა, ხოლო თუშეთში ივ. ბუქურაულმა, ორივეს მიერ სხვადასხვა დროსა და განსხვავებულ ადგილებში ჩაწერილ თუშურ გადმოცემაში მეტი საღირიშვილი კი არ გვხვდება არამედ ზეზევა გაფრინ-

<sup>37</sup> აბ. შავხელიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, გვ. 157-158.

<sup>38</sup> საქ. ცსსა, ფ. 254, ანაწ. I. საქ. №1278, 2042.

<sup>39</sup> Д. Г. Зубарев. Поездка в Кахетию, Гушестию, Пшавию, Хевсурию и Джавро-Белаканскую область. "Русский вестник". т. II. кн. №6, 1841. стр.517.

დაული. ზეზვა გაფრინდაული და მეტი საღირშივილი ერთსა და იმავე საქმეს ასრულებენ, რაც იმის მანიშნებელია. რომ საქმე გვაქვს ერთ პიროვნებასთან. რომელიც გაფრინდაულისა და საღირშივილისგვართ გვხვდება.

აბ. შავხელიშვილის გამოკვლევით. გვარი „მეტისშვილი“ მიღებულია სახელ „მეტი“-დან. და ეს მეტი კი ყოფილა სახელოვანი პიროვნება, ბახტრიონის ციხეში რომ პირველი შევიდა. თანაც ის წოვთა თემს ეკუთვნოდა. შემდგომში მეტისშვილებს გვარი გამოუკვლიათ და აბამიძეებად დაწერილან.

მეტად დაუჯერებლად მიგვაჩნია. რომ შთამომავლობას დავეიწყებინა სახელოვანი წინაპრის სახელი. დეაწლი და მისგან მიღებული გვარი – „მეტისშვილი“. ზოგად ქართულ ტრადიციას რომ თავი დაეანებოთ, თუშეთის დანარჩენ სამ თემში: ჩალაში. გომეწარსა და პირიქითში თაობიდან თაობაზე გადადის თუშთა სახელოვანი გმირების: ლუხუჩის. ზეზვას, შეთეს, ივანეს, იაკობის, ბაკურის და სხვათა სახელები. ასევე გვარები: გაფრინდაული, ლუხუმაიძე. შველაიძე. გულუხაიძე. ელიზბარიძე. ლეკაიძე. ბაკურიძე... მათი შთამომავლობაც. რა თქმა უნდა. სიამაყით ატარებს დეაწლმოსილ მამა-პაპათა გვარებს. წოვა-თუშებმა კი სრულიად დაივიწყეს სახელი – „მეტი“ და გვარი „მეტისშვილი“

1831 წლის კამერალური აღწერით სოფ. ინდურთაში მეტისშვილების გვერდით გვხვდება გვარი მეორტიშვილიც. მაგალითად. გოგი მეორტიშვილი, რომელსაც ჰყავს სამი ვაჟი: ასლანი. ანდრო და პეტრე. ეს გვარი დღესაც არის წოვა-თუშებში. ხოლო გვარი „მეტისშვილი“ თუ ოდესმე იყო მათთან არავის ახსოვს. აბამიძეების. მეორტიშვილებისა და სხვა გვარის მოხუცები გადმოსცემენ, რომ მეორტიშვილები და აბამიძეები თავდაპირველად ერთ გვარს ატარებდნენ, ხოლო რომელს. არ ახსოვთ. მაგალითად. ლეო ფორეს ძე ბაიხოიძე /81 წლისა/ აღნიშნავს. რომ „მეორტიშვილები და აბამიძეები ორივენი ინდურთიდან არიან და მოგვარეებად ითვლებიანო“ იგივე შენიშნავს. რომ წოვებში გვარი – „მეტისშვილი“ არ არსებობდაო.<sup>40</sup>

იოსებ ჰაელეს ძე აბამიძე. დაბადებული 1900 წელს. დაბეჯითებით ყვება, რომ „მეორტიშვილები და აბამიძეები ერთი გვარის განაყოფი არიანო“.<sup>41</sup>

წოვა-თუშში მოხუცების დაბეჯითებითი ცოდნა – მეორტიშვილებისა და აბამიძეების თავდაპირველად ერთი გვარიდან მომდინარეობის შესახებ ჩვენ სინამდვილედ მიგვაჩნია. რაც შემდეგ მონაცემებს ეყარება.

1831 და 1843 წლების თუშეთის კამერალური აღწერის მიხედვით. წოვათის სოფ. ინდურთაში ცალკე მეკომურებად ცხოვრობენ: ასლანი, ეგნატე და ლუარსაბ მეტისშვილები. თუ აბამიძეები მისის შთამომავლებმა და შესაძლებელია გიორგისა და ჰაელეს მოდგმასაც 'ესეჩი აბამის ძმები' დაივიწყეს სახელოვანი წინაპრის – „მეტის“ სახელიდან მიღებული გვარი – „მეტის-

<sup>40</sup> აღნიშნული მონაცემები ნაწერილია. სოფ. ზემო ალვანში, 1978 წელს.

<sup>41</sup> მონაცემები ნაწერილია 1978 წელს

შვილი“, რაც. რა თქმა უნდა, არ ხდება და აბაშიძეებზე დაეწერნენ, მაშინ ასლანის, ეგნატეს და ლუარსაბის შვილებმა და შვილიშვილებმა რაღა ქნეს? აბაშო, ეგნატე, ასლანი და ლუარსაბი ხომ ერთიმეორისაგან არ განსხვავდებიან, მათს რაიმე განსაკუთრებულ დამსახურებას არავენ და არაფერი არ აღნიშნავს: აბაშოს გულისათვის ასლანის, ეგნატეს და ლუარსაბის შთამომავლობა მამაპაპურ გვარს არ დაკარგავდნენ და თანაც ისეთ გვარს თუკი ის ნამდვილად საქვეყნოდ განთქმული პაპის სახელიდან იყო მიღებული.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გვარი „მეტისშვილი“ დამახინჯებულია რუსი მოხელეებისაგან, როგორც საერთო მოვლენა და მის ნაცვლად უნდა ვიგულისხმობთ გვარი – „მეოტიშვილი, რომელიც XIX საუკუნის 30-40 წლებშიც იყო და დღესაცაა. აბაშიძეების ამ გვარის განაყრებია და იმიტომაც გადმოსცემენ მოხუცები, რომ ისინი და მეოტიშვილები ერთი გვარიდან მომდინარეობენო.

აბ. შავხელიშვილი ამტკიცებს, რომ საღირსშვილი „თუშეთის სინამდვილეში ჭეშმარიტად არსებული სახალხო გმირი“ იყო და თანაც წოვა-თუში. ამის შემდეგ მკვლევარი ზეზვა გაფრინდაულის ვინაობითაც ინტერესდება. აქაც მისთვის უმთავრესი მიზანი ის არის, რომ ზეზვა წოვების თემს მიაკუთვნოს. მოვესმინოთ შრომის ავტორს: „ზეზვა გაფრინდაულის შესახებ მთხრობელი თ. ბობლიაშვილი /78 წლის/ აღნიშნავს შემდეგს: „ზეზვა გაფრინდაული დაბადებით წოვების თემის სოფ. ინდურთიდან იყო, ბავშვობაშივე ის უშამოდ დარჩა, დედამისი დიდხანს არ თხოვდებოდა, შექმდე გათხოვდა ყოველგვარ გაფრინდაულზე, გომეწროს სოფ. ვაკისძირში მცხოვრებ მარტოხელა კაცზე, ვაჟიშვილიც თან წაიყვანა. როცა ზეზვას 15 წელი შეუსრულდა, მან გაყიდა მამისეული სახლი სოფ. ინდურთაში და სოფ. ვაკისძირში დასახლდა. წარმოშობით ის წოვა-თუში იყო. ყოველივე ამის შესახებ კარგად იცოდნენ და პყვებოდნენ ჩვენი მოხუცებულები“.<sup>42</sup>

ჩვენ ეს ყოველივე ავტორის შეთხზულად მიგვაჩნია. ასე სწამთ ეს თვით საქმეში ჩახედულ წოვა-თუშ მოხუცებს. თედოლე ბობლიაშვილის შვილი – გოგიც შენიშნავს 1978 წლის 18 თებერვალს, რომ: „თედოლე ბობლიაშვილი 5-თი წელია რაც დაიღუპა, 4 წელია არ აქონდა საღი აზროვნება, საერთოდ თედოლე იყო სიტყვა ძვირი კაცი, არ იცოდა არაფრის მოყოლა, ჯოჯო/ასე ეძახიან თანამეგობარულენი ა. შხელოშვილს. საერთოდ არ ყოფილა ჩვენს ოჯახში, არ იცნობს ჩვენს ოჯახს ახლოს“.

თუ გადმოცემის მიხედვით ვიმსჯელებთ, აი, რას ყვება სოფ. ხახაბოს /ხევსურეთი/ მკვიდრი, 84 წლის მინდიკაური ლეკო ტურას ძე: „ეგ წოვან დიღღოთ მასხმულნი ზეზვასაგან. ამის შემდეგ დაშრაველდეს, „ზეზვას ტყვის შვილებ ვართავ“ – ექსლაც იმის საუბარ იციან“.<sup>41</sup>

<sup>42</sup> აბ. შავხელიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 161-162

<sup>41</sup> ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, გვ. 369, 1960

ოფიციალურ ლიტერატურაში თუ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში კახეთის აჯანყებაში მონაწილე თუშების შესახებ მსჯელობისას არსად არ არის საუბარი, რომ მთლიანმა თუშეთმა კი არ მიიღო აჯანყებაში მონაწილეობა, არამედ ამა თუ იმ თემმა და ანდა ამა და ამ თემიდან გამოსულმა პიროვნებამო. ყველგან საუბარია თუშეთზე და იუშ ხალხზე, მათ თემების მიხედვით არავინ აკონკრეტებს.

„მეტი“ საღირიშვილის პიროვნების თაობაზე მსჯელობამ კი მოითხოვა შევხებოდით თუშეთის ორ თემს: წოვთა თემს და გომეწრის თემს, რათა გაგვერკვია, თუ რომელ თემს ეკუთვნოდა საღირიშვილ-გაფრინდაული. რა თქმა უნდა, საღირიშვილ-გაფრინდაული წოვთა თემის წარმომადგენელია თუ გომეწრის თემისა ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ორივე თემი ჩაღმისა და პირიქითის თემებთან ერთად თუშეთს წარმოადგენს. მაგრამ იმის გამო, რომ სადავო გახდა საღირიშვილ-გაფრინდაულის სადაურობის საკითხი, რაც თავისთავად ერთგვარ უკმაყოფილება-გაუგებრობას იწვევს თუშ მოსახლეობაში, ამიტომ იგი, რა თქმა უნდა, დეტალურ შესწავლას და გარკვევას საჭიროებს.

გარდა აღნიშნულისა. რომლითაც ნათლად მტკიცდება თუ მეტი საღირიშვილი თუშეთის რომელ თემს ეკუთვნის: წოვა-თუშებს თუ თუშებს, ჩვენ მიგვაჩნია, რომ აღძრული საკითხის სრულყოფილად გაშუქებისათვის იმის დადგენაც კია საჭირო, რომ გაირკვეს წოვები მოცემული პერიოდისათვის ითვლებიან თუ არა თუშეთის მცხოვრებლებად. რადგან ჩეჩნურ-ინგუშურ-წოვური გადმოცემებითა თუ სხვა ანგარიშ-გასაწევი მონაცემების მიხედვით, მრავალი ათეული წლის მანძილზე აღნიშნება, რომ წოვები თუშებისაგან განსხვავებით ცალკე მდგომი ეთნოგრაფიული ჯგუფია და ისინი თუშეთში მოვიდნენ ჩრდილო კავკასიიდან /ჩეჩენ-ინგუშეთიდან/.

მრავალი მეცნიერ-მკვლევარი აღიარებს, რომ წოვები /წოვა-თუშები/ ღლიღვი /ღალიღვი/ ტომის შემადგენელი ნაწილია და ინგუშეთიდან გადმოსახლდნენ თუშეთში. ერთი ინგუშური გადმოცემა კი ნათლად ადასტურებს, რომ წოვები თავიდანვე ღალიღვი /ინგუშში/ ტომის შემადგენლობაში არ შედიოდნენ, მას არ ეკუთვნოდნენ, ისინი გვიანდა შეერთებულან მას და თანაც, როგორც ეტყობა, სანამ ღალიღვი ტომს შეერწყმოდნენ, მანამ დარიალის ხეობის ახლოს უცხოვრიათ. როგორც ფეჰპი-ს ტომს. ამავე გადმოცემით დასტურდება, რომ ფეჰპის ტომი /ფეჰპინციები/, რომლებიც ინგუშური, ქისტური, წოვური გადმოცემებით წოვების წინაპრებად არიან აღიარებულნი, დანათესავების გზით შეერთებულან ღალიღვი/ინგუშ ტომს. რომ ღლიღვიები და ფეჰპინციები სხვადასხვა ტომის წარმომადგენლებია იქიდანაც ჩანს, რომ ღლიღვის მკვლისათვის დაწესებული ყოფილა 12 ძროხის გადახდა, ხოლო ფეჰპინცისათვის კი 6 ძროხა.<sup>41</sup>

<sup>41</sup> პროფ. ნ. იაკოვლევი, ინგუშები. გვ. 101-102. 1925 /რუსულ ენაზე/.

1968 წლის 1 დეკემბერს, საკანდიდატო დისერტაციის დაცვის წინა დღეებში, სპეციალურად მოვინახულე ახმეტის რაიონის სოფ. დუისის მკვიდრი უსუფი მარგოშვილი, რომელმაც ბევრი საინტერესო ცნობა მომაწოდა სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. იგი მომიყვია, რომ 1919 წელს, როცა ქ. გროზნოდან, სადაც სწავლობდა თურმე, ზაფხულის არდადეგებზე საქართველოში მოდიოდა, გზად დაღამებია და ინგუშეთის სოფელ ვეფში,<sup>45</sup> რომელიც მაშინ 60 კომლამდე იქნებოდა, ერთ-ერთ უცნობ ოჯახში გაუთენებია ღამე. ოჯახის უხუცესს, რომელიც 105 წლისა ყოფილა და მის მეზობლებსაც, როცა გაუგიათ, რომ უსუფი საქართველოში მცხოვრები ქისტების წარმომადგენელი იყო, მეორე დღით, სანამ გამოემგზავრებოდა უაშხნია, რომ აი ამ სოფელ ვეფიდან არიან წასულები ბაცებები, რომლებიც თქვენთან – საქართველოში ცხოვრობენო.

უსუფი დაინტერესებულა და უხუცესი ინგუშისათვის უკითხია – რა იციან იმის შესახებ თუ მათი თანამემამულენი რატომ და როდის გადასახლდნენ საქართველოში? მოხუცს ასეთი პასუხი გაუცია: ერთ დროს საქართველოს თათრები შემოსევიან და რიცხვმრავალი მტრის წინააღმდეგ ამხედრებულ ქართველებთან ერთად ინგუშები, ჩენები და ქისტებიც წასულან საბრძოლველად. ქართველებსა და ჩვენინებს მტერი დაუმარცხებიათ და აი. სწორედ მაშინ ინგუშების ნაწილი უკან აღარ დაბრუნებულა და საქართველოში დასახლებულა. ეს ამბავი, – მოხუცის გადმოცემით. – მომხდარა 270 წლის წინათ.

ინგუშეთში მოსმენილი და ჩაწერილი ეს ორივე გადმოცემა, ვფიქრობთ, ჩვენთვის ფრიად საინტერესო ისტორიულ სინამდვილეს უნდა ასახავდეს: პირველი, ჩემი ვარაუდით, გადმოგვცემს ქრისტიანობის გავრცელების დროს არაგვ-ორისა და ლეხურა-ქსნის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართული მოსახლეობის გარკვეული ნაწილის დარიალის გზით ინგუშეთში გახიზვნის ვითარებას, ხოლო მეორე გადმოცემა, კი ალბათ, ყველა იმ ჭეშმარიტებას, როცა IV საუკუნეში ჩრდილო კავკასიაში გახიზნული ქართველობა, უკან – თავის სამშობლოში ბრუნდება.<sup>46</sup>

აქ წარმოდგენილ გადმოცემათა გაგრძელებას და ერთგვარ დასტურს წარმოადგენს მთაში მოსმენილ გადმოცემათა მიხედვით პ. რ. ზარდალიშვილის მიერ ჩამოყალიბებული თხრობა. სადაც აღინიშნება, რომ: „მათი /წოვა-თუშების, ე.ე./ თუშეთში დასახლების დრო ზუსტად არ არის დადგენილი, მაგრამ მთაში დღემდე შექმნილად გადმოცემათა მსხედვით, წოკებს უთანხმოება მსოფლიოთა მქობელ ტომებთან, გამოეყენენ მათ და მთიულეთს, ხეკს, არაგვისა და თურგის ხეობებში გადასახლდნენ.

<sup>45</sup> უსუფი მარგოშვილი შენიშნავს, რომ სოფ. ვეფი ქ. ორჯონიკიძისთან არის ახლოს, ორჯონიკიძიდან იქნება 12 კმ-ით დაშორებული

<sup>46</sup> ვ. ელანიძე, წოვა-თუშების ვინაობის საკითხისათვის. 1990.



მალე მათ არაგვის ერისთავმა დევნა დაუწყო. წოვებმა გაიგეს, რომ ალაზნის სათავაგუში თავისუფალი ადგილები იყო. თუშებთან შეთანხმებით მთათუშეთში დასახლდნენ და ხუთი სოფელი გააშენეს — წარო, მოზართა, საერთა, ეტყელთა და ინდაურთა“.<sup>47</sup>

თუშეთში წოვების დასახლებას დიდი პოლიტიკური ღირებულება ექნებოდა პირველ რიგში გომეწრის საზოგადოებისათვის, რომელსაც საიმედო კედელს უქმნიდა დასავლეთის მხრიდან და, საერთოდ თუშეთისათვის, რადგან რიცხვმრავალი მეომარი ტომის დასახლების შემდეგ იქ მცხოვრებ თუშებთან ერთად იქმნებოდა დიდი შესაძლებლობა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლებისა და თავდაცვითი უნარიანობისათვის. აღნიშნულ მდგომარეობას ითვალისწინებდა რ. ერისთავი, როცა წერდა: „წოვების შემოერთება თუშებთან საიკებით ხელსაყრელი იყო ამ უკანასკნელთათვის. წოვები გარდა იმისა, რომ საგრძნობლად გააძლიერეს თუშები, ძალიან მალე გახდნენ ქვეყნის ერთ-ერთი პირველი დამცველი, იმ ქვეყნისა, რომელიც დასახსნელებლად აიწიეს. მათი წინაპრების მიერ თუშეთის დასაცავად არაერთხელ აქნა დაღვრილი სისხლი“.<sup>48</sup> ხოლო წოვების დასახლებას რომ გომეწრელებისათვის (თუშეთის სხვა თემებისაგან განსხვავებით) განსაკუთრებული შედეგი მოუტანია, ხაზგასმით აქვს აღნიშნული რ. ერისთავს: „გომეწრელები არ შემცდარიან თავის ადგილებში წოვების დასახლებით“.<sup>49</sup>

რ. ერისთავი, როგორც ცნობილია, 1846-1848 წლებში თარჯიმნად მუშაობდა თუშ-ფშავ-ხევსურეთის საოლქო სასამართლოში. აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობის დროს იგი მომსწრე გამხდარა წოვა-თუშებისა და გომეწრელი თუშების დავისა წოვათის თაობაზე. გომეწრის თემის თუშებსა და წოვა-თუშებს შორის მიწის გამო გამართულ კამათში გამოვლინებულა, რომ გომეწრის თემის მცხოვრებნი წოვათაზე პრეტენზიებს აცხადებდნენ, როგორც საკუთარ მიწა-წყალზე. მაშინ რ. ერისთავს გომეწრელთა წარმომადგენლისათვის წოვათის შესახებ საბუთები მოუთხოვია. რ. ერისთავისათვის საბუთების წარდგენის ნაცვლად გომეწრის თემის მცხოვრებს უპასუხია: „რა დოკუმენტები უნდა გვიჩვენოს? რამდენიმე ასეული წლის წინ ჩვენ მავდიეთ წოვები, როგორც უცხოელები, ჩვენნი ნებით მივევცით მათ პატარა მთის ველი, რომელსაც ეწოდება ინდურთა დასახსნელებლად და ჩვენვე დავართეთ ნება თავისი ფარები ექსყეშისათ მიწაზე, რომელიც ჩვენ მათზე ადრე გვეკუთვნოდა, ხოლო ახლა არ გვსურს, რომ წოვებს რაიმე გავლენა ექონდეთ ამ მიწაზე“.<sup>50</sup>

<sup>47</sup> გრ. ზარდლაშვილი, მთათუშეთი, ეკონომ. - გეოგრაფიული დახასიათება/. საღისურთავიო შრომა, თბ., 1940წ. გვ. 68 /ხელნაწერი/

<sup>48</sup> რ. ერისთავი, ჩანაწერები თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის შესახებ. გაზ. „კავკაზი“. №43, 1854 / რუს. ენაზე/

<sup>49</sup> იქვე.

<sup>50</sup> იქვე.

თუშეთში წოვა-თუშების დასახლებისა და მათი სადაურობის შესახებ საინტერესო დასკვნები და მოსაზრებებანი აქვს გამოთქმული აკად. ი. ღეშერიევს. მეცნიერი ჩეჩენ-ინგუშეთის მკვიდრია, რომელიც წლების მანძილზე სწავლობდა წოვა-თუშურ (ბაცურ) ენას და ხანგრძლივი მუშაობის შემდგომ გამოაქვეყნა კაპიტალური შრომა – „ბაცური ენა“ (რუსულ ენაზე), რომელზეც წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. აღნიშნულ გამოკვლევაში და სხვა არანაკლებ პოპულარულ მონოგრაფიაში მეცნიერი ჩეჩენურ-ინგუშურ-წოვა-თუშურ გადმოცემებზე დაყრდნობით მიუთითებს ბაცების (წოვა-თუშების) ჩრდილო კავკასიიდან, კერძოდ, „ვაბო“-დან თუშეთში გადმოსახლების თაობაზე: „ბაცების წინაპრები, გადმოცემით, ვაბოდან იყვენენ /„ვაპში“ ვაბო-ვაპში /იენ./, ფაპში /ინგ./ ქ. ორჯონიკიძის ახლომდებარე მთებში იმყოფებოდა. და რომ ბაცების წინაპრები ვაპში-ვაბო / იყვენენ, ამას ამტკიცებენ აგრეთვე ინგუშური გამოცემებიც“.<sup>51</sup>

ი. ღეშერიევი თუშეთში წოვა-თუშების დასახლების დროს ვერ საზღვრავს, რადგან „უცნობია ეს როდის მოხდა“.<sup>52</sup>

ი. ღეშერიევის აღნიშნული გამოკვლევის შემდგომ გამოქვეყნებულ შრომაში – „ჩეჩენ-ინგუშეთის ტოპონომიკა“ (რუსულ ენაზე), ახმად სულეიმანოვი სანამ ჯეირახის საზოგადოების ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმების დასახლება-განმარტებაზე გადავიდოდა წინასიტყვაობაში შენიშნავს – „ჯეირახის საზოგადოების მცხოვრებლებს ფაპიც /ფაპებსაც/ ეძახიონ“-ო, ხოლო შემდგომში კი, როცა მკვლევარი უშუალოდ გადადის საზოგადოება – ტოპონიმების: „ფაპში-შარას, მეცხალ-შარას /მეცხალიაჲ, ფაპში/-ს „ზოგად დახასიათებაზე, დასძენს, რომ: „მრავალრიცხოვანი გადმოცემებით, რაც ხალხშია შემონახული, საქრთველოში მცხოვრები წოვა-თუშები /ბაცები/ ითვლებიან ფაპიდან გადმოსახლებულებად“-ო.<sup>53</sup>

წოვა-თუშები, რომ „ვაბო“-სთან რაღაც კავშირში არიან და მას თავის წარსულ ისტორიას უკავშირებენ იქიდანაც ჩანს, რომ 1968 წლის ზაფხულში ა. შავხელიშვილის ხელმძღვანელობით თუშეთში ექსპედიციის მიერ ჩატარებული მუშაობის მიმომხილველ წერილში – „ექსპედიცია მთათუშეთში“, წერილის ავტორი (წოვა-თუში) სამჯერ ეხება წოვათის ტერიტორიაზე მოპოვებული მატერიალური მასალის მიმოხილვას, მაგრამ იგი წოვათას არ ახსენებს და სამჯერვე წოვათის ნაცვლად ვაბო-ს წერს. ეს მაშინ, როცა წოვათაში ვაბო-დ წოდებული არც სოფელია და არც რომელიმე ტერიტორია.

<sup>51</sup> ი. ღეშერიევი, ნახური ენების ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა და კავკასიის მთის ხალხების წარმოშობისა და ისტორიული განვითარების პრობლემა, გროზნო, გვ. 62, 1963 (რუსულ ენაზე)

<sup>52</sup> იქვე, გვ. 65

<sup>53</sup> ა.ს. სულეიმანოვი, ჩეჩენ-ინგუშეთის ტოპონომიკა, გროზნო, გვ. 7, 1978 (რუსულ ენაზე)

აი მაგალითებიც: „...თუშეთის (კერძოდ ვაბოს) მატერიალური კულტურის ძეგლები და მათ გარშემო ხალხში არსებული გადმოცემები ქართველური წარმოსობისაა“. „თუშეთის/კერძოდ კი ვაბოს მატერიალური კულტურის ძეგლები ჩინურ-ინგუშურ და ფშავ-ხევისურულ ძეგლებთან შედარებით რთვი თავისებურებებით ხასიათდებიან“. „...თუშეთში/კერძოდ ვაბოში/აკლდაშები საერთო სარგებლობის ხასიათის ატარებენ“...<sup>54</sup>

წოვა-თუშების წინაპართა ჩრდილო კავკასიიდან თუშეთში მოსულობის შესახებ დამაჯერებლად მსჯელობენ წოვა-თუშების ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებიც.

აბ. შავხელიშვილი საკანდიდატო შრომაში ეხება XIII-ის მეორე ნახევარში ჩრდილო კავკასიაში მონღოლების შესვლით გამოწვეულ ცვლილებებს და ამ საქმის ნათელსაყოფად იმოწმებს აკად. ნ. ბერძენიშვილს, რომელიც აღნიშნავდა, რომ: „XIII საუკუნეში ოქროს ურდოს მონღოლებმა ამიერკავკასიის ველები დაიჭირეს და თავის სამომთაბაროდ გადააქციეს. მთას შემოიხიზნულა შევიწროებული ადგილობრივი მოსახლეობა ჩერქეზ-აფხაზური მოდემის ტომები, ასეუბი, ღუნძ-ღლიღვეები თანდათან ამიერკავკასიისაკენ მოსწევდნენ და პირაქეთი კავკასიის ტომებს – აფხაზებს, დვალებს, ფხოველებს ერეოდნენ“.<sup>55</sup> ა. შავხელიშვილი ვერხვანობა იმიერკავკასიიდან დევნილ ხალხის საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოწოლის ხსენებულ ფაქტს და აღნიშნავს: „უნდა ვიყარაუდოთ, რომ წოვა-თუშების ტომში ამ პერიოდში გადმოსახლებული ტომების ნაწილად ითვლება“.<sup>56</sup> აბ. შავხელიშვილი აღნიშნულ საკითხზე აგრძელებს მსჯელობას და დასძენს, რომ: „ახლა, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მდინარე ალაზნის ხეობაში (კახეთში) ცხოვრობენ ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც მიეკუთვნებიან ვეინანთა ერთობლიობას მარცხენა ნაპირის წოვა-თუშები /ბაცებნი/, მარჯვენა ნაპირის კი ქისტები“.<sup>57</sup> ზემოთ აღნიშნულ მსჯელობას მკვლევარი სკოლიოში მრავლისმთქმელ დასკვნას უკეთებს: „ვეინანთა ხალხის ჯგუფების გადმოსახლების ისტორია საქართველოს ტერიტორიაზე წარმომადგენს დიდ ინტერესს. სამწუხაროდ, ეს საკითხი ჯერ არ არის შესწავლილი და ავი არ არის განხილული სამეცნიერო ლიტერატურაში და რადგანაც იგი მთიანეთის ცალკეულ შესწავლას, ჩვენ სპეციალურად არ შევსწავდებით მასზე, მით უმეტეს, რომ ვეინანთა საქართველოში შეღწევის /გადმოსახლების/ პროცესი გრძელდებოდა მომდევნო საუკუნეებშიც“.<sup>58</sup>

<sup>54</sup> ელ. ჭარელიშვილი, ექსპედიცია მთათუშეთში. გაზ. „ბახტრიონი“, 12 დეკემბერი, 1968, ხაზი ჩვენია, ვ.ე.

<sup>55</sup> ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი. საქართველოს ისტორია, ტ. I, გვ. 245, 1958.

<sup>56</sup> აბ. შავხელიშვილი, ქართველი და ჩეჩენ-ინგუში ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, გროზნო, გვ. 75, 1963 (რუს. ენაზე). ხაზი ჩვენია, ვ.ე.

<sup>57</sup> იქვე.

<sup>58</sup> იქვე.

აბ. შახეღლიშვილის შემდგომ საკ. დისერტაცია დაიცვა ვ. ლაგაზიძემ, რომელიც აღნიშნავს, რომ „წოკათა დასახლებული იყო წოკა-თუშებით /ბაცებებით/-ნახური წარმოშობის ტომით, ხოლო დანარჩენი სამი საზოგადოება (ჩადმის, გომეწრისა და პირაქითის) ქართული ტომია. მათთუშეთში ამ ტომთა ცხოვრებას აქვს შორეული წარსული“.<sup>59</sup>

ვ. ლაგაზიძე დასახლებული შრომის მომღვეწო გვერდებზე უფრო სრულყოფილ ახსნას გვაძლევს წოვა-თუშების თუშეთში დასახლებისა და ამ ტომის თუშ ტომთან დაახლოება-შერწყმის თაობაზე. „როგორც ცნობილია, - შენიშნავს ვ. ლაგაზიძე, - მათთუშეთში სატომო სახელწოდება „წოკას“ ენაცვლება „წოკათუში“. ეს შენაცვლება შეიძლება ასე მომხდარიყო: წოკების დასახლების უკანასკნელი პუნქტი „წოკათა“ მათთუშეთში მდებარეობს, აქ დასახლებულ წოკებს მჭიდრო ურთიერთობა პქონდათ თუშ ტომთან. ამ ურთიერთობამ /რომელსაც ძალიან ხანგრძლივი ისტორია აქვს (თაყისი შედეგი გამოიღო. ეს ორი ტომი ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებდა, რამაც დიდი გასაქანი მისცა მათ შემდგომ დაახლოებასა და შეკობრობას. ორივე ტომში გამოჩეუადა საერთო ზნე-ჩვეულებანი როგორც რელიგიური, ისე საყოფაცხოვრებო, მაგრამ წოკა-თუშები განსხვავდებოდნენ დანარჩენი თუშებისაგან სალაპარაკო ენით. ეს განსაკუთრებული განსა-სხვავებელი ნიშანიც იმრდილებოდა ამით, რომ ყველა წოკამ აცოდა ქართული ენა და ურთიერთობის საშუალებად ამ უკანასკნელს იყენებდა. ამან მოამზადა საფუძველი იმისათვის, რომ წოკები წარმოდგენილი ყოფილიყვნენ, როგორც შექადგენელი ნაწილი თუში ტომისა. ამის სა-შუალო გამოვლენა ის უნდა იყოს, რომ სატომო სახელი „წოკა“ შექმდეგ „წოკა თუშად“ იქცა.“<sup>60</sup>

ვ. ლაგაზიძე იმასაც აღნიშნავს, რომ წოკები თუშეთში ჩრდილო კავკასიიდან უნდა იყვნენ მოსულები. წოკების ქისტურ-ქართულით ლაპარაკი მკვლევარის განცხადებით, „...წოკა-თუშების (ბაცების) კავკასიონის ჩრდილო კალთებიდან სამხრეთ კალთებზე ანუ საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსახლებაზე უნდა მოეკითხებდეს“-ო.<sup>61</sup>

თუშეთის ისტორიაზე მუშაობამ იმაშიც დაგვარწმუნა, რომ XIX საუკუნის წოვა-თუშების ინტელიგენციის წარმომადგენლებიც დაუფარავად აღიარებდნენ ჩეჩურ-ინგუშურ წარმომავლობას და აღნიშნულის თაობაზე საინტერესო დასკვნებს აყალიბებდნენ. ამ მხრივ საინტერესოა ი. ცისკარი-შვილის მსჯელობა წოკების სადაურობისა და წარმომავლობის შესახებ. იგი პირდაპირ შენიშნავს, რომ ისინი განეკუთვნებიან ქისტების ტომის ღლიღვების

<sup>59</sup> ვ. ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიიდან (XVII-XVIII ს.) ჟურნალი „მაცნე“, №4, გვ. 68, ხაზი ჩვენია, ვ.ე.

<sup>60</sup> იქვე, გვ. 76 (ხაზი ჩვენია, ვ.ე.)

<sup>61</sup> ვ. ლაგაზიძე, დასახლებული შრომა, გვ. ხაზი ჩვენია, ვ.ე.

საზოგადოებას და აქ, ე.ი. თუშეთში წოვათის მთებს შორის, კპოვეს თავმესაფარი და საიბდლო სამოსახლო. მკვლევარი წოვების წინაპართა თუშეთში გადმოსახლების მიზეზებსაც მიმოიხილავს: „წოვების საზოგადოების თუშები ქისტების ტომის დღიდეკების საზოგადოებისაგან არიან წარმოშობილნი. ამას ამტკიცებს მათი ენების და გადმოცემების მსგავსება, რომელნიც ცოცხლადაა შემორჩენილი ხალხის მქსიერებაში. ალბათ მომძვთა შორის საშოვარდნილმა სისხლიანმა შუღლმა, რომელიც ასე ხშირია მთის დაუცხრომელ ტომთა შორის, ძლიერი მართავენ სუსტებს - წესის მიხედვით, ან პოლიტიკურ საფუძველზე ჩამოვარდნილმა განსუთქილებამ, შეიძლება საარსებო წყაროების უკმარისობამაც, რადგანაც ესოდენ უნაყოფო კლდეება დღიდეკთში, აძულეს ერთი ან რამოდენიმე ქისტთა ოჯახნი დაეტოვებიათ მშობლიური აული და თავმესაფარი ეპათ შორეულ მთებში. ეს შესაძლებლობა მათ მიეცათ, ამოვეს რა წოვათის მთებს შორის მსოთავსებული პატარა, უნაყოფო, მაგრამ ჩამოსულთათვის ხელსაყრელი კვლი“.<sup>62</sup>

გრ. აფშინაშვილ-ფშავლიშვილის წერილს „სოფელი ალვანი“<sup>63</sup>, რომელიც წოვა-თუშებს „გადაგვარებულ“ ქისტებს უწოდებს, ხოლო მათს ენას კი „დედინაცკლის“ ენას, დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია წოვა-თუშების ინტელიგენციის წარმომადგენლებში. მართალია, ფშავლიშვილზე საპასუხო წერილი გამოქვეყნებულის სახით ვერსად ვნახეთ, მაგრამ არის პასუხი - ხელნაწერი, რომელიც დ. ალბანელს /დ. ქადაგიძე/ ეკუთვნის, სადაც საუბარია წოვა-თუშების ენისა თუ მათი წარმოშობის შესახებ.<sup>64</sup>

დ. ალბანელის დასახელებული წერილი რვეულის 9-ფურცელნახევარია, რომლიდანაც ფურცელნახევარი ეხება გაზ. „ივერიის“ მუშაობის ნაკლოვან მხარეებს და „ივერიის“ ფურცლებზევე გამოქვეყნებულ ცნობას წოვური ანბანის შესახებ. დანარჩენი ნაწილი წერილისა შეადგენს ფშავლიშვილის წერილის პასუხს. დ. ალბანელს თავის წერილში მოჰყავს ფშავლიშვილის სიტყვები წოვური ენის „დედი-ნაცკლობისა“ და ქისტური ენის „წოვურით“ მონათლულობის შესახებ და წერს, თუ „როგორ უნდა გავიფიქროთ: „დედაენად დედი-ნაცკლის ენა გახდომით“... ეს ჩვენ ასე გვექსმის, - შენიშნავს დ. ალბანელი, წოვა-თუშები ჩამოსაყლობით ეკუთვნის თუშების დანარჩენ თუშებს, რადგანაც ეს უკანასკნელი საში თუშთა მსულ ოთხი თუშთა ლაპარაკობს ნამდვილ ქართულ ენაზე, ამისათვის წოვა-თუშების ენაც ყოფილა ეს ენა; მაშასადამე, წოვა-თუშებს უნებლად შეუთვისებიათ

<sup>62</sup> თუში. ი. ცისკაროვი, თუშეთის სურათები. გაზ. „კავკაზი“. №50. 1846 (რუსულ ენაზე) ხაზი ჩვენია. ვ.ე.

<sup>63</sup> ფშავლიშვილი, სოფელი ალვანი „ივერია“. №36. 1896.

<sup>64</sup> თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეონოგრაფიული მუზეუმი. შემოსულობის წიგნი. №3, საბ. 6352

სხვა ტომის ენა, „მონათლული“ (ალბად, ნათლიად კორეისოდენტი ყოფილა!) „წოგურად“. ეს დიდი შეცდომაა. წოგა-თუშები უმრავლესობით ეკუთვნიან ჩანჩელების მოდგმას და უფრო უახლოვდებიან ამ მოდგმის ერთ თემს — ღლოღველებს ამ ნათესაობას ამტკიცებენ არა ძარტო წებირ-გაღმოცემაში, არამედ ზოგიერთი ზნე-ჩვეულებანი, სიმღერის ნაწიკეტები „წოგურ“ ენაზე და უფრო თვით ენა. წოგური ენის ფიქვები უიჭველად ჩენსურ (კერძოდ, ღლიღველების) ენაში უნდა კემით და მხოლოდ აქ ვიპოვოთ... წოგური ენა არის „ტო ჩენსური ენისა“.<sup>65</sup>

დ. ალბანელი იმის ნათელსაყოფად, რომ წოგური წოგების მშობლიური და ღვიძლი ენაა და არა სხვებისაგან ნასესხები და შემოპარული, ეხება ენისადმი ხალხის სიყვარულს და დაცვის საკითხს და შენიშნავს, რომ „ყველასათვის ცხადია, ზოგიერთებისათვის მაინც, რომ ხალხი თავის დედაენას ადვილად არ ჰპარავს. ხალხი ეთხოვება თავის ზნე-ჩვეულებას, რელიგიას, მამულს და მრავალს სხვას, მაგრამ ენას — კი მკვიდრად და ღრმად იცავს. ხალხი არ ზოგავს მთელს თავის სახსარს, ენერგიას, საუკეთესო მამულიწვილებს, რათა არ მოაკლდეს თვით არსებობას, დაიცვას და შეინახოს წმიდათ თავისი დედაენა“ დ. ალბანელი იქვე იძლევა კითხვას, თუ „რად იცავს ერი ასეთის სიმტკიცით და ხანგრძლივად საშობლოს ენას?“ და თვითონვე პასუხობს, რომ „ენაში (ფართოდ გვექმის ეს სიტყვა) გამოიხატება ერის გონებრივი და ზნეობრივი განვითარება, ერი იმით კი არ იცავს თავის დედაენას, რომ მისი ენა რთული და განვითარებული იყოს. სრულებითაც არა. დედას შეიღია იმით კი არ უყვარს, რომ ლამაზია, იგი, არამედ იმით, რომ შეიღია დედას სისხლ-ხორციად, ენაც ხომ ერის შეიღია, რომელიც ესაუბრება თავის დედას: მოუთხრობს ვაებას წარსულში, უფრო აღბეჭდავს გმირობის საქმეს, არ ავიწყებს გამოჩენილ წინაპრებს, დამღერის ნანას აკვანში მწოლარე ბავშვს, დედა-ენაზე თაყვანს სცემდნენ წინაპრებს, გამოხატავენ თავის გრძნობებს...ერთი სიტყვით, ერი იზრდება, ვითარდება თავის დედა-ენაზე... ეს მოსაზრება რომ შეუფარდოთ კორეისოდენტის აზრს — წოგებს „წოგური“ „შემოქპარათო“, — მაშინ მას ლოგიკური ნიდაფი ეკარგება. თუმცა, მართალია, წოგა-თუშები ერთი მუქა ხალხია, მაგრამ წემით მოყვანილი ბუნებითი კანონი (გრძნობა თვით-დაცვის)ერთობ ღონიერი გრძნობაა ყველა სულდგმულისათვის, მეტადრე ადამიანისათვის. გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ წოგა-თუშებსა და ქისტებს შორის განუწყვეტელი ბრძოლა ყოფილა და არასოდეს შეგობრულად არ უცხოვრიათ. მამ, როგორ „შემოქპარათ“ წოგებს ქისტური ენა? რატო პირიქითის თუშებს არ „შემოქპარათ“? ...წოგა-თუშები უფრო დამორებით ცხოვრობენ

<sup>65</sup> დ. ალბანელი, „ივერის“ ტექნიკა /თელავის ისტ. ეთნოგრ. მუზეუმი შემოსულობის წიგნი №3, საბ. 6352/, ხაზი ჩვენი. ვ.ე.

ქისტებზე, ვინემ პირიქითის თუშები და ხეკსურები. ქისტი ვერ გადმოვა პირდაპირ წოვათაში, თუ არ მოხვდა ხეკსურების და თუშების მიჯნებს. მაშ, საიღამ „შეპოეპარათ“?! ჩემ წინაპრებს ქისტური“<sup>66</sup>

გრ. ფშავლიშვილის მიერ წოვური ენის შესახებ გამოთქმული შეხედულებებისა და დასკვნების პირუთენელი კრიტიკის შემდეგ დ. ალბანელი აგრძელებს პასუხს და აღნიშნავს, რომ „წოვა-თუშები არიან ჩამომავლობით, ნათესაობით, ჩაინელების მოდგმის ხალხი და როგორც ამისთანებს, აქვთ თავისი საკუთარი დედა-ენა და არა „დედინაცვალი“, წოვური და არა „წოვური“. ბუნებითი ენა და არა „მონათლული ენა“.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ დ. ალბანელის ხელნაწერის სახით დარჩენილი კორესპოდენცია – „ივერიის „მეტიჩრობა“ ნათელ წარმოდგენას გვიქნის საქართველოზე, ქართულ ენაზე და მოწინავე ქართულ კულტურაზე, თუ როგორ დიდ გავლენას ახდენდა იგი მეზობელ ხალხებზე, როგორ იზიდავდა თავისკენ. „კამათაერებთ ჩვენს წერილს ამისთანა ფიქრით, – წერს დ. ალბანელი, – დაე, აცხოვრონ წოვა-თუშებმა, როგორც წოვებმა, ვის რას უწლიან ესენი? მე მსურს, რომ წოვებმა თავის ენითურთ იცოცხლონ საუკუნით. ეს იმისთანა ბუნებითი გრძნობაა, რა გრძნობაც ყველა ჩვენში სიცოცხლობს და ეწინააღმდეგება ყველაფერს, რაც კი მტრობს ჩვენ სიცოცხლეს. ...თუშცა სურვილი წოვების მომავლის შესახებ ამაოა, მაგრამ ამით არავის ზნეობრივი ნება არ ეძლევა, რომ ისურვოს მათი შეღახვა, შეურაცხყოფა... ეს ხომ უპატიოსნო და უმართებულო კაცის საქმეა. ამას ჩვენ, ქართველები, საკმარისად ღრმად ვგრძნობთ დღეს... ქართველ ერს, სსკვათაშორის, ერთი მეტად კარგი თვისება აქვს: ეს ერი ყველა ხალხს თავის ქვეყანაში ექცეოდა ერთნაირად, ისე როგორც თავის თავს. ესევე ექცეოდნენ წოვებსაც, რომლებიც (თუშცა მაშინაც წოვურად ლაპარაკობდნენ) სამაგყეროს უნდოდნენ ქართველებს საერთო სამშობლოს. ამას ამტკიცებს საქართველოს ისტორია. სწორედ ამისთანა პუშანური მოპყრობით, ქართველმა ერმა მოიზიდა მთის შეუპოვარი ხალხი – წოვები და დააყენა იმ გზაზე, რომელიც მოუდებს ბოლოს თუშებს, როგორც წოვებს ჩვენდა სურვილის წინააღმდეგ. ეს ასეც უნდა მოხდეს. წოვური ენა მეტად მოკლე მანძილის ენაა. მოუდრეკელი, განუკითარებელი და სსკ. სწორედ აქ უნდა ვეძიოთ მიზეზი იმისა, თუ რატომ „ვერ უზამს წოვური წოვებს დედაენობას“ და არა იმაში, რომ „წოვური“ „დედინაცვალია“, „შემოპარული“ ქართული ენა, როგორც შედეგი ხანგრძლივი კულტურული ცხოვრებისა, შეუდარებლად მაღლა დგას წოვურზე; მაშასადამე, წოვებს უნდა შეეთვისნათ რაკი ქართველებს უსაშუალოდ გავლენა აქონდათ მათზე ამ ენიდამ საქრო სიტყვები, ტერმინები მართლაც, დღეს წოვები ხმარობენ მრავალ სიტყვებს ამ

<sup>66</sup> დ. ალბანელი. დასახ. შრომა, ხაზი ჩვენია, ვ.ე.

ენიდაშ. წოგებს არა უქონდათ საკუთარი ანბანი. საქართველომ ზრდილობიანად მისთავაზა მთელი თავისი მწერლობა... ერთი სიტყვით, უმრავლესობა ხალხი აყვებება, აწრდება, ეითარდება ქართული მწერლობით. აქ არაერთი სსკა გაგლენა არ შეიძლება“.<sup>67</sup>

წოვა-თუშების ინტელიგენციის ზემოთ მოხსენიებულ მკვლევართა პოზიციაზე დგას ივ. ბუქურაულიც, რომელიც ახასიათებს რა წოვათის ადგილმდებარეობას აღნიშნავს, რომ: „ამ აღიგის (წოვათის, ვე.) საცნაურებლად არსიყვას წოგების მიერ, რასაკვირველია, ისტორიული საფუძველი აქვს“ -ო.<sup>68</sup>

თუშეთის შესახებ ნაყოფიერი მუშაობა, როგორც ისტორიული, ისე ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, ჩატარებული აქვს პროფ. სერგი მაკალათიას, რომელიც მრავალ ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით პირდაპირ შენიშნავს, რომ „ძურძუკთა ტომს ეკუთვნის თუშეთში გადმოსახლებული წოვა-თუშები, რომლებიც თავიანთი ენით ენათესავებოდნენ ძურძუკთა ტომს დღევანდელს (დღევანდელს) და დღესაც ამ ენაზე მეტყველებენ“.<sup>69</sup>

XX საუკუნის 10-იან წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აკად. ა. შანიძემ მანამდე თუშური ენით ცნობილ წოგურსა და ქართულად მოსაუბრე თუშების ენას. აკად. აკ. შანიძეს მათში დიდი სხვაობა დაუნახია. იგი აღნიშნავდა: „როცა თუშურზე ვსაუბრობ, მხედველობაში მაქვს მხოლოდ ქართულად მოუბარი თუშების ენა. ერთი საზოგადოების თუშები, სახელდობრ წოვა-თუშები, ქისტების მოდგმისა არიან და თუშ(ვა) ლაპარაკობენ თავის ენაზე, მაგრამ შიგ ბევრ ქართულს ურეკენ“.<sup>70</sup> აკად. აკ. შანიძე თუშური ენის დახასიათებისას კვლავ განმარტავს, რომ „აქ რასაკვირველია, საუბარი ჩადმა-თუშების ენაზე, რომელნიც ქართულად ლაპარაკობენ, და არა წოვა თუშებისაზე, რომელთაც საკუთარი ენა აქვთ“.<sup>71</sup> წოვა-თუშების წარმოშობა-განსახლების თაობაზე საყურადღებო გამოკვლევა აქვს გაკეთებული აკად. ივ. ჯაფარიძის. განსვენებული მეცნიერი პარალელს ავლებს, ერთის მხრივ, ლეხურა-ქსნისა და არაგვ-იორის მიდამოებში ოდიდანვე ცნობილ და გავრცელებულ გეოგრაფიულ სახელებსა - წობენი, ხატის წობენი, წუბენი, წობონი, წობონის მთა და მეორეს მხრივ, წოვა ტომის სახელს შორის და შენიშნავს: „განა დასაჯერებელია, რომ სველი წობენის, ხატის-წობენისა და სოფლების თანამედროვე სახელების წუბენი, წობონი და წობონის მთის და თუშეთში მოსახლე ტომის სახელ წოვას სახელების მსგავსების უარყოფა? რაკი მსგავსება ცხადია, უქმისევეთი ხომ არ იქნება ეს მსგავსება? ამიტომაც თავისთავად იბადება აზრი, რომ ეს

<sup>67</sup> დ. აღბაიანი, დასახ. შრიცა.

<sup>68</sup> ივ. ბუქურაული, ტბათანიდან წოვათამდის /მგზავრის შენიშვნები/, ჟურნ. „მოამბე“. №8, განყ. 2, გვ. 42. 1897.

<sup>69</sup> ს. მაკალათია, თუშეთი. 1933წ. გვ.17

<sup>70</sup> აკ. შანიძე, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტ. საკ. ტ. 1. 1957, გვ. 4.

<sup>71</sup> იქვე, გვ. 239.



სახელები წოვათა ტომის ლეხურა-ქსნისა და არაგვიორის ხეობათა შორის მდებარე ფართობზე ოდინდელი სახლობისა და ბინადრობის პაუწყებელ-გამომკვლავებული ნაშთი უნდა იყოს, მაგრამ უეჭველია, - წერის აკად. ივ. ჯავახიშვილი, - არც საქართველოს მიწა-წყლის ზემოთ აღნიშნული შუა ნაწილის ზოლი იყო ამ წოვათა ტომის თავდაპირველი ბინადრობის ადგილი. აქაც ისინი უნდა სხვაგვარადაც იყვნენ მოსულნი, მათი უფრო ადრინდელი ბინადრობის მიწა-წყლის მიგნებას ამ შემთხვევაშიც გეოგრაფიული სახელი გეშეველის. უკვე სტრაბონსა აქვს აღნიშნული, რომ მის დროს და უფრო ადრეც სომხებს ეპყრათ სხვათაშორის ერთი თემიც, რომელსაც სოფ ენი ეწოდებოდა. ბერძნულად ამ თემის მკარე ნაწილს სოფ ანენეს ეძახდნენ, მისი სომხური სახელი კი იყო წოფქ. ასურები ამავე ქვეყნის მცხოვრებთა სახელად ცოფანიე-ს ხმა-რობდნენ“. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ აკად. ივ. ჯავახიშვილი და-ასკვნის: „ამრიგად, ამ ქვეყნისა და ერის სახელად წოფან და წოფენი გვხვდება. საკმარისია ქართული წობენი გავსისწინოთ, რომ წოფენი და წოფანი-ს ტომობრივ-გეოგრაფიული რაობის მასთან გაიგივების აზრმა გაგვიღვლოს, რადგან ძნელი დასაჯერებელია, რომ აქ ორი სხვადასხვა ტომის სრულბით შიგაგს სახელთან გექონდეს საქმე. მამასადამე, წობენნი, ანუ წოყანი ლეხურა - ძირის შუამოქცეულ მიწა-წყალზე დასახლებამდე მრავალი საუკუნით უწინარეს გაცადლებით უფრო სამხრეთით, ტივროსისა და მისი შუამდინარეების არეში ყოფილა დაბინავებული“.<sup>72</sup>

წოვა-თუმების წარმომავლობის შესახებ სახელმძღვანელო დებულებებს ვხვდებით აკად. გ. მელიქიშვილის გამოკვლევებში, სადაც მეცნიერი აკად. ივ. ჯავახიშვილის პოზიციას იზიარებს და თვითონაც აღნიშნავს, საქართველოში წოვთა ტომის სამხრეთიდან მოსულობის შესახებ.<sup>73</sup>

ივ. ჯავახიშვილისა და გ. მელიქიშვილის გამოკვლევა წოვთა ტომის შესახებ, თითქმის, აღნიშნულ ვითარებას არ გაცვილებია და ამით მთავრდება. კერძოდ, მეცნიერები არ დაინტერესებულან თუ სამხრეთიდან საქართველოში მოსული წოვთა ტომი როდემდე ცხოვრობდა არაგვიორისა და ლეხურა - ქსნის ტერიტორიაზე და როგორ და რა ვითარებაში მოხდა მათი ადგილგადანაცვლება კახეთის მთიანეთში? სამაგიეროდ 150 წელზე მეტი ხნის მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა აღიარებს, რომ წოვები თუშეთში ჩრდილო კავკასიიდან, კერძოდ, ჩეჩენ-ინგუშეთიდან გადმოსახლებულან და თანდათანობით მომხდარა მათი გათუშება-გაქართველება.<sup>74</sup> ამოსავალი მეცნიერ-

<sup>72</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წ. I, გვ. 48-49, 1950.

<sup>71</sup> გ. მელიქიშვილი. ურარტუ. გვ. 132. 1951 და სხვა.

<sup>74</sup> ვ. ლავაზიძე. თუშეთის ისტორიიდან. „მაცნე“, №4. 1965; ს. მაკალათია, თუშეთი 1933; აბ. შავხელიშვილი. ქართველი და ჩეჩენ-ინგუში ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, გროზნი. 1963 (რუსულ ენაზე); დ. ალბანელი (ქადაგიძე) „ივერიის მეტიჩრობა“, იხ. თელავის სახელმწიფო ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი.

მკვლევარებისათვის წოვეური ენაა, რომელიც ნახურ ენათა ჯგუფს განეკუთვნება და ჩინურ-ინგუშურ-წოვეური (წოვა-თუშური) გადმოცემებით ინგუშეთში მათი სამოსახლო ადგილის — „ვაბო“-ს, „ვეფუფი“-ს დაბეჯითებით დასახელება.

XVII საუკუნემდე თუშეთის განსახლების თავისებურებათა შესახებ ვერაფერს ვაბობთ, რადგან არავითარი ცნობა არ გავგაჩნია. ვიცით მხოლოდ ის, რომ კახეთის აღნიშნულ მთიანეთს თუშეთი, ხოლო იქ მცხოვრებ ხალხს თუშები ეწოდებოდა. XVII საუკუნის 60-70-იანი წლებიდან კი ცნობილი ხდება, რომ აქ, ამ მხარეში, მცხოვრებ ხალხს წოვა-თუშებად და ჩალმა-თუშებად მოიხსენიებენ: „...ერთობით თუშებისათვის, წოვას და ჩალმებისათვის“.<sup>75</sup> დღემდე გამოვლენილი ქართული და უცხოური მასალებიდან უძველესად ითვლება XVII საუკუნის 50-იანი წლების რუსული საარქივო დოკუმენტი, სადაც პირველად ვხვდებით ცნობას თუშეთის მოსახლეობის ტერიტორიული განსახლების შესახებ.<sup>76</sup>

1657 წლის იანვარში მოსკოვის სამეფო კარზე გამოცხადებულმა სამმა თუშმა, რომლებიც რუსეთის მფარველობაში თუშეთის აყვანას თხოულობენ, საელჩოს მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემისას განაცხადეს: „Живем мы в крепких местах, в горах, в трех станах“.<sup>77</sup>

თუში ელჩების მიერ აღნიშნული სამი უბანი (ბანაკი) უნდა გულისხმობდეს ფარსამანის ხეეს (მერმინდელი პირიქითის თემი), ჩაღმისა და გომეწრის თემებს, რადგან მომდევნო საუკუნეებში ვახუშტი თუშეთის განსახლებას ამ სახელწოდებების მიხედვით წარმოგვიდგენს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მასთან თუშეთის სხვა თემების გვერდით წოვათა თემიცაა დასახელებული. ეს გარემოება იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ 1657 წლისათვის წოვები ჯერ კიდევ თუშეთში არ ცხოვრობდნენ, ვახუშტის დროს კი წოვათა ჩამოსახლების პროცესი დამთავრებული ჩანს, რადგან იგი მოსულობის

---

შემოსულობის წიგნი №3, ს.ა. 6352, ი. ცისკაროვი (ცისკარიშვილი), თუშეთის სურათები, გაზ. „კავკაზი“, №50, 1846 (რუსულ ენაზე); ი. ცისკაროვი/ცისკარიშვილი/ ჩანაწერები თუშეთის შესახებ გაზ. „კავკაზი“, №7, 8, 10, 11, 12, 13, 1849 (რუს. ენაზე); რ. ერისთავი, ჩანაწერები თუშ-ფშავ-ხეესურეთის ოლქის შესახებ, გაზ. „კავკაზი“, №43, 1854 (რუსულ ენაზე); ი. დემერივეი, ნახური ენების ისტორიულ-მედარებითი გრამატიკა და კავკასიის მთის ხალხების წარმოშობისა და ისტორიული განვითარების პრობლემები, გროზნო, 1963 (რუს. ენაზე); ი. დემერივეი, ბაცური ენა, მოსკოვი, 1953 (რუს. ენაზე); ნ. ვოლკოვა, საქართველოს ბაცები (ეინოგრაფიული შენიშვნა) „სოვეტსკაია ეთნოგრაფია“, 1977, №2, გვ. 84-89 (რუს. ენაზე) და სხვ.

<sup>75</sup> ე. თაყაიშვილი, ორ ქვაზედ დაწერილი გუჯარი, გაზ. „ცნობის ფურცელი“ №1362, 1901 წ.; არჩილიანი, ტ. I, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1936, გვ. 205.

<sup>76</sup> С. М. Соловьев, История России с древнейших времен, кн. VI, (т.т. II-12), М., 1961, стр. 555-556.

<sup>77</sup> იქვე, გვ. 191

შესახებ არაფერს ამბობს და მხოლოდ ენობრივი თვალსაზრისით ანსხვავებს ერთიმეორისაგან.<sup>78</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საარქივო დოკუმენტში გარკვევით წერია, რომ მოსკოვში ჩამოვიდა „სამი ქართველი“ თუშეთიდან – „...приехавших из Тушии“ – და არა ფშავ-ხევსურეთიდან, ზოგიერთ მკვლევარს მაინც სურს, რომ იგი თუშ-ფშავ-ხევსურეთის ელჩებად გამოაცხადოს.

„1657 წელს მოსკოვში ჩაიყვანა თუშ-ფშავ-ხევსურთა საერთო წარმომადგენლობა“, – აღნიშნავს ისტორიკოსი ლ. ტუხაშვილი.<sup>79</sup> ხსენებულ ელჩობას საგანგებოდ ეხება პროფ. ი. ცინცაძეც და დიდი სიფრთხილით შენიშნავს, რომ: „ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით მთის ქართველთა ეს ელჩობა მართლაც თუში, ფშავი და ხევსურისაგან შედგებოდა თუ არა. საყუქრებელია, რომ თითოეულ კუთხეს თითო წარმომადგენელი ჰყავდა, მაგრამ აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება. რუსულ ძეგლებში ამ ელჩობას თუშების ელჩობას უწოდებენ, იქ არსად არ არის ნათქვამი, რომ ელჩობა მთის საქართველოს სამ კუთხეს ეკუთვნის. ამ შემთხვევაშიც კი, როცა დანამდვილებით მოიხანს რუსეთში ხევსურის გვარი არაბული 1660 წელს, ელჩებს მაინც თუშებს უწოდებენ რუსული საარქივო მასალები“.<sup>80</sup>

მოტანილი ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ განსვენებული მეცნიერი პროფ. ი. ცინცაძე არსად არ ამბობს, რომ აღნიშნული, ე.ი. 1657 წლის ელჩობა თუშ-ფშავ-ხევსურეთისაგან იყო მოწყობილი და მოსკოვში თუშეთიდან ჩასული სამი წარმომადგენელიც თუში, ფშაველი და ხევსური იყო, იგი მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამს და თანაც ძალიან ფრთხილად; ყოველივე აღნიშნულის შემდეგ აქა-იქ მაინც ვხვდებით ზოგიერთთა მცდელობას იმის თაობაზე, რომ ხსენებული საკითხისადმი მეცნიერის მიერ გასაგებად ნათქვამი სათავესოდ გადააკეთოს და ღვაწლმოსილი მეცნიერი არასწორად დაიმოწმოს. „თუშეთიდან მოსულებად იმატომ აცხადებენ ელჩები თავს, – შენიშნავს ბახვა ბაიზოძე, რომ, რიგორც პროფ. ა. ცინცაძეს თავის შრომაში (ჟურნალ „მნათობის“ 1956 წლის №2) გარკვეული აქვს, მაშინ რუსულ ლიტერატურაში ქართველი მთიელების ელჩები საერთოდ თუშებად იხსენიებოდნენ, თუნდაც ხევსურის გვარი (მაგ. არაბული) უიჭველად ყოფილიყო მოხსენიებული“.<sup>81</sup>

საქმე იმაშია, რომ როგორც 1657 წლის, ისე 1660 წლის ელჩები ნამდვილად თუშები არიან და რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგებო მოხელენიც

<sup>78</sup> ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 554-555.

<sup>79</sup> ლ. ტუხაშვილი. თემობრივი კინკლაობის რეციდივები, გაზ. „თბილისი“, 10 თებერვალი, 1989 წ.

<sup>80</sup> ი. ცინცაძე, საქართველოს მთიანეთის რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან. ჟურნალი „მნათობი“. №2, 1956, გვ. 179. ხაზი ჩვენია, ვ.ე. ბახვა ბაიზოძე, რამდენიმე შენიშვნა, ჟურნალი „კრიტიკა“. №2, 1989, გვ. 119

მათ თუშებად მოიხსენიებენ. ეს ყოველივე კარგად მტკიცდება იმავე საარქივო მასალებით. 1657 წლის იანვარში მოსკოვში ჩასულ ელჩებს ძრავალ შეკითხვას აძლევენ. რადგან რუსეთის სამეფოს ანტიერესებს მათი ვინაობა, ყოფაცხოვრების პირობები, მათი საცხოვრებელი ადგილის ტერიტორიული სიშორე მეზობელ ქვეყნებთან და სხვა, რაზეც ელჩები პასუხობენ, დასმულ კითხვებზე საინტერესო ინფორმაციას უკეთებენ და აღნიშნავენ, რომ "от Терка до Тушинской земли скорого хода 4 дн.". ელჩების დაკითხვის დოკუმენტში არსად არ არის მოხსენიებული ხვესურეთი და ფშავი, ეს მაშინ, როცა რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგომო კარგად იცის, რომ თუშეთთან ერთად მოქმედებს ფშავი და ხვესურეთი და მისი დამადასტურებელი ქართველ მთიელთა მიერ ქართულ ენაზე შედგენილი ერთობლივი მიმართვა ამ დროს უკვე მოსკოვის სამეფო კარზე იმყოფება, სადაც ვკითხულობთ: „...და ჩვენც თუშეთის და ხვესურეთის და ფშავის ქვეყანათა, სამთავ ქრისტიან ქვეყანასა პირობა გვიქნია და ზურგი მოგვიბამს ერთმანეთისათვის და ელჩებს გამოგვიგზავნია. ხვეის ბერი სოსნამე შაქსიმამ და გრიგოლ სიდორის, და პავლე ივანის“. და ყოველივე ამის შემდეგ თუკიდა აღნიშნული სამეული მართლა თუში, ფშაველი და ხვესური იყო რატომ უნდა დაეწერათ რუს მოხელეებს თუშებად და ანდა თუშ-ფშავ-ხვესურეთისათვის რატომ უნდა ეწოდებინა თუშეთი? გარდა იმისა, რომ ეს დიდი შეურაცხყოფა იყო ფშავ-ხვესურეთისათვის და მას ამ კუთხეთა წარმომადგენლები არც მოითმენდნენ და მაშინვე აღნიშნავდნენ კიდეც და დააწერიებდნენ ისე როგორც საჭირო იყო.

აგრეთვე ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი ცალმხრივი დამოკიდებულება საკითხისადმი რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგომოსგან ყოველად წარმოუდგენელია, რადგან მას ფშავ-ხვესურეთის მდებარეობა თუ სხვა საკითხები ისევე ანტიერესებს, როგორც თუშეთისა და თანაც ეს იმ დროს, როცა მოსკოვის სამეფო კარზე იმყოფება კახეთის უფლისწული ერეკლე ბატონიშვილი, მისი დედა დედოფალი ელენე და კახეთის სამეფოს დიდებულთა მთელი შემადგენლობა. ჩვენ ღრმად გვჯერა და ალბათ სხვანაირად უკვე არც შეიძლებოდა მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში, რომ XVII საუკუნის 50-60-იან წლებში მოსკოვის სამეფო კარზე საქართველოდან და განსაკუთრებით კახეთის სამეფო ტერიტორიიდან ჩასული ელჩების დაკითხვა მოხდებოდა მოსკოვში მყოფ ქართველთა თანდასწრებით. და განა შეიძლება ასეთ ვითარებაში, ასეთ მაღალკვალიფიცირებულ კონსულტანტთა თანადგომის დროს რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგომოში ვერ გაერჩიათ მთიელთა ელჩების ტომობრივი ვინაობა და ხვესური და ფშაველიც, თუკი ასეთი ვინმე იქნებოდა, ყველა თუშად ჩაეწერა?

მკითხველ საზოგადოებას მოვასხენებთ, რომ მოცემული პერიოდის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველ საარქივო დოკუმენტებში ფშავ-ხვესურები კი არა მოხევეები, დიდოელები, ქისტები და შიბუტელებიც კი

არიან მოხსენიებულნი, როცა ეს საქმეს სჭირდება და უშუალოდ მათზეა საუბარი. ჩვენ ამით იმის თქმა გვსურს, რომ არ არის სწორი, როცა ზოგიერთი მკვლევარი რუსულ საარქივო დოკუმენტებში მრავალჯგონის აღნიშნულ თუშთა ელჩობას თუშ-ფშავ-ხევსურეთთა ელჩობად მიიჩნევს. სადავო საკითხის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა გვათქმევინებს, რომ საარქივო დოკუმენტებში ყველას თავისი ადგილი აქვს მიჩენილი და არაის არაფერი არ ეშლება. რუსი მოხელეები კარგად ერკვევიან ყველა ჩასულთა ვინაობაში და მათ შესახებ აღნიშნავენ კიდევც.

ასტომ არაბულიც რომ აბულ ასტორელთან ერთად თუში იყო და არა ხევსური კარგად ჩანს იმ გაცემული პასუხიდან, რაც მათ ასტრახანში ყოფნის დროს თუშეთის შესახებ მოსთხოვეს. ელჩები თუშეთს აღწერენ, თუშეთის ყოფა-ცხოვრებას ეხებიან და არა ფშავ-ხევსურეთს. აღნიშნულის თაობაზე მოვიყვანთ ვრცელ და ფრიად საინტერესო ამონაწერს, რაც მკითხველისათვის ჭეშმარიტების უტყუარი დასტური იქნება: „თუშეთის მიწაზე არის ეკლესიები, მაგრამ რაბდენი სოფელი, მხედარი და მოსახლეა — ამის თქმა თითქმის შეუძლებელია. თაკდაპირველად ემსახურებოდნენ ქართველ მეფეებს, ხოლო რადეხაძე შაჰმა ქართული მიწები ააოსრა, ისინი თავის თავის ამარა დარჩნენ, მებატონე მას არა ჰყავთ; ყველა სოფელში თითო მოსამართლეა; თუშების მიწები მოქცეულია მთებში, სოფლები გაბნეულია სხვადასხვა ადგილას; მოჰყავთ პური, ვაჭრობას და სხვა წარმოებას არ მისდევენ, თუშეთიდან ქართულ მიწებამდე ორი დღის საკალია, მხოლოდ შაჰის მიწებამდე. ქალაქ შაჰახაბდე — ერთი კვირა, თერგამდე ერთი კვირა, შაბუტის მიწებამდე ორი დღე. შაბუტის მიწებს ფლობენ თუშები, აქეთ მათი სარწმუნოება. ზოგიერთი შაბუტები ცხოვრობენ მუსულმანური წესით. თუშები ხარკად იღებენ ათ ცხვარს შაბუტების თითო სოფლიდან. შაბუტის მიწებზე რაბდენი სოფელია, მხედარი და მოსახლე არ არის ცნობილი. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მათი მიწები მცირეა და იმერეთი დადიანის, ოდიშის, გურიის, ხევსურეთის, ფშავის მიწები მათგან მოცილებულია და მის შესახებ არაფერი არ იცოან“.<sup>82</sup>

საყველადაც ცნობილია, რომ წარმართობის შენარჩუნების გამო ფხოველთა გარკვეული ნაწილი აიყარა და IV საუკუნეში თუშეთში გადასახლდა; თუშეთის ტოპონიმიკა, თუშური კილო და ხევსურული სახელწოდებების ჯვარხატები ადასტურებენ, რომ ფხოველთაგან ძირითადად ხევსურთა წინაპრების გასახლება მომხდარა თუშეთში და თანაც მის სამივე თემში: გომეწარში, ჩაღმაში და პირიქითში. წოკთა თემში აღნიშნული ვითარება არ დასტურდება. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ალბათ ამ დროს წოკები თუშეთში არ ცხოვრობენ. უკაცრიელ ადგილზე და თანაც საცხოვრებლად ნაკლებად გამოსადეგ ტერიტორიაზე, სადაც თვით თუშებს არასდროს არ უცხოვრიათ და მას

<sup>82</sup> ი. ცინცაძე, დასახელებული შრომა...გვ. 184

მხოლოდ საძოვრებად იყენებდნენ. რა თქმა უნდა, ფხოველებიც იქ იმიტომ არ დასახლებულან და არც თავისი ნაკვალევი დაუტოვებიათ.

თუშეთის თავდაპირველ თემებში: გომეწარში, ჩაღმაში და პირიქითში დღემდის შემოგერჩა რამდენიმე ხვესურული გვარი: სისვური (სოფ. ომალო), ბასხაჯაური (სოფ. დართლო), იჭირაული (სოფ. ომალო), რაინაული (სოფ. ვესტომთა), ლულელაური (სოფ. ბიქიურთა), აფთარაული (სოფ. ბუქურთა); არაერთი ხვესურული გვარი: ქაზნიაური (სოფ. ჩილოში), ლიქოკელი (სოფ. შენაქოში) და სხვაგან თანდათან შეიცვალა და მივიღეთ სრულიად ახალი გვარები: ქაზნიაური-ელანძიე-ომაძიე, ლიქოკელი-ჯიქურძიე და სხვა.

თუშეთის ისტორიიდან ხსენებული სინამდვილის მოტანა ვფიქრობთ, საკმარისია იმისათვის, რომ თუშ ელჩებს შორის არაბული იქნება თუ სხვა ვინმე ხვესურული გვარით მაინც და მაინც ხვესურად არ მივიჩნიოთ და ვიცოდეთ, რომ ხვესურული გვარით ბევრი თუში ცხოვრობდა და ცხოვრობს დღესაც თუშეთში.

1657 წლის იანვარში მოსკოვის სამეფო კარზე ჩასული ელჩები აღნიშნავენ, რომ მათ ქვეყანას შეუძლია 8000 მეომარი გამოიყვანოს, რაც ამ საკითხით დაინტერესებულ ზოგიერთ მკვლევარს თუშეთისათვის შეუძლებლად მიაჩნია და აღნიშნავენ, რომ „თუშ-ყსმაე-სეკისურთა საიმიყე ბანაკს შეეძლო ამდენი მყომარის გამოყვანა“<sup>83</sup> თავის გულდაჯერებულ განცხადებას ხსენებულ პოზიციაზე მდგომი მკვლევარები იმით ამაგრებენ, რომ „4000 ჩაღმელი XVII საუკუნეში 8000 მყომარის ვერ გამოიყვანდათ“.<sup>84</sup>

მოცემული პერიოდის რუსული საარქივო მასალა თუშეთის მოსახლეობის თაობაზე არსად არ აღნიშნავს, რომ იქ ცხოვრობს „4000 ჩაღმელი“ (ჩაღმელის ნაცვლად უნდა ვთქვათ თუში, რადგან რუსულ საარქივო დოკუმენტებში გვხვდება მხოლოდ ორი ტერმინი: თუში და თუშეთი, ისინი არსად არ აღნიშნავენ წოვა (წოვა-თუში), ჩაღმა (ჩაღმა-თუში), რაც, რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევი ფაქტია. იმდროინდელი, ე.ი. XVII საუკუნის 50-იანი წლების ქართული წერილობითი მასალაც თუშეთის მკვიდრს იცნობს მხოლოდ როგორც თუშს და არა ჩაღმას და არც წოვაა სადმე მოხსენიებული როგორც თუშეთის მაცხოვრებელი. მოცემული საუკუნის 60-70-იან წლებამდე ტერმინები: წოვა და ჩაღმა თუშეთის მოსახლეობის დახასიათება-მოხსენიებაში არსად არ გვხვდება.

1661 წელს თეიმურაზ მეფის მიერ რუსეთში გაგზავნილ ათანასეს ასტრახანში რუსი ელჩები თუშეთის ირგვლივაც ეკითხებიან, სადაც ათანასე თუშეთის შესახებ ბევრ საინტერესო ცნობას იძლევა და მათ შორის ამ მხარის მოსახლეობის რაოდენობაზეც აღნიშნავს – „а всех-де их будет жилищных людей тысяч 10 или меньше...“<sup>85</sup>

<sup>83</sup> ბ. ბაიხიძე, ჟურნ. „კრიტიკა“, №2, 1989, გვ. 119

<sup>84</sup> იქვე.

ი. ცინცაძე, დასახლებული შრომა... გვ. 184 (ЦГАДА. Грузинские дела. книга №7, стр. 51)

თუ თუშეთის 10. 000-იან მოსახლეობას დაეუმატებთ შიბუტის ქვეყანას, რომელსაც მაშინ თუშები ფლობდნენ და ამ მხარის ფაქტიური გამგებელიც თვითონ არიან, სარწმუნოებაც კი ძირითადად ერთიანი აქვთ და თვითეული შიბუტის სოფელი თუშებს წელიწადში ხარკად აძლევს 10 ცხვარს,<sup>86</sup> ხოლო შიბუტი კი ისტორიული არღუნის ხეობას ეწოდებოდა, სადაც 1944 წლამდე ფუნქციონირებდა ითონხალისა და შატლის რაიონები, თუშეთს თავისუფლად შეეძლო 8000 კი არა უფრო მეტი მეომარიც გამოეყვანა.

ქისტებით დასახლებული შიბუტი რომ იმდროინდელი თუშეთის ჳირსა და ლხინს იზიარებს და ისინი ერთად მოქმედებენ, როგორც ერთი ქვეყნის: თუშეთ-შიბუტის მკვიდრნი, იქიდანაც ჩანს, რომ თუშეთიდან 1654 წელს მოსკოვში ჩასულ თუშ ელჩებთან ერთად ქისტთა წარმომადგენლებიც არიან, რომელთაც საზრუნავიც ერთობლივი აქვთ და ერთ საქმეს ემსახურებიან: „თუშებისა და ქისტების წარგზავნილებს მყეყე ალექსი შიხეილის ძისათვის მყარკელობაში აყვანა უთხოვიათ“.<sup>87</sup>

შიბუტის მოსახლეობა, რომ თუშებთან ერთად მოქმედებს, რომ შიბუტი და თუშეთი ფაქტიურად ერთ ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენს ეს ყოველივე კარგად ჩანს XVII საუკუნის 60-70-იანი წლების ამხსახველი რუსული საარქივო დოკუმენტებიდანაც. მაგალითად, როდესაც ერეკლე ბატონიშვილი მეორედ და საბოლოოდ წამოვიდა მოსკოვიდან სამშობლოში უფლისწულს კვლავ თუშები დაპატრონდნენ და კახეთის ტახტის კანონიერი პრეტენდენტი თუშებმა და შიბუტელებმა მშვიდობიანად გადმოიყვანეს თუშეთში. „თუშები მას პურ-მარილთა შესყიდნენ და დიდი პატივით მიიღეს. უფლისწულმა მათ ქალაქ შენაქოში (ШЕНАК) ერთი თვე იცხოვრა და შექმდეგ საქართველოში (უნდა იყოს კახეთში - ვ.ე.) წავიდა. საქართველოს (კახეთის ვ. ე.) მიწებს კა ფლობს უფლისწულის სიძე არისაჩანი (არჩილ მეფე ვ.ე.) და იგი აქაც დიდი პატივით მიიღეს, უფლისწულს თავის სიძესთან ცხოვრობდა 12 კვირა“.<sup>88</sup>

ჩვენს დაუეჭვებლობას იმის თაობაზე, რომ 1657 წლის ანვარში მოსკოვში თუშეთიდან ჩასული სამი პიროვნება თუშები იყვნენ და წარმომადგენდნენ თუშეთის სამ თემს, სამ უბანს: ჩალმას, გომეწარს და პირიქითს, უფრო განამტკიცებს და აძლიერებს აღნიშნული ვითარებისადმი აბ. შავხელიშვილის დამოკიდებულება.

ა. შავხელიშვილი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, წოკების (წოვა-თუშების) წინაპრების ჩეჩენ-ინგუშეთიდან თუშეთში გადმოსახლებას სინამდ-

<sup>86</sup> ი. ცინცაძე, დასახლებული შრომა...გვ. 184 (ЦГАДА. Грузинские дела. Книга №7. стр. 51

<sup>87</sup> თ. ტივაძე, თემურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, 1990, გვ. 138.  
გ. პაიჭაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660-1685). იხ. „საისტორიო მოამბე“. 23-24. 1970. გვ. 168-169 /ЦГАДА. Сношения России с Грузией. 1586-1700. 22. д. №15/

ვილედ მიიჩნევს და თანაც აღნიშნავს, რომ წოვთა გადმოსახლება თუშეთში XIII საუკუნეში უნდა მომხდარიყო... ა. შავხელიშვილმა მომდევნო შრომებში<sup>89</sup> შეცვალა ადრინდელი პოზიცია წოვების მოსულობის შესახებ და ისინიც დანარჩენი თუშების მსგავსად ოდიდგანვე თუშეთის მკვიდრებად მიიჩნია და სცადა მიეჩქმალა დიდად საინტერესო ისტორიული სინამდვილე და მთელი კვლევა-ძიება იქითკენ წარემართა, რომ მკითხველი დაეჯერებინა წოვა-თუშების იმთავითვე თუშეთის მკვიდრ – აბორიგენობის თაობაზე. მართალია, ისტორიკოს-ენათმეცნიერთა შორის ა. შავხელიშვილისეულმა მსჯელობამ სამართლიანი კრიტიკა გამოიწვია და იგი არაერთხელ დაუიქსირდა კიდევ.<sup>90</sup> მაგრამ ამჯერად ხსენებულ ელზობასთან დაკავშირებით მკითხველს მაინც შევთავაზებთ ერთ ნიმუშს თუ ა. შავხელიშვილს როგორ ეხერხება საარქივო დოკუმენტების სათავისოდ გამოყენება. იგი საგანგებოდ ეხება 1657 წლის მოსკოვში თუშთა ელზობის მასალებს, მოყავს მისი ვრცელი თარგმანები, მას ერთი წუთითაც არ შეაქვს ეჭვი, რომ ისინი თუშები არ არიან, რომ თუშეთს იმ ხანად არ შეეძლო 8000 მეომრის გამოყვანა და როცა მივიდა იმ ადგილის გადმოცემაზე, სადაც ელჩები ამბობენ, რომ „Живем мы в крепких местах, в горах, в трех станах“ მკვლევარმა თარგმანში გამოტოვა, რა თქმა უნდა, შეგნებით, ფრიად საინტერესო და დიდად ღირებული ცნობა-გასაღები ისტორიის საიდუმლოებისა – „в трех станах“ („სამ უბნად“, „სამ ბანაკად“); საარქივო დოკუმენტიდან ამ გამოთქმის გამოტოვებით, მისი მიჩქმალვით, მკვლევარმა მკითხველს დაუშალა თუში ელჩების განცხადება იმის თაობაზე, რომ იმხანად თუშები „სამ უბნად“. „სამ ბანაკად“ ცხოვრობდნენ. აღნიშნულის გამჟღავნებით ბოლო ეღებოდა ა. შავხელიშვილის ცრუ და უსაფუძვლო კვლევა-ძიებას წოვათა იმთავითვე თუშეთის აბორიგენობის თაობაზე და ხსენებული სიყალბეც იმიტომ ჩაიდინა.<sup>91</sup> თუშეთი რომ მაშინ ოთხ უბნად, ოთხ ბანაკად ანდა ოთხ თემად ყოფილიყო დასახლებული, როგორც უკვე დასტურდება XVII საუკუნის 60–70-იანი წლებიდან და უფრო კი ვახუშტი ბაგრატიონის მიერ, მაშინ თუშეთის ელჩები მას უეჭველად აღნიშნავდნენ და სამის ნაცკლად, ალბათ მოსკოვში ოთხი წარმომადგენელი ჩავიდოდა.

როგორც ცნობილია XIX საუკუნის პირველ მესამედში წოვებმა თუშეთი მიატოვეს და საზამთრო საცხოვრებლად დამკვიდრდნენ ბახტრიონისა და ისტორიული ალვანის მინდვრის განაკირა ზოლებში, სადაც მათ ოთხი სოფელი

<sup>89</sup> ა. შავხელიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, 1977; მისივე, თუშეთი, 1987.

<sup>90</sup> ჯ. სტეფნაძე. ა. შავხელიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, 1977 /რეცენზია/. ჟურნ. „მაცნე“. №1. გვ. 195-198. 1978; გ. ყორანაშვილი. „სრულ ერთობილი თუშნი“. გაზ. „თბილისი“. №281. 1988; ვ. ელანიძე. წოვა-თუშების ვინაობის საკითხისათვის. 1990 და სხვ.

<sup>91</sup> ა. შავხელიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, გვ. 118-119 1977.



გააშენეს: ფხაკალ-ყურე, წიწალ-ყურე, გურგალ-ჭალა და ალვანი, საზაფხულოდ კი ისინი ცოლ-შვილით ტბათანა-ალაზნისთავში ადიოდნენ, თუშეთში ოთხი თემის ნაცვლად კვლავ სამი თემი დარჩა, რასაც თუშები, საჭიროების შემთხვევაში, ყოველთვის აღნიშნავდნენ კიდევ. 1837 წლის 21 თებერვალს თავის გასაჭირზე, რაც ლექთა თავდასხმებით იყო გამოწვეული, თუშები წერილით მიმართავენ როზენს, როზენისადმი გაგზავნილი საჩივარი (თუშეთის მოურავ ჩოლოყაშვილზე) ასე იწყება: „სამის თემის – ჩაღმა, პირიქითისა და გომეწართ თუშთ საზოგადოების უმდაბლესი მოხსენება“.<sup>92</sup>

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან დღემდის თუშეთი (რადგან იქ თუშებს ცხოვრება არ შეუწყვეტიათ) სამ ხეობად, სამ თემად განიყოფება და მას კვლავ ჩაღმა, გომეწართი და პირიქითი ჰქვია. ეს ყოველივე იმას ნიშნავს, რომ თუშეთის მოსახლეობა, თუშეთში წოვების დასახლებაზე და წოვათიდან მათი წამოსვლის შემდგომაც, გაყოფილი იყო სამ ბანაკად, სამ თემად; 1657 წლის იანვრის თვეში რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგოში თუში ელჩების შემდეგი სიტყვებიც – „Живем мы в крепких местах, в горах, в трех станах“ – ამ ისტორიული სინამდვილის უტყუარი და ჭეშმარიტი დადასტურებაა და არა იმისა, რომ ისინი თუშეთის, ფშავისა და ხევსურეთის წარმომადგენლები იყვნენ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხსენებულ ელჩობასთან დაკავშირებული მასალების ობიექტური ანალიზით და საქმისადმი ჭეშმარიტი დამოკიდებულებით გვაკეთებთ უდიდეს საქმეს, რითაც ბოლოს და ბოლოს გავარკვევთ და საიდუმლოებას ფარდას ავხდით თუშეთში წოვების მოსულობის ისტორიას.

ინგუშეთში – ჯარიხის თემ-ხეობაში, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, წოვათა ცხოვრება-მოსახლეობა ეჭვს არ იწვევს ინგუში და ჩეჩენ-ისტორიკოს-ენათმეცნიერ-ეთნოგრაფთა შორის, ამასვე ადასტურებს ჩეჩნური, ინგუშური, ქისტური და წოვური გადმოცემებიც. მეცნიერებას, ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევარებს, ისღა დარჩენიათ, რომ გაარკვიონ თუშეთში წოვების დასახლების ისტორია.

XVII ს-ის 60-70-იან წლებამდე არც ქართულ და არც უცხოურ საარქივო მასალებში თუ გამოქვეყნებულ ლიტერატურაში არსად არ გვხვდება სიტყვა „წოვა“ ან „წოვა-თუში“. ისიც საგულისხმოა, რომ მსგავსი გამოთქმები არ გვხვდება ბახტრიონის აჯანყების ამსახველ მდიდარ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშიც. XVII ს-ის 60–70-იანი წლებიდან კი თუშების გვერდით საარქივო თუ ოფიციალურ ლიტერატურაში წოვებიც იხსნიებიან, მაგრამ მათ საგანგებოდ გამოყოფენ დანარჩენი თუშებისაგან და მიუთითებენ კიდევ ზოგიერთ თავისებურებაზე. ამ მხრივ საინტერესოა არჩილ მეფის შემდეგი სიტყვები. რაც განეკუთვნება XVIII-ის 80–90-იან წლებს: „შენის რძით ვაზრდას მიჯობდა, თუშც ძაღლის ძუძუ შეწოვა, გულსა შენ მიე ლაზკარაა,

<sup>92</sup> Сборник документальных материалов, Тб., 1953, стр. 95

ვინ თქვას, რამდენჯნის მეწოკა! მაგ საქმეს ჩემდა საქნელად არ მეტყვის თუში მე წოვა. შენ ნამუხისია ჩაქილა რად თავზე შექმოგეწოვა“.<sup>23</sup>

წოვა-თუშების წინაპართა თუშეთში მოსვლა და იქ მუდმივ საცხოვრებლად დამკვიდრება ჩვენ 1657 წლის შემდგომ მომხდარ სინაძვილელ მიგვაჩნია. შესაძლებელია ჩვენ არა ვართ მართალი და მოსალოდნელია მომავალშიც ხსენებულ საკითხზე მსჯელობა უფრო გაფერძმკრთალდეს კიდევ და ბევრი რამ ახლებურად ითქვას. იმიტომაა, რომ ჩვენს პოზიციას თავზე არავის ვახვევთ და ყოველთვის დავსძენთ, რომ: „დღეს ამა თუ იმ ხალხის, ან რომელიმე ეთნიკური ჯგუფის, თუ ცალკეული ტომის წარმომავლობაზე მსჯელობა ურთულეს პრობლემათან არის დაკავშირებული, რის გამოც ძნელდება ზუსტი და ამომწურავი დასკვნების ჩამოყალიბება. მსგავსი წინააღმდეგობებით არის აღსაყეს წოვა-თუშების წარმომავლობის ისტორია. ამ საკითხის ირგვლივ დაგროვილი მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა და მასში არსებული ურთიერთ გამომრიცხავი შეხედულებები ზოგჯერ მკვლევარს გზას უბნეებს და ერთგვარად ხელს უშლის ჭკუშმარატივების დადგენაში“.<sup>24</sup>

რაც შეეხება იმას, რომ წოვა-თუშები 1660 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილეობდნენ თუ არა დაბეჯითებით ვერაფერს ვამბობთ, რადგან არსად არ აღინიშნება, რომ ამ აჯანყებაში „წოკების“ ან „წოვა-თუშების“ სახელით თუ ვინმე იბრძოდა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ამ აჯანყების მასშტაბურობას, რომ მასში თუშ-ფშაქ-სეკსურებთან და ქართლ-კახეთის ბარას მოსახლეობასთან ერთად, „მონაწილეობდნენ აკარაიელებიც, დიდოელებიც, ქისტებიც“<sup>25</sup> და ის საერთო კავკასიურ აჯანყებას წარმოადგენდა, რა თქმა უნდა, წოვა-თუშები, თუკილა ამ დროს ისინი უკვე თუშეთში ცხოვრობდნენ ანდა მის გარეთ იმყოფებოდნენ. ვერ დარჩებოდნენ ამ საერთო სახალხო მოძრაობის გარეშე და ერთ-ერთი აქტიური მონაწილენი იქნებოდნენ. აკი ერთი ინგუშური გადმოცემაც პირდაპირ მიუთითებს, რომ უძველეს დროს, გადმოცემაში ასახული მონაცემების მიხედვით XVIII-ის მეორე ნახევარში, ინგუშეთიდან საქართველოში გადმოვიდა ხალხმრავალი ლაშქარი, რომელთაც ქართველებთან ერთად საქართველოში შემოსეული თათრები გაულისტეს, განდევნეს და ბრწყინვალე გამარჯვების შემდგომ ინგუშთა ერთი ნაწილი მუდმივ საცხოვრებლად საქართველოში დარჩენილა. ამ გადმოცემის მიხედვით კი ის ინგუშები წოკების (ბატების). წოვა-თუშების წინაპარნი არიან. წოვა-თუშების სახით კი, როგორც ეს აღრეც აღვნიშნე,

<sup>23</sup> არჩილიანი, ტ. I. აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1936, გვ. 20 ვ. ელანიძე. წოვა-თუშების ვინაობის საკითხისათვის, 1990, გვ. 30.

<sup>24</sup> ლ. ტუხაშვილი, თემობრივი კინკლარობის რეციდივები, გაზ. „თბილისი“ 10 თებერვალი. 1989.

და აქაც დავსძენ „სიაქე გკაქეს იმ ეთნოგრაფიულ ჯგუფთან, რომელიც ქართულია და ქართველი ერის სისხლხორცეული ნაწილი“.<sup>66</sup>

თუმ-ფშავ-ხევსურული და კახეთის ბარის ხალხური პოეზიისა თუ გამოცემების მიხედვით ერთი და იგივე ამბავი ხშირად მიეწერება ზეზვა გაფრინდაულს, საღირიშვილს, ფუნჩაიშვილს და ანთაიძეს. გაურკვეველი ხდება ზეზვას როლი აჯანყებაში.

მოცემული საკითხის ირგვლივ ჩვენ ვერ კიდევ 1965 წელს გავაკეთეთ მოხსენება – „ისწმ წლის კახეთის აჯანყების მონაწილე თუმი სახალხო გმირების საკითხისათვის“.<sup>67</sup> მაშინდელი ჩვენი დასკვნები ახალმა კვლევა-ძიებამ კვლავ დაადასტურა.

ფუნჩაიშვილის საბრძოლო სამზადისი, მშობლიური კუთხისათვის აღტყინება და შუუდარებელი ვაჟკაცური შემართება ეჭვმიუტანელად წარმოგვიდგენს ლეგენდარულ ზეზვა გაფრინდაულს:

„კახეთში ფუნჩაიშვილი  
იკეთებს შუბის წვერსაო,  
თბილის წყლით ფაფარს გადაჰბანს,  
ლიტრა ქერს აჭმევს ცხენსაო.  
სპარსეთში ერთი თათარი  
ენას აუბნებს ძნელსაო:  
– „ბახტრიონს გაეჭრი ვენახსა  
ზედ დავსახლდები ელსაო,  
არც თუშებს შეეკაუები  
და არც ზეზვაის ცხენსაო“.  
ეს რომ გაიგო ზეზვაჲსა,  
ცხენს შაუმატებს ქერსაო;  
– „ჩქარა გასუქდი, ლურჯაო“, –  
გავაზედ უსვამს ხელსაო,  
– „დავემწყემსები სულთანსა,  
როგორც მიმინო მწყერსაო,  
თოფს დავკრავ, ხმალსაც შემოვკრავ  
დღეს დავაყენებ ცხელსაო,  
თავსაც იქ დავდებ ჭადარსა,  
ადგილს არ მივცემ ჩვენსაო“.<sup>68</sup>

ფუნჩაიშვილისა და გაფრინდაულის იგივეობა შედარებით ადვილად დასადგენია. ზეზვას მამას, როგორც ირკვევა, ფუნჩა რქმევია. ხალხურ მოღვექსეს,

<sup>66</sup> ვ. ელანიძე, წიკა-თუშების ენაობის საკითხისათვის, 1990, გვ. 30

<sup>67</sup> ი. გოგებაშვილის სასჯელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა XXXII სამეცნიერო სესია, 1965, გვ. 54-57.

<sup>68</sup> დ. ხიზანიშვილი, ფშაური ლექსები, 1887, გვ.4

ეტყობა კარგად სცოდნია ზეზვას ენაობა, მისი მშობელი მამის სახელიც კი მისთვის ნაცნობი ყოფილა. ამიტომ ზეზვას გმირობა-ვაჟაკობით აღფრთოვანებულ მოლექსეს ზეზვა გვარისა და სახელის ნაცვლად მამის სახელითა ჰყავს მოხსენიებული. შესაძლებელია ხალხურმა მოლექსემ ზეზვას მამა იმიტომაც გააცოცხლა ზეპირსიტყვიერებაში, რომ ისიც თავის დროზე სახელოვანი ვაჟკაცი იყო. გაფრინდაული – ფუნჩაიშვილი რომ ერთი და იგივე პიროვნებაა, სამეცნიერო ლიტერატურაშიც არის აღიარებული. ქართული ზეპირსიტყვიერების ისტორიის ცნობილ მკვლევარს – პროფ. ქს. სიხარულიძეს გაფრინდაული და ფუნჩაიშვილი ერთ პიროვნებად, ერთ გმირად მიაჩნია: „ზეპირსიტყვიერებაში... წერს, ქს. სიხარულიძე, – შექმნილია... ლექსები და გადმოცემები ბრძოლის მონაწილე სახალხო გმირების – თუშების ზეზვა გაფრინდაული-ფუნჩაიშვილის, საღირაშვილის, შკელა შველაძის... შესახებ“.<sup>99</sup> პოეტი აკადემიკოსი გ. ლეონიძე პირდაპირ შენიშნავს, რომ ზეზვა ფუნჩას შვილი ყოფილა: „ზექვა თუში იყო, ფუნჩაის ძე, თუშეთის ბელადი, გვარად გაფრინდაული“.<sup>100</sup>

თუში სახალხო გმირი – ზეზვა გაფრინდაული, რომ თუშეთის სოფელ ვაკისძირიდან ყოფილა, ეს ერთხმად აცხარებული და დადასტურებულია. თუშეთის გომეწერის ხეობაში გამგებულ ამ პატარა სოფელში გაფრინდაულების გვართან ერთად გვხვდება ჩვენთვის საინტერესო, ზეზვას სახელთან დაკავშირებული გვარებიც – საღირიძე და ანთაიძე. ჩვენ მიერ ჩამოთვლილი სამივე გვარი დღეისათვის კვლავ მოქმედი გვარებია, რომელთა გამგრძელებლებიც ცხოვრობენ ახმეტის რაიონის სოფ. ქვემო ალვანში.

ზეზვას მშობლიური სოფელი ვაკისძირი, კახეთის ბარში მისი მკვიდრი მოსახლეობის ჩამოსახლებაძდე 8 კომლს ითვლიდა, როგორც 1831 და 1843 წლების თუშეთის მოსახლეობის კამერალური აღწერის, ისე 1854 წლისა<sup>101</sup> და მე-20 საუკუნის 30-იანი წლების აღწერების მიხედვით.<sup>102</sup>

თუშეთის მოსახლეობის 1831 და 1843 წლების კამერალური აღწერის მიხედვით, სოფ. ვაკისძირში 8 გვარი გვხვდება. ჩვენთვის საინტერესო გვარებიდან დასახელებულია: ზეზვა გაფრინდაული და ანთა ჯარჯოსშვილი. გაფრინდაული, როგორც ცნობილია, შერქმეული გვარია<sup>103</sup> და ზეზვას თავდაპირველ გვარად ვერ ჩაითვლება. თუშეთის კომლობრივი აღწერის მიხედვით დასახელებული ზეზვა გაფრინდაული ზეზვა გაფრინდაულის შთამომავალია, რომლისთვისაც სახელოვანი წინაპრის სახელი შეურქნევიათ და გვარსაც გაფრინდაულს ატარებს.

<sup>99</sup> ქს. სიხარულიძე. ქართული მწერლები და ხალხური შემოქმედება, 1956, გვ. 206

<sup>100</sup> გ. ლეონიძე. გამოკვლევები და წერილები. 1959, გვ. 420.

<sup>101</sup> Эрстов Р. Д., О Тушинно-шава-хевсурском округе /записки казачьего отдела ИРГО. кн. 3. Тифл., 1855, стр. 88

<sup>102</sup> ს. მაკალათია. თუშეთი, გვ. 88.

<sup>103</sup> ალ. ხახანაშვილი, ბახტრიონის ციხის აღება. „ივერია“. №220, 1888.

აღნიშნული აღწერის მიხედვით, სოფ. ვაკისძირში აღარ აღინიშნება გვარი საღირიშვილი, რომელი გვართაც ზეზვა ხშირად არის მოხსენიებული ბახტრიონის ციკლის ლექსებში. არც ანთაიძე გვხვდება როგორც გვარი. დასახელებულია ანთა ჯარჯოსშვილი, ე.ი. ანთა ჯარჯოს შვილი ყოფილა და მისი გვარი არა ჩანს. თუ ქართველ ხალხში საყოველთაოდ აღიარებულ ჩვეულებას გავითვალისწინებთ, რაც თუშეთში საგანგებოდ იყო და არის დაცული, აქ ანთა ჯარჯოსშვილი წინაპარი პაპის მოსახელე უნდა იყოს, იმ წინაპრისა, რომლის შთამომავალიც 1660 წლის აჯანყების შესახებ არსებულ თუშურ პოეზიაში ანთაიძედ იხსენიება.

ბახტრიონის ციკლის ლექსებით საკმაოდ ცნობილი გვარის – საღირიშვილის დაკარგვა, ჩვენი აზრით, ზეზვასათვის ახალი გვარის – გაფრინდაულის შერქმევამ გამოიწვია. ზეზვას თავდაპირველი გვარი საღირიშვილი იქნებოდა, რომელიც 1660 წლის ბრძოლების შემდეგ არსებობას წყვეტს, რისი მიზეზიც თვით ზეზვას გმობა-ვაყაყობა გამხდარა. ანთაიძე, ე.ი. ანთაიძობით ცნობილი აჯანყების მონაწილე თუში გმირი ანთა უნდა იყოს და არა ანთაიძე. ანთას გვარადაც ჩვენ საღირიშვილი მიგვაჩნია. რადგან მე-19 საუკუნის ყველა ოფიციალური საბუთის მიხედვით თუ გადმოცემით სოფ. ვაკისძირში გვარი ანთაიძე რომ სახელ ანთასგან არ მომდინარეობდეს, მისი შთამომავლობა სახელოვანი წინაპრის გვარს არ დაკარგავდა. მართალია, ამჟამად, სოფ. ვაკისძირიდან ახმეტის რაიონის სოფ. ქვემო ალვანში ჩამოსახლებულ რამდენიმე კომლს აქვს გვარი ანთაიძე, მაგრამ ეს ძალიან გვიანდელი ამბავია. მაგალითად, მე-20 საუკუნის 20–30-იანი წლებისათვის სოფ. ვაკისძირში ორი გვარი გვხვდება წიქროძე და გაფრინდაული.<sup>104</sup> ასეთივე მდგომარეობა გვაქვს გვარის საღირიშვილის შესახებაც. აღნიშნული გვარიც მისი შემცველი გვარის – გაფრინდაულის გაჩენის შემდეგ დიდი ხნის მანძილზე აღარ გვხვდება და მხოლოდ ძალზე გვიან შთამომავლობამ. ისიც რამდენიმე ოჯახმა გადაიკეთა გვარი საღირიძედ მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან.

ახლანდელი გვარების: გაფრინდაულის, საღირიშვილის, ანთაიძის ნათესაობისა და მათ თავდაპირველ გვარად საღირიშვილის (საღირიძე) მიჩნევას ისიც ადასტურებს, რომ დასახელებული სამივე გვარის გამგრძელებელნი დღესაც ერთმანეთს ენათესავენ და მიაჩნიათ, რომ თავდაპირველად ყველა ერთ გვარს ატარებდა. ხოლო რომელს – ეს მათ არ იცინ.<sup>105</sup> აღნიშნული გვარების ნათესაური კავშირი გვაფიქრებინებს, რომ ბახტრიონის ბრძოლების მონაწილე საღირიშვილი (საღირიშვილები) სოფ. ვაკისძირის მკვიდრ მცხოვრებლად წარმოვიდგინოთ, რადგან თუშეთის სხვა სოფლებში ასეთი გვარი არ არსებობს. ზეპირსიტყვიერება კი მას თუშად იცნობს. ისიც საგულისხმოა, რომ

<sup>104</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, გვ. 88

<sup>105</sup> გაფრინდაულების, ანთაიძეებისა და საღირიძეების წარმომადგენელთა გამოკითხვა ვაწარმოვე 1964 წელს.

1831 და 1843 წლების თუშეთის კამერალური აღწერით ზეზვას სოფ. ვაკის-ძირში სახელი – საღირიც გვხვდება.

ბახტრიონის ციხის აღების შესახებ ხალხურ პოეზიაში ორი ხაზი ვითარდება: თუშური და ფშავ-ხევსურული. თითოეული კუთხე ციხის აღებას თავის მხარის დამსახურებად მიიჩნევს.

ფშავსა და ხევსურეთში ჩაწერილი ლექსების უმეტესი ნაწილი ბახტრიონის ციხეზე პირველად მისვლასა და იერიშის მიტანას ფშავსა და ხევსურეთს მიაწერენ. ფსავ-ხევსურეთის პოეზიის მიხედვით (თუ ზოგიერთ ნიმუშებს არ მივიღებთ მხედველობაში). ბახტრიონის ციხეში გამაგრებულ თათრებს პირველად ფშავლები შესეკიან:

„ბიჭვი ვარ გოგოლაური,  
ნუ მშინჯავთ ტალავარზედა,  
წინ-წინ მე გადავფრინდები,  
ბახტრიონს გალავანზედა,  
თოფსა ვკერავ ჯიმშელ ბატონსა,  
ზედ მივალ ფალავანზედა“.<sup>106</sup>

როგორც თვით გოგოლაურის სიტყვები, ისე ფშავ-ხევსურეთში შექმნილი ზოგიერთი ზეპირსიტყვიერი ძეგლის შინაარსი მოკლებულია სინამდვილეს და დამაჯერებლობას. „ფშაური ვარიანტებით, – შენმნაგვს პროფ. ს. ყუბანეიშვილი, – ბახტრიონის ციხეზე იერიშის დაწყების დროს თუშები არ ყოფილან, ხეკსურები კი მათ არ ეცდილებოდნენ პირველობაში. ამის გამო, რატიმ და ენთიკას უნდა ეთხოვა გოგოლაურს, მე გადაამსკით ციხეშიო? უდაგოა, აქ ზეზვას საქმიანობა გადატანულია გოგოლაურსო“.<sup>107</sup>

ფშავში შექმნილი ლექსების ტენდენციურობაზე თავის დროზე კარგად შენიშნა ვაჟა-ფშაველამ: „ეს ლექსები, – წერს ვაჟა, – ფშაქშია გაგონილი და, როგორც კილო ამტკიცებს, ფშაურ ნიადაგზეა აღმოცენებული და ადვილად შესაძლებელია ფშაველებს თავისი თავი თუშებზე და ხეკსურებზე სახელოვნად აყვანდეს დასურათებულნი“.<sup>108</sup>

ხევსური მოლექის მიხედვით კი, – „მშავლებს ჯღან-ბელიანები ხევსურთ მეგუდედ „ხყვანდიანო“ და ბახტრიონის ციხეც მათ აულიათ: „სად იყვა თუშმშვილები? ხეკსურებ კარაგვს ჭრიანო, ნადირაის სმლის ნამტკერევი კარაგვის კარში ხყრიანო.“<sup>109</sup>

ფშავ-ხევსურეთში შექმნილი ხალხური ლექსების საპირისპიროდ, თუშეთში ჩაწერილი გადმოცემებისა და ლექსების მიხედვით ბახტრიონზე შემტევი პირველი რაზმი თუშებისაგან შედგებოდა და წინამძღოლად თუში გაფრინდაული

<sup>106</sup> ა.კ. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, ხევსურული. 1. 1931, გვ. 326.

<sup>107</sup> ს. ყუბანეიშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 27

ვაჟა-ფშაველა, ოხზ. ტ. IV. 1961, გვ. 318

ა. შანიძე, დასახ. შრომა... გვ.9

ჰყოლიათ. უფრო მეტიც, ზეპირსიტყვიერება იმასაც კი გვეუბნება, რომ თუშები და მათი მეთაურები თითქოს წინააღმდეგი ყოფილან ფშავ-ხევსურებთან ერთად ბრძოლისა:

„ზეზვამ სთქვა გაფრინდაულმა:  
„ხევსურნი ნუ მოვლიანო“.  
ზოგთა სთქვეს: „თან გავიყოლოთ,  
გაჭირდეს, გამოდგებიანო“.  
დათხოვნილ იყვნენ ფშავლები:  
„პურ ჭამას ვერ რჩებიანო“.<sup>110</sup>

ზეპირსიტყვიერებაში რამდენადმე დამკვიდრებული აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს და თუშები წინააღმდეგი ყოფილან სპარსი დამპყრობლებისა და კახეთში ჩამოსახლებული უცხოელების წინააღმდეგ მომზადებულ აჯანყებაში ფშავ-ხევსურების მონაწილეობისა, ისევე გაუმართლებელი და დაუჯერებელია, როგორც ფშავში შექმნილი ლექსების მიხედვით შემუშავებული შეხედულება იმის თაობაზე, რომ თითქოს ბახტრიონის ციხეზე შემტევი პირველი რაზმი ფშავლებისაგან შედგებოდა და თუშები მაშინ ჯერ მისულებიც კი არ ყოფილან ბახტრიონის ციხესიმაგრესთან. პროფ. მ. ჩიქოვანი სამართლიანად მიუთითებს ამ ტენდენციურობაზე და შენიშნავს: „ამგვარი მასობრივი მოძრაობის დროს შეუძლებელია ზეზვა გაფრინდაულს, სახალსო აჯანყების სახელოვან მეთაურს, უარი ეთქვა ფშავ-ხევსურთა დახმარებაზე და რაზმები ბრძოლის კელიდან დაეთხოვა. ეს რომ მართლა ასე ყოფილიყო, შეიარაღებული მტრის დაპარცეობაც შეუძლებელი იქნებოდა“.<sup>111</sup>

უცხოელ დამპყრობთაგან სამშობლოს განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის თუშ-ფშავ-ხევსურეთი წლების მანძილზე რომ მჭიდრო ურთიერთკავშირში მყოფი ემზადებოდა ქართლ-კახეთის ბარის მოსახლეობასთან ერთად და მრისხანე ძალად დაატყდა სპარსელებას და თურქმანებს, ქართულ ისტორიოგრაფიაში მრავალმხრივია გაშუქებული და გაანალიზებული. ისიც უნდა ითქვას, რომ, მართალია, ხალხური მელექსეები ცდილობდნენ თავიანთი კუთხის გმირების განდიდებას, მაგრამ „ყველა კუთხეში - ფშავში, ხევსურეთში, კახეთში და თუშეთში ჩაწერილი ბახტრიონის ბრძოლის ამსახველი ხალხური ლექსების ცენტრშია ქადარამოსილი თუში გმირი ზეზვა გაფრინდაული“.<sup>112</sup> „ხალხური ლექსების მსხედვით, - განავრძობს ქს. სინარულიძე თუში ზეზვა გაფრინდაული აჯანყების ორგანიზატორია“.<sup>113</sup> „ბახტრიონზე“ მსხედვით პირველი რაზმი,

<sup>110</sup> აკ. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, ხევსურული, I, 1931, გვ. 324  
<sup>111</sup> მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, 1956, გვ. 4  
<sup>112</sup> ქ. სინარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, 1956, გვ. 207  
<sup>113</sup> იქვე.

- შენაშნაკის მ. ჩიქოვანი, - თუშებისაგან შედგებოდა და მეთაურადაც თუშის პელოთი (ზეზვა გაფრინდაული) ამას ამტკიცებს ხალხური ლექსების უმრავლესობა".<sup>114</sup>

კახეთის აჯანყებაში ზეზვა გაფრინდაულის განსაკუთრებული დამსახურება ქართულ ისტორიოგრაფიაშიც საყოველთაოდაა აღიარებული: „როგორც ჩანს, ზეზვასაც ის ბედი უნდა სწვეოდა, როგორც მის თანამემამულეებს - შადღას, ელიზბარს და ბიძინას. ქართულმა ფეოდალურმა ისტორიოგრაფიამ სახალხო ვიწრო თავის ისტორიაში არ შეიყვანა, სამაგიეროდ, ხალხმა ზეზვას მრავალი ლექსი და სიმღერა უძღვნა, რითაც სამუდამოდ უკვდავყო მისი სახელი“.<sup>115</sup>

1959 წელს მაღლიერმა თუშებმა, ბახტრიონის გმირული ეპოპეის 300 წლისთავთან დაკავშირებით, ახმეტის რაიონის სოფ. ქვემო ალვანის ცენტრში ძეგლი დაუდგა სახელოვან წინაპარს - ზეზვა გაფრინდაულს და ამავე დროს დააწესა სახალხო დღესასწაული „ზეზვაობა“, რომელიც მაისის თვის ბოლო კვირას იმართება სოფ. ქვემო ალვანში.

<sup>114</sup> მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, 19656მ გვ. 40.

<sup>115</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 333.



### 3.3. 1660 წლის კახეთის აქანყების ხელშეწყობის საკითხისათვის

შრომის წინა ორ პარაგრაფში ჩვენი მიზანი იყო მკითხველისათვის გვეჩვენებინა ზეზვა გაფრინდაულის პიროვნება და მისი დამსახურება 1660 წლის კახეთის აჯანყებაში. ხსენებული საკითხის სრულყოფამ გამოიწვია კახეთის აჯანყების ირგვლივ ფართო მსჯელობა, სხვადასხვაგვარად ზეზვას ღვაწლისა და ამავის მასშტაბურობის დადგენა წარმოუდგენელია.

ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზეზვა გაფრინდაულის პიროვნების კვლავ უფრო ღრმა და საფუძვლიანი გაგებისათვის შევეხოთ აჯანყების სხვა ხელშეწყობელებსაც და ერთხელ კიდევ ნათელყოთ ლეგენდარული გმირის განსაკუთრებული როლი და ადგილი მოცემულ აჯანყებაში.

ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, არაგვის ერისთავი კახეთის აჯანყებაში არ მონაწილეობდა. კახეთიდან სპარსი დამპყრობლების განდევნასა და ამოწვეტაში მთავარ მოქმედ პირებად იგი თუშებს ასახელებს. გორგიჯანიძე ამტკიცებს, რომ ზაალ არაგვის ერისთავის განდიდებით განაწყნებულმა პირებმა ერთმანეთს შეაფიცეს თუშეთის მოსახლეობა; თუშებმა კი კახელების თხოვნა ვაჟკაცურად შეასრულეს.

ფარსადან გორგიჯანიძე ეხება რა აჯანყების შემდგომ პერიოდს, კერძოდ, ზაალის მიერ თეიმურაზისათვის კახეთის ტახტის შეთავაზების საკითხს, აღნიშნავს, რომ: „ზოგ-ზოგნი კახნია, რომ ერისთავისათვის ავნი იყვნეს და შაჰნავაზი მფეისთავის კარგნი, იმათ ბატონს თეიმურაზის ასრე მოიხსენეს: „რად ვინდათ ამისთანა სიცოცხლეო, რომ ზაალ ერისთავო, თუნდა გავადგებსო, თუნდა გავაბატონებსო, ახლაო თუშთაო რაც კახეთში თათარი ყოყილაო, ამოუწყვეტათო, ყაქმ ერისთავისათვის დაუბრალებათო“<sup>1</sup>

საკმაოდ დამაფიქრებელ ცნობებს იძლევა ფარსადან გორგიჯანიძე კახეთის აჯანყებაში ზაალ არაგვის ერისთავის, ბიძინა ჩოლოყაშვილისა და შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების მონაწილეობის შესახებაც. ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავები. ისტორიკოსის ცნობით, აჯანყების ხელშეწყობათა თუ გეზისა და მიმართულების მიმცემთა როლში გამოდიან: „ბიძინა სუფრაჯი და ელიზბარ ერისთავი და შალვა თავიანთ ნებით განჯის ხანთან შვიდნი და იმან ყაენთან გავიანა და კახეთში თათართ ამოწყვეტა იმათ დააბრალეს. უწინ ბეკრი პატავი დასდევს. შაგრამ შიგნით გარეთ სხვათა მოხმარებისათვის დაუწყეს ბეზლობა, დაჭირვინეს და განჯას გაგზავნეს და ვისაც კაცნი კახეთში დაქოცათ იმათ ხელთ მისცეს და უბრალოდ დახოცეს სამივე და ქართველთ მფეე გაძლიერდა“<sup>2</sup>

<sup>1</sup> ფ. გორგიჯანიძე, დასახელებული შრომა, გვ. 337. ხაზი ჩვენია. ვ.ე.  
<sup>2</sup> ფ. გორგიჯანიძე, დასახელებული შრომა, გვ. 337. ხაზი ჩვენია. ვ.ე.

კახეთის აჯანყებაში ზაალ არაგვის ერისთავისა და თუშეთის მონაწილეობის შესახებ საინტერესო ცნობებს ეხვდებით მოჰამედ თაქერთან. მისი ვადმოცემიდან ჩანს, თუ როგორ იზრდებოდა წინააღმდეგობა ჩამოსახლებულებსა და დამხდურებს შორის. მას, როგორც ირანის შაჰის მსახურს, თუშთა მოქმედება ბოროტებად მიაჩნდა: „ამ ორ ხალხს შორის დაჟა და ჩხუბი განდა. თუშეჰმა, რომელთაც მაღალი მთები, სწირი ტყეები და უგზობა ფარავდა, ბოროტმოქმედება და მშაყრობა იწყეს“.<sup>3</sup>

მოჰამედ თაქერის მიხედვით, ისე როგორც ფარსადან გორგიჯანიძესთან, კახეთში ჩამოსახლებულ თურქმანებისა და სპარსელების წინააღმდეგ მებრძოლ ქართველებიდან კვლავ თუშები არიან დასახლებული, და ეს მანამდე ხდება, სანამ ზაალ ერისთავი სპარსეთიდან სამშობლოში ჩამოვიდოდა. თუშები დამოუკიდებლად მოქმედებენ და თავისი ადგილსამყოფელის ბუნებრივი სიმაგრეებით გათამამებულნი მოსვენებას არ აძლევენ თურქმანთა ურდოებს.

მართალია, ზაალ ერისთავი ჯერ კიდევ არ იყო ჩაბმული აჯანყების მოსამზადებელ საქმიანობაში, მაგრამ როგორც მოჰამედ თაქერი აღნიშნავს: „ზაალ ერისთავსაც იმის განზრახვა აქონდა, რომ კახეთის „ოღჯის“ დამოუკიდებელი მმართველი გამხდარიყო“.<sup>4</sup>

ირანის მბრძანებელს ზაალ ერისთავის სურვილი არ დაუქმყოფილებია, რის შესახებაც მოჰამედ თაქერი შემდეგს წერს: „მისი სურვილი არ განხორციელდა და დაფარული ბრახის ვაში ის ამ ხალხს (თუშებს) აქეზებდა“.<sup>5</sup>

მას შემდეგ, რაც ზაალ ერისთავს მიუღია ნებართვა სამშობლოში დასაბრუნებლად და ჩამოსულა კიდევ. იგი აჯანყების განვითარებას უწყობდა ხელს „იმის შემდეგ, – წერს მოჰამედ თაქერი, – როცა მან შაჰის მაღალ სასახლიდან წასვლის ნებართვა მიიღო... საქართველოში ჩაიჭიდა და შფოთის გაძლიერების მიზეზად, არეულობის წყაროდ და ურსობის არსად გადაიქცა“<sup>6</sup> განაწყენებული ერისთავი, მართალია, ამკარად არ მოქმედებდა, მაგრამ ფარულად კი ყველაფერს აკეთებდა, რომ ქართველ მოსახლეობაში უკმაყოფილება გაეზარდა. ერისთავი არც აჯანყებაში ღებულობდა პირად მონაწილეობას, აქაც იგი სიფრთხილეს იჩენდა და იქ შვილს აგზავნიდა. „ზაალ ერისთავის შვილი და ბიძინა, კახეთის ერთი თაყაიდთაგანა, რომლის შვილის სახლში ამყოფებოდა რძლიად, ზაალ ერისთავის ქალშვილი, აღავერდის ეპისკოპოსთან და ზოგიერთ ქართველთან ერთად, თუშებს შეუთანხმდნენ და „დაფარული მდგომარეობა ამკარა გახადეს“.<sup>7</sup>

<sup>3</sup> ვ. ფუთურიძე, მოჰამედ თაქერის ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 394, ხაზი ჩვენია. ვ.ე.

<sup>4</sup> ვ. ფუთურიძე, მოჰამედ თაქერის ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 394.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> იქვე, ხაზი ჩვენია, ვ.ე.

აჯანყების მოხდენის შემდგომ ჩატარებული გამოკვლევით აღი ყული ხანსა და მურთაზა ყული-ხანს ერისთავისადმი წაყენებული ბრალდებები ვერ დაუმტკიცებიათ, რის შესახებაც მათ შაჰისათვის მოუხსენებიათ: „ერისთავის შვილის მონაწილეობა (შეთქმულებაში) და ერისთავის მიერ იმ ხალხის წაქეზებისა, — აღნიშნავს მოჰამედ თაქერი, — არც უარყოფილი და არც დაშტკიცებული იყო, ნამდვილი მდგომარეობა გამოურკვეველი რჩებოდა“.<sup>8</sup>

სინამდვილის გამორკვევას ყველაზე მეტად ისიც ართულებდა, რომ თვითონ ზაალ ერისთავი ყველა მისადმი წაყენებულ ბრალდებებს ტყუილს, ცილისწამებას და ხელოვნურად შეთხზულს უწოდებდა, ხოლო აჯანყების მოწყობასა და თურქმანთა ამოუღებლას კი თუშებს აბრალდებდა. „ამ ხანებში, — წერს მოჰამედ თაქერი, — ერისთავისაგან ზედიზედ მოდიოდა არზები „ქიქინის საფარეკლის“ კარზე, (რომელშიაც ის ამტკიცებდა), რომ მისი დაკავშირება ამ საქმესთან მტკნარი სიცრუე და ცილისწამებაა. ანგარი ხალხი მიაწერს მას ამ საწინდარ საქმეს, მან კი სრულებით არაფერი იცის ამ წამოწყების შესახებო და რომ თუშებმა აღი ყული-ხანს ქენგერულს ცუდი ქცევის გამო წაიდინეს ბოროტებაო“.<sup>9</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ზაალ ერისთავი ყოველმხრივ ცდილობდა აჯანყებაში მისი მონაწილეობის შესახებ წაყენებული ბრალდებები უარყო, ბოლოს მაინც დაუმტკიცეს, რომ „ის (ზაალი) იყო იმ მყოთისა და ბოროტების წამქეზებელია იმ დაწყევლილს ბოროტმოქმედება, მზაკრობა და უმადურობა ცხადი გახდა შაჰისათვის“.<sup>10</sup>

როგორც ეტყობა, მოჰამედ თაქერის ცნობები ზაალ ერისთავის შესახებ სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს.

მოჰამედ თაქერის მიხედვით, აჯანყებაში თუშეთის მონაწილეობის საკითხი კვლავ წინა რიგზეა. თუშეთი ზაალის გარეშე და მისგან დამოუკიდებლად ავიწროვებს კახეთში ჩამოსახლებულ მომთაბარე თურქმანთა ტომებს. შემდგომშიაც ზაალს (როდესაც ჩამოდის საქართველოში) თუშეთის მეშვეობით სურს თავისი მიზნების განხორციელება, — ეს ალბათ იმიტომ, რომ მთიანეთი თუშეთის მეთაურობით ისედაც მომზადებული იყო აჯანყებისათვის და ასეთ მდგომარეობაში მყოფი მთა ბარელებისათვის (მათ შორის ზაალისათვის) სასურველი ძალა იქნებოდა. მათ მიერ მოწყობილი აჯანყებით თავის საქმეს გაიკეთებდა და თვითონ კი განზე დარჩებოდა.

მოჰამედ თაქერის მიხედვით, აჯანყების ხელმძღვანელად ბიძინა ჩოლოყაშვილი გვევლინება. ეს ცნობა ჩვენ სწორად მიგვაჩნია, კახეთში ჩამოსახლებული თურქმანები ყველაზე უფრო მეტად ჩოლოყაშვილის საბატონოს

<sup>8</sup> ვ. თუფურიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 394

<sup>9</sup> ვ. თუფურიძე, მოჰამედ თაქერის ცნობები საქართველოს შესახებ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 394.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 399. ხაზი ჩვენი. ვე

აეწირობდნენ. მომთაბარეებმა სწორედ მის ცხვირწინ გაიჩინეს ბინა, ააგეს ბაქტრიონის უძლიერესი ციხესიმაგრე და მკვიდრთა ძარცვა-გლეჯა გააჩაღეს. ბუნებრივია, რომ თუშებსა და ჩოლოყაშვილს შორის კავშირაც უფრო ადვილად განხორციელდებოდა. ეს იყო ორი ყველაზე უფრო დაინტერესებული მხარის დაკავშირება. ალვანის დიდი მინდორი, რომელსაც ახლა თურქმანები დაეპატრონნენ, ბიძინას საბატონოს ესაზღვრებოდა. მოჰამედ თაქერი არ ასახელებს შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებს. ისევე როგორც რომელიმე თუშპიროვნებს.

როგორც ვხედავთ, „მოჰამედ თაქერი ელკიზზე თაყდამისქელთა მთავარ ძალად თუშებს მიიხსენებს“. <sup>11</sup>

მოჰამედ თაქერი როგორც ჩანს, ძალზე განრისხებული იყო თუშებზე, იგი მათ „უბედურებსა და აკისიმქელ ყაჩაღებს“ ეძახის. <sup>12</sup> ეს ხდება კახეთის აჯანყების შემდეგ.

1662 წელს ეტყობა, ისტორიკოსის მრისხანება ჯერ კიდევ არ განელებულიყო იმის გამო, რომ თუშები ასე სასტიკად გაუსწორდნენ ელებს.

ვახუშტი ბატონიშვილისა და ბერი ეგნატაშვილის მიხედვით, კახეთის 1660 წლის აჯანყების მომწყობად ზაალ ერისთავია გამოყვანილი. „ზაალ ერისთავიან, - გადმოგვცემს ვახუშტი ბატონიშვილი, - შექოიფიცა საყმონი თვისნი და ფშავ-ხევისურ-თუშნი, და ბიძინა სუფრაჯი და ერისთავი ქსნისა შალვა ძმით ელიზბარით (რამე თუ სიძე ყყო შალვა ზაალისა), შეკერობა ესე ყოველნი, წარუძღვნა ძე თვისი და მიუხდეს შირველად ბაქტრიონს, მოსრეს და მოსწყვიტეს თითიარნი, მერმე ალაყურდს და შემდგომად ყოველსა კახეთსა შინა მოსწყვიტნეს, რამეთუ არცაღა თუ დაუტოვეს აკუანთა შინა მწოყარნი და განათავისუფლეს კახეთი“. <sup>13</sup> იგივე ავტორი შენიშნავდა, რომ მაშინ, როცა ალექსანდრე იმერეთის მეფე გარდაიცვალა და ვახტანგ V-მ იმერეთის სამეფო ტახტის დაჭერა სცადა, ზაალ ერისთავმა ამ შემთხვევით ისარგებლა და კახეთი მეჯოგე თურქმანი ტომებისაგან გაწმინდა: „არამედ ზაალ ერისთავიან მოსწყვიტნა ელნი კახეთს და მტერობდაცა ვახტანგ მეფესა“. <sup>14</sup>

როგორც ცნობილია, იმერეთის მეფე ალექსანდრე 1660 წელს გარდაიცვალა, ალექსანდრე მეფის გარდაცვალების შემდეგ იმერეთის სამეფო კარზე დიდი უბედურება დატრიალდა. შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა ქართლის მეფე ვახტანგ V და 1661 წელს იმერეთის სამეფო ტახტი დაიკავა და იქ

<sup>11</sup> დ. გერიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II. თბ., 1965, გვ. 401.

<sup>12</sup> ვ. თუფურიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 398, 1954.

<sup>13</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ცხოვრება. ზ. ჭიჭინაძის გამც. 1913, გვ. 189-190.

<sup>14</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ცხოვრება. ზ. ჭიჭინაძის გამც. 1913, გვ. 189-190. გვ. 77

თავისი შვილი — არჩილი გაამეფა. ზაალ არაგვის ერისთავს, ვფიქრობთ, 1661 წელს სპარს დამპყრობლებთან ხელი უკვე აღარ მიუწვდებოდა.

1661 წლისათვის იგი ცოცხალი არ ჩანს.<sup>15</sup>

გასარკვევია ვახუშტის შემდეგი შენიშვნაც: „ხოლო ოდეს მოსრნა ზაალ ერისთავიჲმან ელნი კახეთს, მაშინ მოუწოდა ამ ზაალ ბატონის თეიმურაზის ძის ძეს ერეკლეს რუსეთიდან, რათა ჰყოს მეფედ და ამ უამთია მოსრულ იყო თუშეთის და ბრძოლა კახეთს“.<sup>16</sup>

ზაალ არაგვის ერისთავის მიერ რუსეთში მყოფ ერეკლე ბატონიშვილთან კავშირის დამყარება და კახეთის სამეფო ტახტის შეთავაზება თითქოს არ დასტურდება. ერეკლე ბატონიშვილის საქართველოში გამოგზავრება გამოწვეული იყო პაპის (თეიმურაზის) მიერ გაგზავნილი წერილით, რომლითაც თეიმურაზი შვილიშვილს ავალბდა, რომ სამშობლოში დაბრუნებულიყო. „თეიმურაზმა, — წერს პროფ. ი. ცინცაძე, — ასტრახანიდან მოსკოვში გაგზავნა წერილი ერეკლე ბატონიშვილის საქართველოში გამოგზავრების შესახებ“.<sup>17</sup>

ზაალ არაგვის ერისთავთან რომ კავშირი ჰქონოდა ერეკლე ბატონიშვილს, მას არაგვის ძლიერი ერისთავის იმედი რომ ჰქონოდა, ასტრახანიდან თუშეთში კი არ გადმოვიდოდა, არამედ არაგვის ერისთავის სამფლობელოში შევიდოდა და ზაალის მხარდაჭერითა და აქტიური დახმარებით შეეცდებოდა კახეთის ტახტის ხელში ჩაგდებას.

ვახუშტის მიხედვით ისე გამოდის, რომ მაშინ, როცა ზაალმა ერეკლე რუსეთიდან გამოიწვია. ეს უკანასკნელი უკვე თუშეთში ყოფილა ჩამოსული და კახეთის ხელში ჩაგდებისათვის იბრძოდა „ამ უამთია, წერს ვახუშტი, — მოსრულ იყო თუშეთის (ლაპარაკია ერეკლე ბატონიშვილზე ვ.ე.) და ბრძოლა კახეთს“. ჩვენ კი, როგორც რუსული საარქივო მასალებიდან, ისე თვით ვახუშტისავე ცნობით, ვიცით, რომ ერეკლე ბატონიშვილი თუშეთში 1662 წელს გადმოვიდა. 1662წ. „მოვიდა ძის-ძე ბატონის თეიმურაზისა რუსეთიდან, ერეკლე თუშეთის და კახეთის ეკაროებოდა.“<sup>18</sup> ამ დროს არაგვის ერისთავი ცოცხალი აღარ იყო, ისე რომ ზაალ ერისთავსა და ერეკლე ბატონიშვილს შორის არავითარი კავშირი არ ყოფილა, და თუ ეს ასე იყო, ერისთავი ვერც კახეთის სამეფო ტახტს შესთავაზებდა ერეკლე პირველს.

საეჭვო ხდება ვახუშტისეული აზრი. რომელიც უცვლელად აქვს განმეორებული ბერ ეგნატაშვილსაც, რომ აჯანყების მთავარი ხელმძღვანელი, თუმეზისა და კახელების დამრავმველი და სხვ., ზაალ ერისთავი იყო.<sup>19</sup>

<sup>15</sup> ვახუშტი. ცხოვრება ქართლისა, ქართლის ცხოვრება. III. გვ. 51. პეტერბურგი. 1854. დ. ჩუბინაშვილის გამოცემა.

<sup>16</sup> ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც. 1913, გვ. 80.

<sup>17</sup> ი. ცინცაძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან, უკურნ. „მნათობი“. №2. 1956. გვ. 18.

<sup>18</sup> ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც. 1913. გვ. 379.

<sup>19</sup> ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება. ქართლის ცხოვრება. ტ. II. ს. ყაუხჩიშვილის რედაქც., 1959. გვ. 438

ბერი ეგნატაშვილი ზაალ ერისთავის მიერ კახეთის აჯანყების მოწყობას და მის აქტიურ როლს თურქმანებისაგან კახეთის გაწმენდაში იმით ხსნის, რომ ერისთავი არის კახეთის გამგებელი, რომ მას ეკითხება ყველაზე მეტად კახეთის ავი და კარგი და აძიტომაც თურქმანთაგან შეურაცხყოფილი მღვდელი მისგან მოითხოვს პასუხს: „ვინათაგან შენდა რწმუნებულ არს კახეთით“.<sup>20</sup>

აჯანყების დაწყების დროსათვის ერისთავს კახეთის მიმართ რაიმე არსებითი უფლებები არ ჰქონია. მართალია, ქართლის მმართველმა როსტომმა, იმის საზღაურად, რომ კახეთიდან თეიმურაზის განდევნის შემდეგ ზაალ ერისთავი მის მხარეზე გადავიდა, დაუთმო კახეთის მნიშვნელოვანი ნაწილი (ერწო-თიანეთი) და კახეთის მართვა-გამგებლობაშიც დიდი უფლებებით აღჭურვა: „ზაალ ერისთავის შეუკითხავი არა აქნებოდა კახეთში, რაშიეთუ როსტომ მფიქვს დაედგინა იგი კახეთის გამგებლად და ეპყრა ზაალ ერისთავისა ერწო-თიანეთი“.<sup>21</sup> მაგრამ ვფიქრობთ, ეს იყო დროებით, კერძოდ, 1656 წლამდე, სანამ კახეთიც როსტომს ეკუთვნოდა და იქ შაჰ-აბას მეორის ბრძანებით გამგებლად სელიმ-ხანი არ დანიშნებოდა. მართლაც, „სუთასი თუქმანი ჯამაგირი გაუწინა და კახეთის ნაპირის ალაგაც ერისთავს უბოძა“.<sup>22</sup> როგორც ეტყობა, შაჰმა მას ოფიციალურად დაუმტკიცა ერწო-თიანეთი. „კახეთის დანარჩენი ნაწილი სწნს წლიდან განჯის ხანს სელაიმს გადაეცა“.<sup>23</sup>

ზაალ ერისთავს შემდგომშიც დიდი სურვილი ჰქონია, რომ კახეთის ოლქის დამოუკიდებელი მმართველი გამხდარიყო. მაგრამ შაჰმა მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. „ზაალ ერისთავისაც, — შენიშნავს სპარსი ისტორიკოსი მოჰამედ თაქერი, — იმის განზრახვა ჰქონდა, რომ კახეთის „ოლქის“ დამოუკიდებელი მმართველი გამხდარიყო. მისი სურვილი არ განხორციელდა“.<sup>24</sup> პირიქით, შემდგომში მდგომარეობა უფრო რთულდება. შაჰ-აბასის ბრძანებით ალავერდი — ხანმა კახეთში მომთაბარე მეჯოგე თურქმანთა 15 ათასი ოჯახი დაასახლა, რასაც თანვე მოჰყვა კახეთის ორად გაყოფა. ნაწილი სამმართველოდ გადაეცა ყარაბაღის ბეგლარ-ბეგს მურთაზა ყულიხანს, ხოლო დანარჩენი — ნახჭევანის მმართველს ალი-ყული ხან ქენგერლუს.<sup>25</sup> აქ უკვე ერისთავზე აღარაფერია ნათქვამი. კახეთს, დასახელებული ხანების სახით, თავისი მმართველები ყავს დანიშნული.

<sup>20</sup> ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტ. 11, ს. ყაუხჩიშვილის რედაქც., 1959, გვ. 438

<sup>21</sup> იქვე, გვ. 434

ფ. გორგიჯანიძე, ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, ტ. 11, 1925, გვ. 270.

<sup>22</sup> დ. გერიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 343.

<sup>23</sup> ვ. ფუთურაძე, მოჰამედ თაქერის ცნობები საქართველოს შესახებ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1954, გვ. 394.

<sup>24</sup> იქვე.

ამრიგად, 1660 წლის კახეთის აჯანყების დაწყებისას ზაალ ერისთავი კახეთის გამგებელი აღარ ყოფილა.

ზაალ არაგვის ერისთავს მართლაც კახეთის ნაწილი – ერწო-თიანეთი დაუბრუნდა. ზაალიდან მოყოლებული ერწო-თიანეთი შემდგომაც არაგვის საერისთავოს ეკუთვნოდა. არაგვის ერისთავის ოთარისა და მისი ძმებისაგან განაწილებულ არჩილ მეფეს მათთვის ერწო-თიანეთი ჩამოურთმევია „სცნა არსილ, რამეთუ ოთარი არაგვის ერისთავი და ძმანი მისნი ეწრაზვიან გამეფებად ერეკლეს. ამისათვის წარუხუნა ერწო-თიანეთი“.<sup>26</sup>

კახეთის აჯანყებასთან ზაალ არაგვის ერისთავის დამოკიდებულების შესახებ ბევრ საინტერესო ცნობას გვაწვდის აკად. მ. ბროსე. 1660 წლის კახეთის აჯანყების შესახებ მეცნიერს მრავალი ძვირფასი ფაქტები აქვს დასახელებული. მ. ბროსესთან კარგადაა მოცემული კახეთში 15 000 კომლი თურქმანების ჩამოყვანისა და მათთვის განსაკუთრებული ციხესიმაგრეების აშენებისათვის შაჰის მიერ გაცემული ბრძანების შესრულებისა და მიმდინარეობის წვრილმანიც კი.<sup>27</sup> კახეთში თურქმანთა და სპარსი დამპყრობლების მომრავლებას ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროება, სარწმუნოების შეურაცხყოფა და დაძვირება გამოუწვევია. შექმნილ მდგომარეობას როგორც მ. ბროსე გადმოგვცემს ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი შფოთი და უკმაყოფილება ჩამოუგდია, რასაც მოყოლია კიდევ დიდი აჯანყება, რომლის შედეგადაც კახეთში ჩამოსახლებულ უცხოელთა უმრავლესობა ამოუწყვეტია, ხოლო ნაწილი კი განუდევნია და კახეთი უცხოელთაგან გაუწმენდია.<sup>28</sup>

თუშებს აჯანყებაში დიდი როლი უთამაშია – როგორც მტერზე მოულოდნელად თავდასხმელი გემის წინასწარ შედგენა-შემუშავებისას, ისე აჯანყების მოწყობისა და მსვლელობის დროს.<sup>29</sup> მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც მ. ბროსეს დასახელებული ნაშრომიდან ის ადგილია, სადაც საუბარია აჯანყების ხელმძღვანელებისა და ინიციატორების შესახებ.

ალი ყული-ხანი და მუროუზალი-ხანი შაჰისადმი გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნავენ, რომ მომხდარი აბების გამორკვევა არ ხერხდება, რადგან ერისთავი რომელსაც აჯანყების მოწყობას აზრდებენ, ფაქტობრივად არ არის აჯანყების მონაწილე, ყველაფერი. რაც მის მიმართაა ნათქვამი, ცილისმწამებლური და უსაფუძვლოა. კახეთის აჯანყებაში ერისთავს, როგორც საქმის ვითარებიდან ჩანს, ბრალი არ მიუძღვისო.<sup>30</sup> აჯანყების ნაძვლილი სახის გამოკვეთასა და სააშკარაოზე გამოტანას ისიც აძნელებდა. როგორც ბროსე გადმოგვცემს, რომ თვითონ ერისთავი შაჰთან გზავნიდა შეუწყვეტლად მოხსენებებს, რომლითაც

<sup>26</sup> ეახუშტი. საქართველოს ცხოვრება. ქართლის ცხოვრება II. დ. ჩუბინაშვილის რედაქციით. ს. – პეტერბურგი. 1854. გვ. 53.

<sup>27</sup> მ. ბროსე. უსტორიე მოღერჩე ლე ლა ვეორკოი. II. არტიე I. გვ. 504

<sup>28</sup> იქვე. გვ. 505.

<sup>29</sup> იქვე.

<sup>30</sup> იქვე.

ერისთავი შაჰს ატყობინებდა და ეყიციებოდა, რომ მას ტყუილად აბრალებდნენ აჯანყების მოწყობას, რომ აჯანყებაში მას მონაწილეობა არ მიუღია და აჯანყება ნამდვილად თუშებმა მოაწიეს და თუშებმავე ამოელიტეს, როგორც ჩამოსახლებული უცხოელები, ისე სპარსი დამპყრობლები.<sup>31</sup>

მართალია, ზაალ ერისთავი აჯანყების პერიოდში, ე.ი. 1659-1660 წელს ერთგვარად უკმაყოფილო იყო შაჰისა, იმის გამო, რომ ქართლის მეფედ შაჰმა 1658 წელს ვახტანგ მუხრანბატონი დანიშნა, რომელსაც ზაალი მტრობდა, მაგრამ მან ვახტანგის გამეფების შემდეგ შაჰს დამოუკიდებლობა სთხოვა და შაჰმაც უწყალობა ვახტანგისაგან დამოუკიდებლობა.

მოუხედავად დამოუკიდებელი მდგომარეობისა, ზაალი მანც მტრობდა ვახტანგ მეფეს, იგი, როგორც სპარსი ისტორიკოსი მოჰამედ თაჰერი აღწერს, არც აჯანყების შესახებ იყო გულგრილ დამოკიდებულებაში. იგი „შეყოთის გაძლიერების მიზეზად, არეულობის წყაროდ და ურწოობის არსად გადაიქცა“. სწორედ ამიტომ იყო, რომ ზაალის გაზრდილი უფლებებითა და დამოუკიდებელი, ქედმოუხრელი მოქმედებით უკმაყოფილო ქართლ-კახეთის თავკაცებმა ვახტანგის მეთაურობით, აჯანყების ხელმძღვანელობა ზაალს დააბრალეს და შაჰის ნებართვით მისსავე ძმისწულებს მოაკვლევინეს. „როგორც ეტყობა ქართლის მეფე ვახტანგისა და მის მომხრეებს, რომელთაც არაგვის ერისთავის გზიდან ჩამოცილება სურდათ, მოუხერხებია შაჰის დარწმუნება, დაჯერება და არაგვის ერისთავი აჯანყების ხელმძღვანელად დაუსმენია. შაჰს კი თავის მხრივ გაუცია ნებართვა შაჰნავაზისათვის - არაგვის ერისთავის მოკვლის შესახებ.“<sup>32</sup> ვახტანგ V-მ არაგვის ურჩი ერისთავი გზიდან ჩამოიცილა, ხოლო ბრალდება, რომ თითქოს და აჯანყების ხელმძღვანელი და მომწყობი ერისთავი იყო უკრიტიკოდ გაიზიარეს ვახუშტი ბატონიშვილმა და ბერმა ეგნატაშვილმა.

ვახტანგ მეფე იმდენად აღშფოთებული იყო ზაალის მოქმედებით, რომ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ერისთავს აჯანყებაში მონაწილეობის შესახებ ბრალდებას წარუდგენდნენ, მან შეიწყნარა ზაალის ძმისწულების თხოვნა ერისთავის მოკვლის შესახებ. ბერი ეგნატაშვილი აღნიშნულის შესახებ წერდა: „ამათ შოახსენეს ჩუყეს შაჰნავაზის: „ვიანითგან ბიძა ჩუენი ესრეთ თქუენი ორგული და ურჩი არის და ჩვენ-ჩუენის სამკვიდროს მამულის ბური არ გუაჭამაო, გკიბოძე დასტური, წაგალით და მოკვლაყთო. სოლო მეფემან შაჰნავაზ შისცა დასტური და მივიდინენ დუშეთს“.<sup>33</sup> მაგრამ, სანამ ქართლის სამეფო კარის განზრახვას სისრულეში მოიყვანდნენ - საყოველთაო სახალხო აჯანყებაც იწყება. აჯანყების მოხდენით კი რომელშიც

<sup>31</sup> მ. ბროსე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 505.

მ. ბროსე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 507.

<sup>32</sup> ბერი ეგნატაშვილი...ქართლის ცხოვრება. სიმ. ყაუხჩიშვილის რედაქც., ტ. II, 1959, გვ. 437-438.



გარკვეული წვლილი მიუძღოდა ერისთავს, ვახტანგ მეფეს უფრო გაუადვილდა ერისთავის ჩამოცილების სისრულეში მოყვანა. იგი, ვფიქრობთ, აჯანყებაში ერისთავის მონაწილეობას ყოველმხრივ გააზვიადებდა, რადგან აჯანყებამდეც გადაწყვეტილი ჰქონდა მისი ჩამოცილება, აჯანყების თაოსნობას ზაალს დააბრალებდა: „ხოლო ესმა რა ესე აძბაჲი შაჰაბაჲსი ყაენსა, იწყინა დიდად. მაშინ ყაენშაჲცა მოსწერა წახდენა და სიკუდილი ერისთავისა ზაალისა“.<sup>34</sup>

როგორც უკვე ვთქვით, ზაალ ერისთავის დამოკიდებულება აჯანყებისადმი ფარული და საიდუმლო უნდა ყოფილიყო. მას დახმარებაც კი გაუწევია აჯანყებულებისათვის შვილებითა და მცირე მხედრობით.

ყაენისაგან მრავალჯერ დასაჩუქრებული ზაალ ერისთავი არ გახდებოდა აჯანყების აქტიური ინიციატორი და დამწყები.

კერძო ფეოდალური ინტერესებით აღჭურვილმა ერისთავმა იცოდა, რომ ქართლის სამეფო ტახტის მფლობელი გამაჰმადიანებული ვახტანგი, ყოველ შემთხვევაში, ამ პერიოდში, აჯანყებაში მონაწილეობას არ მიიღებდა, ხოლო აჯანყების დამარცხების შემთხვევაში ვახტანგი და შაჰი ერისთავს გააქრობდნენ. განდიდების უნით შეპყრობილ ერისთავს კი ასეთი შედეგი ხელს არ მისცემდა. ასეთი თავგანწირვა მას არ აწყობდა. ამიტომ დიდი სიფრთხილით მოეკიდა ზაალი აჯანყებას და მასში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია.

ბესარიონ ორბელიშვილი თავის თხზულებაში – „შესხმა წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელიზბარისა და უწყება წამებისა მათისა“ – 1660 წლის კახეთის აჯანყების მთავარ ხელმძღვანელად ბიძინა ჩოლოყაშვილს თვლიდა. ორბელიშვილმა ისტორიული სიმართლით გვაჩვენა აჯანყების მსვლელობა და აჯანყების ხელმძღვანელთა ბედი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გადაჭარბებას. რაც მის თხზულებას ახასიათებს.

ბესარიონ ორბელიშვილი წერდა: „წარვიდა (იგულისხმება ბიძინა ვ.ე.) წინაშე ორთავე ერისთავთა მიმართ ქართლისა არაგვისა და ქსნისათა და აუწყა ყოველი ძკარი მოწყენსლია მათი ზედა და ითხოვდა შეწყენასა მათ მიერ, რამეთუ მაშინ ერისთავობდა სეკისა არაგვისისა, რომელსა ეწოდებოდა ზაალ, და ქსანისა ზედა წმიდა ელიზბარ და წმიდა შალვა, რამეთუ ელიზბარ უმკვილო იყო და მოხუცებული დღათაი და წმიდა შალვა ძმისწული მისი შვილად მოიყუანა და ესრეთ ერისთავობდნენ ორივე ქსანისა ზედა“.

გარდა ამისა, ბიძინას ერისთავებისათვის უთქვამს: „დღეს ჩუენ არს მოწყენული ესე ძკირი“. მაგრამ მალე „თქუენ ზედაცა უქველად მოიწყეს განსაცდელი ესე“.

ორივე ერისთავი დათანხმებულა ბიძინას წინადადებაზე, ოღონდ სპარსელების შიშით არაგვის ერისთავი ზაალი ამკარად ვერ გამოსულა და დასახ-

<sup>34</sup> ბერი ეგნატაშვილი...ქართლის ცხოვრება, სიმ. ყაუხჩიშვილის რედაქც., ტ. II. 1959, გვ. 437-438.

მარებლად მხოლოდ მცირერიცხოვანი მხედრები მიუცია, ისიც საიდუმლოდ „...ურისთავი არაფვისა ცხადად ვერ იკადრებდა შექვეყნასა შაშისათვის სპარსთასა, არამედ მტორედნი ოდენ კაცნი რსკუელნი მხედრები მოსცნა თანა შექმვედ საიდუმლოდ“.<sup>35</sup> ქსნის ერისთავმა შალვამ და მისმა ბიძამ ელიზბარმა კი გულმოდგინებით „მოირთეს ძალი, რაისცა ოდენ შექმლებელ იყურეს სპითა თვისითა, მოვიდეს თიანეთს და ახმსეს თუშნი და მთიულნი და მტორედნი კაცნი თუ სადმადა იპოვებოდა და დაძქესა ერთსა ბნელსა და უმთვაროსა გარდავლეს მთა იგი და ჩაველეს ანშეცა და მივიდეს უგრძნობლად მათი ზედა და დაქსნენ მუნ მდგომთა თითართა ზედა“.<sup>36</sup>

ამრიგად, ზემოთ თქმულიდან ჩანს, რომ კახელებს გაუგზავნიათ ბიძინა ჩოლოყაშვილი ქართლში, ზაალ ერისთავს შვილები და მცირე მხედრობა მიუცია ბიძინასათვის, ისიც საიდუმლოდ, ბიძინას მიმხრობიან ქსნის ერისთავები – ელიზბარ და მისი ძმისწული შალვა და თიანეთში წასულან აჯანყების ხელმძღვანელობისათვის, სამივეს – ბიძინას, ელიზბარს და შალვას – უკისრიათ აჯანყების ხელმძღვანელობა. აჯანყების წამომწყები იყვნენ ჩოლოყაშვილი და მისი მახლობლები. ასეთი სურათი გვეხატება ბესარიონ ორბელი-შვილის მიხედვით 1659-1660 წლის კახეთის აჯანყების წამოწყებისა და ხელმძღვანელობის შესახებ.

ბესარიონ ორბელიშვილი, როგორც ვიცით, თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით ახლო დგას 1659-1660 წლის კახეთის აჯანყებასთან, იგი „თითქმის თანამედროვეა ნაწარმოებში გადმოცემული ამბებისა და მაშასადამე, თხზულება საიმედო წყაროა“.<sup>37</sup> აკად. კ. კეკელიძეც ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილის ხსენებულ თხზულებაში ისტორიული სინამდვილის ასახვას ხედავს, რომლის გამოც მას დიდ შეფასებას აძლევს. იგი წერდა: „ამ თხზულებაში აღწერილია ის უბედურება, რაც თავის დაატყდა აღმოსავლეთ საქართველოს შეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში შაჰ-აბაზ მეორის შემოსევის გამო. აქ მრავალი საყურადღებო ცნობაა ამ უბედურების შესახებ, რაც ოფიციალურმა ისტორიამ არ იცის“.<sup>38</sup>

აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით გამოცემულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოშიაც შევიდა შეხედულება იმის შესახებ, რომ ზაალ არაგვის ერისთავი 1660 წ. აჯანყების „მთავარი მომწყობი იყო“.<sup>39</sup>

<sup>35</sup> ბესარიონ ორბელიშვილი, შესხმა წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელიზბარისა და უწყება წამებასა მათისა, იხ. საქართველოს სამოთხე, 1882, საბინინის გამოცემა, პეტერბურდი, გვ. 602.

<sup>36</sup> იქვე, გვ. 603.

<sup>37</sup> მ. ქეთარია, 1659 წლის კახეთის აჯანყება /ეურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, §8. 1959, გვ. 80.

<sup>38</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია (ძველი მწერლობა), ტ. I. თბ., 1960, გვ. 353.

<sup>39</sup> ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1948, გვ. 351.

ეს შეხედულება შემდეგში, ფაქტობრივი მასალების უკეთ შესწავლის საფუძველზე დაზუსტდა. 1958 წ. გამოცემულ საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „ამ მრისხანე აჯანყებას სათავეში ედგენენ ბიძინა წილოყაშვილი, შალვა ქსნის ერისთავი და მისი ძმა ელიზბარი“.<sup>40</sup>

პოეტი-აკადემიკოსი გ. ლეონიძე 1959 წ. წერდა: „შალვა და ელიზბარ ერისთავების და ბიძინა წილოყაშვილის მეთაურობით, პარტიზანულმა რაზმებმა ამოწყვეტეს ოკუპანტები და გაათავისუფლეს კახეთი“.<sup>41</sup> ავტორი თვლიდა, რომ ზაალ არაგვის ერისთავი მხოლოდ ფარულად მიეშრო აჯანყებულებს.<sup>42</sup>

მოუხედავად აღნიშნულისა, ზაალ ერისთავს გარკვეული წვლილი მიუძღვის კახეთის აჯანყებაში.<sup>43</sup> ერისთავი აჯანყების დამთავრების შემდგომ პერიოდშიც ცდილობს, მიაღწიოს განდიდებას და ყენის თვალში საკმაოდ ამაღლებული პრესტიჟის შებღალვის გარეშე შესძლოს ვახტანგის დამარცხება. ამიტომ (მოუხედავად იმისა, რომ ადრე თიბურაზ მეფეც არ მოსწონდა და მას მხარს არ უჭერდა) ახლა, ვახტანგის შურით გამსჭვალული, როგორც ფარსადან გორგიჯანიძე აღმოგვცემს, რუსეთიდან დაბრუნებულ თიბურაზს უკავშირდება და ქართლში და კახეთში გაბატონებას სთავაზობს მას: „ამ დროს (საუბარია 1660-1661 წლებზე) არაგვის ერისთავი უკუსდგომოდა და ბატონის თიბურაზისა თვის სკანდის ცხენში კაცი და საფიცრის (წივნი) გაეგზავნა, „რომ ქართლსა და კახეთს თქვენის მეტი შექცოდრე პატრონი არსად დარსიოშილიო, მანდ ნუ დგახარ, კახეთს წაბრძანდიოთ, ქართლსც თქვენი იქნებისო“.<sup>44</sup>

<sup>40</sup> ნ. ბერძენიშვილი, ვ. ღონდუა, მ. ღუმაბე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1958, გვ. 303.

<sup>41</sup> გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, 1959, გვ. 419.

<sup>42</sup> იქვე, გვ. 421.

<sup>43</sup> დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II, 1965, გვ. 401-402; დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 344; საქართველოს ისტორია ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 332-333.

<sup>44</sup> ფარსადან გორგიჯანიძე...საქართველოს ცხოვრება, 'ხ. ჭიჭინაძის გამოც., 1913, გვ. 337.

### 3.4. კახეთის აჯანყების თარიღის საკითხისათვის

კახეთის აჯანყების აქ ჩამოთვლილ ხელმძღვანელთა შორის აღარ ვეხებით ზეზვა გაფრინდაულსა და მის თანამომძებებს, რადგან მათ შესახებ წინა პარაგრაფებში საკმარისად ვილაპარაკეთ. მაგრამ ის კი უნდა ითქვას, რომ კახეთის აჯანყების ირგვლივ რა საკითხსაც არ უნდა შევეხოთ ყველგან განსაკუთრებულ ადგილს იკავებს თუშეთის მონაწილეობა ამ აჯანყებაში. ეს ყოველივე უფრო დამაჯერებელი და ნათელი გახდა მას შემდგომ, როცა ჩვენმა სახელოვანმა ისტორიკოსებმა: ი. ცინცაძემ, გ. პაიჭაძემ, თ. ტივაძემ და სხვა მეკვლევარებმა გამოავლინეს მდიდარი რუსული საარქივო მასალა. რუსული საარქივო მასალით გახდა ცნობილი, რომ თუშები მოსკოვის სამეფო კართან ურთიერთობას ამყარებენ ჯერ კიდევ 1654 წლიდან. აღნიშნული საარქივო ისტორიული წყარო იძლეოდ მდიდარი და მრავალფეროვანია, რომ ნათლად მტკიცდება თუშეთის განსაკუთრებული როლი 1660 წლის კახეთის აჯანყების მომზადებასა და მისი გამარჯვებით დამთავრების საქმეში.

ხსენებული რუსული საარქივო მასალიდან კახეთის აჯანყებასთან დაკავშირებით, დიდ ინტერესს იწვევს 1660 წლის ივნისში თუშეთიდან რუსეთში გაგზავნილი ორი თუში ელჩის ოსტაპ არაბულის და ახულ ოსტროულის მიერ საქართველოსაკენ მომავალი რუსი ელჩებისათვის ასტრახანში შეხვედრის დროს მონათხრობიდან ის, რომ თურმე „...ყიზილბაშთა შაჰმა საქართველიოში ყიზილბაში ხალხი თაკისი ცოლეებითა და შვილებით (ასი ათასამდე) გამოგზავნა და უბრძანა მათ დაესახლებინა მთელი საქართველოს მიწა-წყალი რათა მას საქართველო საბოლოოდ დაეპოონილენინა. თუშებმა როცა ეს შეიტყვეს გაერთიანდნენ მათ წინააღმდეგ, ჩუქად თაკს დაიხსნენ იმ ხალხს და დედაწულიანად ამოწყვიტეს, ზოგი დაატყვევეეს, ზოგი კი შაჰთან გაიქცა“-ო.<sup>1</sup>

თუში ელჩების მიერ ასტრახანში მოსკოვის მეფის წარმომადგენლებთან გაკეთებული განცხადება, რომელიც მათ თერგის ციხე-გალავანში ყოფნისას ჩერქეზებისაგან გაუგიათ 1660 წლის შემოდგომაზე, ხოლო თვითონ კი 1661 წლის თებერვალში ყვებიან, იძლეოდ საგულისხმო და საინტერესოა, რომ მისი ზედმიწევნით გაანალიზებით რამდენიმე საკითხი კახეთის აჯანყების ისტორიიდან გამომდინარე შეიძლება ახლებურად იქნეს გაშუქებული. მაგალითისათვის, რუსულ წყაროებიდან მოტანილი ცნობები სულ სხვაგვარ ასპექტში მოითხოვენ შემდეგი სახის საკითხების განხილვას: ქართლ-კახეთის ბარიდან თუ მისი მთიანეთიდან რომელი კუთხე გახდა კახეთის აჯანყების ორგანიზატორი, სულის ჩამდგმელი და მთავარი მებრძოლი ძალა?

<sup>1</sup> გ. პაიჭაძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის / 1660-1685 წწ./ „საისტორიო მოამბე“, ტ. 23-24, 1970, გვ. 155; თ. ტივაძე, თუშ-ფშავ-ხევსურეთის რუსეთთან ურთიერთობის საკითხისათვის/XVIII-ის 50-60-იანი წწ./, იხ. „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, 1976, გვ. 242-243; ი. ცინცაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 183, ხაზი ჩვენია, ვ.ე.

რა იყო აჯანყების მიზეზი? რომელ წელს და წელიწადის რომელ დროს მოხდა აჯანყება და სხვა.<sup>2</sup>

ჩვენს შემდგომ ორი თუში ელჩის მონათხრობს, ხსენებული თვალსაზრისით, სათანადო ყურადღება მიაქცია პროფ. თ. ტივაძემ და ყურადსაღები დასკვნებიც გააკეთა. ელჩების რუსეთში გაგზავნის თარიღად დოკუმენტში მითითებულია, რომ ეს მოხდა 168 წლის ივნისში. აღნიშნულთან დაკავშირებით თ. ტივაძე შენიშნავს პროფ. ი. ცინცაძეს და განმარტავს, რომ „რუსული დოკუმენტის 168 წელი უტოლდება არა 1659-ს არამედ 1660 წელს“.<sup>3</sup>

ხსენებულ საკითხზე მსჯელობას აგრძელებს პროფ. თ. ტივაძე და დასძენს: „იმამი, რომ ბახტრაინის აჯანყების თარიღი დაწესდებას მოითხოვს, სკვენ ექვი არ გვეპარება. თუ დავეუქვებთ, რომ აჯანყება მართლად 1659 წლის ზაფხულში მოხდა, აუხსნელი დარჩება მთელი რიგი კითხვებისა, რომელიც ბუნებრივად იმის საკითხის მკვლევართა წინაშე. მაგალითად, როგორ მოხდა, რომ 1659 წლის სექტემბერამდე სარატოვში მდგარმა თემურაზმა, რომელსაც განუწყვეტელი კავშირი აქონდა საშმობლოსთან, ვერ შეიტყო ამის შესახებ და თერგიდან იმერეთში გადავიდა? ასეთ მძლავრ ანტიირანულ გაშთავლას რომ აქონდა ადგილი, თემურაზი უთუოდ შეიტყოდა და კახეთში ჩავიდოდა. უცნაურად მოჩანს ქართლის ტახტზე ანლად დასმული კახტანგ მქურთის პოზიცია (თავი რომ დაეხანებოთ შაჰის ხანებს, რომლებიც უამრავი ჯარით იდგნენ ყარაღაჯსა თუ სხვა პუნქტებში), რომელმაც 1659 წლის ზაფხულიდან 1660 წლის მაისამდე დაუსჯელიად დასტოვა ზაად ერძთაჟი და აჯანყების სხვა მოთავეები. არც ისაა ნაკლებ გასაკვირი, რომ ასეთი მნიშვნელოვანი, კავკასიის მასშტაბით, მოვლენა რუსულ საარქივო მასალებში მხოლოდ 1660 წლის შემოდგომასე იახისა“.<sup>4</sup>

პროფ. თ. ტივაძე იმასაც აღნიშნავს, რომ „ბახტრაინის აჯანყების 1660 წლით დათარიღება უცხო არ არის და სკვენს პრიორიტეტს არ წარმოადგენს. მაგალითად, არაქელ თავრიაევიც მითითებდა: „...იმამე წელს (ლაპარაკია 1659 წელზე - თ.თ.) სპარსელთა ხელშეწყობის შაჰ-აბას მეორის ბრძანებით მაჰმადიანების ტომებიდან 1500 ოჯახი თურქი წაიყვანეს, კახეთი აავსეს და აქ დაიასახლეს. 1660 წელს კავკასიის მოკებში მოხინადრე ქართველები, ხალხი, რომელსაც თუქმებსა და ფშაგებს უწოდებენ, მოვიდნენ ღამით და თურქების ამ 15000 ოჯახის მახვილთა მუსხრა გააგდეს“-ო.<sup>5</sup> კახეთის აჯანყების 1660 წლით დათარიღება თ. ტივაძეს შესაძლებლად მიჩნია იმ მოტივითაც, რომ: „აღნიშნული ფაქტის 1660 წლისათვის მიკუთვნება არც ქართული

<sup>2</sup> ვ. ელანიძე, თუშეთის სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ფეოდალიზმის ხანაში, საკანდ. დისერტაცია, ხელნაწ. 1968, გვ. 137.

თ. ტივაძე, თუშეთზე-ხევისრეთის რუსეთთან ურთიერთობის საკითხისათვის /XVII ს-ის 50-60-იანი წწ./, იხ. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, 1976, გვ. 243.

<sup>4</sup> თ. ტივაძე, დასახელებული შრომა, გვ. 243

წყაროებისათვისაა მიიღო უცნობი. მაგალითად, ბერი ეგნატაშვილი წერდა: „...იმერლებმა დაუწყვეს მეფეს შანაგაზის ლაპარაკი და დადიანსაც, რათა არა შორისილექსნეს ბაგრატს, იქიდან დადიანი მოუხდა და დაიპყრო იმერეთი, ხოლო მეფე შანაგაზ წარვიდა და შვიდა ფცის წყალზედა, და მას უამსა ზაალ ერისთავი არა შირნილებდა შანაგაზის და იყო განდგომილი, ამისათვის ვერღარა წარვიდა იმერეთს“. ამის შემდეგ აღწერილია ზაალ ერისთავის მიერ თურქმანული ტომების ამოწყვეტა. როგორც ვხედავთ, თარიღი მოცემული არა, მაგრამ ავტორს თურქმანული ტომების მოსპობა 1660 წლის შუა ხანების მოვლენების შემდეგ აქვს მოცემული. იგივეს იმეორებს ვახუშტიც: „...ხოლო მოკუდა რა აღექვანდრე მეფე იმერთა და მეფობდა ბაგრატ უთვალთ, მოუწოდეს ვახტანგ მეფესა იმერთა, შეკრბა ვახტანგ და დადგა ფცას. არამედ ზაალ ერისთავმან მოსწყვიტნა ელნი კახეთის და მტერობდაცა ვახტანგ მეფესა. ამისათვის უკუმოიქცა (ვახტანგი – თ. ტ.)-ო. აქაც როგორც ვხედავთ, ბანტრონის აჯანყება ქრონოლოგიურად ისევე 1660 წლის შუა ხანებს მიეკუთვნება, თუმცა უნდა ითქვას, რომ ვახუშტი ერთგან პირდაპირ 1659 წელს უთითებს“.<sup>5</sup>

ფარსადან გორგიჯანიძესთან, რომელიც 1659 წლიდან 1696 წლამდე შაჰის კარზე იმყოფება სხვადასხვა საპატიო თანამდებობებზე, კახეთის აჯანყების თარიღად 1660 წელი დასტურდება და არა 1659 წელი.<sup>6</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით თ. ტივაძე შენიშნავს: „ცნობილი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე, აღწერს რა აღექვანდრეს გარდაცვალების შემდეგ იმერეთში დაწყებულ აშლილობას, აღნიშნავს: „...არაგვის ერისთავი უკუსდგომოდა და ბატონის თეიმურაზისათვის სკანდის ცხენში კაცა და საფიცრის (წონი) გაგზავნა, რომ ქართლისა და კახეთის თქვენის მეტი მემკვიდრე პატრონი არისად დარწმობილიაო, მანდ ნუ დგახარ, კახეთს საბრძანდითო, ქართლიც თქვენი იქნებისო“. ამ დროს, მისივე ცნობით „...თუშთაო რაც კახეთში თათარი ყოფილაო, ამოუწყვეტათო, ყაენის ერისთავისათვის დაუბრალეზაო“. სკანდაში თეიმურაზი 1660 წლის მარტიდან ზაფხულამდე იყო, ე.ი. აქაც იგივე დათარიღებაა მოცემული“.<sup>8</sup>

კახეთის აჯანყების ზუსტი თარიღის დადგენა სამომავლო საქმეა და მხოლოდ დამატებითი კვლევა-ძიება გამოაჯღნის ჭეშმარიტებას. თუმცა თ. ტივაძეს, რომელიც ამ საკითხს სპეციალურად შეეხო ღრმად სჯერა, რომ „ყოველივე ეს (ე.ი. კახეთში სიარისილებისა და თურქმანების გაუღიქვა და ამ მხარის განთავისუფლება დამპყრობლებისაგან, ე.ი.) 1660 წლის შუახანებში ბანტრონის მძლავრი აჯანყებით დაგვირგვინდა.“<sup>9</sup>

<sup>5</sup> თ. ტივაძე, დასახელებული შრომა, გვ. 243

<sup>6</sup> თ. ტივაძე, დასახელებული შრომა, გვ. 244.

<sup>7</sup> ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, 1629, გვ. 62-63.

<sup>8</sup> თ. ტივაძე, დასახელებული შრომა, გვ. 244.

<sup>9</sup> თ. ტივაძე, საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის მეორე ნახევარში, 1977, გვ.82.

### 3.5. 1660 წლის კანკის აკანკების სახელოვანი გმირის შველა შველაიძის პიროვნების ვინაობის გარკვევისათვის

"თუში არიან ბრძოლასა შექმარიტელნი, მხენი, ძლიერი, მხედარი ნაჩაყვებულნი ...ხოლო უყუთო ვინ ზღვარი იყოს გულითა ყაყათაგანი ილყოდეს ბრძოლასა შინა, ამას აქმეენ ძალითა თანა გობასა შინა ძალითასა და არღარა ყაყათა თანა."

ვახუშტი

ბახტრიონის ციკლის ნაწარმოებებში ზეზვა გაფრინდაულის გვერდით სხვა სახალხო გმირებს შორის მოხსენიებულია ვინმე შველა შველაიძეც, რომლის სადაურობის შესახებაც აშკარად არსად არაფერი არ არის ნათქვამი, რაც რა თქმა უნდა, ერთგვარად ართულებს მისი ვინაობის გარკვევას. მაგრამ ხალხურ ლექსებზე დაკვირვებით ეჭვიმუტანლად მტკიცდება, რომ იგი თუში იყო და თუშთა ლაშქრის ხელმძღვანელთა პლეადს ეკუთვნოდა. ხალხური ლექსების ანალიზში მიიყვანა მსგავს დასკვნამდე პროფ. სოლ. ყუბანეიშვილიც, როცა აღნიშნა, რომ: „ბახტრიონის ბრძოლაში მონაწილეობა მიუღია შველაი შველაიძესაც, მას აეალებენ პანკისის მდინარეზე გადასვლას და ცხენების უკუღმა დაჭედვას. შველაიძეს ამ დაგალებას თუშები აძლევენ. მისი სხვა მოქმედებაც თუშების საქმიანობასთან არის დაკავშირებული. ყოველივე ამის გამო საფიქრებელია, რომ ის თუში იყო. ძნელია თქმა, შველაიძე გვარი იყო წინათ თუ არა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი გვარი თუშ-ფშავ-ხევისურთა შორის ახლა, რამდენადაც ვიცით, არ უნდა იყოს“-ო!<sup>1</sup>

აქ მოტანილი ამონაწერის დასკვნით ნაწილში ვერ დავეთანხმებით მეცნიერს, რადგან როცა იგი ხსენებულ მონოგრაფიაზე მუშაობდა, ახმეტის რაიონის სოფ. ქვემო ალვანში ცხოვრობდა იროდი შველაიძე, რომელიც სისხლხორცეული მემკვიდრე იყო სახელოვანი წინაპრისა.

შველა შველაიძე იყო თუშეთში გომეწრის თემის სოფ. ბეღელას მკვიდრი. სახელოვანი წინაპრის შთამომავლები დღესაც ახმეტის რაიონის სოფ. ქვემო ალვანში ცხოვრობენ და გმირი პაპის გვარს ატარებენ. ესენი არიან იროდის შვილები: ზარეშო შველაიძე, უმაღლესი განათლებით, მათემატიკოსი, ქმარშვილიანი და ბესიკი შველაიძე, ცოლშვილიანი. სახელოვანი წინაპრის

<sup>1</sup> სოლ. ყუბანეიშვილი, ბახტრიონის გმირები ქართულ მწერლობასა და ხალხურ სიტყვიერებაში, 1953. გვ. 29.

შთაბომაველები გადმოსცემენ, რომ შველას შვილს ლუხუში რქმეგია. ლუხუშის შთაბომაველობიდან ასახელებენ ბაგრატს, რომლის ვაჟიშვილის იროდის ოჯახილა არის დღეს ამ გკარიდან. იროდი თვითონ გარდაცვლილია. იროდის მუულუმ – ელისო შველაიძემ ბევრი საინტერესო ამბები იცის ბერი მამამთილის შესახებ. მისივე თქმით და ამას ადასტურებენ სოფ. ბელელას უზუცესი მკვიდრნიც, სოფ. ბელელაში მათი ახლანდელი საცხოვრებელი სახლი შველა შველაიძის ციხიდანაა გადაკეთებული. რომლის კედლებიც, როგორც სოფლის მოხუცები გადმოსცემდნენ – თურმე. საესე იყო შველას მიერ დახოცილი მტრების ხელებით<sup>2</sup>.

მუხუდავად იმისა, რომ შველა შველაიძის პიროვნების საკითხი და მისი როლი კახეთის 1660 წლის აჯანყებაში სწორად იქნა გაგებული თანამედროვე ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების გამოჩენილი მკვლევარების მიერ და თვით ხალხური ლექსების შინაარსიც არ იძლევა სხვაგვარი მსჯელობის უფლებას, ზოგიერთ მკვლევართან მაინც გვხვდება დემაგოგიური დასკვნები და უსიამოვნო უზუსტობანი.

აკად. აკ. შანიძე ერთ თავის წერილში – „თუშები“, სხვა მრავალ საკითხებთან ერთად, შეეხო თუშების მონაწილეობას ბახტრიონის აჯანყებაში და მთელი რიგი უსიამოვნო დასკვნები ჩამოაყალიბა. მეცნიერს სურს, რომ ხსენებულ აჯანყებაში თუში კი არ ფიგურირებდეს მარტო, როგორც ხალხი და ტომი. არამედ თუში ტომის ორი თემი: წოვა და ჩაღმა. სახელოვანი მეცნიერის მიერ ისტორიული სინამდვილის ამკარა გაყალბების მთელი დედა-აზრი იმაში მდგომარეობს რომ შველა შველაიძე წოვა-თუშად გამოაცხადოს და წოვების მონაწილეობა ამ აჯანყებაში რეალურ სინამდვილედ დაგვიხატოს. მეცნიერი აღნიშნავს, რომ „ბახტრიონის იღებამს წოვა თუშებიც მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ შველა შველაიძის მეთაურობით და თაჟიც დიდად ისახელეს“-ო მკვლევარი აგრძელებს მსჯელობას და დაასკვნის, რომ „თუ ჩაღმანი ნაქერალის მთით გადმოვიდნენ და ქვემოდან შემოუტიეს ბახტრიონში მღვომ თათრებს, წოვანი პანკისზე დაეშვნენ და ზემოდან მოუარეს: „შველაო შველაიძეო, პანკისს გასტეხე წყალიო“<sup>3</sup>.

პატივცემული მეცნიერისათვის ასეთი მსჯელობის წყაროს და სახელმძღვანელოს წარმოადგენს ერთად-ერთი ხალხური ლექსი – „ბახტრიონს სხედან თათრები“, რომელიც, ალბათ, ყველაზე ადრე ჩაიწერა თვით თუშმა ი. ცისკარიშვილმა და მანვე გამოაქვეყნა 1849 წელს გაზეთ „Кавказ“-ში. მკითხველი თვითონ მიხვდება, რომ ლექსში საუბარია თუშებზე და არა თუშების რომელიმე თემზე, მაგალითად: ჩაღმებზე და წოვებზე. ლექსში არც იმაზეა

<sup>2</sup> აღნიშნული ჩანაწერები ელისო შველაიძისაგან ვაწარმოვეთ 1977 წელს. სოფ. ქვემო ალვანში.

აკ. შანიძე. თუშები. ჟურნ. „მნათობი“. №2. 1970, გვ. 100.



საუბარი, რომ „ნაღმებმა ქვემოდან შემოუტიეს ბახტრიონში მდგომ თათრებს“, ხოლო „წივანი პანკისზე დაქმნენ და ზემოდან მოუარესო“.

მოუხმინოთ ხალხურ მოღვესეს და დაურწმუნდებით, რომ იქ ყველაფერი რიგზეა და ტყუილად ვიმოწმებთ მას.

„ბახტრიონს სხედან თათრები, სიტყვას ამბობენ ძნელსაო:

ახმეტას ჩავჭრით ვენახსა, შიგ დავასახლებთ ელსაო.

შეიტყეს თუშიშვილებმა, მალღ შემოირტმენ ხმლებსაო.

ჯერ შუალამე არ ქმნილა, ნაქერალს გროვდებიანო.

შველაო შველაიძეო, პანკისს გასტეხე წყალიო.

უკულმ დავსჭედოთ ცხენები, დავამაღვინოთ კვალია...

საგათენებლოდ დავეცნეთ ბახტრივანს გალაგანზედა.

გარეთ გამოდი სულთანო, თუშნი გისხედან კარზედა,

თუ ნებით შენ არ გამოხკალ, გამოგიყვანენ ძალზედა

მეტი ვარ საღირისშვილი, ნუ მიმზერთ ტალავარზედა,

გადავალ, გადაფრინდები ბახტრიონს გალაგანზედა,

შვიდი არ მოგკლა ხმალ და ხმალ,

გამცვალეთ თათრის ქალზედა“...<sup>4</sup>

აღ. ხახანაშვილისა და ივ. ბუქურაულის მიერ სხვადასხვა ადგილზე და სრულიად სხვა დროს ჩაწერილი თუშური ხალხური გადმოცემაც, რომელიც სრულყოფილად მოვიყვანეთ პარაგრაფში – „ზეზვა გაფრინდაული“, არ გვაძლევს უსწორო მსჯელობის უფლებას. ხსენებულ გადმოცემაშიც საუბარია თუშებზე, როგორც აჯანყების ერთ-ერთ მთავარ მებრძოლ ხალხზე, რა თქმა უნდა, ფშავ-ხევსურებთან ერთად და არა თუშეთის ცალკეულ თემებზე, როგორცაა: ჩაღმა, გომეწარი, პირიქითი და წოვათა. თუშ ტომს ეს ოთხი თემი შეადგენდა და ხალხური მოღვესე-მთქმელნიც მათ ერთი-მეორეს არ აცალკევებდნენ და ყველას თუშის სახელით მოიხსენიებდნენ. ხალხური მთქმელი როცა თუშს ასახელებს როგორც აჯანყების მოქმედ პირს, ის ხომ ოთხივე თემის თუშეთის მოსახლეობას წარმოადგენდა და ამიტომაც ის არ წვრილმანდებოდა. არავის არა აქვს უფლება, რომ აჯანყებაში თუშეთის რომელიმე თემის მონაწილეობის თაობაზე ეჭვი გამოთქვას და აუგად მოიხსენიოს. ამის უფლებას არაფერი არ გვაძლევს. ეს ხომ ისეთი მასშტაბის აჯანყება იყო, რომ მასში მარტო ქართლ-კახეთის მთისა და ბარის მოსახლეობამ კი არ მიიღო მონაწილეობა, არამედ იმიერ-კავკასიელებმაც. იმიტომ ვაიმარჯვა კახეთის აჯანყებამ და ქართველი ხალხიც გადაურჩა ამკარა ფიზიკურ კატასტროფას. თუშური ხალხური გადმოცემის აქ მოყვანილ ამონაწერში კარგად მოსჩანს თუშ-ფშავ-ხევსურეთის ერთიანობა და მთელი თუში ტომის ერთიან განუყოფელ ძალად მოქმედება: „აღიჭურკა ჯარი თოფ-იარაღით, – ვკითხუ-

<sup>4</sup> გაზ. „Кавказ“ №13, 1849

ლობთ გადმოცემაში, — და ორ ნაწილად გაიყო. ერთი წყება წაჰკიდა პანკისის ხეობაზე, მეორე ნაქერალზე — ალკანის ბახტრიონზე. ბახტრიონში თათრების ჯარი იდგა და იმის ისაღებად დაიძრა თუშ-ფშაგ-ხევსურეთი. მხედართა წყობამ, რომელიც წამოვიდა პანკისის ხეობაზე, ბაწარას წყალზე, ნახა თათრების ნაცარ დაყრილი ბოგარი, რომ ნაკალი შეტყობოდა და ნაფხურზე გამვლელს დასდევნებოდნენ. ბოგირზე გასვლის კვალი რომ დაემალათ, თუშებმა უკუღმა დაჭედეს ცხენები, თათრების შეთვალყურებებს უნახავთ ზეგით წასული კვალი და ამ ვითომ გატყვეულ თუშების ჯარს ბახტრიონიდან დასდევნებიან თათრები. თუშებმა ტყეში შეაფარეს თავი და როცა მღვიპარი ზეგით გასცდა, ბახტრიონისაკენ გასწიეს“.<sup>5</sup>

აკად. აკ. შანიძის მიერ ხსენებულ წერილში ბახტრიონის აჯანყებაში თუშთა მონაწილეობის თაობაზე დაშვებულ მთელ რიგ უზუსტობათა შესახებ 1978 წელს საგაზეთო წერილით<sup>6</sup> გამოვეხმაურეთ. ბატონი აკაკი შანიძე ჩვენს წერილს გამოსვლისთანავე გაეცნო. მაგრამ მას იგი არ გამოხმაურებია.

მიუხედავად აღნიშნული წერილის არსებობისა, სადაც აბ. შავხელიშვილის მიერ გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში<sup>7</sup> ბახტრიონის აჯანყებაში თუშთა მონაწილეობის თაობაზე დაშვებულ სერიოზულ შეცდომებზეც ვიმსჯელებთ, მან 1987 წელს გამოცემულ გამოკვლევაში — „თუშეთი“ ჩვენი მსჯელობა შველა შველაიძის შესახებ დაუჯერებლად მიიჩნია, კერძოდ, მას არ უნდა რომ შველა შველაიძეს მხოლოდ თუში ერქვას და მისი ოცნებაა როგორმე იგი თუშეთის ერთი თემის: წოვა-თუშების კუთვნილებად გამოაცხადოს. თუშეთის ისტორიის მიჩქმალვა და ცალმხრივი გაშუქება, მისი ნამდვილი ისტორიის გაყალბებულად წარმოდგენა და თუშეთის ერთი თემის — წოვების ისტორიის განდიდება, აბ. შავხელიშვილისათვის დამახასიათებელი ავადმყოფური თვისებაა, რაც ჩვენი სწავლულების მიერ მრავალჯერ იქნა შემჩნეული და მიუთითეს კიდევ: ისტ. მეცნ. დოქტ. პროფ. გ. სტიფნაძე შენიშნავს „მიუხედავად იმისა, რომ სარეცენზიო ნაშრომში (საუბარია მონოგრაფიაზე — „აღმოსავლეთი საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან“, თუშეთი XVI-XIX-ს-ის I ნახევარში, 1977, გვ.) საერთოდ მთელ თუშეთზეა ლაპარაკი, დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ ავტორის ინტერესი უპირველეს ყოვლისა წოვებზეა აქცენტირებული“.<sup>8</sup> თუშეთის ისტორიისადმი ხსენებული მკვლევარის აღნიშნული დამოკიდებულება აქვს მხედველობაში ფილოსოფიურ მეცნ. დოქტორს, პროფ. გ. ყორანაშვილს როცა შენიშნავს, რომ: „...ბევრი რამ მისეული მსჯელობებიდან დანარჩენ თუშებს (არა წოვა-

<sup>5</sup> სოლ. ყუბანიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 20.

<sup>6</sup> ვ. ელანიძე, ბახტრიონის აჯანყებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ უზუსტობათა გარკვევისათვის. გაზ. „განახლებული თუშეთი“. №21, 22, 1978წ

<sup>7</sup> ა. შავხელიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თუშეთი XVI-XIX საუკუნის I ნახევარში, 1977.

<sup>8</sup> ჟურნალი „მაცნე“, №1, 1978, გვ. 196.

თუშებს) გამაღიზიანებლად ეჩვენებათ (და არცთუ უსაფუძვლოდ)“...<sup>9</sup> ზეზვა გაფრინდაულის, მეტი საღირიშვილისა და შეელა შველაიძის დამოკიდებულებაში ხომ ა. შავხელიშვილმა ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა.

შველა შველაიძეს, თუმი სახალხო გმირის ტიტული ჩამოაშოროს, მინსაკუთროს და წოვა-თუშად გამოაცხადოს, ა. შავხელიშვილისათვის მთავარი სახელმძღვანელო გახლავთ აკად. აკ. შანიძის მსჯელობა შველა შველაიძისა და წოვა-თუშების ბახტრიონის აჯანყებაში მონაწილეობის შესახებ, რომლის თაობაზეც ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. აღნიშნულის შესახებ აბ. შავხელიშვილი დასძენს: „ბახტრიონის აჯანყების თაობაზე საინტერესო დაკვირვება აქვს აკად. აკ. შანიძეს“ და მოაქვს „სახელმძღვანელო“ და „დამაჯერებელი“ ამონაწერი: „ბახტრიონის აღებაში წოვა-თუშებიც მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ შეელა შველაიძის მეთაურობით და თავიც დიდად ისახელეს. თუ ჩაღმანი ნაქერალას მთით გადმოვიდნენ და ქვემოდან შემოუტყეს ბახტრიონში მდგომ თათრებს, წოვანი პანკისზე დაეშენენ და ზემოდან მოუარეს: „შველაო, შველაიყო, პანკისის გატყეხე წყალიო“.<sup>10</sup>

ბატონი აკ. შანიძე ენათმეცნიერი იყო და თუშეთის ისტორიასთან, რა თქმა უნდა, ნაკლებად მიუწვდებოდა ხელი. რის გამოც ხსენებულ წერილში მან არა ერთი სერიოზული და დამაფიქრებელი შეცდომა დაუშვა. მაგრამ ა. შავხელიშვილს რაღა მოხდის, მან ხომ კარგად იცის, როგორც თუშეთის ისტორიის მკვლევარმა და ტომით წოვა-თუშმა, რომ არც აღნიშნულ თუშურ ხალხურ ლექსში, არც აჯანყების შესახებ არსებულ თუშურ გადმოცემაში და არც საერთოდ ბახტრიონის ციკლის არც ერთ ვარიანტში წოვა (წოვა-თუში) არსად არ ხსენდება და ყველგან საუბარია მხოლოდ თუშებზე და თუშეთზე. შეგნებით რატომ ამახინჯებს ისტორიულ სინამდვილეს, ვის სჭირდება გაყალბებული ისტორია? აღნიშნულის თაობაზე მას ზემოთ დასახელებულ საგაზეთო წერილშიც მივუთითეთ, როცა მან სცადა, რომ მკითხველი საზოგადოება შეცდომაში შეეყვანა ი. ცისკარიშვილის დამოწმებით, რომ თითქოსდა, კახეთის აჯანყებაში თუშეთის ოთხივე თემი მონაწილეობდა და ისინი მოხსენიებულნიც არიანო თემების მიხედვით: „XIX-ის I ნახევრის ეთნოგრაფის ი. ცისკარიშვილის მოქყაყეს ფრიად საყურადღებო ცნობები იმის დასამტკიცებლად, რომ ბახტრიონის აჯანყებაში მონაწილეობდნენ თუშეთის ოთხივე თემის წარმომადგენლები“.<sup>11</sup>

ი. ცისკარიშვილის ცნობილ გამოკვლევაში – „წერილები თუშეთზე“, რომელიც გამოქვეყნებულია გაზ. „კავკაზ“-ის მე -7-13-ე ნომრებში, კერძოდ კი №13-ში, სადაც იგი ეხება ბახტრიონის აჯანყებაში თუშების მონაწილეობის

<sup>9</sup> გ. ყორანაშვილი. „სრულ ერთობილნი თუშნი“. გაზ. „თბილისი“, 9 დეკემბერი, 1988.

ა. შავხელიშვილი, თუშეთი, 1987. გვ. 101.

<sup>11</sup> ა. შავხელიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მითანეთის ისტორიიდან, გვ 156

საკითხს, არსად თუშებს ცალკეული თემების მიხედვით არ ასახელებს და მხოლოდ თუშებზე და თუშეთზე ლაპარაკობს.<sup>12</sup> სხვანაირად ალბათ, სახელოვან მკვლევარს ვერ წარმოედგინა და იმიტომაც არის, რომ მის მიერ თუშეთის ისტორიის თაობაზე დატოვებულ საინტერესო მემკვიდრეობაში არც ერთი სუბიექტური ცდუნება არა აქვს დაშვებული. იგი ჭეშმარიტი თუში იყო და წინაპართა ისტორიასაც დიდის მოკრძალებით ეპყრობოდა.

შველა შველაიძის მხოლოდ თუშეთის ერთი თემის – წოვთა თემის კუთვნილებად მიიხედავს აკ. შანიძის ზემოთ მოტანილი ამონაწერით წახალისებული მკვლევარი შენიშნავს: – „ითიქოს საკითხს გარკვეული უნდა იყოს, მაგრამ იმისათვის, რომ უფრო ნათელი გასდეს შველა შველაიძის გვანალოვან „შველა, შველა, ცისკარი, შველა, უთი, ფოცხვერი, იოსებო, გაბრიელი, დიმიტრი, პეტრე, გიორგი, პეტრე“.<sup>13</sup> აი ასეთ საქციელზე ნათქვამი – „ენას ძვალი არა აქვსო“

ანდა – „პირზე მოსულსა სიტყვასა განა სულ ყველას თქმა უნდაო“. კაცს ხომ უნდა გესმოდეს ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ როცა სხვისას რაიმეს ითვისებ, ეს სხვა არაფერი არ არის თუ არა უზნეობა, უზნეობა კი სულიერ სიმწირეს შობს.

როცა შველა შველაიძის შთამომავლობა ჯერ კიდევ ცოცხლობს და ისინი წინაპრის გვარს სიამაყით ატარებენ, როცა შველა შველაიძის სოფელი ბელელა თუშეთში ისევ მოქმედებს და ლეგენდარული გმირის ნაციხარზე ამუშავებული შველაიძეების სახლი კვლავ ახშიანებს წინაპრის ღვაწლსა და ამაგს, როცა შველა შველაიძის უშუალო შთამომავლის – იროდი შველაიძის სახლი ქვემო ალვანშიც, ცენტრთან ახლოს მთავარი შარაგზის პირზე ამჟამადაც არსებობს და მისი ქალიშვილი ზარემო შველაიძე თავისი ქმარშვილით და ვაჟიშვილის ბესიკის ცოლშვილთან ერთად არასდროს ივიწყებენ დიდი და სახელოვანი პაპის ამაგს. როცა მთელმა თუშებმა და პირველ რიგში სოფ. ბელელას მცხოვრებლებმა წინაპართა გადმოცემით იცოდნენ და იციან, რომ შველა შველაიძე, თუ თემის მიხედვით ვიმსჯელებთ. გომეწრის თემს ეკუთვნოდა და სოფ. ბელელადან იყო და ზეზვა გაფრინდაულთან ერთად დიდად ასახელებს თუშობა კახეთის აჯანყებაში,

განა აქვს ვისმეს მორალური თუ ზნეობრივი უფლება, რომ ყოველივე აღნიშნული დაივიწყოს, არაფერს ანგარიში არ გაუწიოს და განაცხადოს – „აქედან შეიძლება დაგასკნათ, რომ შველა შველაიძე, ბახტრიონის ბრძოლაში სახელმწიფოებრივი გმირი არის წოვა-თუში ცისკარიშვილების გვარიდან, რაც როგორც ხალხური გადმოცემებით, ასევე ისტორიული ცნობებითაც საკამათო არ უნდა იყოს“-ო.<sup>14</sup>

<sup>12</sup> გაზ. „Кавказ“ №13. 1849წ

<sup>13</sup> ა. შავხელიშვილი, თუშეთი, 1987. გვ. 101.

<sup>14</sup> ა. შავხელიშვილი, თუშეთი, 1987. გვ. 101

საკამათო მართლაც რომ არაფერია ა. შავხელიშვილის მსგავსი დემაგოგი მკვლევარები რომ არ არსებობდნენ და შეგნებით არ ამღვრევდნენ ისტორიის თავანკარა წყარო-მდინარეებს.

არავითარი ხალხური გადმოცემები და ისტორიული ცნობები არ არსებობს იმის თაობაზე, რომ შველა შველაიძე „წოვა-თუში იყო და თანაც ცისკარიშვილების გვარიდან“ ეს სხვა არაფერი არ არის თუ არა სახელოვანი წინაპრის ძეგლების შეგინება და მისი შთამომავლობისათვის წარუხოციელი შეურაცხყოფის მიყენება. ასეთი აფსურდულ-დემაგოგიური კვლევისათვის პიროვნება უნდა ისჯებოდეს და მხოლოდ წერილობითი პასუხით არ უნდა ვკმაყოფილდებოდეთ.

შველა შველაიძე, რომ ნამდვილად სოფელ ბეღელაძან უნდა ყოფილიყო და იგი გომეწრის თემს ეკუთვნოდა, რომ შთამომავლობა მართალია რასაც სახელოვანი წინაპრის შესახებ ყვებიან და მასში ეჭვი არ უნდა შეგვექონდეს, კარგად მტკიცდება საარქივო მასალითაც. 1843 წლის თუშეთის კამერალური აღწერით სოფ. ბეღელაში სხვა გვარებს შორის (სულ 16 კომლი ცხოვრობს) მოხსენიებულია გვარი – შველაშვილიც,<sup>15</sup> მაშინ როცა ასეთი გვარი თუშეთის არც ერთ თემში არ გვხვდება.<sup>16</sup> კახო შველაშვილი,<sup>17</sup> რომელსაც ოთხი ვაჟი ყავს, რა თქმა უნდა, შველა შველაიძის შთამომავალია და სახელოვანი წინაპრის გვარის ღირსეული გამგრძელებელი. აქ შემთხვევით მოვლენასთან არ უნდა გვექონდეს საქმე.

<sup>15</sup> საქ. ისტ. არქივი, ფონდი – 254, საქმე-2042, გვ. 68.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 72-233

იქვე, გვ. 68.

### 3.6. 1660 წლის კახეთის აქაჩებში თუშ-ფშავ-ხევსურეთის მონაწილეობის კონომიკური და პოლიტიკური საფუძვლები

1660 წლის კახეთის აჯანყების შესახებ განხილულ პარაგრაფებში მკითხველი არაერთგზის შეხვდა ხსენებულ აჯანყებაში თუშ-ფშავ-ხევსურთა აქტიური მონაწილეობის დამადასტურებელ მრავალფეროვან მონაცემებს. მაგრამ მისათვის, რომ ქარაიელმა მთიელებმა-თუშებმა, ხევსურებმა და ფშავ-ლებმა სამშობლოს მხსნელ და გადამარჩენელ ამ უდიდეს მოძრაობაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს და იგი მაინც და მაინც ფართო მასშტაბით არ არის გამოვლინებული, გადავწყვიტეთ მკითხველს სხვა დამატებითი მასალაც მივაწოდოთ. რომელთა გაცნობითაც იგი უტყუარად დარწმუნდება კახეთის მთიელთა როლსა და მნიშვნელობაზე აღნიშნული აჯანყების ისტორიაში.

წინა პარაგრაფებში ითქვა და აქ აღარ გავიმეორებთ იმ უმძიმეს დროსა და ჟამზე, რაც შაჰ-აბასის შემოსევებმა და მომდევნო მოვლენებმა გამოიწვია ქართლ-კახეთში. ქართლთან შედარებით კახეთში უფრო გაუარესდა მდგომარეობა. კახეთის მოსახლეობა განიცდის სრულ ეროვნულ ჩაგვრას და კარგად ხედავს თავის უბედურ მომავალს. ასეთ რთულსა და კრიტიკულ პირობებში ჩავარდნილ ქართლ-კახეთის მოსახლეობას შეზღუდული აქვს საშუალებები და პირობები, რითაც მას შესაძლებლობა ჰქონდა თავი დაეხსნა მოახლოებული საშიშროებისაგან. ქართლ-კახეთის მოსახლეობა განიცდის უმძიმეს ტანჯვას; ირანელთა მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ მოქცეული კახეთის მოსახლეობა საშუალებას მოკლებულია, რომ დამპყრობელთა წინააღმდეგ ხმა აღიმართოს და სამაგიერო მიუზღას მათ. ქართლ-კახეთის მოსახლეობამ შექმნილ რთულ პოლიტიკურ ატმოსფეროში თავისი გამოსავალი და მყარი დასაყრდენი-თუშ-ფშავ-ხევსურეთში გამოიხატა. ამ ძნელებლობის დროს თავისი სიტყვის თქმა შეეძლო მხოლოდ მთას, რადგან ჯერ იქ სპარსი დამპყრობლების მახვილსა და სისხლიან ფეხებს ვერ მიეღწიათ და ხალხში კვლავ მძლავრობდა ბრძოლის სურვილი და მშობელი ქვეყნის სიყვარული: „კახეთისი მთიანეთი ირგანული ნაწილი იყო კახეთისა და მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბართან. აქ, მთაში, თავიშეკარგარს პოულობდნენ მტრის შემოსევით შეკისრებულნი ბარელები; მთა მიუკავალ ცინე-სიმაგრეს წარმოადგენდა, სადაც ხედბოდა ძალების დაგროვება და აქედანვე იწყებოდა გადასწევები შეტევა მომხდურთა გასადევნად. მთა ბარის ამოუშრეტელი რეჩერეს წარმოადგენდა.<sup>1</sup>

ნ. ასათიანი, ბახტრიონის გიორული ეპიკის 300 წლისთავის გამო. ჟურნალი „მნათობი“ №8, 1959 წ., გვ. 119. დ. გერიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II., 1965, გვ. 400.

ქარსლ-კახეთში შექმნილმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მთის მოსახლეობაში. ბარის უბედურება მთის უბედურება იყო. ბარის გარეშე მთის არსებობა წარმოუდგენელი იყო.<sup>2</sup> ამიტომ იყო, რომ 1654-56 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, თუშეთის მეთაურობით, აქტიურად ჩაება ქვეყნის გადარჩენისათვის დაწყებულ მოძრაობაში. „თუშეთი, - წერს პროფ. ი. ცინცაძე, - ფშავეთისა და ხევსურეთის სათავეში დგება და წამყვან როლს ასრულებს მთის ამ ქართველ ტომებს შორის.“<sup>3</sup>

მართალია, „ქართველი მთიელები ქვეყნის ყველაზე ერთგულ ძალას წარმოადგენდნენ და საქართველოს ბარის გადარჩენაში ყოველთვის ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ,“<sup>4</sup> მაგრამ მთის მიერ აღნიშნული აჯანყებისათვის მზადება და შემდგომ მონაწილეობა არ შეიძლება აეხსნათ მარტო ქვეყნისადმი ერთგულებითა და თავდადებული სიყვარულით. ამ აჯანყებაში მთის მოსახლეობის ჩაბმის მიზეზთა შორის მთავარ ადგილს იკავებს აგრეთვე ის მოახლოებული ეკონომიკური საშიშროება, რაც გამოიწვია კახეთში სპარსელების გაბატონებამ, განსაკუთრებით მომთაბარე თურქმანული ტომების ერთდროულმა ჩამოსახლებამ იორ-ალაზნის ველებში და მათ მიერ მთის მეცხვარეობის არსებობა-განვითარებისათვის საჭირო საძოვრების დაკავებამ. მეცხვარეობა ძირითადი დარგი იყო კახეთის მთის მოსახლეობისათვის. მეცხვარეობისათვის კი აუცილებელი იყო საზამთრო საძოვრები, რომლებიც მდებარეობდნენ კახეთში. შექმნილმა მდგომარეობამ ენერგიულად უბიძგა თუშეთს და მისი მეთაურობით ფშავ-ხევსურეთს, რათა ქართლ-კახეთის პოლიტიკურ საქმიანობაში აქტიურად ჩაბმულიყო და გადამჭრელ ღონისძიებათა გატარების საფუძველზე პირობები გაეუმჯობესებინა. თუშეთი კარგად ერკვეოდა შექმნილ სიტუაციაში, იგი გრძობდა, რომ მარტო მთისა და ბარის მოსახლეობა ვერ განახორციელებდა კახეთის განთავისუფლებას სპარსი დამპყრობლებისაგან. ამის გამო თუშეთი ფშავ-ხევსურეთთან ერთად ურთიერთობას ამყარებს რუსეთის სახელმწიფოსთან. „თუშეთი, - წერს პროფ. ი. ცინცაძე, - კახეთის სმარსთა ბატონობისაგან განთავისუფლების საქმეში აქტიურადაა ჩაბმული, იგი ქვეყნის გამათავისუფლებელი ბირთვის დასაყრდენია, გამათავისუფლებელი მოძრაობის წამყვან ძალად კი რუსეთთან ნავარაუდევია.“<sup>5</sup>

თუშეთის ავტორიტეტის წინა პლანზე წამოწევა და მისი მეთაურობით ფშავ-ხევსურეთის ჩაბმა რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის დამ-

<sup>2</sup> დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. ტ. II. თბ., 1965 წ., გვ. 400

<sup>1</sup> ი. ცინცაძე, საქართველოს მოიანეთის რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან, იხ. ჟურნალი „მნათობი“, №2, 1956. გვ. 176.

<sup>4</sup> შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, ნ. ასათიანი, ბახტრიონის გმირული ეპოპეა. გაზ. „კომუნისტი“, 1959 წ., №82.

<sup>5</sup> ი. ცინცაძე, დასახელებული ნაშრომი. გვ. 181.

ყარებისათვის ბრძოლაში ცალკე კვლევა-ძიების საკითხია, რომელსაც თავისი საფუძველი და ახსნა გააჩნია. მაგრამ მთავარი ამ ურთიერთობის დამყარებისათვის ბრძოლაში მაინც ის არის, რომ მთის მოსახლეობას ქართლ-კახეთთან ერთად ანტიერესებს სპარსი დამპყრობლების განდევნა და კახეთის გაათავისუფლება. სხვა მიზანი და მისწრაფება არ არსებობს თუშეთისათვის. თუშეთის სამსახური, მისი გაბედული მოქმედება 1654-56 წლებიდან, რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის აღდგენისა და რუსეთიდან დამხმარე ძალების საქართველოში შემოყვანის ცდა აღნიშნულ ძირითად ფაქტორთან ერთად განპირობებული იყო სამშობლოს მძაფრი სიყვარულითა და დამპყრობელი მტრისათვის სამაგიეროს გადახდით. თუშეთი რამდენჯერმე აგზავნის ელჩებს მოსკოვში, განუწყვეტელი მიმოწერა და ელჩების გაცვლა-გაბოცვლა წარმოებს რუსეთსა და საქართველოს მთიანეთს შორის, რომელსაც თუშეთი მეთაურობს. რუსეთი დიდად იყო დაინტერესებული თუშეთის ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობით და კერძოდ იმით, თუ თუშეთს რამდენად მოსახერხებელი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს კახეთის მიმართ, შეიძლება თუ არა თუშეთზე დაყრდნობით ქართლ-კახეთიდან ირანელთა განდევნა და რუსეთის პოზიციების განმტკიცება კახეთში. წლების მანძილზე რუსეთი მხოლოდ თუშეთისა და ფშავ-ხევსურეთის შესწავლას უნდებოდა და მთიელთა თხოვნას მეორეხარისხოვნად მიიჩნევდა. ბოლოს, 1658 წელს თვითონ თეიმურაზ პირველიც კი იძულებული გახდა მოსკოვში წასვლა გადაეწყვიტა. მოსკოვისაკენ გამგზავრებულ მეფის ამაღლას თან მიჰყვება 8 კაცისაგან შემდგარი თუშთა ელჩობაც. აღნიშნულ ელჩობაზე რუსულ საბუთებში დაცულია, რომ: „Да с царем же Тенмуразам приехали к великому государю к Москве Болхарской владелец Артур Айдабулов да Тушинские земли: Наум Иванов. Петр Наумов. Михайло Сидоров. Роман Григорьев. Кузма Максимов. Федор Михайлов, всего 8 человек, корму всем по 6 алтын“.<sup>6</sup>

რუსეთში თეიმურაზისა და მისი ამაღლის ჩასვლის დროს საერთაშორისო მდგომარეობა საკმაოდ გართულებული იყო. რუსეთი ჩაბმული იყო დიდ ომებში დასავლეთის საზღვრებზე. უკრაინის შემოერთებაც ის-ის იყო ახლად დამთავრებულიყო. ცალკე თურქეთი და ყირიმი უქმნიდა საშიშროებას. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ რუსეთს არ შეეძლო საქართველოსათვის დახმარების აღმოჩენა.

თეიმურაზ მეფე ბოლოს სამშობლოში დაბრუნებასა და თავის ქვეყანაში უშიშრად გამოგზავრებისათვის 8-ათასიან რაზმს თხოვს მოსკოვის სამეფო

<sup>6</sup> ЦГАДА №3 1656 мая 16-1658 ноябрь. Приезд на Московскую границу грузинского царя Теимураза. გვ. 192. ციტირებულია შრომიდან — ი. ცინცაძე. აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან. ყუჩან. „მნათობი“. №2. 1956. გვ. 180-181. „Источники архив М. А. Полиневкова“. ЦГА ГССР, ф. 1505. д. №20. л. 138.



კარს. თანაც გამყოლი რაზმი უნდა შემდგარიყო 7000 ცხენოსანი და 1000 ქვეითი ჯარისკაცისაგან. თეიმურაზ პირველის წინადადება მღივნებს ასე აქვთ ჩაწერილი „Великий государь пожаловал бы его вселя проводить своим государевыми людьми до Тушинской земли, а надобно де ему в провожатые тысячь 7 конных людей. Да пожаловал бы-де великий государь тысячу ратных людей пеших в его грузинскую землю, чтоб его те государевые ратные люди... его обергали“.<sup>7</sup>

მოტიანილი ამონაწერიდან ნათელი ხდება თეიმურაზის გადაწყვეტილება: თეიმურაზს სურს რუსეთიდან წამოყვანილი 8-ათასი მეომარი თუშეთში გადმოიყვანოს. მართალია, რუსული ძეგლებიდან აღარ ჩანს, თუ რას აპირებს თეიმურაზი თუშეთში გადმოყვანილი რუსეთის ჯარით, რა გადაწყვეტილება აქვს, მაგრამ საფიქრებელია, რომ თუშეთზე დაყრდნობით, თუშეთის საშუალებით ქართლ-კახეთის სხვა ძალებთან ერთად, რომელთაც შეუერთდებოდა რუსეთიდან წამოყვანილი 8 ათასი მეომარი, თეიმურაზს გადაწყვეტილი ჰქონდა კახეთიდან სპარსი დამპყრობლების განდევნა და სამეფო ტახტის ხელში ჩაგდება. მართალია, თეიმურაზის მოთხოვნა ამჯერადაც დაუკმაყოფილებელი დარჩა, მაგრამ ერთი მაინც ფაქტია, რომ თუშეთი თეიმურაზისათვის იმჟამად საიმედო დასაყრდენი კუთხე იყო, რომლის საშუალებითაც ფიქრობდა სამშობლოს ხსნას მოახლოებული უბედურებისაგან.

რუსეთთან ხანგრძლივი დიპლომატიურ-პოლიტიკური კავშირის უშედეგობით საქართველოს მთიანეთს გული გასტეხია და აჯანყებისათვის სამზადისი დაუწყია. თანაც კახეთში სელიმ-ხანის დანიშვნის შემდეგ მთელი კახეთის მასშტაბით შექმნილმა მძიმე პირობებმა საგრძნობლად შეაეწროვა თუშეთი, რამაც იგი სპარსელთა დაუძინებელ მტრად გახადა: „თუშეთის შეჯოგობას, – შენიშნავს პროფ. ი. ცინცაძე, – ეტყობა სრული განადგურება მოელოდა სხვის ჩელმყოფ კახეთში. ამჟამიდან თუშის ცხვარს დაზამთრების საშუალება აღარ ექნებოდა. როგორც ჩანს, საგანგებო ნებართვაც უნდა ყოფილიყო საამისოდ მოთხოვილი, მაგრამ ამ ნებართვის მიღების შემდეგაც ვანა გარანტირებული აქნებოდა ცხვარი დატაცებისაგან... მოსალოდნელ უბედურებას კარგად ჰქურეტიდნენ მთის ქართველები და ამიტომაცაა, რომ მქიადრო კავშირში იწყობებთან თეიმურაზთან და ერეკლე ბატონიშვილითან, ხოლო ამათი მქმყობით, თვათ რუსეთის სამეფო კართან.“<sup>8</sup>

მეჯოგე თურქმანი ტომების ერთდროულმა ჩამოსახლებამ მთასა და ბარს ისეთი კრიტიკული და საშიში მდგომარეობა შეუქმნა, რომ საერთო-სახალხო

<sup>7</sup> ЦГАДА №3 1656 мая 16-1658 ноябрь. Приезд на Московскую границу на Терек грузинского царя Теимураса, путь его следования в Москву и обратно... გვ. 230. ციტირებულია ი. ცინცაძის დასხელებული შრომიდან, ჟურნ. „მნათობი“ №2, 1956, გვ. 181.

<sup>8</sup> ი. ცინცაძე, დასახელებული ნაშრომი, იხ. ჟურნ. „მნათობი“, №2, 1956, გვ. 182.

აჯანყებისა და მტრის მასობრივი განადგურების გარეშე თავის დახსნა და დამოუკიდებლობა – არსებობის შენარჩუნება წარმოდგენილი ხდებოდა. აუცილებელი იყო ცეცხლის დანთება, აჯანყების დაწყება, მთელი ქართლ-კახეთისა და მთის მოსახლეობის დარაზმვა და გაერთიანება საერთო მტრის წინააღმდეგ. სპარსი დამპყრობლებისა და მეჯოგე თურქმანი ტომების სისხლიანი ბრტყალებით გაბასრული კახეთი სულს ლაფავდა და თავის მხსნელსა და გადამრჩენელ ძალას მოელოდა.

ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში შემონახული ძვირფასი მასალებით დასტურდება, რომ მთა მჭიდრო ეკონომიურ – პოლიტიკურ კავშირში იყო ბართან და მის გარეშე არსებობა-განვითარება არც შეეძლო. «ამას წინათა კახთა შეფეთა, – გადმოგვცემს ვახუშტი, – არღარა შორსილუბდენ ფშავ-ხევისურნი და თუშნი და აჰან ლეკან (სუბარია კახეთის მეფე ლევან მეორეზე ვ. ე.) დაიპყრა არა ძალითა, არაშედ აღუთქვა რათა ცხოვარი მათნი უყნოდ მსოფარიუყენენ კახეთის და მისცა შეწირულობა ლაშარს ჯუარსა თიანეთს შინა და მიყრითიგან მსცეცქენ ლაშქარსა და ბეგარას».<sup>9</sup>

ლევან კახთა მეფეს, გარდა იმისა, რომ თუშ-ფშავ-ხევსურთათვის კახეთში ცხერის თავისუფალი ძოვებისა და გამოზამთრების უფლება მიუცია, აგრეთვე, ფშავ-ხევსურთაგან განსხვავებით. მასვე უჩუქებია თუშებისათვის „ეული აღონად წოდებული და სსაადრო კუთილ ფრიად“.<sup>10</sup> მ. მაჩაბელი შენიშნავს აღნიშნულის შესახებ და წერს, რომ: „По словам тушин. Алванское поле подарено Кахетинским царем Леваном ... по их словам. они имели этот дар грамоту, которая сгорела во время пожара“.<sup>11</sup>

როგორც დავინახეთ, XVI საუკუნეში მესაქონლეობა ისე ყოფილა განვითარებული თუშ-ფშავ-ხევსურეთში, რომ ლევან მეფეს თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და კახეთის სამეფო კარს შორის ჩამოვარდნილი განხეთქილების გამოსწორება მთისათვის კახეთის მინდვრების საძოვრებად გადაცემით მოუხერხებია.

უფიქრობთ, არაერთარ დაეჭვებას აღარ უნდა იწვევდეს მტკიცება იმისა, რომ XVII საუკუნის 50-იანი წლებისათვის მთაში მეცხვარეობა და მესაქონლეობა საგრძნობლად იყო განვითარებული, რადგან, თუ ჯერ კიდევ XVI საუკუნის პირველ ნახევარში, კერძოდ ლევან II მეფობის დროს (1520-1574), თუშ-ფშავ-ხევსურეთში მესაქონლეობა განვითარების ისეთ მაღალ დონეზე იდგა, რომ ის მთის არსებობისა და ყოფაცხოვრების პირველსა და აუცილებელ საშუალებას წარმოადგენდა, რა თქმა უნდა, იგი მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში უფრო განვითარდებოდა და, გასულ საუკუნეებთან შედარებით, რო-

<sup>9</sup> ვახუშტი: საქართველოს ცხოვრება. ხ. ჭიჭინაძის გამოცემა, 1913 წ., გვ. 163.

<sup>10</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1941. გვ. 102.

М. Мацабели. Экон. гос. крестьян Тинянетского уезда (МИЭЖ. т.V 1887. гв. 413).

გორც თუშეთის მოსახლეობისა და პოლიტიკური მოღვაწეებისათვის, ისე კახეთის სამეფო კარისათვის უფრო ანგარიშგასაწევი იქნებოდა. თუ-შეთი და მასთან ერთად ფშავ-ხევსურეთიც ყველა საშუალებას გამოიხატავდა და გაბედულად შეეცდებოდა, რომ თავისი არსებობის მთავარი და ძირითადი არტერია – მესაქონლეობა და კერძოდ მეცხვარეობა არ ჩაეკლა და მისი შემდგომი განვითარებისათვის ნორმალური პირობები შეექმნა.

მთას საზაფხულო საძოვრები და მასთან დაკავშირებული ნორმალური პირობები ჰქონდა ყოველთვის. მაგრამ უქონლობა საზამთრო საძოვრებისა, რომელიც სხვისგან უნდა გამოეთხოვა, გარკვეულ სიძნელეებს უქმნიდა მთის მოსახლეობას, რაც იმავე დროს, ერთგვარი საშუალებაც იყო მთასა და საქართველოს სამეფოს, შემდგომში კი – ქართლ-კახეთსა და თუშ-ფშავ-ხევსურეთს შორის მტკიცე და მყარი ურთიერთობის დასამყარებლად. საზამთრო საძოვრებისათვის ყოველწლიურმა ზრუნვამ საქართველოს მთიანეთი სისხლხორცეულად დააკავშირა კახეთთან. კახეთისა და შირაქის საძოვრების გარეშე წარმოუდგენელი იყო მთის მესაქონლეობის არსებობა და განვითარება. „თუ-შეთის მთავარი სიმდიდრე ცხვარია, რომელიც ზამთარში შირაქში სძოვს, ზაფხულში კი თუშეთში“.<sup>12</sup>

ქართლ-კახეთის მეფეებიც დიდად იყვნენ დაინტერესებულნი თუშეთის მესაქონლეობის განვითარებით. რაც საგრძნობლად დიდ შემოსავალს აძლევდა მეფის საზინას.<sup>13</sup> თუშეთთან ახლო პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირით იმდენად იყო დაინტერესებული ქართლ-კახეთი, რომ თეიმურაზმა და ერეკლე მორეგ 1757 წელს ხელი მოაწერეს სიგელს და თუშებს სრულ სარგებლობაში გადასცეს ალონის მინდვრები. თუშებისადმი გაცემულ სიგელში ვკითხულობთ, რომ „...არც ჩვენ და არც შვილმან ჩვენმან იქ (აღვანში – ვ.ე.) სოფელი არც დაასახლონ და არც ავაშენოთ ჩვენ და არც ალონის ადგილი და მიწა გავცეთ... თქვენთვის და შვილითა თქვენთათვის ამ რიგად გვიბოძებია... არ მოგეკამალოსთ ჩვენგან და არც სხვათა ჩვენთა შემდეგთა შეფეთა და შეპატრონეთაგან... თქვენ როგორც სველითაგან ან საბაღაზე და საფოთლე გერთმოდესთ და საკომლო, ისე გამოიკერთმოდესთ... ამრიგად ეს წყალობა გვიქნია, სადაც ალონის ადგილში სოფელი არ ყოფილიყოს და დღეს არც ჩვენ და არც შვილმან ჩვენმან იქ სოფელი არც დაასახლოს და არც ავაშენოთ ჩვენ და არც ალონის ადგილი და მიწა გავცეთ. თქვენთვის და შვილითა თქვენთათვის იმ რიგად გვიბოძებია ჩვენად ერთგულებისათვის და სამსახურისათვის სამკვიდროდ. ასე ვბოძეთ რაგვარადაც ამ სიგელში დაგვისწერია. არ მოგეკამალოსთ ჩვენგან და არც სხვათა ჩვენთა შემდგომთა შეფეთა და შეპატრონეთაგან“.<sup>14</sup>

<sup>12</sup> ვ. წერეთელი, ხევსურეთი და თუშეთი. ვაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, №2836.

<sup>13</sup> ხ. მაკალათია, თუშეთი. 1933წ., გვ. 21.

<sup>14</sup> აკად. კ. კეკელიძის სახ.ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფონდი Hd, საბ. 10063, „დ“; დ. ალბანელი, თუშეთის ორი გუჯარი, „კვალი“, 1897, №50

1757 წელს გაცემულ სიგელს თუშებსა და მათს მუზობლებს ბახტრიონელებს, ფშავლებსა და ლაღისყურელებს შორის შუღლი ჩამოუგდია. „ეს სიოფლები ალკანის მინდორზე ჩენა-თესყას ეწვიოდნენ და 1757 წლის სიგელით თუშებმა მათ ეს აუკრძალეს. ამას მოჰყვა ორივე მოწინააღმდეგე მხარის ერთმანეთზე მტრული გადაკიდება, მიხტობა, საქონლის მოტაცება, ქურდობა და სხვა. ჩელისუფლება ასულებული გამხდარა საქმეში ჩარეულიყო და 1781 წელს ერეკლემ ბრძანება გასცა თუშთა შოურაგის, რომელსაც საქმის მოსაგვარებლად აძლევს სათანადო დარიცება-განმარტებებს“.<sup>15</sup>

აღნიშნული სიგელიდან მოტანილი ამონაწერი საინტერესოა არა მარტო იმ მხრივ, რომ იგი კარგად ასახავს ქართლ-კახეთის სამეფო კარის დიდ დანტერესებას თუშეთის მეცხვარეობის განვითარებით, არამედ იმ მხრივაც, რომ იქ თვით ერეკლე მეფის მიერვე ნათქვამია, რომ პანკისის, ალკანისა და ლოპოტის ველ-მინდვრები ადრეც, ე.ი. ერეკლე მეორის მეფობამდე თუშებს ჰქონიათ გადაცემული. ამ ფაქტს კი XVII საუკუნეში გადაყვართ, რაც უკვე ეჭვს აღარ იწვევს თუშების თაუდადებულ მოქმედებაზე 1660 წლის კახეთის აჯანყებაში. თუშეთი იბრძვის ალონისათვის, ე.ი. ალკანის მინდვრებისათვის, რაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული თუშეთის ეკონომიკურ მდგომარეობასთან. „На Алванском поле – წერს მაჩაბელი – тушины стругутъ овцы и пасут их до перегона в горы и Ширакскую степь“.<sup>16</sup> მ. მაჩაბელი დიდ მნიშვნელობას აძლევს თუშეთში მეცხვარეობის განვითარებისათვის ალკანს. იგი ალკანისა და პანკისის ველ-მინდვრების შესახებ პირდაპირ შენიშნავდა, რომ „Без них скотоводство у тушин не могла бы быть в таких благоприятных условиях. в каких оно находится в настоящее время. В начале апреля весь скот из Ширакской степи выступает для перекочевки на летние пастбища. Летние пастбища покрыты в это время глубоким снегом и пути сообщения до 10-го мая не настолько ещё открыты. чтобы овцы могли передвигаться. До Тионетского уезда скот из Ширакской степи доходит до 15 дней и потому целый месяц он должен оставаться ещё на плоскости (Алванском поле)“.<sup>17</sup> თვით ალკანის ტერიტორიაზე თუშების დასახლებასაც მეცხვარეობის მაღალი განვითარებით ხსნის პროფ. რ. ხარაძე, რომელიც შენიშნავს, რომ: „ამრიგად ალკანი თუშეთის ძირითად მკურნეობასთან მეცხვარეობასთან დაკავშირებით წარმოიშვა.“<sup>18</sup>

<sup>15</sup> ს. მაკალათია. თუშეთი. 1933. გვ. 31.

<sup>16</sup> М. Мацабелли. Экономический быт государственных крестьян Тионетского уезда. Тифлисской губернии (Материалы для изучения экономического быта гос. крестьян Закавказского края. т. V Тифлис, 1887 г., გვ. 418)

<sup>17</sup> იქვე. გვ. 413.

<sup>18</sup> რ. ხარაძე. საოჯახო თემის გაღმონაშთები თუშეთში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. ტ. X. 1959. გვ. 205.

აღვანისა და პანკისის მინდვრებისათვის ბრძოლას თუშეთი შეგდგომ წლებშიც აგრძელებს. იგი მოსვენებას არ აძლევს პანკისის ხეობიდან გადმოსახლებულ სოფელ ბახტრიონის მოსახლეობას და ყოველ საშუალებებს ხმარობს აღვანის ტერიტორიიდან მათ გასაღვენად. 1805 წელს მთიდან ჩამოსული 300 თუში მამაკაცი თავს ესხმის ბახტრიონის მოსახლეობას, რომელთათვისაც ცემისა და გაძარცვის გარდა სახლებიც კი დაუნგრევიათ.<sup>19</sup> ოფიციალური დავა თუშებსა და ბახტრიონელებს შორის 1806 წელს დაწყებულა.<sup>20</sup>

ბრძოლა ბახტრიონელებსა და თუშებს შორის აღვანის მინდვრის იმ ნაწილისათვის, რომელიც სოფ. ბახტრიონს ესაზღვრებოდა, გაგრძელებულა XIX საუკუნის 60-70-იან წლებამდე. აღძრული საკითხის ირგვლივ შექმნილი მდიდარი საარქივო მასალა ნათელს ხდის თუ თუშეთი რამდენად იყო დაინტერესებული აღვანის მინდვრებით, როგორც სასამოვრო ადგილებით. მთელი თუშეთის წარმომადგენლები, – წოვების საზოგადოებიდან დავით ლაგაზიშვილი, იასე ნაზიშვილი, გომეწრელებიდან ლეთისო ვეშაგურიძე და პირიქითის თემიდან საყურა გეორგისშვილი აღნიშნავენ, რომ აღვანი, პანკისი და ლოპოტა საქართველოს მეფეთა მიერ თუშეთისათვის იყო საძუძაძო სარგებლობაში გადმოცემული 1757, 1782 და 1797 წლების სიგელებით და სამართლიანად მოითხოვენ აღვანის ტერიტორიის კვლავ ხელუხლებლობას.<sup>21</sup>

1856 წლის 25 მაისის რიცხვით თბილისის სამხედრო გუბერნატორ ლუკაშისადმი გაგზავნილ თხოვნაში თუშეთი აღნიშნავს, რომ პანკისის მთელი ხეობა საქართველოს მეფეთა მიერ მათ ჰქონდათ ნაბიძები. „უწყებულ არს მთავრობისადრცა, – ვკითხულობთ წერილში, – რომელ პანკისის ხეობა არის ქართველთა მეფეებმასაგან ჩვენ ოთხისავე თემის თუშთათვის ნაბიძები; სიძარითლე რომელწუედაც რუსის მთავრობის ესე იგი, მყოფის კავკასიის ნაშესტაქის კნაზ ვორონცოვისაგანაც გვაქვს დაშტკიცებული ამ ჩვენს კუთხინოს მამულწუედ დასახლდნენ ორი სოფელი ახლად გადმოსულნი ქისტნი, რომელთაგანაც ჩვენა გვქონდა დიდი შევიწროება, შეწუხება ქურდობით... ამასუდ თუშცა შრაგა-ლჯერ შეშოვიტანეთ ჩვენს ადგილობრივს მთავრობასითან საჩივარი, გადასახლებისა ზედა ამა ქისტებისა, გარნა გვამშყიდებენ რომ დროებით არიან დასახლებულნი და მოკლეს ხანში იქ-ნებინ გადასახლებულნი სწყაგან.“<sup>22</sup> ქისტების მიერ ყოველდღიური შევიწროებისა და მათგანვე ერთ-ერთი შეტაკების დროს თუშების სახელოვანი გმირის – კაპიტან ელიზბარიდის მოკვლით აღშფოთებული თუშები წერენ გენერალ-მაიორს და კავალერს ლუკაშს: „ჩვენ აღარ შეგვიძლიან ჩვენი მოსახლეები ჩვენს კუთხინოს მამულში ვაცხოვროთ. ამის გამო უმორილიესად

<sup>19</sup> АКТЫ Т. III გვ. 212.

<sup>20</sup> ЦГА ГССР Фонд 254. д. 856. გვ. 1.

ЦГА ГССР Фонд 254. д. 856. გვ. 6-8.

საქ. ცსსა, ფ.26. ანაწ. 6, საქ. 421. გვ. 28.

ვთხოვთ ჩვენო აღმატებულებაც რომ მთავრობის დაღატობასთანავე ელმობარიძის სიკვდილიც ვადახდევინოთ და კიდევ ვადაასანლოთ სხვაგან“.<sup>23</sup>

1781 წელს ერეკლე მეფის მიერ თუმთ მოურავ ღურმიშხანის სახელზე გაცემულ სიგელში პირდაპირ აღუნიშნავს ერეკლეს, რომ პანკისი თუმებს ეკუთვნის და არა ფშავლებს. „ფშავლები პანკისზე რომ ეტანებიან, - კკითხულოთ გუჯარში, - იმაში ფშავლებს სელი არა აქვს, - თუმებისა არის“.<sup>24</sup>

ამრიგად, ქართლ-კახეთის სამეფო კარისაგან თუმებისათვის 1757, 1781, 1797 წელს გაცემული სიგელები ერთხელ კიდევ ცხადყოფენ, რომ თუმეთი დაწყებული XVI საუკუნიდან მჭიდროდ არის დაკავშირებული კახეთთან, რაც იმით გამოიხატება, რომ კახეთისა და კერძოდ კი აღონის მინდგრების საშუალებით და ბოლოს შირაქის საზამთრო საძოვრების სრული სარგებლობითა და გამოყენებით თუმეთი ახერხებს 140-150 ათასიანი ცხერის ფარებისა და საქონლის შენახვა-გამოზამთრებასა და გამრავლებას,<sup>25</sup> რაც თავის მხრივ იმას ნიშნავდა, რომ თუმეთის და, საერთოდ, თუმ-ფშავ-ხევსურეთის ყოფნა-არყოფნა კახეთის ბარზეა დამოკიდებული; მთა ეკონომიკურად ისეა მიჯაჭვული ბართან, ამ შემთხვევაში კახეთთან, რომ მის გარეშე თუმ-ფშავ-ხევსურეთის ყოფნა არარაობაა. ცხადია, მთა არსებობის ამ წყაროსა და საშუალების წართმევას ვერ მოითმენდა. ეს თავისთავად მისთვის სიკვდილს ნიშნავდა. ამიტომ ყველაფერს გააკეთებდა იმისათვის, რომ მისი შემდგომი არსებობისა და განვითარების აუცილებელი წყარო არავის დაემრო.

თუმეთი და მასთან ერთად ფშავ-ხევსურეთი რომ კახეთზე იყო დამოკიდებული ეკონომიკურად და კახეთის გარეშე მთას არსებობა არ შეეძლო, ეს კარგად აქვს ასახული დ. გ. ზუბარეცსაც თავის ნაშრომში „Поездка в Кахетию. Тушетню. Пшавню. Хевсурню и Джаро-Белаканскую область“.

დ. გ. ზუბარევი, რომლსაც თუმეთში უმოგზაურია XIX საუკუნის 30-იან წლებში, გვაცნობს, რომ თუმების მთავარი საშემოსავლო-საარსებო წყარო მესაქონ-ლეობაა და მესაქონლეობის განვითარებაზეა დამოკიდებული თუმეთის ყოფნა-არყოფნა: „Главный промысел Тушин составляет скотоводство. преимущественно овцеводство. овцы доставляют им шерсть. из которой делают бурки и грубое сукно. называемое шалы; из молока приготавливают оны сыр. славящийся за Кавказом своим вкусом“.<sup>26</sup>

თუმები მესაქონლეობის ყველა დარგის შემოსავლის ნამატსა და თვით საქონელსა და ცხვარსაც კი კახელებს ღვინოსა და პურში, ხოლო ბორჩალო-

<sup>23</sup> იქვე გვ. 29.

<sup>24</sup> აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Hd. საბ. 10063 გ.

<sup>25</sup> Акты т. X. გვ. 70

<sup>26</sup> Д. Г. Зубарев. Поездка в Кахетию. Тушетню. Пшавню. Хевсурню и Джаро-Белаканскую область. Русский вестник, т. II, №6. 1841 г. გვ. 522.

ელ და ყაზახელ თათრებს-მარილში უცვლიდნენ: „Избытки стад своих променивают Тушины Кахеталинцам на хлеб и вино, а борчалинским и Казахским Татаром на соль, которой ежегодно потреблялся и них боле двух тысяч пудов. Соль обыкновенно вымывается на овечью шерсть, за один батман которой получается три батмана соли примерно можно положить у тушин лошадей 2000, рогатого скота 4000 и овец до 100 000 голов“.<sup>27</sup>

თუშეთი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მესაქონლეობისა და ასიათასიანი ცხვრის ფარების გაძლოლასა და შებღვომი ზრდისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნას ახერხებდა ალონისა და სამუხის საძოვრების გამოყენების შედეგად: „Скот весною и осенью пастается на Алванском поле, находящемся в Телавском уезде, а зимою в урочиш Самух, лежащем в Елисаветпольском округ.“<sup>28</sup>

აღვანისა და სამუხის საზამთრო საძოვრებში თუშეთი საქართველოს სამეფო კარს წინასწარ დადგენილსა და დაწესებულ, ე.წ. საბალახო გადასახადს უხდიდა: „Необходимость пасты зимою стада в Самуху главная причина их покорности. Пшавы и Хевсуры никакой подати не платят; только Тушины платят сабалахо. «подать за пастьбу скота», по 1040 рублей серебром в год. При Грузинских Царях давали они, вместо денег, 400 баранов и 200 ягнят за Алванское поле, а за пастьбу скота в Самух Туши, Пшавы и Хевсуры платят пошлину казенному откупщику, имеющему её на откуп: за барана и овцу по 5 копеек, за рогатую скотину 10 коп., за лошадь 20 копеек серебром с головы“.<sup>29</sup>

თუშეთის მსგავსად ფშავის მთავარი შემოსავლის წყარო და საარსებო საშუალება მესაქონლეობა და მეცხვარეობა ყოფილა, რომლის ავ-კარგიანობაც, როგორც თუშეთის მესაქონლეობა-მეცხვარეობისა, დამოკიდებული იყო კახეთზე, ე. ი. ბარის საზამთრო საძოვრებზე: „Главный промысел Пшавов, как и Тушин, составляет скотоводство и в особенности овцеводство. Рогатый скот доставляет масло, овцы сыр и шерсть, из которой делают сукна, бурки вьючные сумы, ковры и прочее. Летом скот пасется в горах. Пшавами обитаемых, а зимою в урочище Самуху Избитки стад сбывают они таким же образом, как и тушины. У них находится лошадей до 1000, катеров 500, рогатого скота 2.500, овец 60.000 голов“.<sup>30</sup>

ხევსურების მთავარი შემოსავლის წყაროც მესაქონლეობა და მეცხვარეობა ყოფილა, რომლის გარეშეც, მსგავსად თუშეთისა და ფშავისა, წარმოუდ-

<sup>27</sup> Д. Г. Зубарев. Поездка в Кахетию, Тушетию, Пшавию, Хевсурию и Джаро-Белаканскую область. Русский вестник, т. II, №6. 1841 г. გვ. 522.

<sup>28</sup> იქვე გვ. 522.  
იქვე გვ. 530-531.

<sup>30</sup> Д. Г. Зубарев. დასახელებული ნაშრომი, გვ. 524.

გენელი იყო ხევსურეთის არსებობა, ამიტომ იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული კახეთთან და მის საზამთრო საძოვრებთან „Пропитание снискивают от скотоводства. преимущественно от овсеводства. Выгоды, получаемыя ими от стад те же самыя, какія упомянуты при описании Пшавов и Тушин. Хевсурь имеют лошадей до 1000. а рогатого скота до 3.000, овец 75.000. Летом стада Хевсуров пасутся в горах. ими обитаемых, а зимою в самух“.<sup>31</sup>

თუშ-ფშავ-ხევსურეთის მესაქონლეობისა და მეცხვარეობის შესახებ მოტანილი მასალები ცხადყოფენ, რომ მთის მოსახლეობის მთავარი და ძირითადი საარსებო წყარო მსხვილფეხა პირუტყვი, ცხვარი და მათი ნაწარმი იყო, ხოლო მათი შენარჩუნება და განვითარება კი ბარზე, ე.ი. კახეთზე და მის საზამთრო საძოვრებზე იყო დამოკიდებული, რაც მათს უკარნახებდა კიდევ, რომ კახეთთან ახლო და მჭიდრო კავშირში ყოფილიყო: „თუშნი ინანეკენ ცხოვართა სიმრავლესა, - შენიშნავს ვახუშტი, - ყათანგან აქუთ ზაფხულს თვისთა მთათა შინა საძოვარი, და ზამთარს საძოვლენ გაღმა-მხარსა შინა, და ამით უმეტეს მორჩილებენ კახთა“.<sup>32</sup>

ვახუშტი პირდაპირ მიუთითებს, რომ თუშები მრავალრიცხოვან ცხვრის ფარებს კახეთში, ალაზნის მარცხენა მხარეზე მდებარე ველ-მინდვრებზე აზამთრებენო. როგორც დავინახეთ, ასე ყოფილა ადრეც. მთელი რიგი არსებული ისტორიული ცნობებიდან ჩანს, რომ 1660 წლის აჯანყების დაწყებამდე და მის პერიოდშიც, ე. წ. ალონის, პანკისისა და ლოპოტის ნოყიერი საძოვრებით მარტო თუშეთი სარგებლობდა.<sup>33</sup> ფშავ-ხევსურეთისაგან განსხვავებით, თუშეთის ასეთი სიახლოვე და დამოკიდებულება კახეთთან გამოწვეული იყო კახეთისა და თუშეთის გეოგრაფიული მდებარეობითა და ტერიტორიული სიახლოვით. თუშეთის მეცხვარეობას კახეთის გარეშე არ შეეძლო არსებობა. და სწორედ კახეთის იმ ნაწილში - ბახტრიონ-ალავერდისა და ალონის ტერიტორიაზე მოხდა თურქმანთა ტომების უდიდესი ნაწილის დასახლება და ციხესიმაგრეების აშენება, რითაც ფაქტიურად თუშეთს ხელიდან ეცლებოდა მეცხვარეობისათვის საჭირო საზამთრო საძოვრები. გარდა ამისა, სელიმ-ხანი აგრეთვე ხელს უწყობდა კახეთში ლეკების თავისუფალ თარეშს: „მან სელიმ-ხან მოიყვანა ელნი და დასხნა შიგნით და გარეთ კახეთს და დაიპყრეს ამათ ბახტრიონი, ალავერდი და გარყენეს წმინდანს ეკლესიანი. რამეთუ იყო ჭირი დიდი მათგან კახეთსა შინა და ქურდთა ლეკთაგან“.<sup>34</sup>

თუშეთი რომ ალაზნის მარცხენა მხარეზე მდებარე ტერიტორიას-ალვანის (ალონის) ველ-მინდვრებს საკუთარ მიწა-წყლად მიიჩნევდა, კარგად ასახულა თუშურ ხალხურ პოეზიაშიც:

<sup>31</sup> იქვე. გვ. 525-526.

ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1914წ., გვ. 105.

<sup>32</sup> აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Hd. საბ. 10063 გ

<sup>34</sup> ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება. ზ. ჭიჭინაძის გამოც., 1913წ., გვ. 189.



„აღთეს და ჩაღთეს თათრები  
წითლად ჩაღიოდ წყალოი;  
აღვანში ციხეს აგებენ  
ხოჯა თათრისა ძელისაო.  
ლიბოდ უგდებენ ვალოსა  
ნაწვრეტის ფრანგულისიო.  
დაგაგდებინეს აღვანი  
თუქმთ არის საკუთარიო“.<sup>15</sup>

სხვა ფაქტორებთან ერთად კახეთის საზამთრო საძოვრების დაკარგვის საშიშროება თუშეთს აიძულებს „ასეთ პირობებში აიღოს ინიციატივა რუსეთთან ურთიერთობის დასამყარებლად“.<sup>16</sup> და ფშავ-ხევსურეთთან ერთად აქტიური მოქმედება დაიწყოს კახეთის გასათავისუფლებად.

საკმაოდ გართულებულმა ეკონომიკურ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ ამოქმედა ქართლ-კახეთის მოსახლეობაც.

როდესაც ირანის სამეფო კარი დარწმუნდა, რომ რადიკალური ღონისძიებების გატარება შეუძლებელი იყო, მან შეცვალა თავისი პოლიტიკა და შეეცადა მოჩვენებითი დათმობებით და ქართული ფეოდალური ძალების დაქსაქსვით, სოციალური დემაგოგიითა თუ ცრუ დაპირებებით ქვეყნის თანდათანობით დამორჩილებას. ქართული ეკონომიკური წყობის მოშლას და ყიზილბაშურ ყაიდაზე გარდაქმნას. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსათვის ეს უფრო სახიფათო იყო, ვიდრე აშკარა შემოტევა, მით უმეტეს, რომ ქართლ-კახეთში თანდათანობით იწყო დამკვიდრება სპარსულმა წესებმა.

ირანის სამეფო კარი სხვა მიმართულებითაც ცდილობს ქართლ-კახეთის ხელში ჩაგდებას. იგი კახეთის მიწა-წყალზე თურქმანთა მომთაბარე ტომებს ასახლებს. „სიელიმ-ხანშა, - შენიშნავს პროფ. შ. მესხია, - ორი წლის განმავლობაში ჩამოიასახლა თურქმანთა დიდი ურდოები ბახტრიონს, ალაკერდსა და კახეთის სხვა მნიშვნელოვან ადგილებში. როგორც ხალხურ ლექსშია ნათქვამი, თურქმანები მოელ კახეთს ყაშლად-იალაღებად, ე. ი. საძოვრებად გადაქცეკვას უპირებდნენ“.<sup>17</sup> მაგრამ ირანის სამეფო კარი მიღწეულით არ ემაყოფილდება და სხვა ღონისძიებებსაც ატარებს. იგი სპარსელ მოხელეებს ავალებს თურქმანთა ტომები ბინადარ ცხოვრებაზე გადაიყვანონ და ხენა-თესვა შეასწავლონ. ყველა კახელ ფეოდალს მიწა ჩამოართვეს

<sup>15</sup> აკ. შანიძე, ხალხური პოეზია. 1931. გვ. 61.

<sup>16</sup> ი. ცინცაძე, საქართველოს მთიანეთის (თუშ-ფშავ-ხევსურეთის) რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან (XVII საუკუნის შუა წლები) თურნ. „მნათობი“, №2, 1956წ., გვ.176.

<sup>17</sup> ნ. ბერძენიშვილი, ვ. ღონღუა, მ. ლუმაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია. 1, 1958. გვ. 303.

და დაუტოვონ მარტო იმ თავად-აზნაურებს, რომელთაც შაჰისაგან ჰქონდათ მიღებული მამულის წყალობა სპარსული წესით.<sup>38</sup>

ქართლ-კახეთის თანდათანობით დაპყრობით გათამამებული ირანი უფრო აქტიურ მოქმედებაზე გადადის და კახეთს ორ ნაწილად ჰყოფს. კახეთის „მიწა-წყლის ოთხი მეექვსედის მშართველობა ყარაბაღის ბეგლარბეგის მურთაზა ყულბანის, ხოლო მეექვსედისა - ნახჭევანის მშართველს აღი ყული-ხანს ქენგერლუს გაედაცა და ხსენებული ელევიც ოთხი მეექვსედის და ორი მეექვსედის ანგარიშით მათ შორის იქნა განაწილებულა“.<sup>39</sup> ქვეყანაში „ყიზილბაშობა“ დამყარდა. „ეს კი ნიშნავდა იმას, რომ ქართული ფეოდალური ურთიერთობის წესები ძალიან აღიარებულდნენ, ქართველი გლეხი ან საესეებით გაიდევნებოდა აქედან, ან რაიათად გადაიქცეოდა. ქართველი ფეოდალი მიწაზე სამამულო მფლობელობის უფლებას დაკარგავდა, უკეთეს შექმთხვევაში დროებით მფლობელად, ყიზილბაშური წესით მიწის მჭერად გადაიქცეოდა, ინტენსიური მეურნეობა მოწყობებოდა და უკულტურო თურქმანთა ხელში სოფლის მეურნეობის დარგები უკიდურესად დაქვეითდებოდა, ქვეყანაში გაბატონდებოდა კვლური ეთნიკური წესები.“<sup>40</sup>

ქვეყანაში შექმნილი რთული მდგომარეობა, განსაკუთრებით ქართული მიწათმფლობელობის შეცვლით გამოწვეული, როგორც ეტყობა, არც შაჰისადმი დამორჩილებულ თავად-აზნაურებს მოსწონდათ. ისინი კარგად ჰკერებდნენ მოსალოდნელ მომავალს და მიუხედავად შაჰისაგან დიდად დასაჩუქრებისა და დაწინაურებისა, ისევე როგორც ზაად ერისთავი და ქართლ-კახეთის ზოგი სხვა თავად-აზნაური, აჯანყების მონაწილეები გამხდარან. კახეთის ფეოდალების ასეთ მოქმედებას დიდი გაცემა გამოუწვევია ირანში, რის შესახებაც ისტორიკოსი მოკამედ თაქერი ცაკვირებით აღნიშნავს: „შეუტად საკყარველი და უცნაური ჩანს ის, რომ ერისთავი (ლაპარაკია ზაად არაგვის ერისთავზე - ვ. ე.), რომელსაც ამდენი საჩუქარი და წყალობა ჰქონდა მიღებული მისი უდიდებულესობისაგან, უმადურობას გამოიხატებდა „უამთა ხელმწიფისადმი“ (ე. ი. შაჰისადმი) და ასეთი ბოროტმოქმედების ჩამდენი განდებოდა“.<sup>41</sup> ქართლ-კახეთის თანდათანობით დაპყრობის მიზნით სპარსეთის მიერ ჩატარებულმა მრავალმა ღონისძიებამ ბარისა და მთის მისახლეობის ყველა სოციალური წრე საერთო საფრთხის წინაშე დააყენა, გააერთიანა მათი ძალები და საყოველთაო სახალხო აჯანყებისაკენ მოუწოდა. „ისწორედ ასეთ გადამწყვეტ დროს გაჩაღდა საქართველოში გამათავისუფლებელი

<sup>38</sup> ვ. ფუთურიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 393.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 394.

<sup>40</sup> ნ. ასათიანი, ბახტრიონის გმირული ეპოეპის 300 წლისთვის გამო. ჟურნალი „მნათობი“, №8, 1959წ., გვ. 120-121.

<sup>41</sup> ვ. ფუთურიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 394.

ომის (ვეცხლი. ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ აჩვენა თავისი უშრეტო ძალა და დაამტკიცა, რომ მოძალადეს არ შეეძლო მისი საბოლოოდ დამორჩილება.“<sup>42</sup>

მიუხედავად იმ ეკონომიკურ-პოლიტიკური წინამძღვრებისა, რამაც განაპირობა 1660 წლის კახეთის აჯანყების მომზადება და დაწყება, ქართული ისტორიოგრაფიის ზოგიერთ ძეგლსა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში სულ სხვაგვარად არის წარმოდგენილი კახეთის აჯანყების მიზეზები და საფუძველი.

ფარსადან გოგიჯანიძის მიხედვით აჯანყების მიზეზი ნათელია. იგი გასაგები ენით ლაპარაკობს, რომ კახელებმა ერისთავის დაღუპვისა და თავიდან ჩამოცილების მიზნით თუშეთს მიმართეს, თუშნი ერთიმეორეს შეაფიცეს და კახეთში დასახლებული თათრები ამოაწვევდნენ, რაც ზაალ ერისთავს დააბრალებს და საბოლოოდ ყენთან შეთანხმების საფუძველზე დაყრდნობით გზიდანაც ჩამოიცილეს.<sup>43</sup> ვახუშტი ბატონიშვილისა და ბერი ეგნატაშვილის მიხედვით აჯანყების საბაბად შემდეგი ფაქტია მიჩნეული: თურმე ვინმე მღვდელი „მოვიდოდა შინის კახეთს“. გზაზე თათრებს შეუპყრათ, შეურაცხყოფა მიუყენებიათ და გაუშვიათ. შემდეგ მღვდელი წასულა ზაალ არაგვის ერისთავთან და ყველაფერი მოუხსენებია, როგორც კახეთის გამგებლისათვის.<sup>44</sup> ამიტომ მღვდელს მისგან მოუთხოვია თათრებისათვის სამაგიეროს გადახდა: მოეწყო აჯანყება მათ წინააღმდეგ. მართლაც, ზაალ არაგვის ერისთავს შემოუმტკიცებია ქსნის ერისთავი ელიზბარი, მისი ძმა შალვა და სუფრაჯი ბიძინა ჩოლოყაშვილი. გაუყოლებია ხელმძღვანელად თავისი შვილი ზურაბი, მიუმხრიათ თუშ-ფშავ-ხევსურნი, დასცემიან ბახ-ტირონს, ალავერდს. გაუწვევტიათ სულთანის ჯარი და კახეთი სპარსელებისაგან გაუშენდიათ.<sup>45</sup>

შეიძლება მართლაც მოხდა ისეთი შემთხვევა, რომ თათრებმა ვინმე მღვდელი შეურაცხვეს, მაგრამ, თუ ხალხურ გადმოცემასაც ანგარიშს გაუწევთ, საქმე სხვანაირად წარმოგვიდგება. ივ. ბუქურაულის ჩაწერილი თქმულებით კახეთის აჯანყების საბაბი შემდეგი ყოფილა: „თუშეთიდან ჩამოსულა ერთი თუში აღვანში პურის სასყიდლად, თათრებს დაუჭერიათ ეს თუში და გაუკუბატიურებიათ. შეურაცხყოფილი თუში დაბრუნებულა თუშეთში, ჩაუცკაშს ქალის ტანისამოსი და დამჯდარა მანდილოსნებში. იმ სოფლის თუშებს გამოაკითხეთ გაუგიათ, თუ რას ნიშნავდა მოძმის ასეთი მოქმედება. იტკიცეს ჩელი შუბლზე. შეურაცხყოფა და შერცხვენა მათი მოძმისა

<sup>42</sup> შ. მესხია. დ. გვრიტიშვილი. ნ. ასათიანი. ბახტირონის გმირული ეპოპეა. გაზ. „კომუნისტი“. 1959, №82.

<sup>43</sup> ფარსადან გოგიჯანიძე. საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც. 1913, გვ.335.

<sup>44</sup> ბერი ეგნატაშვილი. ქართლის ცხოვრება. ტ. II. 1959წ., გვ. 438.

<sup>45</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს ცხოვრება. ზ. ჭიჭინაძის გამოც. 1913, გვ. 189.

იყო შეურაცხყოფა და შერცხვენა მთელი თქმისა, მთელი თუშეთისა. თუშის ამაყი გული ამ შერცხვენის ყურ აიტანდა: „ან შურძისება, ან გმი-  
რული სიკვდილი“. – შესძახეს თუშებმა და დაიწყეს ბრძოლის სამზადისი.“<sup>46</sup>

აღ. ხახანაშვილისეული ვარიანტით კი თუშები ორნი ყოფილან. სანადი-  
როდ გადმოსულები პანკისის ხეობაში, ბაწრის ხეებზე თათრებს დაუჭერიათ  
და შეურაცხყოფა მიუყენებიათ.<sup>47</sup>

ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ თუშების ზეპირი გადმოცემის სახე-  
სხვაობას წარმოადგენს ვახუშტისა და ბერი ეგნატიშვილის მიერ ჩაწერილი  
ამბავი? შესაძლებელია ბარში სარწმუნოებრივი თვალსაზრისით მღვდელი  
დაასახელა ხალხმა. ჩვენ კი ვიცით, რომ ხალხური ზეპირი გადმოცემები  
სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირად ისმის.

საერთოდ, აჯანყების ასეთი უბრალო საბაბის აღიარება, ჩვენი აზრით,  
გაუმართლებად უნდა ჩაითვალოს. მართალია, იქნებოდა ასეთი შემთხვევები,  
მაგრამ ამგვარ ერთეულ შეურაცხყოფელ გამოვლინებებს აჯანყების მოწყო-  
ბისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა. თანაც, თითქოს  
და ისე გამოდის, რომ როგორც ვახუშტისა და ბერი ეგნატაშვილის, ისე  
თუშური ზეპირი გადმოცემების მიხედვით, წინასწარ არავითარი სამზადისი  
და ორგანიზაცია არ ყოფილა ჩატარებული აჯანყების მოსაწყობად. ზაალი-  
სათვის საკმარისი ხდება თათრებისაგან შეურაცხყოფილი მღვდლის მისვლა,  
მისგან კახეთის მდგომარეობის გაცნობა და აჯანყებისაკენ მოწოდება. თუ-  
შებისა და მათი მეთაურობით გაერთიანებული ფშავ-ხევსურეთის აჯანყების  
საბაბი კი ხდება პურის სასყიდლად ჩამოსული თუ სანადიროდ პანკისის  
ხეობაში გადმოსული ორი თუშისათვის შეურაცხყოფის მიყენება. შეიძლება,  
ვიმეორებთ, ასეც მოხდა, იყო ასეთი შემთხვევა. რომელმაც ისედაც აღშ-  
ფოთებულ ხალხს მეტი სიძულვილი გაუღვიძა მტრის მიმართ, მაგრამ იმას  
ვერ ვიტყვით, რომ მანამდე აჯანყებისათვის არ იყო სამზადისი დაწყებული  
და მას წინ არ უძღოდა ღრმა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური  
წინამძღვრები.

ამგვარად, 1660 წლის კახეთის აჯანყება მზადდებოდა რამდენიმე წლის  
მაძილზე, რომელიც განპირობებული იყო აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ  
კახეთში, სპარსი დამპყრობლებისა და მომთაბარე თურქმანთა ტომების  
ბატონობის შედეგად შექმნილი რთული სოციალურ-პოლიტიკური და ეკო-  
ნომიკური მდგომარეობით. ფიზიკური და ეროვნული მოსპობისა და გადაგ-  
ვარების ამკარა საშიშროებამ ბარისა და მთის მოსახლეობა აჯანყების აუცილებ-  
ლობის წინაშე დააყენა. საყოველთაო საფრთხეპ საყოველთაო აჯანყება გამოიწვია.

<sup>46</sup> ივ. ბუქურაული, თუშური ლექსები, ძველი საქართველო, ტ. 2, 1913, გვ.18,  
ექვ. თაყაიშვილის გამოცემა.

<sup>47</sup> აღ. ხახანაშვილი, ბახტრიონის ციხის აღება, „ივერია“, №220, 1888.

თუშეთის ინიციატორობა და აქტიური მოქმედება სპარსელი დამპყრობლების წინააღმდეგ მოწყობილ 1660 წლის კახეთის აჯანყებაში გამოწვეული იყო იმით, რომ ის კახეთის ველ-მინდვრებზე მრავალათასიანი ცხვრის ფარების გამოზამთრების უფლების წართმევასთან ერთად კარგავდა საქართველოს მეფეთა მიერ თუშეთისათვის სრულ სარგებლობაში გადაცემულ ე.წ. ალონის (ალვანის) მდიდარ ველ-მიდვრებს. პანკისისა და ლოპოტის ხეობებს. თუშეთი გაორკეცებული ძალით იბრძოდა საკუთარი მიწა-წყლისათვის – ალონისათვის, პანკისისა და ლოპოტის ხეობებისათვის, მთელი უმდიდრესი და ულამაზესი ალაზნის ველ-მინდვრებისათვის, რომელიც სპარსელებს და თურქმანთა ურდოებს ჰქონდათ დაპყრობილი.

თუშ-ფშავ-ხევსურებისა და ჩხილიოჯავასიელების (ინგუშების, ჩეჩნების, ქისტების, დიდოების, ლეჩების) ეკონომიკური და ელტეხელი უხითიუხობა ადრეული შუა საუკუნეებიდან XIX ს-ის 60-იან წლებამდე

#### 4.1. თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და ჩრდილოკავკასიის დამაკავშირებელი გზები

თუშ-ფშავ-ხევსურებს ჩრდილოკავკასიის ხალხებთან (ინგუშებთან, ჩეჩნებთან, ქისტებთან, დიდოებთან და ლეკებთან) ურთიერთობაში დიდ დახმარებას უწევდა და უწევს მთავარ კავკასიონზე გადასასვლელი გზა-ბილიკები. მეზობელ მთის ტომებთან დამაკავშირებელი გზების მიხედვით კახეთის მთიანეთს მდიდარი შესაძლებლობა გააჩნია, რომელსაც, როგორც ქართველი მთიელები, ისე საქართველოს ბარის მოსახლეობა უხვად იყენებდნენ საჭიროების შემთხვევაში. ამავე გზებით უკავშირდებიან ისინი დღესაც.

თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და მათი მეზობელი იმიერკავკასიელების განსაკუთრებული ტერიტორიული სიახლოვე, კერძოდ ის, რომ კავკასიონის მთავარი ქედის ერთ მხარეზე თუშ-ფშავ-ხევსურები ცხოვრობენ, ხოლო მეორე მხარეზე კი ვეინახ-დიდო-ლეკები, ერთიმეორეს უბიძგებდათ მჭიდრო კავშირში ყოფილიყვნენ. ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონოდათ და ურთიერთდამაკავშირებელი ყველა ბუნებრივი პირობები მაქსიმალურად გამოეყენებინათ. ქართველი მთიელებისა და მათი მეზობელი იმიერკავკასიელი ტომების განსახლების ხსენებულმა თავისებურებამ გამოიწვია სწორედ ის, რომ დროთა ვითარებაში, ყველა დამაკავშირებელი გზა-ბილიკი გამოეღინდა, დაზუსტდა და დაიხვეწა, რომელთა შესახებაც დღეს ზუსტი ცნობების მოცემა შეუძლიათ მრავალ თუშს, ხევსურს, ფშაველს და იმიერკავკასიელ მთიელს.

რევოლუციამდელ ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული გზების შესახებ მეტად ძუნწი ცნობები გვხვდება; საქეციალურად არავინ არ შეხებია თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და ჩრდილოკავკასიის დამაკავშირებელი გზების მარშრუტებს; ეს საკითხი მაშინ მსჯელობის საგანს არ წარმოადგენდა. მხოლოდ „საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ იქმნება ყველა პირობა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის“<sup>1</sup>. პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად

<sup>1</sup> ზ. ანჩაბაძე, აღ. რობაქიძე, კავკასიური მთიური ფეოდალიზმის ბუნების საკითხისათვის /იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XVIII, 1973. გვ. 112'.

საბჭოთა მკვლევარებს შესაძლებლობა მიეცათ ნაყოფიერად ემუშავათ და მთელი სიდიადით გამოველინებინათ ხალხების ისტორია. ქვეყანაში შექმნილმა ახალმა ვითარებამ დიდი ცვლილება შეიტანა ქართველი ხალხის ისტორიის შესწავლის საქმეშიც. ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი და სახელოვანი ისტორიის შესწავლას მიეცა სახელმწიფოებრივი შინაარსი. საქართველოს ბარისა და მთის ისტორიამ თანაბრად მიიქცია საბჭოთა ისტორიკოსების, ეთნოგრაფ-არქეოლოგებისა და ენათმეცნიერ-ფოლკლორისტთა ყურადღება. საბჭოთა პერიოდის ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში დახვავდა მონოგრაფიები, გამოკვლევები, წერილები, სადაც საქართველოს მთიანეთმა და მათ შორის, თუშ-ფშავ-ხევსურეთმა. საპატო ადგილი დაიკავა. მაგრამ აღძრული საკითხი საბჭოურ ლიტერატურაშიც ნაკლებად არის შესწავლილი. მხოლოდ ცალკეული გამონათქვამები გვხვდება იმ გზების არსებობისა და მათი მნიშვნელობის შესახებ. თუშ-ფშავ-ხევსურთა და იმიერკავკასიელთა ურთიერთდამაკავშირებელი გზა-ბილიკების ფართო მასშტაბით წარმოდგენა-დახასიათება პირველი ცდაა. თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ პროფ. აბ. შავხელიშვილმა, ჩვენ მიერ განსახილველი გზების გარკვეული ნაწილი, კერძოდ, თუშეთ-ჩენეთ-ინგუშეთსა და თუშეთ-კახეთის ბარს შორის დამაკავშირებელი გზები და მარშრუტები შეისწავლა და სამკვირიო ლიტერატურაში წარმოადგინა.<sup>2</sup>

მაგრამ ჩვენ ამ გზებსაც ვეხებით. რადგან ზოგი მათგანი აბრამ შავხელიშვილთან გამოტოვებულია და ზოგიც დაზუსტებას საჭიროებს.

თუშ-ფშავ-ხევსურეთსა და ჩრდილოკავკასიის ხალხებს შორის ისტორიულად არსებული დამაკავშირებელი გზების აღწერა-შესწავლა წარმოადგენს ამ ხალხების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის მეტად საინტერესო ისტორიის განუყოფელ ნაწილს. ამიტომ მისი სრულყოფილად წარმოდგენა უფრო ნათელს გახდის თუ ნამდვილად როგორ ახლოს და მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული თუშ-ფშავ-ხევსურები და იმიერკავკასიელი მთიელები.

თუშეთი დიდოეთ-დაღესტანს შემდეგი გზებით უკავშირდებოდა: ერთი და შეიძლება ითქვას, მთავარი გზა იწყება ჩალმის საზოგადოების სოფ. დიკლოდან და ჭეროზე (ჭერო დიდოების საბოსლოა) გავლით დიდოეთში გადადის; დიდოებით დასახლებული პირველი შემხვედრი სოფელია ხუშეთი. დიდოეთ-დაღესტანს თუშეთი სხვა გზებითაც უკავშირდება; სოფლებიდან: ომლო, ხისო, ქუმლაურთა, ცოკალთიდან მიდის შემდეგი მარშრუტის გზები: ა) ორეთის მთა-ვესტემო ვაკე-ხარაის წყარო-დიდოთ საღუე-ხოტრახო (დიდოების სოფელია). ბ) ორეთის მთა-მერცხალბუდის (კერი-ველკეთილი-ხუფრის მთა-ხუფრის ორწყალი - სოფ. ხუფრა. უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ

<sup>2</sup> А. И. Шавхелишвили. Из истории взаимоотношений между грузинским и чечено-ингушским народами. Грозный. 1963г. აბ. შავხელიშვილი, თუშების ტერიტორიული განსახლება და ჩენეთ-ინგუშეთთან დამაკავშირებელი გზა-ბილიკები (ჟურნალი „მაცნე“. №2. 1972. გვ. 45-62).

სოფლების – დიკლოსა და შენაქოს მცხოვრებლებს გარდა დიკლო-ხუშეთის გზისა დიდოეთ-დაღესტანს შეეძლოთ დაკავშირებოდნენ სხვა გზითაც; 1. სოფ. შენაქო – სოფ. აგვერთა – ილონე (სოფ. შენაქოს საბოსლოა); 2. ვებუ-ხარაის წყარო-დიდოეთ სადუცე-ხოტრახო.

ჩინეთ-ინგუშეთს თუშეთი შემდეგი გზებით უკავშირდებოდა: 1. პირიქითის საზოგადოების უკიდურეს აღმოსავლეთით მდებარე სოფ. ჩილოდან მიდის გზა ჩრდილო-აღმოსავლეთით, გაივლის ჩილოს ხაას, ლაშქრის ვაკე-ქავთრის მთის უღელტეხილს და არღაბუს ხეობაში გადავიდვართ. ქისტებით დასახლებული პირველი შემხვედრი სოფელი იყო ხულანტი (ამჟამად ამ სოფელში ქისტები აღარ ცხოვრობენ, სოფელი დანგრეულია და ნაფუძრადაა ქცეული); პირიქითის საზოგადოების სოფლებიდან: ჭონთიოდან. ფარსმიდან და დანოდან მიდის შემდეგი მარშრუტის გზები: 2. ჭონთიო-კვაკიდი-ტებულოს მთა-ტებულოს მთის უღელტეხილი – სოფ. ტებულო-ხილდიხარის ხეობა; 3. ჭონთიო – კვაკიდი-აწუნტის უღელტეხილი – სოფ. მითხუ; 4. ჭონთიო-ქერიგოს მთა – ქერიგოს უღელტეხილი – ხილდიხარის ხეობა – სოფ. ფანგლაში; 5. ფარსმა-ქაჩუს მთა-ქაჩუს უღელტეხილი – სოფ. სამტყუ-სამტყუს-ხეობა; 6. ცირბევი ცირბაშტე დანოს მთა-დანოს მთის უღელტეხილი – სოფ. სამტყუ-სოფ. კესელო.

თუშეთის გეოგრაფიული მდებარეობა და თუშეთიდან ჩრდილო კავკასიაში გადასასვლელი გზები, როგორც ირკვევა, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ყოველთვის მაქსიმალურად იყო გამოყენებული. თუშეთის მოხერხებული მდებარეობა ქმნიდა საიმედო ხელშეწყობ პირობებს, რათა თუშეთსა და საქართველოს ბარს შორის მჭიდრო კავშირი ყოფილიყო. თუმცა, ზოგჯერ მათ შორისაც, სხვადასხვა მიზეზების გამო, გაუარესებულა მდგომარეობა. მაგრამ შემდეგომი ღონისძიებების გატარებით ხელისუფლება დროულად ახერხებდა გამდგარი თუშეთის შემომტკიცებას და კვლავ სახელმწიფოს სამსახურში აყენებდა.

საქართველოს ბარსა და თუშეთს შორის მჭიდრო ურთიერთობის დამყარების საქმეში, სხვა აუცილებელ ფაქტორებთან ერთად, დიდ როლს თამაშობდა კახეთიდან თუშეთში გადასასვლელი გზა-ბილიკები. კახეთის ბარი თუშეთს შემდეგი გზებით უკავშირდებოდა: 1. მდინარე სტორის ხეობიდან, თელავის რაიონის სოფ. ლეჩურის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან იწყება ე.წ. „ნაქერალის გზა“. „ნაქერალის გზით“ საქართველოს ბარი უკავშირდება თუშეთის გომეწრისა და ჩალმის საზოგადოებას, ამ გზის მარშრუტია: თელავის რაიონის სოფ. ლეჩური-ნაქერალის მთა-დიდგვერდი-სამცორნოს უღელტეხილი-ორწყალი-სოფ. საჩილოლო.<sup>3</sup> 2. „კეპანის გზა“. მარშრუტი: მდინარე სტორის ხეობა-ნაკოდევი-კეპანი-ნაგომრალევი-საჯორე-ალატრანი-ქალჯვარი-ნახიდური

<sup>3</sup> „ნაქერალის გზა“ კახეთის ბარსა და თუშეთის დამაკავშირებელ გზებს შორის ძირითად და ყველაზე საიმედო გზად ითვლებოდა; იგი სახელმწიფო გზის მნიშვნელობას ატარებდა.



– სოფ. ხისო. 3. „საყორნის გზა“, მარშრუტი: თელავის რაიონის სოფ. ფშაველი-საყორნის მთა-საყორნის ცერი-ნაწიღრები-სამამლის გორი-არყოვნის ხევი-საგველე-ალტოვანი-ქალჯგარი ნახიდური-სოფ. ხისო; 4. პანკისის ხეობა – სოფ. ომალო-ტბათანა-ალაზნის თავი-ლაროვანი-სოფელი გირევი; 5. პანკისის ხეობა – სოფელი ომალო-საიქსტოს გორი-ნაქერალი-დიდგვერდი-სამცორნოს უღელტეხილი-ორწყალი-სოფ. საჩილოლო; 6. პანკისის ხეობა – სოფ. ომალო-ტბათანა-წიფლოვანის ხევი-საყორნის გადასასვლელი-ალაზნის თავი-სოფ. ალისგორი; 7. „ქობტის გზა“, მარშრუტი: თელავის რაიონის სოფ. ართანა – ქობტის მთა-საირმის ცერი-ოთხწყარო-შაკლდე-ლაა-სოფ. ქემელაურთა; 8. „არდარაზანის გზა“, მარშრუტი: მდინარე ლოპოტის ხეობა-არდარაზანის მთა-ბორცვიანი ღელე-საირმის ცერი-ოთხწყარო-შაკი კლდე-ლაა-სოფ. ქემელაურთა; 9. პანკისის ხეობა – ტბათანა-საქისტოს მთა-საქისტოს წყარო-უღელტეხილი-რკინის მთა-მასარის მთა-წიფლოვანის ხევი-საყორნის ხევი-ალაზნის თავი-მიჯნის ხევი-წოვათა.

კახეთის ბარსა და თუშეთს აგრეთვე აკავშირებს ე.წ. „თორღვას აბანოს გზა“. აბანოს გზა რევოლუციამდელ საქართველოში არ არსებობდა. ამ გზის მშენებლობა დაიწყო XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს; სამეცნიერო ლიტერატურაში კი გვხვდება აზრი, რომ თითქოს და ეს გზა XVII საუკუნეშიც ყოფილა და თურმე ზეზვა გაფრინდაული ამ გზით მოუძღოდა თანამემამულეებს „რომ ბახტრიონის ბრძოლებში სამშობლოს დასასხსნელად თუშების ვაჟკაცობა და თავდადება ეჩვენებინათ“.<sup>4</sup>

თუშური ხალხური ზეპირსიტყვიერების მიხედვით ერთხმად აღიარებულია, რომ თუშები, კახეთში დაბანაკებული სპარსელებისა და მომთაბარე თურქმენების გასაჟლეტად თუშეთიდან დაიძრნენ ე.წ. „ნაქერალის გზით“. ეს გზა მართლაც და პირდაპირ ებჯინება ბახტრიონს, სადაც სპარსელები იყვნენ დაბანაკებულნი და თანაც, „ნაქერალის გზა“ ხომ, როგორც ზვეითაც აღვნიშნეთ, თუშეთისათვის ყველაზე საიმედო და მთავარი გზა იყო კახეთთან დასაკავშირებლად: „თორღვას აბანოს გზა“ იწყება თელავის რაიონის სოფ. ფშაველში. გაივლის სოფ. ლეჩურს – სტორის ხეობას – აბანოს მთას – ორწყალს და უკავშირდება თუშეთის ჩაღმის საზოგადოების სოფ. ხისოს.

„თორღვას აბანოს გზით“ თუშეთს სხვა მხრიდანაც უკავშირდებოდა. აბანოს მთაში გზა ორ შტოდ იყოფა: ერთი მდის თუშეთის ჩაღმის საზოგადოებისაკენ, რომელზეც უკვე შევნიშნეთ, ხოლო მეორე გზა მდის ჩრდილო დასავლეთისაკენ, გაივლის მელთკუდას – ორწყალს და თუშეთის გამეწრის საზოგადოების სოფ. საჩილოლოთი უკავშირდება თუშეთს.

საქართველოს ბარი თუშეთს ზემოთ დახასიათებული გზებით უკავშირდებოდა, ხოლო თუშეთის საშუალებით კი კავკასიონის მთავარ მთაგრეხილებზე გადასასვლელი გზებით მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკურსა და პოლიტიკურ

<sup>4</sup> გ. ჯალაბაძე, შესავალი, თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1967., გვ. 6.

ურთიერთობას ამყარებდა ჩრდილოკავკასიის ხალხებთან. უფრო მეტიც, XVII საუკუნის 30-იანსა და 50-60-იან წლებში კახეთის სამეფო და ქართლ-კახეთის პროგრესული ძალები თუშ-ფშავ-ხევსურეთის საშუალებით მჭიდრო კავშირს ამყარებენ 1637 წელს მოსკოვიდან საქართველოსაკენ წამოსულ ელჩებთან.<sup>5</sup> ხოლო შემდგომში კი თვით მოსკოვთან.<sup>6</sup>

აღნიშნული პერიოდის თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და ჩეჩნეთ-ინგუშეთ-რუსეთის ურთიერთობისა და დამაკავშირებელი გზების შესახებ ცალკე გვექნება მსჯელობა. იგი განსაკუთრებულ შესწავლას საჭიროებს. აქ კი კვლავ თუშ-ფშავ-ხევსურეთსა და ჩეჩნეთ-ინგუშეთს შორის დამაკავშირებელი სხვა გზების შესახებ გვექნება საუბარი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად თუშეთ-ჩეჩნეთ-ინგუშეთსა და თუშეთ-კახეთის ბარს შორის დამაკავშირებელი გზების შესახებ ყველაზე ფართოდ და დაწვრილებით მოსაზრების გამოთქმა და მსჯელობა ეკუთვნის ა. შავხელიშვილს. ამ მხრივ მან კარგი საქმე გააკეთა. მაგრამ, ვფიქრობთ, მის მიერ ჩატარებული მუშაობა სრულყოფილი არ არის და ცალმხრივ ხასიათს ატარებს. მასთან გამოტოვებულია თუშეთ-ქისტეთის ზოგიერთი დამაკავშირებელი გზები: „ჩაღმის საზოგადოების სოფ. ჩიღოს ტერიტორიის გავლით მთელი თუშეთის ყველა თემები სარგებლობდნენ ერთ-ერთი უდიდესი მაგისტრალით, რომლითაც ისინი ჩიღოს ხაა-ლაშქრის ვაკე-ლაშქრის მთა-არღაბუს ხეობით უკავშირდებოდნენ ქისტებით დასახლებულ სოფ. ხულანტს და შემდგომში კი დანარჩენ ქისტურ სოფლებს. და პირიქით, ამავე გზით უკავშირდებოდნენ თუშეთის ყველა თემს ქისტები სამტროდ თუ საკეთილდღეოდ. თუ ამ გზით როგორ მაგისტრალთან გვაქვს საქმე იქიდანაც ჩანს, რომ სამოქალაქო ომების დროს თუშეთზე ქისტების ხშირ-ხშირ მძარცველურ-ყაჩაღური თავდასხმებით შეწუხებულმა თუშეთის მოსახლეობამ საქართველოს ბარის დახმარებით ქისტებს სამაგიერო სწორედ ამ გზით მიუზღო. ამ სამხედრო ორგანიზაციის შესახებ საუბარი სხვა დროს გვექნება. აბ. შავხელიშვილი სრულებით არ ეხება შემდეგ გზებსაც: 2. ჭონთიო-კვაკიდი-ტებულოს მთა-ტებულოს მთის უღელტეხილი-ტებულო-ითონხალი; 3. ჭონთიო-კვაკიდი-აწუნტის უღელტეხილი – სოფ. მითხუ; 4. სოფ. დანო-დანოს მთა-დანოს მთის უღელტეხილი – სოფ. სამტყუ.“ აღნიშნული გზებით თუშები ისევე სარგებლობდნენ ქისტებთან დასაკავშირებლად, როგორც დანარჩენი გზებით. თუმცა, რა თქმა უნდა, ზოგიერთი გზა, როგორც ა. შავხელიშვილიც შენიშნავს, ნაკლებად იყო გამოყენებული, ე.ი. არ ჰქონდა მთავარი სატრანსპორტო დანიშნულება, რის გამოც, ასეთ გზებს ხსენებულ ურთიერ-

<sup>5</sup> М.А. Полневитов *Европейские путешественники XIII-XVIII в.в. по Кавказу*. Тиф. 1935г. стр. 30.

<sup>6</sup> М. Броссе. *Переписка...* стр. XIII-XVI стр. 74-75. 229-230.

<sup>7</sup> ა. შავხელიშვილი. თუშების ტერიტორიული განსახლება და ჩეჩნეთ-ინგუშეთთან დამაკავშირებელი გზა-ბილიკები. „მაცნე“ №2. 1972, გვ. 55-61.

თობაში მეორეხარისხოვანი ადგილი ეკავათ.<sup>ა</sup> ყოველ შემთხვევაში, ეს არ ითქმის ჩვენ მიერ აქ ჩამოთვლილ გზებზე და მათ შორის, განსაკუთრებით, ჩილო-არლაბუ-ხულანტის გზაზე.

ეს ისეთივე ღირებულების გზაა თუშეთისათვის ჩიჩნეთ-ინგუშეთთან დასაკავშირებლად, როგორც ქაჩუსა და ქერიგოს გზები. იმიტომ იყო, რომ ამ გზის გადმოსასვლელს თუშები, საჭიროების შემთხვევაში, ყოველთვის ამაგრებდნენ და ყარაულობდნენ. ამ გადმოსასვლელს დიდად უფრთხილდებოდა მეფის რუსეთი ჩრდილო-კავკასიის შემოერთება-დაუფლებამდე. იგი დაცული იყო მენშევიკური ხელისუფლების დროსაც. მაშინდელი სანგრები დღესაც კარგად შეინიშნება. მეორე სამაჟულო ომის დროსაც კი, როცა ჩიჩნეთ-ინგუშეთიდან აქ მიმდინარე ანტისაბჭოური მოძრაობის გამო საშიშროება შეექმნა ჩვენს ქვეყანას, ამ გზის გადმოსასვლელ უღელტეხილს წითელარმიელები და თუში პარტიზანები საგანგებოდ სდარაჯობდნენ.

ბ. შავხელიშვილთან დაზუსტება-შევესებას საჭიროებს კახეთის ბარიდან თუშეთზე გავლით ჩიჩნეთ-ინგუშეთთან დამაკავშირებელი გზების აღწერაც. აქაც არსებული სინამდვილის მხოლოდ ცალმხრივ წარმოდგენასთან გვაქვს საქმე. მკითხველს, რა თქმა უნდა, ვინც თუშეთსა და მის გეოგრაფიულ მდებარეობას არ იცნობს, დარჩება შთაბეჭდილება, რომ, თითქოსდა, თუშეთსა და კახეთის ბარს დაკავშირება შეეძლოთ მხოლოდ პანკისისა და სტორის ხეობებიდან სამხრეთ კავკასიონის მთაგრეხილებზე გადასასვლელი გზა-ბილიკებით. მართალია, ავტორი თუშეთ-კახეთის ბარის დამაკავშირებელ გზებს ცალკე არ ეხება, მაგრამ მისი მსჯელობიდან ისე გამოდის, რომ კახეთის ბარიდან თუშეთში სხვა გზებით ვერ გადავალოთ, თუ არა პანკისისა და სტორის ხეობებიდან მიმდინარე გზებით.<sup>ა</sup> რადგან სხვა გზების არსებობის შესახებ იგი არაფერს ამბობს. ავტორს რატომღაც ავიწყდება, რომ კახეთის ბარიდან თუშეთში გადასასვლელი რამდენიმე გზა არსებობს, რომელთა შესახებაც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, ხომ შეიძლებოდა საქართველოს ბარი და მისი მოსახლეობა თუშეთს დაკავშირებოდა: „კეპანის გზით“, მაგალითად, ამ გზით წავიდა თუშეთში 1931 წელს ექსპედიცია ს. მაკალათიას ხელმძღვანელობით,<sup>10</sup> „ქოხტის გზით“, „საყორნის გზით“ და „ანდარაზანის გზით“, ეს გზები ხომ თუშეთ-კახეთის ბარის ურთიერთდამაკავშირებელი სატრანსპორტო-ისტორიული გზებია. ეს გზები დღეს ჩვეულებრივ მოქმედი გზებია. როგორც ჩანს, თუშეთში გადასვლა შეიძლებოდა რამდენიმე გზით, ხოლო შემდგომში იმიერკავკასიულ მთიელებს რომელი გზით დაუკავშირდებოდნენ, ეს თივთ ადგილზე, თუშეთში გადაწყდებოდა.

ა. შავხელიშვილი, დასახ. შრომა... გვ. 61.

ა. შავხელიშვილი, დასახ. ნაშრომი... გვ. 61.

<sup>10</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, 1933, გვ. 212-214.

ჩენეთ-ინგუშეთთან დამაკავშირებელი საკუთარი გზა-ბილიკებით სარგებლობდნენ ხევსურეთი და ფშავეცი. მათგან უფრო დიდ ინტერესს იწვევს ხევსურეთი, რადგან იგი ტერიტორიულად მეტად ახლო ემეზობლება ჩენეთ-ინგუშეთს, კერძოდ, პირიქით ხევსურეთი (არხოტისა და შატილის თემები). არხოტის თემს და, რა თქმა უნდა, ამ თემის საშუალებით სხვა ხევსურებსაც, ურთიერთობა ჰქონდათ ვლადიკავკავთანაც. ამ თავისებურებათა გამო წერდა გიორგი თედორაძე, რომ „არხოტელები (ანუ ხევსურების ენაზე: არხოტიონები) ახლო არიან კავკავთან, შატილელები კი (იმათებურად: შატილიონები) გროზნოსთან.“<sup>11</sup> პროფ. ს. მაკალათია კი შენიშნავდა: „ჩრდილოეთის მიმართულებით ხევსურეთიდან გზები გადადის არხოტიდან და შატილ-არდოტიდან ქისტეთ-ჩაჩნეთის ტერიტორიაზე, საიდანაც შეიძლება ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა რაიონებში მიმოსვლა“.<sup>12</sup>

ხევსურეთიდან ჩენეთ-ინგუშეთისაკენ მიმავალ გზებს შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს გზა, რომელიც მდ. არღუნის ნაპირს მიღჰყვება (ეს გზა აერთებს პანკისის ხეობას და თუშეთს ხევსურეთიდან ბორბალოზე გადასვლით), იგი გვერდს აუვლის სოფ. შატილს, რომელიც ხევსურების უკანასკნელ სოფელს წარმოადგენს და ანატორიდან, სადაც არდოტის წყალი უერთდება არღუნს, ხის ხილით მდინარეზე გადადის და მდ. არღუნის მარცხენა მხარეზე მიჰყვება მდინარეს. ანატორიდან სამი კილომეტრის გავლის შემდეგ მიემართებიან ზევით, ციცაბო ფერდობზე, შემდეგში გზა გადის ალაქოში. ალაქო წარმოადგენს ძველ ნასოფლარს, სადაც ამჟამად მხოლოდ ნასახლარებიღაა შემორჩენილი. ნასოფლარს გვერდზე ჩამოუდის ხეობა, რომელსაც ალაქოს ხევეს ეძახიან. გზიდან ამ ხეობაზე მიემართება პატარა ბილიკი, რომელიც საზაფხულო საძოვრებს აკავშირებს მთავარ გზასთან, ალაქოდან გზა პირდაპირ მიჰყვება მდინარის მარცხენა მხარეს და გადის ართხმოს წყალთან ანუ ართხმოში. აქ გზა ორად იყოფა: ერთი გზა გაივლის ართხმოს ხეობას (ართხმოს წყალს) უხვევს მარჯვნივ, შედის სოფელ ართხმოში. ამ სოფლიდან გზა გაივლის ჯარიათხის მთას (ჯარიათხის თაეს) და უხვევს ბაზდეთის ხეობაზე და ბაზდეთის გავლით ჩადის სოფელ ჯარეგოში. ჯარეგოდან ერთი ბილიკი უერთდება სოფ. შვინდეთთან მთავარ გზას, ხოლო მეორე ბილიკი უხვევს მარჯვნივ და გადადის მიზუს ხორხს და გადის ხორხიდში. ეს გზა გამოყენებულია მხოლოდ მონადირეებისათვის. მთავარი გზა კი ართხმოდან პირდაპირ შედის სოფელ შვინდეთში და მიემართება თერეთეგოსაკენ. თერეთეგოს გავლით ჩადის ახალხევეში, სადაც უერთდება სამანქანე გზას და მიემართება ქ. გროზნოსაკენ.

შატილიდან ჩენეთ-ინგუშეთისაკენ მიდის მეორე გზაც. ეს გზა სოფელ შატილიდან, შატილის ხევით მიემართება მალლა, გადადის ალაქოს მთას

<sup>11</sup> გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავე-ხევსურეთში, 1930, გვ. 36.

ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1935, გვ. 21.

და უერთდება ახალხვეში სამანქანე გზას. ეს გზა უმოკლესი გზაა, მაგრამ იგი გამოუყენებელია დიდი ხნიდან. რადგან მეტად კლდინი სავალია და საშიში. ამჟამად ამ გზით თითქმის აღარაეინ მგზავრობს.

ხევსურეთიდან ინგუშეთის ტერიტორიაზე გადასვლა შეიძლება მდინარე ასას ხეობითაც. ეს გზაც მეტად ნაკლებად არის გამოყენებული, ძირითადად, ამ გზით ხევსურებსა და ინგუშებს მისვლა-მოსვლა აქვს შემოდგომით და ზამთრის პერიოდში. ამ გზის სირთულეს იწვევს მდინარის აღიდება. ამ გზის უკანასკნელი ხევსურული სოფელია ამლა, ხოლო ინგუშებით დასახლებული სოფელი კი არის ფეუ (ყოფილი ზამახის სასოფლო საბჭო).

აღმოსავლეთ საქართველოს ბარი ხევსურეთს უკავშირდება რამდენიმე გზით და მათ შორის მთავარი გზა არის, რომელიც „დუშეთიდან გადის არაგვის ხეობით. გაივლის ჟინვალს და მალაროს კარს, ორწყალთან უხვევს ხევსურეთის არაგვის ხეობაში და ბარისახოში შედის... შატილ-არდოტის გზა არაგვის ხეობით მიდის ბარისახო-ლულიდან გუდანამდის. აქ გზა უხვევს ხახმატის ხეობაში, სოფ. ბისო ხახმატით გადადის დათეისჯვრის გადასავალზე და ჩადის წუბროვანის ხეობაში. აქედან ლებაისკარსა და გუროზე გავლით გზა შატილში მიდის.<sup>13</sup> დღეს ეს გზა სამანქანეა და უფრო მჭიდრო კავშირი მყარდება საქართველოს ბარსა და ხევსურეთს შორის.

თუშეთისა და ხევსურეთისაგან შედარებით ფშავი უკეთეს მდგომარეობაში იყო. რადგან მას ნაკლებად ესხმოდნენ იმიერკავკასიელი მთიელები. იგი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით უშუალოდ არ ემეზობლებოდა ჩრდილოკავკასიას და ამიტომ ლეკთა და ქისტთა გამუდმებული თავდასხმებიც შედარებით ნაკლებად განიცადა. აღნიშნულის გამო წერდა პროფ. ს. მაკალათია: „ფშავს ქისტ-ლეკებიც შედარებით ნაკლებად აწუხებდნენ, რადგანაც ამ მხრივ მის საფარს ხევსურეთ-თუშეთი წარმოადგენდა, განსაკუთრებით თუშეთი, რომელიც ხანგრძლივ იგერიებდა ლეკების გამანადგურებელ თარეშს“.<sup>14</sup>

მიუხედავად აღნიშნული მდგომარეობისა, ფშავი მაინც ვერ ასცდა ქისტთა და ლეკთა თავდასხმებს. ფშავური ხალხური პოეზია იძლევა მდიდარ მასალას, სადაც ნათლად ვლინდება მათი ურთიერთ თავდასხმები, მკობრობა და ხოცვა-ჟლეტა. გარდა მტრული დამოკიდებულებისა ფშავლებს და იმიერკავკასიელ მთიელებს შორის საუკუნეთა მანძილზე არსებობდა ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობაც. იგი თუშეთისა და ხევსურეთის გვერდით ყოველთვის ცდილობდა. რომ მეზობელ მთიელებთან კარგ დამოკიდებულებაში ყოფილიყვნენ. ფშავი ხშირად აღწევდა კიდევ ამ მიზანს, რის დამოწმებასაც წარმოადგენს ფშავის ხალხურ გადმოცემაში შემონახული მრავალი მაგალითი და მისი ტოპონომიკა.

<sup>13</sup> ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1935, გვ. 20-21.

<sup>14</sup> ს. მაკალათია, ფშავი, 1934, გვ. 31.

ფშავს იმიერკავკასიელ მთიელებთან დამაკავშირებელი საკუთარი გზები გააჩნდათ. ზოგი გზა კი ფშავიდან იწყებოდა და ხევსურეთის გავლით უკავშირდებოდა ჩინეთ-ინგუშეთს. ასეთი გზებია: 1. შუაფხოს ორწყალი-შუაფხო-მათურის წყალი-აქედან მარჯვნივ ლაშარის ჯვარი-უკანა ფშავისათვის გორი-გოთანა-წყაროსთავი-ანდაქი არჭილო-არდოტი-მუცო-მუცოს ჭალა-ანატორი-ჯარეგო-ითონჯალი; 2. შუაფხოს ორწყალი-შუაფხო-მათურის წყალი-მათურა-ჭანჭახის მთა-ჩაეა ხახაბოში-ხახაბოს ორწყალთან უერთდებიან ჯოყოლოდან და დუშეთიდან მომდინარე გზები-აქედან არდოტში-მუცო-მუცოს ჭალა-ანატორი-ჯარეგო-ითონჯალი; 3. დუშეთი-ჟინვალ-თვალეთი-მდაროს კარი-ჩარგლის კარი-შუაფხოს ორწყალი-ბარისახო-ლული-ბისო-ხახმატი-დათვის ჯვრის გადასასვლელი-ლებაის კარი-კისტანი-გუროს ორწყალი-ველის წყალი-მატილი-ჯარეგო-ითონჯალი.

საქართველოს ბარი ფშავს უკავშირდებოდა უმთავრესად იმ მაგისტრალური გზით, რომელიც გაივლის ქ. მცხეთას – ჟინვალს-შეუწყება ფშავის არაგვს და მივა ფშავის ცენტრალურ სოფელ-შუაფხოში. ცენტრალური ხელისუფლებისათვის ფშავი უფრო ხელმისაწვდომი იყო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, რის გამოც, საჭიროების შემთხვევაში, მეფე, მისი ოჯახი და თანამებრძოლნი, ფშავში უფრო იხიზნებოდნენ ვიდრე ხევსურეთსა და თუშეთში.

ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა ერთის მხრივ, თუშ-ფშავ-ხევსურეთსა და ჩრდილოკავკასიის ხალხებს შორის, ხოლო მეორეს მხრივ, საქართველოს ბარსა და თუშ-ფშავ-ხევსურეთს შორის დამაკავშირებელი გზების აღწერა. შესაძლებელია, ყველა გზა ვერ წარმოვაჩინეთ, მაგრამ, უნდა შევნიშნოთ, რომ თითოეული კუთხის ზღვილზე შესწავლითა და მკვიდრთა გამოკითხვების გზით, ვფიქრობთ, ყველა ძირითადი გზა-ბილიკი აღვწერეთ, რომელთა საშუალებითაც საუკუნეთა მანძილზე თუშ-ფშავ-ხევსურებს ეკონომიკური, კულტურული და სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდათ ჩრდილოკავკასიის ხალხებთან, კერძოდ კი, ჩინებთან, ინგუშებთან, ქისტებთან, დიდოებთან და ლეკებთან. ამავე გზებით უკავშირდებოდა, ხშირ შემთხვევაში, საქართველოს სამეფო ხელისუფლება კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მცხოვრებ ხალხებს. თუშ-ფშავ-ხევსურეთი თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით ამ დიდ საქმეში მჭიდროდ იყო ჩაბმული.

## 4.2. თუშ-ფშავ-ხევსურებისა და ვეინახ-დიდო-ლეკების ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობა აღმოსავლეთ შუა საუკუნეებიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე

წინა პარაგრაფში განხილულ იქნა თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და იმიერკავ-კასიელი მთიელების დამაკავშირებელი გზა-ბილიკები. პრეისტორიული ხანიდან დღემდის ამ გზებით ხდებოდა მათ შორის ურთიერთობა და მისვლა-მოსვლა. აღნიშნული გზები დღესაც მოქმედებაშია და ამ გზა-ბილიკებით ხშირად უკავშირდებიან, საჭიროების შემთხვევაში, ჩრდილოკავკასიელ მთიელებს თუშ-ფშავ-ხევსურები და კახეთის მთიანეთში ასული ყველა მათგანი, ვისაც სურს აღნიშნული მარშრუტებით გადავიდნენ ჩეჩნეთ-ინგუშეთ-ქისტეთში და დიდოეთ-დაღესტანში. ამ ხალხების მრავალსაუკუნოვან ურთიერთობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია კულტურულ-ეკონომიკურ თანაცხოვრების საინტერესო ისტორიას. მართალია, ქართველი მთიელებისა და მათ მეზობელ ვეინახ-დიდო-ლეკებს შორის ყოველთვის ერთნაირი დამოკიდებულება არ არსებობდა და ზოგჯერ ადგილი ჰქონდა დიდ ჩავარდნებსაც, მაგრამ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ შორის „კეთილმეზობლობა და საუკუნოვანი მეგობრობა“<sup>1</sup> არასდროს არ შეწყვეტილა; ისინი, მიუხედავად ზოგდროს სამხედრო პოლიტიკური სიტუაციის გართულებისა, კარგად სარგებლობდნენ ტერიტორიული სიახლოვით და ყოველთვის ახერხებდნენ კულტურულ-ეკონომიკურ თანაცხოვრებას.

ქართველი მთიელებისა და ვეინახ-დიდო-ლეკების კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობა, რომელიც შეადგენს საქართველოს ბარსა და ჩრდილო კავკასიას შორის არსებულ მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს და ავლენს მისთვის დამახასიათებელ ყველა ძირითად ნიშნებს, საჭიროებს ცალკე შესწავლას, რადგან მას ზოგადად ერთად ბევრი სპეციფიკური თავისებურებანიც გააჩნია.

რამდენადაც საინტერესოა თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და მათი მეზობელი მთიელების კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობა, იმდენად რთულია მისი სრულყოფილად შესწავლა-წარმოჩენა, რადგან წერილობითი ცნობები შედარებით მცირეა. სამაგიეროდ, თუშ-ფშავ-ხევსურეთის ტოპონიმიკა, მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა და ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ავსებენ ხსენებულ ნაკლს და, ერთგვარად, აადვილებენ კიდევ აღძრული საკითხის შესწავლა-გამოკვლევის საქმეს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი (თუშ-ფშავ-ხევსურეთი), როგორც უკვე აღინიშნა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე ათასწლეულებში სამოსახლო ადგილებად მოსჩანს და მჭიდროდაცაა დასახლებული „იმ დროს (ნეოლითის

<sup>1</sup> თ. ბოცვაძე. საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან, 1968, გვ. 205.

ეპოქაში - ვე.) საქართველოს თითქმის ყველა კუთხე, და მათ შორის მთიანეთიც. - წერს აკად. გ. მელიქიშვილი. - უკვე საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ჩანს...<sup>2</sup> ამავე პერიოდში დასახლებულია კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთი კალთებიც. როგორც ირკვევა, კავკასიონის ჩრდილოეთ და სამხრეთ კალთებზე მცხოვრებთა სახით თავიდანვე, ძირითადად, ურთიერთგანსხვავებულ ეთნიკურ ერთეულებთან გვაქვს საქმე. თუმცა, მათ შორის, როგორც აკად. გ. მელიქიშვილი მრავალგზის შენიშნავს, მაშინვე იყო ერთმანეთში ასიმილირება-გათქეფვის გარკვეული შემთხვევები.<sup>3</sup>

იმიერკავკასიისა და საქართველოს, კერძოდ, იბერიის (ქართლის) თავდაპირველი ნათესაობა-დაძოვრება „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მომხდარა ძვ.წ. III ს-ში, როდესაც „ფარნავაზი ცოლად ირთავს კავკასიონის მთიანეთის ერთ-ერთი ტომის, ღურძუკების ტომის ქალს“.<sup>4</sup> ლეონტი მროველის მიერ „ოვსნი“ და „ლეგნიც“ ფარნავაზის მოკავშირეებად არიან დასახლებულნი. ოვსთა მეფეს ფარნავაზის და ჰყოლია ცოლად.<sup>5</sup>

ურთიერთობა იმიერკავკასიელთა და ქართველთა შორის უფრო გაფართოვდა ფარნავაზის ვაჟის - საურმაგის მეფობის პერიოდში. საურმაგმა ამხედრებული ერისთავები, რომელთაც მეფის მოკვლა და თავისუფლების მოპოვება გადაუწყვეტიათ, ჩრდილოკავკასიიდან გადმოყვანილი ლაშქრის დახმარებით დაამარცხა და დაიმორჩილა. შემდგომში კი „საურმაგ წარმოიყვანნა იგინი ყოველთა კავკასიის ნათესავთა ნახევარნი და რომელნიმე მათგანი წარჩინებულ ყვნა, და სხუანი დასხნა მთიულეთს, დიდოეთიდგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი“.<sup>6</sup>

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საურმაგის მიერ გადმოყვანილ იმიერკავკასიელთა გარკვეული პროცენტის დასახლება უეჭველად შეეხებოდა თუშ-ფშავ-ხევსურეთს და განსაკუთრებით თუშეთს, რადგან ჯერ ერთი, იგი დიდოეთიდან დასავლეთით, ე.ი. ეგრის-სვანეთის მიმართულებით, პირველი შემხვედრი ქართული მიწა-წყალია და ვერ ასცდებოდა ამ პროცესს, მეორეც, თუშეთის ტოპონიმიკის მეტად სიჭრელეც უმთავრესად ამ შორეული ფაქტის დადასტურება უნდა იყოს. ფშავ-ხევსურეთისაგან თუშეთი ამ მხრივ საგრძნობლად განსხვავდება. ამ თავისებურებათა შესახებ ჩვენ უკვე გეტქონდა საუბარი. აქ კი ის გვინდა შევნიშნოთ, რომ მართალია, არ ხერხდება ზუსტად თქმა, თუ ხსენებულ პერიოდში ქართველ მთიელებსა და მათ მეზობელ იმიერკავკასიელებს შორის როგორი კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობა არსებობდა. მაგრამ როგორც ეტყობა, ვერც იმას ვიტყვი. რომ მათ შორეულ წარსულშივე არ ჰქონოდათ კეთილმეზობლობა და მეგობრობა.

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. ლუბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, ტ. 1, 1958, გვ. 12.

<sup>3</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, 1970, გვ. 429-462. იქვე, გვ. 455.

<sup>4</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. 1, 1955, გვ. 23.

<sup>5</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. 1, 1955, გვ. 27.





თ. ოჩიაურის ხსენებულ შრომაში სამეურნეო ყოფაცხოვრების პირობების მიხედვით თუშ-ფშავ-ხევსურნი მეტად დამცირებულად არიან წარმოდგენილნი. მათოლოგიურ გადმოცემებზე დაყრდნობით, რომელთაც ყოველგვარი კრიტიკის გარეშე იყენებს, მკვლევარი „დამაჯერებელი“ ტონით გვიყვება სასოფლო სამეურნეო იარაღების დამზადების მხრივ, ქართველ მთიელებთან შედარებით ქისტ-ჩეჩნების განვითარებულ დონეზე. ეს უპირატესობა, უმეტესწილად, მიწათმოქმედების იარაღებთან დაკავშირებით ვლინდება. იგი წერს: „დევები (ქისტ-ჩეჩნები, ვ.ე.) ძირითადად სახნავ-სათეს იარაღებს ჭედდნენ თურმე. გადმოცემების მიხედვით, იმ დროს ფშავ-ხევსურეთში მჭედელი არ ყოფილა. ამიტომ მათს ნახელავს დიდი მოთხოვნილება აქონია. დვენი ხსენებულ საქმიანობას მისდევდნენ ისეთი წარმატებით, რომ როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათი სახენელით დამუშავებული ყანა, ერთ ღერზე ორ თავთაყს იბამდა, ხევსურ თუ ფშაველ შემკვეთელებს ისინი თუმცა თავიანთი ნაწარმით ამარაგებდნენ. მაგრამ გარკვეული პირობის დაცვის შეძობვევაში. ეს პირობა შემდეგში მდგომარეობდა: მამაკაცი მათ სამჭედლოს ვერ გაეკარებოდა, შეკვეთა ქალს უნდა მიეტანა“.<sup>10</sup>

თ. ოჩიაურის მიერ გამოყენებული გადმოცემების მიხედვით გამოდის, რომ ქისტ-ჩეჩნები „თავის ხელობის დაცვის მიზნით“ ფშავ-ხევსურთა მამაკაცებს არ იკარებდნენ. ისინი სამეურნეო იარაღების დამზადების შეკვეთას მხოლოდ ქალებისაგან ღებულობდნენ, რადგან ქისტ-ჩეჩნები „ამით ერთგვარად იცავდნენ თავს კონკურენტისაგან, მამაკაცებს შეეძლოთ მათი ხელობის შესწავლა, რაც საქმიანობაში ზარალს მოუტანდა. ქალებთან ურთიერთობის დროს კი ეს საფრთხე მოხსნილი იყო“.<sup>11</sup>

რადგან ქართველ მთიელებში ლითონის დამუშავება არ სცოდნიათ, ხოლო მათ მეზობელ ქისტ-ჩეჩნებში კი ეს დარგი მაღალ დონეზე მდგარა, ფშავ-ხევსურთა მამაკაცები იძულებულნი ყოფილან „მეტალურგ ჯაჯებთან (ქისტ-ჩეჩნებთან) თავიანთი ქალები გაეზავნათ“. ქისტ-ჩეჩნებთან გადასულ ფშავ-ხევსურთა ქალებს „დევები უძიჯნურდებოდნენ და მათთან სწორფრობდნენ“. ეს ყოველივე კარგად იცოდნენ ფშავ-ხევსურთა მამაკაცებმა, მაგრამ იმის გამო, რომ შიშობილით არ ამოწვევტილიყვნენ. ისინი „თაყის ნებით გზავნიდნენ ქალებს დევებთან, ოდისდ მათ სახეცილდისათაყის საჭირო რკინის ნაწილები გაეჭყდათ“.<sup>12</sup> ფშავ-ხევსურები, რომ მეზობელ დევებზე იყვნენ დამოკიდებულნი და მათგან სულდგმულობდნენ თ. ოჩიაურს ღრმად სჯერა და მრავალგზის შენიშნავს კიდევ. იგი წერს: „ფშაველები და ხევსურები დამოკიდებული ჩანან დევებზე; თუ დევები რკინის აარადის არ გუქვდავენ. ისინი შიშობილით ამოწვევტიან“.<sup>13</sup>

<sup>10</sup> თ. ოჩიაური. დასახ. ნაშრომი. გვ. 28.

<sup>11</sup> იქვე.

<sup>12</sup> იქვე. გვ. 38, ხაზი ჩვენი. ვ.ე.

<sup>13</sup> თ. ოჩიაური. დასახ. შრომა. გვ. 29. ხაზი ჩვენი. ვ.ე.

მკითხველი დაგვემოწმება, რომ თ. ოჩიაურის ასეთ მსჯელობაში დარღვეულია ყოველგვარი ნორმები; იგი ოდნავდაც არ ითვალისწინებს ქართველი კაცის ბუნებას, ფსიქოლოგიას, თავმოყვარობას. ამ მიმართულებით ქართველი ერის განსაკუთრებულ თავისებურებას და უზომო შურაცხყოფას აყენებს ფშავ-ხევსურებს. აღნიშნულთან ერთად სრულიად დავიწყებულია, რომ „ქართველ ტომებს მარტო თავიანთვის არ უკეთებიან მადნეულის ჭურჭელი და იარაღი, არამედ ისინი მსოფლიოს ამარაგებდნენ ამით“.<sup>14</sup>

რადგან საქართველოს ბარში პრეისტორიული დროიდანვე მსოფლიო ღონეზე იდგა ლითონის მოპოვება და მისი მაღალხარისხოვანი დამუშავება, ქართველ მთიელებს რატომ უნდა შემოეტანათ სამეურნეო იარაღები მათი მეზობელი დევებისაგან (ქისტ-ჩეჩნებისაგან) და თანაც დიდად დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი საშუალებებით, და არა თავისი თანამომხე ბარელები-საგან? აღნიშნულის გამო წერდა პროფ. ი. მეგრელიძე, რომ: „თუ ქართველ მთიელებს ლითონი არ გააჩნდათ, რაღა ძნელი და სამიში გზით მიდიოდნენ მთის გადაღმა, გადმოდმიდანვე, თავიანთი ძმებისაგან ვერ წაიღეს?!“<sup>15</sup>

ხსენებულ უხერხულობა-უზუსტობათა გამო პროფ. ი. მეგრელიძემ გამოთქვა თავისი მოსაზრება და დასძინა, რომ: „თ. ოჩიაურს იმ რეალური, ეთნოგრაფიული ფაქტისათვის მიიჩნევს გაეწია ანგარიში, რომ მთიელებს შორის ჯაჭვის პერანგები, ქაფ-ჯაკუშები ხევსურებს აქვთ და არა მათ გადაღმა მეზობლებს. დაშნებსაც სხვებზე უკეთ ატარებდნენ და გამოთქმაც არსებობს: ხევსურულ ხმალსავით ჭრისო. ტოპონიმი ფოლადაურის ხეობა და გვარი ფოლადაური ჩვენში გვხვდება“.<sup>16</sup>

მითოლოგიურ გადმოცემებზე დაყრდნობით თუშ-ფშავ-ხევსურების სამეურნეო ცხოვრების დახასიათება. რომელსაც არ ახლავს წერილობითი ცნობებისა თუ არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მონაცემების დაპირისპირება, რა თქმა უნდა, მცდარია და მას ისტორიულ სინამდვილესთან არავითარი კავშირი არა აქვს. ასეთი მსჯელობა სავსებით ეწინააღმდეგება ქართველი მთიელებისა და მათი მეზობელი ტომების სამეურნეო და კულტურული ურთიერთობის შესახებ მოპოვებულ მდიდარ მონაცემებს, რომელთა თაობაზეც მრავალგზის არის აღნიშნული ქართულ და ჩრდილოკავკასიურ ისტორიოგრაფიაში.

სამეურნეო იარაღების დამზადებისა თუ საერთოდ მეტალურგიის არსებობა-განვითარების თვალსაზრისით ქისტ-ჩეჩნების ქართველ მთიელებზე მაღლა დაყენება, ისეთივე მცდარი და უხერხული უზუსტობაა, როგორც იმის თქმა, რომ ცხვარი ქისტებს ჰყავთ და არა მათ მეზობელ თუშებსო. „ცხვარი

<sup>14</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1960. ტ. გვ. 24. ხაზი ჩვენია, ვ.ე.

<sup>15</sup> ი. მეგრელიძე, ერთი ნაშრომის ყალბი კონცეფციის გამო, ჟურნალი „მნათობი“, №9, 1970. გვ. 185.

<sup>16</sup> ი. მეგრელიძე, ერთი ნაშრომის ყალბი კონცეფციის გამო, ჟურნალი „მნათობი“, №9, 1970, გვ. 184.

და ყველი თუშურია ცნობილი, — წერს პროფ. ი. მეგრელიძე, — და არა იმდენად თუშთა მეზობლებისა<sup>17</sup>.

თუშ-ფშავ-ხევსურებისა და მათი მეზობელი მთიელების სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობის ობიექტური შესწავლით გამოვლინებული შედეგები სავსებით ეწინააღმდეგება თ. ოჩიაურის მსჯელობას და ქართველი მთიელების სასარგებლოდ მტყველებს.

ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, თუშ-ფშავ-ხევსურები და ვეინახ-დიღო-ლეკები, იძულებულნი იყვნენ ერთმანეთთან ახლო ურთიერთობაში ყოფილიყვნენ. მათ შორის ხშირი მისკლა-მოსვლა სწარმოებდა, რადგან ისინი ერთი-მეორეში საკუთარი ნაწარმის გაცვლა-გამოცვლას აწარმოებდნენ და ვაჭრობდნენ. თუშ-ფშავ-ხევსურეთში იმიერკავკასიელი მეზობლები გადმოდიოდნენ, არა მარტო სავაჭროდ, არამედ სამუშაოდაც. დიდოები, ლეკები, ქისტ-ჩენები, თუშ-ფშავ-ხევსურეთში აშენებდნენ საცხოვრებელ სახლებს, ციხეებს, ბოსლებს და სხვა. მშენებლობაში ისინი იღებდნენ: საქონელს, ფულს, პროდუქტს, ტოლს (შალის ქსოვილს), ფარდაგებს, ხურჯინებს, ცხენის ჩულებს და სხვა. მათგანვე ირიგებდნენ სასოფლო მენახირეებსაც. მეძროხე-მეხბორეებს სოფელი უხდიდა ჯამაგირს. ეს იყო სეზონური სამუშაო გაზაფხულიდან დაზამთრებამდე. მათი შრომა დიდად იყო გამოყენებული მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ საქმიანობაშიც. ეს განსაკუთრებით თუშეთზე ითქმის. თუში მამაკაცები მასობრივად მისდევდნენ მესაქონლეობას, სახლში მოხუცი მამაკაცებიღა რჩებოდნენ. ამიტომ „მოხნავებად“, ე.ი. გუთნის-დედად დიდო-ლეკებს, ან ქისტ-ჩენებს ამუშავებდნენ. მოსავლის აღებაშიც დიდო-ლეკების ქალებს იშველიებდნენ საოჯახო საქმეების კეთებაშიც: მატყლის გარეცხვა, დაჩეჩვა, დართვა, მოქსოვა, ნაბდების მოთელვა და სხვა. მაგრამ აქ ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს, დაღესტანში მატყლის გადამუშავების ტექნოლოგია უფრო მაღალ დონეზე იდგა, ვიდრე თუშეთში და იმიტომ გადმოდიოდნენ ლეკი ქალები თუშეთში. რა თქმა უნდა, არა. თუშის ქალები ლეკის ქალებს შვე საქმეს აკეთებინებდნენ. თუშის ქალები მათ არასდროს არ ანდობდნენ წმინდა შალის მოქსოვისა თუ ამავე დანიშნულებისათვის საჭირო მატყლის დაჩეჩვა-დართვის საქმეს. ლეკი ქალის შრომა თუშ-ფშავ-ხევსურეთში გამოყენებული იყო, როგორც დამხმარე ძალა.<sup>18</sup> სხვანაირად არც შეიძლებოდა. რადგან თუშეთი მესაქონლეობისა და ცხვარ-ძროხის ნაწარმის დამუშავება-განვითარების საქმეში მთელს კავკასიაში პირველობას არავის უთმობდა. თუშის ქალები წმინდა შალის მოქსოვაში ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ და გამარჯვებული რჩებოდა ის,

<sup>17</sup> ი. მეგრელიძე, ერთი ნაშრომის ყალბი კონსტრუქციის გამო, ყურნალი „მნათობი“, №9, 1970, გვ. 185.

<sup>18</sup> ც. ბაზერაშვილი, თუში ქალის ტალაყარი, თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1967, გვ. 148

ვისი მოქსოვილი შალიც მამაკაცს ჯიბეებზე სატარებელ ბეჭედში გაეტეოდა. „თუ შალი ამ ბეჭედში არ გატარდებოდა, ის წმინდად არ ჩაითვლებოდა“.<sup>19</sup>

მართალია, თუშ-ფშავ-ხევსურები მეზობელი ტომებისაგან სახარბიელო ეკონომიკურ დახმარებას ვერ მიიღებდნენ და ამ მოტივით ისინი მათთან, რა თქმა უნდა, არც გადიოდნენ, მაგრამ მათ ზოგიერთ ნაწარმს ქართველ მთიელებში დიდი მოთხოვნილება ჰქონდა, რაც ამ მეზობელ ტომებს შორის სამეურნეო და ეკონომიკური კავშირის დამყარებას უწყობდა ხელს. თუშ-ფშავ-ხევსურეთში დიდ მოწონებას იმსახურებდა დალისტნური საქონლიდან ე.წ. „ლექური ნაბადი“, აგრეთვე ცივი იარაღი – „ლექური“<sup>20</sup> და სხვა. ჩეჩენ-ქისტებისაგან თუშ-ფშავ-ხევსურები იძენდნენ ცხენის აკაზმულობას და ე.წ. „ბალთიან ანუ ტოტიან ქამრებს“, რომლებიც ვერცხლით იყო შემკული, გარიბანდის ქუდეებს, მასრებს, ცივი იარაღს და სხვა.

თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და ჩრდილოკავკასიის კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობა-დაახლოებას დიდად შეუწყო ხელი საქართველოს მეფეთა მიერ იმიერკავკასიაში ქრისტიანობის გავრცელება-შეტანისათვის ჩატარებული ღონისძიებებმა. ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელებას ქართველი მეფეები დიდ ამოცანებს უსახავდნენ: „ჩრდილოეთის გაქრისტიანებას უადრესად პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლეოდა და კახეთ-ქერეთის ხელისუფლებაც ამ საქმეს გულმოდგინედ შესდგომია“.<sup>21</sup>

ჩრდილოეთ კავკასიის ტომებში ქრისტიანობისა და ქართული ქრისტიანული კულტურის გავრცელების დაწყება ლეონტი მროველისა და ჯუანშერის მიხედვით აბიბოს ნეკრესელს მიეწერება. მატიანე ამტკიცებს, რომ აბიბოს ნეკრესელმა „მოაქცივნა უმრავლესნი მთიელნი არაგუსა აღმოსავლითნი“.<sup>22</sup> აკად. ს. ჯანაშია აღნიშნულის თაობაზე წერს: „რადგანაც ქ. ნეკრესი თვითონ კავკასიის მთის კალთებზე მდებარეობდა, ამიტომ საფიქრებელია, რომ „მთიულეთში“ მემატიანე მთის კავკასიელ ტომებსაც გულისხმობს, ასე ესმის კერძოდ კახუშტის, რომელიც ამბობს, რომ აბიბოსი იყო „მწყემსი გაღმა მკარისა დიდოთურთ“. „მერვე საუკუნისათვის შედგომს ენერგიულ აქტებს, ქრისტიანობის აღმოსავლეთ კავკასიისა და კავკასიის მთიანეთში დამკვიდრების მხრივ მემატიანე მიაწერს არჩილ მეფეს“.<sup>23</sup>

ჩრდილოკავკასიის ტომებში ქრისტიანობის შეტანის საქმეში მჭიდროდ იქნებოდა ჩაბმული თუშ-ფშავ-ხევსურეთი, რომელიც როგორც დიდო-ხუნ-

<sup>19</sup> ც. ბაზერაშვილი, თუში ქალის ტალავარი, თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1967, გვ. 150.

<sup>20</sup> დ. მეგრელაძე, დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, საღი-სერტაციო ნაშრომი (ხელნაწერი), 1952, გვ. 30.

<sup>21</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, 1933, გვ. 19.

ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 229.

<sup>22</sup> ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, 1949, გვ. 248; ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 243-244.

ძებთან. ისე ძურძუკებთან გეოგრაფიული მდებარეობის თვალ-საზრისით, მოხერხებულ პირობებს ქმნიდა, რაც, რა თქმა უნდა, კარგად იქნებოდა გამოყენებული. „მთელი კულტურულ-რელიგიური მოძრაობის გამტარებელი ტერიტორიულად უნდა ყოფილიყო თუშეთი, საიდანაც ძურძუკეთის ბილიკები გადადიოდა. ამიტომ თუშეთის გაქრისტიანებაც ამავე ხანებში უნდა მომხდარიყო.“<sup>24</sup>

უდავოა, რომ ამ დიდ საქმეში აქტიურად იქნებოდა ჩაბმული ფშავ-ხევისურეთიც, რადგან აქ ქრისტიანული რელიგია დიდი ხნის შეტანილი იყო და ამ მხრივ იგი თუშეთთან შედარებით უფრო საიმედო დასაყრდენი იქნებოდა ცენტრალური ხელისუფლებისათვის.

დალისტანში ქრისტიანობის გავრცელება საქართველოს ბარიდან შემდგომ საუკუნეებშიც ხდება. XIV საუკუნის ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი აღნიშნავს, რომ გარეჯიდან წამოსულა პიმენ სალოსი, ბელაქანს დამკვიდრებულა და ლეკებში ქრისტიანობა გაუვრცელებია. იგი წერს: „პიმენ სალოსი... გარესჯით წარმოვიდა და დაემკვიდრა ბელაქანს, ქუაბსა რასმე, რომელმან ნათესავი ლეკთა წარმართობისგან მოაქციენა, რომელნი ჰკიან სარწმუნოებასა ქრისტესა“.<sup>25</sup>

აკად. ივ. ჯავახიშვილი ეხებოდა რა XIII-XIV საუკუნეებში ქართველ განმანათლებელთა მიერ დალისტანში ქრისტიანობის გავრცელების საკითხს, შენიშნავდა, რომ: „ამშინაც კი, როდესაც საქართველო მონღოლთა შემოსევისა და ბატონობის წყალობით პოლიტიკურად დასუსტებული იყო, ქართველ ერს იმდენი კულტურული ძალა შესწევდა, რომ თავისი განმანათლებელი მოღვაწეობა არ შეუსწვტია და დალისტანში ქრისტიანობა გაუვრცელებია. ისტორიას შენახული აქვს ცნობა, რომ მე-XIII საუკუნის დასასრულს გამოჩენილმა ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ პიმენ სალოსმა ბელაქნითგან თავისი განათლება ლეკეთშიც კი გადაიტანა“.<sup>26</sup> სახელოვანი მეცნიერი სხვა დროსაც შეხებია დალისტანში ქრისტიანობის არსებობის საკითხს და შეუნიშნავს: „დალისტანში თვით ზუნძახადის ქართველ მქადაგებელთა წყალობით ქრისტიანობა იყო გავრცელებული, ეკლესიები არსებობდა და ეპისკოპოსიც იჯდა“.<sup>27</sup>

ქრისტიანული სარწმუნოება მომდევნო საუკუნეებში იმდენად განმტკიცებულა ძურძუკეთ-ლილვეთში და დაღესტანში, რომ მიუხედავად შემდგომში თურქეთ-ირანის მიერ იქ ისლამის გავრცელებისა, იგი არსებობას განაგრძობს XVIII-XIX საუკუნეებამდე. „XIV საუკუნეში, – წერს აკად. ს. ჯანაშია, – ლეკები ჯერ კიდევ ქრისტიანები იყვნენ“.<sup>28</sup> რ. მაგომელოვის მიხედვით კი

<sup>24</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, 1933, გვ. 20.

<sup>25</sup> ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1959, გვ. 283.

<sup>26</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს სახლერები, ტფილისი, 1919, გვ. 11.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 302

<sup>28</sup> ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, 1949, გვ. 251.

აღინიშნება, რომ დალისტინის ზოგიერთ ადგილებში ქრისტიანობა XIX საუკუნემდე განაგრძობს არსებობა.<sup>29</sup> ხოლო კახეთის მეფე თეიმურაზ პირველის მიერ რუსეთის მეფე მიხეილ თეოდორეს ძისადმი 1639 წლის 25 აპრილს მიწერილ წერილში კი საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ ჩჩნეთ-ინგუშეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი XVII ს-ის 30-იან წლებში კვლავ ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებდა.“<sup>30</sup>

ეროვნებით ქისტმა, მათე ალბუთაშვილმა, რომელიც პანკისის ხეობის სოფელ ჯოყოლოში დაბადებულა 1863 წელს და გარდაცვლილა 90 წლის ასაკში, 1953 წელს, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მან ქართული მართლმადიდებელი სარწმუნოების მსახურებას და პროპაგანდას მოახმარა, რისთვისაც მას გააჩნდა საკადრისი სასულიერო განათლება. მათე ალბუთაშვილმა, მრავალმხრივ საინტერესო პიროვნებამ, ბევრ რამეზე დატოვა, ხელნაწერის სახით, საგულისხმო მონაცემები, დასკვნები, მოსაზრებები და შეხედულებები, რომელთა შორისაც ყურადსაღებია მსჯელობა იმის შესახებ, თუ მისი წინაპრები როგორ კარგავდნენ ქრისტიანობას და კერძოდ, ქისტებმა როდემდე შეინარჩუნეს მართლმადიდებლობა ჩრდილოკავკასიაში. „მაღლა მთებში, – აღნიშნავს მათე ალბუთაშვილი, – დარჩენილი ქისტები, რომლებმაც ვერ დათმეს მამა-პაპათა კარ-კერა, ინარჩუნებდა ძველ რჯულსა – ქრისტიანობას XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე“.<sup>31</sup>

მათე ალბუთაშვილის მიერ ისიც აღინიშნება, რომ ტერმინი „ქისტი“ მომდინარეობს სიტყვა „ქირისტიდან“, „ქირისტიანებიდან“. რაც შემდეგნაირად მომხდარა – თურმე, „სახელწოდება „ქისტი“, – შენიშნავს მ. ალბუთაშვილი, – საიდან წარმოსდგა ან როგორ შეითვისა ხალხმა ეს სახელი, ამის შესახებ ხალხში დარჩენილია ერთგვარი ზეპირი გადმოცემა, რომელიც მოგვითხრო შუახნის ქისტმა, ცნობილმა მოსეკა ლამურაშვილმა: „დაბლა ჩაჩანი რომ გამუსრეს (ისლამს აზიარეს), ჯერი მთის ხალხზე დადგა. შემოგვეხვივნენ თათრის მოლები, დამტყრეული ჩაჩნურით გვიქადაგებდნენ ახალ რჯულს და ხშირად ახსენებდნენ „ქირისტი-ქირისტის“. ჩვენ არ გვესმოდა, მოლები ამით რას გვეუბნებოდნენ, ან რა ეწადათ და ვერც პასუხს ვაძლევდით. ბოლოს გავიგეთ, რომ ჩაჩანში შეესწავლათ მათ ეს სიტყვა, რომლითაც ჩაეგონებინათ, ჩვენ ვიყავით „ქირისტიანები“, „ქერისტამიღუ“ ქრისტიანები

<sup>29</sup> Р. Могомедов. Завоевание арабами Дагестани, 1940, стр. 18.

<sup>30</sup> М. Броссе. Переписка на иностранных языках Груз. царей с Российскими Государями от 1639 по 1770. СПб.. 1861г. стр. 29. Ц. Лаудаевь Чеченское племя (Сборник сведений о Кавказских Горцев. вып. 1872 г. стр. 15-16).

<sup>31</sup> მათე ალბუთაშვილი, პანკისის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული აღწერა) ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს. შესავალი და შენიშვნა დაურთეს მამა-შვილმა, პროფესორებმა გიორგი და ნიკო ჯავახიშვილებმა, 2005, გვ. 118.

არიანო. მას შემდეგ შეგვაჩივის ეს სახელი „ქრისტი“ – „ქისტი“ და დღესაც ამას გვეძახიანო“.<sup>32</sup>

საქართველო თავისი მოწინავე კულტურითა და ძლიერი სახელმწიფოებრივი წყობილებით საუკუნეების მანძილზე ხშირად დიდ გავლენას ახდენდა იმიერკავკასიის ხალხებზე. ამის უტყუარი საბუთია ჩრდილოეთკავკასიაში ქრისტიანობის შეტანა-გავრცელება და ის ფაქტი, რომ ქართული ენა, რომელიც ეროვნულ საზღვრებს სცილდებოდა, ხშირად ჩრდილოეთის ტომებისთვისაც სახელმწიფოებრივ ენასაც კი წარმოადგენდა.<sup>33</sup> იმიტომ იყო, რომ თეიმურაზ ბაგრატიონს ქისტ-ძურძუკ-ლლიღენი თავიდანვე ქართულად მოლაპარაკე ტონმებად მიაჩნდა.<sup>34</sup>

იმიერკავკასიელი ხალხის ქართველ ხალხთან განსაკუთრებულ სიახლოვეზე და მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირზე უნდა მიუთითებდეს. ჩვენი აზრით, ის ფაქტიც, რომ საქართველოს მოსახლეობის და განსაკუთრებით მთიანეთის მოსახლეობის გარკვეული პროცენტული რაოდენობა ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან (და ნაწილობრივ დიდოეთ-დაღისტანიდან) გადმოსულთაგან ივსებოდა.<sup>35</sup> საქართველოს ძიისა და ჩრდილოკავკასიის ხალხები ერთიმეორეს ერეოდნენ და ქმნიდნენ შერეულ დასახლებებს. ამ მხრივ, მეტად საინტერესოა პირიქით ხვესურეთის განსახლების თავისებურება, თუშეთის პირიქითის საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც იწყება სოფ. ჭემოდან და მთავრდება ქისტეთის სასაზღვრო სოფელ ჭონთითი. თუშ-ფშავე-ხვესურეთის ეთნიკურ შემადგენლობაში ვეინახ-დიდო-ლექთა შერევის ხანგრძლივი პროცესი მრავალგზის არის დადასტურებული ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში. ამავე საკითხს მიეძღვნა მრავალი საქანათმეცნიერო ნაშრომიც.

მართალია, კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირი ჩრდილოეთის ტომებსა და ქართველ მთიელებს შორის ქრისტიანული სარწმუნოების შემოღების შემდგომ უფრო განმტკიცებულა. მაგრამ არის აგრეთვე სხვა საგულისხმო საბუთებიც, რომელნიც მიუთითებენ მათს ახლო ურთიერთობაზე, წარმართობის დროსაც კი. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში საკმაოდ გავრცელებული დღეობა ათნეგენობა, რომელიც ივლისში იმართება, ინგუშებშიც ასრულებდნენ. სადაც ათნეგეშკა ეწოდება.<sup>36</sup>

<sup>32</sup> მათე ალბუთაშვილი, პანკისის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული აღწერა) ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი და შენიშვნა დაურთეს მამა-შვილმა, პროფესორებმა გიორგი და ნიკო ჯავახიშვილებმა, 2005. გვ. 114-115.

<sup>33</sup> Н. Марр. К изучению современного груз. языка, 1922 г., стр. 13-14.

<sup>34</sup> თეიმურაზ ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია, სანკატერბურლი, 1848. გვ. 36.

<sup>35</sup> Ц. Лаудаев. Чеченское племя (Сборник сведений о Кавказских Горцев. вып. 1872 г. стр. 15-16)

<sup>36</sup> რ. ხარაძე, კავკასიელი ხალხების ძმობა. გაზ. „კომუნისტი“, №281, 1962.



ჩენეთ-ინგუშებისა და თუშების დიდ სარწმუნოებრივ და კულტურულ-ეკონომიკურ სიახლოვეზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ თუშებს და მათ, არაბუ-ხულანტის ქისტებს, საზიარო სალოცავი ხატი ჰქონდათ, ე.წ. „ქეთრის მთაზე“. თუშური ხალხური გადმოცემა მოგვითხრობს, რომ თუშები და ქისტები ბოლო დრომდე იკრიბებოდნენ აღნიშნულ ხატობაზე. ერთ დროს სალოცავში ჩხუბი მოსვლიათ თუშებს და ქისტებს, რომელთა მხრიდანაც რამდენიმე კაცი მომკვდარა. მომხდარი განხეთქილების გამო თუშებს იქიდან ხატის ნიში წამოუღიათ და სოფ. ჩილოს მალლა, ჩრდილო-აღმოსავლეთით (ჩაღმის საზოგადოება) მთაზე აუშენებიათ ბაზილიკა, რომელიც პირდაპირ უყურებს ქეთრის მთას და მას შემდეგ ამ დღეობას „ჩილოსთაობას“ ეძახიან. იმიერკავკასიელი მთიელებისა და თუშების ადრინდელი სალოცავის ტერიტორიაზე 1950 წელს ჩვენ თვითონ ვიპოვეთ მშვილდ-ისრის ნამტვრევები და ისრის ბუნიკები, რაც მომხდარი ფაქტის ძალიან სიძველეზე არ უნდა მიუთითებდეს.

თუშეთში სოფ. დართლოში, დანოსა და ჭემოში დღესაც მიუთითებენ უხუცესი თუშები ე.წ. „დიდობის ჯვარის“ (სალოცავი ხატის) არსებობის შესახებ. უხუცესი თუშების გადმოცემით, აქ ძველად დიდობის სალოცავები ყოფილა. დიდობის სალოცავი ხატი ყოფილა პირიქითის საზოგადოების სოფლების – ჭემოსა და დანოს შუაზე მდებარე გორაზე. აღნიშნულ ადგილზე დიდოეთიდან ზაფხულში მოდიოდნენ თურმე დიდოები და კვიცებს კლავდნენ. ამავე საზოგადოების სოფ. ჭემოდან სოფ. ფარსმისაკენ მიმავალი გზის თავზე დღემდის შემორჩენილ ციხის ნანგრევს თუშები „დიდოთ ციხეს“ ეძახიან. ამ ადგილზეც დიდოეთიდან მოსული დიდოები თურმე კვიცებს კლავდნენ.<sup>17</sup>

დასახელებულ სალოცავებში დიდობის მიერ კვიცების დაკვლის ამბავი ივანე აბალოიძეს მოუსმენია თავისი პაპის (ჩუნთოს) დის ნინოსაგან, რომელიც უქმროდ დაბერებულა და დაახლოებით 125 წლის ასაკში გარდაიცვალა. ნინო მომსწრე ყოფილა და თვითონ რამდენჯერმე დასწრებია, როცა დიდოეთიდან თუშეთში დიდოები სალოცავად გადმოდიოდნენ და თავის სალოცავებში კვიცებს კლავდნენ. ამავე ნინო-ბებოს ნაამბობიდან ივანე აბალოიძემ ჩაგვაწერინა, რომ თურმე თუშეთის ამ პირიქითის ხეობაზე, ე.ი. პირიქითის საზოგადოებაში, ადრე ერთად უცხოვრიათ თუშებსა და დიდოებს. მათ შორის დროთავეითარებაში უქმყოფილება ჩამოვარდნილა, თუშებს დიდოები დაუმარცხებიათ, თუშეთიდან გაუძევებიათ და მთელი პირიქითის ხეობა თვითონ დაუკავებიათ.

<sup>17</sup> პირიქითის საზოგადოების ზემოთ ჩამოთვლილი სოფლების ტერიტორიაზე დიდობის სალოცავების არსებობის შესახებ გვიამბო 1968 წლის 1 დეკემბერს ახმეტის რაიონის სოფ. ზემო ალვანში მცხოვრებმა, 82 წლის ივანე ბასილის ძე აბალოიძემ. ივანე და მისი წინაპრები ალვანში ჩამოსახლებამდე ცხოვრობდნენ თუშეთში. სოფ. ჭემოში.

გომეწრის თეზში. სოფ. საჩილოლოდან ორწყლის მიმართულებით, საკარეს, არის ძველისძველი ნასახლარები, რომელსაც თუშები „დიდოთ ნასოფლარს“ უწოდებენ. იქვე ერთ ადგილსაც თუშები „დიდოთ ღელეს“ უწოდებენ.

თუშეთში, თუშების გვერდით დიდობის ცხოვრების შესახებ არსებული გადმოცემა, სალოცავი ხატების დღესაც დარჩენილი ნაშთები, დიდობის ნასოფლარების მინიშნება, ჩვენი აზრით, უნდა იყოს უტყუარი დასაბუთება იმისა, რომ დიდობესა და თუშებს მრავალი საუკუნის მანძილზე მჭიდრო ურთიერთობა, მშვიდობიანი დამოკიდებულება და თანაცხოვრება ჰქონიათ.

თუშეთში დიდო-ღეეების და ქისტ-ჩეჩნების ცხოვრების სინამდვილეზე მიუთითებს, როგორც ზევითაც ითქვა, თუშეთის ტოპონიმიკაც, სადაც მრავალი ტოპონიმი მარტო ქისტურ-ჩეჩნურ-ბაცბურ და დიდოურ-ღეეურ ენებზე იხსნება. „მთის კილოთა გაერცელების ტერიტორიაზე ძირითადად ქართულ წარმომავლობის გეოგრაფიული სახელები გვხვდება, მაგრამ საკმარაოდენობით ეხვდებით ისეთ ტოპონიმებსაც, რომელთა წარმომავლობისა და ეტიმოლოგიის გარკვევა ხერხდება მხოლოდ ნახური ენების მონაცემთა გათვალისწინებით.<sup>38</sup> თუშეთში კი როგორც აღვნიშნეთ, არის ისეთი ტოპონიმებიც, რომელთა ახსნა მხოლოდ დიდოურ და ღეეურ ენებზე ხერხდება. მაგალითად, სოფ. დიკლოს ჩრდილოეთით მდებარეობს ფიჭვით დაფარული მთა, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა დოდ-კალტოს ეძახის. დოდ-კალტო ღეეურ ენაზე ნიშნავს იქ. ხევში. იმავე სოფლის პირას არის სოფლის მცხოვრებთა ცხენ-სახედრების დასაბმელი და სამოვარი გორა, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა ხუტანა ბაჩეს უწოდებს. ხუტანა ბაჩე სიტყვა-სიტყვით ღეეურად ნიშნავს – დარჩა, მომეცი. იმავე სოფლის წისქვილების გვერდით სახნავ-სათესად ვარგის ადგილს დერ-ბაჩე ჰქვია. ეს სახელიც ღეეურად იხსნება, სადაც დერ ნიშნავს პურს, ხოლო ბაჩე – მომეცი. თვითონ სოფელ დიკლოს სახელი წოვეურ ქისტურად იხსნება. დიკ – წოვეურად ცუღია, დიკლოს – ცულს მიეცემ. ქისტურად იქნება დიგლო – ცულს აძლევს. თუშეთში არის მთელი რიგი ადგილები, ე.ი. სასოფლო თუ მთელი საზოგადოების მიწა-წყალი, სადაც ქართულ-გეოგრაფიულ სახელებთან ერთად, ერთი მეორის გვერდით. ერთსა და იმავე ტერიტორიაზე, გვხვდება ტოპონიმები, რომელნიც ქისტურ-ჩეჩნურ-დიდოურ და ღეეურ ენებზე იხსნება. თუშეთში არის ისეთი ტოპონიმებიც, რომელნიც ერთსა და იმავე დროს რამდენიმე ენაზე იხსნება. მაგალითად, სოფ. ხისო – ქისტურ-წოვეურად ნიშნავს – ხი-წყალი. სო-მე, ე.ი. ხისო ნიშნავს ქისტურ-წოვეურად – წყალი მე. სოფ. ომალოში ერთ-ერთ წყაროს ადგილობრივი მოსახლეობა ხიბრეტ-ს ეძახის. ხი-ქისტურ-წოვეურად წყალს ნიშნავს. ბრეტ – ქისტურ-წოვეურად არ იხსნება. ბრეტტი – სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით

<sup>38</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III. 1966, გვ. 261.

მწერია, ბუზია, რომელიც „თაფლსა იქმს კეთილსა ველზედ“.<sup>39</sup> ხიბრეტ-წყლის ბუზს, მწერს ნიშნავს. სოფ. ცოკალთ-ისათვის: ცოკალ-წოვურად-მელა, ქისტურად - ცუოვალ-მელა. სოფ. დადიკურთა წოვურ-დილოურ ენებზე იხსნება. ბაც. დადი-საგვარეულო, მაგ. ასე იტყვიან წოვურად-ლაზენ დადი დაო გოკარგი საგვარეულო ფავს. კურთ-შეიძლება წოვურად ქურთ-ის სახელმეცკლილი ფორმა უნდა იყოს. რაც ნიშნავი, ეი. წოვურად გამოდის: დადიკურთა-საგვარეულოს თავი. დილოურთ დადიკურთა შემდეგ-ნაირად იხსნება: დადი ნიშნავს ძმას. მაგ., ნარ ითლიხ-დადი-სად მიხვალ (მიდინხარ) ძმაო? კურ-კოყოჟს, კოპიჭს ნიშნავს. გამოდის, რომ დილოურად დადიკურთა ძმის კოპიჭს ნიშნავს. სოფლის სახელი-ქელო-დილოურად იხსნება და წოვურადაც. დილოურად ქელ-საბძელი-ს აღმნიშვნელია. წოვურ ენაზე ქელო ნიშნავს - შენ წახვალ. სოფ. ჩილოს აღმოსავლეთით, მდ. ალაზნის მარცხენა მხარეზე, სოფლების - შენაქოსა და დიკლოს მიმართულებით მდებარე საკმაოდ დიდ ტერიტორიას, რომელსაც სოფ. ჩილოს მოსახლეობა საზამთრო საცხოვრებლად იყენებდა, რადგან იქ სოფელთან შედარებით უფრო თბილი და ხელშემწყობი პირობებია საქონლის გამოსაზამთრებლად, თუშები უწოდებენ - ტუტარიკ-ს. ტუტა-ბუზი, რიკიხ-მიდის, ეი. დილოურ ენაზე ტურარიკი(ხ) ნიშნავს ბუზი მიდის. დილოურად რიკ-ფერდა-საც, ეი. ისეთ ადგილსაც აღნიშნავს, რომელიც დამრეცილია. ფერდობია, წოვურად ტუტ-ბუზი, რიკი (რიკნა) - პატარა ჯოხი, როგორც წოვურად, ისე თუშურ კილოზე. თუშები რიკ-ს ცხერის კულსაც ეძახიან. სოფელი ჭონთო-ც ეტყობა დილოურად იხსნება. ჭონთო-მჩვარს, ძინძს ნიშნავს დილოურად. სოფ. ომალოს ჩრდილოეთით, ამავე სოფლის სახლოვეს მდებარეობს თავისებური აღნაგობის გეოგრაფიული ღრმული, რომელსაც თუშები ქუე-ს ეძახიან. ქუე-დილოური სიტყვაა და ნიშნავს სასათრე რუეს, გზას, ეი. ისეთ ადგილს აღნიშნავს, სადაც შეიძლება მორის ან შეშის დაცურება, ჩამოთრა; ქუე-დ წოდებული ადგილმდებარეობა პირდაპირ შეეფერება მის აღმნიშვნელ სახელის დილოურ შინაარსს. სოფ. დაქიურთის შუაში, პატარა ველზე არის გარშემო ყორით ამოშენებული საგუბარი წყარო, რომელსაც ეწოდება „ვეშოს წყარო“. „ვეშო“, „ვეოშ“ ქისტურ-წოვურად ნიშნავს ძმას. აქ ვაშო-ს ცვლილი ფორმა უნდა იყოს ვეშო და ნიშნავს ძმის წყარო-ს. სოფ. დაქიურთის დაბლა არის სათიბე ადგილი - არჭიკსანო. წოვურად არჭინ-შავი, არჭინსანო შავივით, არჭინ-სანი-შავი კარები, შეიძლება ეს სახელი დარჩა სათიბე ველს, რადგან ის სოფლის კარია, მოსასელებელია. სოფ. გირევთან ახლოს არის პატარა, ლამაზი ვაკე, განთქმული სასაძოვრო ადგილი, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა - ბააცა მათე-ს უწოდებდა. ბააცა-ქისტურ-ჩაჩნურად თუშს ნიშნავს, ეი. თუში მათე. მათე შესაძლოა ამ ადგილის პატრონიც იყო. ნასოფლარ ქელოს

<sup>39</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ოხზ. ტ. IV, 1965. გვ. 118.

თავში, ხვეის მხარეს არის ყურდობი-ვაკე, რასაც თარშიკა-ს ეძახიან, ქარშიკ-წოვურად ნიშნავს ჩათოს. ტვირთის შესაკრავ თასმას. თუშები ამ ადგილს უწოდებენ აგრეთვე შემოსაჩენსაც. როგორც ეტყობა, სოფელში მოსვლამდე ხსენებულ ადგილზე ერთხელ კიდევ ასწორებდნენ და ხელახლა საიმედოდ შეკრავდნენ ცხენებზე თუ სახედრებზე ასაკიდებელ ტვირთს და ამიტომ დაერქვა თარშიკა (ქარშიკ). სხვა მრავალი მსგავსი ნიმუშების მოტანა შეიძლება თუშეთის ტოპონიმიკიდან, მაგრამ, ვფიქრობთ, საკითხის გარკვევისათვის აღნიშნულიც საკმარისია.

თუშეთის მსგავსად ხვესურეთშიც გვხვდება ისეთი ხატები, რომლებიც ვეინახ-ხვესურებისათვის საზიარო ყოფილა, რომელსაც ორივენი ლოცულობდნენ და თანატოლად უვლიდნენ კიდევ. ასეთ სალოცავებს ხვესურები „რჯულიან-ურჯულოთა ხატს“ ეძახიან. ხვესურეთიდან ასეთ სალოცავთა შორის დიდ ინტერესს იწვევს ხვესურეთში შემორჩენილი გადმოცემები სოფ. ანატორაში თავის დროზე არსებულ „რჯულიან-ურჯულოთა ხატის“ შესახებ. ამ ხატის ირგვლივ 1970 წელს საინტერესო მასალა ჩაგვაწერინა 1889 წელს დაბადებულმა, სოფ. შატილში მცხოვრებმა, ტრიხი (ნია) ხეთისოს ძე ჭინჭარაულმა. იგი გვიყვება: „რჯულიან-ურჯულოთა სალოცავი-ანატორის ხატი არის ყოფილ სოფელ ანატორაში (ყოფილი სოფელი იმიტომაა, რომ ამ სოფლის მცხოვრებნი დაუხოცია ჟამს-შავ ჭირს. არავის არ ახსოვს თუ რომელ წელს). აი, ამ ანატორას ხატს ემსახურებოდნენ, როგორც ხვესურები, ისე ჩენები. მაგალითად, ჩემს მისწრებაში მახსოვს ჩენების სოფელ ჯარეგოში მცხოვრები ხაიაური პოსემა იყო ანატორის ხატის ხელოსანი. ეს პოსემა ხაიაური ჩეჩენი იყო. ამ პოსემასთან ერთად ხელოსნები (ე.ი. ხვესურები – ე.ე.) ამ ჯვარში ხვესურებისც იყვნენ: აბულეთი დავითა ჭინჭარაული, ბეწიკა წიქას-ძე ჭინჭარაული, გორგალა გორგალას-ძე ჭინჭარაული და ბერა ხურსიკას-ძე ჭინჭარაული, გადმოცემით გამიგონია, რომ ანატორის ხატის ხვესურ ხუცესს და მედროშეებს უვლიათ ჩენების სოფლებში: სახანოში, თერეთეგოში, მირზუში, ბოსინიში, ქამალალოში, ხორუალოში, კაქნიახაში და სხვა სოფლებში, სადაც ჩენები უკლავდნენ საკლავს და ლუღსაც უხარშავდნენ“.

ამავე ხატის შესახებ 1970 წელს ანალოგიური ცნობები მოგვაწოდეს სოფ. მუცოს დ/სკოლის მასწავლებელმა ხეთისო დავითის ძე დაიაურმა (დაბ. 1942 წელს, სოფ. მუცოში) და შატილის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავ-რე მამუკა მინდიას ძე გოგოჭურმა (დაბად. 1933წელს, სოფ. გიორგი-წმინდაში). ისინი ყვებიან, რომ: „შატილიდან მესამე კილომეტრზე მდებარეობს ანატორის ნასოფლარი, სადაც აშკამადაც არის ხატი, რომელსაც ანატორის ხატს ეძახიან. ეს ხატი არის პარიქეთა ხვესურეთში ყველაზე ძლიერი ხატი. ამ ხატს „რჯულიან-ურჯულოს სალოცავს“ ეძახიან, რადგან ეს ხატი ითვლებოდა ჩენებისა და ხვესურების საზიარო ხატად“.

ასეთივე საზიარო ხატი ყოფილა სოფელ ხონეშიც.<sup>40</sup> ამ ხატში ახლაც მოდიან თურმე ქისტები სალოცავად.

დიდ ინტერესს იწვევს ის გარემოებაც, რომ ხვესურებს ქისტების ტერიტორიაზეც კჭინათ ხატები. ესენი არ ყოფილან საზიარო ხატები, აქ მარტო ხვესურები ღოცულობდნენ თურმე. ასეთი ხატის არსებობის შესახებ 1970 წელს მოგვიყვა გაბრიელ ზიზანის ძე ნაროზაული, სოფ. ახიელიდან, დაბად. 1908 წელს. იგი გადმოგვცემს: „ქისტების ხატები, ე.ი. მათი სალოცავები ჩვენთან, არხოტში, არ ყოფილა. მხოლოდ ჩენი ხატი, სოფ. ამლამი მცხოვრებლებისა, ქისტების ტერიტორიაზე არის სოფ. შავანის ახლოს ე.წ. „საამლოს კარის“ ტერიტორიაზე. ეს ხატი რატომ იყო იქ, ან იმ ხეობას და ადგილს რატომ უწოდებენ „საამლოს კარს“ ამაზე არაფერი გამოვიჩინა. არის ასეთი ლექსი:

ამლის კარ მეჯვარეებსა

დღე გაუთენდა ზიანი.

ჩაუხედ მამახანაო,

შვილდი აჭეხე რქიანი!

ამ ლექსში აღნიშნული რქის შვილდი ინახებოდა არხოტის ჯვარში და დაიწვა 1936 წელს, ხანძრის გაჩენის გამო“.

თუშეთის მსგავსად, ფშავ-ხვესურეთის ტოპონიმიკაც იქცევს დიდ ყურადღებას, როგორც ერთ-ერთი საბუთიანობა იმისათვის, რომ ქართველ მთიელებსა და მათ მეზობელ იმიერკავკასიელებს შორის ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებობდა ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობა. ამ მხრივ უფრო საინტერესოა ხვესურეთის ტერიტორიაზე გაბნეული გეოგრაფიული სახელები, რომელთა გარკვეული პროცენტი არაქართული წარმოშობისაა და მხოლოდ იმიერკავკასიელთა ენებზე იხსნება.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული არაქართული წარმოშობის ტოპონიმების ფართო მასშტაბით შესწავლა პირველად პროფ. თ. უთურგაიძემ სცადა. მან შრომაში – „ქართული მთის კილოთა ზოგი თავისებურება“ მრავალი ტოპონიმის ახსნა მოგვცა.<sup>41</sup> მაგრამ, უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მხოლოდ საქმის დასაწყისია და თუშ-ფშავ-ხვესურეთის ტოპონიმიკა უფრო სრულყოფილ შესწავლას საჭიროებს. ეს საქმე დასაჩქარებელიცაა, რადგან ამ კუთხეთა ძველი თაობის თანდათანობით შექცირებითა და წასვლით დაიწიწებას მიეცემა მრავალი საინტერესო ტოპონიმი.

თუშეთის ზოგიერთ არაქართული წარმოშობის ტოპონიმებს შეეხო პროფ. ი. დეშერაიევიც.<sup>42</sup>

<sup>40</sup> რ. ხარაძე, პირიქით ხვესურეთში მივლინების წინასწარი ანგარიში, ემიკის მოამბე, XI, 1941, გვ. 29-30.

<sup>41</sup> თ. უთურგაიძე, ქართული მთის კილოთა ზოგი თავისებურება, 1966, გვ. 88-103.

<sup>42</sup> Ю. Дешериев. Байдинский язык. 1953 стр. 26-31.

თუშ-ფშავე-ხვესურეთში აქა-იქა არსებული, ე.წ. „რჯულიან-ურჯულოთა ხატები“ და არაქართულ ნიადაგზე წარმოქმნილი ტოპონიმები მანიშნებელია ქართველი მთიელებისა და იმიერკავკასიელების მრავალსაუკუნოვანი კეთილმეზობლობისა და მეგობრული დამოკიდებულებისა. ეს ყოველივე საქართველოს ბარის ოდითგანვე სისხლხორცეულად განუყოფელი მთის ნაგვიანვეად შენაძენი დანალექია და არა იმის ნაყოფი, რომ თითქოს აქ თავდაპირველად ნახურ ტომებს ეცხოვროს და შემდგომში მოსულიყვნენ ქართველები.<sup>43</sup> საკითხისადმი ასეთმა მიდგომამ დროულად მიიქცია საკადრისი ყურადღება.<sup>44</sup> ჩვენ კი ხსენებულ უზუსტობათა შესახებ უკვე გვქონდა საუბარი და ამიტომ აქ აღარ ვაგრძელებს მსჯელობას.

ბოძღვენო საუკუნეებში, ვიდრე XVII ს-ის 30-იან წლებამდე, რომელზეც გვქონდა უკვე საუბარი, ქართველი მთიელებისა და მათი იმიერკავკასიელი მეზობლების კულტურულ-ეკონომიკურ ურთიერთობაზე არაერთი ოფიციალური ცნობა არ არსებობს. XV საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში შექმნილი საშინაო და საგარეო მდგომარეობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს ბარსა და ჩრდილოკავკასიას შორის თანდათანობით გაუარესებული ვითარების ფონზე უნდა ჩამოვარდნილიყო განხეთქილება თუშ-ფშავე-ხვესურებსა და ვეინახ-დიდო-ლეკებს შორისაც. მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, გარკვეული დროის მანძილზე, მათ შორის კვლავ კარგი დამოკიდებულება არსებობდა, არა მარტო კულტურულ-ეკონომიკურ სფეროში, არამედ პოლიტიკურ ურთიერთობებშიც. ქართველ მთიელებსა და მათ მეზობელ ვეინახებს შორის, რომ ასეთი მეგობრულ-მშვიდობიანი დამოკიდებულება არ ყოფილიყო, თუშ-ფშავე-ხვესურეთი ისე თავისუფლად ვერ იმოქმედებდა და ვერ ჩაატარებდა ბარის ქართველობასთან ერთად იმ საჭირობოროტო და საქვეყნო ღონისძიებებს, რაც XVII საუკუნის 30-იანი წლებისა და მეორე ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოსთვის იყო დამახასიათებელი.

თუშ-ფშავე-ხვესურებსა და ვეინახ-დიდო-ლეკებს შორის, როგორც წერილობითი ცნობებიდან ჩანს. ურთიერთდამოკიდებულება უარესდება XVIII საუკუნის დასაწყისიდან. მათი ერთიმეორეზე მიხედვით, დალაშქერა და თავდასხმები მთელს XVIII საუკუნეს წითელ ზოლივით გასდევს. ქართველ მთიელებსა და მათ მეზობელ ტომებს შორის მდგომარეობა უფრო გაუარესდა XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან.

XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში ქართლ-კახეთში შექმნილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ, რაც გამოიწვია მეფის რუსეთსა და საქართველოს

<sup>43</sup> თ. ოჩაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967, გვ. 73-75.

<sup>44</sup> ი. შვერელიძე, ერთი ნაშრომის ყალბი კონცეფციის გამო. ჟურნ. „მნათობი“, №9, 1970, გვ. 181-186.

შორის 1783 წელს დადებულმა „მეგობრობითმა პირობამ“, ანუ „ტრაქტატმა“ თავისებური უარყოფითი ზემოქმედება მოახდინა საქართველოსა და ჩრდილო კავკასიას შორის მანამდე არსებულ მატერიალურ და კულტურულ ურთიერთობაზე. ვითარება 1801 წლიდან უფრო შეიცვალა. რუსეთის ინტერესებმა კავკასიაში თანდათანობით უფრო გაართულა ამ ხალხების ურთიერთდამოკიდებულება და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდა ერთი-მორეს. მოუხვდავად ასეთი რთული პოლიტიკური სიტუაციისა. რაც არსებობდა რუსეთის მიერ კავკასიის საბოლოო დაპყრობა-შემოერთებამდე. საქართველოსა და ჩეჩნეთ-ინგუშეთ-დაღისტანს შორის სრულიად მაინც არ შეწყვეტილა კულტურულ-ეკონომიკური თანაცხოვრება და გარკვეული ფორმით იგი ყოველთვის არსებობდა.<sup>45</sup>

იმიერკავკასიელი ფეოდალების მმართველურ-ყაჩაღური შემოსევების პირისპირ თავიდანეე თუშ-ფშავ-ხევსურეთი აღმოჩნდა ყველაზე რთულ მდგომარეობაში. თუშ-ფშავ-ხევსურეთის გეოგრაფიული განფენილობა, მისი ტერიტორიული სიახლოვე, აქედან ჩეჩნეთ-ინგუშეთ-ქისტეთ-დიდოეთ-დაღესტანში გადასასვლელი გზა-ბილიკები, საშუალებას აძლევდა მტაცებელ ფეოდალებს ხშირ-ხშირად და მოულოდნელად დასცემოდნენ ამ მხარეებს ტყვეებისა და ნაძარცი ნადავლის შეძენის მიზნით. XIX საუკუნის ექვსი ათეული წელი ქართველ და მუსულმან მთიელთა ცხოვრებაში ძირითადად იქმნება შთაბეჭდილება. რომ, თითქოსდა, მათ შორის დამკვიდრებულია მხოლოდ და მხოლოდ ხოცვა-ჟლეტა და გამორიცხულია სხვა ყოველგვარი კეთილმეზობლური დამოკიდებულება. მაგრამ თუშ-ფშავ-ხევსურებისა და მათი მეზობელი ჩრდილოკავკასიელი მთიელების ურთიერთობის შესახებ არსებული მდიდარი მასალიდან ვლინდება. რომ ამ კუთხეების „მშრომელ მოსახლეობას შორის მუდამ არსებობდა კეთილმეზობლური დამოკიდებულება“.<sup>46</sup> ბრძოლა არსებობისათვის ორივე მხარეს აიძულებდა, რომ ერთ-მანეთში ევაჭრათ, საკუთარი ნაწარმი გაეცვალათ; საჭიროების შემთხვევაში, საკუთარ კუთხეს გასცილდებოდნენ და ერთიმეორის ტერიტორიაზე დასახლებულიყვნენ, სამუშაოდ გადმოსულიყვნენ თუშ-ფშავ-ხევსურებში და სხვა. ასეთი სურვილებით მჭირი და მოჭარბებულად მჭიდროდ დასახლებული იმიერკავკასიის მოსახლეობა უფრო მეტად იყო დაინტერესებული. მათში მაღალ დონეზე მყოფი სისხლის აღების საშინელი წესები და საკუთარი თავის გადარჩენის სურვილები უკარნახებდათ, რომ თავშესაფარი საქართველოს ბარსა და მთიანეთში ეძებნათ. საქართველოს ბარი მათ შესაქონლეობის გამოსაზამთრებლადაც ესაჭიროებოდათ. ამ მხრივ საინტერესოა ისტორიკოს ნ. ვოლკონსკის მიერ აღნიშნული ერთი ფაქტი, რომლითაც

<sup>45</sup> თ. ბოცვაძე, საქართველო-დაღისტანის ურთიერთობის ისტორიიდან, 1968, გვ. 205.

<sup>46</sup> ა. შავხელიშვილი, თუშების ტერიტორიული განსახლება და ჩეჩნეთ-ინგუშეთთან დამაკავშირებელი გზა-ბილიკები („მაცნე“, №2, 1972, გვ. 53).

ვიგებთ, რომ 1840 წლისათვის დიდად ყოფილა შეწუხებული შამილი ღიღობის გაჭირვებული მდგომარეობით, კერძოდ, მათში გამეფებული შიმშილობითა და ხელმოკლეობით. რისთვისაც სურვილი ჰქონია რუსეთის მთავრობას უფლება მიეცა მათთვის, „ბარად ჩამოსვლისა სამუშაოდ და აღებ-მიცემობისათვის, აგრეთვე თავიანთი თხა-ცხერის ჩამოსარეკად მინდვრებზე“. სამაგიეროდ, ხელისუფლებას შამილისათვის მოუთხოვია „რომ მათ დაებრუნებინათ... ტყვედ წაყვანილი თუშების ოჯახები და... კახელებისათვის ყოველივე მათ მიერ მიცემული ზარალი“.<sup>47</sup>

თუშ-ფშავ-ხევსურები გარდა იმისა, რომ მეზობელი მთიელებისაგან იძენდნენ საჭირო იარაღს, კერძოდ ცივ იარაღს: ხანჯლებს, ხმლებს, მახვილებს, სატყვერებს, ცხენის აკაზმულობას, წამოსასხამ გრძელ ბოჭკოიან ნაბდებს, ლეკურ შალს, ჩულებს ცხენებისა და სახედრებისათვის და ამიტომ იძულებულნი იყვნენ მათთან ეკონომიკურ-კულტურულ-მშვიდობიან ურთიერთობაში ყოფილიყვნენ, აგრეთვე, მოცემულ პერიოდში, თუშ-ფშავ-ხევსურთა დანტერესება მათთან, რომ ახლოს ყოფილიყვნენ რამდენადმე გამოწვეული უნდა იყოს შამილის განუწყვეტელი ამოხრებელი შემოსევების შიშითაც, ყოველშემთხვევაში, პირველ ხანებში მაინც, სანამ შამილი მძლავრობდა და ახერხებდა დაბოუკიდებლობის შენარჩუნებას. ასეთ ვითარებაში, როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, თუშ-ფშავ-ხევსურები ცდილობენ რუსეთის მხარეზეც იყვნენ, მათ თავისი თავდადებული ბრძოლებით ერთგულება დაუმტკიცონ, მაგრამ, ამავე დროს, არც მაინც და მაინც შამილის გაღიზიანება უნდათ და მასთანაც გარკვეულ კავშირში იმყოფებიან. აღნიშნული ვითარება კარგად შეუნიშნავს ნ. ვოლკონსკის, რომლის გამოც წერდა: „თუშები და ფშავლები სრულიად საიმედონი და მამაცნი იყვნენ, ხევსურები მათ ბევრად ჩამორჩებოდნენ ჩვენს ერთგულებაში. მთის ხალხი გამოურკვეველ მდგომარეობაში იყო, რადგან ერთი მხრივ შამილისა ეშინოდა და მეორე მხრივ ჩვენთან უნდოდა კარგი და მშვიდობიანი განწყობილება ჰქონოდა, უფრო კი შამილისაკენ იწვევდა“.<sup>48</sup>

იცოდა რა რუსეთის მთავრობამ თუშ-ფშავ-ხევსურების განწყობა შამილის მიმართ, როგორც ეტყობა, მათზე გარკვეულ კონტროლს აწესებდა და ცდილობდა მათ შორის ისეთი ურთიერთობა არ დამყარებულყო, რაც შამილის მდგომარეობას გააუმჯობესებდა და რუსეთის ინტერესებს დაუპირისპირებოდა. კერძოდ, რუსეთის ხელისუფლება ველარ მაღავს თავის შემფოთებას იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ თუშები ღიღი რაოდენობით ყიდულობენ

<sup>47</sup> ისტორია მათი იმპეტარობითი უმაღლესობის დიდის მთავრის გიორგი მიხეილის ძის ქართველით ქვეითის დრაჟინისა 1831-1881. შედგენილი რუსულ ენაზე ნ.ა. ვოლკონსკის მიერ არტილერიის გენერალ-მაიორის ჩერნიავსკის რედაქტორობით. თარგმანი ქართულად „დროების“ რედაქტორის თ.ი. მანაბლის რედაქციით, თბ. 1884, გვ. 71.

<sup>48</sup> ნ. ვოლკონსკი, დასახ. ნაშრომი. გვ. 92.



მარცვლეულს სიღნაღისა და თელავის მაზრებში; მათ ეეჭვებათ, რომ ამდენი სარჩო თუშებისათვის საჭირო არ არის და ისინი მარცვლეულით შამილს ხომ არ ამარაგებენო. ამ საქმის გამორკვევის მიზნით 1854 წლის 22 ოქტომბერს მთავრობის მიერ თბილისის გუბერნიის მმართველის გენერალ რეადას მისამართით გაიგზავნა მიწერილობა, სადაც აღნიშნავენ, რომ მათთან მოვიდა ცნობა, რომ თითქოს თუშები აწარმოებენ შამილის დავალებით დიდი რაოდენობით პურის შესყიდვას და, რომ ეს მარცვლეული შამილს უნდა გადასცენო. ამიტომ „გაცნობებთ რა ამის შესახებ, დროებით რწმუნებულს, – კვითხულობთ წერილში, – უმორჩილესად გთხოვთ გაცხეთ სათანადო ბრძანება და ზუსტად დარწმუნდეთ აღნიშნული ხმის სისწორეში, მიიღოთ საჭირო ზომები თუშების მიერ პურის შესყიდვის შესაწყვეტად და თუ სინამდვილეში ხდება ასეთი რამ ზემო აღნიშნული მიზნისათვის, შედეგებზე მე მაცნობოთ“.<sup>49</sup>

თბილისის გუბერნიის მმართველს სასწრაფო ზომები მიუღია აღძრული საკითხის შესწავლისათვის. 1854 წლის 18 ნოემბერს თბილისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი თავადი ანდრონიკოვი მოახსენებს გენერალ რეადას, რომ მან ყოველგვარი ღონისძიება გაატარა იმისათვის, რომ სინამდვილეში დაეზუსტებინა, თუ თუშები სიღნაღისა და თელავის მაზრებში რა რაოდენობის პურს ყიდულობენ. რატომ და რისთვის. და აი, მომივიდა განმარტება, – შენიშნავენ ანდრონიკოვი. – რომ თუშები საკუთარი ინტერესებისათვის ყიდულობენ პურს და არა შამილისათვის, იგი აღნიშნავენ: „...присвокупил, что с гор Тушин на Алванское поле и Ширакскую степь считается до 7 000 душ. которые все продовольствуются покупным хлебом с 10-го сентября по 1-е июля следующего года. Усматривая затем из означенного дознания, что Тушинами куплено в разных местах хлеба 1.529 1/2 код единственно для продовольствия себя и семейство своих я разрешил Тушино- Пшаво-Хевсурскому окружному начальнику дозволить жителям покупать хлеб. но в пропорции необходимой и сообразной с их нуждати. и возложил при том на его обязанность имеет срожайший и бдительный надзор. чтобы из купленного хлеба ничего не уделялось для перепродажи горцам. под опасением примерной ответственности“.<sup>50</sup>

იმკვე წერილიდან ჩანს, რომ თავად ანდრონიკაშვილს უფლება მიუცია თელავისა და სიღნაღის მაზრის უფროსებისათვის, რათა არ დაუშალონ პურის ყიდვა თუშებს, რადგან მათ ეს პირადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ესაჭიროებათ და არა სხვისთვის.<sup>51</sup>

<sup>49</sup> Актн. т. II. стр. 628.

<sup>50</sup> Акты, т. II. стр. 634.

<sup>51</sup> იქვე.

თუშ-მაკ-ხევსურეთის ოლქის უფროსის ჩოლოყაშვილის მიერ თბილისის სამხედრო გუბერნატორ პოლკოვნიკ კოლიუბაკინისადმი წარდგენილ მოხსენებაში უფრო ნათლად და დაწვრილებით არის ახსნილი, რომ თუშები, რადგან ძირითადად მესაქონლე ხალხია და ხენა-თესვას იშვიათად მისდევენ, ამიტომ 8 თვენახვერის განმავლობაში ისინი იკვებებიან შესყიდული პურით და მათ მიერ დიდი რაოდენობით პურის შექენა არც უნდა იწვევდეს დაეჭვებას და შემოფოთებასო.<sup>52</sup>

მართალია, საკითხის შესწავლის შედეგად გამორკვეულ იქნა და მთავრობა დაარწმუნეს, რომ თუშები საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ყიდულობენ პურს კახეთის ბარში თუ თრიალეთ-ახალციხის ტერიტორიაზე, მაგრამ ჩვენ აღძრული ეჭვი მთლად უსაფუძვლოდ არ მიგვაჩნია, და ვფიქრობთ, რომ თუშეთიდან დიდოეთისა და ქისტეთის გზით მარცვლეულის გატანას ნამდვილად ექნებოდა ადგილი, რადგან ქისტეთ-დიდოეთ-დალესტანიდან თუშეთში საშუაოდ ძირითადად სურსათ-სანოვაგის შესაძენად მოდიოდნენ ყოველთვის; ქისტეთ-დიდოეთ-დალესტანსა და თუშეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობის ეს პროცესი, რა თქმა უნდა, ქისტეთ-დიდოეთ-დალესტანის გაჭირვება-დამშვიდების პერიოდში უეჭველად იქნებოდა. მიუხედავად გაძლიერებული კონტროლისა და მეთვალყურეობისა თუშები და მეზობელი მთიელები მოახერხებდნენ მოცემულ პერიოდში მარცვლეულისა და მათი ნაწარმის ერთიმეორეში გაცვლა-გამოცვლას.

ჩვენს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თუშეთ-დიდოეთ-დალესტანს შორის XIX ს-ის 50-იან წლებში პურით ვაჭრობას ნამდვილად ექნებოდა ადგილი, ამაგრებს გენერალ გოლოვინის მიერ 1838 წლის 11 ოქტომბერს გენერალ ბრაიკოსადმი მიწერილი წერილის ერთი ნაწილის შინაარსი, სადაც აღნიშნულის შესახებ პირდაპირ არის საუბარი.

გენერალი გოლოვინი სხვა მიზეზებთან ერთად, რამაც გამოიწვია და ანდა ხელი შეუწყო 1837 წელს დიდო-ლეკების მიერ თუშეთის ორი სოფლის: დიკლოსა და შენაქოს აოხრებას, იმასაც ასახელებს, რომ მთავრობამ, მართალია, აკრძალა დაღისტანში პურის შეტანის ყოველგვარი ნებართვა, მაგრამ ამავე დროს არ მიიღო თუშეთის გამაგრება-დაცვისათვის საჭირო ღონისძიებანი. დამშეული და გაღიზიანებული დიდო-ლეკები კი თუშეთს შემოესივნენ. „ჭარო-ბელაქნის ოლქის უფროსმა, – წერს გენ. გოლოვინი, – არ გააგებინა მოურავს (ე.ი. თუშეთის მოურავს – ვ.ე.) დალესტანში პურის შეტანის აკრძალვის შესახებ, რომელიც ხშირად იწვევდა ლეკების ძლიერ შემოსევას და რომ თელავის მამნდელი ოლქის უფროსი თაყადი თუშანოვი კმაყოფილდებოდა მხოლოდ ერთი ბრძანების გაცემით, წასულიყვნენ თუშეთში და მიეღოთ ზომები, ხოლო თვითონ კი რამდენადმე არ ზრუნავდა მოურავის მდგომარეობის

<sup>52</sup> Акты, т. II, стр. 634.

შემსუბუქებაზე: შეეგროვებინა თუშები ალვანის ველიდან, სადაც მათი უმეტესი იმყოფებოდა ზამთრობით ცხვარში და გაეგზავნა ისინი თუშეთში“.<sup>51</sup>

როგორც აღნიშნული ამონაწერიდან ჩანს თუშეთი მეზობელ მთიელებთან ნამდვილად აწარმოებდა მარცვლეულით ვაჭრობას და ამ გზით იგი რამდენადმე ახერხებდა კიდევ იმიერკავკასიელი მტაცებლების გულის მოგებას და ხშირ-ხშირი თავდასხმების თავიდან აცილებას.

თუშ-ფშავ-ხევსურებისა და მათი მეზობელი იმიერკავკასიელი მთიელების ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობის ისტორიაში ერთ-ერთ საინტერესო და განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ევინახებისა და დიდო-ლეკების მიერ თუშ-ფშავ-ხევსურეთში საცხოვრებელი სახლებისა და ციხესიმაგრეების მშენებლობის საკითხი. ქართველ მთიელებსა და მათ მეზობლად მცხოვრებ ქისტ-ჩეჩნეთ-ინგუშ-დიდო-ლეკებს კულტურულ-ეკონომიკურ დამოკიდებულებაში წითელ ზოლივით გასდევს ურთიერთობის აღნიშნული ფაქტორი. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ პერიოდში ქართველ და მუსულმან მთიელთა ურთიერთობაში ამ საქმემ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. საჭირო გახდა საცხოვრებელი სახლების სრული რეკონსტრუქცია; უნდა აშენებულიყო ისეთი ბინები, რომელნიც საცხოვრებლადაც გამოდგებოდა და თავდასაცავდაც. საცხოვრებელი ბინების მშენებლობის პარალელურად შენდებოდა საგვარეულო და სასოფლო ციხეებიც.

ახლადამენებული სახლების თავისებურება ძირითადად ის იყო, რომ შესასვლელი კარების თავზე უყენდებოდა ე.წ. ჩარდახი. ჩარდახიდან ხდებოდა წინასწარ შეზიდული ქვებით. ადუღებული წყლით და მშვილდისარ-იარაღით სახლის კარების დაცვა მოძალადეებისაგან. მტერი როდესაც საგულდაგულოდ ნაშენებ ციხე-სახლს ვერაფერს უხერხებდა, ე.ი. ხელში ვერ იგდებდა ტყვე-ნადავლს, მაშინ იგი კარებთან ცეცხლის დანთებით ცდილობდა კარების დაწვას და შიგნით შესვლას. ჩარდახი სახლებს ხშირ შემთხვევაში, ოთხივე მხარეს უკეთდებოდა, რაც გამიზნული იყო იმისთვის, რომ მტერი სახლის საძირკველთან არ მიეშვა. ახლადამანებულ ციხე-სახლებს ფანჯრებიც (სარკმელი) ისეთი პატარა უნდა ჰქონოდათ, რომ იქიდან მტრის შესვლა გამორიცხული ყოფილიყო. აი, ასეთი ტიპის სახლებით დაიფარა

თუშ-ფშავ-ხევსურეთი XVIII-XIX საუკუნეებში. თუ აღნიშნულს დაეუმატებთ სასოფლო-საგვარეულო ციხესიმაგრეების მშენებლობასაც, დაინახავთ, რომ ეს იყო მეტად გრანდიოზული საქმე და დიდად აუცილებელიც. თუშ-ფშავ-ხევსურებს, რადგან მათ ამ საქმის საკუთარი სპეციალისტები არ ჰყავდათ, ოსტატ-მშენებლებად უნდა გამოეყენებინათ ჩრდილო-კავკასიიდან გადმოსულნი, რომელნიც იმხანად თუშ-ფშავ-ხევსურეთში ცხოვრობდნენ და უფრო კი საამშენებლოდ მოსული ვიწახ-დიდო-ლეკი სპეციალისტები.

<sup>51</sup> Акты, т. 9. стр. 140. 1884.

ქართველი მთიელები, მაგალითად. თუშები. ჩრდილოკავკასიიდან მოსულ მშენებელ-ოსტატებს „ხუროებს“<sup>54</sup> ეძახდნენ. ხუროები მთიელებს სახლებსა თუ ციხესიმაგრეებს უშენებდნენ საქონელზე, ჩასაცემელზე და სურსათ-სანოვაგეზე. მშენებლობა მიმდინარეობდა გაზაფხულიდან დაზამთრებამდე. მშენებლობაში მთელი სოფელი ღებულობდა მონაწილეობას, რომელსაც „ოჩხარა“ ეწოდებოდა. თანასოფელთა მოვალეობა იყო თანამომეს მოხმარებოდნენ ქვისა და ხის მასალის მოზიდვაში. მთა განთქმულია ფიქალის ქვით, რომელიც გამოყენებული იყო საამშენებლოდაც და გადასახურადაც. ფიქალისაგან დამზადებულ ქვა-სახურავს „სიპი“ ეწოდებოდა.

თუშ-ფშავე-ხევსურეთში შემორჩენილი გადმოცემის მიხედვით ღვინდება, რომ თუშეთში ქვით-ხურობის საქმეს, უმთავრესად. დიღო-ლეკები აწარმოებდნენ, ხოლო ფშავსა და ხევსურეთში კი ვეინახები. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, გეოგრაფიული მდებარეობა იყო ე.წ. ვისაც ვინ ემეზობლებოდა ოსტატ-მშენებელნიც, ძირითადად, მათგან მოდიოდნენ. წერილობითი ცნობების უქონლობის გამო, იძულებული ვხდებით ზოგიერთი ხალხური გადმოცემის მოტანით ნათელი გაეხადოთ ქართველ მთიელებში ვეინახ-დიღო-ლეკთაგან გაწეული დიდი სამშენებლო საქმიანობა.

ხევსურეთში სახლებისა და ციხეების ვეინახების მიერ მშენებლობის შესახებ მეტად საინტერესო გადმოცემები ჩაგვაწერინა 1970 წელს ახმეტაში მცხოვრებმა გაბრიელ ხიზანის ძე ნაროზაულმა. რომელიც დაიბადა 1908 წელს ხევსურეთის სოფელ ახიელში და ცხოვრების უმთავრესი წლებიც იქ გაატარა. გადმოცემა გვიყვება: „ღუშეთის რაიონის არხოტის სასოფლო საბჭოს ყოფილ ტერიტორიაზე არის ნასოფლარი სახელად „კვირიწმიდა“, სადაც დიდ სამამულო ომამდე იდგა ციხე, რომელსაც „კვირიწმიდას ციხე“ ეწოდებოდა. კვირიწმიდაში ცხოვრობდნენ გვარად შუქიაურები. რომლებიც ამჟამად გიგაურებად იწერებიან. ამავე სოფელში უცხოვრია ვინმე ხევსურ განძაიძესაც, რომელსაც აუშენებია სოფ. კვირიწმიდაში ციხე და ამ ციხის მშენებლები ქისტები ყოფილან. როცა ქისტებმა ციხის მშენებლობა დაამთავრეს ციხის პატრონმა განძაიძემ ღირებულება გადაუხადა ცხვარ-საქონლით. მშენებლებმა საქონელი რომ წაიყვანეს განძაიძეს გაუცილებია ისინი ქისტეთის გადასასვლელამდე“. აღნიშნული გადმოცემა საკმაოდ ვრცელია, მაგრამ ჩვენ მთლიანად არ მოგვკაცს, რადგან ბოლო ნაწილი სულ სხვა საკითხს ეხება. გაბრიელ ნაროზაულისგანვე ჩავიწერეთ გადმოცემა, რომელიც მოგვითხრობს, რომ: „სოფ. ახიელში არის ციხე, რომელსაც „არა ციხეს“ ეძახიან. ის ციხე აუშენებია აბა ჯორჯიაულს, იგივე ცისკარაულს. მშენებლები ქისტები ყოფილან. გადმოცემის თანახმად, – ყვება გაბრიელ ნაროზაული, –

<sup>54</sup> სააღმშენებლო ხელოსნებას ძველ ქართულში ხურობა ეწოდებოდა. იგი ორ დარგად იყოფოდა: იყო ქვით ხურობა და ხით-ხურობა (ივ. ჯაფარიძე).

კვირიწმიდის ციხის პატრონი განძაძე რომ მოკლეს მის ციხეს დაპატრონებია მარტია შუქიაური. მაგრამ ვინ იყო ეს მარტია შუქიაური და ან რა ნათესაურ კავშირში იყო განძაძესთან, ამაზე არავინ არაფერი იცის. აი, ამ მარტია შუქიაურს მწყემსად ჰყოლია აბა ჯორჯიაული, იგივე ცისკარაული. ეს ახალგაზრდა მწყემსი ძალიან გამრჯე გამომდგარა. რაზედაც მოსწონებია მარტია შუქიაურს და ცოლად მიუცია თავისი ქალიშვილი. სამი წლის მუშაობის შემდეგ აბა ჯორჯიაული თავისი ცოლ-შვილით წასულა თავის სახლში სოფ. ახიელში. დროგამოშვებით მარტია შუქიაური მიდიოდა ღამე ჩუმად და სარკმლიდან უთვალთვალებდა თავის ქალ-სიძეს, რომ გაეგო თუ რა საქმიანობას ეწეოდნენ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი. ერთხელ მარტიას უნახავს, რომ ქმარი, ე.ი. თავისი სიძე მატყლსა წეწავს და ქალი კი ჩეჩავდა. მაშინ უფიქრია, რომ ესენი თავიანთი მუყათობით ოჯახს მოაწყობენო. გასულა დრო და ამ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს თავიანთი ბეჯითი შრომით იმდენი შეუძენიათ, რომ აბა ჯორჯიაული წასულა ქისტებში, ე.ი. ინგუშებში და იქიდან წამოუყვანია ციხის ამშენებელი კალატოზები. მორიგების მიხედვით მათ უნდა ემუშავათ თავიანთი საჭმლით. აბა ჯორჯიაული ხედავს, რომ უფროსი კალატოზი ყოველთვის მარტო ჭამდა საჭმელს. როცა ჩუმად დაათვალიერა მისი საგზალი, ნახა, რომ მას ჰქონია ერბოში გამომცხვარი, ე.ი. მომწვარი პურის ცომის ნამცხვარი. როცა ციხის აშენება დაუმთავრებია და სახურავად ზედ წვერზე ერთი მოზრდილი სიპი ქვა უნდა დაედვა უფროსი კალატოზს უთქვამს მასპინძლისათვის – გარიგებაზე ერთ სულ ძროხას თუ ღამიმატებ დაეაშენებ ამ ქვას. თუ არა და – არაო. ჯორჯიაული დათანხმებია და მიუცია ეს ერთი სული ძროხაც. როცა კალატოზებს ცხვარ-საქონელი წაუყვანიათ ჯორჯიაულიც გაყოლია ქისტეთის გადასასვლელამდე. აღნიშნულ საკითხზე ჩვენი მთხრობელი ასეთ დასკვნას აკეთებს: „უნდა დავსძინო, რომ მოხუცების გადმოცემით გამოიგონია, ჩვენთან არხოტში რაც ციხეებია, თუ კარგად ნაგები ბინებია – სულ ქისტების აშენებულაო“.

პირიქით ხეკსურეთის სოფ. ახიელში ამაყად მდგარი ზუთსართულიანი „ხარათ ციხეს“ შესახებ საინტერესო მასალა არის გადმოცემული პროფ. ს. მაკალათიას „ხეკსურეთში“. აღნიშნული ციხის მშენებლობისა და მისი აღნაგობის დეტალური აღწერაა მოცემული ხსენებულ შრომაში. იგი წერს: „...ჩვენ ავგებმეთ და აღწერეთ სოფ. ახიელის ციხე, რომელსაც „ხარათ ციხე“ ეწოდება. ეს ციხე ეკუთვნის ცისკარაულის გვარს და აუშენებია მათ წინაპარს აბა ჯორჯიაულს. რომელსაც ციხის ამგებ ქისტი ოსტატისათვის 50 ძროხა მიუციაო. ხარათ-ციხე ქვიტიკირით არის ნაგები და თავის კონსტრუქციით და არქიტექტურული ფორმით სიმეტრიულია და ღამაზიც. მისი საძირკვლის ფართობი 5-6 მეტრია“.<sup>55</sup>

<sup>55</sup> ს. მაკალათია, ხეკსურეთი, 1935, გვ. 117.

დიდო-ლეკების მიერ თუშეთში ქვით-ხურობის დამადასტურებელი მრავალი საინტერესო გადმოცემა არის შემორჩენილი თუშ ხალხში. მათგან აღსანიშნავია ჩვენ მიერ 1972 წელს თელავის რაიონის სოფ. ლალისყურში მცხოვრებ აბრამ თველორეს ძე ელანიძისაგან ჩაწერილი გადმოცემა. გადმოცემა გვიყვება: „თუშეთის პირიქითის საზოგადოების ქისტეთთან სასაზღვრო სოფლების გირევისა და ჭონთიოს მიჯნაზე ამ ორი სოფლის მცხოვრებლებმა ლეკ-ხუროებს აუშენებინეს საკმაოდ დიდი და ლამაზი ციხე. ციხის მშენებლობა როცა დაუმთავრებიათ თუშებს ლეკი-ხუროებისათვის 12 ძროხა მიუცია. გირევისა და ჭონთიოს მცხოვრებნი ხუროებს წასვლის წინ პურ-მარილით გამასპინძლებიან, ეს თორმეტი ძროხაც, თურმე, იქვე ციხის ახლოს ყოფილა საძოვარზე. სრულიად მოულოდნელად ჭონთიოსა და გირევის მხრიდან ქისტი-აბრაგების ძლიერი რაზმი შემოჭრილა. მძარცველებს ამ ორი სოფლის საქონელიც გაუტაციათ და ლეკებისათვის მიცემული 12 ძროხაც. ლეკი-ხუროები ხელცარიელები წასულან დაღესტანში“.

თუშ-ფშავ-ხევსურეთში გავრცელებული მდიდარი ხალხური გადმოცემების მიხედვით ღრმად გვეჯერა და ერთი წუთითაც ეჭვი არ გვეპარება, რომ აღმ. საქართველოს ჩვენ მიერ დასახლებულ ქართველ მთიელებში ყველა უმთავრეს და ძირითად ქვითსაამშენებლო საქმეს ჩრდილო-კავკასიიდან მოსული ოსტატ-ხუროები ედგნენ სათავეში. ეს ერთ-ერთი უძლიერესი ფაქტორი იყო, სხვა ფაქტორებთან ერთად, რაც ქართველ მთიელებსა და მათ მეზობელ იმიერკავკასიელებს შორის ყოველთვის არეგულირებდა კულტურულ-ეკონომიკურ ურთიერთობას და სხვათაშორის, მაშინაც კი, როცა მათ შორის გამუდმებული ხოცვა-ჟლეტა იყო გაჩაღებული. ჩვენი ასეთი დაჯერებული მსჯელობა თუშ-ფშავ-ხევსურეთში ციხესიმაგრეებისა და საცხოვრებელი სახლების, უმთავრესად, იმიერკავკასიელ ოსტატთა მიერ მშენებლობის შესახებ ემყარება იმ მდიდარ ხალხურ გადმოცემებს, რაც ჩვენ მიერ იქნა წლების მანძილზე ჩაწერილი თუშ-ფშავ-ხევსურებისაგან. ეს საკითხი ჩვენ მიერ უფრო ნათლად იქნება წარმოდგენილი, როდესაც შევეხებით თუშ-ფშავ-ხევსურებისა და ვეინახ-დიდო-ლეკების კულტურულ-ეკონომიკურ ურთიერთობას XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე. ამ პერიოდის კახეთის მთიანეთის მშენებლობის შინაარსის ახსნა შუქს მოჰყენს წინარე საუკუნეების თუშ-ფშავ-ხევსურეთში აღმართულ ციხეების კონსტრუქციის სადაურობის საკითხს და მშენებელ ოსტატ-ხუროების ვინაობას. დეტალურად დადგინდება თუ რომელ მხარეში ვინ ოსტატ-ხუროობდნენ, რადგან ამ საკითხის დაზუსტება და დეტალურად გარკვევა ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია, რადგან ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში არის მოსაზრება იმის შესახებ. რომ თუშ-ფშავ-ხევსურეთში გავრცელებული გადმოცემები, რომლებიც აქ ციხესიმაგრეების მშენებლობას იმიერკავკასიელ მთიელებს მიაწერენ, არ უნდა იყოსო სწორი. აღნიშნული მოსაზრება პირველად

გამოთქვა პროფ. ს. მაკალათიამ. იგი წერდა: „...ხევსურული სიპედიაანი ციხეები თავიანთი ნაგებობით, იგივეა, რაც თუშური ტიპის ციხეები და ხევსურებიც თუშებივით (თუშები იშვიათად მიაწერენ ქისტებს თუშეთში ციხეებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობას და პირიქით, თუშური გადმოცემებით ეს საქმე სრულდებოდა დიდოეთ-დადესტნიდან მოსული ხუროების ხელით – ვ.ე.) ამ ციხეების აშენებას ქისტ ოსტატებს მიაწერენ. რასაკვირველია, ამ გადმოცემის გაზიარება ძნელია. ჩვენ ვიცით, რომ ქისტები ხევსურეთს მტრობდნენ, და ძნელი დასაჯერებელია, რომ ქისტებს ხევსურებისათვის ციხეები ეშენებინათ“.<sup>56</sup>

პროფ. ს. მაკალათიამ მსგავსი მოსაზრება გამოთქვა მონოგრაფია „თუშეთშიც“. იგი ეხება რა თუშეთის ციხესიმაგრეებისა და საცხოვრებელი ბინების მშენებლობის საკითხს, რომელთა მშენებლობასაც ს. მაკალათიას მიერ დაკითხული თუშები თუ თუშური გადმოცემები ჩრდილოკავკასიელ ოსტატებს მიაწერენ, შენიშნავდა: „მართალია, დღევანდელ თუშეთში სახლის აშენების ოსტატები ლეკებია, მაგრამ ამ ძველ ციხეების აგების დროს საეჭვოა, რომ თუშების მოსისხლე მტრებს ლეკებს მათთვის ასეთი მაგარი ციხეები აეგოთ“.<sup>57</sup>

პროფ. ს. მაკალათიას მსგავს მსჯელობას და მოსაზრებას ვხვდებით ისტორიკოს ა. შავხელიშვილთანაც. იგი არასწორად და დაუსაბუთებლად მიიჩნევს საბჭოთა ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში განვითარებულ მსჯელობას იმის შესახებ, რომ თუშეთის ციხე-კოშკები და საცხოვრებელი სახლები ძირითადად შენდებოდა ქისტებიდან და დიდო-დადესტნიდან გადმოსული ოსტატი-ხუროების ხელით, რის გამოც წერს: „დასაბუთებულად არ მიგვაჩნია (საკითხის ამგვარად დასმა – ვ.ე.) რადგან XVII-XVIII საუკუნეებში თუშებთან ქისტები და ლეკები მტრულ ურთიერთობაში იყვნენ და თავიანთ ერთადერთ თავდაცვით საშუალებათა მშენებლობის საქმეს უცხო ხელოსნებს არ მიანდობდნენ. რადგან ეს სახიფათოც იყო და შეუძლებელიც“.<sup>58</sup> აღნიშნული მოსაზრების შემაგრებას ა. შავხელიშვილი ეთნოგრაფიული მასალების მოშველიებით ცდილობს „აღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ, – წერს ა. შავხელიშვილი, – შეიძლება მოვიყვანოთ ეთნოგრაფიული მასალა. 1967-1970 წლების თუშეთ-ჩერჩეთის საველე ეთნოგრაფიული ჩანაწერების მიხედვით დასტურდება რომ თუშეთის ოთხივე თემის მშენებლობის ტექნიკა, მასთან დაკავშირებული საქმიანობა, ხელსაწყო იარაღები, მშენებლობის მასალა. არქიტექტურა, სტილი და თვით ამ ძეგლების მშენებელი ხელოსნები ადგილობრივია. მთხრობელთა გადმოცემით, სახლების,

<sup>56</sup> ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1935, გვ. 122.

<sup>57</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, 1933, გვ. 124.

<sup>58</sup> ა. შავხელიშვილი, თუშების ტერიტორიული განსახლება და ჩერჩეთ-ინგუშეთთან დამაკავშირებელი გზა-ბილიკები აღწერენ. „მაცნე“, №2, 1972, გვ. 54.

ციხე-სახლებისა და ციხე-კოშკების საქმეს თუშეთში, როგორც ცალკეული, ასევე მთელი გვარი მისდევდა“.<sup>59</sup>

ქისტ-ჩენებსა და თუშებს შორის რომ XVII-XVIII საუკუნეებში და შეიძლოა, მიუხედავად მათ შორის მტრული დამოკიდებულებისა, ყოველთვის არსებობდა კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობა ამას თვით იმავე წერილში ა. შავხელიშვილიც შენიშნავს, რაც რა თქმა უნდა, მისი მოსაზრების საკუთარივე უარყოფაა. იგი წერს: „საარქივო მასალებიდან და ლიტერატურული წყაროებიდან ცნობილი, რომ XVIII-XIX საუკუნეებში თუშეთში – ხშირი იყო როგორც ქისტთა ასევე დაღესტნელი აბრაგების თავდასხმები, მაგრამ ჩენეთ-ინგუშეთის და თუშეთის მშრომელ მოსახლეობას შორის მუდამ არსებობდა კეთილმეზობლური დამოკიდებულება“.<sup>60</sup>

რაც შეეხება ხსენებული მოსაზრების თუშეთის ეთნოგრაფიული მასალით შემადგენლობა-დამოწმებას, ა. შავხელიშვილისეული მიდგომა, ჩვენ ან ისტორიული სინამდვილის შეგნებულ გაყალბებად მიგვაჩნია, ან თუშეთის ეთნოგრაფიის ცალმხრივ-ზედაპირულ ცოდნად: მაშ რით უნდა აეხსნათ ასეთი აბსურდი, როცა თუშეთში არც ადრე და არც ახლა ქვით-ხურობა არაეინ არ იცოდა. ვერც ერთ მაგალითს ვერ დავასახელებთ, რომ თუშეთში თუშ მამაკაცს აეშენებინოს ციხესიმაგრე თუ საცხოვრებელი სახლი. და თუ ეს ასე იყო, თუშებმა ქვით მშენებლობის მრავალსაუკუნოვანი ცოდნა-გამოცდილება დაკარგეს, ალენებში და ლალისყურში სადაც თუშები ამჟამად ცხოვრობენ, საცხოვრებელი ბინები რატომ არ აიშენეს, განა ერთ შემთხვევას მაინც დავასახელებთ? რა თქმა უნდა, ვერა. იმის ნათელსაყოფად კი, რომ თუშეთის ციხესიმაგრეებს და საცხოვრებელ სახლებს ნამდვილად დაღესტნელი და ქისტი ოსტატ-ხუროები აშენებდნენ, ამ პარაგრაფშიც მოვიტანეთ ზალხური გადმოცემები და დაწარჩენს კი უფრო მკრთალად და უხვად მოძღვენო გვერდებზე გავაგრძელებთ. სრულიად უსაფუძვლოა, ისიც, რომ თითქოს, თუშებს ჰქონოდათ მეზობელ ჩრდილოკავკასიელებისაგან განსხვავებული „სახელოსნო იარაღები“ და თანაც დღემდის შემონახული, რაც ა. შავხელიშვილსაც კი უნახავს. ასეთი რამ თუშებში არაფერი არ მოიძებნება და მათ არც არაეინ ასახელებს. რაც შეეხება ციხეების სტრუქტურის თვალსაზრისითაც თუშეთის ციხეების სრულიად გამოიყოფა ჩრდილოკავკასიის ტერიტორიაზე გავრცელებული ციხეებისაგან და მტკიცდება, რომ თუშეთის ციხეები არქიტექტურისა და სტილის მიხედვით ადგილობრივი წარმოშობისაა, ეწინააღმდეგება ყოველგვარ ჭეშმარიტებას და მას სინამდვილესთან არავითარი კავშირი არა აქვს.

პროფ. ს. მაკალათიამ უკერ კიდევ თავის დროზე აღნიშნა, რომ: „გუმბათიანი ტიპის ციხე მთათუშეთში გავრცელებულია მხოლოდ პირიქით

<sup>59</sup> ა. შავხელიშვილი, თუშების ტერიტორიული განსახლება და ჩენეთ-ინგუშეთთან დამაკავშირებელი გზა-ბილიკები. „მაცნე“, №2, 1972, გვ. 54.

<sup>60</sup> ა. შავხელიშვილი, თუშების ტერიტორიული განსახლება და ჩენეთ-ინგუშეთთან დამაკავშირებელი გზა-ბილიკები, „მაცნე“. №2, 1972, გვ. 53, ხაზი ჩენია – ე.ე.



ხეობაში და ის თავისი ფორმით და კონსტრუქციით ემსგავსება პირიქით ხევსურეთში<sup>61</sup> და ქისტეთ-ჩაჩნეთში<sup>62</sup> არსებულ ამავე ტიპის ციხეებს.<sup>63</sup>

ს. მაკალათიას ამ მსგავსებაში ეჭვი არ ეპარებოდა, მხოლოდ მას ანტიერესებად ასეთი ტიპის ციხეების წარმოშობისა და სადაურობის საკითხის გარკვევა<sup>64</sup>.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გაქრცელებული მთელი რიგი ციხესიმაგრეებისა და ციხესახლების მსგავს ნაგებობებს, რომ ნამდვილად ადგილი აქვს ჩრდილოკავკასიაში და ისინი სტრუქტურისა და სტილის მიხედვით ერთი მუორისაგან არ განსხვავდებიან, მრავალგზის არის აღნიშნული ქართულ ისტორიოგრაფიაშიც. ამ მიმართულებით ქართველ ეთნოგრაფებს გაკეთებული აქვთ საინტერესო გამოკვლევები. სადაც სახელმძღვანელო დასკვნები და დებულებებია ჩამოყალიბებული.<sup>65</sup> მათი გამოუყენებლობა და გაუთვალისწინებლობა, რა თქმა უნდა, ყოვლად დაუშვებელია. და ეს მაშინ უფრო, როცა საწინააღმდეგო მასალა არ გაგვაჩნია და მხოლოდ სიტყვიერ დაუსაბუთებელ მსჯელობას ეყრდნობით.

თუშეთის მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ ა. შავხელიშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას საეხებით ეთანხმება და ზოგ რამეში აჭარბებს კიდევ, თუშეთ-ჩეჩნეთის კულტურულ-ეთნიკური ურთიერთობის შესწავლის მიზნით ა. შავხელიშვილის ხელმძღვანელობით 1968 წელს ჩატარებული ექსპედიციის წევრის – ერ. ჭარულაშვილის მიერ ახმეტის რაიონის გაზეთ „ბახტრიონში“ გამოქვეყნებული წერილის შინაარსი.<sup>66</sup>

წერილის ავტორის მთავარი მიზანი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ როგორმე დაამტკიცოს თუშეთში დღემდე შემორჩენილი ციხესიმაგრეების „ქართველური წარმოშობა“ და რომ მათ არავითარი კავშირი და მსგავსება არა აქვთ ჩაჩნურ-ინგუშურ კომპლექსთან. აკვიატებული აზრისა და სურვილის დაკმაყოფილების გამო წერილში გვხვდება უხეში შეცდომები და მცდარი დასკვნები.

რ. ჭარულიშვილი თუშეთში ხედავს მხოლოდ ერთი ტიპის ციხეებს, რომელთაც შესასვლელი კარები პირველი სართულიდანვე აქვთ დატანებული. თანაც ისინი უკიროდ და უსაძირკვლოდ არიან ამენებულნი. მათი გადახურვა და მშენებლობის სტილიც სრულიად ინდივიდუალურია, მაშინ, როცა „სპეციალური ლიტერატურიდან. – შენიშნავეს წერილის ავტორი, – ცნობილია, რომ ჩაჩნურ-ინგუშური, ოსური და ხევსურული ციხე-კომპლექტი კირკვითაა

<sup>61</sup> Радде. Хевсурия и хевсурин. Тиф. 18816 стр. 235.

<sup>62</sup> И. П. Шелыкин. Искусство ингушей в помягниках материальной культуры. 1928. стр. 271-277.

<sup>63</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, 1933, გვ. 123.

<sup>64</sup> იქვე.

<sup>65</sup> Кавказский этнографический сборник. 2. Тиф. 1968.

<sup>66</sup> რ. ჭარულიშვილი, ექსპედიცია მთა-თუშეთში. გაზ. „ბახტრიონი“. 12 დეკემბერი, 1968.

ავებული და მათი გადახურვა კონუსისებურია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ კომპლექსს შესასვლელი მეორე სართულზე აქვთ, ხოლო სათვალთვალო ჭერბო უკანასკნელ სართულზე. მათი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ აქ პირველი სართული გამოყენებული იყო ტყვეების მოსათავსებლად და ზოგიერთი მკვლევარის თვალსაზრისით, პოლიტიკურ ექსპანსიებთან დაკავშირებით, მას სამეურნეო მნიშვნელობაც ენიჭებოდა“.

თუშეთის ციხეებს პირველ სართულიდანვე კარები იმიტომ ჰქონია დატანებული, რომ თურმე „თუშები... მტერს არ ატყვევებდნენ: შეპყრობილს დანაშაულის მიხედვით ან კლავდნენ, ან ათავისუფლებდნენ და ამიტომ მათ დილეგები არ სჭირდებოდათ“.

უნდა შევნიშნოთ, რომ ხსენებულ მსჯელობაში არაფერი თავის ადგილზე არ არის, ყველაფერი შებრუნებულად და საწინააღმდეგოდ არის წარმოდგენილი. წერილის ავტორს უნდა შევასხენოთ, რომ თუშეთში გვხვდება ციხეების ორი ტიპი, ერთს, რომელსაც კარები პირველი სართულიდანვე აქვს დატანებული, ხოლო მეორეს კი მეორე სართულიდან. თუშეთის ციხეების ორი ტიპის შესახებ თავის დროზე განსაკუთრებულად შეჩერდა ს. მაკალათია და მათი სრული დახასიათება მოგვცა კიდევ, თავის ცნობილ გამოკვლევაში „თუშეთი“.<sup>67</sup> იგი პირდაპირ წერს, რომ „ნაგებობის კონსტრუქციითა და არქიტექტურული ფორმით მათათუშეთის (თუშეთის, ვ.ე.) საომარი ციხეები ორგვარი ტიპისანი არიან“, რომელთაგანაც შესასვლელი კარები ერთი ტიპის ციხეებს პირველი სართულიდანვე აქვს, ხოლო მეორე ტიპის ციხეებს კი მეორე სართულიდანა.<sup>68</sup>

თუმცა, რომ შეპყრობილი მძარცველების დატყვევებაც სცოდნიათ და მათ იმავე წუთას არ კლავდნენ, ესაც კარგად იკითხება განსვენებული მეცნიერის ხსენებულ მონოგრაფიაში. იგი წერს: „ბრძოლის დროს ციხის თითოეული სართული თავდაცვისათვის იყო გამოყენებული: პირველ სართულში ტყვეებს ამწყვდევდნენ (საუბარია მეორე სართულზე დატანებული კარებიანი ციხის ტიპებზე, ვ.ე.), მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთეში მეკომპურები იხიზნებოდნენ, მეექვსე სართული საომრად იყო გამართული.“

აქ იყვნენ მზეერავ-მეციხოვნენი და ჩარდახებიდან ისროდნენ თოფებს, აგორებდნენ ქვებს და ამგვარად იგერიებდნენ მომდგარ მტერს“.<sup>69</sup>

თუშეთის ციხეები რომ მხოლოდ შშრაღად არ შენდებოდა და დულაბსაც იყენებდნენ ამაზეც გარკვევით შენიშნავს პროფ. ს. მაკალათია. „მეორე ტიპის თუშური საომარი ციხე, – წერს იგი, – პირამიდული სახურავიანია და ამ ფორმის ციხეები გაერცელებულია მხოლოდ პირიქითის ზეობაში, დართლოდან მოყოლებით ნასოფლარ ჭონთიოზდე. ეს პირამიდულ გუმბათიანი

<sup>67</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, 1933, გვ. 116-132.

<sup>68</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, 1933, გვ. 116-120.

<sup>69</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, 1933, გვ. 116-120.

ციხეები ნაშენია დულაბით და შედარებით კარგადაა დაცული, მისი კონსტრუქცია და არქიტექტურული ფორმა(ც ლამაზია“.<sup>70</sup>

არც იმის თქმაა სწორი, როცა დაბეჯითებით ვამბობთ, რომ, თითქოსდა, თუშეთის ციხეები ყოველთვის საძირკვლის გარეშე შენდებოდა, ხოლო ჩანჩურ-ინგუშური კოშკები კი პირიქით-თქო.

უნდა შევნიშნოთ, რომ თუშეთის ციხეები უმეტესწილად აშენებულია ბუნებრივად გამაგრებულ, ძნელად მიუვალ კლდე-ქარაიან მასივებზე. ასეთ ადგილებზე ციხეებს იმიტომ აშენებდნენ, რომ ჯერ ერთი, მტერი ადვილად ვერ მიახლოვებოდა სიმაგრეს. მეორეც მისი საძირკველი თავიდანვე საიმედო ყოფილიყო და მტერს მისთვის ვერაფერი დაეკლო. მაგრამ ასეთი სასურველი ადგილი თუშეთის ყველა დასახლებულ პუნქტებს არ გააჩნდა. და თუ ჰქონდა, ციხეების სიმაგრის გამო. ის საკმარისი არ იყო. ამ შემთხვევაში, ციხეები შენდებოდა საცხოვრებელი სახლების გვერდით, რომელთაც საძირკველი აუცილებლად უკეთდებოდა და ამის გარეშე არც აშენებდნენ. ასეთი ციხეების ნაშთები თუშეთის ბევრ სოფელში დღემდისაა შემორჩენილი. მაგალითად, ჩილოში – „ნადიანთ ციხე“, „ქეთრიანთ ციხე“, „ჩილოსგორის ციხე“, ომალოში – „ლუიანთ ციხე“ და სხვა.

შავხელიშვილსა და ჭარელიშვილს კვლევა-ძიების ასეთი გზა იმიტომ აურჩევიათ, რომ როგორმე უარჰყონ მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა, დღემდის უხვად შემორჩენილი უტყუარი მასალა წიყების თუშეთში მოსულობის შესახებ და „დაამტკიცონ“ მათი აბორიგენობა.“<sup>1</sup>

ასეთი მსჯელობისათვის მათთვის ამოსავალია თუშეთის მატერიალური კულტურის ძეგლების ცალმხრივი. არასწორი განხილვა და ხელოვნურად და შეგნებულად უარის თქმა იმ ჭეშმარიტ მსგავსებათა შესახებ, რაც არსებობს თუშეთის ციხესიმაგრეებსა და ჩენეთ-ინგუშეთის ამავე ტიპის ნაგებობათა შორის.

თუშეთის ეთნიკური შემადგენლობისა თუ მათი სადაურობის შესახებ, იქ, დღემდის შემორჩენილ ციხესიმაგრეების ნაშთებზე დაყრდნობით მსჯელობა, თუნდაც ისინი სრულიად განსხვავებულ-ინდივიდუალური შინაარსით ხასიათდებოდნენ. სხვა ფაქტორებთან შედარებით. რომელთა შესახებაც შრომის პირველ თავში ვრცლად გვქონდა საუბარი, ჩვენ ნაკლებად ანგარიშგასწავლად მიგვაჩნია. ამ რთული საკითხის განხილვისათვის თუშეთის მატერიალური კულტურის ძეგლები არ გამოგვაადგება. ისინი ნაკვიანვეი საუკუნეების კუთვნილებათა, თუშეთის დასახლებათა კი პრეისტორიულ ხანაში იღებს სათავეს.

<sup>70</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, 1933, გვ. 119.

შავხელიშვილი, თუშეთის ტერიტორიული განსახლება და ჩენეთ-ინგუშეთთან დამაკავშირებელი გზა-ბილიკები. ურნ. „მაცნე“, №2, 1972, გვ. 45-62; ვრ. ჭარელიშვილი, ექსპედიცია მთათუშეთში (თუშეთში- ვ.ე.)გაზ. „ბახტრიონი“, 12 დეკემბერი, 1968წ.

პროფ. ს. მაკალათია გარდა იმისა, რომ თუშეთის ციხეების ტიპობრივი დახასიათება მოგვცა და გამოთქვა მათ შესახებ მრავალი საინტერესო მოსაზრება, მანვე პირველმა სცადა განესაზღვრა თუშეთის ციხესიმაგრეების აშენების დრო. აღნიშნულის თაობაზე განსვენებული მეცნიერი წერდა: „სამწუხაროდ ამ ციხეებს (საუბარია თუშეთის ციხეებზე ვ.ე.) წარწერა არა აქვთ, რომ შესაძლებელი იყოს შენების დროისა და ოსტატის ვინაობის დადგენა... მაგრამ მთათუშეთის ისტორიულ წარსულის მიხედვით შესაძლებელია დაახლოებით მაინც ამ ციხეების წარმოშობის დროის განსაზღვრა. ეს დრო მე-16-18 საუკუნეა, როდესაც ფეოდალური საქართველო დაეცა და ჩვენში გაძლიერდა სპარსეთ-ოსმალეთის პოლიტიკური ბატონობა, რომელსაც მოჰყვა ლეკების გამანადგურებელი თარეში“.<sup>72</sup>

თუშეთის ციხეების აშენება დაწყება XVI ს-ში ჩვენ ნაადრევად მიგვაჩნია. თუშებისა და მათი მეზობელი მთიელების მაშინდელი ურთიერთობა ხსენებულ მოსაზრებას ეწინააღმდეგება. თუშეთში ციხესიმაგრეების მშენებლობა უნდა დაწყებულიყო XVII ს-ის მეორე ნახევარში, რაც მასობრივ ხასიათს მიიღებდა XVIII საუკუნეში და გაგრძელდებოდა XIX ს-ის 60-იან წლებამდე, სანამ მეფის რუსეთის მიერ ჩრდილოეთკავკასია მთლიანად არ იქნა დამორჩილებული და შემოერთებული.

ჩვენ ზევითაც აღვნიშნეთ და აქ კვლავ გავიმეორებთ, რომ მსგავსება თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთელ რიგ მატერიალური კულტურის ძეგლებს შორის ნამდვილად არსებობდა და ეს დღესაც კარგად დასტურდება, მათი ურთიერთშედარება-დაკვირვების შედეგად.

ეს საკითხი მკვლევარებს ადრეც და ახლაც დიდად აინტერესებდათ და გამოითქვა კიდევ მრავალჯერ მათ ირგვლივ საინტერესო მოსაზრება. მაგრამ დღემდის გაურკვეველია თუ ხსენებულ ძეგლთა ოსტატები ვინ იყვნენ და სადაურები. მათი სადაურობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში და ხალხურ გადმოცემებში ურთიერთსაწინააღმდეგო მსჯელობაა მოცემული.

„ამ ტიპის ქისტურ ციხეების შესახებ, – წერს პროფ. ს. მაკალათია, – მკვლევართა აზრია, რომ მათი ფორმა ქისტეთში უნდა იყოს შესული საქართველოდან, რომლის პოლიტიკურ-კულტურულ გავლენის ქვეშ ქისტეთი წარსულში იმყოფებოდა“.<sup>73</sup> განსვენებული მეცნიერი ხსენებულ მოსაზრებას იზარებს და თავის მხრივ დასძენს – „ამას ისიც მოწმობს, რომ ამ ტიპის კოშკი დღესაც დაცულია ანანურის ციხის გალავანში და ასეთივე პირამიდულ სახურავიანი ხატსამლოცველოები მოიპოვება ფშავში. ეტყობა ციხის ოსტატები კავკასიონის ამ არეში პირიქით ხევსურეთ-თუშეთში და აქედან ქისტეთშიც გარკვეულ მოსაზრებით აგებდნენ ამ გუმბათიან ტიპის ციხეებს“.<sup>74</sup>

<sup>72</sup> ს. მაკალათია. თუშეთი, 1933, გვ. 124-125.

<sup>73</sup> ს. მაკალათია. თუშეთი, 1933, გვ. 124.

<sup>74</sup> იქვე.

თუშ-ფშავ-ხევსურული გადმოცემები კი მათთან ციხესიმაგრეების მშენებლობას მხოლოდ და მხოლოდ იმიერკავკასიელ ოსტატ-ხუროებს აწერენ და სხვას არავის ასახელებენ. სინამდვილეშიც, რაც თავად მაკალათიასაც უნახავს თუშეთში ყოფნის დროს, თუშეთის ყველა ციხე-სახლის რეკონსტრუქცია, ნაწილობრივ XIX ს-ის მეორე ნახევარში, ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ კი თითქმის სრულიად, ვეინახ-დიდო-ლეკების ხელითაა შესრულებული. თუშეთისა თუ ალენებისა და ლალისყურის მცხოვრები თუშების დაწვრილებითი გამოკითხვით ვერ შევძელით გამოგვევლინებინა თუნდაც ერთი შემთხვევა, რომ თუშეთის ციხე თუ სახლი თუშ ოსტატებს აეშენებინოს. ისინი ყოველთვის გვისახელებდნენ ქისტებსა და დიდო-ლეკებს, ბევრს მათი სახელი და გვარიც კი ახსოვს. მათგანვე ჩავიწყრეთ საინტერესო ცნობები თუშეთში გავრცელებული საამშენებლო ფასების შესახებ.

ვფიქრობთ, ხალხური გადმოცემები რაც წარსულ საუკუნეებს შეეხება და თვითმხილველი და მომსწრე მრავალი მოხუცი მთიელის მიერ მოწოდული ცნობა XX საუკუნის I ნახევარში მათთან საცხოვრებელი სახლების ქისტ-დიდო-ლეკთაგან მშენებლობის შესახებ, ეწინააღმდეგება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას და ეს მამინ კიდევ უფრო მიუღებელი ხდება, თუ გავიხსენებთ იმ დროსა და პოლიტიკურ ვითარებას, როცა თუშ-ფშავ-ხევსურეთში შენდებოდა ციხესიმაგრეები.

XVII-XIX საუკუნეებში ქართველ ოსტატებს „გარკვეული მოსაზრებებით“ ჩრდილოკავკასიაში ციხეებს არავინ ააშენებინებდა.

XIX საუკუნის განსახილველ პერიოდში საარქივო დოკუმენტებისა თუ ხალხური გადმოცემების მიხედვით მტკიცდება, რომ თუშ-ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიაზე იმიერკავკასიელი მთიელების გადმოსვლას და მუდმივ საცხოვრებლად დასახლებას კვლავ ადგილი ჰქონდა. მაგალითად, 1831 წლის თუშეთის მოსახლეობის აღწერის მიხედვით ხაზი აქვს გასმული თუშეთის მცხოვრებთა ნაციონალურ თავისებურებას და აღნიშნულია, რომ იმ დროისათვის თუშეთში რამდენიმე ქისტური ოჯახი ცხოვრობს. მაგალითად, წოვათის საზოგადოების სოფ. საგირთაში-3 კომლი. სოფ. ომალოში – 4 კომლი და სხვა.<sup>75</sup>

XIX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში დ. ზუბარევის მიერ თუშეთის მოსახლეობის აღწერითაც საგანგებოდ ხაზი ესმება თუშეთში ქისტების მოსახლეობის არსებობას.

დ. ზუბარევის მიხედვით მითითებულია, რომ თუშეთში მამინ ქისტების 15 კომლი ცხოვრობდა.<sup>76</sup> XIX საუკუნეში დიდოეთ-დაღესტნიდან და

<sup>75</sup> საქ. სსრ ცენტრ. სახ. ისტ. არქივი. ფონდი 254. ანაწ. 2. საქმე 399. ფურც. 120. 183

<sup>76</sup> Д.Р. Зубарев. Поездка в Кахетию, Түшетню, Пшавню, Хевсурню и Даную-Белаканскую область. «Русский вестник», т. 2. №6. стр. 522. 1841.

ქისტეთიდან თუშ-ფშავ-ხევსურეთში ხშირი იყო ცალკეული პიროვნებებისა და ოჯახების გადმოსახლების შემთხვევები. ამ სამივე კუთხეში უხვად მოიძებნება აღნიშნული მოვლენის დამადასტურებელი ფაქტები. ფშავში, ხევსურეთში და თუშეთში ერთეული ოჯახები არ არის, რომელნიც ადასტურებენ, რომ მათი წინაპარი იმიერკავკასიელი იყო. „ამ მხრივ, – წერს პროფ. გრ. ზარდალიშვილი, – მთელ საქართველოში, ყველაზე ტიპური კუთხე მთათუშეთია, სადაც თითქმის დღესაც ახსოვს ყველას წინაპრის გადმოსახლების ისტორია“.<sup>77</sup> მაგალითად, ქისტეთის სოფ. სამტყუდან გადმოსულა თუშეთში მურთაზი და დასახლებულა სოფ. დანოში. მურთაზს ჰყოლია ოთხი ვაჟი, რომელნიც დღესაც ცნობილნი არიან როგორც ალხანაიძეები. პანკისის ქისტებში მათ ნათესავეები ჰყავთ. ახლა ალხანაიძეებს თუშებად იცნობენ. ასე სწრაფად მოხდა მათი გაქართველება-გათუშება. სოფ. სამტყუდანვე გადმოსულა თუშეთში ქისტი აჭბოლათა და სოფ. დანოში დასახლებულა. მისი შთამომავლობა დღეს (შახაძეების გვართ სოფ. ზემო ალვანში ცხოვრობს. დღეს ისინიც თუშები არიან. XIX საუკუნის დასაწყისში თუშეთში მოსულა ქისტეთიდან თავისი ცოლით ალია და გომეწრის თემის სოფ. გოგრულთაში დასახლებულა. სახელ ალია-დან შემდგომ წარმოსდგა გვარი – ალიაიძე (ალიანთ საგვარეულო), თუშ-ალიაიძეებს ახლო ნათესაური ურთიერთობა აქვთ პანკისის ხეობაში მცხოვრებ ქისტ იმედაშვილებთან. მათ იციან რომ ისინი ერთი საგვარეულო წინაპრიდან მომდინარეობენ. XIX საუკუნის დასაწყისში ქისტეთიდან თუშეთში გადმოხვეწილა ძმის მკვლელის მოკვლის გამო ქალი – კუკალა. იგი სოფელ ფარსმაში დაბინავებულა და შემდგომ იმავე სოფელში დაო ქააძეზე გათხოვილა. მის მოდგმას ახლაც კუკალაანებს ეძახიან, მიუხედავად იმისა, რომ გვართ ისინი ქააძეები არიან. ქისტეთიდან გამოქცეულა და სოფ. ფარსმაში დასახლებულა ვინმე დადა. დადას თუშის ქალი შეურთავს და ოჯახი შეუქმნია. დადას შთამომავლობას ახლაც დადაანებს ეძახიან, გვართ ქააძეებად იწერებიან. ასეთი მაგალითების მოტანა თუშეთისა და ფშავ-ხევსურეთის წარსული ცხოვრებიდან მრავალი შეიძლება. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ხევსურეთის მცხოვრებთა ნაციონალური შემადგენლობის დახასიათება, უფრო კი პირიქით ხევსურეთისა, რადგან იგი უშუალოდ უკავშირდება და ემეზობლება იმიერკავკასიელ მთიელებს. პირიქით ხევსურეთისა და თუშეთის პირიქითის თემის ჩეჩნეთ-ინგუშეთთან ტერიტორიულმა სიახლოვემ თანდათანობით ისეთ შედეგებამდის მიგვიყვანა, რომ ბევრმა მეცნიერ-მკვლევარმა პირიქითის თუშები და პირიქითის ხევსურები ქისტური წარმოშობის ხალხად მიიჩნია. მაგალითად, ე.გ. ვეიდენბაუმი პირდაპირ შენიშნავს, რომ პირიქითის თუშები ენითაც და თავისი

<sup>77</sup> გრ. ზარდალიშვილი. მთათუშეთი (ეკონომ-გეოგრაფიული დახასიათებისაოვის) საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, 1946. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, F 21307, გვ. 68.

წარმომავლობითაც ქისტების მოდგმისანი არიან და ლაპარაკითაც მათს ენაზე ლაპარაკობენო.

ი. ბარტლომეი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ჩრდილო-კავკასიიდან გადმოსახლდნენ, როგორც წოვათისა, ისე პირიქითის მცხოვრებლები.<sup>78</sup> პირიქით ხევესურეთის მოსახლეობის ქისტებთან სიახლოვე-ურთიერთობისა თუ ქისტური წარმომავლობის შესახებ ჩამოყალიბებულ მსჯელობებში, თუშეთის პირიქითის თემის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებთან შედარებით უფრო უხეშ შემცდომებს ვხვდებით, როცა ზოგიერთ მკვლევარს პირიქით ხევესურეთი ტერიტორიულადაც თავდაპირველად ქისტების სამოსახლოდ მიაჩნია.<sup>79</sup>

თუშეთის პირიქითის თემის მცხოვრებთა და ხევესურეთის პირიქითის საზოგადოების ხევესურთა ქისტურ წარმომავლობაზე მსჯელობა, ჩვენ შემცდომად მიგვაჩნია, მით უმეტეს, როცა პირიქით ხევესურეთს თავდაპირველად ქისტთა საცხოვრებელ ადგილად ვაცხადებთ. ჩვენ ამ საკითხის შესახებ უკვე ვიმსჯელებთ და ამიტომ აქ აღარაფერს ვიტყვით. მხოლოდ აღვნიშნავთ ნათქვამს ის გვინდა დავუმატოთ, რომ თუშ-ფშავე-ხევესურებსა და იმიერკავკასიელ მთიელებს შორის XIX საუკუნეშიც, კერძოდ მის პირველ ნახევარში, მიუხედავად მათი ურთიერთ ხშირი თავდასხმებისა და ზოცვა-ჟღერებისა. კვლავ არსებობდა კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობა და მეგობრული დამოკიდებულება. მათ შორის არ შეწყვეტილა ერთმეორეში მისვლა-მოსვლა, გადასახლ-გადმოსახლება, დამოყრება-დანათესავება, დაძმობილება-ძმადანაფიცობა და სხვა. და სწორედ თუშეთის პირიქითის თუშებისა და ხევესურეთის პირიქითის ხევესურების ასეთი დამსგავსება ქისტებთან ენობრივად თუ ყოფა-ცხოვრების ნიშნებით ამ ხანგრძლივი კულტურულ-ეკონომიკური და მეგობრული ურთიერთობის ნაყოფია და სხვა არაფერი. XIX საუკუნის პირველ ნახევარში თუშები საერთოდ, კერძოდ კი პირიქითელი თუშები, ქისტებთან კვლავ ისეთ ნათესაურ და ურთიერთკულტურულ-ეკონომიკურ დამოკიდებულებას აგრძელებენ. რაც მთავრობის მიერ იმიერკავკასიელების მიმართ აღებულ კურსსაც კი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ ხელისუფლება იძულებული გამხდარა ოფიციალურად გაეფრთხილებინა თუშები, კერძოდ კი პირიქითის თემის მცხოვრებლები, თუ როგორ დამოკიდებულებაში უნდა ყოფილიყვნენ მეზობელ მთიელებთან. გენ. გოლოვინი 1838 წელს წერდა გენ. ბრაიკოს, რომ: „ყველა თუშს და განსაკუთრებით პირიქითის თემს, აეკრძალოს იქონიონ მეგობრული კავშირი დაუმორჩილებელ მაჰმადიანური სარწმუნოების ქისტებთან, ხოლო თავიანთი ქალიშვილები არ გაატანონ მათ

<sup>78</sup> И. Бартломей. О так называемых мизджугских языках. известных по шюпору исключительно из Клапротових сравнений, газ. «Кавказ». №70. 1855г.

<sup>79</sup> თ. ოჩიაური, მთოლოგიური გადმოცემები აღმ. საქართველოს მთიანეთში, თბ. 1967, გვ. 73.

ცოლეზად, ასევე მათგან არ შეირთონ ცოლები, თუ ისინი არ ისურვებენ მიიღონ ქრისტიანობა“.<sup>80</sup>

ამავე საბუთიდან ამჟამად ჩანს, რომ ქისტური მოსახლეობის გარკვეული პროცენტი რუსეთის ხელისუფლებასთან მეგობრულ დამოკიდებულებაში ყოფილა და, რა თქმა უნდა, თუშ-ფშავ-ხევსურებსა და ამ მთიელებს ერთიმეორესთან უფრო მეტი სიახლოვე ექნებოდათ. ამიტომ მთავრობა აძლევდა რა მოურავს მტაცებელი ქისტების დასჯა-დარბევის უფლებას, იქვე აფრთხილებდა, რომ მათდამი მეგობრულად განწყობილ ქისტებისათვის არაფერი დაეშავებინა. „უფლებას ვაძლევ მოურავს, – წერდა გენ. გოლოვინი, – მისი უახლოესი გადაწყვეტილებით. ძიება აწარმოოს ჩვენი არამორჩილი ქისტების მიწებზე, დასაჯოს ისინი თუშეთისა და ხევსურეთის შეუწყვეტელი გაქურდვა-დატაცებისათვის; შეიძლება აგრეთვე თარეში თუშებთან და ხევსურებთან ერთად სხვა არამშვიდობიან თემებში, და, საერთოდ, იმ თემებში, რომლებიც რაიმე ყაჩაღობა-ქურდობას ჩადიან. მაგრამ ამასთან ერთად ყური ადევნოს, რომ არ დაზარალდნენ მცხოვრებლები, რომლებზედაც გავლენა აქვს ჩვენდამი მორჩილ აღდამიშვილს და რომლებიც მშვიდობის მოყვარენი არიან“.<sup>81</sup>

გენერალ გოლოვინის წერილიდან ისიც ვლინდება, რომ თუშები არა მარტო ქისტებთან ცდილობდნენ მეგობრული დამოკიდებულების არსებობაზე, არამედ დიდო-ლეკებთანაც. თუშები, ოღონდ დიდო-ლეკების შემოსევებისაგან დაზღვეულნი ყოფილიყვნენ, ზოგჯერ საკომლო გადასახადს უხდიდნენ დალისტნელ მტაცებლებს. ამ საქმეში ყველაზე დიდ ინიციატივას დიკლოსა და შენაქოს მცხოვრებლები იჩენდნენ. რადგან ისინი დიდოეთის საზღვარზე ცხოვრობდნენ. „რომ დიკლოელები და შენაქოელები, – წერს გენ. გოლოვინი, – თავიანთ გაჩანაგებაში თვითვე იყვნენ ბევრად დამნაშავენი, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ ლეკებთან მეგობრობაში, რაკი მათ ყოველწლიურად უხდიდნენ სამარცხვინო ხარკს მოურავის ბრძანების მიუხედავად... თუშებმა უხეშად დაარღვიეს მოურავის ბრძანება, რომ მისი წინამძღოლობით შეგროვილიყვნენ სოფ. ომალოში და წინასწარ ემსჯელათ თავდაცვის მიზნით ზომების მისაღებად – ლეკების შემოჭრამდე. მაგრამ თუშებმა შემოთვალეს, რომ დაღესტნელებთან მეგობრულად არიან და არ ესაჭიროებათ თათბირი. მათი პასუხი ნათლად ადასტურებს, რომ ისინი ხარკის გადახდისა და ნებართვის შემდეგ, იმედს ამყარებდნენ ლეკებთან მეგობრობაზე; ხოლო რაც შეეხება თავიანთი ძმების გადარჩენაზე არა მარტო არ ფიქრობდნენ, არამედ არც კი სურდათ ხელი შეეშალათ მტაცებლებისათვის თუშეთში გამოსულიყვნენ“.<sup>82</sup>

<sup>80</sup> Акты. т. 9. стр. 141.

<sup>81</sup> იქვე. გვ. 142.

<sup>82</sup> Акты. т. 9. стр. 141.



ამ ამონაწერიდან ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომლითაც დასტურდება, რომ მოცემულ პერიოდში თუშები ცდილობდნენ დიდო-ლეკებთან იქონიონ კულტურულ-ეკონომიკური კავშირი, მაგრამ დაზუსტებას საჭიროებს თუშებისადმი წაყენებული ბრალდება, რომ, თითქოს, ისინი ყოფილიყვნენ დამნაშავენი 1837 წელს დიდო-ლეკების მიერ დიკლო-შენაქოს აოხრების საქმეში.

1837 წლის 21 თებერვალს როზენისადმი, ხოლო იმავე წლის 27 თებერვალს ჭარბელაქნის ოლქის უფროსის გენერალ-მაიორ თავად სავარსამიძისათვის თუშების მიერ გაგზავნილი წერილებიდან კი დიკლო-შენაქოს დალუპვის სურათი სულ სხვაგვარად არის წარმოდგენილი. თუშები დიდო-ლეკების თავდასხმას დიკლო-შენაქოზე აბრალებდნენ თუშეთის მოურავ თავად ჩოლოყაშვილს. თუშები რომ მართალნი იყვნენ მოურავისადმი წაყენებულ ბრალდებაში ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს და ამის შესახებ ჩვენ გვჭირდა კიდევ საუბარი. აქ მხოლოდ ის გვინდა განემარტოთ თუ რამ გამოიწვია დიდო-ლეკების ასეთი მოულოდნელი და ხალხმრავალი შემოსევა თუშებზე. შემდგომ რატომ გახდნენ შენაქოელები თანახმანი, რომ „ყოფად არ იღეს მოურავის ბრძანება, — როგორც გენ. გოლოვინი შენიშნავს, — იმ დროს როცა ის მათთან დასახმარებლად მოვიდა, ლეკებს უფლება მისცეს დაბრუნებულ იყვნენ უსაფრთხოდ შინ და ამით უზრუნველყვეს იმავე ღამით მათი მშვიდობიანად დაბრუნება“<sup>83</sup> და სხვა.

თუშების მიერ როზენისა და სავარსამიძისათვის გაგზავნილი წერილებიდან და როზენის მიერ 1837 წლის 18 თებერვალს სამხედრო მინისტრ აი. ჩერნიშევისადმი გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნულია, რომ თუშეთის მოურავი თავადი ჩოლოყაშვილი თუშეთში გადავიდა 1837 წლის 16 იანვარს. „თექვსმეტ იანვარს მოვიდა თუშეთში ჩვენი მოურავი“ — აღნიშნავენ თუშები, როდესაც ორივე სოფლები დამწვარი, მოსახლეობა დახოცილი და ტყვედ წაყვანილნი იყვნენ“<sup>84</sup> თუშეთში მოურავის გადასვლამდე თუშები თავად იგერიებდნენ მტაცებლებს, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდნენ, გაიჟლიტნენ და იძულებულნი გახდნენ მტერს დანებებოდნენ. „თორმეტ იანვრადმის, — მიმართავენ თუშები გ.ვ. როზენს, — მანამ დიკლოსა და შენაქოს აიღებდნენ და მამაკაცი დაიხოცებოდნენ, ბევრი ლეკი მოკვალით. თუმცა, თექვსმეტს რიცხვსა იანვრისასა გადმოვიდა ჩვენი მოურავი, ძალათ ნაჩაღნიკისაგან გამოგზავნილი, რამოდენიმე ათას კაცით და დადგა ათს ვერსზედ. სადაც ლეკის ჯარი შემომდგარი იყო ჩვენ სოფლებზედ, ჩვენის მოურავის იქ ყოფნაში თოთხმეტი დღე გავადა, ლეკის ჯარის. ამ ხსენებულს თოთხმეტს დღეში მოურავისაგან და არც იმის მოყვანილი კაცისაგან არავის შეუწუხებია და არც ლეკი მომკვდარა. გამარჯვებას როგორ ბედავს. უკეთუ ჩვენის მოურავისაგან

<sup>83</sup> Акты, т. 9, стр. 141.

<sup>84</sup> Шамиль. Ставленник Султанской Турции.... стр. 93,96,98.

შემწეობა გვეჩონდა. ან გაეპარავენა. მამ მძველები რაღათ მოგვაცემინა, დღესაც დაღესტანში ტყვედ არიან<sup>55</sup>. თუშები სავარსამიძისათვის გაგზავნილ წერილში უფრო დაწვრილებით უსვამდნენ ხაზს ჩოლოყაშვილის დანაშაულებრივ მოქმედებას, რამაც განაპირობა თუშეთის ამ ორი სოფლის განადგურება.<sup>56</sup>

მართალია, მოურავი თუშეთში იმყოფებოდა უკვე, მაგრამ, როგორც თუშები აღნიშნავენ, მას დიკლო-შენაქოს გადარჩენის მიზნით არსებითი ხასიათის ღონისძიება არ გაუტარებია. მძარცველ ლეკთა ურდოებისაგან შეწუხებულ დიკლო-შენაქოელებს, რადგან სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდათ, ექვსი მძვეალი მიუციათ ლეკებისათვის და ასეთი გზით მოუხერხებიათ სოფ. შენაქოს გადარჩენა სრული განადგურებისაგან; თუშების ასეთ მოქმედებას, რა თქმა უნდა, მოურავის არასწორი დასმენის გამო, ხელისუფლებამ სულ სხვაგვარი შეფასება მისცა. „რავთენს ხანსაც ჩვენ ლეკებს უძელით, – მიმართავენ თუშები გენერალ-მაიორ სავარსამიძეს, – იმთვენ ხანში რომ მოურავს მოენდომებინა, მაშინვე ჯარით მოვიდოდა ლეკებსაც დაეპარცხებდით. თუშცა, ჩვენი მოურავი გადმოვიდა რამდენიმე კაცით, მაგრამ ისიც ნაჩაღნიკს გამაეგლო ძალით. ან კი რისთვის მოვიდა. მინამ მძვეალი არ მივეცი თუშები სული, მინამ სოფლის შენაქოდამ ჯარი არ გავიდა, ჩვენი ექვსი მძვეალის მიცემა ვირჩიეთ, მინამ სოფლის შენაქოს ერთიან წახდენას“.<sup>57</sup>

გენერალ გოლოვანის ხსენებულ წერილში თუშებისადმი წაყენებული ბრალდება მტაცებლების მიერ დიკლო-შენაქოს აოხრება-განადგურების საქმეში, გარკვეული დანაშაულებრივი მოქმედების გამო, უსაფუძვლოა, ყოველგვარ ჭეშმარიტებას მოკლებულია და თვით მათ მიერ თუშეთის მიმართ ჩადენილი შეცდომების დაფარვის ცდაა.

თუშეთის მიმართ, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ქისტებისა და დიდო-ლეკების განრისხება უდაკოდ იმით უნდა იყოს გამოწვეული, რა თქმა უნდა, სხვა მიზეზებთან ერთად, რომ მთავრობამ თუშებს საგანგებოდ აუკრძალა მეზობლებთან მარცვლეულით ვაჭრობა. ეს კი მწირი ქვეყნის, ნახევრად დამშეული ქისტებისა და დიდო-ლეკებისათვის, დამღუპველი იყო. ამ ფაქტმა, ვფიქრობთ, სხვა ფაქტორებთან ერთად, გამოიწვია დიდი განხეთქილების ჩამოვარდნა იმიერკავკასიელ მთიელებსა და თუშ-ფშავ-ხევსურებს შორის. მთავრობამ ქართველი მთიელები მეზობლებთან ურთიერთობაში მათთვის სასურველ ჩარჩოში ჩააყენა, ხოლო მთის დაცვის საქმე კი დაივიწყა. დროულად არ გატარდა საჭირო ღონისძიებები თუშ-ფშავ-ხევსურეთის გასამაგრებლად.

თუშების მიერ გ.ვ. როზენისა და გენერალ-მაიორ სავარსამიძისადმი გაგზავნილი საჩივრებიდან კვლინდება, რომ ხელისუფლებას შემორიგებული

<sup>55</sup> Шамилъ, Ставленник Султанской Турции..., стр. 96.

<sup>56</sup> იქვე, გვ. 98.

<sup>57</sup> იქვე, გვ. 98.

ჰყოლია ქისტეთი, ე.ი. ქისტეთიდან თუიშებზე თავდასხმის საშიშროება არ არსებობდა. ყოველშემთხვევაში, როგორც წერილებიდან ჩანს, თუშეთის მოურავისაგან თუშები ასე ყოფილან დარწმუნებულნი. მაგრამ დილო-ლექციების მსგავსად ქისტებმაც დაარღვიეს თუშებთან ურთიერთობის ადრინდელი პირობები და 1837 წელს დიდი უბედურება დაატეხეს თუშეთს.

თუშეთზე ქისტების თავდასხმას თუშები მოურავ ჩოლოყაშვილს აბრალებენ.

მათი აზრით, ჩოლოყაშვილი ატყუებდა ხელისუფლებას ქისტების შემორიგების თაობაზე. რადგან „მისგან შერიგებულმა ქისტებმა, უმეტესად დახოცეს და დაატყვევეს თუშები“<sup>88</sup> სხვაგან კი წერენ: „თვით იმ (ჩოლოყაშვილის შემორიგებულმა – ვე.) ქისტებმა უარესი გვიყვეს და იმათი ჯარიც ბევრი იყო“.<sup>89</sup>

თუშები მოურავ ჩოლოყაშვილის მიმართ არ უნდა იყვნენ მართალნი. რომ თვით თუშებს და, განსაკუთრებით, პირიქითის თემის თუშებს, მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკური და ნათესაური კავშირიც კი ჰქონდა დამყარებული ქისტებთან, კარგად არის აღნიშნული გენ. გოლოვინის წერილში. რადგან თუშებსა და ქისტებს შორის ასეთი ურთიერთობა არსებობდა, რა თქმა უნდა, მოურავი შორიდან მაყურებელი ვერ დარჩებოდა, მით უმეტეს, როდესაც მას მთავრობის მიერ ევალება ამ მხარის დაცვა და მოვლა-პატრონობა. რომ მოურავი და მისი საშუალებით ხელისუფლება ქისტებთან ახლოს უნდა ყოფილიყვნენ ეს გენერალ გოლოვინის წერილიდანაც ჩანს, როცა მოურავ ჩოლოყაშვილს საგანგებოდ აფრთხილებენ, რომ მძარცველი და ყაჩაღი ქისტების დასჯის დროს არ დააზარალოს მშვიდობისმოყვარე ქისტები, რომლებიც მათ მეგობრობენ და თუშ-ფშავ-ხევესურებთან ახლო ურთიერთობაში იმყოფებიან. „უფლებას ვაძლევ მოურავს, – წერს გენ. გოლოვინი, – მისი პირადი გადაწყვეტილებით ძიება აწარმოოს ჩვენი არამორჩილი ქისტების მიწებზე, დასაჯოს თუშეთისა და ხევესურეთის შეუწყნარებელი გაქურდვა-დატაცებისათვის, შეიძლება მოაწყოს თარეში და საერთოდ. იმ თემებში, რომლებიც რაიმე ყაჩაღობა-ქურდობას ჩადიოდნენ, მაგრამ ამასთან ერთად ყური ადევნოს, რომ არ დაზარალდნენ მცხოვრებლები, რომლებზედაც ვაგვლენა აქვს ჩვენდამი მორჩილ აღდამიშვილს და რომლებიც მშვიდობის მოყვარენი არიან.“<sup>90</sup>

მასალებიდან ჩანს, რომ თუშ-ფშავ-ხევესურები და მეზობელი მთიელები ერთიმეორეში მაშინაც კი მიდიოდნენ, როდესაც მათ შორის მდგომარეობა ყველაზე მეტად იყო გართულებული. დიკლო-შენაქის აოხრების შემდგომ ქისტეთში ყოფილა შეთე გულუხაიდის თანამებრძოლი, პირიქითის თემის მკვიდრი – ლანიში ბორძიკიძე, რომელსაც იქ დაუნახია თუშებზე მორიგი თავდასხმის მოწყობისათვის საჭირო სამზადისი. ეს ამბავი ლანიში ბორძიკიძეს

<sup>88</sup> Шамилъ. Ставленник Султанской Гуршии..., стр. 96.

<sup>89</sup> იქვე გვ. 99.

<sup>90</sup> Акты, т. 9, стр. 142.

თანამოძმეებისათვის უცნობებია, რომლის თაობაზეც 1837 წლის 21 თებერვალს თუშები როზენს სწერდნენ: „ამავე თებერვლის ოცს რიცხვსა მივიღეთ ჩვენ უებარი სამართლის ცნობა ისევე ჩვენის პირიქითელის თემის კაცისაგან, სახელდობრ ღანიში ბორძიკიძისაგან, რომელიც ყოფილიყო ქისტეთში და აჩარა და ჭანჩი. სადაც ენახა ურიცხვი ლეკისა და ქისტის ჯარი, სამ პირად წამოსული ჩვენს სამს თეშზედ. ჩვენის სოფლების ასაკლებად და წასახდენად. ჩვენის დანაშთომის სოფლებისა“.<sup>11</sup>

მრავალი ასეთი მაგალითის დასახელება შეიძლება დიდო-ლეკებისა და ქართველი მთიელების ურთიერთობიდან. დიდო-ლეკები საკუთარი პროდუქციის გაცვლისა თუ სხვა მიზნით მოდიოდნენ თუშ-ფშავ-ხევსურეთში და იქ გარკვეული დროით რჩებოდნენ. თვით შამილის მიერაც ხდებოდა მისი თანამებრძოლების შეპოგზავნა თუშ-ფშავ-ხევსურეთში ხარკის აკრეფისა თუ მოლაპარაკების მიზნით, რათა ქართველი მთიელები იმიერკავკასიელებთან ახლო ურთიერთობაში ყოფილიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი თუშ-ფშავ-ხევსურებს სრული მოსპობა-განადგურებით ემუქრებოდა. 1842 წლის მაისის თვის პირველ ნახევარში, შამილს თუშეთში ორი უფროსი თანამებრძოლი გამოუგზავნია გადასახადების ასაკრეფად, თან მუქარას უთვლიდა თუკი თუშები უარს იტყოდნენ საკომლო გადასახადის მიცემაზე, დაღისტნის მხრიდან მოსალოდნელი შემოსევის თავიდან აცილების მიზნით, მთავრობას დაღისტნის საკორდონო ხაზის უფროსისათვის მიუცია სათანადო დავალება.<sup>12</sup>

მომდევნო წლებში თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და ქისტ-ჩეჩენთ-ინგუშების კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიაში ერთ-ერთ საპატიო ადგილს იკავებს პანკისის ისტორიულ ხეობაში ქისტების დასახლების საკითხი. პანკისში ქისტების დასახლებაზე თუშების თანხმობა იყო საჭირო, რადგან, როგორც ისტორიული დოკუმენტებიდან ჩანს, XVII-XVIII საუკუნეებიდან მოყოლებული ეს ტერიტორია თუშების კუთვნილებას შეადგენდა.

პანკისის ხეობა კახეთის აუბელითმა ისტორიამ XVII-XVIII საუკუნეებში, თითქმის უკაცრიელი გახდა. ამოწყდა ან სხვაგან გადასახლდა მკვიდრი მოსახლეობა. ერთ დროს მჭიდროდ დასახლებული პანკისის ხეობა, რომელიც „იყო ვენახოვანი, ხილიანი... ტყენადირიანი, მარცვალთა ნაყოფიერი, თვინიერ ბრინჯ-ბაპბისა“.<sup>13</sup> მაშინ ჯავნარითა და გაუვალი ტყით იყო დაფარული. პანკისი წარმოადგენდა იმიერკავკასიელ მტაცებელ-ავაზაკთა საიმედო თავშესაფარს. ასეთი პანკისი თუშებს ჰქონდათ მიცემული, რომელსაც საზამთრო საძოვრებად იყენებდნენ. თუშები შეწუხებულნი იყვნენ ქისტთა და ლეკთა განუწყვეტელი თავდასხმებით. ამიტომ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად თუშები დიდად დაინტერესებულნი ყოფილან პანკისში ქისტების

<sup>11</sup> Шамилъ. Ставленникъ Султанской Турции.... стр. 95.

<sup>12</sup> იქვე. გვ. 214.

<sup>13</sup> ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. 1941, გვ. 102.

დასახლებით. მეტადრე კი ჯოყოლას შემორიგებით ყოფილან თუშები მოწადინებულნი, რადგან იმხანად თურმე, ქართველ მთიელებს მოსვენებას არ აძლევდა მტაცებელ-ავაზაკთა ის ბანდები, რომელსაც ჯოყოლა ხელმძღვანელობდა. „ამ საუკუნის ოცდაათ წლებში ერთი ქისტის თემი მოინთლა ქრისტეს რჯულზე და შეურიგდა რუსებს. მაგრამ ეს შერიგება, – წერს ივ. ბუქურაული, – ხანგრძლივი არ ყოფილა. შერიგებულ ქისტებს შორის გამოჩნდა ერთი წინამძღოლი ჯოყოლა. კაცი მამაცი და ლაშქრობის მოყვარე. ჯოყოლა გაუდგა რუსებს, მოიხზო თანამემამულენი და დაიწყო ხოცვა და რბევა რუსების ქვეშევრდომებისა, არც წოვა-თუშები გადაურჩნენ მის რბევას... გადიოდა დრო. ჯოყოლა ხან ერთ ალაგას გამოჩნდებოდა, ხან მეორეში; სწრაფად და მოულოდნელად იტაცებდა ცხვარს“.<sup>44</sup> როგორც ეტყობა, ჯოყოლას მოსწყენია ასეთი ცხოვრება და თავად გამოუჩენია ინიციტივა რუსეთის მთავრობასთან შერიგების შესახებ. ბოლოს, 1851 წელს, ჯოყოლა გამოჩნდა ბორბალოს მთაზე რამდენიმე ქისტით და თან რამდენიმე ხევსურიც ჰყოლიყო. ბორბალოს მთიდან ჯოყოლას გამოეგზავნა ხევსურები ალაზნის თევში ივანე ცისკარიშვილთან, რომელიც იმ დროს თუშების მოურავად იყო, რომ მას სურდა მასთან მოლაპარაკება, ცისკარიშვილმა აღუთქვა მშვიდობა და სრული მფარველობა. ჯოყოლა ქისტებითურთ ჩამოსულიყო ალაზნის თევში, სადაც თუშები მოგროვილიყვნენ ცისკარიშვილის თავობით. თუშებს პატივით მიეღოთ ქისტების ბელადი... ერთი სიტყვით, თუშებს ეცადნათ როგორმე გული მოეგოთ ქისტებისა. მიზეზი ამ ცდილობისა ის იყო, რომ როგორმე შეერიგებინათ ჯოყოლა, რომელიც დიდ ზარალს აძლევდა... ცისკარიშვილი და ჯოყოლა დაძმობილდნენ... დაძმობილების შემდეგ ჯოყოლას გაემჟღავნებინა მოსვლის მიზეზი. ისევ შერიგება სდომებოდა“.<sup>45</sup> თუმცა მოურავ ივანე ცისკარიშვილის შუამდგომლობით ჯოყოლას სურვილი ხელისუფლების მიერ დაკმაყოფილებულ იქნა და ივ. ბუქურაულის მიხედვით პანკისში ქისტების დასახლება მომხდარა 1851 წელს. ერთი საარქივო დოკუმენტის მიხედვით კი, რომელიც რა თქმა უნდა, უფრო დასაჯერებელი და უტყუარია, ეს ფაქტი მოხდა 1854 წელს. საარქივო მასალაში, რომელიც 57 ფურცელს შეიცავს, დაწვრილებით არის საუბარი თუ ქისტების 54 კომლი, რომლის ინიციატორი და ხელმძღვანელი იყო ჯოყოლა დარქიზანიშვილი /დარქინზანი ჯოყოლას მამას რქმევი/, როგორ, როდის და რა ვითარებაში დასახლდა პანკისში. თუშ-ფშავ-ხევსურეთის მხარის უფროსი პოლკოვნიკი ჩოლოყაშვილი აღნიშნავს მოხსენებაში, რომ ჯოყოლას დათქმულ სოფელ მუცოში მისთვის 1854 წლის 8 აგვისტოს მოუყვანია 36 ოჯახი, ხოლო იმავე წლის 15 სექტემბერს კი 18 კომლი,

<sup>44</sup> ივ. ბუქურაული. ტბათანიდან წოვათამდის /მგზავრის შენიშენებ/ ჟურნ. „მოამბე“, 1897, №9.

<sup>45</sup> ივ. ბუქურაული, დასახ. შრომა, გვ. 22.

სულ 54 კომლი. იგი წერს: „8 Августа 1854 года он действительно прибыл комне в пограничное селение Муцо с 36 семействами, а 15 сентября вывел еще 18 семейство.“<sup>96</sup>

პანკისში ქისტების დასახლების შესახებ აღმოჩენილი საარქივო მასალა ზოგიერთი საკითხის ახლებურად დამუშავებას მოითხოვს. მაგრამ, რადგან იგი ჩვენი კვლევის უბანს არ წარმოადგენს, აქ მათ შესახებ არაფერს ვამბობთ.

ადგილობრივი ხელისუფლებისა და უფრო კი თუშების იმედი და სურვილი, რასაც ისინი პანკისში ქისტების დასახლებას უკავშირებდნენ, არ გამართლდა. „არ გაიარა მას შემდეგ ბევრმა ხანმა, – წერს ივ. ბუქურაული, – რომ მოუსვენარი ქისტები აიყარნენ პანკისიდან და ჩაჩანს გადავიდნენ. თუშები დაედევნენ მათ უკან დასაბრუნებლად და დაეწივნენ წიფლოვანის ხევში. ქისტებმა თოფები დაუშინეს“.<sup>97</sup> პანკისიდან ქისტების კვლავ სამშობლოში გაქცევის ფაქტი საარქივო მასალითაც დასტურდება. ჯოყოლას თავისი თემი 1856 წლის მაისში წაუყვანია. გაქცეულ ქისტებს, მათი კვლავ უკან დაბრუნების მიზნით, თუშთა ასეული გამოჰკიდებია, კავალერიის კაპიტან ივანე ელიზბარაძის მეთაურობით, „რომელსაც ვაჟაკობით ვლადიმირის ორდენი ჰქონია მიღებული“.<sup>98</sup> ქისტებსა და თუშებს შორის შეტაკება მომხდარა ქვანდალაში. ორთაბრძოლა ბინდმა გაჰყარა. ქისტების დაბრუნება ვერ მოხერხდა: ხელჩართულ ბრძოლაში თუშებს დაუჭრეს საბი თანამემამულე. რომელთაგან ერთი თვით მათი მეთაური ივანე ელიზბარიძე იყო, რომელიც მეორე დღეს გარდაკვლილა. ქისტებისაგან შურაცხყოფილი და დაზარალებული თუშები მთავრობას მიმართავენ საჩივრით, რათა მამა-პაპიდან მათთვის კუთვნილი პანკისის ხეობა კვლავ მათ დაუბრუნდეთ და ამ ადგილში ქისტთა დასახლება აღარ იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ე.ი. თუშები, საკუთარი ძალით აგებინებენ პასუხს ავაზაკ ქისტებს. აღნიშნულის თაობაზე „ოთხივე თემის მოხსენებას“ მის აღმატებულებას თბილისის ვოენისი ლუბერნატორს, უფალს ლენერალ-მაიორს და კავალერს ლუკაშს უგზავნიან, სადაც აღნიშნავენ: „უწყებულ არს მთავრობისადაცა, რომელ პანკისის ხეობა არის ქართველთ მეფეებისაგან ჩვენ ოთხისავე თემის თუშთათვის ნაბოძები; სიმართლე რომელზედაც რუსები მთავრობის ესე იგი, მყოფის კავკასიის ნამესტნიკის კნიაზ ვორონცოვისაგანაც გვაქვს დამტკიცებული. ამ ჩვენს კუთვნილს მამულზედ დასახლდნენ ორი სოფელი ახლად გადმოსულნი ქისტნი, რომელთაგანაც ჩვენა გვქონდა დიდი შევიწროვება, შეწუხება ქურდობით, როგორათაც ზამთარში საქონლის ძოებაში, აგრეთვე მთაში ჯალაბობით ასვლა ჩამოსვლაში; ამაზე თუშთა მრავალჯერ შემოვიტანეთ ჩვენს ადგილობრივ მთავრობასთან საჩივარი,

<sup>96</sup> Исторический архив Груз. ССР. Ф) 26. опись 6. дело 648 а . л 5.

<sup>97</sup> ივ. ბუქურაული. დასახ. შრომა, გვ 34.

<sup>98</sup> იქვე.

გადასახლებასა ზედა ამა ქისტებისა, გარნა გვამშვიდებენ რომ დროებით არიან დასახლებულნი და მოკლეს ხანში იქნებიან გადასახლებულნი სხვაგან. ამგვარს თათბირებში ერთ ღღეს გამოგვიცხადა თუშეთის ნაწილის გამგებელმა თავადმა ჯორჯაძემ, რომ გადმოსახლებულ ქისტთაგანი ერთი სოფელი გაქცეულა ცოლშვილით, გაიყოლა თუშის სოტნის ნაჩაღნიკი კაპიტანი ივანე ელიზბარიძე თავისი სოტნით და სხვა სოფლის თუშნიცა გამოუდგა ქვაჩაღალაში მოეწია შუადღისას. რასაც დროს დაინახეს ქისტებმა თუშები მაშინათვე ჯალაბობა წინ გაისტუმრეს მეომარი ხალხი დადგა უკან და დაგვიწყეს ომი თოფით. შუადღიგან მოყოლებული ბინდამდინ ვიომეთ სადაცა დაგვიჭრეს კაპიტანი ელიზბარიძე და ორი თუში სხვა. რომლის მიზეზითაც ელიზბარიძე მეორე ღღესვე მოკვდა და სხვანიც არიან შიმის ქვეშ. რადგანაც ამ ქისტებმა იხმარეს ესოდენი ორგულობა და ღალატობა მთავრობისა და თუშებსაც მოგვიკლეს მათავე და ერთგულის სამსახურის მაგალითის მაჩვენებელი კაცი ჩვენ აღარ შეგვიძლიან ჩვენი მოსისხლეები ჩვენს კუთვნილს მამულში ვაცხოვროთ.

ამის გამო უმორჩილესად ვთხოვთ, — დასძინენ თუშები, — თქვენო აღმატებულებავ, რომ მთავრობის ღალატისთანავე ელიზბარიძის სიკვდილიც გადაახდევინოთ და კიდევ გადასახლოთ სხვაგან როგორცადაც გაქცეულნი ეგრეთვე სხვა სოფლისანიც რადგანაც მაგათა ჰქონდათ ერთურთთა შორის თანხმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ და ქისტებს შორის კიდენ ჩამოვარდება ამგვარი შემთხვევა, რადგანაც ეგენი არ დაიშლიან თავიანთს ჩვეულებახედ ღალატობას“.<sup>99</sup>

მართალია, თუშები დიდად განაწყენებულნი იყვნენ ქისტების საქციელით, მოითხოვეს კიდევ მათთვის სამაგიეროს გადახდა და დანარჩენი ქისტების გადასახლებაც უნდოდათ პანკისიდან. მაგრამ, როგორც ეტყობა, ხელისუფლებამ თუშების სურვილს მხარი არ დაუჭირა, შეარიგა ისინი და შექმნა ყოველდღიური მზრუნველობით იმის პირობები, რომ მათ კვლავ მეგობრული დამოკიდებულება ჰქონოდათ და ქისტებს მუდმივად ეცხოვრათ პანკისის ხეობაში. ბოლოს, ამ საქმეში მთავარი ინიციატივა მიიწი თუშებს გამოუჩინათ. „თუშები მაინც არ ისვენებდნენ, — წერს ივ. ბუქურაული, — გადავიდნენ მეორედ და ისევ გადმოიყვანეს ქისტები პანკისს. ქისტებმა ააშენეს ალაზნის მარჯვენა კიდეზე სოფელი; სოფელს დაერქვა ბელადის სახელი „ჯოყოლას სოფელი“<sup>100</sup>

XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს საზღვარი დაედო პანკისიდან ქისტების აყრა-გაქცევის საქმეს. ქისტებმა გული დაუდეს პანკისში ცხოვრებას, ეს მითუმეტეს მაშინ, როცა რუსეთმა წარმატებით დაამთავრა კავკასიის

<sup>99</sup> საქ. ისტორიული არქივი. ფონდი 26. ანაწ. ნ. საქმე 421, ფურც. 28-29.

<sup>100</sup> ივ. ბუქურაული. დასხ. შრომა. გვ.34.

დაყრობის საქმე. პანკისის ხეობაში ერთად უხდებოდათ ცხოვრება და თანაარსებობა ქისტებს. თუშებს, წოვა-თუშებს, ფშავლებს, ბარელ ქართველებს და სხვა. თანდათანობით ამ ისტორიულ ხეობაში გაჩნდა ქისტების, ფშავლების, თუშების, ოსების, წოვა-თუშების და სხვა ეროვნების ადამიანთა სოფლები. ეს კუთხე იქცა სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა თანამეგობრობის, კულტურულ-ეკონომიკური თანაცხოვრებისა და პოლიტიკური ურთიერთობის ერთ-ერთ ნიმუშად. განსაკუთრებული ურთიერთობა დამყარდა პანკისში მცხოვრებ ქისტებსა და თუშებს შორის. ამ დროს თუშეთის წოვათა საზოგადოების მთელი მოსახლეობა აღვინის ველზე მოზამთრეობდა, ზაფხულს კი ტბათანაში, ალაზნის თავში ატარებდნენ. პანკისის ხეობა წარმოადგენდა თუშებისა და ქისტებისათვის დამაკავშირებელ ადგილსამყოფელს. პანკისის ისტორიული ხეობით ხდებოდა თუშთა მრავალათასიანი ცხერის ფარების საზაფხულო საძოვრებზე გადაყვანა და შემდგომ კი შემოდგომით კვლავ უკან დაბრუნება – საზამთრო საძოვრებისაკენ. პანკისში ხდებოდა თუშთა (ძირითადად წოვათა) ცხერის ფარებისა და მსხვილფეხა საქონლის საშემოდგომო და საგაზაფხულო დაყოვნება. ამავე გზით მიყავდათ წოვა-თუშ მამაკაცებს თავისი ცოლ-შვილი ალაზნისთავე-ტბათანაში, საზაფხულოდ, ჰაერის გამოსაცვლელად. პანკისს თუშები მუდმივ საცხოვრებლადაც იყენებდნენ. თუშთათვის ყოველდღიურად საჭირო პანკისის ხეობაზე ქისტების დასახლება-არსებობა, რა თქმა უნდა, ყოველად მიუღებელი იქნებოდა, თუ ისინი თანდათან ხელს არ აიღებდნენ ქართველ მთიელებთან აღრინდელ მტრულ დამოკიდებულებაზე და არ იზრუნებდნენ თუშ-ფშავ-ხევსურებთან და ბარელ ქართველობასთან მშვიდობიან დამოკიდებულებაზე. XIX საუკუნის მეორე ნახევარი თუშ-ფშავ-ხევსურებსა და მათ მეზობელ იმიერკავკასიელ მთიელებს შორის ურთიერთობა ძირითადად, სწორედ, ამ კუთხით წარიმართა. დამყარდა მათ შორის შედარებით უკეთესი კულტურულ-ეკონომიკური და მეგობრული ურთიერთობა.



თუმთმავხევსუხებისა და ვეინახ-დიდო-ღუჯების სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობა XVII ს-ის 70-იანი წლებიდან XIX ს-ის 60-იან წლებამდე

5.1. თუმთმავ-ხევსურებისა და ვეინახ-დიდო-ღუჯების სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობა XVII ს-ის 70-იანი წლებიდან XVIII საუკუნის 80-იან წლებამდე

XVI საუკუნიდან XVII საუკუნის 70-იანი წლის პირველ ნახევრამდე, კახეთის სახელმწიფოს მეფეები: ლევან კახთა მეფე (1520-1574), ალექსანდრე II (1574-1605), თეიმურაზ I (1606-1648), არჩილ II (1664-1675) დაუბრკოლებლად და ყოველგვარი გართულებების გარეშე წარმართავენ შვიდობიან სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობას მეზობელ ჩრდილოკავკასიელ მთიელებთან. ჩრდილოკავკასიისა და საქართველოს ურთიერთობა XVII ს-ის 70-იანი წლებიდან არსებითად შეიცვალა. კახეთში მეფობის გაუქმებიდან და მისი ყარაღაჯში მჯდომი ხანებისათვის სამმართველოდ გადაცემამ ხელ-ფეხი გაუხსნა შინაურსა და გარეშე მტრებს; მოშენება-გაძლიერების გზაზე შემდგარი კახეთი, ქვეყნის დასაღუჟად კარგად შემზადებული ყიზილბაში ხანების მმართველობის პერიოდში (1677-1703), უცბად მოიშალა და თანდათანობით გაუარესების გზას დაადგა. ირანის შაჰის უშუალო მითითებითა და ხელშეწყობით „ხანები კვლავ დიდის გულ-მოდგინებით შეუდგნენ ქვეყნის თურქმანებით დასახლებას, მაგრამ ამაყრად მათ გარდა საკუთარი სამხედრო ძალებისა და თვით ჩამოსახლებული თურქმანებისა, ძირითადად გამოიყენეს დაღესტნელები და უკვე მომძლავრებული ჭარ-ბელაქნელი ლეკები. შექმნილ ვითარებაში ლეკთა „უბატონო თემები“ კავკასიის პირიქით დაღესტნელ-ლეკთა სადგურად და საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებული ურთიერთობის გამტარ არტიერიად გადაიქცა“.<sup>1</sup>

ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ, მანამდე კახეთის სახელოვანი მეფეების მიერ ენერგიული ღონისძიებების გატარების შედეგად ალაგმულ ლეკ-აბრაგებს თავისუფალი თარემის შესანიშნავი პირობები შეუქმნა. ყიზილბაში ხანების წაქეზებითა და ხელშეწყობით გათამამებული ლეკი მმართველი ხანები თუ ნაიბები განუკითხავად დათარემობდნენ კახეთში და ადგილობრივ მოსახლეობას დიდ უბედურებაში აგდებდნენ. კახეთში შექმნილი

<sup>1</sup> ბ. თოცვაძე, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან, 1968, გვ. 107-108; ნ. ბერძენიშვილი, საქართველო XVIII საუკუნეში, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, 1965, გვ. 198; მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, 1953, გვ. 21.

ეს რთული ვითარება კარგად არის წარმოდგენილი ვახუშტი ბატონიშვილთან. იგი წერს: „...ხანმა მისცა ნება და ძალი ლეკთა და დაუწყეს კახეთს კირთება და ტყვევნა, არა თუ ლაშქრით, არამედ ავაზაკობით. კვალად აღაზუავნა უმეტეს ჭარულნი და ელიფადარი დასხმული ხანთაგანე, რამეთუ თუმცა მოკლიან კახნი ლეკთა ანუ თათართა შერისხვიდა ხანი ანუ მოაკუდიანებდა, ანუ მაკემინის სისხლი მეტყველი: რამეთუ არა ჯერ არს გიაურთაგან მუსლიმნის სიკუდილი და თუმცა მოკლიან თათარნი კახი არა რაი ავნის, რამეთუ „ესრეთ ჯერ არს“ და იყო ამით ჭირი დიდი“.<sup>2</sup>

ყოზილბაში ხანების მმართველობის პერიოდში ლეკი მმარცველების თავდასხმები უშუალოდ კახეთმა განიცადა. წყაროები ერთხმად აღიარებენ კახეთის ბარზე ლეკი აბრაგების ინტენსიური თავდასხმების, მათგან ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაციის შესახებ. მაგრამ არსად არაფერი არ არის ნათქვამი კახეთის მთიანეთში-თუშ-ფშავ-ხევსურეთში XVII-ის 70-იანი წლებიდან, ვიდრე XVIII ს-ის დასაწყისამდე, იმიერკავკასიელთა შემოსევებზე და ავაზაკობა-მმარცველობაზე. XVIII საუკუნის დასაწყისიდან კი, როცა კახეთს სათავეში ჩაუდგა დავით მეორე (იმამყულიხანი) და იწყება „ლეკიანობის“ წინააღმდეგ ქართველთა ორგანიზებული ბრძოლები, თუშ-ფშავ-ხევსურების მონაწილეობა ბარელ თანამემამულეების მხარდამხარ, მოხსენიებულია თითქმის ყველა უმთავრესი ბრძოლების აღწერის დროს.

თუშ-ფშავ-ხევსურების გმირობა-ვაჟკაცობა და თავდადებული ბრძოლები მმარცველი იმიერკავკასიელი ფეოდალების წინააღმდეგ, მემატინათა მიერ ყოველთვის საგულდაგულოდ არის აღნიშნული.

თუშ-ფშავ-ხევსურების შედარებით მასობრივი და ორგანიზებული გამოსვლები „ლეკიანობის“ წინააღმდეგ, ბარელ თანამემამულეებთან ერთად მანინ იწყება, როდესაც ჭარში და ბელაქანში მოძრავლებულმა ლეკებმა, პირიქითა თანამომხეთა შეწვევითა და მონაწილეობით გაბედულად შემოუტიეს აღმოსავლეთ კახეთის სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებს. „შემოტევა იძღვნად ძლიერი ყოფილა, — წერს პროფ. მ. დუმბაძე, — რომ კახთა მეფემ დავით II (იმამყულიხანი, 1703-1722 წ.წ.) თავის რეზიდენცია ყარალაჯიდან თელავსა და მანავს გადაიტანა“.<sup>3</sup>

თუშ-ფშავ-ხევსურეთის ბრძოლები ლეკი ფეოდალების წინააღმდეგ, როგორც აღვნიშნეთ, პირველად ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის მიხედვით კახეთში დავით II-ის მეფობის დროს აღინიშნება. ლეკთა ხშირი თავდასხმებით შეწუხებული კახელები სთხოვენ დავით მეფეს, რომ ლაშქრობა მოაწყოს ჭარ-ბელაქანში დაბულებული ლეკი აბრაგების წინააღმდეგ. „...ვინაღვან ლეკნი დაუცხრომლად მტერობდნენ და უმეტეს ჭარულნი, განუზრახეს იმამ-ყული-

<sup>2</sup> ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 1913, გვ. 195.

<sup>3</sup> მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, 1953, გვ. 19; ვახუშტი, ცხოვრება კახეთისა, ქ. ცხოვრება, ტ. II, 1854, გვ. 13.

ხანს კახთა, რათა შემუსროს ჭარი და დააცხროს ჭირი ესე კახეთისა, მერმე დაიპყრას საზღვარი კახეთისა. მან უსმინა და შემოიკრიბნა სრულიად სპანი კახეთისანი თუშ-ფშავ-ხევსურითა განვიდა და დადგა ვარდიანს... ჩღვ (1706)... რათა მუნიდამ ბრძოს მარადის“.<sup>4</sup>

ჭარელებისათვის აშკარა გახდა, რომ მათს განადგურებას წინ აღარაფერი ედგა; მათ ქედი მოიხარეს და დაეით მეფეს პატიება სთხოვეს. მიუხედავად დაეით მეფის თანხმობისა „არა აუფლეს კახთა, ვინაიდგან აქუნდათ შური დიდი. მერმე შეუხდნენ ჩარდაყს, მოსწყვიტნეს ვიდრე კავკასამდე და ვერვინ წინა აღუდგათ“.<sup>5</sup> ჭარელთა ხოცვა-ჭლეტას წაუხალისებია კახელები, ბრძოლის ცენტრიდან შორად გაფანტულან და მეფე 60-მდე მეომრის თანხლებითა დარჩენილა მტრის პირისპირ. კახელთა ეს სუსტი მხარე ჭარელთათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა და მაშინვე სასწრაფოდ მისვიან მეფესა და მის ამაღას. როგორც ვახუშტი შენიშნავს, მეფის ამაღა გარდა რიცხობრივი სიმცირისა, გამოუცდელი მეომრებისაგანაც შედგებოდა თურმე, რადგან „გამოუცდელი იყო იმამ-ყული-ხანი, არა იპყრა თვისთანა სპანი რჩეულნი“.<sup>6</sup> აღნიშნულ მდგომარეობას ლეკები უფრო წაუქეზებია და ფიცხლად კვეთებულან მეფის დამცველ რაზმს. მეფის ამაღას ვერ გაუძლია მოზღვავებული მტრის ბრძოლებისთვის, გაქცეულან და მეფე მტრის პირისპირ დაუტოვებიათ. მტერთან ბრძოლაში ჩაბმულ თუშთა ლაშქარს შეუმჩნევია მეფის გასაჭირი და უმაღლე იქ გაჩენილან. „რა იხილეს თუშთა ლტოლვანი (მეფის დამცველი რაზმის წევრებისა - ე.ე.), გამოიტაცეს დაეით და მოიყვანეს ყარაღაჯს.“<sup>7</sup>

ჭარელთა წინააღმდეგ მოწყობილი ლაშქრობის შემდგომ კახელებსა და ჭარელებს შორის დროებით მშვიდობიანი დამოკიდებულება ჩამოვარდნილა. მაგრამ ეს ზავი თუშებს დაურღვევიათ და სამეფო კარისაგან დამოუკიდებლად და მეფის შეუტყობინებლად თავს დასხმან ლეკებს 1719 წელს, ამოუწყვეტიათ ჭარელნი და მათგან დიდძალი ქონება წამოუღიათ: „ხოლო კახთა და ლეკთა ზავთა შორის. ამ ჟამთა წარვიდნენ თუშნი, მოისრნეს რაოდენიცა ჰპოვეს ლეკნი და მწყემსნი და წარმოიღეს არე დიდძალი, ეწივნენ ჭარელნიცა. არამედ მოსრნეს თუშთაე და აოტნეს იგინიცა და მოვიდნენ მშვიდობით. ამისთვის მოგზავნეს ჭარელთა: „არს მშვიდობა ჩვენს შორის, რად ჰყვეს თუშთა ესე“. განრისხდა იმამ-ყული-ხანი და ბრძანა მიცემა მონაღებისა. ხოლო თუშთა არა ინებეს. კვალად წარვიდა მოურავი მათი და არც მას უსმინეს, ამხედრდა თვით იმამ-ყული-ხან და მივიდა და უბრძანა ცემა-თოფთა, არამედ მათ რა იხილეს იმამ-ყული-ხან შეაქციეს ზურგი და დასდგნენ უსაჭურველონი და მსროლელთაცა არღარა თუ იკადრეს მიხედვაც: ამისთვის შეიწყალა მეფემან არღარა მოსრნა, გარნა წარუხებანა ნატყვენანი და მისცა ლეკთა არე-თურთ“.<sup>8</sup>

<sup>4</sup> ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც. 1913, გვ. 200-201.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 1913, გვ. 200-201.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 201.

კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში ჩამოსახლებული დაღისტნელი მთიელები თუ როგორ აწუხებდნენ კახეთის მოსახლეობას ყველაზე კარგად ჩანს დარეჯან მეგრელიძის მიერ გამოქვეყნებული 21 წერილიდან, რომელთაგან 17 წერილი ეკუთვნის კახეთის მეფე დავით II (იმამყულიხანს), 3 წერილი დავით მეფის ძმას თეიმურაზს, ხოლო ერთი წერილი დაუსწერიათ კახეთის ეპისკოპოსსა და დარბაისელთ.<sup>9</sup> „წერილებიდან ირკვევა, რომ კახეთის მეფე (დავით II, ვ.ე.) ქართლის მეფეს (ვახტანგ VI - ვ.ე.) „ლეკების“, დაღისტნელი თავდასხმელების წინააღმდეგ ჯარით დახმარებას სთხოვდა“.<sup>10</sup> კახეთის მეფეს გასძნელება ჭარბულაქიდან მოსული დაღისტნელი აბრაგების აღაგმვა და დახმარება ქართლის მეფისათვის უთხოვია.

ამ ძნელებლობის დროს, როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, თუშები ბარელ თანამემამულეებთან ერთად თავდადებულად იბრძვიან. ეს კარგად ჩანს 1722 წელს იმამყულიხანის მიერ ვახტანგ VI-სადმი მიწერილი წერილიდან, სადაც იგი საგანგებოდ უსვამს ხაზს თუ თუშები კახეთის ბარის მოსახლეობას როგორ ეხმარებოდნენ „ლეკი“ დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლებში. „ამის მეორე დღეს (წინა დღისით კახელებს გაუნადგურებიათ კახეთის სოფლებში შემოსული მთიელი აბრაგები, ვ.ე.), - წერს დავით მეორე, - თუშნი მოვიდნენ, შილდას მოუხდნენ, დაწვეს და ბევრი ავი უყვეს. ტყუე, საქონელი წამოიღეს. რაც იმ სოფლებში ლეკის ჯარი დგას ისინი თუშს ვერ შემოებნენ. თუშნი წავიდნენ. ახლა კიდევ აგრილდა, მთის ჯარის მოსვლის დროც არის“.<sup>11</sup>

ანწუხელებსა და თუშებს შორის, ბარის ქართველობასთან ერთად, შემდგომ ხანებშიც, გაუთავებელი თავდასხმები და ურთიერთ ზოცვა-ფლელა ყოფილა, რის გამოც 1788 წელს ქართლ-კახეთის სამეფო კარს მიუღია „განჩინება ქართველთა, თუშთა და ანწუხელთა დამოუკიდებლობის შესახებ“. სამეფო კარი აფრთხილებს სამივე მხარეს, რომ ურთიერთშორის მტრობას, სისხლის ღვრას და ქონების დატაცებას ბოლო მოუღონ: სამეფო კარი განსაკუთრებულ ყურადღებას თუშებზე ამახვილებს და მიუთითებს, რომ აღარ დაარღვიონ შემორიგებულ ლეკებთან - კაპუჭელებთან, ანწუხელებთან და სხვებთან არსებული ურთიერთობა და სხვა. განჩინებაში წერია: „ქ. ეს განჩინება დაიდვა ქართველთა, თუშთა და ანწუხელთაში, დღესა იქით თუშებმა ასე წმინდა უნდა დაიცვან თავი, რომ ჩვენს შემორიგებულს ლეკს ანწუხელსა, კაპუჭელსა და სხვას ნურას აწყენენ და ნურცრას მოხარავენ. თუ თუშთ ბელაქნისკენ ჯარით სამტრო წასვლა მოინდომონ თუშთ მოურავს შეატყობინონ, წიგნი გამოართვან ყვარელთა და გავაზელთზედ. თუ ნებასთ ისინიც გააყვებიან, თუ არა

<sup>9</sup> დარეჯან მეგრელიძე. მასალები XVIII ს. ოკიაინი წლების ქართლ-კახეთის ისტორიისათვის. იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 33, 1969.

<sup>10</sup> იქვე. გვ. 144.

<sup>11</sup> იქვე. გვ. 167.

თვითონ წავიდნენ, მაგრამ მოურავის შეუტყობინებლად ნუ წავლენ და ნუ წავლენ ყვარელსა და გავაზზე და გაღმაზე ქიზიყილამ და საიღამაც უნდოდესთ იქიდან წავიდნენ. თუ თუშთ ბელექნისაკენ წასვლა მოინდომონ საყაზახოთ, მარტო თითონ ნუ წავლენ ერთი თუ ორი კაცი ყვარლიდამ და ან გავაზიდამ წაიყვანონ და ისე წავიდნენ. თუ იქილამ ვერ იმოვნონ თან გამყოლი კაცნი ქიზიყს ჩავიდნენ ვეჯინს, გურჯაანს და იქილამ წავიდნენ და თავის მტერს იქილამ უმტერონ. ზაფხულშიაც ასე ქანა და ზამთარშიც. ვართუბანსა და ვართუბანს ჩასწვრივ ალაზნამდინ თუშნი ნულარ ჩავლენ, ანწუხელთ დაანებონ, ნურც სანადიროთ, ნურც სამტროთ და ნურც გზის შესაკრავათ ნულარ გაივლიან. სისხლი პირველად თორმეტი თუმანი იყო, მეორეთ ოცდა ოთხ თუმნად გაეხადეთ და კიდევ არ იქნა მანც კიდევ ხოცდნენ და ახლა ოცდა ათ თუმნად გაგვიხდია, რომელიც მოკლავს თუში თუ ანწუხელი თუ ქართველი ეს სისხლი ასე უნდა მისცენ. თუ ის მკვლელი ჩავიგდეთ ხელში ხომ ასე გამოვართმევთ და თუ ვერ ჩავიგდეთ იმის ნათესავსა და იმის სოფლის კაცს უნდა გარდახდეს, ქართველის მხარიდამაც, თუშეთის მხარიდამაც და ანწუხელთ მხარიდამაც, როგორც ზევით სისხლი დაგვიწერია იმის ნათესავებს და იმის სოფლის კაცთ გამოერთმევა ეს სისხლი, რომ გაგვიწესებია თუშებსა, ანწუხელებსა და ქართველებშიც გვიბრძანებია თუ ქართველმა ანუ თუშმა ანწუხელი მოკლას ასე გარდახდეს და თუ ანწუხელმა ქართველი ანუ თუში მოკლას იმათც ასე უნდა გარდახდეს. ამის პირობა თუშთ ფიცითა და მუჩაღვით ასე უნდა მოგვცენ, რომ ამ გარიგებას დღეის იქით აღარ გადახდნენ. თუ ამით კიდევ ანწუხელი კაცი მოკლეს, თუ ის მკვლელი ხელში ვერ ჩავიგდეთ იმის ნათესავს და იმის სოფლის კაცთ დავიჭერთ და რაც იმ მკვლელის სისხლი გაგვიჩინა, იმათ გარდავახდევინებთ და იმათ გამოვართმევთ, ანწუხელთ კიდევ ეს პირობა უნდა მოგვცენ, რომ ან თვითონ და ან სხვათ თავიანთმა კაცმა სხვა დალისტინის კაცი არ მოიყვანონ თავიანთ ბინაზედ და არც სხვის ოსტატობით და არც თავიანთი გაქცეული კაცი მოუშვან რომ ანწუხელთ ცოდნით იმათ კახეთში არა დაამაონრა, ანუ თუშეთზე და ან კახეთზე თუ რომ ანწუხელთ შეიტყონ იმ უცხოს კაცსა კახეთზედ მომავლობა სამტეროთ ის გავაზელთ და ყვარელთ უნდა შეატყობინონ, რომ ისინი სხუათ შეატყობინებენ, ეს ხომ ყოველთვის ახსოვთ ანწუხელებს ჩვენი ტყვე რომ მიჰყავდათ სხვას ლეკებს თუ დიდი ჯარი არ არის და უნდა მოერეოდნენ უნდა წაართვან და მოგვცენ და რაც ჭეშმარიტი აბბაეი იცოდნენ დალისტინის ჯარისა, უნდა შეატყობინონ ყვარელთა და გავაზელთა და ჩვენც გვაცოდინონ იმის მოვალენი არიან. იმას გარდა თუ ანწუხელთ თანხმობა უკუღვავს ვინმე და იმან ან თუში და ან კახი კაცი მოკლან და ან მოიპარონ რამე ანწუხელთ, თემობით უნდა მოგვცენ პასუხი. როგორც თუშთ მიუციათ პირობა, აგრეთვე ანწუხელთ უნდა მოგვცენ პირობა ფიცით მუჩაღვით. ქურდობისაც ასე უნდა იქნას, რომლისაც მხრიდან ქურდობა მოხდეს, თუ ის ქურდი ვერ ჩავიგდეთ ხელში იმისმა

ნათესავმა და იმის სოფლის კაცმა უნდა მისცენ ერთი ორად მოპარული და სამთხრობელოც. ან ის ქურდი ანწუხის ჯამათმა და თუშთ უნდა მოგვცენ და ან იმ ქურდის ნათესავმა და სოფლის კაცმა უნდა მისცენ ნაქურდალი ერთი ორად და სამთხრობროცა რომ გასლოდეს, ორისა მხრივ. ისე უნდა იქნას ეს განწინება ქართველსა. თუშსა და ანწუხელთათვის არის დადებული“.<sup>12</sup>

კაბუჭულ-ანწუხელებსა და თუშებს შორის არსებულ გაუთავებელ ბრძოლების თაობაზე მრავალი საგულისხმო ეპიზოდი არის შემონახული თუშურ ზეპირსიტყვიერებასა და გადმოცემებში. ლეკი ფეოდალების მიერ თუშეთში გადმოყვანილ მეკოპართა თარეშს არც თუშები აკლებდნენ და ისინიც რაზმებად გაერთიანებულნი თავს ესხმოდნენ დალისტინის მოსახლეობას. თუშეთში ადრე, როცა ცხვრის საესხებლად მივიდოდნენ ერთიმეორესთან, შემდეგი სიტყვებით მიმართავდნენ თურმე: „ცხვარი მასესხე და კაბუჭის თავიდან მოგვიყვან სამაგიეროსო“. ანწუხ-კაბუჭელების წინააღმდეგ, რომ თუშები საგანგებოდ ემზადებოდნენ და ყველა თუში მეომარი დაინტერესებას იჩენდა მათზე თავდასახმელი გზა-ბილიკები სცოდნოდა, კარგად ჩანს 1931 წელს ს. მაკალათიას მიერ თუშეთში ჩაწერილი გადმოცემებიდან, რომელიც ჩაუწერიანებია სოფ. ხახაბოს მცხოვრებ მიხო ბაკურიძეს.

იგი უყვება: „...მე ამ ორმოც და ერთი წლის წინავე მილაპარაკა ჯაო ბერიკაიძემ შემდეგი: მე ვიყავი ვეილი ბიჭი, ახალი მომდინარი, მიველი გორგელ ლეთისოძესთან. რომელიც იყო მეკოპრების წინამძღოლი და ბელადობდა ჯარებს. ვსთხოვე გავეყოლე სალეკოდ. მე იმან ერთი გზობით დამითხოვა. მისთვის რომე მე შენ ცოდვაში ვერ ჩავდები, განმეორებით ვსთხოვე: გამიყოლე სალეკოდ, მაშინ მიპასუხა იმან: „რადგან არა სჯერხარ, წამოდი, წაგიყვანო“.

ჩვენ წავედით. გადავიარეთ ლეკური ძთები. ვნახეთ, არიან მეცხვარეები და არიან მეძროხეები, – მაშინ მიპასუხა: „აბა თუ გული გერჯის, აბა ჩავეტანოთ ლეკებს“. მე ვსთხოვე: „კიდევე ქვეით წავიდეო“. მინდოდა გზები შემესწავლა. ჩვენ ჩაველით ანწუხ-კაბუჭის მიჯნაზე და შემოვბრუნდით უკანვე. ჩვენ მოელთით მეცხვარეს ბინაში, ჩვენ მოვკალით ოთხი მეცხვარე და ოთხსავე მოვსჭერით მარჯვენები... მაშინ შევისწავლე გზები და დავიწყე ბელადობა“.<sup>13</sup>

XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან თუშეთის მდგომარეობა უფრო უარესდებოდა. თუშეთს თავს ესხმიან, როგორც პირადად მის ასაკლებად წამოსული დიდო-ლეკების მეკოპრეთა რაზმები, ისე კახეთიდან ხშირად უშედეგოდ დაბრუნებული ლეკთა დიდი ჯარიც „ჩამოვიდა კახეთში დიდი ჯარი ლეკისა, მოუხდნენ თუშეთს ბევრი ავნეს, ჩამოვიდა ამბავი, მოხსენდა ამბავი ბატონებს, მაშინვე წაბრძანდა კახი ბატონი (ერეკლე მეორე ვ.ე.) კახეთს, მიეშველა თუშეთს“.<sup>14</sup>

<sup>12</sup> საქ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Sd. 2278.

<sup>13</sup> ს. მაკალათია, თუშური ლექსები. 1937. გვ. 116.

<sup>14</sup> პაპუნა ორბელიანი... საქართველოს ცხოვრება. ზ. ჭიჭინაძის გამოც. 1913. გვ. 1237.

ანალოგიური ამბავი აქვს პაპუნა ორბელიანს დასახელებული, რომელიც XVIII ს-ის 50-იან წლებში მომხდარა. კახეთის დასალაშქრავად გამზადებული დალესტინის დიდი ჯარი, რომელთაც გაუგიათ, რომ მათ დასახვედრად ქართლ-კახეთის ჯარი მზადყოფნაში იმყოფებაო. უკან გაბრუნებულან და თუშეთს დასხმთან: „რა შეეცით ლეკთა გაბრუნდნენ და თუშეთს მიხდომოდნენ. აქედამ კახი ბატონი მეფე ერეკლე მიეშველა, იქიდან გაიქცნენ და ახლა ეს იყო, კიდევ მეორედ შეიყარნენ, დიდთაც შიმობდნენ კახეთში და ქართლში მოსვლას“.<sup>15</sup>

თუშთა სახელოვანი ლაშქარი, გარდა საკუთარი მიწა-წყლის დაცვისა, მოცემულ საუკუნეში, მონაწილეობას ღებულობს ლეკი დამპყრობლების წინააღმდეგ ბარულ თანამემამულეებთანაც და მრავალ საგმრო-საარაკო ბრძოლებშია ჩაბმული. ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდზე მოგვითხრობს პაპუნა ორბელიანი, რომელიც ეხება 1756-1757 წლებს. იგი წერს: „შეიყარნენ გაღმა-მხარს კაცნი და თუშნი, ითავეს თუშთა მოურავის ძმა ჯანდან, გარდუხდნენ დალისტინის სოფლებს, წამოიღეს მრავალი ცხვარი და ძროხა. ვინა ლეკნი მიეწივნეს დახოცეს და უვნებლად ნამოვარი კახეთში გარდმოსხეს“.<sup>16</sup> კახელთა და თუშთა თავდასხმას დიდი აღშფოთება გამოუწვევია დალესტინის მოსახლეობაში. დიდი სამზადისის შემდეგ წამოსულა „ქვეითების ჯარი ლეკისა“ და დაფანტულან „საქართველოს შინა“. ლეკთა ქართლ-კახეთში შემოჭრას კახეთის მთისა და ბარის მოსახლეობა ერეკლე მეორის მეთაურობით მომზადებული შეგებებია და სახელოვანი ბრძოლების ჩატარების წყალობით დიდად დაზარალებული ლეკი-აბრავები უკან დაუბრუნებია: „შემოიყარა ჯარი კახმა ბატონმა ირაკლიმ დახვდა... ლეკის ჯარს წინა, ლალისყურისბოლოს. გაემარჯვა დიდად, რომ მოამბე არ წასვლიათ, დაერივნენ კახნი და თუშნი ხმალ და ხმალ შიგა და ყათლამი დამართეს: დააჭრეს თავები, აპკიდეს ულაყთა და საპალნებით მორათო მამასა თვისსა მეფეს თეიმურაზს ქალაქსა შინა“.<sup>17</sup>

1765 წელს, როცა ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ერეკლე მეფის საწინააღმდეგო შეთქმულება იქნა აღმოჩენილი და ერეკლე მეორე შეთქმულთა ანგარიშსწორებითა და ერეკლის ქურთთა წინააღმდეგ ლაშქრობით იყო დაკავებული, დალისტინის ავაზაკმა ფეოდალებმა ისარგებლეს და თუშეთზე გაილაშქრეს. აღნიშნულის შესახებ ომან ხერხეულიძე წერს: „კვალად შეიყარნენ ფრიადნი ლეკნი, დაეცნენ თუშეთს. გარდაეშენენ ფშაველნი, სძლიეს და მოსწყვიტეს უმეტეს ორიე-ათასისა და წარივლიტნენ სირცხვილეულნი“.<sup>18</sup>

ქართლ-კახეთში დალესტინელი ფეოდალების გამუდმებული შემოსევებით გართულებულმა საშინა-საგარეო მდგომარეობამ, სხვა გასათვალისწინებელ

<sup>15</sup> პაპუნა ორბელიანი... საქართველოს ცხოვრება. ზ. ჭიჭინაძის გამოც. 1913, გვ. 177.

<sup>16</sup> იქვე. გვ. 237.

<sup>17</sup> პაპუნა ორბელიანი... საქართველოს ცხოვრება. ზ. ჭიჭინაძის გამოც. 1913, გვ. 237.

<sup>18</sup> ომან ხერხეულიძე... საქართველოს ცხოვრება. ზ. ჭიჭინაძის გამოც. 1913, გვ. 285.

ფაქტორებთან ერთად, სამეფო კარს უკარნახა, რომ ეფიქრა რევულარული ჯარის შექმნაზე. რის უპირატესობაშიც ქართველი პოლიტიკოსები დარწმუნდნენ 1769-1771 წლებში საქართველოში რუსთა ჯარის ყოფნის დროს. 1773 წელს ქართლ-კახეთის სამეფო დარბაზმა შეიმუშავა წესდება-„მორიგე ლაშქის განაჩენი“. „განაჩენით“ ლაშქრობის შემძლე ყოველ მამაკაცს დაევალა რიგ-რიგობით წელიწადში თითო თვით გასულიყო ლაშქარში.

ჯარში ყოველი მორიგე თავისი ხარჯით მიდიოდა. მორიგეს იარაღიც საკუთარი უნდა ჰქონოდა.<sup>19</sup> მიუხედავად იმისა, რომ „მორიგე ლაშქარს ვერავინ გამოაკლდებოდა“.<sup>20</sup> ერეკლე მეორემ ამ ბეგარისაგან თუშ-ფშავ-ხევსურნი გაანთავისუფლა,<sup>21</sup> „რადგანაც ესენი ლეკების საზვრების სადარაჯოზე მუდამ შეიარაღებულნი იდგნენ“.<sup>22</sup>

ქართლ-კახეთის სამეფო კარისათვის თუშეთს, როგორც დიდოეთ-დაღესტნის მოსაზღვრე მიწა-წყალს და ლეკი დამპყრობელი ფეოდალების წინააღმდეგ თავდადებულ მებრძოლს, უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება, განსაკუთრებით XVIII ს-ის მეორე ნახევარში. უშუალოდ ერეკლე მეორის მკაცრი მოთხოვნებისა და მზრუნველობის თანახმად სამეფო კარი დიდი გულისხმიერებით ეპყრობა თუშ-ფშავ-ხევსურებს და მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებს, რომ კახეთის მთიანეთის ეს საძი კუთხე საიმედო დარაჯად ჰყოლოდა დაღესტნის სასაზრვრო ხაზზე. 1785 წლის 7 ივლისის რიცხვით დათარიღებულ წერილიდან, რომელიც მეფე ერეკლეს თიანეთის მოურავე ქაიხოსრო ჩოლოყაშვილისათვის გაუგზავნია, ნათლად ჩანს, თუ სამეფო კარი როგორ ზრუნავდა თუშეთის მშვიდობიანობისათვის და ლეკთა ამოხრებელი თავდასხმებისაგან დასაცავად. „ქ. ჩვენს მაგიერად ჩვენს დიდს იმედს დიდად იმედად მისაჩენელ მოსახედავს ან არაოდეს ჩვენთან არ დასავიწყარს თიანეთის მოურავეს ჩოლოყაშვილს ქაიხოსროს მრავალი მოკითხვა მოეხსენოს მერე ამის წინათ თუშეთს რომ ლეკის ჯარი მოვიდა და ღმრთით სირცხვილეულნი გაბრუნდნენ ეს ალბათ შენც შეტყობილი გექნება. ახლა კიდევ თუშნი ჩამოვიდნენ, ჯარი სადმე იყრება და კიდევ თუშებზე სადმე აპირებს მოსვლას. თუშთ მოურავიც თუშეთს გავისტუმრეთ, კახთათვისაც მოგვიწერია, სულ მზათ იქნებიან და როცა თუშთ მოურავის წიგნი მოუვათ მაშინვე მიეშველებიან. ფშავ-ხევსურეთსაც წიგნი მოვსწერეთ, რომ როცა დაიბარონ მამაცობრივ უნდა მიეშველნენ, შენ ამაზე ბეჯითი უნდა იყო, რას წამს ჩვენი კაცი და წიგნი

<sup>19</sup> ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, ტ.1, 1958, გვ. 373.

<sup>20</sup> იქვე.

<sup>21</sup> Бутков, материалы для истории Кавказа. т. 1, СПб, 1869. стр. 288. Р. Эрнстов. О Тушино-Пшаво-Хевсурском округе. Зап. Кавк. отд. ИРГО, кн. 3. 1855; Мой заметки, «Кавказ». 1855. №33.

ს. მაკალათია, თუშეთი, 1983, გვ. 29.



მოგივიდეს მაშინვე ფშავ-ხევსურეთს უნდა წახვიდე და იქაური ჯარი თუშეთს მამაკობრივ უნდა მიაშველო, ამაზედ ღიდად ბეჯითად უნდა მოიქცე.“<sup>23</sup>

თუშური ხალხური ზეპირსიტყვიერება ასახელებს აგრეთვე თუშეთზე ვინმე ნუცალ-ხანის თავდასხმას, რომლის შესახებ ოფიციალურ წყაროებში არაფერს აღნიშნავენ. თანამედროვე ქართულ და რუსულ ისტორიოგრაფიაში თუშეთში ნუცალ-ხანის შემოსევის შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგო საუკუნეებია დასახელებული. პროფ. ს. მაკალათიას მიხედვით ნუცალ-ხანი თუშეთს 1785 წელს დასხმა.<sup>24</sup> ი. დემერივეის,<sup>25</sup> ვ. ლაგაზიძის,<sup>26</sup> და თ. უთურგაიძის<sup>27</sup> მიხედვით კი თუშეთზე ნუცალ-ხანის თავდასხმა XVI საუკუნეში მომხდარა.

პროფ. ს. მაკალათიას გარდა, რადგან იგი არ მიუთითებს, თუ რით სარგებლობს, დანარჩენი მკვლევარებისათვის ხალხური გადმოცემებია ამოსავალი. ამ მხრივ საყურადღებოა ვ. ლაგაზიძის მსჯელობა, რადგან იგი ნუცალ-ხანის თუშეთში შემოსევის შესახებ განსაკუთრებულად შეჩერებულა ხსენებულ შრომაში.

ვ. ლაგაზიძისათვის სახელმძღვანელო შრომას შეადგენს ივ. ბუქურაულის მიერ თუშური გადმოცემებისა და სიმღერების მიხედვით დაწერილი ისტორიული მოთხრობა „ნუცალ ხანი“.<sup>28</sup>

ივ. ბუქურაულის „ნუცალ ხანი“ მართალია. საინტერესო შრომაა, მაგრამ მისი გამოყენება დიდ სიფრთხილეს საჭიროებს.

ვ. ლაგაზიძე ეხება რა ივ. ბუქურაულის „ნუცალ ხანში“ გადმოცემულ ამბავს, წერს: „ნუცალ ხანში აღწერილი ამბები ხდება მე-16 საუკუნეში, კახეთში ლევან მეფის მეფობის ხანას ემთხვევა (1520-1574)“.<sup>29</sup>

ივ. ბუქურაულის „ნუცალ ხანში“ გადმოცემული ამბის დასადასტურებლად ვ. ლაგაზიძეს დიდი მუშაობა გაუწევია და დაუდგენია, რომ ნუცალ-ხანი სინამდვილეში თუშეთს მე-16 საუკუნეში შემოსევდა იგი წერს: „ჩვენ საციალურად ვსწავლობდით დალესტინის ხანების ქრონოლოგიას. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის დალესტინის ფილიალში. და როგორც ავარიის ხანების ქრონოლოგიიდან ჩანს, ნუცალ-ხანი ერთ-ერთ ბრძოლაში მომკვდარა 1553 წელს. ნუცალის შემდგომ ხანობა მიუღია უმა-ხანს. ნუცალ-ხანის სიკვდილი ემთხვევა კახეთში ლევანის

<sup>23</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Sd. №2852.

<sup>24</sup> ს. მაკალათია, თუშეთი. 1933. გვ. 32.

<sup>25</sup> Ю.Д. Демериев. Байбиіскіи язык. м. 1953. стр.5.

<sup>26</sup> ვ. ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულიდან. სადისერტაციო შრომა. თბილისი. 1967წ. (ხელნაწერი).

თ. უთურგაიძე, „...განა სუყველას თქმა უნდა“ ჟურნ. „ცისკარი“, №2, 1966წ.

<sup>28</sup> ივ. ბუქურაული. ნუცალ ხანი. ისტორიული მოთხრობა. ჟურნ. „ერი“, №8-13, 20, 1910.

<sup>29</sup> ვ. ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულიდან. სადისერტაციო შრომა (ხელნაწერი) თბ. 1967. გვ. 168.

მეფობის ხანას და ჩვენი ვარაუდით, რომ ნუცალ-ხანი ამ ბრძოლაში უნდა მოეკლა ერთ-ერთ მხედარს, საგინაშვილს, გამართლებული უნდა იყოს. ეს უნდა მომხდარიყო ნუცალის მთა-თუშეთში შემოსევის დროს 1553 წელს<sup>30</sup>.

ნუცალ-ხანის მიერ თუშეთში მოწყობილი ლაშქრობის შესახებ თუშური გადმოცემა ივ. ბუქურაულზე ადრე ჩაუწერია და გახეთ „Кавказ“-ში გამო-უქვეყნებია ი. ცისკარიშვილს<sup>31</sup>. ი. ცისკარიშვილთანაც ნუცალ-ხანის ლაშქრობა ლევან კახთა მეფის დროს მომხდარა. ორივე გადმოცემაში აღინიშნება, რომ ნუცალ-ხანისაგან შეწუხებული თუშები წარმომადგენლებს გააგზავნიან კახეთში ლევან მეფესთან და დახმარებას სთხოვენ. წარმომადგენლები გრემში ჩადიან. ერთი შეხედვით მართლაც ყველაფერი რიგზეა. ლევან მეფე და გრემი, როგორც კახეთის სატახტო ქალაქი ეჭვს არ იწვევს, ერთი მეორეს ემთხვევა, ზოგიერთი მკვლევარის შეცდომის მიზეზიც გადმოცემაში ლევან კახთა მეფისა და გრემის ერთად მოხსენიება გამხდარა. მაგრამ თუ გადმოცემებში ასახულ ამბავს კრიტიკულად მივუდგებით და ისტორიულ წყაროებთან მჭიდრო კავშირში განვიხილავთ საქმე სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება.

ივ. ბუქურაულის „ნუცალ ხანში“ ასახულია, რომ თუშეთის დასალაშქრავად ნუცალის ამხედრების ერთ-ერთი მიზეზი ის გამხდარა, რომ მან ღრმად მოხუცებული თანამემამულისაგან შეიტყო, რომ თურმე თუშები დიდო-ლეკების „მოსაზღვრე სოფელს არ სჯერდებიან და მთა-მთა ჭარ-ბელაქანშიაც ჩადიან სადავლოდ“. ამ ამბის მოსმენით განცვიფრებული ნუცალი ეკითხება მოხუცს: „ჭარ-ბელაქანამდინ თუშებს რა უნდა... სად თუშეთი და სად ჭარბელაქანი?“ მოხუცი არწმუნებს ნუცალს, რომ იგი მართალია, რომ მას „თვითონ ჰქონია მათთან საქმე“ იგი ჯერ კიდევ 25 წლის ყოფილა, როცა აწწუხში მოსულა ხმა, „რომ თუშებმა დაარბიეს ჭარის მიდამოები და უთვალავ ნადავლით-ცხვარ-ძროხით მთა-მთა ბილიკით, თუშეთისაკენ მიდიანო“<sup>32</sup>.

როგორც ვ. ლაგაზიძე წერს, ნუცალ-ხანი 1553 წელს მოუკლავს ბრძოლაში და თანაც საგინაშვილს. თუ ლეკი მოხუცის წლოვანების მიხედვით ვიმსჯელებთ, რომელსაც ჩვენი მკვლევარები ეყრდნობიან, გამოდის, რომ ნუცალ-ხანი თუშეთს 1500 წლამდე უნდა შემოსევოდა. მაშინ ლევანი კახეთის მეფე არ იყო, არც ჭარი და ბელაქანი იყო ლეკებით დასახლებული.

ამავე გადმოცემაში მეორე უხერხულობაც არის. ნუცალ-ხანის თუშეთში შემოსევამდე თუშები თურმე ე.წ. „სათუშო ბილიკით“ მთა-მთა ჩადიოდნენ და ჭარ-ბელაქნის მოსახლეობას აწიოკებდნენ, იქიდან მათ საქონელს იტაცებდნენ და შეჭლეში ისევ უკან ბრუნდებოდნენ. თუ გადმოცემის მიხედვით ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ თუშები ჭარსა და ბელაქანს უკვე XV საუკუნის 80-90-იან წლებში არბევენ.

<sup>30</sup> ვ. ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულიდან. საღიხერტაციო შრომა (ხელნაწერი) თბ. 1967, გვ. 171.

<sup>31</sup> И. Цискаров, Записки о Тушетни. «Кавказ». №13, 1849г.

<sup>32</sup> ივ. ბუქურაული, „ნუცალ-ხანი“. ისტორიული მოტხრობა, ჟურნ. „ერი“, 1910, №8.

დაღესტნელი მთიელების ჩამოსახლება კახეთის ადმოსავლეთ მიწა-წყალზე, როგორც ცნობილია, იწყება XVI-XVII საუკუნეებში.<sup>33</sup>

XVI საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა პირველად აეარიელთა დასახლება კახეთის აღმ. ნაწილში. ლევან კახთა მეფეს ლეკები თავდაპირველად სოფ. ფიფინეთის სიახლოვეს დაუსახლებია. XVII საუკუნეში ლეკებს ქართველებით დასახლებული სოფ. ფიფინეთიც დაუკავებიათ და მას შემდგომ ამ სოფელს, როგორც ვახუშტი შენიშნავს, სოფ. „ჭარი“ ეწოდა.<sup>34</sup> მაგრამ ამ დროს „მწირი დაღესტნის შვილები კახთა მეფეების ყმობის პირზე ესახლებოდნენ ზოლმე“,<sup>35</sup> რომელთა ყმობაც ქართლ-კახეთისა თუ კახეთის სამეფო კარისადმი გრძელდება XVII საუკუნის 70-იან წლებამდე.<sup>36</sup> ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, გამოირიცხულია თუშები XVI საუკუნეში თავს დასხმოდნენ ჭარ-ბელაქანს (ბელაქანი ამ დროს არც იყო როგორც ლეკების სამოსახლო სოფელი).

ლევან კახთა მეფის დროს კახეთის ადმოსავლეთ ნაწილში დასახლებული დაღესტნელი მთიელები თუ როგორ დამოკიდებულებაში იყვნენ კახეთის სამეფო კართან კარგად აქვს აღნიშნული ვახუშტი ბატონიშვილს. იგი წერს: „...მთის ძირს არს ფიფინეთი, სად დასხნა ე. მეფემან ლევან ლეკნი, რათა უზიდონ ზაფხულის კაკასიიდან ყინული და იყო არჩილამდე ეგრეთ. შემდგომად იწოდა ჭარი და ყვეს სიმაგრე, და იქმნენ სახელოვან ბრძოლათა შინა...“<sup>37</sup>

როგორც უკვე შრომის წინა ნაწილშიც აღვნიშნეთ, თუშებს და დიდო-ლეკებს XV-XVI საუკუნეებში მტრული დამოკიდებულება არ ჰქონიათ. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ „XVI საუკუნის 80-იან წლებამდე კახეთის სამეფო მანაც ახერხებდა მტკიცე ხელით აელაგმა მთიელი მტაცებლები და დაღესტნელი ტომების ბელადები მორჩილებაში ჰყოლოდა“.<sup>38</sup> საქართველოს ბარსა და დაღესტანს შორის თავდასხმების დაწყების შემდგომაც, როგორც ჩანს, თუშეთსა და მეზობელ დიდო-ლეკებს შორის დიდხანს კვლავ სამშვიდობო ურთიერთობა არსებობდა.

საქართველოს ბარისა და მთის მოსახლეობის ადრინდელი დამოკიდებულება დაღესტანთან ყველაზე მეტად მას შემდგომ გართულდა, როცა „1674 წლიდან 1703 წლამდე გრძელდებოდა კახეთში ყიზილბაში ხანების მმართველობა“.<sup>39</sup>

<sup>33</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, 1966; მ. დუმბაძე, აღმ. კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან (XIX ს-ის რეფორმამდელი პერიოდი) თბ. 1953; თ. ბოცვაძე საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან, 1958; თ. პაპუაშვილი, ჭარ-ბელაქანი, 1972.

<sup>34</sup> ზ. ელილი, დანიგილო, თბ. 1947, გვ. 36; თ. ბოცვაძე, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 1968, გვ. 120-121.

<sup>35</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 263.

<sup>36</sup> იქვე, გვ. 269.

<sup>37</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ. 1941, გვ. 96.

<sup>38</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 263.

<sup>39</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, თბ. 1966, გვ. 270.

ამ წლების განმავლობაში არსებითად შეიცვალა ადრინდელი ვითარება კახეთის აღმოსავლეთში. აქ ჩამოსახლებულ დალისტნელ მოახალშენეებს კახეთში მკდომი ხანები საგანგებოდ იცავდნენ, ხოლო ადგილობრივ მოსახლეობას კი ავიწროებდნენ. ხანების ხელისუფლებისაგან წაქეზებული მოახალშენე ლეკები, რომელთაც თითქმის უკვე დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ, 1703 წლიდან კახეთის გამგებლად დანიშნულ დავით ბატონიშვილის მორჩილებას აღარ აპირებდნენ. ამ დროისათვის „ჭარ-ბელაქნელ“ „ლეკებს“ დამხმარედ ჰყავდათ დალისტნელი აბრაგები, რომლებთან ერთად ეს „მოახალშენეები“ მთელ კახეთს სატყვენავად-საძარცვავედ მოსდებოდნენ“.<sup>40</sup>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუშებზე დიდო-ლეკების თავდასხმებს და თვით თუშების მეკოპრეობასაც ქართული წყაროები XVIII საუკუნის დასაწყისიდან აღნიშნავენ. თუშების თავდასხმები ბარის ქართველობასთან ერთად ჭარზე და ბელაქანზე კახეთში დავით II-ის მეფობის დროს იწყება. ნუცალ-ხანის შემოსევაც თუშეთში XVIII საუკუნეში უნდა მომხდარიყო და არა XVI საუკუნეში.

ნუცალ-ხანი (იგივე ნურსალ-ბეგი) ავარიის ცნობილი ხანი იყო, რომელმაც ორგზის ილაშქრა ქართლ-კახეთში: პირველად 1754 წელს, იგი მჭადიჯვართან (მუხრან-დუშეთის გზაზე) ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს და გაქცევით ძლივს უშველეს თავს. მეორედ 1755 წელს, როცა მან დალისტნის სხვა ბატონებთან ერთად ალყა შემოარტყა ყვარლის დიდ ციხე-გალავანს. ამჯერადაც ერეკლე მეორის შეუდარებელი მხედართმთავრული ნიჭის წყალობით დალისტნელი ფეოდალების მიერ მოწყობილი კოალიციური ლაშქრობა ყვარლის ციხესთან უბრძოლველად დაიშალა და დალისტნელმა ბატონებმა თავის სამფლობელოებს მიაშურეს.

ნურსალ-ბეგი რომ იგივე ნუცალი ანუ მუცალი იყო ამის შესახებ არის როგორც ქართული, ისე უცხოური ცნობები. დავით ბატონიშვილი ეხება რა ხუნძახის ბატონის პირველ ლაშქრობას ქართლ-კახეთში, წერს: „მოვიდა ნურსალბეგ ავარიელი (ე.ი. ხუნძახის ბატონი მუცალი) ფრიადითა მხედრებითა მოადგა მჭადის ჯვარს“.<sup>41</sup> იგი სხვაგანაც აღნიშნავს „კვალად შეიყარა ხუნძახის ბატონმან ნურსალიბეგმან (ე.ი. „ნუცალიმ“).“<sup>42</sup>

ნურსალ-ბეგი (მუცალი, ნუცალი) იყო ავარიის ცნობილი ხანის ომარის მამა. ნურსალ-ბეგი ბრძოლაში მოუკლავს ფათალი ხანს 1774 წელს, 1775 წლიდან ავარიის მბრძანებელი გამხდარა ომარ-ხანი. აღნიშნულის თაობაზე თ. მარგველაშვილი შემდეგს წერს: „ომარ ხანი იყო ძე ხუნძახის ბატონის

<sup>40</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკიტხები, ტ. III, თბ. 1966, გვ. 270.

<sup>41</sup> დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გამოსცა თამარ ლომოურმა, თბ. 1941, გვ. 6, ხაზი ჩვენი, ე.ე.

<sup>42</sup> იქვე, გვ. 13.

ნურსალ ბეგ ავარიელის, იგივე მუცალ ან მერსელ ხანისა, რომელიც 1774 წელს მოკლა ფათალი ხან ყუბელმა. 1775 დან მამის ადგილი ომარმა დაიკავა“.<sup>43</sup>

გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ პირდაპირ დასახელებულია ნუცალი, როგორც ავარიის ხანი, რომელსაც თუშები ხარკს უხდიან. იგი წერს: „ლეკების ავარ-ხანს ანუ ნუცალს ისინი (თუშები ვე) ყოველწლოურად ხარკად 10 ჯორს, ან თითოეული ჯორის მაგიერ უნაზღაურებენ 60 ცხვარს, თითო (ცხვარი) კი რუსულ ფულზე 80 კაპიკად ფასდება“.<sup>44</sup>

გიულდენშტედტი საქართველოში იყო 1771-1772 წლებში; მის საქართველოში მოსვლამდე თუშეთი უკვე დაულაშქრავს ნუცალ-ხანს.

ძნელია იმის თქმა, თუ რომელ წელს შემოესია თუშეთს ნურსალ-ბეგი (ნუცალ-ხანი), რადგან ზუსტი თარიღი არსად არის დასახელებული. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ნუცალ-ხანის თავდასხმა თუშეთზე მოხდებოდა XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან 1771 წლამდე, როცა ნურსალ-ბეგი ცნობილი ხდება, როგორც ქართლ-კახეთში ორგზის ლაშქრობის მომწყობი და ავარიის ძლიერი ხანი.

ნუცალ-ხანის თუშეთში შემოსევის შესახებ არსებულ თუშურ ხალხურ გადმოცემებში ლევან კახთა მეფესთან ერთად ხსენდება აგრეთვე ვინმე საგინაშვილი, რომელმაც მოკლა ნუცალი. ჩვენს ცნობილ მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ საგინაშვილი იგივე ანდარაუზ საგინაშვილია, რომელიც XVIII საუკუნის კახეთის თავადაზნაურთაგანია და მან მოკლა სინამდვილეში ნუცალ-ხანიც. აი, რას წერს პროფ. სოლ. ყუბანეიშვილი: „რაც შეეხება საღირაშვილს, ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს ანრადეზ საღირაშვილი (ზოგი ვარიანტით საგინაშვილი). რომელმაც მუსრი გააულო ლეკთა ჯარს გირევის ვაკეზე. პირიქით თუშეთში, რომლის დროსაც ლეკთა მეთაური მუცალი წყალში ჩაუარდა და დაიხრჩო“.<sup>45</sup>

ერთი ხალხური ძეგლის მიხედვითაც აღინიშნება, რომ თუშებმა ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში ლევან ბატონიშვილს (ერეკლე მეორის შვილს) სთხოვეს დახმარება და არა ლევან კახთა მეფეს; თუშეთის წარმომადგენლები თელავში მისულან და არა გრემში.<sup>46</sup>

ი. ცისკარიშვილიც აღნიშნავს, რომ ნუცალ-ხანი საკმაოდ სახელმძღვანელო და ძლიერი ხანი ყოფილა.<sup>47</sup> რომელიც, რა თქმა უნდა, ასეთ ძლიერებას

<sup>43</sup> თ. მარგველაშვილი, საქართველოსა და დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან დაღესტური წარმოშობის ერთი არაბულწოდანი საბულის მიხედვით, იხ. ენათმეცნიერების ინსტ. შრ.ტ.11, თბ. 1967, გვ. 97.

<sup>44</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ.1. გერმანული ტექსტი ქართულ თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ. 1962, გვ. 263.

<sup>45</sup> სოლ. ყუბანეიშვილი, ბახტრიონის გმირები ქართულ მწერლობასა და ხალხურ სიტყვიერებაში, 1953, გვ. 26; დ. გოგოჭური, „ბახტრიონის“ ერთი გმირის ეინაობა, ჟურნ. „მნათობი“, №2, გვ. 114.

<sup>46</sup> ხალხური სიტყვიერება. III ხალხური ლექსები თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი, მიხ. ჩიქოვანის რედაქციით, 1953, გვ. 43.

<sup>47</sup> И. Цискаров, Записка о Тушетии. «Кавказ», 1849, №13.

XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის პირველ ნახევარში ვერ მიაღწევდა, როცა აკად. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, კახეთის მეფეები ახერხებდნენ აელაგმათ დღისტნელი მტაცებლები და მათი წინამძღოლები მორჩილებაში ჰყოლოდათ.<sup>48</sup>

ნუცალ-ხანს თუშეთის დაპყრობა მოუხერხებია და თუშებისათვის ხარკი დაუდვია. შემდგომ კი მას თუშების გამაჰმადიანებაც გადაუწყვეტია. თუშეთი მოსალოდნელი საშიშროებისაგან უხსნია ანთა დეედარისა და ითაბანულის თავდადებულ მოქმედებს. თუშების დავალებით წოვათა საზოგადოების უხუცესი ანთა დეედარისი ნუცალთან იქნა გაგზავნილი, რომელიც მას არწმუნებდა, რომ თუშები თქვენს ყოველგვარ მოთხოვნილებაზე თანახმანი არიანო: „Почетный их Анта Девдрис в лице представителя Тушетии, явился в лагерь Нуцала, и стал уверять его, что Тушины безпрекословно готовы исполнить все его требования“.<sup>49</sup> ითაბანული კახეთში გამოავაჯენეს, რომ თუშეთის გასაჭირი სამეფო კარისათვის ეცნობებინა. სასწრაფოდ წამოსულ სამეფო ჯარს მოულოდნელი თავდასხმით ნუცალის ჯარი გაუნადგურებია, თვით ნუცალი ანდარეზ საგინაშვილს მოუკლავს და თუშეთი გაუნთავისუფლებია ლეკი დამპყრობლებისაგან. ნუცალის თუშეთში გადმოსვლისა და მისი ჯარის გაწყვეტის ამბავი კარგად არის ასახული თუშურ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშიც:

ქაჩუსა თავსა გადმოდის დიდი ნუცალის ჯარია,  
ჩამოდგა გირევის ვაკეს, როგორც ნაგუბარს წყალია.  
წოვათის დეედარის ანთა, ნუცალს მიუვა კარზედა,  
წინ დაუდგო ოქროს ტაბაკი ზედ კეციის ხორცი აწყვია...  
შეიტყო ითაბანულმა, ლურჯას დააკრა ნალები, –  
საგათენებლოდ ჩავალის გრემსა ბატონის კარზედა.  
-ლევანო, ჩვენო ხელმწიფევე, ჩვენა გვიბოძე ყმანია,  
ლევანმა ჯარი შეყარა ათასი მეომარია.  
-აანთო მაშხალები ღამით გაიღო გზანია,  
გარდადის ნაყაეჩოსა. ღმერთო დასწერე ჯვარია.  
წინ გავიდ გირევის წყალსა, ვაჟი ლურჯის პერანგინი,  
იქნებოდ საგინაშვილი, ვისაც ანდარეზ ჰქვიანო...  
ნუცალს ჩაუჭრა კარავი, ნაკუდაურთის ხმლითაო...<sup>50</sup>

ან კიდევ:

„ლეკთა სტირიან ქალები, აღარ მოგვივლენ ქმარები  
ცხენებთ რა უყოთ ტიალთა, დაწყვიტეს ლაგამთ ტარები.  
ზოგთა სთქვეს ბაშტეს შევეყაროთ, მაგრ დაეუგულოთ კარები;  
ზოგთა სთქვეს უკულმ შევეკაზმოთ, ზედ თავად შევსხდეთ ქალები  
გადგვიღეთ თუშეთისაკენ, იქავ შევირთოთ ქმარები“.<sup>51</sup>

<sup>48</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. III, 1966. გვ. 263.

<sup>49</sup> И. Цискаров. Записка о Тушетии. «Кавказ». 1849. №13.

<sup>50</sup> ტექსტიდან მხოლოდ დამახასიათებელი ადგილები მოვიტანეთ.

<sup>51</sup> ივ. ბუქურაული. ნუცალ-ხანი. ისტორიული მოთხრობა, ჟურნ. „ერი“. №20, 1910.

1790 წლით დათარიღებული საბუთით აღინიშნება, რომ XVIII საუკუნის 80-იან წლების ბოლოსათვის დიდობისა და თუშებს შორის მშვიდობიანობა დამყარებულა. თუშებს და დიდობებს შორის შერიგების თაობაზე ოფიციალური მოლაპარაკება გამართულა, სადაც, როგორც ეტყობა, დიდობები დაჯერებულნი არ ყოფილან თუშების გულწრფელობაში. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ თუშები დაბეჯითებით მოითხოვენ დიდობთან შერიგებას და ფიცსაც კი დებენ აღნიშნულის თაობაზე... „ქ. ეს წიგნი მოგვეცით ჩუენ... საღირმა მთელი თუშეთის პირობით თქვენ ნდოარისშვილებს გიორგის და გრიგოლს (ესენი სამეფო კარის წარმომადგენლები ჩანან, ვე.) ისე, რომ ჩუენ თუშთ და დიდოელებს ერთმანეთში ლაპარაკი გქუონდა. დიდოელები კიდემ გულს არ აჯერებენ ჩვენს შერიგებაზედ და ჩუენ ეს პირობის წიგნი მოგვეცით. თუ დღეის იქით თუშმა დიდოს დაუშავოს რამე ჩუენის ხელშეწყობის შემცოდე და მუხანათი ვიყოთ. თუ რაც უწინ პირობა და წიგნი დაგვიდია ჩვენს მოურაეთან და ის ჯარიმა გადავიხადოთ“.<sup>52</sup>

მართალია, თუშებსა და დიდოელებს შორის დამოკიდებულად თუ ქართლ-კახეთის სამეფო კარის ჩარევით XVIII ს-ში ხშირად ჩამოვარდნილა მშვიდობიანობა, მაგრამ ის ყოველთვის ხანმოკლე გამომდგარა და ისინი კვლავ სამკედრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულან ერთიმეორეს. მდგომარეობა თუშ-ფშავ-ხევსურებსა და მათ მეზობელ იმიერკავკასიელებს შორის საგრძნობლად რთულდება XVIII ს-ის 80-იანი წლებიდან ვიდრე XIX ს-ის 60-იან წლებამდე.

თუშ-ფშავ-ხევსურეთსა და დიდოეთ-დაღესტანს შორის არსებული ურთიერთობის საპირისპირო მდგომარეობა ქართველ მთიელებისა და კეინახების დამოკიდებულებაში, წერილობით ძეგლებში არსად საუბარი არ არის თუშ-ფშავ-ხევსურებსა და ქისტ-ჩეჩნებს შორის ურთიერთთავდასხმებსა და დარცვა-რბევაზე. იმ დროს, როდესაც ქართველი მთიელები ბარელ თანამემამულეებთან ერთად ცხარე ბრძოლებს აწარმოებდნენ ჭარ-ბელაქნიდან თუ დაღესტნიდან შემოსეული მძარცველების წინააღმდეგ, ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან თუშ-ფშავ-ხევსურეთის მიმართ რაიმე ანგარიშგასაწევ საშიშროებას აღვილი არ აქვს და მათ შორის, როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ მშვიდობიანი ურთიერთობა არსებობდა.

განსახილველ პერიოდში თუშ-ფშავ-ხევსურებისა და კეინახების ურთიერთთავდასხმებსა და მტრულ დამოკიდებულებაზე, რომ ოფიციალური წყაროები არაფერს შენიშნავენ, ვფიქრობთ, სინამდვილესთან უნდა გვქონდეს საქმე, რადგან XVIII საუკუნის ისტორიკოს-მკვლევართა მიერ მრავალგზის აღინიშნება, რომ ჩვენს ქვეყანაზე მოსეული მძარცველების წინააღმდეგ ბრძოლებში ქართლ-კახეთის მეფეებს ხშირად ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან ჩამოყვანილი რაზმებიც ახლდნენ ხოლმე.<sup>53</sup> რაკი ქართლ-კახეთის სამეფოებს,

<sup>52</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Hd №10777.

<sup>53</sup> ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, გ. ცინცაძე, ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები. თბ. 1969. გვ. 244-246.

ხოლო 1762 წლიდან კი ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სახელმწიფოს, შემდობანი ურთიერთობა ჰქონდა დამპყრებელი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიასთან, რა თქმა უნდა, თუშ-ფშავ-ხევსურებიც მათთან მეგობრულ დამოკიდებულებაში იქნებოდნენ.

XVIII საუკუნეში, კერძოდ ამ საუკუნის 50-იანი წლებიდან, ქართლ-კახეთისა და ჩრდილო-დასავლეთი კავკასიის ურთიერთობის შესახებ მეტად საინტერესო ცნობებია მოცემული ისტ. მეცნ. დოქ. გ. თოგოშვილის გამოკვლევაში – „ჩეჩენეთ-ინგუშეთი XVIII საუკუნეში“.<sup>54</sup> ხსენებულ ნაშრომში გ. თოგოშვილი შენიშნავს, რომ: „XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან ვეინახებთან ქართლ-კახეთის ურთიერთობა რამდენადმე გააქტიურდა. 50-იანი წლებიდან დარიალის გზაზე სავაჭრო-საქარაგნო მიმოსვლა აღდგა. ამას არ შეიძლებოდა გზის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ინგუშებთანაც, რომელთაც ქართული წყაროები ქისტებს უწოდებენ, ურთიერთობა არ გამოეცოცხლებინა“.<sup>55</sup>

მოყოლებული XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან საუკუნის ბოლომდე, ქართლ-კახეთსა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიას შორის მდგომარეობა თითქმის ყოველთვის ნორმალური იყო და ყოველ გასაჭირის დროს, მაგალითად, 1750, 1751, 1754 წლების ბრძოლებში, 1769-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, 1778 წელს ერევანზე ლაშქრობაში, ომარ-ხანის შემოსევის დროს და მომდევნო წლებში, ჩერქეზეთ-ოსეთიდან და ჩეჩენეთ-ინგუშეთიდან ჩამოყვანილი რაზმები ერეკლეს ყოველთვის თან ახლდნენ და გმირობისა და ვაჟკაცობის სასწაულებს ახდენდნენ.<sup>56</sup> ქართლ-კახეთსა და ჩეჩენ-ინგუშებს შორის არსებული ურთიერთობის თაობაზე ისტ. მეცნ. დოქტ. გ. თოგოშვილი შემდეგ დასკვნას აკეთებს: „ამრიგად, XVIII ს-ის ვეინახების ქართლ-კახეთთან ურთიერთობის მოყვანილი ფაქტების საფუძველზე შეძლევია დასკვნები შეიძლება გაკეთდეს:

1. ქართლ-კახეთი იყენებს ვეინახებს თავის თავდაცვით ბრძოლებში უცხო-დამპყრობელთა წინააღმდეგ;
2. ვეინახების ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები განსაზღვრული ზომით მიმართული იყო ქართლ-კახეთისაკენ, რაც განაპირობებდა მათ მონაწილეობას მის პოლიტიკურ აქციებში. სამაგიეროდ, ისინი ქირას, საჩუქრებს და ნადავლს ღებულობდნენ“.<sup>57</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ჩეჩენეთ-ინგუშეთსა და ქართლ-კახეთს შორის XVIII ს-ში ხსენებული ურთიერთობა არსებობდა, ორივე ქვეყნების ხალხურ

<sup>54</sup> ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, გ. ცინცაძე, ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, თბ. 1969, გვ. 243-244.  
<sup>55</sup> ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, გ. ცინცაძე, ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, თბ. 1969, გვ. 243-244.  
<sup>56</sup> იქვე, პაპუნა ორბელიანი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოკვლევა, 1913, გვ. 35; 6. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე... საქართველოს ისტორია, ტ.1, 1958, გვ. 350.  
<sup>57</sup> ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე, ჩრდილოკავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, თბ. 1969, გვ. 245.



ზეპირსიტყვიერებაზე დაყრდნობით გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ: „ვეინახების ქართლ-კახეთთან ურთიერთობაში ადგილი ჰქონდა არამშვიდობიან ურთიერთობასაც, რაც გამოიხატებოდა ქართველ მთიელებზე თავდასხმებში საქონლისა და ტყვეებისათვის. ასეთივე თავდასხმებს ეს უკანასკნელნიც მიმართავდნენ. ეს მოვლენა ფართოდ აისახა ორივე მხარის ხალხთა ფოლკლორში. ამ ფოლკლორული მასალების საფუძველზე, შეიქმნა ისეთი ბრწყინვალე პოეტური ნაწარმოებები, როგორცა ვაჟა-ფშაველას პოემები „აღუდა ქეთელაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“, თუშური ბალადა „თინა ფარსმანელის შესახებ“.<sup>58</sup>

რა თქმა უნდა, ვეინახებსა და თუშ-ფშავ-ხევსურებს შორის იქნებოდა ზოგიერთი უსიამოვნო შემთხვევები, მაგრამ, ეს არ შეიძლებოდა ფართო ხასიათისა ყოფილიყო, რადგან ქართლ-კახეთის სახელმწიფოსა და ჩრნეთ-ინგუშეთის ხელმძღვანელ-ზედა ფენას შორის. როგორც აღინიშნა, მეგობრული დამოკიდებულება არსებობდა. მართალია, თუშ-ფშავ-ხევსურული და მეზობელი მთიელების ფოლკლორი ძალიან მდიდარ მასალას იძლევა მათს მტრობასა და ურთიერთთავდასხმებზე, მაგრამ ძალიან ძნელია რომელიმე მათგანზე ვთქვათ, რომ ესა და ეს ლექსი XVIII ს-ში ვეინახებსა და თუშ-ფშავ-ხევსურებს შორის გამართული ბრძოლების ამსახველიაო. მაგალითად, თუშური ბალადა „თინა ფარსმანელის შესახებ“ გადმოგვცემს საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ, კერძოდ, XIX ს-ის პირველ მეოთხედში. თუშეთში ქისტ-ჩეჩენთა ბელადის მურთაზის გადმოსვლისა და მისი სამარცხვინოდ დამარცხების ისტორიას.<sup>59</sup>

სამაგიეროდ, XVIII საუკუნეში თუშ-ფშავ-ხევსურთა და დიდო-ლეკთა ურთიერთშორის თავდასხმებსა და განუწყვეტელ ბრძოლებზე მდიდარ მასალას იძლევა თუშ-ფშავ-ხევსურული ფოლკლორი. რომელიც აესებს და ამდიდრებს მათი ბრძოლების შესახებ წერილობით ძეგლებში აქა-იქა შემონახულ ცნობებს და საშუალებას გვაძლევს სრულყოფილი წარმოდგენა ვიჭინოთ განსახილველი პერიოდის კახეთის მთიანეთისა და დიდოეთ-დაღესტნის ურთიერთობაზე.<sup>60</sup>

დიდო-ლეკთა და თუშ-ფშავ-ხევსურთა შორის სისხლისმღვრელ ბრძოლებზე და ურთიერთტყვევნა-ხოცვაზე შექმნილი კახეთის მთიანეთის მდიდარი ფოლკლორის უდიდესი ნაწილი, რომ ნამდვილად XVIII საუკუნეზე ვრცელდება ნათლად მტკიცდება თუშ-ფშავ-ხევსურეთში XIX ს-ის პირველ სამათეულ წელში ჩატარებული კამერალური აღწერების მონაცემების მიხედვითაც.

<sup>58</sup> ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე, ჩრდილოკავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები. თბ., 1969, გვ. 245.

ს. მაკალათია, თუშეთი, 1933, გვ. 33-37.

<sup>60</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, 1933წ. მისივე, ხევსურეთი, 1935წ. მისივე ფშავი, 1934: აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, ხევსურული, I, 1931; პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ნაწილი პირველი, 1937 და სხვა.

ვახუშტი ბაგრატიონის დახასიათებით XVIII ს-ის პირველ ნახევარში თუშეთში ყოფილა 70 სოფელი.<sup>61</sup> ხოლო 1831 წლის თუშეთის კამერალური აღწერვის მიხედვით კი მხოლოდ 47 სოფელია ნაჩვენები.<sup>62</sup> არცთუ ისე დიდი ხნის მანძილზე 23 სოფლის აოხრება და განადგურება, ისე რომ მათ არსებობა შეწყვეტეს, მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ თუშებს სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლები ჰქონდათ დიდო-ლექებთან XVIII საუკუნეში.

საილუსტრაციოდ საქარისა მოვიტანოთ გადმოცემა სოფ. ჩილოს აოხრების შესახებ, რომელიც ლექთა თავდასხმის შედეგად დაატყდა თავზე XVIII ს-ის მეორე ნახევარში. გადმოცემა გვიყვება: „ტუტარიკ წისქვილში ღამით ლექები დასხმან ელანსა და მის და ნანას. ლექებს ელანი მოუკლავთ, ხოლო მისი და ნანა ტყვედ წაუყვანია დიდოეთის სოფელ აკვამი. ნანა დანიშნული ყოფილა თავისსავე სოფელს კიცვანზე. ნანას გატაცების შემდგომ არ გასულა დიდი ხანი და ჩილოელი მეომარი ვუჟაკები გადასულან დიდოეთში, მოულოდნელად დასხმან თავს აკვაელებს, გაუწყვეტია ადგილობრივი მოსახლეობა და ნანა უკან წამოუყვანია. ჩილოში მოსვლის შემდეგ კიცვას და ნანას ქორწილი გადაუხდათ. ქორწილის დღისით, როცა მექორწილენი უკვე საკმაოდ ნასვამნი ყოფილან, ჩილოს წინ, გომეწრისაკენ მიმავალი ლექთა ლაშქარი შეუნიშნავთ. შეზარხოშებულ მაყრებს დაუძახიათ ლექებისათვის – თქვე ქალაჩუნებო, სად მიდიხართ, თუ გული გერჯით ჩვენთან მოდიეთო. გაბრაზებული ლექთა ლაშქარი უკან მიბრუნებულა, ჩილოდან ნასვამი მაყრონი ჩაპგებებია და პირიქითის ალაზნის გაღმა და გამოღმა დაწყებულა ხელჩართული ბრძოლა. უთანასწორო ბრძოლაში წარმატებები ლექებს მოუპოვებიათ. მეომარი ხალხი გაუწყვეტია და მერე სოფელს დასცემიან. სოფლის ქალები და ბავშვები, ვინც კი პირველი დაცემის რისხვას გადარჩნენ, მოუკრეფია და სოფლის ცენტრში, აქიმიანთ კალოში შეუყრია. ყოველმხრივ შემოზღუდულ ქვაფენილიან კალოში თავმოყრილ ქალებსა და ბავშვებს ცხენებზე ამხედრებული ლექები დარევიან. ხმლითა და ცხენების ფლოქებით გაულეწია დედაკაცები და ბავშვები. იმდენი ხალხი გაუჟღეტია თურმე, რომ აქიმიანთ კალოდან გადმონადენი სისხლი სოფლის ბოლომდე ჩადიოდა.“<sup>63</sup> სოფლის აოხრების შემდგომ ლექთა რაზმი სოფლის განაპირას, ე.წ. მარხვანთ კალოზე დაბანაკებულა, ცენტრში დროშა ჩაურჭვია და გამარჯვებას ზეიმობდნენ თურმე. ჩილოს აოხრების ამბავი მთელს თუშეთში სასწრაფოდ გავრცელებულა. მეომარი მამაკაცები თუშეთის ღელეზე შეკრებილან, მაგრამ შეგნებით არ მიხმარებიან და დრო ადგილზე ყოფნით გაჰყავდათ თურმე. თუშები ნაწყენნი

<sup>61</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941. გვ. 104.

<sup>62</sup> საქ. სია, ფ. 254, ანაწ. 2, საქმე 399.

<sup>63</sup> ეს გადმოცემა რომ სინამდვილეს შეეხება იქიდანაც ჩანს, რომ ჩილოელებმა მთაში თუ ბარში, საქორწინო თუ სამგლოვიარო სუფრაზე, ყოველთვის იციან შესანდობარის დალევა: „აქიმიანთ კალოში ნალეწები მოიხსენიისო“.

ყოფილან ჩრდილოების საქციელით. თურმე ჩილო მთელს თუშეთში ყველაზე დიდი სოფელი იყო, იგი სამ უბნად ყოფილა დასახლებული და საკუთარი მეომარი ხალხი ჰყავდა და ყველას შინაურს თუ გარეშეს საკადრის პასუხს სცემდნენ თურმე. თავისი სიძლიერით გათამამებული ჩილოელები სტუმარსაც კი მისალმების დროს შემდგნაირად მიმართავდნენ: „გამარჯობა მეო“. ერთხელ თურმე ჩილოში მღვდელი მისულა, ჩილოელ ახალგაზრდებს მღვდლისათვის თოფი მოუხდია, შიგ ჩაუფურთხებია და შემდგომ უკან დაუბრუნებია – „არა გრცხვენია ამ თოფით როგორ დადიხარო?“ როდესაც მღვდელი ჩილოდან სახლში ბრუნდებოდა, სოფლის განაპირას თოფი გაუსროლია და თან უთქვამს: „ღმერთო, ეს სოფელი ისე დალიე და დააქციე, როგორც ჩემი თოფის ტყვია დაიკარგაო!“

ჩილოს აოხრების დროს თუშეთში ყოფილა ერთი მეომარი ხევსური, რომელსაც გაუგია თუ არა ეს ამბავი სასწრაფოდ წამოსულა. როცა თუშეთის ღელეზე მოსულა, დაუნახია რა თუშების უმოქმედობა, სასწრაფოდ ჩამომხდარა ჯორიდან, ეწ. საყივარა გორზე გადამდგარა, საიდანაც ჩილო და მის გვერდით ლეკთა ჯარი პირდაპირ ჩანდა; ხევსურს ქჷონია ეწ. „ციხის თოფი“, „ბურინი თოფი“, რომელიც იმდენად ძლიერი ყოფილა. რომ თურმე ყველა მეომარი ვერც ისროდა მას: ხევსურს სამი გასროლით ლაშქრის ბელადი და ორი სხვა ლეკი მოუკლავს. შემდგომ წასასვლელად გამობრუნებულა. კვლავ ჯორზე შუბჯდარა და თუშებისათვის მოუმართავს: – „სირცხვილი თქვენი თუშებო, რომ ეს ბედაური სოფელი ააოხრებინეთ, თორე მე ჩემი ვალი პირნათლად შევასრულეო“. ხევსური გოგორაყაანა – ალაზნისთავის გზით ხევსურეთში წასულა.

ჩილოდან მხოლოდ ერთი ფეხმძიე ქალი გადარჩილა, რომელიც შშობლებთან ყოფილა წასული. აოხრებულ სოფელში ეს ქალი მოსულა პირველად, მერე მას თანდათან სხვებიც მოჰყოლიან და სოფელი ჩილო ხელმეორედ გაშენებულა“.<sup>64</sup>

ლეკთაგან ჩილოს აოხრების შესახებ თუშური ხალხური ლექსებიც არის შექმნილი, რომელთაგან ერთ-ერთი – „ჩილოს წახდენა ლეკთაგან“ ივ. ბუქურაულს ჩაუწერია და 1913 წელს გამოუქვეყნებია „ძველ საქართველოში“. ლექსის შინაარსი და ხსენებული გადმოცემებიდან ივ. ბუქურაულის მიერ მოტანილი ნაწილები ძირითადად ემთხვევა დღემდის გაგრცვლებულ გადმოცემებს.<sup>65</sup>

ასეთი გადმოცემები ოუშ-ფშავე-ხევსურეთში საკმაოდ ბევრი მოიძებნება. მდიდარია ამავე თვალსაზრისით მათი პოეზიაც. გადმოცემები და ლექსები მრავალ პიროვნებებს ასახელებენ. რომლებმაც თავისი გმირობითა და ვაჟკაცობით დიდად გაითქვეს სახელი XVIII საუკუნის მანძილზე.

<sup>64</sup> ეს გადმოცემა ჩაგვაწერია 1969 წელს სოფ. ლალისყურში მცხოვრებმა 70 წლის აბრამ ელანიძემ. ეს გადმოცემა თითქმის ყველა ჩილოელმა კარგად იცის და ამიტომაც მათ საპატივისცემოდ ისინი ყოველ სუფრაზე სვამენ ზემოთ აღნიშნულ სადღეგებელი-ნოსიასივრის.

<sup>65</sup> ძველი საქართველო. ტ. III. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფილისი, 1913. მეხუთე განყოფილება. ეთნოგრაფია. თუშური ლექსები. შეკრებილი ივ. ბუქურაულის მიერ. გვ. 51.

5.2. თუშ-ფშავ-ხევსურებისა და კეიხან-დიდო-ლექების  
სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობა XVIII საუკუნის 80-იანი  
წლებიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე

რუსეთის სახელმწიფოსთან ქართლ-კახეთის სამეფოს მიერ 1783 წელს დადებულმა სამფარველო ხელშეკრულებამ გარკვეული არეუ-დარევა შეიტანა საქართველოსა და იმიერკავკასიის ურთიერთობაში. შეიქმნა ადრინდელთან შედარებით უფრო რთული პოლიტიკური ვითარება, რამაც საბოლოოდ გან-საზღვრა კიდევ არა მარტო ქართლ-კახეთის, არამედ მთელი საქართველოს აწმყო და მომავალი.

XVIII საუკუნის 90-იან წლებში დიდად გართულდა ქართლ-კახეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობა. ქვეყნის სახელმწიფოებრივი წყობილება უფრო მეტად შირყა დიდი სახელმწიფო მოღვაწისა და გამოჩენილი მხედართ-მთავრის ერეკლე მეფის გარდაცვალების შემდეგ. გიორგი XII-ემ, საკადრისად, თავი ვერ გაართვა ქართლ-კახეთის სახელმწიფოს წინაშე წარმოქმნილ რთულ საშინაო და საგარეო მოვლენებს. საეკლასიკო მდგომარეობაში ჩავარდ-ნილმა მეფემ, თავის მცველებად 1200 კაცისაგან შემდგარი ლექთა დიდი რაზმი ჩამოიყვანა. მეფის ასეთმა მოქმედებამ, ქვეყნის მდგომარეობა უფრო გაართულა. ლეკიანობამაც საგრძნობლად იმატა.

მეფის მიერ ჩამოყვანილი „ლექები მოსახლეობის შშვიდობიანობას სრულებით არ იცავდნენ. მათი მოძმე ავაზაკების თარეში ქართლის სოფლებში დიდი ხანია ისე თავაშვებული არ ყოფილა, როგორც ეხლა“.<sup>1</sup> მალე ლექთა დაქი-რავებული რაზმი დათხოვილ იქნა და მთელი იმედი რუსეთიდან შემოყვანილ პოლკებზე გადაიტანეს. მაგრამ საქმეს ვერც რუსთა ჯარის მოსვლამ უშველა. „...საქართველოში აშლილობა და არეულობა არ ნელდებოდა. ბატონიშვილებმა ეხლა გიორგი მეფის წინააღმდეგ ომარ-ხანი, ხუნძახის ბატონი, მოიწვიეს: საქართველოს ამ დაუძინებელ მტერს თან ალექსანდრე ბატონიშვილიც, ერეკლეს ძე, მოჰყვებოდა. ამავე წლის ნოემბერში რუს-ქართველთა მხედრობამ დაამარცხა ომარ-ხანის ლაშქარი ნიახურას (ივრის პირზე) და ქვეყანა საშინელი აოხრები-საგან იხსნეს“.<sup>2</sup>

საგარეჯოს რაიონის სოფ. კაკაბეთთან გამართულ ბრძოლაში, რუსებისა და ბარის ქართველების მხარდამხარ თუშ-ფშავ-ხევსურებს დიდი გმირობა გამოუჩენიათ, რომლის თაობაზეც დავით ბატონიშვილი შემდეგს წერს: „გარნა თუშნი უმეტეს იყვნენ მხნედ და მეწინავედ მებრძოლნი. რომლისა ქება კაცთაგან შეუძლებელი არს“.<sup>3</sup>

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 214.

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი, იქვე, გვ. 243.

<sup>3</sup> დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატი ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გამოსცა თ. ლომოურმა, თბ., 1941წ. გვ. 74.

ნახურას ბრძოლაში კახეთის მთიელების თავდადებულ გმირობა-ვაჟკაცობაზე შენიშნავს იოანე ბატონიშვილიც, გენერალ კნორიგენისადმი წარდგენილ მოხსენებაში.<sup>4</sup>

ქართლ-კახეთში შექმნილი მდგომარეობა სწორად შეაფასა რუსეთმა და ჯერ კიდევ მეფის სიცოცხლეში გადაწყვიტა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და რუსეთის გუბერნიად გამოცხადება. ამ აქტის განხორციელება ჯერ პავლე იმპერატორმა სცადა 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტით, მაგრამ მეფის მკვლელობის გამო იგი არ შესრულებულა. ალექსანდრე პირველის გამეფების-თანავე, რუსეთის სახელმწიფო საბჭომ, ხელახლა განიხილა რუსეთთან ქართლ-კახეთის შემოერთების საკითხი. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთი რუსეთის გუბერნიად გამოცხადდა. 1802 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოში რუსული მმართველობა იქნა შემოღებული.

რუსეთთან აღ. საქართველოს შეერთება, მიუხედავად იმისა, რომ მოისპო მრავალსაუკუნოვანი ქართული სახელმწიფოებრივი წყობილება და მან აღ. საქართველოში შემოიტანა ცარიზმისათვის დამახასიათებელი მახინჯი და უხეში მოვლენები „მინც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო და წარმოადგენდა ერთადერთ საშუალებას ქართველი ხალხის ფიზიკური გადარჩენისათვის“.<sup>5</sup>

საქართველოს მოკავშირეობის ქვეშევრდომობით შეცვლაში რუსეთი დიდ გეგმებს ისახავდა მომავალში. მის გეგმაში ბრძოლა „იმერკავკასიის მთიანეთის დამორჩილებისათვის“<sup>6</sup> ერთ-ერთ განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა. იმიტომ იყო, რომ რუსეთის იმპერატორის მიერ ქართლ-კახეთის სახელმწიფოს დაპყრობა-დაუფლებას მტრულად შეხედნენ იმერკავკასიელი ფეოდალები. აღნიშნულმა ვითარებამ დიდად გაართულა თუშ-ფშავ-ხევსურეთის მდგომარეობა. მაშინ, როცა იმერკავკასიელი მთიელები საქართველოს ბარში რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილებთან ბრძოლებს ვეღარ ბედავენ, თავს ესხმიან მეზობელ ქართველ მთიელებს და მათი ტყვევნა-აოხრებით იოკებენ აფორიაქებულ სულს.

თუშ-ფშავ-ხევსურები მოზღვარებულ იმერკავკასიელ მძარცველ-აბრაგებს არ უშინდებიან და გაერთიანებული ძალებით საკადრის პასუხს სცემენ. მათ თავიდანვე სწორად შეაფასეს რუსეთის დიდი როლი და ძალა მომავალ ბრძოლებში და ამიტომ ისინი ერთხმად და ერთობლივად დადგნენ თავის ბარელ თანამემამულეებთან და რუს მეომრებთან ერთად. როგორც იმერკავკასიელი მთიელი მძარცველების, ისე ჩვენი ქვეყნის სხვა დაუძინებელ მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად. აღნიშნულის შესახებ აკად. ნ. დუბროვინი

<sup>4</sup> Акты, т. I, 1866, стр. 175.

<sup>5</sup> ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, ვ. ძელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 387.

<sup>6</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, 1965, გვ. 248.

წერდა: „Народ и даже во время русского правления составлял самый лучший оплот для Грузии, от вторжения в её пределы хищных горцев“.<sup>7</sup>

რუსეთის მიერ საქართველოს დაუფლების შემდგომ, თუ მის წინა წლებში, რუსეთისა და საქართველოს წინაშე, თუშეთი როგორ თავდადებულად იბრძოდა, საუბარი აქვს ი. ცისკარიშვილსაც. იგი წერს: „Тушины издревне, как при грузинских, так и ныне, при благодетельном русском правительстве, служат вернейшим оплотом Кахетии от вторжения хищных горцев.“<sup>8</sup>

საქართველოს ბარისა და მთის მოსახლეობის დამოკიდებულება რუსეთისადმი და მისი ჯარისკაცებისადმი მალე შეიცვალა და კავკასიაში, კერძოდ საქართველოში, საგრძნობლად გართულდა პოლიტიკური სიტუაცია.

რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სახელმწიფოს დაპყრობის პირველ წლებში (1801-1802), ქართლ-კახეთის მოსახლეობაში შედარებით სიწყინარე იყო და რუს მოხელეებს, რომელნიც ქართველთა გულის მოგებას ცდილობდნენ, კარგად ეპყრობოდნენ. „ამიტომ, დასაწყისში, დაბნელებული გლეხობა გულგრილად უყურებდა ბაგრატიონთა ხელისუფლების გაუქმებას. მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა მაშინ, როცა მშრომელთა იმედები არ გამართლდა და მაშველი ძალა მჩაგვრელ ძალად მოვევლინა“.<sup>9</sup>

ქართლ-კახეთისადმი რუსეთის ადრინდელი დამოკიდებულება მალე შეიცვალა და იქ უხეზად ირღვეოდა ყოველივე ქართული. საქმე იმაში იყო, რომ „ქართლ-კახეთს ცარიზმი თავის განაპირა კოლონიურ მხარედ თვლიდა და აქ რუსეთში დათხოვნილ, უვარგის მოხელეებს აგზავნიდა. ასეთმა მოხელეებმა ფართოდ მიჰყვეს ხელი ბოროტმოქმედებას, მექრთამეობას, ძალადობასა და გლეხთა ოჯახების შეურაცხყოფას“.<sup>10</sup>

საქართველოში მეფის რუსეთის ბიუროკრატიული რეჟიმის დანერგვამ პირველ რიგში შეავიწროვა სამეხდრო გზის გასწვრივ მოსახლე მთიელები (მთიულები, ხანდო, ხევი). მთიელებმა ველარ გაუძლეს რუსი მოხელეების ძალადობას, არაადამიანურ მოპყრობას და 1804 წლის მაისში აჯანყება დაიწყეს. მთიელთა აჯანყების პარალელურად რუსეთ-ირანის ომით გამოწვეული „გართულებული მდგომარეობით ისარგებლეს სამეფო ტახტის აღდგენისათვის მებრძოლმა, იმერეთში გადახვეწილმა ბატონიშვილებმა, ქართლში გადმოვიდნენ და სცადეს გლეხთა აჯანყების გამოყენება თავიანთი მიზნებისათვის“.<sup>11</sup> აჯანყებული მთიელები და ირანში მყოფი ალექსანდრე ბატონიშვილი თუშ-

<sup>7</sup> Н. Дубровин, история войны и владения русских на Кавказ. т. I. кн. 2, 1871г. стр. 288.

<sup>8</sup> И. Цискаров, Записки о Тушетии. «Кавказ», №13, 1949г.

<sup>9</sup> ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია... ტ. I. 1958, გვ. 399.

<sup>10</sup> იქვე.

<sup>11</sup> ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, ტ. I, 1958, გვ. 402.

ფშა-ხევსურებს აჯანყებისა, კენ მოუწოდებდნენ. თუშ-ფშა-ხევსურებს ალექსანდრე ბატონიშვილმა წერილები გამოუგზავნა.<sup>12</sup> ბატონიშვილის წერილმა თუშებზე გავლენა ვერ მოახდინა, თუშეთი აჯანყებაში არ ჩაება. მიუხედავად იმისა, რომ მღელვარება მათ მეზობელ ფშა-ხევსურებსაც მოედო.<sup>13</sup> აჯანყებისათვის განწყობილი ფშაელები მთავრობის ჩარევის შედეგად დაწყნარდნენ და „ამბოხებაში მონაწილეობაზე ხელი აიღეს“.<sup>14</sup> მაგრამ, მიუხედავად მრავალგზის ჩარევისა, ხევსურებმა მინც აისხეს იარაღი და ყაზბეგის ციხე-დარბაზიც კი აიღეს.<sup>15</sup>

1804 წლის მთიულეთის აჯანყება მარცხით დამთავრდა. სპარსეთში მყოფი ალექსანდრე ბატონიშვილი კვლავ საქართველოს განთავისუფლებაზე ოცნებობდა და „ამ მიზნით... განაგრძობდა საიდუმლო მიმოწერას მთიელებთან და კახეთის მეამბოხე ჯგუფებთან“.<sup>16</sup>

მთიულეთის აჯანყების ჩაქრობიდან არ გავიდა დიდი ხანი და 1812 წელს იფეთქა გლეხთა აჯანყებამ კახეთში. მართალია, აჯანყება გლეხებმა დაიწყეს, მაგრამ მას სულ მალე ქართველი თავადაზნაურობის გარკვეული ნაწილი გაჰყვა. 1812 წლის კახეთის აჯანყების დროს, მსგავსად მთიულეთის აჯანყებისა, დღის წესრიგში დადგა საქართველოდან რუსების განდევნა და ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების აღდგენა. „მეამბოხებმა ალექსანდრეს სთხოვეს მეთაურობა, თავის ამალით ერეხიდან ალექსანდრე კახეთში გადმოვიდა, მას მიემხრო თვითმპყრობელობით უკმაყოფილო თავადაზნაურობის ერთი ნაწილი, ალექსანდრეს მიემხრნენ აგრეთვე ფშა-ხევსურები, ქისტ-ჩეჩნები და ლეკები, რომელთა დახმარებითაც ის სამხედრო გზის ხელში ჩაგდებას ცდილობდა, რომ ეს გზა რუსეთის მხედრობისათვის დაეხშო. დაიწყო ბრძოლები, მაგრამ რამდენიმე შეტაკების შემდეგ დამარცხებული ალექსანდრე იძულებული იყო კახეთი დაეტოვებინა და ერთგულ ხევსურეთს შეხიზნებოდა“.<sup>17</sup>

გარდა იმისა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილისათვის შატილი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა ერთგულ ხევსურებთან ერთად, „ამასთანავე შატილი ქისტ-ლეკების საზღვარზე იყო, საიდანაც ალექსანდრეს მიმოწერა ჰქონდა ჩრდილოკავკასიის მთიელებთან, ერევნის ხანებთან და სპარსეთთან, რომლებსაც სთხოვდა ლაშქრითა და იარაღით დახმარებას. შატილში გამაგრებული ალექსანდრე კახეთსაც ამბოხებისაკენ მოუწოდებდა“.<sup>18</sup>

<sup>12</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, 1933, გვ. 35-36.

<sup>13</sup> ს. მაკალათია, ფშავი, 1934, გვ. 29-30; ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1935, გვ. 45-49.

<sup>14</sup> ს. მაკალათია, ფშავი, 1934, გვ. 29.

<sup>15</sup> ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1935, გვ. 46.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 49.

<sup>17</sup> იქვე.

<sup>18</sup> იქვე.

1812 წლის კახეთის აჯანყება მარცხით დამთავრდა. იმპერიალისტურმა რუსეთმა გაიმარჯვა. დადგა ანგარიშსწორების დრო. პროგრესულმა თურქული ძალებმა უკან დაიხიეს, მიეწუნდნენ, ხოლო რუსეთი კი ზეიძობდა რა თავის გამარჯვებას, როგორც კახეთის აჯანყებაში, ისე რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომებში, ახალი საქმეების კეთებისთვის ემზადებოდა. მართალია, „ოსმალითი და ირანი ვერ ურიგდებოდნენ განცდილ მარცხს. ოსმალითი კვლავ აცხადებდა პრეტენზიას დასავლეთ საქართველოზე. იგი რუსეთის წინააღმდეგ აქეზებდა ჩრდილოკავკასიელ ტომებს. სულთნის აგენტები დასავლეთ საქართველოს მთავართა მიმხრობასაც ცდილობდნენ, თუმცა ამაოლ“.<sup>19</sup> მაგრამ რუსეთი კავკასიაში გადაწყვეტი ნაბიჯის გადადგმისათვის, ე.ი. თავისი საქმეების საბოლოო დამთავრებისათვის ემზადებოდა და ირან-თურქეთისა და იმიერკავკასიელი მფლობელების წინააღმდეგობა-პრეტენზიებს მინცდამინც დიდ ყურადღებას აღარ აქცევდა. „ამასობაში, – წერს პროფ. მ. დუმბაძე, – რუსეთის მფლობელობა შეუნელებლად ფართოვდებოდა და მტკიცდებოდა. 1818 წელს დაიწყო საჩანოსა და დალისტინის დაპყრობა. 1819-1826 წლებში თანდათან გაუქმდა ხანთა ხელისუფლება აზერბაიჯანში და იქ რუსული მმართველობა დაიწყო. ამ მოვლენას პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო აზერბაიჯანელი, არამედ ქართველი ხალხისთვისაც. ნელ-ნელა ეცლებოდა ნიადაგი ფეოდალურ შუღლსა და მტრობას მეზობელ ხალხებს შორის“.<sup>20</sup>

საჩინო-დალისტინის შემოერთება-დაპყრობისათვის რუსეთის მიერ დაწყებულმა ბრძოლებმა დიდად შეცვალა თუშ-ფშავ-ხევსურებისა და მათი მეზობელი იმიერკავკასიელი მთიელების ურთიერთობა. თუ 1804 წლის მთიულეთის აჯანყების დროს თუშ-ფშავ-ხევსურებს უთანაგრძნობდნენ ჩეჩენ-ქისტები და დიდოლეკები, ხოლო 1812 წლის კახეთის აჯანყების დროს კი თვითონაც იბრძოდნენ თუშ-ფშავ-ხევსურებთან ერთად, საქართველოდან რუსების განდევნისათვის, ახლა მათი პოზიციები მკვეთრად შეიცვალა და თუშ-ფშავ-ხევსურებს მოეკლინენ, როგორც მძარცველი-დამპყრობლები. ქართველ მთიელებსა და მათ მოსაზღვრე იმიერკავკასიელებს შორის მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ საჩინო-დალისტინის დაპყრობისათვის წარმოებულ ბრძოლებში თუშ-ფშავ-ხევსურები, სხვა ქართველებთან ერთად, რუსების მხარეზე დადგნენ და შეერთებული ძალებით იწყეს ბრძოლა ამ მხარის დამორჩილება-ათვისებისათვის.

XIX საუკუნის 20-იან წლებამდე, არც წერილობითი ძეგლებითა და არც ხალხური ზეპირსიტყვიერების მიხედვით, თუშ-ფშავ-ხევსურეთზე ქისტ-ჩეჩენების ამოხრებელი თავდასხმები არ აღინიშნება. რომ ქისტების მხრიდან, მაგალითად, თუშეთს რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის ანექსიამდე სხვადასხვა

<sup>19</sup> ნ. ბერძენიშვილი, ვ. ღონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი. საქართველოს ისტორია, ტ. I, 1958, გვ. 412-413.

<sup>20</sup> იქვე.



დროს ჰქონია გარკვეული უსიამოვნება და თავდასხმები, ამას 1837 წელს თუშების მიერ დაწერილი დოკუმენტიც ადასტურებს, სადაც ვკითხულობთ: „თქვენო მაღალ აღმატებულებაჲ, – მიმართავენ თუშები ბარონ როზენს, – არცა მეფეთა დროთა და არცა რუსეთის მთავრობაში არ წაემხდარვართ. დიდოცა, ლეკიცა და ქისტიც მრავალჯერ ყოფილან გამდგარი, რომ ჩვენთვის არავის რა დაუკვლიათ და არც წამხდარვართ“.<sup>21</sup> მაგრამ, რადგან ჩეჩენ-ქისტების შემოსევებს დიდო-ლეკების მსგავსად არც თუშ-ფშავ-ხევსურული პოეზია და არც წერილობითი ძეგლები არ აღნიშნავენ, უნდა შევნიშნოთ, რომ თუშ-ფშავ-ხევსურებსა და ჩეჩენ-ქისტებს შორის უფრო ნაკლები მტრობა უნდა ყოფილიყო, ვიდრე ქართველ მთიელებსა და დიდო-ლეკებს შორის. ყოველშემთხვევაში, მასიური და დიდი თავდასხმები მათ არ უნდა ჰქონოდათ. ახლა კი, როცა თუშ-ფშავ-ხევსურეთის პოზიცია მათთვის აშკარა იყო და თანაც რუსეთს მიზანში ამოღებული ჰყავდა არა მარტო დაღისტანი, ე.ი. აღმოსავლეთ ჩრდილოკავკასია, არამედ დასავლეთი ჩრდილოკავკასიაც, ამიტომ დაღისტან-ჩეჩენების ინტერესები დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის წარმოებულ ბრძოლებში, ერთი მხარეს ემთხვეოდა და ერთობლივად იბრძვიან თუშ-ფშავ-ხევსურთა თუ საერთოდ, ყველა არამუსლიმთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლამ ორგანიზებული ხასიათი მიიღო მას შემდგომ უფრო, რაც საჩენოსაც შამილი დაუპატრონა და „ამით გაძლიერებულმა აღმართა დროშა რუსეთის წინააღმდეგ“.<sup>22</sup>

მართალია, თუშ-ფშავ-ხევსურეთზე ჩაჩან-ქისტების შემოსევები გაძლიერდა, იქ შამილის გავლენის გაბატონების შემდგომ, მაგრამ ჩაჩან-ქისტები მანამდეც, დაახლოებით XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან, დიდო-ლეკების მხარეზე გამოდიოდნენ და შეერთებული ძალით თავს ესხმოდნენ მეზობელ ქართველ მთიელებს.

ქისტ-ჩეჩენებისაგან განსხვავებით ლეკი-აბრავები თუშებზე თავდასხმებს უფრო ადრე იწყებენ. 1815 წელს დაღისტნიდან გადმოსულა 200-მდე ლეკი და თავს დასხმია თუშ მეცხვარეებს. შეტაკების დროს 19 თუში მამაკაცი მოუკლავთ, ხოლო თვითონაც საკმაოდ დაზარალებულან და იძულებულნი გამხდარან ხელცარიელები დაბრუნებულიყვნენ უკან.<sup>23</sup>

აღნიშნულ პერიოდზე მსჯელობისას, ფშავ-ხევსურეთთან შედარებით, თუშებზე უფრო ხშირად გვექნება საუბარი, რადგან ის დიდოეთ-დაღისტანთან უშუალო შემხვედრი მხარე იყო და შემოსევებსა და გამუდმებულ თავდასხმებსაც დიდო-ლეკებისა და ქისტებისაგან ყველაზე მეტად განიცდიდა. თუ-

<sup>21</sup> Шамиль-ставленник Султанской Турции и Английских колонизаторов, 1953, стр. 96.

ივ. ბუქრაული, ტბათანიდან წოვათამდინ (მგზავრის შენიშვნები). ჟურნ. „მოამბე“. №9, 1897წ.

<sup>23</sup> Акты, т. V. 1873, стр. 607.

შებს ხანგრძლივი წლების მანძილზე უხდებოდათ ლეკთა გამანადგურებელი შემოსევებისთვის საკადრისი პასუხის გაცემა. „თუშეთს ისეთი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, რომ იმ დროს შეადგენდა შესანიშნავ პუნქტს სტრატეგიის მხრივ: თუშეთი წინ ეღობებოდა აღმოსავლეთის მხარეს დიდო-ლეკებს და ჩრდილოეთით ჩანჩებს კახეთში შემოსევის დროს. აქ თუშები ნამდვილი მეციხოვნენი იყვნენ და ამაზე უკეთეს დარაჯებს საქართველო ვერც იშოვიდა იმ დროს. ქისტ-ლეკი იცნობდა თუშს და თუში იცნობდა ქისტ-ლეკს“.<sup>24</sup>

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან, წერილობითი ძეგლები უკვე აღნიშნავენ ქისტებისა და დიდო-ლეკების გაერთიანებული ძალების თავდასხმებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთზე. თელავის მაზრის უფროსის მიერ 1827 წელს საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორ ხოვენისადმი წარდგენილი მოხსენებიდან კარგად ჩანს, რომ დიდო-ლეკები და ქისტები გაერთიანებული ლაშქრით დასხმან თუშეთს. აღნიშნულის შესახებ საარქივო დოკუმენტი გადმოგვცემს: „Дагестанских лезгин и 400 кистинцев сего месяца 1-го числа ночью напали на тушинское село Дикло, из 30 дымов состоящее, где убили 3-х человек и 1 женщину, ранили 3-х человек и взяли в плен 3 мужика и 3 женска пола душ и в местное с тем угнали 100 быков и 1000 баранов. Для преследования сих хищников отправились тушинцы, догнав оных, убили прятелей и 20 и ранили 30 человек, при каком случае хищники, не надеясь угнать захваченную или скотину и баранов, перерезали оных.“<sup>25</sup>

თუშური ხალხური ზეპარისტყვიერება ასახელებს აგრეთვე ჩაჩან-ქისტებისა და ლეკების თავდასხმას მურთაზის მეთაურობით პირიქითის საზოგადოების სოფ. ფარსმაზეც. წერილობითი წყაროები ხსენებული შემოსევის შესახებ არსად აღნიშნავენ, მაგრამ, უნდა შევნიშნოთ, რომ მურთაზის ხელმძღვანელობით მოწყობილი ქისტ-ლეკების თავდასხმა სოფ. ფარსმაზე უნდა მომხდარიყო XIX საუკუნის პირველ მეოთხედში. თუშეთში მურთაზის შემოსევის შესახებ წერილობითი ცნობები არ გავაჩნია. თუშური ხალხური ლექსის მიხედვით, რომელიც თუშეთში ხათილ მუხამას თავდასხმასა და ლეკ-თუშთა ბრძოლებს ეხება, აღნიშნულია, რომ ამ შემოსევაზე თუშებს თავს დასხმა მურთაზი, რომელმაც სამარცხვინო მარცხი განიცადა თუშეთში. ხათილ მუხამას მიერ თუშეთზე ლაშქრობა წინ უსწრებდა 1837 წელს ლეკთა და ქისტთა თავდასხმებს დიკლო-შენაქოზე. აქედან გამოდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მურთაზის ლაშქრობა თუშეთში XIX საუკუნის 20-იან წლებში უნდა ყოფილიყო.

<sup>24</sup> დ. აღბანელი, თუშების ორი გუჯარი (და როგორ უყურებდა ბარის ქართველობა თუშს მე-18 საუკუნის დამდეგს). „კვალი“, №52, 189 წგ.

<sup>25</sup> Шамилъ-ставленникъ Султанской Турции и Англинскихъ колонизаторовъ (сборникъ документальныхъ материалов). შ. ცაგარეიშვილის რედაქციით, საქ. სსრ შსს გამოცემა თბ. 1953. გვ.3.

ხალხური ლექსი გადმოგვცემს:

„ერთხელ თურმე იმამ შამილს მუქარა სთხოვეს პირითა:  
შენ მგონია დაიკეხნენ თუშეთს წაუალ საომრათა,  
თუ მოხვალ კი გიმასპინძლებთ თუშნი ვაუკაცურადა,  
თუ გახსომს ფარსმის თაობა, ან თუ იცნობდი მურთაზსა,  
შენცა ეგრე გიმასპინძლებთ, ისრე გაგზავნით მტირალსა“.<sup>26</sup>

ხალხური გადმოცემა მოუთითებს, რომ მურთაზს იმდენად რიცხვმრავალი ლაშქარი ჰყოლია, რომ მისი დათვლა გასჭირვებია და უბრძანებია მოლაშქრეთათვის, რომ თუშეთისა და ქისტეთის სასაზღვრო მთა ქაჩუზე გადმოსვლისას ყველას თითო ქვა დაედვა, რომელსაც უკან დაბრუნების შემდგომ თითოეული მოლაშქრე კვლავ აიღებდა და გარკვეული გახდებოდა მურთაზისათვის თუ რამდენი მეომარი ეყოლებოდა მოკლული ან დატყვევებული. გადმოცემის მიხედვით ქაჩუს მთაზე მურთაზის მეომართა დაყრილი ქვებისაგან დიდი გორა შემდგარა: „მურთაზი ზარბაზნით გადმოსულა და მისდგომია ფარსმის ციხეს. ციხეში თუშები გამაგრებულან და ვერაფერი დაუკლია. მაშინ მურთაზს უბრძანებია ციხის სანგლით აფეთქება. თუშებს ეს დროზე გაუგიათ და ერთ თუშის ქალს კახოს თინას თავისი მანდილი ერბოში ამოუვლია (ცეცხლი მოუკიდებია, ვ.ე.), სანგალში გადაუგდია და ის აუფეთქებია“.<sup>27</sup>

მურთაზს ფარსმის ციხე ვერ გაუტეხია. ფარსმანელებს მოშველებიან თუშეთის სხვა თემთა მეომრები, ფარსმანელთა დასახმარებლად გადმოსულან ხვესურნიც და თუშ-ხვესურთა გაერთიანებულ ჯარს ქისტ-ლექების დიდი ლაშქარი საგრძნობლად შეუმცირებია და დამარცხებული მურთაზი მცირე რაზმით ძლივს გადახვეწილა სამშობლოში:

„მთას გადასტირის მურთაზი, ფარსმაში დამარცხებული,  
ჯარ თუშებს გავაწყვეტინე, დაღესტანს შემრცხვენდებო.  
გზად დედა მოეგებების, მურთაზ რა უყავ ჯარით?  
ჯარ თუშებს გააწყვეტინე. შინ მოხველ სირცხვილიანი“.<sup>28</sup>

ზარბაზნიც თუშეთშივე დარჩენია მურთაზს. იგი 1931 წელს თუშეთში ყოფნის დროს პირადად უნახავს პროფ. ს. მაკალათიას, რომლის შესახებაც წერს: „მურთაზისათვის თუშებს წაურთმევიათ ზარბაზანი, რომელიც დღეს ინახება სოფ. ჭვემოში და აქვს ასეთი არაბული წარწერა: „ამალი აჰმად“ (აჰმადის საქმე ან ნაკეობი). უკან დაბრუნებისას დამარცხებულ მურთაზს ლაშქრის დანაკლისის გამოსარკვევად უბრძანებია საადრიცხვოდ დაყრილი ქვის სათითაოდ აკრეფა, რომელსაც დაკლებია ერთი მესამედი. ეს ქვის გორა ქაჩუს გადასასვლელზე დღესაც დარჩენილია და მას მურთაზის გოხს (ქვას) უწოდებენ“.<sup>29</sup>

<sup>26</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, 1933, გვ. 37.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 33.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 34.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 35.

როგორც ზემოთ აღინიშნა. თუშეთი ყველაზე მეტ და მძიმე ამაოხრებელ შემოსევებს დიდოეთ-დაღესტნის მხრიდან განიცდიდა. განსაკუთრებით მას შემდეგ. როცა დიდოეთ-დაღესტნის მოსახლეობა შამილის ხელმძღვანელობით დაირაზმა და ამოძრავდა რუსეთის ჯარების გასანადგურებლად და მათგან სამშობლო-ქვეყნის გასათავისუფლებლად. შამილი თავიდანვე დიდად დაინტერესებულია მეზობელი მთიელების თუშ-ფშავ-ხევსურების თავის მხარეზე გადმოსაყვანად, მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრებულია. შამილს ვერ მოუხერხებია თუშ-ფშავ-ხევსურების ჩამოცილება რუსებისა და ბარელი ქართველებისაგან; სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ შამილი მთელი შესაძლებლობით იბრძოდა თუშ-ფშავ-ხევსურეთის სრული განადგურება-მოსპობისათვის.

ხალხური გადმოცემებისა, საარქივო საბუთებისა და ზოგიერთი ლიტერატურულ-ისტორიული ხასიათის ცნობების მიხედვით, კარგად ჩანს, თუ როგორ ზრუნავდა შამილი, რომ ქართველი მთიელები თავის მხარეზე გადაეყვანა. „შამილს, რასაკვირველია, სურდა გამოეგლიჯა ეს მამაცი, გაუტეხარი და თავდადებული თავის სამშობლოს ხალხი რუსების ხელიდან. ამისათვის შამილი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ განეხორციელებინა თავისი მიზანი. ჯერ ტყბილ სიტყვებითა და უხვი პირობებით მიმართა შამილმა და შემდეგ როდესაც თუშებმა უარჰკვეს, ხმალი და ცეცხლი შეიტანა ამ მხარეში. როგორც ამ დროს მომსწრენი ამბობენ. შამილს თურმე ეთქო, რომ ოღონდ თუშები შემიერთდნენ და სუყველას ნაიბობას მიეცემო. დიდი პოლიტიკოსი იყო შამილი. ერთი თუში გამაჩნილი თავის სიტყვით და გავლენიანი თუშებში, ტყვედ იქნა წაყვანილი ლეკებისაგან. ლეკებმა ეს თუში მიჰგვარეს შამილს. შამილმა თავისთან დაიჭირა თუში. ერთ დილას, სეირნობის დროს თურმე მოიხზო თუში და მიმართა შემდეგი სიტყვებით: „თუშებო, რა გინდათ ჩემგან, ან თქვენ და ან ქართველებს. რათ მეწინააღმდეგებით. მე ზომ თქვენი მტერი არ ვარ. ვებრძვი ჩვენს საერთო მტერს-რუსებს და თქვენ კი არ მასვენებთ. მე მსურს გავრეკო კავკასიიდან საზიზღარი გიჟურები და აღვადგინო ჩემი მამა-პაპის სამეფო სახლი. არავისთვის არ მითქვამს და არც არავინ არ იცის მე ვინა ვარ და გარემოება მაიძულებს, რომ შენ გაგიმტლავნო ჩემი ვინაობა. მე ვარ თქვენივე მეფე ერეკლეს შვილის ალექსანდრეს შვილი. ბატონიშვილი ალექსანდრე, როდესაც სპარსეთში იმყოფებოდა, სცხოვრობდა ერთ ხანის ასულთან, ხანის ასული ბატონიშვილისაგან ორსულად შეიქნა. რომ ჩამის რისხვა აეცილებინა თავიდან იგი ვიღაცას გამოჰყვა დაღესტანში და აქ მშობა მე – შამილი. დიად, მე მეფე ერეკლეს ჩამომავლობიდან ვარ და მსურს აღვადგინო სახელოვანი პაპის ტახტი და საქართველოს თავისუფლება“<sup>41</sup> როგორც ივ. ბუქურაული შენიშნავს:

<sup>41</sup> ივ. ბუქურაული. ტბათანიდან წოკათამდინ... „მოამბე, №8, 1897, გვ. 30-31.

„ყველა შამილის მეცადინეობამ ამაოდ ჩაიარა. თუშებმა თავისი არ დაიშალეს და არ ზოგავენენ არაფერს, რომ დაეცვათ რჯული და მიწა-წყალი“.<sup>31</sup>

თუშების პოზიცია და მოქმედება ჩეჩენ-ქისტებისა და დიდო-ლეკების მიმართ საერთო იყო ხევსურებისა და ფშავლებისათვის. ეს სამივე კუთხე ერთად მოქმედებდა; აღნიშნულ პერიოდში სამივე ტომის მცხოვრებნი იმიერკავკასიელების მიმართ ერთი განწყობით იყვნენ დარაზმულნი. მათი დაუოკებელი სურვილი იყო ბარელ თანამემამულეებთან და რუსეთი რეგულარულ ჯარის ნაწილებთან ერთად სამაგიერო მიეზლო ბევრჯერ მათი მშვიდობიანი ცხოვრების დამრღვევი აბრაგი-მძარცველებისთვის.

გარდა ხალხური გადმოცემებისა, საარქივო მასალებიც მეტყველებენ, რომ შამილი ყველა ღონისძიებას ხმარობდა, რათა თუშ-ფშავ-ხევსურეთი თავის მხარეზე გადაეყვანა. შამილის ასეთი ცდა და გადაწყვეტილება კარგად დასტურდება 1841 წლით დათარიღებული დოკუმენტით, სადაც ვკითხულობთ: „...Подтверждают единогласно, что Кистинин собираются три отряда горцев. предполагающие напасть на деревни Хевсурские и Тушинские и Шамилъ выслал несколько своих сообщников для предводительства, имеет намерение, устранив тушин и хевсуруев, заставить их примеру Кистинцев, отложиться от нашего правительства.“<sup>32</sup> არის აგრეთვე 1842 წლის მაისში შედგენილი საბუთი, რომლის მიხედვითაც ვიგებთ, რომ 1842 წელს შამილს თუშებისაგან გადასახადი და მორჩილება მოუთხოვია. აღნიშნულის თაობაზე თელავის მაზრის უფროსი საქართველო-იმერეთის გუბერნატორს შემდეგს მოახსენებდა: „Тушино-пшаво-хевсурский участокный заседатель рапортом от 12 мая за №233 донес, что селения его тушин Ганиш Борцикидзе являсь к нему 12 числа мая объявил, что известный возмутитель Дагестана Шамилъ прислал в Тушетию двух своих старшин для сбора подателей. угрожая за недачу таковых нападением и разрушением всей тушетии.“<sup>33</sup> შამილის სურვილი, რომ თუშეთი თავის მხარეზე გადმოეყვანა, ყოველთვის განუხორციელებელი რჩებოდა. მიუხედავად იმისა, რომ შამილი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის დასაწყისიდანვე ერთგულად შესდგომია თუშების გადმობირებას და „ამ მიზნით თუშებთან კაბუჭის მთაზე დიპლომატიურ მოლაპარაკებებსაც თურმე აწარმოებდა. მაგრამ მათ შორის შეთანხმება არ მომხდარა“.<sup>34</sup>

როცა შამილი დარწმუნებულა, რომ თუშ-ფშავ-ხევსურებს ვერ გადაიყვანდა თავის მხარეზე, გადაუწყვეტია მათი შევიწროება. იგი მათზე თავდასხმებს აძლიერებს.

<sup>31</sup> ივ. ბუქურაული, ტბათანიდან წოვათამდინ... „მოამბე, №8, 1897, გვ. 30-31.

<sup>32</sup> Шамилъ-ставленник Султанской Тушии и Английских колонизаторов, 1953, стр. 96.

<sup>33</sup> იქვე, გვ. 214.

<sup>34</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, 1933, გვ. 36.

თუშური ხალხური ზებირსიტყვიერება ასახელებს დიდოელების შემოსევას ხათილ მუხამას წინამძღოლობით. ხათილ მუხამას თუშეთში ლაშქრობის თაობაზე წერილობითი წყარო არ მოგვეპოვება. სამაგიეროდ, თუშური ხალხური ზებირსიტყვიერება დაწერილებით აღწერს ხათილ მუხამას ბელადობით თუშეთში მოწყობილ დიდო-ლეკების ლაშქრობის ამბავს.

დიდო-ლეკების ჯარი ლაას მთაზე გადმოსულა, იქიდან განაწილებულან და წამოსულან ორი მიმართულებით: სოფელ ხისოსკენ და სოფელ ქუმელაურთისაკენ. ეს სოფლები თუშეთის ჩაღმის საზოგადოების სამხრეთის სანაპირო სოფლებია, რომელთაც სამხრეთიდან, ე.ი. კახეთის მხრიდან საზღვრავს და ამ მხრივ ისინი მოკლებულნი არიან დამხმარე საშუალებებს. ეტყობა, მტრმა ხსენებული სოფლების ეს განსაკუთრებული სუსტი მხარე გაითვალისწინა და შემოსევაც იმიტომ იქიდან განახორციელა. ქუმელაურთისა და ხისოს მცხოვრებლებს თუშეთის სხვა თემის მეზობლნი საჩქაროდ მოხმარებიან, ხათილ მუხამა დაუმარცხებიათ და დიდად დაზარალებული განუდევნიათ თუშეთის საზღვრებიდან. ხალხური გადმოცემა მიუთითებს, რომ ხათილ მუხამას დამარცხება პოლიტიკური თვალსაზრისით იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა თავისი შედეგებით, რომ მეფის რუსეთს თუშეთის მოსახლეობა სამი წლით გადასახადისაგან გაუნთავისუფლებია.<sup>15</sup>

ხათილ მუხამას დამარცხებას და დაღისტანში უშედეგოდ დაბრუნებას შამილი უფრო გაუღიზიანებდა და ახალი ლაშქრობისათვის სამზადისი დაუწყო. „1836 წლიდან შამილმა გააძლიერა სისტემატური თავდასხმები თუშეთზე, რომლის გასაღებს სტრატეგიული თვალსაზრისით სოფ. დიკლო და შენაქო წარმოადგენდა (ამ სოფლებით ესაზღვრება თუშეთი დიდოეთს. ვ.ე.) შამილის თავდასხმები (ახლა უკვე, ე.ი. ხათილ მუხამას დამარცხების შემდგომ, ვ.ე.) ამ სოფელთა აოხრებით იწყება“.<sup>16</sup>

საგანგებოდ შერჩეული 10 000-იანი დიდოების, ლეკებისა და ჩეჩენ-ქისტებისაგან შემდგარი ჯარი დიდოელი აღღამის წინამძღოლობით, 1836 წლის 30 დეკემბერს თუშეთში შემოჭრილა და დაუკავებია ორი სოფელი: დიკლო და შენაქო. თუშებს მტრის შემოსევა და მათ მიერ დიკლო-შენაქოს დაკავება ოთხჯერ უცნობეზაათ კახეთის ბარში მყოფ თუშეთის მოურავ მიხეილ ჩოლოყაშვილისათვის, მისგან დახმარება და სასწრაფო მოშველება მოუთხოვიათ მაგრამ ჩოლოყაშვილს დახმარების აღმოჩენის ნაცკლად, თუში-წარმომადგენლებიც კი უცემია და მათ დასახმარებლად წამოსული, ალვანში შეკრებილი ორასი თუში მეომარიც გზიდან დაუბრუნებია.

ციხესიმაგრეებში შეხიზნულ დიკლო-შენაქოელებს, როცა მოურავისაგან დახმარების იმედი დაკარგვიათ, დაუწყიათ სამეკდრო-სასიცოცხლო ბრძოლა

<sup>15</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, 1933, გვ.37.

<sup>16</sup> ა. იოსელიანი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, 1955, გვ. 98

და ლექები მანამდე უხოციათ, სანამ ერთი მეომარი მამაკაციც კი ცოცხალი ყოფილა. დიკლო-შენაქოდან მტერს ხელში არცერთი მამაკაცი არ ჩავარდნია ცოცხალი, ყველა გმირულად დაიღუპა და იმიერკაკასიელ მძარცველ-აბრაგებს მხოლოდ დედაკაცები და ბავშვები წაუყვანიათ ტყვეებად.

თუშეთის ამ ორი სოფლის, დიკლოსა და შენაქოს დიდო-ლექებისა და ქისტ-ჩენების მიერ აოხრებისა და ამ საქმეში თუშეთის მოურავ მიხეილ ჩოლოყაშვილის დანაშაულებრივი მოქმედების გამო თუშეთის სამ საზოგადოებას: ჩალმას, პირიქითსა და გომეწარს საკმაოდ ვრცელი საჩივარი გამოუგზავნიათ 1837 წლის 21 თებერვალს ბარონ როზენისთვის, სადაც დაწერილებით არის აღწერილი ყოველივე: „...ჩვენო ხელმწიფე და პატრონო, ჩვენი მოხსენება და ვედრება ეს გახლავთ, რომ ჩვენის ორი სოფლის დახოცვა და დატყვევების მიზეზი ჩვენი მოურავი მიხეილ ჩოლოყოვი არის. ესე რომელ გავლის დეკემბრის ოცდა ათსა შემოვიდა ლეკის ჯარი და ქისტისა, ჩვენის მოურავისაგან შემორიგებული იმ სოფლებითგან. ჩვენს სოფლებს- დიკლოსა და შენაქოში (შენაქო უნდა იყოს, ვ.ე.) იანვრის პირველში საჩქაროთ გამოგვზავნეთ კაცი ჩვენს მოურავ მიხეილ ჩოლოყოვთან მოსაშველელად დიკლოსა და შენაქოსთვის. რა გავიდა იანვრის ოთხი დღე მიემატა ლეკის ჯარსა და მსწრაფლადვე გამოგვზავნეთ კაცი... რა ვნახეთ ჩვენის მოუშველებლობა, მესამეთაც გამოგვზავნეთ ექვს იანვარს... თუ სამსა და ოთხსა დღესა არ მოგვეშველები უთუოდ ამოგვეწყვიტენო და ტყვეთ წაგვასხამენო, რა მოვიდნენ ჩვენი გამოგზავნილნი კაცნი გაუწყრა: როგორ ბედავთ აგრე ჩქარ-ჩქარა მოსვლას რომ მაწუხებთო. დაიჭირა და მრავალი სცემა იმა გამოგზავნილთ ჩვენგან თუშებს. რა იმედი გაღვიწყვიტეთ ჩვენის მოურავისაგან მოუშველებლობაზედ, რაოდენიცა შეიძლება ვხოცეთ ლეკნი ციხეებიდგან და სახლებიდგან. რა მოგვეცეს ცეცხლები, რაც თოფის ამღებნი თუშნი იყვნენ, მაგრამ ერთიან არ დაიხოცნენ, თავიანთ ცოლშვილი არ დაანებეს. როდესაც გაგეტხეს, მამაკაცი გასწყვიტეს, დედაკაცი და ყმაწვილნი ტყვეთ წაასხეს ორასი სული, მკვდარი და ცოცხალი. რაოდენი ქონება წაიღეს – ამისი მოხსენება შეუძლებელი არის. გავბედავთ თქვენს მაღალ აღმატებულებასთან ჩვენის მწუხარების მოხსენებასა და განიცხადებთ: ჩვენი დახოცვა და დატყვევება ყოველივე ჩვენის მოურავის მიხეილ ჩოლოყაშვილისაგან მოხდა ესრეთ რომელ, როდესაც ოცდა ათს დეკემბერს ჯარი შემოვიდა დიკლოში. ოთხჯერ ვაცნობეთ რათა მოგვეშველებოდა, რომელმანცა, თვით მიხეილ ჩოლოყოვმან, ორასი შეყრილი თუში გზიდამ დააბრუნა, საჭირო არ არისო და გამოგზავნილნი კაცნიც გაგვილახა.

მერე თორმეტი დღე უძელით დიკლომ და შენაქომ. რატომ არ მოგვეშველა? თუში იყო ალვანში, მრავალნი კაცნიც მომზადებულნი. თექვსმეტს იანვარს მოვიდა თუშეთში ჩვენი მოურავი, როდესაც ორივე სოფლები დამწვარი და ტყვეთ წაყვანილნი იყვნენ.

თქვენო მაღალაღმატებულებავ! შეეიტყვეთ ვითომც ჩვენ მოურავს გამარჯვების და ლექების დახოცვისა წარმოედგინოს წინაშე თქვენსა. ესე ხმა ჩვენთვის

დიდად სამწუხარო არის და ამისთვის გავბედით დაწვრილებით მოხსენება, თორმეტს იანვრამდის. მანამ დიკლოსა და შენაქოს აილებდენ და მამაკაცი დაიხოცებოდნენ, ბევრი ლეკი მოვკალით, თუმცა, თექვსმეტს რიცხვსა იანვრისასა გადმოვიდა ჩვენი მოურავი, ძალით ნაჩაღნიკისაგან გამოგზავნილი, რაოდენივე ასის კაცით და დადგა ათს კერსზედ, სადაც ლეკის ჯარი შემამდგარი იყო ჩვენ სოფლებზედ. ჩვენის მოურავის იქ ყოფნაში თოთხმეტი დღე გვადგა ლეკის ჯარი. ამ ხსენებულს თოთხმეტს დღეში მოურავისაგან და არც იმის მოყვანილის კაცისაგან არავითარი ომი არ მომხდარა და არც ლეკი არ მომკვდარა. გამარჯვებას როგორ ბედავს, უკეთუ ჩვენის მოურავისაგან შემწეობა გვქონოდა ან გაემარჯვნა, მაშ მხველები რაღათ მიგვაკვიბნა, დღესაც დაღისტანში ტყვეთ არიან.

ახლა ჩვენი უკანასკნელი თხოვნა და მოხსენება ეს არის: ამდენის სულის ხალხისა და დახოცვისა და ტყვეობის მიზეზი ჩვენი მოურავი მიხილ ჩოლოყოვი არის და მთავრობის მომტყუებელი. „ქისტეთი შევირიგო“ საჩუქარი დაურიგა. მისგან შერიგებული ქისტთა, უმეტესად დაგვზოცეს და დაგვატყვევეს, სადაც ახლა ისევ ისინი არიან შეყრილნი ლეკებითურთ ჩვენზედ წასახდენად.

თქვენო მაღალღმადებულებავ! ვკვირობთ, რას მიზეზისათვის მიგვცა ხელმწიფის ყმანი და ქრისტიანეთი სულნი ესოდენსა დახოცვასა და ტყვეობაში? რაოდენთა სულთა უნდა თავისი სარწმუნოება დაგმონ? და ან ვიდასა გვაქვს შეძლება მათის დახსნისა ტყვეობიდან, რომელიცა არცა მეფეთა დროთა და არცა რუსეთის მთავრობაში არ წავმხდარვართ. დიდოცა, ლეკიცა და ქისტიც მრავალჯერ ყოფილან გამდგარი, რომ ჩვენთვის არავის რა დაუკვლიათ რა და არც წამხდარვართ. ეს უბედურება მოურავისაგან მოგვევლინა, თავშეუდებლობის გამო. ამისთვის ვითხოვთ თქვენის მაღალღმადებულობისაგან, რომელ საჭიროებისათვის ჩვენ ის მოგვცეთ და დაგვინიშნოთ ასეთი კაცი მოურავად, რომ იყოს მცოდნე ჩვენის ჩვეულებისა და აქაურის გარემოებისა, რომელმანცა გაამაროს თუშეთი და ამაზე მეტად აღარ წახდეს. ჩაღმა, გომეწარი და პირიქითის თემებით მოგახსენებთ. ჩელზ-სა წელსა თებერვლის კა-სა რიცხვსა“.<sup>17</sup>

თითქმის ასეთივე შინაარსის წერილი-საჩივარი თუშეთის მოსახლეობას 1837 წლის 27 თებერვალს გაუგზავნია აგრეთვე ჭარ-ბელაქნის ოლქის უფროსისათვის, გენერალ-მაიორ სევარსამიძისათვის. წინა საჩივრის შინაარსისაგან აქ განსხვავება ის არის, რომ დიკლო-შენაქოდან წაყვანილი ტყვეებითა და ამ სოფლების აოხრებით არ დაკმაყოფილებულა ქისტ-ჩეჩენ-დიდო-ლეკების ჯარის ხელმძღვანელობა და სოფელი შენაქო მაშინდა დაუცლია, ე.ი. დამპყრობლები თუშეთიდან მაშინდა წასულან, როცა თუშებს დამატებით მათთვის ექვსი ტყვე-მხვეალი მიუცია: „მინამ მხვეალი არ მივეცით

<sup>17</sup> Шатиль-ставленник Султанской Турции и Английских колонизаторов. 1953. стр. 95-96.



ექვსი სული, – ვკითხულობთ საბუთში, – მინამ სოფლის შანაქოდამ ჯარი არ გავიდა, ჩვენი ექვსი მხვევალის მიცემა ვირჩიეთ, მინამ სოფლის შანაქოს ერთიან წახდენას.“<sup>38</sup>

თუშებმა კარგად იციან, რომ დიდოეთ-დაღესტნის სასაზღვრო სოფლების დიკლოსა და შენაქოს აოხრება-მოსაპობით თუშეთს ერღვეოდა საიმელო ზღუდე და იქმნებოდა ამკარა საშიშროება თუშეთის სიღრმეში ამ მხრიდან დამპყრობლების შემოსევისა. აღნიშნულის გამო თუშები გენერალ-მაიორ სევარსამიძეს მიმართავენ: „თქვენ ბრწყინვალეხას მოვახსენებთ, თუშეთის კლიტე დიკლო და შანაქო იყო. ეს სოფლები წახდა. თუ ერთი ღონისძიება არ მოგვეცა, დანარჩომი ხალხს, ჩალმას და გომეწარს თემებს, არ შეგვიძლიან იქ დადგომა... უკანასკნელი ჩვენი მოხსენება ეს არის თქვენ ბრწყინვალეხასთან, რომ მთავრობასთან გვიშუამავლო და მოწყალეხა მიიღოთ, რომელ ასეთი კაცი მოგვეცენ, რომ ჩვენი მოვლა შეეძლოს, რომელიც თავის დღეში თუშეთი ასრე არ წახდენილა უპატრონობით“.<sup>39</sup>

დიკლო-შენაქოზე ჩრდილო-კავკასიელი ფეოდალების თავდასხმების შესახებ არსებული მდიდარი საარქივო საბუთების მხიედვით ვიგებთ, რომ მტერს ორივე სოფელი აუოხრებია, მოსახლეობა გაუწყვეტია და მრავალი ტყვე წაუყვანია დიდოეთ-დაღესტანში. XIX საუკუნის ცნობილი მკვლევარის, თუშეთის ყოფა-ცხოვრების საკმაოდ კარგად მცოდნის<sup>40</sup> იოსებ ცისკარიშვილის<sup>41</sup> მიხედვით კი გამოდის „რომ თითქოს მტერს დიკლოს აოხრების შემდეგ, შენაქოს ასაოხრებლად წასულს, მარცხი განუცდია და სირცხვილეული უკან გაბრუნებულა“.<sup>42</sup> ი. ცისკარიშვილის ხსენებულ მოსაზრების თაობაზე პროფ. ავ. იოსელიანი შენიშნავს: „...უტყუარი საარქივო დოკუმენტები აბათილებს ამ მოსაზრებას. ირკვევა, რომ მტერმა დიკლოსთან ერთად შენაქოც გაანადგურა“.<sup>43</sup>

დიკლო-შენაქოს ტრაგედიის შესახებ საინტერესო მასალას წარმოადგენს ბარონ როზენის მიერ 1837 წლის 18 თებერვალს გაგზავნილი მიმართვა რუსეთის სამხედრო მინისტრ ა.ი. ჩერნიშევსკისადმი. აღნიშნული წერილის შინაარსი ბევრ დეტალში ემთხვევა თუშების მიერ როზენისა და სევარსამიძი-

<sup>38</sup> Шатиль-ставленник Султанской Турции и Английских колонизаторов, 1953. стр. 98.

იქვე, გვ. 99.

<sup>40</sup> ივ. ბუქურაული, ტბათანიდან წოვათამდინ (მგზავრის შენიშვნები), „მოამბე“, №8, 1897წ. („ივანე ცისკარიშვილი ფრიად მოხუცებულია და ამჟამად ტფილისში ლევს თავის სიცოცხლეს. კარგად აქვს შესწავლილი საზოგადოდ მთის ცხოვრება და მისი შრომა“ «записки о Тушетии») საყურადღებო მასალა თუშეთის შესწავლისათვის“).

<sup>41</sup> И. Цискаров. Дюкло и Шенако, газ. «Кавказ», №27, 1846г.

<sup>42</sup> ავ. იოსელიანი. რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან. 1955, გვ. 99.

<sup>43</sup> იქვე.

სადმი გაგზავნილი წერილების შინაარსს, მაგრამ ამავე დროს, მასში ბევრი ისეთი ფაქტი არის დასახელებული, რომელთა შესახებაც ხსენებულ საჩივარში არ არის საუბარი.

თუშეთის მოურავი ჩოლოყაშვილი თუშეთში გადასულა 450 მებრძოლით, რომელთაც ადგილზე დახვდათ 63 შეიარაღებული თუში მამაკაცი. დასვენების შემდგომ ჩოლოყაშვილის განკარგულებით 18 იანვარს მის მებრძოლებს თუშეთის სიღრმისაკენ შემოსასვლელი ყველა გზა-ბილიკი დაუკავებია და საომრად გამზადებულან: „Отдахнув от трудного перехода и обзрев с высот, прилежавших к сел. Шиннако расположение неприятеля ночью на 18 число кн. Чолокаев занял все пути, ведущие в Тушетню. дабы не допустить лезгин проникнуть далее во внутрь её. куда они намеревались браться для приобретения истощившегося у них продовольствия.“<sup>44</sup>

ორივე მხარის დამოკიდებულება ისე წარიმართა, რომ თანდათან აუცილებელი ხდებოდა მათ შორის მოლაპარაკების დაწყება. ამ მხრივ ინიციატივა ლეკებმა გამოიჩინეს. მაშინ თუშეთის მოურავმა ჩოლოყაშვილმაც თანხმობა განაცხადა. ლეკებმა სოფელ ომალოს მიმართულებით, სადაც ჩოლოყაშვილის რაზმის ცენტრი იმყოფებოდა, გამოაგზავნეს შვიდი წარმომადგენელი და გაჩერდნენ სოფლების: შენაქოსა და ომალოს საზღვარზე. ასევე მოიქცა ჩოლოყაშვილიც. მანაც თუშთაგან შვიდი რჩეული მამაკაცი გააგზავნა. დაიწყო მოლაპარაკება. ამ შეხვედრაზე ლეკებმა განაცხადეს, რომ მტრული მოქმედება თუშების წინააღმდეგ მათ მოაწყვეს შამილის მოლას მოთხოვნით, რომელიც პირადად ფიქრობდა თავის თანამზრახველებთან ერთად გამოელშაქრა თუშეთზე და ლეკებს ეშუქებოდა სასჯელით, თუ კი ისინი არ შეასრულებდნენ მის მოთხოვნას. ხოლო როცა ლეკების მიერ გამოგზავნილმა წარმომადგენლებმა გამოთქვეს შერიგების სურვილი, თავადმა ჩოლოყაშვილმა განუცხადა მათ, რომ მას არ ძალუძს მათთან შერიგება და რომ მათ მორჩილების განაცხადით უნდა მიმართონ ჩვენს მთავრობას და დაუყოვნებლივ დააბრუნონ სოფელ დიკლოს განადგურების დროს ტყვედ წაყვანილი თუშები.<sup>45</sup>

მოლაპარაკება ჩაიშალა. მხარეები ვერ შეთანხმდნენ. 19 იანვარს გაიმართა ბრძოლა, რომელიც მთელი დღე გაგრძელებულა. თუში მეომრების ზუსტი სროლის შედეგად დამპყრობლებმა თანდათან დაკავებული პოზიციებიდან უკან დახევა დაიწყეს. მტერმა დიდი დანაკლისი განიცადა; მძარცველების მხრიდან მოკლეს და დაჭრეს 400-მდე მებრძოლი.<sup>46</sup>

დიკლო-შენაქოს აოხრებისა და სატიკი განადგურების შემდგომ შამილი თუშეთზე ახალი თავდასხმისთვის ემზადებოდა-თურმე, მაგრამ ახლა მტრის შემოსევა გათვალისწინებული იყო არა მარტო ერთი მიმართულებით, არამედ

<sup>44</sup> Шампль-ставленник Султанской Турции... 1953. стр. 93.

<sup>45</sup> იქვე, გვ. 93-94.

<sup>46</sup> იქვე, გვ. 94.

სამი მხრიდან, რაც, რა თქმა უნდა, უფრო საშიში და დამაფიქრებელი იქნებოდა თავისი მოსალოდნელი შედეგებით.

მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ თუშები საქმის კურსში აყენებენ ბარონ როზენს და დანხმარებას სთხოვენ: „ამავე თებერვლის ოცს რიცხვსა მივიღეთ ჩვენ უებარი სამართლით ცნობა ისევე ჩვენის პირიქითელის თემის კაცისაგან, სახელდობრ ღანიშ ბორძიკიძისაგან, რომელიც ყოფილყო ქისტეთში და აჩარა და წაწი, სადაც ენახ ურიცხვი ლეკისა და ქისტის ჯარი, სამ პირათ წამოსული ჩვენს სამს თემზედ, ჩვენის სოფლების ასაკლებად და წასახდენად, ჩვენის დანაშთობის სოფლებისა. და ამასთანავე მოგახსენებთ, რომელ ჩვენ ამდენ მტრებთა სადილობადინ სავლელი მეტი აღარ აქვს, ჩვენც ამგვარმა გაჭირვებულმა საქმემა გავკაბდინა ხუთის კაცის თუმის გამოგზავნა, სამნი თელავის ნაჩაღნიკთან – ჩვენი უბედურების საცნობებლად და ორიცა თქვენს მაღალ აღმატებულებასთან პირდაპირ, ამა ჩვენის სამის თემისაგან აზრითა, რომელითაცა ვთხოვთ ჩვენს ამდენ საცოდაობის და ქრისტიანეთ დაღუპვისათვის პატრონობა და მამობრივი მფარველობა მოიღოთ და ჯარიც მოგვაშველოთ საჩქაროდ“.<sup>47</sup>

შამილის მიერ თუშეთზე დიდი კოალიციური თავდასხმის გეგმა არ განხორციელებულა. უტყობა შამილმა გაიგო, რომ თუშეთმა უკვე აცნობა მთავრობას კარზე მომდგარი საფრთხის შესახებ და თუშეთის დალაშქვრავზე ამჯერად ხელი აიღო.

დიკლო-შენაქოს გმირული ბრძოლების ყველა საინტერესო დეტალი, რომელიც ამ ორი სოფლის მცხოვრებთ გადახდომიათ, ბევრი რამ ისეთი მომენტებიც კი რომელთა შესახებაც საარქივო მასალები არ აღნიშნავენ, კარგად არის ასახული თუშურ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. ამ მხრივ დიდ ინტერესს იწვევს სოფელ დიკლოს მკვიდრის – ხთისო ბელადაშვილის მიერ გამოთქმული ვრცელი ლექსი, რომელიც 1931 წელს თუშეთში ყოფნის დროს ჩაუწერია პროფ. ს. მაკალათიას. ამ ლექსის შინაარსი საყურადღებო და გასათვალისწინებელი იმიტომაცაა, რომ ხთისო ბელადაშვილს ცხოვრება უხდებოდა 1837 წელს დაღესტანში ტყვედ წაყვანილ და შემდგომ დიკლო-შენაქოში დაბრუნებულ თანამემამულეებთან, რომლებთანაც ის დიკლო-შენაქოს ბრძოლების ყველა დეტალს და ამ ბრძოლების მონაწილე თუშ გმირთა სახელებს პირადად ეცნობოდა.

ლექსის მიხედვით ვიგებთ, რომ შამილს თუშეთში ჯარის გამოგზავნამდე სამხედრო თათბირი ჰქონია, სადაც ჯარის ხელმძღვანელობაზე ხუნძახელ ჰაჯი მურიმს უარი განუცხადებია და ბოლოს ხელმძღვანელობა დაუკისრებია დიდოელ აღღამისათვის, რომელიც თუშეთში ნამყოფი ყოფილა, თუშების წეს-ჩვეულებებიცა სცოდნია. შამილის მიერ ჩატარებულ სამხედრო თათბირზე ლექსი გადმოგვცემს: „...ჰაჯი მურიმ ხუნჯახელმა ყველა უთხრა იმამს პირსა:

<sup>47</sup> Шамилъ-ставленник Султанской Турции... 1953, стр. 95.

„მე იმათში ვერ გადავალ. არც ბილიკი ვიცი მთისა, აღდამს ჰკითხეთ დიდო-  
ელსა იმან იცის იმათ მხრისა, ის არი მთაში ნავალი, რა წესი აქვთ თუშის  
შვილთა“.<sup>48</sup>

სამხედრო თათბირს აღდამისათვის წინადადება მიუცია, რათა თავისი  
შეხედულება გამოეთქვა თუშებისა და თუშეთის შესახებ: „აღდამს უთხრეს:  
„აბა გვითხარ რა წესი აქვთ თუშთა შვილთა?“ აღდამ უთხრა: „მე ვყოფილვარ  
დღენი იყვნეს ახალ წლისა, პურუ, აღუდი, არაყი მეტად მიმღებნი სტუმრისა.  
ცალი მხრივ ვაჟაკანი ისხდნენ ლულსა სვამდენ ჯიხვის რქითა, სადღეგრ-  
ძელოსაც მოსთქმიდენ მტრის მებრძოლ ვაჟაკისა. ცალი მხრით დიაცნი  
ისხდნენ ღმერთსა სთხოვდნენ მანდილხდითა. „ღმერთო, უშველე თუშებსა,  
დალესტინის იმამი ძირსა“.<sup>49</sup>

აღდამის მოსმენის შემდგომ დალისტინის იმამს გადაუწყვეტია თუშეთში  
ჯარი ახალი წლისთვის გაეგზავნა. დალესტინის ჯარი პირველად სოფ.  
დიკლოს დასცემა. დიკლოში მცხოვრებ თუშ მამაკაცებს გმირული ბრძოლები  
გაუპართავთ დალესტინელი მძარცველებისათვის:

„დიკლოში დიდი ომია და გრიალი თოფებისა,  
თოფი ჭეხს, ტყენი უხმობენ, და მღერიან ბურჩქნი ტყისა.  
გიო მოზაიძე ბეჭურბიძეს ეძახდისა:

„ბერო, ბერო, როგორა ხარ, ხმაი მომდის შენ თოფისა“.  
ბერომ წყრომით დაუძახა: „გაჯაკრებულ ვარ მე დღესა,  
გუშინ თორმეტი მოვკალი, შეიღის მეტი ვერა დღესა“.  
ახლა გიომ დაუძახა: „მაშ სახელი შენ დაგრჩესა“.

მე თორმეტისა მეტი ვერა და თოფიცა ახლა გამწყდა,  
თოფი განზე გადაავლო, ხმაღზე გაიკრავდა ხელსა,  
ხმალ და ხმალ გამოუარდა, ორსავე თავი მოაჭრისა,  
ახლა შორით თოფი დაჰკრეს ლომი გიოც დეეცისა“.<sup>50</sup>

ლექსი ასახელებს სხვა გმირ ვაჟაკებსაც: ხთისო ოსორაულს, ძაგანა-  
შვილს, უჯბახიშვილს, ქურაზიშვილს, ვარდიძეს, რომელნიც ერთიმეორეს  
ეჯიბრებოდნენ ლეკი დამპყრობლების გაუღელტაში. მათ შორის გამოირჩეოდა  
თისო ოსორაული:

„ომობდა ოსორაული ვაჟი არ ზოგავს თავსაო,  
ჯერ ხო თოფითაც ეომა, მემრ ხელი გაჰკრა ხმალსაო,  
ხმალ-და-ხმალ გამოუეარდა უწყალოდ სჭრიდა თავსაო.  
ერთსა ლეკსა ხელი სტაცა: „მოდ ძმობილო შენ აქაო“  
შინათკენ მიარბენინებს, როგორც რომ ლომი ცხვარსაო.

<sup>48</sup> ს. მაკალათია, თუშეთი. 1933. გვ. 38.

<sup>49</sup> იქვე.

<sup>50</sup> იქვე. გვ. 39.

შინ შეიყვანა ციხეში, მოუსვა სათოფურსაო:

„ლექო, ესროლე ლეკებსა, თორო მოგაჭრი თავსაო“.

ლექი ესროდა ლეკებსა, ცრემლები თვალთა სდისაო,

„ოლონდ ნუ მომკლამ, თისოჯან კიდევაც ვესვრი სხვასაო.

ხთისომა ხმალი შემოჰკრა, თავი მოშორდა ტანსაო,

„შენ ცოცხალს ვინდა გაგიშვებს, შენ ურჯულოსა ძაღლსაო“.<sup>51</sup>

ლექსი იმაზეც მიუთითებს, რომ სოფ. დიკლოს მეომართა რიცხვი თექვსმეტს არ აღემატებოდა. თურმე, თექვსმეტი მეომრიდან საბოლოოდ დარჩენილან ძმები: ბერო და ღვთისო ბექურიძეები. ლეკებს მათი ხელში ჩაგდება რომ ვერ მოუხერხებიათ, იმ ციხისათვის, რომელშიც ისინი იყვნენ გამაგრებულნი, ცეცხლი შეუთიათ. სათოფურებს თურმე ცეცხლის ენა სცემდა. ცეცხლისაგან შეწუხებული ბერო ბექურიძე ხმალამოწვდილი გამოვარდნია მტერს; ჯარის მიერ თოფების ერთდროულად გასროლით ბერო იქვე ციხის კარებთან იქნა განგმირული. ღვთისო ბექურიძემ დააპირა ბეროს მსგავსად ხმალდახმალ ჰკეუებოდა მტერს, მაგრამ ისიც დაიღუპა. წინასწარ მას თითქოს ცოლი და საკუთარი დაც კი მოუკლავს იმ მიზნით, რომ ისინი ტყვედ არ წაეყვანათ მძარცველებს.

ცოლშვილის დახოცვის მოტივი, რომელსაც ჯერჯერობით მხოლოდ თუშური ზეპირსიტყვიერება იცნობს და მის სპეციფიკად ითვლება, გარდა დიკლოს ტრაგედიის შესახებ შექმნილი ლექსისა, მითითებულია ჰელოს გმირული ტრაგედიის შესახებ არსებულ ლექსებშიც. ცოლშვილის დახოცვის შემთხვევაში, როგორც თუშეთისათვის დამახასიათებელი, ეტყობა იმ მძიმე და რთული პირობებით უნდა იყოს გამოწვეული, რაც თუშეთს თავს დაატყდა, განსაკუთრებით XIX საუკუნის დასაწყისიდან. მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე. „როგორც ჩანს, ლეკები სასტიკად უსწორდებოდნენ დაპყრობილთ, ამიტომ თუშები ყველაზე კრიტიკულ, ტრაგიკულ მომენტში უმჯობესად თვლიდნენ საკუთარი ცოლშვილი თვითონვე დაეხოცათ“.<sup>52</sup>

დიკლო-შენაქოს ტრაგედიის მსგავსია ჰელოს ტრაგედიაც. სოფელი ჰელო ეკუთვნის თუშეთის პირიქითის საზოგადოებას. „სოფ. ჰელო მაღალმთის წვერებზეა ნაგები, რომელიც დღეს უკაცრიელია და პარტახი“.<sup>53</sup> ქისტ-ლეკებს მოუხერხებიათ სოფ. ჰელოს მისასვლელი ყველა გზების საგანგებოდ დაჭერა-გამაგრება და შემდგომ კი დაუწყია ამოხრებელი ბრძოლა. ჰელოს მცხოვრებლებს, დიკლოელებისა და შენაქოელების მსგავსად, მიუხედავად იმისა, რომ მტერი რიცხვობრივად დიდად სჭარბობდა, ქედი არ მოუხრიათ და ყველა გმირულად დაღუპილა ბრძოლაში. ჰელოელების დასახმარებლად ფშავ-ხევსურებიც წამოსულან, მაგრამ მძარცველებს გზები ისე საგულდა-

<sup>51</sup> ს. მაკალათია. თუშეთი, 1933, გვ. 39.

<sup>52</sup> გ. ბარნოვი, ვაჟა-ფშაველას ხალხური წყაროები, 1960, გვ. 42-43.

<sup>53</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, 1933, გვ. 125-126.

გულოდ ქჷონიათ შჷკრული, რომ, როგორც ერთი ხალხური ლექსი- „ფშავე-ხევსურთ მიშველება თუშეთში“ გადმოგვცემს, თუშთ სანატრელად გახლომათ გაჭირებების ფაშ ფშავე-ხევსურთა ძალა და იმედი. აი, რას ამბობს მელექსე: „ქელოს ატირდეს დედანი: „მტერმ მარხედ შაგვაშინაო შაყრილნი მშაველ-ხევსურნი ქელოსამც შამოხვიენაო! დიჩინებს ხევსურთ შვილებსა ყაწიმებ დაუმდღენაო! მშაველები ლევ-ლუგაეზი თოფებსა ჩამოხვიენაო!“<sup>54</sup>

უთანასწორო ბრძოლა თუშებსა და ქისტ-ლეკებს შორის შვიდი დღე-ღამე გაგრძელებულა და ჩერვე დღეს, როცა ციხეებში გამაგრებულ მებრძოლებს ტყვია-წამალი გასთავებიათ, მტერს მოუხერხებია ციხესიმაგრეებთან ახლოს მისვლა და ბრძოლაც მათ სასარგებლოდ დამთავრებულა. ქელოს ტრაგედიაზე თუშ-ფშავე-ხევსურულ და განსაკუთრებით, თუშურ პოეზიაში მრავალი ლექსი მოიძებნება, რომელნიც ყურადღების ცენტრში აყენებენ მიქელ ზურაბის ძის გმირობას. მიქელს თავის მამის ციხე-სიმაგრიდან მრავალი მომხდური მოუკლავს. ბოლოს, ლეთისო ბექურიძის მსგავსად, ცოლ-შვილი დაუხოცია და ხმაღამოწვდილი გამოვარდნია მტერს. მიქელ ზურაბის ძეს 12 მოძალადე მოუკლავს და თვითონაც გმირულად დაღუპულა.

დიკლო-შენაქოს ტრაგედია მთავრობამ სათანადოდ შეაფასა, რისთვისაც დროულად დასახა კიდევ მთელი რიგი ღონისძიებები ამ მხარის დასაცავად. ხელისუფლებამ შესანიშნავად იცოდა, რომ თუშეთისა და შემდგომ ფშავე-ხევსურეთის დაკარგვით ღიდად გაუძნლდებოდა ჩრდილოკავკასიის დამორჩილება და მისი შემოერთება. ამიტომ საჭირო იყო ამ მხარის განმტკიცება და გაძლიერება.

დიკლო-შენაქოს იმერკავკასიელი მტაცებლების ერთთვიანი თავდასხმებისა და თუშ-ფშავე-ხევსურეთის განმტკიცება-გაძლიერებისათვის მთავრობის მიერ დასახული ღონისძიებების შესახებ მეტად საინტერესო საბუთს წარმოადგენს 1838 წლის 11 ოქტომბერს გენერალ გოლოვინის მიერ გენერალ-ლეიტენანტ ბრაიკოსათვის გაგზავნილი მიწერილობა.<sup>55</sup> ამ საკმარად ვრცელ წერილში მრავალი საინტერესო ფაქტები და საკიტხებია თავმოყრილი, რაც არა მარტო დიკლო-შენაქოზე ჩეჩენ-ლეკების თავდასხმის ისტორიის შესწავლისათვის წარმოადგენს ძვირფას მასალას, არამედ სხვა მხრივაც.

გენერალი გოლოვინი ატყობინებს გენერალ ბრაიკოს, რომ თუშეთის მცხოვრებთა მიერ მთავრობის სახელზე გამოგზავნილი საჩივრების შინაარსის გარკვევა, დაევალა კავკასიის გრენდირთა ბრიგადის შტაბის კაპიტანს თავად ორბელიანს: „ამასთან, – წერს გენ. გოლოვინი, – ორბელიანს დავალებული აქვს გაარკვიოს თუ როგორ შეიძლება თუშეთის დაცვა მსგავსი უვებდურებისაგან და რა ზომები იქნას მიღებული თუშეთში წესრიგისა და მოქალაქეობრიობის აღსადგენად. რომლებიც მისცემენ მათ მეტ ძალას და შესაძლებლობას,

<sup>54</sup> აკ. შანიძე. ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, 1931, გვ. 114.

<sup>55</sup> Акты. т. 9. 1884, стр. 140-143.

რომ წინააღმდეგობა გაუწიოს მეზობელ მტრულად განწყობილ ტომებს და მისცემს საშუალებას თუშებს უშიშრად მართონ თავიანთი მეურნეობა და პოაღწიონ კეთილდღეობის იმ დონეს, რომელზეც მთავრობას სურს იხილოს ყველა მისი მორჩილი“.<sup>56</sup>

აღნიშნული წერილიდან ირკვევა, რომ კომისიას გენ. გოლოვინისათვის თუშეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ამომწურავი დასკვნები წარმოუდგენია. კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალების გაცნობის შემდგომ, გოლოვინი სთხოვს გენ. ბრაიკოს, რომ თუშების სახელზე გასცეს შემდეგი განკარგულება:

„1. გამოუცხადოთ თუშების ოთხსავე თემში, რომ თუშეთის დაცვა თვითონ მათ ვეალებათ და ნუ ელიან ჩვენს ჯარებს თავიანთ საზღვრებზე სიმაგრეების და სადარაჯოების დასაკავენლად.

2. რომ თუშეთის დასაცავად დაყენებულ იქნან ყარაულები ოთხივე თემიდან ზამთარ-ზაფხულობით, კომლთა რიცხვის გათვალისწინებით და საჭიროების მიხედვით“.<sup>57</sup>

თუშეთის დაცვაში, თუშებთან ერთად, ფშავლებიც მთავრობას ვალდებულნი გაუხდია, რადგან ისინი იმიერკავკასიელებისაგან არავითარ საშიშროებას არ განიცდიდნენ, ერთი მხრივ, მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი ადგილების წყალობით, რომ ისინი უშუალოდ არ ეხებოდნენ მტაცებელთა საზღვრებს, ხოლო მეორე მხრივ, იგი დაცული იყო თუშთაგან. აღნიშნულის შესახებ წერილში ეკითხულობთ: „ზამთრობით დარაჯობისათვის თუშთა ოთხივე თემიდან შეიარაღდეს 150 კაცი, ხოლო ფშავთაგან 100; სხვათაშორის, ეს რიცხვი შეიძლება შემოკლდეს. თუ კი ეს დავალება ძალიან მძიმე აღმოჩნდება, როგორც პირველთათვის, ისევე მეორეთათვის“.<sup>58</sup>

წერილში საგანგებოდ ხაზი აქვს გასმული თუშეთში ციხესიმაგრეების აშენებისა და ქისტეთ-ლექეთის საზღვრებზე საყარაულოების მოწყობის საკითხს. „ეს ყარაულები. – წერს გენ. გოლოვინი, – დაყენებულ უნდა იქნან თუშეთის საზღვარებზე, ლექებისა და ქისტების წინააღმდეგ. ისეთ ადგილებში, სადაც მტაცებლებს შეუძლიათ გასვლა, ამ ყარაულების განლაგება დავალებული აქვს ლექების ხაზის მეთაურს. მაგრამ რადგანაც უკვე თოვლმა დაფარა თუშეთი და წელიწადის დრო არ გვაძლევს საშუალებას ავაშენოთ ყარაულთათვის კოშკები აუცილებელ ადგილებში, მიმდინარე ზამთარს დაეკმაყოფილდეთ იმ ყარაულებით, რომელთა შენახვას ითვალისწინებს მოურავი. გაზაფხულის დადგომისას ლექების ხაზის მეთაური ჩაეა თუშეთში, აარჩევს ადგილებს ყარაულთათვის და გასცემს ბრძანებას თუშეთის ტიპის ქვის კოშკების ასაშენებლად. კოშკები აშენდეს იმ ოდენობით. რაც ადგილზე მყოფი ხალხისთვის

<sup>56</sup> Акты, т.9, стр. 140.

<sup>57</sup> Акты, т.9, стр. 141.

<sup>58</sup> იქვე.

იქნება საჭირო... დიკლოს მახლობლად მდებარე ძველი სიმაგრე შეკეთდეს, ანდა აიგოს იქ კოშკი, რომ იმ სოფლის მცხოვრებლებმა შეძლონ თავშეფარება და თავიანთ წინანდელ ადგილებში დასახლება“.<sup>59</sup>

როგორც ეტყობა, იმის გამო, რომ იმ დროისათვის თუშეთის წოკათა საზოგადოების მოსახლეობა ზამთრობით თუშეთში აღარ ცხოვრობდნენ და კახეთის ბარში ალვანის ველზე მოსახლეობდნენ, უარს ამბობდნენ, ანდა ნაკლებ დაინტერესებას იჩენდნენ თუშეთის დაცვაზე. ეს მაშინ, როცა იგივე წოვა-თუშები თუშეთის მდიდარი ალპიური საძოვრებით ისევე სარგებლობდნენ, როგორც დანარჩენი თუშები. წოვა-თუშების საქციელით უკმაყოფილონი ყოფილან დანარჩენი თუშები, რაც მთავრობის ყურადღებ მისულა, რისთვისაც ხელისუფლებას საგანგებოდ ყურადღება მიუქცევია კიდეც. აღნიშნულის თაობაზე ხსენებულ წერილში ვკითხულობთ: „რადგანაც გომეწრელების, ჩაღმელების, პირიქითელების და წოვების თემთა შორის მტრობა გაჩნდა და პირველი საშინი უკმაყოფილონი არიან, რომ უკანასკნელნი სარგებლობენ თუშთა მიწებით, მაგრამ ზაფხულობით არ იცავენ მხარეს. საჭიროა ბოლო მოეღოს ამ უკმაყოფილებას. წოვებმა უნდა გამოყონ ყარაულები, რამდენიც მათ მოუწევთ; პირველად მათ ადგილები დაიკაონ მოურავის შეხედულები-სამებრ, რომელსაც მე ვაკვალე თუშეთის დაცვას, ხოლო ლეკების ხაზის უფროსმა მოურავთან ერთად განსაზღვროს, თუ სახელდობრ, სად და რამდენი ყარაული უნდა იქნეს გამოყოფილი ზამთრობით და განსაკუთრებით ზაფხუ-ლობით“.<sup>60</sup>

მთავრობა წოვა-თუშებს დამუქრებია თუშეთის მდიდარი საზაფხულო საძოვრებით სარგებლობის წართმევით, თუ ისინი უარს იტყობდნენ თუშეთის დაცვაზე. აღნიშნულის შესახებ ვკითხულობთ: „თუ კი წოვებმა არ ისურვეს ყარაულების გაგზავნა თუშეთის დასაცავად ზამთარ-ზაფხულობით, გამოეცხადოთ მათ, რომ დაკარგავენ თუშეთის მიწებით სარგებლობის უფლებას, რომელიც მათს თემს ეკუთვნის და იქ დასახლებულნი იქნებიან სხვები. ამისათვის მოიწვიეთ ქისტები და მიეცით მათ წოვების თემთა მიწები იმ პირობით, რომ მათ დაიცვან თუშეთი აღამიანთა იმ რიცხვით, რომელთა გამოყოფაც მათ მოუწევთ; ყველაფერში დაემორჩილონ მოურავს და იხადონ გადასახადი, ისევე როგორც დანარჩენმა თუშებმა“.<sup>61</sup> ხოლო „თუ კი წოვები უარს არ იტყვიან, – ვკითხულობთ წერილში, – ზამთარში ყარაულების მთებში (ე.ი. თუშეთში, ვ.ე.) გაგზავნაზე, მაშინ მიწები რომლებითაც ისინი სარგებლობდნენ მათვე დარჩებათ. ასეთ შემთხვევაში გამოეცხადოთ გომეწრელებს და წოვებს, რომ ყველა საძოვარი ადგილი თუშეთში ერთნაირად ეკუთვნის ყველა თემს“.<sup>62</sup>

<sup>59</sup> Акты, т. 9, стр. 141.

<sup>60</sup> იქვე.

<sup>61</sup> იქვე.

<sup>62</sup> იქვე, გვ. 141-142.



მთავრობის მიერ დაწესებულ იქნა ყარაულების ადგილებზე გაგზავნისა და მათი სხვა ყარაულებით შეცვლის რიცხვები. საყარაულოებზე მიმაგრებულნი იქნენ სპეციელური პირები, რომელთაც ხელისუფლება უნიშნავდა ჯამაგირს. აღნიშნულის თაობაზე წერილში ვკითხულობთ: „ყარაულები გამოიცვალონ 1 მაისისთვის და 1 ოქტომბრისთვის, გარდა იმ თემებისა, რომლებიც თუშეთში იზამთრებენ, რომელთაც შეიძლება დაერთოს შეცვალონ თავიანთი ხალხი ყოველთვიურად. ყოველ საყარაულოს მიემაგროს იუზბაშები, რომელთაც მიეცეთ 10 მანეთი ვერცხლით ყოველთვიურად“.<sup>61</sup>

თუშეთის მთები გაშწესებული ყარაულების საკვებით მომარაგების შესახებაც საგანგებო ღონისძიება იქნა დასახული. მოაერობა სწორად ვარაუდობდა, რომ ოჯახსა და სოფელს საკმაოდ დამორებულ ყარაულებს ძალიან გაუჭირდებოდათ სურსათის შოვნა, ამიტომ ხელისუფლებამ გასცა განკარგულება სურსათ-სანოვავის თელაეში მომარაგება-ჩატანის შესახებ, საიდანაც თვითონ თუშები თავიანთი ცხენებით წაიღებდნენ ადგილებზე.<sup>64</sup>

ხელისუფლების წარმომადგენელ-მოურავს, რომელსაც თუშეთის მეთვალყურეობა-ხელმძღვანელობა ევალებოდა, თითოეულ სოფელში დაუნიშნეს მუდმივი წარმომადგენელი, რომლის საშუალებითაც მას უფრო მეტი კონტროლი უნდა დაემყარებინა, როგორც თუშებზე, ისე საერთო მდგომარეობაზე. ყველა განკარგულება და დაწესებული ბეგარის აკრეფა თუშეთში ხორციელდებოდა ამ ზემდეგების საშუალებით. თვითონ ეს ზემდეგები თავისუფლდებოდნენ ყოველგვარი გადასახადისაგან და ყარაულობიდან.<sup>65</sup>

შექმნილ რთულ ვითარებაში, როდესაც თუშეთი მეზობელი მტაცებლებსაგან დიდად დაზარალდა და კიდევ უარესი იყო მოსალოდნელი, ხელისუფლებამ ადრინდელთან შედარებით გაზარდა თუშეთის მოურავის უფლებამოვალეობა, გაუზარდა ხელფასიც. ხოლო სამაგიეროდ იგი ვალდებული იყო მუდმივად თუშეთში ყოფილიყო და პასუხი ეგო მის ავკარგიანობაზე. წერილში ვკითხულობთ: „წესრიგის დამყარებისათვის, კეთილმოწყობისა და თავდაცვისათვის ფხიზელი ზომების მისაღებად, თუ ეს საჭიროებამ მოითხოვა, მოურავს მთიან თუშეთში მუდმივი ადგილსამყოფელი უნდა ჰქონდეს. და რამდენადაც მთებში, სადაც არაფერი არაა. დაკავშირებულია ზედმეტ ხარჯებთან, ვუნიშნავ მას. გარდა 300 მანეთისა, რომელსაც ამჟამად იგი ღებულობს, კიდევ 300 მანეთს. ე.ი. სულ 600 მანეთს“.<sup>66</sup>

მოურავს ოფიციალურად უფლება მიეცა დაესაჯა თუშები, რომლებიც მეზობელ მთიელებთან მთავრობის მიერ განსაზღვრულ ურთიერთდამოკიდებულების ნორმებს დაარღვევდნენ. მაგრამ მოურავს ამ დასჯის დროს

<sup>61</sup> Акты. т.9. стр. 141-142.

<sup>64</sup> იქვე.

<sup>65</sup> იქვე. გვ. 142.

<sup>66</sup> იქვე.

უნდა ეხელმძღვანელა „მხარეში (ე.ი. თუშეთში. ე.ე.) ოდითგან გამეფებული და დაკანონებული წესებით“.<sup>67</sup>

როგორც ეტყობა, თუშეთის თემთაგან მეზობელ მთიელებთან ურთიერთობაში განსაკუთრებულ დამოკიდებულებას თვითნებობას პირიქითის საზოგადოების თუშები მიმართედნენ ხოლმე. ამიტომ დოკუმენტში პირდაპირ მითითებულ იქნა პირიქითელი თუშების მეზობელ ქისტებთან ურთიერთობაზე და დაეკვლა მოურავს მათზე საგანგებო კონტროლი დაეწესებინა. წერილში ვკითხულობთ: „ყველა თუშს, და განსაკუთრებით პირიქითის თუშს, აკრძალოს იქონიონ მეგობრული კავშირი შეურაცხებელ, მაჰმადიანური სარწმუნოების მქონე ქისტებთან. ხოლო თავიანთი ქალიშვილები არ გაატანონ მათ ცოლებად, ასევე მათგან არ შეირთონ ცოლები, თუ ისინი არ ისურვებენ მიიღონ ქრისტიანობა“.<sup>68</sup>

დიდო-ლეკთაგან აოხრებული დიკლოსა და ამ მხრიდან თუშეთის შემოსასვლელი კარის გასამაგრებლედაც იქნა ღონისძიება დასახული. მთავრობამ გამოყო გარკვეული ოდენობის თანხა, რომლითაც უნდა დაესახელებინა უსახლკაროდ დარჩენილი მოხეტიალე დიკლოელები და აგრეთვე აეშენებინა ახალი ციხესიმაგრეები. აი, რას წერს აღნიშნულის თაობაზე გენ. გოლოვინი გენ. ბრაიკოს: „დიკლოში სიმაგრეების აღდგენისას, უხიფათო ყარაულობის მოწყობის მიზნით, მოხეტიალე დიკლოელები იძულებით დასახლებულ იქნან თავიანთ მიწაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოეცხადოს მათ, რომ მათი მიწები დასასახლებლად მიეცემათ სხვა ხალხს თუშეთში ჩასასახლებლად“.<sup>69</sup>

მთავრობას სოფ. დიკლოს უსახლკაროდ დარჩენილ მეკომურთათვის გამოუყვია 20-20 მანეთი ვერცხლით. აგრეთვე დაუსახია ღონისძიება ტყვედ წაყვანილ დიკლო-შენაქოელთა თუშეთში დაბრუნების შესახებ. სამაგიეროდ ხელისუფლებას თუშებისაგან მოუთხოვია მოურავისადმი სრული მორჩილება და მეზობელ მთიელებთან ისეთ დამოკიდებულებაში ყოფნა, როგორც მეფის რუსეთისათვის იყო მისაღები. „დახმარების სახით დიკლოელებს, რომლებიც მოხსენიებულნი არიან ამას დართულ სიაში, – წერს გენერალი გოლოვინი, – ვუნიშნავ ოც-ოც მანეთს ვერცხლით ჩასახლებისათვის, და თუ ვინმე მათგანს არ მოესურვება ეს, მაშინ ასეთებს დახმარება არ მიეცეს. გამოეცხადოთ მათ, რომ მე ვღებულობ გადამჭრელ ზომებს ტყვეების გამოსყიდვისათვის და დატყვევებულთა და მათი ოჯახების გაცვლა-გამოცვლისათვის და ვიმედოვნებ, რომ ახლო მომავალში ზოგიერთნი დაბრუნდებიან. ჩააგონეთ თუშებს, რომ მთავრობა მათ უწევს მხოლოდ მოწყალებას, მოელის მათგან მოურავისადმი სრულ მორჩილებას და მხოლოდ მათ შორის ასეთი დამოკიდებულების შემკვებით გამეფდება სიწყნარე და კეთილდღეობა“.<sup>70</sup>

<sup>67</sup> Акты. т.9, стр. 142.

<sup>68</sup> იქვე.

<sup>69</sup> იქვე.

<sup>70</sup> Акты. т.9, стр. 142.

თუშებს აეკრძალათ მოურავის ნებართვის გარეშე თუშეთიდან და ალენის ველიდან სხვაგან წასვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მოულოდათ მოურავისაგან დასჯა და ჯარიმის გადახდა. „გამოეცხადოს თუშებს, – წერს გე. გოლოვინი, – რომ მათგან არავის ამიერიდან არა აქვს უფლება იცხოვროს თუშეთის გარდა სხვაგან მოურავის ნებართვის გარეშე. გამოეცხადოს ეს ყველა თემის უფროსს და დაეგზავნოს მიწერილობა, რომ ისინი, რომლებიც აღმოჩნდებიან თუშეთისა და ალენის ველის ფარგლებს გარეთ მოურავის მიერ გაცემული ბილეთის გარეშე, დაჭერილ იქნებიან და გაეგზავნებიან მოურავს იძულებითი წესით, ხოლო უკანასკნელი ვალდებულია ისინი დააჯარიმოს ჯიუტობა-მოუსმენლობისათვის.“<sup>71</sup>

დაღისტნელი მმართველების მიერ თუშეთზე ასეთი მასობრივი თავდასხმის შემდგომ ხელისუფლებას მიზანშეწონილად მოუჩნევია თუშეთთან ერთად ფშავ-ხევსურეთის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზეც ვფიქრა. გატარდა ღონისძიება ამ სამივე კუთხის გაერთიანების მიზნით. თუშ-ფშავ-ხევსურეთი ერთ სამოურავოდ გამოყვეს და მის მმართველად დანიშნეს თუშეთის მოურავი თავადი ჩოლოყაშვილი. ჩოლოყაშვილს ხევსურეთში და ფშავში გამოუყვეს მოადგილეები, რომელთაც მთავრობამ დაუნიშნა ხელფასი 300-300 მანეთის ოდენობით. ხევსურეთში და ფშავში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ყარაულების გამოყვანა საზღვრების დასაცავად საეკონომიკურად წესად იქნა შემოღებული. „შტაბის კაპიტანს თავად ჩოლოყაშვილს დაევალა ყველა ღონე იხმაროს, რათა დაამყაროს წესრიგი და კეთილდღეობა მისთვის მინდობილ ტომებში, ამისათვის მან გონივრულად უნდა გამოიყენოს გულმოდგინების ზომები, რომ დაიმსახუროს მთიელთაგან ნდობა და პატივისცემა; ამასთან ერთად ეცადოს არ გააღვივოს რაიმე საერთო უკმაყოფილება, რომელიც აღმოცენდება მხოლოდ უილაჯო და უმართებულო მმართველობის შედეგად“.<sup>72</sup>

მთავრობა განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენს ხევსურებსა და თუშებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარების თაობაზე. რადგან მათს გაერთიანებას და ერთობლივ მოქმედებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აღნიშნულის შესახებ გენ. გოლოვინი შეახსენებდა გენ ბრაიკოს: „ყველა ზომა იქნას ხმარებული თუშთა და ხეკისურთა ტომების შეგობრული შერიგება-შეკავშირებისათვის, რომ ამ ორმა შამაკმა და მებრძოლმა ტომმა შეადგინოს ერთი მთლიანი საწოგადობა, რომელიც ურთიერთდახმარებისათვის ყოველთვის მზადყოფნაში იქნება და აშკარად შეიქმნება მყარი საყრდენი მტაცებელი ჩქანქებისა და ლეკების წინააღმდეგ. ეს მეტად დიდი მნიშვნელობის საქმეა, და, რა თქმა უნდა, მოითხოვს ბევრ დროსა და უდიდეს გონიერებას, მთომინებასა და სიმტკიცეს, მაგრამ ამ სარგებლის ზომა, რომელიც შეიძლება მოყვეს ამ ღონისძიების გატარებას, დამოკიდებულია

<sup>71</sup> Акты, т.9, стр. 142.

უფროსების ყურადღებასა და შტაბის კაპიტან ნოლოცაჰკილის გულმოდ-  
გინებასა და შრომაზე.<sup>73</sup>

XIX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოსა და 40-იანი წლების დასაწყი-  
სიდან თანდათან უფრო რთულდება თუშ-ფშავ-ხევსურეთის მდგომარეობა.  
1841 წლის ივლისში შედგენილი საარქივო დოკუმენტებიდან ვიგებთ, რომ  
ქისტეთის მხრიდან საქმე აქვს დიდ სამზადისს; თავდამსხმელი მტაცებლების  
გაერთიანება ხდება ქისტეთში, რომელთა ხელმძღვანელადაც შამილს გა-  
მოუგზავნიან თავისი საიმედო თანამებრძოლები, რათა მოაწყონ თუშეთზე და  
ხევსურეთზე თავდასხმები ამ მხარეების შემინებისა და განადგურების მიზნით.<sup>74</sup>  
იმავე წლის 27 აგვისტოს რიცხვით დათარიღებული საბუთი გვატყობინებს,  
რომ შამილის განკარგულებით ქისტების გაერთიანება-დარაზმვა ხდება თუშეთზე  
გასალაშქრებლად.<sup>75</sup>

1841 წლის 15 ივნისს ქისტები მძარცველები თავს დასხმიან პირიქითის  
საზოგადოების სოფ. ჭონთიოს. მოძალადეებსა და თუშებს შორის გამართულა  
ბრძოლა. ქისტებს მოუკლავთ ერთი თუში მამაკაცი, დაუჭრიათ ორი მამაკაცი  
და ერთი ქალი; მძარცველებს 1500-მდე ცხვარი გაუტაციათ და სასწრაფოდ  
დაბრუნებულან უკან. იმავე წლის 23 ივნისს მრავალრიცხოვანი ქისტების  
რაზმი ახლა ხევსურეთზე აწყობს გალაშქრებას. მათ სოფ. მუცოზე მიუტანიათ  
იერიში, ყველა გზები საგანგებოდ დაუკავებათ და წაუყვანიათ 300 მსხვილფეხა  
საქონელი და 400 სული ცხვარი.<sup>76</sup>

1842 წლის 13 მაისს თელავის მაზრის უფროსი საქართველო-იმერეთის  
სამოქალაქო გუბერნატორს უგზავნის მოხსენებას, რომ თუშეთის მკვიდრმა  
ლანიში ბორძიკიძემ განუცხადა 12 მაისს, თუშეთში შამილის მიერ ორი პირის  
მოვლინების შესახებ, რომელთაც დავალებული აქვთ თუშეთში მოკრიფონ  
ხარკი შამილის სასარგებლოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შამილი თუშეთს  
სრულ მოსპობას უქადისო. საჭირო იყო ამ კუთხის დაცვა და პატრონობა.<sup>77</sup>

ფშავ-ხევსურეთთან შედარებით მაინც უფრო სავალალო მდგომარეობაში  
თუშეთი იმყოფებოდა. დაღისტნისა და ქისტეთ-ჩაჩნეთის ფეოდალთა მტაცებლური  
რაზმები მოსვენებას არ აძლევენ თუშეთის მოსახლეობას, ცდილობენ მათს  
დაპყრობას და ამ კუთხის მოსპობა-დამორჩილებას. თუშეთის აოხრება კვლავ  
უმეტესწილად, დიკლო-შენაქოს მხრიდან ხდებოდა, რადგან, როგორც აღინიშნა,  
ეს სოფლები დიდოეთ-დაღესტნის სასაზღვო სოფლებია. 1843 წლის 27  
მაისს დიდოებისა და ლეკების საკმაოდ დიდი ჯარი დასხმია სოფ. დიკლოს.  
მტაცებლებს სამი ფარა ცხვარი გაუტაციათ. თუშებს გატაცებული ცხვრის

<sup>73</sup> Акты, т. 9, стр. 142. ხაზი ჩვენია. ვ.ე.

<sup>74</sup> Шамиль-ставленник Султанской Турции... 1953, стр. 200-201.

<sup>75</sup> იქვე, გვ. 202.

<sup>76</sup> იქვე, გვ. 201.

<sup>77</sup> Шамиль-ставленник Султанской Турции... 1953, стр. 214.

ერთი ნაწილი საშვედრო-სასიცოცხლო ბრძოლების შედეგად უკან დაუბრუნებიათ, ხოლო 500 სული ცხვარი დაღისტანში გადაურეკავთ მძარცველებს.<sup>78</sup> 1843 წლის ივნისის თვეში დიდოეთის მხრიდან თუშეთზე თავდასასხმელი ახალი ძალების გაერთიანება ხდება. ახვერდი მახამედი აერთიანებს ლეკებს და დიდოებს და თუშეთის დასალაშქრავად ემზადება. თუშეთის თავდაცვის მიზნით საგანგებო ღონისძიებები იქნა გატარებული. მტერმა ამჯერად ვერ მოახერხა თუშეთზე თავდასხმა.<sup>79</sup>

იმავე წლის ივნისში აშკარა გამხდარა თუშეთის ოლქის უფროსისათვის „что горная Тушетия в большой опасности: кистины и лезгины угрожают нападением, требуют именем Шатилия дани, отзвываясь в случае отказа опустышит целую Тушетню.“<sup>80</sup>

თუშეთის მსგავსად ხევსურეთიც ქისტ-ჩეჩენ-ლეკების მხრიდან აქტიურ თავდასხმებს განიცდის. იმერკაკასიელი მძარცველები ცდილობენ ხევსურეთზეც ხშირ-ხშირი თავდასხმებით შექონონ ამ მხარის შეშინება-დამორჩილება იმგვარად, რომ მას ანგარიში აღარ ეწეოდეს, როგორც მეომარ ძაღს და როგორც მათზე თავდასხმებისათვის საიძელო პლაცდარმს ფშავ-თუშეთთან ერთად. ამ მიზნით 1843 წლის ივნისში დიდი ჯარით ხევსურეთს თავს დაესხა შაბილის თანამებრძოლი ახვერდი მახამედი.

ახვერდი შატილში გადმოსულა და ხევსურებისათვის მორჩილება მოუთხოვია. შატილის მცხოვრებლებს უარი უთქვათ დამპყრობელთათვის და იარაღისთვის მოუკიდიათ ხელი, ბრძოლა ხევსურებსა და მტაცებლებს შორის სამი დღე-ღამე გაგრძელებულა. ხევსურებმა მოკლეს მრავალი მომხდური და თვით ახვერდი მახამედიც. „ამის შემდეგ დამარცხებული ლეკის ჯარი უკანვე გაბრუნებულა. ამ გამარჯვებისათვის შატილელებს საჩუქარი მეფის მთავრობისაგან მიუღიათ ჯვარმენდლები, რამდენიმე ფუთი პური და თოფის წამალი. გამარჯვების აღსანიშნავად მთავრობის განკარგულებით აქვე აუგიათ პატარა ეკლესია, რომლის კედელში ჩაუსვამთ ქვა ასეთი რუსული და ქართული წარწერით: „უმაღლესისა, ბრძანებისამებრ ჯილდოდ შატილელთა დამარცხებისათვის ახვერდი მახამედის და მისთა შეყრილთა ჯართა ჩ (1843წ) წელსა შინა, აღშენებულ ამას ჩთ (1849) წელსა განკარგულებითა კნიაზის ნამესტნიკისათა.“<sup>81</sup>

როგორც ერთი საარტივო საბუთიდან ჩანს ახვერდი მახამედის განზრახული ჰქონია თუშეთს, ფშავსა და ხევსურეთს ერთდროულად დასხმოდა თავს, რათა ისინი ერთიმეორეს ვერ მიხმარებოდნენ, ხოლო მას კი ცალ-ცალკე მოეწყო მათი დაპყრობა-განადგურება. როგორც ეტყობა, თუმ-ფშავ-ხევსურეთის

<sup>78</sup> Шамиль-ставленник Султанской Гуршии... 1953. გვ. 221.

იქვე, გვ. 222.

<sup>79</sup> იქვე.

<sup>81</sup> ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1935. გვ. 52

საგანგებო სიფხიზლე-სამზადისმა და მთავრობის მიერ დროულად ჩატარებულმა ღონისძიებებმა ახკერდი მახაშელის ხელი აღებინა განზრახვის შესრულებაზე.<sup>82</sup>

40-იანი წლების დასაწყისში შამილის მიერ თუშ-ფშავ-ხევსურეთზე მოწყობილ თავდასხმებს იმიერკავკასიელი მმარცველებისათვის მაინც და მაინც სასურველი შედეგები არ მოჰყოლია; მათ ვერ მოახერხეს ქართველი მთიელების დამორჩილება და თავის სამსახურში ჩაყენება. განრისხებული შამილი ამ ხალხის დახარკვაზეც ბევრს ოცნებობდა, მაგრამ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მიმართულებითაც თუშ-ფშავ-ხევსურები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ. მაგალითად, 1845 წლის 28 თებერვლის დათარიღებულ პატაკში, რომელიც გენერალ-ლეიტენანტ შვარცმა გადასცა კავკასიის მეფისნაცვალ მ. ვორონცოვს, ვკითხულობთ: „...каждую неделю от Шамиля приезжает в Шатилы в посланнике и требуют дани по 1 руб. серебром с дыма. шатилцы в этом решительно отказывают.“<sup>83</sup> შამილის ყოველგვარი ცდა თუშ-ფშავ-ხევსურეთის შემორიგებისა თუ შეშინების მიზნით განუხორციელებელი რჩებოდა, რაც ამ ორ მხარეს შორის კვლავ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების გაგრძელების მანუწყებელი იყო. და მართლაც, ჩრდილოკავკასიელი მმარცველების ხშირ-ხშირი თავდასხმები თუშ-ფშავ-ხევსურეთზე და სამაგიეროს გადახდის მიზნით თუშ-ფშავ-ხევსურების ბრძოლები ბარელ თანამემამულეებთანა და მეფის რუსეთის რეგულარულ ჯარის ნაწილებთან ერთად იმიერკავკასიელების წინააღმდეგ უმაღლეს ზენიტში შედის XIX ს-ის 50-იან წლებში, რაც ბოლოს და ბოლოს შამილის დატყვევებითა და ჩრდილოკავკასიის რუსეთთან შეერთებით დამთავრდა.

1846 წლის ზაფხულში დიკლო-შენაქოს მხრიდან თუშეთს შემოესია დილო-ლეკების 3 000-იანი ლაშქარი. თუშეთის ასაოხრებლად წამოსული დაღისტნელი მმარცველები 60 კაცისაგან შემდგარ თუშთა რაზმს უკან განუდევნია. თუშეთის საზღვრებში არ შემოუშვია და მოსალოდნელი უბედურება თავიდან აუცილებია. „В 1846 году, жители нескольких деревен чагминского общества, которые могли выставить не более 60 защитников. отразили напавшее на них в располох скопище более 3 тис. лезгин и дидойцев.“<sup>84</sup>

1848 წლის 23 ივლისს გენერალ-ლეიტენანტი შვარცი აღნიშნავდა, რომ 16 ივლისს მან შეიტყო თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის უფროსისაგან იმ საშიშროების შესახებ, რაც დაღესტნის მხრიდან თუშეთს მოელოდა. შამილს განზრახული ჰქონია თუშეთის ყველა სოფლის განადგურება და თუშების ცხვრის ფარებისა და მსხვილფეხა საქონლის დაღისტანში გადარეკვა. თუშეთის მომავალი საშიშროების თავიდან აცილების მიზნით თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის უფროსს 900 მეომარი ფშავ-ხევსურეთიდან მოუყვანა, რომელიც შეერთებია

<sup>82</sup> Шамиль-ставленник Султанской Турции... 1953, стр. 222-223.

<sup>83</sup> იქვე, გვ. 285.

<sup>84</sup> Н. Дубровин, история войны инвладичества русских на Кавказ, т. 1, кн. 2. 1871, стр. 188.

დონის კაზაკების №23 პოლკი და მტრის შესახვედრად მომზადებულია. მაგრამ, როგორც გენერალ-ლეიტენანტი შვარცი აღნიშნავს, გაურკვეველი ხდება, დაესხნენ თუ არა თუშეთს დაღისტნელი ფეოდალები. აღნიშნულის გამო შენიშნავს შვარცი: „С 17 по 21 число никаких донесений от частных начальников о действиях войск и сведениях о неприятеле не получено.“<sup>85</sup> გენერალ-ლეიტენანტ შვარცის მიერ 1848 წლის ოქტომბერ-ნოემბერში შედგენილი დოკუმენტებიდან ნათელი ხდება, რომ ქისტ-ლექები თუშეთზე ხან ქისტეთის მხრიდან, ხოლო ხან კი დიდოეთ-დაღესტნის საზღვრებიდან იჭრებიან თუშეთის პირიქითისა და ჩალმის თემებში და მშვიდობიან მოსახლეობას აწიოებენ, იტაცებენ საქონელს და ადამიანებს.<sup>86</sup>

1850 წლის 22-23 მაისს ქისტების ორი პარტია თავს დასხმია თუშეთის პირიქითის საზოგადოების ჩეჩენ-ქისტეთთან სასაზღვრო სამ სოფელს ჭონთიოს, გირევს და დაქიურთას. მძარცველების მთავარი მიზანი ყოფილა საქონლისა და ადამიანების გატაცება. სოფლის მკვიდრ მამაკაცებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართავს მტაცებლებისათვის. უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა 5 თუში მამაკაცი, დაიჭრა სამი მამაკაცი და ორი ქალი. მტრის მხრიდანაც მრავალი იქნა მოკლული.<sup>87</sup>

შამილის უშუალო ხელმძღვანელობით და მითითებით თუშეთის აოხრებამოსაობის მიზნით მოწყობილ ლაშქრობა-შემოსევებს შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს 1852 წლის აგვისტოს თვეში მოწყობილი დიდი სამხედრო ექსპედიცია, რომლის დროსაც თუშეთი აშკარა ყოფნა-არყოფნის წინაშე აღმონდა. 1852 წლის 9 აგვისტოს პოდპოლკოვნიკ თავად ჩოლოყაშვილის მიერ გენერალ-ლეიტენანტ ბებუთოვისადმი გაგზავნილ მოხსენებიდან ჩანს, რომ შამილის დავალებით თვით მის შვილსა და ნაიბებს თუშეთის განადგურება განუიზარახეთ. რამდენიმე ათასი დიდო-ლექისა და ქისტ-ჩაჩნების ჯარის გამოყენებით დაღესტნის იმაძის შვილი და ნაიბები ცდილობენ თუშეთის სამივე საზოგადოებაზე: ჩალმა-გომეწარსა და პირიქითზე ერთდროულად მოაწყონ თავდასხმა და ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტონ ამ კუთხის საკითხი: „Сын же Шамиля с десятью наибами в значительной силе двинулся со стороны Кахетии в Горную Тушетию с намерением сделать с трёх сторон внезапное нападение на Пирикительское общество и через Хушети с шестью наибами на сел Динкло и Шенако третья же партия чрез Асахойскою гору на остальные деревни Чагминского общества. а те наибы, которые также с силою находились напротив Хвитрахо, преградили дароги, ведущие со стороны Кахетии в Тушетию.“<sup>88</sup>

<sup>85</sup> Шамиль-ставленник Султанской Турции... 1953. стр. 297.

<sup>86</sup> იქვე, გვ. 306-307.

<sup>87</sup> იქვე, გვ. 320-321.

<sup>88</sup> იქვე, გვ. 322.

თავადი ჩოლოყაშვილი დაწერილებით აღწერს და შენიშნავს, რომ 5 აგვისტოს შაშილის შვილსა და 8 ნაიბს, რომელთაც ჰყავდათ 8 ათასი ცხენოსანი და ქვეითი მეომარი, დაიწყეს კახეთის მხრიდან თუშეთისაკენ გადმოსასვლელი ყველა გზებისა, სიმაღლეებისა და ხეობების დაკავება. ხოლო ოთხი ნაიბი კი მრავალრიცხოვანი მტაცებლების თანხლებით გაგზავნილ იქნა ჩაღბისა და გომეწრის სოფლების ასაოხრებლად. პარალელურად გათვალისწინებული იყო ქისტ-ჩეჩენებიდან თავდასხმა პირიქითის საზოგადოებაზე და დიდოეთის მხრიდან კი იერიში უნდა მიეტანა ჩაღბის საზოგადოების სოფლებზე; დიკლოზე და შენაქოზე. მტერმა სცადა თუშეთის ბლოკადაში მოქცევა. მან, მართლაც ყველა მიმართულებით შეუტია. მაგრამ თუში მამაკაცებისა და კახეთის მხრიდან გაგზავნილი დამხმარე ძალების თავდადებული და გაბედული წინააღმდეგობის შედეგად დამპყრობლების გეგმა განუხორციელებელი დარჩა. მტერმა ვერ შეძლო ვერც მოსახლეობის გაულეტა და ტყვედ წაყვანა და ვერც მსხვილფეხა საქონელი და ცხვრის ფარები წაიყვანა დიდი რაოდენობით. მრავალი მტაცებელი იქნა მოკლული და დაჭრილი; მტერი დამარცხებული და გაბრუნებული იყო. თუშეთი გადაურჩა დიდ საშიშროებას.<sup>61</sup>

აღნიშნული დიდი სამხედრო ოპერაციის ჩაფუშვის შემდგომ შაშილი თუშ-ფშავ-ხევსურეთზე მსგავს შემოსევებს ვეღარ ანხორციელებს. მართალია, შემდგომ წლებშიც ადგილი ჰქონდა ჩრდილოკავკასიელი მძარცველი ფეოდალების თავდასხმებს ქართველ მთიელებზე, მაგრამ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი ძირითადად მტაცებლურ ხასიათს ატარებენ და მათ თუშ-ფშავ-ხევსურეთი საშიშროების წინაშე აღარც დაუყენებია. 1859 წელს ღუნიბის აღებითა და შაშილის დატყვევებით მოვლო ბოლო დიდოეთ-დაღესტნისა და ქისტეთ-ჩეჩენეთის მხრიდან თუშ-ფშავ-ხევსურეთზე ამოხრებელ შემოსევებსა და თავდასხმებს.

მრავალგზის აღვნიშნეთ, რომ ლეკიანობამ და მათთან ერთად ქისტ-ჩეჩენებმა, მოცემულ პერიოდში, თუშ-ფშავ-ხევსურეთს დიდი უსიამოვნება დაატეხეს თავს. მძარცველი-აბრაგი ნაიბებისა და მათ მიერ წამოყვანილი იმიერკავკასიელებისაგან მოიკლა და ტყვედ იქნა წაყვანილი მრავალი ქართველი მთიელი. დაინგრა არაერთი სოფელი და ციხე-სიმაგრე.

თუშ-ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიაზე დღესაც კიდევ უხვად მოიძებნება იმ დროს დანგრეული სოფლებისა და ციხესიმაგრეების ნანგრევები. ამ მხრივ განსაკუთრებულ ადგილს თუშეთი იკავებს და ეს გასაგებია. დიდოეთ-დაღესტანთან და ქისტეთთან ტერიტორიულმა სიახლოვემ, ფშავ-ხევსურეთთან შედარებით, მეტი ჭირ-ვარამი განაცდევინა. თუშეთს, რამაც მის მატერიალურ კულტურაშიც კპოვა თავისი ასახვა.

ხანგრძლივი დროის მანძილზე იმიერკავკასიელ მძარცველებთან ქართველი მთიელების ბრძოლამ თანდათანობით სახე შეუცვალა თუშ-ფშავ-ხევსურების საცხოვრებელ ბინებს და მივიღეთ სრულიად ახალი ტიპის, მრავალსართულიანი,

<sup>61</sup> Шамиль-ставленник Султанской Турции... 1953, стр. 322-324.



ეწ. ციხე-სახლები. თუშ-ფშავ-ხევსურეთის თითქმის ყველა სოფელი და უფრო კი მტრებთან შემხვედრი, სასაზღვრო სოფლები, ციხესიმაგრეს წარმოადგენდა. მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ საყოველთაოდ ცნობილი სოფელი შატილი, დიკლო, ჭონთიო, ქელო, ჩილო და სხვა.

თუშ-ფშავ-ხევსურეთში თავდაცვისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით აშენებული ციხეების შესწავლის გზით დგინდება, რომ გავრცელებული იყო ქართველ მთიელებში ორი ტიპის ციხეები: პირველი ტიპის ციხეებისათვის დამახასიათებელი ის არის, რომ პირველ სართულზე კარები არა აქვს და ციხეში შესვლა ხდებოდა მეორე სართულზე დატანებული კარებით. ციხეს მიედგებოდა კიბე. რომლის საშუალებითაც ხდებოდა ხალხის შეხიზვნა, ხალხი ნაწილდებოდა სართულების მიხედვით და შემდგომ კიბე ციხეში შეჰქონდათ. მეორე ტიპის ციხეებისათვის დამახასიათებელი იყო პირველ სართულზევე კარების დატანება. პირველი სართულის საშუალებითვე სწარმოებდა შემდგომ სართულებზე მოსახლეობის ასვლა და განაწილება. პირველი სართული, ხშირ შემთხვევაში, მსხვილფეხა საქონლის შესახიზნავად იყო გამოყენებული. თუშ-ფშავ-ხევსურეთში დღეისათვის შემორჩენილია კიდევ რამდენიმე ციხე, რომელთაც მართალია, შიშითა სართულები აღარ გააჩნიათ, ისინი დროთა ვითარებაში ჩამომავლან, მაგრამ კედლებისა და გადახურვის შხრავ ისინი კვლავ ინარჩუნებენ პირვანდელ მდგომარეობას და დღესაც ამაყად გამოიყურებიან.

თუშ-ფშავ-ხევსურების მრავალწლიანმა ბრძოლებმა იმიერკავკასიელ მმართველთა წინააღმდეგ შექმნა მდიდარი საბრძოლო ისტორია, სადაც მრავალ სახალხო გმირს საპატიო ადგილი უკავია. მათ შორის როგორც თავის დროზე ითქვა, ყველაზე თავდაპირველ და სახელმძღვანელო გმირს წარმოადგენს თუშ-ფშავ-ხევსურული ხალხური პოეზიით საყოველთაოდ ცნობილი ლუის ლუხუში. ლუის ლუხუში XVIII ს-ის გმირია. XIX საუკუნემ კი სხვა გმირები წარმოშვა. ესენია: შეთე გულუხაიძე, ივანე ელიზბარიძე, ლანიში ბორძიკიძე, ლეკაიძე იაკობი, ჭვრიტიშვილი ბაკური, კეისაიძე დავითი, დავით ნაკუდაშვილი, ოჩონაიძე ზეზვა, ჯაო ბერიკაიძე, იჩო წულაქაიძე, ვეშაგურ ვეშაგურიშვილი, თორღვა ქაზნიაური, ელანი ქაზნიაური, ძმები ბერო და ლეთისო ბექურიძეები, გოი დარქიზანიშვილი, ლაზარე უშარაული. მიხეილ ქადაგიძე, ლევან ფიფიშვილი (ქადაგიძე), თუნო საყურაშვილი. მიხეილ მუსტარაული, ლევან ლაგაზიძე, დავით ლაგაზიძე და სხვები.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში თუშ-ფშავ-ხევსურეთის მხრიდან იმიერკავკასიელი ფეოდალების წინააღმდეგ მებრძოლ გმირებს შორის ყველაზე საპატიო ადგილს იკავებენ შეთე გულუხაიძე და ივანე ელიზბარიძე. „შეთე გულუხაიძე, – წერს პროფ. ავ. იოსელიანი, – იყო თუშთა ლეგენდარული გმირი, რომელმაც უკედავყო თავისი სახელი შამილის ურდოებთან გამორულ ბრძოლებში. მასზე ხალხმა შესანიშნავი ლექსები და თქმულებანი შექმნა“.<sup>90</sup>

<sup>90</sup> ავთ. იოსელიანი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან. 1955, გვ. 175.

შეთეს უბადლო გმირის სახელი ჰქონდა. გ. ლვინიევის დახასიათებით, დიდო-ლეკების წინააღმდეგ მებრძოლთა შორის ყველაზე დიდ სახალხო გმირად მიჩნეულია შეთე გულუხაიძე. ამავე ნიშნებით ახასიათებს შეთეს ნ. ვოლკონსკიც. ორივე მკვლევარი შეთე გულუხაიძეს ახასიათებენ როგორც შეუდარებელ გმირს, რომელიც მთელ დაღესტანს შიშის ზარს სცემდა.

გ. ლვინიევის მიხედვით, შეთე გულუხაიძე იმდენად დიდი პიროვნება ყოფილა თავის დროისათვის, რომ მისი სურათი სამუშაო კაბინეტში ჰქონია საპატიო ადგილზე მოთავსებული მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს და იმავ დროს მისი სურათი ყოფილა თბილისის სასტუმროებშიც. აღნიშნულის შესახებ გ. ლვინიევი წერს: „...портрет его украсил не только залу Наместника Кавказского Воронцова, но и гостиницы Тфилиса.“<sup>91</sup>

შეთე გულუხაიძე იმდენად შიშის ზარს სცემდა მეზობელ მძარცველებს, რომ დიდოეთ-დარესტანში თურმე ატირებულ აბეზარ ბავშვებს შეთეს სახელით აშინებდნენ“... შეთი (შეთე, ვ.ე.) ლეკების ჯადოქარია, – წერს ცნობილი ფრანგი მწერალი ალ. დიუმა, – როცა დედებს ბავშვების დაოკება უნდათ, ეუბნებიან: დაჩუმიდი, თორემ შეთეს დავუძახებო, შემინებული ბავშვებიც ჩუმდებიან“.<sup>92</sup>

შეთე გულუხაიძის გმირობა-ვაჟკაცობაზე და რკინისებურ ნებისყოფაზე მიუთითებს მისი ერთი უცნაური მოქმედებაც. 1852 წელს შეთე გულუხაიძეს სამი ვაჟიშვილით მონაწილეობა მიუღია დიდო-ლეკების დასაჯელად გაგზავნილ ექსპედიციაში. ლეკებთან გამართულ ბრძოლებში შეთეს „უფროსი ვაჟი დაუჭრეს. მამას ძლიერ უყვარდა უფროსი ვაჟი და გული ჰქონდა გაბზარული დარდისაგან, მაგრამ სისუსტის გამოჩენა თავის ღირსების დამცირებად ჩასთვალა. მამას შეთი ერქვა... შეთეს დაანახეს სახლი, სადაც დაჭრილი ყმაწვილი იწვა. ის შვილთან მივიდა. მძიმე ტკივილებით შეწუხებული ყმაწვილი საშინლად კენსოდა. შეთე შვილს მიუახლოვდა, თოფს დაეყრდნო და შუბლშეკრულმა ჰკითხა:

- ვაჟკაცი გამიჩენია ქვეყანაზე თუ ღედაკაცი?
- ვაჟკაცი, მამაჩემო, – მიუგო შვილმა.
- თუ ვაჟკაცი ხარ მაშ რა გაკენესებს?

დაჭრილი დადუმდა და ისე განუტევა სული, რომ ხმა აღარ ამოუღია. მამამ ცხედარს ტანისამოსი გახადა და მაგიდაზე დააწყო. შემდეგ თავისი ხანჯლით კედელზე ოცდახუთმეტი ნაჭდევი გააკეთა, ხოლო ამის მერე შვილის გვამი სამოცდახუთმეტ ნაჭრად დააქუცმაცა. ესე იგი იმდენ ნაჭრად, რამდენი იარაღის მატარებელი ნათესავი და მეგობარიც ჰყავდა.

<sup>91</sup> Г. О. Гвиниев. О происхождении качества в Закавказьи. «Юридическое обозрение». 163, 1884. стр. 36.

<sup>92</sup> ალ. დიუმა, კავკასია, თარგმანი ფრანგულიდან თ. ქიქოძისა, შესავალი წერილი, რედაქცია და შენიშვნები აკ. გაწერელიასი. თბ. 1964, გვ. 263; იხ. აგრეთვე Гвиниев, დასახელებული ნაშრომი, გვ. 36.

– რას ჩადიხარ? – ჰკითხა პოლკოვნიკმა, როცა ეს საზარელი საქმე დაინახა.

– ჩემი შვილის სისხლის აღება მინდა, – წარმოთქვა მან, – ერთ თვეში მტერთა იმდენ ხელს შევავროვებ, რამდენი ნაჭერიც აქ არის.

მართლაც, ერთი თვის დამლევს შემთხვევის ნათესავ-მეგობრებისაგან სამოცდახუთმეტი ხელი მიიღო. თვითონაც თხუთმეტი დაუმატა და ამრიგად ლეკთა ოთხმოცდაათი ხელი შეაგროვა. ასწილ აიღო შემთხვევის შვილის სისხლი.<sup>93</sup>

შეთეს მიერ შვილის დაჭრის ამბავს ეხება გ. ღვინვეიც. იგი წერს: „Говорят, что Гарибальдцы почти также поступил с первою своею женою, убитою в походах его.“<sup>94</sup>

რ. ერისთავი პირადად შეხვედრია შეთეს ალვანში ნათლისმცემლის რელიგიურ დღესასწაულში. ერისთავი ბევრ საინტერესო ეპიზოდებს აღწერს შეთე გულუხაძის ცხოვრებიდან, მაშინ შეთე 50 წლისა ყოფილა. ამ დროისათვის, როგორც რ. ერისთავი წერს, შეთეს უკვე 70 მძარცველზე მეტი გადაბოიელი ჰყოლია მოკლული: „По счёту Шете в маленьких набеггах и стичках убито им собственно ручно 42 человека. да в больших делах более 28 человек.“<sup>95</sup>

ხალხური ზეპირსიტყვიერების ერთი ძეგლი და თუშური გადმოცემა კი შეთეს მიერ ნახოცი მტრის რაოდენობას სამასს და უფრო მეტს ასახელებს:

„ჩამოდოდნენ თუშები ხელმუხლით ჩამავებული,

სამჯერა აქონდა შეთესა აზარი გათავებული.

წელზედა ვერვინ შემახსნა ფრანგული გაფხვებული“.<sup>96</sup>

ამასთან დაკავშირებით თ. რაზიკაშვილი შემდეგ განმარტებას იძლევა: „ეს შეთე ცნობილი ისტორიული პირია (თუში). ლეკების სულთამხუთავი. ქართველთა დრუჟინის ისტორიაში წერია. ამ შემთხვევაში ერთ დღეს ყვარლის თავს ტყეში მიიმწყვდია 17 სათარეშოდ წამოსული ლეკი და 17-ვე მოკლავ. მთელ გუდას მოიტანდა თურმე ლეკის მარჯვენებით საცხეს. აზარი-ასის მოკლას რომ შეთავებდა. ვინც ას მსხვილ ნადირს მოკლავდა, მერმე დრომდე უნდა თოფი მიწაში დაეფლა“.<sup>97</sup>

თუშური ხალხური გადმოცემის მიხედვით კი შეთეს მიერ დახოცილ მოძალადეთა რიცხვი სამასს აღემატება. ხალხური ზეპირსიტყვიერება

<sup>93</sup> ალ. დიუმა, კავკასია, 1964, გვ. 261-262.; ხ. ბაკალათია, თუშეთი, 1933, გვ. 43.

<sup>94</sup> Г. О. Гвинишв. О происхождении какагства в Закавказии... стр. 36.

<sup>95</sup> აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, რ. ერისთავის ფონდი, №156; მისივე «Мои заметки», газ. «Кавказ», №33, 1855.

<sup>96</sup> ხალხური სიტყვიერება, ტ. III, ხალხური ლექსები თელ რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი, მიხ. ჩიქოვანის რედაქციით, 1953, გვ. 67.

<sup>97</sup> იქვე.

გადმოგვცემს, რომ ლეგენდარული შეთეს გმირობა-ვაჟკაცობაზე გავრცელებული ათასგვარი ხმებით დაინტერესებულა კავკასიის მეფისნაცვალთა ვორონცოვი და სახალხო გმირი თავისთან დაუბარებია. ვორონცოვი ეკითხება: – შეთე, თქვენზე ამბობენ, რომ ძალიან ბევრი ლეკი ჰყავს მოკლული; ხომ არ გახსოვთ, რომ გვითხრათ მაინც რამდენი იქნება? შეთეს გააკვირვებია ასეთ შეკითხვაზე და მეფისნაცვლისათვის უპასუხია: – როგორ შეკითხები მეფე, იმას რა დათვლიდა რამდენი ლეკიცა მყავს მოკლული. ასეთ პასუხზე უფრო დაინტერესებულა მეფისნაცვალთა და კვლავ დაჟინებით უთხოვია, რომ მის მიცემულ კითხვაზე ეპასუხა. მაშინ შეთეს უთქვამს: – სამასი ლეკი და ქისტი ხმალდახმალ მყავს მოკლული; ესენი ისეთი ვაჟკაცები იყვნენ, რომლებიც არ გამქცევინან, ზურგი არ უჩვენებია, ხმლით შემბმინან და თავისას ცდილან. ამიტომ დამახსოვდა მათი რიცხვი და ზოგიერთის სახეებიც კი. ხოლო ხელჩართულ ბრძოლებში თუ მტაცებლებთან დადევნებაში გზადაგზა ხმლითა თუ თოფით რამდენი ლეკი და ქისტი მეყოლება მოკლული არც დამითვლია და არც შეიძლებოდა დახსოვება- მიუგო გმირმა მეფისნაცვალს.<sup>98</sup>

შეთე გულუხაიძის პიროვნების შესახებ ხალხში და მათ შორის თუშებში, ვისაც იგი ეკუთვნოდა, მრავალი საინტერესო გადმოცემა არის გავრცელებული. თითოეული გადმოცემა გმირის ყოფა-ცხოვრებისა თუ საბრძოლო ისტორიის ამა თუ იმ ნიშან-თვისებას ეხება. ამიტომ მათი ჩაწერა და მკითხველამდე მიტანა ლეგენდარული გმირის პიროვნების უფრო ნათელყოფისათვის ჩვენი აზრით, აუცილებელიცაა და სასარგებლოც.

„ერთხელ, – გვიყვება გადმოცემა, – ლეკი-აბრაგები თუშეთის რომელიღაც კუთხეს დასცემიან. მძარცველების შემოსევის ამბავი მთელს თუშეთში გავრცელებულა. ვისაც კი იარაღის ხმარების უნარი ჰქონია ყველა სასწრაფოდ წამოსულა თანამემამულეთა დასახმარებლად. მღვეარ-მოლაშქრეთა შორის ყოფილა შეთე. როდესაც მეომარი თუშები მოსულან მტერი ნამარცხით დატვირთული თანდათან უკან იხვედა თურმე. დალისტნისაკენ მიმავალ მძარცველებს, ჯერ კიდევ თუშეთის ტერიტორიაზე, ერთ-ერთ აღმართ გზაზე, წამოეწია თუშთა მღვეარი ლაშქარი. ბრძოლის დაწყებამდე შეთეს რამდენჯერმე დაუკვირებია და თან ხმალამოწვდილი დასდევნებია მტაცებლებს. შეთეს მეტად ძლიერი ხმა ჰქონია თურმე და როცა იგი ბრძოლას იწყებდა მტერს ჯერ გამგმირავი ხმით თავზარს სცემდა და მერე შეტევაზე გადადიოდა. აი, ახლაც შეთეს ხმის გაგონებაზე ერთ-ერთ ახალგაზრდა ლეკს მუხლი მოკვეთია და გზაზე დავარდნილა. წაქცეულ ლეკს შეთე დასცხრომია ზვიდან, თავი გადაუწევია რომ ყელი გამოეჭრა, მაგრამ ლეკის უცნაურ საქციელს შეთე განუცვიფრებია და შეუ-

<sup>98</sup> აღნიშნული გადმოცემა 1970 წელს ჩამაწერინეს თელავის რაიონის სოფ. ლალისყურის მცხოვრებლებმა იორდანი გიოს ძე ალიაიძემ და აბრამ თვედორეს ძე ელანიძემ. მათთვის ეს გადმოცემა უამბია შეთეს თანამებრძოლსა და შამილის დატყვევების თანამონაწილე თუშ გმირს – ზეზვა ოჩონაიძეს.

ჩერებია. დასაკლავად დგამზადებულ ლექს შეთესთვის რომ შემოუხედია შეშლილივით გადაუხარხარებია. განცვიფრებულ შეთეს უთქვამს: – რა გაცი-  
ნებს შე რჯულდალო, ვერ ხედავ რას გიპირებ, თავი უნდა მოვაჭრა?! მაშინ  
ლექს უთქვამს: – მამაჩემის სიტყვა გამახსენდა და იმიტომ გამეცინაო; შეთე  
დანიტერესებულა და ლექისათვის უკითხავს: – რაო, რა გითხრა მამაშენმაო?  
აქანკალბეული ხმით დაუწყია ლექის ბიჭს: – როდესაც ლაშქარი იკრიბებოდა  
დალისტანში თუშეთის დასალაშქრავად, მეც აღმედრა სურვილი და სამზადისს  
შეუღდექი. მამაჩემი ბევრს მეხვეწა, მეშუდარა, რომ არ წამოვსულიყავი.  
მაგრამ არ დაეუჯერე, მაშინ განრისხებულმა მამამ მითხრა: – შეილო, შენ  
თუში მეომრის ბალნიანი მკერდი არ გინახია, თორე თუშეთში არ წახვიდოდო.  
მტერთან დადევნებული მეომარი მთიელები, ხშირ შემთხვევაში, მკერდზე  
შებნეულ ღილებს იხსნიდნენ-ხოლმე, რამაც ისინი გარკვეულ შეებას ხედავდნენ.

შეთეს დიდი სულგრამელობა გამოუჩენია; ლექის ბიჭი ფეხზე წამოუყუ-  
ნებია, წიხლი ამოურტყია და გაუგდია: – წადი. მომწყდი თავიდან, შე წუნ-  
კალო, მამაშენის საპატივისცემოდ მიჩუქებია სიცოცხლეო“.<sup>99</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის მთავრობა დიდად აფასებდა შეთე გულუ-  
ხაიდის დამსახურებას. მის სახელს და ავტორიტეტს რუსეთის სარდლობა  
და ადგილობრივი მთავრობა პატივისცემით ეპყრობოდა. შეთეს გმირობა და  
ვაჟაკობა მთელს კავკასიაში მაშინ ცნობილი ყოფილა.

აკად. ა. ბერჟე, ეხება რა თუშეთის გმირი ჩემრების დამსახურებას სამ-  
შობლოს წინაშე, ისიც შეთე გულუხაიძეს ასახელებს, ივანე ელიზბარიძესთან  
ერთად და, შენიშნავს, რომ ხალხის მესხიერებაში მათ სიმღერებსა და  
თქმულებებში მათი სახელები ყოველთვის იცოცხლებენო.

შეთე გულუხაიდის გმირობის შესახებ მრავალ საინტერესო ცნობას ვაწვდის  
სამხედრო ისტორიკოსი ნ. ვოლკონსკიც. ვოლკონსკის მიხედვით, შეთე გუ-  
ლუხაიძე გვევლინება ქართული ქვეითი რაზმის გზამკვლევად, დალისტნელი  
მთიელების რისხვად და შეუდრეკელი ნებისყოფის პიროვნებად. ნ. ვოლკონსკი  
შეთე გულუხაიძეს შესახებ წერს: „ბევრჯერ ასწავლა მათ (დალისტნელებს,  
ე.ე.) ჭკუა ამ დროს განმავლობაში ერთმა შიშის უცოდნელმა პირმა, რომელმაც  
დიდად განითქვა სახელი ლეკების მთასავანეებში და საყვარელი შეიქმნა  
ქართველებში, მარტო თავის სახელით შიშის ზარს სცემდა მტერს და რომელმაც  
დაამტკიცა თავის თავზე, რომ „ომი შეიქმს და დაჰბადებს გმირებსო“. ეს  
პირი იყო თუში შეთე გულუხაიძე. შეთე იყო მუდმივი თანამშრომელი ქართ-  
ველებისა, მებრძოლი მათის სისხლისა და უფლებათათვის და ამასთანავე  
ერთად თავის მამულისა და სამშობლოს მსვილობიანობისათვის. იგი არაერთხელ  
ჩამდგარა პირველ ქართველთა ქვეითის პოლკის რაზმებთან, მათთან ერთად  
იგერიებდა მტერს, სცემდა და სდევნიდა ისეთიანად შეუთვისა და შეეთვის-

<sup>99</sup> აღნიშნული გადმოცემა 1968 წელს ჩაგვაწერინა თელავის რაიონის სოფ.  
ლალისყურში მცხოვრებმა აბრამ თედორეს ძე გლანიძემ.

ტომა ვარის პოლკის მილიციონერებს, რომ მისი საგმირონი საქმენი ვერ განცალკევდებან მათ გმირებისაგან, რისთვისაც შეთვის საწელიც არ უნდა განმორდეს იმ ღირსეულ სახელებს, რომლებითაც აღსაესება ქართველი I-ლი ქვეითი პოლკი“.<sup>100</sup>

როგორც ნ. ვოლკონსკი გადმოგვცემს, შეთე გულუხაიძეს ევალებოდა დროდადრო დაეზვერა დალისტანი და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის ზუსტი ცნობები ჩამოეტანა. თუ დალისტნელი მძარცველები რას აკეთებდნენ, ეზადებოდნენ საქართველოს საზღვრების გადმოსაღახად თუ არა; იგი მძარცველების დამსჯელი რაზმების მოწინავედ და უბადლო ხელმძღვანელად იყო აღიარებული. ნ. ვოლკონსკი წერს: „პოლონიკმა ბეზობრაზოვმა კარგად რომ გაიცნო იგი, ამოიჩინა თავის უმთავრესის საგნის მისალწევად დროგამოშვებით დაესაჯან ხოლმე მტარვალნი მის შემწეობით და მათ საწინააღმდეგოდ ჰყოლოდა იგი ყოველ შემოსევის დროს. აგრეთვე მღვერად გამოკიდება და დათვალიერება ლეკებისა, ან კერძოდ მას ედო ვაჟად, ან პოლკის მილიციონერებთან ერთად და შეთე ყოველთვის იპოვოდა ხოლმე შემთხვევას თავი გამოეჩინათ ამ უკანასკნელებს და ახალი საგმირო საქმეებით სახელი განეთქვათ. ერთი ამგვარი საქმეთაგან, ცოტად თუ ბევრად შესანიშნავი, მოხდა ივლისში 1839 წელს. ამ თვის 18-ს ტებელის საზოგადოების მტაცებელთ მოჰკლეს ოთხი ქართველი ალაზნის მარჯვენა მხარეზე, სოფ. ანაგის პირდაპირ, ხოლო ერთი ტყვედ წაიყვანეს. პოლონიკმა ბეზობრაზოვმა ტებელების ჯავრის ამოსაყრელად შეთე გაუგზავნა. უკანასკნელი მტრის ქვეყანაში გაჩნდა. სოფ. ტებელის ახლო, მოჰკლა 8 ლეკი, ჩამოიტანა მათი ხელები და შეატყობინა, რომ ლეკები იკრიბებოდნენ და ბარად უნდა ჩამოცვენილიყვნენ“.<sup>101</sup>

ნ. ვოლკონსკის მიხედვით, შეთე გულუხაიძე სოფელ შენაქოდან ყოფილა.<sup>102</sup>  
6. ვოლკონსკის ეს ცნობა დაზუსტებას საჭიროებს.

შეთე გულუხაიძე იყო სოფ. ქუმელაურთიდან და არა შენაქოდან.

1831 წელს თუშეთის კამერალური აღწერის მიხედვით, შეთე გულუხაიძე სოფ. ქუმელაურთის მცხოვრებია. ამ დროს სოფ. ქუმელაურთაში უცხოვრია 16 კომლს, მათ შორის შეთე გულუხაიძეს. შეთე გულუხაიძეს ცოლს მერცხალა რქმევია; მაშინ შეთვის ერთი ვაჟი ჰყოლია მხოლოდ, რომელსაც დავით რქმევია. ამავე კამერალური აღწერით აღინიშნება, რომ სოფელ ქუმელაურთის ხვეისბერი ყოფილა ვინმე ბ. გულუხაიძე.<sup>103</sup> შეთე გულუხაიძეს შთამომავლობაც, რომელნიც

<sup>100</sup> ისტორია მათი იმპერატორებითი უმაღლესობის დიდის მთავრის გიორგი მიხეილის ძის ქართველთ ქვეითის დრუჟინისა 1831-1881. შედგენილი რუსულ ენაზე. ნა. ვოლკონსკის მიერ არტილერიის გენერალ-მაიორის ჩერნიავისკის რედაქტორობით, თარგმნილი ქართულად, „დროების“ რედაქტორის თ. ი. მაჩაბლის რედაქციით, თბ. 1884. გვ. 69.

<sup>101</sup> ნ. ვოლკონსკი, დასახ. ნაშრომი... გვ. 69-70.

<sup>102</sup> იქვე.

<sup>103</sup> საქ. რესპ. ცსია, ფ. 254, ან წ. 2, საქ. 399, ფურც. 184. 187.

დღესაც სახელოვანი წინაპრის გვარს ატარებენ, სოფ. ქუმელაურთიდან არიან. ამჟამად კამერალური აღწერის მიხედვით სოფ. შენაქოში ცხოვრობს 46 კომლი, მაგრამ გულუხაიძის გვარისა იქ არავინ არ გვხვდება.<sup>104</sup>

იმიერკავკასიელი მმარცველების წინააღმდეგ მებრძოლ თუშ-ფშავ-ხევსურთა სახელოვანი შვილების ღვაწლს შთამომავლობა არასდროს დაივიწყებს და ყოველთვის დიდებით შეამკობს მათ სახელებს.

დიდო-ღეგებისა და ქისტ-ჩეჩნების შემოსევების წინააღმდეგ მებრძოლ თუშ-ფშავ-ხევსურთა ლეგენდარული ბრძოლების შესახებ, გარდა ხალხური ზეპირსიტყვიერებისა, როგორც დავინახეთ, არსებობს მდიდარი საარქივო მასალაც, რომლის მიხედვითაც კარგად აღინიშნება ქართველი მთიელების გმირული ისტორიის შესახებ XIX ს-ის პირველ ნახევარში და 50-იანი წლების დასასრულამდე. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია „ქართველთა ქვეითი ლაშქრის“ ისტორიკოს ნა. ვოლკონსკის შრომა,<sup>105</sup> სადაც მრავალი ფაქტია დასახელებული თუშ-ფშავ-ხევსურთა ბრძოლების შესახებ იმიერკავკასიელ მტაცებელთა შემოსევების წინააღმდეგ.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების: თუშების, ხევსურების, ფშავლების ერთგული და თავდადებული ბრძოლები და მონაწილეობა ბარელ თანამემამულეებთან და რუსეთის შეიარაღებულ ნაწილებთან ერთად უფრო ორგანიზებულ ხასიათს ღებულობს, როცა ქართველთა ქვეითი პოლკი ჩამოყალიბდა. 1832 წლის 17 მარტს გაიგზავნა დალისტინელ მტაცებელ-მმარცველთა წინააღმდეგ ქართველთა მილიციის 125 კაციანი რაზმი კაპიტან ჩოლოყაშვილის მეთაურობით. მიუხედავად მკაცრი ზამთრისა და დიდი თოვლისა, ქართველთა მილიციას სული შეუხუთია იმიერკავკასიელი მმარცველებისათვის. „აქ პირველად აღმოჩნდა, — წერს ნ. ვოლკონსკი, — რომ პოლკში თუშებიც მსახურობდნენ და ერთი მათგანი დავითა ნაქუდაშვილი (ნაკუდაშვილი, ვ.ე.) თავსა და ხელში იყო დაჭრილი. ამ ბრძოლის დროს თავის გამომჩენი მილიციონერები დასაჩუქრებულნი იყვნენ ხუთ-ხუთი მანეთითა და მარტო ნაკუდაშვილი კი 10 მანეთით“.<sup>106</sup>

1836 წლის 1 ოქტომბერს ხუთ მილიციონერ თუშს დალისტინელების წინააღმდეგ მედგარი ბრძოლა ჩაუტარებია, რის თაობაზეც ნ. ვოლკონსკი დაწერილებით ყვება. „ამ დღეს, — შენიშნავს იგი, — ყართუბანის სიმაგრეთვან გაგზავნილ იქნა პატრული ხუთის კაცისაგან. ეს ხუთნი თუშები იყვნენ. ტყე-ტყე სიარულის დროს მათ შენიშნეს ოცდაათ კაცამდე გლეხოვანელები, რომელთაც მზვერავები ვერ დაინახეს. თუშებს იმის მაგივრად, რომ პოსტზე დაბრუნებულიყვნენ და შეეტყობინებინათ ეს ამბავი, ჩასაფრდნენ ტყეში და იქიდან დაუშინეს თოფები. მაგრამ ეს სიმამაცე პირველ ფაშს მათ ძვირად დაუჯდათ:

<sup>104</sup> იქვე, ფურცელი 204-205.

<sup>105</sup> Н.А. Волконский. история грузинскийшей дружины, 1884г.

<sup>106</sup> ნ. ვოლკონსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

ორი მათგანი მოკლული იქნა იქვე. სამს დარჩენილმა, თუმცა ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში იყვნენ, გაქცევა არ იკადრეს და ასწლოვან ჭადრებს მოფარებულნი იცავდნენ და უფრო მეტად თავიანთ ამხანაგებს. დიდხანს გაგრძელდა ეს ბრძოლა; ლეკებს ეგონათ, რომ ერთს თხუთმეტს კაცს მინც ებრძვიან და ამისათვის ხმალ და ხმალ მისვლა ვერ გაებედნათ. იგინი არა ზოგავდნენ თავიანთ ტყვია-წამალს და ყოველი მათი სროლა უქმად რჩებოდა... თუშების ყოველი ტყვია კი მიზანში იღებდა ლეკებს. ბოლოს კარგა ბლომად რომ დაეხოცათ კაცები გლუხოდარელებს და მასთან, რომ შეეშინდათ კიდევ, ვაი თუ მიემშველონ ამათაო, იძულებულნი შეიქნენ უკან დაეწიათ“.<sup>107</sup>

ნ. ვოლკონსკი იმასაც შენიშნავს, თუ როგორ დამოკიდებულებაში იყვნენ თუშ-ფშავ-ხევსურები რუსი მეომრებისადმი. რუსებთან ურთიერთობაში ქართველი მთიელები განსაკუთრებულ ერთგულებას იჩენდნენ და მათთან ერთად დაღისტნელების წინააღმდეგ ბრძოლაში თავდადებულად მოქმედებდნენ. ნ. ვოლკონსკი წერს: „თუშები და ფშაველები სრულიად საიმედონი და მამაცნი იყვნენ. ხევსურები მათ ბევრად ჩამორცებოდნენ ჩვენს ერთგულებაში“.<sup>108</sup>

თუშ-ფშავ-ხევსურეთის როლი და ავტორიტეტი მოცემულ პერიოდში რუსეთის ხელისუფლებისათვის დიდად გაიზარდა, რადგან თუშ-ფშავ-ხევსურები განსაკუთრებულ სამსახურს ეწეოდნენ, ე.წ. „ლეკურ საკორდინო ხაზზე“. „იმხანად ეს მიჯნა იყო ყველაზე საშიში და მნიშვნელოვანი“.<sup>109</sup>

თუშ-ფშავ-ხევსურეთს, რომ ე.წ. „ლეკურ საკორდინო ხაზზე“ საკმაოდ დიდი ტერიტორიის დაცვა ევალებოდა და თანაც საკუთარი მეომარი ძალებით ეს კარგად აქვს აღნიშნული ნ. ვოლკონსკის. „მხოლოდ 1844 წლიდან უნდა ჩაითვალოს ლეკთა საკორდინო ლინია დაბოლოებით მოწყობილად.“

ას სამოცდათექვსმეტ ვერსტ ნახევარზე მას ჰქონდა ორი ციხე და შვიდი სიმაგრე. მაგრამ მთელი სიგრძე ხაზისა, რომელსაც უნდა დაეცვა მხარე, იწყებოდა ხევსურეთის უკიდურესის საზღვრიდან, ან უფრო სწორედ რომ ვთქვათ – ანანურის ნაწილიდან (ურასტკა) სამხედრო საქართველოს გზის ნაწილიდან და მიემართებოდა თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქზე, ყვარელის ნაწილზე (ურასტკაზე) თელავის მაზრისა, შაქის პროვინციაზე და თავდებოდა შირვანის პროვინციის პირველ სამზღვართან. მთელი სიგრძე ამ ხაზისა იყო ოთხას ვერსზე მეტი. მისი სიგრძის ფრთედებს (ფლანგებს) არა ჰქონდათ სიმაგრეები და ისინი უნდა დაეცვათ: მარცხენა ფრთელი: თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქს თავის მცხოვრებლების საშუალებით, და მარჯვენა – შაქის პროვინციის სამხედრო საშუალებით. წინა საზღვრად იყო ხაზი, რომელიც

<sup>107</sup> ნ. ვოლკონსკი, დასახ. შრომა, გვ. 39.

<sup>108</sup> იქვე.

<sup>109</sup> ემ. ვაბოლსკი, უცნობი ჯარისკაცის საფლავი მთაწმინდაზე, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, №19, 1961წ.



გადიოდა მთების ქედებზე დიულთი-დაღის მთიდან დაწყებული კოკანობის მთაზე თუშეთამდის, უკანა საზღვრად კი იყო მდინარე ალაზნის ხაზი“.<sup>110</sup>

სხვაგან უფრო აზუსტებს ნ. ვოლკონსკი თუშ-ფშავე-ხევსურების მოვალეობას „ლექურ საკორდინო ხაზზე“ და სახელდობრ მიუთითებს თუშ-ფშავე-ხევსურთა საყარაულო ადგილების შესახებაც კი. იგი აღნიშნულის შესახებ წერს: „თუშ-ფშავე-ხევსურეთის ოლქში (ოკრუგში) ყოველგან იყვნენ ადგილობრივი მცხოვრებთა ყარაულები: თუშეთში იყვნენ ლაისის, კუდურის, დირის და დიხლოის (უნდა იყოს დიკლოს ვ.ე.) პოსტებზე; ხევსურეთში იყვნენ სოფლის მუცოს გზაზე, სოფლის შატილის საზღვარზე, სოფლების არდოტთან და ხახაბოსთან; ფშავეში იყო მათურის მთაზე“.<sup>111</sup>

თუშ-ფშავე-ხევსურეთისათვის დაკისრებული მოვალეობა სალექო ხაზზე იმდენად დიდი ყოფილა, რომ ამ მხარის მცხოვრებნი განთავისუფლებულნი ყოფილან ქართულ მილიციაში სამსახურისაგან. „ლინიის (ეი. ლექთა საკორდინო ხაზის, ვ.ე.) მტკიცე დაცვისათვის თუშ-ფშავე-ხევსურეთის სოფლები განთავისუფლებულ იქნენ მილიციონერების მიცემისაგან ქართველ ქვეითთა პოლკში და იმათ მიენდოთ განსაკუთრებული ყარაულობა თიანეთის გზაზედ“.<sup>112</sup>

თუშ-ფშავე-ხევსურეთის როლი განსაკუთრებით იზრდება XIX საუკუნის 40-50-იან წლებში.

ნ. ვოლკონსკი აღწერს 1845 წლის 31 ივლისის ბრძოლას, სადაც თუშეთის ასეულსა და კაზაკების ორ ასეულს იერიში მიუტანია შეერთებული ძალით და ლექების ერთ-ერთი საიმედო და მიუევალი სიმაგრე აუღიათ.

„ცის კიბიდან“ ჩარბენილი ლექები ხელში ჩაუკცივდნენ დაქვეითებულს სოტნას თუშეთის ცხენოსანი მილიციისას და კაზაკების ორ სოტნას მეორე რაზმისას... თუშები გაბედნიერდნენ, თითქო ზევიდან მოვლენილის ამ მოულოდნელი შემთხვევით, და ისეთის გულისმოდგინებით დაეტაკნენ ლექებს, რომ კაცს ეგონებოდა – ძველი მეგობრები შეიყარნენ ხანგრძლივი უნახაობის შემდეგო“.<sup>113</sup>

1849 წელს დაღისტნელი მმარცველების წინააღმდეგ საკმაოდ დიდი სამხედრო ექსპედიცია მოწყობილა. ხსენებულ ოპერაციაში თუშ-ფშავე-ხევსურებს მასობრივად მიუღიათ მონაწილეობა და დიდადაც უსახელებიანთ სამშობლო. „თუშებმა, ფშავეებმა და ხევსურებმა ჟღარუნებით და ზარებით გააჭუნეს თავიანთი პატარა და მკვირცხლი ცხენები, მარჯვნივ და მარცხნივ მოეფინნენ მიდამო მალლობებს მტრის შუაში მოსამწყვედეად. მთიელთა საშინლად ეჯავრებოდათ იმათი ამნაირი თავდასხმა, ვერას დროს ვერ უძლებდნენ

<sup>110</sup> ნ. ვოლკონსკი, დასახ. ნაშრომი... დამატება მეოთხე თავისათვის, გვ. 20.

<sup>111</sup> ნ. ვოლკონსკი, დასახ. ნაშრომი, ქართულად თარგმნილი, თ.ი. მაჩაბლის მიერ 1884. დამატება მეოთხე თავისათვის, გვ.23.

<sup>112</sup> იქვე. გვ.120.

<sup>113</sup> იქვე. გვ. 119.

და დამარცხებულნი რჩებოდნენ. ამიტომაც ...წინასწარმეტყველს ევედრებოდნენ რომ თუშების სოტნა ან სადმე უფსკრულში ჩაჩეხილიყო, ან არა და ნახევარ საათით მაინც დაეგვიანა. მაგრამ თუშების ბედზედ, არცერთი წადილი ლეკებისა არ ასრულდა, სწორედ ისეთ დროს გამოეცხადნენ ისინი მათ, როდესაც ქართველ დრუჟინის მილიციონერებმა თოფები ორასჯერ მეტად დაახალეს და შემდეგ მტერზე ხმალ და ხმალ მივიდნენ<sup>114</sup>. შეწუხებული ლეკები გაქცეულან, რომელთაც „თუშებმა, ფშავეებმა და ხევსურებმა თავიანთი მარდი ცხენებით გაასწრეს მათ, შეცვივდნენ აულში, ფეხქვეშ დათელეს მტრის გუნდი, აიკლეს იქაურობა და გადასწვეს სოფელი. როდესაც ქვეითი ჯარი მივიდა აულში მხოლოდ მტრის გვაშები ნახა მიყრილი ქოხებსა და ქოხებს შუა, მეტადრე სოფლის ბოლო ხომ სავეს იყო მკვდრებით... თუშები გადავიდნენ სოფელ წიწმახოში, რომ ამნაირი, თავიანთი აზრით, სასარგებლო მოქმედება იქაც მოეხდინათ“<sup>115</sup>.

1852 წელს, 12-13 ივლისს, 30-საათიან განუწყვეტელ ბრძოლებში დიდოეთის ორი სოფლის: ქვემო და ზემო ხოტრახოს ხელში ჩაგდებისათვის, რუსების, ბარელი ქართველებისა და თუშ-ფშავე-ხევსურების ასეულებს დიდოელები სასტიკად დაუმარცხებიათ და სოფლებიდან განუდევნიათ. „სოფლიდან განდევნილი მცოხვრებლები ცალკ-ცალკე ჯგუფებად გარბოდნენ მთებისაკენ, მაგრამ მათ შეეგებნენ თუშები და აქაც ასტყდა ბრძოლა. გზა გადაღობილი მტრის რამდენიმე რიცხვი თხრილებში და ნაპრალებში გადაცვივდნენ, სადაც ზოგი მათგანი საუკუნოდ განსვენებას მიეცა და ზოგმა თავი გადაირჩინა; დანარჩენები მილიციისა და თუშ-ფშავე-ხევსურეთის ჯარის კაცთა შუა მოემწყდნენ და დაიღუპნენ“<sup>116</sup>.

საზამთრო საძოვრებზე წამოსულ თუშ მეცხეარეებს 1855 წლის 20 სექტემბერს 700-800-იანი ლეკების ჯარი დასხმია „შაქრიანსა და ნაფარეულს შუა და ოთხი ათასამდის ცხვარი მოსტაცეს და ორმოჯდაათი რქანი საქონელი“<sup>117</sup>.

დალისტნელ მმარცველებს პირველად სოფ. ნაფარეულის რაზმი გამოიკიდებია; მათ მალე მიშველებიან ქართველთა მილიციის ნაწილები და რუსი მეომრები. მათვე შეერთებია ისტორიული ალვანის მინდვრებიდან წამოსული 25 ცხენოსანი თუში მამაკაცი. მდევარს ლეკებისათვის გზა გადაუჭრია და საგანგებოდ ჩასაფრებია. ლეკებს გონებით რომ უკვე გადარჩნენ და თავს უშველეს. „მაგრამ საშინლად შესცდნენ ანგარიშში: ჩასაფრებულებმა შიგ ცხვირ-პირში მიახალეს მათ თოფები და ზედაც ახირებული სიშმაგით ეტაკნენ. მილიციონერებმა და თუშებმა ეს არ იკმარეს, შიგ შუაგულ ლეკებში შევარდნენ და ორი პატარა დროშა წაართვეს“<sup>118</sup>.

<sup>114</sup> ნ. ვოლკონსკი, დასახ. ნაშრომი. გვ. 167.

<sup>115</sup> იქვე. გვ. 168-169.

<sup>116</sup> ნ. ვოლკონსკი, დასახ. ნაშრომი. გვ. 245.

იქვე. გვ. 276.

<sup>118</sup> იქვე.

თავზარნაცემმა ლეკებმა გეზი იცვალეს და თითქოს გაუჩინარდნენ. მაგრამ მალე მათი ბანდები იპოვნეს და ხელმოკრედ გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლა. გააცეცხლებული ბრძოლის პერიოდში მილიციონერების ერთ პარტიას და თუშებს მიუტოვებიათ ბრძოლის ველი, მეორე მხრიდან შემოუვლიათ მტრისათვის, ყოყინით უნიშნებია თანამომეთათვის სურვილის მიღწევა, ხოლო შემდგომში კი ხმაღლ-ხანჯლებით დარევიან მძარცველებს. „ამ ყოყინის გაგონების უშალ, – წერს ნ. ვოლკონსკი, – პირდაპირიდან მებრძოლი ჯარიც მივიდა ლეკებზედ და ამნაირად ორი მხრით შემოურტყნენ მტერს. მკაცრი და თავგანწირული ომი მოხდა, და პირველი მტრის დროშა ახლაც ქართველთ მილიციონერებს და თუშებს ერგოთ“.<sup>119</sup>

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის: თუშ-ფშავ-ხევსურეთის თავდადებული ბრძოლები მათთვის საყარაულოდ და დასაცავად განკუთვნილ სალეკო ხაზზე 50-იანი წლების ბოლოსათვის კვლავ აქტიური და შეუპოვარია. თუშ-ფშავ-ხევსურებმა შამილის დამარცხება-დატყვევების საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშეს.

1857 წლის 6 ივლისიდან იწყება დიდი სამხედრო ოპერაციები დიდოეთ-დალისტინის დასაპატრონებლად. მეომარი ძალები სხვადასხვა მიმართულებით გაიგზავნა. რამდენიმე ასეული შეიარაღებული პოლკოვნიკ შალიკაშვილის მეთაურობით თუშეთისაკენ გაუგზავნიათ. ისინი 17 და 18 ივლისს უნდა შეერთებოდნენ უმთავრეს ჯარს წუდაქის მთაზე. მთელი რიგი პუნქტების აღების შემდგომ ჯარების უფროსს ბარონ კრეესკის პოლკოვნიკ ჩოლოყაშვილისათვის დაუვალვებია, რომ მოულოდნელი თავდასხმით აეღო სოფლები: ხოხლასი, წაწმახო და ჩილიახო. თავად ჩოლოყაშვილს ორი სოფლის აღება მოუხერხებია, ხოლო მესამე სოფელი ვერ დაუკავებია, „რადგან მაგარ ადგილზე იყო და კოშკებით გამაგრებული“. მაშინ არტილერიას ცეცხლი უფრო ახლოდან დაუშენია და თან თუშების ასეული შეტევაზე გადასულა. „როდესაც თუშებმა გაარღვიეს სოფელი, – წერს ნ. ვოლკონსკი, – წყლის იქით გადავიდნენ და იქ ტყიდან გამოცვივრულ ლეკების დასებს დაეცნენ“.<sup>120</sup>

ხსენებული პუნქტების დაკავეების შემდგომ „ჯარამ ცოტა ხნით დასასვენებლად თუშეთისაკენ დაიწია, ლაის მთის ძირისაკენ, აქედან ორ კოლონად გაიყო“, რომელთაგანაც ერთი კოლონა დასასვენებლად თუშეთში გადასულა. მცირე შესვენების შემდგომ. აგვისტოს 16-დან დაწყებულა ახალი ლაშქრობა დალისტანზე. 17 აგვისტოს თუშების ასეულის თანხლებით რუსთა ასეულები კონონოვიჩის სარდლობით გზას გასდგომია და კურსი სიმურის ხეობისაკენ აუღიათ. თუშთა და რუსთა გაერთიანებულ ასეულებს აუღიათ ორი ქვითკირის კოშკი, სამი სანგარი და სიმურის მთა. 18 აგვისტოს აუღიათ სოფელი ელბაქოც. „სოფელი ელბაქო თუშების სოტნამ ანაზღად დაიჭირა“.<sup>121</sup> 19 აგვისტოს

<sup>119</sup> ნ. ვოლკონსკი. დასახ. ნაშრომი, გვ. 277.

<sup>120</sup> იქვე, გვ. 295.

<sup>121</sup> იქვე, გვ. 296.

დაუწყიათ ბრძოლები პატარა და დიდი ქიდარის დასაკავებლად. ამ სოფლების აღებაშიც თუშებს უშუალო მონაწილეობა მიუღიათ. ისინი მარდი და მთის ბილიკებს შეჩვეული ცხენების წყალობით მოულოდნელად დასცემიან თავზე ამ სოფლებს. „ამასობაში თუშებიც ქედზედ შეცვენნილან და თავზედ წამოადგნენ მათ“.<sup>122</sup>

1857 წლის 20 აგვისტოს ამავე ასეულებს დიდი ბრძოლები გადაუხდიათ. დაღისტნელებს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწყვიათ თუშთა ასეულისათვის და ქართველთა მილიციისათვის. მთიელები მდგრად იდგნენ. მაგრამ მათი პოზიციები მალე შერყეულა, როცა ბრძოლაში ჩაბმულა მილიციის რეზერვები და სამეგრელოს პოლკი. ძლიერი შეტევისათვის ველარ გაუძლიათ ლეკებს, საფრები მიუტოვებიათ, ციხე დაუცლია და სოფელში შეხიზნულან. „ამავე წაშში, – წერს ნ. ვოლკონსკი, – თუშებმა მოუარეს უკანიდამ მტრის დანარჩენ ჯარს, და სულ წია-წია ჩამორეკეს კლდიდამ ჩრდილოეთის მხრით“.<sup>123</sup>

თავადმა ჩოლოყაშვილმა დაკავებულ პუნქტებში, რადგან მათ განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა, ურიადნიკ სოსიკო ახველედანის ხელმძღვანელობით 30 მილიციელი დატოვა, ხოლო ასეულები წინ დაძრა. ნაშუადღევს ლეკების ასეული გამოჩნდა, რომელთაც თოფი დაუშინეს ქართველებს. მაშინ კოლონის ხელმძღვანელობას „დრუჟინელების მისაშველებლად... მათი თანაშრომელი და მეგობარი თუშები“ გაუგზავნია. „ჩვენდა საბედნიეროდ, ლეკებმა, – წერს ვოლკონსკი, – თუშების გამოჩენისთანავე იბრუნეს პირი და უდროვოდაც იბრუნეს, რადგან მაშინვე მეორე თავიანთსავე დასს შეეჯახნენ. – ეს დასიც იმათ საშველად მოდიოდა; შეიძლებოდა ეს ორივე დასი გაჩერებულიყვნენ და შეერთებულის ძალების ხელახლივ მიჰსევოდნენ ქართველებს. მაგრამ რაკი მოისაზრეს რომ საქმე თუშებთან ექნებოდათ, რომელნიც ქედის მწვერვალებზე მოაჭენებდნენ უკვე ცხენებს, ისევ ის არჩიეს თავი დაეხებებინათ მილიციონერებისათვის“.<sup>124</sup>

1858 წლის განმავლობაში თუშთა ასეული კვლავ ენერგიულად მოქმედებს. იგი წინა წლების მსგავსად თითქმის ყოველთვის მოწინავე პოზიციაზე დგას და ძნელად მიუვალ ციხესიმაგრეებზე და სოფლებზე თავდასხმებს აწარმოებს. თუშების ასეული კვალდაკვალ მისდევს ლეკებს და რუს-ქართველთა პოლკებთან ერთად ახალ-ახალ ადგილებს იკავენენ. ვოლკონსკი წერს, რომ 1858 წლის 26 აგვისტოს თუშთა ასეულს რუს-ქართველთა პოლკები შეერთებია და ჩოლოყაშვილის მეთაურობით რამდენიმე სოფელი შეუმუსრია.<sup>125</sup>

1859 წლის ივლისში დაღისტნისაკენ დაძრულა სალეკო ჯარების ერთი დიდი ნაწილი კახეთიდან, „ხოლო გენერალ-მაიორი თავადი ჩოლოყაშვილის ცალკე კოლონა კი სოფ. დიკლოდან ხეშეთში გაემგზავრა“.<sup>126</sup>

<sup>122</sup> ნ. ვოლკონსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 298.

<sup>123</sup> იქვე, გვ. 301.

<sup>124</sup> იქვე, გვ. 302.

<sup>125</sup> იქვე, გვ. 334.

<sup>126</sup> იქვე, გვ. 338.

ივლისის ბოლომდე კახეთის ბარიდან და თუშეთიდან წასულმა ასეულებმა თითქმის ყველა ძირითადი პუნქტი აიღეს, ხალხი უსიტყვოდ ემორჩილებოდა, ამანათებს უგზავნიდა. მთიანი დაღისტნისაკენ მათ გზა უკვე გახსნილი ჰქონდათ. მაშინ, 2 აგვისტოს, თავად ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი ბოლოზის მთით დაღისტანში წასულა მთავარსარდალთან, რომელსაც თან წაუყვანია ცხენოსანი ჯარის კოლონა და „ოცდაათი კაცი ქართველთ დრუჟინის მდიაციონერი... ესენი გუნებთან დაიტოვა თაგადმა ბარიატინსკიმ, და გუნების აღებაში ამათ მიიღეს მონაწილეობა“.<sup>127</sup>

მართალია, ნ. ვოლკონსკი აღარ ასახელებს თუშთა ასეული ამ დროს თან გაიყოლა თუ არა ლევან მელიქიშვილმა, მაგრამ თუ გაეიხსენებთ თუშ-ფშავ-ხევსურების დიდ დახმარებას და მრავალ საგიმრო-სავაჟაკო ეპიზოდებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ თუშების ასეული და მათთან ერთად ფშავ-ხევსურთა რჩეული ვაჟკაცები ლევან მელიქიშვილის მიერ წაყვანილ ცხენოსანთა ჯარის შემადგენლობაში იქნებოდნენ. ეს ვარაუდი დასაშვები იმიტომაც ხდება, რომ 1859 წლის ივლისიდან დიდოეთ-დაღისტნისაკენ თავადი ჩოლოყაშვილი თუშეთიდან წაიდა და, რა თქმა უნდა, თუშების ასეული ფშავ-ხევსურებთან ერთად მისი ერთ-ერთი მთავარი გზამკვლევი და საიმედო ძალა იქნებოდა.

ოფიციალურ წყაროებში არსად არ არის აღნიშნული და არც ვოლკონსკი ეხება თუშ-ფშავ-ხევსურებმა გუნების აღებაში მიიღეს თუ არა მონაწილეობა. მაგრამ თუ შამილის დატყვევებისა და გუნების ციხე-სიმაგრეიდან შამილის გამოყვანის შესახებ გავრცელებულ თუშურ გადმოცემას გაეიხსენებთ, ასეთი ვარაუდის დაშვება შეიძლება საეჭვოდ აღარ მივიჩნიოთ. ამას მხარს უჭერს ცნობილი მხატვრის – რუბოს ნაწარმოები – დიდი პანო, რომელიც შამილის დატყვევების სურათს განასახიერებს. რუბოს სხვებს შორის თუში მემომარიც დაუნახატავს გამარჯვებულთა შორის.

გადმოცემა აღნიშნავს, რომ დამარცხებულ შამილს, როცა იგი დარწმუნდა, რომ სხვა გზა აღარ ჰქონდა და აუცილებლად უნდა ჩაბარებოდა, რუსეთის მთავარსარდალობისათვის უთხოვია, რომ მის გასაყვანად თუშების რაზმი შესულიყო გუნებში იაკობ ლეკაიძის მეთაურობით. იაკობი მაშინ თუშების რაზმის უფროსი ყოფილა. შამილის თხოვნა დაუკმაყოფილებია რუსეთის მთავარსარდალობას. იაკობ ლეკაიძის რაზმში ყოფილან: კვესიაიძე დავითი, ჭკრიტიშვილი ბაკური, ოსონაიძე ზენკა და სხვები. როდესაც აღნიშნული რაზმი შესულა შამილის სამყოფელ სიმაგრეში, თვითონ მას უთქვამს წაივდეთო. გუნების დაბლა მინდორზე დაბანაკებულ ჯარს და სარდალობას, როცა ღუნებიდან გამოსული შამილი დაუნახავს ძლიერად დაუქუნხნია „ურა“! და მუსიკა დაუკრავს. მაშინ შამილი უცბად შემობრუნებულა, შეტორტმანებულა და ლეკაიძე იაკობს, რომ ხელი არ წაეველო შესაძლებელი იყო კლდეზე

<sup>127</sup> ნ. ვოლკონსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 342.

გადავარდნილიყო. გონზე მოსულ შამილს ძლიერი სილა გაურტყამს იაკობისათვის. შამილის ხელში ჩაგდების შემდგომ, რუსეთის ჯარების მთავარსარდლობას იქვე დაუწყია ჯილდოების გაცემა. შამილს წმინდა გიორგის ერთი ჯვარი უთხოვია სარდლობისათვის. შამილის თხოვნა დაუკმაყოფილება მთავარსარდალს. შამილს წმინდა გიორგის ჯვარი ლეკაიძე იაკობისათვის გადაუცია და თვითონვე გაუკეთებია მკერდზე. მთავარსარდლის კითხვაზე თუ რა დაიმსახურა თქვენში ლეკაიძე იაკობმა, რომ ასეთი დიდი ჯილდო მიეცითო, შამილს უპასუხია: „მე, როგორც მამადიანს, პირველად ქრისტიანის ხელი მისგან შემეხო და ეს მას ჩემს სახსოვრად უნდა აქონდესო“.<sup>128</sup>

1859 წლის 25 აგვისტოს ბრძოლებით, ე.ი. შამილის დატყვევებითა და ლუბინის ალებით დამთავრდა ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასიის დაპყრობა და რუსეთისადმი მისი დაქვემდებარება. ამ დიდი საქმის განხორციელების შემდგომ მეფის მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჩრდილო-დასავლეთი კავკასიის დაპყრობა-შემოერთების საქმეს. ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასიის მსგავსად ჩრდილო-დასავლეთი კავკასიის საქმეც რუსებმა 1864 წლისათვის ბრწყინვალედ გადაწყვიტა და დამთავრდა კიდევ „ცარიზმის მიერ კავკასიის დაპყრობისათვის წარმოებული საუკუნოვანი ბრძოლა“.<sup>129</sup>

იმერკავკასიელ მთიელთა მოძრაობა დამარცხდა. თავისი ხასიათით ეს იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ცარიზმის წინააღმდეგ, რომელიც ითვალისწინებდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. მართალია, ცარიზმმა ცეცხლითა და მახვილით მოახერხა ამ მხარის დაპყრობა, წაართვა ლალ ბუნებას შერეულ მთის ხალხს დამოუკიდებლობა, დაიწყო ახლად დაპყრობილ მიწა-წყალზე, ანტიხალხური მწაგვრელური პოლიტიკის დანერგვა, მაგრამ რუსეთის შემადგენლობაში კავკასიის ხალხების შესვლას მაინც აქონდა დადებითი მნიშვნელობა, ამ ხალხების მთელი შემდგომი ბედისათვის. რუსეთის შემადგენლობაში შესვლამ ხელი შეუწყო კავკასიის მრავალრიცხოვან ხალხთა ეკონომიკურ და კულტურულ დაახლოებას, როგორც თვით კავკასიის ხალხებს შორის, ისე რუს ხალხთან, რომელიც სათავეში ჩაუდგა რუსეთის ყველა ჩაგრული ხალხის ბრძოლას ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის.

რუსეთის შემადგენლობაში ჩრდილოკავკასიის შესვლით ბოლო მოეღო იმერკავკასიელ მტაცებელ-მძარცველ ურდოების ამაოხრებელ შემოსევებს

<sup>128</sup> ეს გადმოცემა თუშეთში გავრცელდა ზეზვა ონონაიძის საშუალებით. იგი, როგორც აღვნიშნეთ, თუშების რაზმის წევრი ყოფილა და როგორც შემდგომ თვითონ იგონებდა, ორი წლის განმავლობაში შამილისათვის მიჰქონდა თუშეთში შეკრებილი ფულადი ბეგარა. ზეზვა ონონაიძე გარდაიცვალა თითქმის 120 წლის ასაკში - 1930 წელს.

<sup>129</sup> ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. ღუმბაძე... საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, 1958. გვ. 445.

როგორც საქართველოს ბარზე, ისე მის მთიანეთზე. თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და მათი მეზობელი მთიელების: ქისტების, ინგუშების, ჩეჩნებისა და დიდო-ლეკების ურთიერთმეზობლობაში ახალი ხანა დაიწყო. დამყარდა მათ შორის, ადებულ პერიოდთან შედარებით, მშვიდობიანი ცხოვრების პირობები; გაუმჯობესება დაეტყო ამ ხალხებს შორის ეკონომიკურ და კულტურულ თანაცხოვრებას. ისტორიის საკუთრებად იქცა ქართველ და მუსულმან მთიელებს შორის გაჩაღებული ზოცვა-ჟლეტა, ტყუთა მოტაცება და ურთიერთთავდასხმები.

დასასრულ, მკითხველს ვთავაზობთ თუშ-ფშავ-ხევსურთა გმირობისა და ვაჟკაცობის, ლეგენდარული ბრძოლებისა და მტერზე განსაცვიფრებლად, უშიშრად და სამაგალითოდ შერკინება-დაუმარცხებლობის განსასახიერებლად სამი თუში სახალხო გმირის (ლუის ლუხუმის, შეთე გულუხაიძის და ივანე ელიზბარიძის) საბრძოლო თავგადასავლის ამსახველ ისტორიას, რაც უფრო მეტ სინათლეს მოჰყენს თუშ-ფშავ-ხევსურთა სამხედრო-პოლიტიკურ საქმიანობას, რომელსაც კახეთის მთიელები აწარმოებდნენ იმიერკავკასიელ მთიელებთან XVII-XIX საუკუნეებში.

## ნ.პ ლუის ლუხუმი

„შენ ხარ ლუის ლუხუმი  
ლუიჯის ნიფ-ლიარიო?  
ბერჯერი უციოუნ დედანი.  
ცხიანი-მსუქსი გაუქერი შაგიო“.

ხალხური

თუშ-ფშავ-ხევსურული პოეზია მდიდარ მასალას იძლევა ერთი საქვეყნოდ განთქმული გმირის – ლუხუმის შესახებ, რომელსაც თავის დროისათვის მტერთან მრავალწლიანი ბრძოლებისა და სამშობლოსათვის თავდადებული მოქმედებით, საქართველოს მთიანეთის თუშ-ფშავ-ხევსურეთის ყურადღება მიუქცევია და ბევრიც აუმღერებია თავის ვაჟკაცობასა და გმირობაზე. მთის მდიდარი ხალხური პოეზია საპატიო ადგილს უთმობს ლუხუმის სახის გამოკეთას და ღიღების შარავანდღით მოსავეს მის თავგადასავალს და ისტორიას. თუშ-ფშავ-ხევსურეთის ხალხური ზეპირსიტყვიერების ყველა ძეგლი, რაც კი ლუხუმს შეეხება, ყველა ერთსა და იმავე ამბავზე და თემაზეა აგებული, ხოლო იმ განსხვავებით, რომ სამივე კუთხის ესა თუ ის მთქმელი, თუ მომღერალი, თავისი სიტყვიერი მარაგისა და შესაძლებლობის მიხედვით ყვება ლუხუმის ბრძოლის ეპიზოდებს, რაც ცოტა არ იყოს, თავისებურ განმასხვავებელ ელფერს აძლევს. მაგრამ ეს განსხვავება ყოველთვის არის გარეგანი, ხოლო შინაარსი კი სამივე კუთხის მოლექსეთა მიხედვით შექმნილი ვარიანტებისა ერთი და იგივეა. ლუხუმი ყველგან, ყველა ლექსში თუ პოემაში, გადმოცემაში თუ სხვა სახის ზეპირსიტყვიერების ძეგლებში ლექიანობის წინააღმდეგ თავდადებულ მებრძოლ გმირადაა ცნობილი; იგი ლექების დაუძინებელ მტრადა და სამაგიეროს მიმზღველად გვევლინება. თავისი ვაჟკაციური ბრძოლებითა და ლექთა აბრავების მრავალჯერ ამოწვევით მისი სახელი იმდენად პოპულარული გამხდარა, რომ ლექებს მისი ხელში ჩაგდება და გზიდან ჩამოცილება ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიუჩნევიათ. მისმა ასეთმა პოპულარობამ ბოლოს ის შედეგი გამოიღო, რომ ერთგვარად ბუნდოვანი გახდა მისი ტომობრივობა და ვინაობა.

ლუხუმის სახე ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონის“ დაბეჭდვის შემდეგ უფრო პოპულარული და საქართველოს ყველა კუთხისათვის ცნობილი გახდა. რა თქმა უნდა, ვაჟა-ფშაველას ლუხუმი და ხალხური ლუხუმი თავისი მოქმედების მიხედვით ღიდად განსხვავდებიან – ერთი სპარსელების წინააღმდეგ და სამშობლოს გაერთიანებისათვის მებრძოლთა სახალხო გმირის განსახიერებაა,



ხოლო მეორე – ლეკი დამპყრობლების წინააღმდეგ ამხედრებული გმირისა. მაგრამ მათ შორის არის ძალიან დიდი მსგავსებაც, რომელზეც ქვევით გვექნება საუბარი. აქ კი იმის თქმა გვინდა, რომ ვაჟას მიერ ხალხური ლუხუმის გახალხურება-პოპულარობას თან მოყვა მისი ნამდვილი ისტორიისა და თავგადასავლის ბურუსით მოცვა და უფრო გართულება საკითხისა, თუ ნამდვილად ლუხუმი საქართველოს მთიანეთის რომელი კუთხის შვილი იყო.

საქმე ის არის, რომ ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონის“ გამოქვეყნების შემდეგ, რომელმაც ლუხუმი ფშაველთა ტომობრივ გმირად გამოიყვანა, მდგომარეობა ისე წარიმართა, რომ თითქმის ყველა მკვლევარი თუ კრიტიკოსი, ვინც კი დროის სხვადასხვა მონაკვეთში დაინტერესებულა და შეხებია ვაჟას პოემა „ბახტრიონში“ ხალხური მასალების გამოყენებისა და ასახვის საკითხს ერთხმად განუცხადებიათ, რომ: „ლუხუმი მოის პოეზიის მხედრით ფშაველთა ტომობრივი გმირია, ის მუსრის აყლებს სამტრიოდ მოსულ დაუპატიჟებელ სტუმრებს“<sup>1</sup> და სხვ.

ჩვენთვის ხალხური ლუხუმის საკითხის გარკვევა იმის შესახებ, თუ იგი ვისი სატომო გმირია – ფშაველებისა თუ თუშებისა, იმდენადაა საინტერესო და აუცილებელი, რომ ლუხუმი ჩვენ მიგვაჩნია XVIII საუკუნის თუშეთის ისტორიაში ერთ-ერთ სახელმძღვანელო გმირად, რომლის თავგადასავალიც კარგად წარმოგვიდგენს თუში ხალხის ბრძოლებს ლეკი მძარცველების წინააღმდეგ.

მთის პოეზიის მიხედვით ლუხუმი ლეკების წინააღმდეგ შეუდრეკელი მებრძოლი გმირია, რომელსაც თავისი გმირული ბრძოლებით მთელი დაღესტანი შეუჯერებია. ამ მხრივ იგი კამათსა და გარკვევას არ მოითხოვს.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია ლეკთა მასიური შემოსევები ჩვენი ქვეყნის როგორც ბარის, ისე მთის მოსახლეობაზე XVIII საუკუნის დასაწყისიდან იწყება. XVIII საუკუნის წინამდებარე XVII საუკუნე იცნობს ლეკთა ქურდულსა და ავაზაკურ გამოვლინებებს, რასაც თან სდევდა დიდი სიფრთხილე და შიში ქართლ-კახეთის მეფეებისაგან; ლეკი აბრავები ცდილობენ თავისი ქურდ-ბაცაკური მოქმედებით არ გაართულონ მდგომარეობა ქართლ-კახეთის სახელმწიფოებთან, მაგრამ ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესებასთან ერთად მათი მცირე მნიშვნელობის მძარცველობა იზრდება და ფართო ლაშქრობებისა და შემოსევების ხასიათს იღებს. ლეკი-ანობის მუდმივმა, ხშირმა და ხალხმრავალმა შემოსევებმა XVIII საუკუნის 10-იანი წლებიდან ერთნაირად მიიპყრო მთელი ქართლ-კახეთისა და მთის მოსახლეობის ყურადღება, დადგა ქართველი ხალხისათვის ძნელბედობის დრო. ქვეყნის უბედურებას, რაც „ოსმალობა“-„ყოზილბაშობით“ იყო გამოწვეული, თან დაერთო „ლეკიანობაც“, რომელიც ქართველი ხალხისათვის ყველაზე საშიში და ანგარიშგასაწვეი მტერი გახდა მოცემული საუკუნისათვის. მთელი ქართლ-

<sup>1</sup> მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, გვ. 50, 1956.

კახეთი მთის მოსახლეობასთან ერთად ირაზმება, ძალებს აერთიანებს და თავდადებულად იბრძვის ლეკი დამპყრობლების წინააღმდეგ.

XVIII-XIX საუკუნეების ქართველი ერის ისტორია სავესა ლეკიანობის წინააღმდეგ ბრძოლების ეპიზოდებით. მრავალი ბრძოლებისა და თავდასხმების მოგვრება მოუხდა ქართველ ხალხს ლეკთა მრავალჯგზის შემოსევების გამო, მაგრამ ქართლ-კახეთისა და საქართველოს მთიანეთის მოსახლეობას ერთმანეთისაგან განსხვავებით უხდებოდა ლეკიანობის წინააღმდეგ შებმა და ბრძოლების გადახდა. ზოგი კუთხე მუდმივ ბრძოლებსა და გაუთავებელ სისხლისღვრაში იყო ჩაბმული, ხოლო ზოგი კი დროგამოშვებით ზღებოდა ლეკთა წინააღმდეგ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლების მონაწილე. საქართველოს ბევრმა კუთხემ და მათ შორის თუშეთმა მრავალჯერ განიცადა ლეკთა თავდასხმები, დიდოეთ-დაღესტანი, თითქმის, მთელი ორი საუკუნე ებრძოდა თუშეთს, თუშ ხალხს, ცდილობდა მის სრულ განადგურებასა და ხელში ჩაგდებას, მაგრამ დაღესტანმა თუშეთის განადგურება ვერ შეძლო, ეს ყოველივე იმით იყო გამოწვეული, რომ საქართველოს სამეფო ხელისუფლება და ბარის ქართველობა საქართველოს მთიანეთს და მის მკვიდრ მოსახლეობას ყოველთვის სათანადო დახმარებას და მზრუნველობას უწყვედა და ისინი ერთობლივი ძალებით მოძალადეს საკადრის პასუხს სცემდნენ. ლეკიანობის წინააღმდეგ თუში ხალხის ბრძოლებმა გამოავლინა მრავალი გმირი და მათ შორის ლეკების სულთამხუთავი – ლუის ლუხუმი.

ყველა ზეპირსიტყვიერ ძეგლში, რაც კი ლუის ლუხუმზე შექმნილა და გავრცელებულა – ლუხუმი თუმად და თუშების მხარეზე ლეკიანობის წინააღმდეგ მებრძოლ გმირად გვევლინება.

თუშეთში, ფშავსა და ხევსურეთში შექმნილ ხალხურ გადმოცემებსა და მრავალ ვარიანტად გავრცელებულ ლექსების ციკლში ლუხუმი დახასიათებულია, როგორც თუში სახალხო გმირი და მთელს თუშეთში თავისი მამაცობითა და ვაჟკაცობით ყველაზე მეტად სახელმწიფოვეჭილი პიროვნება. ერთი ხალხური ლექსი „ნარჩევი ხალხი“ პირდაპირ მიუთითებს ლუხუმის თუშობაზე:

„მთხოს აღდი ჯობ მამაცად,  
შმაველებს სჯობ კუკუმაური,  
თუშებსა ლუის ლუხუმი  
გუდამაყრელთ ბუბუნაური.  
მოხვეთ ლუკუმაური,  
ხევსურებს ხიშურაული;  
ხმლის ქნეჯად, ფარის ფარებად  
მარტია მისრიაული.  
ამგის გვერდის სადგომად  
იმელა მინანური  
ცხვარს ვინ მოხვერაეს მთხოსა?–

ახალა შუქაური,  
ვინ ჩავის მოზვერულობდა?-  
გამახელთ თემროზაული.  
კაცსა ვინ მოხკლავს მითხოვსა?-  
ჩააცვეთს ბაბურაული.  
ხუთ-ხუთს ვინ ჩახ ოცს მარტოი?-  
ძალლიკა ზიმიკაური,  
ვინ გაღმეტლების ლაშქართა?-  
ლულელი არიშაული".<sup>2</sup>

როგორც ჩანს, ამ ვაჟკაცთა და გმირთა პლეადაში შესვლა თუშეთიდან მხოლოდ ლუხუმს ხედომია წილად. სწორედ ამ ლუხუმზე შექმნილ მრავალ ლირიკულ ვარიანტს გარდა არსებობს მოზრდილი, ფრიალ საყურადღებო ნაწარმოები, რომელიც ეპიური ხასიათისაა და ბევრ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ლუხუმის პიროვნებისა და მისი ვინაობის შესახებ. პოემა „ლუის ლუხუმი“, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, დაბეჯითებით მიუთითებს, რომ ლუის ლუხუმი არის თუში სახალხო გმირი:

„გაისთველხმელა ზაფხულმა თუშის რომელის ჭირადა?  
საბოსლოს არის ლუხუმი, მარტუა თავის ჭირადა.  
დაუგულებავ ლუხუმი, ლეკებს დაუკრავ თვალია,  
არ ქნილა შუა-ღამეი, ჩუმაღ შაულეს კარია“.<sup>3</sup>

მიეყვებით აღნიშნულ ნაწარმოებს და კვლავ უხვად ვპოულობთ ლუხუმის პიროვნებისა და ვინაობის დამამტკიცებელ ფაქტებს. ლეკების მიერ დატყვევებულსა და დიდოეთში გადაყვანილ ლუის ლუხუმს უმაღლვე იცნობს ტყვე თუშის ქალი და ტირილითა და გოდებით შეღალადებს ღმერთს, რომ საფლავზე ლეკთა მიერ დასაკლავად გამზადებულ ლუხუმს დახმარება აღმოუჩინოს, იხსნას მტრის კლანჭებისაგან და თავისუფლება მიანიჭოს: „

„ბაგოს ატირდა სოფლადა ტყვედ ნამყოფ თუშის ქალიო:  
– ღმერთო, ნუ მახკლავ ლუხუმსა, გაუკითხენი ბრალნიო!  
ხელნ გაუხსენით ლუხუმსა, მემრე მიეცით ხმალიო“.<sup>4</sup>

გმირი ლუხუმი ამშვიდებს ატირებულ თუშის ქალს; თავის სიკვდილსა და ლეკთა მიერ გამოტანილ სასჯელს არაფრად არ მიიჩნევს იმ ცოდვა-ბრალთანა და სისხლისღვრასთან შედარებით, რაც ლუხუმს ლეკებისათვის უგემებია და სთხოვს, ევედრება, რომ მის მშობელ დედას უამბოს, როცა კი თუშეთში დაბრუნდება, ლუხუმის შესახებ ყოველივე და უთხრას, რომ ტყუილად ნულარ დაუწყებს ლოდინს, ვეღარ მოუვა ლუხუმი დედას და ვეღარ ეღირსება მშობლიური კუთხისა და სოფლის – იმალოს ნახვა:

<sup>2</sup> ა.კ. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხვესურული, გვ. 17, 1931.

<sup>3</sup> ა.კ. შანიძე, დასახელებილი ლიტერატურა, გვ. 419.

<sup>4</sup> ა.კ. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხვესურული, გვ. გვ. 420, 1931.

„ნუ სტირი თუშის გაზრდილო, ჩემ სიკვდილ არა ბრალიო: ბევრჯერ უტირენ დედანი, ცხვარ-მწვემსთ გაუჭერ თავიო“.  
ლუხუმის დედას უთხარით, მთა-წვერთ ნულარ აქვ თვალიო, აღარ მაგვივა ლუხუმი, ომალოს მყვირალ ხარო“.<sup>5</sup>

მოყვანილი ამონაწერები კვლავ დაბეჯითებით ხაზს უსვამენ ლუხუმის ვინაობას და მიუთითებენ, რომ იგი ნამდვილად თუშთა სატომო გმირია; დასახელებული ზეპირსიტყვიერების ძეგლი იმდენად ზუსტად და თანმიმდევრულად ყვება ლუხუმის ვინაობის შესახებ, რომ მის მშობლიურ სოფელსაც კი გვისახელებს და მიგვითითებს, რომ ლუხუმი სოფ. ომალოდან არისო. ლუხუმის სოფლის დასახელება უფრო მყარსა და მტკიცეს ხდის მსჯელობას იმის შესახებ, რომ ლუხუმი თუშია და არა ფშაველი, რადგან თუშეთში ნამდვილად არის სოფელი ომალო, ხოლო ფშავეში კი სოფ. ომალო არ არსებობს. დასახელებული ძეგლის ერთ-ერთი ვარიანტიც პირდაპირ აცხადებს, რომ ლუხუმი თუშია და არა სხვა რომელიმე ტომის წარმომადგენელი:

„ქალმა შეხედა. ატირდა: – „ლუხუმს ნუ მოკლავთ, ბრალია!“  
– „ქალო, შენც თუში, მეც თუში, ჩემ სიკვდილ არა ყმია.  
კიდენ დარჩება თუშეთში, მალე შემოირტყას ხმალია,  
შორად წაიღოს საგძალი, მტრისა არ ჭამოს ჯავრია“.<sup>6</sup>

ყოველგვარ მტკიცებასა და სხვადასხვა ზეპირსიტყვიერი მასალების გაანალიზებას რომ თავი დავანებოთ ლუის ლუხუმის თუშ სახალხო გმირობასა და მის ნამდვილ თუშთა ტომობრივ გმირობაზე მეტყველებს ის უტყუარი და ჭეშმარიტი ფაქტი, რომ მის მშობლიურ სოფელ ომალოში როგორც ეს ხალხურ ლექსებშია მითითებულია, დღესაც ცხოვრობს გმირი ლუხუმის მემკვიდრეობა. მათ შორის ერთ-ერთი შტო ამჟამად სოფ. ქვემო ალვანშია, რომელთაც ლუიანთ ეძახიან, მართალია, ლუხუმის შთამომავლობას გვარი შეუცვლია, ისინი ახლა იჭირაულები არიან. მაგრამ იმ ოჯახის მოდგმას, რომელსაც ოდესღაც ლუის ლუხუმი ეკუთვნოდა, დღესაც ლუიანთ ეძახიან, განსხვავებით სოფ. ომალოში მცხოვრები სხვა იჭირაულებისაგან, რადგან, როგორც ეტყობა, დღეს ამ გვარში გაერთიანებულ იჭირაულებს ადრე ყველას თავისი გვარი ექნებოდა, ხოლო ერთ გვარში გაერთიანების შემდეგ კი მათ მაინც შერჩენიათ თავისი ძველისძველი გვარი და როცა იჭირაულების გვარიდან მინიშნებით ვისიმეს დასახელება უნდათ იტყვიან ხოლმე: ჩაგანთ გერე, თადიზიანთ პეტრე, ლუიანთ ტირიფონა და სხვ. ეს უკანასკნელი – ლუიანთ ტირიფონა, იგივე იჭირაული ცხოვრობდა ახმეტის რაიონის სოფ. ქვემო ალვანში და იყო ლუის ლუხუმის შორეული მემკვიდრე.

ლუის ლუხუმი, თუშებისათვის იმდენად სახელმწიფოეჭილი პიროვნება ჩამოყალიბებულა, რომ თუშეთში ადრეც და ახლაც, ლუხუმის გმირობითა

<sup>5</sup> აკ. შანიძე, დასახელებული ლიტერატურა, გვ. 420.

აკ. შანიძე, დასახელებული ლიტერატურა, გვ. 421.

და ვაჟკაცობით აღტაცებული ბევრი მშობელი თავის ვაჟიშვილებს ლუხუმის სახელს არქმევდა და არქმევს, რაც საბოლოოდ ისე პოპულარული გამხდარა, რომ გვარი – ლუხუმაძეც კი შექმნილა თუშეთის ორ სოფელში – დანოსა და შენაქოში.

ლუის ლუხუმზე შექმნილი ხალხური ზეპირსიტყვიერების მიხედვით, ლუხუმი ხასიათდება, როგორც დაღესტნელთა „ნიაჲ-ღვარი“, „მათი რისხვა და სულთამხუთაჲ“. ამიტომ არის, რომ ლეკები ყველანაირად ცდილობენ რათა ლუხუმი ან მოკლან ან ტყვედ ჩაიგდონ. მტერმა ვერ შეძლო ლუხუმის მოკლა. მაშინ ლეკები ღამით ბოსელში, სადაც ლუხუმს სძინებია, ჭერიდან ჩაპარულან, შეუბოჭია ლუხუმი და დაღესტანში წაუყვანია. ლუხუმის ხელში ჩაგდებას ლეკებისათვის დიდი სიხარული მოუტანია, რასაც ხალხური ლექსი შემდეგნაირად გამოხატავს:

„ქავთრის მთის გადასეესა თუშეთს დასწერა ჯვარიო:

„მშვიდობით, ჩემო თუშეთო, მომავალ აღარ ვარო“.

ჩავიდეს დიდოთ სოფელში, შამაეხვია ჯარო;

„შენ ხარა ლუის ლუხუმი, ლეკეთის ნიაჲ-ღვარიო?“<sup>7</sup>

დაღესტანში ჩაყვანილი ლუხუმი მიცვალებულის პატრონ ლეკს უყიდა და იმ მკვდრის საფლავზე დაუკლავ: „იყიდა ჭირის პატრონმა, სულ გაიტანა რვალიო, საფლავზედ შამაახდინეს, რომ ნაკურთხევი ხარო“. ლუხუმის ჯავრი ამოუყრია მის ძმისშვილს – ხვედეგს, რაც შესანიშნავად აქვს აღწერილი ბანანას. მწერალი აღნიშნავს, რომ: „ვასულა მას შემდეგ კარგა ხანი. ლეკებს კადეც დაჰვიწყებათ ეს ამბავი. მაგრამ ხვედეგს რა დაავიწყებდა? როცა დრო უხელთაობია, ორი სხვა ამხანაგოთ ამ სოფელში მისულა, სადაც მისი ბიძა დაუკლავთ. კცოდნია, ვინც იყო იმის ბიძის. დამკლავი „ჭირის პატრონი“. კცოდნია მისი კოშკიც. ღამე მისდგომია ვახშაშს უკან. ასკლა კოშკზედ ნიადაგ ძნელი იქნებოდა. ხვედეგს ხის სოლები უკონია დათლილი, კედელში ურჭყია ეს სოლები, საფეხურები ვაუკეთებია და ასულა კოშკზედ. „როცა აყალ და შიეთურობას დავათვალიერებ, განაწინებთ და თქვენც ამოდითო“, ამხანაგებისათვის უთქვამს. მაგრამ როცა ჩაუხედია და ნაცნობი ჯალაბობა უნახავ, თავი ველარ შეუკავებია, ჩაპხტომია მარტოკა და დაპრეგია. არ დაუნდვია არც დიდი და არც პატარა, არც ქალი და არც ვაჟი. ხუთი მძა-ბიძაშვილი, მათი ცოლ-შვილი, თუ სხვა ვინმე იქ მყოფი, ყველა იმის ხმლის მსხვერპლი გამხდარა. თითონ კი ამხანაგებიანად ისეც მშვიდობიანად დაბრუნებულა შინა. დახოცილების მარჯვენა ხელეგისაც ნიადაგ წამოიღებდა, თავის კოშკისა და ქაჲ-ცინის შესამკობად“.<sup>8</sup>

<sup>7</sup> აკ. შანიძე, დასახელებული ლიტერატურა, გვ. 420.

<sup>8</sup> აკაკი შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 420

გმირი ლუხუმის საკითხის შესწავლასა და მის გარშემო არსებულ მთის პოეზიის გაშუქებას – წმინდა ისტორიულ მნიშვნელობასთან ერთად, უაღრესად დიდი ლიტერატურული ღირებულებაცა აქვს, რადგან, ვფიქრობთ, დიდ ქართველ მგოსანს – ვაჟა-ფშაველას თავის ორ პოემაში – „სტუმარ-მასპინძელს“ და „ბახტრიონში“ გამოყენებული უნდა ჰქონდეს ლუხუმის გმირობა-ვაჟკაცობაზე შექმნილი ლექსების შინაარსი. თვით, ვაჟას ზვიადაური, „ბახტრიონის“ ლუხუმი და ხალხური ლუხუმიც ერთი და იგივე უნდა იყოს, რაც ერთხელ კიდევ უფრო დიდსა და პოპულარულს ხდის ლუხუმის სახელს და მის შესახებ შექმნილი ლექსების ციკლი სერიოზულ ლიტერატურულ-ისტორიულ დამუშავებას მოითხოვენ.

ვაჟა-ფშაველას მდიდარი შემოქმედების გარკვევა სერიოზული ამოცანაა. ამ ამოცანის გადასაწყვეტად დიდი მნიშვნელობა აქვს პოეტის შემოქმედების ხალხურ ნაწარმოებებთან კავშირის შესწავლას.

ვაჟა-ფშაველამ ბევრი ხალხური მარგალიტი „გადაადულა“ უძლიერეს „საკუთარ სულიერ ქურაში“ და მემკვიდრეობას უანდერძა ისეთი უკვდავი ქმნილებები, როგორცაა: „სტუმარ-მასპინძელი“, „გველის მჭამელი“, „აღუდა ქეთელაური“, „ბახტრიონი“, „გოგოთური და აფშინა“, „გიგლია“, „ეთერი“, „ბაკური“ და სხვ.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისა და ხალხური სიტყვიერების ურთიერთობის გარკვევის საკითხი, ჯერ კიდევ მგოსნის სიცოცხლეშივე დაისვა.

„კარგა ხანია, – შენიშნავს მგოსანი, – რაც ბ. ივ. ვართაგავა ჟურნალ „განათლება“-ში პბეჭდაკის ჩემი ნაწერების შესახებ კრიტიკულ წერილებს სათაურით: „მთის შვილის ვაჟას სიმღერა“... ბ. ვართაგავას ძალიან უნდა გაიგოს ამ პოემაში („გველის მჭამელს“ და „სტუმარ-მასპინძელში“, ვ. ე.) რა ეკუთვნის ხალხს და რა მქ. როგორც ავტორს.“<sup>9</sup>

ი. ვართაგავას მიერ ქართულ პრესაში ვაჟას შემოქმედების შესახებ დაყენებულ მტკივნეულ საკითხს მთის მგოსანი უმაღლვე გამოხმაურებია და საპასუხო წერილით „კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი“,<sup>10</sup> აღნიშნა, რომ: „რა მაქვს დასაძალი და დასაფარნი? არიფერი. „სტუმარ-მასპინძლის“ და „გველის მჭამელის“ ყინაობას კი არა, მთელ ჩემს ნაწარმოებებს გავაცნობ მკითხველს და ვეტყვი – რაა აქ ხალხური და რაა ჩემი საკუთარი, ნაყოფი ჩემის გონებისა და გრძნობისა“.<sup>11</sup>

ი. ვართაგავასადმი გაცემულ პასუხშივე ვაჟა მკითხველებს დაპირდა, რომ „ამ ნაკლს გავასწორებ მხოლოდ მაშინ, როცა დაიწყება ჩემის ნაწერების ცალკე წიგნებად გამოცემა, – იქვე დასძენდა, – ერთი რამ უნდა აღვნიშნო, ამის თქმა ფრიად საჭიროდ მიმაჩნია, რადგან ამ ნათქვამმა ჩემს კრიტიკოსებს შეიძლება გაუადვილოს გზა კვლევა-ძიებისა და შეაგნებინოს ჭეშმარიტი

<sup>9</sup> ვაჟა-ფშაველა, რჩეული, გვ. 354. 1953.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 354-360.

<sup>11</sup> ვაჟა-ფშაველა, ტ. 5, გვ. 315. 1961

შემოქმედების თვისება, ვითარება, როგორც კერძოდ ჩემი, ისე საზოგადოდ ჩემი პოემები, თითქმის ყველა, ხალხურ თქმულებებზე, ძველ ამბებზე არიან დაფუძნებულნი, თითოეული მათგანი სხვადასხვანაირად, ზოგი ცოტად თუ ბევრად უახლოვდება დედანს, სხვა სრულიად დაშორებულია მასზედ“.

ვაჟამ თავისი დანაპირები ვერ შეასრულა, პოეტის უძროო გარდაცვალებამ კვლავ ბურუსსა და გაურკვეველ სამოსელში დატოვა ვაჟა-ფშაველას პოემებისა თუ სხვა სახის ნაწარმოებთა ხალხურობის შესახებ – ქართველი ხალხის დიდი ინტერესი და მოლოდინი, რაზეც ვაჟა აპირებდა ამომწურავი და ზუსტი პასუხის გაცემას.

პოეტის სიკვდილის შემდეგ, განსაკუთრებით კი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ, ფართოდ გაიშალა კვლევა-ძიება ვაჟას შემოქმედების ირგვლივ.

ლიტერატურის მკვლევარებმა და ფოლკლორისტებმა მრავალი საყურადღებო მოსაზრება წამოაყენეს და ცალკეული შრომები უძღვნეს ამ საკითხს, მაგრამ მკვლევარების კვლევა-ძიება არსებითად არ სცილდება იმ არეს და იმ მასალებს, რომლებზედაც თვით ვაჟამ მიუთითა მოკლე საგაზეთო წერილში. ხოლო იმ წყაროებზეც კი, რომლებზეც პოეტმა მიანიშნა არც ლიტერატურის მკვლევარებს და არც ფოლკლორისტებს დღემდე ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევიათ.

ამჯერად ხელოვნებისა და მეცნიერების ყველა დარგთან ერთად უაღრესად დიდი ყურადღება დაეთმო ხალხური ზეპირსიტყვიერების შეგროვებას და შესწავლას. დიდძალი მასალა არის შეკრებილი და გამოქვეყნებული, რაც შესაძლებლობას იძლევა მოვძებნოთ და გამოვიკვლიოთ ამ საკითხის მიმართ ისეთი ყურადსაღები მასალები, რომლებიც ავტორს არ მიუთითებია, მაგრამ აღნიშნა, რომ არსებობენო.

ჩვენს მიზანს შეადგენს თუშ სახალხო გმირ ლუის ლუხუშზე შექმნილი მდიდარი ზეპირსიტყვიერი მასალების შედარება ვაჟას ორ პოემასთან – „სტუმარ-მასპინძელსა“ და „ბახტრიონთან“ და მათ შორის არსებული მრავალმხრივი დამთხვევების ილუსტრაცია.

სანამ უშუალოდ საკითხის გარკვევაზე გადავიდოდეთ, ვფიქრობთ, ჩვენ მიერ პირობითად პოემად წოდებულ „ლუის ლუხუშის“ შინაარსი გადმოგვცეთ, რომ ჩვენ მიერ დაყენებული საკითხი უფრო გასაგები და ნათელი იყოს.

ერთხელ მოულოდნელად რამოდენიმე თუშს თავზე დასხმია მოთარეშე ლექების მრავალრიცხოვანი რაზმი. მებრძოლ თუშთა მცირე ჯგუფს ვერ გაუძლია მტრის დიდი დაწოლისათვის, დაშლილან და სასწრაფოდ გასცლიან იქაურობას, ხოლო მათთან მყოფი, მტრებთან ბრძოლაში სახელმძოხვეჭილი გმირი ლუხუში არ დაბნეულა, ამხანაგებისაგან მტრის პირისპირ მიტოვებულს ცხარე ბრძოლა გაუმართავს და ბოლოს, რომ დაუტყვია დიდ ძალასთან ჰქონდა საქმე, იმისათვის, რომ ტყვედ არ ჩავარდნოდა. ძალიან კლდიდან გადამხტარა, მაგრამ კლდეში გადახტომის დროს ფეხი მოსტეხია და იქვე გაჩერებულა.

ლექები ჩასულან ლუხუმთან, თოფი და ხმალი აუხსნიათ. ცოცხლისათვის მარჯვენა მოუჭრიათ და მიუტოვებიათ იმ განზრახვით, რომ ხომ სულ ერთია მინც ვერსად წავა და უფრო ტანჯვით მოკვდებო. მიუხედავად ამ ტრაგიკული ეპიზოდისა ლუხუმი მინც მოსულიერებულა და მოტეხილი ფეხი თოფის კონდახის ნამტყვრევებით შეუკრავს.

კლდე-ქარაბებში დარჩენილ შმიერ ლუხუმს პურად მთის ქუჩი უძოვია და წყლის დანატრებულს კი მთის ბალახსა და სიპ ქვაზე დანაბული ცის ცვარი ულოკია. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილს — მარჯვენა მოჭრილსა და მუხლმოტეხილს, როგორც მეორედ სიცოცხლის მოზნიჭებელი ოდითგან ადამის მტერი გველი შემოსჩვევია მკურნალად:

„ლუხუმს გველ შამეჩვია,  
მუხლს ულოკს, უკურნისაო“.<sup>12</sup>

ორი კვირის შემდეგ ავადმყოფი ფეხზე დამდგარა — „ლუხუმს მუხლ ექნა მგლისაო“ და წამოსულა სახლისაკენ, მაგრამ გზაში ისევ წასწყდომია ბაგოზლელ ლექებს. მათ ლუხუმის შეპყრობა მოუნდომებიათ:

„მარჯვენა არ აქვს ლუხუმსა  
მარცხენას ხმარობდისაო“.<sup>13</sup>

ასე მთავრდება პოემის პირველი ნახევარი; მეორე ნახევარში კი უკვე შესამედაა ლაპარაკი ლუხუმის შეპყრობაზე; ამჯერად კი ბოსელში ყოფილა მარტოდ, როგორც სჩანს მეორედ რომ იჭერდნენ მაშინაც დაუღწევია თავი და ახლომახლო ბოსელში შეფარებულა. ლექებს აქაც შეუსწვრია თვალი და შუაადამის დროს, ჩუმად შეუღია კარი. ქედმოუდრეკელ ვაჟკაცს ცხრანი დასხმიან თავზე:

„დაასხდეს, ვერ იმაგრებდეს-  
ლუის ლუხუმსა ცხრანია“.<sup>14</sup>

დიდი წვალების შემდეგ დაუმორჩილებიათ და შებოჭილი თუში ვაჟკაცი მხოლოდ ერთს ნატრობდა:

„ხანჯარი მინც მქონიყო  
ამესხა სისხლის ცვარიო“.<sup>15</sup>

ამის შემდეგ ჩაუყვანიათ დიდოთ სოფელში და გახარებული ლექთა ჯარი გარს შემოხვევია მათთვის მთელს თუშეთში დაუძინებელი გმირის სანახავად:

„ჩავიდეს დიდოთ სოფელში,  
შამოუხვია ჯარიო:

„შენ ხარა ლუის ლუხუმი  
ლექეთის ნიაგ-ღვარიო?“<sup>16</sup>

<sup>12</sup> აკ. შანიძე, ხალხური პოეზია. გვ. 35.

<sup>13</sup> აკ. შანიძე, ხალხური პოეზია. გვ. გვ. 420.

<sup>14</sup> იქვე.

<sup>15</sup> იქვე.

<sup>16</sup> იქვე.



დიდოეთში ჩაყვანილ ლუხუმს მისსავე მიერ იმ ხანებში მოკლული ლეკის ჭირისუფალი ყიდულობს მიცვალებულის საფლავზე დასაკლავად:

„იყიდა ჭირის პატრონმა,  
სულ გაიტანა რვალიო,  
საფლავზედ შამახინდეს.  
რომ ნაკურთხევი ხარო“.<sup>17</sup>

გმირი ლუხუმის უბედურების მოწმე გამხდარა დიდოეთში მყოფი ტყვე თუმის ქალი, რომელიც ღმერთს ებუდარება და სთხოვს მის გადარჩენას:

„ღმერთო, ნუ მახკლავ ლუხუმსა,  
გაუკითხენი ბრალნიო,  
ხელნ გაუხსენით ლუხუმსა,  
მერმე მიეცით ხმალიო“.<sup>18</sup>

ლუხუმი კვლავ ამაყად დგას და ვაჟკაცურად ხედება ურჯულოთა მიერ გამოტანილ განაჩენს. იგი წარბსაც არ იხრის, მრისხანედ გამოიყურება და მტრის გულის მოსაკლავად, საფლავზე დასაკლავად გამზადებული ლუხუმი ციკვასაც კი გამართავს:

„საფლავზე გამოაიმაშდა,  
ხელშიაც მამცა ხმალიო“.<sup>19</sup>

როგორც ჩანს ეს მომენტი რაღაც არაჩვეულებრივ და ზოგადკაცობრიულ ვაჟკაცობაზე მეტყველებს, ეს არის, რომ ვთქვათ. თვითსიკვდილის მოკვლა და მტერი თუ როგორი გაწბილებული დარჩებოდა ნათლადაა გამოხატული.

ლუხუმი მის ბედით მწარედ ატირებულ ტყვე თუმის ქალს ტირილსაც კი უკრძალავს, რაც კვლავ ლუხუმის ვაჟკაცობასა და მის მიერ ამჯერად მტრისადმი ქედის მოუხრელობაზე მიუთითებს:

„ნუ სტირი, თუმის გაზრდილო.  
ჩემ სიკვდილ არა ბრალიო:  
ბეერჯერ უტირენ დედანი,  
ცხვარ-მწყემს გაუჭერ თავიო“.<sup>20</sup>

სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე ლუხუმი არ ივიწყებს მხოლოდ ერთს – გამზრდელ დედას. იგი მხოლოდ ამით გრძნობს ჩუმს, მაგრამ მწკვე ტკივილს ქვეყნად უღიადესს – დედაშვილურ სიყვარულისას. სიკვდილის წინ დედის სურათი უდგას თვალწინ:

„ლუხუმის დედას უთხარით,  
მთა-წვერთ ნულარ აქვ სკალიო.  
აღარ მოგივა ლუხუმი,  
ომალოს მყვირალ ხარო“.<sup>21</sup>

<sup>17</sup> აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. გვ. 420.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 58.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 420.

<sup>20</sup> იქვე.

<sup>21</sup> აკ. შანიძე, დასახ. ლიტ. გვ. 420.

ამ ბარბაროსული ტრაგედიის შემდეგ, დაკლული გმირის ლუის ლუხუმის ძმისწული – ხვედეგი იძიებს შურს და სამაგიეროს ერთიათად მიუხლავს მტერს:

„ხვედეგმ გაწყვიტნა ჯალაფნი,  
ცეცხლთ მიუღვარა წყალიო,  
თავად მშვიდობით წავიდა,  
გამოუჯარა კაროი“.<sup>22</sup>

როგორც ვხედავთ დიდად საინტერესო საკითხი დგება ჩვენს წინაშე, ხომ არ შეიძლება, ეს მასალები ვაჟა-ფშაველას თავისებურად გადაემუშავებინა და გამოეყენებინა თავის უკვდავ ნაწარმოებებში?

ჩვენ ამ კითხვას თავიდანვე, სანამ მის სრულ დამუშავებას შევუდგებოდეთ, დადებითად უნდა ვუპასუხოთ.

გმირ ლუხუმზე შექმნილი ხალხური პოემა „ლუის ლუხუმი“ ბევრი რამ საერთო ნიშნებით ახლოს დგას ვაჟას ორ პოემასთან – პირველი ნახევარი გამოყენებული უნდა ჰქონდეს „ბახტრიონში“, მეორე ნახევარი კი „სტუმარ-მასპინძელში“.

ჯერ კიდევ 1911 წელს ვაჟა-ფშაველა ეხებოდა რა პოემა „ბახტრიონის“ დაწერასა და მასში ხალხური მასალების გამოყენების საკითხს თვითონ სვამდა კითხვას, თუ: „საიდან წარმოიშვნენ პოემის გმირები?“<sup>23</sup> და მიუთითებდა იქვე, რომ „გმირები პოემისა ლუხუმი, ხოშარეული, სუქელჯაი, კვირია, სანათა, გარდა ზეხვასია, ხალხურ ლექსებში ერთი არ არის ნახსენები, რომ იმათ მიეღოს რაიმე მონაწილეობა ბახტრიონის ბრძოლაში და არც კი არიან თანაშემწეოვანი ამ ბრძოლისა, თუქცა კი გმირებად იხსენიებთან ხალხურ ლექსებში სრულიად სახკა ბრძოლაში, სხვა დროს – ასეთები არიან ლუხუმი, ხოშარეული“...<sup>24</sup> და სხვ. მართალია, ვაჟა-ფშაველა არ მიუთითებს ზეპირსიტყვიერების იმ მასალაზე, საიდანაც ლუხუმის შესახებ უსარგებლია, მაგრამ ცხადი ხდება, რომ პოეტს კარგად უნდა სცნობოდა ლუის ლუხუმის ვინაობა, მისი თავგადასავალი და მის ირგვლივ შექმნილი საგმირო პოემის შინაარსი, რაც სხვა ზეპირსიტყვიერ მასალებთან ერთად ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენი საშუალება გახდებოდა პოემა „ბახტრიონის“ დაწერისათვის.

იმის შემდეგ, რაც ვაჟამ თვითონვე მიუთითა, რომ „ბახტრიონში“ მის მიერ გამოყვანილი სახალხო გმირი ლუხუმი ნამდვილი პიროვნებაა, ხოლო სხვა დროისა და სხვა თავგადასავლის მოქმედიო, გავიდა თითქმის მთელი ორი ათეული წელი და 1931 წელს გამოცემულ წიგნში „ხალხური პოეზია“, აკ. შანიძემ კვლავ გააცოცხლა საკითხი „ბახტრიონის“ ლუხუმსა და მთის

<sup>22</sup> აკ. შანიძე, დასახ. ლიტ. გვ. 420.

<sup>23</sup> ვაჟა-ფშაველა, თხზ. ტ. V, გვ. 282. 1961.

<sup>24</sup> ვაჟა-ფშაველა, თხზ. ტ. V, გვ. 283-284. 1961.

პოეზიის ლუბუმის სახლოვის შესახებ და აღნიშნა: – „თქმულება იმის შესახებ, რომ ლუბუმს ჭრილობა გველმა განუკურნა, გამოყენებული აქვს ვაჟა-ფშაველას თავის „ბახტრიონში“, მაგრამ მისი ლუბუმი და ჩვენი სიმღერის ლუბუმი ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგანო“.<sup>25</sup>

პროფ. ჩიქოვანი პოემა „ბახტრიონში“ გამოყენებული ხალხური მასალების შესწავლის დროს იზიარებს რა აკად. აკ. შანიძის აზრს შენიშნავს, რომ „ეს განსხვავება (ე.ი. ვაჟას ლუბუმისა და ხალხური ლუბუმის განსხვავება, ვ.ე.) ნაწარმოებთა სიუჟეტურ მხარეს ეხება მხოლოდ, ისე მხატვრული სახე და იდეალი საერთოა ორივე შექმთხვევაში“.<sup>26</sup> მოცემული შენიშვნის შემდეგ პროფ. მ. ჩიქოვანი წყვეტს საუბარს ხალხურ ლუბუმსა და ვაჟას ლუბუმს შორის არსებულ სიახლოვესა და მსგავსებაზე და გადადის პოემაში მოცემული სხვა გმირების დახასიათებაზე. საკითხი კვლავ ბუნდოვანი და გაურკვეველი რჩება იმის შესახებ თუ ნამდვილად არსებობს თუ არა მსგავსება მთის პოეზიის ლუბუმსა და ვაჟას ლუბუმს შორის და ან როგორია ეს მსგავსება? ნამდვილად ლუის ლუბუმზე შექმნილ მასალებს იცნობდა ვაჟა და იმით ხელმძღვანელობდა პოემაში ლუბუმის სახის გამოკვეთისას, თუ პოეტი სხვა ხალხურ ლუბუმს იცნობდა და ის იყო მისი შთაგონება ეროვნულ გმირამდე ამალღებული ლუბუმის დახატვისას?

ახლა კი მივყვით საკითხს თუ რა აქვს საერთო „ბახტრიონის“ გმირ ლუბუმს ხალხურ ლუბუმთან.

1. სახელი ორივეს ლუბუმი პქვია:

ვაჟა – „ბერი სადღაა ლუბუმი დაშრიგებელი ფშაქისა“.<sup>27</sup>

ხალხური – „შმაგლებს ჯიმ კიკუჩაური თუშებსა ლუის ლუბუმი“.<sup>28</sup>

2. როგორც ერთი, ისე მეორე დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლ გმირად გვეკვლინება:

ვაჟა – „ერთხელის საბუის ბოლოს ლეკებ რომ გაცხვეთ ქადადა“.<sup>29</sup>

ხალხური – „ბეგრჯერ უტარენ დედანი, ცხვარ-მწყემსი გაუქერ თავიო“.<sup>30</sup>

3. როგორც პოემის ლუბუმი, ისე თუში სახალხო გმირი ლუბუმი თავისი შეუდარებელი სიმამაცითა და მტერთიან შეუდრეკელი ბრძოლებით სახელმოსყვებილნი და საქვეყნოდ ცნობილნი გამხდარიან:

<sup>25</sup> აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 394.

<sup>26</sup> მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, გვ. 51.

<sup>27</sup> ვაჟა-ფშაველა, ტ. 2, გვ. 88. 1961.

<sup>28</sup> აკ. შანიძე, დასახ. ლიტ. გვ. 17.

ვაჟა-ფშაველა, ტ. 2, გვ. 86. 1961.

<sup>30</sup> აკ. შანიძე, იქვე, გვ. 420.

ვაჟა — „დაკარგვა ჩვენის პატრონის  
საგონად გადაგვიცევიო“. <sup>31</sup>

ხალხური — „მარჯვენა არ აქვს ლუხუშისა  
მარცხენას ხმარობდისაო“. <sup>32</sup>

წარბშეუხრელად დაეცნენ ორივენი უთანასწორო ბრძოლაში:

ვაჟა — ლუხუში იწვა დაჭრილი,  
ნატყვიარი სჭირს მკერდშია“. <sup>33</sup>

ხალხური — „მესამედ გამოსტომაში  
ლუხუშს მუხლ მასტყდა მგლისაო,—  
ხელი მარჯვენა მაიჭრეს,  
წესიც არ იყო მთლისაო“. <sup>34</sup>

ორივე ლუხუშს თანამემამულეთაგან დაცილებულსა და მარტოდ  
დარჩენილს გველი მკურნალობს:

ვაჟა — „გველს შეებრალა ლუხუში,  
მისკენ წავიდა ზღაზგნითა,

— ზედ გადააწვია, მკერდზედა,  
წყლულსა ულოკდა ენითა“.<sup>35</sup>

ხალხური — „ლუხუშს გველ შამეჩივია,  
მუხლს ულოკს, უკურნისაო“.<sup>36</sup>

გველი ორივეს განკურნავს და „ფეხზე დადგომას“ შეაძლებინებს.

ვაჟა — „ამბობენ: შააძლებინა  
სნეულსი ფეხზე დადგომა“.<sup>37</sup>

ხალხური — „ორი კვირა რო წავიდა,  
ლუხუშს მუხლ ექნა მგლისაო“.<sup>38</sup>

ხალხური პოემის მეორე ნაწილი კი, კერძოდ ის მონაკვეთი, სადაც  
გადმოცემულია ლუხუშის შეპყრობა და მის მიერვე მოკლულ ლეკის საფლავზე  
ლუხუშის დაკვლის ამბავი ვაჟა-ფშაველას გამოყენებული უნდა ჰქონდეს პოემა  
„სტუმარ-მასპინძელში“.

გმირ ლუხუშზე შექმნილ ლექსების შინაარსის შესწავლა-გაანალიზების  
დროს 1931 წელს პირველმა აკ. შანიძემ შენიშნა, რომ: „საფლავზე სისხლის  
აღების ამბავი ვაჟა-ფშაველას გამოყენებული აქვს თავის „სტუმარ-

<sup>31</sup> ვაჟა-ფშაველა, იქვე, გვ. 88.

<sup>32</sup> აკ. შანიძე, იქვე, გვ. 35.

<sup>33</sup> ვაჟა-ფშაველა, იქვე, გვ. 89.

<sup>34</sup> აკ. შანიძე, იქვე.

<sup>35</sup> ვაჟა-ფშაველა, ტ. 2, გვ. 90.

<sup>36</sup> აკ. შანიძე, დასახ. ლიტ. გვ. 35.

<sup>37</sup> ვაჟა-ფშაველა, იქვე.

<sup>38</sup> აკ. შანიძე, იქვე.

მასპინძელში“.<sup>39</sup> მაგრამ აკად. აკ. შანიძე არ მიუთითებს, თუ საიდან აქვს გამოყენებული „სტუმარ-მასპინძელში“ მოყვანილი სისხლის აღებისა და საფლავზე მოსისხლე მტრის დაკვლის ამბავი. ბუნდოვანი რჩება საკითხი – რომელი ზეპირსიტყვიერი მასალა გახდა საფუძველი ვაჟასათვის, როცა იგი ზვიადაურის სახეს ძერწავდა.

მართალია, ვაჟა-ფშაველა 1914 წელს იპ. ვართაგავასადმი გაცემულ პასუხში, ეხებოდა რა მის მიერ პოემა „სტუმარ-მასპინძელში“ გამოყენებულ ხალხურ მასალებს, აღნიშნავდა, რომ: „სტუმარ-მასპინძელი“, მაგალითად, არის აშენებული შემდეგ ამბავზე: ზვიადაური ხევსური შემთხვევით ჩაუვარდა ქისტებს ხელში, რა შემთხვევით ეს მე არ გამოგონია, მაშასადამე ჯოყოლაძე შეხვედრა და მის მიერ ზვიადაურის შინ მობატოება და შეპყრობა ეს ავტორის საკუთრებაა. ქისტებს, მოგვიხსრობს ძველი ამბავი, პყავთ ანალი მკვლარი ვიღაცა ხევსურისაგან მოკლული. თანახმად წყულებსია, საჭიროა სისხლის აღება ქისტები კვლავდნენ ზვიადაურის დარლას (ამბით ქისტის სახელი არ გამოგონია) საფლავზე. ამ დაკვლის დროს დიდი ვაჟაკაცობა და გულადობა გამოიჩინა ხევსურ ზვიადაურმა.“<sup>40</sup> ამბავი კვლავ გრძელდება, მაგრამ რადგან მას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს გვინდა უშუალოდ საკითხის გაშუქებაზე გადავიდეთ.

დიდ მგოსანს არ გვინდა შევედავოთ მის მიერ გავონილ ხალხური ამბის შინაარსსა და კერძოდ იმის შესახებ, რომ ნამდვილად რა იცოდა ვაჟამ და რა გამოიყენა ხალხური სიბრძნიდან „სტუმარ-მასპინძელში“, მაგრამ ერთი კი უნდა დაეუმატოთ, რომ არ შეიძლებოდა ლუხუმის (ციკლის ლექსების შინაარსი მოცემულ პოემაზე მუშაობის დროს ვაჟადან შორს და უცნობელნი ყოფილიყვნენ. დაბეჯითებით გვინდა განვაცხადოთ, რადგან ამის თქმის უფლებას თვით ვაჟას მიერ გადმოცემული ამბის შინაარსისა და ლუხუმის თავგადასავლის შინაარსის შედარება გვაძლევს, რომ „სტუმარ-მასპინძელზე“ მუშაობისას ვაჟასათვის მთავარი და ამოსავალი იქნებოდა ის ხალხური სიტყვიერების მარგალიტები, რაც ლუხუმის გმირობასა და ვაჟაკობაზე ღაღადებენ, რამაც, ვფიქრობთ, ზვიადაურში ნამდვილი ხალხური ლუხუმის სახე გამოკვეთა კიდევ.

გმირ ლუხუმზე შექმნილი პოემის „ლუის ლუხუმის“ მეორე ნაწილისა და პოემა „სტუმარ-მასპინძელის“ ცალკეული შედარება შეზღვევ სურათს იძლევა:

1. როგორც ხალხური ლუხუმი, ასევე ზვიადაურიც შემთხვევით წააწყდება მტერს:

ვაჟა —

„ყინა ხარ, რა სულდერი ხარ,  
რას იარები ამ დროსა?“<sup>41</sup>

<sup>39</sup> იქვე, გვ. 419.

<sup>40</sup> ვაჟა-ფშაველა, ტ. 5, გვ. 316, 1961.

<sup>41</sup> ვაჟა-ფშაველა, ტ. 2, გვ. 104, 1961.

ხალხური — „მზირი შაყრილა მზირწედა  
თუშისა, ლეკებისაო“. <sup>42</sup>

2. ორივე გმირი შეიცნეს წარსულში მტრული ურთიერთობის  
საშუალებით:

ვაჟა — „არ ეჭაშნიკა დროულ ქისტს,  
დანანგა უცხო ყმისაო“. <sup>43</sup>

ხალხური — „დაუგულებავ ლუხუში,  
ლეკებს დაუკრაჲ თვალია“. <sup>44</sup>

3. ორივე გმირი თავისი გმირობითა და ვაჟკაცობით, მტერთან  
მკლავმუდრეკელი შეერკინებისა და ცეცხლად წაკიდების გაშო ცნობილ  
სახალხო გმირებად და მტრისათვის თაყნარის დაშცემის როლში  
გვევლინებიან:

ვაჟა — „მთელის ქისტების ამომგდე  
სტუმრად რადა გყავ სახლშია“. <sup>45</sup>

ხალხური — „შენ ხარა ლუის ლუხუში:  
„ლეკეთის ნიაგ-ღეგარიო?“ <sup>46</sup>

ლუის ლუხუმისა და ზვიადურის გმირობითა და ვაჟკაცობით ბევრჯერ  
ნამწუნევი, ერთის მხრივ ქისტები და მეორეს მხრივ — ლეკები, დღისით  
ვერ ბედავენ მათს შებმას და ღამით ღრმა ძილში მყოფთ თავს ესხმიან და  
ატყვევებენ:

ვაჟა — „ღამე დაესჩნენ, შაკონონ,  
არ უნდესთ ბევრი ლოდინი“. <sup>47</sup>

ხალხური — „არ ქმნილა შუაღამეი,  
სუშად შაუღეს კარია“. <sup>48</sup>

4. არც ერთი გმირი მტრის პირისპირა და სიკვდილ-სიცოცხლის  
მაჯნაზე მდგარი წარბს არ იხრის და დიდ წინააღმდეგობას უწევს, რომ  
მათი ბრჭყალებიდან განთავისუფლდეს:

ვაჟა — „ხელი შაუკრეს არ მისცეს  
ნება, ესმარა ხმალია“. <sup>49</sup>

ხალხური — „დაიასდეს, კერ იმაგრებდეს  
ლუის ლუხუშისა ცხრანია“. <sup>50</sup>

<sup>42</sup> აკ. შანიძე, დასახ. ლიტ., გვ. 35

<sup>43</sup> ვაჟა-ფშაველა, იქვე, გვ. 106.

<sup>44</sup> აკ. შანიძე, იქვე, გვ. 419.

<sup>45</sup> ვაჟა-ფშაველა, იქვე, გვ. 107.

<sup>46</sup> აკ. შანიძე, იქვე, გვ. 420.

<sup>47</sup> ვაჟა-ფშაველა, ტ. 2, გვ. 106.

<sup>48</sup> აკ. შანიძე, დასახ. ლიტ., გვ. 419.

<sup>49</sup> ვაჟა-ფშაველა, იქვე, გვ. 108.

<sup>50</sup> აკ. შანიძე, იქვე, გვ. 420.

ორივეგან პიროვნებასთან დაპირისპირებულია მთელი თემი – ერთთან მრავალი:

- ვაჟა – „ჯოყოლას თაჟნე დაეცა  
მთელი ქისტების ჯარაჲ“. <sup>51</sup>  
ხალხური – „სიაყიდეს დიდოთ სოფელში  
შაშაეხვია ჯარით“. <sup>52</sup>

მტრის თავდასხმისა და ურჯულოთაგან ხელების გაბაწურის დროს გმირი განრისხებულია და კვლავ ნატრულობს იარაღის ხმარებასა და მტრისათვის სამაგიეროს გადახდას:

- ვაჟა – „ბოღმა შიტომ აკლავს ვაჟკაცსა,  
რომ ხელთ არა აქუს ხმალია“. <sup>53</sup>  
ხალხური – „ხანჯარი მანც მქონაყო  
ამესხა სისხლის ცვარიო“. <sup>54</sup>

წ. როგორც ერთგან, ისე მეორეგან შეიპრობილ გმირს ახალი ჭირისუფალი ყიდულობს მიცვალებულის საფლაოზე დასაკლაგად:

- ვაჟა – „შიაყაყდათ სასაფლაოზე,  
სადაც ქისტების მკვდარია  
უნდა თავის მკვდარს შესწირონ  
რომ აქ უწიდოს წყალია“ <sup>55</sup>  
ხალხური – „იყიდა ჭირის პატრონმა  
სულ გაიტანა რგალიო,  
საფლაოზე შამაახდინეს  
რომ ნაკურთხეუი ხაროი“. <sup>56</sup>

მსხვერპლად შეწირვის დროს ორივემ უდიდესი სიმხნე და ვაჟკაცობა გამოიჩინა:

- ვაჟა – „მყვარიან, თანაც სულ-რელა  
ყელში ურჭობენ ხმალსაო  
„ძადლ იყოს“, ყელში ამბობდა  
ხანამ მისჭრიდნენ თაკსაო.  
– უცქირეთ, ერთი უცქირეთ  
არ ახაშხაშებს თვალსაო“. <sup>57</sup>

<sup>51</sup> ვაჟა-ფშაველა, იქვე, გვ. 420.

აკ. შანიძე, იქვე.

<sup>52</sup> ვაჟა-ფშაველა, იქვე.

<sup>54</sup> აკ. შანიძე, იქვე.

<sup>55</sup> ვაჟა-ფშაველა, ტ. 2, გვ. 108.

<sup>56</sup> აკ. შანიძე, დასახ. ლიტ. გვ. 420.

<sup>57</sup> ვაჟა-ფშაველა, იქვე, გვ. 109.

ხალხური — „საფლავზედ გამათამაშდა  
ხელშიაც მამცა ხმალიო“. <sup>58</sup>

ან კიდევ: „საფლავზედ შემაახდინეს,  
როგორც ნაკურთხი ხარია.  
შეკდა, შეშუპრდა ღუხუში:  
„წელთამც შემარტყა ხმალია“. <sup>59</sup>

ქისტ-ღვეთა მიერ ზვიადურისა და ღუხუშიძათვის გამოტანილი განაჩენის  
სისრულეში მოყვანას ორივეგან ქალი ესწრება — ერთგან ჯოჯოლას მეუღლე,  
ზოლო მეორეგან კი ტყვე თუმის ქალი:

ვაჟა — „და ამ სურათის მნახველი  
ერთი დიაცი ბნდებოდა“. <sup>60</sup>

ხალხური — „ბაგოს ატიარდა სოფლადა  
ტყვედ ნაწყოფ თუმის ქალიო“. <sup>61</sup>

7. ორივე ქალი განიცდის აღნიშნული მოქმედებით დიდ თანაგრძნობას  
და გულისტიკივილს, გულამოსკვნით ქვითინებენ და ზებუნებრივ ძალებს  
შესთხოვენ მათს გადარჩენაზე:

ვაჟა — „მიშველებასა პლამობდა:  
„ნუ ჰკლავთ!“ ეძახის გულიო“. <sup>62</sup>

ხალხური — „ღმერთო, ნუ მაჰკლავ ღუხუშისა,  
გაუკითხენი ბრალნიო“. <sup>63</sup>

ნ. ღუხუშისა და ზეადაურის სიკვდილის მოახლოებით აღშფოთებული  
და თითქმის გრძნობა დაკარგული ქალები შურით აღივსებიან და გმირების  
გადარჩენაზე ოცნებობენ:

ვაჟა — „ფიქრობდა ბრაზმორეული  
ნეტავი შომცა ცულიო,

რომ ეგ ვაცოცხლო სხვას ყველაის  
გაჟაფრთხობინო სულიო“. <sup>64</sup>

ხალხური — „ხელნ გაუსყენით ღუხუშისა  
მემრე მიეცით ხმალიო“. <sup>65</sup>

ორივეგან შვილის ტრაგიკულ ამბავთან დაკავშირებულია დედა:

<sup>58</sup> აკ. შანიძე, იქვე, გვ. 58.

<sup>59</sup> იქვე, გვ. 421.

<sup>60</sup> ვაჟა-ფშაველა, ტ.2, გვ. 109.

<sup>61</sup> აკ. შანიძე, დასახ. ლიტ., გვ. 420.

<sup>62</sup> ვაჟა-ფშაველა, იქვე.

<sup>63</sup> აკ. შანიძე, იქვე.

<sup>64</sup> ვაჟა-ფშაველა, იქვე.

<sup>65</sup> აკ. შანიძე, იქვე.



ვაჟა — „ბისის ტიროდა ბეჭერი,  
მოსთქვამს, ქეითინებს მწარედა:

როგორ ვიგონო თაყის — ძე  
ურჯულოს არე-მარკია“.<sup>66</sup>  
ხალხური — „ლუნუშის დედას უთხარით  
შთა-წვერით ნულარ აქეს თვალით“.<sup>67</sup>

როგორც ხალხურში ასევე ვაჟასთან მოცემულია მტრისადმი შურისძიება  
და სამაგიეროს გადახდა:

ვაჟა — „ამოიყარეს მტრის ჯაერი  
სადარდო რაღა არია?“<sup>68</sup>

ხალხური — „ხევიდეგმ გაწყვიტა ჯალაფნი,  
ციცხლთი მსუღვირა წყალო“.<sup>69</sup>

ასეა წარმოდგენილი ლუის ლუნუშის პიროვნება ვაჟა-ფშაველას პოემებში.  
ისმება კითხვა: თვით ეს ხალხური პოემა და ლექსების ციკლი ხომ არ  
წარმოდგენს ვაჟას პოემების გახალხურებას?

არა, ეს ასე არ მოხდებოდა, რადგან ლუნუშის შესახებ ხალხური ლექსები  
სწორედ იმ წლებში არის ჩაწერილი, როცა ვაჟა-ფშაველა ქმნიდა: „ბახტ-  
რიონსა“ და „სტუმარ-მასპინძელს“. უფრო მეტიც — ვაჟასათვის, რომ ეს  
ხალხური მასალები უდავოდ ცნობილი უნდა ყოფილიყო, ამას გვაფიქრებინებს  
ის გარემოებაც, რომ რამოდენიმე ვარიანტი ჩაწერილია თვით პოეტის ძმების  
მიერ, რამოდენიმე წლით ადრე. სანამ „ბახტრიონს“ /1892/ და „სტუმარ-  
მასპინძელს“ /1893/ შექმნიდა მათი ავტორი.

ჩვენ მიერ ვაჟა-ფშაველას პოემების: „სტუმარ-მასპინძელისა“, „ბახტრიონისა“  
და სახალხო გმირის ლუის ლუნუშის შესახებ შექმნილი ვრცელი პოემისა  
და ლექსების ციკლის მრავალგზის ურთიერთ შედარების საფუძველზე ნათელი  
ხდება, რომ ლუის ლუნუში და მისი ციკლის ლექსების შინაარსი ნამდვილ  
ასახვას „სტუმარ-მასპინძელსა“ და „ბახტრიონში“ პოულობენ. ყოველგვარი  
დაუჭვებისა და კითხვის ქვეშ დაყენების გარეშე, დაბეჯითებით შეგვიძლია  
განვაცხადოთ, რომ ვაჟა-ფშაველა ორივე პოემის დაწერის დროს დიდად ისარ-  
გებლებდა ლუის ლუნუშის გმირობა-ვაჟაკობაზე შექმნილი ლექსების შინაარ-  
სითა და ჩვენ მიერ პირობითად პოემად წოდებული „ლუის ლუნუშის“ სიუჟეტით.

ვაჟა-ფშაველას ზეიადური და ლუნუში ხომ უტყუარი და ჭეშმარიტი  
პროტოტიპები არიან თუში სახალხო გმირის — ლუის ლუნუშისა, რომელთა

<sup>66</sup> ვაჟა-ფშაველა. ტ.2 გვ. 113.

<sup>67</sup> აკ. შანიძე, დასახ. ლიტ. გვ. 420.

<sup>68</sup> ვაჟა-ფშაველა, იქვე. გვ. 115.

<sup>69</sup> აკ. შანიძე, იქვე.

შორის იმდენად მცირე და არაარსებითი განსხვავება არსებობს, რომ შედარება-შეპირისპირებაც კი ზედმეტად მიგვაჩნია. სამივე გმირი, თითქმის თავისი გმირობა-ვაჟკაცობითა და მტერთან გულდაგულ შერკინებაში ტოლფასოვანი და ერთმანეთისადმი დაუყვედრებელნი რჩებიან. განსხვავებით იმისა, რომ ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ ლუხუმი ეროვნულ გმირაძღე აუმაღლებია, მასში მაღალი იდეა განუხორციელებია და იგი საქართველოს განთავისუფლების სიმბოლოდ გაუხდია:

„აჰსოტენ: შაჰლუქინა  
სხუელსი უქხუ დაღჯიმა:  
ქვირსუბათი ლუბუშა  
ლაშარის ჯიონუ შაღჯიმა!“<sup>70</sup>

---

<sup>70</sup> ვაჟა-ფშაველა, რჩული, გვ. 145, 1953.

#### 5.4. ივანე კლიზბარძე

— ივანეს კლიზბარძეს, ქაღინ მოსდიოდ მცნისაო.  
ფეაღეზოდღეს იუშეძი: — ივან, გაგიძიქხ ნინაო  
ნინ გაუქლეჯის ივანე, ჯოგ უყან მისდღეს ჰელისაო.  
ვატელეს ქეჟმოთისაჟ, თიგლი თან ვანსეა ღეთისაო”  
ხალხური

XIX საუკუნის პირველი სამი მეოთხედი თუშეთის ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს, რადგან იგი აღსავსეა გმირობისა და ვაჟკაცობის შეუდარებელი მაგალითებით. ეს არის პერიოდი, როცა დიდი საბრძოლო ტრადიციების მქონე თუშთა რაზმები რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილებისა და ქართველ მილიციონერთა ასეულების გვერდით თავდადებით იბრძვიან და ახალ-ახალი წარმატებებით აძლიერებენ წინაპართა სახელოვან ტრადიციებს.

თუშეთის დიდი საომარი შესაძლებლობა და მისი მოსახლეობის განსაცვიფრებელი საბრძოლო თვისებები ფართოდ გამოუმჯაღვდა მეფის რუსეთის მიერ დაღესტან-საჩჩენოს დაუფლება-შემომტკიცებისათვის წარმოებულ ბრძოლებსა და ექსპედიციებში. „Ни одно племя между Кавказскими горами не славится столько своею храбростью. сколько Тушинское. в каком уголке Кавказа не рассказывают об удольстве Тушин.“<sup>1</sup>

ამ საუკუნის თუში გმირებისა და თუშთა ასეულების თავდადებულ ბრძოლებზე საგულისხმო ცნობებს ვხვდებით ნ. ვოლკონსკის, ვ. პოტოს, ა. ზისერმანის, ა. ბერჟეს, ალ. დიუმას, ნ. ლუბროვინის, ივ. ცისკარიშვილის, რ. ერისთავის, ივ. ბუქურაულისა და სხვათა ნაწერებში.

XIX საუკუნეში თუშთა მეომარი ძალების საქმიანობა მხოლოდ საჩჩენო-დაღესტანის შემომტკიცებისათვის ცარიზმის მიერ წარმოებულ ბრძოლებში მონაწილეობით არ შემოიფარგლება. თუშებმა აღნიშნული ბრძოლების პარალელურად აქტიური მონაწილეობა მიიღეს თურქ დამპყრობლებისაგან საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის გამოხსნისათვის წარმოებულ განმათავისუფლებელ მოძრაობაშიც 1853-1856 და 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომების კავკასიის ფრონტებზე. სადაც თუშთა ასეულებმა ვაჟკაცურად იბრძოლეს და ჭეშმარიტად დაადასტურეს ვახუშტი ბაგრატიონის ბრძნული ნათქვამი, რომ თუშნი „არიან ბრძოლასა შემშართებელნი, მხენნი, ძლიერნი, მხედარნი წარმატებულნი“.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ... Циссаров, Записки о Тушетин. гиз. "Кавказ", №13, 1849.  
ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 554.

ხსენებულ ომებში თუშთა ასეულების თავდადებული ბრძოლების ამსახველ სპეციალურ ლიტერატურაში აქა-იქ გვხვდება საინტერესო ცნობები და ეპიზოდები. არსებული მონაცემების მიხედვით კარგად ჩანს, რომ თუშებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის დამპყრობელთაგან გამოხსნა-განთავისუფლებისათვის თავდადებით უომბათ. მიუხედავად აღნიშნულისა, დღემდე ჩვენს ქართულ ისტორიოგრაფიაში მოცემულ ომებში თუშთა ასეულების მონაწილეობას სპეციალურად არავინ შეხებიდა.

ივანე ელიზბარიძის როგორც ნიჭიერი მხედართმთავრისა და უშიშარი მებრძოლის პიროვნება ყველაზე სრულყოფილად გამოვლინდა თუშთა ასეულის მიერ ყირიმის ომში წარმოებული ბრძოლების დროს. და ჩვენც სწორედ ამ ომის კავკასიის ფრონტზე ივანე ელიზბარიძის მეთაურობით თუშთა ასეულის მიერ გადახდილი ბრძოლების გაშუქებით გვსურს მკითხველ საზოგადოებას გავაცნოთ ლეგენდარული გმირი, კავალიერის კაპიტანი - ივანე ელიზბარიძე.

ყირიმის ომი, რომელიც ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და ამიერკავკასიაში მიმდინარეობდა, რუსეთისაგან, როგორც ერთ-ერთი მთავარი მეომარი სახელმწიფოსაგან, მოითხოვდა სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ შესაძლებლობათა მაქსიმუმს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მიზანს ვერ მიაღწევდა. რუსეთის მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ მას ამ ომში მხარში არ ამოუდგნენ მისი ძველი მოკავშირეები-ავსტრია და პრუსია. ნიკოლოზ პირველს კი იმედი ჰქონდა მათი დახმარებისა, რადგან მან დიდი სამსახური გაუწია 1848-1849 წწ. რევოლუციასთან ბრძოლაში. არც ევროპის დემოკრატიული აზრი იყო კარგად განწყობილი მეფის რუსეთისადმი, რომელიც უანდარმად და ყოველგვარი პროგრესის წინააღმდეგ მებრძოლ ძალად მიაჩნდა.

აღნიშნულ ომში რუსეთის მდგომარეობა ყველაზე სავალალო მარც კავკასიის ფრონტზე იყო, რადგან რუსეთი მას მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა და არც ფიქრობდა კავკასიაში დამხმარე ჯარის ნაწილების გამოგზავნას. მტერმა კი ამიერკავკასიის საზღვრების გასწვრივ ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ძლიერ საბრძოლო ნაწილებსა და სათანადო საომარ იარაღს მოუყარა თავი. იგი სრულყოფილად მოემზადა და ომის დაწყებიდანვე ისეთი სიძლიერით შემოუტია კავკასიის ფრონტის უმთავრეს მისაღმომებს, რომ „როგორც მაშინდელი ამბების თანამედროვე, დიდა მარქსი წერდა, რუსეთი ამა-ერკავკასიის ფრონტზე საქართველოს დაკარგვის სამნიშროების წინაშე იდგა“.<sup>3</sup>

გარდა იმისა, რომ კავკასიის ფრონტი მეფის რუსეთის მიერ სათანადოდ ვერ იყო მომზადებული, რაც მტერს უადვილებდა თბილისისაკენ გამოჭრასა და მის დაუფლებას, მდგომარეობას ისიც ართულებდა, „რომ საქართველოს ჩრდილოეთის მხრიდანაც განუწყვეტიელი საფრთხე ეშუქებოდა. აქედან

<sup>3</sup> მ. დუმბაძე, ქართველი ხალხი ოსმალთა დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში. სამთავროების საბოლოო გაუქმება, საქართველოს ისტორია, ტ. 1., თბ., 1958, გვ. 442.

ყოველთვის მოსალოდნელი იყო რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ მიურიდების შამაღისა და შამაქად ემინის 'შეშოჭრა და ადგილობრივი ხელისუფლება ითვლებული იყო კავკასიაში მოქმედი ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილი მიურიდების წინააღმდეგ მოსალოდნელი ბრძოლისათვის მუდმივ მზადყოფნაში აყალიბდა".<sup>4</sup>

კავკასიის ფრონტზე შექმნილი კრიზისული მდგომარეობის გამოსწორება საკუთარ ძალებზე დაყრდნობით რუსეთს უკვე აღარ შეეძლო. საჭირო იყო მთელი საქართველოს მოსახლეობა ფეხზე დამდგარიყო და ეზრუნა სამშობლოს დასაცავად. ქვეყნის ხსნა და მისი გადარჩენა დამოკიდებული იყო მხოლოდ სახალხო ლაშქრის მასობრიობა-ორგანიზებულობაზე და მის თავდადებულ ბრძოლებზე.

ქართული მილიციის ასეულებს რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილების გვერდით ბრძოლების საკმაო გამოცდილება გააჩნდა. მათ თურქ დამპყრობლებს 1806-1812 და 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომებში მუსრი გააგლეხ და ბრწყინვალე გამარჯვებებს მიაღწიეს. ქართველი მილიციელების ბრძოლები ამ ომებში დიდი პათოსით ხასიათდებოდა, რადგან ისინი ებრძოდნენ თავის ისტორიულ მტერს და მისგან წართმეულ-მიტაცებულ საქართველოს მიწა-წყალს იბრუნებდნენ, თურქი დამპყრობლებისაგან ათავისუფლებდნენ განაწამებ თანამემამულეებს. ანალოგიური მდგომარეობა იყო ყირიმის ომის დროსაც. ამიტომ ქართველი ხალხის მონოლითურობამ და მასობრივად ბრძოლის ველზე გამოსვლამ აქაც მოლოდინს გადააჭარბა. საქართველოს მთასა და ბარში სასწრაფოდ ჩამოყალიბდა მილიციელთა ასეულები, რომელნიც საკუთარი სურვილით მიდიოდნენ მტრის შესახვედრად. დედა-სამშობლოს საზღვრებში შემოჭრილი თურქი დამპყრობლების გასააყლელად.

ყირიმის ომის დაწყებისთანავე, 1853 წელს, კავკასიის მოსახლეობიდან შემდგარა 92 ასეული. რომელთაგან 52 ცხენოსანი, ხოლო 40 ქვეითი ყოფილა. 1855 წელს ბრძოლის ველზე მოქმედებდა უკვე 74 ცხენოსანი და 66 ქვეითი ასეული, სულ 140. „საერთოდ ომში მონაწილეობდა ადგილობრივი მილიციის 416 ცხენოსანი და ქვეითი ასეული. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ 1854 წლის შუა რიცხვებამდე დასავლეთ საქართველოს დაცვის მთელი სიმძიმე შილაცაის აწკა".<sup>5</sup>

რუსეთ-თურქეთის ომი ოფიციალურად გამოცხადდა 1853 წლის 4 ნოემბერს. ომის დაწყება და მტრის დიდი ძალების შეტევაზე გადასვლა ახალციხის მიმართულებით ერთდროულად მოხდა. ახალციხის დაუფლებით თურქ დამპყრობლებს ბორჯომის ხეობისა და სურამის გავლით გზა ეხსნებოდათ თბილისისაკენ, რომლის ხელში ჩაგდება მათი მთავარი ამოცანა იყო. ახალციხეში

<sup>4</sup> ე. ორჯონიკიძე, ყირიმის ომი და სამთავროების გაუქმება საქართველოში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, 1970, გვ. 195.

<sup>5</sup> შ. მეგრელიძე, საქართველო აღმოსავლეთის ომებში, თბ., 1974, გვ. 12.

მდგარ რუსეთის ჯარის ნაწილებს დიდად აღემატებოდა მტრის ძალები, რაც აშკარად კრიტიკულ სიტუაციას ქმნიდა. ოსმალების განდევნა და კარს მომდგარი საშიშროების ლიკვიდაცია დაევალა სახელგანთქმულ გენერალ ივანე ანდრონიკაშვილს. ცნობილი მხედართმთავრის თაოსნობით რუსთა და ქართველთა გაერთიანებულმა ძალებმა განდევნეს დამპყრობლები, 1500-ზე მეტი მოკლეს, 2000-დაჭრეს და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.<sup>6</sup>

ახალციხე-ბაშკადიკლართან დამარცხების შემდომ თურქები რევანშისათვის ემზადებოდნენ და დიდძალ მუომარს უყრიდნენ თავს დასავლეთ საქართველოში შემოსაჭრელად. ახლა უფრო აშკარა ხდებოდა მტრის წარმატებები და თბილისზე იერიშის მიტანის საშიშროება. საომარი მდგომარეობის კრიზისულ ფაზაში შესვლასთან დაკავშირებით ახალციხე-გურიის რაზმების უფროსად კვლავ გაგზავნილ იქნა ივანე მალაზის ძე ანდრონიკაშვილი. გენერალმა მისთვის ჩვეული სამხედრო ნიჭისა და რკინისებური ნებისყოფის წყალობით თანდათანობით შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და დიდად შებოჭა საგანგებოდ დაკომპლექტებული თურქთა

34 ათასიანი კორპუსი, რომელსაც სათავეში სელიმ ფაშა ედგა.

სანამ სელიმ ფაშასა და ივანე ანდრონიკაშვილს შორის სერიოზული შეტაკება მოხდებოდა, გენერალმა, საკუთარი პოზიციების განმტკიცების მიზნით, მრავალი ღონისძიება გაატარა, რამაც მას მტერზე ბრწყინვალე გამარჯვების შესაძლებლობა მისცა. ერთ-ერთი მათგანი იყო ის, რომ გადაწყვიტა ქართველ მოხალისე მუომართაგან შეექმნა ასეულები, მოკლე ხანში მოემზადებინა და სასწრაფოდ ჩაება ბრძოლებში. ივანე ანდრონიკაშვილის წინადადებით, ქართველთა ცხენოსანი ლაშქრის უფროსად დანიშნა 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომში უმაგალითო გმირობითა და ვაჟკაცობით სახელმძღვანელო გიორგი ჯანდიერი, რომელსაც შემდგომ დაღესტნის საკორდონო ხაზზე განსაკუთრებული დამსახურებისათვის ოქროს ხმალი გადასცეს.

ამავე საქმესთან დაკავშირებით ნიჟნიგოროდიდან გამოიძახეს დრაგუნის პოლკის პორუჩიკი თავადი ივანე გივის ძე აძილახვარი, რომელსაც გენერალმა ანდრონიკაშვილმა დაავალა, რომ ჩამოეყალიბებინა რაზმი დრაგუნთა წესისამებრ.<sup>7</sup> თავადი აძილახვარი მაშინვე წასულა დანიშნულ ადგილზე და შესდგომია დავალების შესრულებას.

როდესაც ივანე აძილახვარი დანიშნულ ადგილზე ჩასულა, მას ასეულები უკვე დაკომპლექტებული დახვედრია. სულ იყო ექვსი ასეული: პირველ ასეულს ლიახვის ხეობის მოხალისენი შეადგენდნენ, მათ წითელი ფაფახები ეხურათ და წითელი ნიშანი ეკეთათ. ასეულის მეთაური თავადი მაჩაბელი იყო; მეორე ასეული ზაქარია ანდრონიკაშვილის მეთაურობით სიღნაღის მაზრის

<sup>6</sup> ე. ბურჭულაძე, ყირიმის ომი და საქართველო, თბ., 1960, გვ. 229.

<sup>7</sup> Д. Чиаров, Война и Грузины, 1915, стр. 526.

მოსახლეობისაგან იყო დაკომპლექტებული, თეთრი ფაფახებითა და თეთრი ნიშნებით; მესამე ასეულს შეადგენდნენ თელავის მაზრის მოხალისენი თავად ნიკოლოზ ჭავჭავაძის მეთაურობით, რომელთაც ოქროსფერ-მოყვითალო ნიშანი ამშვენებდათ; მეოთხე ასეული გორისა და თბილისის მცხოვრებთაგან იყო დაკომპლექტებული, ხელთ ეყვრათ მოლურჯო ნიშანი და მას დავით ვახვახიშვილი ედგა სათავეში; მესუთე თუშების ასეული იყო და თავიანთი პატარა შაჟი თუშური ქუადებით, შაჟი ნიშნით, ასეულს სათავეში ედგა ივანე ელიზბარაძე. ბოლოს – მეექვსე ასეული, მწვანე ნიშნით, შედგენილი ძველქართულ თავადთა საგვარეულოებისაგან, რომელსაც გიორგი ერისთავი ხელმძღვანელობდა.<sup>8</sup>

ივანე ამილახვარმა, რომელსაც ნიჭი და გამოცდილება ხელს უწყობდა, დიდი მონღოლთა გამოიჩინა აღნიშნული ასეულების საბრძოლო წვრთნისა და მორალური მომზადებისათვის. მისი ინიციატივით, რაზმეულისათვის დაშვადდა სპეციალური დროშა. „დროშის შავ მხედს ერთ მხარეზე წმინდა გიორგი ეხატა, ჩალო მეორე მხარეზე ქართულ და რუსულ ენებზე ეწერა: „ჩვენთანაა ღმერთი. გოსს მოდით, ურჯულონო, თორემ ჩვენთან ღმერთია“.<sup>9</sup>

სანამ ასეულები გიორგი ჯანდიერისა და ივანე ამილახვარის ხელმძღვანელობით რიონის სანაპიროზე წვრთნას დაამთავრებდნენ, გენერალმა ანდრონიკაშვილმა თურქების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში გარკვეულ წარმატებას მიაღწია. მაგრამ იგი შშვილად მანცკეერ იყო, რადგან ოზურგეთთან საბრძოლო მზადყოფნაში იდგა თურქების მთავარი კორპუსი. ნიგოთთან თურქების დამარცხების შემდგომ ივანე ანდრონიკაშვილმა გეზი ოზურგეთისაკენ აიღო. ოზურგეთზე იერიში აღარ მიიტანეს, რადგან სელიმ-ფაშას იგი დაეტოვებინა, მღ. ჩოლოქი გადმოელახა და გურიის საზღვარზე გამაგრებულიყო. ივანე ანდრონიკაშვილი ოზურგეთში შევიდა, გენერლები შეკრიბა და თათბირი გამართა. მიუხედავად უმრავლესობის სურვილისა, რომ რამდენიმე დღით გადაეღოთ შეტევაზე გადასვლა, სანამ მოწინააღმდეგის პოზიციებს კარგად შეისწავლიდნენ, სარდალმა გადაწყვიტა გამოეყენებინა ნიგოთთან თურქთა სასტიკი დამარცხებით შექმნილი სიტუაცია და ელვის სისწრაფით შეუტია სელიმ-ფაშასათვის. მთავარსარდლის წინადადება მოწონებულ იქნა და გურიის რაზმი შეუდგა მის პრაქტიკულ განხორციელებას. ივანე ანდრონიკაშვილის მეთაურობით 1854 წლის 4 ივნისს, გათენებისას, დატოვეს ოზურგეთი და კურსი აიღეს გურიის საზღვრებისაკენ, სადაც მღ. ჩოლოქის გაღმა იდგა თურქი დამპყრობლების 34-35 ათასიანი კორპუსი სელიმ-ფაშას მეთაურობით.

„1854 წლის 4 ივნისს ჯარებმა გენერალ ი. ანდრონიკაშვილის სარდლობით, – წერს პროფ. მ. დუმბაძე, – გაანადგურეს მტრის 34 ათასიანი

<sup>8</sup> ე. ბურჭულაძე, ყირიმის ომი და საქართველო, თბ., 1960, გვ. 229.

<sup>9</sup> გ. ავალიანი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, 1967, გვ. 103.

კაცისაგან შექმდებიან არმა. მსხვერპლი დიდი იყო. ოსმალებმა ამ ბრძოლაში 4000-მდე კაცი დაკარგეს, ხოლო ქართველებმა და რუსებმა - 1700".<sup>10</sup>

ჩოლოქთან გამართულ ბრძოლაში მოხალისე ასეულებმა სხვა ქართველ და რუს მეომრებთან ერთად მამაცურად იომეს და მთავარსარდლობისა და თანამებძულეთა მადლობა დაიმსახურეს. აი, სწორედ აქ, მდ. ჩოლოქთან, გადახდომილ უთანასწორო ბრძოლაში გამოვლინდა თუშთა ასეულის გმირობა, რაც შესანიშნავადაა აღწერილი სამხედრო ისტორიკოს ვ. პოტოსთან და იმავე წელს გაზეთ „Кавказ“-ში გამოქვეყნებულ ერთ საინტერესო ლექსში. როგორც ვ. პოტოს მიხედვით, ისე ხსენებულ გაზეთში გამოქვეყნებული ლექსიდან კარგად ჩანს, რომ თუშებს დიდად უსახელებიათ თავი და არ შეურცხვენიათ სახელოვანი წინაპრების მდიდარი საბრძოლო ტრადიციები. „თუშეთის მოლაშქრეთა საბრძოლო სულისკვეთება, ჭკუშპარიტი გულადობა და თავისი პატრიოტული მსოფალოების მაღალი შეგნება, — წერს პროფ. ერ. ბურჭულაძე, — შეაფასოდ გამოკვლინდა იმპროვიზირებულ რაფსოდიაში, რომელიც ნიჭიერმა და მამაცმა ხალხმა შექმნა 1854 წელს ჩოლოქთან ბრძოლის დღეებში“.<sup>11</sup>

იმპროვიზირებული რაფსოდია, რომელსაც ერ. ბურჭულაძე „გურიას ლექსად თქმულს“ უწოდებს და ჰკონია, რომ იგი ზალხმა შექმნა, ეკუთვნის ჩოლოქის ბრძოლების მონაწილეს, მეგრელთა ჯარის ექიმს გრიგოლ შაბურიშვილს. იგი თვითონ გვამცნობს თავის ვინაობას;

„ვარ მეგრელთ ჯარის ექიმი მათის სიმრთელის მცველია,

შაბურიშვილი გრიგოლი თქვენც უწყით სიღნაღელია“.<sup>12</sup>

გრიგოლ შაბურიშვილის ცნობილი ჩოლოქის ბრძოლის შემდგომ, 2 ოქტომბერს გამოუქვეყნებია გაზეთ „კავკაზში“ ქართულად დაწერილი ორი საკმარად მოზრდილი ლექსი: „თუშთაგან გურიას მოსვლა და რჩევა ვითარ იომონ ოსმალთან“ და „სიმღერა ჩოლოქის სპასპეტსა ზედა“.

პირველი ლექსის შინაარსი ეხება თუშთა ასეულის ყოფნას გურიაში, თუშების ბრძოლებს თათრების წინააღმდეგ და მათთვის დამახასიათებელი საბრძოლო სულისკვეთების საინტერესო თვისებებს. მეორე ლექსი ეძღვნება სახელოვან სარდალს — ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილს და აქვე მოცემულია ჩოლოქის ბრძოლებთან დაკავშირებული ძვირფასი ცნობა.

თუშებისადმი მიძღვნილი ლექსიდან კარგად ჩანს, რომ ავტორი ახლოს იცნობს თუშთა ასეულს, იცის მათი საბრძოლო განწყობილება და დაუოკებელი მისწრაფება, რათა მალე ჩაებან ბრძოლაში და გული იჯერონ თათართა ხოცვა-ჟლეტი. ექიმი-პოეტი აღფრთოვანებულია თუშთა საბრძოლო აღტყინებით და თვითონაც მოწოდებით მიმართავს, რომ არ შეარცხვინონ წინაპრები და ვაუკაცურად მოემზადონ მტერზე საიერიშოდ:

<sup>10</sup> ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა. მ. დუბაძე. საქართველოს ისტორია, ტ. I., გვ. 443.

<sup>11</sup> ერ. ბურჭულაძე. დასახ. შრომა. გვ. 535.

გაზ. „Кавказ“ №77, 1854.



„ძმაო, შენ გახსოვს წითელი, გაქვს სიყმაწვილის ზნეობა, აქ მოდი, შეიკრიბენით, გემართებს საქმისა რჩეობა, ბიჭად ყოველი მჯობიხართ, გიცდიათ ლეკთა მტერობა, და სახელი დაგრჩეს გურიას თუშებთან ქმნესო მხნეობა. ომის დრო არის, ვაჟაკნო, ცხენთა დაეკრათ ნალია, სადილი ვჭამოთ, ადექით, ყველამ დაფარხოთ ხმალია, ვინც უკან დარჩეს ამხანაგს იყოს ახმეტის ქალია, და თუ მოკვდეს, ქვაზედ დავსწეროთ: სიცოცხლით იყო მფრთხალია“.

ლექსის მომდევნო სტროფში შესანიშნავადაა გადმოცემული თუში მეომარი ვაჟაკის ამაყი ბუნება. ლტოლვა გმირობა-ვაჟაკობისაკენ, რომლისთვისაც უცხოა ლაჩრობა, შიში და ბრძოლის ველოდან გამოპარვა:

„ვაჟო, რას ამბობ, მეწყინა დიაცთ წესია რიდება, ქალის ლეჩაქიც დავხურე, ვის ომი არა უნდება, კაცი გავეზავნოთ სარდალთან, ბიჭებს აქ ყოფნა სწყინდება, და თუ არ გვანახებებ თათართა, თუშნი აქ რალად გინდება“.

თუშთა ასეულს მთავარსარდალთან კაცი გაუგზავნია და უცნობება მეომართა განწყობილება და სურვილი. გენერლის დანაბარებით აღფრთოვანებული რაზმის სიხარული პოეტს შემდგენაირად აქვს გადმოცემული:

„ვინცა გავეზავნეთ, მოვიდა, სარდალმა გაიცინაო, ებრძანა; ჩემო თუშებო, ხვალ ენახოთ მტერთა ბინაო. მეორე დილით ივანე ჯართა გაუძღვა წინაო, და უღვამის გრეხით თამამად საკურვლად მოილხინაო“

საბრძოლველად გამზადებულ სარდალს თუშთა ლაშქარი ევედრება, რათა გაითვალისწინოს, რომ მათ სწრაფი ცხენები ჰყავთ და ელვის სისწრაფით შეუძლიათ მტერს რისხვა დაატეხონ თავს; პირველებმა მათ აგემონ მოძალადეს მტერზე მრავალგზის ნაცადი „გორდა ხმლის“ ძალა. მათ პირნათლად უნდა შეასრულონ შორს, კაკასიონის მთაგრეხილებში ციხეკომეკებად აღმართული მშობლიური კუთხის – თუშეთის დანაბარები:

„ბატონო, ჭირიმც მოგჭამეთ, თუშთა ცხენები მალია, მეწინავეთა გვიბრძანეთ, გავცურავთ საცა წყალია, შორით მოვსულვართ, რიგია პირველ ვაცნობოთ ძალია, და თუ ვარგა შენი თუშები, ან მათი გორდა ხმალია! ვითხოვთ პირველად მივიდეთ, ეს არის ჩვენი თხოვანი, შენი ვართ აღვანთ თუშები კაზმულ იარაღოვანი, თუში თუ უკან მოკვდება, ვისგან ეღირსოს გლოვანი, და მკედარსაც დაგვიძრახავს მესამძღვრე ფშავნი, ხევსურნი, წოვანი“.

ლექსის ბოლო ორი სტროფიდან ნათლად ჩანს, რომ სახელოვან გენერალს თუშთა ლაშქრის სურვილი დაუკმაყოფილება, რასაც სამშობლოსათვის თავგანწირულ გმირებში დიდი სიხარული გამოუწვევია:

„მივიდეთ ანდრონიკოვთან, ყველამ დაუკრათ თავიო,  
მეხათ დავეცეთ თათართა, დღე დავაყენოთ ავიო,  
მყრალთა დიაცთა ოსმალთა, ბევრთა ჩაგაცვათ შავიო,  
და სხვათა მდინარეთ მათ სისხლი ვყოთ ერთად შენართავიო.  
გამოსალმებით დავკოცნოთ დღე არის საომარია,  
რაზმით მიემართოთ ერთიან, საცა რომ ურდო ჯარია,  
ცეცხლად გავუწნდეთ შუაში, ავტეხოთ სისხლის ღვარია,  
და ვაჟკაცთ ვინცა მოკვდება, ღმერთო, აცხოვნე მკვდარია“.

გრივოლ შაჰურიშვილი მეორე ლექსშიც, რომელიც ახალციხისა და ჩოლოქის გმირი სარდლისადმია მიძღვნილი. ჩოლოქის ბრძოლების აღწერისას კვლავ აღნიშნავს თუშთა ვაჟკაცობას:

„ლომნი რუსეთის მხედრობა თავგანწირულად ომობდნენ,  
იმერთან ჩვენი თუშებიც თამამად ხმალთა ხმალობდნენ,  
მათ შორის კახთა თავადნიც ჩვეულებრივად ძალობდნენ,  
და გარწმუნებსთ ამის დამწერი, ამ დღეს ოსმალნი ნანობდნენ“.

თუშთა ლაშქარს სხვა მხრივაც მიუქცევია მთავარსარდლობისა და თანამემამულეთა ყურადღება. გამარჯვების შემდგომ, როცა ჯარი ოზურგეთში ბრუნდებოდა, მთავარსარდლობას ცნობა მოსვლია, თუშთა ასეული ტყეში დარჩა და წამოსვლა არ სურსო. ასეულს დაკარგვია ერთი მეომარი და სანამ მას არ ვიპოვით, ჩვენი წასვლა არ ვგებისო. აღნიშნულის შესახებ საშხედრო ისტორიკოსი ვ. პოტო მოგვითხრობს: „როცა (ჩოლოქთან გამარჯვების შემდეგ, ვ.ე.) ჯარი ოზურგეთში ბრუნდებოდა, მოვიდა ცნობა, რომ თუშთა ასეული ტყეში დარჩა და არ სურდა წამოსვლა, რადგან დაკარგულა ერთი თუში და მას ეძებდნენ. არაყითარმა შეგონებამ არ გაჭრა. „წადით, - ამბობდნენ თუშები, - ჩვენ თყითონ ვიპოვით გზას“. კი მაგრამ, ხომ შესაძლებელია, - ეუბნებოდნენ მათ, - რომ თქვენი ამხანაგი დაჭრილია და ტყვედ არის წაყვანილი“. „არა, - უპასუხებდნენ ისინი, - ჩვენებური არ შეიძლება ტყვედ ჩავარდეს, იგი უსათუოდ მოკლულია“. თუშებმა კიდით-კიდე დაათვალიერეს ტყე და ბოლოს მართლაც იპოვეს ამხანაგის გვამი. ასეული შეიშობდა, რადგან დაკარგული გვამი მათთვის დიდი სირცხვილი იქნებოდა“.<sup>13</sup>

თუშთა ლაშქარს თანამემამულის გვამი მთავარსარდლობის ბანაკში მოუსვენებია და განუცხადებია, რომ იგი თან უნდა წავიღოთ, რადგან, ტრადიციის თანახმად, მისი აქ დატოვების უფლება არა გვაქვს, უეჭველად მამა-პაპათა მიწა-წყალს უნდა მივბაროთო. ბოლოს შეთანხმდნენ, რომ მათი მიცვალებული დაეკრძალათ სოფ. შემოქმედის ეკლესიის ეზოში იმ ვაჟკაცთა გვერდით, რომლებიც ჩოლოქთან გამართულ ბრძოლაში გმირის სიკვდილით დაეცა.

<sup>13</sup> В. Потто. Памяти старых Кавказцев. 1897. стр. 113 - 114;  
დ. ჭიბაროვი. დასახ. შრომა. გვ. 57.

ვინც თუშთა ისტორიას არ იცნობს, რომელიც აღსაესება გმირობისა და ვაჟკაცობის შეუდარებელი ეპიზოდებით, შეიძლება გადაჭარბებულად მოეჩვენოს ზემოთ ნაამბობი თუშთა ასეულის შესახებ. მაგრამ აქ გაზვიადებული არაფერია. იგი სინამდვილეს შეეფერება, მოუხსმინოთ ვახუშტი ბატონიშვილს, თუ რას ამბობს საბრძოლო ადათ-წესებზე: „ხოლო უკეთუ ვინ მდედრი იყოს გუღითა კაცთაგანი და ივლტოდეს ბრძოლასა შინა, ამას აჭმევენ ძაღლთა თანა გობასა ძაღლთასა და არღარა კაცთა თანა“.<sup>14</sup> ხოლო ივ. ბუქურაული, რომელიც თვითონ თუში იყო და შესანიშნავად იცნობდა წინაპართა ტრადიციებსა და ადათ-წესებს, წერს, რომ თუშეთში „მეომარი მამაკაცები მტერს ცოცხლად არ უფარდებოდნენ, ისინი უეჭველად მტერს უნდა შეაკვდომოდნენ, ცოცხლად ჩაბარება და ტყვედ წაყვანა დიდი სირცხვილი იყო, თუშთა ლეიკები ცდილობდნენ, რომ ცოცხლად ჩაეგდოთ, დაღესტანში წაეყვანათ, რომელთაც შემდეგში თუშები გამოისყიდინენ და დიდ სარგებელს ნახავდნენ“.<sup>15</sup>

იგივე ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ „ჩვენს წინაპრებს ბრძოლიდან გაქცეულთა კაცი ეწიზღებოდათ, როგორც გველი, დედაცანი პირობი აფურთხებდნენ, ბაღლები, როგორც ცოფიანს ძაღლს, ქვეებს ესროდნენ. მას აღარ შეეძლო ვაჟკაცებში გარევა. ყოველგან, ყოველ სახლში კარებს უკეტავდნენ. მტრისაგან გაქცეულ კაცს არც კი შმარხავდნენ. იგი საფლავ-მოკლებულა ეგდო უპატრონოდ მინდორში და ყოველი გამვლელ-გამოსვლელი ზიზღით უყურებდა და სწყევლიდა იმის გაჩენის დღეს“.<sup>16</sup>

აკად. ნ. დუბროვინიც შენიშნავს: „თუშები სიკვდილს უფრო არჩევენ, ვიდრე ტყვედ ჩაყარდნას“.<sup>17</sup>

სხვა მრავალი მსგავსი და უფრო საინტერესო ადათ-წესების მოტანა შეგვიძლია თუშთა საემირო-სავაჟკაცო სამართლებრივი კანონმდებლობიდან. მაგრამ, ვფიქრობთ, მოტანილი მაგალითებიც საკმარისია ჩოლოქის გმირი თუშების მიერ მთავარსარდლობისათვის გაბედულად გაცემული პასუხის ნათელსაყოფად: „არა, სიყენებური არ შეიძლება ტყვედ ჩაყარდეს, იგი უსათუოდ მოკლულია“.

კავკასიის ფრონტზე თურქი დამპყრობლების დამარცხებას მდ. ჩოლოქთან დიდი რეზონანსი მოჰყვა. საქართველოს მოსახლეობა ზეიმობდა მოპოვებულ გამარჯვებას და განსაკუთრებული პატივით ხვდებოდნენ „გურიის რაზმის“ ყველა შენაერთს. უკან დაბრუნებულ მეომრებს, რომელთაც საქვეყნოდ

<sup>14</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 554.

<sup>15</sup> ი. ვ. ბუქურაული, ზურაბის კოშკი (პატარა სურათი თუშების ცხოვრებიდან) გაზ. „ივერია“, 1897, №113.

<sup>16</sup> იქვე.

<sup>17</sup> Н. Дубровин, история Войны и владения русских на Кавказе, т. I, кн. 2, 1871, стр. 288.

განთქმული სარდალი მოუძღოდა, თავდაპირველად გულთბილი შეხვედრა ქ. ქუთაისის საზოგადოებრიობამ მოუწყო. მოუთმენლად ელოდა თბილისი ივანე ანდრონიკაშვილის დაბრუნებას. ქუთაისიდან ჩამოსულთა მიღება მოეწყო იმავე მინდორზე, სადაც რამდენიმე თვით ადრე ახალციხიდან დაბრუნებულ სარდალსა და მის მხედრობას გაუმართეს დიდი სახალხო ზემიძი. „ქართულ ცხენოსან დრუჟინას სადილი დიდუბის მინდორზე გადაუხადეს. დრუჟინის მეთაურის კარაგის წინ ფრიალებდა შაკი ფყერის დიდი დროშა, რომელზედაც შაცხოყარი იყო გამოსახული“.<sup>18</sup>

სხვა მრავალი მსგავსი და უფრო საინტერესო ადათ-წესების მოტანა შეგვიძლია თუშთა საგმირო-საეკუატო სამართლებრივი კანონმდებლობიდან. მაგრამ, ვფიქრობთ, მოტანილი მაგალითებიც საკმარისია ჩოლოქის გმირი თუშების მიერ მთავარსარდალობისათვის გაბედულად გაცემული პასუხის ნათელსაყოფად: „არა, ჩვენსებური არ შეიძლება ტყვედ ჩავარდეს, იფა უსათუოდ შოკლულია“.

ყირიმის ომში თუშთა შემდგომი მონაწილეობის შესახებ ამ ომის ამსახველ ლიტერატურაში აღარსად არაფერია ნათქვამი. ეტყობა, უკან დაბრუნებულ თუშთა ასეულს ახლა დაღესტნის საკორდინო ხაზზე მისთვის ადრევე დაკისრებული რთული მოვალეობის შესრულება დაევალა. საარქივო და წერილობითი მასალებიდან კარგად ჩანს, რომ 1855-1859 წლებში, შამილის ღუბინში დატყვევებამდე, თუშები ჯერ ივანე ელიზბარიდის, ხოლო მისი გარდაცვალების შემდგომ შეთე გულუხაიძისა და ალექსანდრე ელიზბარის ძე ნათიევის ხელმძღვანელობით მონაწილეობდნენ უმძიმეს სამხედრო ექსპედიციებში. სამხედრო ისტორიკოსი ნ. ვოლკონსკი განცვიფრებულია თუშთა ასეულების გამბედაობით, მათი უშიშარი იერიშებით დიდოეთ-დაღესტნის აულებზე, რამაც იგი აიძულა როგორც ქართული დრუჟინის სქელტანიან ისტორიაში, ისე სხვა ნარკვევებში ხოტბა შეესხა თუშთა გმირობა-ვაჟაკობისათვის.

ყირიმის ომში თუშთა ასეულის მონაწილეობის თაობაზე ზუსტი წარმოდგენა თუშებში თანდათანობით მივიწყებას მისცემია და საბოლოოდ სრულიად გამქრალა. მართალია, XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პირველი მესამედის განათლებულ თუშებს სცოდნიათ აღნიშნულ ომში მათი წინაპრების დიდი დამსახურება და ზოგიერთს წერილიც კი გამოუქვეყნებია, მაგრამ ეს იყო და ეს, მათ სათანადო ზემოქმედება ვერ მოუხდენიათ. ამიტომ აღნიშნულ ომში თუშთა მონაწილეობამ თანდათანობით დაკარგა პირვანდელი შინაარსი და სრულიად სხვაგვარი ინტერპრეტაციით წარმოგვიდგა, კერძოდ, XIX საუკუნის 60-70-იანი წლებისათვის მომხდარ სინამდვილედ. ამ ახალი გადმოცემის მცოდნე ზოგიერთმა თუშმა ერთი საინტერესო სურათი, რომელზეც 80-მდე თუში მეომარია აღბეჭდილი, ხსენებულ პერიოდში ოზურგეთთან თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლ თუშთა ასეულის

<sup>18</sup> შ. მეგრელიძე. საქართველო აღმოსავლეთის ომში... გვ.33.

პორტრეტად გამოაცხადა და მეორე გვერდზე სათანადო წარწერაც გაუკეთა. მათვე გაავრცელეს ამ სურათის რამდენიმე ეგზემპლარი. სურათში მოხუც თუშებს უცვნიათ თავისი წინაპრები – ივანე ელიზბარიძე, შეთე გულუხაიძე, გრიგოლ ქადაგიძე და სხვები, რომლებიც XIX ს-ის 60-70-იან წლებში უკვე აღარ იყვნენ ცოცხალნი და სურათზე გაკეთებული წარწერაც საჭკოდ მოუწვევიათ.

წლების მანძილზე ხსენებული გადმოცემით, სურათითა და მისი წარწერით არავინ დაინტერესებულა. მხოლოდ ჩვენი საუკუნის 60-იანი წლებიდან მიაქციეს მას ყურადღება. დღემდე გამოქვეყნებულია ოთხი წერილი: პირველი ორი წერილი ეკუთვნის ვ. სიღამონიძეს,<sup>19</sup> მესამე – კ. ჭრელაშვილს,<sup>20</sup> ხოლო მეოთხე – ამ შრომის ავტორს.<sup>21</sup>

პირველ წერილში ბევრ უზუსტობას, ფაქტების დამახინჯებას ვხვდებით. ავტორს ისტორიული საბუთები არ გააჩნია და რაც მხოლოდ კონსტანტინე სიმონის ძე მიქელაძეს ჩაუწერინებია, იმას ეყრდნობა. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გადმოცემას ვ. სიღამონიძე უკრიტიკოდ იყენებს, ყველაფერი სწორად მიაჩნია, რის გამოც ამ სურათთან დაკავშირებული ისტორიული სინამდვილე გაყალბებულად არის წარმოდგენილი.

გადმოცემაზე დაყრდნობით ვ. სიღამონიძე წერს, რომ თუშთა ასეულის ეს სურათი 1867 წელს არის გადაღებული. ოზურგეთიდან ბრძოლის დროს. აღნიშნულ ბრძოლაში, როგორც ვ. სიღამონიძე შენიშნავს, 156 თუში მონაწილეობდა. შემდეგ ვკითხულობთ: „1870-იან წლებში კახეთში მოსულა აშბავი, გურიასი შესეკიანი და შეველასი თხოულობენო. კახეთში შემდგარა რაჭში. დაახლოებით 100 კაცისაგან შემდგარ რაჭმს ხელმძღვანელობდა სოფელ ქისტაურში მცხოვრები კიაზო ჩოლოყაშვილი“. ვკითხულისათვის გაურკვეველი რჩება, რამდენი თუში იბრძოდა: 156 თუ 100, ან როდის არის ეს სურათი გადაღებული – 1867 წელს თუ 1870-იან წლებში?

აღნიშნული გადმოცემის მიხედვით, რაც ვ. სიღამონიძესაც სწორად მიაჩნია, თუშთა ასეულის მეთაურად დასახელებულია ანმეტის რაიონის სოფ. ქისტაურში მცხოვრები კიაზო ჩოლოყაშვილი.

ჩოლოყაშვილებს სოფ. ქისტაურში არ უცხოვრიათ. ამ სოფელში ცხოვრობდნენ ერისთავები და მათ შორის კიაზო ერისთავიც, ამ უკანასკნელს კი ამ სურათთან არავითარი კავშირი არა აქვს.

მეორე წერილი – „ნიკოლოზ ბარათაშვილის თანამედროვენი“ შინაარსის მიხედვით ძირითადად მისაღებია, მაგრამ, ვფიქრობთ, სურათის თაობაზე

<sup>19</sup> ვ. სიღამონიძე. თუშთა ლაშქრის საბრძოლო წარსულიდან. გაზ. „სამგორი“ №3. 1966; მისივე, ძმა მძისათვის. გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1972, №23.

<sup>20</sup> კ. ჭრელაშვილი. ნიკოლოზ ბარათაშვილის თანამედროვენი, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1969, №4.

<sup>21</sup> ვ. ელანიძე, თუშთა ასეულის ერთი სურათის ისტორიისათვის, გაზ. „ახალი შირაქი“, №974, №148.

გამოთქმული მოსაზრება ამ წერილშიც არ უნდა იყოს სწორი, რაც, ჩვენი აზრით, დაზუსტებას საჭიროებს.

კ. ჭრელაშვილის მიხედვით, ამ სურათში აღბეჭდილი თუშთა ასეულის მეთაური არის გრ. ქადაგიძე და ეს „სურათი გადაღებული უნდა იყოს 1858 წლამდე, შესაძლებელია იმ წლის ზაფხულის ექსპედიციის დაწყების წინ“.<sup>22</sup>

ამ სურათზე სხვა თუშ გმირებთან ერთად, როგორც თვით კ. ჭრელაშვილიც აღნიშნავს, გამოსახულია კაპიტანი ივანე ელიზბარიძე. ერთი საარქივო დოკუმენტის მიხედვით ცნობილია, რომ კაპიტანი და კავალერი ივანე ელიზბარიძე გარდაიცვალა 1856 წელს. ისტორიული საბუთი გადმოგვცემს, რომ 1856 წლის მაისში თუშების ასეული კაპიტან ელიზბარიძის მეთაურობით დასდევნება პანკისიდან გაქცეულ ქისტებს, სადაც ბრძოლის დროს სასიკვდილო ჭრილობა მიუღია ელიზბარიძეს და ორ რიგით რაზმეულს. ელიზბარიძე ჭრილობის მიღებიდან მეორე დღეს გარდაცვლილა.<sup>23</sup>

საარქივო დოკუმენტის სინამდვილეს ადასტურებს ივანე ელიზბარიძის საფლავის ქვაზე შესრულებული წარწერაც: „კაპიტანი და კავალერი ივანე ელიზბარიძე გარდაიცვალა 1856 წელს 15 მაისს“ (ივანე ელიზბარიძე დაკრძალულია ახმეტის რაიონის სოფ. ზემო ალვანში, წმინდა სამების ეკლესიის ეზოში).

თუ ამ სურათზე ივანე ელიზბარიძე ნამდვილად არის, როგორც მისი შთამომავლები გვიმტკიცებენ,<sup>24</sup> ხოლო უტყუარი საბუთებით დასტურდება, რომ იგი 1856 წლის 15 მაისს გარდაიცვალა, რა თქმა უნდა, ამ სურათს 1858 წელს ვერ გადაირებდნენ. 1858 წლისათვის აღარც გრიგოლ ქადაგიძეა ცოცხალი, იგი 1857 წელს დიდოეთში მოწყობილი ექსპედიციის დროს მოკლეს რამდენიმე თუშთან ერთად. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1857 წლის ექსპედიციაში მებრძოლი თუშების მეთაურია პორუჩიკი ნათიევი.<sup>25</sup> ყველგან ნათიევი ჩანს, როგორც საერთო ხელმძღვანელი, ხოლო ამ ექსპედიციის დროს დახოცილთა შორის გრიგოლ ქადაგიძე მოხსენიებულია, როგორც თუშ მოზალისეთა მეთაური.<sup>26</sup> გუბერნიის მდივანი ივანე ცისკარიშვილი თუშთა პირველი ასეულის მეთაურია. ეტყობა აღნიშნულ ექსპედიციაში თუშთა რამდენიმე ასეული მოქმედებდა, რომელთაგან პირველ ასეულს ივანე ცისკარიშვილი

<sup>22</sup> კ. ჭრელაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის თანამედროვენი, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №4, 1969, გვ. 51.

<sup>23</sup> საქ. სსცია, ფონდი 26, ანაწ. 6, საქ. 421, ფურც. 28-29.

<sup>24</sup> მათ საპატიო ადგილზე აქვთ მოთავსებული აღნიშნული სურათი და დაუეჭვებლად გიჩვენებენ სახელოვანი წინაპრის სახეს. ივანე ელიზბარიძის საფლავიც გმირის შთამომავალმა შოთა მოზაიძემ დაგვათვალისწინებინა.

<sup>25</sup> Н. Воконски. Лезгинский экспедиция (в Индои́йское общество) в 1857 году. журн. "Кавказский сборник" т. I. 1876, стр. 387-480; მისივე, т. II. 1878, стр 225-286.

6. ვოლკონსკი, დასახ. შრომა. ტ I, 1876, გვ. 327.

ედგა სათავეში, ერთ ასეულს - გრ. ქადაგიძე, ხოლო ნათიევი საერთო ხელმძღვანელი იყო.

ივანე ელიზბარიძის ვაჟიშვილის - იობის ქალიშვილის თინა ელიზბარიძე-მოზაიძის ოჯახში ენახეთ ამ სურათის ასლი, რომელსაც უკანა მხარეზე შემდეგი შინაარსის წარწერა აქვს: „გადმოცემის მიხედვით, ეს თუშთა ღაშქარი 1867 წელს ყოფილა ოზურგეთში ოსმალოების წინააღმდეგ ბრძოლაში სადაც მტერი განუდევნათ“. ეს სურათი ამ ოჯახის შვილისათვის - შოთა მოზაიძისათვის მიუცია სოფ. ზემო ალვანში მცხოვრებ ილიკო მიქელაძეს, რომელსაც იგი თბილისიდან კონსტანტინე მიქელაძისათვის ჩამოუტანია.

ოსმალების წინააღმდეგ ოზურგეთთან 1867 წელს თუშების ბრძოლის შესახებ არსებული გადმოცემა, კონსტანტინე მიქელაძის მიხედვით, მიწერება ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ივანე ბუქურაულს. მას კი, რა თქმა უნდა, აღნიშნული გადმოცემა წინაპრებისაგან ექნებოდა გაგონილი. აი, რას წერს ამის შესახებ პირველი წერილის ავტორი - ვ. სიღამონიძე: „თუშთა ბრძოლის ამბავი 1926 წელს მოხუც ივანე ბუქურაულისაგან ჩაუწერია მისსივე მოძმე თუშს კონსტანტანე სიმონის ძე მიქელაძეს, რომელსაც აგრეთვე მოუპოვებია საოჯახო არქივიდან ფოტო-სურათი, რაც ოზურგეთის ბრძოლაში მონაწილეებს გადაუღიათ 1867 წელს“. ოზურგეთთან ბრძოლის წელი გადმოცემაში დამახინჯებულად არის დასახელებული, 1867 წლის ნაცვლად უნდა იყოს 1854 წ.

1867 წელს ოზურგეთთან ბრძოლა არ ყოფილა თათრების წინააღმდეგ. წერილის ავტორს ეშლება ფაქტები; ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს წერილიდან.

აღნიშნული სურათის ირგვლივ წარმოქმნილ მთელ რიგ უზუსტობათა მიზეზი, როგორც საქმიდან ჩანს, კონსტანტინე სიმონის ძე მიქელაძეა, რომელმაც ამ სურათს გაუკეთა მცდარი წარწერა და გაავრცელა არასწორი გადმოცემა, რაც მაწერა ივანე ბუქურაულს. კონსტანტინე მიქელაძე არ უნდა იყოს მართალი, როცა იგი ხსენებული გადმოცემის ავტორად ივანე ბუქურაულს ასახელებს; რადგან სხვა მასალებიდან ცნობილია, რომ ივანე ბუქურაულმა შესანიშნავად იცოდა თუ თუშებმა როდის მიიღეს მონაწილეობა ოზურგეთთან გამართულ ბრძოლაში და რა გმირობა-ვაჟკაცობა გამოიჩინეს მისმა წინაპრებმა. მკვლევარმა ამ ბრძოლაში თუშების გმირობა-ვაჟკაცობის შესახებ ლექსად გაავრცელებული გრიგოლ შაბურიშვილის ლექსიც კი გამოაქვეყნა.<sup>27</sup>

მკითხველისათვის უკვე ცნობილი ლექსის შინაარსის შესახებ ივ. ბუქურაულს მოკლე და ლაკონური განმარტება მიუცია, საიდანაც ვლინდება, რომ მას ზედმიწევნით სცოდნია, თუ როდის მოხდა ბრძოლა ოზურგეთთან. და ვინ იყო იმ თუშთა ასეულის მეთაური. მოვესმინოთ ივ. ბუქურაულს: „ეს

<sup>27</sup> ძველი საქართველო. ტ. II, ექ. თაყაიშვილის რედ., ტიფ., 1913, განყოფ. V, თონოგრაფია, თუშური ლექსები. შეკრებილნი ივანე ბუქურაულის მიერ, გვ. 56-57.

ლექსი გამოთქმულია „ოზურგეთის ომის“ შესახებ, სადაც თუშები დიდ მონაწილეობას იღებდნენ. ეს ომი მოხდა 1854 წელს. საქართველოს ყველა კუთხიდან შეიკრიბა აქ ჯარი და აფანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის წინამძღოლობით საშინლად დაამარცხეს ოსმალები ამ ლექსში მოხსენებული გმირი იფანე არის აფანე ელიზბარაძე, თუშების რაზმის უფროსი. ამ უბრალო უსწავლელმა შეცნვარე თუშმა ისეთი ყაჟკაცობა გამოიჩინა შამილთან და სხვა ომებში, რომ კაპიტნის წინი და ვლადიმირის ჯვარი მიიღო. თუშების თქმით, თექვისმეტეა ჭრილობა პქონაა ელიზბარაძეს წელს ზემოთ. ელიზბარაძე იყო სოფ. ჯვარბოსლიდან“.<sup>28</sup>

სხვა წერილობითი ძეგლებითაც დასტურდება, რომ ყირიმის ომში მონაწილე თუშთა ასეულს ხელმძღვანელობდა ივანე ელიზბარაძე. დ. ჭიბროვი პირდაპირ მიუთითებს, რომ კახეთიდან დასავლეთ საქართველოში გაგზავნილ ექვს ასეულს შორის მეხუთე თუშთა ასეული იყო. თუშთა ასეულს სათავეში ედგა ივანე ელიზბარაძე, რომელსაც „...სხეულწე იმასე მეტი ჭრილობა პქონდა, რამდენი წლისაც თყითონ იყო“.<sup>29</sup>

ისტ. მეცნ. კანდ. ვ. ორჯონიკიძე ჩოლოქთან გამართულ ბრძოლაში თუშთა ასეულის მონაწილეობის შესახებ წერს: „მეხუთე ასეულში იყვნენ თუშები და ფშაველები შაგი ნაშნათ და შაგი თუშური ქუდიით, მათ მეთაურობდა ვაჟკაცობით განთქმული ელისაბერაძე (ელიზბარაძე, ვ.ე.) რომელსაც, როგორც ამბობდნენ, მთელს სხეულს ჭრილობებით პქონდა დაყარული“.<sup>30</sup>

ვ. სიღამონიძის მეორე წერილის თაობაზე აღარაფერს ვამბობთ, რადგან ისიც სიტყვა-სიტყვით, იმასვე გადმოგვცემს, რაზეც პირველ წერილში იყო საუბარი.

ვ. სიღამონიძის წერილმა თავის დროზე ჩვენც შეგვიყვანა შეცდომაში. იგი დაეიმოწმეთ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში თუშთა მონაწილეობის თაობაზე. ეს საკითხი მაშინ სპეციალურად არ შეგვისწავლია, მხოლოდ გაკვრით შევეხეთ მას.<sup>31</sup>

მაგრამ როცა ჩოლოქის ბრძოლაში თუშთა ასეულის მონაწილეობის 120 წლისთავთან დაკავშირებით გადავხედეთ სპეციალურ ლიტერატურას, დავრწმუნდით, რომ ორივე ამ წერილის შინაარსი სინამდვილეს არ შეეფერებოდა; აღნიშნულმა გარემოებამ, სხვა ფაქტორებთან ერთად, გვიკარნახა ზემოდასახელებული წერილის გამოქვეყნება.

გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ გამოქვეყნებულ ვ. სიღამონიძის მეორე წერილს აბ. შავტელიშვილი დოკუმენტის ძალას ანიჭებს და იგი სიტყვა-სიტყვით

<sup>28</sup> ძველი საქართველო, ტ. II, განყ. V, გვ. 57

<sup>29</sup> დ. ჭიბროვი, ომი და ქართველები, 1915, გვ. 52 (რუსულ ენაზე)

<sup>30</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, 1970, გვ. 25; შ. მგერელიძე, საქართველო აღმოსავლეთის ომებში, 1974, გვ. 23 და სხვ.

<sup>31</sup> ვ. ელანიძე, თუშეთის სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ფეოდალიზმის ხანაში (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი), თბ., 1968, გვ. 217.



მოყავს თავისი შრომის ორ გვერდზე.<sup>32</sup> აბ. შავხელიშვილთან მხოლოდ ის სიახლეა, რომ წერილის ავტორს არ ასახელებს და თანაც შეცდომით იმოწმებს მას ჩოლოქთან გამართულ ბრძოლაში თუშთა მონაწილეობის ნათელსაყოფად და ამას მკვლევარი აკეთებს მაშინ, როცა თანამედროვე ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გარკვევით წერია, რომ თუშთა რიგით მეხუთე ასეულის მეთაური ჩოლოქის ბრძოლაში იყო კავალიერიის კაპიტანი, საყოველთაოდ ცნობილი ივანე ელიზბარიძე და არა კიაზო ჩოლოყაშვილი. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილე თუშთა ასეულსაც მეთაურად თუში ივანე ელიზბარიძე ჰყავდა, რომელიც მთელს კავკასიაში ცნობილი ყოფილა, როგორც უშიშარი ვაჟაკი.<sup>31</sup> ივანე ელიზბარიძეს როგორც XIX საუკუნის 40-50-იანი წლების თუშეთის ერთ-ერთ სახელოვან გმირს იმიერკავკასიელი მძარცველების წინააღმდეგ თუშების მიერ გაწეულ მრავალწლოვან ბრძოლებშიც საპატიო ადგილი უკავია და იგი ყოველთვის მოწინავეთა რიგებში დგას. „ლეკიანობის“ წინააღმდეგ მებრძოლი ივანე ელიზბარიძის პიროვნება კარგად არის წარმოდგენილი თუშურ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, სადაც იგი ხასიათდება, როგორც სამაგალითო გმირი და თუშთა ლაშქრის ბელადი:

„აღვანში თუშის შვილები ხმაღს უღესავენ პირსაო,  
თოფებსა ძალზე ღმართავენ, ჯავრი გულს მოზღის მტრისაო,  
დაუბარებენ ივანეს ელიზბარიძის შვილსაო,  
შენაქოშიგა ბაკურას, გულადსა ჭვრიტიშვილსაო,  
წამოვიდოდა ბაკურა, ჯოგი თან მოსდევს მგლისაო,  
შაგროვდებიან ყვარელში, შუა ბაზრისა პირსაო,  
საომრად დრო შარჩეულნი ეკითხებიან გმირსაო;  
„დილაზე საით წავიდეთ, საითლა გვიზამ პირსაო?“  
ბაკურა ეტყვის: „გმირთ-გმირნო, ნუ ჩქარობთ, არა სჭირსაო,  
მოულოდინოთ ივანეს, ელიზბარიძის შვილსაო;  
ეს ვაჟიც გულოყანია, მედგრად მებრძოლი მტრისაო“.<sup>34</sup>

XVIII-XIX საუკუნეში, როცა „ლეკიანობამ“ უმაღლეს დონეს მიაღწია და თუშეთის ბევრი სოფელი ნაფუძარ-ნასოფლარად იქცა, თუშთა საბრძოლო საქმიანობაში საპატიო ადგილს იკავებს, ე.წ. „მეკობრობა“, როცა თუშთა პატარ-პატარა რაზმები, სამაგიეროს გადახდის მიზნით დაღესტანში გადადიან და სასწაულებს ახდენენ. ხალხურ ზეპირსიტყვიერებას შემონახული აქვს საინტერესო მონაცემები, რომლითაც კარგად ჩანს, რომ მტრისგან მრავალ-

<sup>32</sup> აბ. სახელიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, (თუშეთი XVI-XIX ს. I ნახევარი), თბ., 1977, გვ. 181-182.

<sup>33</sup> Война 1877-1878 гг. т. II, Война в Азиатской Турции, под редакцией Зикова, 1882, стр. 81-82; Н Волконский. Дагестанские войны, т. I, 1876, გვ. 387 და სხვა.

<sup>34</sup> ს. მაკალათია. თუშეთი, გვ. 99, 1983.

გზის გამწარებული თუში-ვაჟკაცი რამდენიმე ათეულ მძარცველს ჰკლავს და ზოგ დროს თვითონაც ეწირება-ხოლმე ამ უთანასწორო ბრძოლას:

„თუში ტიროდა მთაწიდა  
თაგის ძმის ნაომაწიდა,  
მოკლა ორმოცი ლეკო  
ზედ დაუწერა ქვაზედა“.

ივანე ელიზბარიძე თუშ მეკობართა შორის საპატიო სახელით სარგებლობს და იგი ყოველთვის მოწინავეთა რიგებში ღვას. ამ მხრივ საინტერესოა ერთი თუშური გადმოცემა, სადაც ივანე ელიზბარიძე, როგორც თუშ მეკობართა წინამძღოლი და უშიშარი მებრძოლი სრულყოფილადაა წარმოდგენილი: „ელისბარიძე ივანემ და ილია წუდაქაიძემ 7 კაცი მეკობარი შეხყარეს, ერთი ტიკტორა არაყი გაიყოლეს თან... ის ამხანაგები ერთმანეთის ეობნებთან: „რატო არ გვასმეყენ ამ არაყს?“ გაყიდნენ ბელექნისთავ მთაზე, ბილიკი აქ არის ლეკებისა.

ჯერ ერთმა ბელადმა გადახედა, ივანე ელიზბარიძეს ჩუმად ეტყოდა ილია წუდაქაიძე: „ლეკები ხო არ მოდიანო“, ივანემ უპასუხა: „არვინ არ მოდისო“, მერე უთხრა ილიას: „აბა ილი, ერთი შენ გადაიხედეო“. ილიამ გადაიხედა და სიცილით გამობრუნდა, დაუძახა ივანეს: „ივანე, აქ წამოდი - ჩქარადაო, აბა, ლეკებ მოდიან, და სკუნ სანგალი გაგაკეთოთ ჩქარადო. ამ ლეკის ბილიკზე ერთი დიდი სე ქეკს მუხისა, ჩადუნა არი მაღალი და აბა ბიჭებო, ეს ჩადუნა გაგაღეთ. შიგაღეს, შიგაღეს სანქაროდ. მერე უთხრა ივანე ელისბარიძემ: „აბა, ბიჭებო, ესლა თითო არაყი დავლით“. არაყი დალიეს. ილიამ უთხრა წუდაქაიძემ: „ერთი გასამრჯელო ზედმეტი დაძალევიე“. გაიქცა ერთი კიდე გადახედა ილია, გამობრუნდა და გამოიქცა. „აბა ბიჭებო, ესლა შექმნადენით ვაჟკაცურადა“.

ამ დროს გამოჩნდნენ ლეკები, რკა კაცი მოდის ლეკი. წინ ბელადი მოუძღვების ხმაღზე ხელი უძეს, თითოეული შიშველი მარჯვედ ჰკიდია მხარზედ. ელიზბარიძემ უთხრა ბიჭებსა: „ბიჭებო, თითოეული არ გამსროლოთ, ხმაღდა-ხმაღ გადავიდეთ“.

ახლოს შიდიეს ლეკები, მაშინ გადავიდეს თუშები ხმაღ-და-ხმაღ. ჩახინი მოდის ხმაღებისა, თან კვილიც მოდის ხევიდან, თან თოფის ხმაღ. რვასა მოსჭრეს თაყები და რვასვე მარჯვენი და ჩამოიდენ ნასახელარები ადგილსა ლაგოდენისასა. მიულოცა ჯარის ნასახლიკმა და თან მადლობაც მოიხადა“.<sup>35</sup>

ხალხური პოეზიის მიხედვითაც ივანე ელიზბარიძე წარმოგიდგება როგორც „ლეკიანობის“ წინააღმდეგ მებრძოლ თუშ მეკობართა წინამძღოლი და სახელმძღვანელო მეთაური. თუში მებრძოლები ცდილობდნენ, რომ მათი

<sup>35</sup> ს. მაკალათია, თუშური ლექსები, 1937, გვ. 115-116

წინამძღოლი ივანე ელიზბარიძე ყოფილიყო და ყველაფერს აკეთებდნენ ამ მიზნის მიღწევისათვის. ამ ვითარებას კარგად გადმოგვცემს ერთი თუშური ხალხური ლექსი:

„ივანეს ელიზბარიძეს ქადინ მოსდიოდ მტრისა,  
ეკალეზოდეს თუშები: „ივან, გაგვიძხ წინაო“.  
წინ გაუძღვების ივანე, ჯოგ უკან მისდევს მგლისაო.  
გაბედეს ქვემოთისაკე, თვალი თან გახყვა ღვთისაო.  
ჩავიდეს ბელაქანშია, საშზირი ლეკებისაო,  
სადილობის დროს ჩამოჩინდ ყუყაი ლეკებისაო.  
ივანე ელიზბარიძეს სიცილ მოუვიდ პირსაო,  
ივან, გადუშვენ ახლები, ღმერთმა დაგწეროს ჯვარიო!“  
ქება რად უნდოდ თუშებსა, მგლებთ ცხვარი დაკრიფიანა,  
მობრუნდეს ნასახელარი, ჭექა დგას თოფებისაო“.<sup>36</sup>

ივანე ელიზბარიძის თანამედროვე კავკასიის ხალხების ისტორიაში საკმაოდ გათვითცნობიერებული მეცნიერი აკად. ა. ბერჟე ეხება რა თუშ-ფშავ-ხევსურეთის ყოფა-ცხოვრებას შინიშნავს, რომ თუშ-ფშავ-ხევსურები უძველეს დროიდანვე განთქმულნი არიან გმირობითა და ვაჟკაცობით და მათ ამ მხრივ მთელს კავკასიაში გამორჩეული ადგილი აქვთო დაკავებული. თუშ-ფშავ-ხევსურთა გმირებიდან ასახელებს ივანე ელიზბარიძეს და შეთე გულუხაიძეს და აღნიშნავს, რომ ისინი და მათი შსგავსი მთის უშიშარი ვაჟკაცები არასდროს ამოიშლებიან ხალხთა მეხსიერებიდან და ყოველთვის იცოცხლებენო მათს გმირობასა და ვაჟკაცობაზე შექმნილ სიმღერებსა და გადმოცემებში.<sup>37</sup>

<sup>36</sup> ს. მაკალათია, თუშური ლექსები, 1937. გვ. 40.

<sup>37</sup> А. Берже. Краткий обзор горских племен на Кавказе, 1858 стр. 37.

## ნ.პ. შეთე გულუხაიძე

„სახურეულია. რომ ვინმემ შეთეს ზიოგრაფია დახეროს. რომლის ცხოვრებასაც შეთეობაზე შიიღვლებთან ზნობლაში გაიარა. რაც დიდად საინტერესოა მრავალი ქვეშარიცად გმირული პირობებითა და ღვაწლით“.

რაფიელ ერისთავი

ე.წ. „ლევანობისა“ და საერთოდ, იმიერკავკასიიდან შემოსეული აბრაგების წინააღმდეგ თუშების მრავალწლიანმა ბრძოლებმა გამოავლინა არა ერთი სახელოვანი გმირი. რომელთა შესახებაც არსებობს როგორც ბუნწი და არასრული, მაგრამ დიდად საინტერესო წერილობითი ცნობები, ისე ხალხური სიტყვიერების საინტერესო ნიმუშები.

XVIII საუკუნის თუში სახალხო გმირებიდან, რომელთაც სახელი მოიხვეჭეს მტრებთან ბრძოლაში და დაუპატიჟებელ სტუმრებს შიშის ზარს სცემდნენ, თუშ-ფშავ-ხევსურული პოეზია პრიორიტეტს აძლევს ლუის ლუხუმს, ლეკებისათვის ლეგენდად ქვეულ პიროვნებას, რომელსაც თვით ლეკებივე მიმართავენ: „შენა ხარა ლუის ლუხუში, ლეკეთის ნაყდღარაო?“<sup>1</sup> და გიორგი (გორგი) თილისძეს (თილიძეს), რომელიც მის შესახებ შექმნილი ხალხური ლექსების უმრავლესობით „ლეკების სულთაშხუთაყად“ არის წარმოდგენილი“.<sup>2</sup>

XIX საუკუნემ კი სხვა გმირები წარმოშვა, ესენია: შეთე გულუხაიძე, ივანე ელიზბარიძე, ალექსანდრე ელიზბარიძე (ნათიევი), დანიში ბორძიკიძე, იაკობ ლეკაიძე, ბაკური ჭვრიტიშვილი, დავით კვესაიძე, დავით ნაკუდაშვილი, ზეზვა ორნაიძე, ვაო ბერიკაიძე, თორღვა ქაზნიაური, ელანი ქაზნიაური, ლევან ეფიშვილი (ქადაგიძე), დავით შანჭიშვილი, ბეთურა ტუგუსეშვილი, გეო (გიო) ქავთარაშვილი, გუბერნიის მდივანი ივანე ცისკარიშვილი, ზეზვა უთურგაიძე, დავითი, ხუტა და ქავთარი გულუხაიძეები (შეთეს ვაჟიშვილები), გიორგი ქადაგიძე, თევდორე და ლევან ლავაზიშვილები, დანიელ გესლაიძე და სხვ.

აქ ჩამოთვლილი გმირებისა და კიდევ სხვა მრავალი მათი თამნამებრძოლის საგმირო-სავაჟაკაციო თავგადასავლის შესწავლით თვალწინ წარმოგვიდგება მეზობელი მთიელების თავდასხმების გამო თუშეთში შექმნილი მძიმე ვითარება XVIII-XIX საუკუნეებში. ამ დიდი საჭმის შესრულება ცალკე

<sup>1</sup> აკ. შანიძე, ხალხური პოეზია. ხევსურული, 1931, გვ. 420.

მარინე ბაკურიძე, ვინ იყო თილის ძე, გაზ. „ბახტრონი“. II სექტემბერი, 1973.

კვლევა-ძიებას მოითხოვს. ამიტომ აქ შევეხებით მხოლოდ ერთ პიროვნებას — ლეგენდარულ შეთე გულუხაიძეს, რომელიც „ლეკიანობის“ წინააღმდეგ ბრძოლებში თუშთა უცილობელ წინამძღოლად და ყველაზე პოპულარულ გმირად ითვლებოდა. „შეთე გულუხაიძე, — წერს პროფ. ავ. იოსელიანი — იყო თუშთა ლეგენდარული გმირი, რომელმაც უკვდავყო თავისი სახელი შამილის ურდოებთან, გმირულ ბრძოლებში. მასზე ხალხმა შესანიშნავი ლექსები და თქმულებანი შექმნა“.<sup>3</sup>

რ. ერისთავი 1856 წელს პირადად შეხვედრია შეთე გულუხაიძეს ივანე ნათლისმცემლის რელიგიურ დღესასწაულზე (ახმეტის რაიონი, სოფლების — ზემო და ქვემო ალენების მიჯნაზე). მანამდე ამ პიროვნების ირგვლივ საყოველთაოდ გავრცელებული საგმირო ეპიზოდები, როგორც ჩანს, პოეტსა და სახელოვან მკვლევარს გულდასმით დაუხუსტებია და დარწმუნებულა, რომ ყველაფერი, რაც მას სხვადასხვა დროს სმენია, სინამდვილე ყოფილა. მან წერილში: „ჩემი შენიშვნები“<sup>4</sup> ბევრი საინტერესო ცნობა შემოგვინახა შეთე გულუხაიძის პიროვნების შესახებ.

რ. ერისთავის გადმოცემით, შეთე მაშინ 50 წლისა ყოფილა და 70-ზე მეტი გადამთილელი ჰყავდა მოკლული: „შეთეს ანგაროზე პატარა-პატარა თაყდასხმებში პირადად მის მიერ მოკლული 42, ხოლო დიდ ბრძოლებში კი 28 კაცზე მეტი არიცხება“.<sup>5</sup>

ანალოგიურადვე მსჯელობს ნ. ვოლკონსკი. იგი წერს: „შეთეს სახლის კედელზე სამოცდაათზე მეტი ლეკის მარჯვენა პქონდა დაშაგრებული თვით მის მიერ დახოცული მტრების უტყუარი ნიშანი. ასეთი იყო წესი, რომელსაც გმირისათვის სახელი უნდა გაეოქვა“.<sup>6</sup>

რ. ერისთავის აღნიშნულ წერილში შეთე გულუხაიძესთან დაკავშირებით ერთ ფრიად საინტერესო დეტალსაც ეხება. რასაც თუშთა საგმირო-საეპიკოსო ისტორიის სწორად გაგების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს. რ. ერისთავი აღნიშნავს, რომ: „ამ დღესასწაულზე არ შეიძლება ყურადღება არ შექმნიერებინა ბრმა ჭაბუკ თუშ მომღერალზე. ამჯერად ბრმა მუსიკოსის სიმღერები შეიცავდა ბეფე ერეკლეს, ფელდმარშალ პასკევიჩის და თუში გმირების ქებას. შესანიშნავია სიმღერა ბეფე ერეკლეზე...“<sup>7</sup> „შენ გმირები შეაქე — წარმოთქვა სიმღერის დასასრულს თუშმა. მხედარმა შეთემ... ჩემზე რატომ არა სთქვი არაფერი, განა მე არისად გამომინენია თავი? — როცა მოკვდები, შენზე მაშინ შევთხზავ სიმღერას, — პასუხობდა ბრმა. — ჯერ ადრეა ჩემი სიკვდილი, — მინდა ჩემს შესახებ სიმღერა მოვისმინო, —

<sup>3</sup> ავ. იოსელიანი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან. 1955, გვ. 175.

<sup>4</sup> რ. ერისთავი, ჩემი შენიშვნები. გაზ. „კავკასია“, 1855, №33, რუსულ ენაზე.

<sup>5</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, რ. ერისთავის ფონდი. №156.

<sup>6</sup> ნ. ვოლკონსკი, ლეკური ექსპედიცია (დიდოეთის საზოგადოებასი) 1857. „კავკასიური კრებული“, ტ. I, 1876, გვ. 388, რუსულ ენაზე.

არ გინდა სიკვდილი? - პკითხა ჭაბუკმა მუსიკოსმა შეთვის. სიკვდილი არ არჩევს არც ასაკს, არც ჩვენი სურვილებს... მომძიმნე, რაც უნდა გიმღერო. მან ააჟღერა ფანდური და დაამღერა სიკვდილის აუცილებლობაზე, რომელიც არ არჩევს არც ასაკს, არც სიღამაზეს, არც წარმოშობაგლობას, არც ღირსებას. შავ სიკვდილს არაფრად გაჩნდა სიყალი, გლიოჟა და უკეთესად იყო მათხოკარი და შშიური, ვიდრე სიკვდილის კლანჭებში. - ეგ ყველაფერი უშენოდაც ვიცო, ჩემო უსაყვარელსო, - უთხრა დამწუნებულმა შეთემ. - აბა, რაკი იცო, იცოცხლე, სიკვდილს ჯიბრზე - პასუსობდა მომღერალი, - როცა სიკვდილი მოგინდეს, გამაგებინე, რომ შენს შესახებ სიმღერა შეეკმნა. - არა მჭირდება, - პასუსობდა მიმავალი შეთე. - რატომ არ გინდა მის შესახებ ახლავე შეკმნა სიმღერა, - შეკვებითე მუსიკოსს, - იბიტომ, - მიპასუხა მან, - რომ ცოცხლებზე სიმღერებს არა მღერაიან... ეს გმარისათვის სამარცხენოა. მე გამაყარვა თუშების თაგმდაბლობამ გმირების ქებაში. სამწუნაროა, რომ შეთვის არ უმღერაიან ქებით სიმღერებს. ეს მხედარი კი ღირსი იყო სახალხო წახალისებისა, მით უმეტეს, რომ თაგის სამშობლოს ბევრი სამსახური გაუწია. - შეთვის შემინებული მყავს ღეკები, რომელნიც ბავშვებს მისი სახელით აწინაუბნენ“.

ერთი ხალხური ლექსის მიხედვით შეთვის მიერ მოკლული მტრის რაოდენობა სამასს აღწევს:

ჩამოდიოდნენ თუშები ხელმუხლით ჩაშავებული,

სამჯერა პქსინდა შეთვისა აწარი გათავებული.

წელზეთ ვერვინ შემახსნა ფრანგული გაფხავეებული“.<sup>7</sup>

ამასთან დაკავშირებით თ. რაზიკაშვილი შემდეგ განმარტებას იძლევა:

„ეს შეთე ცნობილი ისტორიული პარია (თუში), ღეკების სულთაშუთაგი. ქართველთა დრუჟინის ისტორიაში სწერია, ამ შეთემ ერთ დღეს ყვარლის თავს ტყეში მამწყვდია 17 სათარქმოდ წაშოსული ღეკი და 17-ვე მოკლაო. მთელ გუდას მოიტანდა თურმე ღეკის მარჯვენებით საკსეს. აწარი-ასის მოკვლას რომ შეათავებდა, ყანც ას მსხვილ ნადირს მოკლაედა, მერმე დრომდე უნდა თოფი მსწაში დაეფლა“.<sup>8</sup>

ნ. ვოლკონსკი აღნიშნავს, რომ 1837 წელს ღეკები დასხმიან შეთე გულუხაიძის სოფელს და ამ ბრძოლაში შეთვის 17 ღეკი მოუკლავს: „ამ წელს თაგის სოფლის დაცვის დროს მარტო ერთმა (შეთემ, ვე.) 17 ღეკი მოკლა“.<sup>9</sup>

<sup>7</sup> ხალხური სიტყვიერება, ტ III, ხალხური ლექსები თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი, მიხ. ჩიქოვანის რედაქციით, 1953, გვ. 67.

<sup>8</sup> ხალხური სიტყვიერება, თ. III, ხალხური ლექსები თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი, მიხ. ჩიქოვანის რედაქციით, 1953, გვ. 67.

<sup>9</sup> ისტორია მათი იმპერატორებითი უმაღლესობის დიდის მთავრის გიორგი მიხეილის ძის ქართველთ ქვეითის დრუჟინისა 1831-1881 შედგენილი რუსულ ენაზე ნ.ა. ვოლკონსკის მიერ არტილერიის გენერალ-მაიორის ჩერნიაუკის რედაქტორობით. თარგმნილი ქართულად „დროების“ რედაქტორის თ.ი. მაჩაბლის რედაქციით, თბილისი, გვ. 69. 1884.

თუშური გადმოცემის მიხედვით კი შეთეს ძიერ დახოცილ მოძალადეთა რიცხვი სამასს აღემატება. ხალხური სიტყვიერება გადმოგვცემს, რომ ლეგენდარული შეთეს გმირობა-ვაჟკაცობაზე გავრცელებული ათასგვარი ხმებით დაინტერესებულა კავკასიის მეფისნაცვალთა ვორონცოვი და სახალხო გმირი თავისთან დაუბარებია. ვორონცოვი ეკითხება: „შეთე, თქვენზე ამბობენ, რომ ძალიან ბევრი ლეკი პყაჟს მოკლულიო, ხომ არ გახსოვთ, რომ გვითხრათ მაინც რამდენი იქნება? შეთეს გაკვირვებია ასეთ შეკითხვაზე და მეფისნაცვალისათვის უპასუხია: - როგორ შეკითხები შეფევე, იმას რა დათვლიდა რამდენი ლეკიცა მყაჟს მოკლულიო. ასეთ პასუხზე უფრო დაინტერესებულა მეფისნაცვალს და კვლავ დაჟინებით უთხოვია, რომ მის მიცემულ კითხვაზე ეპასუხა. მაშინ შეთეს უთქვაძს: - სამასი ლეკი და ქისტები ხმალდახმალ მყაჟს მოკლულა: ესენი ისეთი ვაჟკაცები იყვნენ, რომელნიც არ გამქცევიათ, ზურგი არ უსწვენებია, ხმლით შემბმან და თავისას ცდილან. ამიტომ დაძახსომდა მათი რიცხვი და ზოგიერთის სახეებიც კი. ხოლო ხელნართულ ბრძოლებში თუ მტაცებლებთან დადევნებაში გზადაგზა ხმლითა თუ თოფით რამდენი ლეკი და ქისტი შეყოლება მოკლული არც დაძითელაო და არც შეიძლებოდა მათი დახსოვება - მიუგო გმირმა მეფისნაცვალს.<sup>10</sup>

შეთე გულუხაძის პიროვნების შესახებ ხალხში მრავალი საინტერესო გადმოცემა არის გავრცელებული. თითოეული გადმოცემა გმირის ყოფაცხოვრებისა და საბრძოლო ისტორიის ამა თუ იმ ეპიზოდს ეხება. ამიტომ მათი ჩაწერა და მკითხველამდე მიტანა ჩვენი აზრით, აუცილებელიცაა და სასარგებლოც.

„ერთხელ, - მოგვითხრობს გადმოცემა, - „ლეკი აბრაგები თუშეთის რომელიღაც კუთხეს დასცემიან. მძარცველების შემოსევის ამბავი მთელს თუშეთში გავრცელებულა. ვისაც კი იარაღის ხმარების უნარი ჰქონია ყველა სასწრაფოდ წაშოსულა თანამებამულეთა დასახმარებლად. მდედარ-მოლაშქრეთა შორის ყოფილა შეთეც. როდესაც მებრძოლი თუშები მოსულან, მტერი ნამძარცვით დატყვართული თანდათან უკან იხეკდა თურმე. დაღესტნისაკენ მიმავალ მტაცებლებს, ჯერ კიდევ თუშეთის ტერიტორიაზე ერთ-ერთ აღმართ გზაზე წაშოყწაო თუშთა ლაშქარი ბრძოლის დაწყებამდე შეთეს რამდენჯერმე დაუკვივლია და თან ხმალამოწვდილი დასდევნებია მტაცებლებს. შეთეს მტრად ძლიერი ხმა ჰქონია თურმე და როცა იგი ბრძოლას იწყებდა მტერს ჯერ გამგმირავი ხმით თავზარს სცემდა და მერე შეტყევაზე გადადიოდა. აი ახლაც შეთეს ხმის გაგონებაზე ერთ-

<sup>10</sup> აღნიშნული გადმოცემა 1970 წელს ჩამაწერინეს თელავის რაიონის სოფ. ლალისყურის მცხოვრებლებმა იორდანე გიოს ძე ალიაძემ და აბრამ თედორეს ძე ელანიძემ. მათთვის ეს გადმოცემა უამბია შეთეს თანამებრძოლსა და შამილის დატყვევების თანამონაწილე თუშ გმირს - ზეზკა ოჩონაძეს.

ერთ ახალგაზრდა ლექს მუხლი მოკვეთია და ვზახე დაკარდნადა. წაქცეულ ლექს შოთე დასტეროშია შევიდან, თავი გადაუწვივია რომ ყელი ვაპოვებრა. მაგრამ ლექის უცნაურ საქციელს შოთე გაუნცვიფრებია და შეუწერებია. დასაკლავად გამზადებულ ლექს შეთესთვის რომ შემოუხედა შეშლილივით გადაუხარხარებია. განცვიფრებულ შეთეს უთქვამს: - რა გაცინებს შე რჯულძაღლო, ვერ ხედავ რას გიპირებ, თავი უნდა მოგჭრაო?! მაშინ ლექს უთქვამს: - მაშაქმის სიტყვა გაძახსენდა და იმიტომ გამეკნაო: - შოთე დანტერესებულა და ლექსათვის უკითხია: - რაო, რა გითხრა მაშაქმმაო? აკანკალეხულის ხმით დაუწვია ლექსს ბიჭს: - როდესაც ლაშქარი იკრიბებოდა დაღესტანში თუშეთის დასალაშქრავად, მეც აღმძვრა სურვილი და საშაადისს შევეუდექი. მაშაქმი ბევრს მეხვეწა, მემუდარა, რომ არ წამოუსულიყავი. მაგრამ არ დაუვჯერე, მაშინ განრისხებულმა მაშამ მითხრა: - შვილო, შენ თუში მეომრის ბაღნიანი მკერდი არ გინახია, თორე თუშეთში არ წახვიდოდაო. მტერთან დადევნებული მეომარი მთიელები, ხშირ შემთხვევაში, მკერდზე შებნეულ დილებს იხსნიდნენ ხოლმე, რაშიც ისინი გარკვეულ შეგებას ხედავდნენ.

შეთის დიდი სულგრძელობა გამოუჩინია: ლექსს ბიჭი ფეხზე წამოუყენებია, წინლი ამოურტყია და გაუგდია: წადი, მომწყდი თავიდან შე წუნკალო, მაშაქმის საპატივსაცემოდ მაჩუქებია სიცოცხლეო<sup>11</sup>.

ბ. ჯორჯაძეს 1891 წელს „ივერიაში (№80) გამოუქვეყნებია ვინმე დიტო თუშის ნააზობი, თუშეთის ისტორიის ირგვლივ სათაურით - „დიკლოშენაქოში“. მთხრობელი ეხება სოფლებზე: დიკლოსა და შენაქოზე ლექთა მიერ თავს დატეხილ უბედურებაზე, სადაც განსაკუთრებულად ხასიათდება გმირი შოთე გულუხაიძე. ბ. ჯორჯაძის წერილში კვითხულობთ: „შოთე - თუშს მკითხველნი ზოგნი სახელით მაინც იცნობენ და ვისაც არ გაუგონია იმისი ვაჟკაცობა და გმირობა, თუ უადგილო არ იქნება, მცირედის აღწერით გაეაცნობთ: შოთე-თუში სიყრმადანვე შესწევული ყოფილა ველურს ცხოვრებას, უყვარდა თურმე მთებში სადაკლოდ სიარული. იმისთანა თვე ქნელად გაივლიდა, რომ ლექებს არ შეჰხედროდა, იმათთან არ ებრძოლა და, არ გაეშარჯვნა. ორი-სამის ბიჭით გაასწევდა მთებში და, რაც უნდა დიდი ჯარი შეხვედროდა, მაინც უვნებელი გამოვიდოდა ხოლმე. თუმცა მრავალგან იყო დაჭრილი და მტრის მეტისმეტ კონდახის ლოყებზედ მუშტის ტოლი კოჟოყები პქონდა ამომჯდარი, სხვა და სხვა ლაშქრობაშიც ბევრჯელ იყო დაჯილდოებული“.

შოთე გულუხაიძის პიროვნების შესახებ საინტერესო ცნობები გვხვდება ნ. ვოლკონსკის შრომებში. იგი პირადად იცნობდა სახელოვან გმირს და

<sup>11</sup> აღნიშნული გადმოცემა 1968 წელს ჩავგაწერინა თელავის რაიონის სოფ. ლალისყურის მცხოვრებმა იორდანე გიოს ძე აღიაიძემ. დაბ. 1902 წელს და ამავე სოფლის მკვიდრმა ისიდორე მიხეილის ძე ბაკურიძემ, დაბ. 1904 წელს.



არაერთხელ ყოფილა მონაწილე მისი განსაცვიფრებელი ბრძოლებისა. მას სამართლიანად მიაჩნდა, რომ შეთეს საბრძოლო საქმიანობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩრდილო კავკასიისათვის რუსეთის მიერ წარმოებულ ბრძოლებთან და მისი ბიოგრაფიის დეტალური შესწავლა იქნებოდა ამავე ბრძოლების ისტორიის ერთი შემადგენელი ნაწილის გამორკვევა, ამიტომ იგი წერდა: „კავკასიის ომის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი პრობლემა იქნება შეთეს ბიოგრაფიის ცოდნა. სანამ ჯერ კიდევ დრო არის საჭიროა ამ პრობლემას სათანადო ყურადღება მიექცეს“.<sup>12</sup>

ნ. ვოლკონსკის მიხედვით, შეთე გულუხაიძე გვევლინება ქართული ქვეითი რაზმის გზამკვლევად, დაღისტნელი მთიელების რისხვად და შეუღრეკელი ნებისყოფის პიროვნებად. ნ. ვოლკონსკი შეთე გულუხაიძის შესახებ წერს: „ბევრჯერ ასწავლა მათ (დაღისტნელებს, ე.ე.) ჭკუა ამ დროის განმავლობაში ერთმა შიშის უცოდნელობა პირმა, რომელმაც დიდად განითქვა სახელი ლეკების მთა-საეჩიეებში და საყვარელი შეიქმნა ქართველებში, მარტო თაყის სახელთ შიშის თაყზარისა სცემსა მთებს და რომელმაც დაამტკიცა თაყის თაყზე, რომ „ომი შეიქმნს და დაჰბადებს გმირებსაო“. ეს პირი იყო თუში „შეთე გულუხაიძე. შეთე იყო მუდმივი თანამშრომელი ქართველებისა, მებრძოლი მათის სისხლისა და უფლებათათვის და ამასთანავე ერთად თაყის შამულისა და სამშობლოს მსყიდობისათვის. იგი არა ერთხელ საძღვარა I ქართველთა ქვეითის პოლკის რაზმებში, მათთან ერთად იჭირებდა მტერს, სცემდა და სდევნიდა ისეთიანად შეყოფისა და შეეთვისტობა ჯარის პოლკის მილიციონერებს, რომ მისი საგმირონი საქმენი ვერ განცალკევდებოდა მათ გმირობათაგან, რისთვისაც შეთეს სახელიც არ უნდა განშორდეს ამ ღირსეულ სახელებს, რომლებითაც აღსაყვია ქართველთა I ქვეითი პოლკი“.<sup>13</sup>

როგორც ნ. ვოლკონსკი გადმოგვცემს, შეთე გულუხაიძეს ევალებოდა დრო და დრო დაეხურა დაღესტანში და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის ზუსტი ცნობები ჩამოეტანა, რას აკეთებდნენ დაღესტნელი ფეოდალები, ემზადებოდნენ საქართველოს საზღვრების გადმოსალახავად თუ არა; იგი მძარცველების დამსჯელი რაზმების მოწინავედ და უბადლო ხელმძღვანელად იყო აღიარებული. ნ. ვოლკონსკი წერს: „პოლკოაინიკმა ბეზობრაზოვმა კარგად რომ გაიცნო იგი, ამოდისა თაყის უმთავრესის საგნის მისაღწევად დრო გაშოშკებით დაიქაჯნა ხოლმე მტარყალნი მის შესწყოებით და მათ

<sup>12</sup> ნ. ვოლკონსკი, დასახ. შრომა, გვ. 388 (სქოლიოში). თბ., 1885, გვ. 69.

<sup>13</sup> ისტორია მისი იმპერატორობითი უმრავლესობის დიდი მთავრის გიორგი მიხეილის ძის ქართველთა ქვეითის დრუჟინისა 183-1881წ. შედგენილი რუსულ ენაზე ნ.ა. ვოლკონსკის მიერ არტილერიის გენერალ-მაიორის ჩერნიაევსკის რედაქტორობით, თარგმნილი ქართულად. „დროების“ რედაქტორის თ. ი. მაჩაბლის რედაქციით, თბ., 1885, გვ. 69.

საწინააღმდეგოდ პყოლოდა აზი ყოველ შეშოსიკვის დროს. აგრეთვე მდევრად გამოიყიება და დათვალიერება ლეკებისა, ან კერძოდ მას ედო ჯალად, ან პოლკის მილიციონერებთან ერთად და შეთე ყოველთვის იზოვიდა ხოლმე შეშოსიკვის თავი გამოეინათ ამ უკანასკნელებს და ახალი საგმრო საქმეებით სახელი განეთქვათ. ერთი ამგვარი საქმეთაგან, ცოტად თუ ბევრად, შესანიშნავი, მიხდა ივლისში 1839 წელს. ამ თვის 18-ს ტუბელის საზოგადოების მტაცებლებმა მოჰკლეს ოთხი ქართველი ალაზნის მარჯვენა მხარეზე, სოფ. ანაგის პირდაპირ, ხოლო ერთი ტყვედ წაიყვანეს. პოლოგონიკმა ბეზობრაზოვმა ტუბელების ჯავრის ამოსაყრელად შეთე გაუგზავნა. უკანასკნელი მტრის ქვეგანაყოფში განსდა. სოფ. ტუბელის ახლოს, მოჰკლა მ ლეკი, ჩამოიტანა მათი ხელები და შეატყობინა, რომ ლეკები იკრიბებიან და ბარად უნდა ჩამოცვიყდნენო“.<sup>14</sup> ნ. ვოლკონსკი აღნიშნავს, რომ: „შეთემ სიყრმიდანვე თავის სამშობლოს მტრების ამოწყვეტისათვის გადასდო თავი და 1837 წლიდამ სახელგანთქმული და შესანიშნავი შეიქნა“.<sup>15</sup>

შეთე გულუხაიძის საბრძოლო საქმიანობა ნ. ვოლკონსკის ფართოდ აქვს წარმოდგენილი 1857 წლის დიდოეთში მოწყობილი ექსპედიციის მონაცემების მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ 1857 წლისათვის შეთე საკმაოდ ასაკოვანი ყოფილა, 70-ისა თუ უფრო მეტის, როგორც ნ. ვოლკონსკი შენიშნავს,<sup>16</sup> თავის ვაჟებთან ერთად მონაწილეობს ხსენებულ ექსპედიციაში<sup>17</sup> და ახალგაზრდული შემართებით სასწაულებს ახდენს.

1843 წლის თუშეთის კამერალური აღწერის მიხედვით შეთე გულუხაიძე 40 წლისაა,<sup>18</sup> რაც შეთეს წლოვანების შესახებ ნ. ვოლკონსკის მიერ მოწოდებულ ცნობას ერთგვარად ეჭვქვეშ აყენებს. თუმცა იგივე ვოლკონსკი შენიშნავს, რომ: „...მან (ე.ი. შეთემ, ე.ე.) არასოდეს ზუსტად არ იცოდა რამდენი წლის იყო“.

როგორც ეტყობა აღნიშნული აღწერის შემდეგ შეთეს შესძენია მეოთხე ვაჟიც, ბერო, რომელიც გარდაცვლილა 1910-იან წლებში. ბეროს პყოლია ვაჟიშვილი-ანდრო, ანდროს შესძენია ორი ქალიშვილი, რომელთაგან მაგდო გულუხაიძე-აბულიძისა ცხოვრობდა თელავის რაიონის სოფ. ლალისყურში და ბეერ საინტერესო ამბებს გვიყვებოდა სახელოვანი ბერი პაპის შესახებ.

შეთე და მისი ვაჟები ყოველთვის პირველნი მიდიან მტერზე და თანამებრძოლებს გმირობისა და ვაჟკაცობის მაგალითებს უჩვენებენ. შეთეს ვაჟს

<sup>14</sup> ნ. ვოლკონსკი, დასახ. შრომა...გვ. 69-70.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 69.

<sup>16</sup> ნ. ვოლკონსკი, დასახ. შრომა, ტ. 1. გვ. 387.

<sup>17</sup> იქვე.

<sup>18</sup> საქ. ცსსა. ფონდი 254. ანაწ. 1. საქმე - 2042, გვ. 208. აღნიშნული აღწერით შეთეს სამი ვაჟი ყავს: დავითი, ხუტა და ქეთარე.

ხუტეს (ხუტა) თავი უსახელებია პირველსავე იერიშზე, როცა II ივლისს თავს დაესხნენ სოფ. ხუფრას. იგი წარუდგენია წმინდა გიორგის ჯვარზე. თუმცა ეს სიხარული ახალგაზრდა გმირისათვის ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან მეორე სოფლის ხოტრაზოს ალების დროს სასიკვდილოდ დაიჭრა და მალე გარდაიცვალა კიდეც.<sup>19</sup>

მომაკვდავი შვილის შემყურე შეთეს არ უნდოდა ბედს დამონებოდა და შვილს შემდეგი სიტყვებით მიმართავდა: „არაფერი გიჭირის, გამოჯანმრთელდები. პატიოსნად ატარებ იმ ჯვარს რომელზედაც წარგადგინეს შენ ჩვენს სახელოვანი საქმისათვის ხუფრასთან“.<sup>20</sup>

აღნიშნულის თაობაზე ნ. ვოლკონსკი სქოლიოში შენიშნავს: „უმოკლეს ხანში გიორგის ჯვარი #333 ნაშდვილად ეპოია ხუტე გულუხაიძეს II ივლისის სახელოვანი საქმისათვის, მაგრამ გმირის მისი ტარება არ ეღირსა“.<sup>21</sup>

ბრძოლის წყურვილით ანთებული ხუტე მამას და უფროს ძმას – დავითს ხელებში შემოაკვდათ. ამ ფაქტმა მეომრებზე დიდად იმოქმედა და ყველას ერთიანად მოუწყლიანდა თვალები. შეილმკვდარი მამა კი განრისხებული სახით იდგა ქანდაკებასაკით და მისი თვალებიდან მხოლოდ შურისძიების დაუოკებელი ნაპერწკლები გამოსჭვიოდნენ: „შეთეს თვალზე ამ წუთებში ცრემლს არ გაუბრწყინია. ალბათ თავს დატყეხილი უბედურება ფრიად ღრმად ჩაეჭვდა მის გულში და უდაჯოდ ფიქრობდა მაშინ მოხუცი, რომ უკეთესი იქნებოდა ვაეცვალა შეილის მისთვის კუთვნილი ხვედრი“.<sup>22</sup>

ოღნავი ღუმილის შემდგომ შეთე შვილის გვაშიდან ორი ნაბიჯით გამდგარა უკან, მიბრუნებულა სოფ. ხოტრაზოსაკენ, გამწარებულს მაგრად ჩაუბლუჯია საკუთარი ხანჯალი და მოძალადეთათვის სამაგიეროს გადახდის უნით ანთებული ამბობს: „ეშარა, მამართა შეთემ უფროს შვილს. ამ სიტყვის შემდეგ თუშებმა ფროხილად გაახვიეს ნაბადში ცხედარი. ხუთი წუთის შემდეგ კი ისინი უკვე ეშკებოდნენ ქვეით, თან მიჰქონდათ უბედური შეთეს ძვირფასი ტყვიით“.<sup>23</sup>

გარდაცვლილი ხუტეს საპატივსაცემოდ მათ გაანადგურეს სოფელი ხოტრაზო, აგრეთვე, სოფლები; ხალაზო და წიწმანო.

თუშების ასეულმა შემდგომ იერიში მიიტანა სოფ. ჩილიაზოზე. აქაც თუშებს წინ სახელოვანი შეთე მიუძღვოდათ და პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა მათ. „შეთე გულუხაიძე თუშებს წინ მიუძღოდა, – შენიშნავს თვითმხილველი და თანამდგომი – ნ. ვოლკონსკი.“<sup>24</sup>

<sup>19</sup> ნ. ვოლკონსკი, დასახ. შრომა, თ. II, 1887. გვ. 225-230.

<sup>20</sup> ნ. ვოლკონსკი, დასახ. ნაშრომი. ტ. II, გვ. 227.

<sup>21</sup> ნ. ვოლკონსკი, დასახ. ნაშრომი. ტ. II, გვ. 227.

<sup>22</sup> იქვე. გვ. 230.

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> იქვე. გვ. 240.

ხსენებული სოფლის მოსახლეობამ და მებრძოლებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ექსპედიციის მონაწილეებს და აიძულეს უკან დაეხიათ; მაშინ გამძვინვარებულმა შეთემ აღარ დააყოვნა და შემდეგი სახიფათო და სახელოვანი ნაბიჯი გადადგა: „დაახლოებით ათი ლეკის ცხენი დარჩა უშეუდროდ. მოხუცმა შეთემ შეჰკივლა, როგორც გარეულმა კატამ, წამოიწია უზანგებზე, ამოიღო თაყისი მოკლე ხმალი, მის შემდეგ პაერში გაიღვა ასიოდე ასეთმავე ხმალმა, გაისმა გულის გამგმირაყი კივილი და მებრძოლები ისევ გასროლის გარეშე გაიჭრნენ მოწინააღმდეგესაკენ“.<sup>25</sup>

აღნიშნული ბრძოლის შემყურე ნ. ვოლკონსკი ვეღარ მალავს აღტაცებას და წერს: „ეს იყო სახელოვანი ბრძოლა, მაგრამ იგი გრძელდებოდა არა უმეტეს ხუთი წუთისა“.<sup>26</sup>

აღნიშნული სოფლების აღების შემდგომ ექსპედიციამ მცირე ხნით დაისვენა სოფ. ხუფრის თავზე და სარდლობამ ჩატარებული ბრძოლების მიხედვით დაიწყო ასეულთა თუ ცალკეულ მეომართა შეფასება. ბარონმა ვრევსკიმ განსაკუთრებულად აღნიშნა თუშთა ასეულის მიერ ჩატარებული ბრძოლების თაობაზე, რომელთაც სათავეში ედგათ სახელოვანი პორუჩიკი ალექსანდრე ელიზბარის ძე ნათიევი. ბატალიონი თუშთა ასეულის ქება-დიდებას „ურას“ ძახილით ადასტურებდა. ამიტომ წერდა ნ. ვოლკონსკი, რომ: „თუშები ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ ეს შესვედრა მათთვის იყო საუკეთესო ჯილდო მათი საგმირო საქმეებისათვის, რომელზეც უფლება ჰქონდათ მათ ეყაქრათ“.<sup>27</sup>

ექსპედიციამ საბრძოლო საქმიანობა განაახლა. ისტორიკოს ნ. ვოლკონსკის ყურადღებას კვლავ თუშთა ასეულისა და შეთეს თავდადებული ბრძოლები იპყრობს. იგი განცვიფრებულია მოხუცი შეთეს ძალგულოვნებით, შიშის უცოდინრობით, გონიერებითა და საზრიანობით. მკვლევარი ვეღარ მალავს საკუთარ სიძმათიებს სახელოვანი გმირისა და საერთოდ თუშების შესახებ, იმ საზოგადოების თაობაზე, სადაც აღიზარდა შეთე და ვისთანაც ერთად ახდენდა სასწაულებს და შენიშნავს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათს ისტორიას. იგი წერს: „ჩვენ გაგვისენეთ ამ მოხუცის (შეთე გულუხაიძის, ვ.ე.) ცხოვრება არა იმიტომ, რომ გვინდოდა მისი პიროვნების შარავანდედით შემოსვა, არამედ იმიტომ, რომ შეთვისნაირი მოღვაწეების ცხოვრება, რომელმაც გაგვინას ახდენდნენ მთელი საზოგადოების აზროვნებაზე, ხელმძღვანელობდნენ მას, იმორჩილებდნენ უსიტყვოდ, არ უნდა დარჩეს შეუქმნიველი, რამეთუ ისინი ჰქმნიან მოცემული საზოგადოების ისტორიის მთავარ საშენ მასალებს, ხოლო ისეთი საზოგადოება, როგორიც თუშებისაა, იმსახურებს იმას, რომ ყურადღება მიექცეს მის ისტორიას“.<sup>28</sup>

<sup>25</sup> ნ. ვოლკონსკი, დასახ. შრომა. ტ. II.. გვ. 240.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 243.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 243.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 250, ხაზი ჩვენი, ვ.ე.

რუსთა და ქართველთა გაერთიანებულმა ძალებმა აიღეს აულები: საპიზო, ხოიტლო და ჯერი მიდგა აულ კემეშზე, რომელიც თავისი ბუნებრივი სიმაგრეების წყალობით ერთ-ერთ გამაგრებულ ციხე-სიმაგრედ ითვლებოდა. აულ კემეშს ცეცხლი დაუშინა №1 სამთო ბატარეამ, ხოლო იერიშზე კი კვლავ პირველი თუშთა ასეული გადავიდა, მათ სხვებიც მიყვნენ, მაგრამ აული ვერ აიღეს, რადგან ერთი სახლიდან არ წყდებოდა სროლა, საჭირო იყო ამ საცეცხლე წერტილის ჩაქრობა, მაშინ „შეთემ დაუძახა შვილს და ელაპარაკა ჩუმათ, ანიშნებდა მას იმ კოშკისაკენ. კოშკი არ იყო მაღალი, ყოველ შემთხვევაში სხვებზე დაბალი იყო. ახალგაზრდა გულუხაიძე თქალეზმოჭუტული დააცქერდა მაშის ნაჩვენებ კოშკს, თავი დაუქნია მამას და განზე გადაგა და დაუძახა სამ აშხანაგს“.<sup>29</sup>

შეთე გულუხაიძის ვაჟი-დავითი აღნიშნული ოპერაციის შესრულებას შეეწირა. ქოხიდან ნასროლი ორი ტყვიით იქნა განგმირული.<sup>30</sup>

6. ვოლკონსკი არაფერს ამბობს გმირულად გარდაცვლილი დავით გულუხაიძის ღვაწლის დაფასების შესახებ, რაც, რა თქმა უნდა, მთავარსარდლობისაგან აღუნიშნავი არ დარჩებოდა; იგი ერთგან, შრომის შესავალში ამბობს, რომ შეთეს ერთ შვილს გიორგის ოქროს ჯვარი ჰქონდაო, მაგრამ რომელს ეკუთვნოდა ეს ჯილდო არ ჩანს.

რადგან ხუტაზე გარკვევით წერს. რომ მას სოფ. ხუფრაზე შეტყვის დროს გამოჩენილი გმირობისათვის მისცეს გიორგის ჯვარი და ოქრო იქ არ ხსენდება, გამოდის, რომ გიორგის ოქროს ჯვრის კავალური დავითი უნდა ყოფილიყო.<sup>31</sup>

ექსპედიციამ აული კემეში აიღო და ბანაკში დაბრუნდა. მთავარსარდლობამ ექსპედიციის საქმიანობას მაღალი შეფასება მისცა და გადაწყვიტა ახალი შევსებისა და დასვენების მიზნით დროებით შეეჩერებინა საომარი მოქმედება. თუშთა ასეული ამავე მოტივით სახლში გაუშვეს. განახლებული თუშთა ასეული 10 აგვისტოს ბანაკში გამოცხადდა სიბურის მთაზე. ასეულს კვლავ თან ახლდა შეთე გულუხაიძე. რომელიც ერთი წუთითაც არ იმჩნევდა საყვარელი ვაჟების საბუდამოდ დაკარგვას და მათ საპატივსაცემოდ უფრო აღტყინებული იყო ახალ-ახალი შეტაკებისათვის.<sup>32</sup>

თუშთა ასეულის ბანაკში სასწრაფოდ გამოცხადებამ და მათმა დაუოკებელმა საბრძოლო სულისკვეთებამ კვლავ მიიქცია მთავარსარდლობის ყურადღება და დამსახურებული შეფასებაც მიიღო. აღნიშნულის თაობაზე ნ. ვოლკონსკი წერს, რომ „ბარონმა ვრეესკიმ კიდევ ერთხელ მოუხადა იმთ მადლობა სამსახურისათვის მთელი ასეულის აღტაცებული შექანისა და ცაში ატყორცნილი პატარა თუშური ქუდების ფონზე, დასრულები ჯვრებით

<sup>29</sup> ნ. ვოლკონსკი, დასახ. შრომა, ტ. II, გვ. 257.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 259.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 387.

იქვე, 274.

დააჯილდოვა და იმედი გამოთქვა, რომ შემდგომშიც ნახაყდა მთაში ისეთ გმირებს, როგორებიც იყვნენ ისინი მანამდე“.<sup>33</sup>

მთავარსარდლობას შეთე გულუხაიძის სახელოვანი ბრძოლები და დასახული მიზნისადმი დაუოკებელი ლტოლვა, რასაც ძვირფასი ვაჟების – ხუტას და დავითის სიცოცხლაც კი შესწირა, მაღალი ჯილდოთი – ოქროს ჯვრით აღუნიშნავს, რომლის თაობაზეც ნ. ვოლკონსკი მოგვითხრობს: „მოხუცმა შეთემ მოწიწებით მიიღო ოქროს ჯვარი, მიიტანა ოგი ტუჩებთან და სიკედიანად გაიღიმა, მისი ღიმილი, ერთის მხრივ, გამოხატავდა მისი სულის განწყობილებას, მეორეს მხრივ, კი იმას აგრძნობინებდა, რომ მას არ სჭირდებოდა ვისიმეს შესენება და შექცება მომავალ საგმრო საქმეებზე“.<sup>34</sup>

ექსპედიციამ შესვენების შემდგომ პირველი იერიში მიიტანა აულ ბაქოზე. ამ ოპერაციაშიც თუმებმა პირველობა არაეის დაუთმეს, განსაკუთრებით კი შეთემ, რომელიც თავდავიწყებით იბრძოდა და დამხედურთ შიშის ზარს სცემდა. „შეთე გვარწმუნებდა, ჩვენ, – შენიშნავს ნ. ვოლკონსკი, – რომ ამ დღისით ოგი თავს უკეთ გრძნობდა, ვინემ წინა დღეებში; მისი ანატომიური კოლექცია კიდევ მტრის ორი მარჯვენით გაიზარდა“.<sup>35</sup>

ელბაქოსათვის წარმოებული ბრძოლებით განცვიფრებული ნ. ვოლკონსკი წერს: „ეს დღე, რა თქმა უნდა, დიდხანს დარჩება დიდოელების მესიერებაში“.<sup>36</sup>

20-21 აგვისტოს რუსთა და ქართველთა ასეულები დაეუფლნენ აულებს: ზეხილოს და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა მთა ბემოსათვის, სადაც გამაგრებული იყო მოწინააღმდეგეთა ძალები. ამ მთის დაუფლებისათვის ჩატარებულ ბრძოლებში თუმთაგან მთავარსარდლობა განაცვიფრა 17 წლის ლევან ეფიშვილის (ქადაგიძე) გამბედაობამ და შეუდრეკელმა შერკინებამ, რამაც გზა გაუხსნა რუსთა და ქართველთა შენაერთებს და გაუადვილა ხსენებული პოზიციის დაკავება. სახელოვანი ლევან ეფიშვილი (ქადაგიძე) დააჯილდოვეს გიორგის ჯვრით და გზა დაულოცეს მომავალი წარმატებისათვის.<sup>37</sup>

ნ. ვოლკონსკი ვერ მალავს აღფრთოვანებას ლევან ეფიშვილის განსაკვივრებელი გამბედაობის გამო და შენიშნავს, რომ: „სასიამოვნო იქნებოდა ყოველთვის ლეონ ეფიშვილთან შესყედრა და მისი მტკიცე, სასახელო ხელის ჩამორთმევა, რომელმაც ოცი წლის წინ შესძლო, მარწუხივით შემოჭდომოდა მტრის დროშას“.<sup>38</sup>

აღწერს რა ნ. ვოლკონსკი შეთეს, მისი ვაჟების, ლეონ ეფიშვილისა და სხვა თუში ვაჟეკატების საგმრო საქმიანობას აღნიშნავს, რომ „ყინც ნაკლებად

<sup>33</sup> ნ. ვოლკონსკი, დასახ. შრომა, ტ. II, გვ. 275

<sup>34</sup> იქვე.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 281.

<sup>36</sup> იქვე, გვ. 281.

<sup>37</sup> იქვე, გვ. 301.

<sup>38</sup> იქვე.

ოცნობს თუშებს და არ უნახია ისინი ბრძოლებში, მან თუშებზე წარმოდგენა უნდა შეიქმნას ისეთი გმირების მიხედვით, როგორებიცაა შეთე, ხუტე, დავით გულუჩაიძე, ლეონ ეფიშვილი და სხვები“.<sup>39</sup>

ნ. ვოლკონსკისთან საინტერესოდ არის წარმოდგენილი შეთეს აღნაგობა, რომელიც შეიძლება მის ნამდვილ პორტრეტად ჩაითვალოს. „მოსხუცი მამა არც თუ ისე საშინო შესახედავი იყო: მას პქონდა პატარა ტანი, განსაკუთრებით, როდესაც ცხენზე იჯდა, საკმაოდ გატანჯული ჭრილობებისა და წლებისაგან უბრალო გაცვეთილ ჩოხაში გამოწყობილი ტყვიებისა და ხმლის კეპალით დაღარული სახე, რომელზედაც გამოძრწოვდნენ სწრაფი, შოძრავი და თითქმის უკვე უფერული თვალები – აი პორტრეტი ნატურის, რომელსაც წლების მანძილზე შიშის მარწუხებში პყავდა გამოძწყვდეული ლეკის აულები, რომლის სახელითაც მთიელი ქალები ბავშვებს აწინებდნენ“.<sup>40</sup>

ბეშოს მთის ალების შემდგომ იერიში იქნა მიტანილი აულებზე: ხიბიაზე და ვიციაზე; ამ აულების აღებაში თავი ისახელეს შეთე გულუჩაიძემ და ბეთურა ტუგუსეშვილმა. ხსენებულ ბრძოლაში გმირულად დაეცა უშიშარი მეომარი ბეთურა ტუგუსეშვილი, რომლის ოჯახსაც მთავრობისაგან დახმარების სახით გამოეყო 50 მანეთი.<sup>41</sup>

ისტორიკოსი ხსენებული შრომის გარკვეულ ნაწილს უთმობს ამავე ექსპედიციის მონაწილე თუში მეომარი ვაჟაკების ჩამოთვლას. მკვლევარი იქვე შენიშნავს, თუ ვინ დაეცა ბრძოლის ველზე? რა ჯილდო მიეცა თითოეულ მათგანს? ვინ დაიჭრა და მთავრობამ როგორ დააფასა მათი თავდადება და უმწიკვლო სამსახური.<sup>42</sup> ამ მხრივ ნ. ვოლკონსკის ღვაწლი ფასდაუღებელი და განუმეორებელია, რადგან მან შემოგვინახა იმ სახელოვანი თუში ვაჟაკების ვინაობა, რომელთაც ნიკოლოზ ბარათაშვილმა შემდეგი სიტყვებით მიმართა:

„ნაუნჯნი ყმანიც მეფისა. თუშები მოუღალავნი.

სღეენიან მტერთა მძვინვარედ, ვით მგელნი ცხვართა მღალავნი!

თქვენი ჭირიმე თუშებო. ბიჭობა თქვენი ქებულა,

მახვილი თქვენი მარადის დაღისტნელთ ქედზე ლესულა!“<sup>43</sup>

ექსპედიციამ საბრძოლო საქმიანობა 1857 წლის აგვისტოში დაამთავრა და უკან დაბრუნდა. მიუხედავად იმისა, რომ ნ. ვოლკონსკი კვლავ დაწვრილებით მოგვითხრობს, როგორც 1857 წლის შემოდგომის, ისე 1858-1859 წლების მანძილზე გამართულ ბრძოლებში თუშთა მონაწილეობაზე, აღარსად არ

<sup>39</sup> იქვე, გვ. 316. ხაზი ჩვენი. ვ.ე.

<sup>40</sup> იქვე, გვ. 387. ხაზი ჩვენი. ვ.ე.

<sup>41</sup> იქვე, გვ. 326-327.

<sup>42</sup> იქვე, გვ. 326-327.

<sup>43</sup> ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი. თბ., 1954. გვ. 54.

ახსენებს შეთე გულუხაიძეს.<sup>44</sup> ამ სახელოვან პიროვნებას ვეღარ ვხედავთ თუმთა ასეულის შემადგენლობაში, მის თანამებრძოლთა გვერდით. შეთეს პიროვნების თავყანისმცემლის და ყველაზე დიდი შემფასებლის ასეთი დუმილი გვაფიქრებინებს, რომ იგი ან დაღუპულია უკვე 1858-1859 წლებისათვის და ანდა დაავადებულია და ადარ ლებულოს ბრძოლებში მონაწილეობას. ყოველ შემთხვევაში, დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვით, რადგან ჯერჯერობით არავითარი სარწმუნო ცნობა არ გავყავანია.

ვეხებით რა შეთე გულუხაიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკანასკნელ წლებს არ შეიძლება უყურადღებოდ იქნეს დატოვებული ალექსანდრე დიუმას საქვეყნოდ განთქმულ მონოგრაფიაში „კავკასია“ მოთავსებული ერთი ფრიად საინტერესო ტილო. რომელიც ეკუთვნის ჩვენი ერის სასიქადულო მხატვარს ნიკო ფიროსმანიშვილს. ტილოზე წარმოდგენილია ფელდმარშალი ბარიატინსკი და ლეგენდარული შეთე გულუხაიძე. ბარიატინსკი ჭოგრიტ იყურება, ხოლო მის წინ მდგომი შეთე ფელდმარშალს ელაპარაკება და თან მარცხენა ხელის საჩვენებელი თითით რაღაცას მიანიშნებს სწორედ იმ მიმართულებით საითკენაც ბარიატინსკი იყურება. საგულისხმო და დიდად საინტერესოა ისიც, რომ ტილოს ბოლოში აქვს შემდეგი წარწერა: „შეთე გზას უჩვენებს თავად ბარიატინსკის შამილის დასაჭერად“.<sup>45</sup>

შესაძლებელია, ტილო მხატვრის ფანტაზიითაა შექმნილი, ხოლო არც ისაა გამორიცხული, რომ ეს ყოველივე სინამდვილიდან იყოს აღებული, რადგან ლუნიბის ოპერაციას ნამდვილად ფელდმარშალი ბარიატინსკი ხელმძღვანელობდა.

6. ვოლკონსკის მიხედვით, შეთე გულუხაიძე სოფ. შენაქოდან ყოფილა,<sup>46</sup> 6. ვოლკონსკის ეს ცნობა დაზუსტებას საჭიროებს.

შეთე გულუხაიძე იყო სოფ. ქუმელაურთიდან და არა შენაქოდან.

1831 წელს თუშეთის კამერალური აღწერის მიხედვით, შეთე გულუხაიძე სოფ. ქუმელაურთის მცხოვრებია. ამ დროს სოფ. ქუმელაურთაში უცხოვრია 16 კომლი, მათ შორის შეთე გულუხაიძეს. შეთე გულუხაიძეს ცოლს მერცხალა რქმევია: მაშინ შეთეს ერთი ვაჟი ჰყოლია მხოლოდ, რომელსაც დავითი ჰქვია. ამავე კამერალური აღწერით აღინიშნება, რომ სოფ. ქუმელაურთის ხევისბერი ყოფილა ვინმე ბ. გულუხაიძე.<sup>47</sup> შეთე გულუხაიძეს შთამომავლობაც, რომელნიც დღესაც სახელოვანი წინაპრის გვარს ატარებენ, სოფ. ქუმელაურთიდან არიან. იმავე კამერალური აღწერის მიხედვით, სოფ. შენაქოში ცხოვრობს 41 კომლი, მაგრამ გულუხაიძის გვარისა იქ არაეინ არ გვხვდება.<sup>48</sup>

<sup>44</sup> 6. ვოლკონსკი, დასახ. შრომა, ტ II. გვ. 327-386, მისივე აღმოსავლეთ კავკასიის საბოლოო დაპყრობა, 1879, გვ. 299-347, რუსულ ენაზე.

<sup>45</sup> ალექსანდრე დიუმა, კავკასია, თბ., 1988, რუსულ ენაზე.

<sup>46</sup> 6. ვოლკონსკი, ისტორია ქართველთა ქვეითის დრუჟინისა, ი. მანაბლის რედაქციით, 1884, გვ. 70.

<sup>47</sup> საქ. სსრ ცსსა, ფ. 254, ან წ. 2., საქ. 399, ფურც. 184, 187.

<sup>48</sup> საქ. სსრ ცსსა, ფ. 254, ან წ. 2., საქ. 399, ფურც. 204-205.



1843 წლის კამერალური აღწერითაც შეთე სოფ. ქუმელაურთის მკვიდრია. ამ დროს შეთე არის 40 წლისა და ჰყავს სამი ვაჟი: დავითი (13 წ.), ხუტა (9 წ.), ქავთარი (5 წ.).<sup>49</sup>

ლეგენდად ქცეული შეთეს შესახებ მისი თანამედროვე ქართველი და უცხოელი მწერლებისა და ისტორიკოს-ეთნოგრაფების ნაწერებში შემონახული მრავალი საინტერესო ეპიზოდი, რომელთაც მკითხველი განცვიფრებაში მოყავთ. ამ მხრივ საინტერესოა რაფიელ ერისთავის მიერ აღწერილი ერთი ამბავი.

იგი წერს, რომ შეთე გულუხაიძე 1852 წელს დიდობის წინააღმდეგ მოწყობილ ექსპედიციაში წასულა თავისი ორი ვაჟით, როცა უმცროსი შვილი 16 წელზე ზევით არ იქნებოდაო. ეს წლოვანება ემთხვევა საარქივო მონაცემებით ხუტას ასაკს, იგი 1852 წლისათვის ნამდვილად 16-17 წლისა იქნებოდა.<sup>50</sup>

ცხარე და მძიმე ბრძოლების გამარჯვებით დამთავრების შემდგომ მამასთან მისულა უფროსი შვილი და მიულოცია გამარჯვება. მას როგორც წესი, გამარჯვებისა და კაცობის ნიშნად თან ჰქონდა მისგან მოკლულის მარჯვენა ხელის მტევანი, რამაც შეთე დიდად გაახარა თურმე. უფროსი შვილისაგან ნასიამოვნებ შეთეს უმცროსისათვის შეუხედია და მიუმართავს: „შენ რა გააკეთე?, შეიღოს მაშისათვის უბასუხა: „ მე ბედი არ მწყალობდა საქმეში, მამაჲ ჩემო“. ამ სიტყვების მომსმენი მამა განრისხებული ხმით მიმართავს შვილს: „როგორ?!... შენისებური ხმით დაიქუხა შეთემ. დაშეკარგე, აღარ დაგინახო!.. წადი, ან მთქვიდი, ან დიდებით მოდი“.<sup>51</sup>

შვილი უსიტყვოდ ემორჩილება მამის ბრძანებას და ხელში თოფით გაუჩინარდა იმ მიმართულებით, საითაც მოწინააღმდეგენი ეგულებოდნენ.

იქ მყოფნი გაოცებულნი დარჩენილან და არავის ჰქონია იმედი, რომ ცოცხალი დაბრუნდებოდა. შეთეს თანამებრძოლნი ჯერ კიდევ საგონებელში იყვნენ, რომ პატარა ვაჟკაცი ადგილზე გაჩნდა. აი. რას სწერს აღნიშნულის შესახებ რ. ერისთავი: „მთელი რაზმი გაოცდა ამ ბიჭის უშიშრობით. მას უკვე დაღუპულად თვლიდნენ, მაგრამ დაბრუნდა. მართალია მტრის ხელი ვერ მოიტანა, მაგრამ სამაგოყროდ თითონ ჰქონდა ხელი შეხვეული“.

შვილის ასეთი მოქმედებით გახარებული შეთე ლოცავს თავის ვაჟაკს. ეს ვითარება ასე აქვს წარმოდგენილი რ. ერისთავს: „აი, ახლა ვხედავ, რომ შენ შვილი ხარ ჩემი! – ჩაილიპარაკა შეთემ და გადაპოცნა ბიჭი“.<sup>52</sup>

შეთე გულუხაიძის გმირობისა და ვაჟკაცობის ერთი საინტერესო ეპიზოდი აღწერილი აქვს ცნობილ ფრანგ მწერალს ალ. დიუმასაც. იგი აღნიშნავს, რომ 1852 წელს შეთე გულუხაიძეს სამი ვაჟიშვილით მონაწილეობა მიუღია

<sup>49</sup> საქ. სსრ ცსსა, ფ. 254, ან წ. 2, საქ. 399. ფურც. 208.

<sup>50</sup> იქვე.

<sup>51</sup> რ. ერისთავი, დასახ. შრომა.

<sup>52</sup> იქვე.

დიდოღეკების დასასჯელად გაგზავნილ ექსპედიციაში. ლეკებთან გამართულ ბრძოლებში შეეთეს „უფროსი ვაჟი დაუჭრეს. მამას ქლიერ უყვარდა უფროსი ვაჟი და გული ქონდა გაზზარული დარდისაგან, მაგრამ სისუსტის გამოინა თაყის ღირსების დამცირებად ჩასთვალა. მამას შეთი ერქვა... შეთს დაანახეს სახლი, სადაც დაჭრილი ყმაწვილი იწვა. ის შვილთან მივიდა. მძიმე ტკივილებით შეწუხებული ყმაწვილი საშინლად კვნესოდა. შეთი შვილს მიუახლოვდა, თოფს დაეყრდნო და შუბლშეკრულმა ჰკითხა:

- ვაჟკაცი გამინინა თუ დედაკაცი?
- ვაჟკაცი, მამანიქო, - მიუგო შვილმა.
- თუ ვაჟკაცი ხარ მაშ რა გაკვნესებს?

დაჭრილი დადუმდა და ისე განუტყევა სული, რომ ხმა აღარ ამოუღია. მამამ ცნედარს ტანისამოსი გახადა და მაგიდაზე დააწყო. შემდეგ თაყისი ხანჯლით კედელზე ოცდაჩუთმეტი ნაჭდეკი გააკეთა, ხოლო ამის მერე შვილის გვაში სამოცდაჩუთმეტი ნაჭრად დააქუცმაცა. ესე იგი იმდენ ნაჭრად, რამდენი იარაღის მატარებელი ნათესავი და მეგობარიც ჰყავდა.

- რას სწადინარ? ჰკითხა პოლკოვნიკმა, როცა ეს სწარეული საქმიანობა დაინახა.

- ჩემი შვილის სისხლის ალება მინდა, - წარმოთქვა მან, - ერთ თვეში იმდენ ხელს შეკავროყებ, რამდენი ნაჭერიც აქ არის.

მართლაც, ერთი თვის დამლევს შეთემ თაყისი ნათესავ-შეგობრებისაგან სამოცდათხუთმეტი ხელი მიიღო. თვითონაც თხუთმეტი დაუმატა. და ამრიგად ლეკთა ოთხმოცდაათი ხელი შეავროცა. ასწილ აიღო შეთმა თაყისი შვილის სისხლი“.<sup>53</sup>

აქ ბევრი რამ გაზვიადებული ჩანს. მსგავს არაფერს წერს ნ. ვოლკონსკი, რომელიც შეთეს უფროსი შვილის სიკვდილის თვითმხილველი იყო. იგი მიუთითებს, რომ დავითი 1857 წელს გარდაიცვალა<sup>54</sup> და არა 1852 წელს.

შეთეს მიერ შვილის დაჭრის ამბავს ეხება გ. ლეინიევიც. იგი წერს; ჯლაპარაკობენ, რომ ვარიბალდიც ასევე მოპქცევიბა პირველ ცოლს, რომელიც ლაშქრობის დროს მოუკლავთ“.<sup>55</sup>

შეთეს თანამედროვენი იმასაც აღნიშნავენ, რომ „...შეთი ლეკების ჯადოქარია, როცა დედეებს ბავშვების დაოკება უნდათ, ეუბნებთან: დაჩუქდით თორემ შეთეს დაფუძახებთო, შეშინებული ბავშვებიც ჩუქდებთან“.<sup>56</sup>

<sup>53</sup> ალ. დიუმა, კავკასია, თარგმანი ფრანგულიდან თ. ქიქოძისა, შესავალი ნაწილი, რედაქცია და შენიშვნები აკ. გაწერელიასი, 1964, გვ. 261-263; ს. მაკალათია, თუშეთი, 1933, გვ. 42-43.)

<sup>54</sup> ნ. ვოლკონსკი, დასახელებული შრომა, ტ. I, გვ. 259.

<sup>55</sup> გ. ლეინიევი, ამიერკავკასიაში მძარცველობის წარმოშობის შესახებ, იხ. „იურიდიული მიმოხილვა“ №163, 1884, გვ. 36, რუსულ ენაზე.

<sup>56</sup> ალ. დიუმა, დასახ. შრომა, გვ. 463.

შეთე გულუხაიძისათვის აღნიშნული თვისების მიწერა არ უნდა იყოს უსაფუძვლო, რადგან იგი სრულიად მოულოდნელად ბევრჯერ დასცემია ლექთა ამა თუ იმ აულს და ბავშვი გაუტაცია და გაუჩინარებულა. „ერთხელ, გადმოგვეცემს ნ. ვოლკონსკი, - რაღაც ქურდობის თუ წყენის გამო, შეთე შეიპარა ლეკების უახლოეს აულში, რომლის მდებარეობაც მან კარგად იცოდა, ისარგებლა რა სიბნელით, დაიბალა, დაამეს დაელოდა, დაინახა, რა რომ ლეკის ოჯახი საკაბჭოთ დაჯდა, შეთე გამოვიდა საძალაყიდან, ავიდა სახლის სახურავზე და საკაბჭურიდან თავს დაატყდა მტერს. სანამ ოჯახის წევრები გონს მოეგებოდნენ, დაუპატიებელმა სტუმარმა კბილებში ხანჯლით და პისტოლეტით ხელში დედას მკერდიდან შვილი გამოსტაცა და გაუჩინარდა. იმ ადგილების კარგად ცოდნის და ბნელი ღამის წყალობით შეთემ დატოვა აული ყოველგვარი თავგადასავლების გარეშე და მანამდე სანამ გაოგნებულმა ლეკებმა ცხენები შეკაზმეს, გაშტაცებული, თითქოს „ტყის მუყე“ ცხენს მიაჭენებდა მთის ბილიკებზე, სხვა არა დარწმუნოდა რა ლეკის იმის მქეტი, რომ მშვიდობიანი გზით გამოესყიდა თავისი მუშაკადრე“.<sup>57</sup>

შეთესთვის მიწერილი ეს თვისება, ვფიქრობთ, არ არის გაზვიადებული და სინამდვილიდან უნდა მომდინარეობდეს, რადგან შეთე, როგორც თანამედროვენი წერენ, მხოლოდ ექსპედიციებში კი არ ღებულობდა მონაწილეობას, არამედ ხშირად მარტო, ანდა რამდენიმე ამხანაგის თანხლებით დაიკარგებოდა ხოლმე და მოულოდნელად, ღამით დაეცემოდა რომელიმე ოჯახს და თან მოკვნიდა მოკლულთაგან მოჭრილი მარჯვენა ხელის მტევანი.<sup>58</sup>

აღრინდელ თუშეთში ვაჟი ვერ დაქორწინდებოდა, თუ მას მტერი არ ეყოლებოდა მოკლული და მისი მარჯვენა ხელის მტევანი სოფელში არ ექნებოდა მიტანილი.<sup>59</sup> სახელოვანი შეთე ამ საქმეში მრავალ ახალგაზრდას დახმარებია და გასაჭირიდან უხსნია. გამოცდილი მეომარი ვაჟებს იარაღის ხმარებასა და მოპირდაპირის დამარცხების ხერხებს ასწავლიდა. მას ბევრჯერ წაუყვანია საომრად ახალგაზრდები, რომელთაც პირადი მაგალითის ჩვენებით გაძბდაობას და გმირობა-ვაჟაკობისადმი დაუოკებელ ლტოლვას აღუძრავდა. იგი იმ ძნელბედობის ჟამს თუშეთის ახალგაზრდობის დიდი მასწავლებელი და შეუდარებელი მაგალითი იყო. ეწ ბელადების მიერ ბრძოლაში გაუჩვეველი ვაჟების წაყვანა სამეკობრედ თუშებში საპატიო საქმედ ითვლებოდა. ეს ვითარება კარგად აქვს აღწერილი რ. ერისთავს.<sup>60</sup>

<sup>57</sup> ნ. ვოლკონსკი, ტ. I, გვ. 89.

<sup>58</sup> ნ. ვოლკონსკი, დასახ. შრომა, ტ. II, გვ. 388-389

<sup>59</sup> იქვე, გვ. 388; ალ. დიუმა, კავკასია, 1964, გვ. 262-264-გვ. 144, რუსულ ენაზე.

<sup>60</sup> რ. ერისთავი, თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის შესახებ, ირგო, წიგნი III 1855, გვ. 144, რუსულ ენაზე.

იმის გამო, რომ შეთე გულუხაიძემ მთელი ენერგია, ჯანმრთელობა, სიცოცხლე და საბივე ვაჟიშვილი — დავითი, ხუტე, ქაეთარე ლეკი მძარცველების წინაარმდეგ ბრძოლებს შეაღია და მას კარგად ესმოდა ისიც თუ ე.წ. „ლეკიანობა“ რა უბედურება მოუტანა მის სამშობლოს და კერძოდ თუშეთს, მას შინაგანად სძულდა მთელი დაღესტნის მოსახლეობა და სიღაც კი ლეკს თუ ლეკებს წამოატანდა ყველაფერს აკეთებდა მათი მოსპობისათვის. ეს ყოველივე კარგად ჩანს შეთეს საბრძოლო ისტორიიდან ქვემოთ მოტანილი ერთი ფრიად საინტერესო ეპიზოდიდან, რაც ცნობილ მკვლევარს, ეთნოგრაფსა და ისტორიკოს გიორგი ბოჭორიძეს ეკუთვნის. „როდესაც პირველად საქართველოში რუსის ჯარი გადმოვიდა, — შენიშნავს მკვლევარი, — ამათ განიზრახეს კაბლისა და ახალსოფლის შიდაშობებში ტყეების გაჩეხა, რადგანაც ეს ტყეები დაღისტნელ ბრბოებსა და ყანალებსათვის თავშესაფარი სიმაგრე იყო. ამის გამო ჯარის უფროსმა ვასილ პოსუხოვმა გაისცა განკარგულება და მოითხოვა მუშა და დაუწყეს ტყეებს ჩეხვა. შეთე ზვიადის ძე გულუხაიძის მეთაურობით 197 კაცმა თუშებმაც მოიყარეს თავი. დაიწყეს მუშაობა და ტყის მოჭრა, დღიური მუშა ღირდა 60კ. აქ მუშაობაში დაღისტნელი ლეკებიც ლებულობდნენ მონაწილეობას 200 კაცი. ეს ლეკები შეთეს და მის ამხანაგ თუშებს ძალიან ეჯავრებოდა, რადგანაც ძალიან დიდი შურისძიება ჰქონდა. ერთ დროს შეთემ ლეკებს დრო უპოვნა და 13 კაცი ალაზნის პირზედ თუშებს ამოახოცინა და ალაზნაში გადაყარეს. ამაზე ატყდა აურზაური და ლეკებმა თუშებზე მიიტანეს ეჭვი და ბრალდება. მუშა ლეკების მეთაური იყო შაქრიანაში მცხოვრები გიორგი კიკნაძე. ამან დაიწყო დახოცილი ლეკების კვლევა-ძიება. ერთ დროს შივიდა შეთესთან და უთხრა: — შეთევე, მე რამდენიმე კაცი უნდა დავაჭერინო თუშები. ის კაცები თქვენი დახოცილია, თქვენ გარდა მე გზა არსაით მიმიდის. მე ეს ამბავი დაღესტნის ნაწილნიესაც ვაცნობე და ამ სამ დღეში მოვა და ლეკის თურახები დაგიჭერენთ ნაწილნიე გიორგი ჯორჯაძის მეთაურობით. შეთეს პასუხი: — ერთ კაცსაც არ დავაჭერინებ, ერთსა. ლეკები სულ მაგრე უკვალოდ იხოცებიან. მაგ ათიოდე კაცის დახოცივით განა დაღესტანში კაცი აღარ დარჩა? თითონაც არ აწმინდებენ წყალს და ანია მაგათთვის, შენც იმათთან ვასაყოლებელი ხარ, რომ ქართველი კაცი ლეკებს ემხრობი. გიორგი კიკნაძე: — დაჭერა არ ატყდებათ შეთევე, არა. ეს რა ჩასადენელია. სულ თქვენი ეშმაკობა და თქვენი საქმეა. შეთე გულუხაიძე: აქედან გამეტალე და მშვიდობიანათ გაბრუნდი, თორემ მე კარგად ვიცი შენ რაც მოგელის. შენ თუ ჭკვიანად არ იქნები, ეს კარგად იცოდე, რომ თუშების ხმაღს ვერ გადაურჩები, ვერა. კიკნაძე: — შეთევე, რასა ბრძანებთ, კაცო, ლეკებიც თქვენ დახოცეთ და ჩვენც გვეშუქრებით, ეს არ შეიძლება. შეთე გულუხაიძე — ლეკებიც ჩვენ

დავსოცეთ და ვაჟკაცებიც ჩვენა ვართ. ეს შენა და თქვენი ნაწილნიკი  
ჯორჯაძე წადით და გვიჩვილეთ, ქალაქის გაღაგა ისევე ცოცხალია. ეს  
ნუ გიკვირს, კიანაძე, ნუ, ჯერ ოთხი კაცის სისხლი კიდენ მართებს  
ლექებს, იმასაც მალე ვაზღვევინებთ, კიანაძე, შენ ლექებს გამოუცხადე,  
აქედან დაიღუპნენ თავისი ჭოლოკნით, თორემ ხანმატის ჯვრის  
გამარჯვებამ, მაგათ კიდენ დააკლდება ორმოცი კაცი. საჩივარი და  
სატირალი მამინ გექნება შენ, ენლა კი - არაფერი”.<sup>61</sup>

განსაკუთრებულად საბრძოლო თვისებებით დაჯილდოებული შეთე  
გულუხაძეს განცვიფრებაში მოჰყავდა ყველა, ამიტომ მისი სახელი გასცდა  
მშობლიური კუთხის - თუშეთის საზღვრებს და კავკასიის მასშტაბით  
ყველასათვის ცნობილი გახდა, როგორც ლეგენდარული გმირი და თავისი  
ღრრისათვის შეუდარებელი მებარი. შეთეს პიროვნების ზედმიწევნით მცოდნე  
და მისი ბრძოლების თვითმხილველი ნ. ვოლკონსკი წერდა: „თუმცა შეთეს  
შესახებ თავის დროზე გგჩვენებოდა პატარ-პატარა საფაფითო შენიშვნები  
და არა მარტო კავკასიის ლიტერატურულ გადმოცემებში, აგრეთვე  
რუსულშიც, ერთხელ „ილუსტრაციაში“ მითაქსებული იყო საკმაოდ  
მისი მსგავსი პორტრეტი - ეს ნამდვილად უკვდავი სახელი კავკასიის  
გმირებს შორის იმსახურებს იმას, რომ ყოველთვის, როდესაც მოვიხსენიებთ  
მას, შექსერდეთ ამ თუში მებრძოლის პიროვნებაზე“.<sup>62</sup> შეთე გულუხაძე  
იმდენად დიდი და საყოველთაოდ აღიარებული პიროვნება ყოფილა, რომ  
მისი სურათი სამუშაო კაბინეტში ჰქონია საპატიო ადგილზე მოთავსებული  
მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის (1845-1854 წწ.), და იმავე დროს მისი  
სურათი ამშვენებდა თბილისის სასტუმროებსაც, აღნიშნულის შესახებ გ.  
ლვინიევი წერს: „...შეთეს სურათი ამშვენებდა არა მარტო კავკასიის  
მეფისნაცვლის ვორონცოვის კაბინეტს, არამედ თბილისის სასტუმროებსაც“.<sup>63</sup>

<sup>61</sup> გიორგი ბოჭორიძე, თუშეთი, 1993, გვ. 334-335, ხაზი ჩვენია, ვ.ე.

<sup>62</sup> ნ. ვოლკონსკი, დასახ. შრომა, ტ. II, გვ. 387, ხაზი ჩვენია, ვ.ე.

<sup>63</sup> გ. ლვინიევი, დასახელებული შრომა, ხაზი ჩვენია, ვ.ე.

წინამდებარე მონოგრაფიაში ჩვენს უმთავრეს მიზანს შეადგენდა კახეთის ისტორიიდან ძირითადად შევხუბოდით ისეთ საკვანძო-პრობლემურ საკითხებს, რომლებიც დიდი ხანია საჭიროებდნენ სათანადო ყურადღებას, დახვეწას და განთავისუფლებას-დასუფთავებას მაკანთა და მაკანთა მიერ სხვადასხვა დროს დაუშასხურებლად მიყენებულ-მიტმასნებული ბრალდებებისაგან. გამოკვლევაში განხილულ იქნა ისეთი პრობლემური საკითხებიც, რომლებიც დღემდის არავის გაუხდია მსჯელობის საგნად. რაც, ჩვენის აზრით. სამართლიანად, სერიოზულ დანაშაულადაც კი ითვლებოდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კახეთის ისტორიის შესწავლის ჩვენეულმა კვლევა-ძიებამ, უდავოდ, საკადრისი სახლე უნდა შესძინოს კახეთის ისტორიას და მის გამრჯე და ნიჭიერ ხალხს.

წიგნი-გამოკვლევა დაწერილია მართლის თქმის პოზიციიდან და ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით. ავტორი მოურიდებელი და პირდაპირი იყო ყოველი საკითხისა თუ პრობლემის შესწავლისა და განხილვის დროს, რამაც გამოიწვია, ანდა საქმემ მოითხოვა, ამა თუ იმ ღირებულების მეცნიერ-მკვლევართა დამსახურებული კრიტიკა. სამაგიეროდ, კახეთის ისტორიის ბევრი საკითხი გასუფთავდა დემაგოგ-მკვლევართა მიერ მიტმასნებული სიბინძურისაგან. სხვაგვარად ჭეშმარიტი ისტორია არ იწერება. ისტორიკოსი ვალდებულია იყოს ობიექტური და სამართლიანი, მას ფაქტებისა და მოვლენების დამახინჯების უფლება არა აქვს. ასეთი მკაცრი მოთხოვნილება ისტორიკოსის მიმართ იმთავითვე გაჩნდა, როცა ისტორია, როგორც მეცნიერება ცალკე დარგად ჩამოყალიბდა. ისტორიკოსის პროფესიული უფლება-მოვალეობა შესანიშნავად განსაზღვრა II საუკუნის ცნობილმა ბერძენმა მწერალმა, სატირიკოსმა და აღიარებულმა მოაზროვნე ლუკიანე სამოსატელმა (დაახ.120-190წწ.) ცნობილ ტრაქტატში - „როგორ უნდა იწერებოდეს ისტორია“. მოუსმინოთ ბრძენ ლუკიანეს, რომელიც შემდეგნაირად მოძღვრავს ისტორიკოსს: „მამ, დაე, იყოს ისტორიკოსი უშიშარი, უანგარო, დამოუკიდებელი, თავისუფალი სიტყვისა და ჭეშმარიტების მეგობარი. უწოდოს ვარსკვლავს ვარსკვლავი, ხოლო ვარცლს - ვარცლი. არ იხელმძღვანელოს ამბების გადმოცემისას ვისიმესადმი მეგობრობით, ან მტრობით... იყოს მართალი მსაჯული, რომ არავის არაფერი მიაწეროს, რაც არ ეკუთვნის და კეთილგანწყობილი ყველასადმი იმდენად, რომ არც არავის არაფერი დააკლოს“. მრავალი რჩევა-დარიგება აქვთ დანატოვარი ჩვენს მემატთანებსაც თუ რა ევალება ისტორიკოსს. XIV საუკუნის უცნობი ქართველი ჟამთააღმწერელ-მემატთანე გვმოძღვრავს და გვავალდებულებს, რომ „ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტების მეტყუელება არს და არა თვალახმა ვისიმე“-ო. თუ მე, როგორც ისტორიკოსმა, როგორ გეგართვი თავი წინაპარ-მემატთანეთა რჩევა-დარიგებას ამ მონოგრაფიაში და საერთოდ ჩემს გამოკვლევებში, მათი განსჯა და შეფასება მკითხველისთვის მიგვინდვია.

საჭიროდ მიგვაჩნია დასკვნაში ისიც აღვნიშნოთ, რომ კახეთის ვეებერთელა ისტორიის ყველა საკვანძო-პრობლემური საკითხების განხილვა ერთ რომელიმე წიგნში შეუძლებელი იყო, რის გამოც, მეც წინამდებარე მონოგრაფიაში გარკვეული საუკუნეებით შემოვიფარგლე. კახეთის ისტორიის სამომავლო კვლევა-ძიება უნდა გაგრძელდეს XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან. ეს არის დრო და მიჯნა, როდესაც მეფის რუსეთმა დაამთავრა კავკასიის სრული დაპყრობა და მის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული კავკასიელთა სამინაო და საგარეო პოლიტიკა.

მეფის რუსეთისა და საბჭოთა კავშირის თითქმის ორასწლოვანმა ბატონობა-მბრძანებლობამ მრავალი უბედურება და დიდი ჭირვარამი გამოავლევინა კავკასიის ხალხებს. მოცემული საუკუნეების ისტორია აღსავსეა ერთიმეორეზე ურთულესი პრობლემებითა და საკვანძო საკითხებით. მათი ჩამოთვლა და დასახლება მომავლის საქმა, როცა ისტორიკოსები შეუდგებიან კახეთის ისტორიის შესწავლას 1864 წლიდან 1991 წლამდე. ამჯერად ჩვენ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ეს არის პერიოდი, რომლის ისტორიაც აღსავსეა სისხლითა და ცრემლით, როცა კავკასიელთა გაციბობრება, მასობრივი დაპატიმრებები, მძვინვარე ტერორიზმი, მილიონობით უდანაშაულო ადამიანებს იწირავდა.

ამჟამად, ჩვენთვის, ქართველებისთვის, ერთ-ერთ ურთულეს პრობლემად რჩება თავისუფალი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის უღელდადგმული ჩრდილოკავკასიელი ხალხების დღევანდელი და სამომავლო ურთიერთობის დარეგულირება, ხალხთა შეგობრობის ცივილურ ჩარჩოებში ჩამოყალიბება. ჩვენთვის ამ პრობლემის გადაწყვეტა არ არის რთული და მოუგვარებადი, რადგან ქართველებსა და იმიერკავკასიელებს: ლეკებს, დიდოებს, ქისტებს, ინგუშებს, ჩეჩნებს, ოსებს, ადიღელებს საუკუნეების მანძილზე გვქონდა ერთიანი სარწმუნოება – მართლმადიდებელი ქრისტიანობა, ქართული ენა, ქართული კულტურა, ქართული დამწერლობა მათთვის, იმიერკავკასიელებისათვის, ზოგად კავკასიურ შინაარსს ატარებდა. ამ ტრადიციის აღდგენა დღეს ჩვენ, ქართველებს, და იმიერკავკასიელებს, ადვილად შეგვიძლია ბრწყინვალედ მოვაგვაროთ, რომ არა ჭირვეული და კვლავ და კვლავ იმპერიული სულისკვეთებით გაუღენთილი რუსეთის ფედერაცია, როგორც პატარა იმპერია, საბჭოთა კავშირთან შედარებით. თუ რუსეთის ფედერაცია რა საშიში ძალაა და როგორ ცდილობს, რომ ხელი შეუშალოს საქართველოს დამოუკიდებლობას და დემოკრატიულ აღმშენებლობას, კარგად ვლინდება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მაგალითებზე; წლების მანძილზე, ჩეჩნეთში ჩეჩნთა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლების ჩახშობის ენით აუწერელი რუსული ავირაზსნილობა, მიგვითითებს იმაზე, თუ ფედერაციული რუსეთის სახით ჩვენ, ქართველებს და სრულიად საქართველოს, ვისთან და რასთან გვაქვს საქმე.

ფედერალური რუსეთის მიერ კვლავ ხალხთა დამპყრობლური პოლიტიკის გაჩაღებისა და მისი დაუოკებელი ლტოლვა, რომ ისევ აღდგეს საბჭოთა კავშირის დროინდელ ზესახელმწიფოს უფლებებში, ანგარიშგასაწევი საშრობაა და საკმაოდ ძნელად მოსათვინიერებელი იმპერია მაგრამ დღევანდელი მსოფლიოს განვითარების დონე, რაც უმთავრესად ყველა საშუალებათა გამოყენების გზით იბრძვის ხალხთა შორის მშვიდობიანი მეგობრობისა, ხალხების დემოკრატიზაციისა და ადამიანთა თავისუფლების დაცვისა და შეუზღუდელობის მყარი გარანტიის შექმნისათვის, იძლევა იმის დიდ იმედებს, რომ თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიზაციის გზაზე დამდგარ საქართველოს ვერავითარი ძალა ვეღარ შეაჩერებს და მის მიერ დაწყებული ბრძოლა „მშვიდობიანი კავკასიისათვის“, კავკასიაში „კულტურათა დიალოგისათვის“ დღითიდღე ვითარდება და ძლიერდება, რაც, ამჟამად, იმით დასტურდება, რომ უკვე დიდი ხანია თბილისში ეწყობა ფართო საერთაშორისო კონფერენციები, რომლებიც კავკასიაში „კულტურათა დიალოგის“ პრობლემებს ეძღვნება. უკვე დამთავრების სტადიაზე იმყოფება და მალე გამოქვეყნდება კავკასიის ხალხთა ერთიანობისა და მშვიდობიანი თანამეგობრობის საინტერესო წიგნი – „კავკასიის დიდი ენციკლოპედია“. ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტმა აღნიშნული ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგიასთან თანამშრომლობით ითავა შეიმუშაოს სახელმწიფო პროგრამა „საქართველო – მშვიდობიანი კავკასიისათვის“ და, არსებული წესით, უახლოეს პერიოდში წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს განსახილველად. „ეს ყოველივე და სხვა ღონისძიებები, რომლებიც „მშვიდობიანი კავკასიის“ აღმშენებლობას ითვალისწინებენ არის გარანტი იმისა, რომ კავკასიის ხალხები ბოლოსდაბოლოს გადალახავენ გარეშე ძალების მიერ თავზე მოხვეულ ყველა წინააღმდეგობას, დაუბრუნდებიან წინაპართა მიერ ნაანდერძებ თეორიას, რომლის მიხედვითაც კავკასიის ხალხები ერთი მამიდან და საერთო ფუძე-ოჯახიდან მომდინარეობენ და თანდათან გაიცნობიერებენ და დარწმუნდებიან, რომ მათ ერთიმეორეში მტრობა, ქიშობა და შუღლი კი არ უნდა ჰქონდეთ, არამედ ერთ მუშტად უნდა შეიკრან და წინაპართა მსგავსად იბრძოლონ დედა-სამშობლო კავკასიის ერთიანობის, დამოუკიდებლობის, აყვავება-განმტკიცებისა და მისი შეუვალობა-დაუმორჩილებლობისათვის“.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ვ. ელანიძე, „ვინამ თქვა ოუშთა დალევა?!“. 2001, გვ. 426.



# მაკრინან აბრაჰის ძე მლანიძე კახეთის ისტორიის პრობლემური საკითხები

## რეზიუმე

წინამდებარე მონოგრაფია \_ "კახეთის ისტორიის ჰიბრიდული საკითხები" შედგება ხუთი თავისა, შესავლისა და დასკვნისაგან.

მონოგრაფიას პირველი თავი — „კახეთის ისტორიის ზოგიერთ საკვანძო პრობლემურ საკითხთა გაგებისათვის“ მოიცავს ცხრა პარაგრაფს, ესენია: 1. თელავის ქალაქად წარმოქმნის ისტორიისათვის; 2. კახეთის ბაგრატიონთა ლეგიტიმურობისათვის; 3. მეფე ერეკლე II-ის სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობის ირგვლივ ბოლოხანს გამოთქმულ ზოგიერთ გაყალბებათა გაგებისათვის; 4. ომებში დაბერებული მეფე; 5. „გლოვა მეფე ირაკლი მეორისა“; 6. კახეთის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრის საკითხისათვის; 7. წანარების ვინაობა-განსახლებისა და კახეთის ისტორიაში მათი როლის საკითხისათვის; 8. ერეკლე პირველის პიროვნების გაგებისათვის; 9. აღმოსავლეთ კახეთის (ამჟამინდელი კახის, ბელაქანის და ზაქათალის რაიონების) დედა-სამშობლოდან ჩამოცილება-დაკარგვის მიზეზთა ისტორიისათვის.

პირველი თავის პირველი პარაგრაფი — „თელავის ქალაქად წარმოქმნის ისტორიისათვის“ ავტორის მიერ წლების მანძილზე იქნა შესწავლილი, მის შესახებ სამჯერ გამოაქვეყნა გამოკვლევა-წერილები და ავტორი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თელავი, როგორც დასახლებული პუნქტი, ქალაქად რომ მოიხსენიება ახ.წ. II საუკუნეში, ბერძენ გეოგრაფთან და ასტრონომთან კლავდიოს პტოლემეოსთან, მის „გეოგრაფიის სახელმძღვანელოში“, სინამდვილეა და დავას არ უნდა იწვევდეს. მაგრამ ავტორს დაუშვებლად სჯერა, რომ თელავის ქალაქად წარმოქმნა უნდა მომდინარეობდეს ძვ.წ. IV-III საუკუნეებიდან და არა ახ.წ. II საუკუნიდან.

მეორე პარაგრაფი „კახეთის ბაგრატიონთა ლეგიტიმურობისათვის“ ეფუძნება ყველა სათანადო წერილობით მდიდარ მასალას, კერძოდ, აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ კახეთის ბაგრატიონთა შესახებ სახელმძღვანელო გამოკვლევებს და აღინიშნავს, რომ კახეთის ბაგრატიონები მოდიან გაერთიანებული საქართველოს მეფის გიორგი VIII-დან, რომ მათი შტო არასდროს არ შეწყვეტილა და მან თავისი მოღვაწეობა დაამთავრა გიორგი XII-ით და დავით გიორგის-ძე ბაგრატიონით. ქართლის, იმერეთისა და კახეთის სამეფოთა შორის ყველაზე ლეგიტიმური იყო კახეთის ბაგრატიონთა შტო.

მესამე პარაგრაფი — „მეფე ერეკლე II-ის სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობის ირგვლივ ბოლო ხანს გამოთქმულ ზოგიერთ გაყალბებათა

გაგებისათვის“ იხილავს იმ უსაფუძვლო და მცდარ ბრალდებებს, რაც ვინმე როლანდ ბურკულაძემ იკადრა სახელოვანი მეფე-სარდლის ერეკლე II-ის მისამართით. ხსენებულ პარაგრაფში ფართოდ, ღრმად და საფუძვლიანად არის წარმოდგენილი ერეკლე II-ის სამხედრო პოლიტიკა, ლეგენდად ქცეული მეფე-სარდლის მიერ გადახდილი დიდი მასშტაბის ბრძოლები და მის „შემფასებელს“ გაცემული აქვს მისთვის საკადრისი და მრავალმხრივ არგუმენტირებული პასუხი. ამ უსაფუძვლო კრიტიკის შუქზე ერთხელ კიდევ აღინიშნა სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ერეკლე მეორის სამხედრო ნიჭის უდიდეს შესაძლებლობებზე. ბრწყინვალე დიპლომატის, შორსმჭვრეტელი სახელმწიფო მოღვაწისა და ევროპულ-აზიური მასშტაბის მხედართმთავრის აუგად მოხსენიებისათვის ვაიკრიტიკოსებს გაეცათ საკადრისი პასუხი.

მეთხე პარაგრაფი – „ომებში დაბერებული მეფე“ სპეციალურად დაიწერა და პრესის ფურცლებზე გამოქვეყნდა, რათა ერთხელ კიდევ გვეჩვენებინა გმირთა გმირი ერეკლე II, რომელმაც 54 წელი იმეფა და ალბათ, არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ბაგრატიონთა ათასწლოვან ისტორიაში გაგვიჭირდება დავასახელოთ სხვა რომელიმე მეფე, რომელსაც ისეთ რთულ ეპოქაში ეცხოვრა და ემოღვაწევა, როგორც ერეკლე მეორეს ჰქონდა ურთულესზე ურთულესი და უმძიმესზე უმძიმესი ეპოქა. ქართველთა უსაყვარლესი მეფე-სარდლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მრავალმხრივ წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქა მონოგრაფიაში სამაგალითო ერისკაცის საკადრისად არის წარმოდგენილი.

პარაგრაფი „გლოვა მეფე ირაკლი მეორისა“ დაიწერა სპეციალურად, რათა ფართო მასშტაბით გაშუქებულიყო ქართველი ერის უსაყვარლესი მეფე-სარდლის ევროპულ-აზიური დონის დიპლომატიისა და სახელმწიფო მოღვაწის ორმოცდღიანი გლოვისა და ძვებითი საკათედრო ტაძარში დაკრძალვის რიტუალი. საქართველოს ისტორიოგრაფიამ, სხვადასხვა მიზეზთა და გარემოებათა გამო, ვერ შემოგვინახა სხვა უდიდეს მეფეთა და მრავალგზის აღიარებულ სახელმწიფო მოღვაწე ქართველთაგან გლოვისა და დატირება-დაკრძალვის წეს-ჩვეულება და ტრადიცია, ამიტომ გადაწყდა, რომ საქვეყნოდ ცნობილი მეფე ერეკლე მეორის ქართველთაგან გლოვისა, დატირებისა და დაკრძალვის ეროვნული კულტურა გვეჩვენებინა ფართო მასებისათვის.

პარაგრაფი – „კახეთის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრის საკითხისათვის“, ეძღვნება იმის გამორკვევას, თუ ფარნავაზ მეფიდან მოყოლებული კახეთისა და კუხეთის საერისთავოს, ხოლო VIII საუკუნის მეორე ნახევარში სამთავროდ ჩამოყალიბებული კახეთის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრი სად იყო და რა ეწოდებოდა მას? X-XI საუკუნეების მიჯნაზე კახეთის სამთავროს ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ცენტრს „ბოდოჯის სასახლეს“ ენაცვლება ქ. თელავი და ქ. თელავი გარკვეული ინტერვალებით, აღნიშნულ მისიას ასრულებს XVIII საუკუნის დასასრულამდე.

პარაგრაფი – „წანარების ვინაობა-განსახლებისა და კახეთის ისტორიაში მათი როლის საკითხისათვის“ ითვალისწინებს ქართველი ერის ისტორიის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემის გარკვევას.

წანარების ვინაობისა და მათი განსახლება-სადაურობის საკითხი მრავალი საუკუნის მანძილზე იწვევდა მეცნიერ-მკვლევართა დიდ დანტერესებას. გამოკვლევაში ეს ყოველივე ფართოდ არის განხილული და წარმოდგენილია არგუმენტირებული კვლევა-ძიება იმის შესახებ, რომ წანარების წინაპრები იყვნენ დასავლურ-ქართული ტომი „ხალდეები“. ნაშრომში გარკვეულია, თუ საიდან მომდინარეობს ტერმინი „წანარები“, „წანარეთი“ და რა აკავშირებთ მათ ეთნიკურ-ტომობრივ ტერმინებთან: „ჭანეთი“, „ჭანები“, „სანები“. გამოკვლევაში ნაჩვენებია ისიც, თუ რატომ დატოვეს წანარებმა (ჭანებმა, სანებმა) თავდაპირველი სამშობლო (შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ტერიტორია) და როდის მოხდა მათი განსახლება აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი წანართა ღვაწლის ჩვენებას, რაც მათ ადგილობრივ კახელ მოსახლეობასთან ერთად, პირნათლად შეასრულეს კახეთის და სრულიად საქართველოს ისტორიაში.

პარაგრაფი – „ერეკლე პირველის პიროვნების გაგებისათვის“ ეძღვნება კახეთის ბაგრატიონთა საგვარეულოს ერთ-ერთი საინტერესო ბატონიშვილის ფრიად მრავალმხრივ საყურადღებო ყოფა-ცხოვრების შესწავლას. ერეკლე პირველის პიროვნების თავისებურება დაკავშირებულია იმასთან, რომ თითქმის 30 წელი მან რუსეთში და ირანში დაჰყო, რამაც ბატონიშვილის ყოფა-ცხოვრებასა და მეფობა-მოდგაწეობას თავისებური სირთულეები და წინააღმდეგობები გაუჩინა. აღნიშნულ გამოკვლევაში პირველად ხდება ერეკლე I-ის მეფობისა და ცხოვრება-მოდგაწეობის სრულყოფილი ჩვენება.

პარაგრაფი „აღმოსავლეთ კახეთის (ამჟამინდელი კახის, ბელაქანის და ზაქათალის რაიონების) დედა-სამშობლოდან ჩამოცილება-დაკარგვის მიზეზთა ისტორიისათვის“ ითვალისწინებს ქართველი ერის ერთ-ერთი უდიდესი ტკივილის ჩვენებას თუ როდის, როგორ და რა ვითარებაში მოხდა აღმოსავლეთ კახეთის უმდიდრესი და ულამაზესი მიწა-წყლის დაკარგვა, ჩამოცილება დედა სამშობლოსაგან, იქ მცხოვრები მკვიდრი ქართველი მოსახლეობით და XX ს-ის 20-იან წლებში აზერბაიჯანისათვის გადაცემა. ეს არის ერთ-ერთი ავადსახსენებელი მაგალითი იმისა, თუ საბჭოთა რუსეთის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 1921 წელს როგორ გადაეცა საჩუქრად საბჭოთა რუსეთს, სომხეთს და აზერბაიჯანს ისედაც საკმაოდ შემცირებული ე.წ. „დიდი საქართველოს“ მიწა-წყლის მთელი რიგი ტერიტორიები.

თავი მკორე – „ადმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (თუშ-ფშავე-ხევისურეთის) განსახლებისა და ეთნიკური წარმომავლობისათვის“ შედგება ოთხი პარაგრაფისაგან: 1. თუშეთის დასახლებისა და სატომო სახელ „თუშის“ ისტორიისათვის; 2. ეროვნული და უცხოური მეცნიერული

მეკვიდრება თუშ-ფშავ-ხევსურეთის განსახლებისა და ეთნიკური შედგენილობის შესახებ; 3. წოვა-თუშების ვინაობის საკითხისათვის; 4. ფხოვისა და ფხოველების წარმოშობა-განსახლების საკითხისათვის.

ხსენებული თავი წინამდებარე მონოგრაფიისა აღსავსეა პრობლემური საკითხებით, რაც გამოწვეულია იმით, რომ თუშ-ფშავ-ხევსურეთი, როგორც კახეთის მთიანეთი ტერიტორიულად ესაზღვრება იმიერკავკასიას, მის მოსახლეობას: დიდოებს, ლეკებს, ქისტებს, ჩეჩნებს, ინგუშებს, რაც იწვევდა ისტორიულად მათ შორის უწყვეტ კავშირურთიერთობას, ერთიმეორეში ხშირ მისელა-მოსვლას, ვაჭრობას, ეკონომიკურ თანაცხოვრებას, სხვადასხვა მიზეზით საცხოვრებლადაც კი გადმოსვლას თუშ-ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიაზე, რადგან ჩრდილოკავკასია მწირი და უმოსავლო ქვეყანა იყო თუშ-ფშავ-ხევსურეთთან შედარებით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმიერკავკასია გაქრისტიანდა საქართველოდან, ეზიარა ქართულ მოწინავე კულტურას და ქართული ენა მათთვის იქცა საერთო კავკასიურ ენად. პოლიტიკურადც იმიერკავკასია (დიდოეთ-დაღესტანი, ჩეჩნეთ-ინგუშეთი) ძალიან ხშირად საქართველოს სახელწმიფოს საზღვრებში შემოდიოდა. ამ და სხვა მრავალმა ფაქტორმა შეამზადა ნიადაგი იმისათვის, რომ ზოგიერთ მეცნიერ-მკვლევარს ათქმევინა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი არ არის საქართველოს ისტორიული მიწა-წყალი, რომ ეს ტერიტორია თავდაპირველად იყო იმიერკავკასიელთა კუთვნილება და აქ ქართველები გვიან არიან მოსულლებიო. ხსენებული საკითხისადმი მსგავსი დამოკიდებულება, ამა თუ იმ მეცნიერ-მკვლევართა მიერ, დიდი ხანია, რაც მომდინარეობს და იგი ნაწილობრივ, თითქმის დღესაც გრძელდება. მაგრამ ქართველ ენათმეცნიერთა, არქეოლოგთა, ისტორიკოსთა, დიალექტოლოგთა, ეთნოგრაფ-ანთროპოლოგთა მიერ ყოველთვის ეძლევა სათანადო შეფასება. განმარტება და სამართლიანი მტკიცებულებანი, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი იმთავითვე, ე.ი. თავდაპირველადვე, ქართველთა კუთვნილება იყო. იქ მცხოვრები თუშ-ფშავ-ხევსურები აბორიგენები არიან, როგორც საქართველოს მთიელები და ქართველ მთიელებს ეს ტერიტორია არავისთვის წაურთმევია. მონოგრაფიის მეორე თავის მთელი კვლევაძიება ამ ერთ-ერთი ურო-ულესი პრობლემის შესწავლას, გამორკვევას და ჭეშმარიტების დადგენას ითვალისწინებს. ხსენებული თავის მეორე პარაგრაფი საკმაოდ დიდია მოცულობით. იგი იხილავს მთელი ორი საუკუნის მანძილზე ვის რა უთქვამს, რა დაუწერია და რა გაუკეთებია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის განსახლება-ეთნიკურობის შესახებ და მათი ანალიზის საფუძველზე მკითხველი თვითონ ერკვევა საქმის არსში და დამაჯერებელი ხდება მისთვის, რომ თუშ-ფშავ-ხევსურეთში საქართველოს განუყოფელი და მამა-პაპეული მიწა-წყალია და თვითონ თუშ-ფშავ-ხევსურები აბორიგენი მთის ქართველობაა. ხსენებულ თავში, როგორც ზემოთაც დაიწერა, კახეთის მთიანეთის თუშ-ფშავ-ხევსურეთის ერთ-ერთი უძველეს მკვიდრ ხალხს „თუშებს“, ტომს

„თუმს“ ცალკე პარაგრაფი ეძღვნება. გამოკვლევაში დამაჯერებლად არის საკითხი ახსნილი, განაღიზებულები და არგუმენტირებული, რაც კი თუშების განსახლებას და მათს წარმომავლობას განეკუთვნება. ყველანაირად დასაბუთებულია, რომ თუშები თუშეთის თავდაპირველი მკვიდრნი და უძველესი ქართველებია. თუშები თუშეთში ცხოვრობდნენ სამ უბნად, სამ თემად, რომელთაც ეწოდებოდათ: ჩადმის თემი, პირიქითის თემი და გომქწრის თემი.

XVII ს-ის 60-იანი წლებიდან თუშეთში საცხოვრებლად მოსულა ინგუშეთიდან წოვათა ტომი და მათ თუშეთში შექმნეს რიგით მეოთხე თემი წოვათა თემი. XVII ს-ის 60-იანი წლებიდან დღემდის თუშეთის განსახლება ოთხ თემად მოიხსენიება და, რა თქმა უნდა, თუშ ტომსაც ამ ოთხი თემის შემადგენლობით მოიხსენიებენ. უნდა აღინიშნოს, რომ რადგან წოვები ინგუშეთიდან გადმოსახლდნენ თუშეთში, ისინი ორენოვანნი იყვნენ: კარგად ფლობდნენ ინგუშურ (ვეინახურ) ენას და საკმაოდ დამახინჯებულად იცოდნენ ქართული ენაც. მათი ორეოვნება თითქმის ორასი წლის მანძილზე, შინაურს თუ უცხოელს, უმრავლესობას, იქითკენ უბიძგებდა, რომ წოვები ვეინახური წარმომავლობის ხალხად გამოეცხადებინა. ჩვენმა კვლევა-ძიებამ, რაც წინამდებარე გამოკვლევაშია ჩამოყალიბებული, მიგვიყვანა იმ მტკიცებულებამდე, რომ წოვები არ უნდა იყვნენ წარმომავლობით ვეინახები, ე.ი. იმერკავკასიელები, ისინი ჩემი ღრმა რწმენით, უძველესი ქართველები არიან და სხვადასხვა გარემოებათა გამო მომხდარა მათი გასახლება საქართველოდან ინგუშეთში, საიდანაც XVII ს-ის 60-იანი წლებიდან მათი გადმოსახლება მოხდა თუშეთში.

ცალკე პარაგრაფი აქვს მიძღვნილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ძირძველი მოსახლეობის ე.წ. „ფხოველების“ შესწავლა-გამორკვევის საქმეს. ფხოვისა და ფხოველების ლოკალიზაცია-წარმომავლობის საკითხიც მრავალჯერ იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას, რაც დღესაც, აქა-იქა კვლავ ვლინდება ხოლმე და ამიტომ მკითხველს იგი საკმაოდ ვრცლად მოხსენდა წინამდებარე გამოკვლევაში.

გამოკვლევა უმთავრესად ითვალისწინებს ისტორიული ფხოვის განსახლების საზღვრების დადგენას, გამორკვევას იმისას, თუ ვის ეწოდებოდა ფხოველები და ეთნიკური თვალსაზრისით ვინ იყვნენ ფხოველები. ნაშრომში დამაჯერებლადაა გადმოცემული თუ ფხოვი რა ტერიტორიას მოიცავდა და რა საზღვრებში იყო მოქცეული. აქედან გამომდინარე, ითქვა, რომ ერწო-თიანეთი ფხოვში არ შედიოდა და მას ტერიტორიული თვალსაზრისით არავითარი კავშირი არ ჰქონია არც ფხოვთან და არც ფშავ-ხევსურეთთან. იმის გამო, რომ ფხოველთა (ფშავ-ხევსურთა) ეთნიკური წარმომადგენლობის საკითხი, სხვადასხვა გარემოებათა გამო, იწვევდა მეცნიერ-მკვლევართა აზრთა სხვადასხვაობას და ზოგიერთმა მათგანმა სერიოზული შეცდომებიც გამოაქვინა, წინამდებარე გამოკვლევაში ამ საკითხის შესწავლას გამორჩეული ყურადღება დაეთმო. ყველა შესაძლებლობათა მაღალმეცნიერულ დონეზე გამოყენების

გზით ყველაფერს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, პასუხი გაეცა, სათქმელი ითქვა და ერთხელ კიდევ აღინიშნა, რომ ფხოველები (ფშაველები, ხევსურები) ჯიშით და ჯილაგით ძირძველი ქართველები არიან და თანაც სამავალითონი თავისი უძველესი ისტორიით.

მონოგრაფიის მესამე თავი — „1660 წლის კახეთის აჯანყების ისტორია“ შედგება ექვსი პარაგრაფისაგან, ესენია: 1. ზეზვა გაფრინდაული; 2. 1660 წლის კახეთის აჯანყების ერთი სახალხო გმირის ვინაობის საკითხისათვის; 3. 1660 წლის კახეთის აჯანყების ხელმძღვანელობის საკითხისათვის; 4. კახეთის აჯანყების თარიღის საკითხისათვის; 5. 1660 წლის კახეთის აჯანყების სახელოვანი გმირის შველა შველაიძის პიროვნების ვინაობის გარკვევისათვის; 6. 1660 წლის კახეთის აჯანყებაში თუშ-ფშავ-ხევსურთა მონაწილეობის ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლები.

მესამე თავის ექვსივე საკითხი პრობლემური, დასადგენი, გამოსარკვევი და შესასწავლია. პირველი პარაგრაფი ეხება ზეზვა გაფრინდაულის პიროვნების გარკვევას. ოფიციალურ წერილობით ძეგლებში ზეზვა გაფრინდაული არსად არ არის მოხსენიებული. ქართული და უცხოური ისტორიოგრაფია ამ პიროვნებას არ იცნობს. თუ არა და ბახტრიონის ციკლის ხალხურ პოეზიაში გამორჩეული ადგილი უკავია ზეზვა გაფრინდაულს 1660 წლის კახეთის აჯანყების მომზადების, აჯანყების გამარჯვებით დამთავრებაში და აჯანყების დამთავრების შემდგომ ხელახლად მომრავლებულ თურქმანთა და სპარსელ დამპყრობთა წინააღმდეგ მოწყობილ პარტიზანულ ბრძოლებში. ხალხური პოეზიის მრავალი ჟანრის გულდასმითმა შესწავლამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ზეზვა გაფრინდაული არის 1660 წლის კახეთის აჯანყების ერთ-ერთი საპატიო ხელმძღვანელთაგანი, რომლის მეთაურობითაც გაერთიანდა თუშ-ფშავ-ხევსურთა მეომარი ძალები და იგი როგორც თუში სახალხო გმირი, ფშავისა და ხევსურეთის ლაშქართა ბელადებთან ერთად უერთდება ქართლისა და კახეთის ბარის მეომარ ძალებს ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების მეთაურობით და ანთავისუფლებენ კახეთს თურქმანთა მეჯოგე-მომთაბარე ურდოებისა და დამპყრობელი სპარსელებისაგან.

ნაშრომში თუშური ხალხური გადმოცემის მხიედვით გაირკვა აჯანყების მომზადების გეგმა და აჯანყების მსვლელობის ორგანიზაციის საკითხი.

ახლებური და სრულიად განსხვავებული შეფასება მოითხოვა აჯანყების ხელმძღვანელობის საკითხმა და აჯანყების თარიღის დადგენამ. დაზუსტდა და გაირკვა, რომ აჯანყება მომხდარა 1660 წელს და არა 1659 წელს.

აღნიშნულ თავში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ხსენებულ აჯანყებაში თუშ-ფშავ-ხევსურთა აქტიური მონაწილეობის მიზეზების ახსნას. თუშ-ფშავ-ხევსურთა აქტიური მონაწილეობა 1660 წლის კახეთის აჯანყებაში გამოწვეული იყო კახეთის მთიელებისადმი დამპყრობელთაგან კახეთში შექმნილი

ურთულესი პოლიტიკური და ეკონომიკური პირობებით. 1660 წლის კახეთის აჯანყების დამარცხების შემთხვევაში თუშ-ფშავ-ხევსურეთს ეკონომიკური კატასტროფა მოელოდათ.

თაკი IV „თუშ-ფშავ-ხევსურებისა“ და ჩრდილოკავკასიელების (ანგუშების, ქისტების, წყნების, დიდოების, ლეკების) ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ადრეული შუა საუკუნეებიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე“ შედგება ორი პარაგრაფისაგან: 1. თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და ჩრდილოკავკასიის დამაკავშირებელი გზები და 2. თუშ-ფშავ-ხევსურებისა და ვეინახ-დიდო-ლეკების ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობა ადრეული შუა საუკუნეებიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე:

მოცემული თავის პირველი პარაგრაფი, როგორც მისი დასათაურებდანაც ჩანს, ითვალისწინებს მკითხველს მიეცეს სრული წარმოდგენა იმ გზა-ბილიკების შესახებ, რომლითაც ფეხით თუ ცხენით და სახედრით ერთმანეთთან კქონდათ ურთიერთობა ქართველ მთიელებს (თუშ-ფშავ-ხევსურებს) და ქართლ-კახეთის ბარის ქართველობას იმიერკავკასიელ მთიელებთან (დიდო-ლეკებთან და ჩეჩენ-ინგუშებთან). აღნიშნული სამარშრუტო გზებით ძვ.წ. ათასწლეულებიდან სარგებლობდნენ მთავარი კავკასიონის ჩრდილოეთით მცხოვრები მთიელები და სამხრეთით განსახლებული ე.წ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები, რადგან მათი ცხოვრება უძველესი საუკუნეებიდან აღნიშნულ ტერიტორიებზე კარგად დასტურდება არქეოლოგიური და წერილობითი მასალებით. იმიერკავკასიელი მთის ტომები (დიდოები, ლეკები, ჩეჩნები, ქისტები, ინგუშები) და აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები (თუშები, ხევსურები, ფშავლები, მოხევეები, მთიულები) აბორიგენები არიან და, აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, მათი ურთიერთობა უძველესი დროიდან მომდინარეობს. ეს გზები დღესაც არსებობს და ყველას შეუძლია მათი საშუალებით, დროის მოკლე მონაკვეთში, დაამყაროს კავშირურთიერთობა მთავარი კავკასიონის იმიერ და ამიერ მოსახლეობასთან.

ხსენებული თავის მეორე პარაგრაფი მიზნად ისახავს მკითხველს ესაუბროს, აუხსნას და გაარკვიოს იმ მრავალსაუკუნოვან და ფრიად საინტერესო ისტორიაში, რაც ეხება იმიერკავკასიელი მთიელების: დიდოების, ლეკების, ჩეჩენ-ინგუშებისა და მათი მეზობელი იმიერკავკასიელი, ე.ი. ქართველი მთიელების: თუშების, ფშავლების, ხევსურების, მოხევეებისა და მთიულების ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობას. აქ, ამ პარაგრაფში, გადმოცემულია, სხვადასხვა გარემოებათა გამო, ერთიმეორეში საცხოვრებლად გადასვლ-გადმოსვლის მრავალი შემთხვევა, იმიერკავკასიელ ე.წ. „ხუროთა“ ე.ი. ფიქალი ქვით მშენებელ-ოსტატთა მიერ ქართველ მთიელებში მასიური მიმოსვლა და ყველა დანიშნულების ნაგებობათა მშენებლობა. ქართველ მთიელებში ციხესიმაგრეებს, საცხოვრებელ სახლებს, ციხე-კოშკებს და სხვა ნაგებობებს უმთავრესად დიდო-ლეკები აშენებდნენ და იშვიათად ქისტები. „მოხნავად“, ე.ი.

გუთნისდელად, ხვნა-თესვის დროს იმიერკავკასიიდან გადმოდიოდნენ მამაკაცები, უმეტესწილად, დიდო-ლეკები. მენახირებუად, მეხბორებუად, მეხარონებუად. ზაფხულის თვეებში, იმიერკავკასიელები გადმოდიოდნენ სხვადასხვა ანაზღაურების ფასად. იმიერკავკასიელ მთიელებს და ქართველ მთიელებს ერთიმეორეში განუწყვეტელი ვაჭრობა და გაცვლა-გამოცვლა ჰქონდათ იმ მრავალფეროვან შინამრეწველობის საქონელ-პროდუქციასზე, რასაც ისინი აწარმოებდნენ. მათ შორის ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობა იმდენად მჭიდრო და თითქმის შეუზღუდველ ხასიათს ატარებდა, რომ ზოგჯერ მათ შორის სამხედრო-პოლიტიკური გართულებებიც კი ვერ უშლიდა ხელს.

მოცემულ პარაგრაფში დიდი ადგილი აქვს დათმობილი იმის ჩვენებას, რომ წარმართი იმიერკავკასიელი მთიელები საქართველოდან გაქრისტიანდნენ X-XI საუკუნეებიდან და ამ მოვლენამ დიდი როლი ითამაშა იმიერ და ამიერკავკასიელთა მრავალსაუკუნოვანი მშვიდობიანი თანაცხოვრების ისტორიაში. ეს სააბური თანაცხოვრების კავკასიური ყოფა-ცხოვრება თემურ-ლენგმა შეარყია, როცა XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე მასიურად გააფრცვლა ისლამი დაღესტანში, რაც მომდევნო საუკუნეებში თანდათანობით ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაშიც გავრცელდა და XVIII-XIX საუკუნიდან ჩრდილოკავკასიელები ისლამურ სარწმუნოებაზე მოქცეულნი მტრად და მძარცველ-დამპყრობლებად მოველინენ საქართველოს მთასაც და ბარსაც. ჩრდილოკავკასიელებში ახალმა სარწმუნოება-იდეოლოგიის დამკვიდრებამ, რასაც ძალიან ბევრი უარყოფითი შედეგები მოჰყვა, იმიერკავკასიელებსა და ქართველ მთიელებს შორის ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობა მაინც არსებობდა და ის არასდროს შეწყვეტილა.

მონოგრაფიის ბოლო, მეხუთე თავი, რომელსაც ეწოდება „თუშ-ფშავ-ხევსურებისა და ვეინახ-დიდო-ლეკების სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობა XVII ს-ის 70-იანი წლებიდან XIX ს-ის 60-იან წლებამდე“ შედგება ხუთი პარაგრაფისაგან, ესენია: 1. თუშ-ფშავ-ხევსურებისა და ვეინახ-დიდო-ლეკების სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის 70-იან წლებიდან XVIII ს-ის 80-იან წლებამდე“; 2. თუშ-ფშავ-ხევსურებისა და ვეინახ-დიდო-ლეკების სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობა XVIII ს-ის 80-იანი წლებიდან XIX ს-ის 60-იან წლებამდე“; 3. ლუის ლუხუმი; 4. ივანე ელიზბარიძე; 5. შეთე გულუხაიძე.

პირველი პარაგრაფის მიზანია მკითხველს გააცნოს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (თუშ-ფშავ-ხევსურეთის) ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი, როცა თანდათანობით დაეიწყებას ეძლეოდა თუშ-ფშავ-ხევსურებსა და ვეინახ-დიდო-ლეკებს შორის მრავალი საუკუნის მანძილზე არსებული მშვიდობიანი, კეთილმეზობლური თანაცხოვრების ფრიად საინტერესო ისტორია და თურქეთ-ირანის სახელმწიფოების მრავალგვარი მცდელობით მიმდინარეობდა ჩრდილოკავკასიელთა ამხედრება-შემოსევები



საქართველოს წინააღმდეგ. კახეთში სამეფო ხელისუფლების უცაბედად შეწყვეტამ და 1677 წლიდან 1703 წლამდე კახეთში ირანის მიერ დანიშნულმა ხანებმა და, ე.წ. „კახეთის სახანომ“ არსებითად გაართულა მდგომარეობა საქართველოსა და ჩრდილო-კავკასიას შორის და საფუძველი ჩაეყარა ლეკ-მძარცველ-ყაჩაღთა აღვირახსნილ შემოსევებს როგორც თუშ-ფშავ-ხევსურეთში, ისე კახეთის ბარში. ყოველივე აღნიშნულით შემზადდა ნიადაგი, ე.წ. „ლეკიანობისა“. რამაც დიდი უბედურება დაატეხა თავზე საქართველოს ბარსა და მთიანეთს XVIII-XIX საუკუნეში.

მეხუთე თავის მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე პარაგრაფები გადმოგვცემენ ერთ-ერთ უმთავრეს ხანას საქართველოს ისტორიისას, კერძოდ კი, თუშ-ფშავ-ხევსურების თავდადებულ და განუწყვეტელ ბრძოლებს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შენარჩუნებისათვის XVIII ს-ის 80-იანი წლებიდან XIX ს-ის 60-იან წლებამდე. 1783 წლის 24 ივლისს მეფის რუსეთსა და ქართლ-კახეთის სახელმწიფოს შორის დადებულმა სამფარველო ხელშეკრულებამ „გეორგიევსკის ტრაქტატმა“ საქართველოს აუმხედრა ამიერკავკასიის სახანოები, იმიერკავკასიის მთიელები, ირანი და თურქეთი, რასაც 1801 წელს თან მოყვა ცარიზმის მიერ ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმება და მისი დაპყრობა. XIX საუკუნის პირველი ნახევარი, 1864 წლამდე, სანამ რუსეთის იმპერიამ არ დაამთავრა კავკასიის დაპყრობა, საქართველოსათვის, განსაკუთრებით თუშ-ფშავ-ხევსურებისათვის, უმძიმესი პერიოდი იყო, რადგან ყველაზე გაბოროტებული და ფაშარაყრილი ჩეჩნეთ-დაღესტნის საზღვარზე, ქართველი მთიელები ცხოვრობდნენ.

მართალია, თუშ-ფშავ-ხევსურეთი გადაურჩა ჩეჩენ-დაღესტნელთა დაპყრობას, მაგრამ რა მიიღო ხსენებული სისხლის ღვრით, რა თქმა უნდა, არაფერი. ის ხომ ყველა კავკასიელის მსგავსად კვლავ რუსეთის იმპერიის ბრჭყალებში დარჩა. ჩენი, ქართველების, და იმიერკავკასიელების დღევანდელი მდგომარეობა ძალზედ წააგავს წარსულს და თუ შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას სწორად არ შევაფასებთ, ადვილად შესაძლებელია ჩვენს თავზე დიდი უბედურება დატრიალდეს. ამიტომ რადაც არ უნდა დაუჯდეთ იმიერკავკასიელებმა თავისუფლება და დამოუკიდებლობა უნდა მოიპოონ ფედერაციული რუსეთისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, თანამედროვე ფედერალური რუსეთი, დიდი რუსეთის იმპერიის მსგავსად, ყოველთვის შეეცდება, მას ხომ ამის დიდი გამოცდილება აქვს, იმიერკავკასიელები, სხვადასხვა შესაძლებლობათა გამოყენების გზით, დაგვიპირისპიროს ქართველებს, საქართველოს, როგორც ეს მან შესანიშნავად განახორციელა აფხაზეთში, სამაჩაბლოში და დღესაც იგი ამ მიმართულებით ინტენსიურად მუშაობს. თანამედროვე საქართველომ. მისმა ხელისუფლებამ. მთელმა ქართველმა ხალხმა, ქართულმა მასმედია. ქართულმა ტელევიზიამ, უგანათლებულესმა ქართულმა ინტელიგენციამ, მისმა უნიჭიერესმა მწერლობამ სადღელამისო შრომა-საქმიანობით,

განუწყვეტელი საავტორო-პრაბაგანდისტული მუშაობით უნდა ვიბრძოლოთ, იმისათვის, რომ მჭიდრო კავშირი დაეამყაროთ ჩვენს ისტორიულ თანამომბეებთან. ჩვენს განაყარ იმიერკავკასიელებთან და ჩვენ და მათ ერთად უნდა შევძლოთ „მშვიდობიანი კავკასიის“ შექმნა, აშენება, რადგან თავისუფალ საქართველოში ისედაც კარგა ხანია დაწყებულია მოძრაობა „საქართველო-მშვიდობიანი კავკასიისათვის“. ყველა კავკასიელმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ერთი მამიდან თარგამოსიდან, მისი ძლიერი და მრავალშვილიანი ოჯახიდან მოვდივართ: ჰაოსიდან – სომხები, ქართლოსიდან – ქართველები, ლეკოსიდან – ლეკები, კავკასოიდან – კავკასიის მთიელები, ბარდოს და მოვაკნიდან – აზერბაიჯანელები, ეგროსიდან – მეგრულ-ჭანები, ჰეროსიდან – ჰერები და სხვა. კავკასიელთა ერთი ფუძე-ოჯახიდან წარმომავლობის უტყუარი ტრადიცია ყველა კავკასიელს, თითოეულ ჩვენგანს გვაკვლავებულებს ერთ მუშტად შევიკრათ, ურთიერთ ქიშპი და მტრობა გვერდზე გადავდოთ და ერთიანი ძალით ვიბრძოლოთ „მშვიდობიანი, ერთიანი და თავისუფალი კავკასიისათვის“. XI საუკუნის ცნობილი ქარველი მემატთანე ისტორიკოსი და დიდი სასულიერო მოღვაწე ლეონტი მროველი ხომ პირდაპირ და თანაც დაუეჭვებლად აღნიშნავდა და აცხადებდა, რომ – „პირველად ვახსენოთ ესრეთ. რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა – ამათ ყოველთა ერთი იყო მამა სახელით თარგამოს“. ამ სიტყვებით იწყება ქართველი ერის სასახელო ისტორია „ქართლის ცხოვრება“. ასე იწყებდა ლეონტი მროველი თავის თხზულებას ქართველების და კავკასიის სხვა ხალხთა თავდაპირველი წარმომავლობის შესახებ. საინტერესოა ისიც, რომ ლეონტი მროველმა თარგამოსის გენეალოგიაც ზემიწვენით იცის და დასძენს კიდევ: „ესე თარგამოს იყო ძე თარშისა, ძისა ავანასისა, ძისა იაფეთისა, ძისა ნოესა“. სახელოვან მემატთანეს თარგამოსი ბიბლიურ მამამთავართან ნოესთან ყაყს დაკავშირებული. თარგამოსი ნოეს მესამე შვილის – იაფეთის შვილიშვილის შვილი ყოფილა. „და იყო ესე თარგამოს კაცი გმირი“, – აღნიშნავს დიდი ლეონტი მროველი.

## Problematical questions of History of Kakheti

### Resume

The following monograph- "Problematical questions of history of Kakheti" consists of 5 chapters, introduction and conclusion.

The first chapter of monograph- "For understanding of some problematic issues of history of Kakheti" consists of nine paragraphs. They are: 1 City formation history of Telavi. 2. Legality of Kakheti Bagrationi; 3. Some lately said falsification about the military- political works of the king Erekle II; 4. The king grown older in the wars. 5. " Mourn over the king Erekle II"; 6. Problems of administration- political center of Kakheti; 7. Personality- settlement of Tsanari Society and their role in the history of Kakheti; 8. Personality of Erekle I; 9. The reasons of taking away and losing the eastern Kakheti from "mother-land" ( Now these parts are: Kakhi, Belakani and Zakatala).

The first paragraph of the first chapter – "City formation history of Telavi" was taught for years by the author. Telavi, as the populated settlement, was mentioned as city in the II century of A.D. in the "Geography textbook" of Greek Geographer and Astronomer Klavdios Ptolemaiosi. But the author published researches and letters three times and he came to the conclusion that city formation of Telavi took place from the IV –III centuries B.C. and not from the II century as Klavdios Ptolemaiosi thought.

The second paragraph "Legality of Kakheti Bagrationi" is based in all suitable rich correspondence, especially, Academician Iv. Javakhishvili's leading researches about Bagrationi of Kakheti. He mentions that Bagrationi of Kakheti come from the united Georgian king Giorgi VIII. Their family tree was never ceased until the king Giorgi XII and David the Son of Giorgi Bagrationi. Between the kingdoms of Kakheti, Imereti and Kakheti the most legitimate was the family tree of Kakheti Bagrationi.

The third paragraph – "Some lately said falsification about the military-political works of the king Erekle II" discusses those groundless and false blames of Roland Burchuladze toward the king- commander Erekle II. In this paragraph is expressed the military- political works of Erekle II, the great wars of the king- commander, which became the legends and that "evaluator", who has given us very false information, got the adequate and argumentative answer. Under the light of that groundless critic once more

was mentioned the military talent of Erekle II. The adequate response was returned to critics who blamed our brilliant diplomat, far-sighted public figure and European-Asian scale commander by mistake.

The fourth paragraph- "The king grown older in the wars" was specially written and published in the newspaper. The reason of it was to show once more the hero Erekle II, who reigned for 54 years. It's difficult to name other king from the history of thousand-year existence of Bagrationi who lived and worked in such difficult period as Erekle II. This difficult period is suitably described for the layman-Erekle II.

The paragraph -" Mourn over the king Erekle II " is written specially, to show the 40- day mourn and funeral ritual in the cathedral of Mtskheta of nation-loved king- commander, European- Asian scale diplomat and Public figure Erekle II. Under the different circumstances Georgian historiography couldn't keep the mourn and funeral rituals and tradition, that's why it was settled to show the nation mourn and funeral to other races.

The paragraph- " Administration- political center of Kakhети " is devoted to clarify where was and what was the name of administration- political center of Kakhети from the II half of VIII century. On the boundary of X-XI centuries city of Telavi replaced the administration-political center of " Bodoji's Palace " in Kakhети kingdom. After it the City of Telavi played the " City role " till the end of XVIII century.

The paragraph- " Personality- settlement of Tsanary Society and their role in the history of Kakhети foresees the clarification of one of the difficult problems in the history of Georgian nation.

The problem of personality- settlement of Tsanary Society caused very big interest in the researchers and scientists. In this work is widely discussed and represented the argumentative research about the ancestors of Tsanari Society: they were western- Georgian societies " Khaldebi " The term " Tsanarebi " " Tsanareti " has the relation to their ethnical Society terms " Chaneti ", " Chanebi », " Sanebi ". In the work is seen the reason, why " Tsanary society " (Chanebi. Sane) left their first mother-land (South-East territory of the Black sea) and when was their settlements seen at Eastern Georgian territory. In this work is seen very big merits of Tsanary Society together with Kakhети population.

The paragraph- " Personality of Erekle I " -is devoted to study the life of one interesting Son of king of Kakhети Bagrationi. The peculiarity of personality of Erekle I is connected to his almost 30-year being in Russia and Iran, and it made the special difficulties and resistances for the king. In this research is perfectly seen the full life, reign and work of Erekle I for the first time.

The paragraph- “ The reasons of taking away and losing the Eastern Kakheti from “ mother-land””(Today’s Kakhi, Belakani and Zakatala) foresees to show one of the biggest pain for Georgian nation, that means-when, why and in what condition took place the losing, taking away of the richest and the most beautiful land of East Kakheti from the mother-land. Not only the land but also the native population living on that land became the present to Azerbaijani in the 20s of XX century. This is one of bad example, how by the help, initiation and leadership of Soviet Russia very many territories of already shortened so called “Big Georgia” became the presents to Soviet Russia. Armenia and Azerbaijani in 1921.

**The second chapter- “ Settlement and ethical origin of East Georgian mountain ( Tush-Pshav-Khevsureti) consists of four paragraphs:** 1. Tusheti Settlement and the history of society name of “Tushi”; 2. National and Foreign scientific inheritance of Tush-Pshav-Khevsureti; 3. Personality of Tsova-Tushebi; 4. Origin- settlement of Pkhovi and Pkhovelebi.

This chapter is full of problematic questions, which is caused by the territorial border among Kakheti mountain ( Tush-Pshav-Khevsureti) and North Caucasus (and its population Didoebi, Lekebi, Kistebi, Chechnebi and Ingushebi). This border caused very strong relationship between that two sides. They came to our territory and in contrary. Didoebi, Lekebi, Kistebi, Chechnebi and Ingushebi came to Tush- Pshav- Khevsureti territory to live because the North Caucasus was poor and in lower productivity than Tush-Pshav-Khevsureti. We have to mention, that North Caucasus turned to Christianity from Georgia, got acquainted with the Georgian culture and Georgian language became their own general Caucasian language. From the political point of view North Caucasus ( Didoeti- Dagestani, Chechen-Ingushebi) entered the borders of Georgian State very often. This and other factors prepared the ground for saying that mountain of Eastern Georgia is not the Historical native land, that this territory belonged to North Caucasus for the first time, and the Georgians came very lately there. This proposal continues up to day. But the proofs, suitable evaluations and explanations done by the Georgian linguists, archeologists, dialectologists, ethnographer-anthropologists showed that mountain of East Georgia belonged to Georgian people at first, i.e. Tush-Pshav- Khevsurebi are aborigines.

The second chapter of the monograph is very big and is devoted to solve this difficult problem. It discusses the sayings, written and done works by everyone for two centuries, about the settlement- ethnical issues of Georgian mountain. The reader clarifies that Tush-Pshav-Khevsureti was the part of the whole Georgia and Tush-Pshav Khevsurebi are aborigines Georgian mountaineers.

In the chapter, mentioned before one separate paragraph is devoted to the oldest native population “ Tushebi”. Very convincing arguments and analysis are done in the research and is proved that Tusheti and native population of Tusheti are the native Georgians. Tushebi lived in three districts and in three Societies in Tusheti. They are called: Chagma Society, Pirikiti Society and Gometsari Society.

From the 60s of XVII century Tsova tribe came from Ingusheti to Tusheti and formed the fourth society “ Tsova Society”. From 60s of XVII up to day Tusheti settlement is called according the four-society people. As Tsovebi came from Ingusheti, they possessed two languages: they knew Ingushuri ( Vainakhuri) language very well and knew a little Georgian too. This fact suspected many people and they said that Tsovebi were people of Veinakhuri origin. But our research clarified the different: Tsovebi weren't Veinakhebi by their origin i.e. North Caucasus. they by my deep point of view, are the old Georgian and under very difficult circumstances they were re-housed to Ingusheti from Georgia in old time and from 60s of XVII century they returned to their home land, to Tusheti.

Separate paragraph is devoted to study- research of “Pkhovelebi” issue. The localization- origin problem of Pkhovi and Pkhovelebi had the variety comments from every side.

**The research foresees establishment of settlement borders of historical Pkhovi, who were called Pkhovelebi and who were they by the ethnical point of view. In the work is discussed what territory did Pkhovi possess and what were its borders. Ertso-Tianeti doesn't include Pkhovi and in territorial point of view it had no connection to Pkhovi and Pshav-Khevsureti. Because of other circumstances, the problem of ethnical origin of Pkhovelebi ( Pshav-Khevsurebi) caused the different points of view of different scientist researchers. So, all possibilities were used to clarify that dark mistake, which was made by the researcher. The clear respond was done and once more was mentioned that Pkhovelebi (Pshavlebi, Khevsurebi) are the native population of Georgia with their exemplary old history.**

**The third chapter of the monograph-“ The history of 1660 Kakhети revolt” consists of six paragraphs. They are 1. Zezva Gaprindauli; 2. Personality of people's hero of 1660 Kakhети revolt”;3. The leadership of 1660 Kakhети revolt; 4. The date of 1660 Kakhети revolt; 5. The clarification of personality of people's hero Shvela Shvelaidze of Kakhети revolt of 1660. 6. Economical and political basis of Tush- Pshav- Khevsureti's participation in 1660 Kakhети revolt.**

The six issues of the third chapter are problematic, in the process of ascertainment, elucidation, and learning. The first paragraph is about ascertain of personality of Zezva Gaprindauli. Zezva Gaprindauli isn't mentioned in the official letters. Georgian and Foreign historiography don't know him. But he played very important part in the folk poetry of Bakhtioni cycle. In the poetry Zezva Gaprindauli is known as the leader in the preparation of 1660 Kakheti revolt, he was the leader in victory and in guerilla battles taken place after the revolt against the Turkman and Sparsian conquerors. After study many genres of folk poetry made us to the decision that Zezva Gaprindauli is one of the main leaders of 1660 Kakheti revolt under whose leadership was united Tush-Pshav-Khevsureti forces and as Tushi public hero together with the other leaders of Pshavi and Khevsureti forces Bidzina Cholokashvili, Shalva and Elizbal Xnis Erlstavi made Kakheti free from Turkman and Sparsian.

According to Tushuri folk legend was clarified the preparation plan and problems in organizational processes of revolt.

New and quite different evaluation was requested the question of leadership and exact date of revolt. It was established that the revolt took place in 1660 and not in 1659.

**Tush-Pshav-Khevsureti's special active participation role was caused from the already existing problems in Kakheti. If it wasn't victory in 1660 Kakheti revolt, Tush-Pshav-Khevsureti will meet the economic disaster.**

**The fourth chapter-"Economical and cultural relationship between Tush- Pshav-Khevsureti and North Caucasus ( Ingusheti, Kistebi, and Chechnebi, Didoebi, Lekebi) people from the early Middle Ages till 60s of XIX century"** consists of two paragraphs: 1. Connecting ways between Tush-Pshav-Khevsureti and North Caucasian people. 2. Economical-cultural relation between Tush-Pshav Khevsurebi and Veinakh- Dido- Lekebi from the early Middle Ages till 60s of XIX century.

The first paragraph of that fifth chapter foresees the giving full information about the paths and roads, which connected the Georgian mountain ( Tush-Pshav- Khevsureti) and Kartl-Khakheti plain population to North Caucasus mountain population (Dido-Lekebi and Chechen-Ingushebi) on foot or by horse or by ass. Here mentioned routes were used from millenniums B.C. by the mountain population living the north side of main Caucasus and the South settlement of the north Georgian mountain population, as their life is proved by the archeological and written material. North Caucasian mountain tribes ( Didoebi, Lekebi, Chechnebi, Kistebi, Ingushebi)

and East Georgian mountain population ( Tushebi, Khevsurebi, Pshavlebi, Mokhevebi, Mtiulebi) are aborigines and their relationship comes out from this connection. These paths and roads are existing nowadays and everyone can connect the North Caucasian and South Caucasian population of the main Caucasus in very short period of time.

The second paragraph of the chapter has one main aim. It's explanation and clarification of century-old and very important history of economical and cultural relationship between the North Caucasian mountain population: Didoebi, Lekebi, Chechen- Ingushebi and their neighbors, Georgian mountain population Tushebi, Pshavlebi, Khevsurebi, Mokheveebi and Mtiulebi. In this chapter is expressed many cases of changing the living places, that meant that North Caucasus “ Khuroebi”- master-builders of shale stone came to Georgian mountain and built every kind of buildings. The castles, house fortresses and such buildings were built by Dido- Lekebi and sometimes by Kistebi in Georgian mountain. “Mokhnavi” i.e. plough men were men from Dodo- Lekebi from North Caucasus. In summer people from North Caucasus were coming to Georgian mountain as herdsmen and calf-herd on very low reimburse. They had very fruitful trade and exchange with products produced in their native land. The economical-cultural relationships between them was so strong that even the military-political complication wasn't worth to bother them.

Very important place holds the fact that heathen North Caucasian mountain population turned to Christianity from Georgia from X-XI centuries and this phenomenon played very big role in the peaceful life between North Caucasian and South Caucasian people in century-old history. This peaceful life was strong until Temur-Lengi's appear who spread the Islam in Dagestani in XIV-XV centuries. That religion was spread to North-West Caucasus by and by and from XVII-XIX century the North Caucasian population being on Muslim religion became the enemies and conquerors to Georgian mountain and plain. No matter the negative results the economical- cultural relations weren't ceased between North Caucasian and Georgian mountain.

**The last chapter of the monograph which is called “ Military-political relations between Tush-Pshav-Khevsureti and Veinakh-Dido-Lekebi from 70s of XVII century to 60s of XIX century”** consists of five paragraphs. They are: 1. Military- political relations between Tush-Pshav-Khevsurebi and Veinakh- Dido-Lekebi from 70s of XVII century to 80s of XVIII century” 2. Military – political relations between Tush-Pshav-Khevsurebi and Veinakh-Dido- Lekebi from 80s of XVIII century to 60s of XIX century.”3. Luis Lukhumi 4. Ivane Elizbalidze. 5. Shete Gulukhaidze.



The aim of the first paragraph is to make clear one important period of history of East Georgian mountain ( Tush-Pshav-Khevsureti). It is the period when century-old. peaceful , kind neighborhood relations between Tush-Pshav –Khevsureti and Veinakh-Didi-Lekebi reduced. The states of Turkey and Iran tried North Caucasian population to make invade and set against Georgia. Very difficult problem raised by Iran appointed Khans in Khakheti from 1677 to 1703. The situation was tensed between Georgia and North Caucasus. The invades began as in Tush-Pshav-Khevsurati also in Kakheti plain by Leki.

All mentioned before prepared the ground for “Lekianoba”. which was the great disaster for Georgian mountain and plain in XVIII-XIX centuries.

The second, third, fourth and fifth paragraphs of the fifth chapter retell us one of the important period of Georgian history, its devoted battles for independence and freedom by Tush-Pshav- Khevsureti from 80s of XVIII century till 60s of XIX century. “Georgievski Treaty” was ratified between Kartl-Kakheti and Russia State on 24 June of 1783. This fact set South Caucasian Khans North Caucasian mountain population, Iran and Turkey against Georgia. After it the Tsarism abolished and conquered Kartl-Kakheti states. The first part of XIX century till 1864 was very difficult period for Georgia, especially for Tush-Pshav-Khevsureti until the Russian Empire finished formation of Caucasus . because Georgia was under the pressure of Chechen and Dagestani.

**It's true, that Tush-Pshav-Khevsureti survived after Chechen-Dagestani conquer, but it left nothing. Like other Caucasians it stayed in the craws of Russia. Our Georgian and North Caucasian situation resembles to past political situation. If we don't evaluate it correctly we could have the big disaster. That's why the North Caucasian people could fight for independence and freedom from Russia, in the contrary the modern Russia like the Russian Empire should try to contrast Georgia with North Caucasus. Russia made it in Abkhazia, in Samachablo perfectly. Modern Georgia, its government, all Georgian intelligence, writers should try to make connection with our historian brothers-with North Caucasian people, we should form the “ Peaceful Caucasus”, as the movement “Georgia for Peaceful Caucasus” is already began in free Georgia. All Caucasians should know that all of us are the descendants of Targamosi and are coming from his strong and multi-children family: Armenians- from Haosi, Georgians-from Kartlosi, Lekebi-from Lekosi, Caucasian mountaineers- from Caucasus, Azerbaijans- from Bardos and Movakani, Megrel-Chanebi- from Herosi and so on.**

The trustworthy tradition of one family root obliges us to gather in one fist, put aside the feelings of unreliability and envy and fight for “Peaceful, whole and free Caucasus” Well known Georgian chronicler – Historian and great ecclesiastic Leonti Mroveli Doubtfully says: “First name this, because Targamos was the father of Armenian, Georgian, Ran. Movakan, Hereti, Lekebi, Megrelebi and Caucasian.” These words began our famous history of “Kaltli Life”. It’s interesting that Leonti Mroveli knew the family tree of Targamosi and says: “Targamos was the son of Iapeti, son of Noe”. The famous chronicler connects Targamosi to Bible father Noe. Targamosi was the great grandchild of Noe’s third son. Leonti Mroveli mentions that Targamosi was very big hero.





75



## ბიოგრაფიული მონაცემები

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვალერიან აბრამის ძე ელანაძე დაიბადა 1931 წლის 11 იანვარს თელავის (ახლანდელი ახმეტის) რაიონის სოფელ ჩიღოში (თუშეთში).

1955-1960 წლებში სწავლობდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. იგი სწავლის პერიოდში იყო იოსებ სტალინის სახელობის სახელმწიფო სტიპენდიანტი. უმაღლესი წარჩინებით დაამთავრა და შობლიურ ინსტიტუტსა და უნივერსიტეტშივე განვლო სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის ყველა საფეხური: ლაბორანტობა, ასისტენტობა, ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის კათედრის კაბინეტის გამგეობა, მასწავლებლობა, უფროსი მასწავლებლობა, დოცენტობა და პროფესორობა.

საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე: „თუშეთის სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ფეოდალიზმის ხანაში“ (1968), ხოლო სადოქტორო დისერტაცია – გვიანი და შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (თუშეთის) ისტორიის საკვანძო საკითხები“ (1989).

1969-1978 და 1984-1987 წლებში იყო მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგე. 1987 წლიდან 1997 წლამდე იყო ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი.

1997-2005 წლებში ხელმძღვანელობს ისტორია-სამართალმცოდნეობის ფაკულტეტს. 2005-2006 სასწავლო წელს ასრულებს საქართველოს ისტორიის კათედრის გამგის მოვალეობას. 2006 სასწავლო წლიდან ხელმძღვანელობს მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახურს.

გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის წიგნები: „თუშეთის ისტორიის საკითხები“ (1988), „წოვა-თუშების ვინაობის საკითხისათვის“ (1990); „ზეზვა გაფრინდაული“ (1997); „ვინამ თქვა თუშთა დაღვეა?!“ (2001).

არის საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა და ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი-აკადემიკოსი.

ჰყავს მეუღლე მაყვალა იჭირაული და სამი ვაჟიშვილი – ლევანი, ზურაბი, კობა.



# სარჩევი

შესავალი .....	5
თავი I	

## კახეთის ისტორიის ზოგიერთ საჯანძმო \_ ჰიობნემუი საკითხთა გაგებისათვის

1.1 თელავის ქალაქად წარმოქმნის ისტორიისათვის .....	9
1.2. კახეთის ბაგრატიონთა ლეგიტიმურობის საკითხისათვის .....	25
1.3. მეფე ერეკლე II-ის სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობის ირგვლივ ბოლოხანს გამოთქმულ ზოგიერთ გაყალბებათა გაგებისათვის. ....	34
1.4. ომებში დაბერებული მეფე .....	67
1.5. „გლოვა მეფის ირაკლი მეორისა...“ .....	74
1.6. კახეთის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრის საკითხისათვის .....	89
1.7. წანარების ვინაობა-განსახლებისა და კახეთის ისტორიაში მათი როლის საკითხისათვის .....	98
1.8. ერეკლე I-ის პიროვნების გაგებისათვის .....	114
1.9. აღმოსავლეთ კახეთის (ამჟამინდელი კახის, ბელაქანის და ზაქათალის რაიონების) დედა-სამშობლოდან ჩამოცილება-დაკარგვის მიზეზთა ისტორიისათვის .....	144

## თავი II

### აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (თუშ-ფშავ-ხევსუხეთის) განსახლებისა და ეთნიკური ნაქმომავლობის საკითხისათვის

2.1. თუშეთის დასახლებისა და სატომო სახელ „თუშ“-ის ისტორიისათვის 166	
2.2. ეროვნული და უცხოური მეცნიერული მემკვიდრეობა თუშეთის განსახლებისა და ეთნიკური შედგენილობის შესახებ .....	197
2.3. წოვა-თუშების ვინაობის საკითხისათვის .....	296
2.4. ფხოვისა და ფხოველების წარმომავლობა-განსახლების საკითხისათვის .....	325

## თავი III

### 1660 წლის კახეთის აჯანყების ისტორია

შესავალი .....	357
3.1. ზეზვა გაფრინდაული .....	361
3.2. 1660 წლის კახეთის აჯანყების ერთი სახალხო გმირის ვინაობის გარკვევისათვის .....	388
3.3. 1660 წლის კახეთის აჯანყების ხელმძღვანელთა საკითხისათვის .....	427
3.4. კახეთის აჯანყების თარიღის საკითხისათვის .....	438
3.5. 1660 წლის კახეთის აჯანყების სახელოვანი გმირის შველა შველაიძის პიროვნების ვინაობის გარკვევისათვის .....	441
3.6. 1660 წლის კახეთის აჯანყებაში თუშ-ფშავ-ხევსურეთის მონაწილეობის ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლები .....	448

## თავი IV

### თუშ-ფშავ-ხევსუხეებისა და ჩხილიკავკასიელების (ინგუშების, ჩეჩნების, ქისტების, დიდოების, ლეხების) ეკონომიკური და კულტურული უხიოიეთობა აღიუელი შუა საუკუნეებიდან XIX ს-ის 60-იან წლებამდე

4.1. თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და ჩრდილოკავკასიის ღამაკავშირებული გზები .....	464
-----------------------------------------------------------------------------	-----

4.2. თუშ-ფშაე-ხევსურებისა და ვეინახ-დილო-ლეკების ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობა ადრეული შუა საუკუნეებიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე 473

**თავი V**

თუშ-ფშაე-ხევსურებისა და ვეინახ-დილო-ლეკების სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობა XVII ს-ის 70-იანი წლებიდან XIX ს-ის 60-იან წლებამდე

5.1. თუშ-ფშაე-ხევსურებისა და ვეინახ-დილო-ლეკების სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობა XVII ს-ის 70-იანი წლებიდან XVIII საუკუნის 80-იან წლებამდე .....	515
5.2. თუშ-ფშაე-ხევსურებისა და ვეინახ-დილო-ლეკების სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობა XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე .....	534
5.3 ლუის ლუხუმი .....	578
5.4. ივანე ელიზბარიძე .....	597
5.5. შეთე გულუხაიძე .....	614

დასვენა .....	632
ხეზიუმე .....	635
Resume .....	645
ბიოგრაფიული მონაცემები .....	653
Autobiography .....	654

რედაქტორი	მანანა უკლება
კომპიუტერული უზრუნველყოფა	ოაშარ ბუჯიაშვილის
პოლიგრაფიული უზრუნველყოფა	მისიკელ სადოიგის